ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

XIII
ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

UDC (უაკ) 908(479.22)
ა-659



იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 აკადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი — მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების განგრენით. 1986-1987 წლებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები. 1987-1990 წლებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი. 1990-1992 წლებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში. 1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი: 9 წელიწადი და 3 თვე; სულ 111 თვე, ანუ 476 კვირა, ანუ 3333 დღე.

ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასხმა მოეწყო:

1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა. მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.
   15-მდე ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო
   6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში. 1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ.

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია, 2023

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-33-646-1

ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის იდეის ავტორია გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი არის ჯუმბერ ლეჟავა. აკადემია მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს მუშაობას, 2022 წლიდან აკადემია იუსტიციაში დაფიქსირებულია „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის“ სტატუსით, გამოდის ჟურნალი „ათინათი“ კვარტალში ერთხელ და „ანთოლოგია“ წელიწადში ერთხელ. მისი დაბადების 80 წლის იუბილეს მიეძღვნა „ანთოლოგიის“ სპეციალური ტომი, სადაც შესულია ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ და მოაგონებები ბატონ ჯუმბერიზე.

გარდაიცვალა 2014 წლის 25 ივლისს. ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე დადებული ფიცი შევასრულოთ და ვიშრომოთ მის უკვდავსაყოფად.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.



წმინდა ნიკოლოზი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



წმინდა ვლასი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



წმინდა ლაზარე

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...

/ წმ ბერი გაბრიელი /



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)





უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი

პოეზია

ირაკლი ნადარეიშვილი

რადგან სამოთხემ ვერ შეივსო ვაკანსიები...

ეჰ, რა ხანია ჯოჯეხეთი დაცარიელდა,
ცარიელია დღეს ქვესკნელის ყველა საკანი,
აქ, ჩვენთან ერთად თანაცხოვრობს თუ, ვინმე, სადმე
დაწყევლილა და დარწევია ცოდვის აკვანი.

ცარიელია ჯურღმულები, ერთ დროს საზარი,
აღარ ამოსდის კვნესის ხმები დილეგს და ხაროს,
ფართოდ გახსნილა ჯოჯოხეთის მძიმე კარიბჭე
და ყველა ეშმა დღეს ჩვენს გვერდით
ცხოვრობს და ხარობს.

ამ სამყაროში ფანტომები მეფობენ მხოლოდ,
ირგვლივ ჰყვავიან შეთითხნილი ილუზიები,
მდუმარებაა ჯოჯოხეთში სიცარიელის
და სამოთხეშიც ვერ ივსება ვაკანსიები...

აქ, ამ მიწაზე, აზელილა სამივ სამყარო,
ზოგის ცხოვრება ჯოჯოხეთს ჰგავს, ზოგის-სამოთხეს,
წუხელ, სუფრაზე ეშმაკს მისცეს ფიც-ვერცხლით ფიცი,
ტაძრის კარებთან ანგელოზს კი წიხლი ამოსცხეს...

წუხელ დუქანში ერთად სვამდა,,თეთრი და შავი“,
წაშლილი დამხვდა ყველა მიჯნა და ყველა ზღვარი,
ჰოდა, ჩემს თვალწინ კეთილმა და ბოროტმა რადგან
შეწყვიტეს ბრძოლა სულებისთვის და დასდეს ზავი...

მე ავჯანყდები ყველაფრის და ყველას ჯინაზე,
დაუწერელ და დაწერილის ერთ დროს მძევალი,
სამყაროს შევქმნი მეოთხეს და ერქმევა ჩემი,
თავად გავხდები საკუთარი ბედის მწერალი...

ჰოს-ჰო ერქმევა, არას-არა ჩემს სამყაროში,
სიმარტოვეში სიმარტივე არცთუ ძნელია,
რადგან სამოთხემ ვერ შეივსო ვაკანსიები
და ჯოჯოხეთის ჯურღმულებიც ცარიელია...

ის ჯალათი ვარ...

მოგონებისას თვალს მომდგარი ცრემლის წვეთი ვარ,
უხმოდ ჩაღვრილი, სიმლაშით რომ სასა-ყელს გიშრობს,
ის საბანი ვარ, ჩემს ნაცვლად რომ შემოიკეცე
და უჩემობის მონატრებას ყოველღამ იშრობს.

ის ღიმილი ვარ, უნებლიედ გადარბენილი,
სხვისი თვალისგან ხელისგულით პირზე რომ ფარავ,
მე ის ოხვრა ვარ, შიგადაშიგ წამოცდენილი,
გულის სიღრმეში ჩამწყვდეულს რომ ყველასგან მალავ.

ჰო, ის სიყრმე ვარ, გაფრენილი თვალს და ხელს შორის
დროის მდინარე, კალაპოტით შუბლზე რომ გღარავ,
მე ის ვერცხლი ვარ, შეღებილ თმას რომ უჩანს შორით
და ის ღამე ვარ, უმთვარობით დღემდე რომ გზარავ...

ის ყორღანი ვარ, წელიწადში ერთხელ რომ მიხვალ,
ის სანთლის ნამწვი, სამშვენისი სამარის ლოდის,
ის წერილი ვარ, სეფისკვერს რომ უფალთან ატან
და ის ენდრო ვარ, რომლის ფესვით შეღებავ ლოდინს...

ის სახელი ვარ, დაძახებაც შეგაკრთობს რომლის,
ის სტრიქონი ვარ, რომელსაც სხვა არ ერითმება,
მე ის სივრცე ვარ, ჰორიზონტზე მომცველი ყოვლის
და ის ლოცვა ვარ, უცრემლოდ რომ ვეღარ ითქმება...

ის გუთანი ვარ, რომ ებრძოდა მაგ გულის ყამირს
და არ იშლიდა შენს გრძნობებზე თარეშს და ბოგინს,
ის ჯალათი ვარ, ვინც მოგისჯის სიცარიელეს
და მონატრების ბორკილებით მუდმივად ლოდინს.

ქელეხი

დღეს ქელეხია, მიაბარეს მიწას ცხედარი,
არ შეუწყვიტავს მხოლოდ ნაგაზს ყმუილით ყეფა,
ხელების ფშვნეტით და აქა -იქ დაცდენილ ოხვრით,
ხალხმა გაავსო უკანასკნელ ტრაპეზის სეფა.

გაპიმპილებულ ჭიქას წასწვდა სუფრის თავკაცი
და შიგ ჩამბალი პურის ყუით იხადა ვალი,
მჯიღი დაირტყა ფართო მკერდზე კბილთა ღრჭიალით
და ოხშივრიან ხაშლამისკენ გაექცა თვალი...

თხუთმეტი წუთი არ გასულა, სეფიდან ჩქამი
ისმოდა მხოლოდ დაუნდობელ ყბის ქნევის ზარი
და სამ ჭიქაში მოქელეხეთ ,,გულრწფელ სინანულს"
შემოეპარა შიგადაშიგ ღიმილის ბზარი.

კიდევ სამი და ყველა გახდა ,,თავის უფალი",
ალავერდების დატრიალდა აზარფეშები,
სიცილ-ხორხოცმა ჩაანაცვლა თეფშებთან ბრძოლა
და მხოლოდ ცხედრის ქვრივი დარჩა განაშეშები...

წასულთა შემდეგ, როგორც წესი, დალოცეს ისიც,
ჭირთა დათმენა, გამძლეობა უსურვეს ,,რიდით"
და მერე ყველამ იმისა თქვა, რაც სურდათ თავად,
ჭიქა-ჭიქაზე გამოსცალეს ბოლომდე მიჯრით.

აქეთ ქალები იხსენებდნენ გარდასულ ამბავს,
იქით კაცებმა გაუხსენეს ცხედარს ,,გრეხები"...
კიდევ სამიც და აერიათ სიტყვა და აზრი,
ბარბაც-ბარბაცით აითრია ბევრმა ფეხები.

ვიღაც ,,მოზვერიც" აუხირდა სუფრის თამადას,
ლაშმოქცეული, შიგ სახეში ნერწყვის შხეფს ტყორცნის,
აქეთ კი ვიღაც მონატრებულ ,,სისხლსა და ჯიგარს"
შილანაჭამი, გაქონილი ტუჩებით ჰკოცნის.

ვიღაც კითხულობს, როდის უწევს ორმოცი ცხედარს,
ვიღაც ჩუსტს იცვამს და ინახავს ჯერ ,,უხმარ ტუფლებს",
ვიღაცას, თურმე, სუფრის დოსტის არ მოსწონს მზერა
და ჯიხვებივით აჭიდებენ გაოფლილ შუბლებს.

გასრულდა სუფრა, გააცილეს ყველა სტუმარი,
დარჩა შემუსრულ ბრძლის ველად ქცეული სეფა,
დღეს ქელეხია და მხოლოდ ქვრივს სცვივა კურცხალი,
თუმც არც იმ ნაგაზს შეუწყვიტავს ყმუილით ყეფა...

შ ე ჩ ე რ დ ი!

შეჩერდი!
ხელები სისხლით მაქვს მოთხვრილი,
საკუთარ გრძნობების ჯალათად მაქციე,
დღეიდან აღარ ვარ იღბალის მორჩილი,
ლილიტად ღალატით შენ გადამაქციე.

გამშორდი!
მეყოფა მე ჩემი ცოდვებიც....
გამშიგნე და ვითომ მიცოდებ ნაწამებს,
მკერდიდან გრძნობები შენ ამომაცალე,
ახლა კი ფრჩხილებით ვიფლითავ
ნაწლავებს.

ნუ შიშობ!
შენ მაინც არ გავნებ არაფერს,
თუმც შურისძიება გონს ბინდად ჩამოწვა,
დღეს სისხლით ვიხეხავ, სადაც კი მეფერე
და ყველა ნაკოცნი შანთით
მსურს ამოვწვა...

შეჩერდი!
მანდ იდექ! შორიდან მიმზირე,
სისხლისგან დაცლილი გულით რომ
ვიცინებ,
ყველაფერს, რასთანაც შენ გქონდა შეხება,
ჭუჭყივით ტანიდან რომ ჩამოვიცილებ...

მიყურე!
ვისერავ საკუთარ შეცდომებს,
აგითლი ხორციდან სარკასტულ ქილიკით,
უყურე! ერთ დროს რომ ანგელოზს ეძახდი,
თუ როგორ იცვლება ის ქალი ლილიტით...

მშვიდობით!
შენს თვალწინ მოგკალი ჩემს თავში,
იხილე შენდამი გრძნობების ხელყოფა,
ახლა კი გამშორდი და დიდხანს იცოცხლე,
ტანჯვისთვის შენ
ჩემი სახელიც გეყოფა.

გუთნისდედა

გასწი, შენ, ჩემო ნიშაო! მხარი აუბი ლაბასა,
დღეს გუთნის დედა სჭირდება ეკალ-ბარდიან მთა-ბარსა.
მარცვლები ვთესოთ სიტყვების, როგორიც ჰქონდა საბასა,
ნუ დავუკარგავთ ბალღებსა მშობლიურ ანა-ბანასა.

გასწი, გავავლოთ ხნულები სწორ-მართებულად ლარისა,
სარეველისგან გავწმინდოთ, ძნა დავდგათ მოსავალისა,
გუთნით ვუწამლოთ წყლულები, გასახარებლად თვალისა,
ყველა ბელტშია ნამსხვრევი ჩვენი წინაპრის ხმალისა.

ყველა გოჯს სისხლი გადმოსდის, ყველა ქვას ცრემლი ქალისა,
ყველა კლდე სიმაგრე არის ავჟამსას შესაფარისა,
ყველა ხევს ექო გაუდის ტირილის, ობოლ ბალღისა,
მიწავ, ეგ შენი ტკივილი რა მცირემ გაითავისა...

გასწიე, ნიშავ, გუთანი! მხარი მიეცი ლაბასა,
ღმერთო, მოგვეცი ძალ-ღონე ვაბიბინებდეთ ყანასა,
ზედ გონიც მოგვიმწყალობე, მამულს რომ ვცემდეთ თაყვანსა,
რომ ორი ხელით ვამტვრევდეთ ნაშრომ-ნაოფლარ ქადასა.

რომ ერთმანეთის სანაცვლოდ თავთუხი ვლეწოთ ხორბლისა,
კვნესა ყურს აღარ ესმოდეს, გლახაკისა და ობლისა,
თვალი აღარა ხედავდეს ძაძებს დედის და ცოლისა,
ღმერთო, გვარიდე შური და სიმუხთლე ამა სოფლისა.

ჰოდა, გასწიე, ნიშაო! მხარი აუბი ლაბასა,
ბალღები დამიპურე და ცოლსაც მივართმევ კაბასა,
მიწას მიეცი გლეხკაცი და მწყემსი – ცხვრისა ფარასა,
დღეს გუთნის დედა სჭირდება ერსა, ბერსა და მთა-ბარსა.

კლარა გელაშვილი

ქვიშხეთამდე...

ქვიშხეთამდე მოგაცილებს შრიალი-
ყვავილებით დაპენტილი ცაცხვის,
ყიფიანის სამრეკლოდან მოისმა
ლოცვა, უფლის დედისადმი,სამგზის...
მოგონებებს აჩრდილები კვებავენ,
დრტვინვა ისმის ფაფარაშლილ რაშის,
ამ წალკოტში ფიქრმა თუ არ ჩაგძირა,
საქართველო არ გინახავს მაშინ!...
აქ ღიმილით იმოსება ქვითინიც
და იმედი კვლავ მწარე პურს ატკბობს,
შიშველ მხრებზე შალი, ქარტეხილების,
გეხვევა და,ზოგს ჰგონია, გათბობს!..
აწეწილა ფიქრი,როგორც ღრუბელი,
ხვედრთან ჭიდილს ეხუმრება ვიღაც,
გულში როგორ ჩაიხუტებ,ჩაიკრავ,
ან სამშობლოს,ან ქალს,თუ არ გიყვარს!...
თვალმა ფერი შეალია მთაწმინდას,
ზარს ჩამოჰკრავს შენი განცდის ექო,
გენატრება სამხრეთული სილაღე-
დღეს რომ ასგზის გათქმევინა: ღმერთო!!!
ახლა მდელო შენი კაბის ფერია –
ჭრელა-ჭრულა და გულწრფელი შენებრ...
ჩამომსხდარან სხვენზე ძველი მერცხლები
და ჭიკჭიკით ჭორაობენ შენზე....

მუზის ღუმელთან

გარეთ თავსხმა წვიმაა...
მე არაფერს მერჩის!
ყიფიანის სახლ-კარში
ვზივარ მარტო, ჩემთვის...
ზოგჯერ შიში შემიპყრობს,
ვარ წარსულთან მარტო,
ვგრძნობ, რომ მათი
აჩრდილი
აქ მუდამჟამს სახლობს...
ნეტავ, ეს რა ხმებია? –
მეჩვენება ვიღაც!...
მორბის თავდავიწყებით
ფეხშიშველი წვიმა!
მივაწყდები ჩიტივით
ატირებულ სარკმელს,
თავზე წვეთი მეცემა,
როგორც ზეცის სარკე.
თუ წარსულის ლანდია,
ეს ხმა როგორ მაკრთობს?!
ვზივარ მუზის ღუმელთან
და სტრიქონებს ვაცხობ!...

* * *

ასე ერთგული,დედის
შემდეგ,
არვინ მყოლია,
შუბლის გუთნის ქვეშ
სივრცეს კვეთენ
ჩემი თვალები.
ხან სხივს ვაშველებ,
ხან ღრუბლების ნაჟურს
ვაპკურებ,
წამწამთა ჩრდიქვეშ
დარდი სახლობს
გაუთავები.

ჩემო „ჩიტუნებო“

ხომ არ აგიცივდათ, ჩიტუნებო,
ხომ არ შემოასკდით გულის სარკმელს?!
მზე რომ ყველა მინამ აირეკლა-
დარდი მეათასედ გადავადნე...
ო,რა არეული ამინდია,
როგორ გემუქრებათ სუსხის ბადე!
სული გადმოვჭიმე ცისარტყელად-
დენის სადენებზე რომ არ დასხდეთ...
ვეღარ მოვაგროვე, გაიფანტა,
კედელს რომ ვაყრიდი ფეტვის მარცვლებს,
თუ რამ შემოგაკლდეთ, აფრთქიალდით,
იმ ჯვარს მოაშურეთ, მე რომ მაცვეს...
ხომ არ აგიცივდათ, ჩიტუნებო,
ხომ არ შემოასკდით სულის სარკმელს?!

ფუფალა

არ დახევია ჭრელა-ჭრულით
ნაკინძი კაბა,
არ გაცვეთილა ქუსლდამძვრალი
ტუფლის „პადოში“,
ისევ ამაყად მიირხევა,
როგორც სჩვეოდა,
ქუსლს არ იფუჭებს
გლეხი ქალის შავი „კალოშით“.
ფერუმარილით დატკეცილი
ლოყა სავსეა,
ისე,ვით გული,
ისიც ელის თავის შიოლას...
იყო ფუფალა...
კვლავაც არის!...
წარმოსახვებით,
რამდენ მარტოსულს
გათენება გაუიოლდა...

სურამის ციხე

სურამის ციხედ ქცეულა
დღეს საქართველო, თითქოს,
მაშინ თუ ერთი იკმარა,
ახლა ათას მსხვერპლს ითხოვს...
ოღონდ აშენდეს, გამაგრდეს,
ოღონდ ვიცვალოთ ფერი
და თუკი მე არ ვიკმარებ,-
ჰა, შვილები, ჩემი!

ეთერ ჭელიძე

გავაფერადე დილა!

გინდა თუარ გინდა, შვიდფერში დავხატე,
მზისფერში დავხატე ამ დილის რიჟრაჟი,
წყლულებად ნაკვესი დარდები გავფატრე
შევძელ, აღვადგინე დაცლილი ილაჯი...

ვუთხარი, ჩემივე განცდების მესაჭეს,
-ეხვევი ფიქრის სვეტს, ვითარცა ხვიარა,
ვიბრუნებ იმ ძალას დღემდე რომ მოგანდე
და ჩემივ სხეულში ვბრუნდები მთლიანად!

შეშურდა, გაოცდა ...არ სურდა აშკარად...
ვერ დამთმო ,მემონა სიტყვით თუ უსიტყვიდ...
იმზევა, იავდრა ხან იხოშკაკალა,
ვიხმე და ვერ მივხვდი, ის ჩემთვის ვინ იყო!

შევძელი, უთუოდ შევძელი ეს დილა,
შევფუთე ცისკრის მზის სამოსით მთლიანად,
გავფანტე ღრუბელი ჩემს ცას რომ შეყრილა
მწვერვალზე ავწიე ლაჟვარდის ფიალა!!!

გახსოვდეს!...

დღეს რომ სტუმრად მოსულ სტუმარს,
სტუმრის სტუმარი რომ ჰქვია,
ტაბლას უშლი და არ ჰკითხავ,
რად მოსულხარ ანდა ვინ ხარ!
ხვალ რომ რწყილი ფეხის ტერფზე
არ იკადრებს აცოცებს,
ბეჭზე ისე დასკუპდება
ვერ მოასწრებ აზრზე მოსვლას...
მერე, დღე რომ დღეს მოჰყვება,
შენს ბუდეში ითხოვს ბინას.
უფრო მეტი მოუნდება
მასპინძლობის მსურველ სტუმარს.
შენ დუმხარ და ეს დუმილი,
ვერ ხვდები რომ უდრის ღალატს...
შენ ბეცი და ის კუმირი
გიჩვევს ურცხვად და არ მალავს...
მერე, მერე? ჰო, ის რწყილი
 გაცლის წესს და გიკლავს ადათს,
სურნელებას ღვთიურ ცვილის
და განგგაგებს როგორც ნადავლს...
და შენ, ჰო, შენ, ამ დროს ვინ ხარ?
გავიწყდება დროშის ჯვარი?
ამ მიწისთვის სისხლის კალოს
ლეწდა შენი წინაპარი!
შენკი დუმილს ერკინები...
ბერძუებთან ,,ძმობა“გიწევს
და ძმის გვერდზე ჩაჩოჩებით
ძმათაშუღლის აკვანს გირწევს...
ხვდები მაგრამ მაინც დუმხარ,
სამამულე ფესვებს ჰყიდი...
ეფიცხები ცოდვის ბუხარს,
მიჩვეული ყოფნას ჩირგვში...
დროა სტუმარს, სტუმრად ყოფნის
სტატუსი რომ დაუწესოთ...
ჭარმაგ მუხის ყველა ფესვი,
ქრთულ მრწამსით დავაფესვოთ!!!

ისინი არასდროს კვდებიან!

შინდისის გმირებს!

მიდიან მაგრამ ისევ ცოცხლობენ!
საქმით დატოვეს სიტყვა ნათქვამი!
მიდიან; ცანი, მთანი გლოვობენ,
თითქოს სამყაროს სცვივა ბათქაში!

მიდიან მაგრამ არც არ წასულან
ქართველობასთან გონით სწორები,
სახელი მათი ზეცად ასულა
უფალს ეახლნენ თანასწორები!!!

უნდა გესმოდეს მიწის ყივილი...

მაცოფებს სისხლში მიწის ყივილით
ვერ შეცნობილი სოფლის ვულკანი,
ფესვი მეხვევა ყელზე მძივივით
მზის მომლოდინე კრთება სისხამი.

ვერ დანამშვიდი ერის ნეკნიდან
მტვრევა ძვლებისა, ისმის ჭახანი...
ფერდშენაბზარი მყინვარწვერიდან
დაშვებულია თოკი, ჯაბანის.

ვით მოგზაურმა ვთვალე რამდენი,
თავსდატეხილი ურვა ვატარე
და ყოველივე ამის ჩამდენი
სულის ზურგჩანთით ვინ არ ვატარე.

დამეხსენი-თქო-– გთხოვე რამდენჯერ
შენანებისთვის მუხლზე დაცემულს,
გონშემცივნული დგახარ დამრეცზე
და ჰგავხარ, თითქოს ხატზე გაცემულს!

ისევ მამტვრევს და მანგრევს ტკივილი,
ყმული, შენი სისხლის ნამწვავის,
გამშრალი ცრემლის უხმო წუხილი
და მაჯისცემა მაჯადამწვარის...

მაცოფებს, გესმის? სისხლის ყივილით
ვერ შეცნობილი სოფლის ვულკანი,
ფესვი მეხვევა ყელზე მძივივით
მზის მომლოდინე კრთება სისხამი...

სანამ დროა...

თუ კი ქართულ გენით მზაობ შენ მამულში,
მრევლი შენი, უცხო მხარეს ბორიალობს,
ქართულ ჯიშად შენ ფესვიდან მოწვეული,
უცხო ხეზე ნამყენობს და ტორღიალობს...

შეაჩერე, სანამ დროა შეაჩერე,
სანამ შენი ყველა ნერგი გადაჯიშდეს,
შენ ძარღვებში სისხლის წვეთი შეადედე,
სანამ თვალი შეეჩვევა უცხო ჯიშებს!

გადარაზე, სანამ დროა, გადარაზე,
შენ უბიდან გასაქცევი ყველა კარი.
მოასწარი, გენის კოდი განაახლე,
ძველებურად, ქართულ სიმებს ჩამოჰკარი!

გააცოცხლე, საქართველოს მატიანე
როგორ გვდევდა ორპირი და მოძალადე,
როგორ სჭედდა ქართლის ბედის მეციხოვნე
დაულეწავ ბეგთარსა თუ მუზარადებს...

გამოცალე სიდუხჭირის ჭურ-მარნები
და მაცხოვრის წმინდა ბარძიმს მაზიარე,
სურნელება ქერუბიმთა ბანოვნების
ეღვრებოდეს ოაზისებს ნაზიარებს.

შემიკარი ერთობის გზა ალმასებით
და სამშვილდედ სიტყვის ძალა მომისალტე,
ქალწულების ოქროცურვილ დალალებით,
სიწმინდის და ნდობის ჯაჭვი მომიქარგე!

ჩამოასხი სიყვარული ტყვიასავით,
ქართველობის გარიჟრაჟი ამისხივე,
დამსხვრეული მიწის ფიჭა გამომშრალი,
ხელისგულში ქართულ სულად ამიზილე...

შეაჩერე, სანამ დროა შეაჩერე,
სანამ შენი ყველა ნერგი გადაჯიშდეს...
შენ ძარღვებში სისხლის წვეთი შეადედე,
თორემ თვალი შეეჩვევა უცხო ჯიშებს!

სიყვარულო!

გამოგიგონე რამდენჯერ თუმცა,
მწვევიხარ თუნდაც რამდენჯერ ცხადად,
მოგდევს ის, ვისაც არ ეძებ, ურცხვად
და ვინც შენშია სიკვდიმდე მალავ!

და დროც ცვალებად ფერებში იწვის...
ნებდები, ანდა ყველაფერს კრძალავ,
ხან გესმის სუნთქვა ცისა და მიწის,
ხან გიმძიმს ყოფნა მიწიერ ქალად!

ეშვება როცა ზეციდან ფარდა
სარკმლიდან თვალებს როცა გჭრის სხივი,
არავინ გახსოვს იმ ,,ერთის" გარდა
თავს ირთობ გულზე მიბნეულ მძივით...

გამოგიგონე, რამდენჯერ თუმცა
გავექეც გრძნობის პატარა ოდას,
ვერც შენ გაქციე ,,ოცნების" ღმერთად
თუმცა სურვილი რა დიდი გქონდა!!!

დამქანცა დარდის ხმაურმა...

დამქანცა დარდის ხმაურმა
ჭიხვინით ჩავლილ დროებამ,
აჯაგრულ ტალღის ზვაურმა
შეუცნობ ამაოებამ...

,,ქრონიკულ" მასკარადებმა,
,,უძვალო" სიტყვის მხნეობამ,
ქარბუქში წვიმის ბარდებმა,
ბაღნარში ეკლის ზეობამ...

დუმილის უსასოებამ.
სმენადაკარგულ ღრეობამ,
ნემსში გასაყრელ ძაფივით
გაწვრილებულმა მეობამ...

მსჯავრდადებულმა დედობამ,
მოულხინებელ ძეობამ,
მოყვასზე ძალმომრეობამ...
გადაგვარებულ ზნეობამ....

მუხლმოუყრელმა ლოცვებმა,
ანაფორების რთველობამ...
რიჟრაჟის შარა-ბილიკით
უცხოთა შემოქროლებამ...

დამქანცა ქუჩის ხმაურმა...
უგვანოს ლაქუც-ფერებამ...
დაუსრულებელ ლოდინმა,
ვერ მოღწეულმა ,,მშველელმა"...

წუთია, წუთისოფელი!

ამ დილას რომ კაცი ვნახე,
კაცი , ვნახე ამ დილას,
მზე ნისლებში ბანაობდა
ის უმზერდა ნამდვილად,

უხაროდა მზის ამოსვლა
შეიცნობდი ადვილად,
თვალ-ბუდეში აგუნდავა
მზის სხივები ნამდვილად.

მომღიმარი ჰქონდა სახე
ამდგარიყო ადრიან,
შეჰხაროდა ცის ფანტელებს
რა ლამაზად ბარდნიან...

არ ვიცნობდი, არც მიცნობდა
მაგრამ ვნახე ნამდვილად,
თურმე ბოლო ვარსკვლავთცვენას
დაეთხოვა ამ დილას!

წუთში ,წუთისოფლის შარა
მოიარა ადრიან,
სიცოცხლიდან სიკვდილამდე,
თურმე ერთი ადლია!!

ამ დილას რომ კაცი ვნახე
კაცი, ვნახე ამ დილას...
დაისის მზეს დაემგზავრა
თურმე დილაადრიან...

სიმართლევ...

ჩემთან ხარ. თუ გკარგავ, ადვილად გპოუობ.
შენ კარგავ შენ თავს და ეს მიკვირს ძალიან.
მე ტყვიას ტყვიაში როდესაც ვსროულობ
ვაჯენ და შენ ამ დროს სიცრუეს გადრიან...
მარცვალსაც შენ ხნულში არასდროს ვაბევრებ.
ერთია ღმერთი და ის მიდგას თავდებად,
სიტყვას ღმერთისაგან შექმნილს და ნაფერებს
სიწრფელე შენივე ბაგიდან ბარდება...
გზას ვიკვლევ შენსკენ და გზა ძეძვის ქსელია.
უგნურთ და უმეცართ შენ აღარ სჭირდები.
უშენოდ ცხოვრებაც ნამდვილად ძნელია
და ბოლო სუნთქვამდე შენთან ვარ, გპირდები!

უშბის და თეთნულდის სიყვარული

შეუცვარეს შუბლი ღრუბელს
შეუთრთოლდა მყინვარს მკერდთან!
დამესიზმრა უშბა, თეთნულდს,
საიდუმლო ბარათს სწერდა!

და ელოდა ისიც, თითქოს
საპატარძლო კაბა ეცვა,
მწვერვალები მაყრად იხმო,
მზის მანდილი შემოესხა...

ბებერ შხარას სიტყვა მისცეს...
ფიცნაჯერი იყო ღმერთთან!
ქადაგებდა მახვში სიბრძნეს,
ამინ, მთებმა ყველამ ერთხმად!

და დასწერეს ჯვარი ესე,
შეასრულეს უფლის ნება.
უშბა, როგორც მწვერვალთ მეფე
და თეთნულდი მთების დედა!

და მას შემდეგ გულზვიადნი
გულთა კავშირს ხიდად დებენ,
უხილავნი ცისა თაღნი
მათ წინაშე თავს იდრეკენ!

სულ ეს არის!

დღე დღეს მისდევს
კვირა კვირას,
თვე თვესა და
წელი წელს,
დრო მიფრინავს,
ვერცხლისფერად
ისე დაგიბარდნის თმებს...

ვერც წარსული და
ვერც აწმყო,
ვერ შლის ოცნებების ფრთებს,
რომ გეგონა, რომ დაძლევდი
გადადგამდი მთიდან მთებს,

შემოპარულ ალიონზე
მიზანასხმულს
კვალავ გზებს,
უპატარძლო მაყრიონის
უგვირგვინო მეფე
გდევს,

სულ ეს არის...
დღე დღეს მისდევს,
კვირა კვირას,
წელი წელს,
და ვინც რჩება,
ათარიღებს, პირველსა და
ბოლო დღეს...

დანარჩენი?
დასარჩენად,
წნავ და ძერწავ ბადე -კვესს,
ისტორიას მატიანე
შენი წასვლის მერე წერს!..



მალვინა ჭელიძე

მდუმარე შხარა აკვანს ურწევდა!

ფერხთით ეფინათ თოვლის მაქმანი,
ღამის წყვდიადში მშვიდად ეძინათ,
ეფარათ ნაქსოვ ღრუბლის საბანი,
ბეჭებზე მთვარე გადაეწვინათ.
თითქოს გაიღო ზეცის სარკმელი,
ირგვლივ ეფინა გრძნობას ნათელი,
შხარის კალთებზე მზე ირწეოდა,
მთვარე ბჟუტავდა, როგორც სანთელი.
და თვლემდა იგი ღამის ციაგში,
შხარა კი მშვიდად ნანას უმღერდა,
და ვარსკლავების ციმციმ -ციალში,
მწველ მონატრებას ღამეს უთევდა.
სული შფოთავდა,დარდებს აყოლილს,
იდუმალი ხმა სადღაც ეძახდა,
ეტრფოდა ღამეს თეთრი ღრუბელი
და მასთან ყოფნა ისევ ეწადა.
და დუმდა ფიქრებგაორებული,
დარდ-სიხარულის შემონაცვლება,
დილის რიჟრაჟში აფეთქებული
მთვარეს მზის სხივი ჩაენაცვლება.
და დადიოდე ფიქრებით მთვრალი,
ო რა ძნელია ეს მონატრება...
შხარის კალთაზე შეგავლოთ თვალი,
დარდები? მიწას დაენარცხება!

დროსთან ჭიდილი...

დრო ისე გარბის,
ალბათ დრო და დრო,
მოგონებებში ჩაიფერფლება,
გვერდს ნუ ჩაუვლი ბედნიერ წუთებს,
თორემ დარდებმაც იცის შეჩვევა...

გუშინ რაც იყო,ის დღეს არ არის
და დღეს რაც არის,ხვალ არ იქნება,
ცვალებადია დრო და სამყარო,
დარდთან ჭიდილში ფერიც ეცვლება.

ფერი ეცვლება ირგვლივ ყველაფერს,
მოგონებებში დარდიც გვეწვევა,
დროს რას გაუგებ, ვერა, ვერაფერს,
უხმოდ წავა და გადაგვეჩვევა...

ააშრიალა ვერხვმა ტოტები,
მიმოაბნია ყვავილთ სინაზე,
ფოთოლცვენაში თუკი მოვკვდები,
ზეცის ვარსკლავად მოსვლას ვინატრებ!

თეთრი ღრუბელებით სივრცეს მოვრთავდი,
გადავფურცლავდი წლების მირაჟებს,
ოღონდ იმედის გამოჩნდეს სხივი,
რას არ ვისურვებ...რას არ ვინატრებ!

არ მინდა ცრემლმა მდელო დანამოს,
დავაბრუნებდი ჩვეულ სილაღეს,
დარდთან ჭიდილმა შეჩვევა იცის
თუ თავი შენი არ შეიბრალე...

თავს დაგიხრიან უხმოდ ვერხვები,
სევდა ფოთლებად გულზე გეყრება,
მოგონებები ოქროს ფერებში,
თითქოს ედემად გადაგეშლება.

იდუმალია დროსთან ჭიდილი,
სად არ ვიარე, რა არ ვინატრე...
ტკბილ-მწარე დღეთა მოგონებები
ჩემთვის ფაქიზად შემოვინახე!..

მადლის ბილიკით გვატარე!

როცა გულსა გვტკენს მავანი
და უსამართლოდ გვექცევა,
სული შფოთავს და ხმაურობს
ვერ ვმალავთ ტკივილს, გვემჩნევა...
სიცრუე ისე ხმაურობს
თვითონ ვერ ხვდები რა გინდა,
გულით გაცემულ სიკეთის
დანახვა ძალზე გაჭირდა.
უფალო რჩევა მოგვეცი
დათმენა როგორ ვისწავლოთ,
ან სულით გაყიდულების
სიცრუვის, როგორ ვიწამოთ?
ამ დროებასთან ჭიდილი,
უფალო, ძალზე ძნელია,
სანთლების მკრთალი ალები
იწვიან ,მაგრამ ბნელია....
გულზე დაყრილი ჩრდილები
წყვდიად ღამეში გნიასობს,
ქარიშხალივით მძვინვარებს
ზღვის ტალღებივით მიაპობს.
შენ არ დაგინდეს უფალო
გაგწირეს,ჯვარზე გაგაკრეს,
მაგრამ დღეს ჩვენი მხსნელი ხარ
და ვეძებთ უფლის განაჩენს.
თუ უსამართლოდ გულს გვტკენენ
სამართალს შენში დავეძებთ,
მხსნელი ხარ ალალმართალის
თუგინდ ათასჯერ დაეცეს.
სადღაც ცის კიდეს ვეხებით,
რწმენით ,იმედად გადიდიდებთ...
შენ დაგვიფარე უფალო,
ჩვენი სიმართლით დაგვინდე...
მოხეტიალე ღრუბლებში
სიკეთის კვალი ბნელდება...
უსამართლობით დაღლილებს
შენამდე უჭირთ მოგნება!
უფალო შეგთხოვ უწამლო,
გულში ბზარებს და ნაპრალებს,
მადლით შემოსე ჩვენი გზა
მადლის ბილიკით გვატარე!!!

გზები ნამთვრალევი...

შენ, ჩემი ფიქრების სამოსით შეგმოსე,
გულზე დაგიბნიე მძივად ვარსკლავები,
სადღაც უსასრულო სიშორის ბექობზე,
გზას მივუყვებოდი დარდით ნამთვრალევი.

მელოდიებისგან ვეღარ გავარჩიე,
ნაზად მორაკრაკე მორცხვი ნაკადული,
სადღაც გზის მნათობი,სევდას აყოლილი,
უხმოდ მომტირალი მთვარე გაბადრული.

ზღვიდან ანარეკლი სხივით
ერთობოდი,
დარდთან დაზავება, თითქოს გაგიჭირდა,
მშვიდად მიეძინა ღამის მანათობელს,
იჭვით გათანგული ლაჟვარდს აუხირდა.

ტალღებს მიაპობდა ქარი ქარაშოტი,
თითქოს უიმედოდ, გედებს აედევნა...
შენ კი ზღვის კენჭებთან შენთვის თამაშობდი
უმალ ზღვის ტალღებში მთვარეც ჩაესვენა.

იმედს ელიცლიცა გზებით შორეული
დილა გადიშალა ვარდების ედემად...
დაღლილს,გზას გიკვლევდა შენი ორეული,
გულში ჩაგიკრეს იმედის მტრედებმაც!

გევედრები·
მხოლოდ სიხარული მოგვანიჭე,
ისევ ააყვავე ჩემი ერი,
მხოლოდ სიყვარული დაგვაბედე,
სული-ნატიფი და მშვენიერი.
სიცოცხლის ფერები დაგვიბრუნე,
სიმშვიდე მოგვანიჭე შენმიერი,
დედაო ღვთიშობელო გევედრები
დილა გაგვითენე ბედნიერი.

ნეტავი იყოს სიზმარი

შოვის ტრაგედია

ნეტავი იყოს სიზმარი,
ცუდი სიზმარი ღამისა,
დედის უბეში გაზრდილნო
სადარნო მზის და მთვარისა!
გესმოდეთ დედის ტკბილი ხმა,
სიმღერა იავნანისა,
ტკბებოდეთ დედის ზღაპრებით
არ გაშინებდეთ ავი ხმა...
ვაი, რომ ბედის განგებას
ვერც თქვენი ბედი გაექცა,
დედას, საბრალოს, რა ექნა
რომელი შვილი დაეცვა?..
იქნებ და როგორ იბრძოდა
და ბრძოლის ველზე დაეცა,
ზეცად აჭრილილმა კივილმა,
მთები დასეტყვა, დაგესლა...
ცოცხლად ჩამარხულს შვილებთან,
უფალი გულში ჩაგიკრავთ,
ვაგლახ– ბედკრული ბედისგან
დღე, ბედნიერი დაგექცათ...
შვილმკვდარი დედა გმირია,
ყველა ტკივილებს აიტანს...
შვილმკვდარი დედის გაჩენა
უკვე რამდენჯერ დაიწვა,
ანგელოზებად გაფრინდით
მეგზურნი თეთრი ღამისა,
იძინეთ მშვიდად დედასთან
დედა ყოველთვის დაგიცავთ!

თქვენი ღიმილი მენატრება!

ჩემ დებს

ისე ლამაზად იღიმით,
არ ენახვებით ავთვალს,
მზის მცხუნვარებით დამთბარნი...
რა უნდა თქვენთან ზამთარს?
ისე ძალიან უყვარხართ,
ამ ჩემს გულს ბევრის ამტანს,
თქვენში სიმშვიდეს დავეძებ
მაგრამ სიმშვიდე არ ჩანს!
ფოთოლცვენაში მოყოლილს,
ამ შემოდგომის კართან,
სევდა ერთ გუნდად შევკარი,
შორს მოვისროლე,სადღაც....
გზაზე მიმავალს, უთქვენოდ,
დარდად დამათოვს ალბათ
და მონატრებით დაღლილი,
გადავაგორებ ზამთარს.
გარეთ წვიმს, ღამის წყვდიადში,
მოგონებებმა გამცა...
დრო მიდის, დარდ არ ხუნდება,
ეს გულიც თქვენთან დამრჩა.
ეს შემოდგომაც ჩაივლის,
მარტო დავრჩები დარდთან...
მოგონებები დამათოვს,
გამილამაზებს ზამთარს,
წლები, უთქვენოდ ჩაივლის
რა უყო, დროს და განცდას?
ეს მონატრება ტიალი,
ამეტუზება კართან.
სამყაროს გულში დავიტევ,
ბრძოლა ვისწავლე დარდთან,
როცა თქვენ ასე იღიმით,
ვერ მივეცემი ჯვარცმას!!!

რამდენი იმედი წაგვექცა?!

შოვი

ხელები ზეცამდე აწვდილი,
ცრემლები... გოდება... ვაება,
ატირდა სამყარო დაღლილი,
სიკვდილის ხლართებში გაება.
დრო აღარ დასცალდათ,
უფალო!
იქნებ და გიხმობდნენ საშველად,
მშობლები, ტანჯული მშობლები
შვილების გადასარჩენად?!
ტალახი, სიკვდილის გორები
ტყე -ღორღი... დაწყევლოს გამჩენმა,
მშობლების იმედი დამთავრდა,
შვილებთან არჩიეს დარჩენა...
ცოხლად ჩამარხული ბავშვები.
ბავშვობაც,რომ აღარ დასცალდათ,
მოვარდნილ მეწყერმა წალეკა,
რამდენის სიცოცხლე დამთავრდა.
გაშავდა სამყარო, თითქოს და
სიცოხლემ დაკარგა ხალისი,
გაშლილი კვირტების მოწყვიტას
სულის ტკივილამდე განვიცდი.
ჯალათმა სიკვდილმა იძალა,
ღვარცოფმა ჩაისვა უბეში,
ბედნიერ ოჯახებს წართვა
სიმშვიდე,იმედი, ნუგეში.
მწუხარე დღეების განცდები,
ცრემლები დაგუბდა მლაშე ტბად,
არ ვიცი ვინა ხართ,არ გიცნობთ...
ყველა ტკივილით ჩემი ხართ.
თენდება გოდებით უფალო,
ბუნებამ ატეხა განგაში,
რაოდენ მძიმეა ეს ხვედრი
რა გოგო-ბიჭები წაგვართვი.
დრო აღარ დასცალდათ უფალო,
იქნებდა გიხმობდნენ საშველად,
რამდენის სიცოცხლე დასრულდა,
დასწყევლოს,
დასწყევლოს გამჩენმა!....

მამა ნეოფიტე – ბერდიაკონი

ვეფხვისტყაოსანი

გვახსენდება ლეგენდებად, მითებათ,
ის, რაც არის, ადათი და წესი,
თავისუფალ საქართველოს დიდების,
ნუ აყოვნებ– დამისხი და შესვი!

რაც ვაჟკაცებს გამარჯვებას ჰპირდება,
ღრმად გულებში რომ გაუდგამს ფესვი,
თავუსუფალ საქართველოს დიდება-
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.

წარსულისკენ გავიხედე ფიქრებში,
რვაასი წლის იქით გადავეშვი,
ისევ ისე დახმარება სჭირდება,
გამომწყდეულს ციხესიმაგრეში.

ალბათ უფრო გემრიელი იქნება,
არა ჭიქით– სჯობს დავლიოთ პეშვით,
ის, რაც ქართველს, თან დაჰყვება ფიქრებად,
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.

ხელში იღებ, ჩახუტება გინდება,
ხმა ჩაგესმის ხმალ– ხანჯალთა ლესვის,
რუსთაველის საქართველოს დიდების,
გინდა პეშვით, გინდა ყანწით შესვი!

რა ვიღინო

***

რა ვიღინო, რით გიწამლო, რით გიშველო?
შენ ტკივილო, სულ ახალო განა ძველო,
ჩემი ფეხით მონარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო.

ენგურს გაღმა ლალიძგა და ტამიშია,
ღმერთო, მისთვის ხელი ვეღარ გამიშვია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ღუმურიშის დიდო ცაცხვო, ცათამბჯენო,
წყაროებო, ჩანჩქერებო, სხვა რომ გჩემობს
და ილორო, ჩვენო ბურჯო გადამრჩენო,
რით გიწამლო ტკივილო და განაჩენო?!

აფრენა მსურს – ფრთები ვეღარ გამიშვია,
სხვამ მოთოხნა ჩემს ყანაში ჭვავი, შვრია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ზღვის კენჭებო, სათითაოდ დანათვლელო,
ტაძრის ქვებო, წინაპართა განათლელო
და ათასჯერ განარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო!

პატარა ანა

ყვავილები მოერია ბალახებს,
ლამისაა სარეველამ დაახრჩოს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.
მერე რა რომ ძმას წაართვა მამიდა,
მიჭირს მაგრამ განა ვერ გადავიტან?
მერე რა, რომ მოვიდა და წავიდა,
ბიძას გული დაიკავა თავიდან .
პაწაწინამ მოილოცა გარეჯა,
ზოგიერთებს ერთხელ არ აქვთ ნანახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო,
ანასავით ლამაზია ზამბახი.
გარეჯაში მზე ივარცხნის დალალებს,
აქ ვარ მე და არ გავიხდი დარაჯას,
ანას ბიძას სიცხე რამეს დააკლებს?
ზაფხულის მზემ დე ურჯილო გარუჯოს.

მერე რა რომ ერთხელა მყავს ნანახი,
ბიძასათვის იმყოფება განა შორს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.
მე უფალმა შემიკედლა გარეჯას,
მე აქ ჩემ წილ საქართველოს ვდარაჯობ.



ორი საქართველო

ნუთუ ვერასოდეს გავიხარებთ,
ნუთუ ვერ ვიხილავთ ალიონს.
ორად გახლეჩილი საქართველოს
ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ორი ჭიქით დავლიოთ?
ჩვენ სუფრაზე არც კახური შეგვერგება,
თუ ღრუბლები არ გათეთრდება,
ორად გახლეჩილი საქართველო,
უფალო, აღარ შეერთდება?.
თუ სამშობლო დასაღუპად გემეტება,
რაღად გინდა სასახლეთა კეთება,
თვალს დახუჭავ და წარსული იკვეთება,
დევკაცების საკვირველი ქმედება.
ნუ დავიშლებით კუთხეებად,
ტბაზე მიმოფანტულ გედებად,
მტერი ... მგლებს თვითონ შეება,
ღვთით ვიქცეთ ლოცვა ვედრებად.
შერიგება ქართველთ გვწყურია,
დღესვე და არა სახვალიოდ,
უფალს შევაყვარებთ შურიანს,
ძმობის სადღეგრძელო დავლიოთ.
შვილს საფლავზე დედის ცრემლი ეწვეთება,
გმირს მიჰყვება ბრძოლის სულისკვეთება,
ორად გახლეჩილი საქართველო
უფალო შენით შეერთდება!

რჩევები:



* * *

(გ ა რ ე ჯ ს)
შენს კედლებს მსურს სამუდამოდ ჩავეკირო,
ამ ქვა – ღორღებს, ღვთის დიდებულ ადგილს,
მხოლოდ ისე, არაფერი არ გეტკინოს,
ლოცვითაც კი არასოდეს დაგღლი.
გარეჯია ჩემი სულის სამოსახლო,
დღე და ღამე აქ ვსაუბრობ ღმეთთან,
აქვე მინდა საბოლოვოდ
დავიმარხო,
ამ კედლებში წარსული რომ ფეთქავს.
არ ვარ მარტო, უფალია ჩემთან ერთად,
როცა მძინავს ანგელოზი მიცავს
ხან ტკივილი ვულკანივით
ამოხეთქას,
შეცდომებზე უცხო ძალა მკიცხავს.
აღსარება ჩავაბარე ამ კედლებში,
სამუდამოდ აქ
დავიდე ბინა,
მოვილოცე გულწრფელობით
ამ ბეთლემში,
დამიჯერეთ უკვე მშვიდად მძინავს.

ტირის როლში

ლენგინოზ გიორგაძეს
მსახიობი ხშირად ტირის როლში,
სულ უცოდველს ტალახსაც კი სვრიან.
რეალურად როცა ბრძოლობს ომში,
მოღალატე არასოდეს ქვია.
ხშირად უწევს ჩამოჯდომა მზის ქვეშ,
და უღიმუს ვარსკვლავს მოციმციმეს,
წარსულის კვალს შეუცდომლად მისდევს,
დარდიან კაცს გულით გაუცინებს .
დახმარებას შესთავაზებს ისე,
უკითხავად არ გაივლის გვერდზე,
მოკრძალებით ფულსაც მცირედს მისცემს,
ფიქრს განაგრძობს საქართველოს ბედზე.
მსახიობი მორწმუნეა უფალს,
სულ ავადრებს მომავალის სვებედს,
ქართველი კი უფალივით უყვარს,
ყველაფერში ღვთის სიწმინდეს ეძებს.

რა ვიღონო

***

რა ვიღინო, რით გიწამლო, რით გიშველო?
შენ ტკივილო, სულ ახალო განა ძველო,
ჩემი ფეხით მონარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო.

ენგურს გაღმა ლალიძგა და ტამიშია,
ღმერთო, მისთვის ხელი ვეღარ გამიშვია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ღუმურიშის დიდო ცაცხვო, ცათამბჯენო,
წყაროებო, ჩანჩქერებო, სხვა რომ გჩემობს
და ილორო, ჩვენო ბურჯო გადამრჩენო,
რით გიწამლო ტკივილო და განაჩენო?!

აფრენა მსურს – ფრთები ვეღარ გამიშვია,
სხვამ მოთოხნა ჩემს ყანაში ჭვავი, შვრია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ზღვის კენჭებო, სათითაოდ დანათვლელო,
ტაძრის ქვებო, წინაპართა განათლელო
და ათასჯერ განარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო!

პატარა ანა

ყვავილები მოერია ბალახებს,
ლამისაა სარეველამ დაახრჩოს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.

მერე რა რომ ძმას წაართვა მამიდა,
მიჭირს მაგრამ განა ვერ გადავიტან?
მერე რა, რომ მოვიდა და წავიდა,
ბიძას გული დაიკავა თავიდან .

პაწაწინამ მოილოცა გარეჯა,
ზოგიერთებს ერთხელ არ აქვთ ნანახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო,
ანასავით ლამაზია ზამბახი.

გარეჯაში მზე ივარცხნის დალალებს,
აქ ვარ მე და არ გავიხდი დარაჯას,
ანას ბიძას სიცხე რამეს დააკლებს?
ზაფხულის მზემ დე ურჯილო გარუჯოს.

მერე რა რომ ერთხელა მყავს ნანახი,
ბიძასათვის იმყოფება განა შორს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.

მე უფალმა შემიკედლა გარეჯას,
მე აქ ჩემ წილ საქართველოს ვდარაჯობ.

ორი საქართველო

ნუთუ ვერასოდეს გავიხარებთ,
ნუთუ ვერ ვიხილავთ ალიონს.
ორად გახლეჩილი საქართველოს
ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ორი ჭიქით დავლიოთ?

ჩვენ სუფრაზე არც კახური შეგვერგება,
თუ ღრუბლები არ გათეთრდება,
ორად გახლეჩილი საქართველო,
უფალო, აღარ შეერთდება?.

თუ სამშობლო დასაღუპად გემეტება,
რაღად გინდა სასახლეთა კეთება,
თვალს დახუჭავ და წარსული იკვეთება,
დევკაცების საკვირველი ქმედება.

ნუ დავიშლებით კუთხეებად,
ტბაზე მიმოფანტულ გედებად,
მტერი ... მგლებს თვითონ შეება,
ღვთით ვიქცეთ ლოცვა ვედრებად.

შერიგება ქართველთ გვწყურია,
დღესვე და არა სახვალიოდ,
უფალს შევაყვარებთ შურიანს,
ძმობის სადღეგრძელო დავლიოთ.

შვილს საფლავზე დედის ცრემლი ეწვეთება,
გმირს მიჰყვება ბრძოლის სულისკვეთება,
ორად გახლეჩილი საქართველო
უფალო შენით შეერთდება!



ამირან ამირანაშვილი

სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ, დიდო მაესტრო,
შენს ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას.
უზომოდ მინდა შენს სიმფონიას დიდ ხანს დავესწრო,
„მარადისობას“ უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადიროჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოზები გიშლიან ფრთებით.
„მარადიული უკვდავების“ ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით ვივსებით ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონილულად ერწყმის „შესაქმეს“,
შემდეგ გაისმის წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს.
მაჟორ ტონებში მზე დაადგრა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე კრძალულად ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს.
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისიმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადასდო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით.
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით...
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი.
მუქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს.
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს აღმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრში სევდამ.
მაესტრო ითხოვს სრულ პიანოს, ოპერაციას.
სევდის მოტივი მიმოფანტა მხიარულ ევამ.
დადგა მუსიკის აპოთეოზი, ზემხიარული.
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს.
ცაში ფრინველთა, მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს, ტრუბებს ტრამბონებს.
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად.
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა.
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის.
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,
მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან.
ევროპაში კი, ერთხმად მღერიან ტაშით „happy Birthday“-ს.
ჩვენს ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის სიმფონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება.
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის.
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფიერების მელოდიაა მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი.
აწ და მარადის იგუგუნებს „სიმფონიები“,
იდირიჟორებს კვერთხით ხელში ღმერთი უფალი!

ჩემი ძმები

მომენატრა ჩემი ძმები, უშანგი და ანზორი.
არარსებობს ხელსაწყო, ჩვენი ძმობის გამზომი.
სირთულეს რა გამოლევს, ბრძოლა გვიწევს მრავალი.
ყველა ბრძოლებს მოვიგებთ, სიმხნევეა მთავარი.
სამი გმირი მოვდივართ, წინ მოგვიძღვის სამება.
ვნანობთ ძმობის ხიდები ადრე უნდა გაგვება.
ძმობის წიგნი დაიდო, მას არა აქვს ბადალი,
გონაშვილმა შეკონა სამი კაცის ნადავლი.
წიგნს საფუძვლად დაედო მეგობრობა ქართული,
დღესაც რომ არ ვისვენებთ, შრომაში ვართ ჩართული.
უშო უვლის ქარხანას, ანზორი ვაზს ახარებს,
ამირანი ლოცვებით საყვარელ ძმებს ახარებს.
რთველის შემდეგ მოგვიწევს წიგნის პრეზენტაცია,
მეგობრები გვეწვევა ქალია, თუ კაცია.
ტაძარი და დარბაზი კასპში გასახსნელია,
უგვირგვინო ცოლ-ქმრობა უშანგისთვის ძნელია.
ჯვარი უნდა დავწეროთ ამაღლების ტაძარში,
ქეიფი არ აგვცდება სიცხეში თუ ავდარში.
ასე უნდა გავწიოთ მეგობრობის ჭაპანი,
რეალობად ვაქციოთ ამ ცხოვრების ზღაპარი.
ძმებო აქაც და იქაც, ერთად შევთხოვოთ უფალს.
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ჯილაგს, მოგვასწროს თავისუფალს.

დროებითი რომანტიკა

ჩემს აივანზე დილის ნიავი მესალმუნება,
მორცხვი ალერსით ცდილობს როგორმე მასიამოვნოს.
ზღვიდან აკრიფა იოდიანი სუფთა ჟანგბადი,
შემომაგრილა და ეს ჰაერი ძალიან მომწონს.
როგორ სიმშვიდის მომგვრელია აქ ყოველივე,
ძალიან მინდა ეს მყუდროება არ დავარღვიო.
ეხლა ჩვენი ზღვა კამკამაა წყნარი და მშვიდი,
ნეტავ ქვეყანაც დავამშვიდოთ, არ ავამღვიროთ.
მაგრამ ვინ გაცდის, დროებითია ეს რომანტიკა.
მალე მეჩეთში აგუგუნდება არაბთა ლოცვა,
„ღამენათევი მასაჟისტები“ გახსნიან ბორდელს.
თურქებს სავაჭრო ცენტრებში ხომ არა აქვთ მოცლა.
დაემსგავსება ჩემი ბათუმი სტამბულის ბაზარს,
პირახვეული არაბები გუნდ-გუნდად დადის.
მკაცრად იცავენ თავიანთ წესებს, თავიანთ ადათს.
ზღვაზე არიან მაგრამ ზღვაში არავინ ჩადის.
ქობულეთი ხომ „მიაგირავეს“ ჩვენ მოძმე სომხებს,
მათი ბიზნესი განთქმულია მთელ მსოფლიოში.
ქობულეთლებმა მიაშურეს მეზობელ სოფლებს,
„ყაიმაღები“ გადაცვალეს პარკ ლობიოში.
ისევ მიბერავს დამორცხვებული, შერყვნილი სიო,
უკვე თურქული ყავის სურნელით გაჯერებული.
ყველა ფუსფუსებს, ჩვენ კი შევყურებთ ამ ორომტრიალს,
მხოლოდ ქართველი, ქართველები ვართ გაშტერებული.

დილა ზაფხულში

ვარვარა მზე შემოსკუპდა
ნაძვის წვერზე,
ჩარჩოობა გაუწია ფანჯარამ.
საოცრება იყო დილის პეიზაჟი,
სიურპრიზი მომიმზადა აჭარამ.

სიხარულის განცდა მქონდა მცირედი,
შავი ნისლი შემოიჭრა სურათში.
წაიშალა ჩახჩახა მზე ოქროსფერი,
მეც ჩავეშვი წარსულ ფიქრთა ბურანში.

სად ხართ ძმებო, რად დატოვეთ აჭარა,
თქვენ ბათუმი ჩემზე მეტად გიყვარდათ.
მოგვეშველეთ, დაგვიფაროს უფალმა,
მტერი ლამის სახლში შემოგვივარდა.

თემურ გოგსაძე

მოვაკანი
(ბალადა)

წმინდა მეფე – დემეტრე თავდადებულს

მტკვრის და ალაზნის შესართავს -
არს ციხე – მოვაკანისა!..
ძველთა იბერთა საზღვარს კრავს,
გზა-გასაყართან, რანისა!..
ადგილი ჯვარცმა-აღდგომის,
გაუგონარის რწმენისა!..
იბერთ ღირსების საზომი
და უძლეველი ნებისა!..
მოკვდინება და ცხოვნება -
წმინდა, დემეტრე მეფისა!..
სამრეკლო და შეგონება,
სამშობლოს შემეცნებისა!..

* * *

ქრისტედან დრო მეცამეტე
იყო სიავით ვნებული!..
ერს, არ უნახავს, ცა, მეტი,
ღვთის სხივით გაბრწყინებული?!
მონღოლთა ურიცხვ მტრისაგან,
დაეცა ძველი დიდება!..
სამშობლოც, ცოდვილ, შვილთაგან,
მრავალჯერ გაიყიდება!..
მაინც, ისმინა ვედრება,
ღმერთმა ზენაარს – ერისა!..
და იქმნა, დიდი შეკრება -
სრულად, ქართველთა გენისა!..
აფხაზეთს, ტაოს და განას,
ნაღარა დასცეს – ეგრისსა!..
სისხლისგან დაცლილ ქვეყანას
მეფის კურთხევა ეღირსა!..
მოვიდნენ სპანი – იმერთა,
ქართლ-კახეთ, ჰერეთ და სვანთა!..
მხედრობაც შემოუერთდა -
ფშავ-ხევსურთ, მთიელთ და დვალთა!
ჯავახებმა და ჭან-მესხთა
სამშობლო უფალს ავედრეს!..
აკურთხეს ასე ღვთით, ერთად
მეფედ, ყმაწვილი, დემეტრე!..
მემკვიდრეობა – მანტიით,
დიდებით წარმოაჩინა!..
უზადო დიპლომატიით,
ქვეყანა გადაარჩინა!..
აღადგენ-აღაშენებდა
ციხე – ტაძრებს და ქვაბულებს!..
სიქველის მზეც, ამშვენებდა –
წყალობდა, მეფე – ბედკრულებს!
ზეცას მოსწყვიტა – აკორდი,
წყვდიადის გამაპობელი,
ვაზის და სამყაროს კოდის,
უკვდავი საგალობელი!..

* * *

ჯერ არ ყოფილა, დამპყრობელს,
ებოძოს თვისუფლება!..
ამიტომ, მეფე, მტერთა-მძლეს,
გეგმავდა დიდ შეთქმულებას!..
არასდროს არ შეიცვლება,
იუდას გზა – სადუნამდე?!
ქართველთ განზრახვა და ნება,
მივიდა, ურდოს ყურამდე!..
აზვირთდა ცოდვის მდინარე,
ნაზიარები კაენთან!..
ბევრი ჩახოცეს, მძინარე,
დემეტრეს უხმეს ყაენთან!..
დამწუხრდა დარბაზისერი,
ცრემლები ღვარეს დედათა!..
მეფეს არ დათმობს თვის – ერი,
მცველად, მთები გვაქვს, ბედათა!..
„შენ ერთიღა ხარ, ხვალისა,

იმედი მანათობელი!..
სამსჯავრო, დივან – ხანისა,
იქნება დაუნდობელი!..“
წამოიმართა დემეტრე,
სიმტკიცით განათებული!..
სიტყვას შემატა სიმკვეთრე,
დარჩა სპა – გაოგნებული!..
„სამსჯავრო – საქართველოა!..
არა, კანონი, მონღოლთა!..
მეფის და კაცის ლელოა -
ჩემი, ჯვარი და გოლგოთა!..
ვერ გავიმეტებ, მამულსა
საჯიჯგნად მონღოლთ ჯარისა,
ვერ წარვწყმედ, ხორცსა და სულსა
ღვთის სამფლობელო – მხარისას!..
ჩემი სამშობლოს ვალადა,
ვიყავ, მტრის ომის მმართველიც,
ეგვიპტეს დარჩა, ბალადა –
სამასი, გმირი, ქართველის!..
უგნურმა, ცოდვებიც ვთესე,
ამა სოფლისა ყანასა!..
ხმლის ნაცვლად, სული ავლესე,
ვერ მივცემ მას სატანასა!
და რახან უკვე მეღირსა,
სიკვდილით ძლევა – მტერისა,
სიცოცხლე – ყრმის თუ ბერისა,
კუთვნილებაა ერისა!..
განვმზადებულვარ და ვიცი,
რაც ყაენისგან მელისა!..
საუკუნოდ ვარ, ნაფიცი,
მაღალი ღმერთის, რწმენისა!..“

* * *

ბევრს ყოყმანობდა ყაენი,
მერე კი – რისხვამ გაკვეთა!..
გასცეს დემეტრე მოენით
და ბრძანა თავის მოკვეთა!..
არ შედრკა, მირონცხებული,
მეფე, ღირსებით მოსილი!..
დარჩა ჯალათთა კრებული,
სისხლით და ცოდვით მოსვრილი!..

* * *

ამბობენ, თავად განგება,
ირჩევს – დროსა და ადგილსა...
სად შეიძლება მიღება
ჭეშმარიტ, ღვთიურ მადლისა!..

„სამყაროს სხივთა, ენერგო-კვეთა,
ხდებოდა სწორედ, მოვაკანს, მაშინ!..
რა ჟამს აღსრულდა, თავის მოკვეთა,
უფალმა მეფე, გაიხმო ცაში!..
ურწმუნო კაცნი,ხშირად ვერ ვხვდებით -
გაქრა მზის სხივი, დადგა უკუნი!..
და იქმნა, ასე, ხელშესახები,
ჯვარცმა – აღდგომა, იმ, საუკუნის!..“

* * *

განგებამ გაითავისა
გმირობა ათასწლეულის!..
ურდო, აღსასრულს თავისას
წერდა – სიკვდილით, ძლეული!..
უძღოდა მეხრე ურემსა,
მცხეთამდე ჰქონდა გზა – რთული!..
მეფის სხეულსა, ნაგვემსა,
უმღერდა, ტკბილი ქართულით!..
მტკვრის და არაგვის შესართავს,
მირონმდინარე მცხეთასა -
კრძალვით დაფლავენ, წმინდა თავს
და წმინდა მეფის ცხედარსა!..

* * *

სამყაროს არსით ტრიალი,
როცა ამ ჟამთან, მოატანს –
სვეტიცხოვლიდან – ციალი
გადიტყორცნება მოვაკანს!..
ეს არის, გზა, დიდებული!..
სხვა, რა მოძღვრება გვჭირდება?!
ერისთვის თავდადებული,
მარადიულად ბრწყინდება!..

თ.გ.
1289 წლის 12მარტი
1989 წლის 12 მარტი
700წელი აღსრულებიდან!..

ედუარდ უგულავა

მე და შენ

მე მიყვარს შენი დაღლილი სახე,
შენი ცრემლებით სავსე ცხოვრება.
გეჩვევი, მაგრამ ვერასდროს გახებ
თითებზე თითებს აუთრთოლებლად.
შენ კარგად იცი, თავსაც ვერ ვუვლი,
დაბადებიდან ვებრძვი იმ ხილვებს,
ბავშვობისას რომ მატკინეს სული,
რომ შეამჩნიე და შემიხვიე...
თავად კი, ალბათ,
ვერასდროს გშველი,
ვერაფრით გწამლობ
ჩემში შემოშლილს
(მე რომ თვალები მეხილა შენი,
უნდა მეცხოვრა საქართველოში).
როგორ გაჩვევდი სიცივით დაღლას,
მაგრამ მიყვარდი, თუნდაც იმიტომ,
არ შეუშინდი სულიერ წარღვნას
და მომიტანე ზეთისხილის რტო.
მე კი გადავწვი მხურვალე ეჭვით,
ეს ჩემი სული – ცხელი საჰარა,
მაგრამ სხეულის ყოველი კენჭი
შენს წრფელ სიყვარულს ეტაჯმაჰალა!

ყივჩაღი

მუხრანის საზღვარს გადადის გზა, დამქანცავად შორი.
წყაროსთან შედგა, ცხენიდან ფრთხილად ჩამოსვა ცოლი.
ჯერ მოსასხამზე შეუხსნა მკვრივად შეკრული თასმა,
„მერე წყაროსთან დასვა და წყალი პეშვებით ასვა“.
ხეობა ქსნის და არაგვის მდიდრულ სიმშვიდით სუნთქავს,
ცა ლურჯია და მაღალი, ბავშვის სულივით სუფთა.
უეცრად კაცი გამოჩნდა, ბილიკს გადმოჰყვა ვიწროს,
კი, ყივჩაღია, ქართველი ყივჩაღს მაშინვე იცნობს...
ველური ხილის სურნელი აქვს ღვინობისთვის ნიავს,
ქალი წამოდგა, ნაწნავი მხარს უკან გაიქნია.
უყვარს ქართველ კაცს სტუმარი, უცხოს სუფრასთან იწვევს
და რაღაც, მაინც ვერ არის, რომ უნდა იყოს, ისე...
ხეზე ყორნები სხდებიან, ან ქვესკნელისფერ წყვილებს,
რა გეშ-გუმანი აწვალებთ, შავ გულმკერდდანერწყვილებს.
დაჯდა ყივჩაღი, გახედა აწრიალებულ ლაფშას,
პური გაღეჭა, ეშვებით ხორცი ძვლიანად დაფშვნა.
არც სუფრის წესი ანაღვლებს, არც რამე სიტყვის პოვნა,
არც სამშობლოსას ამბობს და არც წინაპრების ხსოვნას.
ღვინოს ხვრეპს, წვერზე ჩამოსდის, განა რამ სურვილს ითმენს,
ზოგჯერ ქალს უცქერს, ტყაპუჭზე იწმენდს გაქონილ თითებს.
მასპინძლის მზერას წამიერს დამჯახებ მზერით ზაფრავს...
კაცი კი არა _ ლომია, ტორით ისწორებს ფაფარს.
თვალებამღვრეულს სიშმაგე კისრის ძარღვივით უთრთის.
დააძღა... ყელში ამოსდის სისხლი და ხორცი უფლის...
უცებ ქალს გადაეძალა, ქმრის ერთგულსა და მორჩილს.
თმით იჭერს, ცალყბად იცინის, გულისამრევად ლოშნის.
ქმარი ავდება, ავდრდება, და მტერს ჭკუიდან შემშლელს,
არ ინდობს, ხმლიან ხელს უჭერს, შუბლით ულეწავს ეშვებს.
მძიმედ ბარბაცებს ყივჩაღი, სხეულს ვერ იჭერს მოქნილს,
იქნებ ხმლის ქშენაც ჩაესმა, ცალ მუხლზე წამოჩოქილს.
ქალი კანკალებს, ხელებში ალეწილ სახეს მალავს,
ეს ტვინი ჩამოექონა გაპობილ თავის ქალას.
.....
მთებს ბალანს უშლის, ყივჩაღო, შენი ყმუილის ექო,
ქუსლებქვეშ მიწა გაგექცა, ცა თავზე ჩამოგემხო.
ვერც შენ შეირგე პატივი, თუმცა, მომხდარა როდის?!.
რაღა შენ დააფასებდი მადლს სტუმარმასპინძლობის.
შენივე სისხლში იხრჩობი, ვით არ შეზარავ მნახველს.
ხრიალებ, თურქულენოვან სასიდან სიკვდილს ანთხევ.
მიდიხარ, მიგაქვს ჭრილობა, სული შავ ლანდებს ებრძვის.
იქ _ შენი დამხვედრისაც... და აქ _ შენი დამტირებლის!

სარკმელთან

სარკმელთან ქარი იცინის ცივად,
მზემ ოთახიდან შუქი გაზიდა.
სულისშემძვრელი სიმშვიდე ცვივა
ხეების დახრილ სილამაზიდან.

შენ ისევ ჩემი მზერისგან შეცბი,
იფარებ ხელებს შიშველ მუხლებზე,
ზიხარ სარკმელთან და თმიდან ვერცხლი
გეყრება მხრების სიმსუბუქეზე.

რა უცნაურმა შეგიპყრო სუსხმა,
ახლა რომ ყინვით გივსებს იარებს...
შენს ფერმკრთალ ყვავილს წყალს არვინ უსხამს
და სულს არავინ არ გინიავებს...

აწვალებ ბეჭედს, უცნაურთვლიანს
და ელოდები სასჯელს უვადოს...
შენი ნერვების შეუწყვეტ შრიალს,
კვლავ სხვებმა უნდა მიაყურადონ...

როგორ დაღლილხარ ტკივილის თმენით,
როგორ გემღვრევა თვალის გუგები...
ჩუმად ხარ, მაგრამ სხეულის ენით
მაინც გულღიად მესაუბრები:

რომ ახლა ბედსაც შესაწირს სწირავ, _
მაგრამ ეს მსხვერპლი არის საჭირო?!.
იქნებ შევძლოთ და სიკვდილის პირას
მყოფი იმედი გადავარჩინოთ...

ღამდება. ქარი ფრთას ახლის მინას...
ისევ ღრმავდება სულში სამსჭვალი
და ბნელში ცრემლის ის წვეთი ბრწყინავს,
რომლის დამალვაც ვერ მოასწარი.

თითქოს ვიღაც დგას მიხურულ კართან
და ეღვენთება ხელში სანთელი...
მე კი მიყვარხარ და ამის გარდა
სხვა არაფერი დამრჩა სათქმელი!..

ეჭვი

გზა ჩაეშალა იმ ჭორში,
დარდს რომ წამოშლის გუნდად
და ეჭვი, გულის ღრიჭოში
გველივით შეუცურდა.
  წამსვე ღიმილი, ალალი,
ექცა იმ უცნობ შიშად,
რაც ხელოვნური არ არი,
რაც თავისთავად იშვა.
  თმა ჩაიშალა მაშინვე,
ფრჩხილით ჩაიხსნა ლოყა,
სული მიაწვა სამშვინველს,
სხეული დაეხორკლა.
  ძაფი გაუწყდა თმენისა,
იმედს სულივით ლევდა,
მკერდამდე ამოენისლა
წებონარევი სევდა.
  ისე გათენდა ის დილა,
სულს ვერ უპოვა გრილო.
ქარივით გადაირბინა
მინდვრები უგვირილო.
  რწევა ჩაესმა აკვნისა,
მთვარის მოირგო ფატა.
არც ვინმე მოისაკლისა,
არც ვინმე მოინატრა.
  ვერ იმეგობრა სიტყვებთან,
ერთიც ვერ დაძრა სიტყვა,
ზურგსუკან ეჭვი მიჰყეფდა,
ეჭვი ფეხდაფეხ მიჰყვა;
  და აუტანელ ტკივილად,
ექცა სიცოცხლე ოდეს,
აყვირდა, როგორც ყვირილა,
თავი ახალა ლოდებს.
  პირქვე ჩაემხო დაღლილი,
მთვარის შუქივით მკრთალი.
ეჭვი მიუწვა ძაღლივით,
ღეჭა ხორცი და ძვალი.

„ტიტე... ძამიკო“...

ემღვრევა თვალებს სიმშვიდე ლილის,
უახლოვდები აშლილ სარეცელს,
სადაც ჯერ შენი მღელვარე ჩრდილი,
მერე სხეული უნდა დაეცეს.
მაგრამ დროება იმდენად გზარავს,
რა გარდასახვა აიტანს ამდენს
და ფილტვებიდან შენი ხმის ძალას,
ვიდრე სისხლივით ამოიტანდე,
მკერდს მცხუნვარება ედება ჭინჭრის,
შორეულ წარსულს წიგნად გადაშლი
და ხედავ, ორი პატარა ბიჭი,
სიცილით დარბის „მეფის ჭალაში“.
იყო დრო, ფანჯრებს კოცნიდით მზიანს
და უცნაურად თრთოდნენ გულები,
როცა იყოფდით სიხარულს ზიარს,
ერთი საბნის ქვეშ შეყუჟულები...
ახლა კი მკლავებს უმწეოდ გაშლი,
გზა მოვარდისფრო სულაც არ იყო...
მწარე სიცივე დაგივლის ტანში
და ატირდები _ “ტიტე... ძამიკო“!..
გაუგონარი ტკივილი გახლავს,
სიზმარშიც ხედავ, უკვე წლებია,
როგორ ეხები მის უცნობ საფლავს,
რომელიც, ალბათ, არც ღირსებია.
გადახდილია სამშობლოს ვალი,
ეს განცდა გრძნობებს უფრო ანაზებს...
შენ კარგად იცი, ვის უძღვის ბრალი, _
„ის ყაჩაღებმა მოკლეს არაგვზე“...

შეხვედრა

მე ისე მხიბლავს შეხვედრა შენთან,
ყოველ წამს ისე მძაფრად განვიცდი,
არა მგონია, სახელი ერქვას
ამ გრძნობას რამე შესაბამისი;
სხვამ თუ არავინ, ორივემ ვიცით,
შენით ჩქარდება დღემდე ეს გული.
შენა ხარ შვება, ვით თბილი სისხლი,
ვენიდან ახლად გამოშვებული.
როდესაც ღამე ღვინდება თეთრად,
შენ, შესამჩნევად ღიმილნაკლულო,
ყოველთვის ბედავ, მოხვიდე ჩემთან
და კარზე ფრთხილად დააკაკუნო.
მოხვალ და თითქმის არაფერს იტყვი,
ნაჩვევი წვიმებს გადაუღებელს...
ასე თუ ფრთხება უმწეო ჩიტი,
როცა გალიის კარებს უღებენ.
თუმცა, იმ მზერას არასდროს იშლი,
ტანს რომ მიხორკლავს ვნების ეკლებად.
როგორც კუბოზე ხმაური ქვიშის,
შენი თმა მკერდზე ისე მეყრება.
მაგრამ ღიმილით ტკივილებს მპარავ,
იმ სიჯიუტით, როგორც შენ გინდა,
თითქოს ნელ ცეცხლზე ახურებ დანას
და მაცლი ტყვიებს ჭრილობებიდან.
მე მაინც უნდა დაგტოვო ხვალ-ზეგ,
მერე შენ გაწმენდ საფლავს თოვლიანს
და ეწერება გაბზარულ ქვაზე _
იცოცხლა, მაგრამ არ უცხოვრია!

ალაზნის ველი

ამომიჯდება გული ბავშვივით,
ახლა სიცოცხლე მიყვარს ძალიან,
რადგან იქ ვდგავარ, ხელებგაშლილი,
სადაც მზეა და ალაზანია.

მიდის და მიაქვს დრონი, რა დრონი,
მწიფე ველებში მბზინავ დინებას.
ჰაი, დედასა... ამის პატრონი,
უცხო ნატვრებს რომ ეკვლევინება.

მზემ გადაუხსნა მყინვარს საკინძე,
ნისლის გედები ფრენენ გუნდებად.
უცქირე, თუკი გული გაგიძლებს,
თუ მუხლში ძალა შენარჩუნდება.

სულში წარსული ჩამდის ცრემლებად
და მკერდს მაწვება ლომის ტორებით _
ეს მშობლიური საკვირველება,
თხემით ტერფამდე გასაჟრჟოლები.

მზერას არწივულს რას არ შეახებ:
აგერ _ ბაღები, აგერ _ ტყე-ველი.
აქ სხვა ძალა აქვს გაშლილ ვენახებს,
გულიდან დარდის ამომრთმეველი.

შეხედე ამ ვაზს, ძლიერფესვებას,
მადლი ჩამოსდის მტევნებს დახეთქილს,
ამ ღვინის წვეთიც არ შეესმება,
ვისაც მოკეთედ არ თვლის კახეთი.

***

სიცოცხლეს უქმად რა გააჩერებს,
ჯერ ალაგ-ალაგ ამოვა იად,
ამოაღრმავებს თოვლის ნარჩენებს,
ირგვლივ რომ დახრულ ძვლებივით ყრია.
მერე იმედი მოვა კვირტებად
და ამ ნაზამთრალ დღეების დამლევს,
ხელები ხელებს ჩაეჭიდება,
თვალები ძებნას დაუწყებს თვალებს.
ცოტა კიდევ და მზე, სათაყვანო,
ჩაათბობს სისხლში უცნაურ ჟრჟოლას
და გამოთვრება მთელი სამყარო,
როცა კვირტიდან რძე გამოჟონავს.

მზე

მზემ უძილობას მოუსწრო სულზე,
მოუღო ბოლო ბნელით წვალებას;
თითქმის მოხუჭულ თვალებით ვუმზერ,
იმედით სავსე მის ბრწყინვალებას.
სიცოცხლის ნიჭით აავსოს კაცი,
აქვს ამის ძალა შუქის მთოვარეს,
მაგრამ, რატომღაც, როგორც კი მსგავსი
რამე ღვთიური აღმაფრთოვანებს,
წამსვე იღვიძებს ხსოვნაში ჯვარცმა,
ვეღარ ვიშორებ ცოდვას უშორესს...

რაც უნდა სუფთად იცხოვროს კაცმა,
მზეს თვალებს მაინც ვერ გაუსწორებს!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

სული ქართველთა

რაც ჭირთათმენა, განსაცდელი გამოიარა,
იყო დიდება – სახელოვან გმირთა – ქართველთა,
დრომ, ქარტეხილმა, რაც სიმდიდრე შემოგვინახა,
შევახე ხელი – დავიჩოქე ყველა ნანგრევთან.

დიდება ქართველს – დამარცხებას ვინც არ დანებდა,
ვინც ლოცულობდა, ცივ ლოდებზე ღამეს ათევდა,
სამართლიანი გამარჯვება ღმერთს შეავედრა, -
იყო ხელმწიფე, დედოფალი ღირსი ქართველთა.

ვინც ფსალმუნები გადმოწერა, გადმოათეთრა,
ევნო, ეწამა, – სამშობლოსთვის ვინც ჩაიფერფლა;
ვინაც ქართული ანბანთქება ამოამღერა,
იყო დიადი და პატივი არ შეიფერა.

მიმოდიოდა ხმელად, ველად, ზღვად – ფეხშიშველა,
წმინდა გრძნობები – სიყვარულით ღმერთს შეაფერა;
ქვეყნიერებას განსაცდელში სული ჩაჰბერა,
წაიღო ტაოს – უდაბნოში ცას შეაკედლა.

სამშობლოსათვის თავდადება ვინც დაისახა,
უხმო წმინდანებს და პირჯვარი გარდაისახა;
ვინც გასაჭირში ძმად გვიგულა და გაისარჯა,
გააპო გული საქართველო შიგ ჩაისახლა.

ვინც საფუძველი განამტკიცა და აღაშენა,
ყარიბობაში წმინდა ძვლები ვინც შეასვენა,
განძთა ქვეყანას ხელი ახლო და მოეფერა,
ვინც მტერი იცნო – მოღალატე და შეაჩვენა.

ჟამი რეკავს და აზანზარებს ცოცხლებსაც, მკვდრებსაც,
უნდა ახსოვდეს ყველა დროში ერსაც და ბერსაც,
მათი დიდება დააკნინოს – არ უშვებს ზენა,
სისხლით ნაწერი სტრიქონები არასდროს ქრება.

თემურ გოგსაძეს

„სიყვარულის მარადისობის გამო“

უზადო მცველი ხარ სიტყვის და უფლების,
რითმები, ფერები აჟღერე ციური,
მრავალი სიცოცხლეც რომ გქონდეს, ვრწმუნდები,
მოხვალ და მრავალგზის სიყვარულს მიუძღვნი.

მაცდური ცხოვრების არ ელტვი სიამეს,
გუნდრუკებს არ უკმევ ამ ქვეყნის სიგიჟეს,
ლურჯი ოცნებებით აღვიძებ სიცხადეს,
სხვა აზრში, სხვა არსში დაეძებ სიმშვიდეს...

მუზებით გადიხარ სამყაროს კარიბჭეს,
უმღერი სხვა დროის, სხვა სივრცის ლაჟვარდებს,
პატივს და დიდებას – დიდ გრძნობებს ანიჭებ,
სიკეთეს, სიქველეს, – სიყვარულს ამრავლებ.

სამყაროს შეეხე ფაქიზი სიმებით,
დიდ მარადისობას ერწყმი და მიჰყვები,
ამბობ აღსარებას – გულწრფელი სიტყვებით
და ცხოვრობ კაცურად, სიბრძნით და ღირსებით.

ვალი მაქვს...

ბოროტი ზრახვებით იპყრობენ ცის თაღებს,
დამუქდა სამყარო, გამრუდდა სიმართლე,
ეს ბუნდოვანება ნათელ გონს მიბრმავებს,-
გამეფდა ბილწება, სიგიჟე, სიბრაზე...

ძნელია ხატება უფლისა – სიტყვისა,
ამ გაუგონრობას მორჩილად იტანდე,
დრო, ვატყობ, არ ითმენს, და თუ არ იცისკრა,
მოთმენით, სიჩლუნგით ვერაფერს მივაღწევთ.

როცა მზე ადიდდა, მაკურთხეს მიწად მე
და დამაქვს სიმძიმე მიწიდან – მიწამდე,
მწამს, რწმენით გავაქრობ ბუნდოვან მირაჟებს,
ვალი მაქვს, ვაუწყო ცის სულებს სიმართლე...

გუშინ მზე ავზიდე ბეჭებით მწვერვალზე,
დილამდე ვანთებდი ცის გულზე ჩირაღდნებს,
გავფანტე სიბნელე – დავფერფლე მზის ალზე,-
ქვეყანას ვაკმიე – სიცხადე, – სინათლე...

შოვში დაღუპულთა ხსოვნას

დუმს საქართველო – ჩამუხლულა,
გუგუნებს მთები...
რა დავაშავეთ, გავიწირეთ,
სად არის ღმერთი?..
რა სისასტიკით – დაუნდობლად
დაგვსეტყვა ზეცამ,
ამდენმა ელდა-მწუხარებამ
დაბინდა მზერა...
ყველა ხმა შეწყდა – გადაფარა
მოთქმა -გოდებამ,
ყომრალ ღრუბლებში გამეფანტა
აზრი – გონება,-
რად მომივლინე, ზეციურო,
წარღვნის ნიშნები,
რატომ დამარხე მთის ზვავებში
ჩემი შვილები...
ამ განსაცდელში – ზმანებებში, -
აღელდა ზენაც
და სახიერის ჩაგონება – ხმა მოსწვდა სმენას:
ქართველი ხალხი ვმოსე მადლით -
ავავსე რწმენით,-
თქვენ სისხლიერზე უმოწყალოდ
აღმართეთ ხელი...
ახლა? არწყულებთ ბოროტებას
ჩემ კუთვნილ ზეცას,
სულის სამზირლად არ იყენებთ
ზენაარს – რწმენას,
სიკეთე გინდათ? პირუთვნელად
დადექით ერთად,
დარდი – ტკივილი შეაერთეთ, –
დაგინდობთ ზენა...
აცისკროვნებდა შეწირულებს
გონება ნათლის,
ეს, მე მივიღე უცოდველნი
ზვარაკის სახით,
განსაცდელისას განწირულებს
მე ვუდექ მხარში,
უმანკო ცხვარნი წამოვასხი
ჩემს კუთვნილ სახლში...

იზა ჭიკაიძე

განთიადი

ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...
წამომდგომია მზე,
დედაჩემის თვალით რომ მზერს,
მლოცავს და მანიშნებს, – ადექიო,
ციდან წვიმს სიხარულის ნატეხიო...
პეტრეს სინანულს და მეზვერის ღაღადს,
მეძავის ცრემლს მზე თვალებს სწმენდს...
ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...

შიშს დიდი თვალები აქვს

შიშს დიდი თვალები აქვსო, – ამბობს ხალხი...
თავისუფალი ნების განგაშში შიში მიძალავს გონების თვალებს
და ვერ დავმალე მორალური თავისუფლება და უფლის ნება,
ვერც გადავხლართე ამაღლებული ემოციის დიდი ნაწილი
და გავნაწილდი უარყოფის უსხეულო უარყოფაში...
ახლაც არაფრის წინაშე ვდგავარ და იმ არაფრის შიში მძალავს,
რომ ზუსტად იმ მაჯლაჯუნა არაფერმა ფანჯრიდან გადახტომა
არ მიბრძანოს, ან არ ჩამაცვას ჯამბაზების შესამოსელი...
და მაინც მიკვირს: რად ეშინია ყველას სრული ჭეშმარიტების?!
მე კი, უმწეო, არაფრის შიშს თუ ღირსეულად ვერ მოვერევი,
საკვირველი სულაც არ არის, მაგრამ რადგანაც უიღბლო მქვია,
მოდით, თვალები ამიკარით ხერთვისელის ლურჯა ცხენივით
და გადამჩეხეთ კლდის პირიდან ხევის გულამდე,
თავისუფლების ლტოლვისათვის რომ არ დამრჩეს ტვინში ადგილი,
თორემ, აჰა, და, სადაც არის, კვლავ უარვყოფ თითქმის ყველაფერს
რომ ტკივილებში მოვიძიო სულის სიმშვიდე
და ამ სიმშვიდეს თუ დამირღვევს მხოლოდ სიგიჟე...
არაფრის შიშზე აღარ დავძალავ გონების თვალებს,
არც მორალური თავისუფლების და უფლის ნების
დავკარგავ ძალებს და... ამასობაში, კიდეც გათენდება!..

არარაობად არ გადავიქცეთ

არარაობა ეძებს რაობას,
უსასრულობა ებრძვის ნაპირებს,
ზეცა და მიწა, სივრცის კედლებში
სანეტარო დროს გაინაპირებს,
თორემ ბნელსა და რთულ სამყაროში
ავ-კარგებს ვეღარ ვარჩევ ყვავილებს,
მე ის მაშინებს, კარგახანია,
რომ არაფერი აღარ მაშინებს!..
და ის მადარდებს, ბოლოხანია,
რომ არაფერი აღარ მადარდებს...
არარაობის ტკივილით ვწუხვარ,
მინდვრად ვაგროვებ გამხმარ თავთუხებს,
ლექსებიც რომ არ გახდეს სულერთი,
წლებდამძიმებულს ეგეც მაწუხებს...
შიშველი მეფით... შიშველი გლეხით
დრო გვაიძულებს, დროზე გავიქცეთ,
რომ სინათლის და რაობის ფიქრით
არარაობად არ გადავიქცეთ!..

ბედნიერება შენშია

კეთილ წიაღსა და ტკბილ სიზმრებში
დაბადებულო ადამიანო,
სადაც არ უნდა ყოფილიყავი,
რა გზაც არ უნდა გამოიარო,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მუდამ ჩვენშია!
ცდა – განცდაშია, ხსნა ახსნაში დევს,
ბრძოლა – მებრძოლში,
შველა – მშველელში,
რთული – მარტივად წარმოდგენაში...
ლურჯი–სიშავის ლამაზ ფერია,
დარდი იმედით დასამღერია...
ცხოვრების წესი მაინც ერთია:
ბედნიერება მხოლოდ შენშია!

ნორა მგელაძე

სადღეგრძელო

დავლოცოთ საქართველო, არწივთა სამშობლო,
გულგმირთა საუფლო დავლოცოთ მოყვასო,
ათასი მგლის ლეკვის გამზრდელი სამჭედლო,
ქართველი დავლოცოთ, უფლისგან რომ არსო!
დედები დავლოცოთ, გმირების აღმზრდელნი,
თვითონაც სამშობლოს რომ თავს ანაცვალებს,
მამები დავლოცოთ გმირი რაინდები
და მათ მაგალითზე შვილები აღვზარდოთ.
დავლოცოთ მამულის ლამაზი მთა-ბარი,
თუმც ეპოტინება ათასი მზაკვარი.
უფლისა ჩვენ გვქონდეს რწმენა, ვცეთ თაყვანი,
არასდროს გაგვწირავს, აღგვადგენს მარადის.
დავლოცოთ ყველანი, ვინც ქართულს ერთგულობს,
ვისთვისაც ეს მიწა გამხდარა მშობელი
ვინც ქართველს ღალატით არასდროს პასუხობს,
და მადლიერია ქართველთგან სიკეთის.
დავლოცოთ სუყველა, ვინც ჩემს საქართველოს,
გვერდში დაუდგეს, რომ ზიდოს ჭაპანი,
ოღონდაც ეს მიწა გადარჩეს დაფლეთვას,
მიზნისთვის თუნდ მოკვდეს, ამისთვის მზად არის.
დავლოცოთ თაობა, რომელიც გვეზრდება,
რომელთა გულები ძგერს სამშობლოსათვის,
მათი გამარჯვება უცილოდ იქნება,
ალგეთს ხომ გვეზრდება ''ლეკვები მგლისანი''!
თავისუფლებისთვის მებრძოლთა სამჭედლოს,
სამშობლოს დავლოცავ ათასჭირგადახდილს,
ვულოცავ ამ თარიღს, დიდების სიმბოლოს
ქართველებს დავულოცავ ოცდაექვს მაისს!!!

ჩემი ლამაზი სამშობლო

ჩემი სამშობლოს მთა-ველი
სხვადასხვა ფერით ნაქარგი,
თვალს რომ გჭრის, გულს აგიღელვებს,
''სხვა საქართველო სად არის''?
თვითონ ბუნებამ მოხატა,
ეს ტილო, თვით ოქსინოსი,
უფალმა გვარგუნა წილად
ედემი თვით სამოთხეში.
ღმერთო, გვიკურთხე სამშობლო,
შეგვარგე მისი ფერები,
მუდამ ახარე ქართველი
ამ ცის და მიწის ფერებით.

თუკი...

თუკი სულს მიჰყიდი ტარტაროზს,
თუკი ხელს აიღებ სინდისზე,
მერე ნუღარ იტყვი საყვედურს
ბედის უკუღმასვლით ტკივილზე.
თუკი უღალატებ შენს მოყვასს,
თუკი არ იდარდებ ამაზე,
მერე არ ჩაგთვლიან შენ სწორად
და ნუ გაბრაზდები სხვა კაცზე.
თუკი შენ არ გიყვარს მამული,
თუკი არ განაღვლებს სად ცხოვრობ,
შენთვის არამია ქართული--
ფეხს ვერ მოიკიდებ ვერასდროს.
თუკი მხოლოდ ფულზე ოცნებობ,
თუკი შენთვის ეს არს მთავარი,
მაშინ რაღად გინდა, ცოდვილო,
ქვეყნად არსებობა ნაძრახი.
თუკი რჯული სხვაზე გაცვალე,
თუკი დარდი არ გაქვს არაფრის,
თუკი ენას სხვას ანაცვალებ,
შენთვის ჭეშმარიტი რა არის?
თუკი სიყვარული შენ არ გაქვს,
უფლის, მამულისა და ენის,
მაშინ ნამდვილად რომ ფუჭია
გერქვას ჭეშმარიტი ქართველი.

გულის ფორიაქი

გარეთ თითქოს სიმშვიდეა,
შიგნით -სული ფორიაქობს,
გული ფიქრთა დიდი ტყეა,
ამას თითქმის ვერვინ ატყობს.
გარეთ ყველა კეთილია,
შიგნით ვიღაც ისევ ბრაზობს,
ქვეყნის ბოლოს--იდილია,
ქვეყნის შიგნით-– ეშმა ხარობს,
ცაზე ბევრი ვარსკვლავია,
შიგნით– ბევრიც არ კიაფობს,
ბოროტების ზეიმია,
სიკეთე კი ჩუმად ნაღვლობს.
დილა ისევ მზიანია,
ზოგჯერ ზეცა ღრუბლიანობს,
მთვარე ბნელის მკვეთელია,
უმისოდ უკუნი ძალობს...
გულბოროტი მზაკვარია,
სხვის ტკივილით იგი ლაღობს,
ალალი კი– მართალია,
სხვის სატკივარს მისად დარდობს.
სიძულვილი კაცთჭირია,
სიყვარული მუდამ აკრთობს,
სიბრძნე ვისთვის სიგიჟეა,
ხელი --ბრძნობით სულ თამაშობს.
ვითომ ქვეყნის მოკეთეა
და ღალატით, მხოლოდ, ცოცხლობს,
ჭეშმარიტი კი განზეა,
უსიტყვობით კვდება ბოლოს.
ეს სოფელი რა მრუდეა,
გვეჩვენება სწორად მხოლოდ,
ღმერთი არჩევს, იმედია,
სოფლის თავს და მისსა ბოლოს.
უსათუოდ დასჯადია
ცოდვა, თუ მას არა ვნანობთ,
ეს ცხოვრება არამია,
სიკეთისთვის თუ არ ვმადლობთ.
ცოდვას მივხვდეთ მთავარია ,
სანამ ღმერთი კიდევ გვინდობს,
სინდისი ჩვენი ფარია,
თუკი ისევ გამოვიხმობთ.
ჰოდა, ჩემო, სად რა ხდება,
რას გაიგებ, ვისთვის, როგორ,
აღვასრულოთ უფლის ნება,
სიყვარულით რომ ვიცხოვროთ.
დავივიწყოთ შური,მტრობა
მტერი რომ არ გავახაროთ,
გზა გავუხსნათ ისევ ძმობას,
თუ გვინდა რომ ვიდღეგრძელოთ.
გარეთ
თითქოს
სიმშვიდეა,
შიგნით
სული
ფორიაქობს

ისევ უშენოდ...

ისევ აინთო ლამპიონები,
ისევ მოვედი ჩვენს ძველ ადგილზე,
ეს შემოდგომაც შენს თავს მაგონებს,
მიკვირს, უშენოდ გული რით მიძლებს..
დამტოვე მარტო, რადგან აღარ ხარ,
ბურუსს შევერთვი, მიჭირს უშენოდ,
მე ფრთამოწყვეტილ პეპელას ვგავარ,
არ ძალუძს ფრენა ან რად ისურვოს...
ისევ აინთო ლამპიონები,
მის მკრთალ ნათებას თითქოს ვერცა ვგრძნობ,
შენკენ მოვილტვი, დაგეძებ ყველგან,
ყოველ დღე ისევ შენზე ვლოცულობ...

იზა შუბითიძე

* * *

მზის გულივით თბილი მოლი,
ყაყაჩოთა სისხლის ფრქვევა,
ჯეჯილებში ჩამალული
ლაღი შურთხის წამოფრენა.

ნამი – მიწის შვილობილი,
ნამში – ოქროს ცისარტყელა,
დილა – მზის სხივს მინდობილი,
ლერწამმა რომ ამეტყველა.

ქარი ტირიფს ნაწნავს ურხევს,
და ყაყაჩოს ღვინით თვრება,
ნაზამთრალ და ნამარხულევ
მძინარ ვარდებს თავს ევლება.

გვირილების ნაფეხურებს,
მზე რომ ადგას ოქროს გედად,
უფლის პეშვი დაარწყულებს
კვლავ სიცოცხლის გამგრძელებლად.

* * *

მახსოვს წვიმა და მაისის ზეცა,
ცაცხვის ხე – ჩვენი გრძნობების ქოლგა,
სხეულზე თეთრი ლაბადა მეცვა,
და სიყვარულის ქარიშხლად ჰქროდა.

დიდი ხანია ჩამდგარა ქარი,
შენი ღიმილი მახსოვს და მნუსხავს,
მე კი – პირველი ტრფობის მძევალი,
შენ გეძებდი და წავაწყდი სულ სხვას.

მახსოვს წვიმდა და მაისის ზეცას,
დააჩნდი მთვარის ვერცხლის გამებად,
ისევ მოთეთრო ლაბადა ეცვა
ჩემს უკანასკნელ შემოღამებას.

*

ვით შევადარო ქვეყნებს შორეულს,
ქვეყანა ჩემი, ათგზის ნაცემი,
ჩემი მამული ტყეს ჰგავს შერეულს,
აქა-იქ ფესვმძლავრ მუხა კაცებით.

ტყეები – ხოხბით მოგიზგიზენი,
საუფლისწულო, ხეთა – ტიტანთა,
გვქონდა დღეები მართლა ისეთი,
მხოლოდ ქართველი რომ აიტანდა.

ტევრი – ალგეთის ლეკვთა საღრენი,
გასადევარი შველთა, ირემთა,
ისევ ამაყი დგანან ბიჭები,
მსგავსი პაპების სულთა სიღრმეთა.

როცა წარსულის ხვატი მთხრის თვალებს,
და საკუთარ ჩრდილს ვეღარ ვერევი,
შერჩნენ მუხები მტერთა სიმრავლეს,
როგორც კრწანისთან არაგველები.

❣ ❣ ❣

იმ ღამეს ხილვა ჩვენ დაგვებედა,
მთვარე, მთები და სიო მთიური,
ის ღამე იყო, თუ ღმერთს შევბედავთ,
უფრო სათნო და უფრო ღვთიური.

გიყვარდი ისე, ვით პოეტს ძალუძს,
მიყვარდი ისე, ვით ქალღმერთს შვენის,
ჭადრის ფოთლები მღეროდნენ ,,რანუნს,,
ოცნება ჩვენი, ცეკვავდა შველი.

მე ვამბობ იყო, შენ კი არ დაობ,
რად შევრჩით მარტო იმ ერთ ღამეთი?!
სხვა ყველა ღამე ისე ჰგავს ქაოსს,
როგორც გიჟის და ბრძენის ნაერთი.

მიწით -სიცოცხლე, დაიძრა ია,
გულს არ ახარებს, აღარ უნდა რა,
თუ სიყვარული მხოლოდ წამია,
წლებს რაღად ვუკმევთ ფიცს და მუდარას.

* * *

დაცლილ ქალაქში თარეშობს ქარი,
მოაქვს სურნელი ჭირთა თმენისა,
ვით წარსულიდან ომახიანი
ამოძახილი წინაპრებისა:

მე ვიყავ ხურო, მე ვკაფე ტევრი,
მე ვიყავ, მკერდი რომ დამიშანთეს,
მიმტვრიეს კარი, მიგინეს ჯიში,
მაგრამ უფლის გზა ვერ მომიშალეს.

მე ვიყავ დედა, მე ვიყავ შვილი,
მე ვიყავ მიწა ქოხის ერდოზე,
და სიცოცხლის ხე, მტევნით შეკრული,
კვლავ იშრიალებს ქართულ მდელოზე.

დაცლილ ქალაქში თარეშობს ქარი,
და დაატარებს იმედს, ჟინიანს,
უფალი მარცვლებს საყანედ გვეძებს,
ადამიანო, ნუ გეშინია.

(მშობლებს)

**

ძილი მორევია წყლის პირს აკაციას,
წასულან წლები და ბევრ წყალსაც ჩაუვლია,
სიჩუმეს კვლავ არღვევს საათის ფეთქვა :
სიცოცხლე, მაინც დღესასწაულია.

სიზმრიდან გამოსვლა უჭირდა ღამეს,
ხსოვნა კი ჩურჩულით მომყვება კვალში,
ღიმილი შერჩენია სურათში სახეს,
ეს დედა იღიმის ცარიელ სახლში.

აქ რომ თონე იდგა, აბრიალებული,
ჩირით რომ სავსე იყო სხვენი და ერდო,
მგზავრსაც ცხელ შოთისპურს მიაწვდიდა,
ჩემი თმაჭაღარა ბებო.

დამჭკნარი ხელებით წინდებს დაგვიქსოვდა,
არავის დარჩებოდა ვალში,
ყველაზე ტკბილი იყო წითლად დაფერილი,
კალთიდან გამოწვდილი ვაშლი.

ცვარი რომ ეკვროდა მძივებად ბალახებს,
რიჟრაჟს დაასწრებდა მამა,
თვალს მოავლებდა მშობლიურ სანახებს,
სადაც ვცხოვრობდით და გვწამდა.

სამზეოს დაკლებიან და სულეთს გადასულან,
აღარც ყანაა და არც გზები დასაფარი,
დედის ღიმილიან სურათთან ფრიალებს,
ფერებარეული ბებოს თავსაფარი.

ძილი მორევია გზისპირს აკაციას,
წასულან წლები და ბევრ წყალსაც ჩაუვლია,
სიჩუმეს კვლავ არღვევს საათის ფეთქვა:
სიცოცხლე მაინც დღესასწაულია.

* * *

ნუ განსჯი და გაზომავ
გრძნობას, თუ გწამს ღმერთი,
დღიდან, ვით მზე ჰორიზონტს,
გული – შენს ცას ელტვის.

იყოს ასე თაკარა,
ყინვის სუსხს ვერ შევძლებ,
გულმა – ფუძით ამყარა,
სამოსახლოდ გეძებ.

ნუ, ნუ მიმიზ – მომიზომ,
გრძნობას ან ვინ ზომავს,
განა დეკა გაურბის
ხარ – ირემის ძოვას?

რაც რომ ლერწად ამჭერი
დღიდან, შენს გულს ვჩემობ,
ჩემო დიდო იმედო,
მევენახევ ჩემო.

* * *

მზის გულივით თბილი მოლი,
ყაყაჩოთა სისხლის ფრქვევა,
ჯეჯილებში ჩამალული
ლაღი შურთხის წამოფრენა.

ნამი – მიწის შვილობილი,
ნამში – ოქროს ცისარტყელა,
დილა – მზის სხივს მინდობილი,
ლერწამმა რომ ამეტყველა.

ქარი ტირიფს ნაწნავს ურხევს,
და ყაყაჩოს ღვინით თვრება,
ნაზამთრალ და ნამარხულევ
მძინარ ვარდებს თავს ევლება.

გვირილების ნაფეხურებს,
მზე რომ ადგას ოქროს გედად,
უფლის პეშვი დაარწყულებს
კვლავ სიცოცხლის გამგრძელებლად.

*

უწინდებურად ლაღი აღარ ვარ,
უწინ სხვაგვარად ჰქროდნენ ქარები,
წლებმა გულიდან სისხლი დაღვარა,
შემომაძარცვა რკინის ძალები.

მაშინ? ჰო, მაშინ, დედამიწაზე,
სხვაგვარად რეკდნენ ცისკრის ზარები,
შენ იყავ გული – სურვილით სავსე,
მე – ,,ძოწ-ლალ– ბაგე შემაზარები“.

მე ზღვა ვიყავი, სავსე პირთამდი,
ვიყავ მფლობელი უთვალავ განძის,
შენ – სიყვარულის ზღვაში მყვინთავი,
არად აგდებდი ჩემამდე მანძილს.

და ვიღვრებოდით ზეცის ფანჯრიდან,
იასამნისფერ ლამაზ ფიქრებად,
ვიბადებოდით მერე ახლიდან,
ლექსის უზადო მარგალიტებად.

ჩვენ მივდიოდით ცისფერ სილაზე
და გვირილების მიგვქონდა გზები...
მაშინ? ჰო, მაშინ დედამიწაზე,
რაღაც სხვაგვარად ღელავდნენ ზღვები.

* * *

წვიმით და ფიქრით დამძიმებული
ცას შეჰფენია ფარა ღრუბლების,
ნეტავ გენახათ თოთო ყვავილი
თქვენი დარგული ბროწეულების.
ფოთოლცვენამაც გადაიარა,
დატენილია თოვლით დამბაჩა,
აღარც ზამთარი არ მოუხდება
იმ ეზოს, სადაც ბავშვობა დამრჩა.
ფიქრი ხომ ჩემი ბედისწერაა,
შვებას არა მგვრის ძიება ახლის,
და არ მასვენებს მკაცრი ბრალდება,
მიტოვებული მშობლების სახლის.

*

სათქმელი ჯერ კიდევ დიდია,
სანამდე ცის კიდეს შევწვდებით,
საღამო დღეს უფრო მშვიდია,
ჩვენც მშვიდი ღიმილით შევხვდებით.
ნელ-ნელა, ფეხდაფეხ გავიგნებთ,
წყვეტილი ძაფივით შარაგზებს,
და მერე ერთ ბინას დავიდებთ,
ჩვენც შევუერთდებით ქარაფებს.
დილით რომ მზის გვირგვინს დამადგამ,
ღამით რომ ვარსკვლავებს მომიწყვეტ,
თმებში ლურჯ იებსაც ჩამაწნავ
და მერე ზამთარიც მოგვისწრებს...
ჩვენს ზამთარს თეთრი ზნე უხდება,
გაზაფხულს – საჩვენო აპრილი,
შენ – ჩვენი შვილების მამობა,
მე – თეთრი, სულ თეთრი მანდილი.
ერთურთის ტრფიალით დამთვრალი,
დავლეწავთ საწუთროს დარაბებს,
სათქმელი ჯერ კიდევ დიდია,
ეს ჩვენი ტრფობა რომ ალაღებს...

* * *

ნეტავი არაგვო შენს ტალღებს,
ნაფერებს, მთის მკლავებგამოვლილს.
ვნებადაუმცხრალს და მშფოთვარეს,
ბნელ ხევში ამაყად ჩამოვლილს.
ნეტავი, არაგვო, შენს სავალს,
უნახავ სიზმრებს თან ერთვები,
კალთაზე ემთხვევი გვირილას,
სიცოცხლედ რომ დარჩეს წვეთები.
ნეტავ თქვენ, ჭაღარა ნისლებო,
ფიქრები რომ გესმით მთებისა,
ოცნების ბილიკებს მიჰყვებით,
მგზავრებო არწივის ფრთებისა.
თუკი სიყვარულის არა გწამს,
აბა იმ სიცოცხლეს რა ჰქვია?
ნეტავი, არაგვო, შენს ტალღებს,
უმისოდ არაგვიც არ გქვია...

*

ჩემი ბავშვობის სახლი,
ალუჩები და ღელე,
თხილთან მიდგმული სკამი,
გაზაფხული და მერეე.....
მერე იების გროვა,
ატმის ხეები ბაღში,...
დროს რომ მიჰქონდა დრო....
არ მაღელვებდა მაშინ.
შორეული დღის ეშხი,
ჩარჩა იმ წლების მიღმა,
ის მხიარული ეზო
მენატრება და მინდა...
სახლის სევდიან სიმშვიდეს,
არღვევს გალობა შაშვის,
აქ გაზაფხული დავტოვე,
დამრჩა ღიმილი ბავშვის
დაჰკიდებია ცრემლად
სახლებს ობობის ქსელი,
აღარც ვაზია სადმე,
აღარც მიწაა სველი.
ხელს მიქნევს ჩემი ბავშვობა,
იმ სიყვარულის ნიშნად,
და დგას ის ორი სახლი,
ჩემი ბავშვობის ნიშად.....
.....
აღარც ძველი ორღობე,
აღარც გზა და ტალახი...
როგორ მტკივა კიბეზე
ამოსული ბალახი

მარინა დიერაშვილი

ალავერდი

სიდიადე ღვთისა;
გადაჭიმულ ველთა!
ცად აზიდულ მთების ...
ჩამოთოვლილ წვერთა;
ღვთისგან შეფერილი,
აი, ფერთა გამა,
წინაპართა ხელმა
ტაძრად მოგიყვანა!
ამოზრდილო ველზე,
სამყოფელო ღმერთის!
სალოცავო ჩვენო!
ტაძარო, ალავერდის!
ლოცვით მადლიანო,
მშობლიურო მხარევ,
ალავერდის ძალით
ქვეყანავ, იხარე!
მტკიცედ შენახულო!
რწმენავ, ჩვენო ფესვო!
უფლის მადლით გვეველოს,
სულ სიკეთე ვთესოთ!

სამშობლო რაა?

სამშობლო რაა? რასაც შესტრფიხარ,
შეჰხარი ცას და დაჰყურებ მიწას,
მისგან საზრდოობ, უვლი და გაძლევს
და არ გიმტყუნებს მიწა ხომ გკვებავს.

მდინარეები მთასა თუ ბარად,
გადაჭიმული ზვრები, ყანები,
მადლი უფლისა აქ დაბერტყილა,
თვალუხვია და ეთაყვანები.

მრავალფეროვანს ვინ აღწერს, დათვლის
ფლორა, ფაუნა შესაქებია,
სადაც მწვერვალებს თვალს ვერ აუწვდენ,
მის ქვეშ გაშლილი დაბლობებია.

მწვანე ბალახი, ყანაში მწყერი...
იქით ქორბუდა დასაცველია;
მდინარე კალმახს გულში იხუტებს
...ზოგი ფრინველი გადამფრენია!

არწივის თვალი ზეცით დაგვყურებს
ფრინველთ მეფეა, შესამჩნევია,
ყველაფერს უნდა მივეპატრონოთ
მტერი ვერაგი და მძარცველია!

სამშობლო – რაა? მთა და ველია...
რა ვუყოთ ახლა, არც თუ ვრცელია,
გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ,
ის მომავალშიც ჩვენი მცველია!

ცის ქვეშაა და მიწის მშვენება,
ქართველთ სამყოფი ბედნიერება!
თვით უფლისაგან დაცულია და
ღვთისმშობლისაა წილხვდომილება!

სამშობლო რაა? განა ხმელეთი?
შეკრებილია, ყველაფერია!
რადგან გვმფარველობს დედა უფლისა,
გადაშენება არ გვიწერია!

სამშობლო ერთი არ არის მცნება,
ის – არავისთვის არ გემეტება!
სიცოცხლით ტკბები, დედა ბუნებით...
და სიკვდილიც აქ, გეიმედება!

ვაჟა ფშაველაც გვმოძღვრიდა

ჰუმანურით, დიდი გულით,
სჭვრეტდა მომავალის საგანს,
იგივეს მიგვანიშნებდა,
იგავებით სულხან – საბა,
ბოროტება ბოროტებით
დამარცხდება თურმე, ვერა
და შედეგად ღმერთის რისხვა
მიგვეწევა უეჭველად!
ღმერთის ქმნილნი, მუდამ,მარად
ვესწრაფოდეთ მსგავსებასაც,
მხოლოდ ღმერთი, უცოდველი
ჩვენი ხსნისთვის დაიბადა.
ჯვარზე ვნებით აღესრულა!
თავს იდვა კაცთა ცოდვები,
ბოროტებას სიკეთე სძლევს
და ნუღარ გავბოროტდებით!
ახლა გვმართებს შინაგანი
საკუთარი ცოდვის ძლევა
სამყარო რომ შეიცვალოს
ის ჩვენიდან დაიწყება!
სხვაზე კი არ მივუთითოთ
დირე საკუთარი ვთალოთ,
ბილოს განვთავისუფლდებით,
ღმერთი ძლიერ შევიყვაროთ!
თავის ,,სტუმარ მასპინძელით"
და ალუდას გალაშქრებით,
აზროვნებით წინ უსწრებდა,
სიყვარულით გადავრჩებით.
დიდი ვაჟა გვარიგებდა
ნუ დავრჩებით ცოდვის მონა.
სინანულის საიდუმლო
ღმერთმა ჩვენათვის მოიგონა,
ვინანიებთ, შეგვენდობა!
გამოვსწორდეთ, ვძლიოთ ბოროტს,
ამქვეყნურის დამარცხებით,
იმქვეყნური მოვიპოვოთ!

ფიქრმა წამიღო

დილიდან ფიქრმა წამიღო,
თამარს გადავწვდი შორეთში,
ის ახლაც ლოცვით შემწეა,
თუ არ ვართ ცოდვის მორევში.
რამ გამახსენა თამარი?
სიკეთის ქმნაა მთავარი!
ლოცვა და უფლის დიდება!
სასუფევლისკენ სავალი.
მთავარი არის შედეგი!
და არა საქმე ყოველი....
რაც გინდა, ის რომ აკეთო,
სამსჯავროს ყველა მოველით!
...და სარეველას პატარას,
ადვილად ვუთხრით ძირსაო,
ცოდვაც პატარა აღმოვფხვრათ,
ფესვს ნუ გაიდგამს მკვიდრსაო!
სიკეთის ქმნა თუ გახდება,
მიზანი ჩვენი ცხოვრების,
არ დაგვიწყებს უფალი,
ყოველთვის ემახსოვრები!
ჭიქა წყალიც კი მიწვდილი,
არ იკარგება უკვალოდ!
სიყვარულით თუ აკეთებ,
შედეგი არის უდავოდ!

...თამარი თავის სამყოფელს,
გამოგვიცხადებს სულ მალე,
საქართველოსთვის მლოცველი,
მის ბედზე მუდამ მჭმუნვარე!
გაბრიელ ბერი შესთხოვდა:
საფლავის გაცხადებასა...
,,აქა ვარ"-თავად ვინებებ,
სამკვიდროს გამჟღავნებასა!

ლია შენგელიძე

ცხოვრება პოეზიაა!..

ცხოვრება პოეზიაა,
ლექსია, გრძნობით ნათქვამი,
ხან სიხარული, ხან სევდა,
გაზაფხული თუ ზამთარი.
ხან ყვავილების ველია,
ათასფრად აფეთქებული,
სად სირინოზნი მღერიან,
სინაზ – სიტურფით ქებულნი.
დაქანებული ზვავია,
წალეკვით დამუქრებული,
ღვარცოფი არის, უეცრად
მოვარდნილ– გავეშებული.
მზე არის, ციდან მზირალი,
მიჯნური დედამიწისა,
დღეა , სიყვარულმდინარი,
როგორც რამინი ვისისა.
ღამეა, გულით შავბნელი,
ავზნიანი და მწუხარი,
ზღვაა, ტალღათა ხეთქებით
ნაპირზე გადმომქუხარი.
ცხოვრება პოეზიაა,
ავის და კარგის სათქმელი,
საღვთო ვალია, ტაძარში
ჩაუქრობელი სანთელით!

წყურვილი

მე მინდა მინდვრის ყვავილები ისე ვაგროვო,
რომ ყვავილებმა არასოდეს შეწყვიტონ სუნთქვა,
დილის მზის ღიმილს შევეგებო სიცოცხლის მაცნედ,
მიყვარხარ ძლიერ!– ჩემს სამშობლოს ხმამაღლა ვუთხრა!
მინდა, კვლავ მინდა, მოვისმინო შენი სიმღერა,
ტკბილი ჰანგები მოგონებით დღესაც მალაღებს.
ო, როგორ მინდა, კიდევ ერთხელ შეგავლო თვალი,
გადავიკარგო მერე თუნდაც, სულ არ მანაღვლებს.
ბრმას და დავრდომილს გავუწოდო საშველად ხელი,
სიცოცხლის სხივი დავუბრუნო მიმქრალ თვალებში,
მინდა შევიგრძნო სიხარული იმათი მზერით,
შემობრუნების აღტაცების სიმხურვალეში.
სამყაროს სუნთქვას მეყსეულად დავუგდო ყური,
ანგელოზებმა მომანიჭონ მადლი მკურნალის,
მინდა სარეცელს მინდობილებს გავუთბო გული,
ყველას სიცოცხლის დავუბრუნო ძალი, უნარი.
მდინარეები კალაპოტში დიოდნენ მშვიდად,
ზღვა არწივივით გამყივან ხმით აღარ კიოდეს,
მწვერვალებს თოვლის საფარველი თავს ადგეს ჯიღად,
მთიდან ლოდები ტყვიებივით აღარ ცვიოდეს.
მშვიდობა იყოს კიდით– კიდეს სამყაროს ექო,
ომის სიმწარე არ ენახოს ქვეყნად არავის,
ცად მზის ნათელი ლამპარივით იმედად ენთოს,
არ დაეწრიტოს საქართველოს მტკვარი, არაგვი...
შვილის ტკივილი არ ენახოს დედას აროდეს,
ბედნიერებით ცას სწვდებოდეს დედობის მადლი,
შვილის სიცოცხლით ყველა დედა მინდა ხარობდეს,
ქედს უხრიდნენ და თაყვანს სცემდნენ ქალს, დედის მანდილს.
თავშესაფარი მინდა ჰქონდეს გლახა– მათხოვარს,
არსად არავინ არ ტიროდეს, არვის ციოდეს,
უფალს მადლობას უთვლიდნენ და არა– სამდურავს,
დიდს და პატარას არასოდეს არსად შიოდეს.
მინდა სიცოცხლე დავასრულო ისე, იმგვარად,
მოსვლის მისია აღვასრულო ისევ და ისევ,
რომ გარდასული მივეახლო აღსავლის კართან,
უჟამ– უხანო ჩემს მაცხოვარს, იესო ქრისტეს!

* * *

გული ტყის სევდას კიდევ აიტანს...
დილა, ნისლი და ცა -მოქრუშული,
ხის ძირში ფოთლის ხალიჩა ჭრელი.,
დგას ქოხი ისლის, თავშესაფარი,
წლებით დაღლილი და ძველისძველი.
სუსხშეპარული უბერავს ქარი,
გუგუნებს ტყე და ისმის გრიალი,
სიმმორყეული ბუბუნებს ქნარი,
შემოდგომური ორომტრიალით.
ქოხში მეტყევე ქაჩავს ყალიონს,
ტყის სევდის მოწმე ბევრჯერ ყოფილა,
უწვიმუღრუბლო ზაფხული თითქოს
აქ განისვენებს დედიშობილა.
ფოთოლი ჭრელი ძაფივით ქარგავს
დაქანცული ტყის ზღაპრულ ხალიჩას.
ქოხში მეტყევე ყალიონს ქაჩავს,
გული ტყის სევდას კიდევ აიტანს!..

* * *

ის, რაც მოჰყვება დროთა დინებას
დრომ ჩამოხია სიწმინდის ფარდა,
გაშიშვლდა სული, როგორც მეძავი,
წარსულს შემორჩა გულწრფელი განცდა
და ოცნებები დაუძენძავი.
მთვარემ იმღერა ღამის არია
და ვარსკვლავების ნარნარი რხევით
გრძნობამ გონება ისე არია,
თითქოს ღვარცოფი მოასკდა ხევით.
ასეა, როცა ნაბახუსევზე
მძაფრი ფიქრები შემოგერევა,
როცა ადიხარ იარუსებზე,
აღმართზე ძალა გამოგელევა.
გაციებული გულის საფასად
შეგრჩება გრძნობა , დროით ძლეული
და დაიბუდებს შენს არსებაში
ნისლი საღამოგამორეული.

* * *

არა– ვინმეს საფარქვეშ!..
არა– ვინმეს უღელში!..
ალაგ– ალაგ, ქუჩა– ქუჩა,
ყვავილები მხვდებიან,
სიყვარულით ვუცქერი და
კრძალვით მეგებებიან.
ო, რამდენი ყვავილია
იმედებად მავალი,
გაეზარდოს საქართველოს
გოგო– ბიჭი მრავალი!
ტყეში ნერგი გამრავლდეს,
ზვარში– ვაზი ცხოველი,
რწმენის ურყევ ბალავრად
იდგეს სვეტიცხოველი.
მთას წყარონი დიოდეს,
ყანას გვემკოს ხორბალი,
წაღმა შემოტრიალდეს
ჩვენი ბედის ბორბალი.
ოჯახებში სიმშვიდე,
სიყვარული სუფევდეს,
შვილს მშობელი უყვარდეს,
გუნდრუკს კი არ უკმევდეს...
ნიჭი, წიგნიერებით,
ცოდნით, ისე აღზევდეს,
დიდ მსოფლიო ოჯახში
საქართველო ამზევდეს.
ქართულ სულის მალამოდ,
ქართულ გენის უფლებად,
ერთობით მიგვეღწიოს
ნანატრ თავისუფლებას.
არა– ვინმეს საფარქვეშ,
არა– ვინმეს უღელში,
იზრდებოდეს ქართველი
საქართველოს უბეში!



თენგო ფანცულაია-ხერგილელი ოქროპირი

არც გიცხოვრია ადამიანო

სიკეთის ნერგი თუ არ დათესე,
შენ სულიერი როგორ გქვიანო,
თუ თანამოძმე წაქცეულია,
შენ რატომ გხედავ ხალისიანო.

ენას და რწმენას თუკი არ იცავ,
სიძვას ქადაგებ ერთსქესიანო,
წმინდა ტაძარში როგორ შედიხარ,
ფარისეველო და ავზნიანო.

თუკი სიყვარულს აღარ ქადაგებ,
შენ მოაზროვნევ ომახიანო
თუკი სამშობლოს არაფერს არგებ,
არც გიცხოვრია ადამიანო.

არ დახუჭო ბიჭო თვალი

გავიხედე, ქორწილია,
მოანათებს პატარძალი,
პირმცინარე, მზის სადარი,
მოხდენილი ტანკენარი.

ლამაზმანს თავს დატრიალებს,
სიძე ბიჭი გვერდში მდგარი,
ბედნიერი, კმაყოფილი,
სიყვარულის გრძნობით მთვრალი.

დავინახე, შევადარე,
გამომექცა ლექსის ბწკარი:
"ნამეტანი ლამაზია,
ეს "ოხერი" პატარძალი.

სადმე მარტო არ გაუშვა,
მარცხი სულ ელანძე არი,
მაგნაირის ცოლის გვერდში
არ დახუჭო ბიჭო თვალი"!

მოეფერე, დააფასე,
გაამრავლებინე გვარი,
მოდი მეფე იყავი და
ის გახადე დედოფალი.

--

p.s:
ზოგმა თუკი ვერ გაიგო,
ჩემი ლექსის ზოგი ბწკარი,
სხვა მხარეს არ წაიყვანოს,
ამ თემაზე ნაფიქრალი.

ლამაზი თუ აირჩია,
ბიჭმა არ დახუჭოს თვალი,
პატივი სცეს, მოეფეროს,
დააფასოს კოხტა ქალი.

ეს ცხოვრება ჭრელია და,
სადმე არ გამოხტეს შარი,
გაფრთხილდეს და გაუფრთხილდეს,
მიტომ ავაჟღერე ქნარი.

სიკვდილით შეწუხებული სიკვდილი

რატომ გინდებათ ერთურთს ესროლოთ
მკვლელი სიტყვები, ქვა და ტალახი?
სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე,
გასათიბია უკვე ბალახი...

შემოგვითვალა თურმე სიკვდილმა:
-მარტო მე რად ვარ ბოროტი მკვლელი,
რად ვეღარ ხედავთ ირგვლივ არ დარჩა,
მამულის, ენის და რწმენის მცველი!..

რად დაივიწყეთ ადამის მოდგმამ,
ქვრივი, ობოლი და გვერდში მდგომი?
თქვენი ბინძური ზრახვებისათვის,
რად გააჩაღეთ ამდენი ომი...

რად გაგიცივდათ ადამიანებს,
ადრე თბილი და კეთილი გული?
რატომ არჩიეთ მოძმის ფერებას,
თქვენი სიხარბე, ვერცხლი და ფული?

თავად თქვენა ხართ სიკეთის ნაცვლად,
სიკვდილის თესვით დაკავებული!
რატომ არ გინდათ გადაარჩინოთ,
მოშიმშილე და გაჭირვებული?

მჭედელს შესტირა, თურმე საწყალმა,
ყოფილა ძალზე შეწუხებული:
-თავად თქვენა ხართ სისხლს და
მკვლელობას,
სხვების დაღუპვას მოწყურებული...

მე, გაცილება, არა ვინმეს კვლა,
მქონდა უფლისგან დავალებული!
სამოთხის კართან რომ მიმეყვანა,
უფლისა ნებით მიცვალებული...

თავსაბურავი ჩამოვიფარე,,
არ დამინახოთ ატირებული...
თეთრი სამოსი შავით შევცვალე,
სისხლი არ ნახოთ იქ მიცხებული...

აღარ ყოფილა მარტო სიკვდილი,
ადამიანის მტერი და მკვლელი,
თურმე სამოთხის გზის გასათიბად,
სჭირდება ჩვენთვის ცნობილი ცელი!

დღეს შემეცოდა ცოტა სიკვდილი,
ამეცრემლა და მგონია ვტირი...
ერთმანეთი რომ გადავარჩინოთ,
უბრალოდ ქცევა გვქონოდეს თბილი.

ერთმანეთს არ შევუმოკლოთ,
უფლის ბოძებული დღენი,
იქნებ სიკვდილს არც დასჭირდეს,
დაუჟანგდეს მისი ცელი.

სულ სხვა მისია ჰქონია თურმე,
სიკვდილს უფლისგან დავალებული,
სამოთხის კართან მიიყვანოს და
თან შეაცილოს მიცვალებული.

დღეს ადამიანს რად გაუცივდა,
ერთ დროს თბილი და სათუთი გული,
გადაივიწყა, მხოლოდ ღმერთია,
ადამიანის ქცევის მსაჯული.

დღეს გაბოროტდა ადამის მოდგა,
გააბატონეს ბოღმა და შური,
თავად სიკვდილი რომ დაამწუხრეს,
სიმართლე გითხრათ, მეტკინა გული.

p.s:

პოეტებმაც გავაჩაღოთ,
პოეზიის ლაღი რთველი,
ხალხს ბწკარები.მივაწოდოთ,
მხოლოდ თბილი,მოსაფერი.

თანამოძმეს ავარიდოთ,
ტკვილი და მძიმე სენი,
ავაყვავოთ სამშობლო და
დრო დაგვიდგეს მოსალხენი.

მე პოეტი აღარა ვარ

მე პოეტი აღარა ვარ,
ზემოთ აღზევებული,
მრავალ ჟურნალ-გაზეთებში,
ფართოდ გაშუქებული.

მე უბრალო ქართველი ვარ,
ცოტა დამწუხრებული,
რეალური ვითარებით,
ცოტა შეშფოთებული.

თადარიგის პოლკოვნიკი,
ცოტა ჩაფიქრებული,
ჩემის ერის მძიმე ყოფით,
ცოტა შეწუხებული.

არ მასვენებს, ქსნის ხეობის,
ხალხი მიტოვებული,
აფხაზეთის კოხტა მხარე,
მტერზე ჩაბარებული.

სითბო მინდა დავინახო,
ყველგან გაღვივებული,
სიყვარული, სიხარული,
ყველგან გამეფებული.

ჩემი ხალხი მინდა ვნახო,
ცოტა გახარებული
ყველა კუთხე ერთიანი,
ერი გამრავლებული.

მინდა ყველა დავინახო
ცოტა შეფხიზლებული,
შრომისა და შენებისთვის,
ცოტა მონდომებული.

მსურს ქალები რომ ვიხილო,
კერას დაბრუნებული,
კედლები კი მათი შრომით,
უფრო განათებული.

ყველაფერზე გამაჩნია,
აზრი განსხვავებული,
დამინახავს ბევრის ქცევით,
ერი გაწვალებული.

ვერ ვარ დიდი პოეტების,
დონეს ამაღლებული,
ფაქტიურად გამოვედი,
წერას მოწყურებული.

მუდამ ვცდილობ უფლის მადლით,
ვიყო გამზადებული,
ჩემი სიტყვა ლექსის სახით,
მქონდეს მომარჯვებული.

აღარ მინდა სხვაზე ვიყოთ,
ხელებს მიშტერებული,
რთველი მინდა დავინახო,
ყველგან გაჩაღებული.

ვინც ყოჩაღობს ერისათვის,
იყოს ჩემგან ქებული,
მისი გვარი და ნამრავლი,
იყოს გალაღებული.

ვინც გვღალატობს და ზნეს გვირევს,
ვერცხლზე დახარბებული,
შევეცდები ისევ ლექსით,
იყოს შეჩვენებული.

კაი რამეს დავინახავ,?
ვიყო აღტაცებული,
ვინც ღირსია ჩემი ლექსით,
იყოს მოფერებული.

ის პოეტი აღარა ვარ,
ფართოდ გაშუქებული,
მაგრამ თბილი მკითხველისგან,
დავალ გამხნევებული.

მე კოლხი ვარ, უძველესი,
მუზა მოძალებული,
ლექსით მინდა გავაღვიძო,
ცეცხლი მინავლებული.

რწმენა მინდა აღვადგინო,
წინაპრების რჩეული,
მოვიშოროთ ავი სენი,
ცოტა შემოჩვეული.

პ.ს:
სამსჯავროზე ჩემი გულით,
ნაფიქრალი დაგიდეთ,
რამე თუ არ მოგეწონათ,
მაპატიეთ, დამინდეთ.

ბრილიანტი ლაფში

"სულმდაბალი ღირსეულს,
ლანძღვით გაუსწორდება,
როცა ხედავს,ღირსებით,
მას ვერ გაუტოლდება!"

ბრილიანტი ხანდახან,
ლაფში ჩაგივარდება,,
მაგრამ ამით ბრილიანტს,
არაფერი აკლდება.

ლაფი მალე გახმება,
ბრილიანტი ნათდება,
მპოვნელს ხელში ძვირფასი,
ბრილიანტი ბარდება.

ლაფს მიჩვეულ ღრუტუნიას,
ჭუჭყი აღარ მოსცილდება,
სადაც ტალახს დაინახავს,
გაქანდება, შიგ ჩაწვება.

წვიმა როცა გადაიღებს,
მიწა შრება, ლაფი ხმება,
ბრჭყვიალის რა მოგახსენოთ,
ისევ ჭუჭყიანი რჩება.

ასე არის ცხოვრებაში,
კაცი მუდამ კაცად რჩება,
სხვისი ნასროლი ტალახი,
სახელს ვერ ვნებს, ძირს ვარდება.

ლაფს და ტალახს მიჩვეული,
ბოღმით სკდება, ილანძღება,
მართალ კაცზე ცუდის
მთქმელი,
შერცხვენილი თვითონ რჩება.

პ.ს:
ასე მესმის მე ბრძენთაგან,
ნათქვამი და დარიგება,
შურიანი ბოღმით სკდება,
კაცის სახელი ბრწყინდება.

დამისხი, დამალევინე ,გამხადე გულფიქრიანი

"დამისხი, დამალევინე,
ეს ღვინო ოხერ ტიალი",
სანამ დავთვრები, ვინატრებ,
რომ გავხდე გულფიქრიანი.

ქართველი კაცი მანახე,
მოაზროვნე და ჭკვიანი,
ბეჯითი,მხნე და ძლიერი,
მუშაკობაში ფხიანი.

ქართველი ქალი მანახე,
ლამაზი,სანდომიანი,
ფუძე და კარის ერთგული,
ოჯახში ხელხვავიანი.

ეზოს ფრინველი მანახე,
სხვადასხვა, მრავალფრთიანი,
შვილი ლამაზად გაზრდილი,
ერთურთზე სახელიანი.

სოფელში ცოტა გვყოლოდეს,
ბოროტი,გულჯავრიანი,
არ დაგვენახოს წასული,
გულით და ვირუსიანი.

ქუჩაში ნაკლებად შეგვხვდეს,
ქვრივი და შავებიანი,
ერის და ერთობის საქმეს,
აღარ მიადგეს ზიანი.

სამშობლო მუდამ გვეხილოს,
ერთიანი და მთლიანი,
საზღვრები გამაგრებული,
დამარცხებული მტრიანი.

ქართველთ სუფრაზე ისმოდეს,
სიმღერა მრავალხმიანი.
დე იფრქვეოდეს გარშემო,
სიტყვები სულ მადლიანი.

იქნება მაშინ შეჩერდეს,
ქვეყნის უკუღმა ტრიალი,
მაშინ კი დამალევინეთ,
თავკვერი ოდნავ ცვრიანი.

მეინახეებს ვანახო,
ლექსების ორომტრიალი,
ოჯახი დამალოცვინეთ,
ლამაზი პატარძლიანი.
პ.ს:
" დამისხი, დამალევინე,
ეს ღვინო ოხერ ტიალი"
ჩემი სამშობლოს სიკეთით,
გამხადე ხალისიანი.



ნანა გიგუაშვილი

სამადლობელი

არ ვიმსახურებ შექებას ამდენს,
არც ვარ ჩვეული დიდებით ხოტბას,
ეს წესად დავრგე, ცხოვრება ასე,
ჩემი წინაპრის მოყვება მოდგმას.

და რაც სიკეთის კეთება მიწევს,
ხდება ალალად, ეს ჩემს გენშია,
ამ სიყვარულის იდუმალ ფესვებს,
ძებნა არ უნდა, ქართველ ერშია.

ჩვენ სიყვარულმა გვზიდა აქამდე
და სიყვარული კვლავაც გვიშველის,
ყველას გულშია მადლიერება,
სამადლობელი სიტყვა გიშერის.

უფალს მადლობა, რომ დიდხანს მაწრთო,
რომ მაპოვნინა თქვენი გზა-კვალი,
რომ არასოდეს გამკარებია
ბოროტი ფიქრის ფიქრი მზაკვარი.

რომ სიყვარულის ვარ მოფერება,
რომ ვერ მეძმობა ფიქრი ვერაგი,
ვთესოთ სიკეთე, დაგვიბრუნდება,
რასაც გავიღებთ, ვით ბუმერანგი.

უსასრულობა

ატომის გულში კვლავ გუგუნებს იქსი დიადი,
ფრთხილად მივყვები ასტრალიდან ამ ფილაქანებს,
შემომხვევია უდროობის დიდი წყვდიადი,
მატრიალებს და სიბნელისკენ კვლავ მიმაქანებს.

იქ, სადაც ალბათ არ არსებობს მარადისობა,
სულის სამშვინველს კვლავ ეხშობა ორთავ კარები
და პარკუჭებში გატყორცნილი სისხლი დინდება,
წინაგულების სარქველიდან განატარები.

გამოვაღწიე და ვიხილე კაენის კვდომა...
ახლა აბელის ფესვებიდან მშვიდად მოვედი,
შეგვაძლებინე უსასრულოდ ფეხზე დადგომა,
მაღალო ღმერთო,
საქართველოს შველას მოველით.

დრო დადგება...

დრო დადგება დაგიჩოქებს
წყალი, ზეცა, ხმელეთი,
ცეცხლის ძალა მოგეცემა
გადაქანცულს – მერეთი....
ახლა დგება შენი ჯერი
აყვავდება ბერეთი,
მამონას და მის დამქაშებს
დაჰკრავთ ელეთმელეთი.

გაბრწყინდება იბერია
ღვინო-პურის ქვეყანა
და იბრწყინებს სამყაროში
ნიჭი, ძირს რომ ეყარა,
ქართულ გენზე, ქართულ სისხლზე
ისაუბრებს ყოველი...
და იქნება საქართველო
ღმერთთან განუყოფელი.

ჩვენს პატრიარქს

ცისკრის ვარსკვლავი ისევ ანათებს,
ერის იმედად ისევ დადიხარ,
ჩვენი ცოდვების ტკივილს ატარებ
და ბეწვის ხიდზე ლოცვით გადიხარ.

სულის ტაძარში ყველას მოუხმობ,
ყველა მოკვდავი შენი შვილია,
მთელი სამყაროს გადარჩენისთვის
მესაიდუმლე არის ილია.

უწმინდესო და უნეტარესო
ისევ მოიღე ბრძოლის წადილი,
რომ წმინდა სიონს კვლავ ამშვენებდეს
ჯვრისწერის წესით წყვილი ნამდვილი.

უფლის სიტყვაა მოსული კარზე!
ჯვრით გაგვიკაფე გზა გაუვალი,
დრო და ჟამია გადარჩენისა,
ან დაღუპვაა გარდაუვალი.

ღმერთით მოსულო, ღმერთმა დაგლოცოს,
იმედის სიტყვა არის უფალი,
მალე გვენახოს ჩვენი სამშობლო
გაბრწყინებული, თავისუფალი!

ახსენით ტაბუ

მეამბოხე სული მეწვის,
არ მეთმობი დასაკარგად,
გასავლელი ხიდი ბეწვის
ელოდება სხვის განკარგვას.

გაიყიდა საქართველო
გოჯი-გოჯად, მისხალ– მისხალ,
მტერი, თუკი არ ქარველობ,
შენს ვენებში სხვა სისხლს გისხამს.

და ყოველი წუთის ფასი,
რომ ვიცოდეთ, დროა მართლაც!
გადაივსო თმენის თასი
და დაიწყო დროის ათვლაც.

გული ერთურთს გაუხსენით
ქართველობის წმინდა ფიცით,
ერისა და ბერის ძმობა
ისტორიით ბევრი ვიცით.

ჰა, ჟამია და ახსენით
ტაბუ უფლის მოსულ სიტყვას,
რომ ქართული გენის წესი
ამ სიმართლით მტკიცედ ითქვას!

განახლება

ვით წიგნის ფურცლებს, ეს საღამოც გადაშლის წლებს და
ცაცხვის ხესავით გადაფურჩქნის ვარჯებს ტოტიანს,
და იგრძნობ სულში როგორ ჩარჩა, როგორ გამეფდა ,
უმოძრაობის ნაეტლარი მელანქოლია.

მერე კი შენი არსებობა მოგიჭერს მარწუხს,
მიხვდები როგორ შემოგაცვდა მტკიცე ნართები,
სხვა გზა აღარ ჩანს, ვერ გაუძლებ სიცოცხლეს ნაწუხს,
დაიფერფლები ფენიქსივით, მერე აღდგები.

ვით აფხაზეთი

ჩამოცხა გარეთ, ისე ჩამოცხა,
ძარღვებში ლამის სისხლი გამოცხვა,
ჩრდილს დაევალა ჩვენი გამოხსნა,
მცხუნვარე ციდან სხივი ჩამოხსნა.

ბევრი იცელქა სხივმა მიწაზე
და გადაეშვა ტბაში, რიწაზე.
შემოტრიალდა მერე იმწამსვე...
იქვე დაბრუნდა, ისევ იმ ცაზე.

უნდა ეცადო

გავდივარ გარეთ, ამ სამყაროდან შორს და...
თვალზე სიცოცხლის ნიშანწყალები ღვივის,
გამოვეცალე ათას სიბრიყვეს, ჭორს და
აღარ განვიცდი გაფარისევლურ ღიმილს.

როცა შიგნიდან ძალით გაცლიან ნერვებს,
როცა წლებია უძლებ შხამისგან გესვლას,
უნდა ეცადო გამოერიდო ნგრევებს,
უნდა ეცადო შენს სამყაროში შესვლას.

მებრძოლი სული

არ დავნებდები, რომ ცხოვრებამ ჩამომაქციოს
და დასაკლავი, შესაწირი ხარივით ვწუხდე,
არც კი ეცადო, ვინმემ სარმით წამომაქციოს,
არც ის იფიქროთ ძლიერ მინდა ვჩანდე და ვქუხდე.

მე ნახევარი საუკუნე ველოდე უფალს
და მხოლოდ ბრძოლით მოვაღწიე დღევანდელ დღემდე,
ამ საოცარი დედამიწის დიდ ხელისუფალს
ლოცვით შევთხოვე და გულწრფელი სიცოცხლით ვენდე.

რაც კი ვინატრე, იყო მხოლოდ უფლის დიდება,
ჩემი ოჯახით დადებული თითო აგური,
აბა რად მინდა მე სიცოცხლე ან განდიდება,
ჩემო სამშობლო, თუკი მტრისგან გამინადგურდი.

გოგონა ნიღბით

მისი სამყარო არვისას არ გავს,
გოგო წავა და წყალში მზეს დარგავს....
აქ კი დრო თავის მაქმანებს ქარგავს
და მერე თავის სისუსტეს მართავს.

ქუჩაში ხალხი, ხალხში– სიჭრელე,
ვიღაც გონდოლას ფეხთან გიჩერებს,
ვენეციური ნიღბის "სინჩერებს"
ამ ცნობიერში ვერ გაიჩერებ..

რაბათი

ვეფერები ჩემს
მონატრებულ მესხეთს.

მესხეთის მიწავ შენი მეკვლე ვარ,
მესხეთის ცაო შენი მლოცველი,
პატარა გოჯიც არ დამრჩენია
დასაკოცნი და დასალოცველი.

დგას ქვაფენილზე შედგმული ციხე,
ხავსმოდებული ძველი ალაგი,
ჩვენი წარსულის მემატიანე
და წინაპრების ძვალშესალაგი.

ასვეტებულა ქვაში ქონგური,
ამღერებულა ხმაში ფანდურად
და სიმაღლიდან ციხე-კოშკები
იყურებიან დარდიმანდულად.

გაბრწყინებულა ძველი სიცოცხლე,
მოუხურია თექის ნაბადი,
დგას მეციხოვნედ ისევ ამაყად,
განახლებული ჩემი რაბათი.

წყაროს ჩუხჩუხით ერთობა მოლი,
ხეივნის ჩრდილში სხედან წყვილები,
ღმერთო გვიმრავლე საქართველოში,
გასაჩენი და დასაწყვილები!

ციხის კიდელზე დროშა ფრიალებს,
გუმბათით ბრწყინავს ძველი მეჩეთი,
ლექსით მოვედი ჩემო ლამაზო,
სამლოცველოსთან კრძალვით შევჩერდი:

ღმერთო დალოცე ქართული მიწა,
შეგვინარჩუნე ზნე და ადათი,
რომ სამუდამოდ, საისტორიოდ,
ისევ ბრწყინავდეს ძველი რაბათი !

მუხლმოდრეკილი ანარეკლი

ვეღარ ვიპოვე ჩამომტყდარი ჩემი ნაპირი,
ახლა ნახევრად გადახრილი ვეყრდნობი ჭიგოს
და დაკარგული სულის ნაპირს ძიძგნის ნადირი,
პირსისხლიანი ზეიმობს და ამაყად ჭინკობს.

მაგრამ არ იცის, რომ დათმენით ვპოულობ უფალს,
რომ ჯვრის საზიდად უხილავად მაშველად მოდის
და ყველას უკვირს, რით არ ვკარგავ იმედის უნარს,
მუხლმოდრეკილი ანარეკლი დაღლილი გონის.

სიტყვით მოვედით

თეთრი ცხენები, აფრენილი თეთრი ფაფრებით,
სივრცის ბურუსებს მიაპობენ თქარათქურებად,
სიტყვა აწონეთ, არ აუშვათ კვესის აფრები,
ნუ მოინდომებთ სიყვარულის განადგურებას.

სიტყვით მოვედით, უფლის სიტყვა რწმენად გვედება,
სიტყვაა, რითაც დიდ სიყვარულს დაგეფიცებით,
ღმერთია სიტყვა! გონებიდან ბგერად მოსულა,
იბადებიან კვლავ სიცოცხლედ, როგორც კვიცები.

შენზე ფიქრები

არ მაშორებენ შენზე ფიქრებს ჩემი ფიქრები,
გამოვიცანი, შენი გულის ჩანაფიქრები,
განსაცდელები, ჩემი სულის განარითმები,
როცა მიმიწვევ, შენთან უფრო ახლოს ვიქნები.

ღვთის სიდიადეს ჩვენში მოაქვს სული მზიანი,
მისი ცხოვრება არ ყოფილა ხარვეზიანი,
სიკეთის ნაცვლად უღალატეს,, უქნეს ზიანი,
თუმცა ამბორი მტრისა იყო თავაზიანი.

იუდები და კაენები გვაშორე ღმერთო ,
ამ ბოლო ჟამის საცდუნებელს რომ არ დაერთოს,
ადამიანი სხვისი ტანჯვით რომ არ გაერთოს
და ერთგულების , სათნოების სანთლად აენთოს.

კარი ვერაფრით გამოვუხურე

რომ დაზამთრდება, ალბათ მყინვარი
ისევ ჩაიცვამს ყინვის ლაბადას
და გაიხსნება მაღლა ცისკარი,
რადგან სიცოცხლე გადაავადა.

არ ვიცი დარდი რატომ უმრავლე,
როგორ უნდობლად დათმე სიმწიფე,
დაღლილ სხეულებს გადაუარე
და ბნელ მკლავებზე გადაიწვინე.

როგორ დაიწყო, არ აქვს მნიშვნელი
და არც აზრი აქვს მათთვის ძიებას,
ვეღარც ლექსების წერა უშველის
მათი გულების გადაციებას.

ისე ღრმად მტკივა სული მთლიანად,
ისიც მრცხვენია, მზეს რომ ვუყურებ,
შოვის სატკივარს ტრაგედიანად
კარი ვერაფრით გამოვუხურე.

ვერ გიპოვე

ვერ გიპოვე გაშმაგებულ ქარში,
მიწის ცომში შენი სუნთქვაც მილღვა
და ოცნებაც ჩაიძირა წყალში,
ჩამოხსნილი დარაბების მიღმა.

ყველა ბგერას ჩავეკვანძე ხმაში,
სიტყვამ სიტყვით სიტყვის კონა იხსნა,
ახლა ვწერ და სტრიქონების სვლაში,
ლექსმა კვნესით ვენა გადაიხსნა.

მონიაღვრობს ნადუღარი სისხლი,
გადაყინულ სიცოცხლეებს ალღობს,
სხეულებზე შეწებვიათ მისხლივ
დამზრალ გვამებს, ტანჯვით გადანაღობს.

დიდ გასაჭირს ვეღარაფერს ვუზამ,
კვლავ დაგეძებ გაშმაგებულ ქარში...
დედა ვნახე, ჩამარხული ღუზად,
მკერდს მიკვროდა პაწაწინა ბავშვი.

უძირო ტბაში

იქნებ შაორის სიღრმეშია შენი დარდები,
უძირო ტბაში ჩაძირული რაჭის ოცნება,
ჭანჭახის ექოს მორჩილებით თითქოს ბარდები,
გულიდან გულში სასწაულის გასაოცებლად.

იქნებ მთის წვერზე დაფენილი თეთრი ქათიბი
შენი სიღრმიდან ამოსული სადაფებია,
ნეტავ ვინ იცის, შოვის დარდის წმინდა ნათიბი,
რომელ ვარსკვლავად კიაფობენ,
ან სად არიან?

სულ არ ველოდი

მთელი სიცოცხლე ვანდე ამ ზაფხულს,
სადღაც მიწიფლა, სადღაც მიმუხა,
სულ არ ველოდი ასეთ დასასრულს,
როგორ პარვით და შიშით მიმუხთლა.

სად ჩამიკეტა მუხლის სახსარი,
რა დროს დაუშვა სიცოცხლის ფარდა?
ახლა სულების ვარ გასახარი,
ჩემი ხილული სამყაროს გარდა.

მორების თქეშიც პირველად ვნახე,
ხიდან ფოთლების ელდაზე გახდაც,
სულ მცირე დროში გებული მახე
დაუსხლეტავად მიწაში წახდა.

სიზმრის მორევში

შემაქანე, სადღაც ცაში ამწიე,
მერე უცებ ცივად ხელი გამიშვი,
მიწის კიდეს ბუმბულივით დამწიე
და ჭაობში გამეტებით ჩამიშვი.

სიზმრის მორევს თავი გამოვაღწიე,
შიში არ მაქვს, არც დღისა არც ღამისი,
შემაშველე, სიტყვა შემომაწიე,
ხელის გულზე საქართველო დამისვი.

ახლა ვდგავარ, ხელაპყრობით ვლოცულობ,
შენი დამაქვს დარდიცა და ფიქრებიც...
ღმერთო ჩვენი სიცოცხლისთვის მოსულო,
შენს იმედად ბედნიერი ვიქნები.

სიკეთე

ცხრა მთას იქით ნაკეთები სიკეთე,
ცხრა მთას აქეთ ავსებული თასია,
თვით უფალი აგარიდებს განსაცდელს,
გვერდს აუვლი, სადაც დიდი ნავსია.

ღვთის დიდებით დიდ სიყვარულს ისწავლი,
წაგიყვანს და მოგატარებს სამყაროს,
მერე გაგწვრთნის, როგორც შეგირდს ოსტატი ,
უფალს უნდა სადარდებელს გაგყაროს.

როგორც წარსული

ამოფრინდება ყვავილებად ყველა სტრიქონი,
უთქმელ სურვილებს მოვაყოლებ მათ სურნელებას,
მერე მთელ წიგნად გადვიქცევი, ლექსად მივკონი
და ვაპატიებ ჩემს სიყვარულს გასულელებას.

მე ვერ გამტეხა, ვერ შემცვალა დარდმა, წუხილმა,
იმ ტკივილებშიც დავუამე სიცხე დუღილებს,
ყურთან მრავალჯერ გამიელვა ჭექა-ქუხილმა,
იმ მზეს შევნატრი, ბრმას რომ თვალებს კვლავ აუხილებს.

ციდან ნაჟური დამინამავს თვალებს ცრემლებად,
ეს დროც როგორღაც შემომრჩება, როგორც წარსული
და შემოდგომის მოქარვისფრო ყურძნის მტევნებად,
ჩაგეწურებით საწნახელში ნებით ჩასული.

ხვამლის მთაზე

თითქოს სულ სხვა სამყაროა
რიონსა და ცხენისწყალთან,
სამას მეტრზე აზიდული
კოლხურ საიდუმლოს მალავს.

და პრომეთეს კლდეზე მიბმულს
სვავი კორტნის გულზე დღესაც,
პიქტოგრამულ ქვებზე მოჩანს,
ის რაც იყო აქ ოდესღაც.

ისტორია დგას მდუმარედ,
იმეორებს დროს ლეგენდა,
პრომეთეს და ამირანის
ბედი რატომ დაგვებედა?

ყველაფერი ალბათ იყო
თვით უფლისგან, ბედისწერად,
საქართველოს ისტორიას
უპირებენ გადაწერას...

ხვამლის მთაზე ნისლი წვება
და ჟღარუნობს ჯაჭვი რკინის,
ლეგენდიდან დაბრუნდება
ამირანი, უფლის შვილი.

შოვის ტრაგედია

შავბედიანი მიწის საფარი
გზა-გზა ჩამოჰყვა ქუხილს,
ტალახიანი სველი საბანი
გადაახურა წუხილს.

მყინვარებიდან ელვის ხანებმა
დღე დაგვიყენეს გლოვის,
მოულოდნელი ეს მრისხანება
და ტრაგედია შოვის.

გაჩეხილ ტყეებს წაერთვათ ღონე,
ვერ დაიკავეს მიწა,
დაცურებული მისი მთა-გორი
ტალახის ფენად მიწვა.

ქუხდა გრიალით, კისერს იტეხდა
მთას აგლეჯილი მასა,
პატარა ხიდებს მხრებზე იგდებდა,
კალაპოტები დახსნა.

...და სადაც სუნთქვა ბერავდა ფილტვებს,
სადაც სიცოცხლე ქუხდა,
სუყველაფერი ჩაბარდა სიტყვებს,
გრძნობებს, რომელიც წუხდა.

ოცნებაში მივუყვები

ამ შარაზე ეჰ, რამდენი მირბენია,
წლების მერე თაობაში ჩავიკარგე,
არ ვინდომე აქაური ,,გარდენია,,
ავდექი და უმოწყალოდ ავიბარგე.

ფუჭი დარდი არასოდეს არ იკარგებს,
დრო ქსელივით წარსულს გულში მიქარგავდა,
დავატევდი ბავშვობაში იმ ჩემს ბარგებს,
რომ მცოდნოდა, მონატრება ტვინს დახრავდა.

ისევ მოვალ უფლის ნებით, თუმცა გვიან,
შენი ნახვა მოგონებას გამიყუჩებს,
მოლოდინი ახლა ისევ ბურანშია,
ოცნებაში მივუყვები სოფლის ქუჩებს.

ემიგრანტ მეგობარს

როგორ არ გითხრა შენი სულისა,
ამ გულში მიდევს შენი აზრები,
როცა ღიმილობ, მეღიმილება,
როცა ავდრობ და მეც ვიზაფრები.

შენ ჩემი ხიდი ხარ გულსაყარზე
და ტკივილს ვიყოფთ, როგორც ტყუპები,
შენ არასოდეს არ ხარ მოძულე
და არც არასდროს არა ტყუვდები.

შვილებზე ლოცვით, ხვალის იმედად,
ღამენათევი ფიქრით ვბრუვდებით...
არ ჩამოგვაქცევს ეს მონატრება,
საქართველოში კვლავ დავბრუნდებით!

შინდისის გმირებს

გრგვინვა ომიდან ცოფად მომსკდარი
მოჰყეფს, მობღავის ნატყვიარ მიწას,
მიტოვებული ბატალიონი
უიარაღო სამშობლოს იცავს.

ერთგულებაში ფიცად ჩაკრული
მტერს არ ბარდება დამარცხებულად,
თავს შეაკლავენ გოჯი მიწისთვის,
თუნდაც მთლიანად დანაცრებულან.

სამშობლოსათვის თავის გაწირვა,
ერის ღირსება არის შინდისი,
ქართული გენის გადასარჩენად,
ტყვიას შეკლული მათი სინდისი.

მამა გაბრიელს

შენი სიმდაბლით ჰპოვე სიმაღლე,
ცხოვრებამ სიმწრის ბედი გარგუნა,
მაგრამ უფლისთვის ჰქმენი სიამე,
რწმენის ნერგები ჩვენში დარგულა.

ერმა გაგიგო თუმცა გვიანად,
ახლა სუყველა შენზე ვლოცულობთ,
მოგვიტევე, რომ დაგვაგვიანდა
შენი შეცნობა, ღმერთით მოსულო.

შეგთხოვ წმინდანო მამულს ეკარე
ამ ძნელბედობის ჟამის საყართან,
შენი ლოცვებით გადაეფარე
მთელს საქართველოს, რწმენის საყდართან.

სინანული

გახელილ თვალში მეყრება ქვიშა,
იმ ადგილზე ვარ, ქრისტე რომ იშვა,
გვედრი უფალო, ხელი არ მიშვა,
ამ სამყაროდან ჯერ არ გამიშვა.

დაუნდობელად მწიწკნიან კუნთებს,
ქვიშის საათში თავმოყრილ წუთებს,
ვიღაც ბაზართან არიგებს ხურდებს,
შენც გინდა ფულით ჯიბე გიხურდეს...

თონიდან ცხელი ამოდის პური
და თიხის დოქით ღვინო ნაჟური...
იმიერ ხმებსაც დაუგდე ყური,
გახსენი სკივრი გადანახული.

გალეშილ მტკვარზე ქანაობს ტივი,
ტივზე კი მოთქმით ორღანი ხარობს,
შემოვაშველე ხმა უფრო ტკბილი
და სინანულით უფლის წინ ვგალობ.

სათქმელი

რომ არ ამოვთქვა მოვკვდები,
სული მეტანჯვის მუნჯობით,
თუმცა დარდისგან მოვბერდი,
გამოვირჩევი ბურჯობით.

ვერძი ვარ, სავანის ფესვებით
საუკუნეთა წიგნიდან,
მტერს ლახვარივით ვესვები,
მზეს გამოვიტან ბინდიდან.

სხვა რომ არ იყოს, დედა ვარ
ღვთისმშობლის მიწის შვილების,
აბა, ვინ გამიბედავს და
მეტყვის, რომ გავიშვილები.

არა! სხვა მიწა არ მინდა,
სხვა ცა უფერო მგონია,
განსაცდელებში დაბინდდა,
თმებში ნაცარის თქორია.

მედროვეებს

დაიღალა თვით საათიც
და ისრებსაც წყდებათ წელი,
დრო დაჩქარდა...მასლააათში
გაილია უცბად წელი.

ის კი ცდილობს დაიჭიროს,
ორი წლისას ერთში ფარავს
და ჰგონია ნაცოდვილარს,
წლის ბოლომდე გადაფარავს.

ვერ მოირგებ უსახურო,
ვერ მოიგებ დროსთან ჭიდილს,
არ დარჩებით უპასუხოდ,
ღმერთს არ უყვარს, დროს ვინც ყიდის.

გულიკო კაპანაძე

ფიქრი

ამდევნებიან ფიქრები
ნეტავ როდემდე ვიქნები.
როდის ჩაქრება ჩემი მზე
იქნებ სულ მალე, იქნებ ზეგ.
ნეტავ რა ერქვა ჩემს ყოფნას
ჩემი შვილების გარდაო?
ჯობდა კი, ბევრი მყოლოდა
გამძნელებოდა დათვლაო.
ვერ მოვიშორე დარდები.
ხიფათი, ეკალ-ბარდები.
გულში გაჩრილი ტკივილი
სულში ქვა-ლოდად ნადები.
შუა ბილიკსაც გადავცდი.
უკვე თავდაღმართს ვზვერავო.
ვინაც მიყვარდა, კვლავ მიყვარს,
ვერ დამავიწყა ვერამო.
იმქვეყნად წასულს ნეტავ კი
ჩემი გრძნობები წამყვესო.
რაც ვთესე,ვიცი მოვიმკი
მონაგარს ვტოვებ ნამყენსო.
ამდევნებიან ფიქრები
ნეტავ როდემდე ვიქნები.
როდის ჩაქრება ჩემი მზე
იქნებ სულ მალე, იქნებ ზეგ.

წუთისოფელი

თვალი დავხუჭე, გავახილე, დიდი ვიყავი.
მერე დავხუჭე, გავახილე. "ის" აღარ მყავდა.
ვინ იცის, იქნებ, მორიგ ჯერზე ვერც კი გავიგო
ვერ გავახილე თუ?! საერთოდ, მეც აღარა ვარ.

მომენატრა...

მამა-პაპის ადგილები.
ჭირ-სიხარულს გამოვლილი.
ის მინდვრები უამრავჯერ
გადავლილი, გადმოვლილი.
ის ყანები, წლიდან წლამდე
გოჯა ბელტად დაბარული.
ბალახებში მოცელვისას
მწყერი, ჩუმად დამალული.
ალიონზე ტოროლას ხმა.
საღამო ხანს, მოლაღური.
ის ტყეები, რუდუნებით
მოვლილი და გაკაფული.
ცივ ანკარა წყაროს წყალი.
წყალს მწყურვალი დაწაფული.
ზამთარ-ზაფხულ გარჯა, შრომა.
ყოჩივარდით გაზაფხული.
ყველა ჭირი, ყველა დარდი
სიყვარულით დაძლეული.
არცა ვერცხლი, არცა ოქრო
წრფელი გრძნობა– განძეული.
ზამთრის პირზე ეზოებში
ჭირხლმორეულ ბალახებში
ხმელი ფოთლის შეგროვება
და გადაყრა გაღმა ხევში.
იმ ფოთლებში სისველისგან
გადახსნილი კაკლის გემო.
"ცა-ფირუზი", საოცნებო
იმერეთი ჩემი, ზემო.

ჰო, დაწერილა...

დარზეც, ავდარზეც.
ზაფხულ, ზამთარზე.
ყვავილზე, ხეზე.
მაისის თვეზე.
მთვარეზე, მზეზე.
აღტაცებაზე,
გატაცებაზე.
სიყვარულზეც და
უიღბლობაზეც.
ჭკვიანზე, შტერზე.
ძმაზეც და მტერზეც.
აცდენილ გზებზე.
გაფრენილ წლებზე.
მოღრუბლულ ცაზე.
დანისლულ მთაზე.
დაბინდულ თვალზე.
ცოცხალზე, მკვდარზე.
მიღწეულზე და
მიუღწეველზეც
და კიდევ ბევრზე.
მე კი ერთი ვარ...
ვინც დაწერს შენზე.

მონატრება

მინდოდა რაღაც უბრალოდ მეთქვა,
რომ მენატრები და მიწევს თმენა.
ხანდახან სადღაც მიქრება რწმენა.
მუქი ვხდები და მუნჯდება ენა.
და ვენარცხები მიწაზე თითქოს.
ვეღარ დავფრინავ ოცნებით ცაში.
ათი მცნება, კანონები, სჯული,
ხშირად მინდა, რომ გავაგდო კარში.
უშენობამ გადაფარა ყველა.
ლურჯი ზეცა აღარაა მშვიდი.
ერთ კვირაში დღეებია ბევრი
როცა სხვისთვის, ჩვეულებრივ შვიდი.

შეხვედრა

მე იგი შემხვდა გზაჯვარედინზე.
მოხუცებული, მუხლის კანკალით.
კაცი, რომელიც მომწონდა ერთ დროს,
აღარ ბრწყინავდა ძველებურ ალით.
მე შევაჩერე, მინდოდა ვეცნე.
სამაგიეროს სურვილი მკლავდა.
ფეხზე ძლივს იდგა. მე ახლა ვჯობდი,
შემომხედა და...იფეთქა ალმა.
ისევ ისეთი თვალები ჰქონდა.
ისევ ის მზერა და ხმა იგივე.
უმალვე მიცნო, წელში გასწორდა
თითქოს დაფერთხა წლების სიმძიმე..
მერე გაჩერდა ქუჩაში ხალხი.
აღარც მანქანის კოლონა ჰქროდა.
ჩვენ კი ვიყავით სადღაც წარსულში,
სალაპარაკო ორივეს გვქონდა.
დამშვიდობება ჰგავდა პანაშვიდს.
ვეღარ მნახავდა, ვეღარ ვნახავდი.
ჩვენს პანაშვიდზე ვუთხარით ერთურთს,
გულში ამდენხანს რასაც ვმარხავდით.

რომა...

ცა ჩამოსულა დაბლა
მიწას ეხება თითქოს.
ცივა. ძვლებამდე ატანს,
მათბობს მე შენი სითბო.
შემოღამება არ მკლავს.
არც ვერცხლადთოვა თმაში.
როცა შენ მყავხარ გულში
სულ სიმღერა მაქვს ხმაში.
სიცოცხლე რაა, არც რა,
თუ სული არ გაქვს წრფელი.
გარდაცვალების შემდეგ
თუკი გაქრობას ელი.
სიკვდილი რაა, არც რა
როცა სულია წრფელი.
გარდაცვალების შემდეგ
ახალ სიცოცხლეს ელი.

სევდა

სევდა დავმალე, გულის კარს
ჩუმი საკეტი დავადე.
მერე ნიღაბი მოვირგე
თითქოს არ ვიყავ ავად მე.
ლექსი დავწერე, ამ ლექსმა
გახსნა საკეტი და გამცა.
გადამალული ის სევდა
ვერ დაიტია ამ კარმა.
ზღვას მივეკედლე, ვეცადე
ზღვაში დამეხრჩო ის სევდა.
არ გაჭრა, ზღვაზეც, ხმელეთზეც
ის გამუდმებით, სულ მდევდა.
ჰო და, დავდივარ, დამყვება
სევდა ეს, ჩემი დობილი.
ვერ დამთმო, რაკი დაიგო
ერთხელ, ჩემს ფიქრში ლოგინი.

მეუღლეს

როგორ ჩამეწვი, ჩამიქრი,
ჩაიფერფლ, ჩაინაცრეო.
რა გზას, რა სავალს დაჰყვები
ნეტავ მქნა იმის მაცნეო.
დაგატარებენ ღრუბლები
თუ გმალავს წვეთი წვიმისა.
იქნებ ის ხმა ხარ, რომ მესმის
ეკლესიაში წირვისას.
მიდის, მიგორავს დრო-ჟამი.
ხან მიკვირს, ხან ვარ გულგრილი.
ვეცემი, ვდგები, ვიმარჯვებ,
ხან ლაჩარი ვარ, ხან გმირი.
ერთი სიკვდილი რა არის,
მომიკვდა გული ათასჯერ.
ნეტავ მას, ვინაც ივიწყებს
მე არ გამომდის, არა ჯერ.

ენკენისთვე კორბოულში

ხეთა ტოტებს ქარი ერთმანეთზე ახლის.
წვიმის ხმაზე მღერის სახურავი სახლის.
აბლაბუდას წვიმამ დააბნია ვერცხლი.
თითქოს ჩუქურთმაა ძველი ბუდე მერცხლის.
გადამსკდარა ლეღვი, გულში სიტკბო უდევს.
მიწა დაუფარავს რკოზე წამძვრალ ქუდებს.
უბრდღვიალებს წითლად ასკილის ბუჩქს ფერი.
ვაზის მტევნებს ააქვთ ბურთუკები ბევრი.
ვაშლის ხეზე ვაშლებს, დაბრაწვიათ მზერა.
არ აპირებს წვიმა გადაღებას ჯერაც.
სადღაც ღრუბლებს იქით, მზე წასულა ძილში.
მოჩხრიალებს წვიმა, გრძელ საწვიმარ მილში.

ნეტავ...

ნეტავ რის მაქნისია
უნაგირი უცხენო.
გული უსიყვარულო
ბუხარი კი უცეცხლო.
წიგნი გადუფურცლავი.
ლექსი წაუკითხავი.
განძი გადამალული.
გრძნობა, თუ არ უთხარი.
ცოდნას, თუ არ იყენებ.
და ნიჭს, თუ არ მოიხმარ.
გვარი, თუ გადიკეთე,
თუ დამალე ვინცა ხარ.
ნეტავ რის მაქნისი ხარ
თუ მტერმა დაგიმონა.
თუ არ გახსოვს დედ-მამა.
არ გწამს დობა ან ძმობა.
თუკი სხვებზე არ ფიქრობ.
უძლურს თუკი არ სწყალობ.
სიტყვით, საქმით, ქმედებით
თუ მოყვარეს არ წამლობ.
ეს ცა ყველას მოგვიწყენს.
წავალთ, გავილალებით.
სიყვარულის გრძნობაა
ძოწ, მარგალიტ, ლალები.

ღვინობისთვეს...

ღვინობისთვეს ვესტუმრები სოფელს.
იყოს მერე, რას დამიშლის წვიმა.
გამოვძებნი მამის ნაქონ ქურთუკს
ჩავიცმევ და...სულაც აღარ მცივა.
დავუყვები წყაროსაკენ ბილიკს.
მისხალ-მისხალ გატკეპნილს და ნაცნობს.
მრავალდარდა ერთი მუჭა გული
ამ ბილიკზე ძველებურად ანცობს.
ძველ ხულაში ფიჩხის კონას დავშლი.
გავახურებ მამისეულ ღუმელს.
ჩამოვასხავ თლილ ჭიქაში ღვინოს.
ყურს დავუგდებ ცეცხლთან ფიჩხის დუელს.
მერე ზამთარს შევატოვებ სახლ-კარს.
უიმისო ღამეები დამღლის.
ხელმეორედ შეხვედრამდე, ვიცი,
გამომკვებავს მოგონება ამ დღის.

უმზეოდ

ამოგიცვია ქალამნად
ცაო, ეგ ლეგა ღრუბლები.
მივდივარ, თითქოს მომყვები
უკან ერთადვე ვბრუნდებით.
საავდროდ გამზადებული,
ცრემლებს ღრუბლებში აკავებ.
მეც. ვის შევტირო. ჩუმად ვარ.
ის შორსაა და აქ ვარ მე.
წუთისოფელის მოკლე გზა
თავს სულ ხშირ-ხშირად მახსენებს.
ბევრი მყავს სასიყვარულო,
რად ვებეჩაო დარდ-სენებს.
ცაო დავდივარ, დამყვები.
ხან მზე გაქვს, ხანაც ნისლები.
მე უნისლობა არ მომკლავს
უმზეოდ გარდავიცვლები.

ოქტომბრის დღე კორბოულში.

ისეთი ცაა, ღრუბლის ერთი ნაგლეჯიც არ ჩანს.
წითელ კუნელზე ჩამომსხდარა ჩხართვების გუნდი.
შეთხელებია ოკრობოკრო ფოთლები მუხას.
ფესვებთან უდევს რკოებიდან წამძვრალი ქუდი.
ისეთი ცაა, გარინდულა ჰაერი თითქოს,
ქვევრში ჩასხმული ყურძნის წვენის სიმღერა ისმის,
ღვინობისთვეა იმერეთის ლამაზი ცის ქვეშ,
მზე გაბადრულა ცის თაღზე და სიყვარულს გვიხსნის..

ადამიანო

ადამიანო, ვინა ხარ,
რატომ და რისთვის მოსულხარ.
ასი წლის უკან სად იყავ.
ასი წლის შემდეგ სად წახვალ.
ხომ ხედავ, ერთი ბეწოა
შენი სავალი ბილიკი.
სიკეთე ჰქმენი, გიყვარდეს.
გესმოდეს სხვისი ტკივილი.
რა გქონდა როცა მოხვედი,
ან რას წაიღებ თანაო.
გულში რაცა გაქვს ნადები
თქვა გამოხედვით თვალმაო.
ადამიანო, სიცოცხლით
მოგეცა უკვე სიმდიდრე.
მოყვასის გვერდზე დადგომით
ჩანს შენი სულის სიდიდე.
ადამიანო, ვინა ხარ
რატომ და რისთვის მოსულხარ.
ასი წლის უკან სად იყავ.
ასი წლის შემდეგ სად წახვალ.

თეა ბარბაქაძე

ჩემი ეფემერული...

მუმიასავით შეგიფუთავს რაც გაქვს ღვთიური,
მე გაყინული – შიშველ სულით,
რა გვაქვს საერთო?
გავიღე შენთვის რაც გამაჩნდა ეფემერული,
რომ საუკუნოდ მარადიულ ლოცვად დამენთო.

შემოვასკდები მარადიულ დროთა დინებას,
ვერ განაზომი მიწიერი ყველა საზომით,
მხოლოდ ზეცა თუ დაიტევდა, ასე ინება,
როცა საკუთარ თავს მოვუგე მრავალი ომი.

მარმარილოზე გადაწერენ ჭეშმარიტებას,
მეც ეფემერულს მომნათლავენ ალბათ გენიად,
სურვილი –
ჩაკლულ ღმერთზე მეტი (მეპატიება)
ვიყო პოეტი, მიწიერზე უფრო მეტია...

და რა გატირებს ჩემო თავო, როცა გჯიჯგნიან
შენ, უკვდავების ყველა ზღვარზე მაღლა ასული...
სასაცილოა, დღემდე არსად, არსად იციან,
რა განძი მქონდა შენს უბეში გადამალული...

შენც ჩემს ქვადქცეულ უკვდავებას თუ ეზიარე,
შენშიც იფეთქებს დაგროვილი ჩემი მელანი,
შენც ჩემი სისხლის, ჩემი ხორცის ხარ მოზიარე,
ეფემერული წიაღიდან ჩემი მდევარი.

ჰემატრია...

ღმერთი ხარ ჩემი,
მრავალ ღმერთთა პანთეონიდან
და ჰემატრია შენი, ყველა ღმერთზე ღვთიური,
ყველა პირჯვარზე და ლოცვაზე ეგ თეორია
არის უხრწნელი –
შენი მრწამსით, შენი სხეულით...

გამოვიგონე ჩემი თავი დიდი ხნის წინათ,
და დაცემაც და ამ ტანიდან გასვლაც ვიგემე...
ამ ამოკვემსილ უჯრედებში ისევე ძინავთ
საღათას ძილით – გონებაში ჩაძირულ გემებს...

გემებს, რომლებმაც ჩაიტანეს
ფსკერზე ღალატი,
შენგან გაფრენას ვინც ელოდა
ფრთები შეგაჭრეს...
ისევ იმგვარად აძგერდები აწ და მარადის
და საუკუნოდ იღაღადებ ღმერთის ენაზე.
...

ღვთისმშობელი ხარ, აბა ვინ ხარ?

ღვთისმშობელივით მეც
მირწევდი აკვანს – ღმერთსავით,
და განა ერთი, მეათასე ღამეც მითიე...
როცა მტკიოდა ჭრილობაზე მედე მზესავით
და უშენობას როგორ ვძლიო, ვერ დავიტიე...

შარშანდელივით გამიყვითლდი,
გამიფერმკრთალდი
და რა პალიტრით მომიხატე სულის საუფლო...
ღვთისმშობელი ხარ, აბა ვინ ხარ, როცა მეძახი
მოგიცუცქდები ბავშვივით და
ღმერთზე ვსაუბრობთ...

ბაგაში ვიშვი...

მეც უფალივით (ხშირად ვფიქრობ) ბაგაში ვიშვი
და ბაგის სუნიც ხშირად მსდევდა როცა ამკინძეს
და ამის გამოც ხშირად მქონდა ვაი და ვიში,
რომ ბაგის სუნით გაჟღენთილი მქონდა საკინძე.

ხშირად ჩამქოლეს ტალახით და ტოლთა ქილიკიც
ხშირად ჩავყლაპე, ბავშვობავ – რომ გამომეტირე...
ახლა ის წლები მენატრება და ის კისკისი
ბრძენთა კარავში შეპარული გამოგეჭირე.

სუფრიდან ხშირად – გაკიცხულიც, გამოგდებულიც
ვიმალებოდი, რომ მტირალი არვის ვეხილე,
ღვთისმშობლის კალთას შეყუჟული, დავანებული,
ხშირად მიწვევდნენ ამბიონზეც – ღმერთს რომ ვეხილე...

რომ ჩემი ხელით ღაღადებდი და ჩემი ენით
და ვასწავლიდი ტალახისგან როგორ შეგვზილე,
ზოგისთვის ვიყავ შემოქმედი, ზოგისთვის ხელი,
ზოგისთვის მცნება ათივე და ნეტავ ვეხილე...

შენზე ვაბოდებ...

ბგერებად ცეკვავს ქვაფენილზე შენი სიცელქე
და გრაციოზულ თავმდაბლობით ფეხქვეშ მეგები,
ასე ლამაზად თუ შევძელი ერთხელ გეცეკვე,
ვერ გადმოსცემენ ვერა კაცნი, ვერა ღმერთები...

წვეთ-წვეთ გაგროვე მირონივით შენი ლექსებით,
შენ ისეთი ხარ – შენით ვსუნთქავ, შენზე ვაბოდებ...
ეგ სტრიქონები, როგორც ჩემი ლექსის მწყემსები,
ჩამოთლილ თითებს ატოლებენ ღვთიურ აკორდებს...

გაგეჯიბრები სიგიჟეში, ვითომ მეტი ვარ,
გაგროვე, მაგრამ სტრიქონ– სტრიქონ ვერ აგაგროვე,
როგორ მინდოდა შენს სარკმელთან წვიმად მეტირა,
შენს ნატერფალში ამოვსება რად არ მადროვე...

შენ ემბაზი ხარ ჩემი რწმენის ლექსით ნართველი,
რაც კი დავწერე ჩემი სუნთქვა გამოვაყოლე...
რა ქარვისფერი მაგიით ხარ გადანართვილი
და გრაციოზულ თავმდაბლობით სულსაც აყოლებ...

ლოცვად გაგროვე...

შენს თვალებიდან როცა ზეცა ჩემში გადმოდის
და ხატმწერივით ჩემს ნაკვთებში ლოცვად გაგროვებ...
მოლბერტს გაკრული რიჟრაჟიდან ღმერთად ამოდი,
ვნება დაცლილმა შემოგიცვა, ცოტაც მადროვე...

ცოტაც მადროვე ლავიწებში ჩაგისახლდები,
შენი ტანიდან სტრიქონ-სტრიქონ ლოცვად გაგროვე...
როცა გგონია დაიწვები ხელს თუ მახლებ და
ჩემს სილუეტსაც ისე უსმენ, როგორც მაჟორებს...

ფეხის წვერებზე შემოპარულ სხივებს გიკრეფ და
შენი ტანიდან წამოკრეფილ ნოტებს ვაგროვებ,
რომ სიზმარივით არ დასრულდე დიდხანს გიმზერ და
ყოველი წამი შენი სუნთქვის დავიმახსოვრე...

ნუ დამაბრუნებ საიდანაც ამიტაცე და
თავბრუ დახვეულს შენს მკლავებში ლოცვა მადროვე...
მოლბერტს გაკრული რიჟრაჟიდან გამიტაცე და
მოდილიანის ფუნჯებიდან ლოცვად მაგროვე...

რაღაც სხვა მსურდა...

როგორ სიფრთხილით მოდიხარ და მეხები თუნდაც,
რაღაც სხვა მსურდა, სიცოცხლეზე უფრო ზე-მეტი...
ყველა მიწიერს რომ გავცლოდი, ტალახის გუნდად
გარდავქმნილიყავ თუნდაც, თუკი გამიმეტებდი

და მერე ვისი ბაგეთაგან იღაღადებდი,
ან ჩემი მსგავსი იქნებოდა სადმე გენახა?
ჩემსავით – ცელქი, თავნება და თუნდაც თავხედი,
რომ ყველა ბოდვა ლიტურღიად გარდაესახა...

სადაც არ უნდა ვიყო ყველგან პირჯვრად დამყავხარ,
თვალებს ვხუჭავ და შენს პირჯვარზე ჯალათთ ვნებდები,
რომ შენში მყოფსაც ღვინო ძმრად და ბალღმად მომმადლდა,
ვინ ვარ რომ ჯვარცმას შევადარო ჩემი ვნებები...

ყველა ვენა რომ ამოვკემსო, მელანის სუნი
მაინც მიდის და შენს წარღვნასაც ვერ გავექეცი,
მზად ვარ პირჯვარზე დაგიბრუნო პოეტის სული,
სული – რომელიც ამ თიხაში ვეღარ ვეტევი...

ათასჯერ შევცოდავ...

სტიქარსაც გავიხდი – ოღონდაც გიყვარდე,
ღმერთით თუ უღმერთოდ, ცოდვა თუ მადლია...
შენ ოღონდ მაგ რწმენით ზეცამდე მიგყავდე,
ცოდვებზე არ ვჩივი – დედაო მარიამ...

ათასჯერ შევცოდავ, მაგ ღიმილს ვეღირსო,
ვეღირსო – ღაწვებზე ცრემლებად გდიოდე...
ვეღირსო– მე შენთვის რაიმედ ვეღირო,
მაგ მკერდზე ამოყრილ იებად ვღვიოდე...

ღიმილი ცას მომსკდარ მზესავით გიელავს,
ვარსკვლავთა ციალი გიელავს თვალებში,
ძარღვებში შენი ხმა დადის და მიელავს,
არიად ჩამესმის შენი ხმის ხავერდი...

ამშალე ცას აყრილ ვნებად და ფიქრებად,
გულამდე ჭაუხებს პულსივით ჩაჰყევი,
ძარღვებში სისხლს შენზე რითმები მიჰყვება
და ყველა პლანეტა გიელავს თვალებში...

* * *

საწნახელიდან ჩამოწურულ მირონს მაგონებ,
ქრისტეს სისხლივით შემიდედდი, როგორ ჩამოგბან,
როცა გეძახი მთელი არსით, ისე მაგონებ –
თითქოს ზეციდან ქრისტე ღმერთი მიწად ჩამოგყავს...

ადუღებულხარ ძარღვებში და ცდილობ ამოსკდე,
ამოიყოლო – ვაზის ცრემლი, მიწის სურნელი...
ვეღარ გიტევ და ლამისაა სადღაც წამომცდე,
სენად შემყრიხარ – კიბოსავით განუკურნელი...

მოწამლული ვარ შენს დაჭორფლილ მკერდზე ფერებით,
შენი ტანიდან იის ნაცვლად ქრისტე ამომყავს...
შენი ზედაშით ნაზიარებ, უფლის ცრემლებით
ნაკურთხ მიწაზე – ალავერდით შენთან გადმოვალ...

ცა აიჭრება შენს ალერსად მოსულ მერცხლებით,
პირჯვრიდან ვცდილობ შეგეშველო, ფრთხილად გარდმოგხსნა,
რამ გვაიძულა – გადავცვალეთ ღმერთი ვერცხლებში
და საუკუნოდ ველოდებით სულის გამოხსნას...

ნელი ტორონჯაძე

სამშობლოს მონატრება

მე უსამშობლოდ არ შემიძლია,
ჩემი ფიქრები იქ არის ყველა.
დროა რომ ყველამ გამოვიფხიზლოთ,
დღეს საქართველოს,,ენგრევა"კერა.

ახალგაზრდები ბევრი გაიქცა,
სხვა სახელმწიფოს შესთხოვეს შველა.
შვილები თუკი ყველა წავიდა,
ჩემო სამშობლოვ! ვიღას სთხოვ შველას.

გული მიკვნესის,რამდენ სოფელში,
თითქოსდა დარჩა ნასახლარები.
დაცარიელდა რამდენი კუთხე!
ურდულით დარჩა ბევრის კარები.

ამით ხალისობს გადამთიელი,
მაგრამ წინაპართ ძვლები ტრიალებს.
რა დავაშავეთ ქართველმა ერმა!
უფალო! სულ ნუ გაგვატიალებ...

ემიგრანტობა ჩვენთვის ტანჯვაა,
სამშობლო გვიყვარს და მისი მიწა.
,,გაქცევას" ხელი აღარ შეუწყოთ,
ჩვენც ვერ ვჩერდებით საზღვრების მიღმა.

ცხოვრება რთული რამ არის

ცხოვრება რთული რამ არის
გამოსაცნობათ ძნელი,
გაგიჭირდა?გაუმკლავდი,
არ ჩაიქნიო ხელი.

რთული გზით დახვალ?
იმშვიდე,ბედნიერება გელის.
საფეხურს ფეხი დაგიცდა?
ვინ შეგაშველა ხელი?

აღმა სვლა თუკი დაიწყო
ირგვლივ ადევნე თვალი,
ვინც დაგეხმარა დავრდომილს,
გადაუხადე ვალი.

ვინც მეგობარი გეგონა
მასზე არ დაგწყდეს გული.
ერთი და ნაღდი ჯობია
ბრძენს ხომ ასე აქვს თქმული.

ცხოვრება გაკვეთილია
არ აცდენ,ბევრსაც სწავლობ,
ლხინი ხომ ბევრჯერ გეწვია
რა მოხდა ხან თუ წვალობ.

აროდეს არვის დასცინო
სხვის ცუდით არ იხარო!
ცხოვრება რთული რამ არის
ეცადე გაიხარო.

არ შეუშინდეთ

გზად თუ ღრუბელი წამოგეწიოთ
არ შეუშინდეთ, განაგრძეთ გზები.
გზა და გზა ღმერთი თვალყურს გადევნებთ
გადაიყრება მალე ღრუბლები.

სულ დალხინებით ვერვინ იცხოვრებს,
არ დაგიმონოთ მელანქოლიამ.
დრონი მეფობენ არა მეფენი,
სხვა დანარჩენი მონაგონია.

ირგვლივ ვიცქიროთ იმედის თვალით,
დაცემულს ჩვენს თავს ნურვის ვაჩვენებთ.
უფსკრულისკენაც გვიბიძგებს ბევრი,
მხოლოდ უფალი ხელს მოგვაშველებს.

ლოცვაში არასოდეს მოვდუნდეთ,
მამაო ჩვენო! ხშირად წარმოვთქვათ.
ვინმემ აუგი თუკი გვაკადროს
თავს ნუ ვუტოლებთ,ვინც რა უნდა თქვას.

ენას რა მოღლის უსაქმურისთვის,
როგორც წისქვილში იმ დოლბანდის ქვას.
წყალი წავა და წყალი წამოვა,
თქვენ გაგიმარჯოთ! ვინც სიკეთეს ფქვავთ.

მე ემიგრანტი მქვია

მე ემიგრანტი მქვია
და გული მწყდება წლებზე,
ჩემი ფიქრები დავტოვე
იქ თვითმფრინავის ფრთებზე.

გადმოუფრინა სამშობლოს
მის წარმტაც მთებს და ზვრებზე,
რამდენჯერ მივდი მოვდივარ
წლებმა მათოვა მხრებზე.

მაგრამ სამშობლო გულში მაქვს
ვატარებ ჩემთან ერთად,
მხოლოდ ერთსა გთხოვ სამშობლოვ
რომ განერიდო მტერთან.

ვიცი მოყვარე გყავს ცოტა,
მაგრამ ბევრი გაქვს ლოცვა.
ემიგრანტები ძილის წინ
ყველა სამშობლოს ვლოცავთ.

ყოველ წუთსა და ყოველ წამს
ჩვენ ჩვენს ოჯახებს ვლოცავთ,
მომავლის კარგი გვესმოდეს
ყველა გავუძლებთ დროჟამს.

*****

ერთი გული მაქვს
ნატვრა კი მრავალი,
მე წამავალი ვარ
მრჩება მომავალი.

ამ ჩემს გულს გაჩუქებთ
შიგ ლოცვაა მრავალი,
დედის რძესავით შეგერგოთ
ჩემი ლოცვა ვით წამალი.

ყოველთვის გჯეროდეთ
რომ ნატვრა სრულდება,
ნატვრის დროს უნდა იყო
გულით ალალმართალი.

არასდროს იჩქაროთ,
დროს წინ ნუ გაუსწრებთ
უფალმა კარგად იცის
ჩვენი გზამართალი.

******

არ მინდა არასდროს ვატირო კალამი,
არ მინდა არასდროს მხედავდეთ დარდიანს.
საკმაოდ იწვიმა, იქროლა ქარებმა,
მინდა რომ სიხარულით იბრწყინოს თვალებმა.

რამდენჯერ იდუღა დარდებით კვაწიამ,
რამდენჯერ გავები გახლართულ მახეში.
რამდენი სიკეთე ვაფრქვიე გზადაგზა
რამდენჯერ სანაცვლოდ სილა მაწნეს სახეში.

მტერს გობით,მტერს გობით, მესმოდა ღაღადი,
წინ წადი,წინ წადი დარსა თუ ავდარში.
უკან არ მიხედო დარდიან ბილიკებს
დაეშურე დარჩენილ წლებს,მოერიდე ტკივილებს.

ყველას გვყავს ანგელოზი დაგვყვება მხარდამხარ,
მეც ჩემმა ანგელოზმა უფსკრულებს მაცილა.
რამდენჯერ შხამი მისხეს სასმისში ვინ იცის,
იმდენჯერ მფარველმა ანგელოზმა გადამარჩინა.

ეს გული სიკეთით სავსე მაქვს ყოველთვის,
ყოველთვის ვპატიობ სხვას გულის ტკივილებს.
ბავშვთან მეც ბავშვი ვარ,მეც ვცელქობ მასავით,
მინდა რომ გარშემო ვაფრქვევდე ღიმილებს.

აღმა დაღმა

თუ ცხოვრების საფეხური
დაუყვება ზოგჯერ დაღმა,
ვცდილობ ფეხზე დავდგე მედგრად
გულმა რომ არ იგრძნოს დაღლა.

ამ სამყაროს რას გაუგებ
მახეს გიგებს როს არ ელი,
მაშინ უფალს უნდა ენდო
საშველად გიწოდოს ხელი.

აღმა დაღმა სვლა ვერ მაქცევს
უსუსურს და მიუსაფარს,
მაგალითები რომ მოვყვე
ცრემლს დავაფრქვევთ ფურცელ კალამს.

თავს არ ვიქებ მაგრამ ღმერთმა
მომავლინა ძლიერ ქალად,
ნაბიჯ ნაბიჯ ვთვლი შეცდომებს
გზაში რომ გადამეყარა.

შეცდომები რომ ვასწორე
ღმერთმა უფრო შემიყვარა.
სადმე რომ წავიფორხილე
იქ ,,მიწა" არ მომაყარა.

ოჯახისთვის თავს გავწირავ
ჭირს და ლხინში ვდგავარ მყარად.
ვინც ოჯახს წინ დააყენებთ
ჩემი თავი გენაცვალათ.

მიყვარხართ

სიყვარულს მე ჩემსას არავის გაძალებთ,
უბრალოდ სიძულვილი მე არ შემიძლია.
ვინც შემხვდით გზა და გზა ღმერთმა გაგიმარჯოთ
ბოროტება არასდროს გულში გამივლია.

რამდენჯერ ნაღვლიანი მარტოსულს მივლია,
გულში ვტიროდი და სხვისთვის არც მითქვია.
ვისაც მეგობრობის ხელი გავუწოდე
გულში ლახვარი მცა არც ეს დამიფქვია...

ბევრმა დახმარება თავად გამიწია
მეც სამაგიერო პატივი მიცია,
მეგობრად შემომრჩა ნაღდი და ცოტა
ჩემს წინაშე ბევრმაც უფალთან სცოდა.

მე არ გავბოროტდი, გულით ვარ რკინა,
აღსარებისთვის უფალთან დავდივარ და მივალ.
ყველა მიყვარხართ,გულში ვინც დარჩით,
სიუძლვილს არ ვიმეტებ არავისთვის არასგზით.

ბევრისთვის ჯერ კიდევ მრავლად მაქვს სათქმელი,
რომლებთანაც ვალში ვარ,გვერდით მედგნენ ვით მცველი.
უფალი გადაგიხდით,მეც მადლობას გიხდით,
თუმცა ,,თეთრს და შავს"ცხოვრებაში გვიან
მივხვდი!!!

კოლხი ქალი

ლამაზი კოლხი ქალი,
მტერსაც დაუდგეს თვალი.
დაგლოცოს სალოცავებმა
გესვას სიკეთის წყალი.

გაცნობით კმაყოფილი ვარ,
მივხვდი ხარ სათნო,წყნარი.
სხვაგვარი ვეც იქნებიდი
კოლხეთში გაზრდილი ქალი.

კალამს გიქებ,მომწონს შენი მუზა,
მხოლოდ სევდას ბევრს ნუ გამოურევ.
მომღიმარი გაუყევი შარა გზას
წინ შეხვდები დღეებს ლაღს და ულევს.

პატივისცემით:
ნელი ტორონჯაძე მუჯირი
ნელი ტორონჯაძე

პირველი გრძნობა

ბავშვობის გრძნობა იყავი
მიყვარდი,გიყვარდი და რა მოხდა?
ჩვენი გზები გაიყარა
მრავალი წლები გამოხდა.

ჩემს კვალს როგორღაც მოაგენ
ტელეფონის ზარი მომწვდა.
შეხვედრას მეხვეწებოდი
მაგრამ სიტყვა ცივად მომხვდა.

წლები ყველაფერს ანელებს
თუმცა გულში რაღაც შემრჩა.
ისე წახვედი იმ ქვეყნად
ჩვენი შეხვედრა არ შედგა.

როცა რაღაცა მთავრდება
აკოწიწო რა აზრი აქვს,
სამწუხაროდ გული სხვაა
ვერ უბრძანებ და დარდი აქვს.

როცა დაბრკოლებას ხედავ
სულ ფიქრობ მასთან რომ ვიყო?
ცდები უფალმა იცოდა
და გზებიც მიტომ გაიყო.

წარსულზე ნურვინ ვიფიქრებთ,
დარდით ნუ შევიმოკლებთ წლებს.
მითუმეტეს როცა გული
მხოლოდ მომავლისთვის გიძგერს.

ქალი

ქალი მიყვარს ბუნებრივი,
ქალი მიყვარს თავის ეშხით,
ქალში მომწონს ზომიერი
სითამამე ,ზოგჯერ ,,ცელქიც"

ასაკი რომ არ დაჯაბნის
თუმც ჭაღარა ჩანდეს თმებში,
ოჯახს თავს რომ ანაცვალებს
ვაჟკაცვით უდგას გვერდში.

თავის დროზე რომ მოილხენს
დარდი ჰქონდეს თუნდაც გულში,
სამშობლო რომ გულით უყვარს
შვილებსავით რომ ჰყავს გულში.

მტერ– მოყვარეს რომ გაარჩევს,
ბოროტება არ აქვს სულში ,
უფალი გზას გიკვალავდეთ
თქვენს გადადგმულ ნაფეხურში.



სულის სიმარტოვე სასჯელია

შემოაღამდა მარტოს
ჩაფიქრებულა თოლია.
გვერდით არავინ არა ჰყავს
და დარდმა აიყოლია.

აღარც ბუდეში ბრუნდება
ზღვის ტალღას ანდობს ფიქრებს,
მთვარესაც დაელოდება
დილით დახვდება კვლავ მზეს.

მე კარგად მესმის თოლია
გულში რადა გაქვს დარდი,
ლაღად ფრენას ერიდები
თითქოს ამით შენს თავს სჯი.

სულის სიმარტოვე სასჯელია
უნდა კვლავ იფარფატო,
შენს მეგობრად ტალღებია
ტალღები არ გტოვებენ მარტო.

მარტოსული ადამიანიც
ხშირად ფიქრებს უფალს ანდობს,
ყოვლისშემძლე უფალი კი
არავის დატოვებს მარტოს.

სულ შენზე ვფიქრობ

ზღვას რომ გავცქერი სულ შენზე ვფიქრობ,
ვინ დამიბრუნებს წარსულ წლებს და დროს.
სიცოცხლე ჩქეფთა შემოგარენში
ტალღის ჰანგებში სიცოცხლე იყო.

ეხლა კი გვერდით არავინ არის,
სიხარული რომ გავიზიაროთ.
ტალღებს გავანდობ ჩუმად ჩანაფიქრს,
იქნებ მოგწვდეს და გაგიზიაროს.

ვზივარ და რამდენ რამეს ვიხსენებ,
ხან ვიღიმი და ხან ცრემლი მცვივა.
ვის გინდა გული გადაუშალო,
გული რომელიც ძალიან მტკივა.

აღრც თოლია გამოჩნდა არსით,
რომ დავადევნო მას აკორდები.
ოხ! მოგონებავ როგორ ვტანჯულობ
ვიცი რომ აღარ განმეორდები.

******

მეგობრებიდან გამოგყოფ
პირველ ადგილს მოგანიჭებ.
ჩემო მარინა არჩვაძე
სულ ვიხსენებ ჩვენს განვლილ წლებს.
ჩემი დიდან გაგიცანი
შევიძინე მეგობარი.
თეთრიც იცი,შავიც იცი
ხარ გამგებიანი ქალი.
გავიხსენოთ ლიკავიტო
მარტო ჩვენ ორნი ვიყავით,
დედაზე წავიღიღინეთ
მტერსაც დავუყენეთ თვალი.
არც ის არ დამავიწყდება
დაბადების დღე ეკალში,
შენ და ნუნუმ მომაკითხეთ
დამიმშვენეთ ორივემ მხარი.
ვულაგმენზე დაგვაღამდა
დაგვნათოდა მთვარე წყნარი.
ეხლა ნუ გაგეცინება
იქვე დამჩა ორი თვალი(მზის სათვალე)
რამდენი ერთი გავიხსენო,
გულში იცი ბევრი რამ მაქვს.
უფალი ყველას გადაგიხდის
რა სიკეთეც ჩემთვისა გაქვს.
ემიგრანტი აღარა ხარ
საქართველოს მიაშურე,
ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს
შეძენილი კედელ ყურე.

მიყვარხართ გულით

მიყვარხართ გულით, გწამდეთ!
დედამიწიდან ცამდე.
სიძულვილი არვისა მაქვს
ბავშვობიდან აქამდე.

იქნება დამწყდა გული
მე წყნარად გავერიდე,
სიძულვილი კი არასდროს
არა აქვს გულის კიდეს.

მე ვინ ვარ სხვა რომ განვსაჯო,
უბრალოდ მიწას დავალ.
კიბეზე ხან ჩავდივარ,
ხან საფეხურზე ავალ.

არ გავბოროტდი არასდროს,
მარტოდ თავზე გავბრაზდი.
დროზე რომ არ გავეცალე
ყალბ მეგობრებთან კავშირს.

ცხოვრება თავის გზით მიდის,
უფრო ვარ წყნარად,მშვიდად.
ყოველი ბოღმის გარეშე
ჩემს გზას მივყვები დინჯად.

ნაღდ მეგობრებს კი არ ვკარგავ
ხელი ჩავჭიდე მჭიდროდ,
მეგობარს როცა გენდობა
მასთან არ უნდა იფლიდო!!!

******

ეხლა მინდა რომ ვუცქერდე მთაწმინდიდან თბილისს,
საბერძნეთი მხოლოდ მღვრიდეს მოგონების ღიმილს.
ვერა ვერავინ ჩასწვდება ჩვენი გულის ტკივილს,
გულში სევდა გვიგროვდება,უცხო მხარეს გვიჭირს.

ბევრჯერ წერა მიძნელდება თვალზე ცრემლი მცვივა,
საქართველო მენატრება ქართველთ ხვედრი მტკივა.
ვინ სადა ვართ მობნეული მარგალიტის მძივად,
ღამე დღედ გადაგვქცევია,ყველას ფიქრებს ,,ცივა".

ალბათ მალე ის დროც მოვა, ჩაგუხუტებთ ტკბილად,
უცხო მხარეს მადლს დავტოვებთ, რომ მიგვიღეს შვილად.
ჩემო კალმით დახატულო საქართველოვ გდარდობთ,
მსხვერპლად ბევრი შეგეწირა მაგრამ დღესაც ავდრობ.

ღმერთო მშვიდობა გვასმინე სამშობლოდან მუდამ,
არასოდეს საქართველოს გზა არ ჰქონდეს მრუდად.
გეფერებით საქართველოვ,ჩვენ ფიქრებში გიცქერთ,
იქნებ მალე ჩვენც დავბრუნდეთ,
ჩვენთვის დადგეს ის დღეც.

თოლია

შენს გამოჩენას ყოველდღე ველი,
თოლია დაფრენ მარტოდ ეული.
სარჩოს დაეძებ ზღვის ტალღებს შორის,
ვინ იცის სიდან ხარ მოჩვეული.

თეთრო თოლია, მეც მარტოსული
სანაპიროს ვარ შემოჩვეული.
ისე მიტაცებს ეს მყუდროება,
გულში ჩასახლდა რაღაც გრძნეული.

თეთრო თოლია არავინ იცის
როდიდან დაფრენ ,,ფრთამომტვრეული "
ამიტომ გხედავ სულ მარტოდმარტოს
ზღვა გაგიხდია სულის რჩეული.

ხვალ ისევ დათქმულ ადგილას მოვალ
თვალს გაგაყოლებ როგორ ნარნარებ.
შევუერთდები ტალღების ლტოლვას
დარდიან დღესაც აქ გავატარებ.



განგაშის ზარი!!!

ჩამოვკრათ განგაშის ზარი,
რა გვემართება ხალხო!
ტრაგედია დატრიალდა
ზოგი ამითაც ,,ვაჭრობს"

რამდენჯერ უნდა გვანიშნოს
უფალმა დავდგეთ ერთად,
ერთად ვილოცოთ ყველასთვის
სამშობლო გვქონდეს ღმერთად.

ერთის ტკივილი გვტკიოდეს ყველას
ხმა მივაწვდინოთ უფალს.
რომ ერთი ვიყოთ საქართველოსთვის
გავერთიანდეთ თუ გწამთ!!!

ქიშპობამ უფსკრულთან მიგვიყვანა
მავანი გვიცქერს შორით,
ადამიანო გამოიფხიზლე
რა მოგება გვაქვს ,,ომით"!

სხვა ლუკმას როცა შრომით შოულობს
შენ ფულებს ითვლი ბოღმით.
საქართველო შენ ყოველთვის გმტრობდა
შადიმანები მოდგმით.

ქართველნო ! ვისაც კიდევ შემოგვრჩა
გული და სული სუფთა,
ვილოცოთ! ყველამ ერთად ვილოცოთ!
არ დავიზაროთ თუ გწამთ!

გულს მაჩუქებ?

გულს მაჩუქებ?გულს გაჩუქებ,
ჩემთვის მოვაქუჩებ.
სიყვარულით შემოვივლი
ჩვენს გარშემო ქუჩებს.

გოგოვ დღე და ღამე ვფიქრობ
გიკოცნიდე ტუჩებს,
შუა ღამით გელოდები
სიყვარულით გავყვეთ ჩვენს გზებს.

მალე ზაფხული მთავრდება
ვერ გავუძლებ სიცივეებს.
გულის გამთბობად შენ გიხმობ
მოდი შემოგეჭდო წელზე.

ისეთ სიყვარულს გაჩუქებ
იფარფატებ მინდორ ველზე.
სიყვარულის ისტორიას
ბევრი დაწერს მერე ჩვენზე.

******

ძილმორეული მივესვენე სასთუმალს მშვიდად,
ძილი გამიკრთო მონატრების ფიქრების
წვიმამ.
შემომატარა ფიქრმა თითქმის მთელი
სამყარო
არ მინდა მალე გათენდეს შენთან
გამყაროს.

თავს ვერ ვერევი,არ მასვენებს მოგონებები,
ადრე ჩამოწვა ღრუბელი ცხოვრების გზაზე.
მომღიმარი მინდა ყველას რომ მოვეჩვენო,
სასთუმალი კი ღამით ცრემლებს მიმშრალებს თვალზე.

მაკლიხარ ძლიერ,მესაიდუმლე არავინა მყავს,
დავღალე გული შენახული რამდენი რამ მაქვს.
მომენატრა შენთან ერთად,მომწყინდა
მარტო,
მარტოობისთვის გამიმეტე უფალო
რატომ?

როცა ვიღიმი ამ ღიმილსაც რაღაც აკლია
პაპანაქება სიცხეშიც გულში მარტია.
ცხოვრებაში უფალს სთხოვეთ არ დარჩეთ მარტო,
მარტოობა სულს ტანჯავს და არც გული ლაღობს...

დარეჯან ღონღაძე

ნამდვილს ვეძებ, ნამდვილს ყველგან,
მენატრება სუფთა მზერა,
დაიზაფრა ირგვლივ ყველა,
დაიღალა ცოდვით ზეცა.
ღიმილს ცოტას დაინახავ,
ხშირი გახდა სევდა, წყენა,
აჩქარებულ წუთისოფელს,
ემატება ზე აღრევა.
სინამდვილემ შეიმოსა,
ყალბი სახე, ყალბი ხედვა,
უფერული გახდა დღე და
დაიკარგა სადღაც რწმენა.

* * *

მონანიება უნდა შეძლო ცოდვების გმობით,
შენივე ცოდვის სინანული, დაიწყე გლოვით,
საკუთარ თავთან გაიმარჯვე სიმართლის თხრობით
და არ დაუშვა სინდისის ხმა დადუმდეს ბოდვით.
შეძელი გზები გაიკვალო, რწმენით და ბრძოლით,
ყველა გზის ბოლოს დაინახო ტაძარი თრთოლვით,
წარსულის ცოდვებს განერიდე, გაშორდი შორით,
მშიერს, მათხოვარს, დაეხმარე, სულ ერთი გროშით,
ეცადე, ცოდვის მორევიდან ამოძვრე ფორთხვით
და გზას გაუყვე, ტაძრისაკენ, მიმავალს, ლოცვით.

" რა საჭიროა გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს"
... მონანიება...

* * *

ვიბადებით და სიკვდილიც, იქვე მალულად დაგვყვება,
ვცხოვრობთ, ცხოვრებას ვერ ვასწრებთ, ვფიქრობთ და ფიქრიც თავდება,
ისე ვცხოვრობთ, რომ ცხოვრებას მართლაც ვერ ვასწრებთ, სად ქრება?
პასუხებს ვეძებთ და მაინც პასუხი არსად არ ჩნდება!
უნდა იცხოვრო ისე, რომ გრძნობდე ყოველ დღეს, ღვთის ნებით,
ასხივოსნებდე გარშემო, სიყვარულისფერ სხივებით,
გულის რითმები დათვალო, მარგალიტისფერ მძივებით,
შეგეძლოს, მართლა იცხოვრო, უფლის რწმენით და იმედით.

* * *

ძნელი გახდა ღმერთის პოვნა, ამ უღმერთო სამყაროში,
შეიცვალა ყოველივე, დაიკარგა რწმენა დროში,
შეეცადე, გაწვდილ ხელებს, შეაშველო ერთი გროში,
იმედია, გაიღვიძებს, სიყვარული ისევ ბრბოში!

* * *

დილას შევხვდები ბროწეულის რტოებით ხელში,
მე მიყვარს მისი სიკაშკაშე, სიწითლე ფერში,
მსურს გავამრავლო სიყვარულის მარცვლები ჩვენში,
მე ამ სიყვარულს ვეზიარე თავიდან ღმერთში.

* * *

და აიწყვიტეს რითმებმა ლექსში,
ვეღარ ვპოულობ სიმშვიდეს ჩემში,
აღარც სიტყვები მხიბლავენ შენში,
მხოლოდ სიჩუმე მიზიდავს ხმებში.
ამოუხსნელი ფიქრების ფსკერში,
ქანცგაწყვეტილი ჯირითი მთებში,
აღვირახსნილი ცხენები მზეში,
მოაგელვებენ სურვილებს ჩემში.
გავხედნი ცხენებს, ავდარში, ცეცხლში,
ურჩ ფიქრებს, ისევ მოვლეწავ კევრში,
ამ სურვილებსაც გამოვწვრთვნი ჩემში,
არ მოვექცევი არასდროს წნეხში.
გამოანათებს ნათელი ბნელში,
შევიმოსები სინათლის ფერში,
სიმართლის მახვილს ავიღებ ხელში,
ვეზიარები სიცოცხლეს ღმერთში!

* * *

სანამ იცოცხლებ, უნდა იცოცხლო,
არ გაქვს უფლება, ცოცხალი მოკვდე,
არ გაქვს უფლება, ისე დანებდე,
რომ ვერასოდეს ვერაფერს გრძნობდე.
ბევრჯერ დაეცი? უნდა წამოდგე,
უნდა წამოდგე ყოველთვის ფეხზე
და გააგრძელო შენი სავალი,
ამ ცხოვრებაში, ახლიდან, დღესვე.
იცხოვრო ისე, არ დაგრჩეს ვალი,
შეძლო, დატოვო ამქვეყნად კვალი,
კვალი, ისეთი, რომ იქაც იგრძნო,
დამშვიდებულად იმქვეყნად თავი!

* * *

და ქარი ზღვა ფოთლებს მოსტაცებს ხეს,
ატარებს, ატარებს, შორს, სადღაც, ბევრს,
მერე კი, მოირბენს ჭაღარა ტყეს
და ლექსად ნამღერში აცოცხლებს ტევრს.

ფოთლები აჩენენ სხვადასხვა ფერს,
სურვილი მიჩნდება შევეხო მზეს,
მოვწყვიტო ღრუბლები, მოლურჯო დღეს,
ნათელი მოვფინო ნოემბრის თვეს.

ქარი კი თავქარობს და ძარცვავს ხეს,
ხეები იმედით უმზერენ მზეს,
სითბოს და სიყვარულს ჩუქნიან სხვებს
და მაინც ყველაფერს მადლობენ ღმერთს.

* * *

დედა-შვილობის მადლით და ძალით,
გზებს გაგინათებ ლოცვით და ჯვარით,
შემოვიფანტავ ცუდ ფიქრებს ღამით
და გავაგრძელებ ცხოვრებას სხვა დღით.
დედა-შვილობის ძალით და ხათრით,
მე და შენ ერთად გავივლით ამ გზით,
ვერ შეგვაჩერებს ვერავინ წამით!
ვერ შეგვაშინებს ვერავინ რამით!
შენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მადლით,
სულ იმოსები დღითა და ღამით,
მეც ამ მადლით ვარ დედა და ამით
მადლობას ვწირავ ღვთისმშობელს, ამინ!

* * *

სევდისფერ წვიმებს მოჰყოლია მზისფერი ელვა
და წარსულს სადღაც გაჰყოლია ფიქრების რემა,
წვიმის წვეთებში კიაფობენ რითმები ნელა,
უნდა შეიგრძნო ეს ყოველი, აქარწყლო სევდა.
არ გინდა წყენა არავისი და აღარც ღელვა,
წამიერია ეს სამყარო და მისი ხედვა,
ეცადე, დაგმო ბოროტი და მისივე ნება,
მიენდე უფალს და ასრულე კეთილი მცნება.
წვიმის წვეთები მარგალიტის მძივებად ჩნდება
და ეს მძივები, მოფანტული, მალევე ქრება,
არა, არ გინდა, დაივიწყე, წყენა და ღელვა,
წვიმაშიც უნდა შეეცადო, შეგეძლოს ცეკვა!

ნინო მოსაშვილი

უფალო, შემეწიე!!!

სევდა გადახუნდა ქვრივის მანდილივით,
ყალბი მასკარადი მეგონა სულს ღაფავდა,
თუ ყველა დასაბამს აქვს დასასრული
ჩემი სატანჯველი რატომ არ დამთავრდა?!
ყოვლისშემოქმედო, შენს გზას შეხიზნული,
მდუმარედ მივუყვები ბედკრულ ლაბირინთად,
ჩუმი ტკივილები უსაშველო ნახე,
ყველა ერთად აქვითინდა...
სევდა სუდარისფრად ჩამეღვარა,
მცირე დრო გასულა წამებიდან,
ისევ ახარხარდა ჯოჯოხეთი,
ისევ მისი ცეცხლი წამეკიდა!
არსთაგამრიგე, შემეწიე,
სულ ლაბირინთები, სულ ჭიდილი?!
დამიბრუნე, შარმიანი ჩემეული,
უფრო მიხდებოდა ის ღიმილი...

მონატრება

გუშინ ვსტუმრობდი ისევ იმ ადგილს,
ფანჯრის მინაზე ეკიდა ცრემლი,
შევეხე ხელით, ჩავიკარ გულში,
ისეთი თბილი, ისეთი მწველი.
გარს იყო სითბო, ულევი სითბო,
რა მათრობელა გასასვლელ კართან,
ისევ ის შენი სურნელი იდგა,
იმ ფანჯარასთან მაშინ რომ დაგრჩა....

სიყვარული

აშემოდგომდა.
ბიისფერ ნისლში გაეხვია ხეზე
ფოთლები,
მერე წითლად და ლიმნისფრად ფერი
იცვალა,
ყვითელ ფიფქებად ჩამოთოვა
ნაზად მიწამდე,
დაეცა და ჩუმი კვნესით გარდაიცვალა...
ჭირისუფლობდა სიყვარული იქვე
მდუმარედ,
ჩუმი ქვითინით აყრუებდა ღამის
სამყაროს,
სანთლად დაადნა გაფითრებულ
ფოთლებს მომაკვდავთ,
და ჩაიხუტა სიცოცხლესთან რომ არ
გაყაროს!
ჩანისლულ თვალმა სიკვდილისფრად
ფერი იცვალა,
ვიღებ სამძიმარს, სანუგეშო
მითხარით რამე,
აღარ ვუყვარვარ, უსირცხვილოდ
სხვაში გამცვალა,
და ,,პლატონური" სიყვარული
გარდამეცვალა!
აბა, დაასხით ,,წინანდალი"---–
ტატოს ცრემლები,
უკანასკნელად მათრობელა
უნდა ვიგემო,
ეჰეი, ამიჟღერეთ შტრაუსის ვალსი,
ჩემს გარდაცვლილ სიყვარულთან
უნდა ვიცეკვო !!!
კიდევ დამისხით ,,წინანდალი"
მერიქიფენო,
იქნებ როგორმე ჩამიყუჩოს
გულის იარა,
ყარაჩოღელნო, გამაგონეთ
სამგლოვიარო,
ჩემი ,,შეშლილი" სიყვარული
გარდაიცვალა ! ! !

მე-17 ტკივილიანი ფოთოლცვენა.□□□

შენ ის კაცი ხარ!...
მე ის ქალი ვარ, შენს მხარზე რომ
ავქვითინდები,
შენ კი იანვარს გადამიქცევ მარტად,
აპრილად,
შენ ის კაცი ხარ, თვალებს კოცნით რომ
გამიმშრალებ,
ნეკერჩხლის ფოთლებს გავაყოლებ
მზერას დარდიანს...
მე ის ქალი ვარ, თეთრ ღამეებს რომ
ჩავჩურჩულებ,
ღამენათევი ნაზად მთიებს მძივად
ავაბნევ,
კომშისფერ ფოთლებს ცადაზიდულ
ვერხვის ტოტიდან
გედის სიმღერად, ცრემლების ტბად
მიწას დავაბნევ...
ყრუ ტკივილებით ჩამოცვივა ყვითელ
ფიფქებად,
ჩუმი ქვითინით გავაყრუებ ღამის
სამყაროს,
ჩემი ვაქირის, შენი ბოდბის ცის
სილურჯეში,
ცეცხლისფერმა მზემ ღამის კოშმარს
უნდა გამყაროს!
შენ ის კაცი ხარ, უშენობას როგორ
მაჩვიე,
მე ის ქალი ვარ, რომ ვერა და ვერ
შევეჩვიე!!!....
შენ ის კაცი ხარ, ნებისყოფა რომ
მიფოლადე,
ჰო, ის ქალი ვარ, ყველაფერზე რომ
ვთქვი უარი!
შენ ის კაცი ხარ, ჩემთვის ციდან მზეს
რომ ჩამოხსნი,
და ნავსაყუდელს მომიქარგავ
ვარდისფერებით,
საძვალეს ხელყოფ უკურნებელ სენთან
ნაბრძოლი,
მერე მოხვალ და შენმიერად
მომეფერები!
...შენ ის კაცი ხარ, შენს მხარზე რომ
ავქვითინდები...
შენ ის კაცი ხარ!...

სევდა

ფიფქი ცვიოდა ციდან იანვარს,
გრძნობის ქარების იყო თარეში,
თავის დაღწევა მე ვერშევძელი,
,,პლატონურ" გრძნობას ვეღარ გავეშვი!...
ისე ღვარცოფად შემომეჭერი,
შემომილეწე გულის კარები,
ისე ამანთე, შემომეცეცხლე,
შენეულ გრძნობას ასე დავნებდი...
და ტრფობის სენმა დამრია ხელი,
დამიმორჩილე, როგორც გჩვევია,
შენ სალოცავი გახდი ის ხატი,
მე კი – მხევალი მცირე კელიას.
და მიმაჯაჭვე ორი გულივით,
ეს ორი გული ჩრდილივით მდევდა,
შენ უჩინარი გრძნობა ხარ ჩემი,
და სარეცელზე ნაკოცნი სევდა...

მწუხრიმშვიდობისა!!!

დედაო ღვთისა !!!
იშვი, მას მერე ბრწყინავს
ზესკნელი,
მამული ჩემი იმედით
გიმზერს,
მზე ივერიის თუ გაბრწყინდება,
აბედნიერებ დიდსა და მცირეს!
დედაო ღვთისა, დედაო ღვთისა,
ჰიმნი ეღვრება ღვთიურ სამყაროს,
მხოლოდ ერთსა გთხოვ, მამული
ჩემი,
ნიკოფსიიდან--დარუბანდამდე,
კიდევ განავრცო, კიდევ მანახო!!!

* * *

აღარ ვილოცებ, თუ წამითაც
სხვისთვის იცოცხლებ,
ჩემთვის გილოცე!
ქვესკნელს მივცემ
ყველა სიცოცხლეს!!!

სადა ხარ?!

ღიმილში მზის სხივი ჩავიწან,
გიბრწყინე სავალი ბილიკი,
არ ვიცი, მოვბედავ შენამდე,
ვინ იცის, ვინ იცის, ვინ იცის?!
სამყაროს ნაპირთან ჩამოვჯექ,
სანთლებად დნებოდა დღეები,
სამყარო ისეთი მცირეა,
შენ უფრო მესამყაროები!
ღიმილში მზის ხიბლი ჩავღვარე,
გიქარგე სავალი შარაგზა,
მინდიხარ, მწყურიხარ, მწყურიხარ,
სადა ხარ?! სადა ხარ?! სადა ხარ?!

* * *

არ ვიცი, ასე რატომ გხიბლავს ჩემი
წამება,
ვერ ამიხსნია, ასე ნეტავ
რატომ ირჯები?!.....
იქნებ არ იცი, მე
ყოველთვის შენ მეყვარები,
მაგრამ ნახავ, რომ შენს
ჯინაზე სხვისი ვიქნები!!!
არ გაპატიებ, ჩემს ერთ
ცრემლსაც არ გაპატიებ,
ჰოდა ეძიე, ,,გაცრეცილი"
მრუში ქალები,
როცა მიხვდები, რომ
დამკარგე, გვიან იქნება,
ეძიე და დამიკოცნე
ნატერფალები!!!

მინდა, გესტუმრო, დამხვდე მშვიდობით,
მსურს დაგლაშქრო და ამოვიდე
ღრუბლებზე მაღლა,
სიმაღლე ნირს ვერ შემაცვლევინებს,
და არც შევიტყობ დიაცი დაღლას.

გადავუქროლებ ჯიუტად ტატნობს,
გავითავისებ გარე სამყაროს,
ყველას დავასწრებ შენს მითვისებას,
ხევსურეთიც რომ არვინ მომპაროს!!!

რამეთუ ყველა ბარში ჩასახლდა,
შიში ჩამიდგა გულში ვერაგი,
რომ გაუქმებულ ტაძარსა ვიცით,
ეპატრონება მალე ეშმაკი!

გადავუქროლებ ჯიუტად კოშკებს,
მთებს და ჭიუხებს გავხდი საგზაოდ,
არწივის მართვეს შევახებ ხელებს,
რომ არწივებად ვინძლო დავზარდო!!!

მამულო ჩემო, შეგიგრძნობ ციდან,
ჩაგეხუტო და ჩაგემუდარო,
ციხე-ქონგურებს გადმოგეღვარო
ჩაგეკირო და ჩაგედუღაბო!

არ მიგატოვებ, შენს თავსა ვფიცავ,
სიკვდილმა უცებ მომისწროს იქნებ,

მუცო!

თვალს რომ დავხუჭავ, შენ დაგინახო,
ამოსუნთქვისას შენს ჟანგბადს ვირჩევ!

,,ჯრელ ხელსახოცით" რუდუნებით
გატანილ მიწას,
,,გულზე საყრელად" ციმბირში რომ
გაჰქონდათ ბიჭებს.....
სიკვდილის წინ მუჭით მოვფხოჭნ
აი, იმ მიწას,
და აი, ნახავ სიკვდილსაც რომ არ
დავანებებ!!!!!!

...შენს თავსა ვფიცავ, შენ არავის არ
დაგანებებ!!!!

როგორც ულმობლად გაძარცვული ქარში ფოთოლი

როგორც ულმობლად გაძარცვული ქარში ფოთოლი,
ამოიოხრა, მოწყვეტილი მიწას დავარდა,
ლოცვად ზეციდან წამოსული
წლები ფიფქებად
შეივერცხლა, აფარფატდა,
ხელში ჩამადნა!.....

❤❤❤

ღმერთო, გვაკმარე, მოგვიტევე,
რისხვა ულმობელი ჩემს მამულში,
ყველამ ხომ გულები დაგვიხანჯლა,
თქვენ კი გამიარეთ გულის გულში!
ჩემი სიღნაღის აისები
დაისად რატომ შემიცვალეთ?!
ღიად დარჩენილო ჭრილობებო,
რატომ, რატომ არ შეგვიბრალეთ?!....

– **ვუყვარდე?**
– **მიყვარდეს.**

არ ვიცი,არ ვიცი, ეს როგორ გაგანდო,
მინდა, რომ აგავსო სიგიჟის წუთებით,
მინდა, რომ სამყაროს ვაცნობო, მიყვარხარ,
და ასე ჩამოვფშვნა ხელებზე ხუნდები!

ისეთი გრძნობაა ეს თავბრუდამხვევი,
ლტოლვამ და სიშმაგემ დამიპყრო მთლიანად,
ამიტომ ვირჩიე ვუყვარდეს,-–– მიყვარდე!
რამეთუ – მიყვარდე – აღრმავებს იარას!

მინდა, რომ მთლიანად დავიპყრო ლაჟვარდი,
და მიმოვეფინო ღრუბლებით ციდან ცას,
არ მინდა ზეციდან მიწაზე დაშვება,
რამეთუ მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!!!

❤❤❤❤❤

სიწმინდისთვალება გოგო

ქათქათა ფიფქებიან ცაზე
ნაზად მოფარფატე ფიფქმა
აგიფორიაქა სული,
ლამის გადაგრიოს ფიქრმა.
აი, გაიშვიათდა თოვა
და ალბათ უკვე აღარ მოთოვს,
ძირს მონატრებასავით მოდის,
ფიფქებკაბიანი გოგო.
უნდა ,,მოგაფეროს ღიმილს"
შეხსნია საკინძის ღილი,
ისე სიურპრიზად მოდის,
ვერა და ვერ მალავს ღიმილს.
სიწმინდისთვალება გოგო
ფიფქებს ჩამოჰყვება როცა,
ბაგეს დაადნება ვიცი,
მისი უნაზესი კოცნა...
,,აგიცისარტყელებს" აისს,
ისე მოუთმენლად ეძებ,
ვიცი შენი ვნებიანი კოცნა
მთიდან ჩამოიტანს მეწყერს!!!...

შენი მამულის კარიბჭესთან დარაჯად დადექ,

შენი მამულის კარიბჭესთან დარაჯად დადექ,
რამეთუ ერის სველ თვალების ქომაგად გნახო,
არ დაიჩოქო, მოუსყიდავ წინაპარს ჰგავდე,
მერმისისათვის ნაბიჯ-ნაბიჯ ,,მეობას" რგავდე,
დიდი დავითის მახვილივით რომ იკასკასო,
ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე!!!

ოღონდაც!!!

დაწერე, ოღონდ სულის ამბოხით,
რაც გაშლეგებს და ასე გამხედრებს,
,,კბილით მოღრღნილი" ფანქრით დაწერე,
რომ გაუღვიძო გენი ქართველებს,
ხმალზე მეტად ჭრის გაგვიგონია,
რასაც წარსულში ამოახველებ!
მაშინ დაწერე სულის ამბოხით
და მრევლის გული ისე აღანთე!
აბა, რად გინდა ,,მყრალი სიცოცხლე",
მამულისათვის თუ არ გახარჯე?!!!...

❤ ❤ ❤ ❤

ჩემია! – ღვთისმშობლის წილხვედრი!!!

...და ნაჩუქარი რომ არ გაიჩუქება,
არც ნებით, არც ძალით, კბილით უნდა დაიცვა,
არ იცის ქართველმა, დაჩლუნგდა, დაყრუვდა, დაბრმავდა,
,,დაჩმორდა", ბოლომდე გაცივდა!!!

წარსულის საძვალე აბრწყინო მზესავით,
სულ სხვა მგზნებარებამ აგანთოს ამისთვის,
მამულის წარსული სისხლით გაჟღენთილი,
უნდა ჩაიხუტო იესოს კვართივით!!!
.....
ხომ ნახე, ხომ ნახე, სხვა გზა რომ არა ჩანს?!
უნდა ჩაიხუტო, რომ არვინ წაგართვას!!!

მამულის მამრნო!!!

მე მყავდა ,,მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა შარვანშა და შაჰანშა და
ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი"
დავით მეოთხე აღმაშენებელი და მქონდა მამული, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!
მე როგორც ქალი, როგორც დედა დაროგორც ქვრივი,
მტერთა რისხვას აღუგვია მამული ჩემი და ამას ვჩივი,
დამსგავსებია ნაგვემ მართვეს თავის სიმცირით,
სული ამტკივდა, რათა ირგვლივ მეფობს შიმშილი...
მდედრნი ამიტომ გაყიდულან ემიგრანტებად, უფრო მონებად,
გაუსაძლისი მონატრება ჩაღვრილა ირგვლივ,
დედას შორეთში ელანდება ქვითინი შვილის,
დახლზე დადებულ, თუ გაძარცვულ მამულის მიწას
უბრძოლველად იჩემებს რუსი, ინდო, ჩინელი, თურქი!
სამაჩაბლოში გლოვობს დედა საზღვარის იქით,
საძვალის ლოდის ჩახუტებას უფლებაყრილი!....
,,უწინ მამრნი იცავდნენ მამულს"!
აი, ბუბუნებს, ასე გოდებს ნაგვემი მიწა!
და სული მეწვის, არ დავიხევ გოჯითაც უკან,
იმ საზღვართან, მავთულხლართთან
სიკვდილი მინდა!!!
აღაპყართ ყურნი! გაიგონეთ ჟღრიალი აბჯრის?
ეს დავითია საძვალეში, თითებს იკვნეტს და რისხვით გმინავს!!!
ეჰეი, მამრნო, მოთმინების გამწყდარა ძაფი,
მე, როგორც ქალი, როგორც დედა და როგორც ქვრივი,
მომყევით, რათა გადავავსოთ მტარვალთა მძორით!
აფხაზეთისთვის, ჰერეთისთვის, სამაჩაბლოსთვის,
გარნისისთვის, ბებერ ტაოსთვის, კლარჯეთისთვის
მხარდამხარ სწორდით!!!
მომყევით ძველი ყიჟინით და ჩვეული ჟინით ,
ლაგმისმკვნეტავო მერანებო, საღარა, ლურჯა,
გადათელეთ, განაწილდა მამულის მიწა,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე სულ მისხალ მინდა!!!
მე, როგორც ქალი, როგორც დედა და როგორც ქვრივი,
მაგრძნობინეთ, რომ მდედრად ვიშვი
სხვა არა მინდა,
დამიბრუნეთ ჩემი მიწა, მამულის მიწა!!!
.....
მე, როგორც ქალი, როგორც დედა და როგორც ქვრივი!..

შენ

აი გაზაფხული დადგა,
კვირტი შემოასკდა ხეებს,
სევდა სიშორის და
ლტოლვის
ტკივილად აღებეჭდათ
დღეებს.

გულებს სიცოცხლედ რომ
ჩუქნი,
მადლად ჩაგეთვლება,
ვიცი,
ჩემსკენ ზღაპრებიდან
მოდის,
ჩემი პოეზიის პრინცი!

ნუშთა დიდთოვლობა
სცრის და
მზე კი ცივგომბორზე
იცდის,
ჩემკენ გაზაფხულად
მოდის
ჩემი სიყვარულის პრინცი!!!

მოლოდინი

როგორ ჩაინისლა ღამე,
ნატვრად შემოადნა ფიქრი,
თითქოს მოლოდინი მისი,
მუდამ კარის ზღურბლთან მიცდის...
დღეები უღიმღამოდ მიჰქრის,
ლოდინს შეეპარა დაღლა,
ღამე შეეფეთა აისს,
ის კი არ მოვდა, არა!...

ტკივილი

ბევრი ცისკარი მომაფერე,
ტკივილი ვერა და ვერ
ჩამიყუჩდა,
სევდაგანაბული მივიყუჟე,
დარდმა სხეული დამიბუჟა.
ყაყაჩოს ხალზე ცრემლი
შეეყინა,
თვალებს მიფახულებს
ლურჯი კესანები,
მე რომ ტკივილამდე
მენატრება,
ყაყაჩოს ტკივილამდე
ვებრალები...

ჯადოსნურ ფერებში
სუნთქვა მიჭირს,
სნეული არავინ გამიკითხა,
მე ხომ გადაშლილი წიგნი
ვარ და
მაინც ვერავინ წამიკითხა!..

სად ხარ?!

როგორ ჩამოწვა სულში ნისლები,
რუხმა ფერებმაც იმატა ცაში,
ისე მჭირდები, ისე მწყურიხარ,
მზად ვარ, ჯოჯოხეთს შევუხსნა კარი...

სიყვარულისფერს რომ აფრქვევ ირგვლივ,
მინდა ჩამოვხსნა მწველი მზე ზემოთ,
ყველაფერს რასაც აღვიქვავ ირგვლივ,
შენი სუნი აქვს და შენი გემო!

სწორედ აისი იყო მაშინაც,
წახველ, მოგძებნი ზეცაში მზესთან,
ჩასახლდი ჩემში, არ ვიცი როგორ,
ფიფქებთან ერთად მოხვედი ჩემთან...

სიყვარული

იდგა ზამთარი, თოვლის ფანტელი
ციდან ცვიოდა ზღაპრულ ფერებით,
იდუმალებით, სიქათქათით და
არაბუნებრივ მშვენიერებით...

ფიფქი სახეზე მიალერსებდა
და მარტოობის კოშმარს ფანტავდა,
ყინვა რომ იყო გულის სიღრმეში,
ნელა ალღობდა ასე გზადაგზა.

და უცნაურად გაგაზაფხულდა,
ატმის ყვავილებს თმებში მიბნევდი,
ეს გაზაფხული აკივლდა მაშინ
და კიაფობდნენ ცაში მთიები!!!....

ნინო უძილაური

ქალი ზღვასთან

ტალღა მიეხეთქა ტალღას,
ნაპირს ჩამოადგა ბინდი,
მზე რომ დაემალა ამ მთას,
ქალი ზღვასთან ახლოს მიდის.

მერე ზღვის ტალღებმა ფრთხილად,
ფიქრებს მოაცილეს ფიქრი,
სიო ტანს ეხება გრილად,
ქალიც ზღვისკენ მშვიდად მიქრის.

ქმარი ელოდება ნაპირს,
გრძობას ეზიდება პეშვით,
მზეც კი აღარ იბანს დღეს პირს,
ტკბება სიყვარულის ეშხით.

ტალღა ეხეთქება ტალღას,
ქალი ზღვასთან ახლოს მიდის.

ხუთი წუთი

ხუთი უსასრულო წუთი,
დროში ჩაიშალა უმალ,
სტროფებს უკოცნიდა სხივი,
ლექსით შემორბენილ სტუმარს.

იჯდა ტახტრევანზე მუზა,
წუთი გადაკარგა წამით,
პოეტებს ჩაეშვათ ღუზა
და მზე ანათებდა ღამით.

საინგილოში

საინგილოში ქართულად,
დღესაც ქართულად მღერიან,
სულში ჩამალულ ღვთის რწმენას,
მხურვალე ლოცვით შველიან.

ჰერეთის ძირძველ მიწაზე,
ტაძარში ქრისტეს ხვდებიან,
რწმენაში მტკიცე, ურყევნი,
მარად უკვდავნი ხდებიან.

ვაი, მუხთალო საწუთროვ,
ვის დააჩოქებ გგონია,
საინგილოში ინგილოს,
ქართული გული ჰქონია.

პურზე ჯვარს დღესაც სახავენ,
ხატ-ჯვარი ღმერთად ჰყოლიათ,
ქართული ენის დიდება,
თაობებს გადაჰყოლია.

საინგილოში ქართულად,
იავნანას რომ მღერიან,
გულში ფიქრებით მალულად,
მშობელთან შეყრას ელიან.

მთის ფერია

ანგელოზებმა მაჩუქეს,
ერთი პატარა ფერია,
თვალები მსგავსი შვლის ნუკრის,
თმები მზის სხივის ფერია.
სახე ცისკარი ნათელი,
ჩამოქნილ სანთლის ფერია,
ტუჩ-ბაგე ღიმილნარევი
წითელი ვარდის ფერია.
სურნელოვანი ვითარცა,
სიო მთით მონაბერია,
გული ვერ ჯდება საგულეს,
მიყვარს და რარიგ ძნელია...
შორს გაფრენილი მიმინო,
ცას მოდებული ბნელია.
ჩემი ვარსკვლავი ის არის
და ბედი დანაწერია,
ფრესკად ნახატი ღვთაება,
ცას მბჯენი მთისა ფერია.

ერთხელ

ერთხელ მიმატოვე, ერთხელ გამიფრინდი,
ნუთუ მიმატოვებ დღესაც...
და თუ მიმატოვებ, თუკი გამიმეტებ,
მაშინ, მიატოვებ ღმერთსაც.

მე შენს დაშორებას ვეღარ გადავიტან,
წლებმა მომიტანეს სევდა,
შენი მონატრების წრფელი სიყვარული,
ყველგან ცემ თილისმად მდევდა.

ახლა წარსულია ბედი უბედობის,
ნატვრამ მომიქარგა ბედი,
ჩემი სიყვარულის უკვდავ მელოდიას
მღერის მხოლოდ თეთრი გედი.



გერონტი მესხი

მომიტევე

(ძეშეცთომილის აღსარება მეუღლისადმი)
(ჯ.კ-ს მონოლოგი)

სადაც უნდა დამიღამდეს, ღამე მთლად შენ გეკუთვნი.
შენთან ვზიდავ ჭაპანს ცამდე, ვით კავს-ხარი მეგუთნის.
კვლავ თუ ვინმე მიმიტაცებს, როგორც რკინას-მაგნიტი,
“ღმერთი დასჯის მსუნაგ კაცებს!” – თავს იმშვიდებ მაგითი.
ქალთა მუსუსს ვინ ედრება, ერთი-ორი შემთხვევა
წმინდა ბერსაც შეეშლება და ურჩის ჯვარს ემთხვევა.
ჩემი გზები შენსკენ იწევს, რა რომი და ათენი...
შენი გული ორ ზღვას იტევს, სხვას სად ძალუძს ამდენი.
რამდენჯერაც წავფორხილდი, შენზე ფიქრმა ამზიდა,
ვერ მაკრთობდა შავი ბინდი, ქუდი მეგდო ბანზედა.
ისიც გახსოვს, რის თქმაც გსურდა და რატომღაც, ვერა თქვი,
ისეთ ტალღად აგუგუნდა, ვერ ავზომე ვერაფრით.
მერე ურჩი დაცხრა ტალღა და დაოკდა მდინარე,
და ჩემს სულშიც რაღაც გალღვა შენგან გამომდინარე...
მალე ჩიბუხს მოვუყვები სხვა სახელზე, სხვა გვარზე,
ვინც მაჩუქეს ვნება, ნებით დადებული, ლანგარზე
და თავადაც თრთოდნენ ოდენ, როგორც თოვლზე-ციყვები...
(სხვანი ჩუმად გიამბობდნენ, მე ხმამაღლა გიყვები!)
კი, მე შენი ფანი ვარ და, შენ ხარ ჩემი ბატონი,
თუ ხელთ ქალი ჩამივარდა ფლირტი ენის პატრონი,
არ გაჰყვება ჩემი დარდი... კვლავ შინ მნახავ დღის ბოლოს...
იმედი ხარ სრული, მზარდი, და შენდობის სიმბოლო.
ღამე, მე რომ ნებაც მქონდეს, ვერ შევრჩები სხვის კარზე
და ვერც მნახავ, მალვით ოდეს ვბრუნდებოდე ცისკარზე.
დღისით ხდება წიაღსვლები, ღამე კვლავ შენ გეკუთვნის
და მოგართმევ, შენის ნებით, ჩემს თავს, ვნებით შეფუთვნილს.
სხვის ქურქს მიჯობს, ორიგინალს, შენი ჩითის ხალათი...
მომიტევე მორიგი და... უნებლიე ღალატი...

მოდი ჩემთან!

თვალს სტაცებდი ირგვლივ ყველას,
მხარზე გეჯდა ამური.
გარს აურა გეკრა მცველად
მკაცრი და საამური.
ჩამიარე, როგორც უცხოს,
როგორც ვიღაც გარეწარს.
ღაწვი ისე ამესუსხა,
თითქოს სილა გაგეწნას.
სულში თრთოლვით დამიარე,
თვალში ჩადგა წყვდიადი.
სილამაზე ვაღიარე
უსასრულო, დიადი.
ნაბიჯ-ნაბიჯ გედგნენ კვალში
ურიცხვ ვაჟთა ფიქრები.
ყველა დროის ლამაზმანში
შენ პირველი იქნები.
დამენანა უშენობა
და ამ ფიქრთა სრბოლაში
არ მეგონა, თუ მშვენება
ჩამაგდებდა კოლაფსში.
ვფიქრობ, შენგან ნაიარევს
გამომარჩევ ას ბიჭში.
ცეცხლმა დამწვა, ჩამიარე
თუმცა სამ-ოთხ ნაბიჯში.
ნეტავ, რად არ დამემალე,
ან, ვინ გთხოვდა გამოსვლას?
ქალებს შურით უვსებ თვალებს,
კაცებს უწყობ გამოცდას.
უნდა იჯდე, სადღაც, სევრში
ეტალონად მშვენების,
ან, შენს როლებს ბევრზე ბევრში
ვეღარ თვლიდნენ შენები.
მაგრამ, თუკი არ გიტაცებს
უცხოური დიდება,
და, თუ მიხვდი, ქართველ კაცებს
დედოფალი გვჭირდება,
და, თუ სევრი გიღირს გროში,
მაშ, იტვირთოს დარდი სხვამ:
მოდი ჩემს თბილ სამყაროში
და დედოფლად დაგისვამ.

უზავ, ჩემო!

მუზავ, ჩემი სულის საზრდოვ, სიტყვაუხვო, მადლიანო,
ხან მზის სხივად დაფრქვეულო, ხანაც ნათქვამავდრიანო,
თურმე, როგორ მყვარებიხარ, შენზე ჩუმ-ჩუმ ვდარდიანობ,
როცა ჩნდები ლექსთან ერთად, ცაც ნათდება ადრიანად...
ლექსად იწვის კაბადონი, საკმეველი ადის ღმერთთან...
ლექსი– სულის სამოთხეა, სავანეა სპეტაკ ფერთა...
შენ კი, ვიდრე ლექსად მოხვალ, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალი რომ შეჰკივლებს და ტვირთს შესძრავს მემანქანე.
შემიპყარი, გამამხნევე, დამაფრქვიე რითმის წყებად,
შენ ხომ, როგორც ძველ სიყვარულს, არ გჩვევია მივიწყება.
ეს გული კი, მადლის მსგავსად, მოაბნიე სტროფებს შორის...
შენ ხომ ჩემი სულისთქმა ხარ და თქმულ სიტყვის პროფესორი.
ჩემი სისხლიც სტრიქონებს სცხე და ბგერები დამინამე,
სიტყვა ლექსში თუ არ სუნთქავს, ნამღერებიც არ მინდა მე.
ჩემთან ყოფნით, ვით აქიმმა, ყველა წყლული დამიამე,
სათქმელს ვწონით, ვარჩევთ, ვაწყობთ, გზის იქით ვყრით შხამიანებს.
გახსოვს, როგორ გვეჩოთირა ზოგის ომით „გართობები“?
სამ დღეში რომ წყლულად გვექცა ჩამოჭრილი ფართობები...
ბოლოს ყველას ღმერთი განსჯის, მარცხსაც იწვნევს ფალავანი.
რომსაც ჰქონდა იმპერია თვალუწვდენი გალავანით!..
ბონაპარტსაც უმარჯვნია დიდ ქვეყნებთან, ბარე ათთან...
„ვატერლოო“ ზოგს-მთებს იქით, ზოგს–შინ უცდის, კვარიათთან...
დროა, ჩვენი დროც დაგვიდგეს, დრო-სხვის დროზე უკეთესი,
თესლს უხდება გადარჩევა, დრო რომ მოვა უკვე თესვის.
და თუ განძის, წყალს რომ ახლავს, მოვესწრებით გაყოფასაც,
გავვოცდებით, უფლის მადლით, ხელს გამოვკრავთ რა ყოფასაც!..
...ლექსის თხზვის დროს მხარში მყევხარ ცისკრისას თუ გვიანისას,
ერთადა ვართ ერთსულ, ერთხორც, ვით ტყუპები სიამისა.
და ვრწმუნდები, თითქოს მსგავსი არ მსმენოდეს დღემდე არსად:
პოეტი და ლექსი იშვნენ ქათმისა და კვერცხის მსგავსად!..
მოდი, მუზავ, არ დამინდო და სიმართლე გამომწურე:
მგელს თუ ცხვარი ვერ წავართვით, ნუ ვწყვეტთ ამის გამო ტურებს.
და ისევე, ვით მომკელი მომკილისგან აგებს ზვინებს,
იმედი და რწმენა მადლით, სიყვარულით მათესვინე.
მოდი, კიდევ შემანჯღრიე, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალის შეკივლებით ტვირთს რომ გაჰკრავს მემანქანე.
იქნებ, სადმე, ჩემს წიაღშიც ჰპოვო რამე მარგალიტი,
მეც ხომ მესხი-მელექსე ვარ, შოთას ციცქნა მაგალითი.

ნანა ცინცაძე

სარფიანი დაბანდება

არაფერი არ იცვლება, თუ არ შეცვლი,
გათენდება ისე, როგორც თენდებოდა.
ერთს, ფუფალას უწოდებენ ჩვენში შეშლილს,
თუმც შიოლას სხვაც მრავალი ვერ ხვდებოდა.
მზის ლაქები მთვარეს დამღად ავაკარი,
ის მიპოვის, ვინც არასდროს დამეძებდა,
საოცნებოდ ავიჩემე ავატარი,
თუმც ვიცოდი, მის სიყვარულს სხვაც შეძლებდა.
გალაქტიკას ახლა უფრო ხშირად ვსტუმრობ,
დღეს მერკურზე მერამდენედ გავათენე.
რა ხანია გავიზარდე, აღარ ვხუმრობ
და ღიმილით ვანაწილებ ანათემებს.
იქ უფალმა სიკეთესთან მაზიარა,
მე აქ თვალი ცოდვებისგან დავიელმე.
სულ მრუდი მაქვს, ერთი სწორი ხაზიც არა,
ცოდვილს ცოდვის სიყვარული გამიელვებს.
გული მტკივა, დრო მუჭში ვერ მოვაქციე,
ისე გარბის, ვიცი, ვეღარ დავეწევი,
რადგან ვთელავ გამოგონილ გრადაციებს,
ვინც გამწირქვს, გულში მასაც დავეწვები.
რომლის გამოც მთელ სამყაროს დავეწვები.
სიკვდილს მოვკლავ, რომ სიცოცხლე არ დამთავრდეს,
დროსთან დავდე სარფიანი დაბანდება.
ღმერთთან ვგზავნი ერთსიტყვიან ამანათებს -
დ ა ბ ა დ ე ბ ა!!!

დაბადება

მე ერთხელ ვინატრე დაბადება,
სიკვდილს ავერიდე ქვითინით.
ჩანასახს რაღაცა გამახსენდა
ძველი, შუმერული მითივით.
ცაში რად ვიცხოვრე, დამავიწყდა,
მიწამ დამიძახა სურვილით,
როცა იმედები გადამიწყდა,
გაჩნდა სიმყუდროვის წყურვილი.
მერე მე მოვიწყვე ორგიები,
კოცნებით ბახუსი დავათვრე,
სადღაც შემეჩეხა მოლიერი,
ისიც ჩემს უბეში გავათბე.
არა! – არ მყოფნიდა არაფერი,
არც ცა, არც მიწა და არც წყალი,
დროის მოვიპარე კამათელი,
წამი გავაშეშე, საწყალი.
ღმერთი ბენეფისზე დავპატიჟე,
გაიგეთ, არ მითხრა უარი,
მიწის ყვავილებით გავაგიჟე
ჩემი ზეციური სტუმარი.
თავზე ოცნებებით დამათენდა,
ჰოდა, დამავიწყდა სიკვდილი,
ისევ სიყვარული გამახსენდა,
მუდმივ პატიმრობამისჯილი.
გიკვირთ, რად ვინატრე დაბადება!

განაჩენი

გამოიტანეთ განაჩენი! მე ვდგავარ თქვენ წინ,
ვით ჟანა დარკი, ორლეანის ქალწული წმინდა.
ზეციდან შვებად მარიამის სიტყვები მესმის:
-ბრბო ვერ აგიტანს, შენ მეუფე ქალღმერთად გქმნიდა...
იცით, რამდენი ქალის ტვირთი ვატარე მარტომ?
ხან ცეზარს ვხვევდი ვნების ალში, ხანაც ურიელს,
სწორედ ამიტომ, სიცოცხლისას, არც ერთ წამს არ ვთმობ,
თქვენ... თქვენ რა იცით, რამდენ მონარქს გზები (ტვინი) ვურიე.
თქვენ ხომ არ იცით, რა ძნელია მეფობა ქალის,
მარკიზას რატომ აქვს სურვილი კურტიზანს ჰგავდეს,
და თუკი მასაც შეეპარა ფიქრებში ბზარი,
სიყვარულისთვის ხარკს გაიღებს, ო... თანაც რამდენს.
გამოიტანეთ განაჩენი! მე ვდგავარ თქვენ წინ,
ინკვიზიცია არ კარგავდა არასდროს ძალას.
მზის ნატეხს მაინც თან წავიღებ, სიყვარულს ჩემს წილს,
რადგან ის ბიჭი ქვას ვერ მესვრის, ცრემლებს რომ მალავს.

დაგთმე...

დაგთმე... იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ,
დაგთმე...
იმიტომ, რომ, ვიცი, გიყვარვარ.
დაგთმე...
იმიტომ, რომ ყველგან მეძებდე,
და სადაც წახვალ, გაკლდე ყოველთვის,
სხვასთან შეხვედრამ დაკარგოს ხიბლი
და ჩემთან ყოფნის ყოველი წამი დათვალო მისხლით.
დაგთმე...
იმიტომ, რომ ჩემს ოთახს ავსებ,
და როცა ძილი თავისთან მიწვევს,
შენ – მირაჟში ჩამომჯდარი თავსასთუმალთან მიკოცნი თითებს.
დაგთმე...
იმიტომ, რომ ყოველი სიტყვით ერთმანეთს ვგავართ,
ის კი არა და... ეგ თეთრი კანი, წითური თმები და აზრთა წყობა,
ერთმანეთისგან ასე შორს მყოფნი და მაინც ნდობა...
ყველა მზერაში სიმართლე და კოცნის წყურვილი,
გზები ცალ-ცალკე, ერთმანეთით გადაბურვილი.
დაგთმე...
შენთვის რომ ყველა წამი მონატრების წამად მექცია,
რომ ცრემლი, სისხლად გარდაქმნილი, აქ დაგექცია...
რომ შენს ფიქრებში არ იყო სხვასთან,
რომ ერთად ყოფნის ყველა წამი ჩაგრჩეს კადრებად
და სულ ფიქრობდე – სხვა არავინ შემიყვარდება...
დ ა ვ თ მ ე...
ჩ ე მ ი უ უ ფ ლ ე ბ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი...

ვალია ხარებავა

დამაგვიანდა

გვსურდა გვეთვალა ნაპირს კებჭები, დამაგვიანდა,
მოვინახულე დამშრალი ჭები, დანაღვლიანდა
გული,ოჰ როგორ დანაღვლიანდა,ცრემლი მადინა,
ნაოჭის ღარმა მდინარესავით დაბლა ადინა.

წყლის ზედაპირზე ცეცხლი დაანთო ისევ დაისმა,
ვგრძნობ მიმატოვა უმიზეზოდ მცეცავ ხალისმა,
დამშრალ ჭის მერე ჩამოვუარე ნაპირს გვიან და
ჩემს თავს ვუთხარი,ჰო,ამჯერადაც დაგაგვიანდა...

სადაც წახვალ

სადაც წახვალ, იქაური დაიხურე ქუდი,
შენი აღზრდა და კულტურა არ გამოჩნდეს მრუდი,
სადაც ჭამდი,პატივს გცემდნენ,მათზე არ თქვა ცუდი,
წინ დახვედრილ ნაამბობზე,არ აგეწვას "კუდი".

შინ რომ მოხვალ,გადაიძვრე,იქაური ქუდი,
აუხსენი კუთხე-კუნჭულს,უიმისოდ წუხდი,
პატივს ვცემდი სხვის ქვეყანას,გულში შენით ვქუხდი,
კარგად ვიყავ,უზრუნველი,მაინც აქ დავბრუნდი.

პიონი

ციდან მანებივრებდა,
ციმციმა "ლამპიონი",
ვნების ალში მდაგავდა
გაფურჩქნული პიონი.

სურნელებას აფრქვევდა,
გრძნობას ვეომებოდი,
უფრო მეტად მათრობდა
სულ არ ვებრალებოდი.

საიდანღაც ჩიტების
ჭიკჭიკი ჩამესმოდა,
ჩემი გულის წადილი
ჩიტებს აღარ ესმოდა.

ჰაერს ხარბად ვსუნთქავდი
პიონებით გაჟღენთილს,
ბუნება კი მაძლევდა
საუცხოო გაკვეთილს.

თეთრი,გადმომყურებდა
შორით,კავკასიონი,
ნეტა ის თუ იგრძნობდა,
რომ მათრობდა პიონი.

სიო მეჯიბრებოდა,
ჩემთან კამათს მართავდა,
მაშინ მაყნოსინებდა,
როცა ნებას დამრთავდა.

დედამიწა ხარობდა
პიონების ფერებით,
ალბათ მომავალ ზაფხულს
ისევ მოვეფერებით.

წარსულის ტვირთი

შიდა მტრები ვის არ ახსოვს
ეს წარსულის ტვირთია,
მარტო გმირები გვყავდაო,-
ეს ხომ მხოლოდ მითია.

გვახსოვს წყენას შეწირული
დაცემული კრწანისი,
ღალატით და უგულობით
შენაგრძნობი ხალისი.

უცხოეთში გახიზნული
მეფე-სარდლის ამალა,
დედოფლები,უფლისწულნი
უცხო მიწამ დამალა.

მოურავი უკან დარჩა
გაგვიუქმეს მეფობა,
ახირებაზე გაცვალეს
ჩვენი ქვეყნის ერთობა.

დედოფლისა პირად წყენამ
ბევრი რამე შეცვალა,
დაცემული საქართველო
ასე დიდხანს ეწვალა.

დაკარგულის დაბრუნებას
დრო მრავალი დასჭირდა,
გაფიქრებაც რთული არის
ყოფა როგორ გაჭირდა.

მოღალატემ გზა გაუხსნა
შაჰ თამაზის არმიას,
ბევრი ციხე დაიპყრეს
და დაერივნენ ვარძიას.

უამრავი ტყვე ჩაიგდეს
ხელში ყიზილბაშებმა,
არ ეგონოს არავის,
რომ ქვეყნის მტერი აშენდა.

ღმერთმა მუხანათის ქცევა
ყველას გააგებინა,
სააკაძემ მოღალატეს
თავი გააგდებინა.

ეჰ,რამდენი რამ წერია
მატიანის ფურცლებზე,
ქართველ ქალებს არ ეცალათ
ებაკუნათ ქუსლებზე.

ჩვენს სამშობლოს გმირიც ჰყავდა
საამაყო,მებრძოლი,
სამუდამოდ დაპყრობის ცდა
არ ყოფილა იოლი.

დიდ მაგისტრად წოდებული,
გიორგია ბრწყინვალე,
ქება-დიდება ისმოდა,
თურმე ქვეყნის შინ-გარეთ.

გმირთა შორის კარალეთელ
თიკას წილი ადგილი
ისტორისს ფურცლებზეა
სიამაყით ახსნილი.

ირანის დედოფობასა
განუცხადა "არა"-ო,
ძვირფას ქვეშაგებს არჩია
კარალეთის ჩალაო.

საქართველოს ჰყავდა ბევრი
მოღალატე და მტერი,
მაინც არის, არ გამქრალა
ჩვენი ძირძველი ერი.

გმირები და ნიჭიერნი,
მუდამ უნდა ჭარბობდეს,
ეს ნატანჯი ქვეყანა რომ
ბრძენი ერით ხარობდეს.

თამრო სვანი-ნიჟარაძე

სიყვარულის სამოსახლო

სადაც ნდობაა იქ სიყვარულია,
ამიტომ გაზაფხულში დავსახლდი.
ჩემს კვალს სიკეთის გზაზე უვლია,
ბოროტების გზის სახლამდის!

მიყვარს სიყვარულით სუნთქვა,
ყველას სიყვარულის ჰაერით გაგაჯერებთ
წმინდა ვარ თოვლივით სუფთა....
მე სიცოცხლე მქვია, დამიჯერებთ???

ეს წიგნი სიყვარულის სამოსახლოა,
ჩემს კვალს გამოყევით, თუ გინდა რომ მნახოთ!

არასოდეს

არასოდეს გეტიროს,
რადგან შენით ვხარობ,
მზე პირს იბანს არ ტირის,
მზეო გამახარო.

რადგან გეძებ გიპოვნო,
ვიცი შენც რომ მომელი,
ჩემო სიყვარულო და...
აგერ რიგნით მოვედი!

პოეტი

მე არ ვარ პოეტი,
უბრალოდ საძირკველი გავჭერი,
სიყვარულის კოშკი უნდა ავაგო,
კარგია რომ მოხვედი,
კინაღამ დარდით მოკვდი,
ჩემო სიცოცხლის მარაგო!

მზე

ჩემო შვილებო, თუ რამეს დავწერ,
სიყვარულის სამოსახლოში ვაგროვებ,
გაუფრთხილდით ამ ჩემს ნაწერებს,
მედროვე არა ვარ გენაცვალეთ,
ტკივილი სიტყვა-სიტყვით აღვწერე,
სიცოცხლე თქვენ განაცვალეთ.

სვანი ვარ

გცივათ? მოდით გაგათბობთ,
დედის გული შვილებს უხმობს,
ბედისწერა თუ დაღმართობს,
სვანი ვარ, არ დავუთმობ!
დამნებდეს ჯობია დამნებდეს,
რადგანაც სული მაქვს წმინდა,
წავიდეს, სადღაც ჩაბნელდეს,
სიცოცხლე თქვენთვის მინდა!

შემაძლებინე

ადამიანი ბუნებას მარტოდ უნდა ებრძოლოს,
რადგან ადამიანს ადამიანისთვის არ ცალია,
უნდა შეძლო, რაც არ უნდა გეძნელოს,
ამ დროს სიცოცხლე ხომ წამია???
უნდა ებრძოლო მტერს,
უნდა ებრძოლო მონატრებას,
სადილად უნდა ღრნიდე ობლის კვერს,
შეძლებ? სიზიფის ლოდის ტარებას?
უნდა ებრძოლო სიღარიბეს,
უნდა ებრძოლო ჯამრთელობას,
უნდა მოუსმინო ვინც გარიგებს,
უნდა უყურო მკვლელობას.
უნდა ებრძოლო არ ქონებას,
უნდა აიტანო დამცირება,
გული ვერ გაუძლებს მონობას და ..
სიცოცხლე ფოთლებივით დაცვინდება.

ჩემი ქუდი

სვანური ქუდივით აქ სუფთა ნამუსით,
ვბრძოლობ რომ არსად გაწვიმდეს,
გული არ არის სიბილწით ნასუსხი,
გულში მაქვს სვანეთის სიწმინდე.

ისევ ატირდა

ისევ ატირდა ჩემი სამშობლო,
ცა ჩამოიქცა თითქოს,
შვილებო, დედის ნაშობნო,
გეძებენ თითო-თითოდ.
ერთად ჩაგყლაპავთ უფრსკულმა,
ბრძოლის ველსა გავს შოვი,
ცად აგიკრიფათ უკუნმა...
აქ ვკვდები ამდენის გლოვით.
ტალახში ებრძვიან სიცოცხლეს
დედა მამები და ბავშვი,
აგვისტოს ბუნებამ იცრემლა
რამდენი დაიხრჩო ხრამში.

სიყვარული

თუ სიყვარული არ გაგაჩნია,
არ გაქვთ სურვილი სიკეთის კეთების,
თუ შენმა კვალმა სხვა დააბნია,
დადიან თვალის ფეთებით.
გარიგებ, არავის აწყენინო,,
გულს არ ჩაიდო ბოროტება,
მითხარი ერთი რას ,,ყეინობ"
ეკლები ფეხებზე მოგედება.

ცხოვრების წიგნი

ყოველი დღე ჩემი ცხოვრების წიგნია,
ვშრომობ და ვშრომობ სუფთად,
ზოგჯერ გულ-მკერდსაც მძიძგნიან,
სურთ დამაშორონ უფალს.

იავნანა

ჭუნირზე მიმღეროდა ნანას
დედა და მეც ვუსმენდი ხმატკბილს,
იმ დედის იავნანით ახლაც...
სიცოცხლის ბოლომდე დავტკბი.

ახლა ლამარია მლოცავს,
ფიქრით მას ვსტუმრობ ხშირად,
შორიდან ხეებზე ვცოცავ,
იქ ვდგავარ შხარას პირას.

გულში ჩამხედეთ

თუ შეგიძლიათ გულში ჩამხედეთ,
გარეგნულად კი ნუ შემაფასებთ,
ნუ იჯამათებთ, ნუ ითავხედებთ,
არ ვიმეგობრებ კარგო ასეთებს.

რძლებო

ემიგრანტი ვარ რძლებო, შვილებო,
მონატრების დროს ვტიროდი ხშირად,
მენატრებოდა მამიშვილები,
კარგა ხანია სიცოცხლეს ვწირავ.
ჩემი წვალება მით დამიფასდა,
თქვენ შემხვდით რძლებო, ძალიან კარგი,
გამრავლდით შვილო ათი ათასად,
აღარ მაქვს უკვე შვილების დარდი.

შვილიშვილებო

ჩემი ჟანგბადი თქვენა ხართ,
თქვენ ხართ მიზეზი სუნთქვის,
ძალიან, ძალიან მიყვარხართ,
დღეს ლექსიც გამოგითქვით
როგორ გეფერებით გოგონებო,.
უფალი გფარავდეთ მუდამ,
გულის ლამაზო ენძელებო,
მე ნატვრით ცრემლებს ვგუდავ

ბედისწერა

შიშის გრძნობა დამეუფლა,
გული მიჩერდება თითქოს,
ვდარდობ, რად მინდა სიცოცხლე,
თუ გულზე, ისევე ითოვს.

სხვისი ტკივილიც მტკივა,
გული ვერ უძლებს ამდენს,
მზეა და მე მაინც მცივა,
დარდები კვალდაკვალ დამდევს!

მანანა სამყურაშვილი

მე იმ, ჯიშიანი...

მე იმ, ჯიშიანი ვაზის რტო ვარ!
პაპამ რომ დაირგა თავის გულზე!...
მან, მე დამილოცა საქართველო და
ფეხი ავიდგი მის, დაჭრილ გულზე!..
მე იმ, ჯიშიანი ვაზის რტო ვარ!
ნინომ რომ შეკონა თავის თმებით,
მთელი საქართველო მოვიარე,
ლოცვა -ლიცვაში და ასე თმენით.
ისევ ზედ მაცხია ის მირონი,
ლოცვა-ლიცვაში რომ თვალს სდენია!
და დღეს, აქ, დალოცვილ ღვთის ტაძარში,
ნინოს ვაზის ჯვარი მადლმდენია!
მე იმ, ჯიშიანი ვაზის რტო ვარ!
დავითს რომ დაჰქონდა ომში ზურგით!
ესე, საქართველო მოვიარე,
ფერებ-ფერებით და ლოცვა-ლოცვით...
მე იმ, ჯიშიანი ვაზის რტო ვარ!
კახეთს რომ დასდინდა მადლის ცრემლად!
ისე გამიმრავლდა ფესვი, ჯიში,
ზვრებად ნაქარგია მთა და ველად!...
მე იმ, ჯიშიანი ვაზის რტო ვარ!
პაპამ რომ დაირგა თავის გულზე!...
მან, მე დამილოცა საქართველო და
ფეხი ავიდგი მის, დაჭრილ გულზე!..

მითხარით სად ვპოვო...

უხედნი ხარივით შევები უღელში...
მივყვები დროთა სვლას ამ უხმო ქაოსში...
თმის ღერიც არ მინდა სადმე რომ დავკარგო,
შევძლებ კი, ნატანჯი განცდა რომ დავმალო?!

გააღეთ კარი და შემივსეთ ფიალა,
ჩემს ნაშრომს სჭირდება იაზმით კურთხევა,
შვებისთვის მოქაჩეთ, მოქაჩეთ უღელი,
ხარის რქა გაავდა ცის გული იხევა.

ვეღარ ვძრავ, ცოდვებით დამძიმდა გული თუ
რაც აქამდე მაქვს დარდები ნამალი...
მითხარით, სად ვპოვო სიცოცხლე ალალი,
ცოდვილ სულს, სჭირდება განწმენდის წამალი...

ის იყო მზე გაბადრული...

სალოცავ ხატად შექმნილა,
თამარს აქებდა შოთა,
თვით ღმერთისაა სადარი
და ანგელოსთა სწორთა.

მისთვის ეს იყო მსგავსება,
ქალი, ვარდთა და იათა!...
ვითა ვარსკვლავი მნათობი,
მანათობელი ცისათა!...

მზის დამჩრდილავი შუქისა,
ღამით აბეზარ მთვარისა,
ის იყო მზე გაბადრული,
მთელი სამეფო კარისა!..

მის გულში ტრფობა შეიჭრა,
ვერ გასაბედი მეფისა.
წიგნი მიუძღვნა სიყვარულს,
საქებრად მთელი ქვეყნისა!...

იმას რა ვუთხარ...

მე საქართველოს კრიალოსანი ვარ,
მას სალოცავად გულზე ვკიდივარ!
ხან რა მცირე ვარ, ხან რომ იცოდეთ,
რა აუწონელი დიდზე დიდი ვარ!...

იმას რა ვუთხარ, ვინც არ მისმენს და
ქუსლზე ნალივით ჟესტად ვკიდივარ!..
მე ჩემს სამშობლოს სიდუხჭირეზე,
ცრემლმონადენი თვალით ვყვირივარ!.

რა უმეცრება შეჰყრია ზოგ ზოგს,
სხვას ამბობს, სხვა აქვს გულის სამზერად,
ფული გამხდარა მთავარი არსი და ---
ჯოჯოხეთის კუპრი საზელად...

მხოლოდ ცოცხლდება ეშმას ყმუილზე,
ღმერთი სიტყვებით არას აგონებს,
ათივე მცნება თავზე დაიმხო და
მას ცოდვიანი ლუკმა ახარებს...

სანთლებით ხელში ზეცას შეჰყურებს,
მისი ბუტბუტით ეშმა აბოდებს,
უფლის ჯვარი აქვს ფეხთ გათელილი
ზეციურ ტახტზე უფალს აოგნებს!...

გასწი და იყავ ეშმას მსახური,
უფალს ნეტავი რისთვის აღონებ!..
თუკი სული ვერ დაგიჭერია
ფულზე დაგეშილს აქორ, აღორებ!..

მეც ვარ ადამის ერთი თმის ღერი,
როგორც ჩანჩქერი მთიდან მოვჩქერი,
მოგდევ და მინდა ვიპოვო მაგრამ,
შენში ვერ ვპოვე მე ევას ფერი!

დუმილმა შეიბყრო სამყარო...

ღამეა, ვარსკვლავნი აენთნენ!
მთვარე, ცას წამწამით ჰკიდია,
განათდა ცის ლურჯი სამოთხე,
ღრუბელნი შეშლილნი მიდიან!...
დუმილმა შეიბყრო სამყარო,
ქარი კვლავ იდაყვზე დაეყრდნო.
ქარს ლურჯი პერანგი გახადეს,
შეშლილი, სამყაროს მიეყრდნო.
ფიქრები გულიდან აინთნენ,
წარსული გაცოცხლდა, ჩაერთო,
ხორცს სული ეყრება, მოკვდავნი --
დარდობენ კი არვინ გაერთო.

ჩავეხვეოდი სხივებით...

პირიმზედ ყოფნა მწადია,
ვიქმნე მნათობი დილისა.
ლხენად ესმოდეს სამყაროს,
სიმღერა სხივთა თბილისა.
ელოდებოდეს ყოველნი,
ციდან სხივების ცვენასა,
მნათობი ათინათს ვფენდე,
ბინდით შემოსილ ქვენასა.
დამზრალ გაყინულ გულებში,
ვიქმნდე სიცოცხლის ლხენასა,
სხივთა სიმებით ვმღეროდე,
ლოცვად სჩვეოდეს ენასა.
სამყაროს სხივით ვათბობდე,
ისე ვით ჩვილი დედასა!
ჩავეხვეოდი სხივებით,
შორით, ნატურფალ ზენასა!...
ჩავეკვრებოდი მიწის გულს,
ვით გამზრდელ მშობელ დედასა!
მნახველნი ალბათ იტყოდნენ,
ჩემს სიყვარულის ქებასა!...

სიცოცხლე წააგავს ერთ ლამაზ ზღაპარს...

((მოვა სიკვდილი უჩიმო,სიცოცხლეს მოსრავს ერთ წამში...))

ღმერთმა სიკვდილი მოიხმო და სიტყვა უთხრა მკაცრად!....
რა დაგიშავეს ასეთი, დედა შვილებს რომ გაჰყარე!
ნაცელი მიცვალებულით მნახველნი დარდში ჩაჰყარე!...
ამდენი შრომა დედისა, მითხარ, წყალში რად ჩაჰყარე?!...

სიკვდილმა ამოიკვნესა, სირცხვილით თავი დახარა,
დედა რომ ნახა ძაძებით გეზერ ქორივით კიოდა,
შეშურდა მიცვალებულის, მას ხომ მშობელი არ ჰყავდა,
წარმოიდგინა მის კუბოს ცრემკით არავინ მორწყავდა.

იდგა სიკვდილი უჩინოდ, ადგილს ტკეპნიდა, ბორგავდა,
რა ექნა ვეღარ გაეგო, მიმოდიოდა, ოხრავდა.
დედა მის ფეხთან დაეცა, ხვეწნა მუდარით ფორთხავდა,
დედის წინ,შვილის ცხედართან ურცხვი ფერხულსა როკავდა,
სიმწრით გაზრდილ შვილს დედა,თბილ ტუჩებითა ლოკავდა.

გადმოიშალნენ გლოვისას სრული ანგელოსთ დასიო,
უთხრეს, მიქაელ მოეშვი, წადი, შენი გზით გასწიო,
ხომ ნახე დედა დააკვდა მას გული ისე დასწვიო,
დედას ნუ ააღრიალებ, შვილს კლანჭი უშვი, დასვიო...

წარღვნაა, ცრემლის ღვარებმა, წალეკეს მთელი სამყარო!
მაშ, ჩვენ ვერ შევძლებთ ერთობით შენ, იარაღი აგყაროთ?!...
მიქაელ, ხმა ამოიღე, რას დაამსგავსე სამყარო,
არ მინდა მშობელი დედა, თავის შვილებს რომ გაჰყარო!...

სირცხვილმა ისე დაჯაბნა, სიკვდილი გახდა უჩინო,
მას მერე არვის ეჩვენა, ჩანგლებით დადის უსახო...
საყვედურს ვეღარ აიტანს, უნდა ეფერო, ეხვეწო,
წყვილ წყვილი კელაპტარი სურს, ხორბლის
ბოკალში დაუწო...
არც პროტექცია, არც ფული, უფალმაა -– ვერა გააწყო,
ერთი ჰქმნა მხოლოდ ალალად, მას გულზე ჯვრები დააწყო...
ხელზე დაისვა საბრალო, სამოთხის კარი გაუღო,
სიკვდილმა, მიცვალებულის სულ – ხორცი ვეღარ წაიღო...

ჰა, უფალო, როგორც შენ გსურს...

ჯავახეთის მთათა ზეგან,
ქარი ნისლის ფარდას ხევდა!
მაშინ მცველად წმინდა ნინო,
ქრისტეს პერანგს იხვევდა!...
მოდიოდა, ვით ქალღმერთი,
ვაზის ჯვარი ხელთ მოჰქონდა!
საქართველოს გასანათლად
მირონი და ბზა მოჰქონთა!
ვაზის ჯვარი, თმით შეკრული,
გულზე სვეტად ეყუდა,
რა განგებამ დააჯერა, ქალი –
ჩვენს სახსნელად ილტვოდა,
კერპშეპყრობილ საქართველოს
ქრისტეს სიტყვას ეტყოდა!...
უფლის ხელით მოხატული,
ხატად იყო გზავნილი,
წმინდანების რჩევით, რწმენით,
ჩვენთვის გამოგზავნილი.
კერპნი, ბნელნი მოხოცა
და ქრისტეს გული ჩამიდგა!...
თვით ქალღმერთი, წმინდა ნინო,
ბოდბეს მცველად დამიდგა!...
მირონით და ვაზის ჯვარით,
სხვა თილისმა რად მინდა!
ქრისტეს რწმენით შეპყრობილი
ჯვარს გამაკრეს რამდენჯერ!
თან შორიდან მომძახიან,
ამ წამებას დავჯერდე!
ჰა, უფალო, როგორც შენ გსურს,
მეც ისე მსურს, დავბერდე!...
მოკრძალებულ თხოვნას ვბედავ:
ვარსკვლავივით გავბევრდე!...
ცის კიდიდან საქართველოს
ნათელ სხივებს ვაბნევდე!

როგორ მინდა --
აქ ბებერი მუხის ჩრდილში...

ჩემს პატარა საქართველოს დაჭრილ გულზე,
გაშლილია ია, ვარდი,კესანე და ღიღილო,
როგორ მინდა, ვით პატარა ჩვილი დედას,
მეც გიმღერო სიყვარულით -- ვიღიმილო!..

ატმის კვირტის ჩამოხეულ საკინძეზე --
დაგორავდეს ჩემი ცრემლის კურცხალი,
ჩემს ნაშენებ ბუდესა და ერდო, ბანზე,
ჭიკჭიკებდეს გაზაფხულის მერცხალი.

ეჰ რამდენჯერ, აქ ბერი მუხის ჩრდილში,
აკაკის და ვაჟას ლექსი მიმღერია!...
კუდიგორის უღრან ტყეში მოუთმენად,
სიყვარულის რომანები მიწერია!...

დღეს კი კვნესის დაგლეჯილი ჩემი გული,
რადგან ზვრებში აღარ მღერის ბერიკაცი!...
შეიცვალა ამ სამყარომ სრულად ფერი,
უქონელ კაცსს, გაექცაო დედაკაცი!...

მინდორ – მინდორ ღიმილებენ კესანები,
მათ ნამღერზე როგორ ჩავიღიმილო...
მე სამშობლოვ, ქნარზე მინდა იღიღინო,
ახლა, მთიდან მოიმღერის ღიღილო!....

კორწოხებზე წყაროდ ჩამოვწკანწკარდები,
ველს ცრემლებით
დაუქარგავ ფარდაგსა და გობელინს!...
დაიცალა, სამყოფელში კენტად ვზივარ,
ერდოს მჯდარი მერცხალი თუ მომელის!...

ეჰ, სამშობლოვ! დალოცვილო ყვარლის მთებო!
შენს ბებერი მუხის ჩრდილში ვაჟას ლექსი მიმღერია!
ახალ სონეტს ვერ მოვესწარ, იქუფრება, კვნესის სული,
ცრემლის ზღვაში მოლივლივდა ღვთისმშობელის იბერია!...

ფრთებშესხმული სიბერე კი...

დღეს მე ეს დილა ავამზევარდე,
სხივი გავფინე ღელე– ხევამდე.
სულ კოცნით მოვყე იმავ ბილიკებს,
ბურთით ხელში რომ ვლიდით დილამდე.

უბან -უბან და ვიწრო ქუჩებში,
ლოყაწითელა ალუბალს ვკრეფდით.
ჩვენი ანცობით, ბავშურ კიჟინით,
სოფლის გარემოს სიხარულს ვფენდით...

ახლად ნაყიდ, მზისფერ ტანსავმელს,
მწიფე მაყვლისთვის ეკლებზე ვხევდით
და საიდუმლოს შიშიშგან დედის,
ბავშური გრძნობით გულში ვახვევდით...

შემოდგომაზე მთებს შევყურებდით;
თოვლით ნაბნევი ის სილამაზე,გახსოვს?
რა სწორად აგვიწერია!
შეხედე ძმაო, ბებერ მთა ყადორს,
ულვაში როგორ დაუწკეპია!...

უკვე ჩაქოლეს სივრცეები
სიჭაბუკის მზისფერ რაშებმა...
დრო ხომ იცით, ტკივილს გულში ამიწებს!
ლამაზ წლების მოგონებას იმ ბავშვივით,
სხვა სწორად ვერ აგიწერს!...

ვერც კი ამჩნევ სიბერეში,
გული როგორ ნელდება,
დღე ღამდება უღიმღამოდ,
ღამე გვიან თენდება!..
ვერ ივიწყებ გარდასულ წლებს,
ნატრობ, არა ახლდება!...
ფრთებშესხმული სიბერე კი
მხრებზე შეთამაშდება!..

გვანცა ხარაიშვილი

ტროპიკული წვიმები

ასჯერ მაინც მოვიდა მაისის წვიმა
ამ თვეში.
მზისგან გადახუნებამდე ქალაქის აივნები
გრილად სუნთქავენ.
შარშან არ იყო,
არც შარშან წინ იყო ასე.
როცა სიტყვების არ მეშინოდა
არ წვიმდა ხოლმე მაისში.
სანამ საკუთარ კანში ვიმალებოდი
არ გადაიღო –
გამოზამთრება უსასრულოდ გაიწელა.
დათვობაც რთული იყო –
ღრიალი არ ვიცი.
ადიდდნენ მდინარეები.
ვერასდროს ვიგებ რომელი ნაკადი
სად ერთდება და რომელია სასმელად
ვარგისი.
თორემ დავლევდი და
გამოზამთრებულზე
წყალს ჩავხედავდი.
სულელი გოგო
სულელი დათვი
კლანჭების გარეშე
ვერაფერს გავხდი.

დასვენება

არასდროს დადგა ჩემთვის ზაფხული.
ბევრჯერ გავედი შვებულებაში,
განცხადება-განცხადებაზე ვწერე მინისტრის სახელზე,
დავითხოვე მეზობლის კატები –
მე ვეღარ გაჭმევთ, ვისვენებ მეთქი.
გავრეცხე ყველა მოკლე, ყვითელი და
თეთრი, გრძელი კაბა რაც კი მებადა –
რა სულ ტყუილად.
გამოვრთე ტელევიზორი –
დავივიწყე ყველა კადრი და მოვისროლე
სხვისი ოჯახის სევდა სასაფლაოზე.
ფოლკლორის ყველა სიმღერა ჩამოვტვირთე,
თმა დავივარცხნე –
იმ იმედით გავისწორე ურჩი ტალღები რომ
სადმე ცივ, მტკნარ წყალში –
ან ღია აუზში ჩამძირავდა სრული სიმშვიდე.
არ გამოვიდა.
მზეა.
სიცხეა.
სოფლის მდინარის გზა
ყოველ ჯერზე უფრო გრძელდება.
ვრეკავ ყველასთან,
ვისი ნომერიც ზეპირად მახსოვს
და მერე ვთიშავ –
არავის უნდა
რომ ზაფხული
მათგან წავიდეს.

არასდროს დადგა ჩემთვის ზაფხული.
ვერასდროს შევძელი
მდინარის ქვებზე გაწოლილი შავი ურჩხულის
შემორიგება.

ტბები და აგვისტო

ეს კედლები სურათებით სავსეა.
ნიუ-იორკის ზედა ხედი –
ამერიკული ოცნება
რომელიც არავისთვის ხდება.
პინგვინები დამღვალ ყინულზე –
ვიმარაგებ spf ათასს,
სიყვარულის გამოქვაბული შორეულ კუნძულზე,
კუნძულზე, სადაც ვერასდროს წავალთ.
მიყვარხარ ამ სიტყვებით დღეს
მაგრამ ხვალ აღარ ვიცი,
არ ვწერ არაფერს –
ვაბრალებ ცხოვრების შავ ამინდებს
ცრემლების ამ ტალღას
რომელიც არაფრით ჩადგა.
მიყვარხარ ამ ფოტოზეც –
ხუთი წუთის წინ რომ დავშორდით
და ახლა ვიცინით.
ამაზეც, სადაც უცებ ერთმანეთი დავკარგეთ
და ამაზეც,
სადაც ხელახლა ვიპოვეთ.
იმდენი წელია ამ პორტრეტს ვხატავ,
არც თმა აქვს და არც თვალები,
ალბათ,
დავამთავრებდი რომელიმე საუკუნეში,
მაგრამ ამაში არა.
წიგნები,
შფოთვა,
სხვისი დარდებისთვის აღარ მცხელა,
დადგა ივლისი.
სად წავალთ ამ თვის ბოლოს
მზე როცა ჩავა?
გზის რომელ მხარეს მართავ მანქანას,
რა დაუკრავს –
ტბები თუ აგვისტო.
რას დავარქმევთ სიჩუმის ამ დღეებს,
დასვენებას თუ გასვლას ქალაქიდან,
ან რას ვიყიდით გზაზე,
ყავას თუ ღვინოს?
ვის გავიყოლებთ იმ სახლამდე,
ჩვენ რომ არა გვაქვს.
მიყვარხარ,
დღეს, გუშინ და ზეგ
თუ აქედან ავიბარგებით,
წავიდეთ სადაც ყველა დილა
ასე იწყება –
ტბები და აგვისტო.
აგვისტო და ტბები.

* * *

რას დაარქმევდი სხეულის იმ ნაწილს
რომელიც შეიყვარე?
გადაქექავდი წიგნებს და საცავებს
თუ რაიმე მარტივს,
ყოველდღიურს დაუძახებდი?
არავინ უნდა იცოდეს,
არავინ უნდა გაიგოს ეს ამბავი
სხეულის ის ნაწილი რომ შეიყვარე,
რომელიც სიკვდილამდე უნდა გეცვა ჯვარს
არსებობისთვის.

არასოდეს ხარ საკმარისი იმ კედლებში,
რომელიც შემოგისაზღვრეს
და იმ ფურცლებს
რომელზე წერაც მოგესაჯა,
შენი დატევა არ შეუძლია _

დაწერე ერთხელ შენი სხეულის იმ ნაწილზე,
რომელიც მსხლის ხიდან ჩამოვარდა
და არაფერი ტკენია,
იმაზეც, მდინარის ბასრ ქვებზე რომ დაიჟეჟა,
და იმაზეც, ტბის პირას რომ ჩაეძინა და
უდაბნოში მოჯირითე თეთრი ცხენები
ეზმანებოდა.
იმაზე ნუ დაწერ რომელიც განსაჯეს
და ვერ შეიყვარეს,
მხოლოდ კარგზე წერე,
ცუდი ხომ ისედაც არავის ავიწყდება.

მოყევი შენი ცხოვრების ზამთრებზე
და ფერისცვალებებზე,
ოღონდ ისე რომ ვერავინ ამოიცნოს
შენი ხელწერა.
ათასი თავსატეხით ჩარაზე
სულის კარები,
ლურსმნებით აჭედე და აბრა გააკარი
რომ მკვდარია.
ჩიტების სასაფლაოს დაამსგავსე
რომ შიგნით აყვავებული ბაღი
საფლავებზე მიტანილი ყვავილები ეგონოთ
ადამიანებს.

რას დაარქმევდი სხეულის იმ ნაწილს
რომელიც შეიყვარე?

გვანცა პაატაშვილი

მინელდა მზეები...

აგრილდა... მინელდა მზეები
ცვარი შეეპარა ვენახებს,
სიმწიფით დახეთქილ მტევნებზე
სხივები სიცელქეს ბედავენ.
ღუღუნი აღმოხდათ ქვერებს და
ღვინის ბოლო წვეთი დაცალეს...
გულზე ეფინება ვაშლები
ბაღში გახუნებულ ბალახებს.
აგრილდა...შემკრთალი ჭრიჭინა
უფრო მორიდებით ჭრიჭინებს,
გასცქერის მიმავალ ჩიტებს და
გაფრენილ დღეებზე ქვითინებს...
კახეთი მხრებგაშლით მასპინძლობს
კართან შემოდგომის დესპანებს,
სიუხვის კალათებს ავსებს და
ოქროსფერს იდევნებს ფეხდაფეხ...
მთის წვერებს სილურჯე შეემღვრა,
ცივის მთამ იმარჯვა მოლბერტი
შეურევს მისებურ პალიტრას
ფერებს, ენით უთქმელს მოველი...
აგრილდა...მინელდა მზეები,
კახეთი სხვაგვარად კიაფობს
გაიღო ძირძველი ჭიშკარიც
ეზოში სიცოცხლე ხმიანობს...

ნუ მწერ...

ნუ მწერ, რომ გახსოვარ...
ტანჯვას ნუ გამიყოფ!
ნუ მეტყვი რამდენი წელია ჩვენს შორის...
რაც იყო წაიღო, წაიღოს დღეებმა
არასდროს ვიყავით მე და შენ ჩვენ ორნი...
ნუ მწერ, რომ კვლავ მიცდი...
იმედს ნუ გამანდობ!
ნუ მაძლევ შენს სულში ჩახედვის უფლებას...
ყოველთვის, ყოველთვის, ყოველთვის მინდოდა
ჩემზე ნაფიქრალის უკან დაბრუნება...
ნუ მწერ, რომ გიყვარდი...
ვიცოდი...მაშინაც...
ახლა უთქმელობის კედელს კვლავ აგიგებ,
არასდროს, არასდროს ვიყავით ჩვენ ორნი,
ვყვიროდი მაშინაც,
მაგრამ ვერ გაიგე...
ნუ მწერ, რომ გახსოვარ...
ნუ მწერ, რომ კვლავ მიცდი...
სინდისის ქენჯნისგან ბოლომდე დამცალე
რაც იყო წაიღო, წაიღოს დღეებმა
შენს თავს უჩემობით ცხოვრება ასწავლე...

ჭრიჭინები

ვზივარ და ჭრიჭინებს გაუდით ფერხული,
წინ შემოდგომურა ფერებმა იფეთქეს,
ცაში ჩაკიდული საღამოს ნისლები,
ათასგვარ სანატრელს , ოცნებას მიჩენენ.
სულშეგუბებული იღამებს აგვისტო,
მიდის და ნამზეურ ნაკვალევს მიტოვებს.
ამ კარალიოკებს ჯადო აქვთ უთუოდ,
მათი სიმყუდროვე შენს სურვილს მიორებს.
მთვარე შემოუჩნდა ჩრდილებით ფანჯარას,
რამდენჯერ დამებნა მის შუქზე ფიქრები,
შეყვარებულივით დამივლი ჟრუანტელს
და ლექსის რითმებში დილამდე იღვრები.
ვზივარ და ჭრიჭინებს ბოლო არ მოუჩანს,
უღმერთოდ მტოვებენ უძინარს, უფერულს.
ზაფხულის სიზმრები წავიდნენ შორეთში,
გარეთ შემიდგომა მოსულა უშენოდ.

პოეზია

ყველაფერს აქვს პოეზიის სუნი,
ყველაფერს აქვს პოეზიის ფერი,
ვუყურებ და ლექსად ვიბადები...
ვუყურებ და ისევ ლექსად ვკვდები...
ყველაფერს აქვს პოეზიის გემო,
ყველაფერს აქვს პოეზიის ექო,
ყველა სეზონს მოაქვს სტრიქონები,
ყველა ამინდს ლექსით ვეგებები...
ყველაფერს აქვს პოეზიის გრძნობა,
ყველა დროს ქრის პოეზიის სიო,
გავრბივარ და მაინც ვიხლართები
რითმებისგან როგორ დავეღწიო?!
დრო მიდის და პოეზია რჩება
დრო რას უზამს გალაქტიონს, ვაჟას?!
ლექსებია ჩემი სუსტი მხარე...
ლექსებია ჩემი დიდი ძალა...

ხომ დაგპირდი...

ამაოდ დავეძებ ფიფქებს და ნამქერებს,
ამ წელსაც არ მოვა? ვკითხულობ გაბუტვით.
შენ ისევ იჩეჩავ მხრებს თითქოს დარცხვენით
მოვაო მპირდები, თუმც აბა რა იცი...
მე გაუთავებლად ცის თაღებს შევყურებ,
ის მაინც ჯიუტად ხასიათს არ იცვლის,
მაგრამ ხომ დამპირდი, რომ მალე ითოვებს
და მეც ფანჯარასთან დავიცდი დავიცდი...
შორს კავკასიონი გათეთრდა რამდენჯერ,
ეზოდან შევყურებ და ისე განვიცდი,
შენ კი დანაპირებს ვიცი, არ ღალატობ,
მაგრამ ამინდების მაგდენი რა იცი...
და შენი ალუჩა ვხედავ სულ გათეთრდა,
ვაშლებზე უამრავ თეთრ ფიფქებს დავითვლი,
მუჭში ჩაკრეფილი ჭერმის თეთრ ყვავილებს
ზეცაში ისვრი და ყვირი ხომ დაგპირდი...

სიყვარული სახლდებოდა

რამდენი გზა გავიარე,
რა არ მოხდა და გადამხდა
სიხარული, მწუხარება
ცვლიდა ერთურთს წარამარა.
რამდენ ბადეს გავექეცი
და რამდენში გავეხვიე,
რამდენ ცრემლად დავიღვარე,
რამდენ სითბოდ დავიხარჯე...
ორჯერ სიკვდილს შვილი ვანდე
საჯერ მასზე გავიმარჯვე,
როგორ ვცადე, რა არ ვცადე
სამყარო ვერ გამოვცალე.
მსურდა ყველა ჩემს ნაბიჯზე
ყოჩივარდებს ეყვავილა,
მსურდა ყველა ჩემს ნათქვამზე
სსვის გულს ჩემთვის გაეღიმა.
მსურდა, მსურდა, ეს ქვეყანა
გულწრფელობით გამელია.
მსურდა მუდამ გაზაფხული,
მუდამ სიყვარული მსურდა...
მზაკვრობის და ორგულობის
არ მესმოდა, არ მჯეროდა,
ბოროტება მხოლოდ ზღაპრის
მოგონილი რამ მეგონა,
ვიზრდებოდი და ნელ ნელა
ყველაფერი ცხადდებოდა.
მაგრამ მაინც ჩემში ღმერთი
სიყვარულად სახლდებოდა.

* * *

შენს მესიჯს(წერილს) ველი,
სასწაულია...
როგორც წლების წინ ისე ძგერს გული,
მუხლებზე ჩვენი შვილები მყავს და
კვლავ სიყვარულით ვარ არეული.
შენს მესიჯს ველი,
სასწაულია...
ჟრიამულები სურვილებს ერწყმის,
ხელებში შენი პერანგი მაქვს და
მისი სურნელით კვლავ თავბრუ მესხმის.

შემს მესიჯს ველი,
სასწაულია...
ვერ ვუმკლავდები შენზე ოცნებებს,
შეყვარებული მგონიხარ ისევ,
მაგრამ შვილები თან მაოცებენ.
შენს მესიჯს ველი,
სასწაულია...
შენგან სიშორეც დაატკბო წლებმა,
ისევ პეპლები უზაფხულოდაც
დაფარფატებენ შენს გამო ჩემთან...

შენთან მინდა მთაში...

შენთან მინდა მთაში
ცაში შეჭრილ ქოხში,
ღრუბლებს ზემოთ მინდა
ვიყოთ მხოლოდ ორნი...
შენთან მინდა მთაში
მოვივლიდით სოფლებს,
ბეგქონდარას სუნით
ვაბრუებდეთ გრძნობებს.
მინდა შენთან მინდა
ხელმისაწვდომ მზესთან,
კოცონს იქით მზერით
გაკოცებდი ყელთან.
თუმც ჩანჩქერის შფოთი
დაგვიხშობდა სმენას,
მაინც გავიგებდი
შენი გულის ძგერას.
მთის უბეში მინდა
ჩაღვრილ ნისლებს შორის,
ივლისის თოვლს ვცნობდეთ
მიხუტებდე გულში...
მთის ყვავილით მინდა
მომიქარგო თმები,
საუკუნო ვწეროთ
ერთად ყოფნის წლები...

შენი ბეღურები ჩემს სულში...

ოქტომბერს მზე მშვიდად ეყრება,
ცივს ტოვებს თუმც ნაბიჯს არ უკლებს,
ქვევრში ჩაწურული ცხოვრებით
აღვინებს მარტებს და ზაფხულებს...
ბოლო აფეთქება გაბედეს
ნასხლავზე ვარდების კვირტებმა,
შენგან სიშორეა ბადაგი,
ყელს მიწვავს თან თითქოს ტკბილდება...
ნამზეურ მწვერვალთა სითეთრე,
ზამთარს უსათუოდ გვპირდება,
შენი ბეღურების ჩემს სულში
მშვიდი გადმოფრენა იწყება...
ხეებზე აიმღვრა ფერები,
ყველას ხასიათი ირეკლავს,
შენს ბაღში ჰამაკი ეული
ქარების იმედად ირწევა...
ოქტომბერს მზე მშვიდად ეყრება,
ცივს ტოვებს თუმც ნაბიჯს არ უკლებს,
შენი ბეღურები ჩემს სულში
კვლავ და კვლავ ავლებენ მავთულებს...

ყაყაჩოსფერი სისხლის წვეთები

გორისციხესთან ყაყაჩოსფერი სისხლის წვეთები
დაღვრილია და ცხელი ორთქლი ნისლად ასვლია,
ზურგზე შემოდგნენ გასატეხად ჩემს საქართველოს,
მაგრამ ამაყმა უცრემლებოდ თავი ასწია...
ვაშლის ბაღებში გაიყვანეს მავთულხლართები
მწიფე კეხურა ელოდება ხელებს მადლიანს,
ოფლის მაგივრად მის ჩამომკრეფს სისხლის სუნი აქვს,
ბავშვების ნაცვლად, მის ჩერობში ახლა ტანკია.
გარდაცვლილები ხელმეორედ მოკლეს საზღვრებით
მათთვის სანთელი ახლა მავთულს მიღმა ანთია,
გულის პირულზე გამოუშრათ მიწა საფლავებს
მინდვრის ყვავილიც ჩექმის შიშით ვეღარ გაზრდილა.
შინდისში ცვივა შინდისფერი სისხლის წვეთები,
მამაო ჩვენო ხელყუმბარის ხმამდე გაისმა
მტერს გამარჯვება, გაუმწარეს სიკვდილთან ძმობით
გაუტეხელნი , უკვდავებად ზეცად ადიან.
გორთან, ცხინვალნთან გაზაფხულზე ყაყაჩოები,
მაცნედ მოვიდნენ დასაღვრელი სისხლის ადგილას,
ტანკში უძრავად ისხდნენ ძმები უიარაღოდ
მშობლებს და მიწას ავედრებდნენ ყველა საფიცარს.
დააბიჯეო ქვეყნის დროშას, ახრჩობთ სიბრაზე,
საკუთარ ქვეყნის მიწა წყალზე ციხეს ჩაუსვამთ,
ფრჩხილებდაგლეჯილ მუშტს დაირტყამს გულზე დაცინვით
სუდარად იფენს შეუბღალავ დროშას სანუკვარს.
მოდის მას შემდეგ, ყველა ზაფხულს ცხელი აგვისტო
მოდის და ყველა გმირის ამბავს ყვება თავიდან
მცოცავ საზღვრებში კვლავ გაჰკივის უსამართლობა
ვაშლის ბაღები კვლავ ელიან პატრონს თავისას...

ნელი გიუნაშვილი

მამულო ჩემო

მამულო ჩემო ! მთად აზიდულო,
მრავალ ფერთა და მრავალხმიანო,
აყვავილება და გალაღება,
იქნება აღარ დააგვიანო,

კვირტთა რუდინებს ვხედავ შენს ბაღში,
აყვავებულან, ათქვირებულან,
და მზის ოქროსფერ სხივებთან ერთად,
გაღიმებულან, გაბრწყინებულან.

მე გულის სითბოს გამოგიგზავნი,
ცათა ქულებით მოვწნავ გვირგვინებს
და ეს ფაფუკი, თეთრი ქულები,
ჩაეწვნებიან მინდვრის გვირილებს.

გამოგიგზავნი თავნება წვიმას,
მოიხიბლება ვერხვის შრიალით,
და დაცვარული ვარდის კოკრები,
შარბათს შესვავენ ღვინის ფიალით.

მერე კი ცაზე, ჯვარს გადავსახავ,
ჯვარს გადავსახავ, შენს გასახარად,
მამულო ჩემო ! ულამაზესო,
მოვა უფალი, შენს დასაცავად.

დედის გული

დედის ფიქრებს უსასრულო...
უსასრულო დარდები აქვს,
სიხარულის დღეები და...
სევდიანი ბზარები აქვს.

დედის გული, მძლეთა მძლეა,
ამორძალის სადარია,
დედის გული, უსასრულოდ
შვილის ტკბილი წამალია.

არჩევანი, რომ ფასობდეს
შვილის ნაცვლად მოკვდებოდა,
დარდიანი დედის გული
ცრემლად არ დაიღვრებოდა.

როცა დედა ტოვებს შვილებს,
შვილი უხმობს დედის სულსა,
არ არსებობს, არსად თქმულა,
ოქრო სჯობდეს დედის გულსა.

დედას შვილის დასაცავად
ხელში ხმალი აუღია,
სისხლით ნაჟღენთ ფეხის გულით
ნარ – ეკლებზეც გაუვლია.

დედის გული არის მეტად
მზეზე თბილი, უთბილესი,
დედის გულში სიყვარული
დაქიზია, უწმინდესი.

დედა ჩემთვის სალოცავი
ხატია და ქალღმერთია,
უფლისთვისაც სიტყვა დედა...
მოწიწებით სათქმელია!!!

სვანეთის მთები

აქ სხვანაირად თენდება დილა,
მთებს დაჰფენია თეთრი ნისლები,
ამ შორეულ მთებს მწვერვალებიდან
გადმოჰყურებენ თოვლის რიფები.

მისტიურია დაშბაშის წყლები,
აქ მაგიური სილამაზეა,
მაღალ კლდეებზე მორაკრაკებენ
ჩანჩქერთა შხეფთა სინარნარეა.

შხარის მყინვარი , თეთნულდის მთები
ულამაზესი მწვერვალებია,
ზედ შერჩენიათ თოვლის საფარი,
თითქოს ღრუბელთა თეთრი გზებია.

ჯიხვი და არჩვი მრავლად არიან,
აქვეა დალის საბრძანებელი,
სალი კლდეები უხვანიისა
ლალცხატის კლდესთან სადარებელი.

მონადირეებს სწყალობდა დალი,
სუმაშერების ლევანს და ისმას,
როცა აჩინეს რიდე დალისა,
ზვავმა იმსხვერპლა ისინი იმ წამს.

კლდის ქიმზე ცხოვრობს ოქროსთმიანი,
წმინდა ჭიუხებს მასპინძლობს ქალი,
მშვენიერი და ვნებიანია,
უტურფესია ქალღმერთი დალი.

აქ სხვანაირი დილა თენდება,
მთებს დაჰფენია თეთრი ნისლები,
ამ შორეულ მთებს მწვერვალებიდან
გადმოჰყურებენ თოვლის რიფები.

ჭადარი

იყო და არა იყო რა,
იყო პატარა ზღაპარი,
ბევრის მომსწრე და მნახველი
ცხრაას წლოვანი ჭადარი.

ცად აზიდულა ამაყად
ჭადარი ფოთლებშრიალა,
ხის ძირში მუდამ ისმოდა
ხმები ლაღი და წკრიალა.

სიცოცხლედ ორი ათასი
წელი არგუნა უფალმა,
კედარიც ვერ დაჩრდილავდა,
იცოდა მისმა გუმანმა.

წმინდა მცენარედ აკურთხეს,
წმინდაა მისი ფესვები,
მომაჯადოვა მშვენებით
და მუდამ ვეალერსები.

მადლმოსილია ჭადარი,
არის ბუნების მორჩილი,
სიდიადით და მშვენებით
ღვთის სიყვარულით მოსილი.

ალაზნის ველად შობილა,
მის გულზე გამოზრდილია,
მის სანახავად ყოფილან
ვაჟა, აკაკი, ილია.

ბევრ საიდუმლოს ინახავს,
იქ ოცნებები სრულდება
და თუ სურვილებს ჩაუთქვამთ
უდაოდ აგისრულდებათ.

ნელი საგინაძე

საქართველო

მეფიქრები, როგორ ძლიერ,
მეფიქრები საქართველოვ,
მხოლოდ ერთო, ამ ცის გვამში
ქრისტე ღმერთის სულის ფერო!

სულ ამ გულით დაგატარებ
ხელს ვერ გიშვებ რა ხანია,
შენი ფუძე ლომების და
არწივების აკვანია!

მარგალიტად გულს ებნევი
შენით მშვენის ეს სამყარო,
შენით უნდა ვიდიდგულო,
შენით უნდა ვიამაყო!

ყველა დილა დაეხატოს
შენს გულმკერდზე ვარსკვლავს ცისკრის,
მზის სხივების ამონთება
შენი სულის ფერად ითქმის!

განურჩევლად ქართველთ კუთხის
აღორძინდი ფუძევ--ჭერო,
შენ კი ჩემო, ლოცვასავით
იგალობე საქართველოვ!!!

ჩემი თელავი

სულ უნდა იდგეთ
ამ სასახლის ბურჯებო და გალავნებო,
სულ უნდა იდგეთ,
ჩემი თელავის თაობებს, რომ
ძველი დიდების ისტორიის სიამაყით
ცრემლებსა ჰგვრიდეთ!

სულ უნდა იდგეს ის სასახლე,
სადაც იშვა
ერეკლე მეფე, კახი პატარა,
ჯიშდალოცვილმა,გვირგვინოსანმა უანგაროდ
სიცოცხლე მთელი , საქართველო
მხრით, რომ ატარა!

სულ უნდა იდგეს
ძველ დიდებად შემორჩენილი, მხრებგაშლილი
ბერი ჭადარი,
ღმერთო, ასეთი კუთხე-ქალაქი
თავისი ხალხით ალბათ არსად,
არსად არ არის!

სულ უნდა იყოს
იქეთ ზუზუმბო, ნადიკვარი
ძველი ყადორი,სასახლის კარი,
მათ ლოცვით იცავს ღვთისმშობელი,
წმინდა ღვთაება ,ალავერდი
და გორიჯვარი!

უნდა ისმოდეს, როგორ არა,აქ მარადჟამს
უნდა ისმოდეს,
"მრავალჟამიერ" და "ჩაკრულო' საამური კახურ იერით,
თელავს კალთებზე საფერავი უნდა ვუშენოთ ,
რქაწითლის ვაზებს სამამულე
რქა გაზრდიათ უფრო ძლიერი!

სულ უნდა იდგე მტრის ჯინაზე
მეფის ქალაქო,
გულგადაშლილო ალაზნის ველო , ბატონის ციხევ,
ჰე მატეანევ, გააგრძელე ისტორია ჩემი თელავის
თუ რამ დაგჭირდა, დაგვიძახე, ჩვენ აქა ვართ,
იმ წამსვე გვიხმე!!!

* * *

რაც კი ათინათი ციდან დაშვებულა,
ყველა საქართველოს გულზე დაჰფენია,
ხილვა მეგონა და ცხადში დამინახავს
დედა საქართველო, თურმე რა ფერია!

ყველა მთის მწვერვალზე კოშკი დავინახე,
მის გზად მიმავალი ლოცვას ვღიღინებდი,
კორდებს ზურმუხტისფერს თოვლად დაჰფენოდა,
სადედოფლო კაბით თეთრი გვირილები!

ტაძრებს მივაშურე ლოცვად ცად აჭრილებს,
ჯვარი მათი გუმბათს ვხედავ მზისფერია,
ყველამ დაუჩოქეთ ყველამ, გევედრებით,
ჩემი საქართველო, რადგან ღვთისფერია!!!

გაზაფხულს გაჩუქებ

გაზაფხულს გაჩუქებ, წაიღე, ხომ გინდა?!-
ვარდისფრად მოქარგულს სულ ატმის რტოებით,
ნუ მოგერიდება, ეს ფერი ხომ მოგწონს,
აიღე, გაჩუქებ თუ გნებავს დროებით!

ველ– მინდვრებს გიბოძებ ჭიკჭიკა იებით,
ლამაზად მოფენილს გვირილებს კორდებით,
ამ სილამაზისთვის გთხოვ, უარს ნუ მეტყვი
შენია, წაიღე ხო, ესეც დროებით!

მე, მზესაც გაჩუქებ თავისი სხივებით
და ცაში მოფენილ უთვალავ ვარსკვლავთ ჯარს,
სამყაროს მოგართმევ სულ ოქროს ხონჩებით,
რადგანაც ამ ჩემს სულს, შენს გარდა არვინ ჰყავს!

ამ მარტის მთვარესაც ჩამოვხსნი ზეციდან
თავის მშრალ, ხანდახან ღრუბლიან ამინდით,
გაზაფხულს, როგორც მზე, წვიმებიც უხდება
აიღე, რად გიკვირს , ასე რად გარინდდი!

თუ რამ გამაჩნია , ყველაფერს გაჩუქებ
გაზაფხულის ფერებს, მხიარულს და წმინდას,
ყველაზე უდიდეს სიყვარულს გაჩუქებ
და მასთან ამ გულსაც, წაიღე თუ გინდა!!!

ანბანთ დიდება

ა---ნბანი მინდა ვადიდო
ბ---ადრი მთვარის და მზისაო,
გ---არს შემოვაწნა გვირგვინი
დ---აფნის და გვირილისაო!

ე---ფინოს გულზე სამყაროს
ვ---არდის და იის სურნელად,
ზ---იარად ედგას ყველას სულს
თ---ილისმად და საკურნებლად!

ი---ვერებს განძად რგებიათ
კ---ვართი ქრისტესი, უფლისა,
ლ---ამის ზედ ლოცვად დაჰღვრია
მ---ცხეთა, ჯვარი და უბისა!

ნ---ამი ციური ეფრქვიოს
ო---თხივე კუთხივ ჯვარისგან,
პ---ატივი ერგოს დიდებად
ჟ---ამისგან, მატიანისგან!

რ---ვალად მოედგას ცის თაღზედ
ს---ამების ზეცის სიონი,
ტ---ყავი ვეფხისა ჩაეცვას
უ---მღერდეს კავკასიონი!

ფ---სალმუნნი იკითხებოდეს
ქ---ართულით, მაღალ ხმითაო,
ღ---ვთისმშობელს ებარებოდნენ
ყ---ოვლნი, ამ ენით თქმითაო!

შ---ობა ადიდოს გამჩენმა
ჩ---ვილ ყრმისა , ბეთლემს, ბაგასა,
ც---ით უხილავი გაძლევდეთ
ძ---ელის ჯვრით უძლევ ძალასა!

წ---ლიდან და ჟამით ჟამამდე
ჭ---ექდე ქართულო ანბანო,
ხ---ელითა, მხოლოდ მარჯვენით
ჯ---ვარი დაგვსახე ალალო,
ჰე----, ღმერთო, ძეო და სულო
წმინდავ, გამჩენო მაღალო!!!

ლექსები

სადაც გინდა იყო, თვითონ მოგძებნიან
თავისი ჩვეული ნარნარით,
მერე სტრიქონებად იკინძებიან და
ლექსად იკვრებიან ამ კალმით!

შემდეგ უფრო ვრცლად და უფრო დიდ აზრებად
გთხოვენ დაგვწერეო ,რა მოხდა?!
ხათრს ვერ ვუტეხავ და ამ ჩემს ფერად კალმებს
ლამის წერით სული ამოხდათ!

მერე პოეტობას დაგაბრალებენ და
ამ დროს, მთლად უბრალო ქალი ხარ,
ხან გაზაფხულით და ხანაც შემოდგომის
ფერთა სუნით გადამთვრალი ხარ!

ასე, ფურცელ-ფურცელ წიგნად იკვრებიან
მათაც უხარიათ ცხოვრება,
ადრე ვერ ვხვდებოდი, მხოლოდ ახლა მივხვდი
სულის, ეს ყოფილა ქონება!!!

შემომიხსენი სულის დარაბა!

მე ,ზამთარივით მკაცრი მეგონა
ეს ჩემი გული, მაგრამ არადა,
შენ გაზაფხულის ენძელასავით
შემომიხსენი სულის დარაბა!

შემომისახლდი და სამუდამოდ
ბინა დაიდე ჩემში ფიქრებად,
ამდენი წლები ალბათ თითებზე
ჩამოსათვლელად აღარც ითქმება!

მე, შენი თავი ღმერთმა უთქმელად
შემომიტოვა სულის მეგობრად,
ენძელასავით სუსტი ვყოფილვარ,
არადა თავი მკაცრი მეგონა!!!

ბერი ნიკოლოზი

მე, გაბრიელის სულის მოდგმა ვარ
სიმართლით ვუმტვრევ ბოროტს კარიბჭეს,
ვინც კი გამოჰყვა ჩემს ნაბილიკარს
ყველას გონება ცოდნით ავკინძე!

მთელი ცხოვრება ქრისტე ვადიდე,
მხოლოდ და მხოლოდ ათა-პაპურად,
საცხონებელად სული მაქვს უფლის
საზიარებლად?-– ლოცვა ქართულად!

მე, სულ აქა ვარ , მუდამ თქვენს გვერდით
გადამრჩენელად ფარად და მხსნელად
და მოსესავით ასე გატარეთ
სულით-ხორცამდე სულყველა ერთად!

ამ გულის კარი მუდამ ღია მაქვს,
არ ვცდილობ ვინმე გამოვარჩიო,
ჩემს კარის ზღურბლთან მდგომარე სულნი
მინდა ბოლომდე გადაგარჩინოთ!

აქ, ჩემთან მომსვლელს არ შესცივდება,
ისე გავუთბობ მათ, სულის სიმებს,
როგორც ბეღურა ფრთებაბუზული
გამოქცეული, მკაცრ ზამთრის ყინვებს!

ლოცვებით დილა გადათენებულს
აღარც დღე მახსოვს, აღარც თარიღი,
მე, ჩემი ერის გადასარჩენად
ხან მწემსი ვარ და ხანაც ტარიგი!

ქრისტე უფალის სულის ლოცვა ვარ
სიმართლით ვუმტვრევ ბოროტს კარიბჭეს,
თუ წამით ვინმემ ჩემი იწამა,
ისიც ბოლომდე გადავარჩინე!!!

საქართველო

შენ გაქვს მისია გადარჩენის ამ სამყაროსი,
შენ გიმეგობრა უფლის გულმა ხომ იმთავითვე,
ვის ელოდები,ან რას უცდი ჩემო სამშობლოვ,
შენ თვითონ მიდი, იდემეტრე და იდავითე!

შენა ხარ მიწა, სადაც თითო გოჯის ადგილზე
სულის ტაძრებზე ღმერთისფერად რწმენა თავს ივლე,
რაც შეიძლება უფრო მეტი და კიდით-– კიდე
სალოცავები ამიშენე აქ, კონსტანტინე!

დღისით ისედაც გული ბრწყინავს მზის დანახვაზე,
ქართველი, ვიცი ღამეს უმღერს სულ მთვარიანეს,
საქართველოში,რაც კი ტაძრებს ფრესკა სჭირდებათ
ოქროს ფუნჯებით შემოხატე გთხოვ, დამიანე!

ღმერთო, მოჰმადლე ყველა ქართველს მადლი და ძალი,
მსურს რწმენავ უფლის, ყოველ წუთს,რომ მათ სულში რეკდე,
ტანთ ვეფხისტყავი შემოიცვი სამშობლოვ ჩემო
და ძველებურად იგიორგე და იერეკლე!

შენ ხარ ქვეყანა, სადაც კაცს, რომ კვლავ კაცი ჰქვია,
სიმართლეს ვხატავ აქ, ტყუილი არ ითქვა რამე,
ქალის მანდილი და ოჯახი ფეხზე, რომ გიდგას
ყოჩაღ,რა ძლიერ იშუშანიკე და ითამარე!

მსურს ისევ ისე, უწინდებურად სამრეკლოს ჟღერდე
ალალი ბერის ხელთ შემოკრულო შენ, დედო ზარო,
დღესაც ლამაზად, ოქრო-ვერცხლით ღვთისმშობლის ხატი,
შემომიქარგეთ ბექა და ბეშთან თქვენ, ოპიზარნო!

დროც აღარ იცდის, შემოითბო სამყარომ ტანი,
ვარდობის თვეა, იმაისე ჩემო მაისო,
ღვთისმშობლის ნამღერ ნანას ვისმენ ჩემს სამშობლოში
და ამ სიმღერამ, იმედებით სული ამივსო!

მზეო, იმზევე და ანათე ჩემი მამული,
რომ უფლის რწმენით გაიტანოს მტრის კარში ლელო,
იცი?!--ყოველ წუთს იბადებიან შენს მკერდს ბოკვრები
არ შედრკე წამით, სულ წინ და წინ შენ, საქართველოვ!!!

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

დედა ქეთევან

ხართ უძლეველი დედოფალო, დედა ქეთევან,
გვირგვინი წმინდა წამებულის გებოძათ ზეცით,
რწმენაში მტკიცეს და უძლეველს იმედად გხედავთ,
დღესაც ქართველებს რომ გვჭირდება სიმტკიცე თქვენი.
შანთით დამწვარი მოკვეთილი მკერდი კვლავ გტკივათ,
სჯულის სიმტკიცით განაცვიფრეთ მაცდური მტერი,
მაინც ვერ შეძლო, ვერ შებღალა ჯალათთა გმინვამ,
დედა ქეთევან გვირგვინი და მანდილი თქვენი.
წამების დროსაც გულით ლოცვა ზეცას აღწევდა
და გიგრილებდათ დაშანთულ მკერდს ნაწამებს ქარი,
ნუ გამაშიშვლებთ, ჯალათებო, დედები ხომ გყავთ,
ეს თხოვნა იყო მტკიცე, ბოლო და შეუვალი.
ტანზე მოდებულ ცეცხლით იდექ დიდ ნათლის სვეტად,
უფალს ეახლეთ დედოფალო კვლავ თეთრი კაბით,
ისევ ჩვენთან ხართ, სპეტაკი და იმედად გხედავთ,
დედა ქეთევან არ მოგვაკლო ქართველებს მადლი.

მიყვარხარ

მიყვარხარ, ამ სიტყვას არა ჰყავს ბადალი,
მიყვარხარ, ეს სიტყვა ყველას გულს სწყურია,
იტყვი და გათბება სახლიც და მთა ბარიც,
სიცოცხლე ამ გრძნობით სულ საამურია.
დავნამე ამ სიტყვის ლამაზი ცვარ-ნამით,
გული და გონება ყველა რომ ვახარო,
მიყვარხარ, სიტყვაა ისეთი წამალი,
მსგავსს რომ ვერ იპოვი, თუნდ მოვლო საყარო.
დღეს ვკაფავ სიძულვილს ამ მიწის გულიდან,
ახლა რომ ბატონობს და ბედი არ გვწყალობს,
მიყვარხარ, ხშირად ვთქვათ, ძალა აქვს უფლისგან
და გულში კაშკაშა მზესავით ვატაროთ.
ზეცის ლაჟვარდებში მზის სხივებს ავყვები,
ეს დიდი სურვილი მინდა მზეს ვახარო,
ზღაპრული სამყაროს მსურს გავხსნა კარები
და სიყვარული მოვფინო სამყაროს.

ქართველო გამოიღვიძე

ამ წუთისოფლის მტვერი ვარ,
ზეცა სულ ცვარ-ნამს მირიგებს,
ღვთის ყვავილების ტევრიდან,
ფესვებს ვუკოცნი გვირილებს.
სხვა ჯილდო არც კი მინდოდა,
მეყოფა სულის სიწმინდეც,
ვერ ვიტან სიტყვას უნდოს და
ყალბ ღიმილსა და ქილიკებს.
თავს ლაფი გადმოგვეყარა,
თუ სირცხვილს არ აქვს სიწითლე,
თავზე გვექცევა ქვე ყანა,
ქართველო გამოიღვიძე.
მწამს ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმას,
ქართული სიბრძნე მითითებს,
ამდენ ფლიდსა და არაკაცს,
ნეტავ უფალო რით ითმენ?
შენთან მოსული მოყვარედ,
შენ კუთვნილს ურცხვად ითვისებს,
შენიღბულ ,მიჩქმალ მოჩქმალულ,
აზრით ძმობას რომ გიმტკიცებს.
ავზნიანობამ შეჭამა,
ჩვენი წესი და სიწმინდე,
გაფხიზლებ, გიხმობ, შენთან ვარ,
ქართველო გამოიღვიძე.

შეგეწიოთ მადლი ყველას

ცას უხდება ცისარტყელა,
ვით არშია ლამაზ ფერის,
ადამიანს გული წმინდა,
ერთგულებით ანაძგერი.
მზე მოქარგავს ზეცის მწვერვალს,
მთა -ველს ნამი მძივად შვენის,
კაცს სინდისი ახლავს მრჩევლად,
გზა მრუდის თუ, გზა ნათელის.
ტოტზე მღერის გულყვითელა,
ჩიტი მალე ასაფრენი,
არაკრაკებს ტკბილ სიმღერას,
მოიღერა კოხდად ყელი.
მზის სხივებში ასაფრენად,
მაქვს იმედად ლაღი ფრთები,
თქვენ კი მხოლოღ შანსი გრჩებათ,
სიყვარულით გადარჩენის.
თუ სიკეთით ივლით მჯერა,
გაიხარებთ გამარჯვებით,
დამჭიკჭიკა, გელით ყველას,
ბოლოს უფლის განაჩენი.
შეფრთხიალდა უდარდელად
და წავიდა მაღლა ლხენით,
შეგეწიოთ მადლი ყველას,
ჩიტსაც, კაცსაც ღვთის გაჩენილს.

ლურჯთვალა იმედს

ამიჯეჯილა ლექსი ფიქრებმა,
სულში აპრილი ისევ თარეშობს,
მაინც აჯობა ღრუბელს მზის ფერმა,
მზესთან რა აქვსო ღრუბელს საერთო.

რუხი ფერი აქვს სიძულვილს ალბათ,
შურსა და ღალატს არასდროს ეყმო,
თუ ერთგულების ატარებ ტალანტს,
მაშინ გულშიაც უფალი მეფობს.

კვლავ გაზაფხულის მოვიხდენ კაბას,
იის სურნელით სულიც ამევსო,
ნიავი მეტყვის ჩურჩულით, ნაზად,
ცრემლი არ შვენის დედის თვალებსო.

ღამე გალესავს კვლავ მთვარის ნამგალს,
რომ ნაპერწლები ვარსკვლავად ენთოს,
ზღაპარს მოყვება ათასჯერ ნათქვამს,
მთებზე ნისლები ისევ პაექრობს.

დარდთან გავავლებ სიმტკიცის საზღვარს,
ახლოს მოსვლაც რომ ვერღარ გაბედოს,
ლურჯთვალა იმედს ავუხსნი არტახს,
რომ სევდის კარი მაგრად ჩაკეტოს.

ფრთებს გაშლის მერე ფიქრები ლაღად,
რომ ბილიკ ბილიკ სიკეთე ვთესო,
სიყვარული კი მომცემს იმ ძალას,
მოგეფერო და მოგეალერსო.

ღვთისმშობელო მარიამ

ზეციურო დედოფალო ,ღვთისმშობელო მარიამ,
სჯეტაკო და ქვეყნის თვალო, შეგთხოვ ღვთიან მადლიანს,
სიყვარულით გადმოგვხედე, ცოდვილ შვილებს ნაღვლიანს,
აგვარიდე განსაცდელს და მტერს ორგულსა და ავზნიანს.
შენ წილხვდომილ მიწას ისევ, უფლის დიდი მადლი აქვს,
ნაკუწ ნაკუწ მტერმა ტანზე ლამის შემოგვახია,
შვილებს აქ მყოფს თუ წასულებს,გულში დიდი დარდი აქვთ,
მფარველობა არ მოაკლოს ცრემლიანი დადიან.
დრო მოვა და ჩვენ ერთობის სადღეგრძელოს დაცლიან,
მზე ქალწულო მზე მოჰფინე, დღეებს ცივს და ავდრიანს,
სულში მადლი აგვიყვავე, დღეს რომ შემოგვძარცვია,
მოგვეც ნიჭი სიყვარულის ჩვენ რომ დაგვიკარგია.
დროა რწმენით ფეხზე დავდგეთ, ურჩობა არ გვარია,
ღვთის წყალობით ალბათ მალე, სხვები შემოგვნატრიან,
თბილი კალთა დაგვაფარე,დღეს ქართველებს დარდიანს,
ერთად შევხვდეთ ჩვენი ქვეყნის, გაბრწყინებულ განთიადს.

იბედნიერეთ

თქვენი ღიმილით ვარ ბედნიერი,
თქვენ რომ მოიწყენთ მეც გული მტკივა,
თქვენ ჩემი მზე ხართ პირმშვენიერი,
ჩემი ცხივრების ცაზე რომ ბრწყინავთ.
თქვენი იმედი კურნავს იარბს,
გამოვიარეთ ჩვენ ხიდი ბეწვის,
თბილი ალერსით დღეს გულს მიამებთ,
იბედნიერეთ, მიყვარხართ დედი.
ლოცვა და მადლი უფლის გათბობდეთ,
ამ ქვეყნად არვის არ გქონდეთ შიში,
იმედად ვდგავარ, მუდამ გახსოვდეთ
და სიყვარულით თბილ ხელებს გიწვდით.
მსურს სიყვარულის ნიჭი გამკობდეთ,
მადლს და სიკეთეს უხვად რომ იმკის,
მიზანს მიაღწევთ, რაც უნდა მოხდეს,
უფლის გზა არის, გზა, ჭეშმარიტი.
მე სიყვარულის მწვერვალს გატოლებთ,
დედობის მადლით ზეცას რომ ერთვის,
მშვიდად იარეთ, ლოცვას გაყოლებთ,
იბედნიერეთ, მიყვარხართ დედი.

გილოცავ დედა

დაბადების დღეს მინდა რომ გითხრა
მე შენში ვიცან კეთილი ღმერთი,
ხატიც შენ იყავ ამქვეყნად წმინდა,
შეუცვლელი და ერთადერთი.
შენი ალერსი და ზრუნვა მზრდიდა,
მე შენთან ერთად ავიდგი ფეხი,
შენც ტიტინებდი ბავშვივით დიდხანს,
სიტყვას, რომელიც მე კარგად ვერ ვთქვი.
ტკბილი ამბორით იარებს ხშირად,
მიშუშებდი და მიკრავდი მკერდში,
,,შენ გენაცვალე"იმ ძალას მგვრიდა,
ოცნების ლამაზ მწვერვალს რომ შევწვდი.
ისევ ვიგონებ ტკბილად ამ წუთებს,
იმედად ისევ ჩემ გვერდით გხედავ,
მე სიყვარულის ტკბობით მასუნთქე,
დღეს შენი გული ჩემ მკერდში ფეთქავს.
ახლა გავცქერი სივრცეს უშენოს,
ტკბილ ხმას და ღიმილს დავეძებ შენსას,
ზეცა არ მტოვებს დედა უშენოდ
და მგონია,რომ მზე ახლა შენ ხარ.
მინდა მოგხვიო ისევ ხელები,
უკვდავი სული ყველაფერს ხედავს,
მოვალ და ისევ მოგეფერები,
დაბადების დღეს გილოცავ დედა.

მაგული კორძაია

* * *

ბავშვურმა მზერამ
მამოგზაურა,
თითო შაურად "ვასხვისებ "ღიმილს..,
"ავი თვალისგან"
რომ მიფარვადა,
აკვანს შებმული
შავთვალა მძივი...
თუმც ,იდუმალი იყო ნალოცი,
ბებოს თვალების
უძირო სევდა,
თითქოს სიავეს აგარიდებდა,
არ გაკარებდა შიშსა და ელდას...
იქ ,ბავშვობაში,
სხვა სიო ქროდა,
სხვა სუნი ჰქონდა ორღობის ნეშოს,
დღეს ყველა ნაბიჯს სიხისტე დასდევს,
ცდილობს ბავშვობაც გააუხეშოს...
რაღაც სხვა განცდა დამიძმობილდა,
ვეპაექრები სიცოცხლის ქარებს,
სანამ ბავშვობის თვალებით ვხედავთ
მზე დასთამაშებს,
სიცოცხლის
კარებს!

გილოცავთ!
ლაგურკას მადლი შეგვეწიოს!

×××

ისე ლამაზია გათენება,
სულში შროშანები დაფრინავენ,
ენგურის ნაპირებს მივუყვები,
ბავშვივით ჭრელ კაბას ვაფრიალებ...
მოჩითულ კორდებს და ველ-მინდვრებზე
ბავშვობა მომინდა,
გადამრია,
დღეს ხომ კვირიკობა გაგვითენდა,
-წმინდა ივლიტემ და ლამარიამ
ასე შთამაგონეს,
დედა თუ ხარ,
და შვილის გულის ფეთქვა
გესმის,
"ლაგურკას" აღმართი იწაღმართე,
მადლით მოირწყასო შენი
ფესვი!
– სულ სამი წლის ვარო,
კვირიკემ,
და
სულში დამფოთლა და გამაცია...
დედას,
დაბნეულს და ჩაფიქრებულს,
ლაგურკას მადლი დამაწია!
დიდია უფალო ნება შენი,
იქნებ, მეც ოდესმე
"არ ვიდარდო"...
ვლოცულობ,
მომყვება ზურგის ქარი,
-შვილები
მშობლებად დაიზარდონ!

სვ: ლიგურკე-კვირიკობა;

კვლავ მედარდები ადამიანო

"""

მართლა ვერ ვხვდები, რანი ვართ,
ვინ ვართ,
აღმართ-დაღმართის
რა ვალი გვმართებს,
ტაძრად შესული,
მთრთოლვარე
ხატთან,
უფალს ვედრებით
დროს რისთვის ვართმევთ...
ადამიანი
თითქოს გაცრეცილ,
გადაფითრებულ
ღრუბლიდან
იშვა,
რადგან იმდენი
ლორთქო ბალახი
წყალს გააყოლა
უღმერთო შიშმა!
მზე ნეფერტიტობს,
თენდება დილა,
სასაყვედურო
რა უნდა გვჭირდეს,
მაგრამ ამაო წუთების თვლაში,
მონოტონურად
რაღაცას მივდევთ...
და ეს ქაოსი
დაოსილ თვალებს
დღემდე უცრემლო
ცეცხლად ასკდება,
ამოუცნობი იმედით ვცოცხლობთ,
გარდაიცვლება
დღე თუ მოკვდება...
და ასე შემდეგ,
– გუშინ,
დღეს, ხვალაც -
დავდივართ უღვთოდ, და წარამარა,
ნეტავ გშველოდე
ადამიანო,
აკიდებულო ამ სოფლის ვარამს....

ფერიცვალების გვმოსავდეს მადლი †

+++

მწიკვი მარილი მომაყარეთ ...
იქნებ,
გემო – ვნება
არ მედავოს,
შავი ისევ თეთრში ამერია,
მართლა ვეღარა გცნობ,
ჩემო თავო...
გიჟი "დაჭკვიანდა,"
ჭკვიანს უჭირს,
ღამემ მზის სხივები მიითვისა,
მიწამ ვერ გაუძლო ამდენ "ტალახს"
კაცმა დედა, მიწაც გაასხვისა....
ცაზე აცაბაცად ბანცალებენ,
ჩვენი შემხედვარე ცთომილები,
მერე თქეშად მოდის ნიაღვარი,
ჩვენი ცოდვების და ცდომილების...
სული გადასარკე დედამიწავ,
მზეო,
სულ ტყუილად გეურჩებით,
ფერი ლაჟვარდებით შეგვიმოსე,
თუ კი ისევ ისე გეუნჯებით.
ხედავ,
აღარ დარჩა ცისქვეშეთში,
ევა,
– მომკითხავი
ედემისა,
"ფერი"იმდენჯერ შევიცვალეთ,
უფრო მჩხიბავს ვგავდით, ვგავდით მისანს...
დღესაც
პირველყოფილ ცოდვით ვიწვით,
სულის პალიტრაზე ქაოსია,
ფერი სინათლისა მოგვაშველე
– აჰა,
უსაშველოდ გრძელი სია...

რაღაც სინანულის მსგავსი...

*

დარდით დაკარგულ სიმშვიდეს არც
ვცდილობთ
შენში ვეძიოთ,
სულს ლიბრი შემოხვევია,
ვერ გხედავს,
თითქოს ეძინოს...
ორ ნაბიჯზეა
ზარის ხმა
– •აონ...
– ყრუ ვართ და არ გვესმის,
ამ სოფლის "სადარდებელით"
სადღაც უღონოდ დავეშვით...
გვიხმობს
სინდისს ქენჯნა და
ჯანღს ვეღარ ვფანტავთ ცდუნების,
გზა იკარგება,
არ მოჩანს,
არც "ურმის გადაბრუნებით"...
რა საფიქრალს არ ვეწიე,
შენს ნატერფალს რომ ვკოცნიდე,
ეგთხოვ,
კიდევ ერთხელ მითხარი
-სისუსტეს როგორ
მოვცილდე.
საუკუნეთა ღაღადი,
გზას ეძებს
უგზო მხარეში,
მოდი
უფალო
ერთხელაც,
ტკბილად ჩაგვხედე თვალებში
იქნებ მორჩეს და დამთავრდეს,
გზააბნეული თარეში...
ხან მარცვალ-მარცვალ აკენკილ
შვებას ბავშვივით შევყურებთ,
არსით მოგვრილი ღიმილით
ისევ იმედად შეგყურებთ!

სვანეთი უშგული ჩემი სამოთხე

+++

კრძალვით,ყვავილებით ვეახელი,
სხეულს უწონობის შუქი მოსავს,
სულია,
რაც აქ მაბადია,
აქ მართლა გინდა,
ჰგავდე მგოსანს...
კალმახი ჩქერალებს ათამაშებს,
არწივნი ირაოს გადადიან,
აქ მხოლოდ გული ბაგაბუგობს,
წამი ხომ ხელდასხმით ნაბადია.
ჯიხვები ჭიუხებს შეყვებიან,
ამაყი მზერით და ნაბიჯებით,
აქ ყველა სიგიჟე გავიწყდება,
ლაღდები,
რიდით და დადინჯებით.
სხივები მზისფერად დაფერავენ,
ქარაფთა შეუვალ
მდუმარებას,
ლაჟვარდი
ზეციურ
ელვარებას
სულისხმას მოავლებს
ვუალებად,
თუ სადმე კვლავ ცდილობს ლუციფერი...
– ვერ გვაქცევს სამყაროს "უარებად"!

წერეთ,ჰო წერეთ,
სიტყვა მართალი

**

ყველა პოეტის სული ბობოქრობს,
სიმართლისთვის რომ
ტყვიას დაიხლის,
ოღონდ ამღვრეულ წუთისოფელში
მარადისობის კარნი განიხვნეს!
ყველას ერთი აქვს სადარდებელი,
ცას შეეჯიდოს სიტყვა მართალი,
ყველას ტკივილი ერთია,
თუნდაც,
აზრი "კოჭლობდეს,"
გაუმართავი...
ტკივილი ცის და ტკივილი მიწის,
ყველა პოეტის სტრიქონში იწვის,
რისი თქმა უნდა
– კაცმა თუ არა,
ლექსმა თუ არა,
ღმერთმა ხომ იცის!
იცის და ასე
წვეთ-წვეთ ივსება,
თასი სიმართლის,
(რაც არ იცვლება,)
წერეთ,
ჰო,
წერეთ,
სიტყვა მართალი,
თორემ სიმართლე გარდაიცვლება!

*

დავძენძეთ,
მოვცელეთ
სამყარო,
გული ცემს უცნაურ რიტმებით,
იქნებ და ამ უკუნს გამყაროს,
დღემდე რომ
ხვალისთვის ვითმენდი...
გული ცემს,
გულისხმას ამხნევებს,
იცის რომ
შაურად ყიდიან,
სიმართლე გამხდარა ხიზანი,
ტყუილი იმდენად დიდია!
გზადაგზა ნარეკალს ვიცილებ,
ამაო
ბილიკებს ვამოკლებ,
წარმავალ დიდებას ეომეთ,
-ხომ "უთხრა"
მახვილმა დამოკლეს...
მზისა და სინათლის მწყურვალი,
სიბრმავეს სიტყვებით ვერ ვშველი,
ზეცისთვის ვერაფერს ვაგროვებ,
დავდივარ ბოგანო, შიშველი.
,გოდებაც მოსწყინდა სტრიქონებს,
კალამი ხელისგულს მისველებს,
"ყველაფრით დაღლილმა,"
წარსულთან
მხარი ჩამოვდე და
ვისვენებ....

მირანდა ზაბახიძე

* * *

მოველ,რომ ისევ,ისევ და კვლავაც,
ვუსმინო:შენი ზარების რეკვას,
და დავუჩოქო:დავითის საფლავს,
და ვეთაყვანო:მესიის ფრესკას,
ვუცქირო შენს ცას,როგორც მინანქარს,
ვით ხატავს შენი მზე მეწამული,
და უმძაფრესად,
და უმძაფრესად,
და უმძაფრესად,
ვიგრძნო მამული.

* * *

არ დაიფარა ვერცხლით თამაში,
ღალატი მაინც გამომზეურდა,
კივის შენს თვალში სულის განგაში,
და ვერ მისწორებს მზერას,იუდა.
მიცქირე! ხედავ,ტკივილს უწმინდესს,
ვერ აბოროტებს ჯვარცმის ვაება,
და ჩემს ცოდვილ სულს ჯვარცმით ვუმტკიცებ,
რომ კაცის სულში სუფევს ღვთაება.

* * *

მე ჩემს ზღვარს ვეძებ და ჩამქრალ მზეში,
შევდივარ ჩემი მზითა და ფიქრით.
ხელს გიწვდენ ჟამთა გაუვალ ტევრში,
საუკუნეთა მიღმა და იქით.

გიხმობ!მე მინდა სურვილებს ნამარხს,
მივაპყრო მზიურ სურვილთა დენა,
სულში ჩაგხედო და სულ ერთ წამად,
ვაქციო დროის უსაზღვრო დენა.

მე მზის შვილი ვარ და ვით ცდუნებას,
ლურჯ ცას ვაგებებ ნანგრევის სიზმრებს,
და ტკივილები საუკუნეთა
სულის უცხადეს თვალებით მიმზერს.

შენი სულისგან წაშლილი ზღვარი,
და ნანგრევებში აღმდგარი ფიქრი.
იწვის ვით ჩემგან წასული კვალი,
საუკუნეთა მიღმა და იქით.

სიცოცხლე !იქაც– სულის მახვილებს,
აშიშვლებს მაღალ სიცოცხლის ქარგა.
არ უნდა დარჩეს ეს სინამდვილე,
ისეთი როგორც იყო და დაგხვდა.

სიცოცხლე!იქაც-უსაზღვრობაში,
ნაბიჯი,პოვნა და დამკვიდრება.
და უსასრულო გზებზე ლტოლვაში,
შენად ქცეული ჭეშმარიტება.

* * *

და მეორდება...კაენის ცოდვაც,
და ამირანის ბრძოლა არწივთან,
ტანჯვის იგავი-სიზიფეს ლოდად,
მოსეს უდაბნოც და თავგანწირვაც,
ქრისტეს ჯვარცმა და იუდას ვერცხლი,
სხვა პარადიგმა რა აქვს სამყაროს?!
ისევ ინთება ჩამქრალი ცეცხლი,
და ასე:კვლავ და დაუსაბამოდ...

სოხუმს

ომი-ღონისძიებაა, როცა რამდენიმე გაიძვერას ინტერესს ათასობით უდანაშაულო ადამიანი ეწირება

სხვა არაფერი არ მახსოვს მარტო,
ღამის ქალაქი და ზღვის ნაპირი.
და -ნაღვლიანი თვალები ფართო,
ამ ყველაფერით ძლიერ დაღლილი.

ფოთლის შრიალი, სიგიჟე ქარის,
შემკრთალ სახეზე-ცახცახი ჩრდილის,
შენი ტირილი ჩუმი და წყნარი
ასე, სოხუმი უცრემლოდ ტირის.

ო, როგორ მტკივა, ო, როგორ მტკივა
ეს ყოველივე და თვალზე ცრემლი
მოადგა-ვიგრძენ, როგორც ჭრილობა,
უსუსურობა შენი და ჩემი.

დღეს შეპარვია სიცივე უკვე,
მზეს დაჰკარგვია სითბოს მარაგი.
საოცარია,არავის უკვირს,
როგორ იცვლება თვალწინ ქალაქი.

მზე უღიმღამოდ ანათებს ქუჩებს –
ჩადის და სანთლის მსგავსად ილევა,
და დაუპყრია ქალაქი უცებ,
რაღაც სევდიან განწყობილებას.

სიკვდილმისჯილი კაცივით ტაძრის,
კედლებს ცახცახით ავვრია ჩრდილი
სოხუმი როგორც უმწეო ბავშვი
მოგვჩერებია და უხმოდ ტირის.

გზებზე დუმილის ფერფლი ეყარა.
თვლემდა სამყარო. არ ყეფდა ძაღლი.
ანგელოზებმა ცოდვილ ქვეყანას
მამაღმერთივით დახედა-მაღლით.

მშვიდობით! რაღაც ახალს მოველი,
მზერას გისწორებ შემკრთალ იერით,
მივდივარ,და თან მიმაქვს ყოველი,
რაც ძვირფასია და მიწიერი.

რაღაც აკლია

რაღაც აკლია ამ სინამდვილეს...
ანთებს,კვლავ ანთებს ფერებს გოგენი,
კვლავ უხმობს სული უცხო ნაპირებს,
ისევ დაეძებს კაცს დიოგენი,

ებრძვის,კვლავ ებრძვის ღმერთს გილგამეში,
ეძებენ ფრთებს და ფრთებს ოცნებები.
და ვარსკვლავებით სავსე ღამეში
ჰქრიან და ჰქრიან ლურჯა ცხენები.

* * *

სულო ,ვერასდროს ვერ მიატოვებ,
დაწყევლილ კითხვას:რატომ და რისთვის,
დუელში იწვევს მრუმე ფანტომებს,
იწვევ უცხადეს მზისთვის და გზისთვის.

ვერ მიატოვებ!და ვერ დაცხრები,
მაშინაც,როცა შენს თავს მიაგნებ,
მაშინაც, როცა შენს თავს ჩასწვდები,
ვით დამარცხებულ ეკლესიასტეს.

ვერიკო პარწიკანაშვილი

****

კლდეებს რომ კისკისი გადუვლის
და ხმებს
აისხლეტავს ექოთა,
თუ შენი სურვილი
მომივლის,
სიცოცხლე წამლად
არ მეყოფა!

მთვარე
გადამტყდარა შუაზე,
გაიხა ცის
ლურჯი ნაპირი,
ელვის-ფერ მინდორზე
გეძებდი,
ცას ჩამოსტიროდა
თავ-პირი!

ო, როგორ მინდოდა
მეპოვე,
ერთად დავირბენდით
სველ ქუჩებს,
სიცოცხლის მიჯნასთან დაგიცდი,
მეორე სიცოცხლეს
გაჩუქებ!

****

გადამიკითხე, გადამშალე,
ძველი წიგნივით,
და ჩემს ფურცლებში
სიყვარულის-იქეც-ძიებად,
მერე შენს კითხვებს
თუ დროულად ვერ ვუპასუხებ,
მიხვდები რატომ
და დუმილი, მეპატიება!

მე ის წიგნი ვარ,
საგანგებოდ,
შენთვის რომ წერეს,
ყველა სტრიქონს და
ყველა სიტყვას რომ გაზიარა,
თუმცა, განგებამ სტრიქონები
არივ-დარია
და ზოგიერთი
სამუდამოდ დააზიანა?!

მაგრამ შენ,
მაინც გადამშალე,
აგავსო ჩემით,
მამღერე, მხატე,
შემოდგომის-ფერი-კოცნებით,
წყალი მაპკურე,
დამაპურე,
შემიკარ სუნთქვა,
მომრწყე და ნახავ,
ისევ როგორ გავიფოთლები!

ავშრიალდები, ავყვავდები,
მოვისხამ კვირტებს
და მერე გული
დამამძიმებს,
ისევ ფიქრივით,
სხვა არაფერი,
არაფერი არ მინდა ახლა,
გადამშალე და
წამიკითხე
ძველი წიგნივით!

****

ატეხილ ჭალებს ვესტუმრე,
კლდეებს ნისლები აწვიმდა,
ფრენა ვინატრე, ხოხობი
ისე ლამაზად აფრინდა!

ტყის და ბუნების მშვენება,
ფეხს არ აკარებს მიწაზე,
ვერ დაეწია მწევარი
და მეც, ირმობა ვინატრე!

არწივი ძერას ჩამოჰყვა,
ამოფრენილსა ბუდიდან,
მყის არწივობა მომინდა,
ნატვრა აღმომხდა უბიდან!

მაიმუნს, ხეზე მორბენალს,
დრო რომ აქვს
თავზე საყრელად,
მაიმუნობაც მომინდა,
დარდების გადასაყრელად!

ბუნება მბრძანებელია,
რა კარგად უთქვამს ვაჟასო,
ან ნეტავ რისთვის გიყვებით,
ამ უღიმღამო ამბავსო?

ამდენმა ფიქრმა დამღალა,
ნატვრებიც მექცა იარად
ხან ვტირი, ხანაც ვიცინი,
ვეღარა გამიგია-რა!

ვერც რომ უშენოდ ვერ გავძლებ,
შენც მყავხარ გულის-ფრიალად
და გადავწყვიტე დარჩენა,
უბრალო (დ) ადამიანად!

****

მორყეული საძირკველი მტკივა
და მერცხლების
ჩამოშლილი ბუდე,
ქაფ-მორეულ ღრუბლებს
როგორ სცივათ,
ალბათ მათაც მარტოობა უტევთ!

სულ გამხმარა
ხეხილი და ტევრი,
ვაზიც მართლა ობოლივით ტირის,
გასჩენია მიწას დარდი დიდი,
სულშიც, სევდის ჩირაღდნები
ღვივის!

დაკარგული აფხაზეთი მტკივა,
ენგურს იქით ხმას რომ
ვაწვდენ ვერვის,
უქართველო სამაჩაბლო მტკივა
და მკლავს ფიქრი,
რა იქნება მერმისს?

მტკივა ,,ოშკი",
მტკივა ჩემი ,,ბანა",
ჭრილობებს რომ
ვერ იშუშებს ჯერაც,
დაკეტილი, ყველა კარი მტკივა
და თვალების
სხივ-ჩამქრალი მზერა!

აქ გაზაფხულს ჩაუცვია თალხი,
ტირის მარტოდ
დარჩენილი ოდა,
როგორ მიყვარს,
ეს ალალი ხალხი,
ვინც აქ დარჩა და
სოფელზე შფოთავს!

გრილ ამინდებს,
ზაფხულები შეცვლის,
შემოდგომებს,
ფანტელების თოვა,
შინ დაბრუნდით, გევედრებით, თორემ
,,გაზაფხული" აქ,
არასდროს მოვა!

მარტო-სახლებს, ხედავთ
როგორ უჭირთ,
ნატაძრალნიც,მარტოობენ უკვე,
მორყეული საძირკველი მტკივა
და მერცხლების
ჩამოშლილი ბუდე!

****

სულში შემოდიან,
ფიქრები დეკემბრის,
მერე ეშვებიან
ზეციდან-მიწაზე,
მე და შენ ამ ქვეყნად
იმიტომ მოვედით,
რომ ერთად გვეცხოვრა
აქ, დედამიწაზე!

სხეული დაიპყრეს
ცივმა ღამეებმა,
ოცნებებს მე ისევ
ფიქრებში ვინახავ,
ასე, ანგელოზად
ჩემთვის რომ მოხვედი,
არ ვიცი საიდან,
არ ვიცი ვინა ხარ!

ფითრის-ფერ აისებს,
დასჩემდათ ბოდვები,
სხივებს გარდატეხავს
კლდე-ნისლებიანი,
ღმერთმა ჩვენ ერთმანეთს,
იმიტომ შეგვყარა,
ცხოვრების ყველა დღე
გვქონოდა მზიანი!

დეკემბრის ღამეებს
ეწყებათ კანკალი,
სულში ჩირაღდნები
იწვიან იებად
და თუ სიყვარული
ვერავის დავუთმეთ,
ნუ დაგვემდურებით,
ეს, გვეპატიება!

******

მე შენთვის, ისევ ის
პატარა გოგო ვარ,
შენ ჩემთვის, ისევ ის
მუდმივი კამათი,
სიცოცხლის გასაყარ
გზაზე თუ ავტირდი,
აი, ეს იქნება
,,ქეშიც" და ,,შამათიც"!

მე შენთვის, ისევ ის
მტირალა გოგო ვარ,
შენ ჩემთვის, გმირი და
მუდმივი ,,ტანდემი",
ჩვენ, ასე დავიწყეთ
ცხოვრება წლების წინ,
არ არის საჭირო,
კითხვები ამდენი!

მოვდივართ და მოგვაქვს
ხან კარგი, ხან ცუდი,
ამასობაში კი,
ეს წლები გავიდა,
მაგრამ სულ არ ვნანობ,
რომ შეიძლებოდეს,
ისევ დავიწყებდი
ყველაფერს თავიდან!

მე შენი მუდმივი
დარდი და ფიქრი ვარ,
შენ ჩემი ,,გმირი" და
მუდმივი ბოდვები,
მე შენი, აპრილის
წკაპუნა წვიმა ვარ,
შენ პეშვი, რომელშიც,
ვწვეთავ და ვგროვდები!
და ვფიქრობ, ეს წლები
რა უცებ გასულა,
ჩვენი სიყვარული კი
ისევ ,,თავხედობს"
და შენი ყორნის-ფერ,
ქურთუკის ყელიდან,
კვლავ თვალს მჭრის
პერანგის
ქათქათა საყელო!

* * *

შენ, ის სიზმარი ხარ,
წუხელ რომ ვიხილე,
ის ღვინო, თავბრუს რომ
მახვევს და მაგიჟებს,
შენ, ჩემი ცხოვრების
მთის ბროლის მძივი ხარ,
სულ მისხალ-მისხალ რომ
წვალებით ავკინძე!

შენ, ჩემი წყარო ხარ,
წყარო უკვდავების,
ჩემი წამალი ხარ,
გულის ხვაშიადი,
უკვე მერამდენე
წელი გავიდა და
მაინც ვერ გავიგე,
შენი ხასიათი!

ის წვიმის წვეთი ხარ,
ციდან ჩამოსული,
დაგვალულ ტუჩებს რომ
მორწყავს და აავსებს,
სველ ვარდის ფურცლებად
დაშლილი ბოდვა ხარ,
მზერა ალმაცერი,
ღიმილს რომ აგასხლეტს!

ჩემი მაისი ხარ,
მწიფე ნოემბერი,
ღვინო, მაჭარივით
მუდამ რომ ჩუხჩუხებს,
ის მონატრება ხარ,
სულს რომ მიაპრილებს,
ხმა-სირინოზისა,
ყურთან რომ ჩურჩულებს!

ის ხარ, ხელის გულზე
რომ იტევს სამყაროს,
თვალის სინათლე ხარ,
უხმო ხვაშიადი,
მესამყაროები,
თუმცა, წლებია და
მაინც ვერ გავიგე
შენი ხასიათი!

*

თვალებში ჭინკები ბინადრობენ,
ჩემში კი კვლავ ,,პეპი" ცხოვრობს,
ცხოვრება გულწრფელი ღიმილია,
ასაკი ციფრებია მხოლოდ!

******

როცა იასამანს ფერი ეკარება,
როცა ფურცელ – ფურცელ იშლება,
თითქოს ყველაფერი უკვე გვიანია,
თითქოს ყველაფერი გბეზრდება!

ლექსები

ლექსები, ხანდახან
მახვილი, ფარია,
ხანდახან ელვაა,
ხანდახან ქნარია,
ლექსები ხანდახან,
ფასობს და ოქროობს,
კარგზე იღიმის და
ცუდზე კი ბობოქრობს.

ლექსები, ბევრ სათქმელს,
უთქმელს რომ დატოვებს,
ლექსები, ჩვენს სათქმელს
ფურცლებზე დაიტანს,
ლექსები გვათბობს და
ლექსები გვამღერებს,
ყველა დროს უძლებს და
ყველაფერს აიტანეს.

ლექსები, სიმართლით,
თვალებს რომ აგვიხელს,
ჩვენს გულში იმედს და
რწმენას რომ დატოვებს,
და როცა, იმედის
იმედსაც დავკარგავთ,
მაშინ გვიერთგულებს და
მარტო არ გვტოვებს.

ლექსები, ოცნებით,
ზეცის კარს გაგვიღებს,
ჩვენს სათქმელს ჩურჩულით
იტყვის და გაგვიგებს!
ლექსები გვაცინებს,
ლექსები გვატირებს,
ლექსები, ჩუმ სათქმელს,
უთქმელად გაგვიმხელს.

გიყვარს? – მიუძღვენი!
არ მოგწონს? – დაწერე!
დასცინი? – დაწერე!
აღმერთებ? – დაწერე!
ბუნება აყვავდა?
– თვალი გადაავლე!
დახატე, გაზომე,
გაჭერი, აღწერე!

რაც გინდა, ის ქენი,
ოღონდ, თქვი ლექსებად,
ლამაზ ლექსს რომ ისმენ
და გული გევსება.

ლექსი, სიყვარულის,
მზის თანაზიარი,
ლექსია მალამო,
გულის და სიმშვიდის,
ლექსი – შემოდგომა!
ლექსი – გაზაფხული!
შეიგრძენ, გაიგე, იმღერე,
ვინ გიშლის?

მოკლედ, ლექსებია
დროების მალამო,
როცა სული გვტკივა,
განგვკურნავს, გვიწამლებს,
გულს გვატკენს ხანდახან,
მაგრამ დაგვანახვებს,
ტყუილ-მართალსა და
ტკბილ-მწარე სიმართლეს.

ჩუმად რომ მკურნალობს
დარდებს და სატკივარს,
ხან ყველაფერია,
ხან კიდევ, არაფრობს,
დრო, ჯოხის კაკუნით,
მიიკვლევს ბილიკებს,
დრო გვტკივა, როდესაც,
ლექსები არ გვათბობს!

ეთერ ლობჟანიძე

* * *

ვწერე და ვწერე რითმები-
ფურცლებს მოვფინე ფიქრები,
გიგზანით როგორც უსტარი
და ჩემს სურვილებს გიყვებით...
ხან – ცრემლებში ვარ ნაბანი,
ხან-მზის სხივებით ვირთვები,
ირგვლივ სიყვარულს ვაბნევ და
ამ სიყვარულით ვითვრები!

მე მენატრები!

ო ... როგორ მინდა-
ვიყო პატარა,
ის მეოცნებე
პატარა ბავშვი....
ვინაც სამყარო
გულით ატარა,
კონებად ჰკრავდა
გვირილებს მთაში....
ო... როგორ მინდა
სკოლის კიბეზე,
არბენ -– ჩარბენა
სიცილ – კისკისით,
ხან გაკვეთილზე
დაგვიანება,
და მასწავლებლის
წყრომა ვიშ-ვიში...
ო... როგორ მინდა
ო... მეგობრებო,
ერთად შეგავლოთ
სულყველას თვალი,
თქვენი ლამაზი
ღიმილი ვნახო,
და არა სახე
ფერებგამკრთალი...
ჩვენი ლამაზი
სკოლის ეზოში,
მინდა რომ ისევ
ერთად ვიხტუნოთ,
ავაწიოკოთ
მასწავლებლები-
ისევ ვაბრაზოთ
ისევ ვიხუმროთ,,,
უკვე რამდენი
წლები გასულა,
თუმცა ხსოვნაში
უცვლელი რჩები...
შენგან აღზრდილი
ბევრი გასულა,
ვინც ასახელა
მამული ჩვენი....

ჰო ... ჩემო სკოლავ-
მე მენატრები-
როგორც ბავშვობა .
და როგორც ყრმობა .....

სოფელ ღების საშუალო სკოლა.

შენი გქონდა მაინც ვალად!

ვის შევჩივლოთ? ვინ გვიშველის? ჰოი, მესხეთ– ჯავახეთო, ძველ ჭრილობებს დაემატა,
ან სამართალს სად აქვს ძალა, ჩამოგაჭრეს მხრები ჯალათთ.. ახლა უკვე ახლის კვალი,
ირგვლივ სვავი გვახვევია ნებით რომ არ დაგითმია, ცხინვალი და აფხაზეთი
ყველა მხრიდან გვიცვლის სამანს! სისხლით რომ ვერ დაგიფარავს! ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი!

ოჰ , მამულო ძველთაგანვე, თავის მიწით , თავისი წყლით, არვინ არ თქვას , რომ ძველია,
სისხლის გუბე გქონდა ფარად, სხვისი მიწის ზვარაკს ჰგვანან, რომ ტკივილებს გასდის ხანი,
არავისი არ გემართა ჩამონგრეულ ქონგურებზე არც ჭრილობა არ ხორცდება
შენი გქონდა, მაინც ვალად! თავდახრილი მტრედნი სჩანან! ყელზე გვადგას, როგორც ძვალი!

ყველა მხრიდან გწეწეს, გგლიჯეს, აბა როგორ იფიქრებდა, ის რაც მტერმა უსამართლოდ,
გიფარავდა ღმერთი , მარა, ვახტანგ მეფე ოდეს ამას, ჩამოგვაჭრა უხეშ ძალით,
ამდენ ურდოს ოდითგანვე დოლის ყურებს რომ სწირავდა მიითვისა , მიიტაცა
ვინ გაუძლოს? ან რა ძალამ! როცა სწამდა "დოლის ყანა"! სულს დააღო მამულს ბზარი!

სამშობლოს მიღმა დარჩენილ ან რა მათი სამკვიდროა, სამშობლო გვაქვს დარჩენილი,
სამშობლოზე ფიქრი გვზარავს, ართვინი და არდაგანი, ჩვენ სამშობლოს მიღმა ძალად,
რადგან ჩვენი საუფლოა ღმერთო, მითხარ თუ ხარ სადმე ჩამონგრეულ გუმბათებსაც
ჩვენი "ოშკი," ჩვენი " ბანა"! თუ სადმეა სამართალი?! თითქოს სისხლი მოსდით ღვარად!

ჩვენი "ხახული" და "ოთხთა," ტრაპიზონს კი მიუერთეს, ღმართო, შეგთხოვთ დაუბრუნე,
ჩვენი "ხანძთა " , ჩვენი "ტაო," ჩვენი ჭანეთ(ლაზისტანი), ჩვენს ქვეყანას ისევ ძალა,
ჩამონგრეულ გუმბათებზე საინგილოს, ფერეიდანს, რომ აღუდგეს წინ გრიგალებს
დაფენილო სევდის ზღვაო! მამულისკენ რჩება თვალი... თვის სამშობლოს დასაცავად!

ეთერ გაჩეჩილაძე

ფოთოლცვენამ ჩამაფიქრა

მწვანე ფოთლებს შეერია ყვითელი,
აჭრელდა და აფერადდა გარემო.
ალაგ-ალაგ გაერია წითელიც,
შემოდგომა დროა ალბათ, საჩემო.

გაირბინა წლებმა ისე ფარულად,
უკვე გასულს, თვალიც ვერ მოვასწარი.
ისე სწრაფად ჩამოვწერე წარსულად,
თითქოს იყო სუსტი მიუსაფარი.

ფოთოლცვენამ ჩამაფიქრა ძალიან,
დღეებიც რომ ფოთლებივით დამცვივდა.
აღარც ვგავარ იმ გოგონას ხალიანს,
ჩემსკენ მზერით თვალები რომ დასცვივდა.

ამ ცხოვრებამ გაიარა მალულად,
სინანულით გამაღიმა ცრემლიანს.
გული ჩამწყდა და ჩავთვალე წასულად,
ყველა გრძნობა, რადგან არსად ელიან.

ახლა უკვე ძლიერ მძიმედ განვიცდი,
შემოდგომას... მალე ზამთარს მომავალს.
დღეც გვერდით რომ ჩამირბენს და არ მიცდის,
ვერ ვიჯერებ... ვიმკი ბოლო მოსავალს.

მწვანე ფოთლებს შეერია ყვითელი,
მალე ხის ტოტს არ შერჩება არცერთი.
გული მტკივა, რომ იმსხვრევა სიხმელით
და მიწასთან დაერქმევა ნაერთი.

ცას შეუცვალა ღრუბელმა ფერი

ჩამოქროლილმა ძლიერმა ქარმა
გადაიყოლა იმედი სადღაც.
გადაკარგა და ვერ შეძლო დარმა
რომ დამენახა თუნდ მცირე რაღაც.

ცას შეუცვალა ღრუბელმა ფერი,
გადამირბინა სახეზე ჩრდილმა.
მზე გაფერმკრთალდა, გაქრა ცისფერი
და მიმატოვმა სხივებმა თბილმა.

გაოქროსფერდა ფოთლები ხეზე,
შრიალ-შრიალით დაიწყო ცვენა.
ფერად ხალიჩად დაეგო გზებზე,
თანდათანობით გადიქცა ფენად.

,, ოცნების კოშკსაც" მოეღო ბოლო,
ცაში აფრენილს დაემტვრა ფრთები.
კვლავ სიმარტოვე მეახლა მხოლოდ,
რასაც მივანდე უღონო მხრები.

კალენდრის ფურცლებს ფრიალი გააქვთ,
წელიწადები ილევა ნელა.
საჩემო დარდი ყველა დღეს დააქვს
და ღიმილები მემჩნევა ძნელად.

ძლიერი ქარი ჩამორბის მთიდან,
ზამთრის პირს უკვე თვალები უჩანს.
შორს გაბნეული მზის სხივი ციდან,
ვეღარ გააშრობს ნაწვიმარ ქუჩას.

როგორ მომინდა.....

როგორ მომინდა ახლა შენგან ვისმენდე ამბებს,
გულის წიაღში შემონახულს, ბავშვურად ნათქვამს.
ამბობდე არა სიზმარეულს, არამედ ცხადებს,
იმედით იყო, რომ ნაამბობს არასდროს გავთქვამ.

როგორ მომინდა ახლა ჩემთან, რომ იჯდე გვერდით,.
ბუხრიდან ალის ათინათებს ვუმზერდეთ ერთად.
რა მოხდებოდა, ყოფილიყავ საჩემო ბედით
და მარტოსული არ მრქმეოდა არასდროს მეტად.

თავი არ მეგრძნო არასოდეს ყველასგან ეულს,
მსუბუქს, ფარფატას, ფოთოლივით ფრიალას ქარში.
როგორ მომინდა, მოგერთმია ვარდები რჩეულს,
ხელ-ჩაკიდებულს გვესეირნა ზღვის პირას დარში.

ლამაზად შენი ნაუბრები მესმინა ხიბლით,
გავმთბარიყავი მიყრდნობილი ღონიერ მკერდში.
აღარ მქონოდა ეს თვალები აღსავსე ნისლით
და ნაბიჯებიც გადამედგა ძლიერად გზებში.

როგორ მომინდა ბუხრის პირას, რომ ვისხდეთ ერთად.
სულგანაბული ყურს ვუგდებდე შენს ტკბილად ჩურჩულს.
თუნდ, კიდეც გვქონდეს ფერშეცვლილი თმა უკვე თეთრად,
ოღონდ ვუმზერდეთ ათინათის კედლებზე ცუნცულს.

როგორ მომინდა ახლა ჩემთან რომ იჯდე გვერდით..
დაუსრულებლად მოვუსმენდი შენს ბავშვურ ნათქვამს...

გული საგულეს ვეღარ ჩავტიე

გული საგულეს ვეღარ ჩავტიე,
თუმცა სათქმელიც ვერ ვთქვი.
ფიქრის მორევში ვერსად დაგტიე,
ვერც ხმა გასმინე ფეთქვის.

იცი, რამდენი ბრძოლა წავაგე,
შენს გამო ავცდი ბილიკს.
დარდი ხალიჩად გზებზე დავაგე,
გვერდი ვუქციე ქილიკს.

ცრემლით ნაწერი თეთრი ფურცლები
ბევრი დავხიე ჯიბრით.
ჩემი ლექსები შენთვის ნამღერი,
ქარს გავატანე მიჯრით.

ცრემლის წვეთები წვიმად ვადინე,
ღრუბლები მიდგნენ გვერდით.
მტირალი გული ვერ გავაცინე,
ვეღარც ვატარე მკერდით.

ჩემი სიცოცხლე შენ შემოგწირე,
ვერ დაგანახე რამით.
არ მსურდა, მაინც შემომეფიქრე,
უძილო დავრჩი ღამით.

მინდა ამოვთქვა ამოსათქმელი,
მაგრამ მაკავებს რაღაც.
მზემ ვერ გაათბო ჩემი სარკმელი
და გადამკარგა სადღაც.



ნათია ჯიქურაშვილი

მოდი...

(მარინა კოლხელს!)

გამოიდარებს და თვალებში მზის სხივს ავანთებ,
ცარგვალს სიმშვიდეს დავუმაგრებ მკერდზე ღილებად,
ხელებში დნება, როგორც თოვლი, თითქოს მაისი...
და ვეღარ ვასწრებ სასტიკ დროის დამორჩილებას.
ნესტიან დღეებს პატრონი ხომ ისეც არ უჩანთ,
მიწა სევდისგან ძარღვებს იგრეხს და იწყებს ქოშინს,
კრიალოსანზე დარდის მარცვლა მადევს ხუნდებად
ცხრა მთის იქითაც ხმა ჩამესმის: სადა ხარ? – მოდი...

არ ჰქნა, უფალო!

დრომ შემომძარცვა ყველა ყალბი ღიმილის ტევრი,
ქარში, წვიმაში სულის პერანგს როგორ ვდარაჯობ,
ვაგლახ, ვერ არის სუფთა, თუნდაც ბავშვივით წრფელიც,
რადგან ცხოვრება ხშირად სისხლის წვიმებს მთავაზობს.
ავიკრეფ ძვალ-რბილს და სამოთხეს ოდითგან ვგლოვობ,
ყელში ვიგრძენი ვაშლის მწარე გემო ევასი
და არ ვამტყუნებ, მეც დავთმობდი ბოლოს და ბოლოს
გადმოვიდოდა თვით ვნებები სულის ემბაზში.
ფიქრმა წაიღო ჩემი ყოფის ათასი ფერი,
გრძნობის სიხშირე დღეს, ვაი, რომ მინავლულია,
ალბათ, მკითხავენ ჩასაფრებით ან გულის ძგერით:
რის გწამს? – მათ ვეტყვი, მაინც...მაინც სიყვარულია!
მეფე ლირივით თუკი შემშლის ზოგჯერ სამყარო,
საკუთარ პორტრეტს ვანადგურებ დორეანივით
და ჩემი სულის ელვარება თუ არ გამათბობს
ამ ცოდვილ მიწას დავამძიმებ უძღებ შვილივით.
მკერდში ჩავიკარ მონატრების უხმო წყურვილი,
და ველი, ველი... დაჯერების სანდო ფიცილით
ნატყვიარიდან გადახსნილა გულის ტკივილი
დღეს ასჯერ მოვკვდი, არ მაშინებს აწი სიკვდილიც.
ჩემი სინაზე ჯვარი გახდა და ვეღარ ვზიდე,
გზადაგზა მტყდება ანგელოზის ფრთა, მეშინია...
ზოგჯერ სიხარულს მოვარდნილსაც რაოდენ ვითმენ,
რადგან დარდების ზიდვა უფრო ჩემი წილია.
დავწრიტე აწი მოლოდინი სულის გობიდან,
არარას ველი უმოქმედოდ, მინდა, ვმუშაკობ!
თუ აღსასრული საბოლოოდ როსმე მოვიდა,
თვალი რომ ვეღარ გაგისწორო, არ ქნა უფალო!

თავმდაბლობა

ზოგჯერ წვეთი ხარ და მაინც
ზღვა ხარ, მდინარე თუნდ...
მწვერვალზე ასვლის წამიდან:
კვლავ თავმდაბლობა ქუხს!
ათას ქარაფზე გაცვეთილ
სულს ნუ დაუწყებ ხვრას,
ღმერთისგან თიხად გაჩენილს,
ფრთებს ნუ შეასხამ თავს!
მიწა ხარ, მიწად იქცევი
ზეცა ვარსკვლავებს წყვეტს
ადამიანი იქნები? -
მაშინ უყვარხარ ღმერთს!
იცხოვრე როგორც გინდოდა?!
აბსურდია და სუ!
კაცი ბჭობდა და იცოდა,
ღმერთი ხედავდა გულს!
შენი სიმაღლე თუ განგრევს
დაბლა ჩამოდი, გთხოვ!
რა თავში იხლი იმ კვარცხლბეკს
თუკი ღირსებას თმობ!
მწვერვალი არის ათასი,
მერე რა? – იპყრობ ერთს
ჰო თავმდაბლობა არის აწ
ყველა სიმაღლის მზე!

წავიღე...

აღარ განვიცდი...თითქოს ლავა სულში დადუღდა,
ზოგჯერ ვერთქმული კაეშანიც უჭერს სადავეს,
არტახს იგლეჯენ ოცნებები თავის გამიდან
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებად ხუჭავენ თვალებს.
"მეში" დავკარგე ჩემი თავის ბნელი საწყისი,
სინათლეს ვიცვამ, ძველებურად არ ვიქუფრები
ბოლო წვეთამდე, აკორდამდე შეგსვი – სასმისი
სხეულზე მრჩება სიხარულის ნათითურებიც.
ქვიშის საათი წამებს მითვლის, წასვლა არ მინდა...
ყოფნა არყოფნის ზღვართან თუ ვარ,
კვლავ გადამარჩენ?!
საათებს ვშლი და არსებობას ვიწყებ თავიდან
ეს გული, მერე ლექსი იტყვის, ალბათ, დანარჩენს...
ჩამორეცხილი ფრესკა მაინც სიწმინდით სუნთქავს
ნუგეშად ხელებს შემოაწვდენს საყდრის კარიბჭეს
მივდივარ, დგება მანძილებად ჩვენს შორის ურვა
წავედი, ჰოდა შენი გულიც ჩემად წავიღე.

ღვთისმშობლის შობას გილოცავთ!

დღეს შენი შობაა, ამქვეყნად მოვლენა,
მზე თითქოს სხვაგვარი წყალობით ანთია,
და როგორც არასდროს იმ განცდით მოვბედავ,
გულში ჩამიკარი, წმინდაო მარიამ!
ფრესკიდან იღვრება მარადი ნათელი,
საკმეველს თვით მადლის სურნელი ასვლია
და არა თხოვნისთვის დავანთო სანთელი,
მადლობა რომ გითხრა, წმინდაო მარიამ!
ამ გულში კარგად გრძნობ რა ცეცხლი გიზგიზებს,
ცოდვაა, ბრალი თუ ტკივილის არია,
ვიცი ჩემს დაცემას რომ გამოიტირებ
და მერე აღვდგები, დედაო მარიამ!
სანთელი შენს ხატთან ციაგებს სიწმინდით
ამ სულსაც ამგვარი წყალობა სწადია,
ჰოდა ჩამიკარი მკერდში კვლავ ძალუმად,
შემინდე ცოდვები, წმინდაო მარიამ!

სიკვდილო!

(თენგო ავსაჯანიშვილს!)

სიკვდილს რა ვუთხარ ოხერსა,
სულ გამომიხრა ჯანია
მაგრამ არ დავთმობ სოფელსა,
მსურს სიცოცხლე და ძალია?!
სანამ ვიბრძვი და ვფორჯალობ,
ვერ მომერევა ნაღდია!
ზეცა ტრფობით მსურს მოვხატო,
უსიყვარულოდ მკვდარი ვარ!

ზოგჯერ...

(მიმოზა ცანავას!)

ზოგჯერ სიტყვების კორიანტელი
დამჯახებია, როგორც ფარი ფარს,
პასუხიც მქონდა მსგავსი სასჯელის,
დუმილს ვირჩევდი კვლავ თავგანწირვად.
და ამ მსხვერპლისთვის ვიყავ ძლიერი,
სუსტი ყოველთვის გულს დაგისერავს,
და ვიდექ ხშირად თმენის რიგებში,
თუმცა ტკივილით ცაც დამიფერავს.
მაინც ვარჩიე ხიდები მეგო
და არ დამეწვა სულის ბორანი,
მით გავლახე სიცოცხლის კბოდეც,
სიზიფეს ლოდით ხშირად მოვგავდი.
მარტინ იდენმა დარდიც გამიყო,
ჩემეულია მისი ბრძოლებიც,
ცხოვრებამ თუკი გული წაიღო,
მეც მის ნაკვალევს რისხვით მივყვები.
დასასრული კი მაინც ერთია,
განსაწმენდლიდან ციმციმ განვლილი,
და ხშირად ვიყავ მაინც მესია,
ჯვარზე ასულიც და გარდმოხსნილიც.
პილატესავით ხელს არ დავიბან,
მოყვასი მაინც ჩემში მეტია,
იმედი ხშირად თავს თუ გავიდა,
იცოდე შენთვის, შენად, შენი ვარ!

სულ, ყველგან კაცი ხარ!

(ამირან ხეცაძეს!)

შენ უნდა უტეხად იბრძოლო,
მკა, თესო, აისხა აბჯარი,
მერე გულის სწორიც იპოვო,
გულში გაიჩინო ხანძარი.
ცეცხლი სხივებს შობს და
რა წმინდას!
კერას მამაპაპურს ირეკლავს,
ყველა ქარიშხალთან საწირად,
იმ ერთის რწმენად და იმედად.
ბოლოს ალებითაც იმარჯვებ,
ბუდე აივსება ბარტყებით,
გულში რა საოცრად ინათებს,
ერთი უთვალავი გახდები...
აღარ დაგასვენებს მერმისი,
გულზე ხელს მაინც რომ ვერ იწყობ,
ისევ მხარს გიმძიმებს სახნისი,
ცხოვრებას ჭაპანში შეიგრძნობ.
ქმნი, მიწას დაწურავ მტევნებად,
სასმისში რამდენი დარდია,
სანამ ხარ, ყველას ეშველება
რადგან წყალობისებრ ანთიხარ.
შენი დროც ქვიშის წამს ჩამოცლის,
განვლილი უკუნეთს გინათებს,
ჭირსა და ვარამში გამოვლილს,
გულშიც არ გაივლებ სიავეს.
უფალი ისე არ მიგიღებს,
არ უყვარს ბოროტი, პირფერიც,
ნაჯაფარ მარჯვენას უღერებ
და მაგ დროს უტყვია სიტყვებიც.
უფალი დუმილით გაგიგებს,
ცრემლს მოგწმენდს და გიხსნის თავიდან,
სამოთხის კარიბჭეს გაგიღებს,
და გეტყვის: სულ ყველგან კაცი ხარ!

თვალებმა...

(მაია დიაკონიძეს!)

თვალებმა ტყუილი არ იციან,
მზერით არაფერი იმალება,
გულში როცა მწუხრი, დაისია
თავად ვარსკვლავებიც ინავლება.
წრფელობ, ანარეკლობს სულის კიდეც
ყოფა შეურყვნელი ცის ნამია,
ზოგჯერ სიყვარულსაც ხელს კრავ იქნებ,
მაგ დროს მომკვდარხარ და გინანია.
მაინც ფერუცვლელობ, რადგან იცი
შენი გზა ღვთისდარი სინათლეა,
სიბნელეს სხეულიდან გადაიხდი,
თვალებში ჩაუქრობი სიმართლეა.

იმედი, აწი შენი ფრთებია...

(ლია ჩიქოვანს!)

სევდამ დატოვა სულში ნამქერი,
დრო გულზე ტოვებს სხვათა ნაბიჯებს,
ხანდახან ფიქრობ არავინ მოვა,
ვინც შენს ტკივილებს ღმერთთან წაიღებს.
გამძიმებს მრუმე დღეების სიგრძე,.
სარკმელს ნესტისგან ასტირებია,
იქნებ სიხარულს მოუნდეს კიდეც-
მოსვლა, ხომ ადრეც დაგპირებია.
ინფანტას ტკივილს მკერდში იფარებ,
სიზიფეს ლოდი უფრო დამძიმდა,
მტრისა და მოყვარის ალბათ ჯინაზეც,
სარეცხის თოკზე დარდებს დაკიდავ.
დაე, ქარებმა მკერდში ჩაიკრან,
შენი გოლგოთა – გიჩუქებია,
სუფთა ფურცლიდან ცხოვრებას ბედავ,
იმედი აწი შენი ფრთებია.
ზოგჯერ სიბნელე უცებ ნათდება,
როცა გულიდან დარდებს გადაყრის,
ყოველთვის ნახავ გზას გადარჩენად,
დგები სწორედ იქ , სადაც დამთავრდი...

* * *

გაელვებაა ზოგჯერ სიცოცხლე
და ჩატეული წამში კადრებად,
ყოფის სასრული ჩვენ რომ ვიცოდეთ,
გული ჯავრისგან შემოგვაკვდება.
გასულერთდება ყველა ტკივილი,
თუ გადასატანს ერთხელ გაუძლებ
და სულში გამჯდარ იმ სიმძიმილით
ფერად ოცნებებს წესსაც აუგებ.
მხრების ჩამოყრა სცოდნია იმედს,
სიზმარში ფრენა ხდება წყალობა,
შეეკედლები, ალბათ, იმ დღეებს
როცა ჯერ კიდევ არ იყო კვდომა.
არა, სასრულის ცოდნა მსჯავრია
და ეს არავინ უნდა იცოდეს,
სიკვდილსაც უნდა შეხვდე თვალღია
და ყველა ძარღვით ენთო სიცოცხლედ.
ნათია ჯიქურაშვილი

დროს გავაჩერებ...

ლიკა ფარცვანიას!

იეჭვიანებს, ალბათ, დილა თმებს რომ გავიშლი,
დამაბნევს სხივებს და საკუთარ რვალში მომთოკავს,
სურვილებს ისევ დააჩნდებათ სისხლად წადილი,
და თავს ზემოთაც "მინდა" ისევ დაიწყებს კვდომას.
ამღელვარებულ წამთან რაკი უსასოდ ვრჩები,
მაინც ვმჩქეფარებ, განსაცდელის არ მეშინია,
აისი თუკი მომხვდურივით წალეკვით მერჩის,
ცხრა მთას იქითაც დაბნელება ხომ შემიძლია?!
ზეცას ჩავაცვამ ჩემი გულის ყველა საწუხარს,
ვარსკვლავებს მიჯრით,
დაუნდობლად მიწას ვახეთქებ,
რაკი სიყვარულს საბოლოოდ ყავლი გაუვა,
ამ დასასრულის დასაწყისთან დროს გავაჩერებ.

გამოვიგონეთ

ეს სიყვარული თუ მე და შენ გამოვიგონეთ,
ქუჩა სავსეა, სულ პირთამდე ნაბიჯის ჩქამით
ამ გულისძგერას სხვისი სახლის
გზებით მივყავდე,
რომ შენი კოცნით ავაღელვო ნეტარი წამი.
სულში შემოხვალ,
სხეულში ხომ ისეც თარეშობ,
შეეხორცება ორი სულთქმა ერთი წყურვილით
როგორც ფოთოლი – ქუჩას,
ვნება ფეხქვეშ გაგეგო,
ერთობის წრფელი და სისხლსავსე,
ნაზი წყურვილით.
ერთი ამბორი დედამიწის ხელაა იქნებ,
ბაგეზე შერჩა შენი სუნთქვის
ყველა ხილვებით
და როცა აღარ, ვეღარ მნახავ
და მოგინდები
ა, იმ ამბორით მე სულ მუდამ
შენთან ვიქნები.
წვიმასაც თუ სურს ჩაგვიხუტოს
გულში სათუთად
მღერის და სახლის სახურავსაც
ნოტად აჟღერებს
ალბათ, ყველაფერს საბოლოოდ
ყავლი გაუვა
და დრო სულ ახალ ხილვებს
ურცხვად შემოგვაჩეჩებს.
წვიმაში ვრჩები,
მინდა ეს დრო დავიმახსოვრო
და ქუჩა-ქუჩა შენთან
ერთად ხეტიალს ვირჩევ
და როგორც კადრი,
ფოტოფირი უნდა დავტოვო
რომ ამ სიყვარულს არდაკარგვის
მიზეზი მივცე.

დავით მოდებაძე

პატარა ქალაქი

პატარა ქალაქის ნაცნობი სურნელი,
არსად არ წავსულვარ, შენს ნახვას სულ ველი...
დღეები მშვიდი და დღეები ნათელი,
მინდა, რომ აგინთო ყოველდღე სანთელი...
მე ძმობის მარად მწამს! ეული როდი ვარ,
ცხადშიც და სიზმარშიც მე შენთან მოვდივარ...
შენს გარეთ ცხოვრება ძალიან ძნელია,
პატარა ქალაქში მე მუდამ მელიან...
ქალაქის ტურფები, ღიმილის ბიჭები,
გონებით როგორღაც წარსულში ვიჭრები...
ლამაზი ქუჩები, ფერადი სახლები,
სულ გულში მიზიხარ, არასდროს არ ქრები...
კვლავ ერთად არიან ქალაქის ყოჩები,
მე შენს მოფერებას ვერასდროს მოვრჩები...
ბავშვობის ძმაკაცი აქ გულს გადაგიშლის,
ძმობას ვერც მანძილი და ვერც დრო წაგვიშლის...
დრომ რბოლა შეწყვიტა, წამიც კი გარინდა,
მე შენი დათმობა არასგზით არ მინდა...
ცხოვრება უჩუმრად, უეცრად გავიდა,
თუმც შენთან შეხვედრით იწყება თავიდან!

მგოსანი და ბუხარი

ეს ხომ ჩემი დიდი სახლის ბუხარია,
რომლის ნახვაც ყველას ძლიერ უხარია,
მისი კვამლი უერთდება ასწლეულებს,
შუქი ცეცხლის ეფინება აქ აჩრდილებს...
გაშლილია იმერულად გრძელი ტაბლა,
ძველისძველი „მოდინახის“ ციხის დაბლა,
ჩამომჯდარან ჯორკოებზე თავადები,
ფრიდონი და ამირიდონ წერეთლები...
საქართველოს დღეგრძელობით გადის ღამე,
წითელ ღვინოს შეედრება განა რამე?
რა სჯობია ფიცხელ კეცზე წაბლის ტკაცუნს,
და საუბრებს მომავალზე ძმურს და კაცურს...
ტაბლის გვერდით ერთი ჯორკო რატომ ცდება?
ბიძაშვილის მოლოდინში ასეც ხდება..
ტკბილი ხმებით ჯერ „სულიკოს“ არ მღერიან,
რადგან სახლში თვით აკაკის მოელიან...
გარიჟრაჟმა მოიტანა ეტლის ხმები,
ფლოქვის ცემამ მოაფხიზლა უცებ ძმები,
დიდი მგოსნის შეძახილმა ცა გააპო, -
პურის ჭამას გაუმარჯოს და გაამოთ!...
სიხარულით შეეგებნენ მასპინძლები,
გულისპირზე ეამბორნენ კრძალვით ძმები,
ჩამოართვეს გასიპული მოსასხამი
და ცეცხლის პირს მიაჩოჩეს ჯორკო-სკამი,
ჩამოეყრდნო საყვარელი ბუხრის კიდეს,
ადღეგრძელა საქართველო კიდით-კიდე,
ცოტა გათბა, მოითხოვა აზარფეშაც,
ბუბუნა ხმით მასპინძლები ანუგეშა...
გადიწერა პირჯვარი და ცოტაც მოსვა,
გული ლხენით ავსებოდა ქვეყნის მგოსანს.
შეტრიალდა ბუხრისაკენ მღელვარებით,
და ჩუქურთმას ეამბორა ნეტარებით.
სახე მისი სიხარულმა გაანათა,
მის სიტყვას ხომ ღმერთმა ძალა დაანათლა,
უმღერდა და უგალობდა ქვეყნად ძმობას,
და აქებდა წერეთლების მასპინძლობას...

სივრცეში გაიფანტნენ ხმები

ქარი გიფრიალებს კაბას,
წვიმამ დაგისველა თმები,
ნისლი გიფერმკრთალებს სახეს,
მე კი შენი ცქერით ვტკბები...
ელვამ გაანათა ზეცა,
ცაში გაიფანტნენ ხმები,
ბოლო აღარ უჩანს ლოდინს,
როცა შენ გიხსენებ, ვთბები...
ვარდი ეთხოვება ფურცლებს,
ჯანღით შემოსილან მთები,
ვაჰ, რომ ვეღარ გნახო ვერსად,
ვფიქრობ და ელდისგან ვკრთები...
ღამით მესტუმრები ჩუმად,
დილით გარიჟრაჟზე ქრები,
როგორ ამიმღვრიე სული,
როგორ ამირიე გზები...
ბედმა გამაფრთხილა ბევრჯერ,
ჟამმა გადაყლაპა წლები,
ვერცხლი შემერია თმაში,
გულით კვლავ ჭაბუკად ვრჩები...

დრო

დრო მიდის, დრო მირბის,
მას ვეღარ ვეწევი,
ქვეყანას მეორედ, მე ვეღარ ვეწვევი...
რასაც აქვს საწყისი,
მასა აქვს სასრულიც,
არ ველი მომავალს,
არ მახსოვს წარსული...
მიზანიც არ ვიცი, აქ მოსვლის, თუ ყოფნის,
წასვლის დროც დადგება, დრო მაინც არ გვყოფნის...
კოსმოსის წიაღში, მიფრინავს პლანეტა,
გეზი არ შეცვალოს, არასდროს მან ნეტა...
სიცოცხლის სიმებიც, როდესმე გაწყდება,
და რასაც ვერ შევცვლი, გულიც არ დამწყდება...
და მაინც განაგრძე, ბორბალო, ტრიალი,
არ მინდა, დასრულდეს ეს ორომტრიალი!..

განსჯა

ჩემი ფიქრები გაბნეულან,
სუნთქვაში ღამის,
ვეღარ ვეწევი გადაღლილი,
ვიყვირო ლამის...
ჩემი სხეული გარინდული,
მე აღარ მწყალობს,
მღალატობს ზოგჯერ გაუგებრად,
გულიც არ ხარობს...
ჩემი სისხლია გაყინული,
რატომ არ ვიცი,
ვერ ვიმეგობრებ სიცრუესთან,
არ მინდა ფიცი...
ჩემი სიმართლე დაიკარგა,
გახუნდა გარჯა,
არავის ნახვა აღარ მინდა,
და არვის განსჯა...
ჩემი ლოცვები აღევლინენ,
ამაოდ ცაში,
ბზარიც გამიჩნდა უკითხავად,
მჭექარე ხმაში...
ჩემი ოცნება გაფერმკრთალდა,
ყველა ზღვარს გასცდა,
გადაუარა გიჟ სამყაროს,
მიზანსაც ასცდა...
ჩემი სიზმრები მიყვებიან,
რაღაცას ახალს,
ვერ ვიფიქრებდი,თუ ოდესმე,
დავყრიდი ფარ-ხმალს...

ოცნება

სურვილი მაქვს დიდი,
რომ ვცხოვრობდეთ ტყეში,
ყოველ დილით გნახო,
ყვავილებით ხელში...
ალიონზე მინდა,
მივესალმო ჩიტებს,
ჭიკჭიკ-გალობაში
გიკოცნიდე თითებს...
დღისით უნდა იყო,
მწიფე მარწყვის ფერი,
სურომ შემოგხვიოს,
წელზე ნაზად ხელი...
საღამოთი მინდა,
რომ ხმაურით წვიმდეს,
შენ კი ჩემი დიდი,
სიყვარული გჭირდეს...
მინდა ღამით მთვარე,
დაგვნათოდეს ციდან,
მოგვეფეროს ქარი,
მონაბერი ზღვიდან...
შუაღამეს ალბათ,
კვლავ არ მოვა ძილი,
ისევ დიდხანს გასტანს,
საუბრები თბილი...
მინდა ყველა წამი,
რომ ცხოვრებად იქცეს,
შენ კი ჩემი დიდი,
სიყვარული გჭირდეს...

ბროწეულის ყვავილი

კუნწულა ხარ თეთრი ბალის,
და მწიფე ხარ როგორც ნესვი,
მე მთეველმა ბნელი ღამის
ცისკრის პირზე პეშვით შეგსვი...
ბროწეულის ყვავილიც ხარ ,
მახრჩობელაც თან ხარ მსხალი,
ქვეყანაზე ვერსად ვპოვე,
შენი დარი მე სხვა ქალი...
ატამივით ნორჩი რომ ხარ,
ხარ მარწყვზედაც უფრო ტკბილი,
ვნატრობ, ისე რომ არ მოვკვდე,
არ დაგადგა ერთხელ კბილი...
კომშივით ხარ ფერმიხდილი,
და მკვრივი ხარ ვით კუნელი,
შემოდგომით ბუხრის პირთან ,
მე ამავსებს ეგ სურნელი...
უღრანი ტყის ნაყოფი ხარ,
ველური ხის პანტა ვაშლი,
რაც არ უნდა დრო გავიდეს,
შენსკენ ლტოლვას მე ვერ წავშლი...
აკიდო ხარ ძველი ვაზის,
ჩემი ეზოს ხარ ყურძენი,
მე მას შემდეგ ვერ გივიწყებ,
სიყვარული რაც ვიგრძენი...

ბაბუას

ბავშვობიდან გონებაში ჩამრჩა
ბუჩქი შინდის გამოსული კვირტში,
უსასრულო ხეტიალი მთა-მთა,
„მოდინახის“ ნანგრევების ჩრდილში...
მახსენდება როგორ წნავდა ბაბუ,
გოდორსა და გიდელს ტყემლის ძირში,
თვალწინ მიდგას მისი თხელი სახე
გახვეული ნაბადივით ნისლში...
ფოთოლცვენის დრო დამდგარა უკვე,
შემოდგომის სურნელია ჩვენში,
მხრებგაშლილი, მომღიმარი ბაბუ
ჩემთან ერთად მიაბიჯებს რთველში...
კრძალვით უნდა მიაკითხოს მარანს,
ჭურის თავზე მოიყაროს მუხლი,
დიდი კომშით აკრიალოს ქვევრი,
შეურჩიოს სუფრას ჩრდილი მუხის...
შემოუფრენს სიყვარულით მთა-ბარს
სადღეგრძელო საქართველოს ქებით,
გაისმება სიმღერები ტკბილი,
დაიცლება ჯერზე ჯიხვის რქები.
კარგად მახსოვს ბაბუს ყველა სიტყვა,
და ამბები მონათხრობი მისი,
სიკეთისთვის ხელებგაშლილს მუდამ,
არაფერი არ უნდოდა სხვისი...
ვით აკაკის, მის ნათლიას, მგოსანს,
ჰქონდა მასაც წვერ-ულვაში თეთრი,
მარად მრჩება ბაბუს ხსოვნა გულში,
მის სულს ნათელს დაუმკვიდრებს ღმერთი.

„ალბომი“

სადღაც თაროზე თვლემს
დამტვერილი ძველი ალბომი,
ბევრისგან უკვე დავიწყებული,
უწინ – ცრემლებით ნალბობი.
მის ყველა გვერდზე ჩაკრულია
გაცრეცილი ისტორია ჭარმაგი კაცის,
მტვრიანი ფურცლები გადაშალოს თუ შეეშვას,
კაცმა არ იცის...
გაყვითლებული ფურცლებიდან,
იყურებიან სახეები ნაცნობ-უცნობის,
ბევრი მამაცის და ბევრი მხდალის,
ზოგი ცოცხალის და ზოგიც მკვდარის...
ერთმა ალბომმა დაიტია
უსასრულოდ გრძელი გოდება,
მის ზედაპირზე ფრაგმენტებად
იხატება მთელი ცხოვრება...
დიდი სიზმარი გაახუნა
ფურცლების გროვამ
და დაბადების სიხარული
შეცვალა გლოვამ....



მადონა კისკეიძე-ქორიძე

* * *

მედუდუკევ დაუკარი შენებური,
დაუკარი ძველებური მადლიანი,
დაუკარი იქნებ გალღვეს ეს გული და
შემოვძახოთ სიმღერები დარდიანი.
მედუდუკევ აამღერე ყველას გული,
ყურში ნაზად ჩაუბერე ხმა ჰანგისა,
ააკვნესე ,აატირე დუდუკი და
წაიკვნესე ამ დროებამ რა გვაღირსა.
დაგვავიწყა დუდუკების ზუზუნში რომ,
ათენებდა მოქეიფე არღნის ხმაზედ,
ტივით მტკვარზე გადებული კინტოები,
სიყვარულით რომ ასხამდნენ ღვინოს თასსზე.
იქ მეარღნე აკვნესებდა ტკბილად არღანს,
და თამადაც რიხიანად თამადობდა,
ჩოხის კიდეს აკეცავდა კინტო სწრაფად,
და კინტოურს ის ლამაზად თამაშობდა.
ამ ხალხში ხომ ვერ ნახავდით აუგის მთქმელს,
მათთვის მხოლოდ სიტყვა იყო უფრო წმინდა,
სიყვარული ზეიმობდა იმ ტივზე და
ეს ჯიგრული ცხოვრება ხომ მართლაც ღირდა.
თითქოს ვცდილობთ, ვინარჩუნებთ ტრადიციებს,
ქსოვრელების ტკბილი ჰანგი გულს ამღერებს,
მადლობელი უნდს ვიყოთ მართლაც მისი
ვინც ქართველებს ძველებურად აამღერებს .. ❤

უსაყვარლესი ბიძისა და მამის ხსოვნას

არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობამ,
კინო კადრივით გადამიარა,
მომნატრებია ბავშვობის ხანა,
და ამ ტკივილმა ვერ გამიარა.
მომნატრებია მწვანეყვავილა,
მომნატრებია ბავშვობის ფუძე,
სულ გავურბივარ ამ მონატრებას,
არ მინდა არააა, ვიფიქრო ცუდზე.
რამდენი კარგი კადრი გაჩერდა,
და შემეყინა პირზედ ღიმილი,
რაღაც ტკივილი ვიგრძენი უცებ,
და ამივარდა მწარე ტირილი.
იქვე სახლის წინ წერეთლის ბაღი,
საოცარ ხალხით შევსილი კადრით,
ყოველ დილით რომ ზარი რეკავდა,
მთავარ ანგელოზის უფლით და მადლით.
და მე ავტირდი იმ წამში რაკი,
თავი ვიგრძენი ვით თოთო ბავშვი,
მასეინებდნენ მე პანთეონში,
თეთრი ლამაზი პატარა რაშით.
ყელზე მეხვია ის თეთრი კაშნე,
როგორც წარსულში, პატარა ბავშვი,
სიხარულით რომ მივიჩქაროდი,
იქვე, სახლის წინ, საყვარელ ბაღში.
და მე ოცნებამ ისე ჩამძირა,
ისე გამითბო წარსული სულში,
ნეტავ იცოდეთ ამ წუთში ამ წამს,
როგორ ვიგრძენი ტკივილი გულში. □
და რომ ვფიქრობდი წარსულზე იმ წამს,
თვალწინ დამიდგა ის ჩვენი ეზო,
ეზოს და უბანს რომ უხდებოდა,
ვაჟკაცი ძმები, თენგიზი, რეზო □
მაინც იქვე ხართ, იქვე უბანში,
პანთეონის და მუხების ძირში,
სულ მოგიგონებთ, არ დაგივიწყებთ,
ვიდრე მიდგია მე სული პირში . □

* * *

დილა მშვიდობისაო,
რა ლამაზად თენდები,
ჩემთან ერთად ქუთაისო,
ოჰჰჰ რა სწრაფად ბერდები.
გაგხვევია მთა და ველი,
თეთრ ფაფარა ნაბადში,
ხოხბებიც კი დაფრთხენ მგონი,
სათაფლიის ნაკრძალში.
ჯვარი ჩვენი გელათისა,
სვეტად რომ აღმართულა,
რომ ბერდება ქუთაისი,
ამის ხილვა არ უნდა.
ქუთაისი უძველესი ,
წარსულით და აწყმყოთი,
აქ რიონი ჯებირიდან,
ხმაურით რომ გადმოდის.
შფოთავს მგონი, სული ეწვის,
დღევანდელი წუხილით,
ზოგჯერ ისე ირინდება,
არ გაწუხებთ წუწუნით.
ბაგრატი და გაბაშვილი,
ამაყ ქალაქს დასცქერის
თეთრ ხიდიდან შემყურეს,
გავიწყდება დარდები .
ქუთაისი პურ-მარილის,
სტუმრის მასპინძელია,
სიყვარული რომ ავუხსნა,
ეს არ დამჭირვებია.
ის ისედაც მიგიხვდება,
თუ რა სულით უცქერი,
ამიტომაც ყველა ტკბილად,
სიყვარულით უმღერის.
ჩემი სულის ნაწილი ხარ,
და კოკორი ვარდისა,
ყველა დარდის და წუხილის,
განშორება დარდისა.
ისე ძლიერ მომენატრე,
ისე გეფარცქვალები
ასე შორით სიყვარულით,
სულ შენ გეთაყვანები ❤

* * *

გელათის გზას გაუყევით
ქუთაისში შეხვალთ როცა..
მიადგებით ამ ფერდობს და
იქ დაგხვდებათ მოწამეთა..❤
მოწამეთა საუფლო
ათას კაცთა მკურნალი,
შოთას წყაროც იქ დაგხვდებათ,
თუ კი დარჩით მწყურვალი.
იქ გზადაგზა შემოგხვდებათ
ენძელები..იები..
გურმანებს კიიი რესტორანიც,
თუ კი დარჩით მშიერნი
საოცრებით სავსე კუთხეს
გვერდს უმშვენებს წყალწითელა,
ულამაზეს წალკოტს ვფლობთ და
სხვა სიმდიდრე რად გვჭირდება..?
ისე უნდა გაუფრთხილდეს
ამ ჩვენს წალკოტს ქართველი,
სათავეში სულ რომ ჰყავდეს
ნაღდი გულის მმართველი..
ერთი გოჯაც არ გასხვისდეს
საქართველოს მიწისა,
ქართველებად აღიზარდეთ
შეგაწუხოთ სინდისმა...
როცა ჩემი სული წავა
აფრინდება ზეცაში,
დარდიანი ნუ გამიშვებთ
გამიკეთეთ ზედაში
საქართველო დალხენილი
მინდა რომ დავიგულო,
სამუდამო საცხოვრისში
მშვიდად რომ დავიძინო

არ დამტოვო მარტო

როგორ გამიფრინდა წლები,
როგორ დამიმონა დარდმა,
შენი მონატრება მხოლოდ
და უშენობა დამრჩა.

თვალს შეაშრება ცრემლი,
გამოიდარებს კარგო,
გტხოვ არ წახვიდე ჩემგან
და არ დამტოვო მარტო.

ფიქრი უსასრულო ფიქრი,
ირევა როგორც ტალღა,
შენს პორტრეტს ოცნებებში,
ტილოზე დღემდე ვხატავ.

ყველა იმედი გაქრა,
რომ აღარ მოხვალ ვიცი,
მე კი კვლავ შენზე ვფიქრობ
ისევ ჯიუტად გიცდი.

ბინდი ჩამოწვა ცაზე,
ღრუბელს ეცვალა ფერი,
დამღალა სიმარტოვემ
ნახვა მომინდა შენი.

* * *

მომისწრო ისევ აპრილმა
ამ უცხო ქვეყნის მიწაზე,
ხოდა მეც მაგრად დავხვდები
აპრილსა მისსა ჯინაზე.

წლებს მმატებ სხვას რას დამაკლებ?
გული გატკინე? ბოდიში!
რადგან კვლავ ისევ მოგესწარ,
კეკლუცობას არ მოვიშლი.

აპრილო ნუშის და ატმის
ყვავილობას ხომ მომასწარ?
აფეთქებულო კვირტებო
მე ტქვენ ყოველთვის მოგბაძავთ.

ოთხმოცი წლისაც რომ მნახო
წითელ კაბაში მიხილავ,
ფარხმალს ოდესმე თუ დავყრი?
მე... თავად გეტყვი მივდივარ...

ჩემო დედი

შენი მონატრება, სულში ფორიაქობს,
და მეწვის როგორც, დაჭრილს ჭრილობა,
მე ხომ შემპირდი, დაგელოდებიო,
რად არ შემისრულე, დედი ეს პირობა.
შენი სულის სითბო, ისე მენატრება,
მონატრებულ სულს, რომ არ მეშვება,
წლები გავიდა, მაგრამ უშენობას,
ეს გული მაინც, ვერაფრით ეჩვევა.
რამდენჯერ შევადარე, სახე შენ სახეს,
ვერ აღმოვაჩინე ვერაფრით მზგავსება,
მაგრამ, ხასიათი, სითბო, უდიდესი,
შენებრ ლამაზად, დღემდე მომყვება.
თვისება, დადებითი, რაც კი გაგაჩნდა,
მუცლიდან დამაყოლე, ისე გამზარდე,
ამით ვამაყობ, დღემდე ჩემო დედი,
რომ მე შენ, ლამაზი, ცხოვრება მასწავლე.
თვალს ხშირად ვავლებ, განვლილ ცხოვრებას,
თვალზე კურცხალი, თავად გორდება,
და უფრო მეტად, დარდი და ტკივილი,
ამ გულში გამუდმებით ისევ გროვდება.
ღიმილშიც შენ გხედავ, დღისითაც, ღამითაც,
უაზროდ მივყვები სხვა ქვეყნის ბილიკებს,
დარდით,ტკივილით, წლები გარბიან,
მე კი, ვერაფრით, ვერ ვშველი ტკივილებს.

* * *

გამარჯობა ქუთაისო შენი!
შენ მაისის საოცნებო ქალაქო,
გვირილობას შემიძლია გავჩუმდე და
არ შეგამჯო , არ გადიდო, არ გაქო?

დღეს ქუთაის ზეიმი აქვს გვირილობის,
ალბათ ამ დღეს ცაც გვირილებს მოხატავს,
ბედნიერ და გალაღებულ სიყვარულს,
ყველა ერთად დაულოცავს მომავალს.!.

იზეიმე..იკაშკაშე ჩემო გულო,
შემოისხი იასამნის ფერი,
მილიონ წელს შენ უფალო გევედრები,
ბედნიერი დამანახე ერი!

შენ მაისო არც კი იცი როგორ გელი,
და ყოველ წელს გეფერები რითმებით,
მაისობას..გვირილობას ქუთაისო,
გამუდმებით შენსკენ მორბის ფიქრები!

დღეს გვირილებს გაგიგებენ ფეხქვეშ,
მოგირთავენ სკვერებსა და გაზონებს,
გონებიდან არ მშორდება წარსული და
ქუთათურებს და ქუთაისს მაგონებს!

მაისობას, გვირილობას დაგილოცავ!
იკაშკაშე..ივარდე და იმზეგრძელე!
ქუთაია ..აია და იმერეთო,
უამრავ წელს იხარე და იდღეგრძელე!❤

* * *

ნაბიჯ ნაბიჯ მივუყვები ხრიოკ აღმართს,
ვერ შევძელი სიარული ჩქარი,
როგორ მინდა რომ ბოლომდე დავრჩე,
საყვარელი და ძლიერი ქალი.
და არ მინდა წარსულს ჩავაბარო,
საუცხოო ის ლამაზი წლები,
გთხოვ უფალო არ წამართვა ფიქრი მათზე,
რადგან მათი მოგონებით ვთბები.
ჩემი ცა და დედამიწა მხიბლავს,
უცხო მიწის არაფერი მათბობს,
მხოლოდ მისი მონატრებით ვარსებობ და.
ჩემი მიწის სურნელებას ვნატრობ.
თუ ასეთი ცხოვრებისთვის გამიმეტე,
სიბერესაც შევაჩვიო თვალი,
მაშ მითხარი ამდენ ტანჯვის მერე,
შევძლებ? ვიყო კვლავ ძლიერი ქალი? .
გთხოვ მუხლებში არ წამართვა ძალა,
სიარული მაინც შევძლო ჩემით,
გევედრები უფალო რომ დამინდო და
ეს გონება შემარჩინო ჩემი.

* * *

როგორ მწარედ გაგვიფრინდა წლები,
უღიმღამოდ,უიმედოდ, ლასლასით,
და რომ ვფიქრობ, ვუბრაზდები ჩემს თავს,
კარგად ვიცი არც მე არ ვარ მართალი.
საქართველომ მოგვიკვეთა, მოგვიძულა,
არ ანაღვლებს ემიგრანტის ბედი,
გადაკარგა უგზო უკვლოდ ქართველები,
მათ დარჩენას არ შეუწყო ხელი.
რომ ჰყოლოდა ოჯახს გვერდით დედა,
და ქმარშვილის ზრუნვით დამტკბარიყო,
ეფუსფუსა მის ფუძეზე სიამაყით,
რომ ეხარა და არ ჩამქრალიყო.
არ გეგონოთ აირჩია იოლი გზა,
ან ამ ტვირთის ტარებაა ადვილი,
ფიქრი კლავს და დღეებს თითზე ითვლის,
რადგან ვერსად ჰპოვა მისი ადგილი.
გაურკვეველ ცხოვრებაზე საშინელი,
ალბად ქვეყნად მართლაც არაფერია,
შვილების და საქართველოს გარეშე,
ემიგრანტის ბედი სატანჯველია.
კიდევ დიდხანს მოვითმენდით რომ ვიცოდეთ,
საქართველო რას უპირებს მის შვილებს,
ნეტავ როდის შეივსება ოჯახები,
გაამაგრებს მის ფუძეს და მის ძირებს.
და ამ ტანჯვა წამებაში დრო კი გარბის,
როგორ მწარედ გაგვიფრინდა წლები,
სხვის მიწაზე უსიცოცხლოდ ვბერდებით და
ჩვენი კი მგონი ამას ვერც კი ვხვდებით.
თვით უფალიც გაგვიბრაზდა გაგვერიდა,
ვეღარც ლოცვამ დაგვიბრუნა ხალისი,
უკანასკნელ თხოვნას გბედავ კვლავ უტიფრად,
გევედრები..
ჩვენს მიწაზე!
კვლავ გვეღირსოს ბედნიერი მაისი! ❤

* * *

აფეთქებულ ატმის ყვავილს შეგადარე,
გაზაფხულზე რომ ყვავილობს ხეზე,
ვარდისფერი ყვავილივით მშვენიერო,
როგორ მინდა მოგეხვიო ყელზე.
ტანზედ კაბა მოგხვევია ფოთლებივით,
გაზაფხულზე რომ უხდება ხეებს,
მოვალ ახლოს, მოგიჯდები, ჩაგეკვრები,
შემოგახვევ ტოტებივით ხელებს.
დალალები რომ დაგყრია მხრებზე,
ჭადრის შრიალს შევადარე თითქოს,
როგორ მინდა შეგიცურო ხელი თმაში,
შენი თმების სურნელება ვიგრძნო.
ლერწამივით აგიყრია ტანი,
და თეძოზე მოგტმასნია კაბა,
სიარულში ვერც შენიშნე ნიავმა რომ,
მოგიბერა შეარხია კალთა.
გამოგიჩნდა მუხლის თავი ქათქათა და
ჟრუანტელმა დამიარა ტანში,
ვერ გითხარი, ვერ გავბედე ვერაფერი,
დასათრობად გავიარე ბარში.
გონებიდან არ ამომდის შენი სახე,
სიზმარშიაც მხოლოდ შენ მელანდები,
სახელიც კი არ მიკითხავს შენთვის მაგრამ,
დღემდე გეძებ, მხოლოდ შენ მენატრები. ❤

ცაგო აბაშმაძე

ეფემერული

ქრიან უმისამართოდ აწყვეტილი ფიქრები,
მაღლა, ზეცას აჩნია სულის ნატერფალები,
მუზავ, მე შენს გარეშე
არაფერი ვიქნები,
უძილობით დამზრალან
გადაღლილი თვალები.
სიტყვის პოლიგონებზე
როგორც რაში, უბელო,
მზესთან ნაზიარები, საოცარი აზრები
გააქანე, გახედნე, სულო უბერებელო,
შენც ხომ უწყი, უშენოდ
ყვავილივით დავზრები.
მინდა ჩემმა კალამმა საფერებლად მამულის,
აჩუქურთმოს სიტყვები, როცა აღარ ვიქნები,
იწრიპინოს მუდამდღე, წეროს მხოლოდ ქართულით,
წეროს მხოლოდ სიმართლე, არ დაიწყოს ლიქნები.
მეც ხომ მებადური ვარ ოქროს თევზის ლოდინში,
მუზას ჩასაფრებული ველი ნატვრის ახდენას,
ვისთვის თვალში ბეწვი ვარ, მასთან დიდი ბოდიში,
ჩემთან ჭიდილს არ ვურჩევ,
ვერაფერს ვერ გახდება.
ქრიან უმისამართოდ აწყვეტილი ფიქრები,
მაღლა, ზეცას აჩნია სულის ნატერფალები,
მუზავ, მე შენს გარეშე არაფერი ვიქნები,
უძილობით დამზრალან
გადაღლილი თვალები.

ეფემერა

სანამ დრო ულმობელი
ბალახივით მომცელავს,
სანამ შემსვამს სამყარო
უკანასკნელ ყლუპივით,
კიდეც უნდა დავთესო,
მე სიკეთის ნამცვრევად,
ძნები უნდა შევკონო
ვერცხლისფერი კულულით.

ვერ დავიტევ ამ გულში
რაც რომ მტკივა, მაწამებს,
ჩემი ქვეყნის აწმყო და
მომავალი მაშინებს,
მერამდენეს ვათენებ
ღამეს ცრუს და ნაწამებს,
მერამდენედ სტროფებში
სულს ტკივილით ვაშიშვლებ.

ზოგჯერ ქვა ვარ, უგრძნობი,
ზოგჯერ ცრემლის მდინარე,
ზოგჯერ კრავი უმანკო,
მზად ვარ , შესაწირავად,
აღარ მინდა სიცოცხლე,
დელგმად გადმომდინარე.
ზოგჯერ, მართლა ვვოცდები,
თავს ვგრძნობ შესანიშნავად.

რაც ვარ, ეს ვარ, არ ვტყუი,
არ მჩვევია სიყალბე,
სულის გადასარჩენად ვეაჯები შემომქმედს,
თუკი ჩემში მცირედიც ვერ იპოვა სიკარგე,
მიმცეს ცეცხლის გენიას,
დაუნდობელს და მომქმედს.

სანამ დრო ულმობელი
ბალახივით მომცელავს,
სანამ შემსვამს სამყარო
უკანასკნელ ყლუპივით,
კიდეც უნდა დავთესო
მე სიკეთის ნამცვრევად,
ძნები უნდა შევკონო
ვერცხლისფერი კულულით.

ვეღარ გადაიყარა

ვეღარ გადაიყარა გულმა
დარდის ქარები,
ხორშაკივით უდაბნოს
ქრიან უმისამართოდ,
ცხელ ჰაერში ტრიალებს
დარდით ანაკვნესები,
ჩემი სულის ღიღილო
უსასოო და უფრთო.

მალე ჩამოჭკნებიან აივანზე იები,
მათთან ერთად მოვკვდები,
სულს გამტაცებს ნიავი,
იქნება და შვებაა,
სწორედ სულის ამოსვლა,
ვარდის ბუჩქს ამოვირჩევ,
ჩავეკვრები წიავით.

რადგან ამ სამყაროში
არ ირჩევა სიმართლე,
კაცთა გონი დაიხშო
მატერიის სიძვირით,
ახლა ვინღა დაეძებს
რა გიჭირს და რა გილხინს,
ზოგი ცდილობს გადარჩეს
ოქრო-ვერცხლით და სიძვით.

რაც რომ ბრწყინავს, გიზიდავს,
ხელს ახლებ და ფუჭია,
მაგრამ მაინც მიელტვის
კაცთა ცხელი გონება,
თუმც იციან არ არგებთ
დროის უქმად ტარება,
მაგრამ რომ ურჩევნიათ
ვერცხლეულის მონება?

ჰოდა,ამ ცისქვეშეთში
მართლა არ ღირს დარჩენა,
უნდა გამოვიგონო ჩემთვის
სულ სხვა სამყარო,
აქ, ძლიერთა ფრთების ქვეშ
ქროლა გამიჭირდება,
ლეში, ტვირთად რომ მაწევს
მიწას გადავაყარო.

* * *

ფერი ვიცვალე, ჰო,შევიცვალე,
სხვა ქალი მიმზერს ახლა სარკიდან,

წლებს დატყობია სიმწიფის სიტკბო,
სულ სხვა სიტყვები მცდება ბაგიდან.

ქარს გავაყოლე გაზაფხულები,
ახალგაზრდული სისხლის ჩქროლება,

ახლა ფიქრებშიც ვერ გამიბედავს,
შარა-შუკების ჩამოქროლება.

ბევრი ზაფხულიც რბოლით გავხედნე,
აგვისტოს ხვატი გულშიც მიდუღდა,

ნეტავ სად გაქრა ის სიგიჟმაჟე,
ან გული ჩემი რად გამიჩუმდა.

ნუთუ ეს არის გზის დასასრული,
შემოდგომურად რად ვსევდიანობ,

გაფრენილ დღეებს რატომ მივსტირი ..
მთვარის ალერსზე რად ვეჭვიანობ.

მაგრამ, სხვა სიტკბო ჰქონია ასაკს,
უფრო მხურვალი, უფრო ჩამტკბარი,

უფრო ახლოს ვარ ახლა ღმერთთანაც,
ლოცვებით ვცდილობ შევხსნა ბჭე-კარი.

ვაანალიზებ განვლილ დღეებს და
ცოდვის სიმძიმემ არ მინდა მძლიოს.

მე ახლა უფრო ახლოს ვარ ღმერთთან
და სიყვარულში მსურს დავილიო.

ფერი ვიცვალე, გამოვიცვალე,
სხვა ქალი მიმზერს ახლა სარკიდან,

წლებს დატყობია სიმწიფის სიტკბო,
სულ სხვა სიტყვები მცდება ბაგიდან....

რაღა უნდა ვინატრო

რაღა უნდა ვინატრო ჩემი ზეცის შემყურემ,
რა ფარჩა და ატლასი, ანდა ნამის საყურე.

ღრუბლის თეთრი ცურიდან
მანანასებრ მებკურე,

ამ დილითაც მასპინძელს
მეათასედ გესტუმრე.

გამიშალე სამოთხის სუფრა
ცისფერ ღრუბელზე,

დაგკოცნე და აგეკარ მონატრებულ უბეზე.

შეგესისხლე, შეგხორცდი,
ვერ გაგვყაროს ვერავინ,

დაგიკემსავ იარებს მე, უბრალო მკერავი.

ნისლის თავსაბურავებს
ღიმილებით გაგიწყობ,

ჩემს გამოზრდილ შროშანებს
სასთუმალთან დაგიწყობ.

ცეკვა-ცეკვით ავივლი
მზისკენ სავალ ბილიკებს,

წყარო თვალს გამაყოლებს,
ცოტას წაიქილიკებს.

წვიმის წვეთი ვიქნები
და სიცოცხლეს ვახარებ,

ჩემით მწყურვალს ვეწვევი,
დამლევს და გაიხარებს.

რაღა უნდა ვინატრო ჩემი ზეცის შემყურემ,
რა ფარჩა და ატლასი, ანდა ნამის საყურე.....

აღარ მეძვირფასები

აღარ მეძვირფასები სიცოცხლეო ტანჯულო,
უკვე ვეღარ ვღიმილობ, მგონი გავხდი უგრძნობი,
როცა ნორჩი ბავშვები
იქცნენ სულის ჩიტებად,
ამ სამყაროს ტოვებენ
ნაცნობნიც და უცნობნიც...
როცა რეკენ ზარები, განგაშის ხმას არ ვუსმენთ,
გაყინულა სამყარო,გადავიქეცთ ზომბებად,
არც სიკვდილი გვაშინებს, ვერც სიცოცხლით ვნაყრდებით,
გულზე მიწა გვეყრება, დამსხვრეული ლოდებად.
მე ამ ყოფას ვერ ვარქმევ ვერანაირ ფსევდონიმს,
არეული გონება ჭკუას არ მეკითხება,
ჩვენი ცოდვის სიმძიმით
მოიდრიკა ღრუბელიც,
დრო მოვიდა ნამდვილად, ვიცი, მოგვეკითხება...
სანამ შეგვრჩა მცირედი აზროვნების უფლება,
იქნებ, გონზე მოვეგოთ და არ იყოს გვიანი,
ხალხნო! ფერი ვიცვალოთ,
უნდა გამოვიცვალოთ,
აღარ მინდა სამშობლო
კუშტი და ნაღვლიანი.

მაგდა გოშნიაშვილი

გაზაფხულის სიმფონია

აპრილია, გაზაფხულის შუა თვეა,
შეუტია ყვავილების მყვირალობას.
ვერ ითმენენ, სურს გამოსკდეს ტყემლებს კვირტი,
აფეთქდნენ და გადალახონ წინაღობა.

ხეზე ისე აუცეტდათ ატმებს ნასკვი,
უსირცხვილოდ გადაიხსნეს კაბის კალთა,
თითქოს მდგარა მაისის თვე ჩასაფრებით,
სიმწიფისგან თვალში შესულ წითელ ბალთან.

მერე ხე–ხილს აჰყვა კვირტი ყვავილების,
შეასრულა ყველამ ერთად სიმფონია
და ისეთი შექმნეს ნაზი ჰარმონია,
გაზაფხულმა ეს რა ძალა იქონია.

ორკესტრისთვის დაიწერა მელოდია
ვიოლინოს, როიალის , ერთად არფის,
კვირტის გაშლა შეეზავა საკრავთ ჰანგებს,
თითები კი თავისთავად სწრაფად დარბის.

საქსოფონი, ფლეიტა და კლავისინი
ჩაება და დირიჟორი პულტს არ წყდება,
მოდი ახლა გაგიკვირდეს, ფურ ირემი
თუ უცაბედ ხარ ირემთან გადაცდება.

ჩემო მხარეო!

მშობლიურ მიწის მომესმა სუნთქვა,
უშბის მომესმა გულის ფრიალი.
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე
მე შენ მიყვარხარ ისევ მთლიანი.

შენში გაზაფხულს ვარდის ფერი აქვს,
ზაფხულში შავ ზღვას იხდენს თოლია.
სად არ ვიარე, სად არ ვიყავი,
მივხვდი ბადალი არა გყოლია.

მომნატრებია ცა შენეული,
ღამე, მთვარე და ხმები ოლოლის,
სხვისა მიწაზე თუნდ ბედნიერი,
უსამშობლოოდ მაინც ობოლი.

მომნატრებია ალუჩის გემო,
თვალში შესული მაისის ბალი,
ვარ სამშობლოდან გადახვეწილი
თუმც შენსკენ მზირედ მიჭირავს თვალი.

,,შავლეგოს,, ხმები ჩამესმის სიზმრად,
სიო მიმღერის ძილის წინ ნანას,
როგორ თიბავენ თანასოფლელნი,
ვხედავ , უჩემიდ ცელებით ყანას.

უჩემოდ გსტუმრობს გაზაფხულები,
შემოდგომები, დარი, ავდარი
სხვაგან დავეძებ მე შენს ორეულს,
თუმცა ვერ ვნახე შენი ბადალი.

თეთნულდზე ალბათ ისევ თოვლია,
ნაკრძალში ისევ ხტიან ირმები,
დედა ხარ ტკბილი ჩემო სამშობლოვ,
მეორე დედა– ხარ და იქნები!

ჩადრის ქვეშ

ჩადრის ქვეშ თვალები ცა და ფირუზები,
ჩადრის ქვეშ ფერ– სახე თეთრი მარმარილო,
სული ეული გაქვს სახლში ჩაკეტილი,
ქმარი სხვა ცოლთან ერთობა, პურ-– მარილობს.

თვალებს მცველად უდგას ღობე წამწამების,
მზერა გამჭოლი, სხეულში იხედება,
ტანი ლერწმის სიგრძე ჯიუტ გრაციებით
თითქოს ეს ესაა კვიცი იხედნება.

შენი სახლიკაცი სიცხეს ეომება,
ქალი დაიბედა მზის სხივ უნახავი,
ჩადრში შეგფუთა, დაარქვა ტრადიცია
შენც ამ ტრადიციას ნამუსს უნახავდი.

მკაცრი ყოფილა უდაბნოს კანონები,
მზეს ქვიშის ხვატში ჩაუდგამს ტახტრევანი,
ოაზისს გასცდა საპალნე აბარგული,
მწკრივს მიუყვება უდაბნოს ქარავანი.

გულში ჩამივარდი, სახელიც არა ვიცი,
დედამ რა დაგარქვა, ქმარი რას გეწადის?
უნდა დავარღვიოთ, რა ვქნა, წეს-– ადათი
თუკი სიყვარულის განგაში გვეძახის.

ქარავანს გავაცილებთ, ჩადრსაც შემოგხსნი,
ჩვენს ღმერთს გაზიარებ, დაგარქმევ ფერიდეს
უდაბნოს მკაცრ კანონს შევცვლით სათნოებით
მე მენდე, ვფიცავარ, მუსლიმ ქმარს ერიდე.

ჩადრის ქვეშ ფირუზებს რომ მალავ ძველებურად,
ნუ მორცხვობ, გვერდში გამოჰყევ ფალავანს
უდაბნოს კანონები კვლავაც უცვლელია
მიიღებს, გააცილებს აქლემთა ქარავანს.

ქალღმერთი

გადავიქეცი მე აფროდიტეთ
და შეგეხიზნე გულის საფარ ქვეშ,
რადგან ნაშობს და მოვლენილს ქვეყნად
მე სიყვარულის ღმერთი დამარქვეს.
ზღვაზე მივლია ფეხით ულევი,
ქაფი დამიხვდა ბევრჯერ მორევად.
შენს გულში ისე შევიპარები
სხვა ქალი ჭკუით ვერ მომერევა.
ისე დაგინთებ ჭიაკოკონას,
რომ ნაპერწკლები აცეკვდებიან
და მუცლის შიგნით გადარეული
ჭრელი პეპლები აცეტდებიან.
მერე მიხვდები თურმე ქაფიდან
რისთვისა მშობეს ქალი და ღმერთი.
როცა ჭკუიდან გადამიცდები
არ გენდომება ვინმე ჩემს მეტი.
ზღვასთან დამიცდი, მე– აფროდიტე
ტალღების სრბოლით შემოგეგები.
ტკბილ სიყვარულის ნაყოფს გაგემებ,
თვალი არ წაგცდეს სხვისკენ ეგების.
გადაქცეული უკვე ქალღმერთად
შეხიზნული ვარ შენს გულის საფარს,
ზღვა კი ნაპირთან ეჭვით და შურით
სილაზე დრო–დრო ტალღებსა ღაფავს.
მე აფროდიტეს, ზღვის ტალღის ქაფის
ეროტიკა და ნიუ წამართვი,
მიმითვისე და დამისაკუთრე
თან სიყვარულის ღმერთი დამარქვი.

ანზორ შერვაშიძე

* * *

სვანური ქუდი მახურავს,
ღვთის ჯვარი მადგას თავზე,
გულში სიკეთეს ვერ ვიტევ
როგორ ვიფიქრებ ავზე?

მე იმ კლდეებმა გამზარდეს,
ნისლებში რწევით აკვნის,
სივრცეა ჩემი სახლკარი
კარი არააქვს საკნის

სახურავად მაქვს კოსმოსი,
ნაჭედი ვარსკვლავთ ჯარის,
ხან მზე მიღიმის ხან მთვარე
დროც კი არამაქვს ჯავრის.

ხან ჭუნირს ავაჟღერებ და
ხან კი დაუკრავ ჩანგზე,
ხან ლოცვას წავიღიღინებ,
ხან წინაპართა დარდზე.

იქვე არწივი შეჰკივლებს,
გადიფრენს ფრთების ბათქუნით,
ხან ბანს მეტყვიან კლდეები
ექოს ჯიხვთა რქის ჯახუნის.

ვდგავარ სამშობლოს ქავ-ციხედ
გარს შემორტყმული ფარად,
შეუალია ეს ციხე
ჩემი მკერდი აქვს კარად.

* * *

ჩემი ოთახის სარკმელში ისმის
ქარის ბორგვა და შრიალი ვერხვის
რა პატარაა ეს სამყარო და
რა დიდი არის ეს ბინა ჩემთვის

ადამიანის ენა ბასრია
უფრო მეტადაც ვიდრე ოროლი
მრავალი კაცი განგმირა ენამ
და მეც პოეტი სულით ობოლი

ვერ შეაშფოთებს კაცის სულს უცხო
ვერაფერს ავნებს კაცის გულს მტერი
ვინც სულში უზის და გულთან ახლოს
მას შეაქვს კაცში ბუღი და მტვერი

* * *

ჩემო ქალბატონო, ჩემო სანატრელო
სევდა გულზე ისევ ნისლად დამეფინა,
ზეცამ იტირა და ის თეთრი ღრუბლები
წვიმის წვეთებად მიწას დაეფინა.

ყოველი დილის მიკვირს გათენება,
ყოველი ახალი დღე სევდის აკორდია,
დღე უღიმღამო უშენოდ მიილევა
ღამით კი იწყება ჩემი აგონია.

როგორაც ცოდვილი ხატთან სალოცავად
სული მობარბაცებს შენთან ყოველ ღამე,
ერთხელ შეისმინე ამ სულის ვედრება
ერთხელ უწყალობე მას ნუგეშად რამე.

ჩემო ქალბატონო, ჩემო სანატრელო
მე უშენობის მაკრთობს აგონია,
ყოველ დილით რომ ნიავი გეხება
ჩემი ფიქრი და ჩემი ამბორია.

* * *

იქ სვანეთში ბავშვობაში
ხანა მედგა ბედნიერი,
მომენატრა ის სოფელი
ჩემი ტურფა მაჯვდიერი.

დილის ნამი ხელპირს მბანდა,
ნიავი ფრთას მკრავდა თმაზე,
არე – მარე ყუჩდებოდა
მგალობელი ჩიტის ხმაზე.

ჩემ სახლისწინ მსხლის და ვაშლის
მოშრიალე ფოთოლთ ნანა,
ისეთ სითბოს ღვრიდა გულში
როგორც დედის იავნანა.

მომენატრა თეთრი ლაფშა,
ჭიხვინებდა რაშისდარი.
მომენატრა შუბლზე კოცნა
შრომით დაღლილ ლაბა ხარის,

მომენატრა ძაღლის ყეფა
ალბასი და თოლიასი,
ნადირთ სუნზე რომ შფოთავდნენ,
მათი ღრენა ფორიაქი.

იქ ვისწავლე ლაპარაკი,
იქ ვისწავლე სიარული,
შევიცანი ღმერთის რწმენა
და სამშობლოს სიყვარული.

იქ მომინდა სულ რომ იყოს
ჩემი ერი ბედნიერი,
რომ სამშობლოს გულად ფეთქდეს
ჩემი ტურფა მაჯვდიერი.

* * *

ზოგჯერ მეგონა რომ დავიღალე
ცხოვრების გზაზე მარტო მავალი,
ცხოვრებამ ბევრჯერ დამცა ბეჭებზე
როგორც მე ისე სხვებიც მრავალი.

მეც მომიწამლა სული კინაღამ
ადამიანთა შხამმა, სამსალამ
და ვერ ვიგუე ჩემში ბოროტი
სულს აღარ ეყო ამის მასალა

დაუფიქრებელ ნაბიჯებს ვითვლი
და მათ მივაწერ: ინსტინქტს ცხოველურს,
ეს ინსტინქტები გვმართავენ ხშირად
და ვემსგავსებით ცხოველებს ველურს.

ჩვენ სხივი მოგვცა ღმერთმა გონების
ტვინიდან გულთან კავშირის მქონე,
ამ სხივს სათუთად უნდა მოპყრობა
რომ აიწიოს ჩვენში ეს დონე.

წლები გადიან, კაცში კი მუდამ
დინამიკურად ხდება ცვლილება,
ზოგს აბოროტებს, ზოგს კი მოაქცევს,
ხშირად მომხდარა ამის მხილება.

ცხოვრება ხშირად ნიღბებს ჩამოხსნის
ადამიანებს მრავალ ნიღბოსანს
და ემსგავსება ადამიანი
უნაოდ მცურავ ოსტატ ნიჩბოსანს.

ასეთი არის ჩვენი ცხოვრება,
ზოგი პოეტობს, ზოგი კი მხატვრობს,
ზოგი ყოველდღე გაძღომით სცოდავს,
ზოგი კი პურის ხმელ ნატეხს ნატრობს

ასეთი არის ჩვენი სამყარო
შექმნილი ღმერთის გამჭოლი ფიქრით
აქ უფლის მადლი ჰფენია ყველგან
მაგრამ ჩვენ შეგვაქვს ცოდვების ფითრი.

* * *

ირგვლივ დუმილი, სიწყნარე და
უშფოთველობა,
შუაღამეა, შუაღამე კუპრივით
შავი,
ოთახში მხოლოდ ჩემი გულის
თუ ისმის ფეთქვა,
როგორც ყოველთვის კვლავ შენზე ფიქრს
მივეცი თავი.
თმებზე რომ გათოვს ჩემო ტკბილო
ჩემი ფიქრია,
მომენატრა უსაშველოდ
შენი სხეული,
ერთხელ შეგხვდი და იმისმერე
სულ შენ დაგეძებს
ჩემი გული გადაღლილი
დარდით სნეული.
ოო როგორ მინდა რომ შენს ლამაზ
თვალებს ჩავხედო,
ჩავხედო ჩუმად, უსიტყვოდ და
ულაპარაკოდ
მინდა თვალებით შევაღწიო
შენს სპეტაკ სულში
და თვალებით, მხოლოდ თვალებით
გელაპარაკო.
მხოლოდ შენს ხმაში, შენს ღიმილში
შენს სინაზეში
ვპოვე სიმშვიდე; ჩემთვის უცხო
ბედნიერება
მუდამ მიზიდავს, მუდამ მიხმობს,
მუდამ მაოცებს
შენი ნატიფი და მწუხარე
მშვენიერება.

შენი თვალები
ჩვენი სამშობლოს ზეცას მაგონებს,
მათი სიღრმე და სიცისფრე
ტკბილად მაოცებს.
შენი თმები კი მოჰგავს კლდიდან
გადმოშლილ ჩანჩქერს,

* * *

ხდება ხოლმე ცხოვრებაში
დაგიდგება წუთი დარდის,
თითქოს სული არეული,
სხეულს ტოვებს, მისგან გარბის.
ფიქრობ: აზრი ცხოვრებისა
ერთიანად არის ფარსი,
ამდროს თითქოს წყურვილი გკლავს,
გსურს დალიო შხამის თასი.
მაგრამ რაღაცა გაკავებს:
მოლოდინი რაღაც ახლის,
რომ სურვილებს დაგიამებს
წაღმა ბრუნვა ბედის ჩარხის.
იმედია ეს რაღაცა
და ის ჩვენში მუდამ ყვავის,
მე ამ განცდას შევადარებ
დილით ადრე სურნელს ყავის.

* * *

მუდამ დავეძებ შენს ცისფერ თვალებს,
თვალებს ღმერთების ხელით დაწერილს,
მე მათ მიუშვერ ჩემს დაღლილ სახეს,
სახეს წვიმით და ქარით დალეწილს.
თითქოს გიცნობ და ამ დროს არც გიცნობ,
გულს ნუ ჩარაზავ რკინის ურდულით,
ჩვენშორის ალბათ უფალმა განვლო
და გულში მომხვდა გრძნობის შურდული
და ყოველ ღამე ჩემი ფიქრები
დაგფარფატებენ როგორც პეპლები,
ჩემი შენდამი ტრფიალის ფონზე
აშრიალებენ ფოთლებს ვერხვები.

* * *

შენი ღიმილი მზეს,
სამყაროს რომ ნათელ სხივს დაჰფენს.
შენი სხეულის მოძრაობა
ნელი გრაცია,
მე შენი ხილვა მიმსუბუქებს
ე მ ი გ რ ა ც ი ა ს.

* * *

ცაზე აიმღვრნენ ღრუბლები
წყალმა დაღარა ხევები
ლანდებად მოჩანს გორები
როგორც მძინარე დევები

ელვაზე წამიერ ჩნდება
კლდეების სახე მწუხარე
ცა გრგვინავს ყოველმხრივ ისმის
მეხთა გრიალი მქუხარე

სოფლიდან მმიჯნავს მორევი
ხიდწაღებული მდინარე
ადიდებულმა მოშალა
დილით რომ გამოვიარე

მდინარის პირას შავი კლდე
აღმართულიყო ეული
უეცრად მას გამოეყო
უზარმაზარი სხეული

ჩემგან შორ-ახლოს გაჩერდა
შავად მოჩანდა ღამეში
მე გონებაში დამეწყო
ფიქრთა რბოლა და თარეში

ღამეშიც იკვეთებოდა
შავი თვალები მისივე
მათ დანახვაზე ვიგრძენი
მკვეთრი, გამჭოლი სიცივე

მის შუბლზე მკვეთრად მოჩანდა
ღრმა ნაოჭების ღარები
მალე მისი ხმა გაისმა
სიტყვაკაზმული ფრაზები

მკითხა: აქ როგორ მოხვედი?
დრო შენი ჯერ არ დამდგარა
შენთვის აქ მოსვლა ადრეა
ჯერ შენთვის აქ არ დამთბარა

– მზად ვარ სიცოცხლე გავწირო
სული სხეულთან გავყარო
თუკი სიკვდილით იცნობა
შეუცნობელი სამყარო

– გონების თვალი გახსენი
რომ გაიაზრო სიმართლე
ცხოვრება ილუზიაა
მოფიქრებული სიყალბე

თქვენ ხართ სხეულის მონები
გაკლიათ სულის სიმყარე
მაცილის გზას ხართ დამდგარი
გხიბლავთ ცოდვების სიმყრალე

სურვილებს გრძნობებს უწოდებთ
არ გსურთ კი რამის გაცემაეს
ეს არის თქვენი უკუსვლა
და სულიერი დაცემა

ფიქრის უნარი დაკარგეთ
თითქოს დაგათროთ არაყმა
და ყველა ურთიერთობა
თქვენშორის არის არაღრმა

ხან ნიღაბს ირგებთ მეგობრის
ხან კი სიყვარულს იფერებთ
თავმდაბლობა კი არაგაქვთ
ამაყად კისერს იღერებთ

მიზანი მხოლოდ ერთი გაქვთ:
ერთურთის გამოყენება
ვერაფრით მოხდა თქვენს გულში
სიკეთის აღმოცენება

იმასაც ვერავინ ხვდებით:
რაცაგაქვთ თქვენი არ არი
და სხვისგან გადამალული
თქვენთვისვე არის არამი

თქვენთვითონ გჯერათ თქვენივე
გულწრფელობის და სიმართლის
ფორმასაც დელიკატურს ხდით
ურთიერთობის, მიმართვის

ყველას გაქვთ თქვენი
სიმართლე
ყველა თავს ადრით ღვთაებას
თუკი სხვა თქვენებრ მოგექცათ
იწყებთ ვიშსა და ვაებას

თვითონ ტყუვდებით, უქმად დევს
თქვენი გონების სახნისი
ბნელში ხართ, ვერ გაგიგიათ
იმ წუთისოფლის საზრისი

ახლა აღსდექი შენ უკვე
ცნობა გაქვს არაცნობადის
გზას უკვე ვეღარ გადუხვევ
სიკეთისა და მორალის

* * *

ბედისწერა ციკლოპივით მომჩერებია
ნიავზე ფოთოლთ სევდიანი ისმის შრიალი
ვინ იცის როგორ და რამდენჯერ მცემა ცხოვრებამ
ვინ იცის როგორ მომნატრებია ხშირად ხმიადი.

რამდენჯერ ღამე თვალგახელილს მითენებია
თავად დარდიანს სხვისი დარდი მომისმენია
რამდენჯერ მითქვამს საკუთარ თავზე: მტკიცედ იდექი
და სხვის საშველად ბევრი ტანჯვა მომითმენია

ვინ იცის როგორ და რამდენი გაკრთა იმედი
ვინ იცის როგორ და რამდენი გაკრთა ოცნება
კვლავ ფეხზე ვდგავარ და დინებას კვლავ არ მივყვები
და ცალი თვალით ირონიით მიცქეერს ცხოვრება.

* * *

ცხოვრება მაფერხებს წინსვლაში როგორღაც,
არ ვიცი რა მიზნით ან რისი ბრალია,
არ მინდა ცხოველად მაქციოს ცხოვრებამ,
მიშვლე, დამლოცე დედაო მარიამ.

ჩემს ირგვლივ მრავალი აღმოჩნდა გულცივი,
და ზურგი მაქციეს დაღლილს და დარდიანს,
ყველამ რომ დამთმოს და ყველამ რომ გამწიროს
შენ არ მიმატოვო დედაო მარიამ.

ცხოვრება მიბიძგებს ცოდვისკენ ნიადაგ,
გარეთ თუ მზე არის სულში ავდარია,
ჩამკიდე ხელები, გზა გამინათე,
მიხსენი ცოდვისგან დედაო მარიამ.

* * *

პეგასს გავხედნი, ზევსს მოვპარავ
თავის ბედაურს,
ორიონივით ავედევნები
მე შენს ნაკვალევს
და არ მადარდებს თუ შემხვდება
სადმე გორგონა
და გამაქვავებს ღამენათევსა და
ნამთვრალევს.
ყველას განვგმირავ, გადამიდგება
ვინც სავალ გზაზე,
სვანთა ტომმა რომც მომკვეთონ
სულაც თემიდან
ან მიმაჯაჭვონ კავკასიონზე
როგორც პრომეთე,
თუ გნებავს სულაც გამასამართლოს
თავად თემიდამ.
მე გაგიტაცებ ვით პერსეფონე
გაიტაცა ოდეს ჰადესმა
და ვერ მომილბობს გაყინულ გულს
დემდტრას ცრემლი,
მე სამყაროში ერთადერთი
მიღელვებს გრძნობას:
შენი ნათელი და ცისფერი
თვალების ეშხი.

გიორგი ჯავახიშვილი

* * *

ასე გავიგე ჩემითა,
ხშირად რჩევა და სმენითა,
ბევრსაც ვერაფერს მოიგებ
დროის ტარებით, ლხენითა.
ვერც უჟმურობით მოიგებ,
მეგობრის მწარედ კბენითა,
ვერც, მეზობლების ჯინაზე,
ფართედ გაშლილი ხელითა.
ვერც ბოღმა-შურით მოიგებ,
დილა საღამო ღრენითა,
ვერც უფროსების წინაშე
კუდის ქიცინით, ქნევითა,
ვერც უმცროსებზე ძახილით,
შენზე მეტივარ ბევრითა,
ვერც ქლესაობით მოიგებ,
სიმართლის დაჭრა -კერვითა,
ვერც ინტრიგნობით მოიგებ,
საჩივრის კარგად წერითა,
თუ ასეთი ხარ, იცოდე,
პასუხი აგე ზევითა,
აქ კი, ჭურჭელი აავსე
თავმდაბლობით და თმენითა!

* * *

ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია,
ხანდახან შემომიარეთ,
ნუთუ არა ხართ გმირნია?
მარტო ვარ, დავღონებულვარ,
ხშირად ვზივარ და ვტირია,
გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს,
შატილს მოედო ჭირია,
კოშკები ჩამონგრეულა,
იქნებ, მოგვფინოთ ლხინია!
თვალი აღარ სჭრის, რაღა ვჰქნა,
აღარც მუხლი და კბილია,
ვეღარც როშკაში გავსულვარ,
დევებმა ჰყარეს წილია,
ლოდები მიმოფანტული,
ნახეთქი გადაჭრილია!
გონთ არ ამოდის ნანახი,
მოსაგონებლად ტკბილია.
ნეტავ, რას შვრება, არ ვიცი,
ჩემი ძმა, ბლოველ კვირია,
ყველა მის გახსენებაზედ
ციმციმებს, სახე პირია!
აბუდელაურს ზემოდან
ჭაუხნი გადმოჰყვირიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო?
დარდისგან სვავნი ჰკივიან,
არწივი ბუდეს არ ჯდება,
მუდამ ბარტყები წივიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო,
სად არის აბჯარ– ხმალია?
იორღა ისევ ჭიხვინებს,
ვინღა იქნიოს მკლავია!
იქნებ შიათ და არ ვიცით,
იქნებ ყველასა სძინია,
იქნებ საომრად წავიდნენ,
პირველ– მეორე გმირნია?
ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია
ხანდახან ბილიკს შამოჰყეთ,
გულზედ მომფინეთ ლხინია!....

ჰეიი! თქვენ ქართველნო!

ვახ! ჩვენი ბრალი!
მტერი მოგვადგა, მომეცით ხმალი!
ღვინო დამისხით რად მინდა წყალი,
დავჭექოთ ბუკი და მოვცვითოთ ნალი,
გუთანს აუშვეს ნიკორა ხარი,
მოსწყვიტეს წისქვილს საბრუნი თვალი,
მოჰკვეთეს გმირებს, თავი და მხარი,
ვეღარ ვიპოვნე იმედი მყარი.
ტაძარს მივედი შემოვკარ ზარი,
შენდობის ლოცვით ვიწერე ჯვარი,
შემდეგ კი, ვლეწე უსჯულოთ კარი,
მტრისა ვაბნელე, დღე, მზე და თვალი,
ასე ვიხადე სამშობლოს ვალი.
იუდას ამბორით აჩინეს ბზარი,
ნათელს დაატყვეს წყვდიადის კვალი,
ეჭვებმა, ხეთქეს კლდეები სალი,
ჭორმაც დააშრო არაგვი, მტკვარი,
სიმართლეს არჩიეს ტყუილი მტკნარი
და ბოლოს მაინც, მომკვეთეს მკლავი.
კედელს დავჰკიდე ის, გორდა ხმალი
აღარ დამიდგა დღე მშვიდი, წყნარი,
ჩემს გზებს მოედო ეკალი, ნარი
ხმები ჩამესმის ვახ! ჩვენი ბრალი!
ასე დავდივარ მე, ცოცხალ, მკვდარი.
ტაძარს მივდივარ, დავრეკო ზარი
ღმერთო! შემინდე დამსახე ჯვარი....

+++

როცა სამშობლო სიკვდილს ლამობდა,
მაშინ ქართველი ღმერთსა სწამობდა,
როცა სამშობლო ბრძოლის ველს ჰგავდა,
მაშინ ქართველი მაინც ნერგს რგავდა,
როცა სამშობლოს ართმევდნენ შვილებს,
მაშინ ქართველნი აჩენდნენ გმირებს,
როცა ანგრევდნენ ციხეებს, ტაძრებს
თეთრი კირისგან ლამაზად ნაგებს,
როცა სამშობლოს მტერი მტერობდა,
მაშინ ქართველი მაინც მღეროდა!

* * *

წუთია, წუთისოფელი
წუთში აღარ ვართ, ისმინეთ.
თამარის ციხეს მივედი,
აკლდამას ძვლები ვიხილე,
ღმერთო, აცხონე ყველანი!
ემოციისგან ვიყვირე.
ნასახლარების ბოლოზე
დავჯექი, მწარედ ვიტირე.

* * *

ავმეხსიერმა შეიპყრო
ჩვენი გული და გონია,
ადამიანზე ძვირფასი
ხან ოქრო, ხანაც ბროლია.
შურისძიებას საფუძვლად
დაუდეთ ხშირად, ჭორია,
ჭეშმარიტების კვალამდე
მანძილი ჩვენი შორია,
მდუღრად მეცემა ტკივილი
როგორც წიწილას ქორია.

+++

კახი ვარ ბოგანო! კახი ვარ ბოგანო!
გლეხის მსგავსი და ცოტა მომგვანო
მიბრძანეთ ბატონო!
მიბრძანეთ ბატონო!
რამდენი მოვხნა, რამდენი მოვბარო,
სარეველები ძირში მოვთხარო
ურჩი ტოტებიც დაბლა მოვხარო.
მიბრძანეთ ბატონო!
მიბრძანეთ ბატონო!
ყანა მოვთესო, ბაღი მოვცვარო,
ვაზი გავსხლა და ქვევრი მოვკალო,
ჩემი ნაშრომი ძღვენი მოგგვარო
ხან მწარე არის, ხან კი მომტკბარო.
კახივარ ბოგანო! კახივარ ბოგანო!
გლეხის მსგავსი და ცოტაც მომგვანო.

* * *

ჰეიი! თქვენ ქართველნო!
ვახ! ჩვენი ბრალი!
მტერი მოგვადგა, მომეცით ხმალი!
ღვინო დამისხით რად მინდა წყალი,
დავჭექოთ ბუკი და მოვცვითოთ ნალი,
გუთანს აუშვეს ნიკორა ხარი,
მოსწყვიტეს წისქვილს საბრუნი თვალი,
მოჰკვეთეს გმირებს, თავი და მხარი,
ვეღარ ვიპოვნე იმედი მყარი.
ტაძარს მივედი შემოვკარ ზარი,
შენდობის ლოცვით ვიწერე ჯვარი,
შემდეგ კი, ვლეწე უსჯულოთ კარი,
მტრისა ვაბნელე, დღე, მზე და თვალი,
ასე ვიხადე სამშობლოს ვალი.
იუდას ამბორით აჩინეს ბზარი,
ნათელს დაატყვეს წყვდიადის კვალი,
ეჭვებმა, ხეთქეს კლდეები სალი,
ჭორმაც დააშრო არაგვი, მტკვარი,
სიმართლეს არჩიეს ტყუილი მტკნარი
და ბოლოს მაინც, მომკვეთეს მკლავი.
კედელს დავჰკიდე ის, გორდა ხმალი
აღარ დამიდგა დღე მშვიდი, წყნარი,
ჩემს გზებს მოედო ეკალი, ნარი
ხმები ჩამესმის ვახ! ჩვენი ბრალი!
ასე დავდივარ მე, ცოცხალ, მკვდარი.
ტაძარს მივდივარ, დავრეკო ზარი
ღმერთო! შემინდე დამსახე ჯვარი....

* * *

წუთია, წუთისოფელი
წუთში აღარ ვართ, ისმინეთ.
თამარის ციხეს მივედი,
აკლდამას ძვლები ვიხილე,
ღმერთო, აცხონე ყველანი!
ემოციისგან ვიყვირე.
ნასახლარების ბოლოზე
დავჯექი, მწარედ ვიტირე.

* * *

ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია,
ხანდახან შემომიარეთ,
ნუთუ არა ხართ გმირნია?
მარტო ვარ, დავღონებულვარ,
ხშირად ვზივარ და ვტირია,
გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს,
შატილს მოედო ჭირია,
კოშკები ჩამონგრეულა,
იქნებ, მოგვფინოთ ლხინია!
თვალი აღარ სჭრის, რაღა ვჰქნა,
აღარც მუხლი და კბილია,
ვეღარც როშკაში გავსულვარ,
დევებმა ჰყარეს წილია,
ლოდები მიმოფანტული,
ნახეთქი გადაჭრილია!
გონთ არ ამოდის ნანახი,
მოსაგონებლად ტკბილია.
ნეტავ, რას შვრება, არ ვიცი,
ჩემი ძმა, ბლოველ კვირია,
ყველა მის გახსენებაზედ
ციმციმებს, სახე პირია!
აბუდელაურს ზემოდან
ჭაუხნი გადმოჰყვირიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო?
დარდისგან სვავნი ჰკივიან,
არწივი ბუდეს არ ჯდება,
მუდამ ბარტყები წივიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო,
სად არის აბჯარ– ხმალია?
იორღა ისევ ჭიხვინებს,
ვინღა იქნიოს მკლავია!
იქნებ შიათ და არ ვიცით,
იქნებ ყველასა სძინია,
იქნებ საომრად წავიდნენ,
პირველ– მეორე გმირნია?
ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია
ხანდახან ბილიკს შამოჰყეთ,
გულზედ მომფინეთ ლხინია!....

+++

როცა სამშობლო სიკვდილს ლამობდა,
მაშინ ქართველი ღმერთსა სწამობდა,
როცა სამშობლო ბრძოლის ველს ჰგავდა,
მაშინ ქართველი მაინც ნერგს რგავდა,
როცა სამშობლოს ართმევდნენ შვილებს,
მაშინ ქართველნი აჩენდნენ გმირებს,
როცა ანგრევდნენ ციხეებს, ტაძრებს
თეთრი კირისგან ლამაზად ნაგებს,
როცა სამშობლოს მტერი მტერობდა,
მაშინ ქართველი მაინც მღეროდა!

* * *

ასე გავიგე ჩემითა,
ხშირად რჩევა და სმენითა,
ბევრსაც ვერაფერს მოიგებ
დროის ტარებით, ლხენითა.
ვერც უჟმურობით მოიგებ,
მეგობრის მწარედ კბენითა,
ვერც, მეზობლების ჯინაზე,
ფართედ გაშლილი ხელითა.
ვერც ბოღმა-შურით მოიგებ,
დილა საღამო ღრენითა,
ვერც უფროსების წინაშე
კუდის ქიცინით, ქნევითა,
ვერც უმცროსებზე ძახილით,
შენზე მეტივარ ბევრითა,
ვერც ქლესაობით მოიგებ,
სიმართლის დაჭრა -კერვითა,
ვერც ინტრიგნობით მოიგებ,
საჩივრის კარგად წერითა,
თუ ასეთი ხარ, იცოდე,
პასუხი აგე ზევითა,
აქ კი, ჭურჭელი აავსე
თავმდაბლობით და თმენითა!

ბელურა

ერთხელ ჩიტები შევნიშნე,
ხის კენწეროს და მწვერვალსა,
ვესროლე, გავიხალისე,
ერთს მოხვდა, ასცდა ყველასა,
მახსოვს, ბელურამ რა შეძლო,
ვერ ვახერხებდი მზერასა,
სიკვდილით როგორ შეუდგა
ჩემს გულზე დარდის წერასა!
რა დაგიშავე, რა გინდა,
რატომ არ მაცდი ლხენასა,
ჩემს მეგობრებში ჭიკჭიკს და
მაღლა, ზეცაში ფრენასა?
ვეღარც კი შევეჭიდები
ნიავის ქროლვა სტვენასა,
ვეღარც ჩემს ბარტყებს მოვუსწრებ
ნისკარტით ბუდის კერვასა,
საკენკსაც ვეღარ მივუტან,
მე არა ვზრდიდი ყველასა?
თვალები გადააბრუნა,
თითქოს ითხოვდა შველასა.
თავი ვიმაგრე, ჩავძახე
ყველა ჩიტს, არწივს, ძერასა,
ჩემი მარჯვენა აგიგებთ
სიკვდილის ბედისწერასა,
სინამდვილეში ვერ უძლო
გულმა ტკივილს და თმენასა,
თვალმაც მოუკლო ცრემლების
შეკავებას და ჭერასა,
ყელიც ნელნელა უშვებდა
ხმააჭრილ, მწარე ბგერასა,
სულ ერთი ლუკმა არ იყო,
კბილი დავადგი ენასა,
რას ვიფიქრებდი ოდესმე,
საკუთარ თავის კბენასა!
მაშინ ვთქვი, დედის სიკვდილი
ხომ აგვატირებს ყველასა,
აღარ ვისურვებ არასდროს
ბარტყების გულის ტკენასა,
ეფრინა, მეყურებინა,
ფრთებით ცას როგორ სერავსა,
იმ დღიდან გადავეჩვიე
შაშხანის ხელში ჭერასა!

* * *

გამწყრალა ღმერთი ჩვენზედა,
ცხოვრების წესით ვაშავებთ!
ხელს კი გავიშვერთ სხვებზედა
ხატში დავდივართ ლოცვისთვის,
მთების ბილიკზე, წვერზედა.
თუ არა გჯერათ, შეგვხედეთ,
ჯვრებიც გვკიდია ყელზედა.
ერთხელ ხარიც კი დავკალით,
ბევრი ვილოცეთ ბევრზედა,
სანთლები ვანთეთ ქადებზე,
ყანწიც შევიბით ხელზედა.
ღვთის სადიდებლად ისე ვსვით,
ღვინოც დაგვადგა ყელზედა.
ბევრი ვუამბეთ, უთხარით,
იმედს ვაყუდებთ შენზედა.
იქნებ წყალობა მოიღოთ,
მწარედ დატანჯულ გლეხზედა.
გამწყრალა ღმერთი ჩვენზედა,
ცხოვრების წესით ვაშავებთ!
ხელს კი გავიშვერთ სხვებზედა.
ხშირად ენა გვაქვს ისეთი,
შხამით მეტნი ვართ გველზედა.
მიწა გვჭამს, მიწას ვერა ვთმობთ,
ძღვნად რომ მიგვერთვა ღმერთზედა.
გვაქვს ცოდვა-ბრალი კისერზე,
ვეღარც კი ვიტევთ მხრებზედა.
ამდენი მლიქვნელობისგან,
გული მიფეთქავს მკერდზედა.
კარგი იქნება დავფიქრდეთ,
რითი ვართ მეტნი სხვებზედა.
მოდი, დღეიდან ვიზრუნოთ,
ჩემზე შენზე და ერზედა!

+++

,,საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დადგი გრძნობის ტაძარი“,
ამას ამბობდა ფშაველა,
ვინმემ თქვით აზრი ახალი.
მთელი სიბძე ხომ აქ არი,
ჭირი მას ჰქონდა მრავალი.
ქედმოხრით დამილოცნია,
მისი ცხოვრების ნავალი.
არდავიწყება ილია მართალს,
ძლიერი სიტყვის ლამაზად ნათქვამს,
ღმერთმა მომცეს მისი გული
და საქმენი ასე რთული.
დღეც გათენდა სიბრალულის,
მოკლე დრონი სიხარულის.
ცრემლი სცრიდა სინანულის,
საგურამო– წიწამურის.
ჩვენ ყველამ ვიცით დიდი მგოსანი,
ცაში აჭრილი როგორც ფრთოსანი.
გვახსოვს კიდევაც გალაქტიონი,
დიდი გრძნობების ბაგრატიონი.
გამონათქვამებს ძლიერი ენის,
ზოგი კითხულობს, ზოგიც კი მღერის;
ეს ყველაფერი მათ ხსოვნას შვენის,
არ დავიწყება არცერთი მწერლის.

* * *

ავმეხსიერმა შეიპყრო
ჩვენი გული და გონია,
ადამიანზე ძვირფასი
ხან ოქრო, ხანაც ბროლია.
შურისძიებას საფუძვლად
დაუდეთ ხშირად, ჭორია,
ჭეშმარიტების კვალამდე
მანძილი ჩვენი შორია,
მდუღრად მეცემა ტკივილი
როგორც წიწილას ქორია



თამთა უგულავა

მუზა

ვწერ იმას, რასაც მთვარე მომითხრობს,
რასაც მიმღერის ჩემი ცხოვრება,
ვწერ, როცა მუზა კალმით მომიხმობს
და გულში ლექსი გამიცოცხლდება.

ო, არ მოკვდება ოცნება წრფელი,
თოთხმეტი წელი ჩემში რომ ცხოვრობს,
არ გაცივდება ესს გული ცხელი,
გული, რომელიც მუზებით ცოცხლობს.

ო, არ ჩაქრება ჩემში წყურვილი,
თავისუფლება, მე რომ მწყურია,
დაუნდობელი რომ მკლავს სურვილი,
ო, ეს მშფოთვარე ჩემის სულია.

დაბადებიდან მაწვალებს კითხვა,
მაწვალებს მუზა, ვით გველის გესლი,
მუზა, რომელმაც ჩურჩულით მითხრა:
ადამიანო, დაწერე ლექსი!

ვწერ მერე, რასაც მთვარე მომითხრობს,
და ეს ლექსები მხოლოდ მისია,
ვწერ, როცა მუზა სამღერლად მიხმობს,
სული ყვავილობს და მაისია.

მონატრება

აციმციმდნენ ცაზე ცელქი ვარსკვლავები,
აღიღინდა ჩემში ჩუმად ნიბლია,
თუ ღმერთი გწამს, მოუსმინე გამალებით,
ეს სიმღერა განა ყველგან იციან?
ადგაფუნდნენ ,,ოკაცეში“ კალმახები,
წითელ ხალებს აქეთ-იქით ისვრიან,
თუ ღმერთი გწამს, გაახილე ეგ თვალები,
ასე ცეკვა, განა სადმე იციან?
მთვარის ხვეულ დალალებში არეკლილი,
თუ იკითხავ, ეს წალკოტი ვისია?
მთის ბალახზე,სადაც ჩემი შვილი ივლის,
არ იფიქრო ეს ზღაპარი სხვისია...
არ იფიქრო, რომ იმ ციხის ნანგრევების
მიტოვება მე ოდესმე მიცდია,
ღვთიურ მადლით გაბრწყინებულ ტაძრისათვის,
,,ნიკორწმინდა“ -– მე ცრემლებით მითქვია.
ახარხარდნენ კოცონს იქით ძუ ვეფხვები,
ზამბახები ოქროს კაბებს იცვლიან...
და ჩემს მიწას მე ამბორით შევეხები,
ისე, როგორც ქართველებმა იციან.

ასი წლის მერეც აგიგებ ტაძარს

მე ოცნება მაქვს მზეზე ნათელი,
ღიმილის კაბა მაცვია დედის,
სულში დაგანთე, როგორც სანთელი,
როგორც სინაზე მომაკვდავ გედის.
მე აღარ ვგავარ ყვავილს გათელილს,
ზღვარი არა აქვს დღეს ჩემს სიურჩეს,
შენ დილას ჰგავხარ, ლოცვით გათენილს
და დამწიფებულ მთათა სილურჯეს.
ახლა მივყვები აღმართის დაღმართს,
ვეძებ დინებას, რომ შევაჩერო,
დღეს ჩემი აწმყო გაიქცა სადღაც
და იქნებ შენი შემომაშველო...
აზრი არა აქვს სულის დახშობას,
არც ვარდისფერი ტყვიით მკველობას,
გადავარჩინე დღეს ზღვა დახრჩობას
და უკვდავება შავ თვითმკვლელობას.
ასი წლის მერეც მე აქ ვიქნები,
ნაბიჯს ვაჩუქებ ცეცხლის ქვაფენილს,
ასი წლის მერეც აგიგებ ტაძარს,
ხედავ, ჰორიზონტს როგორ ვერთვები?
წავეკიდები თოვლიან ხანძარს
და უკვდავებას შევუერთდები...

ბადრი უგულავა

ცრემლიგორაზე

ახლა გარეთ ხარ... დღედაღამ გარეთ...
და არ გასვენებს ქარი და წვიმა,
ღამეა, ცაზე დამჯდარა მთვარე
და ანგელოზის ცრემლები სცვივა.

ვიცი, მარტო ხარ,
სულ მაროდმარტო,
სხვა ქვეყანაში დადე ბინა,
რაც მიმატოვე დღედაღამ გნატრობ
და შენი ხელის ფერება მინდა.

ცრემლიგორაზე ცრემლები მცრიდა,
სიკვდილი მცდიდა,
დედის სიკვდილი...
შავი სხივები ცვიოდა მზიდან
და მიკვდებოდა სული ტკივილით.

დედის ღიმილი უკანასკნელი,
დედის ჩურჩული: შვილო, ნახვამდის!..
ნუ დარდობ, მოვალ, ჩემო დედიკო,
ჩვენ ერთადა ვართ აწ და მარადის.

გაზაფხულის ცრემლები

მეტეხთან რომ მოვარდება მერცხლის გუნდი,
ჯაჭვის ხიდთან ტყემალი რომ აფეთქდება,
ქართულ მიწას რომ დახატავს ცეცხლის ბურთი
და თვალებში გაზაფხული ამღერდება...
ერთი წამით რომ გაქრება ყველა დარდი
და უბიდან მტრედები რომ აფრინდება,
საკოცნელად რომ დაგხვდება ყოჩივარდი
და იები სიყვარულს რომ დაგპირდება...
რუსთაველზე რომ ჩაივლის შენი ლანდი
და სისხლი რომ არაგვივით ადიდდება,
შემომხვდები, შემომხედავ, როგორც ვარდი
და სიცოცხლე სიყვარულით ატირდება...

საზღვარი

დედაო მიწავ,
დეადაო მიწავ,
შენ მომიტევე,
თუ რამ შეგცოდე...
კლდეებს მოვანგრევ,
დედაო, ვფიცავ,
რომ კაცი მერქვას
მიწის კარამდე...
მე გადმოვლეწე ყველა ჯებირი,
ყველა საზღვარი ჭაობებისა,
და დავიხსენი ცოდვილი სული
ამქვეყნიური ჩაობებისგან.

სულის ძახილი

გესმის!!!
გეძახი!!!
ვარ აკლდამაში,
თავისუფლება მართლაც ძნელია,
რადგან ყოველი მზის სისტემაში,
ყველა უკლებლივ -– მტაცებელია.
ნუ იტყვი, თითქოს შენ ხარ კეთილი,
ამაზე ფიქრი ცოტა ძნელია,
კაცის სხეულში ვარ ჩკეტილი
და ვეომები ასი წელია...

გოჩა ჭაბუკაიძე

❤

დაიბადა 1967 წელს ქ.რუსთავში; პროფესიით მუსიკოსი; ქმნის მელოდიებს, როგორც საკუთარ, ასევე მეგობარი პოეტების ლექსებზე; მსახურობს მედავითნედ დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძარში; გამოცემული აქვს სამი სასულიერო და ერთი საერო თემებზე შექმნილი ლექსების წიგნები; ჰყავს მეუღლე და ორი შვილი; ამჟამად ცხოვრობს თბილისში

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ❤ ❤ ❤

არავინ იცის, როდის რა გველის,
შენ დაიფარე ღმერთო ქართველი;
თუში, ხევსური და არაგველი,
დალოცვილ იყოს ყველა ქართველი;
გვიტევდა, გვიტევს მოძმეც, სპარსელიც,
არ დანებდება ამათ ქართველი;
იყვნენ ოდესღაც ცოტნე,მხარგრძელი,
კვლავ მოგვეც ღმერთო მსგავსი ქართველი;
ეცხოვროს ეთქვას თავის სათქმელი,
არ შეუშინდეს არვის ქართველი;

სულს გვიმღვრევს, გვწამლავს ჯოჯოც და გველიც,
და გასრესს მათ თავს კვლავაც ქართველი;
შორს გაწვდენილა მისი სახელი,
კაცთმოყვარეა თურმე ქართველი;
არის და იყო ბევრის მნახველი,
მაინც ქართველად რჩება ქართველი;
აქ უნდა ჰყოსო ქრისტემან რთველი,
ამბობს სახელიც თავად ქ ა რ თ ვ ე ლ ი
ორსავ სოფელში ენთოს სანთელი
მარად ქრისტესთან იყოს ქართველი

ხ ე ლ ი ❤

მაჩვენეთ ხელი,
ვინც წააშველოს,
დაქუცმაცებულ
ჩემს საქართველოს;
ბრძოლით ან ზავით, ვინ გააშველოს,
დაღლილ დაქანცულ არს საქართველო;
რომ აღარ ჰქონდეს რამ სადარდელოდ,
იბედნიეროს ჩემ საქართველომ;
ყვავილებმა და ტყემ, მთამ და მდელომ,
კვლავ იყვავილონ
ამ საქართველოს;
ძენი, ასულნიცა, სასახელოდ
უმრავლოს ღმერთმა
ჩემს საქართველოს;
გამთლიანებავ, მთლად სანატრელო,
მოდი,მოგელის დღეს საქართველო;
ვიცით ის ხ ე ლ ი
რთვლის საწნახელოვ,
გაგამთლიანებს
ვ ი ნ ც
საქართველოს.

❤❤❤

მიჯნური თვალი ❤❤❤

შემყვარებია უზომოდ მიჯნურს
სურათით თურმე ეს კოხტა თვალი
გულით, გონებით უაზროდ, კენტად
და ულმობელად მე მისგან მთვრალი
დავეხეტები დავძრწი უმიზნოდ,
რომ ვჰპოვო მისი მფლობელი ქალი
ვგრძნობ რომ, კვლავ დიდხანს ვივლი ამ ქვეყნად
მით მოხიბლული და ზედ დამკვდარი
არც გამიშრება დიდხანს ფრქვეული
ცრემლი ძებნაში დამაშვრალ თვალის
რითაც ვიხილე გავხდი გლახაკი
და უპოვარი მისგან დამზრალი
და შემოენთო გულის სისხლძარღვებს
ცეცხლის ენები და მათი ალი
თუნდ ვერ ვიპოვო შეგთხოვ უფალო
რომ დიდხანს ენთოს ეს უცხო თვალი
სანატრელ,უცნობ, ალბათ ლამაზი,
სანდომიანი, ღმრთაებრივ ქალის
❤❤❤

ეძღვნება ნ ა ნ ა-ს

❤ ❤ ❤

იშვა,❦
ესმოდა,❦
რომ უმღეროდა❦
მშობელი დედა ❦
ტკბილ იავნანას❦
მოდგმა ქართველთა ❦
ქრისტეში ❤
ვინც შვა,❦
და აგალობა ❦
იყო ❦
არს ❦
ნ ა ნ ა❦
შენ რომ გიხილა,❦
მეორედ იშვა❦
ღვარა ცრემლები, ❦
არც დაინანა❦
და სიყვარულით❤
ბრძენს და ❦
მშვენიერს ❦
თავს გადგამს ❦
გვირგვინს ❦
ტრფობისას❦
ნ ა ნ ა
❤ ❤ ❤

ეძღვნება მ ე რ ი-ს ❤✍

გენიოსის შემდეგ რა ვთქვა,
გავთავხედდი კადნიერი?
არა კარგო მსურს მოგიყვე,
თუ ვინ არის ბედნიერი.
არ აქცევდი ყურადღებას,
ვით ოდესღაც პოეტს მერი.
მაგრამ ამან ვერ დათრგუნა,
ვერ უცვალა მას იერი.

შეუყვარდი რადგან წრფელად,
მართალიცა და ცბიერიც.
თავმომწონეც,თავმდაბალიც,
ურჩიცა და თვინიერიც.
მორწმუნეცა და ურწმუნოც
ავზნიანიც,სახიერიც.
სიზმრად მასთან ჯვარწერილო
მშვენიერო კოხტა მ ე რ ი.

ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ❤❤❤

(აკროსტიქი)

ს იცოცხლის და სიყვარულის❦
ა თასგვარი სიხარულის❦
დ ამიცლია ეს სასმისი ❦
ღ მერთმა მოგცეთ წელი სავსე❦
ე რთობა და ხვავ ბარაქა❦
გ ულმა თქვენმა აწ და მარად❦
რ აც ინატროს ჰქონდეს ცხადად❦
ძ ველს ცუდსა და უსარგებლოს❦
ე ნაცვალოს სასარგებლო❦
ლ უკმა ძმათა გასამრჯელო❦
ო მმა შუღლმა ვერ გათელოს❦

❤❤❤

ნატალია სამუშია

მზის ამოსვლა

ასე ლამაზად მზე არსად ამოდის,
ასე ლამაზად არსად ანათებს.
დგანან გოროზი სალოცავები ,
მაიმედებენ და მანათებენ.

ჩემი სამშობლოს
ყველა კუთხეში
ნაკურთხი მიწის
სუნი ტრიალებს,
მენატრებიან ჩემი შვილები
და მუზაც მუდამ თავს დამტრიალებს.

რა ლამაზი ხარ ჩემო სამშობლოვ
გულს შენი ნახვა
წყლულებს მომირჩენს,
მონატრების ცრემლებს
თვალზე ვერ ვაშრობ
და როცა გნახავ
გეტყვი დანარჩენს.

მანდ მოჩუხჩუხე მდინარეები,
მიყვარს ლოცვა და ტაძრები,
მთებში რომ ჩურჩულებს ხეები და
დღისით ტაშს რომ ცემენ ნაძვები.

აქ მონატრების ცრემლს ვერ ვაშრობ ...
როცა მანდ მოვალ გეტყვი დანარჩენს.

მეცხრე ცა

სიხარულისგან წვდები მეცხრე ცას,
როცა სხვას სტიკივა და ეხმარები,
მათხოვარს სწრაფად გაუღებ კარებს და...
გაუღიმებ და მიეფერები.

არავის უსურვებ
ცუდსა და სიავეს,
გინდა რომ ყველას ეფერო,
გულში არ ჩაიდებ სიავეს
ყველას გსურს ჯვარი ეწეროს.

ასე გაატარე ეს წლები,
მოთმინებითა და მოცდით,
ღამე როდესაც დაწვები
იძინე ხალხის ლოცვით.

თუ ასე იცხოვრე მიხვდები,
და გაშლი ალალ სუფრას,
აუცილებლად შეხვდები,
ცას როცა წახვალ უფალს!

ზოგჯერ

ზოგჯერ ისეთი
წუთები დგება,
გინდა ხმამაღლა იყვირო,
ეს არის სულის ჟეჟვა და გვემა,
უნდა დაჯდე და იტირო.

ამასობოში დრო ისე გარბის,
ზამთარს მოყვება გაზაფხულები,
მთელი ცხოვრება იცხოვრებ დარდით,
კითხვები რჩება დაუბრუნდები?

იბრძვი იმისთვის რომ არსებობდე
მოასწრო სიკეთის კეთება,
ჰოდა ამისთვის უნდა ომობდე,
წლები მირბის და თმები თეთრდები!

მე დავიბადე

მე დავიბადე და მეგონა ჩემი ვიყავი,
ვკინძე და ვკინძე ოცნებები ამის მიხედვით,
წლები გავიდა ოხ! რამდენი ვეღარ ვეწევი,
მონატრება მე გითხრა თუ შენ მიმიხვდები?

გულში ჩემთან ხარ სიცოცხლის წამალო,
ეს ასე გამყვება სიცოცხლის ბოლომდე,
ჩემში შეგფუთავ და უნდა დაგმალო,
მოვალ ...ოღონდაც ერდგულად მელოდე.

მეგონა, სიყვარული
ჩემს გულში ნაფრები,
ორივეს გვეყოფოდა
თუმცა მე ვცდებოდი,
გრძნობები შენიდან რატომღაც მერყეობდა,
ეტყობა სხვას კარგო მალულად ხვდებოდი.

და მაინც მეგონა შენ ჩემი იყავი,
მოვტყვდი წახვედი სხვის გზაზე იარე,
ერთგული მე შენი ყოველთვის ვიყავი,
და შენ კი ჩემს გულზე ფეხებით იარე!

მერამდენედ

მერამდენედ დამათენდა შენზე ფიქრში,
მერამდენედ შემაშფოთა თოვლმა,
მერამდენედ მონატრებას ვუმკლავდები,
მიკვრის ვუძლებ გულში ამდენ თოვას.
მტანჯავს გვემა,
შემოდგომა მოკაკუნებს,
ვეღარ ვუძლებ ლოდინსა და სევდას,
გაზაფხული რა შორსაა მოკაზმული,
ახლოს მოსვლას რატო აღარ ბედავს .
ასე გარბის უშენობის ყოფნის წამი,
ვეღარ ვშველი მონატრებას შენსას,
მერამდენე შემოდგომა მოსულა და ...
უშენობის წლები არ მსურს მესხიას.

ისევ აივსო

ჩემო სამშობლოვ
ისევ აივსო,
შენი ქუჩები სისხლის
მღვრელებით,
ყველაფერს ხედავს ციდან იესო,
კეთილს რომ სცემენ გადამტერებით.
არ დაუჯეროთ გულღრძო ვინც არის,
არ დაუჯეროთ გემუდარები,
სამშობლოს მტერი სწორედ ის არის,
მიწას რომ ყიდის
გადამტერებით.
სამწუხაროა დღეს რომ სამშობლოს,
არ პატრონობენ როგორც თავის შვილს,
მე ცრემლებს თვალზე ვეღარ ვაშრობო,
რადგან ვხედავ რომ რუკიდან წაშლით.
ისეც ცოტაა, ისეც პატარა,
ისევ უფალი თუ
კვლავ მიშველის,
ნაღდმა ქართველმა
მუჭით ატარა,
ისე უყვარდა მიწა ძირძველი.

პოზიტივი

ვარდებსა ვრგავ
მერე გულში ვახარებ,
ნუ გგონიათ
ეს თქვენ ასე იოლი,
ვუფრღხილდები შენი ხელთ ნახარებს
მონატრებავ, შენზე ჩუმად ვტირიდი.
პოზიტივით ვავსებ დილას – საღამოს,
ვუალერსებ მერცხლის აჭიკჭიკებას,
შენ ცხოვრებავ, არასოდეს დამღალო,
იმედები მეც ყოველდღე მჭირდება!

ცხოვრების წლები

თუმცა წლები გაფრენილა ჩემი,
მზეთა სიმებს ვეჭიდები მაინც. .
ემიგრანტი შემხვდა განაჩენით,
მაინც ვხვდები ვარდობის თვეს მაისს .
პიანინოს კლავიშივით ზოგჯერ
ავიშლები ღრუბლის ფენა-ფენად,
ჩემი წლები ჯაფით გამოვჯოგე,
ფრინველივით ხან
მომინდა ფრენა.
სიყვარულით სავსე გული დამაქვს,
ოცნებები მგზავრად მახლავს ხშირად,
გულის გარდა არაფერიც არ მაქვს,
ერთგულებას მუდავ თავს შევწირავ.
არც იფიქროთ მომერიოს წლები,
და სიბერემ კარი შემომიღოს,
სიყვარულით ოცნებებთან ვწვები,
შეგიხლიათ კერძად გადამიღოთ.

ბედნიერება

ბედნიერება რაშია ნეტავ???...
ან ვის რა უდევს გულში,
ბედნიერება გულის ძარღვს კეტავს,
მას ნუ გადაცვლით ფულში.
ბედნიერება სიყვარულშია,
გახარებს მასთან ყოფნა,
ყოველ წუთს ფიქრობ , ის შენს გულშია,
გახსენდება და შფოთავ.
თუ ასე ცხოვრობ ცოტაც კი გყოფნის,
კოცნი სიცოცხლის დღეებს,
რა სჯობს ამ გრძნობით ყოფნას და ფოფინს,
რა სჯობს გრძნობების დღეებს.
ასე ცას წვდები სიხარულით და...
არ არის ფულის მონობა,
ყველა დღე არის სიხარული და ..
ბრძენსაც რომ მოეწონება .
ბედნიერება ჩატვირთეთ სულში,
ამას არავის უშლიან,
ბედნიერება არ არის ფულში,
ეს მხოლოდ სიყვარულშია.

ყველა წმინდა სალოცავს

ზედაზენში გადავიწერ პირჯვარს,
არმაზანში აღმომხდება ლოცავა,
ჩემს სამშობლოს შევავედრებ ჯვარს და...
მცხეთაში კი წმინდანებათან გლოცავ.

მცხეთის კარზე მუხლზე დავიჩოქებ,
და ვედრებით მე ავივლი აღმართს,
ეგებ გული ოდნავ მაინც მორჩეს,
აფხაზეთი დამრჩენია დამღათ.

ფეხშიშველი გადავკვეთავ მანძილს
და ჩავიკრავ გულში იმ ჩემს მანცხვარს,
მერე ისევ მივბრუნდები მალვით,
რადგან მიწას ახლა სხვები ფარცხავს.

სამებას კი შევავედრებ ქართველს,
ვეახლები დარდიანი გელათს,
მოწამეთას რომ დავანთებ სანთელს,
გიორგიში გადღიგრძელებთ ყველას.

იქნებ მტრისგან დაგვიფაროს ნინომ,
ჩემს მიწა-წყალს შეესია მტერი,
ღვთისმშობლო ცრემლი არ მადინო,
აფხაზეთში ისევ მტერი მღერის.

ერთიანად დავლოცავდი სამშობლოს და ...
შენდობას კი შევთხოვ ყველა წმინდანს,
ერთმანეთი შეიყვარეთ ქართველებო,
რომ დავიცვათ ეს სამოთხე წმინდა.

ამიტომაც გევედრები ღვთისმშობელო,
სულგრძელო და ყველა კუთხის დედავ,
წართმეული აფხაზეთი მიმწყალობო,
ჩემს თბილ სახლ-კარს თვალით ვეღარ ვხედავ!

გაუმარჯოს

მოდით ხალხო, იმ ქალბატონს გაუმარჯოს,
ვისი გულიც მხოლოდ გრძნობით ფეთქავს,
ვისაც უნდა სიყვსრულით დაიხარჯოს,
დაეცა და მაინც რომ დგას მედგრად.
მოდით ხალხო, იმ ქალბატონს გაუმარჯოს,
ბოროტებას ღიმილით რომ შეხვდა,
კალამი სურს ისევ ხელში მოიმარჯოს,
იყოს თკბილი ბებია და დედა.
მოდით ხალხო, იმ ქალბატონს გაუმარჯოს,
ღაამებს რომ გაათენებს თეთრად,
წვალობს, ცდილობს, სიკეთისთვის დაიხარჯოს,
რადგან არის ის ქართველი დედა.
მოდით ხალხო, იმ ქალბატონს გაუმარჯოს,
სიკეთისთვის რომ დადნება ფერფლად,
ბოლომდე სურს ამ გრძნობებით გაიხარჯოს,
რადგან გული სიკეთისთვის ფეთქავს.
და ბოლოს კი იმ ქალბატონს გაუმარჯოს,
უანგაროდ სიკეთეს რომ გასცემს,
ყველგან უნდა სიყვარულით გაიმარჯოს
თვითონ არ ააქვს, მაინც სხვას რომ აცმევს.

აფხაზეთის მონატრება

თმაშევერცხლილი ლამაზი ქალი,
დარდიან წარსულს ცრემლით გასცქერის,
ღრუბლის ფენაა... ღრიალებს ქარი,
და გაახსენდა ცოდვის ნამქერი.

ნაზი გოგონა, ცისფერ თვალება,
განცვიფრებული ამ კადრს უცქერის,
ეს ყველაფერი არც გაეგონა,
დუმს უგროვდება უტყვი ფიქრები.

ბოლოს მივა და თბილ შალს ბეჭებზე,
წამოაფარებს ბებოს უჩუმრად,
დააჩერდება გაბზნილ ბეჭედზე,
შეეკითხება ბებოს გლეხურად.

კითხვას, – კითხვაზე აყრის ბებიკოს,
მოხუცს უტოკავს სხეულს ძარღვები,
როგორ ნატრობდა ქვა გამხდარიყო,
არ დაუღრნიდა გულმკერდს ძაღლები.

არ იცის როგორ დაიწყოს თხრობა,
გულზე წაივლებს ხელებს მალი-მალ,
იყო ბებიკო ნდობა და ძმობა,
ვერ ამოვედი დარდის ვალიდან.

თხრობა უჭირდა მოხუცს ძალიან,
ჩაიბუტბუტა რაღაც ქვითინით,
ზღვის იქით შვილო შენი სახლია,
ჩემი სიცოცხლის სულის ქვიტკირი.

სადაც ჯერ შვილო, არც კი ყოფილხარ,
ქალი ყვებოდა მთელი განცდებით,
იქ, მამა-პაპა შენი შობილა,
ახლა ცხოვრობენ არაკაცები.

გოგონამ ბებოს თვალში ჩახედა,
ი ცოტა ხნით დარჩნენ როგორც უბრები,
ბებიკო სახლი ისევ დაგხვდება,
შენ არ იდარდო ჩვენ დავბრუნდებით.

მოხუცს თვალები აუციმციმდა,
ეგონა უკვე სახლში დაბრუნდა,
შვილიშვილს უცებ გაუღიმა და ..
ცრემლი თვალებში მწარედ დაბუდნა.

ბოლოს მოხუცმა წარმოსთქვა ლოცვა,
იმედით იძრობს გულიდან ეკალს...
შვილიშვილი კი კოცნა და კოცნა,
რადგან ესმოდა ზარების რეკვა.

მზია ერგემლიძე

უასაკო ვარ

უასაკო ვარ რადგან გული მარად მაქვს ბავშვის,
დიდი ვარ მაგრამ გული ხომ მაქვს ისევ ბავშვური...
ასაკს არც ვითვლი , არც კი ვიცი რამდენის გავხდი..
მხოლოდ მას ვხვდები რომ სიცოცხლეს აქვს დასასრული...

ზოგჯერ არც მჯერავს , ბევრჯერ მინდა არც დავიჯერო,
წლების მერანი თავდაღმართში რომ გადაეშვა,
აღარ მივყვები , მივატოვე მარტო სავალზე,
რადგანაც გულში სიყვარულის აფრა აეშვა...

და როცა გიყვარს , მაშინ წლებსაც მნიშვნელობა აქვს?
გინდაც დაბერდე ..გული მაინც ფეთქავს ბავშვურად,
სული ხალისის , ციცქნა ქალის სავანეს მოჰგავს..
როდესაც ტრფობა მოგეხვევა ტანზე ალმურად..

და ამის შემდეგ ..არ მიხსენოს ვინმემ სიბერე,
არც კი გაბედოს შემეკითხოს ვინმემ ასაკი,
შემოდი წლებო! სიყვარულო , გულში იბევრე..
ამ ცხოვრებაში არა დამრჩა მე დასაკარგი.

ან რა აზრი აქვს თავისთავად წლების დინებას,
როცა შენს გულში გაზაფხულის სხივი ხალისობს,
უასაკო.ვარ , სიყვარულით სავსე მაქვს გული..
და ეს ცხოვრება მოდით ერთად გავიხალისოთ

შემოდგომის ღამეს ვათევ ,
ვაკვირდები ხეებს,
ციდან ვკრიფე ვარსკვლავები ,
დავაბნიე ველზე,
შენს ციმციმა თვალებს ვეძებ ,
შენს უნაზეს ტოტებს,
მთელი ღამე მიხუტებდი ,
მერე მიმატოვე..

განთიადზე გაშლილ მკლავებს
ავაწვდენდი მზეზე..
მარგალიტებს შევაგროვებ
შემოვიხვევ ყელზე,
კვლავ ვარსკვლავებს მოვიშველებ,
დავიბნევდი მკერდზე..
სულ სხივივით ვიციალებ ,
შემოდგომის მზეზე.

* * *

ავფრინდები ფოთოლივით ,
ვიფრიალებ ქარში,
გულში ჩაგეხუტებოდი
წაგყვებოდი სახლში.
ოქროს კაბას შევიკერავ,
შემოდგომის ფერებს,
ყველა ფოთლებს ჩემი შურდეს,
შურდეს ჭადრის ხეებს..

დიდ სუფრასაც გაგიშლიდი ,
მე ძეწნების ჩრდილში,
ალბათ შენთვის ვუფერებდი
და ბავშვივით ვზრდიდით..
სუფრის თავში შენ დაგსვამდი,
თავს დაგადგამ გვირგვინს,
მაგრამ ისე მიმატოვე
დაჯერებაც მიჭირს.

ეხლა ქუჩას მივაშურებ ,
გულს გადვუშლი ტირიფს,
ისიც ჩემებრ მოწყენილი ,
ალბათ ხშირად ტირის..
ეხ ტირიფო გეხვეწები
ნუ ხარ მოწყენილი,
მერამდენე შემოდგომას
შენ უჩემოდ ხვდები..

არ იდარდო სულ. მახსოვხარ ,
შენი ტრფობით ვტკბები,
ჩემს ბავშვობას და ლამაზ
წლებს თქვენთან ვეფერები,
დავბრუნდები გინახულებ ,
ჩამოვჯდები ჩრდილში...
ოღონდ უკვე ბავშვი არ ვარ ...
გავიზარდე დიდი.

* * *

ოქტომბრის დილამ შემომაცვა ფოთლების კაბა,
სულ ოქროსფერად მომიქარგა მკერზე საკინძე,
ოღონდაც ამას გთხოვ ყველას არგო ეს სილამაზე,
რაც გინდა მთხოვო, შევეცდები თავზე დაგიდგე..

ააფრიალე სიყვარულით ფოთოლთა გუნდი,
შემოახვიე სიყვარული ყველას ხალისით,
თუ რიგი დადგეს ჩემზე კარგო აღარ იფიქრო,
სხვებს დაურიგე , მე კი იცი მაინც დაგიცდი.

და მერე დილით ,რომ გამოვალ ქუჩებს დავივლი,
მინდა მხვდებოდეს ყველას სახე გაღიმებული,
მეც მათთან ერთად მოვიშორებ ფიქრებს დაღლილი..
ოღინდ მანახვე ვინც მე მიყვარს გახარებული..

და თუ მე რიგმა ვერ ჩამაცვა ფოთლების ფარჩა,
შენ არ გეწყინოს წინა წლების ფოთლებს დავკემსავ,
სხვა არა მინდა, თან დამყვება ბედნიერება
მეც გაგიღიმებ თვალში როცა სხივი ჩამხედავს.

ქარებს გავყვები გული როცა სავსეა რწმენით,
როცა ოქტომბრის მზის სხივები ყველგან ნავარდობს,
როცა განთიადს სიყვარულით გულსავსე ხვდები,
მაშინ ფიქრებიც არაფერზე ხომ აღარ დარდობს.

მეც ხომ იგივეს გევედრები ოქტომბრის დილავ,
თან არ წაიღო სიყვარული , მუდამ არიგე,
გაანაწილე ყველას არგე ბედნიერება,
თუ არ შემხვდება არც იფიქრო ისევ ავტირდე..

მე ჩემი წილი ისევ ისე გულში დამყვება,
ბედნიერი ვარ როცა ყველა ცხოვრებით ლაღობს..
შენ კი არიგე უსასრულოდ სიცოცხლის სხივი..
რომ უბედური ქვეყანაზე არავინ ვნახო.

სასიყვარულო ოქტომბერი

ამოვირჩიე ოქტომბერი სასიყვარულოდ,...
ბილიკს მივყვები.. ვფიქრობ უკან არ დამაბრუნებს,
ოქროსფერები თუ ერევა სასიხარულოდ,
ასე მგონია სიყვარულით კვლავ გამაბრუებს..

ოცნებით სავსე დავიკარგე ფოთოლთ ცვენაში,
შემომეხვია ათასფერი ფოთოლთა ჯარი,
ფოთლის ფერები დავინახე გამოხედვაში ...
შემოვიშველე შემოდგომის თავნება ქარი...

ჩავიკარგები უსასრულო ფერების დროში,
შემოვიხვევდი ფოთოლთ ცვენის მთელ სიმარტოვეს,
თუ ოქროსფერმა გამახვია ოცნების ბრბოში,
მხოლოდ ამას გთხოვ; შემოდგომით ნუ მიმატოვებ.

ყველაზე ლამაზ, ყველაზე ნაზ-– დროის ხიბლში ვარ,
ვესათუთები ულამაზეს ფოთოლთა ცვენას,
გული ღიღინებს, სული ხარობს,გრძნობა ხალისობს,
დედას ფიცავარ აღარ მინდა მარტო დარჩენა.

"ჩვენი დარბაზი"

თითქოს ჰაერიც გაიმსჭვალა უცხო გრძნობებით,
სუყველგან ეხლა სიყვარულის სურნელი მეფობს,
ეს შემოდგომა გაზაფხულზე ლაღი გამხდარა.
სიყვარულს ითხოვს და ნაზ ფოთლებს ფორიაქს შეთხოვს...

ნუთუ სურნელმა მოაფრქვია ირგვლივ გრძნობები..
მძინარა კვირტებს მოანდომა სიცოცხლე ურჩი ,
ნუთუ კვირტებშიც გაიღვიძა ძველ სიყვარულმა,
გადაავიწყა ზამთრის მოსვლის, სიცივის მწუხრი....

ვხედავ ბროწეულს დახეთქვია ურცხვად ტუჩები,
როგორ უტიფრად დაეკონა შემოდგომის მზე,
სულ სიყვარულით ავსებულა , ბანი ქუჩები,..
ეხლა გავიგე, -– როგორ იშვა ცაზე ტრფობის მზე..

რაღა ვუშველო დაგორებულ მიწაზე კვახებს,
რომ ასე ურცხვად დაწოლილნი უცდიან სატრფოს,
სულ არ უფრთხიან არც წვიმას და ზუზუნა ქრებს,
რა არის დარდი როცა გული სიყვარულს ნატრობს.

როცა კვირტები დაიბერა ისევ ტოტებზე,
და ბაღჩაშიაც გადამსკდარა ტრფობით ნესვები,
რა არ მიყვარდეს , ამ სიყვარულს ვერვინ გამიქრობს,
როცა ქუჩაში მეფერება ტრფობით ვერხვებიც.

ვეღარ გავიგე ამირია ამ მზემ ფიქრები,
შემოდგომისას დაღვინება იცოდა გრძნობამ,
ფოთოლთა ცვენამ მომახვია ტრფობა ისლების,
სიცოცხლე მინდა, აღარ მინდა დარდებთან ყოფნა...

თუ შემოდგომამ სიყვარულის მოქსოვა ბადე,
თუკი ბადაგმაც დამათრო და გრძნობა არია,
თუ ბროწეულსაც დაუკოცნა მზემ ტუჩი ვნებით,
თუ შემიყვარდა.... შემოდგომავ შენი ბრალია..

ნინა გაჩეჩილაძე

გამეჯიბრე სიყვარულში

სისპეტაკე, სათნოება, გრძნობა წმინდა,
ჩამიკრავს და ჩამინასკვავს მტკიცედ გულში...
ჩემთან ბრძოლა თუ გწყურია, თუკი გინდა,
აბა, მოდი– გამეჯიბრე სიყვარულში.
შრომით, გარჯით გადაღლილი, ბედნიერი-
სიხარულით ვყრიდი მაინც მარცვალს ხნულში,
ვიცი კარგად– ვისთვის ვსუნთქავ, ვისთვის ვცოცხლობ,
მოდი...მოდი... გამეჯიბრე სიყვარულში.
მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა გრძნობა მიდევს სულში,
ცივ მჭადს კარგო არასოდეს გავცვლი პურში!
სინდის-ნამუსს არასოდეს ვყიდი ფულში!
ჰოდა, მოდი– გამეჯიბრე სიყვარულში.

აკვანი

ბებერ ტაოში...შემონახული
რწმენა, გენი და ჩვენი ან-ბანი...
ქართული ენა, სევდა მამულის,
ქართული სული და ხის აკვანი.
გადარწეული– სევდით, ტკივილით,
ქართულ ფესვებად რომ გაირიყა,
ჯვარცმული ქრისტე და ქრისტეს ჯვარი
ხალხმა არასგზით არ დაივიწყა!
ჩვენი ნაჭერი გვტკივა, გვაწუხებს,
ფრთათერ მტრედს გულით მოაქვს ამბავი...
ვერაფრით ვიხსნით გულზე მარწუხებს,
ტაოს ირწევა ქართველთ აკვანი.

ჩემი ბავშვობა გქვიათ

საით გაფრენილხართ,
საით ჩაკარგულხართ წლებო?
ხომ არ დამიბერდით
კოხტად შეფენილო მთებო!
ხომ არ დამეკარგე
ვიწრო ბილიკო და გზაო?
ხომ ისევ მანდ ხარ
ჩემი ტკბილი დედის ხმაო!
ჩემო მწვანე მდელოვ,
ხომ არ მოგდებია ხვია,
თქვენ ჩემი წარსული
და ჩემი ბავშვობა გქვიათ.
ჩემო ცივო წყაროვ-
წმინდა ნაკადულო მთისა,
დედამიწის გულო,
ცვარო– მოკამკამე ცისა!...
წაბლის ხეებო და
ზეცად აზიდულო თხმელავ,
თხილის ბუჩქებო და...
კაკლის– შემოდგომის სეტყვავ!
ჩემო ადესავ და...
ჭურო ავსებულო ღვინით,
ხომ არ დაფარულხარ
ეკალ-ბარდითა და გვიმრით!
სახნავ-სათესო და
ბაღჩა, ბაღ-ბოსტანის მადლო,
სინდის ნამუსო და
გულში ჩაწოლილო შხამო!
საით გაფრენილხართ...
საით ჩაკარგულხართ წლებო?!
ხომ არ დამიბერდით
თოვლით დაფარული მთებო!

დაგიწერ

დაგიწერ...
მრავალ ლექსს დაგიწერ!...
ლექსს სატრფიალოს და სანავარდოს,
ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე და ძალა
სიკვდილმაც ვერ შეძლოს, ვერ გაყაროს.

დაგიწერ...
შეგამკობ ლამაზი სიტყვებით-
შენებურს, ონავარს, მუდამ ახალგაზრდას...
კვლავ ძველი გრძნობებით, ოცნების ფერებით
და ჩუმი ლოცვებით გინათებ გზა-სავალს.

დაგიწერ...
ბაგეზე ბედნიერ ღიმილებს დაგაფენ,
შენი სუფთა სულის მიჯნურს და მეხოტბეს,
გამომყევ ბოლომდე!... ბოლომდე გამომყევ!...
რომ შენი ხელები და სუნთქვა მათბობდეს.

შენი სიყვარული მითქვია

შენამდე მთვარის შუქს მოვყავარ,
ვარსკვლავნი ლამპებად კიდია,
შენ, ჩემი მუდმივი ლოცვა ხარ,
ჩვენს შორის კი მტკიცე ხიდია.
უშენოდ არ მიღირს სიცოცხლე,
უშენოდ ჩემს გზაზე ბინდია,
აქამდეც სულ შენით ვიცოცხლე,
შენი სიყვარული მითქვია.
მინდა რომ გვათოვოს სიბერემ,
წლების მოგვახვიოს ფიფქები,
გვახაროს მომავლის სიბევრემ,
კვლავ გვკლავდეს ერთურთის ფიქრები.
ღიმილი გიკრთოდეს სახეზე,
შენდამი მოძღვნილი ლექსებით,
თვალებზე ჩუმ ცრემლებს იწმენდდე
ბავშვურად მთრთოლვარე ხელებით.

უსაბელო ცხენები

თავგანწირვით მიქრიან
უსაბელი ცხენები,
წელში იდრიკებიან
ნაზი, ნორჩი ვერხვები.
რატომ? რისთვის? ამ გზნებით?!...
ვერ ვწვდები და ვერ ვხვდები...
ნაფლეთებად იმსხვრევა
ორღობეში კენჭები.
გულში ჯაჭვი იკვრება
სისხლისფერი ეჭვების-
ვახ, თუ სადმე მზაკვრობით
დაგებული ხაფანგით
დრო წამებში გაჩერდა
ბედის ერთი ღალატით.
ჩამოგორდა ცრემლები
თეთრ სახეზე წანწკარით,
საით მიქრით ცხენებო
ცხრა ძალით და ცხრა ქარით.
გიფრიალებთ ამაყად
ყორნისფერი ფაფარი,
თან ნიავი მოგყვებათ,
ამყოლი და ამქარი.
იკარგება გზის ბოლო,
დასარული არ არის,
სწრაფვა მარადიული!...
სულში ცივი სევდა ქრის,
უსაბელო ცხენები
არ იდგამენ უნაგირს.
თქარა-თქურში ჩამდგარა
მტვერის კორიანტელი,
სექტემბერს დასდებია
სხვა თალხი და სხვა ფერი.
ტანზე ოფლის წვეთები
ცვარ-ნამივით ბრწყინავენ,
სისხლმდინარე ჭრილობას
კემსავენ და კინძავენ.
იწურება დაისი,
მზე ჩადის და ბინდდება...
ჰორიზონტი ცხენების
ნაკვალევით წითლდება.

სიყვარულის გარდა

ხვეული თმა ჩამოშლილი ქარში,
გამჭოლი და მრავლისმთქმელი მზერა,
გულის კრთომა ჯერ სრულიად ბავშვის...
იქ, ბედის წიგნს წერდა ბედისწერა.
უეცარი შეხვედრები გზებზე,
უეცარი გამხელილი გრძნობა,
ღიმილები შემოდგომის გზებზე,
გულწრფელი და გულმართალი ტრფობა.
დღეს გოგონას ყველგან– სულ თან დასდევს
შემოდგომის ყვავილების ფერი,
მის ლექსებსაც როგორც შემოდგომას
სიყვარულის გაშლილი აქვთ ველი.
ველზე ხარობს მინდვრის ყვავილები,
თეთრ გვირილას აუვსია კალთა,
გოგონა წლებს გვირილებად ითვლის...
არც რას ითხოვს სიყვარულის გარდა.

მამაო გაბრიელ

მამაო გაბრიელ, დიდება შენს სახელს,
შენს ფაქიზ, წმინდა სულს– სამოთხის სავანე,
დრო ყოველს ამ ქვეყნად ნათელ შუქს მოაფენს...
სუყველა აღსრულდა რაც თქვი და რაც ბრძანე.
გვიწყალე და გზებზე გვიბოძე სინათლე,
გვაშორე ბოროტის მზაკვრული ფანდები,
გვამკობდეს თითეულს ჩვენ-ჩვენი სიმართლე,
გვაშორე ტკივილით ნაწვევი დარდები.
შენ, ბერო სალოსო, გრძნეული ხელებით
კვლავ კურნავ, წყალობას ძღვნი ადამიანებს,
თუმც ბევრი გაწამეთ...გგვემეთ და გათრიეთ...
ჩვენი უძლურება კვლავ გადარდიანებს.
მამაო გაბრიელ, დიდება შენს სახელს,
დიდება შენს ნაღვაწს, შენს სულის კელიას,
ქართველი--რომელიც გინთებდეს ერთ სანთელს,
მადლი გარდმოსახე ოჯახს და კერიას.

მარად დიდება

მოწმენდილ ცაზე დაეშვა სხივი
და დაივანა საჩინოს ჭყვიშში,
იშვა მგოსანი– მგოსანთა შორის
ერთ თმაქოჩორა პატარა ბიჭში.
მუზის თანხლებით, იისფერ თოვით,
ღამეთა ტეხვით, პოეტის სევდით,
ხან მქუხარებით, ხან სულის თრთოლვით!...
მუდამ ყმაწვილში და ერთადერთში.
ვინ შემოგბედავს სიტყვას უკრძალველს,
უსიყვარულოს, მარტივს და იოლს...
მგოსანთა მეფეს და კვერთხის მპყრობელს
-მარად დიდება დიდ გალაკტიონს!

ქართველი ქალი

ისევ და ისევ ვებრძვი სიბნელეს,
ისევ გავტეხე ღამე წყეული...
სიმწრით სიმღერა მაინც ვიმღერე,
დავაფრთხე ღამის მაყარ-წვეული.
ვერ მომერევი, ვერ დამამარცხებ,
განა, ჯაბანი ვინმე გგონივარ?!
მე, საქართველო მმოძღვრავს, მავალებს,
დიდი წარსულის მქონე მოვდივარ.
წმინდა ქეთევანს შანთებით წვავდნენ,
მკერდი მოგლიჯეს, დაჭრეს ლუკმებად...
მისი ცრემლები წვიმის წვეთს გავდნენ,
ქართლმა აგროვა ყველა უკლებლად.
წმინდა შუშანიკს მიწურ სენაკში
ლოცვა-მარხვაში აღმოხდა სული
და ერს დაენთო სანთლად რწმენაში
მისი სიტყვები, ბაგიდან თქმული.
რამდენი ქალი ტყვედ წარხოცილი-
სამშობლოს ნატვრით შეერთვნენ მიწას,
ღამევ, ბოროტთან რომ ყარო წილი,
გარდაამეტებ გგონია იმ წამს?...
ეგ, არაფერი...ღამე გატყდება
და იმზიანებს მზიანი დარი,
ჩემი სამშობლო საქართველოა!
უძლეველია ქართველი ქალი!

ლია ალადაშვილი

ფოთოლცვენა

როცა ქარია ძლიერ აშარი,
მაშინ ფოთლები ძირს ეცემიან,
უნდა ვეცადო სანამ დრო არის,
თორემ ჩემს სიკდილს შეეცდებიან.
გამახსენდება ჩემი ბავშობა,
თაფლივით ტკბილი მუდამ რომ არის,
უნდა ვეცადო მეც რომ ვიშრომო,
დავრჩე მომავლის მოსაგონარი!

ციდან

ციდან ზარების ხმა ისმის,
უფლის ნება ასრულდება,
სულ პატარა ნაპერწკალით,
დარდის ფიქრი დასრულდება.
ლოცვითა და სინანულით,
უფლის კარი გაიღება,
ისევ თბილი სიყვარულით,
გული აღარ გადიღლება.
სიავე და სიბოროტე,
ჯოჯოხეთის გზის კვალია,
ვინც ავობს, და დაბოროტებს,
მე იმათთვის არ მცალია.

სულის მშვენება

გარეგნობა ფერს შეიცვლის წლების მერე,
მშვენიერ სულს ფერი არ უხუნდება,
გავა წლები ვიფარფატებ პეპელივით,
და ტკივილებს კვლავ მესვრიან გუნდებად.
ცაზე მსხდომი ვარსკვლავები მიმანიშნებს,
სული არის მნათობივით ციმციმა,
მოვილოცო სანამ დროა უფლისათვის,
მან მოიგო, ვინაც ბოლოს იცინა.

დაბრუნდი

დაბრუნდი ხევი მოგელის,
ნუ დაივიწყებ შენს მხარეს,
არასდროს არის გვიანი,
თუ შემოაღებ მთის კარებს.

ერთი ქართული სიმღერა,
მთას შესძრავს აახმიანებს,
გაგებუტები იცოდე
თუ მოსვლას დააგვიანებ.

ჩვენი სამშობლო

ჩვენი სამშობლოს მთაბარი,
სამოთხის ბაღი მგონია,
სულის სიმდირე აქ არის,
ყველგან იების მოლია.
აქ ხორნაბუჯის ციხეც დგას,
ქვებით ნაშენი მაგარი,
რაც შემიძლია ვპატრონობ,
ჩემთვის სამოთხე აქ არი.
იდუმალებით მოსილა,
დღევანდელობა, წარსულიც,
ვლოცულობ, დღის და ღამითაც,
თვალი არ ეცეს ავსულის.
ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით,
ბევრჯერ გქონია წყალობა,
მეც რომ ქართველად დამბადა
და ლექსით დამაწყალობა.

წვიმა

წვიმა ჩვენს ბილიკს უშლის ნაკვალებს,
ქარიც ბობოქრობს ურჩი,
იმ ადამიანს ვეღარ ვენდობი,
ვინც დანა ჩამცა ზურგში.
ბევრჯერ ვეცემი
მტკივა და ვტირი,
ფიქრი გამიხდა ამაო,
ო, როგორ მინდა
სულ ერთხელ მაინც,
რომ მქონდეს ტკბილი საღამო.

აფხაზეთო

მე ვუგალობ აფხაზეთს,
ცრემლებიან ნარინჯებს,
როგორ უნდა ვითმინო,
მიწას სხვა დააბიჯებს.
ბევრჯერ ცრემლი მდენია,
ბევრჯერ გულში ამცრეს,
აფხაზეთი ჩემია,
ხელი არვის წაგცდეთ.
მუხთალია ცხოვრება,
ბატონია ბედი,
თვალზე ცრემლი მგორდება,
არ ღუღუნობს მტრედი.
მე ვუგალობ აფხაზეთს,
ცრემლებიან ნარინჯებს,
როგორ უნდა ვითმინო,
მიწას სხვა დააბიჯებს.

ლამაზი სამყარო

დიდება უფალს, მადლობა უფალს,
ვიხილე ლამაზი სამყარო,
ყველანი ერთად, გულები სუფთა,
დარდები იქნებ გავყაროთ.

უფლის შვილები

სტუმარი ვართ სამყაროსი,
შვილები ვართ ყველა უფლის,
დრო კი არის ბარბაროსი,
არ იხვნება მიწა გუთნით.
წვიმად მოდის სიხარული,
და მეც ვტირი, მოვთქვამ ხშირად
შევებრძოლე, შემებრძოლა
წვიმამ უფრო მოუხშირა.
ცას ღრუბლები მოფენილა,
სადღაც ისმის გლოვის ხმები,
გონაშვილის სიმღერები,
ცის სივრცეში აფრენილა.
ზოგი მიდის, ზოგი მოდის,
შეიცვლება კვლავ ფერები,
თუმცა ცრემლი ხშირად მომდის,
მაინც არვის ვემტერები!

უეკლოდ

ვარდებს უეკლოდ ვერავინ დაკრიფავს,
ეს ადრეც ბევრჯერ სხვებსაც უთქვიათ,
ლექს ვწერ ფაქიზს და სულით ნატიფარს,
რადგან ვარდები გრძნობის შუქია.
ზოგჯერ ეკლები მთელ სხეულს მოჰკვეთს,
გულის ყვავილი სხვისკენ იხრება,
ტირილი ეკლით მეც ბევრჯერ შემხვდა,
გამომადინა ნაკაწრმა სისხლი.
გაქრა იმედი და ბოლს მივხვდი,
რომ ჩემი ვარდი, გამხდარა სხვისი,
მინდვრის ყვავილი გაზრდილა ველად,
მაგრამ იმედი აღარ მაქვს მისი.
სუფთა გულით და უფლის წყალობით,
გზა გავგრძელე უკვალავ თოვლში,
თუმცა დარდი მაქვს და ბევრჯერ ვღელავ,
მაინც ვამაყობ ჩემი ქალობით!

გაზაფხული

გაზაფხული გულს მიხარებს,
მიყვარს ტყეთა სიმწვანე,
ღმერთი მიყვარს უფრო მეტად,
უფლის უფრო ვიწამე.
მზის ამოსვლას ველოდები,
ყოველ დილა-ცისმარე,
დარდი უკვე რაც კი შემხვდა,
ღმერთი ამას მიკმარებს.

მიყვარს მერცხლის ჭიკჭიკი და...
გულში ზიხარ მთა-ბარო,
არასოდეს გიღალატებ,
დარდი უნდა მაკმარო.
ღმერთო მომეც ლოცვის ძალა,
ამცდეს ღრუბლის ფარაო,
არ დატბოროს წვიმამ რეშით
ჩემი პურის ყანაო.

ჯუთა

ვიხილე მაღალი მთები,
ნისლი რომ ეხურათ თავზე,
შენს თავს მაგონებდა კარგო,
თითქოს შეგიცან ხმაზე.
მამერეოდა ტირილი
ხელს ვიფარებდი თვალზე,
მთის ზღაპრულ – ,კუთხე ჯუთაო,
მეც მღერი შენსა ხმაზე.
ქალი ვარ მთაში გაზრდილი,
არვის ვადგივარ კარზე,
მე ვარ მთის შვილი ნამდვილი,
ფრთებსა ვშლი იალაღზე.

ერთიან საქართველოსთვის

ჩემო სამშობლოვ ლამაზო,
ბარაქიანო მიწავ,
ყველა ქვეყანას სჯობიხარ,
მართლაც ყველაფერს ვფიცავ.
თოვლიან-ყინულოვანო,
შენი ცა უნდა მეხუროს,
დღედაღამ მინდა გიყურო,
გრძნობებით გადაგეპკურო.
ერთიან საქართველოსთვის,
ლუკმით ყველა მსურს ვარჩინო,
უნდა ვიბრძოლო სამშობლოვ
ეგება გადაგარჩინო!

სიწმინდევ

ფიქრები ცისკენ მზირალი,
ვარსკვლავებს უნდა ვასტუმრო,
ეგებ გიპოვნო სიწმინდევ,
ფიქრო, ნაღდო და ნატურო.
ცის კაბადონზე მნათობთან,
ვეძებო იალაღები,
დაბლა სულ მაწვიმ, მათოვს და...
ყინულო, როდის დალღვები.
გავიქეც, გამომეკიდე,
ნუ მომდევ მაინც გაჯობებ,
მაინც მივაღწევ ჩემს მიზანს,
თუმცა შენც ბევრჯერ გამჯოხე.
ოცნება ცისკენ მზირალი,
გულის სიმშვიდეს ნატრობდა,
იქ ვნახე უცხო მირაჟი,
ცაში არავის ათოვდა!

მზე და ვარდები

წყურვილს მიკლავენ მზე და ვარდები,
სულის ნათება არის იები,
კვალში მომსდევენ მაინც დარდები,
მაგრამ მამხნევებს ხვალის იმედი.
რა საოცარი არის ცხოვრება,
ვარდებს ნამიანს როცა ეხები,
როცა სურნელი ისევ გშორდება,
ეკლიან გზაზე ისევ ფერხდები.
ერთი სიცოცხლე აღარ მეყოფა,
დრო მიდის, საით წავიდე ნეტავ,
ჩემს კვალს სიკეთე თუკი ეტყობა,
აღარ ვიდარდებ ამაზე მეტად.

მამულს

იყო სითბო და მშვიდობა ყველგან,
ღირდა სიცოცხლე და მიხაროდა,
მაგრამ მოვიდა წვიმები გულში,
იები ნამსაც აღარ კარობდა.
ო, როგორ მინდა მღეროდე ლალეს,
ბულბულის ხმაზე ერს უგალობდე,
მე ახლა თვალებს ცრემლებში ვავლებ,
არადა მინდა ღმერთი მწყალობდეს!

* * *

სამშობლოსათვის მებრძოლსა,
სწყალობდეს უფლის ძალია,
წელს ერტყას, ქამარ-ხანჯალი,
მჭრელი ალმასის დარია,
მომხვდურს მტერს, მტრულად დაუხვდეს,
თავს დაატეხოს ბანია,
სიკვდილს, თვალებში ჩახედოს,
არ შეირცხვინოს თავია,
აი, ნაშინ კი დალოცავს,
წმინდა გიორგის ძალია!
ფიქრები მონატრებამ დამღალა,
სულ ფიქრებად ვიქეცი,
ცრემლებს ბევრჯერ დავმალავ,
დარდად გადავიქეცი.
ქარის ქროლას ყურს მიუგდებ,
სამშობლოდან მოფრენილს,
ჩუმად ყურში უჩურჩულებ,
მე უშენოდ მოვკვდები.
ზამთარს ფიქრით გავაცილებთ,
ფიქრი ცხენს გავს დარახტულს
ვნახავთ ერთად საქართველოს
რომ გავს მხატვარის დახატულს.

სულიკო ჯამალაშვილი

* * *

კვლავ შენი ლანდი და
უგზოობა
სიზმრების ნუსხა
ორომტრიალი
გათენებაა ერთურთს
უხმობდა
მამრის ყვნოსა და მდედრის
კრიახი,
სთქვი გატაცებაც
არახალია
ვით დამღა დამაქვს შენი
სურნელი
ესეც რიგითი
სიყვარულია
თუ კვლავ სენი მჭირს
უკურნებელი.

* * *

ქვეყნის გარდა ქვეყნის
მიღმა გვაბარია არარა
ვერ გავიგე რად მთავაზობ
არჩევანზე არადანს
სამშობლოა მისახედი გეაჯები არადა
ცა ქუდად არ მიგაჩნია
დედამიწა ქალამნად.

* * *

დასალიერს ზოგჯერ მითი
და ცდუნება გვაშორებს
წუთისოფლის სტუმარი ვარ
წლებმა წლებმა დამტორეს

როგორც ჟამმა დრომაც ტოვა
წარუშლელი კვალი და
ფრესკებიდან სისხლი ჟონავს
ვით ერეკლეს ტანიდან

დაჭრილ ირმის ჯოგი მოსჩანს
სადღაც ახლოს დაყრილი
ბეწვის ხიდად ვეღარ ცალობს
საუკუნის გზაწვრილი

ესეც ძველი პეიზაჟი
წელთაღრიცხვით ახალი
შენ ხარ ჩემი საქართველო
მე ვარ შენი წაწალი

ალავერდი გადმოვედი
ერთად შევსვათ მოდი და
ხანაც დოღმა გამიტაცა
ხან ხარების კორიდამ

ბოლოს მუზამ ხელი მტაცა
შენი საქმე იცოდე
სანამ წრიდან გახვიდოდე
ცეცხლში უნდა იწვოდე

შენ გართობის ნება არ გაქვს
ჯაჭვითა ხარ დაბმული
შენ გოლგოთა აირჩიე
და სიცოცხლე ჯვარცმული

დროებითი გატაცება
ვერ გახდება ჰობი და
მოდი მოდი სისხამ დილით
მიხმობს მდელო კორდი და
დედის პურის სურნელება
მომინდა.

* * *

თაროზე შემოვდებ
ოცნების ბილიკებს
უჩვენო დღეების
ზღურბლზე
რომ კისკისებს
ვაგროვე სარჩენად
სიგარის ღერები
გითხარი მიყვარხარ
გოლგოთას შევები
ვინატრე შორი ცა
ვარსკვლავთა ციალი
ცალმხრივი ვნებები
ჯვარცმაა ტიალი
ჩამიარ უსიტყვოდ
მოკითხვა სალამი
ერთჯერად სიტყვებზე
ვაშიე კალამი
ჟამმა დროს უბოძა
გოლგოთა ნაჯვარი
თუ გინდა ჯვარს ეცვი
საშველი არარის
ოდესღაც ვიმრუშე
გავიდა რა ხანი
ხან მიწა მიტაცებს
ხან ზეცის თავანი
ლაღობდა ცრუ მრევლი
ღალატის თავი და
იღვრება გალობა
იესოს ტანიდან
გაჯიქდა ჟამთასვლა
დავუთმე ეთერი
ბიძგები მიწისძვრა
ზვავი და მეწყერი
თაროზე შემოვდებ
ოცნების ბილიკებს
უჩვენო დღეების
ზღურბლზე რომ კისკისებს

* * *

მთვარის უკუქცევა
მუზის ჰარმონია
ჩემი სიამაყე
ლექსის აგონია

რითმა მომენატრა
რითმა ძველის-ძველი
ხვადის დაწინდული
ძუის ანარეკლი

ზურგის მოშიშვლება
დღენი უკაცური
უსაზღვრობის განცდა
განაღმული შური

სტრიქონს შევალიე
რითმა გასახედნი
მამლის ყივილამდი
შენახული ბრენდი

ჟამის შერაცხული
წლები მიმოდიან
დილის პეიზაჟი
ღამის პაროდია

უსაზღვროა კვეთა
მამრისა და მდედრის
თუ სიმღერა გწყალობთ
მომაკვდავი გედის

* * *

წამიერია სიცოცხლე
არ მინდა ისიც ყალბი და
თუ მამულს როსმე ვუგანო
თვალნი მიწითაც დავსილან

ვეღარ ვუწიე იალაღს
შემომაღამდა ხარირემს
ახლა იმ რითმებს მოვუხმე
წლობით ჩემგან რომ გავხიზნე

თუ რუსთველს შეეჭიდები
გზა ხსნილი გქონდეს ძამია
თუ ვერ ივარგე მგოსნადა
იყავ კაი ყმის დარია

ცამ ბრილიანტი აისხა
მთვარე ალხაჯზე დაბრუნდა
ზღვარს უსაზღვრობა დაეძებს
მგოსანს საზღვარი რად უნდა

ნაოჭი დაჩნდა რამდენი
სიბერემ ხელი დამრია
ძველ მივალ ახალს გზას გითმობ
გელი უსიტყვოდ ხანია

ცამ ბრილიანტი აისხა
მთვარე ბინაზე დაბრუნდა
ზღვარს უსაზღვრობა დაეძებს
მგოსანს საზღვარი რად უნდა

* * *

სამრეკლოსი დუმილი მკლავს
ცრუ მრევლისა პიარი
გოლგოთის გზებს მივუყვები
სამოთხისკენ მზირალი

ჩემი ჰობი ჰობად რჩება
შეუვალი ჩქერები
წამიერი გაელვება
სევდიანი ლექსები

მირაჟი ვარ თვალწარმტაცი
გარუჯული ხელები
ნაკადულის სიანკარე
ჩანჩქერების კერები

მოდი ერთად მოვიხილოთ
ვარსკვლავების ციალი
იქნებ წყაროდ ამოვხეთქოთ
უდაბნოში ტიალი

სიტყვა გრდლემზე გამოვჭედე
ვარსკვლავს ვუძღვენ ნოხები
ტრამალს დამღა დავამჩნიე
ჩემი მერნის ფლოქვებით

მოდი ერთად მოვიხილოთ
ვარსკვლავების ციალი
იქნებწყაროდ ამოვხეთქოთ
უდაბნოში ტიალი

ნანა ჩარკვიანი

გრძნობით ვარ სავსე

თავზე დამყურებს გაბრწყინებული
გასაოცარი და სავსე მთვარე,
მეც შენზე ფიქრში ჩაძინებული
მკრთალი ღიმილი მიმშვენებს სახეს.

სულგანაბული,ქარის შრიალზე
ლანდებთან ცეკვავს სექტემბრის ღამე.
დავბორიალობ მე შენს სიზმრებში
ჩუმად გიკოცნი სევდიან თვალებს.

ქარი კი უსტვენს,უცნობ სონეტას
თავგამეტებით აცეკვებს გამებს,
სადღაც პატარა გაჩნდება ჩვილი
სადღაც სიცოცხლეს უთვლიან წამებს.

დავბოდიალობ მე შენს სიზმრებში
ჩუმად გიკოცნი სევდიან თვალებს.
მე შენზე ფიქრში ჩამძინებია
თავზე კი მადგას ფერმკრთალი ღამე

ნეტავ შენ რას გრძნობ, ჩემი ამბორი
სიზმარში მაინც იგრძენი რამე?!
მთვარე სარკმლიდან მეალერსება
და მეც მასავით, გრძნობით ვარ სავსე.

* * *

წლებს ვერსაით გაექცევი,
ვერსად დაემალები,
მესამოცე შემოდგომამ
შემომიღო კარები.
სიხარულიც ბევრი ვნახე,
სულში ნაიარევიც.
ფეხზე მაინც წამოვდექი
და მხნედ დავიარები.
გული ისევ ბავშვური მაქვს,
მიციმციმებს თვალები.
ჩემს განვლილ წლებს
ამშვენებენ
სუფთა ნატერფალები.
წლები?! მხოლოდ ციფრებია
არ ვბერდებით ქალები.
არც სიბერე არ მაშინებს
არც ღაწვებზე ღარები,
ჯერ ისევე გაშლილია
ჩემი იალქანები.
რომც მიპოვოს რას დამაკლებს
ლექსებს შევეფარები.
იქ,მე ჩემი სამყარო მაქვს,
ზღაპრის შესადარები.
საყვარელი მკითხველი და
უღალატო ფანები.
პოეტები არ ვბერდებით
ვრჩებით დიდი ბავშვები.
მესამოცე შემოდგომამ
შემომიღო კარები.
ხელგაშლილი უნდა შევხვდე
ხომ არ დავემალები.

შეხვედრა გაჩერებაზე

(ნამდვილი ამბავი)

(გაზიარება ნებადართულია)

გაჩერებაზე ქალი იდგა
კდემამოსილი,
ულამაზესი ,სისადავით
ტანთშემოსილი.
იქვე ბოლთას სცემს კაცი
ოდნავ,მხრებში მოხრილი.
უცხო თვალს იგი ეგონება
ვინმე მოცლილი.
კაცს მოგონებამ განუახლა
ჭრილობა ძველი,
პატარა გოგო, ცხელი ქვიშა
მზე,ცეცხლისფერი.
მღელვარე ზღვა და
ჩაბღუჯული
მთრთოლვარე ხელი.
სანაპიროზე მოგროვილი
ფერადი ქვები და
ამ ქვებისგან დაწერილი
სახელი ,,ნელი".
კაცს მოაგონდა,ავბედითი
სირენის ხმები.
დამთავრებული ბავშვობა და
გაყრილი გზები.
,,ომი" დაიწყო ზღვისპირა ქალაქს
ძმადწოდებული დაესხა მტერი,
მერე გავიდა მრავალი წელი..
პატარა გოგოს ეძებდა ყველგან
არ დავიწყნია მისი სახელი,
თავის ბავშვობის მეგობრისათვის
რამდენი რამე ჰქონდა სათქმელი.
თუ გადაურჩა ნეტავი ომსო,
ბევრჯერ დაანთო
მისთვის სანთელი.
გაჩერებაზე ქალი იდგა
კდემამოსილი,
ულამაზესი სისადავით
ტანთშემოსილი,
იქვე,ბოლთას სცემს კაცი
ოდნავ მხრებში მოხრილი
და არ გეგონოთ მართლა იყოს
ვინმე მოცლილი.
ეს ის ბიჭია, სოხუმელი
ომგამოვლილი.
სად არ ეძება დაკარგული
ბავშვობა მისი,
არ გაუტეხავს გოგონასთვის
ნათქვამი ფიცი.
გაჩერებაზე,მისი სულის
ნაწილი იცდის.
და კაცის გულის ბაგა– ბუგი
ქუჩაშიც ისმის.
რა გჭირთ ბატონო,ფერი არ გაქვთ
სახეზე კაცის,
ამბობს ქალი და,ხელჩანთიდან
ვალიდოლს აწვდის.
კაცის მაჯაზე,წაიკითხა
მისი სახელი
და გაოცებით გაუშეშდა
გაწვდილი ხელი.
იცნო, გაფითრდა, გადმოსცვივდა
თვალთაგან ცრემლი,
მის მოლოდინში
გაატარა ამდენი წლები.
ორივე იყო დაბნეული,იდგა სუჩუმე
თითქოს არ ჰქონდათ
ერთმანეთზე რამე სათქმელი.
თვალით ზომავდნენ ერთმანეთს და,
ისე უსმენდნენ გულების ძგერას.
თუმცა,წაართვათ ომმა ბავშვობა
ვერ მოერია სიყვარულს,ვერა.
ერთმანეთს იყვნენ ჩაფსკვნილი დიდხანს,
არ ადარდებდათ გამვლელთა მზერა.
დღეს მათ იპოვეს კვლავ ერთმანეთი
ასეთი არის ეს ბედისწერა
ზღვის ნაპირზე რომ სახელი დარჩა
თბილისში,ამ კაცს ხელზე ეწერა.

ბედის ჩარხი ნამდვილი ამბავი

(გაზიარება ნებადართულია)

გოგო იყო ბროლივით,
მზესაც ედარებოდა,
ბევრს მოსწონდა,თავად კი
ერთი შეჰყვარებოდა.

კარგი ოჯახის შვილი
დედისერთა, ჭკვიანი.
სასურველი სარძლო და
ოქროს მედალიანი.

სტუდენტობის წლები და
პირველი სიყვარული,
დაბნეული გოგონა
პაემნები ფარული.

მერე გაფერმკრთალება
და ამღვრევა გუნების.
მიზეზი?! ფეხმძიმობა
მისი დაძაბუნების.

სატრფოსგან უარყოფა
სიყვარულის ნაყოფის.
უსუსური არსება,
მათი გზების გაყოფის.

უტიფარი ქირქილი.
გაიკეთე ,,აბორტის".
,,იქნებ ჩემი არც არის"
ურცხვად შეურაცხყოფის.

ბიჭი მხდალი,უპირო
ქვეყანა მიატოვა,
და ფეხმძიმე გოგონა
უპატრონოდ დატოვა.

საიდუმლოს ცოტა ხანს
კაბის შიგნით მალავდა,
ამ დროს დედის მუცელში
იზრდებოდა პატარა.

მალე ვეღარ შეძლებდა
ვეღარ დაიფარავდა.
დედა დარჩა იმედად
ის თუ გადამალვდა.

დედამ შვილი გაკიცხა,
სახე ჩამოიხოკა.
შვილი დააშანტაჟა,
რომ თავს ჩამოიხრჩობდა.

რომ მამამის ქალაქში
შეურცხვება ღირსება.
ყველას საჭორაო და
დასაცინი იქნება.

სანამ კიდევ დრო არის
გაიკეთოს აბორტი.
ან რად უნდა მის ასულს
მოღალატის ნაყოფი.

გაიპარა სახლიდან
წვიმდა,ჰქუხდა ელავდა.
გადაწყვიტა სიკვდილი
უკვე აღარც ღელავდა.

ღვარა ღვარა ცრემლებით
შვილს ბოდიშებს უხდიდა.
ერთად წავალთ ზეცასო
მუცლადმჯდომარს უხსნიდა.

ხიდთან შედგა მდინარეს
შიშით გულში ჩახედა.
ისე იყო საწყალი
თვალებს ძლივსღა ახელდა.

მოეჭიდა სახელურს
აღარაფერს ფიქრობდა,
ქვემოთ ღრიალ– ღრიალით
მღვრიე წყალი იხმობდა.

აიწია ტანით და უფალს
სთხოვა შენდობა,
თავის თავს კი არ დარდობს
შვილი არ დაეთმობა.

დაებინდა გონება
წამიც და გადახტება.
უცებ როგორც ბუმბული
აიტაცეს მკლავებმა.

თვალი რომ გაახილა
იწვა უცხო საწოლზე.
დრო გავიდა....გათხოვდა
მერე სახლის პატრონზე .

როცა მდინარის პირზე
ჯოჯოხეთი იხმობდა,
მაშინ მისი ცხოვრების
სიყვარული იპოვა.

აქვე მდინარის პირას
სახლი რომ დგას შუქებით,
იმ ეზოში თამაშობს
ცელქი და– ძმა ტყუპები.

ცოლი გარეთ სუფრას შლის
ციბრუტივით ტრიალებს,
ქმარი მის ლამაზ ცოლშვილს
მუდამ თავს დასტრიალებს.

ეს ცხოვრებაც ასეა,
ჩარხი მუდამ ტრიალებს
ბედი ზოგს გაუმართლებს
ზოგს კი გაატიალებს.

ღამენათევი

ვნებივრობ,მიჭირს ადგომა დილით,
ღამენათევი,ძვლივს ვახელ თვალებს
თავს წამომდგარი შემოდგომის მზე
ურცხვად მიმზერს და მილოკავს სახეს.
გადმოჰფენს სხივებს დალალდაწნული
და ჩემს ბალიშზე იბერტყავს კალთებს.
ადექ დროაო, მეჩურჩულება
ნახე რა დილა დამდგარა გარეთ.
ვდგები და ისევ გაბრუებული
თვალს გადავავლებ არეს და მარეს.
წევს უდრტვინველად ჩემი ბებია
და დასთამაშებს ღიმილი სახეს.
ანგელოზივით ჩასძინებია,
წუხელ, ჩვენსავით ფხიზლობდა მთვარეც,
მისთვის სულ ბნელა, ვერაფერს ხედავს,
მისთვის ერთია დღეა თუ ღამე.
მე კი უძილო,ღამისნათევი
უნდა შეუდგე დილიდან საქმეს.
დილას დავიწყებ შხაპით და ყავით,
გამომაფხიზლოს,მიშველოს რამე.
მერე, ავიღებ კალამს და ფურცელს
ემიგრანტობის კალენდარს ვავსებ,
ჩემს სიხარულს და ჩემს მწუხარებას
თქვენ მოგიყვებით,ლექსებად დავწერ.
მერე ვილოცებ მუხლმოდრეკილი
და ხატების წინ დავანთებ სანთლებს
ღმერთო !დაფანტულს უცხო მიწაზე
გაძლება მიეც,ჩვენს ემიგრანტებს.

ღამენათევი და გადაღლილი
დილიდან მაინც,ღიმილებს ვაფრქვევ,
მაგრამ თვალებში ჩაგუბებული
ფარული სევდა მიდგას და მამხელს.
მზე შემოდგომის მილოკავს სახეს
მეალერსება, იმედით მავსებს.

ნეტავ

ღვთისმშობელო! შენ ნეტარო დედაო
მოკრძალებით,თხოვნას გაგიბედავვო.
ნეტავ, როდის დამშვიდდება ქვეყანა,
ნეტავ,როდის დამთავრდება სევდაო.
შენი წილი საქართველო ბედკრული,
ნეტავ,მართლა როდის გაბრწყინდებაო.
დაჩეხილი,ნაწილებად დაჭრილი
ნეტავ, კვლავაც როდის გამრთელდებაო.
ქართველები,გაბნეული მძივივით,
მის მამულში,როდის დაბრუნდებაო!
ქართველი რომ სამშობლოში ფასობდეს,
ნეტავ, ესეც როდის გვეღირსებაო.
საკუთარი ძმა,ძმას არ ღალატობდეს
ნეტავ, ის დღე როდის გათენდებაო.
ჩვენს მადლიან მიწას არ გვიყიდიდენ
ჩვენს წყალს და ტყეს, ღმერთო რა იქნებაო.
ხალხში რწმენა,უფლის რიდი მძლავრობდეს
ტაძრებიდან ისმას ზარის რეკვაო!
ბოროტება,სულში აღარ ხარობდეს
ჩაქვესკნელდეს, ურჩხული და ეშმაო.!
სიკეთე და სიხარული ჰყვაოდეს
და ისუნთქოს თავისუფლად ერმაო.
ქართველები სხვაგან აღარ გარბოდნენ,
გამრავლდეს და გაიხაროს ჭერმაო.
სიღარიბე გულს აღარ გვიღონებდეს.
პური მოგვცეს არსობისა ღმერთმაო.
ღვთისმშობელო! მაპატიე მე ცოდვილს,
რომ ამდენი სიტყვა შემოგბედაო,
შენ ხარ ჩვენი იმედი და პატრონი,
უფლისა და საქართველოს დედაო!

მთვარისა ზეინკლიშვილი

ბედნიერი ვარ!

სული მიყვავის, გული მიხარის,
ღმერთო მე შენი მადლიერი ვარ,
მოხარული ვარ დღევანდელი დღის,
ამაყად მდგარი ფეხზე დავდივარ.

საღი გონებით ვერწყმი სამყაროს,
მესამე თვალით კვლავ შევმოსილვარ,
ყველას კეთილ გულს საღად ვაფასებ,
ყველას ცრემლების მოზიარეც ვარ.

სულ ფორიაქში, სულ მოუსვენრად,
სადაც ვჭირდები, ყველგან დავდივარ,
არ მეზარება საქმე კეთილი,
ვინც დამიძახებს მყისვე გავრბივარ.

სითბოთი სავსე დამაქვს ეს გული,
კიდევ ერთი დღის მოხარული ვარ,
სული მიყვავის, გული მიხარის,
ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ!

შემოდგომის სურათი

ლალისთვალას შევაწყვიტე ,,კიმჰალი",
გავსინჯე, უჰ როგორ ჩათაფლებულა,
მზეს სხივებით გაუვსია მარცვალი,
ნამის წვეთით უხვად გაჯერებულა.

არომატით,სიცოცხლით და სინაზით,
ღვთაებრივი გემოთი გავსებულა,
მირონით, ბადაგით მათრობელათი,
თითო ნაყოფი სულ გადავსებულა.

სამშვენისად გადაშლილი ზვრები,
შეყვითლებულ დინჯი ვაზის შრიალი,
ამ სიტურფის შემხედვარე მოკეთეს,
სიხარულით გულმა მიწყო ფრიალი.

ცოტა შესვენების შემდეგ გლეხ კაცმა,
ბაღ – ვენახში იწყო ორომტრიალი,
ემზადება დიდი საქმე--რთველისთვის,
მზის გულზე ხილეულს გააქვს წკრიალი.

ღმერთო გადააფარე შენი კალთა,
სეტყვისგან დაიცავი მთა და მდელო,
ამ მარცვლებივით მინდა რომ უხვობდეს,
კარგი მომავლით ჩემი საქართველო.

უსასრულობამდე მინდა ვუმღერო,
ჩემი ქვეყნის ტურფა შემოდგომას,
ბოლოს მინდა უფალს ვთხოვო მომასწროს,
საქართველოს ფეხზე წამოდგომას.

იმედს ვიტოვებ ხიდად

მეინახე ვარ მთვარის,
ნისლივით ხვავობს დარდი,
ვახშმობ კალმახა კლდესთან,
დროც რა ჩქარ-– ჩქარა გარბის.
ყოველ დღე დილას ვუცდი,
ველი ყოველჟამს დაისს,
სად მივიჩქარი ნეტავ,
მთელ წელს რომ ვნატრობ მაისს?
რომ ვერ ვიტანდი ღამეს,
ახლა ჩემია თითქოს,
ღამით უფრო ვარ ღმერთთან,
ჩემს ,,მეს" დავყურებ თვითმყოფს.
ხან მსურს ავფრინდე ცაზე,
სულაც მთვარესთან ვიყო,
ხან მსურს ცის ვარსკვლავები,
სუყველას რომ გაგიყოთ.
უკვე დაზამთრდა თმაშიც,
გაქრა, რაც ადრე იყო,
ერთი სათუთი გული,
ნამცეცებად დაიყო.
ჩემს მუზასთან მაქვს საქმე,
ჩემს ფიქრებთან ვარ მშვიდად,
ლექსთა ფარდაგებს ვქარგავ,
იმედს ვიტოვებ ხიდად...

ღმერთო!

ერთი ათასად მიაქციე ღმერთო!
ჩემი სამშობლოს ერი და ბერი,
შენი წყალობით რომ მაქვს ქვეყანა,
ულამაზესი და მშვენიერი.
მინდა ამქვეყნივ ბედნიერებით,
ცხოვრება გვქონდეს აქ მიწიერი,
ვფიქრობ ეს ერი იმსახურებდეს,
მუდმი და არა წამიერი.
ღმერთო გვიმყოფე ახალგაზრდობა,
ჭკვიანი, მტკიცე და ნიჭიერი,
მოხუცი ჯანზე, მკლავი და მუხლი,
ჰქონდეს ჯანმრთელი და ღონიერი.
ქალებს ასმინე რწმენა უფლისა,
შეუნარჩუნე ქალთსახიერი,
გთხოვ არ მიმყოფო ჩვენი დიაცნი,
გამოფიტული, სულით მშიერი.
შვილნი გვიმრავლე საღი, ჭკვამთელი,
სიტყვის მსმენელი და ნიჭიერი,
ოჯახს ჰყოლოდეს ოთხი, ხუთი ძე,
მახარობელი ფეხბედნიერი.
ერთი ათასად მიქციე ღმერთო,
ჩემი სამშობლოს ერი და ბერი,
შენი წყალობით რომ მაქვს ქვეყანა,
ულამაზესი და მშვენიერი.

მშვიდობის დილა

როცა თენდება მშვიდობით დილა,
ეს წყალობაა უდაოდ ღვთისა,
გამონათება მთვარის და ცისა,
უფლის თვალისა ციური მზისა.
ჩვენ დღეს აქა ვართ, გვიყვავის სული,
აქ წრფელი გულით აღვავლენთ ლოცვას,
ჯვრის ძალასა ვგრძნობთ, ვხედავთ
სასწაულს,
ცის ათინათი ამ გუმბათს მოსავს.
მეც ამა სოფლის მკერდის ნეკნი ვარ,
მეც თქვენი სისხლით ფილტვი მაქვს სავსე.
ჩემებრ ფერხულით დაგყვებით გვერდით,
სპეტაკი გრძნობით გული მაქვს სავსე.
თქვენ საქართველოს მარგალიტებო,
სწორედ ამიტომ და ამის გამო,
მთელი არსებით, უწრფელეს
გრძნობით,
მიყვარხართ ყველა უკიდეგანოდ!

გზა ტაძრისაკენ

ეს გზა ტაძრისაკენ მიმავალი,
წყარო სამკურნალოდ დასალევი,
ეს ხომ ,,ქარელია" მთათა უბე,
აქ ტაძარია გადასარევი.

ეს ის კუნჭულია ჩვენი ქვეყნის,
გზები რომ გადიან დაულევი,
ყველა გზა ტაძარით რომ მთავრდება,
მოდი ქრისტიანო გაუყევი.

მოდი ჩაისუნთქე ეს ჰაერი,
უფლის მადლითაა გაჟღენთილი,
ტაძრის კარიბჭე ყველას მოგელით,
სანთელი წამოანთეთ ჩაღვენთილი.

მოდი ქრისტიანო მადლი ჰქენი,
იხილე ცის თაღზე სხვა აისი,
ტრაპეზი ყურძნის წვენით დაიმშვენე
და მშვიდად დაეშვი დღის დაისით.

მოდი ქრისტიანო ჩვენსას მოდი!!!

გეფერები ნოემბერო!

მომწონხარ და გეფერები,
ოქროსფერო ნოემბერო!
მინდა შენთან ვინებივრო,
მინდა სული შეგიბერო!

აგიშრიალო ფოთლები,
მოგილექსო, მოგიმღერო,
შენი ბაჯაღლო ტყეები,
ჩემს ექოთი გავაჯერო!

შენი მოტრფიალე რომ ვარ,
მსურს ამაში დაგაჯერო,
ვისურვებდი ზეწრად ფოთოლს,
თან საბნადაც წავიფარო!

ჩაგეკონო, ჩაგისუნთქო,
ეს წალკოტი შევიფერო,
კიდევ მეათასედ გითხრა:
შემოდგომავ მიყვარხარო!

საოცარი დილა

როგორ მახსოვს შემოდგომის დღეო,
წინათ როგორ უმოწყალოდ წვიმდი,
გარეთ მსურდა,ვერ გავბედე, დავრჩი,
გახსოვს? წყენით როგორ ავქვითინდი?
დღეს კი გაოგნებული ვარ შენით,
რა დილა გაქვს,რა ლამაზი, მშვიდი,
დღესაც ძლივს გადავაგორე ღამე,
გავიღვიძე,საათია შვიდი.
ნელა– ნელა აიკრიფა ბინდი,
წითელ პლედში გახვეულა შინდი,
ქარს მიჰქონდა პაწაწინა წინდი,
გავედევნე და არ შევუშინდი.
აივანზე მტრედს გაუბავს ფლირტი,
და ღუღუნით დაბერვია ფილტვი,
შემოდგომის სიდიადე სუფევს,
ჯერაც ვარდებს შერჩენიათ კვირტი.

ყვითელ ფოთლების ხალიჩაზე

ყვითელ ფოთლებს ავუტეხოთ
შარა– შური!
ნახეთ! ნახეთ! აქ რამდენი სკამებია,
მოდით,დავსხდეთ ვილექსაოთ
ექსპრომტებათ,
ეს ცხოვრება არ თუ ისე წამგებია!

სიყვარულით გავაცილოთ შემოდგომა,
აქ მოვაწყოთ პოეზიის საღამოო!..
ლამპიონთან ვაფრიალოთ სტრიქონები,
გავატაროთ დრო ლამაზი, საამოო!..

მერე ჩვენი მოქარგული ოცნებები,
ბარათებით აქ დავტოვოთ სკამებზე,
გავა დრო და მეგობრები რომ
შევხვდებით,
ვისაუბროთ ამ ჯადოსნურ ღამეზე!..

კვლავაც გამოიდარებს

ჩამოთბება, მზე აღიდგენს თავის ძალას,
ცის ტატნობზე ცისარტყელა გამოჩნდება,
თოვლის ნაცვლად ახლა წვიმა ჩამოცვივა,
აშარი და ცელქი ქარი ჩაწყნარდება.

ნელა – ნელა წამოუათ ტოტებს კვირტი,
მდელო მწვანედ შეფერდება
დანამული,
საჩუხჩუხოს, სარაკრაკოს შემოსძახებს,
ყინულის ქვეშ წყარო ჩუმად განაბული.

ჰორიზონტზე გამოჩნდება სავსე მთვარე,
შეიცვლება ამინდები დაღვრემილი,
შინდის ტოტი ქარვის მძივებს წამოისხავს,
მის ფესვებში უკვე მზეა ჩაღვენთილი.

მთის მწვერვალებს ჩაადნება მძიმე თოვლი,
შავგვრემან შუბლს მოიწმინდავს ქარაფი,
მოხნულზე წვერს ამოჰყოფენ თავთუხები,
შიგ ყაყაჩო შეერევა ვარაყით.

ტრამალები გაივსება ბაიებით,
ტყეს დაბურავს ია ქარიზმატული,
ცხვარ– ბატკანიც გაიშლება მიდორ– ველად
გაიელვებს ცას ხმა ანდამატურის.

ღელეს, ბორცვებს გადაურბენს შველის ნუკრი,
ქორფა ყლორტებს გამოსუსნის სინაზით,
გემრიელად გამოწიწკნის ნორჩა ბალახს,
ეს ყოველი იქარგება მირაჟით...

სიტყვებით ნაქსოვი ლექსის ფარდაგები

ფიქრში ეშვება პოეტი,
იქ მარგალიტებს ხედავს,
აივსებს გონების კალთას
და მერე გადახედავს.

ფიქრებით ცაში დაფრინავს,
სდევს მოფარფატე ფიფქებს,
გუნდებად შემოიგროვებს,
და წამომართავს ზვირთებს.

ბევრ ამბებს ცრემლებით ქარგვას,
ბევრს მოგონება ერთვის,
მერე სინატიფით ავსებს
და გაამზადებს თქვენთვის.

მერე?
მერე შედეგებს იმკის,
პოეტის გული თბება,
თვალებზე თუ ღიმილი
ან ცრემლი მოგადგებათ.

დავით ძნელაძე

ვაჟკაცის ვალი

თავისუფლება გერჩიოს
საპყრობილეში ძღომასა,
განდეგილობა გერჩიოს
შენი მტრის გვერდში დგომასა.

ჯობს ყველაფერი გეტკინოს
ვიდრე ჯანმრთელი კვდებოდე,
სამშობლო უნდა შეიგრძნო
და გმირი ისე ხდებოდე.

თუ სიძულვილი არ იცი
ისე სიყვარულს ვერ ჰპოვებ,
გაჭირვებაში ქვეყანას
ნურასდროს ნუ მიატოვებ.

ნუღარ დაკარგავ მიწა-წყალს,
ზღუდე-გალავნად ჩადექი,
მოატრიალე ფორტუნა,
სიცოცხლის წყაროდ დადექი.

* * *

პოეტს ვერ მავნებს სიავე,
კრიტიკის ნისლით შებურვა...
რა კაი კაციც ვიყავი,
იგი ვარ უწინდებურად.

მე ვარ პოეტი

ეს სტრიქონები სიყვარულით უნდა დაიწყოს,
არ შეიძლება სიძულვილთან ბარძიმი იდოს...
საქართველოა, გენაცვალე, მერე რა იყო,
აქ მხოლოდ გიჟი შეიძლება პოეტი იყოს.

პეგასის ნაცვლად ჩემთან მოდის ზოგჯერ კენტავრი,
რომელიც ცდილობს ჩამიკეტოს ოცნების კარი.
მე ხომ ვერასდროს ვერ ვაკადრე მუზებს ღალატი,
არ გავასხვისე, ისევ აქ მაქვს სავსე კალათი.

მათ თანაგრძნობას ჩემთვის თვალი აუხელია,
ჯერ სიყვარული ასე არვის გაუმხელია.
ეს სიხარული დაფარული, თან უთქმელია,
იდუმალების გარდასახვა აუხსნელია.

მუზაა ლექსის სამკაული, მხოლოდ მას ვმონებ,
მრავლად რომ ახდენს სასწაულებს, მე ასე ვგონებ...
მაგრამ, თუ მუზა არ ინახა, ლექსი გაქრება
და მეც მოვკვდები, სასწაული აღარ ახდება.

მე ვარ პოეტი და ამაყი კაცის იერით
ჩემს სულსა და გულს შენ გიბოძებ, ქვეყნიერებავ,
იქნებ, ოდესმე აამაღლოთ ეგ პედესტალი,
სულით ხორცამდე რომ შევიგრძნო მშვენიერება.

იდუმალება

ყველაზე არეული ჩემი კომპასია
და იდუმალება ტანჯვის ტოლფასია.
ჩემთვის თქვენთან ყოფნა მწარე ნაფაზია,
მაინც ვერ გშორდებით, არ მაქვს სხვა შანსია.

– ,,ფესვიდან იზომება“... იტყვის სიდონია,
ვეღარ ვაგუგუნებ ყოფის სიმფონიას.
ახლა ვინღა ეძებს სიძეს დიპლომიანს,
ვაჟკაცს ჭკვიანსა და ჭაბუკს ზრდილობიანს.

ალბათ, შევუკვეთავ ნიღაბს სანდომიანს,
ვიდრე მომკიდებდნენ გულზე აგონიას.
ასე და ამგვარად, დაწყვება კომპასი
და იდუმალება ყვირილის ტოლფასი.

გადარჩენის გზა

ქარიშხალს ვძლიოთ, დრო არაფრად არ მივიჩნიოთ,
დავდგეთ ცერებზე, დაჭიმული გვქონდეს მყესები.
არ დავივიწყოთ არასოდეს ვისი გორის ვართ
და სად საზრდოობს ჩვენი მოდგმის მძლავრი ფესვები.

ენა, მამული, რწმენა იყოს ჩვენთვის მთავარი,
დავგმოთ სიმხდალე, სიმხდალე ხომ ქვეყნის მტერია.
ვისწავლოთ ბევრი, არ ჩავაქროთ ცოდნის ღადარი,
ვპოვოთ ღირსება, ქაოსში რომ გზა აერია.

ვეცადოთ თავი დავაღწიოთ მონობის უღელს
და როგორც ძველად სულელივით წყალი არ ვნაყოთ,
პატარა ნავმა ნაპირ-ნაპირ უნდა იცუროს,
რომ ნავსადგურში მისი წილი ადგილი ნახოს.

ცეკვა-სიმღერით არ შევცვალოთ დროის დინება,
მშიშარა გულით არ ავუყვეთ მდინარეს აღმა...
ტყვეობის თალხით სანამ სული შეგვესუდრება
დავატრიალოთ შევეცადოთ ბორბალი წაღმა.

აღარ ვუმღეროთ გიგანტების კადნიერებას,
უმაქნისების არ დავიწყოთ გაპიარება.
მოდით ვადიდოთ ყოველივე მყარი, ნათელი,
გადავარჩინოთ დაბნეული ბევრი ქართველი.

წინ გავიხედოთ, იმ ბნელ წარსულს ზურგი ვაქციოთ,
ფუჭი ოცნებით აღარ ვქექოთ ძველი დარდები
და არ შევხედოთ ფერმკრთალ ფრესკას
რაც არ ანათებს,
ჩვენს მიწა-წყალზე არ ვახაროთ სხვისი ვარდები.

გადარჩენის გზა ცოდნაშია, ყველა დავრწმუნდეთ,
ჭეშმარიტებას ერთსახოვანს, მხარში დავუდგეთ,
დიად მიზნისთვის ბრძოლა არის ახლა საჭირო,
მოღალატეებს მთელი ერი განზე განვუდგეთ.

მიზანს მივაღწევთ, რადგან უკვე დიდხანს ვეწამეთ
და გავიხარებთ ქვეყანაში სადაც ვშობილვართ.
გამარჯვებამდე თუ კი ისევ ერთად ვიარეთ,
აღარ გავქრებით,
ჩვენ სიცოცხლის ღირსი ვყოფილვართ.

ხსნა სიყვარულშია

მედუქნის გოგო ,,ამბროსიას“ მომართმევს სინით,
მე კი შავ ღვინოს დავაყოლებ ღმერთების საზრდოს.
ცის კაბადონზე ჟღალა ფერებს გამოდევნილი,
ისევ დუდუკებს, ისევ ღვინოს და ქალებს ვნატრობ.

მათგან გარიყულს მემართება მიზანთროპია,
სხეულს ვერ ვთოკავ და ვემდური მუზათა წყობას.
,,ვითომ კაცები“ გამიგებენ – შემაყვარებენ:
კაბარნეს ბანქოს, სიგარის კვამლს, თავდავიწყებას.

ლაზარეს სთხოვენ ქალწულები მზიან ამინდებს...
თეთრი მაგია ამომიდგა უმალვე მხარში.
წვიმა ჩემია, მე ავდარის ვარ მოტრფიალე,
ლამაზმანებო, მომერიდეთ წვიმიან ქარში.

კარაბადინი სიყვარულის სენს ვერ განკურნავს,
დიდხანს ვეძიე, ვერსად ვპოვე მასწავლებელი.
ქირომანტიის უბადლო ოსტატთ, ხელისგულს ვუწვდი...
სისხლი კი მიდუღს – ჩემი გულის მაწვალებელი.

ქალებთან შმაგი კენტავრივით ვიდექი მუდამ.
ვიცოდი, რომ ქალს მოფერება, ალერსი უნდა.
კეთილმოწყობის უმაღლესი კატეგორიაც...
ხოლო მერე კი ხელში მქონდა ორთავე ,,გუნდა“.

... აბორიგენი ამ საწოლის მე ვარ მაესტრო,
და ამიტომაც ვერ მოგართმევთ საკუთარ საბანს.
ჩემს საუფლოში სასიკეთო საქმე კეთდება,
ავგიას თავლა არ ეგონოს ზოგიერთ მათგანს.

ლაბირინთიდან გამოსავალს ვეღარ ვპოულობ,
ბოროტი ზრახვით მომვარდება მეფისტოფელი,
ისე მიყურებს, გეგონებათ მე გამებახოს,
ლამაზმანებით ავსებული მისი სოფელი.

... ჩამომაშორა ყველა ქალი მედუქნის გოგომ,
შეყვარებული მამაკაცი ამაბოგინა.
მერე განაგრძო წყალში ცურვა კუნძულ დელოსმა,
კუნძულმა, სადაც ზევსის სატრფომ მოილოგინა.

არცოდნის ცოდნა – სოკრატესაც გულს უხარშავდა...
მე კი ვიცი, რომ ცოლთან, ტკბილად დამიღამდება.
მიირთვი, ქალავ, საქორწილო ალავი ჩემი,
დღე მოკლე არის, ჯვრისწერაზე გვაგვიანდება.

მსხვერპლშეწირვა

(ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის
მიერვე დაიღვრება მისი სისხლი,
რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი)
ბიბლია

სიზმარი ვნახე... წითელი ჭინჭი შემაბეს ყელზე,
მხრები მიმძიმდა... სამსხვერპლოზე ვიდექ ეული.
ჯალათის ხელით ამომართვეს პირიდან სული,
მერე კი ცერბერს გადაუგდეს ჩემი სხეული...
.....
მისტერიები თამაშდება სანთლების შუქზე...
დენთის მხრჩოლავ კვამლს გააყოლა ხალხმა გონება.
მემატიანემ ლამის არის თავი მოიკლას
და ცრემლნარევი ისტორიის ისმის გოდება.

ლულა აფურთხებს სასიკვდილო ტყვიებს ზმანებით,
– ნუთუ ქართველმა ისევ ქართველს უნდა ესროლოს.
დღეს ბაზალეთის ,,ოქროს აკვანს" თბილისს რა უნდა?!
... გაზეთის გვერდი ვეღარ იტევს ამდენ ნეკროლოგს.

ისევ ეს ცეცხლი, ისევ მოთქმა, ისევ ვაება,
ზარების რეკა გამუდმებით უკვე არ მიკვირს...
იქნებ ქართველებს ,,არიადნეს ძაფმა" გვიშველოს,
იქნებ ოდესმე დავაღწიოთ თავი ლაბირინთს.

... ასალარელი კაცი მოვა ვიცი ამ ღამით,
ერთ ბარგად შეკრულ ყველას ცოდვას სხვაგან წაიღებს.
ბოლოს თემიდა გამოარკვევს ალბათ ყველაფერს
და ყველასათვის მოწყალებას თავად გაიღებს.

საკო-ვანცეტის პროცესი სურთ გაიმეორონ,
პოლიტპატიმრებს ყალბ ბრალდებებს უჩრიან ხელში.
ზოგმა ქართველმა ფაუსტივით გაჰყიდა სული
და თავის მოძმეს ვამპირივით ეტაკა ყელში.

დაიწერება თეთრზე შავით სიტყვა სანქცია...
მერე კი ცოდვილთ გადაჰკიდებს ეს დრო საპალნეს.
საპროფაგები მიესევა უმწეო ლეშებს,
ვერ ეღირსება მათი სული ვერსად სავანეს.

როდის გამოვალთ სინათლეში ამ წყვდიადიდან,
მოირებს როდის გამოვტაცებთ ჩვენ საკუთარ ბედს?
რომ საბოლოოდ ზედმიწევნით შევისისხლხორცოთ:-
ოცდამეერთე საუკუნე სულ სხვა გრდემლზე ჭედს.

ჯვართამაღლება ახლა გვინდა საქართველოში,
ღვთისმშობლის წილხვედრს –
ვეალერსოთ საკუთარ მიწას...
მამა, ძე ღმერთი, სული წმიდა – ჩვენ
გვმფარველობდეს,
სამარადჟამოდ ვემსახუროთ სანუკვარ მიზანს.

ღმერთმა არა ჰქნას ჩვენ სატანას ,,კერძები" გავხდეთ,
ყველა ქართველმა დღეს ერთმანეთს უნდა ვეფეროთ.
მანათობელი ისევ ადგეს კავკასიონს – მზე,
იმედის თესლსაც გაღვივება მუდამ ეწეროს.
. . . . . .

ღმერთო, კეთილად ამიხდინე ჩემი სიზმარი.

ხელოვნება

ლექსის წერა არის ჩემთვის უმთავრესი ხელოვნება,
ირეალურ სამყაროში ყველა მუზა მემონება.
ყველა სტრიქონს ისე ვძერწავ სიყვარული გეგონება,
რა კარგია, როცა ვიცი ჩემი ხალხის გემოვნება.

რა კარგია, როცა მესმის ჩემი ხალხის გულის ხმები,
ჩვენ მეფობას ვიმსახურებთ და არ გვინდა ვიყოთ ყმები.
რა კარგია, როცა მტკივა იარები მებრძოლ ძმების
და ვერ ვითმენ, როს მიდიან წინააღმდეგ ჩვენი ნების.

რადგან თაღი მაღალია, მაღალია ჩემი მზერაც,
ამიტომაც გამომარჩევს კარგი ლექსი, კარგი მღერა.
სიყვარული ასეთია, უნდა გახდე მისი წერა,
ხელოვნება მარად მწამს და მისი უკვდავების მჯერა.

* * *

საათნოების კალათა,
კალათაში ვარდები,
ცოტა სიხარული და
უფრო მეტი დარდები.

ფიქრთა მონანავე ზღვა,
ოცნებათა ქარები...
შეასრულე, გეთაყვა,
ჩემი დანაბარები.

შეიყვარე პატარა,
მისი სუფთა თვალებით,
ფიქრთა მონანავე ზღვა,
ოცნებათა ქარები...

ლექსებად მოვალ

მე ვერ შევძელი გამეწირა თავი გმირივით
და ვერც გონება ჩავამწყვდიე ბოთლში ჯინივით.
ვეძებდი შვებას, მაგრამ ვპოვე ვნება პირიქით,
თეთრმა პეგასმა მომატარა ზეცა ჯირითით.

ბედს არ ვემდური, ვეფერები სტროფებს შვილივით,
სულ მათთანა ვარ, არასდროს ვარ განდეგილივით.
ამ ცხოვრებაში ვერ დავრჩები შავ წერტილივით,
ლექსებად მოვალ, ავფეთქდები მეც აპრილივით.

ყველა მოვკვდებით კანტი-კუნტად ადამის ძენი,
აღესრულება სააქაო ლამაზი დღენი...
და როცა სული დათმობს სხეულს, ნათელი ჩვენი,
წიგნად დარჩება ამ ქვეყანას პოეტის ძღვენი.

პოეტი

მაშ მიცნობდეთ, მოწოდებით პოეტი ვარ
და ამ ყოფას უსასრულო ტანჯვა ერთვის...
რადგან ნიჭი, ერთობ, დიდი სანქციაა,
თვით მამულიც საკანია უკვე ჩემთვის.

სიყვარულით ქვეყანაზე რაც არ ქმნილა,
მე არ ძალმიძს მივიღო და ის არ დავგმო,
სანამ ერი საბოლოოდ არ გარყვნილა,
გარყვნილები სამშობლოდან მსურს ავლაგმო.

ჩემი ბრძოლით იმ წმინდა ჯვარს ვაქანდაკებ,
ჯვარს, რომელიც ამ ქვეყანას მოჰფენს ნათელს...
სანამ ვცოცხლობ, ამ სიყვარულს ვაფარდაგებ,
მოვკვდები და მეც ამინთებს ვინმე სანთელს.

ნუგეში

როგორ მიყვარხარ, ძვირფასო,
ამას სულ მალე მიხვდები.
ჩემი სუნთქვა ხარ, ლამაზო,
და რა ვქნა, თუკი მინდები.

რამხელა შემოდგომაა,
ღვინო დადუღდა ჭურებში...
შენს ბაგეს დავეწაფები,
რომ კვლავ ვიპოვო ნუგეში.

არ დამემალო არასდროს
დედაქალაქის ქუჩებში,
თორემ თუ სადმე წაგაწყდი,
ისევ გაკოცებ ტუჩებში.

* * *

სიკეთის გზაზე დაბრკოლებაც ძალას მანიჭებს
და ამიტომაც მოწაფეც ვარ, მასწავლებელიც...
ვივლი მანამდე, სანამ რამე არ შემაჩერებს
და სანამ ჩემ გულს მიეცემა სადარდებელი.

რადგან შევქმენი, საკუთარი ძალაც ვიწამე,
სულ ისე ვცხოვრობ, რომ ბოლომდე არ ვიშიფრები...
მე ხომ კალამი ამოვავლე ჯერ საღ გონებას
და მერე თაბახს ვანაცვალე ჩემი ფიქრები.

კარგადაც ვიცი, რომ სიბრძნეში ბევრი დარდია,
არაფერია ცისქვეშეთში უკვე ახალი...
ცხოვრებამ ჩემმა საუკუნოდ გამომაჩინოს
და ღვთის წინაშე შევეცდები ვიყო მართალი.

ლალი სოხაძე

***

მთაში მრბოლავი ღრუბლების,
ამბავს მოგითვლი შორიდან,
ვინ გითხრა, რომა არწივი,
თავს ვერ დაიხსნის ქორიდან?!

მზის სხივს, ვერ შაწვდეს თოლები,
ზღვისა და ცისა ფერისა,
არ მინდა ვეჟო, ჭორები,
სიტყვას ნუ მეტყვი მერმისად.

ტყვილად ნუ მფიცავ სიყვარულს,
სახლში გყოლია ცოლ-შვილი,
ამ ჩემს გულს უკვე მოპარულს,
ვეღარ მაიგებ ვიშვიშით.

ვითომაც გული შაგბმია
ჩემზედა ძლიერ, მითვლიდი,
განა, ვაჟკაცის საქმეა
მთა-მთა დევნა და ხითხითი?

რამდენიც გინდა იყვარე,
გზა ხსნილია და საცალო,
ცოდვას მეტს ეთაყვანები-
უფალთან მისვლა გაცალოს!

*

ჩამომიქროლებს ა ლ ა ლ ი,
გულს დამიტოვა ვარამი,
შენ, შენი სატრფო მონახე,
კაცი, რომ იყო ალალი!

უსიყვარულოდ იცოდე,
სიცოცხლე ალბათ არ არის,
ჩამომიქროლებს ალალი,
მაშინ, სიკვდილი სად არის?!

თუ დამიჩრდილავ მზის სხივებს,
გულს დარდად დამებინდები,
თვალთა ხედვიდან გამქრალი,
წამწამზე დაგეკიდები!

რად ამედევნე ა ლ ა ლ ო,
რად ამიშალე ფიქრები,
ეს კარგად უნდა იცოდე,
შენი, არასდროს ვიქნები!

*

ისევ მომწერე, მომწერე რამე,
თორემ მუზებიც გამექცნენ ღამე,
თავს ვეღარ ვაბამ სტრიქონებს ისევ
და ცხრავე მუზამ დამტოვა მყისვე.

მივხვდი, მშიშარა ვყოფილვარ თურმე...
ფიქრმა დაბინდა ჩემი გონება,
ქუთუთოები სულ დამიმძიმდნენ
და არვის ესმის ჩემი გოდება.

სუფთა აზრებით და გულით შევძლებ,
კვლავ დავიბრუნო სულის სიმშვიდე.
ისევ მომწერე, მომწერე რამე,
მე, რომ მუზები კვლავ დამიბრუნდნენ

თორემ პანდორას ყუთივით მარტო,
ჩემში იმედი ჩარჩება სანდოდ
და ალბათ სულის სიმშვიდეს მერე,
მე, ვეღარავის ვერასდროს ვანდობ...

*

ეჰ, კაცთა მოდგმას არ ე დ ა რ დ ე ბ ა
ჩემი ტკივილი, ჩემი დარდები,
მხოლოდ ღმერთს ე ს მ ი ს ჩემი სიჩუმე
და ვფიქრობ აღარ დ ა ვ ი კ ა რ გ ე ბ ი...
მხოლოდ მან იცის, მხოლოდ მას ესმის,
რამდენი დარდი გ ა დ ა ვ ი ტ ა ნ ე
და დაჩოქილმა მუხლებზე, ხოხვით,
რა აღმართები გ ა დ ა ვ ი ა რ ე...
უკან მოხედვა, თუ გადაწყვიტე,
და საკუთარი თავი დასაჯე,
მაშინ მიხვდები განვლილი გზები
როგორ განსაჯე...
ჩემი სევდა კი რჩება უთქმელი-
უნდა იცხოვრო ისე უ ბ რ ა ლ ო დ,
როგორც ცხოვრობენ დ ი დ მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი...

ჩემს შვილებს

ნინოს, მარიამს, თამარს,
გიორგის, ქეთევანს, დავითს

ჩ-ურჩულით შევთხოვ მამაზეციერს
ე-რთურთის გატანას და არა შეხლას...
მ-იყვარხართ იცოდეთ ჩემს თავზე მეტად,
ს – იყვარულს დიდი ძალა აქვს ეხლაც

შ-ორიდან გელით და გეძახით დ ე დ ა,
ვ-ინ იცის, ჩემს გულის ფიცარზე
ი-მედად, როგორ საოცრად სხედხართ?
ლ-ამაზი ოცნებები-მომადექით კარზე...
ე-მსახურეთ სამშობლოს თავდადებულ მხედრად,
ბ-იჭებით და გოგონებით აგვსებოდეთ კერა
ს-ულ გეხაროთ, გედღეგრძელოთ,
გულით გლოცავთ ყველას!

***

წამწამთა ჩრდილში შემალული
ცრემლის წვეთები,
გულიდან უცბად მოიტაცებს
სევდას გულსაკლავს,
მძივებად, ალყას შემოარტყამს
ლოყას ვედრებით,
ოღონდაც გულმა არ იდარდოს,
სევდას თავს აკლავს.
უთქმელი სიტყვა,
მარგალიტის მძივად ქცეული,
შეხსნილ საკინძეს
ჩაუყვება გულის პირამდე,
წამწამთა ჩრდილში,
რომ ვერ პოვა შვება ეული,
სევდა წაიღო უკუნეთში
მ ი წ ი ს პ ი რ ა მ დე!

***

როცა ხელს მკრავენ,
ჩემი გრძნობა არაფრად უღირთ,
გავირინდები და გულში ვიქრობ
დარდების დ უ ღ ი ლ ს...
სიცოცხლეც უკვე აღარად მიღირს,
როცა სამშობლოს მითელავენ
და ვუთმობთ უ ღ ი რ ს თ,
როცა მივტირით ჩვენს წარსულს
და გმირებსაც ვ ი თ ვ ლ ი თ...
შენ ჩემო გ ე ნ ო!
ვერა გრძნობ, რომ
დრო სადღაც მ ი ჰ ქ რ ი ს...
ასე უაზროდ და უსიცოცხლოდ
როდემდე ვ ი ვ ლ ი თ?!..

დარეჯან მაჭარაშვილი

დარდები უნდობლად
გადამკრავს მათრახებს,
ვეღარ გასაძლები
გახდება ლოდინი,
გულში ქარიშხალი
აიწყვეტს არტახებს,
როცა მონატრების
სურვილი მომივლის.

**

ვარსკვლავებს დავითვლი
ცაში რომ კიაფობს,
მერე შენს გულამდე
დავითვლი ნაბიჯებს,
იმედს დავიტოვებ-
იქნება მესტუმრო,
მთვარე ა, ემ ღრუბელს
რომ გადმოაბიჯებს.

სიბერე

სიბერევ– მზაკვრულად დამიხვდი შარაზე,
ტყუილად გგონია სუსტი ვარ, მაშინებ.
ვინ იცის, შენამდე რამდენი ვეწამე,
რამდენჯერ ვებრძოლე აწყვეტილ ქარიშხლებს.

რამდენი ვითვალე სიავეც, სიკეთეც
ანდა რა გზები მაქვს შენამდე გავლილი,
ან რად მეშინოდეს, შენი კარიდან ხომ
ღმერთთან მისასვლელი მოკლდება მანძილი.

წლები რას მიქვია, მხოლოდ ციფრები და
ცოტა, სუულ ცოტა სადღაც ჭაღარები,
ტყუილად ხარხარებ და ტყუილად გიხარია,
რადგან ამ ჭაღარებს მე ვერცხლებს დავარქმევდი.

სადღაც ნაოჭები.. ჰოო, შენ სულ ეგა ხარ,
თუ ხვდები ამ ნაოჭს რომ სიბრძნის კვალი აქვს,
თავგადასავლებით მოვედი შენამდე,
შენზეც მოვუყვები ამ ღამეს, მთვარიანს.

დამიხვდი სიბერევ, კრიჭა ნუ შეგეკრა,
ტყუილად ნუ ცდილობ ფარ-ხმალი დავყარო,
ვფიქრობ, არც ისეთი უგულო რამა ხარ,
გულშიც არ გაივლო საწუთროს გამყარო.

ნუ ფიცხობ, ძმობილო, ვიაროთ მხარდამხარ,
შენ ჩემით,მე შენით რომ ვიყოთ ამაყად.

მინდა გავიპაროთ მთაში

მინდა გავიპაროთ მთაში,
თუნდაც წვიმასა და თქორში,
ღამეს ვათენებდეთ ერთად,
ისლით გადახურულ ქოხში.

ფიჩხის ტკაცა-ტკუცის ხმაზე
რული მერეოდეს როგორ,
არვინ ჭაჭანებდეს ირგვლივ,
შენ და სიყვარული მხოლოდ.

დილით ვიმეგობროთ მზესთან,
აღარ გაგვეკაროს ავი,
ძალას მიმატებდეს მთა და
შენი ვაჟკაცური მკლავი.

ღამით ვარსკვლავები ვთვალოთ,
ვეღარ გვერეოდეს ძილი,
ჩუმად დავუთვალოთ ერთურთს
მერე-გულისცემა ხშირი.

ყველა სადარდელი გაქრეს,
გულ-სისხლ გადაგვექცეს ერთი,
გრძნობას დარაჯობდეს მთვარე
მაღლით ჯვარს გვსახავდეს ღმერთი.

*****

მივდივარ, მივყვები ცხოვრების ბილიკებს,
სიყვარულს ვიტოვებ, სიძულვილს ვივიწყებ.
ფუტკართა ჯარივით მეხვევა ფიქრები,
ნეტავ დღეს რანი ვართ, ხვალ რანი ვიქნებით?
მივდივარ, ვიხსენებ, სად ვიყავ სად არა,
ცხოვრებამ ხან აღმა, ხან დაღმა მატარა
სულ მუდამ ვეძებდი კეთილს და სიამეს,
გზადაგზა ვხვდებოდი ბოროტს და სიავეს.
არ გებრძვი, ნუ მებრძვი, მშვიდობა მწადია,
ცხოვრება ისეც ხომ სულ ერთი წამია.
გაძვირდა მეგობრის და მოყვრის გატანა,
გვაჯობა, ხარხარებს ბოროტად სატანა.
ვიღაცა ცხოვრობს და ვიღაცა არსებობს,
"არ ვდარდობ"-მეტობს და "მიყვარხარ"–
ნაკლებობს. ნამუსს და მეობას ძილი აქვს საღათის,
"შეგვადნა" ქართული წესი და ადათი.
ხშირობს "ღობეს ჩხირი" პიკია სიცივის,
ვიღაცა ტირის და ვიღაცა იცინის.
ვაჩუქოთ ერთმანეთს სიკეთე ულევი,
არვის წაუღია ოქრო და ფულები.
ჯვარს ეცვი თუ გინდა-სხვისთვის სულ ერთია,
მოწმე-დამნახველი უფალი ღმერთია.
ცოდვა გამხელილი სჯობს მაინც ვწუხვარო,
ერთურთის გატანა მოგვმადლე უფალო.

****

შენი ბილიკი სევდისფერია,
ახლა ამ გზაზე მე დავრჩი მარტო,
შენი ხმა ჩემთვის ყველაფერია,
ვდგავარ, გავცქერი შორეთს და გნატრობ.
მოგონებები ავკინძე მძივად,
ეკლად მერსობა შენი სიშორე,
გადაგივიწყო ხანდახან,
მინდა და მონატრება ვერ მოვიშორე.
შენგან გათელილს ავყვები ბილიკს,
ვეჭორავები გზაში გვირილებს,
წამომეწევა წარსულის ლანდი
თვალს ჩამიკრავს და ჩამიღიმილებს.

მამული

ისე ვერ ვისვენებ, მტერი დაჩოქილი
თუ არ დაგითვალე კართან.
თუ არ ჩაგეხუტე, თუ არ მოგეფერე,
თუ არ დაგიკოცნე კალთა.
ყოფნა უშენობით ისე მეძნელება,
როგორც საიქიოს კართან.
ჩემო ხატებავ და
ჩემო საფიცარო,
გულში დანთებულო სანთლად.
შენი სიყვარული ისე მომდებია,
როგორც უკურნელი სენი,
მიყვარს მზის ამოსვლა მთების წვერებიდან
მიყვარს შეღამება შენი.
შენი გაზაფხული,
შენი მაისობა,
შენი ყვავილობა ვაზის,
ზღვა და დედამიწა,
ზღაპრული ედემი
უფლის დალოცვილი ასგზის.
ალვისტანიანი შენი გოგონები
თვალის გაყოლება ვაჟის,
შენი "დედა ენა" შენი დედამიწა,
დამამშვენებელი თვალის.
ჩემი სუნქვა ხარ და
ჩემი ბედისწერა,
მინდა განაცვალო თავი,
მტერი დაგიმარცხდეს,
ერი გაგიმრავლდეს
ვერ გეკარებოდეს ავი.
სადაც უნდა ვიყო,
მიხმობს და მეძახის
შენი სიყვარული წმინდა,
სიცოცხლე მხოლოდ
და მხოლოდ ამ მიწაზე
მოვკვდე ამ მიწაზე მინდა.

****

ვეღარ გაიგო თუკი შენი სულის ტკივილი,
ზღვარსგადასულმა მონატრებამ თუკი დაგღალა,
თუკი ამაოდ კვლავ დაეძებ მის ნატერფალებს,
თუ მონატრებამ გაგირია თმაში ჭაღარა.
ვეღარ გაიგო თუკი გულის უხმო ძახილი,
სად გაიყარა თქვენი გზები, ვეღარ იგონებ,
შიოლასავით იქნებ სულაც არა ყოფილა,
ფუფალასავით, იქნებ თვითონ გამოიგონე.

*****

არ მინდა, არ მეფასება,
კაცი ფლიდი და უგულო,
როგორ დავხუჭო თვალები,
ანდა რა თვალით ვუყურო.
არც შენ არ მოგეწონება,
ვით ხეტიალი ღამეში,
ღიმილს გჩუქნიდეს მაცდურად,
ნაცარს გაყრიდეს თვალებში.
მიყვარს და მეიმედება
კაცი მშრომელი, ალალი,
გვერდს არ აგიქცევს ქურდულად,
არ ენანება სალამი.
არ უხარია მოკეთის
გაჭირვება და ვარამი,
მუხლჩაუხრელად შრომობს და
ლუკმა არ უნდა არამი.
სიტყვა რომ უჭრის ხმალივით,
ნაღდია, არა ორპირი.
გაჭირვებაში ნახული
ყველა ძმაა და ძმობილი.
ჭირში ალალად ცრემლს დაღვრის,
ლხინში არ მოშლის მღერასა,
საგინებლად არ გაიხდის,
საფიცარ მამა-დედასა.
ამ ქვეყნად სტუმრად მოსულსა
ეიმედება ზე-ყანა,
თვით სიცოცხლეზე უმეტეს
ეძვირფასება ქვეყანა.

**

გაავდრდება და ჩამოწვება
ღრუბელი სულშიც,
დარდიც უღმერთოდ შემომიჭერს
თავის მარწუხებს,
თავს შემახსენებს წარსული
ვით ცუდი სიზმარი,
შენ კი ვერასდროს ვერ გაიგებ
მე რა მაწუხებს.
ავედევნები მთვარეს, შენს მსგავსს
ცივს და უგულოს,
ლოგინს გავიშლი იქვე,
სადაც დამიღამდება,
მერე გულის დარდს მოვუყვები
ჩამქრალ სტრიქონებს
და გული შენგან დადაგული
დამიამდება.

****

შენ გაკვალულს შეუდექი ბილიკს,
უკვალავი მე ვარჩიე გზები,
შენ გზა და გზა დააბნიე სითბო,
მე იმ სითბოს გულმოდგინედ ვკრეფდი.
მტკიოდა და გადაგიხსენ გული,
შენს სიმართლეს შეეპარა ბზარი,
ერთგულება მე უსაზღვრო მსურდა,
შენ საეჭვო გაატარე ზღვარი.
ვერ გავკვებეთ სიყვარული ურჩი,
უსუსურის მეუფლება განცდა,
მენანება, სივრცესა და დროში
ჩვენი გზები ერთმანეთს რომ ასცდა.
სანთელივით გზას მინათებს ახლაც
ის წარსული სათუთი და წმინდა,
მუხლზე სულს რომ მიბერავდა მაშინ
ის სითბო და სიყვარული მინდა.
არ გეგონოს მენანება ახლა,
ეს მცდელობა ამაო და უქმი,
შენ მითხარი, რაც არ უნდა გეთქვა,
მაგიერში მე ყვავილებს გჩუქნი.

შვილიშვილს

ჩემი სიყვარულის ზღვა ხარ,
ჩემი პაწაწინა ქალი,
მზე და მთვარესავით ერთი,
მშობლის გადახდილი ვალი.

ისე სათუთი ხარ, ნაზი,
სულ რომ ყურადღებას ითხოვ,
გულში ჩამეღვარე წამლად,
სულში ჩამეღვარე სითბოდ.

გულიც სხვანაირად ფეთქავს,
როცა მეხუტები მშვიდი,
ის დრო დამიბრუნე ახლა,
როცა შენს მამიკოს ვზრდიდი.

ჩემო თვალხატულა, მინდა
ხშირად აგიყვანო ხელში,
ისე მანებივრებ, თითქოს,
ისევ ვმეორდები შენში.

უნდა გამეზარდო მალე,
შენი დაქალება ვნახო,
იყო მოშიშარი უფლის,
ცუდი არ მოუშვა ახლოს.

უნდა დამავიწყო წლები,
ცაში ამიყვანო ფრენით,
უნდა გადამივსო სახლი,
შენი კისკისით და მღერით.

მანამ....
ჩაგიხუტებ გულში
შენი სურნელებით ვტკბები,
მაშინ დავიბადე თითქოს
შენ რომ მოგვევლინე ბები.

ჩემი დიდი სევდა

ერთი სოფლის განაპირას სახლი ერთ დროს,
ლხინითა და სიხარულით სავსე,
გამუდმებით წარსულის ლანდს შესციცინებს,
არსებობას იმედებით ავსებს.

მარტოსული-ბედნიერი ერთ დროს სახლი,
მარტოობის დაღალულ წლებს ითვლის,
ყოველ დილას იმედები შეაფხიზლებს,
გაიხსნება მოგონების სკივრი.

აქ, მთელ სახლში, განა მარტო ერთ კუნჭულში
დროის დაღლილ მოგონებას სძინავს,
ენატრება გოგო-ბიჭის ჟრიამული
უცებ-ბურთით ჩამსხვრეული მინა.

და სარკმელიც ყოველ დილით ალიონზე
ღამენათევ თვალს იმედით ახელს,
რომ ერთ დღესაც გაიღება სახლის კარი
და გახდება ღიმილებით სავსე.

დგას სახლი და ეჭვიც კი არ ეპარება,
დამთავრდება მარტოობის წამი,
ეზო ისევ ჟრიამულით აივსება,
იმზეგრძელებს კაციცა და ვაზიც.

მანამდე კი ჩამტვრეული ფანჯრის მინა,
ვით მოხუცის დავსებული თვალი,
არ ნებდება ავხორცსა და სულწაწყმედილს,
შიშობს, არვინ შეამტვრიოს კარი.

ჰოო...
იმ სოფლის განაპირას ერთი სახლი
დგას, წარსულის მოგონება ათოვს,
და იმედით ჩაკეტილი ერთ დროს კარი.
ელოდება,
ელოდება,
ელოდება,
პატრონს.

მირზა ვარძუკელაშვილი

* * *

სხვისაკენ თვალ თითის შვერა,
ენისთვის არის მსუბუქი.
მაგრამ დრო რომ გამოხდება,
ეს ყველაფერი სულს უმძიმს.
სხვის თვალში ბეწვის დანახვა,
შენს თვალს არასდროს არ უჭირს.
მაგრამ თვის თვალში დირეც კი.
მგონებ არავის არ უშლის.
სულს ნუ ვიტანჯავთ იმ ფიქრით,
სხვას სულში ვის რა უფუვის.
თავის თვალ გონი გავწმინდათ,
გულით რომ ვიყოთ სულ უფლის.

* * *

არსებობს ისეთი ხალხი,
ცეცხლივითა გწვავს შორიდან.
არ აგონდება არ ჯავრობს,
შენ თუ რამ ზიანს მოგიტანს.
ცეცხლს ბუნება აქვს ასეთი,
გაწმინდოს ყველა ცოდვისგან.
თუ დავფიქრდებით თვისებას,
მისი ამ ქვეყნად მოსვლისას.
კარგია ასეთი ხალხი,
თუ კი შენამდე მოვიდა.
უნდა ჰმადლობდე უფალ ღმერთს,
მადლით სიკეთით მოსილსა.
ეს დაშვებაა ზეციდან,
სულის სიკეთეს მოიტანს.
მტკივნეულია იცოდე,
შვილი ხარ ყოვლის მპყრობლისა.

სიკვდილსაც კი უყვარს...

მთვარე მზის სხივების სიყვარულით,
ცაზე მნათობია წყვდიადისა.
მზეს რომ ეს სამყარო არ უყვარდეს,
არას დაგიდევდათ აისისას.

კაცთ რომ სიყვარული ღმერთის ჰქონდეს,
სულის უკვდავებას რა უჭირდა.
ვერცხლის მოტრფიალე წუთის სოფელს,
ცნობა სიყვარულის გაუჭირდა.

სიკვდილსაც კი უყვარს კაცთ სიცოცხლე,
გრძნობით სიჩუმე და მდუმარება.
მხოლოდ მაშინ სტუმრობს ჩვენს სამყოფელს,
როცა უკვდავება უყვარდება.

ჭეშმარიტების სახელით...

ქარს ამოვარდნას არ ვაცლით,
რომ ვნატრობთ უკვე ჩადგომას.
მზის სიცხეს გვალვას ვეძახით,
თითქოს სულ ვნატრობთ მზის მოსვლას.

სიყვარულია აბა ეს,
ან სიყვარულის შეცნობა?
სიყვარულისგან ეჰ ვართ შორს,
ჯერთ ვერ ვიცანით ეგ გრძნობა.

დავდივართ ცარიელანი,
ერთურთის არ გვაქვს შენდობა.
სულ სხვის ჭკვის დამრიგებელნი,
თავისას ვერ ვგრძნობთ შეცდომას.

ჭეშმარიტების სახელით,
სიკვდილსა ვსწირავთ მეგობარს.
შევიცნოთ სჯობს სიყვარული,
სიცრუვის გზით სვლა გვეყოფა.

სამარადჟამოდ...

მე ის წარსული უშენობის ვერ მოვიგლოვე,
სამარადჟამოდ გულში დარჩა რაც იყო შენთან.
ალბათ შენ ჰფიქრობ დავრჩი მარტო ამ ქვეყანაზე,
მე სიყვარულით დრო რომ მოვა მივალი ღმერთთან.
მე წრფელი გრძნობა წარსულს ვერა ვერ გავატანე,
ყინვასვით სუსხავს სულს ის ძველი მოგონებანი.
ის არ იფიქრო მე უშენოდ გარდავიცვალე,
იმ სიყვარულმა სულს შესძინა უკვდავებანი.
მე ის წარსული იცი ვერა ვერ დავივიწყე,
ალბათ დამძრახავთ ამის გამო ყველა თგვენგანი.
მე ჭეშმარიტი სიყვარული ვერ გავიმეტე,
საჯოჯოხეთედ ვერ გავწირე საღვთო ნებანი.

როგორ მომეწყინა...

როგორ მომეწყინა ასე ყოფა,
რატომ შემეზარა ეს სოფელი.
გუშინ გულში მქონდა წრფელი გრძნობა,
მისგან დღეს მხოლოდ ტანჯვას მოველი.
ალბათ არც არასდროს გასწორდება,
ემ წუთის ტიალი სამყოფელი.
გუშინ ვისთვისაც ვიდექი ლოცვად,
ხვალე იქნება ჩემი მგმობელი.
როგორ მომეწყინა ესე ყოფნა,
როგორ დავიღალე ამ ყოველით.
თუ კი სიყვარული აქვე მოკვდა,
ღმერთო იქ მარიდე ჯოჯოხეთი.

როგორ არ მიყვარდეს...

როგორ მეშინიან წრფელი სიყვარულის,
უგრძნობელობაც რომ გულის არ მჩვევია.
სადაც სიყვარულზე სადმე ვისაუბრე,
ყველამ სასიკვდილოდ როგორ გამიმეტა.
ნუთუ ვერ დავტიე ასე ამ ჩემ გულში,
ქრისტე სამყარო და საღვთო ათი მცნება.
თითქოს მეშინიან მე იმ სიყვარულის,
მაგრამ გულში ცოცხლობს ის ჭეშმარიტება.
როგორ საშიშია წრფელი სიყვარული,
ეს დაუტევნელი წრფელი საღვთო გრძნობა.
როგორ არ მიყვარდეს ქალო შენში ქრისტე,
როგორ არ მიყვარდეს ჩემო შენთან ყოფნა.

მადლი წყალობა....

თურმე როგორი დიდი ყოფილა,
მადლი წყალობა ამ ქვეყნად უფლის.
თან თან მიხდება ის ყველაფერი,
სიცოცხლით თუ რამ ვინატრე გუშინ.

არ მსურდა სოფლად აქ ყოფა ისე,
უგრძნობლად რომ შემცივნიყო გულში.
მე ბავშვობიდან ეს ნატრვა მომდევს,
ახლა ბუნება თოვას წყვეტს სულში.

მე ღმერთის ახლა სრულებით მჯერავს,
თუმცა გულცივად არც ვიყავ უწინ.
რაც სიყვარული მე მინატრია,
ხალხო ეს თქვენგან მაქვს გულის მუჭში.

ნურც მაშინ მიგლოვთ...

რად მერიდებით სიყვარულში ადამიანნო?
კეთროვანება ჩემი ხორცის არის მიზეზი?
ეს განსაცდელი საუფლოა სულის საოხოდ,
ჩემს მოთბინებას უფლის გარდა ვერვინ მიხვდებით.
ალბათ ასეა საჭირო და აღსრულდეს ნება,
აღსრულდეს ნება მოთბინებით უფლის იმედით.
დღეს მე მომაკვდავს თუ არავინ არ შემიყვარებთ,
ნურც მაშინ მიგლოვთ ცივ მიწაში რომ ჩავიშლები

გმადლობ ჩემო ნინო...

განა რამე მიჭირს არაფერი,
შენთვის დამიღირდა მე ეს ყოფა.
გმადლობ ჩემო ნინო ყველაფრისთვის,
ვმადლობ ამ გულს შენთვის რომ ილოცა.
შენ ხარ ეს იცოდე მზის სხივების,
ჩემთვის სასიცოცხლოდ ცაზე მოსვლა.
შენ ხარ აისი და ალიონი,
მკვდარი შენზე ფიქრმა გამაცოცხლა.
განა რამე მიჭირს არაფერი,
ღირდა ამ გრძნობისთვის თამადობა.
შენით ეს იცოდე გამოვცოცხლდი,
შენით მოვიხედე ავადმყოფმა❤

მომხდარზე ვამბობთ...

ენით ყოველი ვამბობთ ყველაფერს,
გონებით თითქმის ყველა ვართ ბრძენი.
ხელს არ ვაშველებთ ჭირში ერთმანერთს,
მოხდება რამე? სულ სხვაა მკვლელი.

ძალიან შორს ვართ რწმენისგან მგონებ,
როგორც წილხვედრი ღვთისმშობლის ერი.
რა გვეშველება ნეტავ ურწმუნოთ?
ვექმნებით ერთურთს წინმძღოლი ბრმები.

ვერც წარსულიდან ვისწავლეთ რამე,
შევურაცხვყავით მრევლი და ბერი.
თუ გაგვიჭირდა უთუოდ სადმე?
მაშინ გიყვარდეს კი გვახსოვს ღმერთი.

უსამართლოს გამმართლები...

მოღალატეს უნდა სცნობდეს,
მისი ჯიში მოდგმა გვარი.
ასეთთან ჭიქას ვინც აწევს?
ის კაცია შესაზარი.

მაგრამ არის ჩვენს მოდგმაში,
სად ძალა ბოდიშიც არის.
უსამართლოს გამმართლები,
მოღალატის არის მკვდარი.

არასოდეს უჭირს დროს დრო,
დრომ გაუღო ყველას კარი.
რასაც დათეს საღალატოს,
მას მოიმკი ჯვარის ძალით.

ნუ დამიტირებ დედაო...

ნუ დამიტირებ დედაო,
თუ გავე შენზე ადრედა.
ჩემი მზე აქ თუ ჩავიდა,
მოვა იმ ქვეყანაზედა.

ილოცე ჩემი სულისთვის,
ილოცე გულით ძალზედა.
გამიგონია დედანი,
შვილთ ამკვიდრებენ ცაზედა.

მაშ არ იჯავრო დედაო,
ცრემლს ნუ მაირევ თვალზედა.
ჩემი იქ ხილვა თუ კი გსურს,
იფიქრე ღვთის მოსვლაზედა.

გარდაცვალების საგალობელს ასრულებს წვიმა...

გარდაცვალების საგალობელს ასრულებს წვიმა,
ტონს აძლევს ნისლი ვით მგალობელთ დიდი ლოტბარი.
ამ შუაღამეს აღმოხდება დღეს ბოლო გმინვა,
და მიიბარებს მის უკვდავ სულს მზე ცის მოძღვარი.

გაყურსულია ეს მიდამო სამყარო გლოვობს,
გარდაცვლილ ღამეს თავს უნთია მთვარე კელაპტრად.
სულთა თანაო წვიმის ისმის გალობა მხოლოდ,
ღამის სასახლეს ვარსკვლავები ზეწარად აკრავს.

კლდენიც დამდგარან დროს ელიან გამოსვენების,
უნდა უმარჯვონ თენებამდე ღამის დაკრძალვას.
ნელ ნელა წყდება წვიმის წვეთთა საგალობელი,
და მკვდარი ღამეც სულით იწყებს მზისკენ აღმასვლას.

* * *

არ მიყვარხარო ეს როგორ ვთქვა შენ ჩემო მტერო,
უსიყვარულოდ გამოვდივარ მეც შენნაირი.
მე რომ მიყვარხარ იმიტომაც მტერი ვერ მძლეობს,
სიყვარულში ვარ სიყვარულით შენზე ძლიერი.

ზღვა აზვირთული...

ზღვა აზვირთული ტალღებით ღელავს,
ქარი ქრის ნეტა როგორ იცოდე.
შენ მიუყვები იმ ნაპირს ნელა,
ვფიქრობ დახრჩობა უნდა გინდოდეს.

შენ ვერც კი ამჩნევ მოგდევ ფიქრებში,
უსიყვარულოდ მე არ დაგტოვებ.
თავის დახრჩობას ნურც კი ეცდები,
სიკვდილთან მარტოს არ მიგატოვებ.

ებრძვის ტალღები ნერვებს დაწყვეტილს,
შენ არ გაშინებს ეს სიმარტოვე.
უზიხარ ნაპირს გულდაწყვეტილი,
მე კი მკლავს ყოფნა შენ სიახლოვეს.

ზღვა აზვირთული ტალღებით ანცობს,
უზიხარ ნაპირს როგორც მედროვე.
რას ფიქრობ ქალო უსიხარულოდ,
მე სიყვარული მაინც მადროვე.

დამიწყდნენ...,

დამიწყდნენ მელნის ცრემლები,
აღარ სტირიან სატირალს.
ფურცლებსაც ვხევ და ძირსა ვყრი,
ვცდები სტროფების ნასუფრალს.

ვთქვი ვფიქრობ ბევრის ტკივილი,
რაც რამ მივიღე თავისად.
დასასრული აქვს ეს ვიცი,
ყოველი კაცის ნაფიქრალს.

მეშლება სიტყვა პასუხიც,
ნურავინ მიწყენთ ამის თქმას.
ალბათ დავბერდი რა ვიცი,
ვიქეც მოხუცი ძაღლის ყბად.

დამიწყდნენ მელნის ცრემლები,
აღარ მაცლიან სიტყვის თქმას.
ფურცლებს ვხევ მოკვდავთ ძირსა ვყრი,
ვუზივარ ლექსთა სასთუმალს.

რამდენი კლდის ქიმს....

რამდენი კლდის ქიმს გადავეკიდე,
იღბალმა მაინც ცოცხლად დამტოვა.
არ ჩქარობს არა ჩემს წასვლას კიდე,
ბედთან ბრძოლაში განა მარტო ვარ.
მე ვარ და არის ზეცა მზიანი,
მზის იქით სულთან ღმერთი ახლოა.
სიყვარული მაქვს გულში ზვიადი,
და სასიცოცხლოდ ძე ღვის წყალობა.

* * *

რადა მკლავ ნეტა ეს მითხარი ან რად მაჯერებ,
იმას რაც თვალით ყურთა სმენით არ გიხილვია,
არ გებრალები? ან ტყუილად თავს რად მაყვარებ?
ჩემი სიკვდილი სიცრუისთვის ხომ სირცხვილია.

* * *

მიტომ არა ვწერ ლექსს რომ მერქვას მე შემოქმედი,
ეს ჩემი სულის მხოლოდ არის მზის ჰარმონია.
შემოქმედთაგან ჭეშმარიტი მე ვიცი ღმერთი,
ეს ერთადერთი უკვდავება ასე მგონია.

მივალ მამასთან...

რამდენი ვცადე აღმართს შედგომა,
უკან მაბრუნებს წუთის სოფელი.
სიავით ცდილობს ფიქრის შემოსვას,
ვერ შემოსძარცვა გულს სამოსელი.

მივალ მაბრუნებს ქარები უკან,
მებრძვის ფანდებით თითქმის ყოველით.
ვერ დამაჩოქებს მაგრამ კი მტანჯავს,
სატანჯველებით მრავლის მთოველით.

ასავლელს მაინც ავივლი აღმართს,
მე ცხარე ცრემლით ცოდვის მგლოველი.
ტანს რაც მამძიმებს დავტოვებ მიწად.
მივალ მამასთან ერთი მლოცველი.

* * *

მიტომ არა ვწერ ლექსს რომ მერქვას მე შემოქმედი,
ეს ჩემი სულის მხოლოდ არის მზის ჰარმონია.
შემოქმედთაგან ჭეშმარიტი მე ვიცი ღმერთი,
ეს ერთადერთი უკვდავება ასე მგონია.

მარი ჟღენტი

მაშინ... იდუმალ იორდანესთან...

მე დავდიოდი უცხო მხარეში,
სადაც არ ჰქონდათ წონა ჩრდილებსაც
და არ ვიცოდი, ის, გილგამეში
ლექსის ენქიდუს მიმაშვილებდა...
მე დავდიოდი! წარმართულ სიზმარს
წითელი ტალღა მწმენდდა იოდით,
იქ სასოება შთანთქავდა „ნიზამს“...
და წყლიდან სულ სხვა ამოვდიოდი!
რათა დაშლილი სულის ფერომონს
შეშველებოდნენ სივრცე მდორენი...
და ქერუბიმნი, შენ რომ გემონენ,
მასმევდნენ მფეთქავ ფრთების
დო... რე... მის!
შეგთხოვე „პური“ – გლახამ თუ მდგმურმა,
ვიგემე – ლურჯი ცით დამშვიდება...
და რა ვიცოდი – ჯერაც უგნურმა –
სული ახლა მტრედს მიმაშვილებდა!
„მამაო ჩვენო...“ შურშულებს პალმაც...
დღე თეთრი ღრუბლის
ფთილებით ფშვინავს,
ცოდვის პლაცენტა
„წამართვა“ წყალმა...
და გხედავ –
მეც!
მეც!
მაღალთა შინა!

გრანელი

იდგა ოქტომბრის ოქროსფერი ფოთლების თქორი
და ფრთებს შმუშნიდა ნამთვრალევი –
ყურძნით – ჰერმესი,
ღრუბლების თეთრი აბრეშუმის „თავსაფრებს“
შორის
ცა იყო ახლოს – თავად ცაზე უცისფერესი!
იწურებოდა წუთისოფლის მოკლე გზა სულმთლად,
შენ ოცნებობდი მკერდთეთრ ქალზე... რომზე...
მადრიდზე...
იფანტებოდა ყველა მხარეს დაღლილი სუნთქვა,
რომელსაც მხოლოდ ყორეს გაღმა არ გამადლიდნენ...
იქ მიწვებოდი უბინაო, შუბლზე შრეებით....
და სული შენი, ვით სამსხვერპლო კრავი ბღაოდა,
ტოტით გიხმობდნენ განძაცვული მკვდარი ხეები...
დავიწყებულნი, დავიწყებულ სასაფლაოდან!
მხოლოდ შენ იცი, იქაური ხავსი ნოტიო...
და ხეტიალი დაღლილ სულთა ფერმკრთალ
ლანდების,
ცის კარაკული რომ მიგიხმობს: ჩემთან მოდიო...
და გივლის ტანში სავსე მთვარის მიკროტალღები...
თითს დაუსვამდი – სამართებლად – მაჯაზე ვენებს,
ცისფერი სისხლი შრიალებდა გჯეროდა მათში,
ძლივს აკავებდი სააქაოს განკვეთილ ვნებებს,
სიზმრებს უყოფდი გარდასულ სულთ... მარადი ბავშვი.
ბედმა გიბედა ბუდის მიღმა გადმოგდება და...
უშენოდ სურდა, მოექსოვა სევდის ქაოსი,
შეგრჩა ოცნება და პერანგი – სხვა არც გებადა –
და ღამეული ჩურჩულები სასაფლაოსი.
იდგა ოქტომბრის ნამდაკრული ფოთლების თქორი.
მკვდრებსაც ჰყინავდა! დროის ფეთქვა იყო...
რა ნელი...
თხელი პერანგით, დახავსებულ საფლავთა შორის,
მთვარის სუზანზე, მთვარის სახით იწვა გრანელი.
გული ბევრს არვის დასწყვეტია: იყავ უბარგო,
თვალს გარიდებდა უღმერთობა, კაცთა ერესი...
ჩიტი კიოდა: ლექსიი!.. ლექსი!.. არ დაუკარგოთ!
ცა იყო ცაზე ცისფერი და... უუცისფერესი!

შეხვედრა დროსთან

რა უნდათ ახლა, ამ სულელ თვალებს?!
დღეს რად ტირიან –
გუშინ გნახე და...
მზერაც ხილვათა – ნაღდად „წვირიან“ –
ჩრჩილიან ფარჩის ფონზე გახევდა...
დღენი წავიდნენ... წლები მიდიან...
„წყალმა“ დაგვლია...
და... ცას ახედა.
დრო ჟრუნა თვალის სტიგმალიბრიან,
ცხრაკალიბრიან ხედვით გამხნევდა
და ძლივს– ისეთი სისწრაფით მსდია –
შევდექ ...
უფსკრულის გადასახედთან.
აქ გზას აცდენილ ფიქრთა ბინდია,
აწმყო წარსულის შოლტვით გახელდა...
მაშ, სისხლის ჩქერნი დღეს რად ყვირიან,
ან რას ტირიან -
გუშინ გნახე და!..
უსიტყვოდ გკითხე: „მე“ ვის მიართვი?
სტომაქს დახედე: ახლაც "აქ მაქო",
და ამიბოლდა სულის წიაღი,
ვით უფლის ხელში
ჟამის თამბაქო!
...ყოფა უდავოდ, ძალზე ძვირია
და დაატარებს უთქმელ ზრახვებს თან,
რა სუსტია და რა უბირია
კაცი...
საკუთარ გარდასახვებთან!
განა, აქ რამე ჩვენი ბრალია?!
ზოგნი ხბოდ ვრჩებით,
ზოგნიც – სახედრად...
წამთა მდინარემ ყლუპით დაგვლია,
ალბათ სწამდა და...
ზეცას ახედა!
ეს... ვერ შევიცან! რუნთა ბინდებში
რითმა ვახვიე სულში თამბაქოდ
და მეც რომ ლექსის კვამლში ვვლინდები,
არც შემრისხოთ და...
უფრო – არც მაქოთ!
დღენი წავიდნენ...
წლები მიდიან!..
სულმა სხეული იხმო სხვა ხევთან...
და დგას დრო, სადაც ლურჯი ხიდია
ცისა და მიწის გადასახვევთან!

მოლოდინის შიში

ჩვენი ცხოვრება შიშებია: თვით მოლოდინის –
ცეცხლი გზნებათა ასი წლის წინ მეც რომ გამიშრა,
გამოვიარეთ კაცთა მოდგმამ „რაც“ და „ოდინიც“
და ლამარიაც, დაწვეული დალის შხარის მთას.
და მოლოდინით დაქანცულნო ტრფობის... სიკვდილის...
გამდიდრების თუ... სად მოგხვდებათ – ვინმეს – ტყვია რა...
ღია იარით გვინდა მოვკლათ სულის სიყმილი,
მოლოდინამდე – მოლოდინით შეგვიტყვია რა...
უსაშველოა დღეს ლოდინი, ხვალაც ლოდინი.
სად დამთავრდება? მივცემივარ უხმოდ მეც ურვას,
თავისას ცეხვავს ფრანსუაზას ცივი როდინი,
მე კი ლოდივით ავყოლივარ დროის წრებრუნვას!
მოდით, მითხარით, რას გვიქადდა დრომ რომ მსახვრალმა,
მზის არბალეტით ცის ნაბადზე ჩასჭრა იარა,
ფიქრში ჩამუხლულს, „უჰაეროდ კოსმოსში“ დამხრჩვალს,
„მამაო ჩვენოს“ გარდა... არა მაბადია რა!

ხე-საბოგირე

ვეთამაშები ამ ცხოვრებას ჩემი ფიქრებით,
სხვა რაღა დამრჩა, გამოექცნენ გაჩეხილ ახოს...
თვალთა ფიალით ჩამოგივლით, სადაც იქნებით,
თუმცა მგონია, აქ, ჩვენს შორის, აჩრდილი სახლობს...

ის იცავს წარსულს! ბერწ ნიადაგს! მომავლის თესლებს
და სურს მძინარე ღმერთმაც იგივ ხილვები ნახოს,
მე ვწევარ ჩრდილში – სარეველის – ვკითხულებ მესნევს
და სიტყვის ფსკერში კიბელების კივილი მაფრთხობს...

არ მითხრათ ახლა, სად კიბელა და სად მესნევი,
მისნობის მადლი თუ ვინმეს აქვს, ისევ პოეტებს,
სასჯელი მერგო სისხლში ყველას გენის შესევის
და მოაგელვებს ნაომარი გზებით დრო ეტლებს,

სადაც თმაგაშლით ქვითინებენ ძველნი მისანნი,
უდღეურ ნაშობთ ძვლებადქცეულ მკლავით არხევენ,
ერთერთ მათგანში დედა-ევას ტყუპი ვიცანი,
ჩუ... ორივენი თურაშაულთ ჩულში ახვევენ...

მშობიარობენ ხვალის სიზმარს ისეთის ტანჯვით
თავქუდმოგლეჯით გადავირბენ გზებზე ბოგირებს,
თითო ნაბიჯი თითო დღეა და წამთა ხარჯვით
ველტვი სიღრმეებს, სადაც კაცი ვერც იბოგინებს...

სადაც ცეცხლი სწვავთ, მაგრამ თავზე ნიმბები ადგათ,
ტანთგამჭვირვალე სათნოებით შემოსილ ევებს,
აქ თუ მალავენ სამოთხის ვაშლს გამოცლილ ბადაგს?!
და რაკი მოველ, ერთ-ორ კუნწალს ჩამოვწყვეტ მევე...

მაგრამ ვაითუ, ვერ გაუძლოს გაშოტილმა ხემ,
დავიწყების წყალს ზედ რომ აწევს ზნით მოძალადის,
თუკი მშვიდობით დაგიბრუნდით, გეტყვით ვინ ვნახე,
სანამ ჭრელ უნასს ვაშლს უფასოდ გამოვძალავდი...

მანამდე... ვიკვლევ აქ რას ნიშნავს ხე-საბოგირე,
წვერით სიცოცხლეს ხელს არ უშვებს (არც მე ვეშვები),
ღამით წელს უშვერს მოცეკვავე მასზე მოირებს
და მკვდარ ედემში კითხვის ნიშნად უჩანს ფესვები!

* * *

სთქვა ვიღაც კაცმა: „ის“ იუდას არ გაუცია,
არამედ ბედმა – კაცის ხელით – უგნურად სცემა...
და... იდუმალმა, სტიქარი რომ ლურჯი აცვია,
რატომ დაუშვა ესოდენი ჩვენი დაცემა?
მე არც კი ვიცი, პლანეტათა უცხო ფუნქცია,
ან ცის ქვევრისთვის – ასე მწარეს, თან ასე ხალასს –
როცა ტვინი გვაქვს – მოზომილად – ათი უნცია,
ამდენი ცრემლის რატომ გვთხოვენ ხარკსა და ღალას?
ასე პატარებს, ასე მცირეთ და ასე მწირებს,
ბედს როგორ გვიწერს ავზნიანი მარსის ხუშტური...
ან თუ თავითვე არ დაგვტოვეს და არ გაგვწირეს,
ვის დააპურებს ამ სულ-ხორცის „ყველი და პური“?!
თუკი... თუ მართლა... „ის“ იუდას არ გაუცია,
რად ჩაანაცვლეს საღვთო სისხლი მიწიერ ღვინით...
ჩვენ თუ ვიზრდებით, ზნით რად „ვერცხლობს“ –
კვლავ ათ უნციად –
ცისკენ ბილიკი – საცალფეხო – ადამის ტვინი?!

* * *

ფიქრში დავიწყე დროთა შრის ხვევა,
ჟამი რომ – ოდით – კაცს ცრემლში ბანდა,
მერე ფეხს თავ-შლით უწმენდდა ევა
და კაჟდებოდა ვაჟკაცად – ადამ!
თესლს აღვივებდა ქალი ღვთის ნდობით -
ნაყოფს კი მუდამ კაცი იმკიდა -
თუმც... მირიადჯერ შობით და კვდომით
ერთი ლუკმა ვერ გამოისყიდა...
ეჰ, მომიტევე უფალო ჩემო,
თუ დაგვრგე ყოფის მწვანე ვენახად,
რა იქნებოდა...
მეე?!
არც რას ვჩემობ...
ვაშლი თვალითაც რომ არ გვენახა?!

* * *

ხედაავთ?
მიწა ზურგს იწმენდს...
და ცეცხლს აფრქვევს ამ ყოფის,
ხვალაც...
იმდენს იწვიმებს –
სულს რომ...
ყლუპად არ ჰყოფნის!
ვით გავუძლო ამ ყოველს?
ამ არეულ დროებას...
ცა!
ცა...
გ ა მ ი ფ ა რ თ ო ვ ე თ
თორემ... მევიწროვება!



ირინა ხურციძე
(ირინოლა ტყეშაველი)

სიყვარულის ფორმულა

ქალავ შენი სიშორით
გული დადარდიანდა,
ვაჰ, თუ სხვასთან წახვედი,
ისევ დამაგვიანდა...

აუშლია ქარს ფიქრი,
დავალ მინდორველადა,
უშენობით ვერ ვხატე,
ეგ ცხოვრება ფერადად.

დაგეძებ, ვერ გპოულობ,
ჩემო ნატვირთვალებავ,
მერამდენე დღე არის,
უშენოდ მიღამდება...

ტრფიალების სასმისი,
ჩემებრ ვინაც დაცალა,
ნუთუ შერჩა ხალისი,
მე უცეცხლოდ დამწვა, რა...

ვმღერი ამ ბაიათებს,
არ მიმტყუნოს ჩონგურმა,
გულში სანთლად ავანთე,
სიყვარულის ფორმულა.

ჩემებური ბაიათები

ისევ მოვა აპრილი

ისევ მოვა აპრილი,
აკოკრებულ ყვავილად,
მოხვეული მანდილით,
მოსახვევში ჩავივლი...

მოჩვენებად ჩამთვალეთ,
ვერც ვიქნები ნამდვილი,
ვგავარ ღამის ნათვალევს,
ნამთვრალევი მარტივით...

არ გეგონოთ მარტივი,
ბედთან შეთამაშება,
ვცხოვრობ სხვა ნარატივით,
რაღა ,,მეშაბაშება..."

თვალში ცრემლი არ შრება,
უბეს მიწვავს წვეთწვეთად,
ველი ჩემი ბავშვობის,
გზაში შემოფეთებას...

ალაგესთან გოგო დგას,
სადღაც სივრცეს გასცქერის,
მასაც ჩემებრ გაცხრილავს,
მალე, დროის ფაცერი...

ჩამოირბენს ბილიკზე,
შავთვალწარბთა ბრიალით,
გაიცინებს ქილიკზე
ქარის, კაბის შრიალით...

მერე ნისლს შეერევა,
საიდანაც მოვიდა,
კვლავ მომიწევს შელევა,
ისევ ცქერა შორიდან...

შენი ჩერო თვალწარბთა

მოდი ერთად ჩამოვკრათ
თარს, საზსა და ქამანჩას,
თორემ ამ გზის ბოლომდე,
დააკვირდი, რა დაგვრჩა,
იმ პირველი გრძნობიდან,
თუ კი რამე გადარჩა,
არსად არ გამეპაროს–
გულს მივუჩენ დარაჯად...
გარეთ ახლა ქარი ქრის,
არ ეღირსა დარობა,
გამახარებ უცილოდ,
თუ მოიღებ წყალობას...
შენი ჩერო თვალწარბთა–
მოფართხალე კალმახი,
ლექსებად რომ აღვწერო,
არ მეყოფა თაბახი...
ჩემი სულის მნათობო,
გიძღვნი ლამაზ ბაიათს,
ცრემლის ტბა რომ გავტოპო,
დამიკარგავს ხასიათს ...
მოდი ერთად ჩამოვკრათ
თარს, საზსა და ქამანჩას,
თორემ ამ გზის ბოლომდე,
დააკვირდი, რა დაგვრჩა...

წუხელ სიზმრად გიხილე

სანამ უნდა მეხუროს
სხვა მიწა და სხვა მზე, ცა,
სიზმრად სხვისი იყავი–
თავზე მეხი დამეცა...
ლუკმა ვერ გაგიყავი,
მწყურვალს წყალიც ვერ გასვი,
ასე თუ გაგრიყავდი,
ვიფიქრებდი ვერასგზით.
ჩემო ღელეღურდაო,
ტყეო ნაშქერენალო,
ნაწყენი ხართ უდაოდ –
თქვენგან წასვლას მეც ვნანობ...
თვალდახელშუა გამექცა
წლები ნაავადარი,
მონატრებად გადმექცა
უფოთლებო ჭადარი...
გაზაფხულს მოველოდი,
ფიქრში ისე დაზამთრდა,
დარდი, შორს რომ მეგონა
აქვე, გულში დასახლდა...
დავდივარ და თავს ვიქცევ
ამ სულის ნაკვესებით,
შევაწუხე მკითხველი,
სევდანარევ ლექსებით.
თავი როგორ გაჩვენოთ
უდარდელ მოშაირედ,
როგორ არ შევაჩვენო,
ვინც მიდგას მოშაირედ...
მიილევა საცაა
ამ ივლისის მზეწვიაც,
ქვეყნად არვის ვუსურვებ,
რაც მე ბედი მეწია.
უნდა მეხუროს
სხვა მიწა და სხვა მზე, ცა,
სიზმრად სხვისი იყავი –
თავზე მეხი დამეცა...

მას შემდეგ

ქარი აშლის ტალღებს და
მზეს მიუსევს ნაშხეფებს,
სადაისო კარებთან,
ლამისაა გავშეშდე...
ჯერ ასეთი სიუხვე
ფერთა არსად მინახავს,
ვხატავ თვალთა ფუნჯით და
გულის ფსკერზე ვინახავ.
ვიდრე ღამე ტორების
უხეშ რხევით წაშლიდეს
მთების მწვანე კალთებზე,
თავის ფარდაგს გაშლიდეს,
უნდა დროზე მოვმართო,
საიდუმლო აკრილი
და მოლბერტი გავმართო,
მონატრებულ აპრილით...
მარტის ოცდათერთმეტში,
კარი გამოვიხურე
და სიმშვიდის სანაცვლოდ,
მრუმე დარდი ვიშვილე,
ფეხქვეშ როცა ვიგრძენი
სხვა მიწა და თავს სხვა ცა,
უკან წამომეწია
ზღვა ცრემლების თავსხმაცა...
ეჰ, მას შემდეგ მეექვსე
წელიწადი დაიწყო,
ჩემი ხელით ჩემს ჭერქვეშ
სუფრა რაც არ გაიწყო...
დავალ ასე ეულად,
სხვის ცას ნაზიარები,
დღემდე ვერ მოვიშუშე
სულში ნაიარები.
ქარი აშლის ტალღებს და
მზეს მიუსევს ნაშხეფებს,
სადაისო კარებთან,
ლამისაა გავშეშდე...

ირმა ალფაიძე

წ ა მ ო–დ ი

წამო, ერთად გავიპაროთ, ჩემო!..
მთის მწვერვალზე ავიშენოთ ქოხი...
მე ხომ ისევ სათავისოდ გჩემობ,
იქ ღრუბლებიც არ იქნება შორი...

წამო, ერთად გავეკიდოთ ქარებს,
გავეცალოთ მიწის მტვერს და ქაოსს...
ჩვენს გრძნობაზე ვესაუბროთ მთვარეს,
ღამით ცაზე ვარსკვლავები ვთვალოთ...

წამო, ერთად დავიჭიროთ სხივი,
რომ გაგვათბოს, სულში სითბოდ ენთოს...
ცისარტყელას მოვიხვიოთ მძივი,
ვიმღეროთ და მთებმა გვითხრან ექო...

წამო, ერთად გადავსახლდეთ მთაში...
გვქონდეს ქოხი, შიგ ბუხარი ენთოს...
სიყვარულმა რომ იფრინოს ცაში
და ლეგენდად გადაიქცეს ერთ დროს...

წამო, ერთად გავიპაროთ, ჩემო!..

ღ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ე

ღვინობისთვე როცა კარებს შემოაღებს შრიალით,
მაშინ სული წრიალებს და...
გულს გაუდის ფრიალი...
მიხმობს სოფლის სურნელება,
მიხმობს ცხადად,
მალულად...
ჰოდა, გული ვერ ისვენებს,
ამ გულს მეტი რა უნდა?!.

ოჰ, ბავშვობა ხელს ჩამკიდებს, გამაქროლებს თავისთან...
რა ტკბილია ჩემი სახლი,
ვიბადები თავიდან!..
სოფლის სითბო...
ქარვის ყანა...
ბია*...
კვახი*...
აკიდო...
გულო,
როგორ ამოვარდი!..
გულო,
ახლა რა გიყო?..

სად წავიდა ბავშვობის დრო,
ან ბავშვობის ხალისი?!.
თურმე ქარებს გაჰყოლია...
ქარი, ვიცით, არ იცდის!..
ეჰა!..
ახლა დავაბიჯებ, როგორც ქალი, ფიქრებით...
ბავშვობა კი გულით დამყავს, ქვეყნად ვიდრე ვიქნები...

შემოსულა ღვინობისთვე, ჭრელი კაბის შრიალით...
ღმერთო,
არვის მოუშალო დიდხანს გულის ფრიალი!..*
(ბია-კომში, კვახი-გოგრა)

ღამის ნოსტალგია

ჩამოიღვენთა ღამე გრძელი, როგორც სანთელი,
ვერ დავასვენე, ბევრი მქონდა მასთან სათქმელი...
ირიჟრაჟა და...გავუყვები ისევ ქვაფენილს,
ქარი კი სადღაც გააქროლებს ფიქრებს– გათელილს...

თუმცა, ვერა ვთმობ!..
ღამე-თბილი როგორ მამშვიდებს...
და განთიადის მოლოდინი რაღაც მაშინებს...
ალიონიდან ჩემი ყოფის ვზომავ ნაბიჯებს,
მაგრამ ყოველდღე
მუდამ
ვიღაც
გულზე მაბიჯებს!..

არ ვიცი, რა ვთქვა, ფიქრდაცლილმა?!.
რისი ვიწამო?!.
დანაბიჯები რომ წავშალო,
რითი ვიწამლო?!.
გთხოვ, დამანახე შენი დიდი ძალა, ცისკარო,
ისე, ვით ღამის, რომ დღის ნდობაც ეგებ ვისწავლო?!.*

ს ა მ შ ო ბ ლ ო

მზე ოქროსფერ თმებს როცა ჩამოშლის
და ქარვის კარავს გაშლის მინდორზე,
არ ვიცი, მაშინ ამ გულს რა მოსდის,
ან მშვიდად როგორ უნდა ვფიქრობდე?!.

როდესაც მთვარე უდგას დარაჯად
ვარსკვლავებს, როგორც შვილებს-დედები,
ზეცასთან ჩურჩულს ნატვრა თან ახლავს,
ფერად ოცნებებს ვეღარ ველევი...

როდესაც წვიმა დარდით ხმიანობს,
ან როცა ქარი ჭორებს მომიტანს,
უფალთან უხმოდ ვმართავ დიალოგს,
ვესაუბრები ასე შორიდან.

ბედნიერ მზეს თუ სევდიან წვიმას...
გულამდე სითბოდ მოაქვთ ფერები,
მე ჩემს მიწაზე არასდროს მცივა,
მათბობენ მისი თბილი ხელები.

* * *

(ჩემი მოსწავლის ხსოვნას)

რას ეძებ,
სიკვდილო?!
რატომ ხარ ასეთი?!..
ხანდახან
სასტიკად
უგულო რადა ხარ?!.
რად ცდილობ, აგვიწვა
გული და თვალები...
რად გინდა, ამდენი
სიცოცხლე წაგვართვა?!..

დავდივართ!..
ვოცნებობთ!..
ფიქრებით სად არ ვართ!..
გვიყვარს და ვუყვარვართ,
სიცოცხლეს ვაპირებთ!..
და უცებ...
არ ვიცით,
სიკვდილო,
სადა ხარ?..
მოხვალ და...
ჩვენს სათუთ ოცნებებს წაიღებ!..
. . . . .
და რატომ,
ან რისთვის ასეთი სასტიკი?!..
ბავშვი ვარ!..
მადროვე!..
რადა ვარ სამიზნე?!.
მართვე ვარ,
მეც მინდა,
რომ გავხდე არწივი!..
სიკვდილო,
ბავშვები როგორმე დაგვინდე!..

ლეილა ვადაჭკორია

სამყარო

ესა ვარ ბებო, რაცა ვარ
გალეწილი ვარ კალოზე,
ხან მზემ მაცხუნა თაკარამ,
ხან ქარი მწეწდა სამოსელს.

კეთილიც ვნახე, ბოროტიც,
ავი თვალისა ცემაცა.
მაინც დამგესლა, თუმცაღა
არც არაფერი მემართა.

სიტკბოც ვიგემე, ლამაზი
ოცნებები თავს მეყარა,
მთელი არსებით ვინდომე
სიკეთის ნერგს რომ ეხარა.

ღრუბლებშიც ბევრი ვიფრინე,
აღმართს მოსდევსო დაღმართი,
სულ ცოტა შემოგეშველე
ბებო სამყაროს აღქმაში.

უპასუხო კითხვები

ამ მაიდანს რომ უყურებ
ამდენ სალოცავს რომ ხედავ,
სიტყვა მაინც საძრახისი
როგორ უნდა დაგცდეს ნეტა?
რატომ არ უნდა გიყვარდეს
ვისაც შენი სულის ესმის?
ასე, როგორ გაგვიმეტეთ,
სულ არ შეგეშინდათ ღმერთის?
კითხვებს მოვრჩი უპასუხოს,
თავს იმშვიდებთ, თავად იცით...
ჩვენს ფუძეზე დავბრუნდებით
ღვთის წინაშე დავდეთ ფიცი.
ვერასოდეს მოესწრებით
ჩვენი მორჩილების ხილვას,
დედამიწამ მიითვალა
საქართველო ნათელ სხივად.

***

გარეთ ხვატია ისეთი
მიწას აუდის ალი,
იებმა სული მოითქვეს
შენ რომ მიუსხი წყალი.
განთიადს ასწრებ ადგომას
რომ მოიხადო ვალი,
ვინც ნარცისივით იცხოვრა
ვაი, იმის ბრალი.

***

ღმერთმა არა ქნას
ოცნება ჩაკვდეს,
ღმერთმა არა ქნას
გამიქრეს მრწამსი,
ვინღა ვიქნები
ამ ქვეყანაზე,
ან რა იქნება
სიცოცხლის ფასი?

მთვლემარე გრძნობა

თუ მხოლოდ ლტოლვა
იყო და გაქრა,
ცრემლი რად გიჩანს
მწუხარე რად ხარ?
– აბა რა ვიცი?!
ჩემო ალვის ხევ,
ახლა რასაც ვგრძნობ
შენ თუ გაგიმხელ.
იცი?! რამდენჯერ
თვალს მოვეფარე,
ხან წვიმას მოდევს
ხან კიდევ თოვას,
სხვას მიენდო და
მაინც ალივს ხევ,
მაინც მიღვიძებს
მთვლემარე გრძნობას.

ჩემი ქუთაისი

ჩემი ქუთაისი ლაღი ქალაქია
მკერდზე გვირილებით მოფენილი,
ჩემი ქუთაისი სიბრძნის ქალაქია
მითიურ ფრთებით მოფრენილი.
ჩემი ქუთაისი მჩქეარე რიონია
მთიდან მოვარდნილი, მონაქუხი,
ჩემი ქუთაისი გალაკტიონია
თეთრ ქვებზე ასხლეტილი მზის ნაშუქი.
ჩემი ქუთაისი წყალწითელაა
სისხლით ნაწამებთა დაფერილი,
ჩემი ქუთაისი აკაკის ჰანგია
ტკივილზე მალამოდ დაფენილი.
ჩემი ქუთაისი გელათი, ბაგრატია,
გეგუთი სუნთქვაა თამარისა,
ჩემი ქუთაისი წმინდა ქალაქია
ლოცვად დაცემული, ღაღადისად.

ღირს

ღირს მოვიხადოთ ვალი მართლაც
საშვილთაშვილო,
რომ ივერიას მომავალში
ადგეს ნათელი,
არა ღალატი, გულგრილობა,
არამედ წმინდა,
სიყვარულის და ერთგულების
გვენთოს სანთელი.
მხარი – მხარს მივცეთ, მომავალი
ვაშენოთ მკვიდრად,
დე, ჩვენი გარჯა სამშობლოსთვის
იყოს ალალი,
დასრულდეს ძიძგნა და ღვთისმშობლის
წილხვედრ ქვეყანას,
ღმერთმა უმრავლოს ბედნიერი
შთამომავალი!

სიყვარულის არშია
(ხალხურ მოტივებზე)

ენძელამ უთხრა იასა
ჩემო ლუჯთვალა, პაწიავ,
ლურჯი კაბა რომ გიხდება
იავ ამიტომ გაცვია.
მოვა ვაჟი და მის სატრფოს
იებს ჩააბნევს თმაშია,
ნეტავი გამოვდგებოდე
მეც სიყვარულის არშიად.

***

სევდაც ხომ სულის
სამკაულია,
გრძნობებს სულ ელვად
გადაუვლიათ.

გიგი თეთრაძე

პოეზია გადაგვარჩენს

ალბათ პოეზია გადაგვარჩენს
სულიერება ხეზე დაკიდეს,
ბოლოს უფალი გადაგვარჩევს,
ოცდაათ ვერცხლად,რომ გაყიდეს.

მჯერა პოეზია აგვამაღლებს
თუნდაც რითმები გაგებნეს,
ბოროტს პოეტი ასამარებს,
დილა სიკეთის,რომ გათენდეს.

მჯერა პოეზია გადაგვარჩენს
ადამიანებს ცოტას თუ გაუგებ,
ლექსი საუკუნოდ,რომ დარჩეს
პოეტი გოგლგოთას უნდა გაუყვეს.

ჩემი მზე

ამინდი იყო საოცრად მშვიდი,
სოფლად მივედი და მზე არ დამხვდა,
ღრუბლებს იქითაც,მხოლოდ ცა ჩანდა,
რადგან ჩემი მზე ქალაქში დარჩა.

მარტო ვარ,სიოს ვესაუბრები,
ჭორებს მიყვება სოფლის,
რა მცირედია ცხოვრების გზები
უკან მოსახედად დროც არა გვყოფნის.

სითბომ მოტეხა მკაცრი ამინდი,
გაყინულ ძარღვებს დაუვლის მალე,
დღეს მენატრები,დღეს მინდა შენთან
შენ კი ჯიუტობ, ხვალ იყოს, ხვალე.

სოფელი იყო საოცრად მშვიდი,
ცას გავცქეროდი, მზე კი არ ჩანდა,
წამით დავფიქრდი და გამახსენდა
ჩემი თბილი მზე ქალაქში დარჩა.

* * *

თუკი სადმე წახვალ
წამიყვანე მგზავრად,
უკან გამოგყვები
და არ წავალ არსად.
თუკი დაიღლები
წამოწვები ტახტზე,
ჩუმად მოვალ შენთან
და გაკოცებ თავზე.
როცა ჩაფიქრდები
მარტოობას არჩევ,
ფიქრებს მიეცემი,
ფიქრის ხეებს არხევ.
ზურგს მე გაგიმაგრებ
გიდარაჯო უნდა,
გულში ვიტყვი ასჯერ
მეყვარები მუდამ.
ღამით, როცა ძილი
წაგაბრძანებს სიზმრეთს,
მე ვიქნები ფხიზლად,
რომ შევიცნო სივრცე.
სივრცე სადაც სუნთქან
სადაც გული გიცემს,
სადაც შენი ხმები
ყველა კუთხეს იცმევს.
მე ვიქნები ფხიზლად
თავს დაგადებ მკერდზე,
ყველა ამოსუნთქვას
ვიწერ გულის ფსკერზე.
თუკი გაბრაზდები
აიხირებ რამეს,
მე მოგისმენ მშვიდად
დაგიკოცნი თვალებს.
შენთვის მინდა რაც მაქვს
ისიც რაც არა მაქვს,
შენი გაღიმება
არავისას არ ჰგავს.
თუკი სადმე წახვალ
წამიყვანე სტუმრად,
უკან გამოგყვები,
მეყვარები მუდამ.

პორტრეტი

სამყარო თითქოს ყველასია,
თუმცა არ წყალობს ყველას სამყარო,
მავანი ისე გაზუნუქდა გაუქრა კისერი,
ქუჩის ბოლოს ბერიკაცი დადის ფეხშიშველი.
მოდი და გული ნუ მოგივა,
ადამიანი გათაღლითებული ორი გროშის გამო,
პირში ისე გიცინის და გეფერება
ლამის საკუთარ თავს ავნო
მე ხომ არა ვარო სულელი.
კაცს გაიცნობ და ვაჟკაცია,
იტყვი, არ გადაშენდებაო ქართველი,
მალე ისეთი ჟამი გამოხდება
უკან წასაღები გაგიხდება სათქმელი.
ჩემო მიწაო ფერი წითელი გაქვს
საუკუნეების სისხლით ნაჟღენთი,
სევდის და ტკივილის ბუნაგია
შენი ისტორია, ცრემლად ნაღვენთი.
თავი შევინახეთ არ გადავჭიშდით,
რწმენა არ გავცვალეთ ოქროზე,
ენა და მამული დავიცავით,
ქრისტეს ვუერთგულეთ ბოლომდე,
დღესაც ვერ ივიწყებს მტერი დიდგორს
გული მოსდის გამარჯვების ზეიმზე,
ალგეთს ლეკვები იზრდებიან,
ამობრწყინდება ივერიის მზე.
საკუთარის გმობა და დაცინვა
ვიღაცამ გახადა მოდური,
გადმოგდებულ ანკესს ბევრი წამოეგო,
ჰოდა დარჩებიან წამოგებული.
ღირებულებებს ესროლეს ტალახი,
ვაჟკაცებს უწოდეს ბნელები,
კაცი კაცს თუ ცოლად გაყვა
ესენი იქნებიან ჩვენი მხსნელები?
ცოტა უცნაურად ფეთქავს ქვეყანა,
ჩვენთვის მიუღებელს გვაძლევს და გვაჩეჩებს,
აქეთ ოკუპანტი შვილებს გვიკლავს,
იქით უღირსობას გვაჩვევენ.
მიწის გამყიდველი ქართველები
ფულის საჭრელ სკამზე წამოჯდნენ,
ჩხუბი,ლანძღვა და ქაოსია,
საქმის კეთებაზე დამუნჯდნენ.
არც რწმენა,არც საქმეები,
რითი გამართლდებით უფლის წინაშე?
ღვთისთვის არასათნო ქცევებით
ჯოჯოხეთს იბევებთ მიწაზე.
პრიორიტეტული გახადეს ნარკოტიკი,
სახელად უწოდეს მსუბუქი,
ბოლომოგეღებათ ასეთ ვაიკაცებს,
თქვენი საფლავის ქვა იქნება მსუბუქი.
ჩემი სამშობლო ყველაფერს უყურებს,
მის სიჩუმეში იგრძნობა სიბრაზე,
მარიამის კალთა ყველას არ გაწვდება,
ბევრი დარჩებით სოდომის მიწაზე!

❤ ე ლ ე ნ ა ს ❤

ლ ამაზ თვალებში მზემ დაიბუდა,
ე თამაშება წამწამთა წყობას,
ნ ატვრა ახდება წლების ნაფიქრი,
ა ანთებს ცეცხლებს ეს ჩუმი გრძნობა.

შორენა ჩხიკვიშვილი

ისტორია ქართლისა
პოემა

როს მტერს ეჭირა ჩვენი ქვეყანა,
მხარე ლამაზი, მზის და ვარდისა,
მაშინ გამოჩნდა გმირი ფარნავაზ,
პირველი მეფე ტურფა ქართლისა.
გამოქვაბულის ნანგრევებიდან,
ეზიდებოდა ვერცხლსა და ოქროს,
აზონის ჯარი ებრძოდა ქართლსა,
მტერი ანგრევდა ციხისა გოდოლს.
უზარმაზარი პონტოს ლაშქარი,
როდესაც ლეწდა მცხეთის გალავანს,
ეგრისის მთავარ – ქუჯისთან ერთად,
მედგრად იბრძოდა მეფე ფარნავაზ.
მან მთის მწვერვალზე კერპი აღმართა,
გადაასწორა ქვიანი რიყე,
ქართლის სამეფოს მთავარ ღვთაებად,
ამოირჩია არმაზის ციხე.
როს აირია ბედისა ჩარხი,
წარმართთა ხელში იყო ქვეყანა,
ჯავახეთის გზით მოვიდა ნინო,
ქრისტიანობა შემოიტანა.
მან მაყვლის ბუჩქთან დაიდო ბინა,
ვარდის სურნელი იგრძნო მიწამა,
როცა განკურნა სნეული ხალხი,
რჯული ქრისტესი ყველამ იწამა.
როდესაც მტერი ქართლს შემოიჭრა
და აელვარდა ქართული ხმალი,
მაშინ სამეფო ტახტზე ავიდა,
სწორუპოვარი ის გორგასალი.
ქართლსა მართავდა ძლევამოსილად,
აწარმოებდა იგი დიდ ბრძოლებს,
სახელოვანი გამარჯვებისკენ
მოუწოდებდა თავის მებრძოლებს.
თავზარი დასცა სპარსელთა ლაშქარს,
როს გააჩაღა ფიცხელი ომი,
მტერს შიშსა ჰგვრიდა მის მუზარადზე
გამოსახული „მგელი და ლომი“.
როცა შეეკრა მოღალატეებს
დაუნდობელი მტერი, ვერაგი,
ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე დაჭრეს და
გაგლიჯეს მისი ჯაჭვის პერანგი.
ასე დასრულდა მისი მეფობა
და შეწყდა ომი, მრავალწლიანი,
და მადლიერმა ქართველმა ხალხმა,
დროშას უწოდა „გორგასლიანი“.
როს შემოიჭრა ქართლში მურვან-ყრუ
და ქრისტიანთა დევნას ცდილობდა,
დღესაც შემოგვრჩა ჩვენ საამაყოდ,
არგვეთელ ძმათა მოწამეობა.
სრულად უნდოდათ ქვეყნის დაპყრობა,
განადგურება ქართლ-კახეთისა,
ზღვის ქვეშ მოექცა ანაკოფია,
მთავარი ციხე აფხაზეთისა.
დროებით ხარკი რომ შეგვიწყვიტეს
და ქართლს გადასცეს „დაცვის სიგელი“,
მაშინ მტკვრის პირას დაწვეს ულმობლად,
გმირი ჭაბუკი აბო თბილელი.
იღვწოდა აშოტ კურაპალატი,
მან გაამაგრა ციხისა ბურჯნი,
იქ ააშენა ტაო-კლარჯეთი,
დედაქალაქად კი – არტანუჯი.
გამეფდა დავით კურაპალატი,
ის დაეხმარა ბასილ კეისარს,
უხვი წყალობა უბოძეს მაშინ,
დიდ სარდალსა... თორნიკე ერისთავს.
ერისთავმა კი სრულად შესწირა,

ის დიდი განძი ივერთ მონასტერს,
რათა ეღვაწათ ღვთის სადიდებლად,
„მთაწმინდელ“ მამებს და ბერ-მონაზვნებს.
მტკიცედ აგებდა ბედიის ტაძარს,
უძვირფასესი მეფე ბაგრატი,
საქართველომ კი დაკარგა იგი,
ვეღარ მივდივართ დღეს იმ ტაძრამდე.
ბევრი ნივთი ხომ შენახულია
და ჩვენ შემოგვრჩა ძველი განძივით,
ბაჯაღლო ოქროთი მოხატული,
უძვირფასესი ნივთი „ბარძიმი“.
„უშიშარი, ვითარცა უხორცო“,
მეფე გიორგი, შეუდრეკელი,
მას შეერკინა მძლავრი მეტოქე,
ბასილ მეორე – „ბულგართმმუსვრელი“.
მტკვრისა და არაგვის შესართავთან,
მან ააშენა სვეტიცხოველი,
მას, გონიერსა და ახოვანსა,
ხანმოკლე ჰქონდა წუთისოფელი.
დიდი დავით აღმაშენებელი,
იყო მებრძოლი, დაუღალავი,
პატრიოტი და თან მწიგნობარი,
უძლეველი და შეუპოვარი.
დავითი ლაშქარს წინ მიუძღოდა,
იგი გრგვინავდა, ვითარცა ლომი,
ხმლით და მახვილით მედგრად იბრძოდა,
ასე მოიგო დიდგორის ომი.
დავითის შვილი – მეფე დემეტრე,
გლახაკთ მოსარჩლე და მწყალობელი,
მანვე დაწერა „შენ ხარ ვენახი“,
ქრისტიანული საგალობელი.
მამისა მსგავსად, დემეტრე პირველს
არ დაჰკლებია ღვაწლი და გარჯა,
აფართოებდა სამეფოს საზღვრებს,
ბრძოლით აიღო მან ციხე „განჯა“.
როცა დაგვიდგა ჩვენ „ოქროს ხანა“,
გაქრა სიავე გარდასულ დროთა,
მაშინ წერდა და თამარს უძღვნიდა
„ვეფხისტყაოსანს“, სულმნათი შოთა.
ამორძალივით დამშვენებული,
გაბრწყინებული მეფე თამარი,
დიადი იყო მისი აზრები,
ჩაუქრობელი, როგორც ლამპარი.
გულზე ეკიდა მას ქრისტეს ჯვარი,
მარგალიტებით დამშვენებული,
„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“,
იყო ქვეყანა გაშენებული.
როს შემოიჭრნენ ქართლში მონღოლნი,
ქვეყანა იყო ხარკდადებული,
ყაენს ეახლა წარბშეუხრელად,
მეფე დემეტრე „თავდადებული“,
არ ასვენებდა ჩვენსა ქვეყანას,
დაუნდობლობა შაჰ-აბასისა,
მტერს მუსრს ავლებდა, ანადგურებდა,
ხმალი, გიორგი სააკაძისა.
გათავისუფლდა სპარსთა უღლისგან,
კახეთის მდიდარი მთა და ბარი,
შაჰმა სიკვდილით დასაჯა მაშინ,
ბიძინა, შალვა და ელიზბარი.
ვახტანგ მეექვსემ არ მოისურვა,
ირანის შაჰთან კავშირის გაბმა,
მან დააარსა და განამტკიცა,
საქართველოში პირველი სტამბა.
ბრძოლებში იყო სახელგანთქმული,
მეფე ერეკლე, მარდი, გულადი,
ხმლის ერთი დაკვრით მიწაზე დასცა
ლეკთა სარდალი – კოხტა ბელადი.
მამულისათვის ზრუნავდა მუდამ,
„მამა ერისა“ – დიდი ილია,
მას წიწამურთან ტყვია ესროლეს,
იგი წავიდა ვალმოხდილია.
ასე იღვწოდნენ, ასე ცხოვრობდნენ,
დიდი ბრძოლით და ვაივაგლახით,
სამშობლოსათვის დიად მებრძოლებს,
არ დაივიწყებს ქართველი ხალხი!

20.04.2010

იზოლდა მოშიაშვილი

საქართველოს

ბუნების მადლს მოზღვავებულს
უკვდავება შეუქმნია,
სიყვარული ორ ერს შორის,
გზად და ხიდად გაუდია,
ჩემო ტკბილო საქართველო,
მოველ რომ კვლავ მოგეფერო,
და ნატვრის ხეს მარად უჭკნობს,
ჩემი ცრემლი დავაპკურო.
მსურს ვიარო ძველ ქუჩებში,
მართლაც რომ მომნატრებია,
სადაც ოდესმე ფეხი დამიდგამს ,
მრავალი ღამეც მითენებია.
არჩამქრალიყვეს ის ცეცხლი,
გულში კვლავაც რომ ანთია,
სიყვარულით ნაშენი,
ფუძე მუდამ მძლავრია.
ერთი მუჭა სიყვარული,
ჩემით ნაფერებია,
ყველას გაგინაწილებთ,
ეს ხომ ჩემი ვალია.

წუთისოფლის სურათები

დროის მანქანა მიჰქრის, მიგვაფრენს,
ვკეცავთ ცხოვრების აღმართ-დაღმართებს,
როგორც ვშობილვართ ისევე წავალთ,
მხოლოდ კვალს ვტოვებთ ჩვენსას წარუშლელს.

წლებს ნუ დავითვლით, უბრალოდ დაგვღლის,
გარდასულ დღეთა გამოდევნება,
გზის მანათებლად წინ წავიმძღვაროთ
ღმერთით ნაბოძი ავლა-დიდება.

დროის დინებას ვინ შეაჩერებს,
ცხოვრებას ტკბილს და ხანაც მშფოთვარეს,
ვინ აღუდგება მის სიძლიერეს,
წუთისოფელის უცვლელ კანონებს.

წუთისოფელში წუთის საზომი,
ყველა დარისთვის თანაფარდია,
რომ გავიტანოთ ცხოვრების ლელო,
ეს გამარჯვების დასადარია.

თუმც კი მოკლეა ჟამი ცხოვრების,
ბედის ვარსკვლავი თან დაგვდევს მუდამ,
სად სიხარულის ჩამოჰკრავს ჰანგი,
ხან კი დღეები იქცევა კუშტად.

რწმენა მომავლის ძალას შეგვმატებს,
საკუთარ თავთან ჩვენ გვმართებს ბრძოლა,
იმედი გვქონდეს ხვალინდელი დღის,
რადგან რაც წავა ის აღარ მოვა.

დედას

დედავ ტკბილო არსებავ,
გლოცავს ღმერთი განგება,
თავს გევლება სათუთად,
ფიქრი ჩემი თავნება.

დავკრებ ყვავილთ მრავალფერს,
წითელსა და თეთრ ვარდებს,
სიყვარულით მოგიძღვნი,
გაგიქარვებ გულს დარდებს.

როს ვიხილავ შენს სახეს,
დაგიკოცნი მაგ თვალებს,
მუდამ ვეთაყვანები,
შენი ფეხის ნაკვალევს.

ნაზად მივეფერები,
თმას ჭაღარას ბევრის მთქმელს,
დედა-შვილურ სიყვარულს,
დაუვიწყარ მრავალ წლებს.

გული შენთვის იმღერებს,
სული შენთვის ილოცებს,
მინდა რომ იდღეგრძელო,
სხვას არ ვნატრობ არაფერს.

დედა ვფიცავ შენს სახელს,
დაუვიწყარ შენს ალერსს,
გული მუდამ ატარებს,
შენი სახის ანარეკლს.

ვუმღეროთ სამშობლოს

არარაობად როს გადვიქცეთ ჩვენ ამ ცხოვრების,
ვით მიწა-მტვერი აღვიგავოთ პირსა მიწისა,
სანთელ-საკმეველს ნუ გავფანტავთ უმისამართოდ,
სიმბოლოდ ვიქცეთ ჩვენი საქმით ამავ ქვეყნისა.

მდინარის ჩხრიალს ავაყოთ ჩვენი ჰანგები,
მუდამ გვახსოვდეს სტუმარნი ვართ წუთისოფლისა,
მუსიკის ჰანგზე ჩვენც ვუმღეროთ თავისუფლებას
ძმობას, ერთობას და მშვიდობას ჩვენი ქვეყნისა.

ვუმღეროთ თუნდაც, სულაც რომ არ გვემღერებოდეს,
და სიყვარულით ავაჟღეროთ სიმი გიტარის,
ყოველი სიტყვა ჩვენით თქმული, ნაღაღადარი,
იქცეს ვით ლოცვა ხალხთ შეწირულის.

ვუმღეროთ მიწას მრავალტანჯულს, სისხლით დანამულს,
ვუმღეროთ გმირებს მსხვერპლად ქცეულთ თავისუფლების
მათ გმირ სულებს ჩვენც დავუნთოთ წმინდა სანთელი,
რომ სულ ბრწყინავდეს მომავალი ჩვენივე ქვეყნის.

ბუნების ზეიმი

მიყვარს მზე და მიყვარს მთვარე,
მიყვარს ცა რომ ნათელია,
ჰორიზონტზე როგორ ტკბილად,
თითქოს ცა ზღვას ჩახვევია.

მიყვარს ციდან მონადენი,
წყლის წვეთებიც რომ მღერიან,
დილის ცვარით დანამული,
ყვავილნარის ქორწილია.

ეს ფოთოლთა შარი-შურიც,
მრავალ ამბის მთხრობელია,
დილის სიოც მიჩურჩულებს,
სიყვარულის ზეიმია.

სიხარულის ზეიმია,
გამარჯვების ზეიმია,
აბა როგორ არ მიყვარდეს
ხალხთა ძმობის ზეიმია.

ქეთი სიმონიშვილი

ვზივარ, თავდახრით-ჩვეულად,
განა კაცისად?!– ღვთისადა,
მავანთ ვუცვნივარ ეულად,
ამყოლებს სხვადასხვისადა,
წყალს აღმა როდი უვლია,
მთვარეს ვინ დასვამს მზისადა?!
განაღა ტურა გაიგებს,
მგლები ყმუიან რისადა!

***

უუნაგირო ცხენებივით გადაივლიან,
მონატრებულნი,
გონების მინდვრებს გათელავენ,
მძიმე ფლოქვებით,
სულის წყაროსთან შეისვენებენ,
გულს იჭერებენ,
და ერევიან მოუსავლეთ
მარადისობას...
ჩემი ბალღობის დღეებივით
მოუხელავნი,
თითქოს იყო და არა იყო,
რაც იყო გუშინ,
თითქოს იყო და არა იყო,
და აღარ მახსოვს,
ასეთი ლაღი,
სიცილი როდის შემეძლო უწინ.

საპრილო

უქმად გავლიე ზამთარი,
ყოფით,ჩვეულის ძილითა,
ეგეთა ყოფნა არც არის,
მარტოდენ ძვალით-რბილითა
სცოცხლობდე,თვალი გეხილოს,
სუნთქავდე შენის წილითა,
ცოცხალს, სიცოცხლე მოგწყურდეს,
ჩამქრალს, ანთება სხივისა,
(გტორავდნენ ზამთრის ქარები,
დაგთარეშობდენ ღიმითა...)

როსღა მოვალის გაზაფხულ,
შამიპყროს წერამ წერითა,
ჯვრად დამისახოს მირონი,
უფალმა თავის ხელითა,
მამწყურდეს ლექსად ჩამოსვლა,
ზვავად ჩამოღვრა ხევითა,
მატკბობდეს ყვავილთ ამოსვლა,
ნიავის ჩავლა რხევითა,
ცის სხვენზე მთვარის ავსება,
მთისწვერ დაჯდომა ღამითა,
სიცოცხლე-ცათა შარისხვა,
მეხის გავარდნა წამითა,
ცისკარზე დილა დაღვრილი,
კაბისებრ ლამაზ ქალისად,
გაღმით გაშლილი ხეობა
მტერთა ამშლელი ბრალისა,
დამეზიდოდეს საცქერლად
დამიმარტუოს თავისად,
განა ის ყოფნა ყოფნაა?!
ყოფნა ეგეთა მწადისა,
თორო ზამთარი გავლიე -
ჩრდილიც მაკრთობდა თავისა,
ცოცხალს რა აქცევს ცოცხლადა,
თავო! იმედი ხვალისა,
გულო, მაშ რაღა გატირებს,
თოვლის ქვეშ ია ჰყვავისა!

ეს ისე...
უბრალოდ ნაფიქრი

***

მე ფეხშიშველი დავდივარ ხშირად,
ვრცელია მდელო-დაუსაბამო,
იღვრება სხივი ცის პირიმზიდან,
და ღმერთით ავსებს სულის დარაბებს...
მე ფეხშიშველი დავდივარ ხშირად,
და ალაზანი გულზე გადამდის,
დამაქვს სამშობლო ჩაუმქრალ სხივად,
ჰო, – საქართველო, ულაპარაკოდ!

ან ვინღა მიცნობს, რამდენ ჩემფერას,
თუ ჩაუვლია სოფლის შარაზე,
იმაზე მეტად თუ მყვარებია,
ვაჟა უყვარდა ვიდრე ხვარამზეს,
სამშობლო ისე თუ განმიცდია,
შემკრან მიხასებრ – ერთი ხურჯინით,
დავიპარები ამ ჩემს მიწაზე,
სიტყვისუჩუმრად, თითქო-ქურდივით...
მაგრამ ეს გული, ჰო! გული, გული –
თუნდა, სამყაროს დარდის დამტევი,
სიყვარულისა მხოლოდ მორჩილი,
ლოდზე დამწვარი თაფლის სანთელი –
არავის უცხოს არა სთანიობს,
ძაღლივით ილოკს თავის იარებს,
ავმა აქამდე თუ ვერ წაიღო,
ეხლა რა ჭირი დააჩიავებს?!

***

ლექსებსა სწერსო, ჩემზე ამბობენ,
ავად თუ კარგად ისიც არ ვიცი,
მე -სოფლის თავზე მთები მიცდიან,
და მთების თავზე მიცდის დაისი,
და ფეხშიშველი მიწას ვეხები,
და სიოს რხევას შევიგრძნობ ტანში,
თითქო ესმითო ჩემი ლექსები,
მომაცილებენ მუხები ტაშით.

***

აბა რა მახსოვს, ვინ ვიყავ უწინ,
მოჰგავდა სული ყაყაჩოს ველსა,
დაჰქროდა სიო გრილმორეული,
და ფოთლებს ჩემსას გარემოს ჰფენდა,
ათიათასი ჰყვაოდა ია,
არცარა მქონდა იმათი ფასი,
ვიდექ, გაკვირტულ ტყეთა მეჩხერი,
იხატებოდა ალაზნის წყალში,
აბა რა მახსოვს, რომელ გაზაფხულს,
დამცხრალი მთვარის ავსება ვნახე,
ან მარტის თქეშმა როდის წაშალა,
სულში ამდენი ნათელი სახე,
როდის გავშალე ქორებულ ფრთები,
მკერდი ვუმარჯვე ზათქსა და ქუხილს,
ხომ მისწვდა სული მეათე ცამდე,
და თავი როდის მივეცი წუხილს?!
აბა რა მახსოვს, ვიზვარ და ეხლა,
ოცდამეშვიდე გაზაფხულს ვხვდები,
მოვგავარ სანთელს ლოდზე მინანთებს,
წვეთ-წვეთ ტირიან ჩემი ლექსები,
არც რა ვინ მაქებს, არც ვინა მკიცხავს,
ასე მიფიქრა ქვეყნის გამრიგემ,
დაბადებითვე მქრქალი ვარ ნისლი,
მთათა შუბლებზე წვიმა მამძივებს,
აღარც ის მახსოვს რომელ გაზაფხულს,
მოვგავდი სავსეს ყაყაჩოს ველსა,
როდის ვემსგავსე ეხლა -დაზაფრულს
იანვრის ბებერ, გაყინულ მზესა,
ეჰეჰეი, ღმერთო!შენ უწყი მხოლოდ
დარდიც, სიცოცხლეც, სიკვდილიც,შიშიც...
როდის შევხვდები მზიან გაზაფხულს,
ან მივიძინებ ტირიფის ჩრდილში.
....მაგრამ სანამდი სამშობლო გულში,
ჩამიხუტებდეს მიწიდან ცამდე,
იმგვარ გაზაფხულს კიდევ დამასწარ,
კვლავ ყაყაჩოთა ველს ჩამოვგავდე...

****

ნასახლარებისს ევდა

თოვლსა სთოვს, საღამოს ბინდია,
მოჰგვანან ნიკალას ნახატებს,
მთვარის ქვეშ– ნიშა და მინდია,
წარმართი ხარები სახატე,

მთის ზურგზე, ღრუბლები მიდიან,
ანათებს, ძლივს მბოლავ ჩარდახებს,
მთვარე და სოფელი მშვიდია,
ვითომ და არც არა ადარდებს.

ცეცხლისპირ მე და მე ვბაასობთ,
ტკაცუნობს, გამხმარი წიფელი,
თოვლსა სთოვს, და ასე ტაატით,
სახეზე მადნება ფიფქები...

(არ მახსოვს, არც დღე და საათი,
არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,)
თავდახრით გიზივართ, ჭირიმე!
ვტირივარ, სათქვენო სატკივარს,

თქვენს პარტახ ქვითკირებს ვიტირებ,
უკაცო ყანას და სათიბავს,
(გიჟია მავანი იფიქრებს,
ქვა-ღირღზე ღელვაში რა ყრია,)

მე ვლანდავ, დაჩეხილ ცხვირ-პირებს,
და მაინც ჯიუტად მატირებს,
ღელვა, რომ ამისთვის იბრძოდნენ,
ღელვა, რომ ამისთვის გაწირეს...

არ მახსოვს, არც დღე და საათი,
არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,
თავდახრით გიზივართ ჭირიმე!
ვტირივარ, მაგ ქვათა სატკივარს,

გაშენებთ, ფიქრებში გაშენებთ,
თოვლსა სთოვს ცა ისე მშვიდია,
მოჰგვანან, წარმართულ ღვთაებებს,
მთვარის ქვეშ, ნიშა და მინდია.

(სხვა მეტი არა თუ აღელვებს,
მავანნი იტყვიან გიჟია...)

***

ვწერ და რასა ვწერ არ ვიცი,
ხელ-მკლავი თავად მიმდისა,
შემოდგომისამ ჩამოცრა,
ცხრაკარის ტყეში ბინდისას
ფიქრის ნაღვერდალს ვაღვივებ,
რაც გულის გულში მინთია,
,, შინ შმაგი მოველ" გაბრიელ!
როგორც ვაჟაის მინდია...
ჩემი სიცოცხლის დღეებიც,
რა უგერგილოდ მიდიან,
ითვლება წამის წამები,
როგორც წესი და რიგია,
განა სიკვდილი მაშინებს?!
ან ლაჩრის გული მიდია,
დროთ თუ უდროოთ წამიღებს,
საცა წამსვლელნი მიდიან.
ეხლა სხვა რაიმ მაღონებს,
ეხლა სხვა ჭირი მჭირია,
ვა! თუ ვერა ვთქვა სიტყვები,
უწერლად დანაწირია,
-ვერ გამოვადგე ქვეყანას
-ვერ შაუხვიო წყლულია
-ვერ გავუმთელო ბევრგანა,
ამოგლეჯილი გულია.
-ჯაფა ვერ ვწიო ჯალაბის,
-ვერ გავიტანო ხნულია,
-ვერ გავაშენო ვენახი,
-ვერ შავინახო რჯულია,
გავლიო თავის შამყურემ,
წუთისოფელი სრულია,
ვწერ და რასა ვწერ ღმერთმანი,
წერა-მწერალი სწერავსა,
ჯვარს დავისახახავ, ერთხანი
თვალები ცასა სწვერავსა,
ათას სიკვდლილი მაღონებს,
ათასი ჭირი მჭირია,
ლეგა ღრუბლები გადმოდგნენ,
ცხრაკარის თავზე მიდიან...
ლექსის ნაღვერდალს ვაღვივებ
რაც გულის გულში იბრძვისა,
,,შინ შმაგი მოველ" გაბრიელ!
აქეთ ვაშინებ სიკვდილსა,
თუ მამსვლელია მოვიდეს!
რიდი არა მაქვს სიტყვისა,
წამიღებს თუ ვერ წამიღებს,
ჩემივ ლექსები იტყვისა!

***

ქირსლავს, არა სჩანს მთვარის ნამგალი
ვარდისფერგაკრულ ცას თოვლი ბურავს,
ვდგავარ, მაცვია დარდის აბჯარი,
თავზეც კვლავ ფიქრის ჩაჩქანი მხურავს

ის რაც მე მიყვარს, არც აქ არ არის,
არც ეს თოვაა ჩემი მკურნელი,
ვსახავ ამ ცაზეც, ჩემ სოფლის დევებს,
როგორ აუდით ნისლის სურნელი.

(არის ისეთიც, ვერვისთან ახსნი,
არის ოცნებაც – განუკურნელი...)

სადა ზის ნეტავ ის ჩემი მთვარე?!
რომლის ამოსვლას აქაც სულ ველი,
სად არის ჩემი ბავშვობის მხარე,
სპეტაკი-თეთრი თავსაბურველით,

იქ არის, იქა! საცა დავწირე,
უდგას ბურჯებად ციხე ბებერი,
კავკასიონი შემოამძივებს,
ტყეებს, ცხრაკარის თავზე შეფენილს,

არც აქა სძინავთ ლექსის არწივებს,
იმათი ფრთებით მაინც გეხები,
შენს გამო, მარტო უფალმა უწყის,
რაოდენი მაქვს შენახვეწები...

არც ეს თოვა არ მედება წამლად,
არც ამას უდის დედის სურნელი,
არის, რისი თქმაც არვისთვის არ მწადს,
არის ოცნებაც-განუკუკურნელი...

*

მე დაღლილი ვარ ცისფერი სევდით,
გაცრეცილ დღეებს მივდევ ნაღვლიანს,
ცივია გაღმა ხეობის ხედი,
ველარ მკურნალობს შუბლზე ნატყვიარს,
მე დაღლილი ვღ ცისფერი სევდით,
სევდით, რომელიც უცხოა ვიცი,
როგორც მწევარი მომყვება ბედი,
იქამდე სადაც სიკვდილი იცდის,
აწევს ფანჯარას ოქტომბრის ღამე,
ამღამ ვარსკვლავნი მწყრალად არიან,
ვზივარ, მოველი უხილავს რამეს,
მარტო ვარ ვიცი, დედა მარიამ!
(შემინდე ცოდვილს)

უბრალ ნათქვამი

შენს გზას მისდიე! თავო ჩემო,
მრუდეა სხვისა, ვერ ითანიებ,
ვინძლო სადმე გადაიჩეხო,
ჩაგიდგა კვალში ბედისწერა
მუხლი აქვს მგლისა, არ დაიღლება,
არ გაქრება, სანამ არ დაგლეჯს...
ჰო.. გუშინ თოვდა, გლოვა იყო,
სიკვდილი ყეფდა,
გული ყელმდე მობჯენილი,
გიცემდა დარდით,
აჰა, გათენდა!
ხომ გათენდა,
ღიღინით დახვალ,
იმედით უცქერ,
(მოთამაშე) შარაზე ბალღებს.

შენს გზას მისდიე, თავო ჩემო!
შენი სთქვი მარად!
მიწაზე, ღმერთის ჩრდილი იყავ
ჩუმი და გწამდეს – არაფერია,
ცისქვეშეთში მარადიული,
განა სიცოცხლე დაილევა-
თავადვე დაგლეჯს!

მზია გომართელი

* * * * * * * * * *

იდუმალია სამყარო, სიზმრად..
ცხადშიაც ვიარე.
სიმართლის მარცვლის ძებნაში..
სულ ფორთხვით შემოვიარე!...
ხან მაღლა ვიყავ ვარსკვლავებს,
ვეთამაშე... წრედ მიარეს...
ხანაც ეკლიან ბუჩქებში,
მკაწრეს, ვერ გადამიარეს..
ზოგმა შხამი რომ მაწოდა,
სიტკბოთი გავაზიარე!..
მაწყენარსა და ბოროტსა,
დუმილით შევეხმიანე!..
მან თუკი გადაამეტა,
შენც ნუ მიაწვდი ფიალებს..
მარგალიტების გაბნევა
არ გვიქადოდეს უარესს!..
ზოგსაც რა მოეკითხება,
ენით ცეცხლს ააბზიალებს.
ღმერთო საშველი მოგვეცი..
თავს მეტად ნუ იზიანებს!.
სხვისთვის გაწვდილი სიკეთე,
ჩვენ მოგვიშუშებს იარებს!..
შენგან მორთმეულ სასმისზე
აროდეს ვიტყვი უარს მე!..
ღრუბლებ ფარაჯად მოსხმული,
აბჯრად გონება ციალებს,
მზის სხივი მაცნედ გზავნილი,
იმედად თავს დაგვტრიალებს!
ამ დროს ცხრა კარი იღება..
უცხო ნათება ტრიალებს!

* * * * * * * * * *

მე ხომ ისე შევეჩვიე ტკივილს,
მასთან ერთად ნეტავ როგორ ვივლი...
სევდა ისე მორევია გრძნობებს,
შეციებულ ბალახს როგორც ჭირხლი...
მარტოდ ყოფნა ისევეა ჩემში,
როს ირემი დანავარდობს ტყეში...
დარდი ისე მიჭერია ხელში,
იკლაკნება ვეღარ მიჭერს ყელში!..
სვლას განაგრძნობ უსასრულო გზებში...
ხმა გიწყდება..მინდობილი ღმერთში..
ყველა შენი ნაბიჯი ითვლება,
ყველა ბეწვი დათვლილია შენში!
თუ აიცერ პოეზიის ნექტრით...
არ გასვენებს, მუდამ გიწვევს
ცენტრში...
ხან აჰყვები ზღვის ტალღის მთებს
წვერში...
იქარაფებ..დაეშვები ფსკერში!
ხან მზის სხივთან მისრიალებ მთებში...
დანავარდობ მუზის ქარავნებში...
თვალი უფრო მეტად ფხიზლობს
"ეტლში"..
უნებურად ხვდები სხივთა სპექტრში!
ხან წამოვა უსასრულო თქეში
ხანაც ზიხარ სტიქიების სკვერში...
ქარი, წვიმა "ჩოღუმია"გზებში,
არ ნებდები ბეწვის ხიდზე ხვდები!..
სჯობს იფხიზლო არ დაკარგო ღმერთი...
ტონალობა უმთავრესი ღერძი
მარტვილობა ერთეულთა ხვედრი...
გამოცდაა უფლის მტკიცე ხელში!..
ანგელოზი არ დაგტოვებს მარტოდ,
გეხმარება სულ იღვაწებს
შენთვის!!!

* * * * * * * * * * * *

შენ ხარ ჩემი გულის, სულის გაზაფხული...
და უშენოდ ყოველი დღე გარდასული..
აღარ დღეობს სულ დავეძებ მზეს თაკარას...
მიმასწავლეთ, სად ვეძებო დაკარგული!..
სიყვარულიც ლაბირინთში გახლართული..
ვით მარცვალი სიკეთისა გაძარცვული..
არ დავკარგოთ მოვუყაროთ ერთად თავი..
ვაკოწიწოთ და ავანთოთ
კელაპტარი!..
თვეებია ველოდებით ბრდღვიალა მზეს..
დაიკარგა ღრუბლებშია
ჩამალული...
დრო კი მირბის დაპირების მოლოდინში..
თითქოს ღრუბლებს მძევლადა ჰყავს
აყვანილი!...
ქარიც ცდილობს რომ დამალოს სიყვარული...
სადღაც ხევში მიყუჟულა დაბნედილი..
აღარ ძალუძს მეტოქესთან გამკლავება..
დამარცხებულს ფარხმალი აქვს,
ჩანს დაყრილი...
ეს კუდია ზამთრის რისხვის
ძნელად მიდის..
ვერ მოიგო კაცთა გული, გაყინული..
ნაბადს იკრებს..არშემდგარი დარცხვენილი...
წვიმის თქეშით გალუმპული გაზაფხული!..
ზაფხულია მომლოდინე უკვე რიგში...
თმას ისწორებს, კოპწიაობს
გული მისდის...
გრძნობს ვალი აქვს მორჩენილი გაზაფხულის...
სიხარული მოგვახვიოს არნახული..
ძმასაც კუდი რომ უსწოროს შერცხვენილი!..
თან აგვავსოს სითბოთი და სიყვარულით!

* * * * * * * * * * * *

ნუ მიმატოვებ უფალო, ნეტავ კვლავ
მომეცეს შვება...
გასაუბრება რაკრაკით..მთიდან წყარო
რომ ეშვება...
როს მისალბუნებს დარდებს და... გულ
იალაღად მერთვება..
ახლად გაშლილი კვირტები, ძლიერ
იმედად ერთვება!..
არ აძლევს ნებას
დამსეტყვოს..იავარქმნილად
მაქციოს...მოყვარეს გული ატკინოს, მტერს
სიხარული აძლიოს!
ბოძადაც გაგეხიდები...
ვარსკვლავნი ძმებათ აქციო!
მთვარე ქამრად რომ მოირტყა,
მზემ სიყვარული გაფრქვიოს..
წვიმამ მზის სხივთან ნარ-ნარით,
ცისარტყელები
გაკმიოს...
ასე ერთგულად შეკრულსა,
ღმერთმა ზურგი არ გაქციოს!..
სამშობლოვ ჩემო რა გითხრა,
რით განუგეშო..ვარ წიოდ!..
გაფანტულ შენი შვილები,
ვკრიფოთ, ბუკეტად გაძლიოთ...
მოგართვათ, გული ვიჯეროთ
სანთელ– საკმევლად
ვანთიოთ!..
ღმერთო საშველი მოგვეცი,
ჭაპანი კვლავაც
გავწიოთ...
სამშობლო მტერს არ ვუტოვოთ, აკვანი
ისევ ვარწიოთ!..
ჭირგამოვლილი ათასჯერ,
ქვეყნის ბადახშად
ვაქციოთ!...

ეთერ ისაკაძე

იმერეთი

საპოვნელას არ ვეძებდით იმერეთში,
კაცხის სვეტის მოსალოცად წასულები,
გავეცალეთ ქალაქის თქორს, ბუღს და ქაოსს,
სად ბევრია ბოროტი და ავსულები!

ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგვეგება,
ქუჩის პირას ხელებს გვართმევს ვაშლის რიგი,
აქეთ ტყემლებს დაუხრიათ მორცხვად თავი,
გვეხვეწება – დამკრიფეთო ჩქარა, მიდი...

პეპლებივით ირევიან ფერთა გამა,
ზოგი წითლად, ზოგიც შავად დარახტულა,
შორს კორომი ბროწეულის ალნადები,
აბრეშუმის სინაზეში აფაკლულა!

ეს რა თავბრუ დაგვახვია ღმერთო ჩემო,
არ გვეთმობა, აღარ გვინდა წასვლა არსით,
არ მოგაკლოთ ღვთის წყალობა მაღალ ღმერთმა,
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავის კალთით!

მე ვით ვწერო

მე ვით ვწერო, გავისარჯო,
რა უნდა ვთქვა ჯერ ართქმული,
რა სიტყვები მოვიძიო,
ზეპირი თუ წაკითხული?!
ერში კარგ მთქმელს რა გამოლევს,
უჰ, იმდენი დაიწერა,
ნიჭიერი პოეტების
ქვეყნადაა უხვი ცვენა!
ჩემს სამშობლოს, შენსას, მისას,
ხოტბას ვასხამთ ყოველ კუთხით,
წინაპარნი საგმირონნი,
ვით შევამკო, რომელ ნუსხით?!
ენა ტკბილი, ანი – ჰოე,
ხელნაწერი – კალმით, ლურსმნით,
ხელთუქმნელი საოცრება,
დაუთვლელი ვაზის კურცხლით!
ველ – ზურმუხტნი, მყინვარწვერნი,
მოხატულნი მხატვრის ფუნჯით,
სანცვიფრელნი მიწა – წყალნი,
თავმდაბალი, რჩეულ გურჯით!
გვგლიჯეს, დაგვწვეს, გვაწიოკეს,
იავარგვქმნეს, მონად გვყიდეს,
არ დაგვინდეს ცის ქვეშეთში,
აღუწერელ წესით გვსჯიდნენ!
ქრისტეს რწმენით გავიმარჯვეთ,
დედა ღვთისას ლოცვა ვიმკეთ,
ათასწლეულ ვაზის ლერწმით
ნინოს ჯვარი წინ წარვიძღვეთ!
დღესაც მოდის ოკუპანტი,
თვალწინ ხლართით გვაგლეჯს მიწებს,
ვერ გადუვა, არ შერჩება
მამა ღმერთის განსჯას, რისხვებს!
საითკენაც გაიხედავ
ცად აჭრილი ჯვარი გვიმზერს,
გეშინოდეთ ყველას უფლის,
სიყვარულით ერთად ვიდგეთ!

სამების მთებში დაქროდა სიო

მე შევიმოსე
ნეტარი სხივით
და უთეთრესმა
ნისლმა დამფარა,
მე არ ვიდექი...
ჰაერში თითქოს
ანგელოზებმა
ხელით მატარა!
მამაო პეტრე
მამკობს ლოცვებით,
მაყენებს მაღლა,
დიდ კორიფეზე,
მე არც კი ვიცი
რა ჰქვია ამას,
დავფრინავ სადღაც
ცის ჰორიზონტზე!
ჩემი ბაგენი
მე არ მეკუთვნის,
თითქოს– უფალი
ამბობს
ჩემს სათქმელს,
აქ აფასებენ
მშობლიურ კუთხეს,
ჩემს ნამოღვაწარს,
ნაწერს, ჩემს საქმეს!
დიდი პოეტის
მუზეუმს ათბობს,
ტკბილი სიტყვები
გმირ პოეტების,
ქალბატონები
გულში მიკრავენ,
მუზას შერწყმია
ხმა ,,სონეტების''!
ჩოხოსან ვაჟკაცს
უჭრის სიტყვა და
სულხანის სისხლი
ძარღვებს ამჩნია,
გაშალეთ დროშა
მეფე თამარის,
კვლავ იტყვის
სათქმელს
დიდი ვარძია!
,,ოჰოი ნანა''
ბიჭმა იკითხა...
უთამაშებდა -
ძარღვები სხეულს,
ისე იკითხა,
ისე იკითხა,
შესძრავდა -
ცხრა მთას
ბუმბერაზს,
გრძნეულს!
ისმოდა
ხვეწნა – მუდარა
კაცის,
ოთხმოცი წელი
მოაქვს ბეჭებით,
გემუდარებით
შეუნდეთ ერთურთს,
თავს ნუ გაუტეხთ
ქვებით, კეტებით!...
სამების მთებში
დაჰქროდა სიო
და, შრიალებდა
გაღმა ვერხვები,
ასეთ საღამოს
გამართვის შემდეგ
ხალხნო –
აროდეს
არ დავბერდები!

პრომეთეს მღვიმისა და ბაგრატის მოლოცვის შემდეგ

აი თურმე,
რად ,,ბლატაობს''
იმერელი,
,,სიმონ, სიმონ''
გაიძახის
დღე და ღამე,
დგას ბაგრატი,
გელათი და
მოწამეთა,
იაკობო,
რად გაყუჩდი
მითხარ რამე?!
მიწის ზევით
თვალდანახულს
სად წაუხვალ,
მიწის ქვევით
რა ჰქონიათ
შენც ხომ ნახე,
აი, წყვილებს
ელოდება
იმ მთის
ქიმზე,
ნაზიბროლას,
ამირანის,
,,მოდი ნახე!"
აქ სხვა მადლი,
სხვა ეშხია
იმერული,
საოცრებებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ წუთში,
სათაფლია,
დინოზავრის
ნაკვალევი,
საოცრების
საოცრება,
მიწის
გულში!
წყალტუბოში
მიწის ქვეშეთს
,,დავიშოკეთ,"
იმ მღვიმეში
გავათიო
მინდა ღამე,
აქ პრომეთე
არაფერ არ
შუაშია,
სასწაულებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ
ღამე!
გაზაფხულზე
გულს გადაშლის
საპოვნელა,
საწერეთლოს
დაუდგება
წინა რამე?!
ამ მხარეში
არხევს სიო
იასამანს,
გალაკტიონს
უწერია
,,მე და ღამე!"

თამარ ფიცხელაური

უკეთილშობილეს გრიგერ ფარულა ვ ა ს

...ღვთის ნება იყო, ყოფილიყავ ჩემი მოძღვარი,
თან ღმერთისტოლა, უფლისგანაც გამორჩეული...
ბედის ნებიერს დავარქმევდი, ვისაც მომადლეთ,
თქვენ ფრთეთა ქვეშე ყოფილიყო ბედის რჩეული...
თქვენ სულ სხვაგვარი ოცნებანი გამიყვავილეთ...
თან ფიქრის მდელო მომიჩითეთ ია-იებით,
ლურჯ ბილილებად იმედები მომიგვირისტეთ
და გამიცოცხლეთ მომაკვდავი კამელიები!..
კრძალვით მიბოძეთ ის ცისფერი უსაზღვროებაც,
იმ სილამაზის დამაპკურეთ ცვარ-ნამი დილის...
და ჩემი სულის მტირალა და ბუტია დები,
ის ტირიფები, ახლა უკვე, სხვაგავრად ტირის!..
მადლობელი ვარ, ზიარების ამდენი მადლი,
ხარბად შემასვით, მიჩურჩულეთ ლექსები ტკბილი,
ძირძველ ქართულით ამიმღერეთ ძველი ზღაპრები,
და სანთელები ამიალეთ რითმებად თლილი!...
ის ცისარტყელა არ ჩაქრება ცის კამარაზე...
და განთიადის იკიაფებს ვარსკვლავიც ცისკრის...
თქვენ დამამადლეთ, ბუმბერაზო, სხვა ძალისხმევა
და შემკრთალ გოგოს დამასწავლეთ ლამაზი ფიქრი...
შემომატარეთ საუცხოო ყველა ზესკნელი...
სიანკარემდე მიწილადეთ აზრის კონები...
სალოცავ ღმერთად დამისახეთ ჩვენი სამშობლო,
და დღემდე, ამ ღმერთს, თქვენმიერად, მეც ვემონები!..
მადლობა თქვენ და უდიდესი მადლობა უფალს,
რომ თქვენი სულის მადლთან გავხდი მეც წილნაყარი,
ჩემო მოძღვარო, საუკუნო ვალში ვარ თქვენთან,
თქვენ ჩრდილქვეშაა ჩემი მყუდრო თავშესაფარიც!..

... იქ, ბავშვობაში ...

ვგრძნობ, უკვე როგორ დავკარგულვარ დრო და ამინდში,
ასე თუ ფიქრობს, ნეტავ, ახლა, ჩემი თაობა?..
რაც ხანი გადის, ისე, როგორც, დღემდე არასდროს,
მესიზმრება და მენატრება პატარაობა...
იქ, სადაც მშვიდად დარჩენილა ჩემი ბავშვობა,
სადაც ყველაფერს სხვა გემო და და სხვა ფერი ჰქონდა,
სულ სხვანაირად თოვდა, წვიმდა, ქროდა და მწყინდა
და მეც, უდარდელს, ყველაფერი რომ მიხაროდა.
იქ, დროის უკან, სავსე ვიყავ ბედნიერებით,
ასე მეგონა, ყველა დროის ვიყავ პატრონი,
ახლა როლები შეიცვალა, პირიქით ვფიქრობ,
მე მონა გავხდი, დრო კი გახდა ჩემი ბატონი.
...იქ, ბავშვობაში დამრჩენია ჩემი თოვლიც და
ჩემი წვიმებიც, ჯერ ბოლომდე გაურიყავი,
არაფერია, ის თოვლიც და ეს სინანულიც,
თუ სამყაროში ერთი ფიფქი მაინც ვიყავი!..

...აღარ ეძებენ თვალები თვალებს...

ისევ ეძებენ თვალები თვალებს...
არ შორდებიან ხელებს ხელები...
და ნაბიჯ-ნაბიჯ და ასე მშვიდად,
ენაცვლებიან ფერებს ფერები;
აღმართს დაღმართი წამოსწევია,
დღეს ღამე სჭირდა მიუტევები,
მიუყვებიან გზას ძველებურად,
ფიქრები, როგორც ღამის მცველები.
...და ჩამოსულან ციდან ღრუბლები,
წვიმებზე თითქოს უფრო სველები,
არა აქვთ ბინა, თავშესაფარი,
აღარც ღამე აქვთ გასათენები...
რატომ?..იმიტომ!..ვისთვის და როგორ,
ღიაა კარი სასუფეველის...
საით წასულა სინდის-ნამუსი,
ჩვენგან ჩვენივე თავის მხსნელები?..
დიდთან პატარას, მსუბუქთან მძიმეს,
ალბათ, ცოდვა აქვთ მიუტევები...
აღარ ეძებენ თვალები თვალებს...
აღარ ელიან ხელებს ხელები!...

დაგელოდები

...მეუცნაურე, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ...
თან გიწამე, თან – ვერ გიწამე, მხოლოდ ვეწამე...
შეუცნობელი რომ იყავი, მივხვდი და მაინც,
შემოდიოდი ჩემში სულის შემოლეწვამდე...
მე ცა ვიყავი, ლაჟვარდი რომ აფერადებდა,
შენ – უფორმო და გაცრეცილი ავდრის ღრუბელი,
ნაშორიშორალს სიახლოვის ბეწვზე გვეკიდა,
ის საცალფეხო ბილიკები, დაუსრულები...
ახლა კი, მწამხარ... ლაჟვარდთან ხარ, ვგრძნობ, წილნაყარი...
ასე სრული და გარდასული, როგორ ვერ მწამდე?!.
სულის ზღურბლთან გგრძნობ, მეშინია, რომ არ გაბრუნდე...
დაგელოდები გულის კარის შემოლეწვამდე!..

საკუთარ თავს

გადათვლილია წლები სამზეო
გადაუთვლელნი რიგში არიან...
რა დრო გასულა?!. ამას ნუ მკითხავთ,
თითქმის ცხოვრების ნახევარია.
განვლილს მზის ჩრდილიც არ შეხებია,
აუგთან არის უწილნაყარო...
მთელი ცხოვრება ოცნებებს ვქმნიდი,
ეს იყო ჩემი დიდი სამყარო...
ჩემს შარაგზაზე ლანდებს ვერ ნახავთ,
ეს გზა უჩრდილო და მთლად ჩემია...
სულგაყიდული მორალის ხარჯზე,
ღირსება არსად შემირცხვენია!..
წლები მაკლდება და მემატება...
სულს კი ორივე ნათლად აჩნია...
იმან იდარდოს, ვინც მის შარაგზას,
ბილიკის კვალიც ვერ დააჩნია!
...და ასე ჩუმად და ნაბიჯ-ნაბიჯ
ჩემი ოცნების ეპოქას ვქმნიდი...
დადგება ჟამი დიდი ხმაურის,
...ტრიალ მინდორზე ვდგავარ და...დავალ...
ვით მარტოსული ეული მგზავრი...
პირველხატივით სრულქმნილი ვიყო,
ვცდილობ და მაინც...არა ვარ მსგავსი.
წლები მსუბუქი სიმძიმით დამაქვს...
უკეთესს ბედი ვერ გაპოვნინებს...
ვარ უდიდესი პროვინციელი,
ფეხქვეშ რომ ვიგებ მეგაპოლისებს!..
აგვისტოს ეს დღეც, ვით უფლის ჯილდო,
და ვით საჯელი, მემახსოვრება...
ვისთვის სასჯელი ციხე ყოფილა,
ვისთვის სასჯელი-თვითონ ცხოვრება.
...ამ წერტილიდან იმ წერტილამდე,
მე უფლის ნებით მშვიდად მივდივარ...
მემატება და მაკლდება წლები,
დღეს, ვიდრე გუშინ, უფრო დიდი ვარ!..

ნესტან გედენიძე

❤ ❤ ❤

თვალი შევავლე ანთებულ სანთლებს,
რას წერდა მისი ცეცხლის ალები,
ღმერთთან მიქონდათ იმედით სავსე,
მლოცველი შვილის დანაბარები.

ატრიალებდა გულის სიწრფელით,
გზადაგზა სდევდა, ხან ნელი სიო,
ცხოვრების ქონდა მასაც ვალები,
იწვოდა ჩუმად, სცხებდა მგზავრს მირონს.

იშველიებდა სხვა სანთლის ნაღვენთს,
უხმობდა რწმენას, ხედავდა თვალებს,
ვინც დააბარა ღმერთთან მშვიდობა,
მისთვის უხმობდა, სივრცეში ნათელს.

და მერე ერთად სამყაროს გამჩენს,
უერთდებოდა ამდენი სითბო,
გახარებული თავად უფალი,
უხვად აფრქვევდა, მის მოდგმას მზის-რტოს.

შევავლე წუთით ანთებულ სანთლებს,
ხარობდნენ თვისი ნამწვავი ალით,
გზას უნათებდა მლოცველს მზის შუქზე,
იდუმალებით მოცული თვალი.

* * *

ღმერთი არ გკითხავს... ის შენს გვერდით როგორი იყო...
ვერ სიყვარული, მომიტევე გთხოვ მიწიერი,
ყველას, გულებში გაჩენოდეს, ნუგეში დღეის,
ხვალ კი, უფალი მოწყალეა, ის ღვთისნიერი.

ღმერთი არ გკითხავს... ვინ გაგაბრაზა,
თვალ-საწიერში ვინ შემოგხვდა, ჩამქრალი სხივით,
ვინ დაგირღვია სიმშვიდე და გზადაგზა ნაპირს,
უიმედობის ვინ გაგიშვა, დაქსელილ ბილიკს.

ღმერთი არ გკითხავს... ვინ გაწყენია...
მხოლოდ მოგკითხავს, ვის აწყენიე,
რა დაუბრუნე პასუხი ხურდად,
მოშურნეს, საქმით არა წესიერს.

ღმერთი არ გვკითხავს... რად გაქ დარდები...
რაში ჭირდება მას ამის ცოდნა,
ყველას გულის-კარს დგას მოწიწებით
და ელოდება სინანულს ჩვენგან.

რამდენი უნდა იარო იცი?...
რომ გაარღვიო ჩაკეტილი წრე,
რომ დაინახო უხილავი და
თანაც ცოცხალი... სიყვარულის მზე.

* * *

არა, ყოველთვის, როდი ვმღერივარ,
ყოველთვის, როდის ხარობს ყვავილი,
ზოგჯერ დუმილიც ყველაფერია,
და თვალებიდან ჩუმი ძახილი.

არა, ყოველთვის არ მეცინება,
გულიდან ღიმილს, ღმერთის სული აქ,
ახლა ალიონს ვხვდები იმედით,
დასასრულს დიდი დასაწყისი აქ.

ხან მგონია, რომ ვხედავ, ვერც ვხედავ,
ხან მესმის, ანდა იქნებ, არც მესმის,
ხან ჯოჯოხეთის მოციქული ვარ,
ხან ანგელოზი, აქვე სამოთხის.

* * *

რამდენი ქალის თვალები შემხვდა...
თუმც მზეს ხედავენ, ანათებს მათთვის,
ქალს მაშინ ააქ მზიანი ზეცა,
თუ სულს საკვებად, სითბოს მიაწვდი.

რამდენი ქალის თვალები შემხვდა...
გადაქცეულა ზოგი მებრძოლად...
ზოგი მსხვერპლია... ზოგი მამაცი...
ზოგი კი ცეკვავს მისთვის ეულად.

რამდენი ქალის თვალები შემხვდა...
შვილების თვალით...ხედავენ აისს...
შემხვდა ურწმუნოც, შემხვდა მორწმუნეც,
გზაჯვარედინთან მუხლმოყრით მდგარიც.

დავდივარ ახლა და ვეძებ თვალებს...
ბედნიერ ქალის, ბედნიერ ქალის...
ღმერთო ისე ნუ გადაგვარჯულებ,
რომ ქალი გახდეს (ძლიერი-ავი).

დავდივარ ვეძებ ბედნიერ თვალებს,
ღმერთმა რომ შექმნა... სუსტი და ნაზი,
გვერდს რომ უმშვენებს, თვალებში მზერას,
რომ უცისკროვნებს ძლიერი მხარი.

* * *

ცრემლის წვეთებში ამღერებული ნოტები უკრავს...
სი-ნა-ნუ-ლ-საც მისწვდა ტკბილი მელოდია,
გამახსენდა ჩვილი ბავშვის თვალები და
ზრდასრულს უკვე, ჩრდილი როგორ მოსდებია.

ცრემლის წვეთებში ამღერებული ნოტები უკრავს...
გზა-და-გზა გაძარცულ სიხარულს, სიყვარულს,
გზა-და-გზა გაძარცულ პირველ სამოსელს,
არა და ღმერთის ხმა ყოველმხრივ გვამცნობს, რომ
ნუ ძარცვავთ გრძნობებით, ნუ ძარცვავთ ერთმანეთს.

და ამღერებულ ამ მელოდიას...
მე დავარქმევდი დიდებას ღმერთის...
სადღაც გაცვეთილი, პირველი სამოსელის,
ფერნაცვალი, რომ აღსდგება მკვდრეთით.

* * *

ლექსი სულის შვილობილი,
უხილავი, სანთლად იწვის,
ჩვენ ღვთის ხატად გაჩენილებს,
თანადგომით სულ არ გვიჭირს.

შემოდგომის მზე იცინის,
სულ არ ნაღვლობს ზამთრის მოსვლას,
იცის ზამთარს თოვლის ფიფქით,
ასრულება ნატვრის მოაქ.

ის იმედი რომ უფალი ყველგანაა გვხედავს ყველას,
უცხო მხარეს შეხიზნულებს არ მოგვაკლებს ნათელ მზერას,
ისმის აქაც ზარის რეკვა აქაც გალობს იადონი
საქართველოს მზის სხივების აქაც მწვდევა ცის მნათობი.

* * *

ცხრა თვალა მზეს, სულიწმინდის
ცხრა ზედაშე შეუსვავს,
მ ო თ მ ი ნ ე ბ ი თ... ამოსული,
მ ყ უ დ რ ო ე ბ ა ს მოუცავს,
ს ა რ წ მ უ ნ ო ა მისი სხივი,
სიკაშკაშით, სითბოთი,
ო რამდენი ს ი კ ე თ ე აქ,
ჩაღვენთილი თითოში.

ს ი ტ კ ბ ო ე ბ ი თ მოხიბლული...
ს უ ლ გ რ ძ ე ლ ე ბ ი თ ნაკვები...
ს ი მ შ ვ ი დ ე ა მისი ფარი,
ს ი ხ ა რ უ ლ ი თ ნაშენი,
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ აელვებულს,
გუზგუზას და ცხრათვალას,
სული წმინდის...
ყველა მადლი...
თან დაყვება...
კვალდაკვალ.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ხახულის ღვთისმშობლის ხატი

მვედრებელ სულთა ღვთისმშობელი მხსნელად მიღეს,
მესიის შობით დედა-ღვთისად ის აღიარეს!..
მისი ლოცვები – მიძინების, რწმენად გაიგეს,
რამეთუ უფლის კვართი ლოცვად, გონთა გაიყვეს...

ცხოვრების წირვად გაღებული კაცთა სიცოცხლე,
მსხვერპლთა იდუმალ საიდუმლოს ცხარე წესია,
დიდ სიყვარულის შეუცნობი გრძნობა იმორცხვებს,
თუ გახსნილ ნებათ წესთ სიუხვე შემოესია...

სითავმდაბლეში ჩაძირული სულის წვალება,
გასაკვირველი ღვთაებრივი აღქმის მწყემსია,
წმინდანებისთვის სინამდვილის სრული სწავლება,
ლოცვებისაგან მიღებული მცირე ხემსია...

და უნებლიედ ბრწყინვალების წმინდა შევსება,
უძვირფასესი კაზმთ შემოსვის განაწესია,
„ხახულის ხატის“ საოცარი წმინდა კვესება,
გადარჩენილა – სახესა და ხელთა ესია...

ქართულ მინანქრის დიდოსტატსა, თლილი
ფურცლები,
შემკული ხატის გასაძარცვად არ უთესია,
სიყვარულისთვის დამუხტულა მარჯვე ხელები,
სხეულს შერწყმია სილამაზე, ჩაულესია...

ფერთა სიძუნწეს გარდამავალ ციმ-ციმთთოვაში,
„ხახულის“ სითბო შუქთ ფენაში დაუკემსია,
სიცოცხლისათვის ალმოდებულ ფერთ მწველ გამაში,
ღვთისმშობლის სახეს ჩანს მტარვალი შურით ესია...

განძარცვეს ხატი უგუნურთ და უსულგულოთა,
და ნამდვილ მტერთა წარმართთა და ურწმუნოთა,
სიმდიდრის მხვეჭელთ უგულოთ და უსამართლოთა,
ასეთ ქვეყანას, ხალხს ბუნება სჯის-უსჯულოთა!..

დღეს, განძარცვული მუზეუმის წმინდა მშვენება,
ეპოქალური ნაწამები – უფალს ენება, –
ოცდამეერთეს დაავალა მისი ხსენება, –
მართლმადიდებელთ შეასრულონ – წამოყენება!..

მჭმუნვარე სახე დაუხრია, ეძებს თანამდგომს,
მუხლდაჩოქილი ევედრება უფალსა და ღმერთს...
„ტანისამოსი“ – თეთრი დროშა ივერიისა
განძარცვულ სხეულს ამკობს, როგორც ერთს –
დიდშენაერთს...

სასწაულმოქმედ ხახულის ბჭედ მდგომო ხატებავ,
დღესაც გიპყრია ტაოს წმინდა სულის ძაფები...
თვითონვე იცი, რომელ გვირგვინთ შვენის ხატებად,
შენი ტანიდან ამოყრილი ფიქალთა ქვები...

მაგრამ ეს გული ვეღარ უძლებს დაცინვას, ქილიკს
ცინიკურად, რომ უთამაშებთ ბოროტთ ღაწვები,
რა მწარე არის ცოდნა იმის, როგორ გაგყინავს,
მტერს იცნობ, მაგრამ დუმ ზრახვაში ამონაწები...

ამას ქართველი არასოდეს, რომ არ მოითმენს,
რომ სიყვარული დიდი უფლის, მისი რწმენაა,
რომ მწუხარება, მართალია ღამეთ მოითევს, –
გადაარჩინოს საქართველო! – ერის ენაა!..

ილიას მკვლელობა

ეპოქის დასაწყისიდან ძიება მოხდა მკვლელობის,
ეპოქალური სხეული იყო სამიზნე მცდელობის,
ფორმაციათა შეცვლის და იმ „საიდუმლო სერობის“
წინ, რომ უძღოდა ყველა აზრს, ნიჭთ სჯიდა ენამჭევრობის...

„ციხე შიგნიდან ტყდებაო“ – ბრძენს უთქვამს – ხალხის გუმანსა
ნიჭიერების მწვერვალსა ანაცვალებენ თუმანსა,
ეს იგივეა, შესცოდო რწმენას ქრისტესი, მკურნალსა,
სასწორზე დადო სიცოცხლე და შეეხიზნო ყურანსა.

„ერთ ხიდან ბარს და ნიჩაბსა“ ქართველნი ერთად თლიანო,
სასწაულები გონთ ხვდომით სიმტკიცეს გამოთვლიანო,
კერპთ სიჯიუტე – სამშობლოს მიწას თვისად არ თვლიანო,
მოღალატენი ქრთამისთვის ტყვიას ტყვიაზე სცლიანო...

სამშობლო ტირის: ბედკრული, ორივე ჩემი შვილია,
მკვლელს ჯოჯოხეთი იტაცებს, სამოთხე მართმევს ილიას...
სიტყვა ღაღადებს: სიკეთე ცხოვრებით გამოცდილია,
მუხის ფოთოლმა უსწავლელს – გლეხს შეახვედრა ილია...

უთხრა, თუ სიმართლე მითხარ: ცოდო არა თქვა, ტყვილია,
წინ შენი თქმული დაგხვდება, არ მოიტეხო კბილია,
უთხრა: სიმართლე ის არის: მუნჯ ხეთ არა აქვთ პირია,
და მოუტანა ფოთოლი, დილის ცვრით აცრემლილია!..

ტომ-გვართ წინაპართ გოდება, ამისთვის დაწყევლილია,
მის ძლიერების გამცემი, თემისგან მოკვეთილია,
ქართველის გულს კი რა ვუთხრა – ორივე შვილი ტკბილია,
მედეა? თუ „ჯოხტას თავის“ – შეთქმულნი ბრმად დასჯილია!..
ონისეს მსხვერპლი ხევისთვის სიყვარულისგან მწვლილია...
საქართველოსთვის მოგიხმობთ, შენ, ფერნაცვალო ილია!..

ახალგაზრდობას

ახალგაზრდობა, როგორც ზედაშე, გამოწურული მწიფე ყურძნისგან,
ცისკენ მიილტვის, ღმერთის წინაშე, იპოვოს ძალა მისთა წყურვილთა...
უფალმა იცის გზა სიყვარულის და სათნოების კაცთა მხუმილთა,
დალოცვილ იყოს ახალგაზრდობა ღვთივ-ნაბოძები გონთა-სურვილთა,
დე, იშრიალონ ნაძვთა-მწვერვალთა, ქართ ძალა მისცენ მტრედებთა წყვილთა...
მიწა ბუდედ რომ მოსცა მათ ღმერთმა, მრთელთა ნაწილთა ნანატრთა წრფივთა,
და დაილოცოს ღვთიური ძალა, აღმონაცენი მათ მტკიცე წვივთა
ხანგრძლივ სიცოცხლე ღმერთმა შემატოს, ამ დიდ მომავალს ნამრავლთ არწივთა...
ახალგაზრდობა, როგორც ზედაშე გამონაწური ყურძენისაგან,
თავღია უნდა დავდგათ სივრცეში, გემო თუ გვინდა ვსინჯოთ მისაგან...
სივრცე ხელს უწყობს, რომ განიწმინდოს, მღელვარე ხელთა შეხებისაგან,
დალოცვილია ყოველი წვეთი, ამ ღვთივ-ნაზარდი ვენახისაგან!..
ნორჩი ყლორტები რა ფესვთ შეიძენს, მიწას მიიჩნევს დედად ღვთისაგან,
კოსმიურ წვიმას ძალად შეიმცვრევს, ცად რომ ამაღლდეს რტონი ძისაგან!..
დიდ სიყვარულის ტევრად იშლება, და საამოა ხედვა „მტრისაგან“...
ვენახად, მაშინ, გარდაიქცევა – რა დრო გამოსცდის წვალებისაგან...
ახალგაზრდობა ზვრებად ქცეული – სამშობლო დანალოცი ღვთისაგან,
ძვალთა კერპია დროთ ვერ ძლეული – ეს მყარი ფუძე წინაპრისაგან...

აზა შანავა

სანამ

მე არ მაშინებს ქარების ქროლვა, არც წვიმის თქორებს,
არც თოვლს და ყინვას არ ვეპუები...
მეტაფორებად გამოვიგონე შესაფუთავად ჩემი ცრემლების.
წვიმა! -– ცრემლია ჩემი...
იყო ჩემამდეც და ჩემს შემდეგაც ისევ იწვიმებს.
მე, ფოთოლი ვარ, ფოთოლთაგანი, -– ხეს რომ ასხია
და ჩემს მერეც უამრავჯერ რომ შემოიცმევს.
სული რომელიც ასე ბობოქრობს დღე ჩემს სხეულში,
ჩემამდეც იყო და ჩემს მერეც იფორიაქებს...
ოხრავენ ქარნი,
კოკისპირულად იღვრება წვიმაც
და... აწყდებიან სულის დარაბებს.
ვიცი, რომ ერთხელ ქარიც ჩადგება
და რომ ერთხელაც გადაიწვიმებს.
ღმერთო, თუ გესმის?!
როცა მტკივა, -– გიხმობ საშველად.
გთხოვ! --შეისმინო ჩემი ვედრება,
სანამ წაშლიდეს ეს წვიმები საბოლოოდ,
ჩემს ნაკვალევს!

მინდა!

მინდა ფუნჯი,
საღებავი ლურჯი.
კიდევ, კიდევ -– თეთრი,
შევურიო ერთად,
რომ მოვხატო ზეცა,
იყოს მტრედისფერი.
დაგვნათოდეს ლაღად,
არ იყოს ღრუბელი.
იყოს დილა მშვიდი,
რომ გალობდეს ჩიტი.
აივანზე მერცხლის,
ჭიკჭიკებდეს ბარტყი
და კალთაში დედის,
ნებივრობდეს ჩვილი.
გუთნისდედა გუთნით,
რომ ავლებდეს კვალს და
შიგ აბნევდეს მარცვალს,
სიცოცხლის და რწმენის.
რომ ყვაოდეს მადლი
და არ იყოს ჭმუნვა.
სიხარული უხვად
იბნეოდეს ირგვლივ.
დაგვავიწყდეს ცრემლი,
შური, ბოღმა, დარდი.
რომ მირონის ძალამ
გაგვინათოს გონი.
ობოლი და ქვრივი,
არ ითხოვდეს ლუკმას.
არ სტკიოდეს დედას,
უსასოო შვილი.
რომ არ გვქონდეს შიში,
უღმერთო და ბილწის.
ღმერთო ეს ქვეყანა,
შენი ხელით ქმნილი,
დაიფარე...აარიდე...
მზაკვარი და ფლიდი!

შოვის ტრაგედიას

ერთხელაც, იმ ზვავისაგან გადმონთხეული
ტალახისაგან,
იმ ქვა-ღორღისგან მიწა პირს შეიკრავს.
ალბათ, ისევ დაიზრდებიან ხენი მაღალნი,
ჩრდილს მოისხამენ.
ველ -– მინდვრად ისევ აიქოჩრება მწვანე
ბალახი
და მდინარეც ძველებურად, მშვიდად გასჭრის
ახალ კალაპოტს.
მინდვრის შროშანი დილაადრიან მზეს შეაგებებს
ლურჯ ღიმილებს.
დაიზრდებიან ტყეში ჩიტები,
ციყვები ისევ დაიწყებენ ხეებზე ხტუნვას,
სადღაც დამფრთხალი კურდღელი, ჩირგვში,
ადამის მოდგმას დაემალება.
მომრავლდებიან მელა, შველი, დათვიც და
ტურაც,
ყველა ხელახლა ააშენებს სოროს თუ ბუნაგს.
ისევ გაჩნდება, ალბათ, სურვილი,
ვინმემ ააგოს სახლები და
ქალაქის ხმაურს გამოქცეულმა,
დაღლილი თვალი მოასვენოს მდინარის პირას.
და... მზარავს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაუთხრი
ბალავარს, იქ სახლს.
როგორ შეახებ ნიჩაბს და წერაქვს?!
შიში შეგიპყრობს აუტანელი,
რომ სადმე, უცებ არ ამოჰყვეს მიწის ბელტებს,
მათში ჩაშლილი მოძმის სხეული...
ო, ღმერთო ჩემო, სული ამტკივდა!
შიში იქნება ფუძის მეგზური...
სადაც, სტიქიამ დედაბუნებას ზვარაკად უძღვნა
მრავალთ სიცოცხლე
და...თქვა სათქმელი თავზარდამცემი: მეწყრით
და ზვავით -–
ფრთხილად იყავით!!!

ისევ ფიქრები

მივაყურადე ღამის სიჩუმეს,
დამგროვებია ბევრი სათქმელი.
ვით გალიაში ბეღურა წვალობს,
ისე მაწვალებს სული სხეულში.

და ფორიაქობს აშლილი ნერვი,
გულის კუნთები ლამის ვერ უძლებს.
აჩქროლებული სისხლის დინება,
დასამშვიდებლად მოუხმობს ლოცვებს.

ღამის ფორიაქს ლოდინი ავსებს,
გათენების და ხვალინდელი დღის.
და... დამსხვრეული ლურჯი ფრინველი,
ალიონისფერს საშველად უხმობს.

კვლავაც გადივლის მრავალი ღამე,
სულთან ჭიდილით ათას ქიმერთან.
გამარჯვებული თუ ვერ ვიქნები,
დამარცხებულსაც ვეღარ მიხილავს.

მე მეფიქრება ყოველი დღის და
ყოველი მისი შემოღამების.
სულის სიმცირე ადამის მოდგმის,
და უცოდველი რად ვერ ვიქენით?!

ისევ ფიქრები... სხვა რა უნდა ქნა,
თუ ამ ქვეყანას მოევლინები...
სიტყვა ვით საქმე იყო უფლისგან, --
ჩვენ კი ურჩობით ეს ვერ შევძელით!

თენდება

მზერა შევავლე ქალაქის პეიზაჟს.
სადღაც შოორს, მთის წვერი განათდა.
სამშობლოს სანახებს ვამსგავსე...
ურთა და სათანჯო გონებამ დახატა.

მტკვარს მომაგონებს, ტიბრი ზოზინა.
ენგური მომძახის: -– შვილო სადა ხარ?!
ვერც ეს ცა ვიგუე და ვერც ხმელეთი,
თუმცა პურს დღეს აქიდან ვუგზავნი, -– პატარას.

მაგრამ გჯეროდეს!

თურმე, მყვარებია რუკის დათვალიერება,-– ახლა გავაცნობიერე ეს.
ვუყურებ გეოგრაფიულ წერტილებს და თვალით, გონებაში ვცდილობ გამოვთვალო,
ჩემი ქვეყნიდან, რა მანძილზე იმყოფება სხვა სახელმწიფოები.
მერე, ფიქრებში გადავეშვები და საუკუნეებით უკან გადამისვრის მძიმე აზრები...
არც რადიო, არც ტელევიზორი, არც ტელეფონი, არც ინტერნეტი და როგორ სერავდა
მაინც საზღვრებს ადამიანი, -– როგორ გიპოვეს?...
თითქოს გადამფრენ ჩიტებს გაჰქონდათ საზღვრებს გარეთ,
საქართველოვ შენი ამბავი.
მიკვირს, როგორ იყნოსეს, მეძებარ ძაღლივით შენი ,,აქ ყოფნა".
მოგაგნეს, არგონავტებმა და მოგტაცეს მედეა, ოქროს საწმისიც.
არ გასვენებდა ოდითგანვე ოსმალთა ურდო, ლაშქარმრავალი...
სპარსი, არაბი, კიდევ მრავალნი, მოილტვოდნენ ჯორ'აქლემებზე
ბარგი -– ბარხანით ამხედრებული...
კაფავდნენ ვენახს, ბუგავდნენ სოფლებს, ტაძრებს ბილწავდნენ...
ლამაზ ასულებს და ლამაზ ვაჟებს, არიგებდნენ, ზოგსაც ჰყიდდნენ, ზოგს კი ფეშქაშ
მიართმევდნენ მეფეთა კარზე...
გონება შორს ჰქრის, კვნესა და ტანჯვა ჩემი წინაპრის გულს მიფლითავს და მინაწევრებს, --
როგორც რუკაზე დასერილი ეს მიწები მდინარეებით...
ეხ, ჩემო ტკბილო საქართველოვ,
მე, რუკაზე თითს ვადებ ჩემს სამყოფელს...
შენს სილამაზეს, შენს ტკივილებს და შიგადაშიგ საიმედოდ გაელვებულ სიხარულის მცირე
ნაპერწკლებს,
მე, დღეს მაშორებს კილომეტრი ოთხი ათასი,
მაგრამ გჯეროდეს, გულში ჩემთვის შენზე ახლოს არავინ არის!

სანამ მზე არის!

აგვისტოს ცხელი დღეები წუთებს ითვლიან,
მზე თითქოს დუღს და ,,არ ეტევა კანში" ისეა.
უნდა დაიწვას და დაიფერფლოს ოღონდ
ბოლომდე
და მერე შემოდგომის წვიმებს უფრო აიტანს.
ტყეს შეჰპარვია უკვე ,,ჭაღარა,"
ფოთლებს შეაჭკნათ ნაზი ,,ფოჩები."
გულდაწყვეტილი ვუმზერ ცვლილებას,
ვგრძნობ რომ ახლოა აქვე სიკვდილიც...

მაგრამ წესია ეს ბუნების,
მკაცრი კანონი უფლისმიერი, --
ეს გარდასახვა, სიბერის მაცნე,
დასაწყისია, გაზაფხულზე ისევ სიცოცხლის...
ისევ მოისხამს ხე ნორჩ კვირტს და ყვავილს,
ისევ იხუვლებს ნაკადული მთის ნაპრალიდან...
რა დააკავებს სამყაროში სიცოცხლის
წყურვილს,
სანამ მზე არის და იბრუნებს ეს დედამიწა.

და არცკი გვახსოვს!

ყველას დედოფლობა უნდა,
ყველას რომ იყოს პრინცი.
თანდათან დავშორდით მიწას,
არავის ესმის მისი.

არავის უნდა შრომა,
არც ბრძოლის ჟინი არის.
ყველა გამხდარა მონა,
ინტერნეტის და სარკის.

წისქვილს დაუშრა წყალი,
არც არვინ ფიქრობს მასზე.
ტყე გაჩეხილა მთებში,
ჩამოიშალნენ კლდები.

ზვავებს არ უჩანს ბოლო,
მეწყერს თან ჩააქვს გზები.
ხიდიც ინგრევა ბოლოს,
გაღმა--გამოღმა ვრჩებით.

მხოლოდ ლაპარაკს არ ვწყვეტთ,
ყველა თავს ვიქებთ მხოლოდ.
და ჩვენ დავღალეთ ღმერთი,
ჟამს წუხილისას გვახსოვს!

დღეები მიდიან სწრაფად,
ქრება გზადაგზა კვალიც.
და არცკი გვახსოვს ერთი,
რომ მეუფეობს ღმერთი.

შენ მოგიყვები!

(მეუღლეს)

მკლავებს გადამიშლი,
ჩაგეხუტები და თავს დავმალავ შენს მკერდში
მორცხვად.
ავტირდები და შვებას რომ ვიგრძნობ, ჩამეძინება
მე, ისევ მშვიდად.

გაღვიძებულზე როცა ვიხილავ შენს ლამაზ თვალებს,
სულში ინათებს სხივი მიმქრალი და გულისტკივილს
რაც თან ვატარე,
შენ მოგიყვები!

ყურთან მოგიტან ახლოს ჩემს ტუჩებს. ალბათ
ფუსფუსი რომ შეარხევს ყურში მემბრანას,
ბგერის ტალღები სხეულს დასერავს და ისევ ვნებით
ჩვენ ავივსებით.

და...აალდება სიყვარულის ცხელი ალმური,
დილის ალიონს შეერწყმება ჩვენი ერთობა
და... სიყვარული რაც განვიცადეთ, ცისკრის
ვარსკვლავთან ბინას დაიდებს.

გაივლის ჟამი, წარსულის განძი გახდება ეს დღეც.
და... მომავალი სულ არ მადარდებს რა იქნება.
ბედნიერება, რაც შენ მარგუნე, ასე მგონია,
სამარადჟამოდ, მე, თან გამყვება!

და... გველოდება

წარსულის ლანდებს ავედევნე ჩუმად ფიქრებში,
სადღაც დამფრთხალი ბედურების გუნდი
აფრინდა.
მზერას ვაყოლებ გონების თვალით
და ჰორიზონტზე შიშისფერმა დაისადგურა.
ფერთა პალიტრა გამჭვირვალეა
მტრედისფერ ცაზე.

ქათქათა ღრუბლებს მოუხატავს ცის ტატნობი.
თითქოს ცასა და ამ მიწას შორის,
ბეწვის ხიდივით სავალი გზები გადათელილა.
ყველა ხომ თავის წილ გზას გაივლის,
ბევრს გაუვლია დღემდე უჩუმრად.
და... გველოდება ჩვენ უხმოდ გასვლა,
ასტრალებისკენ დედამიწიდან.

ანამარია ლილუაშვილი

შენ რად არ იტყვი რამესა?

შემომიტიეს ფიქრებმა,
საშველად ვუხმე მთვარესა,
ხმის ამოღება მომინდა,
გადმოვულაგებ ამბებსა.
ნაცნობიც იყოს იმისთვის,
გულს მაინც აღარ ატკენსა,
ექიმბაშივით გამგონე,
ყველა იარას არჩენსა.
სიტყვა მომეცი არ გამთქვამ,
არ მაწყევლინებ გამჩენსა,
მესაიდუმლედ დამიდექ,
გული მხოლოდ შენ გარჩევსა.
იმდენი ვინმე მოგჩივის,
ნეტავ სად იტევ ამდენსა,
შენზე იმასაც ამბობენ,
რომ ოცნებებსაც ახდენსა.
სასოებით რომ გიცქერით,
ბნელს რომ გვინათებ აზრებსა,
ამდენს რომ გესაუბრებით,
შენ რად არ იტყვი რამესა?

აწი ის იტყვის სათქმელსა

რა მშვენიერი დილას,
ნისლი სდებია მთა ველსა,
იქ სირიუსის ვარსკვლავი,
ცისას ამშვენებს არესა.
მზის სხივი საზღვარს მოადგს,
ხელს ჩამოართმევს ღამესა,
დამშვიდობების სალამი,
გამოაღვიძებს ცათმბჯენსა.
ღრუბლის ქულებში ჩაფლული,
თავი არ უსჩანს მთვარესა,
მიიპარება მალულად,
აღარც ვუჯერებ თვალებსა.
სხივი მეორეც გამოჩნდა,
მთას შემოარტყამს სარტყელსა,
დღეს ძალა მოუკრებია,
აწი ის იტყვის სათქმელსა.

ათასჯერ მითქვამს

მე პოეტი ვარ ათასჯერ მითქვამს,
და კალმით გულის ნადებს გაგანდობთ,
სიყვარულს ვაქსოვ სიყვარულს ფსკერზე,
და იმედების ბაღნარს გავაწყობ.
მე პოეტი ვარ არ ვითვლი დღეებს,
ყოველ საღამოს სუფრას ვთამადობ,
თავს არასოდეს ვუხრი ჩივილებს,
და სადღეგრძელოს რითმით ვამაყობ.
მე შემოქმედის მასხამს მანტია,
ჩემს საიდუმლოს ფურცელს გავანდობ,
ფარს დავახვედრებ სიტყვის ქარიშხალს,
და ყინვის მწვერვსლს წამში გავალღობ,
მე პოეტი ვარ ათასჯერ მითქვამს,
და კალმით გულის ნადებს გაგანდობთ,
სიყვარულს ვაქსოვ სტრიქონის ფსკერზე,
და იმედების ბაღნარს გავაწყობ.

ღრუბლის ქულები

ქარმა იმძლავრა ღრუბლის ქულები,
ქოქოლ-ქოქოლით გზას გაუყენა,
ცრემლები სრულად ამოუწმინდა,
ცას თეთრ ნახატად წამოუყენა.
ცისფერ ცის ფონზე თეთრი ფერები,
ულევ სქემებად გადაიშალა,
ქარმა დახატა სულ ეს შედევრი,
თავი მხატვარად გამოიყვანა.

მოიგონე

მოიგონე ნუ დაჰკარგავ,
წარსულს ფერად გამოსულს,
უკვე გამხმარს მიწას აყრი,
ნერგს კი მისგან ამოსულს,
მოუარე გაუფრთხილდი,
მომავლისთვის აქ მოსულს,
გააგრძელებ ძველს და ფუძეს,
გაუღვივებ ისევ სულს.

*

ემოცია მოეძალა სულს,
აღიმართა ცრემლის სადარაჯოზე,
ცხოვრებიდან გულით რაცა გსურთ,
იპოვება სიყვარულის წყაროზე.

ღამის სიბნელე

ღამის სიბნელეს ნუ ენდობი,
გულს ნუ აჩუქებ.
პატარას დიდად გამოგიჩენს,
ნაღველს აბუგებს.
ფერებს აქრობს და ამ ცხოვრებას
ისევ ამუქებს.
დღის სინათლე კი სიყვარულის
სხივებს აშუქებს.

ნოსტალგია

რა ვქნა თუკი შემოდგომის ამ დღეებმა,
სევდიანი მომიტეს განცდა.
მომეძალა ნოსტალგია სამშობლოსი
და მომინდა ადგილების გაცვლა.

მოქუფრული მოწყენილი ღრუბლის ქულებს
შეუძლიათ ცრემლის უხვად დაღვრა,
წარმატებით ააწყობენ უცნობ ნოტებს
და გამოსდით უცხოური დაკვრა.

ჩვენი ქვეყნის წვიმაც სხვაა და ღრუბლებიც,
მიწას სველსაც სხვა სურნელი ასდის.
მაინც როგორ გამიფრინდა ასე წლები,
მონატრება უკვე ძალებს მაცლის.

რა კარგია რომ გამძაფრდა მოგონება,
სიამისგან სისხლიც ყელში ამდის.
ფოთოლცვენა მერამდენედ განმეორდა,
იქ სიხარილს განვიცდიდი ამ ხნის.

გადარგულ ხეს სხვა მიწაზე ფესვის გართხმა
და კლიმატის შეგუებას უჭირს.
უკეთესი პირობით და სასუქებით ,
რად არ ვარგობს სულ ტყუილად უკვირთ.

წლებთან ერთად შენი მიწა გექაჩება,
სიახლოვეს და შეხებას ითხოვს.
ის ფესვები უკან უნდა დააბრუნოთ
შევსებას და აყვავებას იგრძნობს.

რა ვქნა თუკი შემოდგომის ამ დღეებმა
სევდიანი მომიტანეს განცდა.
მომეძალა ნოსტალგია სამშობლოსი
და მომინდა ადგილების გაცვლა.

*

ქარმა ჩაუქროლა წყვდიადს შემოდგომის,
ზეცას გადახადა ღრუბლის სამოსელი,
შიშველ ცის სხეულზე მოსჩანს ვარსკვლავები,
ისევ აეშალა ფიქრებს სარეცელი.

* * *

ზღვის სანაპიროს აქაფებულ ტალღებს გავყურებ,
და დარდებს გული გარინდული აკრავს მარწუხებს.
სულში დამშეულ ბავშვურ ლტოლვას
ფრთხილად ვაპურებ,
და დაკარგული დროის ფასი ჯერაც მაწუხებს.

მზის სხივმა დილის გაბინდული სივრცე გაკვალა,
წყლის ზედაპირზე ანარეკლის შექმნა ბზარები.
მომწვდა და თვალებს იმედები გადმომაყარა,
მომავლის იმედს გადასწვდა და დაჰკრა ზარები.

დროება ...

დროება დღეის, ულმობელი გახდა ცხოვრება,
უძლურ არსებას მოეძალა დარდის გორები.
ხმას შეჰპარვია უხალისო მწარე გოდება,
იქნებ "ბლეფია", უსაფუძვლოდ დადის ჭორები.
კონტინუუმით აღინიშნა ისევ მოვლენა,
თუმცა სივრცეში იკარგება დროის საზომი.
გაფანტულ ფიქრებს უმძიმდება ახლოს მოფრენა,
ვაკუუმშია და სიჩქარის არ აქვს გამზომი.
დრო დაბნეულა, შესაძლოა რომ შეიცვალოს
და სხვა კუთხიდან დაფიქსირდეს კიდე მოვლენის,
თვალსაწიერზე ნათელ ფენად გადაიშალოს,
დრო წარსულიდან გამოსავლის აზრის მპოვნელი.
ძველ ნივთებს პლედად დასდებია
მტვერი გორების
მომავლის ჭვრეტა არის სიბრძნე ცივი გონებით;
დროება დღეის, ულმობელი ყოფა ცხოვრების,
გამოსავალი; იშვიათი ჯიშის გენებით.

რწმენა გულიდან წამოსული

რწმენა გულიდან წამოსული ძალით გიშვია,
უშიშრად დგახარ გზის სიძნელე არად გიქვია.
გამოცდას ყოფის, იშედეგოდ არ ჩაუვლია,
ნაყოფს მოიმკი დროს უკვალოდ არ გაუვლია.

იცი რომ შეგწევს გადაზიდო არ გიჭირს მთები.
ქარის ფერებით გაგიწეწავს გაშლილი თმები,
გულის სიღრმეში ეჭვისათვის ჩაკეტე გზები,
გადმოაფრქვიე, ოცნებების ჩათესე კვლები.

სიყვარულისთვის გაჩენილა

სიყვარულისთვის გაჩენილა
ყველა სულდგმული,
სიხარულისთვის შეუქმნია უფალს სამყარო;
გახსენით გული, არ დაადოთ კარებს ურდული,
ნაწამებ სხეულს იარები უნდა აკმარო.
ფრთები ფარფატა ანგელოზის ბეჭზე აშლილი,
მზის სხივის შუქზე ბზინვარებით არის გაშლილი;
ამოირჩიეთ სილამაზის გულში ადგილი,
ცხოვრება რთულიც გაგიხდება უფრო ადვილი;
სიტყვა უთქმელად გასაგები ხდება სულისთვის,
სიმაღლე სხეულს სიმსუბუქით არ ეძნელება;
მხოლოდ საზღვარი დაადგინე სუსტი გულისთვის,
დაგვიანებულს სავალალოდ არ ეშველება.
სიყვარულისთვის გაჩენილა ყველა სულდგმული,
სიხარულისთვის შეუქმნია უფალს სამყარო.
გახსენი გული არ დაადო კარებს ურდული
გრძნობებს უსიტყვოდ ამოფრქვევა
უნდა აცადო.

მეს და გრძნობებს ნუ დახლართავთ

მეს და გრძნობებს ნუ დახლართავთ, მე მზესავით აბრწყინე
და გრძნობებში ემოცია მთვარეს დაუკავშირე.
ყველა სიტყვას დაუკვირდი ამ პირიდან ამოსულს,
შენი სიტყვით ნუღა ნახავ სხვას მწყობრიდან გამოსულს.
ლაღად გული გადაშალე საკუთარი თავის წინ,
რომ გაიცნო ვინა ხარ და რა მისია შეგხვდა წილ;
ნუ დაიწყებ წუწუნს, ჩივილს მხოლოდ ფიქრი იკმარე ,
ამ ფიქრებით მიგნებული გზა სასვლელად იხმარე;
ყველაფერი გამოგივა, იოლია ცხოვრება,
სწორად თუ კი მიუდგები, არ აგცდება ცხონება;
ტკივილს როცა გადაიტან ეს გამოცდის სახეა,
იქ სწავლების ფორმა დევს და ამ ცხოვრების სარკეა.
დაგაჩოქებს? დაუკვირდი რა სიბრძნეს გაზიარებს,
ისე არაფერი ხდება ამასაც აღიარებ.
სიყვარულს და სითბოს გასცემ? გიბრუნდება ასმაგად,
გამართული საღი აზრით დააბიჯებ ამაყად.

ამოქარგე ჩემო კალამო

შუქი, ნათება, სილამაზე ცისკრის ხედები,
სხივის ხაზები გარდატეხილ სივრცის ფაზებით.
გამოუცნობი საოცრების გამა ბგერები,
არა ხილული, ანთებული გრძნობის ალებით.

ფიქრების შტორმი ატეხილი სივრცის არეში,
გული გამწყრალი აღგზნებული სისხლის თარეშით.
გაბრუებული ორგანიზმი ნისლის ბაღებში,
ჭექა -ქუხილი სიყვარულის ელავს ძარღვებში.

სეტყვა დაყრილი გახურებულ ღუმლის კარებთან
დაშანთულ სხეულს ეფინება როგორც მალამო.
ლექსი დაქსაქსულ , დაგრეხელი სიბრძნის მკლავებში
ამოიწერე, ამოქარგე ჩემო კალამო.

ლამზირა შეყილაძე

* * *

რაც თავი მახსოვს, მას აქეთ ვომობ,
არ ჩამიგია ხმალი ქარქაშში,
სამშობლოს დაცვა მწადია მხოლოდ,
გაჩხერილი ვარ მტრების ხახაში.

ბებერ მთებიდან გოდება მესმის,
მოთქმით ქვითინებს, ტაძრის კედლები,
გაცრეცილ ფრესკებს, თვალთაგან მოსდის,
უიმედობის მწარე ცრემლები.

დგას გორგასალი ხმალაღმართული,
სევდით გაჰყურებს გაყიდულ მთა-ველს,
წევს დედამიწა, დარდით დამზრალი,
ზეცის წიაღში აცეცებს თვალებს.

მოედინება ცრუთა მდინარე,
მოღალატენი, მომრავლდნენ უფრო,
მათი ქმედება და სულმდაბლობა,
სამშობლოს ნათელ მომავალს უქრობს.

ჩემივე თავთან დავიწყე ჯანყი,
პატიმრობისგან ვერ ვიხსენ ტაო,
ციცაბოებზე ჰკიდია ხალხი,
ველზე უმზეოდ სულს ღაფავს, ბაო.

დუღს და თუხთუხებს, ცოდვა და მადლი,
ავად ბუტბუტებს მტკვარი, რიონი,
და ქართულ მიწას, ომებით დაღლილს,
გულმკერდით იცავს კავკასიონი.

ყურში ჩამესმის წინაპრის ხმები,
ომის ქარ-ცეცხლში შევყავარ ფიქრებს,
წამოიმართნენ საომრად მთები,
სიცოცხლე, კბილით უჭირავს ნისლებს.

დგას ქართვლის დედა, ხმლითა და თასით,
უფლის წინაშე, სხვა გვაქვს სათქმელი,
სისხლით დავიცავთ ღვთისმშობლის წილხვედრს,
ვალდებულნი ვართ ყველა ქართველი.

თქვენ! თქვენ რას იტყვით, მოღალატენო,
ვინც უღირსობით სული იკვებეთ,
გულს რით იამებთ, ან გაყიდულ სულს,
რომელი შხამით გამოიკეთებთ.

გულს მოედო სურვილი

ნადირობა გადაწყვიტა,
რადგან ძლიერ უყვარდა,
პაპის ძველი თოფი ჰქონდა,
ძაღლსაც არა უშავდა.

ტყის სიღრმეებს შეუერთდა,
დრო ეჩვენა უკუნი,
მერე უცბათ ყურთა სმენას,
მოწვდა დათვის ბურდღუნი.

ძაღლს ანიშნა გაჩუმდიო,
არ დამიფრთხო ნადირი,
ერთხელ მაინც ავისრულო,
ჩემი გულის წადილი.

როცა დათვი მონადირემ
ამოიღო მიზანში,
თვალწინ ქალი აეფარა,
თავი იგრძნო სიზმარში.

გაქვავდა და გაირინდა,
გულს მოედო სურვილი,
ნადირობა დაავიწყდა,
კლავდა ქალის წყურვილი.

გიშრისთვალა ტყის სიღრმუსკენ,
ნელა-ნელა იწევდა,
ქალი თვალთა მარგალიტი,
კაცს დუელში იწვევდა.

კაცი უფრო გაახელა,
ქალის უცხო თამაშმა,
ვერც კი მიხვდა ამ დუელში,
თავად როგორ დამარცხდა.

მხოლოდ გარჟრაჟზე იგრძნო,
სვრცე რომ ირწეოდა,
ახლაც ერთი სურვილი კლავს,
ქალღმერთს წამოწეოდა.

ეშმაკი ცოდვისკენ გვაქეზებს

დედაო, ცრემლი გდის ღაწვებზე,
ჩვენი უგნურებით ღონდები,
სადაც რომ სიცოცხლე დათესე,
იქ, დაგხვდა ულევი ლოდები.

ეშმაკი ჩვენს ფიქრებს სდარაჯობს,
მიწიერ თამაშით ვერთობით,
თვალხილულს ბრმასავით გვატარებს,
ჩვენივე ცოდვებში ვეფლობით.

ხელს გვიწვდი, როგორმე გვიშველო,
ვერ გწვდებით, წადილით, მცირედით,
წყვდიადში დაკარგულ თავს ვეძებთ,
ცდუნებით გზაშეცდომილები.

ღაწვებზე, ცრემლი გდის ჩვენს გამო,
ეშმაკი ცოდვისკენ გვაქეზებს,
გაღონებს, შეშლილი სამყარო,
და შენ კვლავ მაცხოვარს გვავედრებ.

მაცხოვარს, რომელიც ჯვარს ვაცვით,
არ გვთხოვდა გვირგვინს და მეფობას,
რომელიც ამბორით გავეცით,
ახლა კი მასა ვთხოვთ შენდობას.

დედაო, ეშმაკმა გვაცდუნა,
თევზივით გავებით ბადეში,
ახლა კი ვნანობთ და განვიცდით,
ვერ გიმზერთ ცრემლიან თვალებში.

ქეთი ცირეკიძე

მხოლოდ მე ვიცი

ტკივილებს უღიმი ....არ იმჩნევ
არაფერს....
შიგნიდან ვინა ხარ არ იცის
არავინ....
მე ვიცი, რას ფიქრობ, მე ვიცი
რა ხდება....
უკვე ვინა ხარ, შენს სულში რაც
არის...
ეს ღამეები... გთანგავს და
გაწვალებს...
სიჩუმე გეღვრება, სულში და
სხეულში ....
ტუჩებზე გასკდება.. უთქმელი
სიტყვები...
დუმილი, რომელიც ნებაზე
მიუშვი....
გტკივა და იღიმი არ იმჩნევ
არაფერს .....
შიგნიდან ვინ დარჩი???....
გაკვირვებს თავადაც...
და ღამეს გაწელილს ტკივილი
გაწამებს....
სათქმელი, რომ არ თქვი და შენში
დამთავრდა

.

..... როცა.....

როცა იცლები, რა აზრი აქვს
ღირდა თუ არა.....
სულში გაწვიმს თუ თვალებზედაც მოგორავს ცრემლი....
რაც რომ გინდოდეს, ვერ დაფარავ
მოვარდნილ სევდას...
სულის იარას, ვერ მოარჩენ, ვერც
რამეს შეცვლი...
აღარც ტკივილებს უშინდები
დაე! დაგსეტყვოს....
ნებით მიუშვერ, ნატკივარ სულს,
მოვარდნილ მეწყერს....
და გსურს გაგთელოს ,გადაგიაროს,
ბოლოჯერ ისე....
რომ დაივიწყო ყველაფერი
რაც იყო მერე...
როცა იცლები, რა აზრი აქვს ღირდა
თუ არა.....
ამ ტკივილებსაც გინდა გაექცე
დამალო შენში....
როდესაც იცი, ყველა უჯრედს,
გადაუარა.....
და მოთმინებით მდუმარებით
სიჩუმით ებრძვი.....
როცა იცლები, რა აზრი აქვს რა
იყო მაშინ....
არც ეს გაფიქრებს, რა უნდა იყოს
თუ გინდა მერეც . .....
რომ სევდიანმა ღამეებმა არ დაგიმონოს..
გსურს დაამთავრო იცი შეძლებ
რომ არ გაგრძელდეს.

.....საჩუქარი.....

რა უნდა გეჩუქნა ისეთი,
რაც არ მქონდა და მენატრა...
რა უნდა გეჩუქნა ისეთი ,რაც
თვალით აღარ მენახა....
ბევრჯერ ვინატრე მცირედით,
შენგან ზღვის კენჭი პატარა...
შენი ხელებით ,ნაქარგი გულის
გულსაც რომ დაქარგავს..

ეს მსურდა ჩემი , ოცნებით
ჩემთვისაც ,რაღაც გდომოდა,
თუნდ პაწაწინა კენჭიც კი
შენს რელიქვიად მქონოდა ,
რასაც თილისმად ჩავთვლიდი
შენი არსების აღქმისა ,რომ
სურვილების ახდენა მქონოდა
ჩემი ნატვრისა ,

ნატვრის ახდენა,რომ მსურდა
სევდით სურვილი გაგანდე..
მერე მოდი და უეცრად
სიხარულებით ამავსე,
ისეთი რამე მაჩუქე ჩემი
ცხოვრების აზრია ,
რომ დავფიქრდები, თითქოს
და შენი ცხოვრების ასლია...

ეხლა მეც ვცხოვრობ მასავით
ხან ღიმილით და ხან სევდით
არ დანებდეო ჩამძახის ...

თბილი სიტყვები ჩამესმის,
მაგრამ არსებობს ეს მაგრამ..
ჩვენი ცხოვრების პაუზა,
მარტო სიტყვებით ვერაფერს
გულს ვერ დაუდებ რას უზამ,

ქმედება საზღვრავს ყველაფერს,
ადამიანში საწყისად..
თუ ქმედებებით ვერ ვავსებთ
მარტო სურვილი რას გვიზამს,
არვიცი მინდა ვიცოდე,რა მაკლია
და რას ვეძებ....
ამჯერად მაინც ცხოვრებას
ტკივილებისგან გავექცე...

მინდა ვენდო და მჯეროდეს ,
ჩემს გულწრფელობას ფასი აქვს,
უსამართლოდ არ მოვიქცე თუმც
ეს ცხოვრება ფარსია .....
არ მინდა ვინმეს ვატკინო
და არც ის მინდა მე მტკენდნენ ...
განა ჩვენა გვაქვს უფლება ???...
ვუყვარდეთ და მაინც ვტკენდეთ..

ჩემი თილისმის რომ მჯერა,
მსურს რომ ყველასი მჯეროდეს..
ცხოვრებისეულ საჩუქარს ამ სამყაროსგან
ველოდე....
თუ ვიმსახურებ მომეცეს, ღვთისგან
ნაბოძი სიკეთე და ამ ძვირფასი საჩუქრით
ამ გულსაც გამოვიკეთებ.

ვალია კვაშილავა

მ ი ვ დ ი ვ ა რ

მივდივარ და თან მომყვება მონატრება,
ისე როგორც საკუთარი აჩრდილი,
ისევ შენთან საუბარი მენატრება,
ბონდის ხიდი, ახლა უკვე დაშლილი!

მივდივარ და უხილავი მომდევს სევდა,
ულმობელი მებედისწრე მდარაჯობს,
სიხარულის ქარიშხალი თუ არ მდევდა,
უშენობით ლექსის წერას რაღა სჯობს!

.მომდევს ლექსი,ჩემი ღამის სასთუმალი,
ჩემი სულის სავანე და საბანი,
ზოგჯერ მუზის მასპინძელი,ხან სტუმარი,
ჩემი ლექსი გაზაფხულის სადარი!

ახლა მუზა სასთუმალთან მეფერება
თეთრი ხელით მომიტანა ფურცელი,
არ იქნება ახლა ლექსის შეჩერება,
დროს გაფრენილს მაინც ვეღარ ვუშველი!

დამდევს ისევ მონატრების სიო – ქარი,
გზად მიმავალს ამრევია ფიქრი,
ბილიკებით მივდივარ და ურჩი ქალი,
ოცნებებით გულზე ხალებს გითვლი!

დედებს

მართალია დედის დღე წავიდა,
მაგრამ ყოველი დღის გათენება დედითაა....

დედავ, სიცოცხლის შენ ხარ საწყისი,
ყველა სიკეთე შენით იწყება,
ცხოვრების არსის ხარ დასაწყისი,
შენიდან მოდის არდავიწყება!

უდედოდ აბა ვინ გაჩნდებოდა,
რა იქნებოდა სამყარო ვრცელი?
უდედოდ დედა ვინ გახდებოდა?
ვის მოავლენდა ქვეყნად გამჩენი?!

ქვეყნად ყველაფერს დედა ჰყოლია,
მისი ხელებით გული გამთბარა,
შვილის სიყვარულს გადაჰყოლია,
დედა სიკეთის კერა გამხდარა!

ის ხომ შვილისთვის მუდამ მზად არის,
მისთვის სიცოცხლის არის დამთმობი,
მხოლოდ სიკეთის არის ტაძარი,
და ბოროტების ქვეყნად გამქრობი!

დედა – ყველასთვის პირველი კოცნა,
პირველი ცრემლი, თვალის გახელა,
სანთელდაღვრილი შვილისთვის ლოცვა,
გაუმხელელი რამის გამხელა!

დედის გარეშე ქრება სამყარო,
და ჯოჯოხეთად ვფიქრობ იქცევა,
დედის ხელებში ცივი, მჩხვლეტავი,
ეკალიც ვარდად გადაიქცევა!

დამილოცნია მე ყველა დედა,
დაფიქრებული მომავლის ბედით,
ის პირველია, რომელიც დნება,
შვილებისადმი თმენით და რწმენით!

დიდება დედებს,რომელთა ხელშიც,
მოქცეულია სამყარო მთელი,
და თქვენს გარშემო ბრუნავს ქვეყანა,
დიდება იყოს დედებო, თქვენი!

დავბადებულვარ აპრილის ბოლოს

დავბადებულვარ აპრილის ბოლოს,
მზე, წვიმა, ქარი,ერთმანეთს ცვლიდა,
ტირილით, გლოვით მოვედი მხოლოდ,
როს გაზაფხული სულის ფრთებს შლიდა!

23 აპრილს ვარდი ყვაოდა,
ცვიოდა ტყემლის ფიფქების ჯარი,
შავი ყორანი სადღაც ჩხაოდა,
უფალმა მკერდზე დამკიდა ჯვარი!

აპრილმა სითბო ისე მაპკურა,
არ შემიჩერდა სუნთქვა ძლიერი,
მერე ისეთი ქუდი დამხურა,
რას დამაკლებდა გადამთიელი?!

ყაყაჩოებმა ისე მიმღერეს,
ისე მატკბობდა ატმის ყვავილი,
ჩუმად ვუსმენდი დედის სიმღერებს,
რას დამაკლებდა ყორნის ჩხავილი?!

აპრილო,ჩემი სულის ნათება,
ჩემი სიცოცხლის ელვა და ბწკარო,
ჩემი ცხოვრების გამონათება,
გაზაფხულების უშრეტო წყარო!

მიყვარს ბუნება ზოგჯერ უნდობი,
ადიდებული მდინარის ლტოლვა,
მიყვარს მოყვასი, ნაცნობ-უცნობი,
ნაზი ნიავის საამო ქროლვა!

საქართველოში მე დავიბადე,
მზრდიდა ქართული მზე,მთვარე,მიწა,
ასი წლის მერე გადავინაცვლებ,
ჩაგეკონები მშობელო მიწავ!

მანამდე უნდა ვწერო ლექსები,
გაბრუებული ტკბილი შარბათით,
რითმას კი არვის დავესესხები,
მისთვის ერთია კვირა– შაბათი!

გადასახდელი მაქვს ჯერ ვალები,
ჩემი ხალხის და ქვეყნის წინაშე,
არ დამიხუჭო ღმერთო თვალები,
გამომაღვიძე კვლავ ხვალ დილაზე!

კვლავ გამითენე დღეები ბევრი,
კვლავაც მაჩუქე კიდევ სიცოცხლე,
დამალოცვინე ერი და ბერი,
შეგთხოვ:,,სამშობლო,დიდხანს
მიცოცხლე!"

სამახსოვრო
გულნაზი ხარაიშვილს

დღეს მე ახლა სხვანაირად დავდივარ,
მძიმე,მაგრამ მსუბუქი ვარ მგონია,
დღეს მე თითქოს სხვა ამაყი ქალი ვარ,
ეს შეგრძნება არასოდეს მქონია!

სხვა ნაბიჯი, სხვა კარი და მიღება,
იყო, არის ჩემი გულის ნაწილი,
ღმერთმაც ალბათ ჩემთვის ასე ინება,
გამიმრთელა გული ბევრჯერ ნაწვიმი!

დავდივარ და მოფარფატე ფიქრები,
იქ ტრიალებს,დარაბები გამიღეთ,
ახლა კიდევ მეტად თბილი ვიქნები,
რადგან გულში ჩამიხუტეთ, გამითბეთ!

ჩემი ხალხის სიყვარულის მატება,
თუ შევძელი მეტს არაფერს ვწუხვარო,
თქვენ იქნებით ჩემი გულის ხატება,
შემიხიზნეთ, რადგან
,,დედა ფუტკარო"!

ყინვიანი ღამე

ახლა ყინვით გარინდულა ღამე,
ქარი რაა,ნიავიც კი არ ჩანს,
ცის კიდეზე დაკიდულა მთვარე,
ნაწყენია ასე ვატყობ რაცხა !
გუშინ ქარმა აშარმა და მავნემ,
ღამის გუშაგს დაუხია ფარჩა,
ამ ყინვაშიც რა თბილია ღამე,
ქარი არ ქრის, ალბათ სადმე დარჩა!
მაგრამ ნიავს რა ეწია მართლა,
რომ არ ჩანს და მიატოვა ღამე,
იქნებ სადმე იქეიფა, დათვრა,
ან იტკინა მარტოსულმა რამე!?
მხოლოდ ყინვას აუშვია აფრა,
ჩაიხუტა გულში თეთრი ღამე,
ჩემი დარდიც თითქოს ყველა გაქრა,
სურვილი მაქვს ვიღიღინო რამე!
ახლა ყინვა ცოტა მაკრთობს შენი,
სითეთრე და ხომ არ გამებუტე?
ისევ მთვარემ გითხრას დანარჩენი,
რადგან ღამე გულში ჩაიხუტე!
ღამის ყინვა მომაჩვენე თბილი,
მკაცრი სახე შეგიცვალა სითბომ,
ჩავიხუტე ეგ თითები თლილი,
რადგან მხოლოდ სიკეთეზე ფიქრობ!

ქ ა ლ ი

ეს ლექსი ბატონ გერმანე საბანოელის მიერ დადებული პოსტის პასუხად დავწერე:

ქალია სიცოცხლის საწყისი,
ამაზე მეტი კი რა გინდა?
ქალია ის,,ოქროს საწმისი",
მამაკაცთ გონება დაბინდა!
ქალია ქალი და ძლიერი,
შვილების ზრუნვაში ტანჯული,
იქნება ითმენდეს მშიერი,
ან იქნებ ცხოვრობდეს ჯვარცმული!
და მაინც გაუძლოს, იტანჯოს
გვერდით თუ ერთგული უდგეხარ,
თავისთვის მცირედიც იკმაროს,
უყვარხარ,ვერ გტოვებს,უნდევხარ!
ქალია ყველაფრის ხალისი,
მაისის მზეშია ვარდებად,
ქალბატონს სინაზეს წაუშლი?
რაღაა? რა ჰქვია? თავდება!
ქალია ლხინი და ქეიფი,
უქალოდ აბა რა კეთდება?
ქალია სიცოცხლის საწყისი,
სიყვარულს სატანაც ნებდება!

მ ტ კ ი ო დ ი

მტკიოდი და როგორ მწარედ მტკიოდი,
სული იცი? როგორ მწარედ მეწვოდა,
ღამე ცრემლად, მხოლოდ ცრემლად მდიოდი,
იმედს, ნუგეშს,მხოლოდ მთვარე მეტყოდა!

მთვარის მწამდა, მან იცოდა მართალი,
ფანჯარასთან მოდიოდა და იმედს,
ის მაძლევდა, მისი მწამდა ნათქვამი,
მხოლოდ მთვარით გავუძელი დარდს იმდენს!

ფანჯარასთან მთვარე სიზმრებს ქარგვა,
დამნათოდა საძინებელ ლოგინზე,
მისი ხილვა დარდებს ჩუმად ფანტავდა,
სხვა რა არის უფრო მძიმე ლოდინზე?

შენ მე გულზე ამაგლიჯე ბავშვივით,
სიყვარული და სხვებს გაუნაწილე,
ამ ადგილებს ვერ მოვშორდი შაშვივით,
შენ კი მხოლოდ, მხოლოდ დარდი მაწვიმე!

ჩვენი გზები გაიყარა ჯვარცმული,
ნაპირ-ნაპირ მივუყვები ლიანდაგს,
წინ მხვდებოდა ეკალ-ბარდი გაცმული,
შენც დაბრუნდი,მაგრამ დაგაგვიანდა!.....

მოგესალმებით ჩემო მეგობრებო!
ჯანმრთელობას და სიკეთეს გისურვებთ!
ახლა კი შემოგთავაზებთ ახალ ლექსს:

მენატრება ბავშვობა

იმ ბავშვობას ვეტრფი, ვეალერსები,
ფეხშიშველი რომ დავრბოდი ღელეში,
მზის სხივებზე აკრეფილი ლექსებით,
დაქანცული ვბრუნდებოდი მერე შინ!

რკვიანის პირს ბალახობდა ბოჩოლა,
ცხენი გვყავდა თეთრფეხება, ნიკორით,
ბავშვი ვიყავ მეოცნებე ქოჩორა,
გაფრენილო წლებო აწ კი მშვიდობით!....

მდინარის პირს ავდივარ და ჩავდივარ,
იქნებ ვნახო დარჩენილი კვალია,
მენატრება, იმ დღეების ლანდი ვარ,
მაგრამ ვერა, ვეღარ მოვკარ თვალია.

როგორ მინდა წუთით მაინც დაბრუნდეს,
წლები, წლები, გაფრენილი, გამქრალი,
რკვიანის პირს ერთხელ კიდევ დავბრუნდე,
და ბავშვობას ჩავეხუტო დამთვრალი!

მე დამთვრალი მონატრების სურვილით,
ზეიმობდეს გულში ია, ვარდები,
დავიოკო იმ ბავშვობის წყურვილი,
მომავალო, უფრო შემიყვარდები!

მაგრამ ვიცი ეს ოცნება ფუჭია,
რა ძნელია წლების ჩუმად გაქრობა,
მოგონება – ეს საგზალი თუკია,
დამაქვს ყველგან უდარდელი ბავშვობა!

უშენობით

უშენობით გულს მოედო
ჟანგი,როგორც რკინასა
და სულს მიჭამს ცივი დარდი,
როგორც ხარი თივასა.

როგორ ვწერო თუ არ იყავ
შთაგონება ლექსისა,
რა ხდება რომ შენთან ერთად
მშვიდობა არ მეღირსა

ანდა სულ არ გამეცანი,
მარტო ყოფნა მერჩია
შენი წმინდა სიყვარული,
ხომ არ გადამეჩვია?!

ყველგან შენი სუნთქვა მესმის,
ნაბიჯების ხმაური,
გულში ქარი ამოვარდა,
არის აურ-ზაური.

ყველგან გეძებ,აღარ დამრჩა,
არსად კუთხე-კუნჭული
ცრემლი მდის და მოვიბუზე,
როგორც იხვის ჭუჭული.,

ნეტავ სად ხარ მაპოვნია,
შენი სახე მზიანი,
ყელზე შემოგეხვიო და
ლექსი ვთქვა მადლიანი.

მერე სული დავიამო,
შენი ტკბილი ტუჩებით,
ღმერთმა ნუღარ დაგვაშოროს
ერთურთს ისე ვუხდებით.

ასე მგონია

ასე მგონია უჩემოდ,
ლექსი ტირის და გლოვობს,
მე ბუხრის პირას თუ ვზივარ,
რამდენიც უნდა თოვოს!

ითოვოს და თეთრ საბანში,
გაიყურსება ბუჩქიც,
ეკლით არ ვწუნობ თუ მიყვარს,
მშობლიურია თუკი!

მე ფიფქიც მიყვარს ზეციდან,
ჩამოვარდნილი თეთრი,
ხელებს გავუშვერ, თბილია,
უკან მოყვება ლექსიც!

თოვლის ფიფქებზე რამდენი,
დამიწერია ადრეც,
მაინც ეს მკაცრი ზამთარი ,
არ მშორდება და დამდევს!

წუხელი ყინვა ტიროდა,
ფანჯრის მინებზე თრთოდა,
გაზაფხულს ფუნჯით ხატავდა,
სული გამთბარი ჰქონდა!

თებერვლის ეშხი,ლაზათი,
მაინც ატყვია არეს,
მალე ვიხილავ გაზაფხულს,
ტყეებს და მინდორს მწვანეს!

ითოვოს, თოვლის ფიფქებში,
კვლავ იბადება ლექსი,
ითოვოს,რომანტიული,
რითმა შემოვა ჩემში!

ასე მგონია უჩემოდ,
ლექსი ტირის და ფიქრობს,
დრო მიჭირს მასთან ფერების,
ბუხართან ვზივარ, ვიხმობ!

ულექსოდ ძილი რა არის?
ან გათენება დილის?
ულექსოდ არც შემიძლია,
ლექსით ვუძლებდი ტკივილს!.....

ღამეს ძინავს

ახლა ღამეს ყორნის ფრთებზე ძინავს,
და თვალებში ჩადგომია სევდა,
დეკემბერი სუსხიანი,ყინავს,
მე კი ისევ შენს ოცნებებს ვკერავ!

შენს თვალებში ჩამეძირა ნავი,
და ამოსვლას სულ ამაოდ ვლამობ,
შენზე ფიქრში აღარ მახსოვს თავი,
მარტო ვარ და ცალი ხელით ვწვალობ!

იქნებ შევძლო დავიძვრინო თავი,
დამეხმარო, წამაშველო ხელი,
მხოლოდ შენ ხარ ჩემი სალოცავი,
მხოლოდ შენი ერთი სიტყვაც მშველის!

იმ სიყვარულს გეფიცები ახლა,
იმ სიყვარულს ლამაზსა და უქრობს,
მე იმ ნავით ვიძირები მართლა,
მარტო ვარ და იმ სიყვარულს ვუხმობ!

ახლა ღამეს ყორნის ფრთებზე ძინავს,
და თვალებში ჩადგომია სევდა,
სანამ ყინვა სულსაც გამიყინავს,
გეკითხები შენ სადა ხარ ნეტავ?!

საახალწლო

გულიდან წვეთავს სიტყვა ყოველი,
გრძნობის დუღილის მესმის ხმაური,
ამ ქვეყანაზე რახან მოვედი,
გულს მოაწყდება ხოლმე ზღვაური!

შემომეჯარა ფიქრების ყორე,
ვერ გავექეცი დარდებს უჩინარს,
ვერ მოვიკრიბე ძალა და ღონე,
ბევრი ვეცადე დღესაც, გუშინაც!

ამჩემებია ჩემი ქვეყანა,
მკერდდაცლილი და სასომიხდილი,
ნუთუ ღალატი გადაეყარა?!
იმიტომ არის დღეს ფერმიხდილი?!

ვეფხის ტყავზე წევს, გარინდულია,
გულს გასჩენია ფიქრი რამდენი,
როცა შვილები გახიზნულია,
სხვა ქვეყანაში ცრემლის დამდენი!

ყველა მოკვდავი სიცოცხლეს აქებს,
მომავალს ხვდება იმედით შვილის,
ჩვენმა ქვეყანამ გაუძლო რამდენს,
მაგრამ უთქვენოდ ტირის და ტირის!

ალბათ რას იზამ, ესეც ბედია,
ფიქრაზიდული ახალ წელს ხვდება,
შენი შვილების ალბათ ხვედრია,
ემიგრანტობა, სამშობლო დედავ!

მოდით, გეძახით მიწა მშობელი,
თქვენი ეზო და კარი ჭრიალა,
სამშობლოს გული დაუდგრომელი,
და თითო მაინც შევსვათ ფიალა!

იქნება გელით მოხუცი დედა,
ქმარი, ან ცოლი ფიქრებაშლილი,
იქნებ ოცნება კაკლის ქვეშ წვება,
იქნებ სახლია ფუძედაშლილი?!

იქნებ კიბეებს მოედო ხავსი,
ვერ მოაშორა უშენოდ ვერვინ,
ალბათ ის წელი გამოდგა ნავსი,
შენ რომ წახვედი აქედან ცრემლით!

ახალი წელი მომნატრებია,
და მინდა იყოს ამხდენი ნატვრის,
ემიგრანტებო თქვენი ქვეყანა,
გეძახით,გიხმობთ, ფიქრებით დაღლილს!

ვიცი რომ გიყვართ სამშობლო დედა,
მოდის თვეები ფიფქთა მთოველი,
დადგება წელი ფიფქებში ვხედავ,
აგისრულდებათ ნატვრა ყოველი!.....

ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი

რას ვამბობ ახალს?

მივუახლოვდი, უკვე ვგრძნობ ამას,
მივუახლოვდი, უჯრას და წამალს.
მივუახლოვდი, ვიცი რომ წავალ,
თქვენ არ ინაღვლოთ, რას ვამბობ ახალს?
წავალ, ახალ სამყაროს ვიცი, რომ ვნახავ,
წავალ, შევხვდები წასულებს მრავალს.
წავალ, შევხვდები მე იქ თქვენს მამას,
გთხოვთ,არ მიტიროთ რას ვამბობ ახალს?
ვიარე ბევრი, გზად შევხვდი მსახვრალს,
ვიარე ბევრი, ხალხს შევხვდი მზაკვარს.
ვიარე ბევრი, გადავეყარე ტკბილსაც
მე მრავალს
თქვენც შეგიძინეთ, რას ვამბობ ახალს?
მე ღმერთს ვუყურებ, ტაძარში ვდგავარ,
მე ღმერთს ვუყურებ, ვლოცულობ მრავალს,
მე ღმერთს ვუყურებ და მასთან წავალ
ეს ბოლო გზაა, რას ვამბობ ახალს?

ჩემი ქვეყანა ასე ლამაზი

საქართველოა ჩემი სამშობლო
ჩემი ქვეყანა ასე ლამაზი.
ვარძია, ზარზმა, საფარა, ოშკი,
მტრის თვალს იზიდავს,როგორც ალმასი.
ლატალის სხივი ზეცას ასწვდება,
თითქოს უფალთან დაუდგამს კოშკი
გული სიცოცხლის ძალას შეიძენს,
როგორც კი ციხეს შეხედავ გირში.
როცა შესცქერი შენს ლამაზ კუთხეს
თვალხატულას და სიცოცხლით სავსეს,
მიყვარეს გულში უდგება დარი
მტერი უნებურ ვარდება შოკში.
უშბა,თეთნულდი თოვლის საფარით
დაბლა მინდორი თოვლით მოსილი.
ასეთი არის ჩემი ქვეყანა
ყველა სიკეთის მადლით მოსილი.
ჩემი ქვეყანა ასე ლამაზი
ბრწყინავს მზის სხივზე,როგორც ალმასი,
ისმის ღუღუნი მოლაღურების
და ბულბულების სტვენა ლამაზი.
კავკასიონი ძირს გადმოჰყურებს
შუბლშეჭმუხვნილი, მტერს ბრაზით უმზერს
იცის დიდება ჩემი ქვეყნისა
მტრისთვის საშურს და მისგან სამზერს
ჯიქეთის მთიდან ჰერეთის საზღვარს
იცის მისაზღვრავს მომავლის შუქი
მტერს ხანჯალს ჩასცემს ალესილ პირით
თავს დააცხრება ელვა და ბუქი.
ისევ აანთებს გარეჯის სანთლებს,
ისევ იგალობს ბერების გუნდი,
ოშკის გუმბათი კვლავ განათდება
კვლავ შემოარტყამს მტრედების გუნდი.
ჩემი სამშობლო ასე ლამაზი
ბრწყინავს მზის შუქზე,როგორც ალმასი.

დავკრიფე

დავკრიფე გულნი მინდვრისა
სიკეთეს ჩავაზიარე,
მოვიდა, დარდი ჩამომხსნა
მიწის სუნს ჩამაზიარებს.
გავივლი მინდორს ,ყაყაჩო,
ნარგიზებს მივესალმები.
დარდებს დავიბერტყ მხრებიდან
ტანჯვისგან ვთავისუფლდები.
ხორბლის ხოდაბუნს ჩავუვლი
დავლოცავ გლეხის ბარაქას,
ნუგეშად მოვევლინები
შავძაძაჩაცმულ მამაც ქალს.
გავხედავ მინდორს ქართლისას
გადახრულ-განანიავებს
მოველი შუქს მომავლიდან
ვინც მოუშუშებს იარებს.
მინდვრად გაპენტილ ყვავილნარს
გულგრილად როგორ ჩავუვლი
დავკრიფე, გული ვახარე
ტურფაა ჩემი მამული
დავკრიფე გულნი მინდვრისა
უფლით ნაკურთხი მშვენება,
ყაყაჩო თბილად მღიმარი
მალამოდ მომევლინება.

გაგესაუბრო

გაგესაუბრო უფალო მინდა
შეკითხვები მაქვს შენთან მრავალი,
მე ხომ სიკეთით მოვედი დღემდე
ეკლიანი გზა ჩემთვის რად არის?
ყველა დავკარგე ვინც კი მიყვარდა
სევდიან გზაზე დარდით დავდივარ
ტკივილით ხრამში გადავიჩეხე
ვცდილიბ და ზევით ვეღარ ავდივარ.
ახლა ლოცვებით შვილებს გავედრებ
დავბერდი,უკვე მათი დარდი ვარ,
ცრემლებით მოვრწყე ჩემი ბილიკი
და ბეწვის ხიდზე ისევ გავდივარ.
რატომ უფალო?მე ხომ სიკეთის
ნამდვილად თბილი მწყემსი ვარ,
არვის ვაწუხებ,ცხოვრების გზაზე
არა მარწუხი,მხოლოდ მსგეფსი ვარ.
თავდახრილი ვარ,არას ვამაყობ
შენგან ნაწერი უხმო ლექსი ვარ.

თანდათან წავლენ

თანდათან წავლენ და ეს სამყარო
გადაინაცვლებს ვარსკვლავთა მწყობრში,
გაიტკეპნება ბილიკი ცისკენ
დაივანებენ შენს სულში მყოფნი.
დასახლდებიან მხოლოდ ფიქრებში
ოცნებებს ცისკენ გადასტყორცნიან,
შენგან წასულნი დასახლდებიან
და იქ შენს ნაცვლად ვარსკვლავთ ჰკოცნიან.
შენ აქ რა დაგრჩა?მხოლოდ ტკივილი
ცრემლები გულში ღვარად მიდიან
იცის უფალმა,მათაც იციან
დრო გავა,ისინი შენ დაგიცდიან.
წლები გავა და წლები ტკივილის
იქ იმ საუფლის გზისკენ მიდიან.
უფალს მიანდე შენი ფიქრები
ის მოწყალეა და დიდზე დიდია.

გულნაზ ხარაიშვილს

გამოიცან თავი

ნეტავი რა ძალა გმართავს ქალაუ,
რაშია შენი ძალა დიდების,
გტანჯა მსახვრალმა სიკვდილის ელდამ
უფალმა ძალა მოგცა მიგნების,
ვერ დაგაჩოქა ცრემლის დინებამ
გულში რომ მიგდის დიდი მდინარე,
გძინავს,თუ გღვიძავს,სიკეთეს თესავ
ყველას სატკივარს მშვიდად იბარებ,
ყველასთვის გრჩება სათუთი გრძნობა
ყველასთვის სითბოს უშვებ გულიდან,
აი რაშია სიწმინდის გრძნობა,
დედა ქალობა მოდის სულიდან.
გმართავს უფალი დიდ საუფლოდან,
დედაღვთისმშობლის მადლი გეპკურა,
ანგელოზთ დასი გლოცავს ზეციდან
მადლი გიცხვება ზეციურ პურად.

ლელა პაიაშვილი

შვება სულისა

გული თანდათან მევსება ლხენით,
როცა ჩამძახის იდუმალი ხმა-იმღერე ლელავ!!!!...
მე ყელს ვიღერებ და ვმღერი....ვმღერი ....
ვმღერი დილიდან შებინდებამდე...
ვმღერი და ჩემი ტანჯვა პირველი,
ჩემი ცრუ ბედის ხმლის მომპირველი,
ეცემა მუხლზე, ცრემლს ღვრის იებად
და ქედმოხრილი მთხოვს პატიებას ...
ნეტავ თუ გესმის ჩემი სიმღერა,
თეთრო ქალწულო, მუზების ლალავ,
ტკივილებს ვმალავ ჩემს სიმღერებში,
დაუამებელ ტკივილებს ვმალავ..
შენ არ გეგონოს ვმღერივარ თითქოს,
თითქოს გული მაქვს სავსე ხალისით....
ო, არა უკვე ჩემი აისი
ქრება სხვის ხელით არა თავისით....
მაგრამ მე მაინც ვმღერი და ვმღერი,
ქებას მიწის და ქებას უფლისას....
რადგან ამ ცოდვით სავსე მიწაზე
სიმღერაში ვგრძნობ შვებას სულისას.....

აი, ვიდეო

ღუმელი ავანთე შეშით,
შეშიდან გამოდის მატლი.....
აი, ვიდეო, ნახეთ!
ნახეთ და ცქერით დატკბით...
თქვენ დატკბით,
დატკბით, მე კიი,
დარდი შემოდის ჩემში,
რადგან საბრალო მატლში,
ვხედავ სამყაროს შეშლილს.....
მატლს ხელის გულზე ვისვამ,
ფიქრი მაწამებს ერთი –
განწირულია ვინაც,
მას ვერ უშველის ღმერთი....
ხარბად მიყურებს ხელში,
მატლის კუთვნილი მიწა.....
მატლი კი თრთის და კვნესის,
ცოდვით ხელის გულს მიწვავს...

მოდი სიამევ

მაღალ კლდეებთან ვღიღინებ,
ვიცი, რომ მომცემენ ბანს.....
შენ რაღას უცდი სიამევ,
რატომ არ იღებ ხმას ....
რად გამებუტე, რას გიშლი,
ჩემში რას ხედავ ავს.....
შენი უღირსი მოქცევა
დედინაცვლისას გავს.....
ნუ მებუტები, მაკმარე,
სიმწარეს ნუღარ მჩუქნი....
სევდით გარუჯულ სახეზე
კვლავ დამაფინე შუქი....
გულქვა კლდე თუკი ბანს მაძლევს,
მიკვირს შენ რაღა მოგდის....
მეტს ნუღარ გამებუტები –
მოდი, სიამევ, მოდი!....

გევედრები

დავიღალე,ისე ძლიერ დავიღალე,
რომ გულს უკვე აღარ შესწევს ფეთქვა ....
არ მეგონა წუთისოფლის სამდურავი,
თუ ოდესმე დამცდებოდა შენთან....
ღმერთო, ნეტავ რა შევცოდე ამისთანა,
რომ გულს წუთით ვერ ვაცილებ დარდებს....
შენ გიხმობ და შენი მადლის მოლოდინში,
ლამის თაფლის სანთელივით დავდნე....
ლოცვით გიხმობ, შენ არ ჩანხარ ყოვლის შემძლევ,
გიხმობ, მადლის დამაბერტყო კალთა,
რომ აღარ ვთქვა წუთისოფლის სამდურავი,
არც ახლა და არც სამარის კართან ....
ღმერთო, წუთით მომიფონე დარდის ქანცი,
თორემ მეწვის სულიც, ძვალიც, ხორციც...
გევედრები, შემაშველე შენი მადლი,
სულს მიეცი გასაქანი ლოცვის...

ლოდინი

მეუღლე არ მოდის, იგი იგვიანებს,
რატომ იგვიანებს, რად...
ვეკითხები თავს და ვდგები ფანჯარასთან
ლოდინით გავყურებ გზას...
უჭირს რაღაც ალბათ – ღმეერთოო, დაიფარე....
ვფიქრობ და ლოდინი მკლავს ....
ღამდება,კარს აღებს ჩვეული სიდინჯით,
ღიმილით თბილ ოთახს რთავს.....
დაღლილი სხეულით საწოლზე ეცემა...
მე მისი ყოველთვის მწამს...

* * *

რა ხანია აღარ დამიწერია,
არა მითქვამს სიყვარულო შენთვის...
რა ხანია აღარც დამიმღერია....
დარდის ბუდეს ვაშენებდი დღემდის...
ვეღარ შევძელ მე ბოლომდე შენება,
სიმახინჯეს გაეღუნა წელი....
გევედრები, რომ მომხედო დროულად,
გამიწოდო მზრუნველობის ხელიი...

თეთრი ნაფეხურები

არც თოვლი იყო და არც ბურუსი,
მაგრამ მიდამო სულ თეთრი ჩანდა....
შიშველი ფეხით მივდევდი ბილიკს,
თეთრს ნაფეხურიც თეთრად დააჩნდა...
თან მიხაროდა, თანაც ქურდივით
უკან მრჩებოდა თვალი მალ-მალე.....
ეჭვით ვუმზერდი ჩემს ნაფეხურებს –
ხომ არაფერი არ დავაშავე ...

ო, სიღარიბევ

ნეტავ შემწევდეს ძალა,
რომ ვასახელო ერი,
სახელი მინდა მერქვას
მრავალშვილიან დედის....
სხვებს რომ ვუყურებ მრავალთ,
გული მევსება ლხენით ...
შვილთა ყოლაა ადვილი,
სიღარიბეა ძნელი ...
ღმეერთო, მიშველო იქნებ
და მომაცილო ტანჯვა,
ორი და სამი შვილი
ერის სიმრავლედ არ მწამს...
ო, სიღარიბევ დგმურად
რატომ შემოხველ ჩემში.
მე, ორი შვილის დედა
ვერ გავმართულვარ წელში.....
ო, როგორ მინდა ვზრდიდე,
ცხრასა და უფრო მეტ შვილს,
რომ როგორც ქართვლის დედამ
ლაღად ვიარო ერში.....
მაგრამ ვინ მომცა ბედი
მრავალშვილიან დედის....

ვასო ყაჭიაშვილი

შემოდგომა ფერთა გამით მანათობელი...

,,მეფე"– სიუხვის მატარებელი,
ხელებ გაშლილი მახარობელი,
დიდრონი გულით მღაღადებელი
საზრდოს ბეღელი,ურვის მგმობელი...
-დინჯი,ამყი ყოვლად ძლიერი
ერის და ბერის დამპურვებელ!
პ.ს.
აქ შემოდგომა სლ სხვა ფერია
უფალთან, ღმერთთან წილნაყარია;
დალოცვილია,მადლიანია, საფიცარია,
-მზით გარუჯული მასპინძელია
ვაზით-ნაჟურით, მრავლის მთქმელია,
დედა-ბუნებით დაქარგულია
მისი ყმაა და ბევრჯერ მშობელი...
ჩვენ,მოკვდავების გადამრჩენელი
და ყველა დროის დამშაქრებელი!

თითქოს გუშინ იყო....

გარბის წლები, უკან მოუხედავად...
მოგონება გულსა ალაღებს მთლიანად
სულში ისევ კელაპტარებად ინთება,
ნაპერწკლები კოცონებად ღვივდება!
გარბის წლები-ჩვენ არას გვეკითხება
თმას ჭაღარა თოვლივით ეფინება,
-შემოდგომა,ფოთოლთ ცვევნა იწყება
როს შრიალით...თვალთ ცრემლები ცვივდება...
გვრისტები დედამიწას ებნევა;
კაეშანი თავისთავად ვლინდება
საუბარი-შენ თავთან არ გწყინდება...
– ზამთრის კარი,ნელა-ნელა იღება
გრძნობა ტანში, სუსხნარევად გიჯდება!
– სადღაც მაღლა ცისარტყელა ბრწყინდება...
ფერთა გამა ლაჟვარდებად იშლება,
დრო და სივრცე უხვი ფერით ივსება
ბილიკ-ბილიკ ცის ტატნობს მიუყვება...
თვალს ვერ სწყვეტავ უფლის ნახვა გინდება!
გარბის წლები,უკან მოუხედავად...
– წუთისოფელს,არ ელევა ფანდები,
მოგვხიბლავს და ხიბლში გადავარდები
არ ანაღვლებს...მერე-შენი დარდები,
გულმოკლული კლდეზც გადავარდები!
მუხთალია ამა სოფლის მანტია...
არ ადარდებს ვის გულში რა დარდია.
-იმ სოფლამდე, გზა კი გასავლელია...
ვერას გავნებს ეს სოფელი-მზაკვარი
თუკი გულში სიყვარილი ანთია!
– წლები მხოლოდ ციფრებია,უტყვია
სული როცა უფლის მადლით სავსეა!

სატრფიალო...

ყოველდღე კოცნებით აგავსებ
არ დავიღლები შენითა,
ტერფამდე როცა დაგყვები
ისევ ამოვალ მაღლითა;
მერე მოვსწყვეტავ მაგ ტუჩებს
ბაგეთ ამბიონს ტრფობითა....
თმების სურნელსაც შავიგრძნობ
მყისვე ავყვები მალვითა,
მერე...დაგივლი თავიდან
მოწყურებული შენითა...
დღეს გდავაქცევ ღამეათა
გულსაც გაგიფენ კრძალვითა
ფიანდაზებად ფერხთითა...
ცისკრის ვარსკვლავად აგანთებ
ვერ შეგელევი ვერსითა!
-თქვენა ხართ ჩემი ხატება...
გულს წაწლად,რომ ეხატება...
მოხეთქილი ხართ,ჩანჩქერი
ამ ბედკრულ სულში მჩქეფარი...
-ვფიცავ არ მინდა დიდება.....
ქალი შაიცანთ ადიდეთ....ის,არის
ჩვენი ღირსება!!!

* * *

ქალი,ქალია მზის სადარია...
ლერწმად დაწნული მისი ტანია,
თვალთ მოწყვეტილი თაიგულია,
კლდის ჩანჩქერივით მომხიბლველია
მარგალიტებად ჩამოქნილია,
სურნელ ლაბადით შემოსილია!
დაგოგმანობს და გულს უხარია
მისი ღიმილი რა რიგ მწველია...
დრო და სივრცეში განბნეულია
ის სიკაშკაშით ყოვლის მთქმელია!
-მზეც,რომ ანათებს ქალის ბრალია,
-მის სილამაზის დაჩრდილვას ლამობს,
მაგრამ არ ძალიძს,არ შეუძლია...
ქალი სიკეთის საწინდარია;
ქალი სიცოცხლის ელექსირია!
სურნელოვანი კელაპტარია
გწვავს და გიზიდავს,შენში ანთია...
-ეს, დედამიწაც მისით ტრიალებს
ქალის მშვენება,რომ აფერადებს!
მადლობა უფალს,რომ შეჰქმნა ქალი,
ის ხომ მთლიანად სიყვარულია
ცისა და მიწის დედოფალია!

გილოცავთ შემოდგომის:თვალხატულა
თვის სექტემბრის შემობრძანებას!

– დღესაც ბავშვივით ჩქროლდება გული,
თითქოს მეძახის სექტემბრის ზარი,
მასწავლებელის დიდრონი გული
და მეგობრების ლაღი ჟღურტული!

დრომ ვერ გათელა, ის ტკბილი წლები
პირველ სექტემბრის ტანში ჩქროლება,
დილის რიჟრაჟზე გამოღვიძება
აღტკინებული სულის მზაობა!

გარეთ ბუნების ორომტრიალი
შაშვის ჭახჭახი, ჩიტთა გალობა,
შემოდგომის მზე, უხვი სურნელი
ნატიფი სიოს,ნაზი ქროლება!

– დედა, მზრუნველი სითბოდ დაღვრილი,
რომ მაჩქარებდა თვალთა ამბორით,
– მშობელი მამა, მკაცრი იერით
გზას მილოცავდა,ბრძნული სიტყვებით!

სექტემბრის დარი, სულ სხვა ფერია
დედა-ბნება მრავლის მთქმელია;
ახალი,,ნერგნი"იტოტებიან,მშვენდებიან
ფრთიანდებიან, ცასა სწვდებიან!
– შემოდგომაა... ფერთა გამის გვირგვინოსანი,
ყოველ სიკეთის კრიალოსანი!

გილოცავთ დაო, მრავალს და მრავალს დაგასწროს ღმერთმა❤

-ამ შემოდგომას,
თრობად მოვლენილს...
ფერთა სიუხვით,
ტკბობად დაშაქრულს...
და სიყვარულის გამით შემოსილს,
ფოთოლთ შრიალით,
კდემით მოწყვეტილს;
-,,თავისი" ბეღლის უხი სურნელით,
მოწოლილ ვაზის ნაზი ამბორით,
შაშვთა ჭახჭახით, ჩიტთა გალობით...
მაჭრის ჩუხჩუხით,კაკლთ ჩხრიალით,
სიოს მოტანილის – ,,მისი"ამბორით,
კვლავ ჩახუტებას
ღმერთის წყალობით!
ნაბად შემოსილს ტანში სიამით.
გულის ჩქროლებით,
სულის სიმდაბლით;
მზესც,რომ ანათებს
თვით სინანულით
ამ შემოდგომის ხიბლში შესული...
– დედა-ბუნების უტყვი ტირილით
კვლავ გამეფების
ეგზომ სურვილით!
პ. ს.
შემოდგომაა ყველა დროის
მანათობელი...
მე,შენ გილოცავ, ამ წრფელი
გულის მატარებელი;
– მეც ღვნობის თვეში დაბადებული
მოყვასის ლხენით გახარებული...
მუდამ გფარავდეთ უფალი ღმერთი
და შემოდგომის უხვი სურნელი...
რომ ტრიალებდეს
ფერთა-გამის კრიალოსანი!

* * *

-არ მინდა განგსაჯოთ, აუგად მოგმართოთ;
-სხვა გზას არ მიტოვებთ:ფლიდებო, ლაჩრებო,
ვინა ხართ,რა გინდათ ქვეყანას რადა მტრობთ,
ვინ მოგცათ უფლება სამშობლო
წალეკოთ, არბიოთ, აოხროთ;
ვინ გმართავთ... გაფხიზლდით ერთ-ურთში რად ომობთ!

– აქ მიწაა,წინაპართა სისხლით და ოფლით ნპოხები;
– აქ მადლი ტრიალებს უფლის ნაბოძები
დედა ღვთისმშობელის კალთით ნაფერები;
ერი და ბერია, სქველით ბრძენია!
– რად ცდილობთ სატანამ ჩვენზე, რომ იმძლავროს?!

-ეს საქართველოა ყოვლად ნაწამები;
შიდა და გარე მტრისგან დაგლეჯილი,
გადამწვარი, ვერ გაყოფილი, იავარქმნილი!
ოდითგან ნაგვემი,სისხლად ნადინები...
ახალ,,ნერგები"აჩეხლები,ამოძირკულები, გაყიდულები!

სამშობლოს ყიდიდნენ...დღესაც იყიდება...
სისხლი აღრეული,რომ ვერ წმინდავდება:
ეს გღვუპავს, ქართველებს, მტრის გულებს ახარებს!
ერთურთის ქიშპობა კვლავ, რომ გვაძაბუნებს!

– ხალხი დაიღალა,დაშვრა,დაითრგუნა...
– არ გვინდა სისხლის ღვრა,ძმათა კვლა დაჩეხვა!!!
მსოფლიოს ,,მონსტრებმა", განტევების ვაცად არ გვაქციონ...
ყვავებმა-ყორნებმა სიხლი,რომ დალიონ
და ჩვენს გვამებზე დავლური იცეკვონ!
– გონს მოდით ქართველნო,გაფხიზლდით ბანგისგან...
დედა სამშობლო ხელიდან გვეცლება!

დღითი დღე უფალსაც,ვტოვებთ და ვშორდებით,
სატანა ხარხარებს,მალვთ გვეუფლება;
სიწმინდე,ნმუსი ურცხვად იბღალება,
ამ წმინდა სავანეს მტერი ეუფლება!

ძვირფასი მამის ხსოვნას

ზეცამ შეჰყარა შავი ღრუბლები
და თალხ ფარდებად ჩამოალეწა;
სული აბღავლდა,გული ატირდა
ცრემლმა დამდუღრა ჩვენი თვალები...
როს ჩვიდმეტი წლის, თხუთმეტ აგვისტოს
მშობელი მამის გული გაჩერდა.
ამ დროს შეწყვიტა სამყარომ ბრუნვა:
გამჭოლ-ტკივილმა,სიცარიელემ,უსუსურ-
ობამ, უმწეობამ დაისადგურა;
-მედგრად ებრძოდა,მაგრამ ავ სენმა
ვაჟკაცი კაცი, სულთან გაჰყარა.
ალალ-მართალი, მშრომელი, ბუნებით– ქველი
მისი საქმენი, დღესაც ყვავიან
სიკეთის გზნებით განზავებულნი!
-გაჭირვებით და ტანჯვით გაზრდილი:
მუდამ ცდილობდა სხვის დახმარებას,
ხელის გამართვას,გვერდით დადგომას,
შეხიდებას,ჭირის და ლხინის გაზიარებას!
-ალალ მარჯვენით ბევრი იშრომა,
არა რა იყო მან არ იცოდა
როცა მოყვასი შველას ითხოვდა;
მუდამ სიწრფელის გზებით ვიდოდა...
არ ჩერდებოდა, დროსაც ებრძოდა
და ოჯახისთვის მუდამ იწვოდა!
-პირ მშვენიერი, სანდო ღიმილით
ყველას უყვარდა წრფელი სიცილით.
მამაზე უსაზღვროდ შემიძლია ბევრის დაწერა,
მაგრამ ვიცი, რომ არ ეამება
რადგან ხმაური მას არ უყვარდა,
ქებად ჩამითვლის..არადა მართლა არის საქები;
ჩრდილში იდგა და სხვებს არ მოძღვრავდა,
ამას ღაღადებს მისი საქმენი!
-იძინე მამი, იმ დიდ მხარეში
შრომით მოღლილო და მოამაგევ;
გულით მართალო,კარგო ქართველო!
მსუმბუქი იყოს სამშობლოს მიწა
მუდამ სათუთად, რომ ეპყრობოდი,
კარგად იცოდი მისი ფასი და მზრუნველ-
ობას, რომ არ აკლებდი!
მე; შევსთხოვ უფალს,არსთა გამრიგეს,
შეგინდოს თუ კი რამე შესცოდე;
რომ შენი სული იყოს ნათელში
და დაუმკვიდროს სასუფეველი!
რომელიც ვიცი...მაღლით დაგვნათის
და ყველა ნაბიჯს,ჩვენსას განიცდის!
-ექვსი წელია ჩვენგან წახვედი,
კარგი მამა და კარგი მშობელი,
დედა დალოცე შენი მეუღლე,
ის გვატანინებს ამ დიდ ტკივილებს;
შენ არ მომკვდარხარ, გარდაიცვალე
მუდამ გენთება წმინდა სანთელი,
გზას გაგინათებს შენი სახელი!

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს!
გაუმარჯოს უფლის მადლით
დედა ღვთისას წმინდა კალთით!
ვაზის ცრემლით-წმინდა ღვინით
თიხის თასში მოლივლივით!

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს
ქართულ მიწას სისხლით მორწყულს,
წინაპართა ოფლით ნაპოხს
ყველა გოჯის ყოველ მიტკაველს
და ზედ ,,მუხას"...ბევრჯერ ნაგვემს
ფესვებს მისსა ვერ სადარებს!
მრავალ ტანჯვის გადამტანებს
ვერ მოთხრილებს განამწარებს
მედგრად მდგარებს,საფიცარებს!

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს
საქართველოს ცის ლაჟვარდებს
მთებს:ბუმბერაზს,მხრებგადაშლილს!
ბარს სიტურფით ანაყვავებს;
მინდორ-ველებს,ბაღ ვენახებს
ყანებს ჯაფით მონაყვანებს!

გაუმარჯოს
სოფლებს,დაბებს,ქალაქებს და ციხე-კოშკებს,
მონასტრების სიდიადეს უფლის
მადლით ნაზიარებს!

გაუმარჯოს
ჩვენს ქვეყანას,ყოველ კუთხით
დამშვენებულს;
ერით, ბერით, ყველა ქველით...
ახალ ,,ნერგთა"-აყვავებით!

გაუმარჯოს
ვაჟკაც კაცებს ვინც სამშობლოს
მედგრად იცავს არ იშურებს გულის
ფიცარს!
ოჯახებში კალოს ლეწენ,
ჯაფას-შრომას აფასებენ,
მოყვას კრძალვით ეპყრობიან,
უფროსებს,რომ პატივს სცემენ!
ქალის მანდილს აფასებენ
აუგს,ცუდს არ აკადრებენ!
მტრებს სიკეთით ამარცხებენ...
სიყვარულით საზრდოვობენ!

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს
მანდილოსნებს...
ქართველების ლამაზ დედებს!
დედა ბოძებს...ყოვლად კარგებს;
ერის-ქვეყნის გადამრჩენებს
ჯიშის,გენის გამგრძელებელებს!
ცხრა ძმას ომში გამგზავნებლებს
მათ მხარდამხარ მედგრად მდგომებს!

– დღესაც უწევთ ბრძოლა დიდი
ჩვენს მიწაზე მოწყვეტილებს
და ვსურვებ ყველას მალე სამშობლოში
დაბრუნებას!
გაუმარჯოს ყველას ერთად
ვინც სიწმინდის მანდილსა ჰფლობს
გულით სუფთებს,სულით წმინდებს
ვინც, რომ კრძალვით დაგოგმანობს!

გაუმარჯოს საქართველოს:
ყოველ კუთხეს,ყოველ მხარეს
დედა ღვთისა მფარველობდეს
უფლის მადლით ირწყვებოდეს!
მშვიდობა და ჯანმრთელობა ყველა
ოჯახს მარად ჰქონდეს...
პურ-ღვინო არ მოჰკლებოდეს
სიკეთით და სიყვარულით მათი კერა
მუდამ დუღდეს!
ყველა მყარად ფეხზე დადგეს
ბრძოლით,შრომით,სიყვარულით,
გამტანობით,ერთად დგომით
საქართველო,რომ გაბრწყინდეს....
გამთლიანდეს,იდიდგულოს
ამერმა და იმიერმა
მუდამ ჭექდეს,მუდამ ქუხდეს ქვეყნად
მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ი!

გაუმარჯოს...საქართველოს დიადებას...
გ ა უ მ ა რ ჯ ო ს !
ამინ



ლელა კობერიძე-ჭიაურელი

წელიწადის თვეები

იანვარი

იანვარი – პირველი თვე ახალი წლის,
ზარ-ზეიმით შემოგვიხსნის დარაბას,
გაშლილ სუფრას, ტრადიციულ მოლოდინში,
ღვინით ხვდება თორმეტ საათს თამადა.
მოუთმენლად, სიხარულის ლოდინია,
იგრიალებს თოფები, შუშხუნები,
საზეიმოდ მორთულია მთელ ქვეყნებში
ეზოები, ქუჩები თუ სახლები.
იანვარის სუსხი ყველგან ეფინება,
თეთნულდიდან თოვლი თეთრად ბრჭყვიალებს,
კავკასიონს მხრები ლაღად გაუშლია
და მის გულზე ფანტელები ფრიალებს.
გაეხვევა თეთრ საბანში არემარე
და გორაკზე ყველა ერთად სრიალებს,
ყიჟინია, ჟრიამული დიდ-პატარის,
იანვარში ზამთრის სუსხი ტრიალებს.

თებერვალი

„თებერვალი დადგაო“,
ქარის სუსხი ჩადგაო,
გაყინული მიწა გათბა,
მთებზე თოვლი გადნაო.
თებერვაალის ქარის ბერავს,
ყოჩივარდა კაბას კერავს,
ენძელას და იას, თურმე,
ტყის მეჯლისზე წასვლა ნებავთ.
იქვე თავი მოუყრიათ
გაზაფხულის ყვავილებს,
ფურისულა თავს იწონებს,
მეჯლისს გაახალისებს.
ყოჩივარდა და ენძელა,
ფურისულა, იაცა,
ყელზე ნაზად ეხვევიან
მოშრიალე ნიავსა.

მარტი



გაზაფხული შემოსულა,
ეს მარტის თვემ გვახარა,
თოვლი დადნა, გარეთ დათბა,
ღრუბლები გადაჰყარა.
გაზაფხულის მობრძანება
შეხვედრებით დაიწყო.
დედის დღეზე დარბაზობა,
ყვავილებით აივსო.
და რამდენი ზეიმია
მარტის თვეში მთლიანად,
ეს თვე მართლაც ქალივით არის,
კეკლუცი და ბრჭყვიალა.
და ამინდიც მარტის თვეში
კაბას ცხრაჯერ ივლის დღეში,
წამს რომ მზეა, წამში ქარი,
ამ წუთას წვიმს, იმ წუთს დარი,
რომ შეხედოთ ერთი თვალით,
მარტის თვეა, როგორც ქალი,
თვალ-მარგალიტი და ლალი.

აპრილი

მოჩითულან ყვავილები ჭრელა-ჭრულა ფერებად,
გაფეთქილი ტყემალი ნუშის ყვავილს ედრება,
მოფარფატე პეპლები თავზე შემოევლებათ.
ამ საოცარ სილამაზით აპრილის თვეს შეიცნობთ,
მთაში, ბარში, თუნდაც ველად,
მას სურნელით შეიგრძნობთ.
ასეთია აპრილის თვე – აღდგომის სიხარულის,
ამა ქვეყნად სულის, გულის,
ცხოვრების სიყვარულის.

მაისი

აყვავებულა მაისში ვარდი,
ჩიტი მოფრინდა კართან,
ჩაიჭიკჭიკა, გაზაფხულდაო,
სტვენით გვანიშნა რაღაც,
წყვილი მერცხალი ბზეს იმარაგებს,
ტალახში ზელენ მარდად,
ნისკარტით ჭერზე მიამაგრებენ,
სახლს იშენებენ ლაღად.
იქით ფუტკარი ყვავილზე დაჯდა,
თან დაიმტვერა მაგრად,
დამძიმებული სკისკენ გაფრინდა,
თაფლს მოამზადებს ნაღდად.
ცაში ღრუბლებმა ძლიერ იჭექა,
წვიმის თქეშია ნაღდად.
მერე ისევ მზემ გამოანათა,
მაისის თვისა დარად.
და ცისარტყელაც გადიჭიმა,
მშვიდობის ნიშნად ცაზე,
ზედ მოციმციმე წვიმის წვეთები,
შვიდფერად ბზინავს ტანზე.
ღვთაებრივია ეს სილამაზე
და შეიგრძნებით ასეც,
ადამიანო, მას გაუფრთხილდი,
უკუნით უკუნისამდე.

ივნისი

ზაფხულია, ცხელა, ცხელა,
შესევიან ყანასა,
მოსამკელად გამზადებულს,
ნუ მოაკლებთ ძალასა.
ივნისის თვე მომკის დროა,
ჭირნახულის აღების,
ოქროსფერი ხორბლის მარცვლის
წისქვილისკენ წაღების,
აქეთ მზესუმზირას მიაქვს,
მძიმე თავი მიწისკენ,
თუ დროზე არ მიასწარით,
გადაწვება ძირისკენ.
ამიტომაც ივნისის თვეს
მკათათვე ეწოდება
და ქვეყნებიც მარცვლეულის
მარაგს დაელოდება.
ეს თვე არის გადამწყვეტი,
დოვლათის და ბარაქის,
მთელ ქვეყნებში საარსებო
პურის ფქვილის მარაგის.



ივლისი

ივლისის თვე ისეთია,
როგორც მზეა თაკარა,
ამ დროს საოცნებო არის
მთის ჩანჩქერი ანკარა.
ივლისის თვე მწველი არის,
სოფლადა თუ ქალაქად,
მუშაობაც ძნელი არის,
ღმერთმა მოგცეთ ბარაქა.
ამიტომაც, ცხელ ივლისზე
ეს ნათქვამი გაიხსენეთ,
პაპანაქება ზაფხულში
უეჭველად დაისვენეთ.

აგვისტო

აგვისტოს თვე შერჩეულა
თითქოს უფლის მადლითა,
სასწაულად შემოსილა
ღვთაებრივი ამბითა:
ერთხელ, როცა მთის ფერდობზე,
ქრისტე ხალხში ქადაგებდა,
მის სამოსს ფერი ეცვალა,
ბრწყინავდა და ანათებდა.
იმ დღის ფერისცვალებიდან,
ბევრმა ღმერთი იწამა,
მოულოდნელად იმ წუთში,
ბუნებაც შეიცვალა.
ხეს ფოთლები გაუყვითლდა,
ყურძენს ფერი ეცვალა,
შემოდგომის პირი დადგა,
ყველას შრომას ეწადა.
სუფრის ლალი თვალს შევიდა,
კურთხეული, მადლიანი,
28 აგვისტოს დგება
დღე ღვთისმშობელ მარიამის.
საფერავი დაღვინდება,
ქრისტეს სისხალდ მიჩნეული,
პური მის ხორცად ითვლება,
ზიარებით მიღებული.
ეს თვე არის ბრწყინვალე,
უფლისა და მარიამის,
მათი ძალა გვეწეოდეს,
კურთხეული, მადლიანი.

სექტემბრი

სექტემბერი – პირველი თვე შემოდგომის,
დიდებული სიუხვით და ბარაქით,
ხის ფოთლებსაც შეჰპარვიათ სიყვითლე და
შემოდგომა მობრძანდება მარაგით.
დაგრეხილ ვაზს წელი მძიმედ ჩაზნექია,
ყურძნის მტევნებს ვაზზე გააქვს ბრჭყვიალი,
დაშაქრულა აკიდოზე რქაწითელი
და ქვევრებში მაჭარს გააქვს ჩხრიალი.
იქით ბებო ბადაგსა სდგამს დიდ სამფეხზე,
ცეცხლს აანთებს თათარისთვის რარიგად.
შვილიშვილებს შემოიკრებს ირგვლივ ცეცხლთან
და ჩურჩხელებს ამოავლებს მალიმალ.
სექტემბერში იწურება რქაწითელი,
საფერავი, ადესა თუ თავკვერი,
ღვინობისთვეს იმართება ქორწილები,
ქორწილებით, საქართველოვ, ვმრავლდებით.

ოქტომბერი

ოქტომბრისა თვესა, ღვინო ჩადგა ქვევრსა,
გადაიღეს, გადმოიღეს, მოაცალეს კლერტსა,
თან კასრებიც მოამზადეს, შიგ ასხავენ წვენსა,
ცალკე საფერავს იღებენ, ცალკე კიდევ თეთრსა...
კარგად დაღვინების შემდეგ ზეიმობენ ბევრსა.
ქორწილ-ნათლობისათვის თავს მოხდიან ქვევრსა.
ნოემბრის თვეს შევეგებოთ,
უფლის მადლი გვდევსა.

ნოემბერი

ნოემბრის სუსხია, ამინდებიც ცუდია,
ნისლმა მთები დაფარა, მზემ სხივები დამალა.
სად იყო და სად არა, ცა ღრუბლებმა დაფარა,
ნისლი, წვიმა, სიცივე ამ თვემ შემოგვაპარა.
დაზუზუნებს ქარია, ბნელს გვინათებს მთვარეა,
მწვერვალებს რომ თოვლი ფარავს,
ეს ნოემბრის ბრალია.

დეკემბერი

წელიწადის ბოლო თვესა დეკემბერი დგებაო
და ყველასთვის საყვარელი სურვილებიც ხდება.
ეს თვე გამორჩეულია საოცარი სილამაზით.
ქრისტეშობის სიხარულის მზადებაა წინასწარი.
საუცხოოდ მორთულია, ქუჩები და ქალაქები,
დიდ ნაძვის ხეს შეჰხარიან დიდები და პატარები.
დეკემბრის თვეო, ლხენით აგვავსეო,
უფლის წყალობა გვიბოძე და მშვიდობის მზეო.



მზია ელიაძე

* * *

ცარგვალზე,ცა მოწმენდილზე
მთვარე გამოჩნდა წვრილი...
ფოთოლმკვდარ დედამიწაზე
ფარდაგი შვენის გრძივი...

კარალიოკი დედაზე
ცქმუტავს,ვით ყელზე მძივი,
ბროწეული კი ტუჩ-სახეს
ეჰ,გადახეთქილს ტირის...

ცივა.ვერ მზეობს მზე ცაზე,
სხივთ ვერ იგროვებს ცივ-ცივს.
საამო ცვარი-მიწაზე
იცრება,ვითა ფქვილი...

ცარგვალზე,ცა მოწმენდილზე
მთვარე წუხს ციცქნა,მღილი.
ვეღარას შველის; რა ქნას მზემ?!.
თავი თვით უჭირს,ტირის!..

ოქტომბრის ქარი

შემოუქროლა ოქტომბრის ქარმა,
ხეთა ფოთლები ააწრიალა...
გოლგოთას გზა და მათი ჯვარს გაკვრა?
დრომ რა ულმობლად ააფრიალა!..

*ციაგზე-აქ;ცაზე

ალიონია,შავ მიწას სახე, ცვრიანი სახე მზემ დაუკოცნა
ამოუწმინდა და ამოუშრო თვალზე ალმასი-მბზინავი მძივად...
მიესალბუნა;აშარ ქარივით მტკივანი გული არ დაუკოდა!
გადმოაფინა დალალ-კავები ურიცხვ-ულევი აფინა სხივად...

მახათას მთაზე
ძურწა ბალახი

მახათას მთაზე ტაძრის ეზოში
ძურწა ბალახი ღელავს ნიავზე...
ოქტომბრის თვეა,მზე ზეცის ტბორში
ივანებს; ქრება ნელ-ნელ ციაგზე!..*

მზე და მთვარე

ფიცვერცხლნაჭამი ძმობაც არ შველის
გაბუტულ მთვარეს მზესთან მოდავეს:
-ისეც მშვენიერს სამოსი შვენის,
კიდევ ჩემი შურს მთვარეს, შუქს მაკლებს?!.

მზე მზეობს,ხარობს თვის სანახებში,
მთვარეს არ აკლებს სიცოცხლის სხივებს.
ხან სავსეა და ხანაც, ნამგალა
მთვარის ხვედრია;მზე ჩუქნის მძივებს!..

შემოფრთხიალდა
ჰა,ოქტომბერი

შემოფრთხიალდა ჰა,ოქტომბერი
სველი თავშალით და ოქრო ფერით.
შემოიყოლა გიჟ ქარის ქროლვა
ისმის ფოთოლთა გოდება, გლოვა...

გახუნებულმა მზემ,თხელი კაბა
წვიმით დამბალი ვერ აიტანა
გაწყრა,გაბრაზდა და ღრუბელთ გროვას
უკანასკნელი ისარი სტყორცნა!..

...ო,აირია ცად ყოველივე:
– შეძლებთ დამიხვდეთ წინ რომელიმე?
მე, დაგიბნელებთ,მზე სიცოცხლის დღეს,
კაბას მილტობთ და ურცხვად მისველებთ?!.

ულნაზ ხარაიშვილი

ვარდის ქორწილი

ჩემი ფიქრები ბუნებას ერწყმის
სიამის ნისლი ცეკვავს აისში,
გამლელს რომ კითხო ისიც კი გეტყვის,
ვარდის ქორწილი ხდება მაისში.
მიყვარს მე გორდი სუფთა ბუნებით,
კეთილი ხალხი არავის ავნებს,
თითქოს ჩემია ეს ტყე სრულებით,
სამოსელითაც ბაღს მივემგვანე.
დღის მასპინძელი პოეტი არის,
ყველა ყვავილში მისი სულია,
ცის ვარსკვლავები და შუქი მთვარის,
გუშაგებივით ბაღს გარს უვლიან.

ყინწვისი

რამდენი რამე ვუჩურჩულე მეფე თამარის,
სხვა გზა არც მქონდა გავუმხილე თუ რაც მტკიოდა,
საქართველოში ქართველობა არის მთავარი,
წლებია უკვე ქართულ ზეცას ცრემლი სდიოდა.
გაქრა ერთობა, სიყვარული, ,,ყველა ერთისთვის",
სადღაც ბუჩქებში შექუჩულა ნარკობიზნესი,
იქნებ ეშველა, მიემართა მეფეს ღმერთისთვის,
ან გაერკვია თუ რა არის ამის მიზეზი.

იმერეთის სურნელი

ვარდობის თვეს მიტომ ვყნოსავ ვარდის ყვავილს,
შემაჟრჟოლოს მონატრების სიამემ,
აქ ვიხსენებ იმ ბილიკებს ჩემად გავლის,
მაპატიოს მისვლა დავაგვიანე.
ძირულაში ჩემი ხელით თევზს ვიჭერდი,
მიკრეფია ბლომად ტყეში სოკო,
მოგონებავ, რახანია დამიბერდი,
თვალწინ მიდგას ის პრაჭია გოგო .
მიჩხუბნია და არავინ გამილახავს,
არ ვიყავი ბუტია და გულღრძო,
ჩატეხილი ხიდი თვენთვის გადმილახავს,
მომავალმა სიძლიერე იგრძნოთ!

ვინ რას გაიგებს

ვინ რას გაიგებს როგორ მეტკინა,
როცა ყინწვისის გზებზე შევდექი,
იქ მე წარსული გამომეტირა,
გარდაცვლილებსაც
თვალით ვეძებდი.
მიწა გაცლოდათ
გულზე ფესვებსაც,
ცრემლის გარეშე როგორ ვუყურო,
ისევ მზემ ცვართან
წაიხემსა და...
ღმერთო.გვიშველე
მინდა ვიყვირო.
საქართველო
გავს იმ ხეთა ფესვებს,
რომელიც დგას და
ფეხს ძლივს იკიდებს,
მთაში სალამურს
ვინ ააკვნესებს,
დარდი მხრებს ისევ გადავიკიდე!

როგორც მშობელი

გზას გამოყევით გულს, მზის ნათებით,
დედის უბე ვარ, მე გითბობთ სხეულს,
ჩემეულ სხივის გამონათებით,
მოვეფერები უფლისგან რჩეულს.
მომენდეთ დედას ძალიან. კეთილს,
გაზაფხულივით სიამეს იგრძნობთ,
მე ჩაგიტარებთ ნდობის გაკვეთილს,
რომ ერთმანეთი ბოლომდე იძმოთ.
სანთლის ალი ვარ, ნაფიქრს ვინახავ,
თქვით და მოგისმენთ როგორც მშობელი,
სასწაულები თვალით მინახავს,
მინახავს ღმერთის უარმყოფელიც.
გამომიყენეთ სანამ ჩავედი,
მიწაში... როგორც ხორბლის მარცვალი,
სიბრძნის გონი ვარ, გზა-გზა დაგდევდით,
მტრისიც არავარ დედინაცვალი!

თვალის სარკე

გადიწმინდა თვალის სარკე,
გული კრძალავს დარდებს,
ამ დღეს დავწერ ლამაზ ნარკვევს,
თუ კვლავ არ იავდრებს.
შემოდგომის ფერით მოვრთავ,
სახვალიო ცისკარს,
წარსული რომ ცრემლით მოთქვამს,
ის ტკივილიც მიყვარს.
მიყვარს ცრემლი
რაც თვალს მომწყდა,
გრძნობის ცეცხლის ალით,
გარდიცვალა კი არ მოკვდა,
ვცოცხლობ მომავალით.
მიყვარს თეთრი ფანტელების,
მეფე პატარძალი,
ტყეში ქორფა ენძელები,
რაჭის მრავალძალის.
სიყვარულით ვგავარ მზის სხივს,
ვალღობ გაყინულებს,
ნუ დამიშლით დღეს მე სიცილს,
დარდს ნუ მაიძულებთ.

ვარდი

შენი სურნელება მაჩუქე,
შინი სილაზე მინდა,
მზეც მინდა დღეებს რომ აშუქებს,
ბედი სამართებლით მთლიდა.

შენი სიყვარულით ამავსე,
დამფურცლე თეთრ-
წითელ– ფერად,
გრძნობას კი ცვარნამით ავავსებ,
ვიქცევი ფუტკრების მტვერად!

უნდა დაბრუნდე

უნდა გაშორდე თუნდაც სატრპოს, ზოგჯერ სამშობლოს,
ფიქრების გემით იტრიალო, გაანალიზო,
წასვლა მთლიანად ხელოვანო, ღმერთმა გაშოროს,
მონატრებული კაპრიზიბი აზიზ – მაზიზობს.
დასამშვიდებლად სულის ჭურჭელს ცრემლით გარეცხავ,
წარსულ სიყვარულს ლექსებად და ვარდად დახატავ,
გარდაცვლილები არაერთხელ გამოგეცხადა,
სამკურნებელად გაიხადე ლექსი სახატედ.
უნდა დაბრუნდე ... სანამ მიწა სულ არ წაგართვეს,
თუმცა მტერსა და მოკეთეებს აქ ვერ გაარჩევ...
დღეს რაც შემეძლო სიყვარულით შვილო, დაგათვრე,
უნდა დაბრუნდეთ საქართველო იქნებ გადარჩეს!

ღვთიშობელო

ჩემში ღვთის რწმენა სამუდამოა,
ლოცვაა დღის და ღამის საკვები,
თუმცა ფიქრები კვლავ უდაბნოა,
რატომ? ამ კითხვას წლობით ვარკვევდი.
ღვთიშობლობაა, გილოცავ ერო,
ღვთის მორწმუნენო არა გეტკინოთ,
მინდა ქართველონო იბედნიეროთ,
დედას შვილებზე აღარ ეტიროს.
დღეს ცას თვალები გადაეწმინდა,
ვგრძნობ არ ვიხილავ სულით მშიერებს,
საქართველოსთვის სიცოცხლე მინდა
დედაო ერით მაბედნიერე!

ფიქრის კუნძული

ფიქრის კუნძულო, საით წავიდე
მზე აქაც სევდით ჩადის -ამოდის...
მეც მთასვლელივით მთას მსურს ავიდე,
თეთრი ნისლებით მადლი გადმოდის.
გავერიდები ფიქრის კუნძულებს,
გულსაც ქარებით არ შევაშინებ,
სხეულს არაფრით დავაუძლურებ,
მომავლისათვის ღვთის სახლს ვაშენებ.
ჩემი ძარღვების ყველა წერტილი,
არის კეთილი და უბოროტო,
წელში ვარ შრომით გადაწყვეტილი,
გული არ მინდა გავაბოროტო.

ამომზიანდით

სულ სხვანაირად ვხედავ სამყაროს,
ვარდის ფერებით ბრუნავს წისქვილი,
ღმერთო, ამ ფერებს არსად გამყარო,
არ გავიგონო ერის სიკვდილი.

არ უხაროდეს ქართველს შორს წასვლა,
სულს ასე ხშირად აღარ შიოდეს,
ვაზის ყლორტები მტერმა არ გასხლას,
თვალიდან ცრემლი აღარ მდიოდეს.

ქართველს ქართველი ისე უყვარდეს,
დედას რომ უყვარს თავის შვილები,
ტყვია მამულში აღარ გავარდეს,
არ იყვნონ ღრუბლებ გამოვლილები.

ჩემი სამყაროს მზისფერ უბეში,
მიდით და ერთად გადაზიარდით,
დედაშვილურად რომ გცეთ ნუგეში,
გულს სიყვარულით ამომზიანდით!

სულის ეკლესია

მეც წავალ ისე როგორც უკვე წავიდნენ სხვები,
და მოგონება შეიკერავს სევდის სამოსელს,
არ დაიჯერებთ მერამდენედ მოვკვდი და ვკდები,
გარდაცვალება გადავთვალე უკვე სამოცჯერ.
აქ, ამ კედლებში ლექსს ყვებოდნენ გრძნობით ანთებულს,
ახლა სურათად დარჩენილან მოსაგონებლად,
მე ხიდს ვპატრონობ ცის და მიწის მყარად დაგებულს,
ჟურნალსაც ვუშვებ პოეტების მოსაწონებლად.
მოდით ილოცეთ მადლით მოსილ ამ ჩემს საუფლოს,
აქ არის სულის ეკლესია, ღამით რომ ბრწყინავს,
აქედან მოსჩანს მოკაშკაშე ღამით ცა უფრო,
აქ გამოლღვებით თუ ჩემსავით ბედმა გაგყინათ!

შეუფასებელი ფონდი

ჩემი სიმდიდრე წიგნებია,
ესაა ქონება ჩემი,
ზოგი გაზაფხულის შინდებია,
ზოგი მოცურავე გემი.
წიგნია სიყვარულის, ლაბირინთი,
შეუფასებელი ფონდი,
ლექსია, სიტყვებია განარითმი,
ციდან გზავნილები მოდის.
ერთხელ შემეკითხენ რა ღიირსო,
სწრაფად ვუპასუხე ზეცა,
სული სასიცოცხლო ყველა დღისო,
სხეულს ყოველ დღე რომ ეცვას.
ჩუმად დამცინავად ჩაიღიმეს,
თეთრსაც არ მოგცემთო მითხრეს,
არყით გადათვრნენ და იღიღინეს,
წიგნი სიბუნძურით თითხნეს.
ვდუმ და სიჩუმეში ჩავიძირე,
ბოლოს გადავწყვიტე მეთქვა,
თქვენ რომ სულით ცაში მიიძინებთ,
წიგნი ცოცხალივით ფეთქავს!

გულმა უშენობით

სევდა მზის სხივებმა მკლავზე გადიწვინა,
ზღვები მოატარა მიწვდა ოკეანეს,
გულმა უშენობით ისევ მოიწყინა,
როგორ გელოდები მოსვლას აგვიანებ.

ახლა ზაფხულია იქნებ ზღვაში ცურავ,
ცოლს არ უღალატებ მჯერა ცის მნათობთან,
თუმცა ზეციდანაც ვიცი მასზე ზრუნავ,
ვიცი სიზმრად მაინც ისევ მას გაათბობ.

შვილო წლებია არის გელი უშედეგოდ,
ქართულ ადათ წესით შვილნი მრავლდებიან,
ვცდილობ დიდმა დარდმა მე არ გამომგუდოს,
ჩემი იდეები იმ მწამს მოკვდებიან.

შენ არ დაიდარდო დედა გენაცვალოს,
მე თავს ვანაცვალებ ერის სიდიადეს,
მინდა სიყვარულში სულ მთლად დავიცალო,
ხომ ცნობ დედას შვილო, რომ არ აზვიადებს.

პურიც დავთესე და ყანა ვაჯეჯილე,
დედა გენაცვალოს სახლიც ავაშენე,
გული გამძლეობას შენთვის შევაჯიბრე,
ბედი გელას დედას როგორ შეაშინებს.

როგორ დამასუტებს ღმერთი სიკეთისთვის,
ღვთის მადლს ღვთის მოშიში როგორ გადუდგება,
იქნებ მოესმინათ გულის სიმებისთვის,
თუმცა მე რას ვფიქრობ სხვას რა გაეგება!

ამოგიკაზმავთ

ფერი ვიცვალე, გავიმარჯვე, უკვე სიკვდილზე,
გადავსხვაფერდი, გავიღიმე, გამოვხალისდი,
სადღაც მეძინა უკუნეთში გამოვიფხიზლე,
უკვე მზადა ვარ კვლავ ვიშრომო ჩემი ხალხისთვის.
კეთილთ საგზალად მოგიტანეთ გული მთლიანად,
დაგინაწილებთ სულის შვილებს უკვე გიკაზმავთ,
ოღონდაც ერთად დაგიგულოდ, ადამიანად,
გულს მშრალად არა, სურნელებით ამოგიკაზმავთ!

ჩამოისანთლე სიკვდილო

რაჭის ჰაერით ნაკვებ სხეულებს,
ტალახში ჩაფლულთ ვინ დაგივიწყებთ,
ძალიან ლამაზს გამორჩეულებს,
ზეცაში სეფას უფალი გიწყობთ.
იყო ქვა ღორღი გადარელი,
სული დამკვიდრდა ზეცის წალკოტში,
როს გადავფურცლი იმ დღეთა რვეულს,
მიწას ფიქრებით ისევ დავპოტნი.
მდინარესავით გარბოდა ლავა,
ხეთა ტოტებზე ისხდნენ ჩიტები,
ეს იყო დიდი საშიში დრამა,
როგორ კიოდნენ გოგო-ბიჭები.
მინდა ვიფიქრო იყო სიზმარი,
მამა არ დადის ხელში თოჯინით,
მისი შვილები ისევ იქ არის,
ეტიკეტიკება მშობლებს ჭყლოპინით.
ვაი, რომ არა მწარე სიმართლე,
მითად შეყვება მემატიანეს,
სიკვდილო, ისე ჩამოისანთლე
უკან ვერაფრით გაგატრიალეს!

ფერი იცვალეს

ბევრჯერ ვიტირე ერის
დარდი გავითავისე,
სულ გამოვწურე იმედების
ყურძნის მტევნები,
კვლავ მაინც მჯერა
საქართველო გაიმაისებს,
შეიცვლებიან ბედისწერის
უნარჩვევები.
გარდაცვლილებმა, საზეიმოდ ფერი იცვალეს,
ცაზე ვარსკვლავად
აზეიმდნენ ათინათებად,
ალვის ხეებმაც
სამოსელი გამოიცვალეს
აუცილებლად
იმედის მზე გამონათდება.

ბედისწრის ხართან

ნისლში ტრიალებს ჩემი წარსული,
ბედმა მატირა, მჟეჟა და მცემა,
დარდს აღარ უჩანს ეს დასასრული,
გული დამიფცქვნა ამ ფოთოლცვნამ.
სუსტი იჩოქებს ბრძოლის ჭიდილში,
ძლიერი მისდევს ცხოვრების აღმართს,
მე მოვძლიერდი ბევრჯერ სიკვდილში,
მარტო ვჭიდაობ ბედისწრის ხართან.
ორთა ბრძოლაში ომი მოვიგე,
სულის სიმშვიდე წამომეშველა,
სიკეთის თესვა კაბად მოვირგე,
დაუთმე, ზოგჯერ ბედსაც ეშლება.
თუ გიყვარს ბევრჯერ უნდა იტირო,
ცრემლის გარეშე სუსტია გრძნობა,
უნდა დამშვიდდე, გამოიტირო,
შეინარჩუნო ბოლომდე ნდობა.
და თუკი არა ... გზა გააგრძელე,
შენი მეობა არ დაივიწყო,
სიცოცხლე შენით გაიხანგძლივე,
ტკივილი უნდა გადაივიწყო!

მყინვარ წვერო

რომ არ დალღვე მყინვარ წვერო,
შეგიკერე თეთრი კაბა,
თუმცა როგორ მოგეფერო,
გამოღმით ვარ შენ კი გაღმა.
ფიქრის ღრუბელს გამოვატან,
თეთრ ქათქათა შესამოსელს,
ამისრულე მთაო ნატვრა,
ცრემლი თვალზე აღარ მომსკდეს.
ძარღვებ დამსკდარ შოვის ადგილს,
ბედისწერის, ცრემლი ჰქვია,
იქ, სიტყვის თქმაც უკვე არ ღირს,
მთა, ქვა-ღორღის სამარხია.
თავის დროზე ყინვაც მინდა,
მზის სხივებიც მხოლოდ ნაზი,
ლამარიასავით წმინდა
ადათი და სიტყვა მახვშვის
მყინვარწვერო იქათქათე,
ნუ მოაწყენ ორქიდეას,
შოვის დარდით ღამეს ათევს,
ხვალ სამყაროს გლოვის დღეა!

უფლის წყალობა

ჩამოვისვენე ამ წალკოტში
სადაც ატყვია,
ნატერფალები სიკეთისა
ლამაზ ზღვარებად,
ნაზი ხელებით ამოვიძრობ
გულის ნატყვიარს,
ქართულ ოჯახში ზეიმობდა
თვით უკვდავება.
იყო პოეტის აღზევება
ციდან მიწამდე
ლამაზ წიგნებად, დაბადება უფლის გზავნილის
და კიდევ ერთხელ
საბოლოოდ გულით ვიწამე,
ყველა ლექსია თვით უფალის გამოგზავნილი.
რაა სიმდიდრე შემეკითხეთ
და გიპასუხებთ,
ყვავილები და ჩიტუნების
ჭიკჭიკ – გალობა,
აქ, შეიმშრალებ ბურუსისგან ნათქორ–
ნასუსხებს,
ამ ქართულ ოჯახს
ქონებოდეს უფლის წყალობა!

იდინე წყაროვ

იდინე წყაროვ, შენს სიცოცხლეს უფალს ვაბარებ,
შენც არა გევნოს ქარიშხალი თვალებს აცეცებს,.
წყარო დავითის ქართვლის მოძმის სახელს ატარებს,,
მშვიდად იარე ისრაელი რომ არ აცრემლდეს.
ომით ძარღვები თუ დაგისკდა მიმოიფანტო,
შორს წასულ შვილებს გადაუსხი შენი წყლის ძალა,
მშვიდობა მინდა მსოფლიოში სხვა რა ვინატრო
და სიყვარული სატანამ რომ გადამიმალა!

გამოიდარებს ისევე

და ისევ მჯერა, ღრუბლიანში გამოიდაროს,
ამიტომაა ჩემით ვხატავ მზისფერ სამყაროს,
ვცდილობ არ გავტყდე, დარდებითაც არ მოვიხარო,
ბედთან ჭიდილში ან ფარხმალი რატომ დავყარო.
 ცხოვრება მუდამ ომია და გულის ხანჯვლაა,
ამ ჩემს ტკივილებს ემატება სხვისი ტკივილი,
ტირილი? არა ძვირფასებო დროის ხარჯვაა,
შეინარჩუნეთ ძველებურად სახის ღიმილი.
ბედის პირისპირ სულ მარტოდ ვარ ცხოვრების ომში,
მაინც იებს ვრგავ სამომავლოს ჭადარს და ფიჭვებს
ამოშენდება უკვდავების სიკეთის კოშკი,
გამოადგებათ, ჩემი ქვეყნის გოგოს და ბიჭებს!

ცისკარელი

წვიმს და ნაზო კესანებო,
მოწყენილხართ სევდით,
მართლა როგორ მენანებით,
მზეს რომ ვერსად ხვდებით.
ამიტომაც ყოველ დილას,
წყალს მე გისხამთ ნაზად,
დილის ცისკარს შეერთვილა,
სევდა ფიანდაზად.
იმედები ბევრჯერ დაღრნეს,
დარდით სულ არ მოკვდეთ,
ქარი ჭიშკარს ძალით არღვევს,
წარღვნა კვლავ არ მოხდეს.
არ დაგიჭკნეთ ღეროები,
სევდის ფერით კარგნო,
მიფრინავენ წეროები,
სულ არ გადიკარგნონ.
მიჭირს მაგრამ გაგიღიმებთ,
ვცხოვრობ დარდის ცის ქვეშ,
თავს ვაფარებ ფიქრის ღვიმეს,
ვმალავ ვაივიშებს.

სულის ბუდე

ნათლის სვეტი მოეფინა ხოდაბუნებს,
ცაშიც მოჩანს ცისარტყელის ფერი,
ეს იმიტომ ურემი არ გადაბრუნდეს,
ნაკვერჩხალი რომ არ ჩაქვრეს კერის.
ჩვენ ერთად ვართ ერთმანეთის ვიცით ფასი,
გვესმის ბუჩქში ია-იას სუნთქვაც...
სიცოცხლეა სიყვარულით ძვირფასი და...
ქუათასი გულში რომ შეფუთავს.
სალოცავში სანთლის ალზე ფიქრში დავწვით,
დარდები და მზეს გაუღეთ კარი,
სულის ბუდე კიდევ გაზრდის ერის არწივს,
დაირეკა სამრეკლოში ზარი!

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ნაირა უგულავას

ნინი ხერგიანს

მჯერა არ გახუნდები

შენი სული ცაა და ..
გხურავს წმინდა მანტია,
გული ლურჯი ზღვაა და ...
შუბლს სიკეთე ატყვია.
არ იცვლები არასდროს,
არ ქარბუქობ მარტივით,
მგონი ყველას გაასწრო,
ლექსებით და სატირით.
ეს დღე კარგო შენია,
დღეს მზეც შენთან ჩამოდის,
სულ სიკეთე გვჩვევია,
კვირტიც შენით გამოდის.
ვის არ შველი ქალ-ღმერთო,
ერთ ლუკმასაც გატეხავ...
მნათობების ნაერთო,
გულს ყოფ ნატეხ– ნატეხად.
გორდის ტყე-პარკს წააგავს
შენი სულის ბუნება,
ყვავილს ფეხს არ დაადგავ,
არ აყვები ცდუნებას.
მისაბაძო ყველაფრით
კალმითა და დედობით,
ღვთის სიკეთის დანართით,
გულის ეზო ფერდობით.
სამოცდა ხუთს დაითვლი,
შვილებით და ხუნდებით,
ბედი ას წელს დაგნათლის,
მჯერა, არ გახუნდები!.

სვანის ანგელოზი

* * *

ანგელოზი ილოცება,
უმანკო და წრფელი,
ვეღარ ვმალავ გაოცებას,
ხატს მოკიდა ხელი.
ევედრები ნინი უფალს
პაწაწინა ქალო,
გხედავ ერის ჭირისუფალს,
ციცქნა ამორძალო.
ბავშვი ვის არ უნახია,
ცელქი ონავარი,
ანგელოზს რომ უძახიან,
დიდთან თანაბარი.
ნინი გოგო სულს სხვა არის,
ხერგიანის ფესვი,
უშგულის და სუნთქვა შხარის
მთის ჩურჩულიც ესმის.
გაიზარდა თითქოს ჩემთან,
თან ლოცულობს როგორ ..
ვათანაბრებ ნინის მზესთან,
მიყვარს ტკბილი გოგო!

გულიადა სანოძეს

ორი გული

აგვისტოს გავს ცხელი გულით,
საქმით ალბათ ცას მისწვდება,
მისი ცხელი დედას პური,
მაძღარსაც კი მოუნდება.
მსახიობი, პედაგოგი,
იაგოს და ედოს დედა,
ითმენს ზოგჯერ ვით იობი,

ეთერ ჭელიძეს

გულიადა და გულნაზი,
დამნაშავეს როცა ხედავს.
ორი გული ერთად არის,
ღია არის გულის კარი,
ფიქრითა და დედააზრით.
განვასხვავებ ყველასაგან
შევაერთებ ორ გულს ერთად,
გულიადა ჩემს გულსა გავს,
ორი გული ერთად ფეთქავს.
ტოლებიც ვართ თუმცა მჯობნის,
ფრინავს როგორც შევარდენი,
როლი არის მისი ჰობი,
შეასრულა თან რამდენი.
ხან ცხენს კაზმავს ვით ვაჟკაცი,
ხან კი ძროხას წველის სახლში,
ყველა აქებს ქალი – კაცი,
დამწვარია საქმის ალში .
ქარი ჩადგა, გადაშენდა,
ქარიც ხათრობს გულიადას,
მე ლექსი მხვდა განაჩენად
როლში გული დატრიალდა!

ჩემი ესმის

უთქმელად რომ წაიკითხავ,
სიხარულს და ... თუნდაც სევდას,
არავის რომ განიკითხავ,
სათქმელს პირში რომ შებედავ.
ეყვარები ყველას ისე,
როგოც დედა სულიერი,
მათი დარდი გულს მისერს და...
ქონდეთ მრავალჟამიერი.
ყვავილებით აგერ ეთო,
შემეგება სულ ნარნარით,
გულში მინდა სანთლად მენთოს,
ეთო მზის სხივს მისადარი.
მოხდენილი და კოპწია,
რარიგ შვენის ღიმილები,
მზემ სხივები ჩამოწია,
დააფინა დილილმები.

კვლავ ნისლებია სევდიანობს დედა ბუნება,
ცა ტირის ისევ დედამიწას აწვიმს ცრემლებით,
მღერის ღვთის ხმები საქართველოს ებულბულება,
სალოცავად კი აღმართულა სულის ხელები.
მაინც იმედი, მაინც თმენა, რწმენა ღვთიური,
სადღაც ზეცაში მიმალული ვარსკვლანი მოსჩანს,
ყურში ჩამესმის რაღაც უცხო ხმა ზეციური,
დავაკვირდი და შეგიცანით მარი და გოჩა!

მარი და გოჩა
(ჭაბუკაიძეს და გიგაურს)

თამუნა სხირტლაძეს

გლოცავ ბებიკო

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
როგორც მნათობი ხარ ისე თბილი,
ვცდილობ ბებიკო რით გაგახაროთ,
ხარ ჩემი გელას პირველი შვილი.
უკვე დედა ხარ ჩემო საუნჯევ,
ბექა გეზრდება ხვალის იმედად,
მე სიხარულით ლამის დავმუნჯდე,
ღმერთმა დედობა გამოიმეტა!

ნესტან (ვალიდა) ხარებავას

* * *

როგორ სათუთად შემოიჭერით ჩემს სამყაროში,
ჩუმად,სიდინჯით შემოუარეთ სუყველა კუთხეს,
თქვენმა მფარველმა ანგელოზებმა კვალი დატოვეს,
ჩემს ანგელოზებს საამებელი სიტყვები უთხრეს.
არა ცდებიან ბრძენნი,ამბობენ რომ შენნაირებს,
არ უჭირთ ცნობა შენი სამყაროს,სიღრმეშიც აღწევთ,
ტკბილად ჩამეღვარა, სიყვარულის ტალღები სულში,
ჩემდამი მოძღვნილ ლექსში ასე სათუთად რომ აღწერთ.

მარეხის და გიას

ბექას

საამაყო

დისშვილს დინჯს და თანაც ჭკვიანს,
სიყვარულში გაუმართლდა,
მის მეუღლეს გია ქვია,
ზეცა ცოლ-ქმარს გრძნობით ნათლავს.
საამაყო წყვილმა შვილი,
ყველა კარგი გამოზარდა,
ყველა არის ტკბილზე – ტკბილი
მოვეფერო უკვე მზად ვარ .
არ აკლიათ განათლება,
არც მშობლებს და არც მათ შვილებს,
ვხედავ გული მინათდება,
რომ ვუყურებ თბილზე-თბილებს.
მათ ოჯახში სიწყნარეა,
მხოლოდ ჩურჩულს გაიგონებთ,
სულის ბაღში სიმწვანეა,
ბევრი იტყვის რა იშოვნეს.
არაფერი მხოლოდ გრძნობით,
ააშენეს მთვარის სახლი,
სულ სიფრთხილით გულის ნდობით,
გაყოლიან გრძნობის მარხილს.
სიოც ფრთხილობს არ იცელქოს,
ეფერებათ დღეს მათ დილაც,
სიმღერით მსურს დაიჭექონ,
ას წელს შეაბერდნონ ტკბილად!

ბაღის ლამაზმანებში

ბექა უკვე კაცურად
ქცევით გამოირჩევა,
სალამს მამაკაცურად,
გეტყვის გამოიქვევა.
ჭკვიან ლამაზ თვალებში,
სიკეთის მზე ციმციმებს,
ბაღის ლამაზმანებში,
იცეკვებს და იცინებს.

ირმა კეკელიძეს

სიმართლეა შენი ჰობი

სილამაზით ვარდსაც ჯობნი,
ჯავრობ ხშირად ერის ბედზე,
სიმართლეა შენი ჰობი
და ხოხობი გაზის მხრებზე.
თავდაბალო, უფლის გზაზე,
დადიხარ და სულსაც კურნავ,
ფიქრით აღწევ მთვარის კარზე,
იქ, გადაშლი დარდის ჟურნალს.
მოიკითხავ ზვიადის და...
ქართვლის ბედს კი დაუმალავ,
დუმს სიმარღლის წყვდიადი და...
მოღალატეს გულში კრძალავ.
ცრემლს ჩაყლაპავ მარილიანს,
ცას რომ ხედავ ერის შვილებს,
ტკივილები ძარღვს გიღრნიან
სამშობლო რომ გაგიშვილეს.
დილის რიჟრაჟს უჩურჩულებ,
ან რას ეტყვი ქართვლის ბედზე,
შესევიან ურჩხულები,
დარდობ, სულ არ გადაშენდეს!

ლია ალადაშვილს

ვინ დაიჯერებს

*

ჩემს სულში რომ დაფათურობ
რას დაეძებ ლია,
უნდა მოგესათუთო და...
დარდი მიაქვს ნიავს.
სიალალით პატივსა გცემ,
ნიეჭიერო ქალავ,
მეც იმედის კაბას გაცმევ,
ვამბობ, არცა ვმალავ.
შეიყუჟე ჩემს ფრთების ქვეშ,
არ შეგცივდეს კარგო,
გულს მოგირჩენ, გადაგარჩენ,
დარდიც გადავაგდოთ.
სიყვარული მამულისა,
რა რიგ გშვენის ლია,
გტანჯავს ფიქრი წარსულისა,
რა არ გაგივლია.
გულის ხანჯვლა და ღალატი,
სხვა ტკივილიც ბევრი,
ბედი იყო ის ჯალათი,
მამულისთვის მღერი.
შენი შვილი ვალერი და
სოფო, ლუკა, მარი,
არის გული წამალი და ..
არის შენი ფარი!

საამაყო დედაა თამუნა

ისეთი წმინდაა თამუნას სული,
როგორიც სპეტაკი ფიფქები,
ბედი რად არის გაყურსული
ხშირად ამაზე ვფიქრდები.
ქართველი ქალია, იტანს ყველაფერს,
ნოსტალგიას და ელის გაზაფხულს,
განვლილ ბილიკებს სიწმინდეს დააფენს,
უძლებს ტკივილებს, ბედისგან გამოხრულს!

მარი ლომუაშვილს

ამორძალი

ქალის ღირსება სიბრძნის წყაროა,
დაეწაფე და გაუკვდავდები,
გონი ეს ისე მძიმე თაროა,
შეისწავლე და არ დამთავრდები.
ეს მზე ქალა კი საქმის გიდია,
მისი გონება ღრმაა ძალიან,
აყვავებულა როგორც შინდი და...
მარი ნამდვილი ამორძალია.
წლები კი ჩუმად ჩამიჩუმობენ,
მარი სიმშვიდის დარბაზიაო,
მზე და მთვარე კი ასე მსჯელობენ,
მგონი ეს ჩვენზე ლამაზიაო.

გიული ერგემლიძეს

ქალბატონო გიული

მე ვქმნი თვითონვე
მადლის სამოსელს
და სხვის უთქმელად
შევკერავ ხალათს,
შევქმნი ერთჯერ და
შევქმნი სამოცჯერ,
ჩემს გტკივილებს კი
ვფუთნი და ვმალავ.
ჩემი ხვედრია მეტკინოს სხვისი,
მახარებს მზე და მტკივა ქარებით
ყველას გონია გული მაქვს ქვისი,
ამიტომ გავხსენ ცისკრის კარები.
შენ ჩემო კარგო და უკარგესო,
რა იგრძენ ასე რომ მეფერები,
შენით ეგების სულს წავახემსო,
სევდა, სითბოთი შენაფერები!

ერეკლე საღლიანი ბავშვებთან ერთად

ისტორიაა ეს კადრები

ჩაკეცილ ამ დროს გადაშლიან ვით წიგნის ფურცელს,
საქართველოში გაიზრდება გოგო და ბიჭი,
პოეტი ბავშვებს სიყვარულით როდესაც უცქერს,
არ მოვეფერო ამ კუდრაჭებს ძალიან მიჭირს.

ისტორიაა ეს კადრები საინტერესო,
გულს მიწებია ანგელოზნი პოეტ საღლიანს,
ეს სურათები მსურს მოგართვა უნეტარესო,
ხვალის დარდები ერის მწყემსო, ვეღარ დაგღლიან!

მზია ერგემლიძეს

გულის ათინათებით

დაბადების დღეს გილოცავთ ქალბატონო მზია, აკადემიაში მიღებით და გულის ათინათებით. ბედნიერი იყავი პოეტო ქალბატონო.

ლექსით როგორ გაგაკვირვებ დედავ,
ზეციურო, მწვერვალს უკვე მიწვდი,
ეს, უბრალოდ თბილი სიტყვით კვებავ,
ჩემში ახლოს გულში განაწილდი.
მზის სხივები დავიწიე ციდან,
ვთხოვე მნათობს დღე რომ გაგიბრწყინოს,
შენთვის კარგო, სულ სიკეთე მინდა,
ემიგრანტო, მად არ მოიწყინო.
ხედავ მოგწვდი ფიქრის გემით კარგო,
საქართველოს გაცდა სიყვარული,
იქნებ სიტყვით შვება ოდნავ გარგო,
დაგიღამო ეს დღე სიხარულით!

ნატაშა გაბარაევა-ხარაიშვილს

ნაპოვარა

ნახევარი საუკუნე მიიწურა,
დაიწურა დარდით ნაგვემ– ნაცემი,
ფიქრის საბანს როცა მშვიდად წავიხურავ,
მოგონებას გავცრი წმინდა საცრით.
იყო წლები კვირტმოსხმული გაზაფხულის,
შემოდგომაც იყო ხვავის– ბარაქით,
ახლა ეს დრო სევდითაა გამოხრული,
წარსულის წლებს მოგონება დავარქვი.
იყო ძმობა, ხელგაშლილი მასპინძლობა,
ოსების და ქართველების ზეიმი,
ერთმანეთში გათხოვება კარგი რძლობა,
გთხოვ წარსულო ისევ ამოზეიმდი.
შვიდ მაისის ეკლესიის დიდ ეზოში,
იშლებოდა სალოცავში სუფრა,
შეგვიტყუეს სულ უაზროდ ძმათა ომში,
ან რა უთხრათ ცას რომ წავალთ უფალს.
დღეს ვიპოვნე ჩემი სისხლის მოზიარე,
ოს-ქართველა დედითა და მამით,
გმადლობთ ღმერთო სიხარულს რომ მაზიარე,
დღეს წარსული მესიზმრება ღამით!

ვალია კვაშილავას

დამიჯერე

კორბოულის ფიქრის გორას მივწვდი,
გორაძირზე დავუყევი აღმართს,
სუნი მეცა ჩემი კუთხის მიწის,
გამახსენდა ხვანიც, ჯალაურთაც.
კორბოულში ნათესავი ჩემი,
ბევრიც მყავს და ბევრიც გარდიცვალა,
ან ვინ არის ბოლოს აქ დამრჩენი,
შენ გამოჩნდი ჩემთვის ცისფერთვალა.
დამიჯერე შენში ვხედავ იმათ,
ბიძაშვილებს, ჭრელა-ჭრულა კაბით,
მოგონებებს ჩემს ბალიშზე ძინავს,
კვლავ ერთად ვართ დღისითა და ღამით.
კენჭიც მიყვარს, იმერეთის დარე,
მიყვარს ბუხრის გამომცხვარი მჭადი,
იმერეთში სხვა ფერია მთვარე,
ძირულის პირს მოგონება დადის.
პოეტური ლექსები კი მთებში,
აუ, რამდენს გაურითმავთ ადრეც
სიყვარული დავინახე შენში,
ლექსებით კი ვერხვებს შეგადარე!

საქორწილო მირზას

გაბედე მირზა

გაბედე შვილო თქვი ის სათქმელი,
რაც გულში დარდად შემოგწოლია,
გიდუღს გულმკერდში სისხლი ქართველის,
დუმილი გრძნობის მუდამ ნოლია
გაბედე თორემ წავა ის წლები,
ხოდაბუნებში გადაფრინდება,
ნისლის საბნის ქვეშ შენ ხშირად წვები,
ის ვინც წავიდა არ დაბრუნდება.
გაბედე მირზა ხედავ მერცხალი,
შენ გელოდება ჭიკჭიკს ვერ ბედავს,
წარსულზე შვილო, ნუღარ ცეცხლდები,
ბედი წინ გიზის და ვერა ხედავ!

გუჯა კილაძეს

ხაშურული ღიმელები

ლამაზ თვალებს მზის სხივები
დასთამაშობს ისე,
როვორც ღამეს ვარსკვლავები,
ცისარტყელას მისდევს.
მოციმციმე ვარსკვლავია,
მომავალი ხვალის,
პაპის კვალზე გაშლილია,
ბებოს ნატვრისთვალი.
კაცურ-კაცობს გუჯიკელა,
არ შეარცხვენს მამას,
უყვარს ბებოს ცისარტყელა,
გაჩენია წამლად.
შოთას წყაროს დილით დალევს,
საღამოთი ღვინოს,
ას წელს კაცურ-კაცად გალევს,
ვლოცავ სულ იცინოს.
ხაშურული ღიმილებით,
იცქრიალე ბიჭო,
არასოდეს დაიღლები,
პაპის სახლის ჭიგო!

გ ა მ ე ხ ა რ დ ა

არ გვეტყობა სახის ფერზე დარდის ნისლი,
წავითხუპნეთ მზის სხივების აჩრდილით,
ჩვენ ვაჟკაცებს ცაში შეხვდათ სახლის წილი,
ერთად იყვნენ დღის რიჟრაზე ამ დილით.

გამეხარდა ო, ძალიან გამეხარდა,
უკვდავების მგზავრები რომ ვიხილე,
სიცხე იყო ხალათები გაეხადათ,
ღმერთო ჩემო,სიხარულით ვიკივლე.

ორ პოეტ ქალს დაგვებედა ერთი ბედი,
თვალის გუბე აგვსებია ცრემლით,
უნაზესო, რწმენის წლებით დამიბერდი,
შენნაირებს დე გულნაზი შველის!

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
Makvala Gonashvili

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი –
მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator,
Philologist, poetess.

***

ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი,
გზებს მიჰყვებოდნენ წვიმის და ქარის,
მიჰქონდათ გულიც ნაწილ-ნაწილად
და ჭრილობაზე მადებდნენ მარილს.

როგორც მისანი შელოცვილ კენჭებს,
ტკივილებს ბოღმით ვაჩხრიალებდი,
დარდით, ვნებით და სიტყვით მოქანცულს
მელოდა ზეცის ლურჯი კარედი.

და რომ გეპოვეთ, მე ნაკვალევზე
ფეტვის მაგიერ ლექსებს ვფანტავდი,
მაგრამ გავიდა ჟამი ვარდობის,
ღმერთო როდემდის? ღმერთო სანამდის?

მე ვდარაჯობდი თქვენს მაძღარ სიზმრებს,
თქვენ კი ცხადშიაც ბევრჯერ გამწირეთ,
ხე ხენეშივით ტრიალ მინდორზე
ვმასპინძლობ დაღლილ ქარებს და წვიმებს.

***

Who I loved and who was in love with me,
They all followed roads of rain and winds,
They were cutting off my heart piece by piece,
And they were putting salt in my wound.

And like a sorcerer with enchanted pebbles,
I jungled pains with anxiety and grieve,
Exhausted by sorrow, by harm and evil words
The blue-azure Heaven waited for me.

And you to find me, on my trail
I scattered poems instead of millet,
But the time of rose blooming has passed...
Until when My Lord? How long to wait?

I guarded your repleted dreams,
But you betrayed me even in real.
Like an abandoned tree in the field,
I host the weary rains and winds.

ხმა მესმა

ამოახველებს ზეცა ქარ-წვიმას,
ღრუბელს ფილტვები კვამლით აევსო,
გზა ამერია, გამჭვარტლულ ცაზე...
როგორ გიპოვო, უზენაესო?

სიტყვებს წაერთვა ძალა ღვთიური,
ხმას ვეღარ გაწვდენ, ვხავი ამაოდ,
გაუდაბურდა სამოთხის ბაღიც,
მე სად გიპოვი, დიდო მამაო?

დაწყევლილ წრეში ვბრუნავ, დავყვები
ერთფეროვანი დღეების ქოროს,
ხმა მესმა: _ „თუ გსურს მართლა მიპოვო,
საკუთარ გულში მეძებე მხოლოდ“.

ბარათი დედას

ჩვენ როცა ვდუმვართ,
ჩვენ როცა ვფიქრობთ,
ლაპარაკობენ ჩვენი სულები.
სიზიფეს ლოდიც მემსუბუქება,
რადგან ამქვეყნად შენ მეგულები.

შენ ერთადერთი მომდევ ფეხდაფეხ
სიმარტოვის და ტანჯვის კარამდის,
ჩემს გამო როგორ ჩანავლებულხარ,
ჩემს გამო როგორ დაპატარავდი.

თუმც შეავედრე ღმერთს ჩემი თავი,
ბედი-ავბედი მაინც თან მდევდა,
გთხოვ, მაპატიო, გთხოვ, მაპატიო,
რომ ბედნიერი არა ვარ, დედა!

I HEARD A VOICE.

It's windy rain. It is a thunderstorm,
Clouds' lungs strangle from sooty smoke,
I am confused; I messed up my roads,
How can I find you, my supreme Lord?

Words have lost their divine vigor,
My cry can't reach you, my bitter sob.
Even Eden Garden overshadowed.
Where can I find you, My great God?

I turn endlessly in a cursed circle,
Following my way – dull, monotonous.
I heard a voice: „If you want to find me,
Please, look for me only in your own heart“.

A LETTER TO MUM

When we are silent, When minds think,
At that time, usually, our souls speak.
It eases me even the Sisyphus boulder,
It's because I've got you in this world.

It's you, the only one, following me
To the loneliness and suffering gate,
You look as if you burnt down to ashes,
You got so small, and it's because of me.

Though you begged Heaven to praise me,
As my lousy fate was pursuing me.
Forgive me, Mother, forgive me, please,
That I'm not happy, and I don't think I will!

თავისუფლება

თანდათან ვსწავლობ ცხოვრების ხერხებს,
შავი პიარი, მკრთალი პიერო,
მითხარ, სატანავ, რა წყალობისთვის
გადამიხადე სამაგიერო.

ჰო, ხალხო ჩემო, ჰო, ერო ჩემო,
ჰა, ბრიყვთა ლიქნი, ჰა, დაფნის ჩერო...
ნეტავ რამდენჯერ გინდათ, ეგ ფარსი
ნამდვილი ყოფის ფასად მიჩვენოთ?

ადრე თუ ტყვიით კლავდნენ მართალ კაცს,
დღეს მოდად იქცა დაშანტაჟება,
თქვენთვის ეს ლექსი ტექსტია მხოლოდ,
ჩემთვის _ სიკვდილთან შეთამაშება.

ჩემთვის სიტყვები ქვაა სიზიფეს,
მსუბუქი ლოდი სად გინახიათ?
ძველ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ ჭკუას
და ეს სასჯელიც ჩვენზე ახია.

დღეს სიზიფესაც გულს ლოდი ადევს,
ლოდი, რომელიც გულს უღონებდა,
თუ არ ის ლოდი, თუ არ ის ტანჯვა,
სიზიფეს დღეს ვინ მოიგონებდა.

უკვდავებაა გზა წამებისა
და წამიერი ყველა განცხრომა,
არ მიუცია უფალს კაცისთვის
სული მონად და თავი საცობად.

თუ არ მივყვებით გზას ტაძრისაკენ,
თუ არ ვიქნებით თავის უფალნი,
მაშინ დარჩება ერი და ბერი,
სოფლის გიჟივით თავისუფალი!

LIBERTY

Life forces me its queer ways to learn,
Black PR chases me instead of eminence.
Tell me, Lucifer, for what mercy
Are you punishing me or retaliating?

I address you to listen to me, my nation!
Here, fool's praising and laurel wreath!
I wonder how long, I wonder until when
You want to show me your false kindness.

If there before bullets killed the faithful,
Today, blackmailing has become fashionable.
If this poem is for you only plain text,
It is, for me, playing with death.

For me, words usually are the Sisyphus rock,
And have ever you seen a light boulder?
We cannot learn from our old mistakes.
And this punishment? We deserved it.

Today, the stone presses Sisyphus' heart,
The boulder — he carried on the hills up,
If not that boulder, if not that punishment,
Who now would remember Sisyphus itself?

The way to immortality is Martyrdom.
Don't lose everything for a moment's joy.
God did not give it to man to use his soul
As an enslaved one and his head as a cork.

If we don't follow the right path to the temple,
If we don't owe and control ourselves,
Then, a layman and a churchman remain
Free like a village madman, brainless insane.

***

პირველად როდის დამტოვე ღმერთო?
როდესაც შენი ხმა არ ვისმინე.
იმ დღიდან ჩემში ურჩი მეორე
ყალყზე დგება და ჩუმად სისინებს.

იმ დღიდან შევრჩით ერთურთს მე და ხე,
არც ხე განკაცდა, არც მე გავხევდი,
და წერტილივით მოჩანს ამ ხიდან
იმ წალკოტისკენ გადასახედი.

ცაში გაუდგამს ამ ხეს ფესვები
და ქვესკნელს სწვდება შავი რტოებით,
მე რა ვიცოდი ერთი ცოდვისთვის
მამა შვილს ასე მიმატოვებდი.

იმ დღიდან რტოებს მივსდევ და მივსდევ,
ფოთოლთა ცვენაც ათასჯერ ვნახე,
სადა ხარ, ზენა რატომ დავკარგე,
ო, ერთხელ მაინც მიჩვენე სახე!

მე გზა ამებნა ამ ხის ტოტებზე
და მეშინია ზეცად დაცემის,
აქ სანადიროდ ყოველ ცისმარე
ძაღლებს გეშავენ მეფის კაცები.

მიწიერ მეფეს ფერი აქვს მიწის,
მე კი კვლავ მხიბლავს საოცარ ძალით,
აკძალული ხის ნაყოფი მჟავე
და მეორმოცე _ დახშული კარი!

რა ვქნა, თუ ისევ ურჩი ბავშვივით
სილისგან ზღაპრულ კოშკებს ვაშენებ,
ვიცი, ამ ხეზე რტო თუ ჩამიტყდა,
პირველად ხელს შენ შემომაშველებ.

მე ისიც ვიცი, რომ ჩემზე დარდობ,
მზის სანთელს მინთებ, გზა რომ გავიგნო,
მე მესმის შენი, მამა უფალო,
შენც გზააბნეულს უნდა გამიგო.

ჩემივე ნებით ვეახელ ტკივილს,
თვით ავიდევნე იღბალი კოჭლი
და სანთლისფერი მკრთალი თითებით
მე უთენარო ღამეებს ვფხოჭნი.

***

Once, when I didn't accept your voice,
You left me for the first time then,
From that day on, the wilful second in me
Rears on, protesting and hissing silently.

From that day, the tree and I remain with each other,
The tree did not turn into Man, and I – into the tree.
And it looks like a dot from this tree
The view to so much desirable paradise.

The roots of this tree reach the sky,
And with black branches, it gets the underworld.
How would I know for one my sinful thigh
You would leave your son so abandoned.

From that day, I chased and chased the branches,
A thousand times, I've seen the fall of leaves.
Where are you? Why did I lose my Heaven,
Oh, please, show me your face at least once.

Amongst these branches, I lost my way,
And I'm afraid of falling into the sky,
Here to hunt the king's men every dawn,
They are training endlessly hunting dogs.

The earthly king has the colour of the earth,
And I'm still fascinated by the fantastic power
Of the sour fruit of the forbidden tree,
And the closed door of the mysterious fortieth.

What should I do if, like the disobedient child
I build fairy-tale towers from soft, fine sand.
I know if a branch breaks off on this tree,
It will be you who first comes to save me.

I also know that you worry about me,
You light a candle to brighten my way,
I understand you, my almighty Lord,
Please accept me, too, as I am a stray.

I got my pain, and it was my will,
I walked with my unfortunate fate, and I made it.
And with my pale fingers, candle coloured,
I've been scrabbling sleepless nights.

***

დამიმახსოვრე? რად გიკვირს მერე?
მე ხომ ამქვეყნად არავის ვგავდი,
მიყვარდა კაბა წვიმების ფერი
და გზებზე მტირალ ყვავილებს ვრგავდი.

დღეს ჩვენი გზებიც გაიყო ორად.
გზები, ჰე, გზები, საით მიდიან?
მე მარტოსული მივყვები ბილიკს
და მხრებზე თქვენი ტვირთიც მკიდია.

***

Do you remember me? Then why are you surprised?
I was unique to you once, like no one else!
I loved the dress, the colour of the rain,
And I planted on the roads weeping flowers.

Today, our paths also split in two,
Eh, roads, roads, where do they go?
I follow the path as an alone soul
Carrying your heavy burden too, on my shoulders.

***

როცა შემოხვალ მარტოობის უფერულ ტაძარს
და მიუწვდომელს როცა მისწვდები,
დაგავიწყდება ჩემი ლექსები,
და მეც სულ ისე დაგავიწყდები.

მე ავტირდები, წამოვალ წვიმად,
ცა ყვავილებით მიწას დაფარავს,
გავა დრო, მაინც ინანებ ბოლოს
ერთი სულელი გოგოს დაკარგვას.

***

When you enter the m**onotonous** temple of loneliness,
And the unreachable when you reach,
You will forget once adorable for you my poems,
And you will also completely ignore me.

I will cry and will come as rain
And the flowers will cover the earth.
Time will pass, and you will regret it,
To lose a naïve, true-hearted girl.

***

ვით თესლი ხნულში _ მზის აკვირტებას,
ვდგავარ და გელი მთელი წელია,
ჩემი სულიდან წამოსულ წვიმებს
შენამდე ვერც კი მოუღწევიათ.

არ გაიმეტა ბედმა _ ავბედმა,
ჩემთვის ღიმილი და თეთრი ფარჩა,
თვითმკვლელობამდე, შენი უარი,
და კიდევ, ერთი ნაბიჯი დამრჩა.

***

Like on the soil, seed waits for the sun -
I've been waiting for you all the years.
The rains that burst out from my soul,
It seems they couldn't even get to you.

My fate, such cruel and unfortunate,
It couldn't spare the pleasure of a bridal dress,
And to suicide, one your refusal,
And one more, the only one more step left.

***

ნუ შემომხვდებით გზაზე, რომელზეც
მე თვითონვე ვშლი მწუხრის ნაკვალევს,
ნუღარ მიმატებთ იჭვებს და დარდებს,
მე საკუთარი ცრემლი მაკმარეთ,

რომელიც თქვენთვის არა ღირს ჩირად,
როგორც ბალახზე ცვარის ნაჟური,
მძიმეა ჩემთვის თქვენი უღელი,
სხვისთვის ბრწყინვალე და შესაშური.

***

Don't meet me on the road where I erase
the traces of sadness and loneliness myself.
Don't add any more to my doubts and worries,
Let me have enough of my tears and grief.

Because they are not worth anything to you
like a dewdrop on the morning field.
Your yoke that looks so brilliant and enviable,
It is too heavy a burden for me.

***

მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია უფლისწულო.
სიყვარულის ქათიბს მოგიქსოვ,
ფიფქივით მოგიკვდები ხელისგულზე.

მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია უფლისწულო.
იმ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან
ერთგულების ძაფს დავართავ.

მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია უფლისწულო.
სამ ვაჟს გაჩუქებ, მთვარის სწორს, და
სამივეს შენი თვალები ექნება.

მე ქალი ვარ და, ჰოი, ღმერთმანი,
ბევრი არაფერი შემიძლია უფლისწულო,
დამინახე!

***

I'm a woman, and oh my god
There's not much I can do, my lord.
I will weave for you a furrow dress of love
I will die like a snowflake in your hand palm.

I'm a woman, and oh my god
There's not much I can do, my lord.
From that brilliant flock of a cloud
I will spin the loyalty thread ball.

I'm a woman, and oh my god
There's not much I can do, my lord.
I will give you three sons, similar to the moon,
And all three will have your eye look.

I'm a woman, and oh my god
There's not much I can do, my lord.
Notice me, please!

***

ბედის ეტლმა ისე ახლოს ჩაგვიქროლა,
გითხარი და არც კი გეყო სასაცილოდ,
ფრთებს გაფარებ, ლოცვად ვხვდები განთიადებს,
ზეცის რისხვა რომ როგორმე აგაცილო.

სახურავზე ასკინკილას უვლის წვიმა,
აღარა ვარ უდარდელი, როგორც მაშინ,
თუ გიყვარდე, დამაჩოქე ღრუბლის ტაძარს,
გამაგონე მგლოვიარე ქარის მარში,

თორემ გული უშენობით გაილია,
უშენობით ნაცრისფერი დაჰკრავს ქუჩებს,
ჩემი თმიდან გამოპარულ ველურ ქარებს,
მხოლოდ შენი თითები თუ დააყუჩებს.

***

The chariot of fate passed so close by us,
I told you, but you burst into a laugh.
I cover you with my wings, meet dawns with prayers,
To avoid you somehow, Heaven's wrath.

The rain pours down on the roof a without mercy.
It was before, but now I am not so carefree.
Make me kneel in the cloud's temple, if you love me,
I want to hear the mournful march of the whirlwind.

Otherwise, the heart is ready to burst without you,
And the streets are covered with grey colour without you,
The wild winds that sneaked from my hair,
Only your fingers can make calm.

***

ღამეა ისევ გრძელი, უძილო.
სხვენზე თაგუნა ისევ ხმაურობს,
ვზივარ და ისევ შენზე ვწერ ლექსებს,
ტკივილიანს და უსათაუროს.

მე ხომ ვიცოდი, რომ ჩვენი გზები
ერთურთს არასდროს გადაკვეთავდნენ,
ჩემი დალალის შავი გორგალით
ვერ მოიკვლევდი ბილიკს ჩემამდე.

ვერცხლის სიცივე დაჰკრავს მიდამოს,
ხეებს გაძარცულს, მთვარის სარეცელს.
რა უნდა მეთქვა? თუ უბედობამ
ფეხი დაგიდოს, უცებ დაეცე…

თუ გაგიჭირდეს… თუმცა, რაღა დროს,
უკვე სხვას უმზერ სინაზით, ვნებით
და მაინც, თუკი კვლავ დაგჭირდები,
შეტრუსე ჩემი ლამაზი თმები.

მინატრე, გესმის? მახსენე მხოლოდ
და წამში შენთან დავიბადები.
დაე, შენ გქონდეს მზე და სიმღერა,
მე კი ღამე და ტკბილი დარდები.

თუ შეიცვალე, ვიცოდე მაინც;
არ მინახიხარ მთელი წელია,
გამიორგულდა თითქოს ლექსებიც,
რომელიც შენზე დამიწერია.

***

The night is still long, sleepless, tedious,
And a mouse still makes noises in the attic.
I sit and write poems about you again
Troubling and niggling, painful, untitled.

I've always known that our fates
Never would cross each other's ways,
You never would trace the path to me,
With the roller of my black long plaits.

The silver frost bites the background area,
The bed of moon and trees that are leaf-robbed,
What should I say if unfortunate luck
It kicks its legs to you, and you suddenly fall.

If you find it difficult, but at what time,
You already have another to care about.
And yet, if you ever need me again,
Burn with your tobacco, my beautiful hair.

Miss me, please, miss me! just mention me,
And in a second, I will be there for you,
You can have sunshine and sweet sound songs,
And I accept a night and sweet worries.

I want to know if you have changed,
So long time go, we have not met,
I feel my poems have betrayed me, too,
The verses which I dedicated to you.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
Gulnazi Kharaishvili (Ciskareli)

ამომზიანდით

სულ სხვანაირად ვხედავ სამყაროს,
ვარდის ფერებით ბრუნავს წისქვილი,
ღმერთო, ამ ფერებს არსად გამყარო,
არ გავიგონო ერის სიკვდილი.

არ უხაროდეს ქართველს შორს წასვლა,
სულს ასე ხშირად აღარ შიოდეს,
ვაზის ყლორტები მტერმა არ გასხლას,
თვალიდან ცრემლი აღარ მდიოდეს.

ქართველს ქართველი ისე უყვარდეს,
დედას რომ უყვარს თავის შვილები,
ტყვია მამულში აღარ გავარდეს,
არ იყვნონ ღრუბლებ გამოვლილები.

ჩემი სამყაროს მზისფერ უბეში,
მიდით და ერთად გადაზიარდით,
დედაშვილურად რომ გცეთ ნუგეში,
გულს სიყვარულით ამომზიანდით!

SHINE MY NATION

I see now the world in a different way,
Life mill now turns with colours of rose.
Don't let these colours leave me, my Heaven,
I don't want to hear the death of my nation.

Don't let Georgians search for food abroad,
Save and prevent them from hanger, my Lord,
Don't let the enemy cut off the vine branch.
I don't want tears pouring, any more.

A Georgian to love a Georgian in the way,
In what way does a mother love her children,
No need for more bullets people to use,
Don't let them walk through ominous clouds.

Enter the bosom of my sunny world,
Share it and mix each other with love,
I am ready to calm you like your mother,
And warm your hearts with bright shining up.

ვერ მოვიხადე მე თქვენი ვალი

ორი გიორგი
რატიანი და ნიჟარაძე

*. *. *
როგორც დარაჯი, მთვარე,
ცის თვალი,
მოწმეა შხარას სევდის ჩურჩულის,
ვაი მათ დედას, სისხლია კვალის,
ბედისწერაა მართლაც ურჩხული.
მე ვდუმვარ როგორც თევზები წყალში,
ვაანალიზებ ცრემლიან აზრებს,
ვერ მოვიხადე მე თქვენს წინ ვალი,
კვლავ გავუფრთხილდი
გულს განაკაწრებს.
გავურბი ფიქრებს, მივდივარ სადღაც,
ფეხდაფეხ მომდევს გლოვის აჩრდილი,
მე ჩემი წილი ისეც მაქვს დამღა,
ჩემი გულია დანით დათლილი.
სევდა ეს ჩემი საცხოვრისია,
თქვენ კი გზაში ხართ,
მიხვალთ უფალთან,
გელას სახელი უკვე იციან,
დაგელოდებათ გაშლილ სუფრასთან.
შვილმკვდარი დედა გავამზიანებ,
რწმენის იმედად ბალიშს ცრემლიანს...
ჩემს შვილს დარდები გაუზიარეთ,
უყვარს სვანები, თანაც ძალიან.
ზღვა სამძიმარი ჩემგან თქვენს დედებს,
ერთი აქაა, ერთი ცაშია,
თქვენ მე გამგვანებთ იმ ლამაზ გედებს,
რომ შემოავლებთ ცისკარს არშიას.
გაყოფთ ცასა და მიწას შუაზე,
ორნივ ვარსკვლავად ცას აინთებით,
ჩემს შვილს, ბიჭებო, ასე უამბეთ,
ვარსებობ...
ვცოცხლობ ,,ათინათებით"!

I COULDN'T FULFIL MY DUTY TO YOU.

Two George
Ratiani and Nizharadze

*. *. *
As the watchman moon, the eye of the sky,
He witnesses Shkhara's tragedy, oh, so sad,
Alas, their mothers! There are traces of blood,
Fate is truly a monster, too ruthless for some.

I am silent like a fish in water,
Analysing the tearful thoughts,
I couldn't fulfil my duty to you,
I still beware pains of my soul.

I escape from thoughts, rushing somewhere.
The ghost of mourning follows me on my foot,
And, anyway, I still carry my share of grief,
My heart is cut with a sharpened knife.

Sadness is my home, my only abode,
And you are on your way, heading to Heaven,
Name of my Gela they already know,
He will be waiting at the open table for you.

I, son-lost-mother, will make airing,
The tear-moistened cushion, as a hope of belief,
Please share your worries with my dear son,
He loves the Svani tribe, loves it very much.

I send condolences to your grievous mothers,
One is here, with us, and another – in the sky,
I compare you to those beautiful swans
Soaring in the sky at the rising of the sun.

You will split Heaven and Earth in half,
You will light in the sky as two shining stars.
When you see my son, pass him my words:
"I exist... I live with reflections, with a beam of hope.

როგორც მშობელი

გზას გამოყევით, გულს, მზის ნათებით,
დედის უბე ვარ, მე გითბობთ სხეულს,
ჩემეულ სხივის გამონათებით,
მოვეფერები უფლისგან რჩეულს.

მომენდეთ დედას, ძალიან კეთილს,
გაზაფხულივით სიამეს იგრძნობთ,
მე ჩაგიტარებთ ნდობის გაკვეთილს,
რომ ერთმანეთი ბოლომდე იძმოთ.

სანთლის ალი ვარ, ნაფიქრს ვინახავ,
თქვით და მოგისმენთ როგორც მშობელი,
სასწაულები თვალით მინახავს,
მინახავს ღმერთის უარმყოფელიც.

გამომიყენეთ სანამ ჩავედი,
მიწაში... როგორც ხორბლის მარცვალი,
სიბრძნის გონი ვარ, გზა– გზა დაგდევდით,
მტრისიც არავარ დედინაცვალი!

AS A PARENT

Follow the heart with the light of the sun,
I warm your body, as mother's bosom,
With my rays shining like I used to do,
I will caress the chosen one of the Lord.

Entrust to me, as a mom, I'm very kind,
You will feel easiness like springtime,
I'll teach you a lesson in trust,
You to stay like brothers to the end.

I'm a candle flame; I can keep your thoughts,
Speak up, and I can listen to you as a parent.
I have seen miracles with my own eyes,
And I have also seen a denier of Heaven.

Use me, please, until I leave this earth,
For the ground, like a grain of wheat,
I am the wisdom walking along your way,
I'm not a lousy wisher, even for the enemy!

გაახარებ საქართველოს!

გზას ვულოცავ რაჭველ ვაჟკაცს,
ჩემს შვილთაშვილს იოანეს,
სილამაზით მართლაც ვარსკვლავს,
ვიცი ცოდნით იმზიანებს.

გაახარებს დედას, მამას,
ბებიკოებს, ბიძა – ლაშას
მის თვალების ოქროს წამწამს,
ვაჟკაცობა გაჰყვეს შარმად.

ნათელ შუბლზე მოფენილა,
გონი... ჩემო საყვარელო,
რაჭის მთიდან აფრენილხარ,
გაახარებ საქართველოს.

YOU WILL DELIGHT
YOUR MOTHERLAND

Good way to you, Rachveli man,
My dear John, great-grandson,
My handsome one, truly a star,
I can see it, you'll reach the sun.

You will please your mom and daddy,
Your uncle Lasha and your grandmas.
The golden lashes of your eyes,
Followed by courage and charm.

Sprinkled on the bright forehead,
Sharp-sightedness, clever mind,
You took off from Racha mountains,
To delight the country's life.

ვის ვესაუბრო?

რამდენი რამე ვისაუბრე შენთან ძირულა,
რამდენი რამე გავიხსენე ჩემი წარსულის,
ჩემი ბავშობა ამ ტალღებში მიძირულა და...
რამდენი მზეა უბედობით ადრე ჩასული.

ვდგავარ იმ ხიდზე სადაც იყო
ჟივილ-ხივილი,
ვდგავარ მარტოკა, სად წავიდნენ
ვინც მიყვარდნენ,
სად არის ლევი, რომ შვენოდა სახეს ღიმილი,
ძმადნაფიცები მისნაირად როგორ მიყვარდეს.

სად არის თამაზ, იუზა და ჩემი ბეჟანი,
ან ამირანი,
პატარა რომ ხელით დამყავდა,
დათამ დაგვხოცა ეს კი იყო სულის ჟეჟვა და...
იმ ბედისწერას,
მზეჭაბუკი რატომ მიყავდა.

ვის ვესაუბრო? ტირიფებსაც ცრემლი ჩამოსდის,
დუმს არემარე,
უხმაუროდ გლოვობს გარდაცვლილთ,
ტყესაც კვირტები ძველებურად აღარ გამოსდის,
სად ხართ ბიჭებო?
მთის კლდეებიც ყვირის დამარცვლით.

ცელქს და ონავარს ჩემს ბავშობას ისევ შევძახე,
ხითხით– ხითხითით, რომ მივდევდი
ტალღის დინებას,
შენ ბედ-მსაჯულო, სიცოცხლე რომ ამიძანძახე,
რომც გარდვიცვალო,
არასოდეს მოვალ წვიმებად.

WHO SHOULD I TALK TO?

How many things have I talked to you, my river?
How many things I remember from my childhood,
My past is raging in your waves, my Dzirula and,
How many suns have set early due to misfortune?

I'm standing on the bridge
where we were cheering before,
I stand alone and wonder,
where did those who I loved, go?-
Where is Levi with a marvellous smile on his face?
How could I love my adopted
brothers as I loveed him?-

Where are Tamaz, Yuza and my dear Bezhan?
Where is Amiran, I was carrying,
holding me his hand,-
Data broke our hearts,
and it was a soul-crushing event,
Why did his fate took him away,
and left us so orphaned?

Who can I talk to when even willows also shed tears?
It is silent, mourning for the dead,
without words,
Even the forest doesn't grow buds like it used to,
Where are you guys? Even the rocks
regret and mourn.

I yelled at my childhood again,
restless and mischief
Following the river flow
with loud giggling,
You, judge of fate, you turn my life to hell,
Even if I die,
I will never come back as rain.

იმერეთის სურნელი

ვარდობის თვეს მიტომ ვყნოსავ ვარდის ყვავილს,
შემაჟრჟოლოს მონატრების სიამემ,
აქ ვიხსენებ იმ ბილიკებს ჩემად გავლილს,
მაპატიოს, მისვლა დავაგვიანე .

ძირულაში ჩემი ხელით თევზს ვიჭერდი,
მიკრეფია ბლომად ტყეში სოკო,
მოგონებავ, რახანია დამიბერდი,
თვალწინ მიდგას ის პრაჭია გოგო.

მიჩხუბნია და არავინ გამილახავს,
არ ვიყავი ბუტია და გულღრძო,
ჩატეხილი ხიდი თქვენთვის გადმილახავს,
მომავალმა სიძლიერე იგრძნოთ!

THE SCENT OF IMERETI

I want to feel the longing pleasure once more,
That's why I love in May smell of a rose,
Here, I remember the paths I used to walk,
I'm sorry I could not visit you too long.

I used to catch fish with my bare hands,
I picked mushrooms in forests and fields,
Alas, my memory, you got so old?
That coquette girl still plays with me.

I had lots of rows but never beat anyone,
I wasn't a sulky and spiteful child,
I swam for you over a damaged bridge,
To feel the strength in your future life!

სოსო მამალაძე (ალავიძე)
Soso Mamaladze (Alavidze)

***

გრძნობანი გულში ვარდებივით გაიშლებიან,
ფიქრები გრძნობებს შეისვამენ ფრთიან რაშებზე!
ემოციები ფაეტონზე ამხედრდებიან,
დავედევნები დილით მუზებს ცის კაბადონზე!

ზღვის ფერიები, ლაჟვარდებში იების მდელო,
იასამნების სურნელება, ფერთა ზღაპარი,
გრძნობები ნისლში გახვეულან და გააქვთ ლელო,
იდუმალების კვლავ ციმციმებს ოქროს ლამპარი.

ლურჯი ნისლების მდელოები, ჰქრიან ფრთოსნები,
ფარშავანგები კვლავ ფასკუნჯებს ადევნებიან,
ო, საოცრებავ, გამილაღდნენ ისევ მერნები,
იმ ლამპრისაკენ ისწრაფვიან, არ მნებდებიან.

დამენებეო! მომენდეო!– მთხოვენ რაშები!
გარდუვალობას გონიერი რად შეაჩერებს?!
და ნება ნება გარდუვალის ნებას ვნებდები!
მზის ბრწყინვალებით ვარსკვლავებს
რომ გააფერმკრთალებს!

***

გარეთ თოვლია, გიზგიზებს ბუხარი...
ერწყმიან ერთმანეთს: რად ხარ მწუხარი?
ნუ დამიღონდები, გახსენი გონება,
შემოვა ფიქრები, აზრს დაემონება.
მოვლენ ოცნებები, გულის ვნებები,
ცეცხლის ენები... შენ მომეჩვენები!
ბუხარო თბილო, ოცნების ზღვაო,
რას მესაუბრები, რა გინდა თქვაო!

***

It is snowing, the fireplace blazes,
Merging each other: Why are you lifeless?
Don't be unhappy, open your mind,
Thoughts will arrive, will enslave sense.
Dreams will visit, passions of hearts,
In a fire flame, you will appear.
Warm fireplace, ocean of dreams,
What are you whispering? What try to say?

***

Feelings will blossom in the heart like a rose,
Thoughts will put feelings on a winged Pegasus,
Emotions will mount on a rushing off phaeton,
And I will chase the muses in dawn sky vault.

Fairies of the sea, violets' meadow in the azure sky,
The fragrance of lilacs, a fairy tale of magic colours,
Feelings are shrouded in fog, rushing somewhere,
And it flickers still, the golden mystery chandelier.

On the Meadows of the blue mists, birds are flying,
Peacocks are chasing pheasants with love playing,
Oh, look at the wonder, how the Pegasus galops still,
He strives for the chandelier and
doesn't obey my wish.

Obey me, please, trust, follow me, – begs me Pegasus,
How can a sensible, wise man stop the inevitable?!
And I surrender bit by bit to the will
of the unavoidable,
That turns the stars pale with
the brilliance of sun radiance!

***

როს მესტუმრება მეზღაპრე ღამის
უკიდეგანო ცის წყვდიადიდან,
გაინაბება სიცოცხლე წამით
და გავვოცდები სიდიადიდან.
მესტუმრებიან, გამოჩნდებიან,
გამიტაცებენ ჯადოსნურ მხარეს,
და მერე საით?! განა გეტყვიან?
ნელა მიხურავს მეზღაპრე კარებს.
როგორღაც წარსულს დავუბრუნდები,
დავიწყებულნი ისევ ჩნდებიან,
(ო, სიყვარულო, ნუ დადუმდები!)
ლოცულობენ და ისევ ქრებიან.
წარსული, აწყმო, და მომავალი!
სამი და ერთად მესტუმრებიან,
ვით მნათობები, ცაზე მავალი,
სამ აიაში* გაფრინდებიან.
და იმ მზიან და მთვარიან ღამეს
მაოცებენ და მეზღაპრებიან...
ეს საუკუნეც წააგავს წამებს,
მეზღაპრეები ზღაპრად ჰქრებიან!

* სამი აია – კრეტა-მიკენი, კოლხა, ტიბეტი.

ჩემო მზეო!

ოი! ოცნებავ! სევდიანო! უცნობო ხილო!
ვესწრაფვი მისთვის, რომ შეგიცნო,
გვერდით გიხილო!
სადა ხარ, სადა? სად დაჰქრიხარ?
ვეღარ გეწევი...
შორს გავიხედავ,
უცებ ახლოს მიმეჩვენები!
ბედოვ, ხვთიურო, ჭკუავ ფრთხილო,
და საზრიანო,
ჩემთან იყავი, ნურას წახვალ!
ერთად ვიაროთ!
ერთად გავლიოთ შეცნობის და
შეცდომის დღენი,
იქნებ დაგვიგონ, ჩემო მზეო, ფიანდაზები!

***

When storytellers visit me at night,
From the darkness of the boundless sky,
Life will instantly become silent,
And it surprises me – the glory of life.
They will visit me as they appear,
And they take me to the magical land,
If you ask, where?! Will they tell you?
They'll close slowly doors behind you.
You will, somehow, return to the past,
The forgotten memories still reappear,
(Oh, love, almighty, don't be silent!)
They pray, and, again, they disappear.
The present, the future, and the past,
Three sisters visit me together,
Like light stars moving in the sky,
To Samaia* – they will fly.
And that sunny and lunary night,
They amaze me by telling stories,
And the century, too, is like one brief,
Storytellers disappear in fairy tales!

*Three AIA – Creta-mikeni, Colha and Tibet.

TO MY SUNSHINE!

Oh! My sorrowful dream, strange, bizarre fruit!
I strive to get to know you,
To see you next to me!
Where are you? Where do you fly?
I can't reach you.
I look far away, and suddenly,
You come so close to me.

Fate, divine, clever mind, savvy, sensible,
Stay with me, please. Let's walk together.
Obey hearts' wish,
Let's go together through acknowledgement
and sins,
Maybe one day, they lay carpet under our feet.

მშვენიერება

მინდვრის პატარა ყვავილი,
აკვანში ტირის ბავშვი!
წინწკლებიანი კალმახი
და მგალობლი შაშვი!

მინდვრის ხასხასა ბალახი,
დილის ნამი რომ შია,
მთაში ქორბუდას ბღავილი
ბულბულის ტიატია!

ზამთარში მოდის ფიფქები,
გაზაფხულს გვამცნობს ია!
უმანკოებას ბავშვებში
მშვენიერება ჰქვია!

BEAUTY

A tiny flower of the field,
Crying baby in the cradle,
In brown-speckled trout fish,
Pleasantly singing a thrush bird!

Emerald grasses in the field,
Thirsty for dews of morning,
Love wished mountain stag roaring,
And nightingales' chanting.

Snowfalls coming in winter,
Violets' informing of spring!
In all innocence in children
It's called beauty and belief.

ბეგი (ბეგლარ) მამალაძე
(პოეტი და მომღერალი, მოკლეს
2015 წლის მაისში, 18 წლის ასაკში)
Begi (Beglar) Mamaladze
(Poem writer and singer,
was killed at age 18 in May 2015).

გოგონა სახელად გაზაფხული
(სიმღერა)

გავიცანი გოგო, სახელად იყო გაზაფხული,
მისი სილამაზის წინ კი მე ვიდექი განაბული,
ჩემი გული მისი ცქერით მაშინ იყო გალახული,
და სული კი გამიგიჟდა, ვარ ჭკუიდან
გადასული.

მისი სახე არ მასვენებს,
კიდევ უფრო მაღონებს,
მისი ლამაზი თვალები
შობის დილას მაგონებს.

გული ისე სწრაფად მიცემს,
კალამი ვერ აყოლებს,
მანძილი კი ჩვენ სიყვარულს
კიდევ უფრო აშორებს.

ყველასაგან გამოვარჩევ მე შენს რიტმულ
ნაბიჯებს.
შენი ხმა კი?... ყრუა ყველა, ვისაც არ
გააგიჟებს.

ან რა გინდა ჩემგან, ან,
ან რას ერჩი ამ ბიჭებს,
შენი დანახვა არ ვიცი,
ხო, არ ვიცი, რას მანიჭებს.

THE GIRL NAMED SPRING!
(Song)

I met a girl her name was Spring,
I was standing silent in front of her charming,
My heart was disturbed by her eye sparkling,
My soul has gone crazy; I am out of mind.

Her face disturbs my peace,
And it brings me more sorrow.
Her flashing eyes' glamour
Reminds me of Christmas dawn.

My heart beating is so fast,
The pen can't keep up, can't follow,
Distance separates love, and
Ours love even more, though.

I distinguish your rhythmic steps
from everyone else,
And your voice?... Who hears it
anyone gets mad.

What do you want from me or
Why do you flirt with the guys,
Oh, and see you? You don't know
What does to me your eyes?

იცი, მე შენს დასაცავად
გავლესავდი დანასაც,
შენ ისეთი ლამაზი ხარ,
შეაცდენდი ადამსაც.

დილით ადრე ზღვის ნაპირას
მოგიძღვნიდი სალამსაც,
და ვუცქერდით მზის ამოსვლას
და დავლევდით ყავასაც.

ჩაგხედავ თვალებში,
ვით ნარცისი ნაკადულს,
კოელიოც დაწერს ჩვენზე…
მე ვაკოცე გაზაფხულს.

მე ვნახე შენი ტკივილი, მე ვნახე შენი ცრემლი,
მე ვერ ვამბობ რომ მიყვარხარ, და ამიტომაც
ვმღერი.
მინდა გულში ჩავიხუტო ეგ სათუთი ხელი.
მითხარი, რამ გაგაჩინა ასე საყვარელი.

ვერაფრით ვერ აგღწერე, და
შენ მითხარი ვინა ხარ,
შენ ჩემთვის ქალი კი არა,
შენ გაზაფხულის წვიმა ხარ.

გპირდები, როცა მოვალ,
შენ ქოლგას ვერ დაინახავ,
მე კი ცაში ავიხედავ
და – ვიყვირებ: – მიყვარხარ!

მე მიყვარხარ, ხოდა მითხარი რომ შენც.
მიყვარხარ შენ, დაგიმტკიცებს მზეც,
მიყვარხარ ღამითაც და დღეც,
მიყვარხარ! თქვი: მიყვარხარ მეც!

მეტი რა ვთქვა, გაზაფხულო,
ვეღარ გამკობს ეს პირი,
ჯულიეტაც შენ დაგარქვეს,

Do you know I would sharpen
A knife to defend you, love,
You're so beautiful;
You would seduce even Adam.

Early mornings, I'd greet you
On the shore of the azure sea,
We would drink coffee together,
And we'd watch the sunrise.

I will look into your eyes
like a narcissus into a stream,
Coelho would also write
about us: I kissed the Spring.

I saw your tears, and I felt your heart pain,
I can't say – I love you, so I sing, and so I play.
I want to hold your hands in my trembling heart.
Tell me who created you so cute and glamorous.

I couldn't describe you
Better than this way,
Please tell me who you are, or
From where you came.

You are not only a woman,
But you are the spring rain.
I promise you, you won't see
My umbrella in the rain.

I will look at the sky and:
I love you! – I'll loudly say.
I love you! – love me too, please,
Tell me you feel the same.

I love you! – And the sun will prove you!
I love you at night and day!
I love you! Please, say you, too:
I love you, too! It's so great!

შენზე წერდა შექსპირი.
მე რომეო ვერ ვიქნები,
მე მხოლოდ ვარ შეშლილი,
ხო, ალბათ შენ იქნებოდი,
რომ ჰყოლოდა მზეს შვილი.

ვიცი არ ვარ ბრედ პიტი და,
იცი, განა ფული მაქვს?..
შენ კი სილამაზისა და
გაზაფხულის სუნი გაქვს.

მე კი როგორც ზღვაში გემი,
ვიძირები შენში,
მთელი ცხოვრებაა გეძებ,
და გიპოვე ღმერთში.

შენი სახე?! სიკვდილის წინ
ვიცი მშვიდად მოვკვდები,
მნიშვნელობა არ აქვს მერე
სად ან როგორ მოვხვდები.

მთავარია მე გიცნობდი,
და მიყვარდი, ხომ ხვდები?
წვიმად მოვალ და სახეზე
წკაპა-წკუპით მოგხვდები.

შემძარი მთლიანად,
შენ შეაღწიე სულამდე,
მე კი არ მომიწევს მოცდა,
შემდეგ გაზაფხულამდე.

გაჩუქებ თავს, ისედაც შენია,
გაჩუქებ სულს რო გადამერია,
გაჩუქებ მაისს, ჩემი თვალით დანახულს,
იცნობდეთ გოგონას, სახელად გაზაფხულს.

What more can I say, my Spring,
I can't praise you more than this,
You are named as Juliet, too.
Shakespeare wrote about you.

I can't be Romeo, and
I am just mad, insane.
It would only be you, one,
If the sun had a child.

I know I'm not Brad Pitt,
And you know I have no money,
But you smell of beauty and
The fragrance of Spring you carry.

And I am sinking in you,
like a ship in the sea,
I've been looking for you and
I found you in God, Spring.

Oh, your face?! Before my death!...
I know I'll die in peace.
It doesn't matter where or
How will come my eternal rest.

The main thing is that you know
That I loved you very much,
I'll drop on your cheek as rain.
Do you understand?

You penetrate my soul and
You turmoil it completely,
And who knows if I can wait
until next year's Spring meeting?

I'll give you myself; it's already yours,
I'll give you my soul, insane, though,
I will gift you May, seen with my eyes...
Please, meet a girl, Spring from Paradise.

ვახტანგ მამალაძე
Vakhang Mamaladze

***

ღამეული ჭაობების ჯოკონდა,
რაფაელის ნახატები ქალაქში,
წუხელ "ვერეს" ფოთლის შირმა მოჰქონდა,
აკვდებოდა ქალის ტანს კაკანათი.

მელნისფერი ფარჩა, ფიქრთა საბადო,
თავაწყვეტილ დაღესტანთა მახვილი,
ეს სურვილი ლექსად უნდა გაგანდოთ,
მზეში ვდაგვარ, კაცი თვალებ-დათხრილი.

მოლოდინი აყურსულა კარებში,
სად მოკრიფეთ ეხლა მწიფე ქალები?!
ვერ ადუღდა ეს ნისლის რძე თვალებში,
დაისეტყვა ცისკრის იალაღები.

ბარაქალა ქალას ქარის ჯავშნისთვის,
რომ არ ატანს ღამისათვის ამანათს,
მე, ვეძღვნები ასეთ თავშეკავებას,
ერთგულება ჰქვია, ამ ნეტარებას!

არ ვაპირებ გარეთ გატანტალებას,
მზის ტაძარში ვსჯი მთვარის შეყვარებას,
მოტაცება ჰორიზონტის სამზერის,
კალმის წვერით ნემსის ყუნწში გავძვერი…

***

Gioconda, a morass of lies and deceit,
Raphael's paintings' show exhibition,
Last night, "Vere" carried dresses of leaves,
To protect a woman from around motions.

The inky-coloured brocade, a mine of thoughts,
The raging mountaineers' insane swords,
I should turn this wish into a poem with you to share,
I stand in the sun, the dumbfounded man.

Expectation waits at the door-entrance,
Where have you collected mature women now?!
This milk of fog could not boil in the eyes,
Sundered and hailed meadows of the dawn.

Bravo to the woman for Armours of Winds,
Not to send with it a package for the night,
I am devoting myself to such abstinence,
Its name is loyalty, and it is divine bliss!

I'm not going to wander out,
In the sun temple, I judge the love of the moon,
By abducting the visor of the horizon,
Struggling with a pen, I reached my goal.

ირაკლი ნადარეიშვილი
Irakli Nadareishvili

რა ვქნა, საყვარელი თორმეტი მყავს...

იცით? თორმეტი მყავს საყვარელი,
ყველა მისებურად მაგდებს ხიბლში,
მარტი მივაბარე მოგონებებს,
ახლა აპრილია ტრფობის რიგში.
ახლა აპრილს უნდა ჩავეხუტო,
კოცნით დავუფურცლო კალენდარი,
ისე დავუფიცო სიყვარული,
თითქოს არვინ მყავდეს მისი დარი...
ახლა აპრილთან მაქვს ინტიმი და
მისი ვნება მზაფრავს ნამეწყრალი,
რა ვქნა, საყვარელი თორმეტი მყავს,
მე კი ერთი ვარ და „გარეწარი".
ახლა აპრილთან მსურს სიმარტოვე,
მასთან ჩურჩული და საუბარი,
უნდა ვეფლირტავო იასამნებს,
იის სურნელებით გამაძღარი.
ამ ჩემს „ჰარამხანას" ლექსით ვკვებავ,
რითმის ზეწარსა და ქვეშაგს ვუშლი,
მერე, მუზის ბოკალს დარდით ვავსებ,
დალალს მკერდთან ნაზად ჩამოვუშლი...
განა, არ იციან რა „ხვითოც" ვარ?!
მაგრამ პოეზიით ხელდებიან,
ასეთ ალფონსსა და თვეთა მუსუსს
ჯერაც სიყვარულით მნებდებიან.
რა ვქნა, საყვარელი თორმეტი მყავს
და ყველას ვღალატობ წლიურ ციკლში,
წუხელ სარეცელზე მარტი მეწვა,
ახლა აპრილი მყავს ტრფობის რიგში.

WHAT SHOULD I DO?

Do you know that I have twelve sweethearts?
Each of them conquers my heart with its charm.
I left March recently with my old memories and
Now it's April's turn to be caressed and be loved.

Now, I have to embrace April month,
I have to leaf with a kiss through the calendar,
I have to prove to her that I am in love,
As if no one is there similar to her.

Now I am in intimate with April, and
Her passion turns me mad like an avalanche;
What can I do? I have twelve sweethearts,
And I am one and a lustful woman lover.

Now I want to be with April only,
Whispering and kissing her in peace,
I must flirt now with beautiful lilacs
Satisfied adorable Violet fragrance.

I feed my harem with my poems,
I use rhymes as bed covers and spreads,
Then I fill the glass of the lover with sorrow,
And then, I gently lower the plaits to the chest.

Do you think they don't know what selfish I am?!
But they are in an ecstasy of my poetry charm,
Such Alphonse and the lover of the months
They still obey me with adorable love.

What can I do if I have twelve sweethearts,
And in the annual cycle, I betray everyone,
Last night, in bed, I passionately kissed March.
And now I have April in the queue of romantic love.

შ ე ჩ ე რ დ ი!

შეჩერდი! ხელები სისხლით მაქვს მოთხვრილი,
საკუთარ გრძნობების ჯალათად მაქციე,
დღეიდან აღარ ვარ იღბალის მორჩილი,
ლილიტად ღალატით შენ გადამაქციე.

გამშორდი! მეყოფა მე ჩემი ცოდვებიც….
გამშიგნე და ვითომ მიცოდებ ნაწამებს,
მკერდიდან გრძნობები შენ ამომაცალე,
ახლა კი ფრჩხილებით ვიფლითავ ნაწლავებს.

ნუ შიშობ! შენ მაინც არ გავნებ არაფერს,
თუმც შურისძიება გონს ბინდად ჩამოწვა,
დღეს სისხლით ვიხეხავ, სადაც კი მეფერე
და ყველა ნაკოცნი შანთით მსურს ამოვწვა…

შეჩერდი! მანდ იდექ! შორიდან მიმზირე,
სისხლისგან დაცლილი გულით რომ ვიცინებ,
ყველაფერს, რასთანაც შენ გქონდა შეხება,
ჭუჭყივით ტანიდან რომ ჩამოვიცილებ…

მიყურე! ვისერავ საკუთარ შეცდომებს,
აგითლი ხორციდან სარკასტულ ქილიკით,
უყურე! ერთ დროს რომ ანგელოზს ეძახდი,
თუ როგორ იცვლება ის ქალი ლილიტით…

შენს თვალწინ მოგკალი ჩემს თავში,
იხილე შენდამი გრძნობების ხელყოფა,
ახლა კი გამშორდი და დიდხანს იცოცხლე,
ტანჯვისთვის შენ ჩემი სახელიც გეყოფა.

S T O P!

Stop! My hands are stained, covered in blood,
You made me the butcher of my sincere love,
From today, I am no longer docile to luck,
You turned me into Lilith by your betrayal.

Leave me, please! It's enough for me, all my sins,
You killed me and now pretend to feel sorry for me.
You took out from my chest all my true feelings,
And now I'm tearing my stomach with my nails.

And, anyway, I won't hurt you! Don't be afraid!
Though my revenge tries to blind my mind,
Today, I rub with blood wherever you caressed,
And I want to burn out all the kisses that you left.

Stop and stay there! Look at me from afar,
Look at my laugh with a heart drained of blood,
Everything you've come in contact with
I will remove it from my body like dirt.

Look at me! I destroy my fateful mistakes,
I peel you from my flesh with a sarcastic quip,
Whom you called an angel once upon a time,
Watch how that woman turns into Lilith.

Bye! I already killed you in my heart and mind,
Now you can see yourself the feelings' reviling,
It is the time to leave me! I wish you a long life,
And my name enough for you, for suffering.

ეთერ ჭელიძე
Ether Chelidze

ადამიანო ვერ შეგიცანი...

დუღს დედამიწა და ეს სამყაროც
ამოფრქვეულა როგორც ვულკანი,
შეუცნობელი სენი შეგყრია,
ადამიანო, ვერ შეგიცანი...
დუმს მამაღმერთი, გაუგონარი
სისასტიკისგან, ცრემლთა მდინარის...
შენივ შექმნილი ყოვლის ,,მცონარი“
ვერ შეგიცვნია, ადამიანი!
კვლავ სატვირთველი ჯვარი უფლისა
ყოვლის მგმობელი ისევ ის არის...
ადამიანურ ფესვს მოწყვეტილი
ვერ შეგიცანი ,,ადამიანი“!
დგას უღიმღამო ცისკრის დაისი...
მზეჩამქრალ შუქის მკრთალი ციაგი,
კვლავ მონგრეული ზეცის კარიბჭით,
ადამიანო, ვერ შეგიცანი...
აფეთქებული სისხლის ალებით
კვლავ დედამიწის, ერთი მთლიანი...
მკერდჩაჩეხილი დედა-ქალები
და მაინც გქვია ადამიანი?
დუმს ჯოჯოხეთი შენივ შექმნილი,
ანგელოზების სულის წიაღში...
ისევ ტკივილი, ისევ ვერთქმული...
შენ ვინ გიწოდა ადამიანი???

MAN, I COULDN'T RECOGNIZE YOU

The earth keeps boiling, and this universe,
It has erupted like a volcano,
You have an illness, unknown yet,
Man, I couldn't recognize you.
God is silent with Man's cruelty,
Man's hatred causes a river of tears.
And fulfilled from you, "perfect" with everything,
You still need to learn who is a human being.
He is the heaviest cross of the Lord, still,
Reviling and complaining about everything.
Man, cut off from the human roots and rules,
I couldn't recognize you as a human Being.
There is a mediocre setting of dawn.
A faint light of sunsetting glow,
Through the demolished gates of heaven,
Man, I could not recognize you.
It has exploded flames of blood.
By Man, the whole of the earth, again,
Mothers of toddlers, you chop with daggers,
And yet, your name is a human being.
The hell is silent, created by you
In the bosom of angels' pure soul,
Pain and tears, unbearable, deep,
Man, who named you as a human being?

სინდისი

სინდისი ურმის ბორბალი არაა,
სავსემ და დაცლილმა იჭრიალოს…
სინდისი შუბლის სუფთა დაფაა,
ნამუსის ტარზე სატრიალო.
სინდისს თავის მართლება არ უყვარს!
მას არ სჭირდება დაცვა!
ვაზის ფესვებია მადლიანი,
შარბათის მტევნებად ასხმა!
ნივთი არ არის გროშებად მოიგდო,
რადგან ვერ იყიდი ვერსად,
სინდისი შენთან ერთად იბადება
და, შენთან ერთად კვდება!

უშბას და თეთნულდის სიყვარული

შეუცვარეს შუბლი ღრუბელს
შეუთრთოლდა მყინვარს მკერდთან!
დამესიზმრა უშბა, თეთნულდს,
სიყვარულის ბარათს სწერდა!

და, ელოდა ისიც, თითქოს
საპატარძლო კაბა ეცვა,
მწვერვალები მაყრად იხმო,
მზის მანდილი შემოესხა…

ბებერ შხარას სიტყვა მისცეს!
ფიცნაჯერი იყო ღმერთთან.
ქადაგებდა მახვში სიბრძნეს,
ამინ! მთებმა ყველამ ერთხმად!

და დასწერეს ჯვარი ესე,
შეასრულეს უფლის ნება,
უშბა, როგორც მწვერვალთ მეფე
და თეთნულდი მთების დედა!

და მას შემდეგ გულზვიადნი
გულთა კავშირს ხიდად დებენ,
უხილავი ცისა თაღნი
მათ წინაშე თავს იდრეკენ.

CONSCIENCE

Conscience is not the wheel of a cart,
An empty or full only creak and squeak,
Conscience is a clean board of the forehead,
On the handle of honour to spin.
Not conscience habit self-defence,
No need to justify or protect!
It is the heavenly roots of the vine,
Gracious sharbat in bunches!
It is not a thing that you can buy,
You can't find it at no any price,
Conscience is born with you
And, it dies with your life, too.

THE LOVE OF USHBA AND TETNULDI

Dew moistened the cloud's forehead.
And he sneaked to hug the glacier!
I dreamed of Ushba to Tetnuldi,
He was writing a love letter!

Maiden waits, and she wears
A wedding dress, pure and clear.
She called mountain peaks as mates,
A Sunray veil covers her face.

Old Shkhara was given a word!
God gave him confer order,
The tribe leader preached his wisdom,
Amen! – Mountains all in unison!

And they married and had a wedding,
They fulfilled the Lord's highest will,
Ushba, as the king of the peaks,
And Tetnuldi, the mother of hills.

And after that, they with pride,
The Hearts' unison put as a bridge,
The invisible sky firmaments
In front of them, bow their heads.

თემურ გოგსაძე
Temur Gogsadze

მონანიების აპოთეოსი

დაწერილია-გმობაა არსის!-
თუმცა, ნამდვილად დავიმსახურეთ-
შუბლში, წინაპრის დამბაჩის დახლა!
სამშობლოს, გონით, ვერ ვემსახურეთ,
თანაშემქმნელი ვართ ყველა ფარსის
და იბერია, სულს ღაფავს ახლა!
რა ღვთისკაცობა?! გულგრილად ვიტანთ -
ღვთისმშობლის ხატზე გარდაცვლილ
ღიმილს?!
ისე დავეცით, ისე ვმწირდებით!-
ღმერთს მოთმინების დავგლიჯეთ სიმი!
ეშმაკსაც ,უკვე აღარ ვჭირდებით
და უგნურების დაგვამსხვრევს ქიმი!
თორმეტივე კარს, გარდმოვევლები!
მონანიების სუდარა ჩაცმულს,
იქნებ მისმინოთ-სხვა ჭირისუფალს!...
რადგანაც ვგლოვობ, ცხარე ცრემლებით,
არამარტოდენ, გაყიდულს-ჯვარცმულს,
ტაძრებიდანაც, განდევნილ უფალს?!
უკანასკნელი გზა, სინანულის,
დედავ ღვთისაო, იწამო ნეტავ!
მოგვმადლე ლოცვა და სიყვარული!
ერს ერთობისა, მოჰმადლო ძღვენი!-
იქნებ გადარჩეს, დედა-პლანეტა
და იბერია, წილხვედრი შენი!

APOTHEOSIS OF REPENTANCE

It is said the apotheosis of repentance
It is a blasphemy of the essence!
However, all the men, we deserved it,
Ancestors' bullets in the forehead.
We couldn't serve the motherland with sense.
We are co-creators of all wrong deals and farce,
And Iberia, almost demolished, has its last go,
With only a very slight chance of success.
Where is godliness?! We are indifferent even
To the dead smile of the saint Mery's icon.
We fell like that and turned into wretched,
We have torn the cord of God's patience!
Even the devil doesn't need us anymore
The peak of foolishness will destroy us,
I will get over to all twelve doors!
Dressed into the shroud of penitence,
Please, listen to me – to another beggar,
As I grieve, implore with bitter tears,
Not only over the sold and crucified Lord
but also expelled even from the temples.
Last way of pleading, regret, and resort,
Listen to, and believe me, Mother of God.
Send your love to us and your prayers,
the way of unity to gift your nation!
Maybe it will survive, Mother planet
And Iberia, your belonged share!

გვანცა ხარაიშვილი
Gvantsa Kharaishvili

ტროპიკული წვიმები

ასჯერ მაინც მოვიდა მაისის წვიმა
ამ თვეში.
მზისგან გადახუნებამდე ქალაქის აივნები
გრილად სუნთქავენ.
შარშან არ იყო,
არც შარშან წინ იყო ასე.
როცა სიტყვების არ მეშინოდა
არ წვიმდა ხოლმე მაისში.
სანამ საკუთარ კანში ვიმალებოდი
არ გადაიღო _
გამოზამთრება უსასრულოდ გაიწელა.
დათვობაც რთული იყო _
ღრიალი არ ვიცი.
ადიდდნენ მდინარეები.
ვერასდროს ვიგებ რომელი ნაკადი
სად ერთდება და რომელია სასმელად
ვარგისი.
თორემ დავლევდი და
გამოზამთრებულზე
წყალს ჩავხედავდი.
სულელი გოგო
სულელი დათვი
კლანჭების გარეშე
ვერაფერს გავხდი.

TROPICAL RAINS

The May rain comes at least
a hundred times in this month.
The city balconies breathe coolly and
last like this until the burning sun.
It wasn't last year like this,
And it was not either the previous year.
When I wasn't afraid of words
It didn't rain in May.
While I was hiding in my own skin,
the rain did not stop.
Wintering dragged on endlessly.
It was challenging to feel like a bear -
because I don't know how to roar.
Rivers overflowed.
I never know which stream
Where does it merge with another,
and which one is suitable for drinking...
Otherwise, I would drink it
and after hibernating
I would look into the water.
Stupid girl,
Silly bear,
I couldn't do anything
without claws.

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

AUS SAMEBAS GLOCKENTURM
Fortsetzung

Luara Sordia

Batu aber führte eine Engelgruppe an. Merabis Geist vermittelt seinen Sohn Freundlichkeit, Mitleid, Mitgefühl für andere, harte Arbeit, Schutz nationaler Traditionen, Loyalität, Liebe und Treue gegenüber dem Mutterland. Merabis Geist rät der Familie, nicht an Rache zu denken. Diese Worte haben Evangeliumsweisheit– fügt die Forscherin hinzu.

Luara Sordia konzentriert sich/ macht auf ein weiteres künstlerisches Werk von Gulnazi Kharaishvili aufmerksam, in dem wir von der tragischen Geschichte des Sohnes der Schauspielerin Larisa Khachapuridze erfahren, der im August 2008 in Samachablo nach dem Kriegsbrand starb. Mit essentiellen, scheinbar einfachen, aber beredten Details versucht die Autorin uns die hohen Moralvorstellungen dieses talentierten jungen Georgiers vor Augen zu führen.. Ein interessanter Aufsatz ist“Nanny der Seele” des Dichters,/es ist ein interessanter Essay über die Seele des Dichters zu dessen/ deren Beginn wir Gulnaz Kharaishvilis “Nanny der Seele”lesen, biblische Prophezeiungen, Verse georgischer und ausländischer klassischer Schriften.Berühme Theologien, Zauberer der Volkskunst und der Volksintonation sind in das Relief der Seele des Dichters eingeprägt.Der Forscher wird anhand entsprechender anschaulicher Beispiele zeigen, wie sehr Gulnaz Kharaishvili die Weisheit der georgischen Poesie, die Ideenführer und die Besonderheiten des einzigartigen Denkens beherrscht und kreativ wahrnimmt. Hier ist nicht Nachahmung gemeint, sondern gesunder Einfluss, die spirituellen Impulse der groβen Vorfahren, denn jede Neuerung/Innovation ist auf ihre Weise aus den Traditionen der Vorfahren erwachsen/hervorgegangen./Rustaveli, Vazha Pshavela, Akaki Zereteli, Galaktion, Giorgi Leonidse, Otar Chiladze, Vazha Egriseli…Georgische Volkskunst usw/

Am Ende des Buches stellt Luara Sordia einige Aspekte der kreativen Eigenschaften von Gulnazi Kharaishvili vor. /Trotzdem/Dennoch wäre es warscheinlich besser, diesen Aufsatz mit dem vorherigen, vierten Brief in Folge “Einige Fragen des Gesichtsausdrucks” zu kombinieren/.Laut dem Autor von “Madlschemosili” ist das Werk des Dichters religiös, was die Notwendigkeit rätselhafter Gesichter erfordert, was die Präsenz göttlicher Symbole in seinen Gedichten verursacht: Sonne, Mond, Weinstock, Zypresse, Seele,Tanne, Quelle…Wenn es um die widersprüchliche Natur des Lebens geht, werden Wind, Regen, Dornen, Meer, apokalyptische Gesichter/Tier, Wolf, Fuchs, Bär, Krokodil, Wal, Gyursa/Personifizierung verwendet Imagination mit allegorisch-symbolischen Paradigmen,

Laut Luara Sordia sind die meisten Gesichter von Gulnaz Kharaishvil mit volkstümlichem Ton, volkstümlicher Intonation und umgangsprachlichem Vokabular gefärbt. Musterhaft, als Beispiel nennt der Wissenschaftler zahlreiche Beispiele, deren Wiederholung uns weit bringen würde. Die Hauptsache ist, dass es weit entfernt ist von Epigonismus, blinder Nachahmung von Volksgesichtern. Im Gegenteil, er denkt neu über sie nach.Die Wissenschaftlerin spricht über die unerschöpflichen Möglichkeiten der georgischen

Sprache in den Werken von Gulnaz Kharaishvili, gleichzeitig wird sie unsere Aufnerksamkeit auf die Ermahnungen, sprichwörtlichen und aphoristischen Ausdrücke und die poetische Phonetik, metrische Struktur, Reime, Akrostichon, Synästhesiemuster, Neologismen, Beispiele für ursprüngliche Wortverbindung/Wortverbindung in den Gedichten des Dichters usw.lenken

Luara Sordia wird ihr Buch so beenden:" Die Blume von Gulnaz Kharaishvilis Seele befindet sich im Stadium des Wachstums und blickt kühn in den Himmel und auf die Erde. Sie bekämpft den Wirbelsturm der Zeit, die Stürme der Zeit, die Bestien der Apokalypse mit aller Kraft. Sie folgt der Leiter der Wolke oben, versucht den Anblick des Unsichtbaren, Verborgenen jenseits der Grenzen zu erkennen, und lebt in Erwartung des endgültigen Sieges, denn er strahlt von der Macht des Allerhöchsten, bekleidet mit Gnade und strahlend."

Wir möchten von unserer Seite her hinzufügen, dass wir eine hohe Meinung von Gulnaz Kharaishvilis poetischem Werk haben. Soweit ich ihre Gedichtbände kenne, war ich schon immer von der Suche dieses lieben Menschen nach originallem, einzigartigem Denken, der Schaffung raffinierter, anspruchsvoller Gedichte, themetischer Vielfalt und der Innovationskraft des poetischen Ausdrucks angezogen und fasziniert, auf dem Weg zu einem tieferen Verständnis des Wortes "Gedankenkörper."Deshalb möchte ich: Die Freude, Gulnaz Kharaishvilis Gedichte auf den Becken und dem Daf/Keyboard zu spielen, verblasst oder verlangsamt sich nie, das ist Rustavelis-Nishatni Sachangdafeni, das heiβt in Rustaveli.

Doktor der philologischen Wissenschaften
Professor Tite Mosia

Bezhan Kharaishvili
Sperber der georgischen Poesie

Der Beitrag /das Werk befasst sich mit der Problematik der national-politischen, religions-philosophischen Texte des in seiner Jugend verstorbenen georgischen Dichters Bezhan Kharaishvili.

Es würden Quellen zu dem Meisterwerken des Dichters, Reminiszenzen an die georgische klassische Dichtung durchsucht und ursprünglich originelle Gesichtsaudsrucksmuster identifiziert.

Das Werk folgt dem magistralen Weg unseres Schreibens, das ist ein bescheidener Versuch, um ein literarisches Porträt des Schöpfers zu schaffen,

Das Buch richtet sich an Leser, die sich für die Poesie von Bezhan Kharaishvili, sowie für die künstlerische Rede Georgiens interessiert.

Kapitel İ
Lebensweg von Bezhan Kharaishvili (1954-1983)

Bezhan Kharaishvili wurde am 1. Januar 1954 geboren. Er war das fünfte Kind in einer Familie mit sieben Kindern.Chichiko Kharaishvili und Donika Shubitidze haben ihre Kinder mit Loyalität und harter, ehrliher Arbeit groβgezogen. Der älteste Sohn, Levan Kharaishvili betrieb Sport. Als er volljährig wurde, übte er verschiedene Berufe aus.Er unterscheidete sich von seinen Geschwistern durch seine musikalische Stimme und seinen kämpferischen Charakter. Tamas Kharaischwili war so freundlich und rücksichtslos verschwenderisch, dass man ihn die neugeborenen Kinder unter seinen Freunden taufen lieβ.

Eteri war sehr schön, man nannte sie auch Mtvaria, sie gehorchte der Mutter, war ein sehr unterwürfiges Mädchen und stand immer im Mittelpunkt aller Besucher.Amiran war aber körperlich schön, stark, er trieb Sport.Jusa, der zwischen Gulnasi und Bezhan geboren wurde, starb im Alter von einem Jahr an Röteln und Masern.

Alle Kinder waren schön und begabt, sie verehrten einander und unterschieden sich dadurch, dass sie alle den Eltern gehorchten und sie ihre Eltern liebkosteten.

Die Familie war mir ihrer Gastfreundlichkeit sehr bekannt. Die Mutter von Bezhans Vater– Chichiko Kharaischvili starb unmittelbar bei/nach seiner Geburt. Chichiko wuch als Waise auf und war so stark , intelligent, klug und vernünftig, dass ein 12-jähriges Kind zum Dorfbrigadier gewählt wurde.

Es gab nie einen Moment in dem sich Mann und Frau/ Eheleute stritten und die Kinder dadurch deprimiert waren. Wenn die Gäste kamen, spielten einige Mundharmonika, andere Trommel, Fandur und begrüßten den Gast mit einem groβen Jubel und verabschiedeten sich von ihnen mit Respekt und groβer Liebe.

Auch der Besuch eines nahen Nachbarn war für sie ein Fest. Sie konkurrierten miteinander, wer dem Gast als Erster einen Stuhl anbieten würde. Der Gast war für die ganze Familie ein Geschenk Gottes.

Die Mutter der Familie– Donika Shubitidze vefluchtete ihre Kinder nie, ihr Wort war das Gesetz, die ganze Familie verständigte sich mit ihr gut und bedigungslos auf den ersten Blick.

Die Kinder wuchsen mit Liebe und Respekt füreinander auf. Gulnaz und Bezhan waren einander ähnlich.Sie waren nicht nur Geschwister, sondern auch spirituelle Freunde.

Bezhan war der fleiβigste unter seinen Geschwistern, er half seinem Vater bei der körperlichen Arbeit und widmete mehr Zeit seinem Studium.

Die Schule war sehr weit weg, sie mussten den ganzen Tag 14. Kilometer laufen.

Chichiko Kharaischvili arbeitete an drei Orten, Stellen aufeinmal/ Er belegte aufeinmal drei Arbeitsstelle, damit seine Frau und Kinder nicht von anderen abhängig waren.

In dieser schwierigen Zeit gelang es Chichiko eine Wohnung in der Statd zu kaufen und mit seiner Frau und seinen Kindern umzuziehen. Geistig und körperlich schöne Geschwister waren eher Anhänger von Sport und Kunst. Ihrem Talent gingen spiritueller Reichtum und Höflichkeit voraus.

Während der Schulzeit beherrschte Bezhan ohne jegliche Vorbereitung und Ausbildung Englisch und Russisch.Er schrieb Gedichte von der ersten Klasse an, er wurde als Dichter geboren.Der körperlich groβe Bezhan wurde in Sachkhere der zweite Akaki genant.Er hatte einen sehr schnellen Verstand /ein sehr schnelles Denkvermögen und Fächigkeiten ein groβes Publikum anzusprechen und es einzufangen. Wenn er eine Rede hielt, herrschte Stille im Saal , er hatte einen unglaublich schönen Tonfall. Sein vorbereiteter Bewerber erhielt während seiner Studienzeit gute Noten, hohe Punkte und gelangte in die Hochschule. Sein Nationalgeist konnte sich der Ungerechtigkeit nicht anpassen.

„ვინც ჯვრგვალი იმცხოვრებს ცხმშობლიო ჰყიოდნენ. იგი ყოველგვარიც დიდია.“ ილია ჭავჭავაძე

ქართული ფესვები

№1 აპრილი 2023 წელი

გამოდის თვეში ერთხელ

ემიგრანტების გაზეთი

გულითადად მივესალმები ქართული გაზეთის დაარსებას ემიგრაციაში. მინდა მივულოცო ქალბატონ ნინო სიბოშვილს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ სამამულიშვილო საქმეს და ვუსურვო განვითარება და წარმატებები.

პატივისცემით
ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)

იტალიაში ქართული კულტურის და ქართველების გასაცნობად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – ამოქმედდა ემიგრანტების გაზეთი – „ქართულ ფესვები“.

ვუსურვებ გაზეთს წარმატებას ამ საპატიო მისიის შესასრულებლად, რასაც ქართული კულტურის სამსახური ჰქვია.

მარინა ჟვანიშვილი

ხელოვნებათმცოდნე. „ქართულ-იტალიური კულტურის“ ასოციაციის პრეზიდენტი.

„ქართული ფესვები“ ქართული საქმისათვის

ქართველს ბედისწერასავით დაჰყვა სამშობლოდან შორს ყოფნა და მისი მონატრება, წარსული საუკუნეებიდან მოყოლებული... 21-ე საუკუნეში ეს ბედისწერა უმეტესად ქალებს ერგოთ, ვინაიდან სწორედ ისინი შეუდგნენ ბურჯად წინა საუკუნის დასასრულის საქართველოს და ეკონომიკურ კრიზისს არ გააჩანაგებინეს ქვეყანა. ამიტომაა, რომ ასეულ ათასობით ქართველი ქალის ცხოვრება ემიგრაციაში მათ თავდადებასა და ერთგულებასთან ასოცირდება...

ქალმა, დედა ემიგრანტმა მზისფერი სტრიქონებით შეავსო საქართველოს ისტორიის ფურცლები და შეძლო, 24-საათიანი შრომის ფასად, ცხოვრებისა და სიცოცხლის ნაწილი მიეძღვნა საკუთარი ქვეყნის, ოჯახის, ახლობლებისათვის...

„ქართველს მხოლოდ ქართული საქმე გადაარჩენს უცხოეთში...“ – დაგვიბარა მიხაკო წერეთელმა და ეს ფრაზა კიდევ უფრო თვალსაჩინოა, როცა სამშობლოს გარეთ მყოფი თითოეული ქართველი ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების იდეოლოგიით ვცდილობთ, წარმოვაჩინოთ ჩვენი სამშობლო...

ჩვენც ამ მიზნით დავაარსეთ „ქართული ფესვები“ იტალიაში, ქალაქ ფლორენციაში. ეს გაზეთი დაიბადა ქართველი ემიგრანტებისთვის, ვისთვის ძვირფასია ილიასეული სამება – „მამული, ენა, სარწმუნოება“, ვინც თავისი შრომით, გარჯით საქართველოს ისტორიას წერს შორეულ იტალიაში...

„ქართული ფესვები“ ამიერიდან თქვენი მეგობარია, ძვირფასო მკითხველებო! იგი მზის სინათლეზე გამოიტანს თქვენს შემოქმედებას, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოვლენებს სამშობლოდან შორს, ისევ სამშობლოსათვის.

მოგვწერეთ!

ნინა სიბოშვილი
გაზეთ „ქართული ფესვების“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი

EXCLUSIVE TV გისურვებთ წარმატებას!

მედიაპლატფორმა ExclusiveTV მიესალმება პრესის კიდევ ერთი წარმომადგენლობის დაარსებას იტალიაში და გაზეთ „ქართულ ფესვებს“ წარმატებას და განვითარებას უსურვებს.

მედიას უდიდესი მისია აკისრია ემიგრაციაში, რადგან ემიგრაცია მიმღები ქვეყნის საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე იოლად მოწყვლადი ნაწილია.

მედიის მოვალეობაა ემიგრანტების ინფორმირებულობა, მათი სოციალური და შრომითი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა, ემიგრანტებში ინტეგრაციის და წარმატების მიღწევის მოტივაციის გაღვივება და წარმატებული ემიგრანტების პოპულარიზაცია. მედია ემიგრაციაში გახლავთ ახალი გამოწვევა, რომელიც საემიგრაციო მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. ხშირად, ეს ყველაფერი სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს და ემიგრაციის პირობებში უდიდეს ძალას და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

წარმატებას ვუსურვებთ „ქართულ ფესვებს“ ამ გამოწვევის წინაშე!

ხათუნა შარაძე
ნინა მამუკაძე

№1. აპრილი. 2023 წელი ქართული ფესვები

ფლორენციაში ქართული ინტერნეტ ტელევიზია KN TV დაფუძნდა

26 თებერვალს, ქ. ფლორენციაში ქართულ-იტალიური ინტერნეტ-ტელევიზიის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: იტალის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი ირაკლი ვეკუა, კანადიდან სპეციალურად მოწვეული სტუმარი — იურისტი გიორგი მარიამული, იტალიის ერთ-ერთი სატელევიზიო სტუდიის დირექტორი ანტონიო ლეტიერი, იტალიელი მუსიკოსი და პროდიუსერი ვიტორიო რეალე, იტალიის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ემიგრანტები, ქართული კულტურული ასოციაციის Georgiani Di Livorno პრეზიდენტი ლალი ლომთაძე და ამავე ასოციაციის წევრები. რეპორტაჟი ტელევიზიის შესახებ მოამზადდა იტალიის ინტერნეტტელევიზია „მერანის“ მიერ.

პრეზენტაციას უძღვებოდნენ სარედაქციო პოლიტიკის ხელმძღვანელი და პროდიუსერი მაია ხომერიკი და ქართულ-კულტურულ ასოციაცია „ქართულიტას“ პრეზიდენტი და Duo Ialimberti-ს წევრი ლალი ბურდული. ქეთი ნოგიევამ ვრცლად ისაუბრა ტელევიზიის შექმნისა და დაფუძნების იდეაზე, საავტორო გადაცემებზე. ინოვაციურ პროექტებზე და ხაზგასმით აღნიშნა ის ტიტანური შრომა, რაც წინ უძღვოდა ტელევიზიის დაფუძნებას. მანვე, მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის საქართველოს ტელევიზიებს, განსაკუთრებით კი – ტელეიმედს ღონისძიების გაშუქებისათვის. ასევე, – შემოქმედებით ჯგუფს, რომელიც ყოველდღიურად მაყურებელს საგანმანათლებლო, შემეცნებით და სპორტულ გადაცემებს შესთავაზებს.

ინტერნეტ ტელევიზია KN TV მაუწყებლობას ქართულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე იწყებს. ტელევიზიას აქვს შესაძლებლობა, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს მიაწვდინოს ნებისმიერი ინფორმაცია პირდაპირი ეთერის მეშვეობით. მისი მთავარი დანიშნულებაა, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ინფორმირება ნებისმიერ საინტერესო საკითხზე, საქართველოს კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაცია და რაც მთავარია, ეს იქნება მეგობრობის ხიდი, რომელიც საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან დააკავშირებს.

მედიაჰოლდინგი იტალიაში 2023 წლის 15 იანვარს დაარსდა. მისი დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია ქეთი ნოგიევა – საქართველოსა და ემიგრაციაში განხორციელებული მრავალი პროექტის ავტორი.

მაყურებელს გადაცემებისთვის თვალის დევნება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: www.kntvmedia.com. ტელევიზია მათ ძალიან ბევრ საინტერესო და სასარგებლო გადაცემას შესთავაზებს, – როგორიცაა უფასო იურიდიული მომსახურება საქართველოში, გადაცემა ,,თქვენი ადვოკატი“, უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციები ემიგრანტებს, უფასო საგანმანათლებლო პროგრამები, დსხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი გადაცემა.

პრეზენტაციის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც წმინდა ნინოს ტაძართან არსებული ანსამბლი „ნანილა“, ტრიო „ტერცია“, ემიგრანტი პოეტები – გიორგი რამაზაშვილი და ზოია სადუნიშვილი, იტალიელი მომღერალი ანტონიო თოტარო და „დუო ლალიმბერტი“ მონაწილეობდნენ.

„ქართული ფესვები“
ემიგრანტების გაზეთი იტალიაში

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
ნინო (ნანა) სიბოშვილი
Fondatore e caporedattore Nino (Nina) Siboshvili

მოგვწერეთ: qartuliphesvebi@gmail.com
T.: +393287471843. +393272380887.

ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ტაძარი

ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ტაძარი დაარსდა 2011 წელს, როცა იანვრის თვეში ფლორენციაში ჩამოვიდა (მაშინ ილუმენი, დღეს კი არქიმანდრიტი ორი გამშვენებული ჯვრით) მამა ანდრია, დასავლეთ ევროპის ეპარქიის მეუფის მამა აბრაამის ლოცვა-კურთხევით და დაიწყო აქტიური წირვა-ლოცვები ქართულ ენაზე.

საწყის ეტაპზე მრევლს არ გვქონდა ტაძრის შენობა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია. წირვა ტარდებოდა კვირაში ერთხელ სხვადასხვა ადგილზე, ძირითადად, დუომოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შენობებში. მოგვიანებით გამოგვივყვეს ყოფილი წმინდა ელიზაბეტის სახელობის დედათა მონასტრის შენობა, სადაც დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს ჩვენი ტაძარი. ტაძრის კურთხევა ოფიციალურად მოხდა 2011 წლის 29 მაისს. ამ დღეს მეუფე აბრაამმა ჩაატარა პირველი სამეუფეო წირვა.

ამჟამად ყოველკვირეული წირვა-ლოცვის გარდა, აღინიშნება დიდი დღესასწაულები და ასეულობით ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, წირვა-ლოცვას მშობლიურ ენაზე მოუსმინოს, რადგან მლოცველები ტოსკანას რეგიონის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიან.

მაია სიმონიშვილი

ჯანდაცვა ფესვები №1. აპრილი. 2023 წელი

რომის ცივილიზაციის მნიშვნელობა



მთარგმნელი და პედაგოგი გიორგი ბუხნიკაშვილი თბილისში ცხოვრობს, მაგრამ იტალიასთან მოლვაწეობის წლები და მეგობრები აკავშირებს. ბატონმა გიორგიმ1976 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. არის იტალიური და ინგლისური ენების სპეციალისტი, დღემდე ეწევა მთარგმნელობით, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1989 წელს გიორგი ბუხნიკაშვილს მიენიჭა მონრეალეს (პალერმო) სიკულო-ნორმანული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება.

არის ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული სასაუბროების, ასევე პირველი ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორი.

– უპირველესად, მინდა სიხარული გამოვხატო იტალიაში ქართული გაზეთის გამოცემის გამო, მის დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს ქალბატონ ნინა სიბოშვილს, მის მკითხველებს მივულოცო ეს მამულიშვილური საქმე და ნარმატებები ვუსურვო. გაზეთი ხომ მემატიანეა და მჯერა, ეს ფურცლები ისტორიას შემოუნახავს ქართველების ცხოვრებას იტალიაში... ამასთან, იტალიელებსაც პერიოდულად თავიანთ ენაზე გავაცნობთ ჩვენი სათაყვანო სამშობლოს ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს...

გიორგი ბუხნიკაშვილი

პერიოდულად ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას, კერძოდ, გამოცემული აქვს იტალიელი პუბლიცისტის, ინდრო მონტანელლის მოთხრობა/სცენარი „გენერალი დელლა როვერე“. 2022 წელს გამოიცა მის მიერ ქართულად (პროზაულად) ნათარგმნი დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედია“. ამჟამად მუშაობს მრავალტომიან ნაშრომზე: „იტალიის ისტორია“, რომლის პირველი ტომი – „ძველი რომი“ 2011 წელს გამოიცა.

ბატონი გიორგის მეცნიერული ნარკვევი რომის ცივილიზაციის მნიშვნელობის შესახებ ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის.

მსოფლიოს მრავალ ცივილიზაციათა შორის ყველაზე დიდი, ჩემი აზრით, მაინც რომის ცივილიზაციაა. იმის მიუხედავად, რომ საკუთარი, ორიგინალური და განსაკუთრებული თვითონ რომს თითქმის არაფერი შეუქმნია, მან მაინც უზარმაზარი კვალი და გავლენა დაამჩნია კაცობრიობის ისტორიას. ჭეშმარიტად რომაელი ხელოვანი ან მოაზროვნე რომმა ამ ქვეყნად ცოტა ვინმე თუ მოავლინა, რამეთუ საბელგანთქმულ რომაელთა უმრავლესობა წარმოშობით ბერძენი, ეგვიპტელი, მცირე აზიიდან, ან რომის რომელიმე სხვა პროვინციიდან ბრძანდებოდა. ლათინური ანბანი (რომელიც ქრისტემობამდე VII საუკუნეში გაჩნდა), ენა და მისი გრამატიკაც, ისევე, როგორც რომაული არქიტექტურის უმეტესი წილი, ბერძნულიდან იღებს სათავეს. თვით რომის სამართლის სისტემაც, რომელიც მანამდე არსებულ ცივილიზაციათა შორის ყველაზე სრულყოფილი გამოდგა, ბაბილონიდან, სპარსეთიდან, ან საბერძნეთიდან იქნა გადმოღებული, ოღონდ შემდგომში დაიხვეწა და გაიმართა.

მაშ, ვითომ რაში მდგომარეობს მსოფლიოს წინაშე ძველი რომის ესოდენ დიდი დამსახურება?

საქმე იმაშია, რომ რომაელი ხალხი იმდენად პრაქტიკული აღმოჩნდა, რომ მას სხვათა იდეების გათავისების, მათი დახვეწისა და სრულყოფის, ხოლო შემდეგ, ამ დახვეწილი იდეების სიკეთით სარგებლობის სხვადასხვა ხალხებისთვის შეთავაზების სასწაულებრივი უნარი აღმოაჩნდა. თურმე რამდენად განსხვავდებოდნენ მათგან ბერძნები, რომლებიც თავიანთ ცოდნას და ელინისტურ ცივილიზაციას სხვას არავის უზიარებდნენ: ის მხოლოდ ბერძნებს ეკუთვნოდათ, ხოლო მათ შეგნებაში ბარბაროსი ხალხები მუდამ ასეთებად უნდა დარჩენილიყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც ბერძნების მიერ გამოგონილი სპორტული თამაშები, დღეს რომ ოლიმპიადებს ვუწოდებთ: ანტიკურ ხანაში ელინების გარდა ამ თამაშებში მონაწილეობის უფლება სხვას არავის, ანუ მათთვის „ბარბაროს“ ხალხებს, არ ჰქონდა.

იმ ფაქტს, რომ რომაელები სხვისგან ნასესხები იდეებით არხეინად სარგებლობდნენ, პირველნი თავადვე აღიარებენ. მათი შენობები, რაღა თქმა უნდა, გრანდიოზულნი და, ხშირ შემთხვევაში, მშვენიერნიც იყვნენ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ისინი თავიანთი მიზნობრივი დანიშნულებით და ფუნქციონალურობით გამოირჩეოდნენ. რომაელთა საინჟინრო ხელოვნებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, როგორსაც იმ დროისთვის ანალოგი არ გააჩნდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომაელებს სხვა ხალხებისგან სულიერი სიმტკიცე და სიმამაცის გამოვლენის გასაოცარი უნარიც გამოარჩევდა. ამავე დროს, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ამტანობასა და გაუტეხელობას, რამდენჯერმე გამეორებული მარცხის შემდეგაც კი, საბოლოო ჯამში, ისინი მაინც ტრიუმფატორებად გამოჰყავდა, რაც ასე თვალსათლივ გამოჩნდა პუნიკურ ომებში. რომის სახელმწიფოს არსებობა არაერთხელ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მან მაინც საუკუნეებს გაუძლო.

როგორ შეძლო ამ არაჩვეულებრივმა ხალხმა მანამდე ესოდენ არნახული და უზარმაზარი იმპერიის შექმნა? დღეს ხომ ვიცით, რომ ყველაფერი ეს უბრალოდ მდინარე ტიბრის ნაპირზე, ერთი პაწაწინა ქალაქის დაარსებიდან დაიწყო.

ჩვენც, ამ გაზეთის ფურცლებზე ვეცდებით ავუხსნათ ქართველ მკითხველს, თუ როგორ და რა მიზეზებით მოხდა ის მართლაც და საკაცობრიო მნიშვნელობის, გადამწყვეტი მოვლენები, რაც ab urbe condita, ანუ რომის დაარსების დღიდან განვითარდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე.

(გაგრძელება იქნება)

№1. აპრილი. 2023 წელი ფესვები

მწერალი ეკა (ეკატერინე) ოთარაშვილი ქართველი ემიგრანტია იტალიაში. არის პროზის და პოეზიის კრებულის ავტორი. მისი ნაწარმოებები იბეჭდება სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთსა და წიგნებში. მის ლექსებზე შექმნილია არაერთი სიმღერა. ასევე მისი ნაწარმოები დაიბეჭდა იტალიურენოვან წიგნში, ფრანკო მინერვის ავტორობით. არის რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. მონაწილეობს იტალიის ლიტერატურულ კონკურსში „Dante bus“. მისი შემოქმედებითი საღამო ჩატარდა ბარის ალდო მოროს უნივერსიტეტში ბატონ ანჟელო ჩირონის ორგანიზატორობით. ბარის სან მარჩელოს ეკლესიასთან არსებულმა ცენტრმა მოაწყო ეკას წიგნის „Fermati in fuga“-ს პრეზენტაცია.

ეკა ოთარაშვილი, ასევე, არის მილანში პირველი ქართული ონლაინ-ტელევიზიის კორესპონდენტი.

დედას ჰური

Paneficio-დან გამოვედი.

იტალიელი მოხუცი ქალბატონისთვის ნაყიდი ცხელი პურის სურნელიდან მოტანილმა ხორბლის არომატმა, რომელიც სხვა დროს არასოდეს მიგრძნია ასე მძაფრად, წამიერად დამავიწყა, სად და რისთვის ვიყავი. ქალალდის პარკში ხელი შევახე ცხელ პურს და შევისუნთქე. რაღაც ამტკივდა გულში...

ნუთუ მეჩვენება?! არა, ამ ყველაფერს მე ვხედავ. ვხედავ დედის ხელით მოზელილი პურის ცომს, აფუებისაგან ხის ვარცლიდან რომ აპირებს გადმოსვლას. დედა ხელმეორედ იწყებს ჩაზელვას. ყაჭივით პური გამოვაო. ორომზე საფანელად მოყრილი ფქვილი და ზედ გუნდებად განლაგებული ცომი გამოსაცხობად გაუმზადებია. თონეში აბრიალებული ცეცხლისგან დედას ლოყები დაჰბრაწვია. თონის კედლები უკვე თეთრდება, რაც ნიშანია, რომ თონეს მეტი ცეცხლი აღარ სჭირდება. დედა ცეცხლის მუგუზლებს თონიდან ფრთხილად იღებს და იქვე, გალავანთან ნაცარზე ყრის. ნაცარს ზედაც აყრის, რომ ცეცხლი ჩააქროს, არ აბოლდეს და თვალები არ დასწვას. თონის კედლებს მარილწყალი აჭამა, პური ადვილად მოეხდებაო. შამფურით თონის გულში ნაკვერჩხალი გადაქექა და ზედ თუნუქის პატარა ნაჭერი დააგდო, პური არ ამიტკრიცოს, თონე ცხარეაო. რა სწრაფად და ლამაზად აძლევს ცომს ფორმას. თონეში პირველად ლავაში უნდა დააკრას და მეზობლებს გააწოდოს – მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. შემდეგ შოთს აცხობს. მარილწყალში დასველებული თითებით ყუა გაუკეთა და ნათითურები დაამჩნია (როგორ მიყვარს ახლა ეს ნათითურები) დასაკრავად გამზადებულ ცომს, რომელიც ერთ ხელზე გადაიკიდა მოხერხებულად და მეორე ხელით თონეს ჩაეჭიდა, გადაეყუდა ცხელ თონეში და ტყლაშუნის ხმით ვხვდები, რომ ცომი დააკრა ცხელი თონის კედელზე. ასე შემოარიგა და შოთი ჩააწიკწიკა. არა, ერთი ჩაიწია, ჩავარდა და გამოცხვება კუტი. ბებიას ნათქვამი გამახსენდა, პური უნდა ჩავარდეს თონეში, ისე არ იქნება, ძაღლსაც ხომ უნდაო.

გზის გაგრძელება ვეღარ შევძელი... გადავჭერი ქუჩა და იქვე მდებარე ბაღში ჩამოვჯექი ხის სკამზე.

იმას, რასაც ვგრძნობდი და განვიცდიდი, მკაფიოდ ვხედავდი. ეს ხილვა ჰაერში ვერ გაიფანტებოდა და თვალები დავხუჭე... ხის ჩუქურთმებიანი აივნით დამშვენებული ჩვენი დიდი, ლამაზი სახლი. ნარნარი ქალივით ზევიდან დაშვებული ჩუქურთმებიანივე კიბე, ფერადი მარმარილოს მაქმანით. სახლის წინ ორ მწკრივად გაყოლებული ყვავილნარი ბზის ხეებთან ერთად. წინ ახალგაზრდა ვაზით გაშენებული ვენახი. ვენახის მარჯვენა მხარეს – საგულდაგულოდ მოვლილი ბოსტანი, დედას რომ ჩაურიგებია რეჰანი, რიანდი, ტარხუნა, წიწმატი, პიტნა, ქინძი, ქონდარი და მე, ერთი მთლიანი არომატით ვბრუვდები. ვენახის ბოლოს ხეხილის ბაღია. მამა დილას და საღამოს აქ ატარებს. განსაკუთრებით პატარა ნერგებს ეფერება. მსხალზე დამყნობილი კომში ისევ ყოფილა იქ, მარჯვნივ, კაკლის ხის ზემოთ. ყველას გაოცებას იწვევდა მამასგან ნავჭვარი ეს ორი ხე. მსხლის გემომ ჩემი სანერწყვე ჯირკვლები ახლაც დაიარა. საოცარი იყო მსხლის და კომშის არომატი ერთად. მსხალს ჰქონდა კომშის ფორმა, მსხლის გემო და კომშივით პირს ქლერტავდა. მარცხენა მხარეს, ორიდან ერთი ნაადრევი ბლის ხე კიდევ დგას. მახსოვს, პატარა ლალიკო რომ მიიყვანა დედამისმა სტუმრად და ვარდისფრად შეფერილ ბლის ხეს ქაჯანასავით რომ მოვექეცი კენწეროზე. პატარა კუნწულებს რომ ვყრიდი ძირა, მიბაროდა დაბლა დაფენილი სილამაზე და ზედ მობანცალე პატარა ლალიკო... ხიდან ჩამოსვლისას ჩამოვხტი და ფეხის გული დავარტყი პატარა ხის ნაჭერზე, რომელზეც წვრილი ლურსმანი იყო ამოშვერილი... დღესაც მახსოვს თმენა ტკივილისა, – ფეხაკეცილი ვიდექი და ხმას არ ვიღებდი... რა საოცარია, იყო სუსტიც და ძლიერიც.

ამბობენ, რომ მამას ვგავარ. მე ვამბობ, რომ დედასაც ვგავარ და იცით, როდის? – როდესაც დედასავით თავდახრილი ვდგები და მერე მოკრძალებულად ვაგრძელებ გზას. როდესაც უკან ვიხევ და სხვას ვუთმობ ბილიკს, თუნდაც არ იმსახურებდეს. ზედმეტად როდესაც ვპატიობ... მამას? – როდესაც ლაღი ვარ, გაფრენას რომ არაფერი მიკლია, ხელგაშლილი ზედმეტად, შემოქმედი, ბედნიერი სხვისი ბედნიერებით. ორივესგან კი დიდი სიყვარულისა და სიკეთის ნიჭი დამყვა, ამიტომ უფალს მადლობას ვწირავ.

მგონია, ნელა ვეშვები სიმაღლიდან. ქრება საოცნებო ნეტარების წარმოსახვა. პირველი, რაც ვიგრძენი, ეს იყო ცხელი პურით სავსე ქაღალდის პარკი, რომელიც გულზე ისე მქონდა მიკრული, თითქოს წართმევას მიპირებდნენ. ვუბრუნდებოდი მწარე რეალობას. ავათრიე წელი და ფეხები, თვალი შევავლე ბაღში მოსეირნე ადამიანებს, რომლებიც თავისი ცის ყურებით ტკბებოდნენ, მიწის მადლით, მზის ენერგიით და სამშობლოთი. აქედან გაბრუნებულს, ყველას თავისი სახლის კარი უნდა შეეხსნა. ფიქრით გავუყევი დაგვიანებულ გზას და კითხვა მანვალებდა: „კი, მაგრამ, როდემდე?..“

ქართული ფესვები №1. აპრილი. 2023 წელი

ღაუღეჭით ერთმანეთს გვერდით! გიხაროდეთ სხვისი წარმატება!

რომის შრომითი დეპარტამენტის პატრონაჟის მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელს ინგა სიხარულიძეს კარგად იცნობს ქართული დიასპორა თავისი გულისხმიერებით და პროფესიონალიზმით. ქალბატონი ინგა ოჯახთან ერთად ცხოვრობს ემიგრაციაში. 2016 წლიდან მუშაობს იტალიელ ადვოკატებთან და მრავალი პრობლემის გადალახვაში ეხმარება თანამემამულეებს უცხო ქვეყანაში. ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო:

– ემიგრანტებს, ძირითადად, რა პრობლემების მოგვარებაში ეხმარებით? თქვენ მიერ გახსნილი „კაფ პატრონატო“ ჩვენი თანამემამულეებისათვის იმედის კერაა...

– ძირითადად, საბუთების, ლეგალიზაციის მოგვარებაში, ხელშეკრულების დადებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ირღვევა ემიგრანტების უფლებები და ამ დროსაც ჩვენ ვეხმარებით, რომ იტყვიან,'„კბილებით ვიცავთ“ მათ უფლებებს.

იტალია არის ქვეყანა, რომელსაც ძალიან ბევრი ემიგრანტი ჰყავს. სახელმწიფო მათ არ აძევებს ქვეყნიდან, როგორც ეს, მაგალითად, საბერძნეთში ხდება. ქვეყანაში უსაბუთოს ანუ არალეგალს შეუძლია სადაზღვევო შთ§ საშუალებით მკურნალობის კურსი ჩაიტაროს. ასევე ისარგებლოს ეკლესიის უამრავი აქციით, სადაც უფასოდ რიგდება საკვები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო პირველადი მოხმარების ნივთები, ფუნქციონირებს იტალიური ენის შემსწავლელი უფასო კურსები და ასე შემდეგ. რაც ყველაზე მთავარია, პოლიცია ისევე იცავს ემიგრანტებს, როგორც იტალიის მოქალაქეებს.

– რას ურჩევთ ახლად ჩამოსულ თანამემამულეებს?

– უპირველესად – ენის შესწავლას, საბუთების დროულად მოწესრიგებას, რადგან იტალიის ემიგრაციის კანონის 22-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, პრობლემა ექმნება დამქირავებელს და შესაბამისად, სამსახურის შოვნის შანსიც ნაკლებია. მართალია, უსაბუთობა სახელფასო ანაზღაურებას არ ცვლის, მაგრამ ხშირად მიხდება მათი დაცვა, რომ სრულად აიღონ გამომუშავებული თანხა.

– ემიგრაციაში ადამიანი იცვლება?

– არა, ადამიანი არ იცვლება, ის მხოლოდ იზრდება თავისი გადაფასებებით. რაც უფრო შორდება თავის ქვეყანას, თავისუფალი სამყაროს წევრად ჩამოყალიბებას იწყებს....ამას შეცვლას ვერ დავარქმევ. ამავე დროს ჩნდება სტრესი, რასაც მიტოვებული შვილები და ოჯახის გარეშე ყოფნა იწვევს. ზოგისთვის ეს განშორება ჯოჯოხეთია, ამიტომ ყველას ვურჩევ დროულად დაიწყოს ლეგალურად მუშაობის უფლების მოპოვებაზე ზრუნვა, რომ წელიწადში ორჯერ მაინც მიიღოს კუთვნილი შვებულება და მოახერხოს სამშობლოში წასვლა.

– რა გინდათ რომ თქვენზე 30 წლის შემდეგ თქვან?

– ჩემი ასაკიდან გამომიდინარე, ცოცხალი უნდა ვიყო წესით (იღიმის)... ერთი გურული გოგო ვარ, რომელიც თავის ქვეყანაზეა შეყვარებული და ყველაფერს აკეთებს თანამოქალაქეების დასაცავად. ასე იქნება 30 წლის შემდეგ და ასე იქნება ჩემი არსებობის ბოლო წუთამდე, მე სხვაგვარად არ ძალმიძს.

– რაზე ოცნებობთ? რას ნატრობთ?

– ოცნებას არ ვისახავ, რეალობაში ვისრულებ, ეს მარტივია. ბევრი ოცნების დრო არ მრჩება. როცა რაღაცას ბოლომდე გავაკეთებ, შემდეგ ვხვდები, რომ ალბათ ეს ერთ-ერთი ოცნებიდან იყო. სპონტანური ვარ ძირითადად, არ ვიცი, რამდენად კარგია.

– ყველაზე მეტად ვინ და რა გენატრებათ?

– მე ხშირად გურია მენატრება, მესიზმრება... იმედია, არ მიწყენენ თბილისსა და სამეგრელოში მცხოვრები ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები... ასე ვიტყვი ხოლმე: ახლა ამსვა, დამსვა და გურიაში პატარა „ბირჟაზე“ („დუქანზე“ – ასე ვეძახით გურულად) „შაკოიასთან და კოტეიასთან“ ერთად დამსვა... ეს არის თერაპია, უსაზღვრო იუმორი, რომელიც სპონტანურია და საოცარი... ცა აქვს კიდევ იმ გარემოს სხვანაირი...

– გაქვთ თუ არა დაგეგმილი საქართველოში დაბრუნება?

– საცხოვრებლად დაბრუნება საქართველოში ჩვენთვის, რეალიზებული ოჯახისთვის, ემიგრაციას უფრო მოიცავს, ვიდრე დაბრუნებას. მე თავისუფალი სამყაროს წევრი ვარ იტალიაში.

– გაზეთის ფურცლებიდან რას ეტყვით თქვენს საყვარელ ადამიანებს?

– იკითხეთ, ისწავლეთ, განვითარდით, იყავით ძლიერნი. გაიტანეთ და აიტანეთ ერთმანეთი. ემიგრაციაში მყოფებს კი, ხაზგასმით ვეუბნები: – დაუდექით ერთმანეთს გვერდით, გიხაროდეთ სხვისი წარმატება. შეიყვარეთ ეს ქვეყანა, მიიღეთ ის თავისი ტრადიციებით და მას აუცილებლად მადლობას გადაუხდით!

– და ბოლოს, რა მისამართზე მდებარეობს თქვენი ოფისი?

_ Via Albenga 8. 00181. Roma. T. +390664013364.

№1. აპრილი. 2023 წელი ფესვები

იბრძოლეთ იმისთვის, რომ ოცნებები აიხდინოთ!

გიორგი თათულაშვილი მხოლოდ 25 წლის არის. ის თავისი თაობის საუკეთესო წარმომადგენელია ჰუმანურობით, მიზანდასახულობით, დამოუკიდებლობით. ამბობს, რომ სამწუხაროა, ქართველები სამშობლოში წინსვლას, განვითარებას რომ ვერ ახერხებენ და საზღვარგარეთ წასვლა, რთული გზების გავლა უწევთ ელემენტარული მიზნების მისაღწევად. გიორგი გულწრფელად გვიამბობს, რატომ დაადგა ემიგრაციის რთულ გზას და რა გეგმები აქვს...

– თითოეულ ადამიანს ემიგრაციაში ყოფნის განსხვავებული მიზეზები აქვს. ადვილი გადასაწყვეტი არ არის, დატოვო ქვეყანა, ახლობლები, ოჯახი და გადაიხვეწო შორს, გაურკვეველი ვადით. უამრავ მიზეზთა შორის უმთავრესი ფინანსური გაჭირვება და სრული უპერსპექტივობაა. არც ჩემი შემთხვევაა გამონაკლისი.

9 წლის ვიყავი, როდესაც ნაქირავებ ბინაში გადავედი დედასთან და დასთან ერთად. დედას ყველაფრის საკუთარ თავზე აღება მოუწია. ერთდროულად ორ სამსახურში მუშაობდა, ხან ნამცხვრებს აცხობდა მთელი ღამე და დილით მაღაზიებში აბარებდა. ყველანაირად ცდილობდა, ელემენტარული საჭიროებები მაინც დაეკმაყოფილებინა ჩვენთვის და ქირაც გადაეხადა, მაგრამ ამ ყველაფერს ვეღარ უმკლავდებოდა. დაიწყო ფიქრი საქართველოდან წასვლაზე, თუმცა გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა სკოლა დავამთავრე. გაშვება ძალიან გამიჭირდა, ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა და ვერ წარმომედგინა წლების მის გარეშე გატარება. ორი წლის შემდეგ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა და საქართველოში დაბრუნება მოუწია, დანაზოგი კი მკურნალობის ხარჯებს მოხმარდა. ასე, რომ ისევ სანყის წერტილში დავბრუნდით. გამოჯანმრთელების შემდეგ მალევე სამსახური იპოვა, ჩვენც დიდები ვიყავით და ვმუშაობდით. იმედი მქონდა, საქართველოშიც მივაღწევდით მიზნებს.

სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიულზე მინდოდა ჩაბარება, თუმცა ვფიქრობდი, რომ ეს ხარჯები ზედმეტად დიდი იქნებოდა ჩვენი ოჯახისთვის. დარწმუნებულიც არ ვიყავი, რომ მაინცდამაინც ეს პროფესია მინდოდა, ამიტომ ეროვნულ გამოცდებზე გასვლა გადავიფიქრე და სავალდებულო „ჯარში“ წავედი. ჩემს თავს ვუმეორებდი, რომ წარმატების მისაღწევად დიპლომი არ მჭირდებოდა. მალევე ახალი გატაცება გამიჩნდა – ფოტოგრაფია. მეგობრის დახმარებით შევისწავლე ფოტოხელოვნება და დავიწყე ამ სფეროში მუშაობა. ასე ვიპოვე საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს და რის გაკეთებასაც მთელი ცხოვრება ვაპირებ.

დიდი შრომის შემდეგ, მოვახერხეთ და საკუთარი სტუდია გავხსენით. ჩვენი თემატიკის მსგავსი თბილისში სხვა არ იყო, შესაბამისად, შემოსავალიც დამაკმაყოფილებელი გვქონდა. ვმუშაობდი ასევე ქორწილების, ნათლობების გადაღებებზე, ბავშვთა ცენტრებში და პირად ფოტოსესიებზე. ყველაფერი კარგად მიდიოდა. ვგრძნობდი, როგორ ვიზრდებოდი პრფესიულად და ფინანსურად. სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელდა ჩემი „ფრენა“, დადგა 2020 წელი და როგორც უამრავი ადამიანი, კორონა ვირუსმა მეც მიწაზე დამანარცხა. აიკრძალა ყველანაირი ღონისძიება, თავყრილობა და დავრჩი უმუშევარი. კარანტინის გასვლის შემდეგ დიდი ხანი ჩემი საქმით ვერ ვკავდებოდი. იძულებული ვიყავი, ნებისმიერი სამუშაო მომეძებნა. დავიწყე მუშაობა კონსულტანტად ტექნიკის მაღაზიაში, 588 ლარი ანაზღაურებით. ამასობაში, დედამ იტალიაში წასვლა გადაწყვიტა. ვიცოდი, რა სიძნელეებიც აქვთ ემიგრანტ ქალბატონებს სხვის ოჯახებში, ამიტომ მისი გაშვება არ მიხდოდა. ჩვენი ოჯახის მთავარი მიზანი ბინის შეძენაა, რომელიც საქართველოში მუშაობის შემთხვევაში ოცნებად რჩებოდა. დედამ თავისი გაიტანა და იტალიაში წავიდა. რაღაც უნდა შემეცვალა, ვერ დავჯდებოდი დედაჩემის ნაშრომის მოლოდინში, მეც რამე უნდა გამეკეთებინა. ბევრი აღარ მიფიქრია და მეგობრებთან ერთად პოლონეთში წავედი. ყველაფერი კარგად დაიწყო, არანაირი სირთულე ბინასთან ან სამსახურთან დაკავშირებით არ ყოფილა, მაგრამ უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ქარხანაში კრიზისი დაიწყო, ხელფასებიც შეგვიმცირეს და მეც იტალიაში წამოვედი.

დედაჩემთან სიახლოვის მიუხედავად, ყველაზე რთული პერიოდი აქ ყოფნა აღმოჩნდა. 4 თვე უმუშევრად ყოფნა მომინია. ვფიქრობდი, რომ ცუდი გააწყვეტილება მივიღე, პოლონეთი არ უნდა დამეტოვებინა. მით უმეტეს, ჩემი წამოსვლიდან ერთ თვეში სიტუაცია გამოსწორებულა. ბოლოს და ბოლოს, სამსახურიც გამოჩნდა და ისევ იმედით ავივსე.

ახალი მეგობარიც შევიძინე. ბევრმა ადამიანმა მაჩვენა უანგაროდ გვერდში დგომის მაგალითი, რისიც ყოველთვის მადლიერი ვიქნები. განსაკუთრებით გამიმართლა ბინაში. საუკეთესო ადამიანებთან ვცხოვრობ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საუკუნეა, რაც მათ ვიცნობ.

ვფიქრობ, იტალიაში ყოფნა მომცემს შანსს, ჩემს პროფესიაში წინ წავიდე, მინდა ფოტოგრაფიის კურსებზე ვისწავლო. ამის შესაძლებლობა საქართველოში არ მქონია და იმედი მაქვს, აქ შევძლებ.

იმ ახალგაზრდებს, ვინც ემიგრაციაში წასვლაზე ფიქრობს ვურჩევ ყველა დეტალი ასჯერ განიხილონ. აქ ვნახე, რამდენი გაუთვალისწინებელი უსიამოვნება შეიძლება გაიარო. იბრძოლეთ იმისთვის, რომ ოცნებები აიხდინოთ. კარგი იქნებოდა, რომ არ გვიწევდეს ასეთი გზების გავლა ელემენტარული მიზნების მისაღწევად.

ბოლოს კი, საყვარელ ადამიანებს მოვიკითხავ თქვენი გაზეთის საშუალებით. ერთი სული მაქვს, ყველას ერთად როდის განახავთ. განსაკუთრებით ჩემი და მენატრება. მიყვარხარ, ნათი!

Chi è fedele servo della Patria, diventa rinomato pur non avendo il cognome rinomato.
Ilia Chavchavadze

Qartuli
Phesvebi
Radici Georgiane

№1
Aprile
2023
anno

Giornale degli emigranti

GEORGIA

Prof. Giorgi Bukhnikashvili

La Georgia (in georgiano saqarTvelo, traslitterato Sakartvelo) è uno Stato del Caucaso meridionale situato sulla riva orientale del Mar Nero.

Confina a nord con la Russia, a sud con la Turchia e l'Armenia, a sud-est con l'Azerbaigian ed è bagnata a ovest dal Mar Nero. Il paese copre un'area di 69700 km² e ha una popolazione di 3.7168.58 abitanti. La sua capitale è Tbilisi.

Dal punto di vista geografico è considerata parte dell'Asia occidentale oppure un paese transcontinentale, essendo attraversata dalla catena del Caucaso, una delle linee convenzionali di separazione tra l'Europa e l'Asia. Dal punto di vista storico-culturale è strettamente legata all'Europa.

Nota fin dall'epoca classica con i regni di Colchide e di Iberia, è sede di un regno nazionale in epoca medievale dotato di una cultura, lingua e religione peculiari rispetto a quelle dei vicini, la Georgia fu annessa all'Impero russo all'inizio del XX secolo (1801). Dopo un breve periodo di indipendenza, successivo alla rivoluzione russa del 1917, la Georgia fu occupata dall'Armata Rossa nel 1921, diventando la Repubblica Socialista Sovietica Georgiana e parte dell'Unione Sovietica. Nel 1991 proclamò la propria indipendenza che fu formalmente riconosciuta il 25 dicembre dello stesso anno.

La Georgia comprende due regioni de facto indipendenti, l'Abcasia e l'Ossezia del sud, che hanno ottenuto un riconoscimento internazionale limitato dopo la guerra russo-georgiana del 2008.

Nel marzo del 2022, la Georgia ha presentato domanda per l'adesione all'Unione europea; il Consiglio europeo ha affermato di essere pronto a concedere alla Georgia lo status di paese candidato una volta che saranno state affrontate alcune priorita.

La Georgia fa parte del Consiglio d'Europa, dell'OSCE, di Eurocontrol, della Banca Europea per la Ricostruzione e lo Sviluppo, e del GUAM. È compresa nel piano d'azione per l'adesione alla NATO.

……..

I clima della Georgia è estremamente diversificato, considerando le piccole dimensioni del paese. Ci sono due principali zone climatiche, che separano bruscamente la parte orientale e occidentale del paese. La catena montuosa del Gran Caucaso influisce notevolmente a mitigare il clima della Georgia

e protegge la popolazione dalla penetrazione di masse d'aria fredde e gelide provenienti da nord. Idem le montagne del Piccolo Caucaso proteggono parzialmente la regione dall'influenza delle masse d'aria calda e secca provenienti da sud.

Gran parte della Georgia occidentale si trova all'interno della periferia occidentale della zona umida subtropicale con precipitazioni annue attorno ai 1000–4000 mm. Le precipitazioni tendono a essere uniformemente distribuite durante tutto l'anno, sebbene le piogge possano essere particolarmente forti durante i mesi autunnali. Il clima della regione cambia significativamente con l'altitudine, mentre gran parte delle aree di pianura della Georgia occidentale sono relativamente calde per tutto l'anno.

Il clima è eccellente per la produzione dell'uva. Infatti, ultimamnte i scienziati hanno constatato che la Georgia sia la patria del vino. Però di questo prodotto ne parleremo ancora, e più dettagliatamente.

Le colline e le zone montuose (che comprendono sia le catene del Grande e Piccolo Caucaso) sono caratterizzate da estati fresche e umide e inverni nevosi (spesso in alcune regioni il manto nevoso supera i 2 m). L'Agiara è la regione più umida del Caucaso. La foresta pluviale, chiamata Mtirala (che significa "piagnucola"), a est di Kobuleti, riceve circa 4 500 mm di precipitazioni all'anno.

La Georgia orientale ha un clima di transizione dal subtropicale umido al continentale. I modelli meteo della regione sono influenzati dall'est dalle correnti secche dell'Asia centrale e dalle masse d'aria umida del Mar Caspio, e le masse d'aria del Mar Nero da ovest. La penetrazione delle masse d'aria umida dal Mar Nero è spesso bloccata da diverse catene montuose (Likhi e Meskheti) che separano la parte orientale e occidentale della nazione. Le precipitazioni

⇨ 8

№1. აპრილი. 2023 წელი ქართული ფესვები

Presentazione della traduzione in georgiano della ivina Commedia di Dante





Gennaio 2023 a Firenze, si è svolto un importante evento culturale internazionale, presso la Chiesa Ortodossa Georgiana di Santa Nino, retta dall'Archimadrita Padre Andria Latsabidze, dove è stata presentata la traduzione, in prosa georgiana, dell'intera Divina Commedia di Dante Alighieri. Autore della complessa impresa (vista la differenza persino dei caratteri dei due alfabeti) è il prof. Giorgi Bukhnikashvili, docente di lingua italiana e inglese, membro onorario della prestigiosa Accademia Siculo Normanna di Palermo, già curatore del primo dizionario italo-georgiano.

GEORGIA

7

annuali sono notevolmente inferiori a quelle della Georgia occidentale e vanno da 400 a 1 600 mm. I periodi più umidi in genere avvengono in primavera, autunno e inverno, mentre i mesi estivi tendono a essere più secchi. Gran parte della Georgia orientale ha esperienza di estati calde (specialmente nelle zone basse) e inverni relativamente freddi. Come nella parte occidentale della nazione, l'altitudine svolge un ruolo importante nella Georgia orientale, dove le condizioni climatiche sopra i 1 500 m sono notevolmente più fredde nelle zone basse. Le regioni che si trovano sopra i 2000 m gelano di frequente anche durante i mesi estivi. È raro invece che nevichi a Tbilisi.

.....

Demograficamente i georgiani (inclusi megreli, svani, laz e agiareli) sono attorno all'83,8% dell'attuale popolazione della Georgia, che conta 3 661 473 individui (luglio 2006). Gli altri principali gruppi etnici includono gli azeri, che sono il 6,5% della popolazione, armeni - 5,7%, russi - 1,5%, abcasi e ossebi. Ci vivono altri numerosi, ma piccoli gruppi etnici tra cui assiri, ceceni, cinesi, ebrei, greci, kabardi, curdi, tatari, turchi e ucraini. La diaspora degli ebrai georgiani è una delle più vecchie comunità ebraiche del mondo.

La Georgia è caratterizzata di una notevole varietà linguistica. All'interno della famiglia delle lingue caucasiche meridionali sono parlati il georgiano, il laz, il megruli e lo svanuri. I gruppi caucasici meridionali diversi da quelli etnici georgiani parlano spesso le loro lingue native assieme al georgiano. La lingua ufficiale della Georgia è il georgiano, parlata dal 71% della popolazione, il 9% parla russo, il 7% armeno, il 6% azero, e il 7% le altre lingue.

In alcune regioni della Georgia, i gruppi etnici non georgiani costituiscono un'importante minoranza. Nella regione di Kvemo Kartli il 41,75% è della popolazione è di etnia azera. Nella regione di Samtskhe-Javakheti, confinante con l'Armenia, gli armeni costituiscono il gruppo etnico maggioritario.

Al principio degli anni novanta, successivamente alla dissoluzione dell'Unione Sovietica, violenti conflitti separatisti sono scoppiati nelle regioni autonome dell'Abcasia e dell'Ossezia del Sud (Entrambi create artificialmente dal colonialismo russo). Molti ossetini che vivevano in Georgia lasciarono il paese, principalmente per l'Ossezia del Nord, in Russia. Mentre più di 150 000 georgiani lasciarono l'Abcaseti dopo lo scatenarsi delle ostilità nel 1993. Si trattava di guerra etnica istigata dal Kremlino. Dei turchi di Mescheti, che nel 1944 furono esiliati forzatamente da Stalin, solo una piccola frazione è ritornata in Georgia a partire dal 2008.

Nel 1989 il censimento registrò nel paese la presenza di 341 000 russi etnici (il 6,3% della popolazione), 52 000 ucraini e 100 000 greci. Dal 1990 un milione e mezzo di persone di nazionalità georgiana ha lasciato il paese. Almeno un milione di immigrati dalla Georgia risiedono legalmente o illegalmente in Russia. Il tasso di migrazione netta in Georgia è –4,54%, escludendo i cittadini georgiani che vivono all'estero. La Georgia è comunque stata abitata da immigrati provenienti da tutto il mondo fin dalla sua indipendenza. Secondo le statistiche del 2006, la Georgia riceve la maggior parte dei suoi immigrati dalla Turchia e dalla Repubblica Popolare Cinese. È presente negli ultimi anni un forte flusso migratorio dall'Iran da parte di persone oppresse dal regime iraniano (per lo più scrittori e cristiani evangelici) e di semplici uomini d'affari in cerca di nuove opportunità di guadagno.

La maggior parte della popolazione pratica oggi il Cristianesimo greco-ortodosso (81,9%). Le minoranze religiose sono le seguenti: musulmani (9,9%), apostolici armeni (3,9), ortodossi russi (2,0%), cattolici (0,8%).

8

"Quello che ci salva è un immenso amore..."

L'Italia e la Georgia cantano e suonano in Duo

A Poggibonsi, in Toscana, vive una coppia speciale di musicisti, Duccio Limberti e Lali Burduli, che insieme costituiscono il Duo LALIMBERTI.

Duccio è un italiano di San Gimignano, nato cieco, diplomato in lingue, musicista autodidatta, arrangiatore, cantante e improvvisatore. Ha lavorato per 30 anni come centralinista presso l'ospedale di Campostaggia e presso l'ASL a Poggibonsi. Duccio è autore di due libri che ha scritto durante la pandemia.

Lali, invece, è georgiana, vive in Italia costantemente dal 2000 insieme ai suoi due figli. E' laureata in geografia sociale ed economica internazionale presso l'Università statale di Tbilisi.

Quando si è trasferita in Italia, conoscendo tutto il repertorio di Robertino Loreti a memoria e anche la musica e le canzoni italiane, da lei amate fin dall'infanzia, si è sentita subito a casa.

Duccio e Lali si sono incontrati per la prima volta nel 1994 e sono diventati subito amici.

Dopo 22 anni, il destino li unisce di nuovo in un'altra veste: si sono sposati e sono diventati un duo artistico.

Duccio ha una memoria musicale fenomenale, è un arrangiatore straordinario, suona il pianoforte, improvvisa e scrive la musica insieme a Lali che lo assiste anche in veste di fonico.

I due compongono, cantano, lavorano con gli archivi e conducono ricerche in campo musicale e non solo. Presenteranno anche un programma musicale "Vox LALIMBERTI" su una Web TV italo-georgiana KN TV, appena fondata sul territorio toscano.

Con il loro lavoro disinteressato, Duccio e Lali cercano di diffondere le due reciproche culture, affinché più georgiani e italiani possibile siano in grado di capire più in profondità l'anima dell'altro paese. La loro musica è diventata sempre più amata in Georgia e in Italia. Come culminazione della loro ricerca musicale nella cultura georgiana, hanno pubblicato il loro secondo album "L'ITALIA canta e suona la GEORGIA", presentato alla conclusione della giornata di San Valentino su Radio3 RAI nel programma BATTITI. E' stato uno dei conduttori del programma Ghighi Di Paola a prentare il nuovo album e a raccontare agli ascoltatori la storia di questo duo che "è anche una storia d'amore e suoni raccontata, tra l'altro, in uno splendido ironico e potente libro dal titolo "Dove trovare una canzone"... Questo CD invece è un lungo viaggio musicale che dura quasi 3 ore, zeppo zeppo di canti e canzoni tradizionali della Georgia caucasica. Nelle note di copertina, infatti, si legge che la musica georgiana offre la possibilità di spaziare nei generi musicali più disparati: dal pop al jazz, dal folk al genere sinfonico."

L'album è stato pubblicato il 6 novembre 2022. In esso hanno partecipato diversi musicisti italiani e la coppia è diventata per i loro ammiratori l'icona di un amore puro e incondizionato.

La loro musica non è solo un'esperienza di ascolto, ma anche un'esperienza di vita. Duccio, nonostante la sua cecità, sa diffondere tanto conforto e gioia, così necessari al giorno d'oggi. In molti li definiscono "ambasciatori dell'amore".

Duccio e Lali fanno entrambi parte dei soci fondatori dell'associazione culturale Italo-georgiana QARTULITA sita a Poggibonsi che ha dato vita e si prepara per un primo Festival dell'arte delle immigrate georgiane "Festival QARTULITA - scrigno delle culture".

A cura di Nina Siboshvili

ACIGEA: le tradizioni e la cultura uniscono i popoli

Il rapporto fra la Georgia e l'Italia è antichissimo, fin da epoca romana, poi si è consolidato durante il Medio Evo e le Crociate, successivamente con le attività e i collegamenti delle repubbliche marinare di Genova e Venezia sul Mar Nero, e in epoca moderna, con l'immigrazione della nobiltà georgiana dopo la rivoluzione bolscevica, a Roma come a Parigi, e durante la seconda guerra mondiale, con la presenza dei combattenti volontari della Georgian Legion in Piemonte e nel Triveneto. Ed è appunto dalla mia bisnonna Tamara Vardanidzev, che è vissuta nelle campagne piemontesi, che ho ereditato, da bambino, questa mia passione per la storia e la cultura georgiana. Passione che ha ripreso vigore, otto anni fa, incontrando, a Milano, le patriote Lali Panchulidze e Maya Bubashvili, donne colte e determinate, e gli amici, sia italiani che georgiani, con i quali abbiamo dato vita all'associazione culturale internazionale Italia Georgia Eurasia (ACIGEA, legalmente costituita e ufficialmente riconosciuto dallo Stato Italiano, dell'Unione Europea e dalla Regione Lombardia) che, in questi anni, in collaborazione con le istituzioni locali, in particolare, ha organizzato e partecipato ad oltre sessanta eventi fra conferenze, mostre artistiche, sfilate di moda, concerti e balli tradizionali, incontri promozionali e turistici, cene tradizionali, cerimonie religiose ortodosse, invitando i fratelli cristiani cattolici a conoscere e ad apprezzare la profonda spiritualità georgiana. ACIGEA oggi ha oltre un centinaio di associati, per la maggioranza italiani (fra questi il Presidente del Senato della Repubblica italiana, Ignazio La Russa, l'Eurodeputato Angelo Ciocca, il Principe Emanuele Filiberto di Savoia, la Principessa Costanza De Medici di Toscana, il Generale Francesco Cosimato della NATO, diversi sindaci e docenti universitari), ed è presente in tutta Italia, in particolare in Lombardia e nel nord ovest. Da ACIGEA sono nati anche i "Volontari Nazionali della Santa Croce", gruppo cristiano ecumenico di volontariato che, in collaborazione con alcune parrocchie ortodosse, si occupa di assistenza sociale alle famiglie povere e bisognose, primo soccorso, protezione civile e difesa ambientale, e che è già stato attivo

⇨ 10

ACIGEA

Associazione Culturale
Italia - Georgia - Eurasia

Proposta dell' Artista

Duomo di Firenze

Tecnica-acquerello sulla carta di 670 grammi

Dipinto nel 2018,misura 70x50 cm

Ritratto

Tecnica –olio su tela, pittura a più velature

Ritratto dipinto dal vero, nel 2005,misura 90x85 cm

Pioggia a Firenze

Tecnica-alla prima, olio su tela

Dipinto dal vero nel 2022,misura 80x60 cm

Natura Morta

Tecnica-alla prima, olio su tela

Dipinto dal vero nel 2009,misura 80x60 cm

Ponte Vecchio

Tecnica-alla prima, olio su tela

Dipinto dal vero nel 2022,misura 70x26 cm

Revaz Tcheishvili

Artista Pittore, Restauratore, nome d'arte REZO IVERIELLI nato in Georgia il 29.04.1981 residente a Firenze FI, Via delle ghiacciaie 10, CAP 50144, P-IVA 06460090480 Creazione Artistiche. Propongo al pubblico una varietà gamma dei lavori dipinti in diversi generi pittoriche come ,Ritratti, Natura Morta, Paesaggi sia urbani anche della natura. Utilizzo diversi materiali della pittura e la grafica, colori ad olio, acquerello, pastelli, sanguigna , inchiostro diluente, grafite, diversi materiali pe le incisioni . Dipingo in svariate tecniche pittoriche a colori di olio su tela come la pittura a più velature e la tecnica alla prima a spatola. Pittura ad acquerello sull'umido e secco. Disegno a carboncino grasso e secco, disegno a grafite e sanguigna. Dal periodo dello studio in Accademia di Belle Arti fino all'esperienza lavorativa in Restauro in Georgia e a Firenze compreso l'esperienza di lavoro come insegnante degli Arti Figurativi ho maturato una bona competenza e esperienza che rende il mio lavoro ricco e interessante per proporre al pubblico il mio frutto dell'anima.

il mio frutto dell'anima.

Ritratti

Tecnica-carboncino grasso sulla carta di 300 grammi

Disegno realizzato nel 2018,misura 100 x 70 cm

Www.artofrezoiverielli.com

(9) Art of Rezo Iverielli | Facebook

(21) REZO IVERIELLI - YouTube

Art Of Rezo Iverielli (@rezo_iverielli) • Foto e video di Instagram

ACIGEA: le tradizioni e la cultura uniscono i popoli

⇨ 9

in diverse emergenze: pandemia Covid, terremoto in centro Italia, rifugiati dall'Ucraina e terremoto in Siria. La nascita di un nuovo giornalino all'interno della comunità georgiana è evento importante e utile, una iniziativa positiva che abbiamo voluto subito sostenere con questo breve articolo. La comunità georgiana in Italia è sempre più numerosa e radicata ma ora deve fare un salto di qualità, ovvero superare divisioni e personalismi, per unirsi e fare squadra. Negli ultimi due anni sono nati decine di gruppi e di iniziative locali, positivo, ma queste devono interagire fra di loro, coordinarsi, collaborare, con sincero spirito patriottico e fraterno, per il bene comune degli immigrati georgiani e delle loro famiglie in patria. Gli italiani hanno grande simpatia e stima nei confronti della nazione Georgia e del popolo georgiano, per questo serve dare una immagine forte, chiara e unitaria, per migliorare dialogo e integrazione, scambi culturali ed economici, e questa nuova iniziativa editoriale, potrebbe essere l'occasione e lo strumento giusto per questa operazione, ovviamente, sempre in rispettoso contatto con ambasciata e consolati, e, soprattutto, con le parrocchie ortodosse georgiane. Quindi ci complimentiamo con Nina Siboshvili, alla quale facciamo, insieme alla nostra presidente Lali Panchulidze, i nostri più sinceri auguri.

Dott. Giovanni Cavallanti Ferrero (ACIGEA)
Associazione Culturale Internazionale Italia Georgia Eurasia

საბავშვო განყოფილება

რითმოცანები

მარინა დიერაშვილი

შვილებს ხომ
ჰყავთ დედა,
გამოცანად გხვდება!

1. ფაფარი – მას ძლიერ შვენის;
კვიცის დედას ჰქვია ცხ....

2. ბეწვი ფარავს, არა თმა...
ციკნის დედას, ჰქვია თ...

3. რა სისინებს? პასუხს ველი;
წიწილის დედაა გ....

4. ბელი არის შვილი მათი,
გზაზე მოდის ორი და...

5. თუ გაბრაზდა არის ცხარი,
ბატკნის დედას ჰქვია ც...

6. ღამე ყეფით კი ვერ დაღლი,
ლეკვები ჰყავს, ჰქვია ძ....

7. ჩხავის და არ არის ავი,
ბახალას ზრდის, ჰქვია ყვ...

8. სიმბოლოა, მეტის – მეტი,
ხუნდების დედაა მ...



9. ჩოჩრები მას ელიან,
მათი დედა მწ....

10. თურმე საათობით ყვირის,
ჩოჩორსაც ჰყავს დედა-ვი...

11. ის დადის, კი არ ხოხავს,
ხბოს აწოვებს, ჰქვია ძ...

12. და შეთქვლიფა ჯამი– ორი,
გოჭის დედას ჰქვია ღ...

13. ნაქურდალს, რა მიამატა?
კნუტის დედა არის კ...

14. ცხოვრობს ხეზე-იტყვი;
დღნაშვს ჰყავს დედა-ც....

15. მაკრატელი აქვს, არა – ხმალი;
ბარტყებს ზრდის, ჰქვია მე....

16. ემტერება თურმა ბიჭი,
ბარტყის დედა არის– ჩ...

17. მსხვერპლს დაინახავს და წივის,
მართვეს ჰყავს დედა, არ ...

18. ჭამებს შორის არის ხემსი,
ლიფსიტებს ჰყავს დედა თე...

19. მხიმე წონის, ბეევრი კილო-
სპლიყვის დედა არის ს....

20. სახლს ჭერი თუ არ ეხურა,
ბარტყებს სად ჩეკავს ბე....

21. მონადირე რატომ ებრძვის?
ბოკვერებს ზრდის დედა ვე....

22. დაღამებას თურმე ელის,
ლეკვებს კვებავს დედა მგ...

23. მოზრდილი თაგვია,ვინ თქვა?
წრუწუნებს ჰყავთ დედა ვი...

24. წიწილმა ქექა ნაცარი,
მისი დედაა ქათ ...

25. წიწილებს ჰყავთ დედა რუხი,
როცა ზრდის მათ, ჰქვია კრ...

26. ცურავს,ხან მიწაზე დადის,
ჭუჭულის დედაა ბა...

27. მოიზრდება, ჰქვია ჩრიხვი,
ჭუჭულსაც ჰყავს დედა -იხ ...

28. სოროს არასოდეს არ გვის,
წრუწუნას ზრდის დედა თა...

29. რქებს ნახავ? გადაირევი;
ნუკრის დედაა ირ....

30. დაფარფატებს, ნელ ნელა,
მატლებს დაჩეკავს პე....

31. მოიპარავს, როცა ბნელა,
ლეკვებს გაზრდის ქურდი მე....

32. ნეტავ უყვართ ჭამა პურის?
ჭუკს დედა ჰყავს-ინდა....

33. თავკომბალა– მას რომ ჰქვია;
მისი დედა ბა....

34. ბოსტანში სტუმარს მოელი,
ბაჭიას გაზრდის კუ...

35. უდაბნოაში გზა გრძელია,
კოზაკის დედა აქ...

36.ტანზე ეკლები ,,ასხია",
ბუხგის დედაა -ზღარ..,

37.,,კიბე"-კისერა..., იაფი!
ბოჟიკს ჰყავს დედა ჟირა....

38. ზღაპრის პერსონაჟია, კი არ არის ლანგი,
ის წამლევის დედაა, ჰქვია ფარშ.....

39.ფოთრის დედას არ უყვარს ხიხვი,
კლდეზე დახტის ჰქვია ჯიხვ..

40. თუ შვილია ლაპი...მაშინ დედა ეყოლება;
შურთხი როჭო, ხოხობი ან კიდევ კაკა...

ნათია დაშნიანი

მფარველი ანგელოზი

სიზმარმა რომ შეაშინა,
ასე უთხრა დედამ ნიას:
_ მფარველად გყავს ანგელოზი
და ნურაფრის გეშინია.
როცა მშობლებს დაუჯერებ,
ანგელოზიც ხარობს მაშინ,
მაგრამ არის მოწყენილი
თუ იქცევა ცუდად ბავშვი.
იმ დღის შემდეგ მოსვენება
დაეკარგა ციცქნა ნიას:
_ ჩემს ანგელოზს რა აცვია,
ან რა ფერის თვალები აქვს?
დე, ფაფუკი ფრთებიც ხომ აქვს?
მის ბუმბულში ჩავრგავ სახეს,
ნეტავ მართლა ისეთია
ფრესკებზე რომ გამოსახეს?..
დედამ გულში ჩაიკრა და
ჩასჩურჩულა: _ ჩემო ნია,
შენ როგორსაც წარმოიდგენ
ანგელოზიც ისეთია.

ჭიანჭველა

რა გამრჯეა ჭიანჭველა,
დააკვირდი თუ არ გჯერა.
ღონიერი საცეცებით
დააქვს პურის ნამცეცები.
მოიკიდა ზურგზე ტვირთი,
მის წონაზე ათჯერ დიდი.
დაბრკოლება, რაც კი ნახა,
მოკლე დროში გადალახა.

იცი, რატომ შრომობს ამდენს?
შემოდგომის დადგომამდე
იმარაგებს ზამთრის სარჩოს,
უსაქმურ კაცს რითი არ სჯობს?

კნუტი

მომიყვანეს თეთრი კნუტი,
თეთრი, როგორც თოვლის გუნდა,
კუდს იპრეხს და თვალებს ნაბავს
მოფერება როცა უნდა.
ათამაშებს ძაფის გორგალს,
არ ჩერდება ერთი წუთით,
კარადიდან გადმოაგდო
საშაქრე და ნამცხვრის ყუთი.
ცელქობს ჩემი მეგობარი,
არ მოგვითმენს ამდენს ბებო,
გააფრთხილა: – ნუ მაწვალებ,
თორემ გარეთ გაგაგდებო!

ფისუნია

აწრიალდა ფისუნია -
თევზისა და რძის სუნია.

მისთვის არვის სცალია,
რძე ნინიკომ დალია.
თევზი დაჩიმ მიირთვა,
თქვა – კარგია ძალიან!

ფისოს უსაყვედურეს:
გეყოს, ნუღარ კნავიო.
დაიჭირე თაგუნა,
შეიწუხე თავიო.

მერე თურმე ფისუნა
სახლში თაგვით მისულა
და ამაყად უკითხავს -
ჩემი თაგვი ვის უნდა?

გოჭი



გოჭი ჭყივის საღორეში:
აღარ წავალ აწი ტყეში.

რომ გათავდა რკო და პანტა,
ავიტუზე ბოსტნის კართან.

ვკარი დინგი დახშულ კარებს,
ბოსტანი სულ გადავთხარე.

მიმეძინა ჩრდილში დაღლილს,
წამომადგა თავზე ძაღლი.

ძლივს მიპოვეს მერე დილით
ნაცემი და დაკბენილი.

ვწევარ, მივლის გიგო პაპა,
ვჭამ უგემურ ქატოს ფაფას.

მე ვარ ბიჭი გაბრიელი,

მე ვარ ბიჭი გაბრიელი,
ყოჩაღი და მარდი ვარ.
მოვიარე მთა და ველი,
გორდში ცხენით დავდივარ.

უნაგირზე შემოვისვი
ბაბუა და ბიძია,
გორდელები იძახიან -
ეს ბიჭუნა ვისია?

დათოს ყურშა

დილით ადრე ადგა დათო,
მამას გაჰყვა ტყეში,
მერე რა რომ სოფელს ათოვს,
ბრუნდებიან შეშით.
მამამ უთხრა: მოიცადე
შვილო ერთი წუთით,
შეშა მოგვაქვს, მაგრამ ტყეში
დაგრჩენია ქუდი.
– ვაი, მამი, შინ რომ მივალთ
არ ეწყინოს დედას,
ქუდი ადრეც დამეკარგა,
თქმას ვერ გავუბედავ.
უცებ ყეფა შემოესმათ,
ძლიერ გაუკვირდათ,
ბედნიერი ყურშა ყეფით
გამორბოდა ტყიდან.
თითქოს პატრონს გაუჯავრდა,
გააქნია კუდი
და ჩვენს დათოს მოუტანა
დაკარგული ქუდი.

ზღარბები

ქარი ქრის და ხეებიდან
წითელ ვაშლებს აგორებს,
სხვა რა უნდა ზღარბუნიას,
ზამთრის სარჩოს აგროვებს.
იქით მსხალი, აქ ატამი,
არც არავის რიდი აქვს,
დაიხმარა მეზობლები,
აკრიფეს და მიდიან.
თავში იცემს ბებო ხელებს:
– რა ვაჭამო პატარებს,
რაც ხილია მსუნაგ ზღარბებს
სახლში თუ გავატანე?!.

ლოკოკინა

ნიჟარაზე უკაკუნებს
გაზაფხულის თბილი წვიმა,
გამოდიო, მზეს წვეთები
აუკინძავს ბროლის მძივად.
ხან ღობეზე აცოცდება,
ხან გადაჭრილ მორზე სძინავს,
ბევრს შრომობს და არ იღლება,
ყველგან ზურგით დააქვს ბინა.
საფრთხეს თუ გრძნობს ნიჟარიდან
თავს არ გაყოფს ლოკოკინა

სასამართლო

ლომი იყო მოსამართლე,
მომჩივანი დათუნია:
იოლია თაფლის ჭამა,
მოპარვა კი რა რთულია!

ორი სკა აქვს დედა ფუტკარს,
ის ყველაზე მშრომელია,
ერთი ქილა თაფლი ვთხოვე,
დამკბინა და მომერია.

განა მარტო ჩემთვის მინდა?!
გუშინ ბელი გამიცივდა,
არ მეგონა ტყის ყვავილებს
თაფლში თუ არ გამიცვლიდა!

ფუტკრების სკა აზუზუნდა:
ჩვენ გრამ თაფლსაც აღარ დავთმობთ!
ნეტავ რომელს გაამართლებს,
მეფე ლომის სასამართლო?!.

ყიყინა ბაყაყი

გაზაფხული მოვიდა,
ცა საწვიმრად იხსნება,
სოფლის ბოლოს ჭაობი
ბაყაყებით ივსება.
ერთი მწვანე გომბეშო
გამუდმებით ყიყინებს,
დღისით ყველას აწუხებს
და არც ღამით იძინებს.
ფეხებს იქნევს რვაფეხა, _
გეტყვით ახალ ამბავსო,
წუხელ წერო მოფრინდა,
ყველას გადაგვყლაპავსო!
– მე ვერაფერს მიზამსო!
– ყურს არ უგდებს ბაყაყი,
ქვებზე დახტის ყიყინით
ტრაბახა და ამაყი.
ბრაზი ახრჩობს რვაფეხას:
– თავზე რატომ მახტები?!
მე კი წავალ, მაგრამ შენ
წეროს ლუკმა გახდები!

სვანური ზღაპრები

გოჩა ჭელიძე

დევები და ღარიბი გლეხი

ყოფილა ერთი მეტად ღარიბი გლეხი, ისე ღარიბი რომ თავს ძლივს ირჩენდა. წისქვილში საფქვავი წაუღია და დარჩენილა ღამით. წისქვილი სოფლიდან საკმაოდ ყოფილა დაშორებული. რომ დაღამებულა, წისქვილსვ ერთი დევი სტუმრებია. კაცს ძალიან შეშინებია, მაგრამ დევს უნუგეშებია:

– არაფერს გერჩი, წამომყევი, შვილი უნდა მოგანათლინოო.

ამ კაცს შეზარებია წასვლა, მაგრამ უარი მაინც ვერ უთქვამს და გაჰყოლია. დევს მოუყვანია სადღაც ერთ გამოქვაბულში, სადაც სხვა დევებიც ყოფილან. დევებს დაუძახიათ:

– პაპი ლოქფედა შვიდებდო! (ნათლია მშვიდობით მობრძანებულაო). კაცი ჩუმად იყო. დევს შეუსრულებია ყოველგვარი წესი, რაც ნათლობის დროს არის მიღებული. ბავშვის მონათვლის დროს ამ კაცისათვის გადაუციათ ხელში ბავშვი, მაგრამ, ისეთი დიდი და მძიმე ყოფილა, რომ ძალიან გასჭირებია ხელში დაჭერა!

შემდეგ მოამზადეს ვახშამი, დაკლეს ერთი ხარი. ამ კაცს გაუკვირდა, თავისი მეზობლის ხარი იცნო. ვახშამი რომ დაამთავრეს, ხარის ძვლები აკრიფეს და ერთად დადვეს, შეუბერეს ძვლებს და ხარი გამთელდა. იმავე ღამეს ეს კაცი დევმა წისქვილში დააბრუნა და დალოცა.

კაცმა რომ წისქვილი დაათვალიერა, სავსე აღმოჩნდა ფქვილით. დევმა წასვლის წინ დაარიგა კაცი, ეს ამბავი არსად გაამხილო, თორემ იღბალს დაჰკარგავო. გამდიდრდა კაცი! დიდხანს შეინახა საიდუმლოება, მაგრამ ბოლოს სოფლელებს მაინც ეჭვი შეეპარათ, თუ საიდან აქვს ამდენი ქონებაო; მალე მისმა ცოლმა საიდუმლოება გათქვა და სოფელს ამბავი მოედო. ამის შემდეგ ეს ოჯახი ისევ გაღარიბდა. ის ხარი კი დევებმა. რომ დაკლეს, კაცმა მეორე დღეს მკვდარი ნახა. / დევები და ღარიბი გლეხი. მთქმელი გულედანი ეფრემ არსენის ძე, მესტიის მცხოვრები. ჩაწერილია 1951 წელს ელენე ვირსალაძის მიერ. ხალხური სიბრძნე. ტ. 3, ქართული ეპოსი : ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები. 1964. გვ. 196/.

ფულდუ ქალდანი

ფულდუ ქალდანი განთქმული ვაჟკაცი იყო. ერთ ღამეს მის სახლს სამი მგელი მოადგა, ძალიან ბნელი და წვიმიანი ღამე იყო. მგლები ყმუოდნენ. ადგა ფულდუ ქალდანი და ერთი ცხვარი გად აუგდო, ამ ცხვრით იმ ღამეს სული შერჩათ მგლებს.

მეორე დღეს იქ რას გაუჩერდებოდნენ -— წავიდნენ!

ერთ დღეს ფულდუ ქალდანი სამეგრელოს მთებში წავიდა სამოვარზე. წინ ერთი ვაჟკაცი შემოეყარა და ჰკითხა:

— ვინ ხარ?

— ფულდუ ქალდანი ვარ.

ამ ვაჟკაცმა თავის ორ ამხანაგს გადასძახა: – ეს ის ფულდუ ქალდანია, რომელმაც ცხვარი ჩამოგვიგდო. მშივრები გაგვაძღოო. ეს ვაჟკაცები ის მგლები ყოფილან, წვიმიან ღამეს რომ მიადგნენ ფულდუს სახლს.

ახლა ჯერ ერთმა დაპატიჟა ქალდანი, მერე მეორემ, მერე მესამემ.

ბოლოს ჰკითხეს, საჩუქრად ჩვენგან რა გინდაო? საჩუქარი არ იკადრა ფულდუ ქალდანმა და სთხოვა: თქვენ რაც გაგება-ცოდნა გქონდეთ მალული, მეც მასწავლეთო. ვაჟკაცებმა გაიხმეს განზე და დააფიცეს, რასაც გასწავლით, არავის. უთხრაო. ბუნების საიდუმლოება გაიგო ფულდუ ქალდანმა: ცხოველის, ფრინველის, ქვეწარმავლის ენა შეისწავლა. დაბრუნდა სახლში და ხარის და ძროხის დიდი ჯოგი მოასხა. ახლა თავიანთი ძროხა, თავიანთი ხბო, თავიანთი ცხენი ჰყავთ ქალდანებს. დედები კვიცებს ეძახიან რემაში,

– ეს ყველაფერი ესმის ფულდუს. ჭაკმა ცხენმა დაიჭიხვინა ერთხელ და თავის კვიცს გადასძახა: დაჩქარდიო, თორემ ჯარი მოგვდევს დაჩქარდი, შინ გავაღწიოთ, თორემ ამდენი ცხენის თვალი, დოვლათი შენა ხარო. წაიყვანა ფულდუმ ეს კვიცი, რაც საუკეთესო იყო ამ ჯოგებში, გადაარჩია, დააჩქარა და მთის გადასავალზე გადმოიყვანა. დანარჩენი ჯოგი და ამალა მთის გადაღმა დარჩა.

მეორე დღეს დაბრუნდა ფულდუ და ავიდა მთაზე. გადახედა, რომ მთელი ის ჯარი და ჯოგი ამოწყვეტილი იყო. დაბრუნდა თავის სახლში. დაღამდა, დაწვა ცოლთან. პური გასახმობად ჰქონდათ გაფენილი დერეფანში. მოვიდა პატარა მოთეთრო ჩიტი, არყის ხის ჩიტი. კენკა დაუწყო ამ პურს.

გამოვიდა თაგვი და გაუჯავრდა:

– ეს ფულდუ ქალდანის პურია და ნუ კენკავო!

უსმინა ფულდუ ქალდანმა ამ ჩხუბს და გაეცინა. შეეკითხა ცოლი: რა გაცინებსო? ჩავარდა ფულდუ ცუდ დღეში.. რა უთხრას? არ შეიძლება ამ ამბის გამჟღავნება, არადა ცოლს რა გააჩუმებს...

ამ დროს ამოფრინდა მამალი და ფულდუს გადასძახა:

– შეცდომა არ მოგვიდეს, შენ ცოლს საიდუმლოება არ გააგებინო., თუ არ გაჩუმდეს შენი ცოლი, ანთებული მუგუზალი მოუსვი ტუჩებზეო. ფულდუ ქალდანმა აიღო მოკიდებული მუგუზალი, დააშინა და გააჩუმა ცოლი. ამგვარად, ფიცი არ გატეხა და შემდეგ კაი ცხოვრება გაატარა. /ფულდუ ქალდანის ასული მთქმელი – გიერგ მარგიანი, მესტიის მცხოვრები ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1951 წელს.

ხალხური სიბრძნე : 5 ტომად. ტ. 3, ქართული ეპოსი : ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები გვ. 198/.

ქოსა მულგუჰერი – ქოსა მეწისქვილე

იყო ერთი მოხუცი კაცი. მას ჰყავდა დაოჯახებული ბიჭი. სიკვდილს წინ შვილს დარიგება მისცა: ერთადერთი ქოსა მეწისქვილეს არ ენდო!

გარდაიცვალა ეს კაცი. შვილმა მამას პატივი სცა: სამი დღე და ღამე მთელი სოფელი მოგროვებული ჰყავდა. მეოთხე დღეს ყველა წავიდა. მაშინ თავის ცოლს საჭმელი სთხოვა. ცოლმა უთხრა საჭმელი არა გვაქვს. შიმშილით ამოვწყდებით! აიღე საფქვავი და წისქვილში წადიო.

წავიდა დასაფქვავად. მიადგა ერთ წისქვილს. შესძახა, გამოიხედა ქოსა მეწისქვილემ. ბიჭმა არაფერი არ უთხრა, უმალ შეტრიალდა და წავიდა მეორე მეწისქვილესთან. გაკვირვებული მეწისქვილე ეძახდა: რა გინდაო? მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

მიადგა მეორე წისქვილს. დაუძახა მეწისქვილეს. მეორე მეწისქვილეც ქოსა გამოდგა. იმასაც არაფერი არ უთხრა, უმალ შეტრიალდა და წავიდა. მეორე მეწისქვილეც ეკითხება რა გინდაო? მაგრამ ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია.

წავიდა მესამე წისქვილში. შესძახა მეწისქვილეს. აქედანაც ქოსა მეწისქვილემ გამოხედა. სხვა რა გზა ჰქონდა, შევიდა წისქვილში და უთხრა: დასაფქვავი მაქვს და დამიფქვიო. მეწისქვილემ თავისი საფქვავი ამოიღო და მისი ჩადო. ქოსა მეწისქვილე დოლაბს მაღლა წევს, ბიჭი კი დაბლა ჩამოწევს.

გამთენიისას ბიჭმა ცოლ შვილისთვის ფქვილის წაღება დააპირა. თან ძალიან მოშივდა. მაშინ ქოსა მეწისქვილემ უთხრა: გამოვაცხოთ ერთი პური, პურის გულში ჩასადებს მე გავაკეთებ, ქერქი შენი ფქვილით გამოვაცხოთო. ქოსა მეწისქვილემ დაწყო პურში ჩასადები გულის მომზადება. ბიჭი ცომის მოზელვას შეუდგა. ქოსა თან ბიჭს წყალს უსხამს. ბიჭი ეუბნება უფრო მეტი წყალი დაასხიო. ქოსა კიდევ წვეთ წვეთად უსხამს. ბოლოს ჩაუსხა მთელი ჭურჭელი, ბიჭს საზელი წყლით გაევსო.

რა უნდა ქნან ახლა? საწყალი ბიჭი აყრის და აყრის თავის ფქვილს. რაც ფქვილი ჰქონდა, სულ დაეხარჯა. ბოლოს გამოვიდა დიდი პური და შედეს საცხობში.

ახლა ქოსა მეწისქვილემ უთხრა:

– ახლა ძველი ამბები, ჩვენი წინაპრების ნაკეთები სიკეთეები მოვყვეთო. – ბიჭმა უთხრა:

– აბა რა მოვყვე, არაფერი გამიგია. შენ მოყევიო. – მაშინ ქოსა მეწისქვილემ უთხრა:

– ვინც უკეთეს ამბავს მოჰყვება, პური იმას დარჩესო.

ქოსა მეწისქვილემ დაიწყო მამამისის ნაკეთები სიკეთის მოყოლა:

– მამაჩემს ჰყავდა 12 ბატი. 12 ჯერ გადადიდა უღელდეხილზე მათ სამწყემსად. ერთხელ ერთ ბატს ნეკნი ამოუვარდა. ადგა მამაჩემი და თხილის ტოტით გაუმაგრა. ისე კარგად უმკურნალა, რომ ეს ჩვეულებრივად დადიოდა უღელტეხილზე. ასეთი სიკეთე გააკეთა ჩემმა წინაპარმა.

ბიჭმა უთხრა: მე ბევრი არ გამიგია ჩემი წინაპრების გაკეთებული სიკეთის შესახებ. მაგრამ რაც ვიცი მოვყვებიო:

– მამაჩემს ედგა სამასი სკა. სამასი სკის ფუტკარს დილასაც ითვლიდა და საღამოსაც. ერთ დღესაც ნახა, რომ ერთი ფუტკარი აკლია. წავიდა საძებრად. ერთ ადგილას შეხვდა დევს:

ხედავს მისი ფუტკარი ერთ უღელში ჰყავს კამეჩთან შებმული და მიწას ახვნევინებს. ეს რომ დაინახა ადგა და უღელი ჩამოუღო, დევს ბეჭებზე გადაამტვრია, იქვე მთოხნელებს თოხები თავზე გადაამტვრია და დაკარგული ფუტკარი სახლში წამოიყვანა. ფუტკარს კისერი დაზიანებია. ყველას ამას ეკითხებოდა: რითი მოვურჩინო კისერიო? ერთმა კაცმა ურჩია: ნიგოზი დაწვი, დაფქვი, მოაყარე და ეს უშველისო. მართლაც დაწვა, დაფქვა და კისერზე მოაყარა. მეორე დღეს ფუტკარს იმხელა კაკლის ხე ამოვიდა კისერზე, რომ უმოწყალოდ დიდი ყოფილა.

ეს კაკლის ხე ერთ დღეში ისხამდა, მწიფდებოდა და მამა ჩამობერტყავდა. ერთხელაც როდესაც ჩამობერტყა და ჩამოვიდა ხიდან დაღლილი წამოწვა კაკლის ჩრდილ ქვეშ. აიხედა და ნახა, რომ ორი კაკალი შერჩენილი ყოფილა. ამ დროს ამ ორ კაკალზე ორი ყვავი შემოჯდა. ადგა მამაჩემი და ბელტი ესროლა. ორი კაკალი და ორივე ყვავიც ჩამოაგდო. ამ ბელტიდან კაკლის კენწეროზე ისეთი მინდორი გაკეთებულა, რომ ერთი ქვეყნის ხელა ყოფილა. მამაჩემი ამ მინდორს ერთ დღეში ხნავდა, მოსავალს იღებდა, კალავდა, ნამჯას ცალკე დებდა, ხორბალს ცალკე, სათიბს თიბავდა და მოსაფორცხს ფოცხავდა და სახლში ყველაფრის მოტანასაც ასწრებდა.

ასე გაიმარჯვა ბიჭის არაკმა. გამარჯვებულმა ბიჭმა მეწისქვილე წისქვილიდან პანჩურით გამოაგდო. ასე დარჩა ბიჭს პურიც და წისქვილიც.

/1926 წლის 28 აგვისტოს იფარელი ვ. პირველის თქმით ჩაიწერა ვარლამ თოფურიამ. სვანური პროზაული ტექსტები. ტ. I. ბალსზემოური კილო. 1939. გვ. 159-160/.

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

ერი იწყებს ახალ მატიანეს,
მატიანეს მშვენიერს და წმინდას,
მოჩვენებითს ჟამი ატიალებს,
უკვდავებად რაიც ვერ გაბრწყინდა..
უკეთურნი ვართ უფალო
ტანჯვაა ჩვენი ცხოვრება,
მძიმე და მოსაწყენია,
რაოდენს გული ვატკინე,
რამდენჯერ გული მტკენია...
უკეთურნი ვართ უფალო,
ვით ნაბრძანები შენია,
ბოროტისაგან კეთილი
მიტომ ვერ გაგვირჩევია.
თავი მართალი გვგონია,
ყველაზე მძიმე რაც არი,
დაგვიწყებია, რომა ვართ
მხოლოდ მიწა და ნაცარი,
მით სასოება ცხოვნების ჩვენში
არის და არც არი,
რადგან ეკლებმა შეაშთვეს
რწმენის ციური მარცვალი.
ღმერთო მაღალო მოგვხედე,
გული აგვივსე ნათლითა,
შენ გაგვიშუქე სამყარო
შენი ბრწყინვალე მადლითა,
რომ არ გვეწიოს წარწყმედა
სიბნელითა და ავდრითა,
ვახაროთ სიყვარულის ხე,
ვიდოდეთ მზითა და დღითა.

ერი ჟამთა ხსოვნაში...

ყოველთა ქართველთა
სინანულის, აღსარების,
შერიგებისა და სიყვარულის დღე
დღე უწმინდესის
აღსაყდრებისა 1999 წ. 25 დეკემბერი

ერი ჟამთა ხსოვნაში
ჩუქურთმებს რომ აქსოვდეს,
თავის თავის პოვნაში
ეს დღე უნდა ახსოვდეს.
...ის, რაც არის მთავარი,
ნურასდროს შეგეშლება,
გლოცავს ერის მთავარი,
გულში ვარდი გეშლება.
ჩაეჭიდე ღვთის კალთას,
იცან დიდი მშობელი,
ამომავალ ცისკართან
აღთქვი საგალობელი.
ვიდრე არ ჩაკეტილა
ცის აღსავლის კარები,
იღვაწებდე კეთილად
მადლით ნანეტარები.
გულის მწყემსი მზრუნველი,
მას გაუხსენ ეგ გული,
ვინც სიცოცხლე გაჩუქა,
იყავ მისი ერთგული.
ნუ გაცდუნებს ბოროტი,
სულთა მკვლელ-წარმწყმედელი,
ურიცხვ მახის დამგები,
სულ სიავის მჭედელი.
სიყვარული გიყვარდეს,
შუქს ნუ ეტყვი, ბნელი ხარ,
გინდში მყოფო, ცხოვარო,
ნათლის საპოვნელი ხარ.
...ის სჯობს ყველა საფიცარს:
კაცი მადლით იზომვის...
გელოდება ნათლის ცა
და მზე მარადისობის.

ბეჟან ხარაიშვილი

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
_ ვყიდი ვარძიას,
_ ვყიდი ხერთვისს,
_ ვყიდი არხოტს და
_ ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,
მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
_ რა ლამაზი ვარ _ ფიქრობ სარკის წინ,
_ რა ლამაზი ხარ! _ გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? _ გაიფიქრებ და _
შენი მწიფობა იწყება ასე.
ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
_ რა თვალები მაქვს? _ იფიქრებ ისევ,
_ რა თვალები აქვს? _ იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
_ როგორ მიხდები! _დახედავ კაბას,
_ შენ კი გამიქრი! _ გპასუხობს დედა!

ნატვრა

რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

დათო გამთენაძე

ამ სილამაზეს მახატად ვაქცევ

ჩემი ოცნების მზე ხარ პატარა,
ჩემი სიცოცხლის ხარ გაზაფხული,
ბაღში ბულბულიც გადაიღალა,
ვარდების ცქერით და სიყვარულით.
ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,
ბედნიერს მინდა მუდამ გხედავდე,
ცელქი ნიავი ჩიტების ჭიკჭიკს,
საჩუქრად გვიძღვნის კარგო მე და შენ.
ფეხქვეშ დაგიგებ მინდვრის ხალიჩას,
მზის სხივის გვირგვინს დაგადგამს თავზე,
შენი მშვენება რომ დარჩეს დიდხანს,
ამ სილამაზეს მახატად ვაქცევ.
განა ამ ქვეყნად ბევრი რამ მინდა,
მე სიყვარულის დიდ ნიჭს ვაფასებ,
ჩემი ლამაზი სამყარო წმინდა
შენი მშვენებით გაილამაზე.

შევრიგდეთ, ძმაო!

შენთან მომავალ ქარს ბარათს ვატან,
სანგარში ნაჭერს მეტად საჭიროს,
შეჩერდი წუთით, თუ მართლა ძმა ხარ,
არ მომჭრა თავი, არ შემარცხვინო.
მოდი,კვლავ შევსვათ ერთად ზედაშე,
სისხლი კი არა, ღვინო მწყურია,
რა გვაქვს სადაო, ძმაო, მე და შენ,
ეს მიწა ერთი დედის გულია.
თავზე ტყვიების წვიმა გადამდის,
რა დროს წერაა, რა დროს ლექსია,
დუმილისათვის სინდისი დამსჯის,
სიმარათლის თქმისთვის ტყვიებს მესვრიან.
მესტუმრე,ძმაო, ამ გულს გაგიშლი,
ნუ განაწილება შენი კვნესა მე,
მტერი გვიცქერს და ფიქრობს თავისთვის,
ვაცლი,ერთმანეთს თვითონ შეჭამენ.
შენთან მომავალ ქარს ბარათს ვატან,
ახლა ტყვიაზე უფრო საჭიროს,
შეჩერდი წუთით, თუ მართლა ძმა ხარ,
შევრიგდეთ მტერი არ გავაცინოთ.

ნატვრა

მოციმციმე დილის ცვარი ვიყო მინდა,
ათასფერად გიქარგავდე მთას და მინდორს,
ასეთ ლამაზს და საყვარელს ჩემო მიწავ,
გულზე ფეხი აბა როგორ დაგაბიჯო.
შემკობილი საპატარძლო თითქოს მზის ხარ,
დღე და ღამე საალერსოვ, სანეტარო,
მოციმციმე დილის ცვარი ვიყო მინდა,
კაკალ გულში სიყვარულით ჩაგეღვარო!

მზეს უნდა ჰგავდეს შენი მიზანი

დანგრეულ კედლებს ხავსი რომ ფარავს,
ციხე -კოშკის თუ მონასტრებისას,
მკლავი მოხვიდე,როგორც მეგობარს,
იცი რა რიგად მონატრებიხარ?
დასიზმრებიათ ზარის წკრიალი
და მკერდში გული თუ კვლავაც გულობს,
მზეს უნდა ჰგავდეს შენი მიზანი,
დედასამშობლოს რომ ემსახურო.
ყური მიუგდე,ვით ბერ თევდორეს,
მიხვდი თუ რას გეჩურჩულება,
სადაც ბნელია,ბნელს შეებრძოლე,
ვერას დაგაკლებს ეშმას ცდუნება.
ახლა შენ გვიცქერს მშობელი მიწა,
ბატონ-პატრონი შენა ხარ რადგან,
თუ საჭიროა, უნდა დაიწვა,
როგორც სანთელი ღვთისმშობლის ხატთან.

კვლავ სიყვარულის ვიქცეთ დარაჯად

ძაღლიც კი არ ხევს თურმე ძაღლის ტყავს,
ჩვენ კი რა მოგვდის ნეტავ ქართველებს,
თუკი ერთმანეთს ჩვენ არ გავიტანთ,
მაშინ სხვა თბილ ხელს ვინ შეგვაშველებს.
მტრებმა სიცოცხლე ლამის მოგვისპეს,
გამოგვივლია ტანჯვა რამდენი,
მაგრამ გვქონია განა როდესმე,
უფლება ქართველს სულით დაცემის?
მიწას ცოდვილ ფეხს თუ დავაბიჯებთ,
ქურდობითა და მოძმის გაწირვით,
ცაში ვარისხევთ უფალ მამაღმერთს-
გელათში კვნესის მეფე დავითი.
ნუთუ გონების კარი ჩავრაზეთ,
საქმეს ვეღარ ვცნობთ ცუდსა და გმირულს,
რა პირით შევხვდეთ სამას არაგველის,
მამულისათვის მსხვერპლად შეწირულთ.
თავს ნუ შევირცხვენთ, თქვენი ჭირიმე,
კვლავ სიყვარულის ვიქცეთ დარაჯად,
ნაღდ ქართველს მკერდით დააქვს პირიმზე
და თუ მოვკვდებით, მოვკვდეთ ლამაზად.

პროზა

ღია წერილი რეზო მიშველაძეს

სამყარო, ეს უკიდეგანო და უსასრულო განზომილება კაცთათვის დიდი რუდუნებით შექმნილი ღვთის საუფლოა. და ამ სამყაროში იბადებიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე მარადიულ კვალს ტოვებენ ადამიანთა ცნობიერებაში. სწორედ ასეთია ბატონი რეზო მიშველაძე... კაცი ლეგენდა, ისტორია, ჯილდო განძი; ღვთით მოვლენილი ქვეყნის საიმედოდ... ცხოვრებაში არის რაღაც დირებული, რასაც ვერაფერი ჩაანაცვლებს, ვერაფერი შეედრება: ოქრო, ვერცხლი, სიმდიდრე...

ჩემ შემთხვევაში ასე მოხდა. არ ვიცი, სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატად, რაც ბატონ რეზომ ჩემდამი, ერთი რიგითი ადამიანის მიმართ გამოიჩინა... კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ჩემთვის მიუწვდომელი და საოცნებო ოყი (ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა), დღეს ჩემი დიდი მეგობარი, გზამკვლევი, მასწავლებელი, დამრიგებელი და სტიმულის მომცემია...

მისგან ჩემი შექება ხომ წარმოუდგენელი და შეუძლებელი მეგონა...

მრავალი წლის ნაშრომ-ნაღვაწი ერთ წიგნში მოქცეული მომიწონა და სწორი მიმართულება მიჩვენა, სწორი გზა დამანახა... გზა, რაც ხვალინდელი ჩვენი თაობის გზამკვლევი და დამხმარე წიგნი იქნება.

მინდა ბატონ რეზოს ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა... კიდევ მრავალი წელი ეღვაწოს მომავალი თაობის დაკვალიანებასა და დაფრთიანებაში...

სწორედ ასეთ გენიოსი ადამიანების წყალობით დღემდე მოვიდა ჩვენი ქვეყანა და იმედი მაქვს უფლის შეწევნით მყარად იდგება ფეხზე...

23.05.23 წ.

რევაზ მიშველაძე

ფამება

რომანი

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 45-48-ში)

* * *

მეორე და მესამე დღეს ვნებები შედარებით დაცხრა. მსოფლიო მიხვდა, რომ ტერორისტები მძევლების ცოცხლად შეჭმას არ აპირებდნენ.

მოლაპარაკებები კი გრძელდებოდა ხან მრგვალ, ხან კი სულაც ოთხკუთხედ მაგიდასთან. მეოთხე დღეს ტერორისტებმა ნორვეგიელები გაათავისუფლეს. ტყვეებმა არცთუ დიდი ხალისით მიიღეს თავისუ ფლება. ერთმა მათგანმა გამოსვლისას იკითხა კიდეც, ხომ არაფერი დაგვიშავებია, ასე რომ გამოგვყავითო“.

ნორვეგიელებს ყველაფერი ეადვილებოდათ. რას წარმოიდგენდნენ ისინი, მსოფლიო პოლიტიკოსების რა ძალისხმევით და რაოდენ დაძაბული მოლაპარაკებით იქნა მიღწეული ტერორისტების ხელიდან მათი დახსნა და ზუგდიდში კვლავ „გაეროს ოფისში“ დაბრუნება.

„დაძაბული მოლაპარაკებები“ გრძელდებოდა.

მსოფლიო ზანზარებდა.

– ვერ გავიგე, მართლა ასე გიჭირთ მაგნების დაჭერა? რათ უნდა ამ ამბავს ამხელა ამბავი, – განუცხადა ერთერთი „დაძაბული მოლაპარაკების“ შემდეგ უშიშროების პოლკოვნიკს აგენტმა ციმინტიამ. ჟდანოვის ქუჩის მკვიდრს, ყოფილ დისიდენტს, აწშემორიგებულ ციმინტიას ძირითადად მეზობლების თვალთვალი და დასმენა ევალებოდა – დავიკავებთ მე და ორი ოპერმუშაკი აპარატებს ხელში. ვიტყვით, ტელევიზია ვართო, შეგვიშვებენ ხელად და დავაპატიმრებთ ხუთ წუთში ყველას, – ამას ციმინტია საოცარი თვითდაჯერებით ამბობდა.

– ხოხ, შენ მიხვდი და ჩვენ ვერ მივხვდით ამას, ციმინტია. წადი ახლა, შეაყოლე აქედან და არ დაგინახო ჯიხაშკარში ამოსული. შენი ტვინი ასი წელი ვერ გაიგებს, რა ხდება აქ და რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო, – მშვიდად მიუგო პოლკოვნიკმა და კარისკენ მიუთითა.

ტერორისტებს გამთენიისას ძილი ერეოდათ ხოლმე. მაშინ ესებუა ჩეხს მიაჩეჩებდა ავტომატს და სთხოვდა, თუ ძმა ხარ, ცოტა თვალს მოვატყუებ, ფანჯარასთან დაჯექი და თვალი ეზოსკენ გეჭიროსო.

ურუგვაელს რატომღაც არ ენდობოდა. სადილტრაპეზი ძველებურად მხიარულ, „გულთბილ ატმოსფეროში“ (დიპლომატიური ტერმინით) მიმდინარეობდა.

რამდენჯერმე ალყის პოლიციელებიც მიიპატიჟეს სადილზე. პოლიციელებს თავპატიჟი არ გაუდვიათ. ავტომატები ბუხართან მიაყუდეს და სუფრას მიუსხდნენ. დალევით კი ღვინო არ დაულევიათ, ტყუილს ვერ ვიტყვი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ ვსვამთო, აცხადებდნენ.

მეოთხე დღეს „დაძაბული მოლაპარაკების შედეგად“ ურუგვაელი გაათავისუფლეს, მაგრამ ამ

უკანასკნელმა გულწრფელად ითხოვა: თუ შეიძლება ორი დღე კიდევ დამტოვეთო. ჩემი ხელისუფლება მძევლად ყოფნის ექსტრემალურ სიტუაციაში დღეში ორი ათას დოლარს მიხდის და ორი დღის პატიმრობის ფული მაკლია ურუგვაიში საკუთარი ვილა რომ შევიძინო. ახლა ცოტა შელანძღულ ბინაში ვცხოვრობ ჩემი ცოლით და ორი ქალიშვილითო.

გოგონების სურათი ამჯერად ჯიბიდან არ ამოუღია.

ესებუამ მცირე ყოყმანის შემდეგ ურუგვაელის თხოვნა დააკმაყოფილა.

მეექვსე დღეს ესებუამ გაანდო ჩეხს, რომ, მიუხედავად ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი დიდი პატივისცემისა, არ სურდა სამართალდამცავ ორგანოებს ჩავარდნოდა ხელთ და გაქცევას აპირებდა. თუ გაქცევის დროს მესროლეს და მომკლეს, დედაჩემს გადაეცი, რომ მისი ლეჩაქი არ შემირცხვენიაო. ჩეხმა ცრემლმორევით აღუთქვა, რომ მის სურვილს შეასრულებდა, თუმცა სიტყვა „ლეჩაქის“ მნიშვნელობა მთლად კარგად ვერ გაიგო.

გამთენიისას, როცა იარაღში ჩამჯდარი, ნაბადმოსხმული ესებუა ყველას ემშვიდობებოდა, ჩეხმა მძევლისთვის სრულიად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო:

პროჟექტორით განათებულ გასაპარ ბილიკზე ორნი გამოჩნდნენ. ჩეხს ხელი გადაედო ესებუასთვის და ორივენი მდუმარედ, შეთანხმებული ნაბიჯით მიაბიჯებდნენ ტყისაკენ.

უშიშროების პოლკოვნიკს ცრემლი მოადგა. ახლა მას უკვე შეეძლო თამამად ეთქვა, რომ უცხოელის გვერდით მიმავალ ტერორისტს ვერ ესროდა დამკვირვებლის სიცოცხლის უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუმცა, მაპატიოს უშიშროების მთელმა სამსახურმა თუ მკითხველს საიდუმლოდ გავანდობ, რომ ესებუასთვის სროლას პოლკოვნიკი მაინც არ აპირებდა. იგი, თუ მაინცდამაინც, სამჯეროთხჯერ ჰაერში ისროდა და მერე იტყოდა, დავაცილეო.

კიდევ ერთი უჩვეულო რამ მოხდა იმ დღეს: ჩეხს დამიხედე, ძვირფასო მკითხველო, ჩეხ დამკვირვებელს, ორმეტრიან ვაჟკაცს – იანოშ პუჩეკს.

ესებუა რომ სამშვიდობოს დაიგულა, გამოემშვიდობა და... ხომ შეეძლო ალყის გარეთ „გაეროს“ მანქანისკენ წასულიყო, მოტრიალდა, თეთრი რიდე ჯოხის თავს მიამაგრა და მეგონა მარღიას სახლისკენ წავიდა.

აქაოდა, იქ კიდევ დარჩა „ტერორისტი“, იქნებ, მე რომ გარეთ დამიგულებენ, სახლზე მიიტანოს იერიში პოლიციამ და ვინ იცის, რა მოხდებაო.

ასე დამთავრდა ტერორისტობის ისტორიაში ეს უცნაური ტერორი, ძვირფასო მკითხველო.

***

ხუთივენი კედლის გასწვრივ, გისოსებიან ფანჯარასთან ისხდნენ. პოლიციის მორიგე ნერვიულად ათამაშებდა მაგიდაზე თითებს და მხოლოდ ელიავას აძლევდა შეკითხვებს, თანაც, აშკარად ჩანდა, რომ დრო გაჰყავდა და შეკითხვებსაც დაბნეულად, როგორც იურისტები იტყვიან ხოლმე, „საქმესთან“ დაუკავშირებლად სვამდა. აღელვებას ვერ მალავდა. წამდაუწუმ რეკავდა მობილური ტელეფონი და პოლიციის მორიგე მხოლოდ „დიახ, დიახ, გასაგებია!“ ჩასძახოდა, სხვას არაფერს. კარებთან ორი ავტომატიანი ოპერი იჯდა.

– მაშ, გოგოსთან მიდიოდით თბილისში? – მორიგემ ისევ ელიავას მიაპყრო მზერა, დანარჩენებს თითქოსდა ვერც ამჩნევდა.

– რად მინდა ახლა მე ეს ლაპარაკი. ყველაფერი კარგად იცით თქვენ. კი არ მივდიოდით,

ვიყავით უკვე და უკან მოვდიოდით, – თქვა ელიავამ და განზე გაიხედა.

– სად იყავით, თბილისში?

– რად მინდა ახლა მე ეს ლაპარაკი. იცით თქვენ, რომ თბილისში არ დაგვჭირდა ჩასვლა. გზაში დამელაპარაკა მობილურით ჩემი გოგო, მოვდივარ სენაკში, რაფში ვზივარო.

– მერე? ჰკითხავდით სად იყო. დახვდებოდით გზაში და გადმოსვამდით ბავშვს თქვენთან.

– სწორედ მასე ვაპირებდით, იცით თქვენ კარგად, მარა გაგვასწრეს ქუთაისისკენ და აგერ, ოთხი საათია თქვენთან ვზივართ, რაღას დავეწევით აწი.

– სხვაგან არსად შეგივლიათ?

– იცით თქვენ ძალიან კარგად, სადაც შევიარეთ, მაგაშია საქმე. ნუ გეჩვენებათ და გესიზმრებათ, ბიჭო, ყველაფერი.

– მე შენი „ბიჭო“ არ ვარ.

– შენზე უფროსი ვარ და არც ზვანია მაქვს შენზე ნაკლები. იმიტომ გაკადრე „ბიჭო“მეთქი. ბოდიშს ვიხდი, თუ გეწყინა.

– ბოდიში არ უნდა მაგას.

ელიავას სიბრაზისაგან ნაცრისფერი დაედო, ხვდებოდა, რომ მასპინძელი ამრეზილად უყურებდა და სიტყვებზე წამოკიდებას უპირებდა.

– შენ, თუ ძმა ხარ, შარზე ხომ არ ხარ დღეს? – სიჩუმე დაარღვია კაკომ, – რას გვემართლები, ვერ გავიგე, იარაღიო და დაგიწყვეთ მაგიდაზე, ტელეფონზე დამალაპარაკე შენი უფროსებიმეთქი და ჩემი უფროსები შენ არ დაგელაპარაკებიანო. რა გინდა, მითხარი, ერთი კაცურად.

– მე არაფერი მინდა, შენ რა გინდა? – ხომ გითხარით, დაბნეული ჩანდამეთქი მორიგე.

– მე რა მინდა და ჩემს სახლში მივდივარ და გამიშვი სახლში, თორემ სანანებელი გაგიხდება ეს ოთხი საათი, მითქვია მე შენთვის.

– კაცო, შენ ვისთანაც გაგსვლია დამუქრება, იმას დაემუქრე. სხვაგან თუ შეიარეთმეთქი, გეკითხებით ადამიანურად და მიპასუხე.

– რა არის ეს, ბიძია, დაკითხვაა? – მწარედ გაეღიმა ელიავას.

– შენი „ბიძია“ არა ვარ მე.

– დაკითხვაამეთქი? მოქალაქე პოლიციელო, დაგვაპატიმრეთ უკვე?

– მიპასუხე, მაინტერესებს, იცი შენ, რომ მე არ გადავწყვეტ შენი დაპატიმრების საკითხს.

– კიდევ კარგი, თუ მაგდენი იცი. შოთა ქვირაიასთან გამოვიარეთ მცხეთაში, რაკი მეკითხები, ესეც გეცოდინება, ალბათ.

– რა გინდოდა ქვირაიასთან?

– კიტრი და პამიდორი მოუწევია წელს ბევრი და მოკრეფაში დამეხმარეთო, დაგვიბარა.

ხუთივემ ერთხმად, სინქრონულად გაიცინა. შავი, უკან კისერთან ჩაშვებული კუდიანი ბერეტები უხდებოდათ. ხუთივეს მზისგან გარუჯული სახეები ჰქონდა. იდაყვამდე სახელოგადაკეცილი, მსხვილი მკლავები მაგიდაზე ეწყოთ.

– იცინეთ, იცინეთ... ვნახოთ, ბოლოს ვინც გაიცინებს.

– არ მინდა ახლა, ეს ლაპარაკი მინდა მეე? გავუარეთ ბავშვობის ძმაკაცს, სახლიკაცს, სენაკელს. როდიდან არ შეიძლება ქვირაიასთან მისვლა?

– რაზე ილაპარაკეთ?

– რაკი ამდენი იცით, ესეც გეცოდინებათ, ალბათ, და ნუ გვაწვალებთ, მოგვეცით ჩვენი ლაპარაკის შიფროვკა და მოგიწერთ ხელს. არაფერი არ ყოფილა იქ, მაინცდამაინც, თქვენთვის საინტერესო.

– საინტერესო რა არის, იცით? ტყუილი არ უნდა იკადრო ამხელა კაცმა. არაფერი თბილისში არ მიდიოდით თქვენ, ესაა მართალი.

– რა იცი შენ, მოქალაქე პოლიციელო, რომ არ მივდიოდით?

– ხუთი კაცი ძლივს იყავით ჩაკვეხებული მაგ „ვოლგაში“ და გოგოს სად დატევდით, საკითხავია. ელიავამ ამ შეკითხვას არ უპასუხა. მაგიდიდან სიგარეტი

აიღო, მოუკიდა და მაღლა ააბოლა.

კარი გაიღო და პოლიციის პოლკოვნიკი კალაძე შემოვიდა.

ელიავა კალაძეს კარგად იცნობდა. ორი წლის წინ მასთან მოლაპარაკების დროს გუბერნატორს და უშიშროების მინისტრს ახლდა. მაშინ მოლაპარაკებამ გაჭრა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მე მგონი, ცუდად არ დამიმახსოვრებია თავი მისთვის. პატივისცემის მეტი არაფერი გვახსოვს ერთმანეთისაგანო, გაიფიქრა ელიავამ და კალაძის მისვლა გულწრფელად გაეხარდა.

დაკავებულებიც და დამკავებლებიც – ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

– გამარჯობა თქვენი, – ყველას ხელი ჩამოართვა პოლკოვნიკმა და პოლიციის უფროსის სავარძელში მოკალათდა, პოლიციის მორიგე კი მარცხენა მხარეს კედელს აეკრა.

დაბრძანდითო, ყველანი დასხდნენ.

– რა დასაპატიჟებელი ხალხი შეგროვილხართ აქ დღეს,

– სხვა დროს ამ ხუმრობაზე გაეღიმებოდათ მაინც, მაგრამ ახლა წარბიც არავის შეუხრია.

– რამ შეგაწუხათ, კაკო? – მიუბრუნდა ელიავას ისეთი ყურადღებიანი მეზობლის სახით, საუბარს რომ შემთხვევით შემოესწრო და ზრდილობის გამო უკან ვეღარ გაბრუნებულა.

– ა, გეტყვიან ესენი, – კაკომ პოლიციის მორიგეს საჩვენებელი თითი დაუმიზნა.

– რამე სერიოზულია? – ახლა მორიგეს შეხედა კალაძემ.

– იარაღის უკანონოდ ტარება და კიდევ რაღაცრაღაცები,

– მორიგემ იფიქრა, ვაი, თუ მართლა არ იცის პოლკოვნიკმა ოპერაციის დეტალებიო.

– თუ შეიძლება, მარტო დამტოვე ამ ბიჭებთან, დაგიძახებ თხუთმეტ წუთში, – „სთხოვა“ კალაძემ მორიგეს და როცა ეს უკანასკნელი გავიდა, ორ „ოპერსაც“ ანიშნა – თქვენც, თქვენც... გარეთ მოიცადეთ.

ელიავას ცუდად ენიშნა ეს „გარეთ მომიცადეთ“.

– კაკო, მე მეგონა, ყველაფერი გარკვეული გქონდა შენ, ჩვენთანაც და ხელისუფლებასთანაც, – პოლკოვნიკი საკუთარ ფრჩხილებს დაჰყურებდა, თითქოსდა, ერთხელ კიდევ სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ათი თითი ჰქონდა. არც მეტი და არც ნაკლები.

– ვერ გავიგე? – კითხვა შეუბრუნა ელიავამ.

– ხომ გარკვეულიამეთქი ჩვენი ურთიერთობა.

– რა მქონდა მე, თუ ძმა ხარ, თქვენთან გასარკვევი და საკამათო. თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ და მე – ჩემს საქმეს.

– ხანდახან ორივენი ერთ საქმეს ვაკეთებდით, მეგონა მე. ასე იყო, თუ არ ვცდები, შე-

თანხმება.

– კი, მეც ასე მეგონა შიგადაშიგ, მაგრამ არ ხართ თქვენ ის ხალხი, ქვეყნისთვის საწმოხონო რამეს რომ გააკეთებს. ასე არის ეს. არ გამოდექით ის ხალხიმეთქი.

– რაო, შე კაცო, შარშანწინ ასე არ ლაპარაკობდი, ახლა რა ბუზმა გიკბინა?

– ჩემზე არა მაქვს მე ლაპარაკი. მე რომ განწირული ვარ სიტყვით თქვენგან, ეს კარგად იცით თქვენც და მეც.

– რატომ, კაკო, რატომ?

– რატომ და რაც შეგეძლოთ აქამდე, თავსლაფი მასხით. ელიავა ჩვენი კაცია, ელიავა ჩვენი აგენტია, შეგზავნილი გვყავს მოძრაობაშიო... მაგრამ, კიდევ კარგი, არ დაიჯერა ხალხმა.

– რა „ჩვენი“ და რა „აგენტი“. ჩემზე ადრე იყავი შენ ორგანოში, კაკო.

– მე იმ ორგანოში ვიყავი, რომელიც ხალხის არჩეული პრეზიდენტის გვერდით იდგა. მე იმ ორგანოში ვიყავი, აფხაზეთის დასაბრუნებლად რომ იბრძოდა, იცი შენ ეს ძალიან კარგად.

– მე მაინც არ უნდა მითხრა ეგ ამბები, კაკო. გაიხსენე კარგად. იქვე, გვერდით გეჯექით შენი და გახოკიძის ლაპარაკის დროს.

– მერე? რაში შევთანხმდით, თუ გახსოვს. მე ვუთხარი, მე ჩემს გზას არ გადავუხვევ. მე საქართველოს ერთგული ვარ და ვინც საქართველოსათვის იზრუნებს, იმასთან ვიქნები, ჩემი გუშინდელი მოსისხლეც რომ იყოსმეთქი. ვკითხოთ თუ გინდა, გახოკიძეს. სხვათა შორის, გახოკიძე პატიოსანი კაცია.

– ჰოდა, გამარჯობა შენი, რაც შემოგვირიგდი, შენთვის ხომ რწყილი არავის აუფრენია. გადიგამოდიოდი, შე კაცო, როგორც გინდოდა. ხან ტყეში იყავი და ხან ქუჩაში.

– არ მინდა ახლა მე ეგ ლაპარაკი. იცით თქვენ ყველაფერი კარგად. რომ გავდიოდი და გამოვდიოდი, დავაშავე რამე? კაცი მოვკალი ან გავძარცვე? დავარღვიე ჩვენი პირობა?

– მითხარი, თუ გაგიგონია სადმე სხვა მთავრობა, დღისითმზისით უკანონოდ იარაღასხმულ ხალხს რომ აპარპაშებდეს აქეთიქით.

– ჯერ ერთი, თქვენ გადასახადის ამკრეფს აძლევთ იარაღს და ჩემი იარაღი რა გაგიკვირდათ? ვისაც გინდათ, კანონიერ ფორმირებას ეძახით და ვისაც გინდათ, უკანონოს. ომის ვეტერანთა კავშირი ვართ ჩვენ. იმ ომის კი არა, ორმოცდაათი წლის წინ რომ იყო, ამ ომის ა, გუშინ დედა რომ გვიტირა რუსმა გადამთიელმა და აფსუა მამაძაღლმა და დღემდე რომ არ გათავებულა. იცით თქვენ, რატომ გვიჭირავს იარაღი ხელში.

– რატომ?!

– არ მინდა ეგ ლაპარაკი. რატომ და, ჯერ ერთი, აქ, ალაგობრივად ნამეტანი რომ არ გაუვიდეს თავს უკანონო ხელისუფლებას და, მეორეც, ხვალ და ზეგ რომ აფხაზეთში წასვლა იქნება, ხელკეტებით ვერ გადავალთ, კარგად იცით ეს. გვაქვს, ნუ გეშინია, ამის გაკვეთილი.

– რას ჰქვია უკანონო ხელისუფლება?

– რას და რუსის ტანკებით რომ შემოვა რუსთაველზე და კანონიერ ხელისუფლებას რომ დაამხობს.

– იმის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტი და სამჯერ – პარლამენტი. ისევ გამსახურდიას მისტირი? რა დროს გამსახურდიაა, არ მეგონე ბრმა ზვიადისტის დონის კაცი შენ, კაკო, გეუბნები პირდაპირ.

– ზვიადი რაც იყო და რაც არის ქართველი ხალხისთვის, თქვენ ეს კარგად იცით და იმიტომ გეშინიათ მისი. მკვდრის გეშინიათ, თქვე კაი ხალხო. დავაყენოთ ზვიადი საფლავში და სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მეათეჯერ გეუბნებით; გავჩუმდი, არ ამოვიღე ხმა და ჩემი სიჩუმის გამო ბევრჯერ დავისაჯე.

– რით დაისაჯე?

– რით და კარგად იცი შენ; ხან შემორიგებული მეძახეთ და ხან შეგზავნილი. მე ჩუმად იმიტომ კი არ ვიყავი, რომ მეშინოდა თქვენი. ჩუმად ვიყავი იმიტომ, რომ გაცალეთ, იქნებ მართლა კეთილი განზრახვით მოვიდნენმეთქი.

– რა შეგვატყვე ცუდი განზრახვის?

– არ მინდა ახლა ეგ ლაპარაკი, იცით თქვენც კარგად. საქართველოს დასაღუპავად ხართ მოსული, იცის ეს უკვე ყველამ. ველარ დამალავთ, რაც უნდა მოინდომოთ.

– მაინც? მაინც?

– რა „მაინც“, შე კაი კაცო. დააქციეთ ქვეყანა. შეაჭამეთ მტერს. ყველას ქართველისთვის აჩაჩქუნებინეთ თავში – ყველა მომხვდურს და ნაძირალა სტუმარს. დაამშიეთ, დააშინეთ, დაადედლეთ ხალხი. აღარაფრის თავი აღარ აქვს. სალოცავად არ უშვებენ კათალიკოსს ქართულ სოფელში და იმის მაგივრად, რომ ოცეული მაინც გაგზავნოთ და თავპირი დაუმტვრიოთ გათამამებულ ხულიგნებს, ბებიათქვენის უკანალში მიძვრებით. ვერ დავინახე მე, რომ ქართველი ხალხის დამცველი მთავრობა ხართ თქვენ.

– აბა, ვისი დამცველი და პატრონი ვართ, კაკო, შენი ჭკუით?

– რა ვიცი, ეშმაკის. მე თქვენი ჯინი რატომ მექნება, ამხანაგები ხართ ჩემი, მარა, მითხარით, ამიხსენით, ხალხი არა ხართ? ერთი გაკეთებული საქმე მაჩვენეთ თქვენი და არ ამოვიღებ ხმას. იქნებ აფხაზეთი დაიბრუნეთ, იქნებ სამაჩაბლოში შეუშვით იქიდან გამორეკილები. იქნებ ლუკმაპური გაუჩინეთ ხალხს. მითხარით ერთი საქმე და, კი ბატონო, მინავათი ვიქნები.

– ყველაფერი ერთბაშად რომ არ კეთდება, იცი შენ.

– რას ჰქვია ერთბაშად. მალე ათი წელი გახდება ,რაც თქვენ ხართ. კიდევ კარგად მოგითმინათ ხალხმა.

– აბა, რას აპირებ ახლა?

– დავჯდებით, ვილაპარაკებთ. რასაც გადავწყვეტთ, იმას ვიზამთ. თქვენი მოთმენა რომ აღარ შეიძლება, კარგად იცით თქვენ.

– კი ბატონო, ნუ მოგვითმენთ. კაი ჩიტი დაგაჭერინა შენ ერთხელ მაგ „ვერმოთმენამ“. ტყვილად ჩაყარე ის ბოვშვები და შენ ტყეში დურთე თავი.

– არ გინდა ეგ ლაპარაკი. ტყვიას რომ არ გესვრით, იცით თქვენ კარგად. ქართველი კაცის სისხლს არ დავღვრი მე.

– აბა, რას იზამ?

– არც მაშინ დამიღვრია, შენ რომ სხვის ნათქვამს იმეორებ. მოვილაპარაკეთ, შემოვტრიალდით და ზურგში გვესროლეთ. ჩვენ არ აგყევით, ყაზარმაში შემოგვსდიეთ და უდანაშაულო ბიჭები დაიჭირეთ, ეგ იყო სულ.

– აბა, რას აპირებთმეთქი, მაინტერესებს ჩემთვის.

– თუ ხალხის ნება იქნება, მოვალთ ყველანი ერთად, დავდგებით უთოფოდ თქვენ წინ და

გეტყვით, გეყოფათ ახლა და წაით, სანამ თავკისერი მთელი გაქვთმეთქი.

– იცი შენ, არავინ რომ არსად წამსვლელი არ არის და ისიც იცი, შეშინებით რომ ვერავის შეაშინებ, ამიტომ, სჯობია, დაუწიე ფიტილს ცოტა.

– რად გვინდა მე და შენ ეგ ლაპარაკი. მადლობა ღმერთს, გუშინდელი არც ერთი არ ვართ, – ელიავამ ხმას დაუწია – მე და შენ ხომ პირნათელი ვართ ერთმანეთთან. ხომ არაფერი დამიშავებია შენთვის პირადად?

– არა.

– ჰოდა, მომეხმარე, გამიყვანე აქედან, სირცხვილია, დამამცირებელია ჩემთვის, რომ თითქმის ხუთი საათი ჯიბის ქურდივით პოლიციის სამორიგეოში ვზივარ. გამიშვით სახლში და ხომ არსად გავრბივარ. ხვალ, ზეგ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ. როგორც აჯობებს, ისე გადავწყვიტოთ. ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება, თქვენც კარგად ხედავთ. მთლად ბოლომდე ნუ იმასვუზამთ ხალხს თავზე.

კალაძემ გულის სიღრმეში უთანაგრძნო კიდეც „ლეგალურ ყაჩაღს“ (ასე ეძახდნენ ხოლმე სადამსჯელო უწყებებში ირონიულად). ბოლოს და ბოლოს, რას ითხოვდა ელიავა, დღეს შინ გამიშვით და ხვალ ვილაპარაკოთო.

– კაკო, – ათიოდე წუთის შემდეგ ხვნეშით დაიწყო პოლკოვნიკმა კალაძემ. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა და ელიავას თვალებში არ უყურებდა – სამწუხაროდ, მარტო ჩემზე აღარ არი დამოკიდებული თქვენი გაშვება, თორემ ჩემდათავად, ვინ მამაძაღლი გაგაჩერებდათ. კაცურად გეუბნებით და უნდა დამიჯეროთ. მე უკვე ვნანობ, აქ რომ მოვედი.

ელიავა წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. რკინის გისოსი ხელით მოსინჯა, ჯერ ქვევით, ეზოში ჩაიხედა და მერე ზევით აიხედა.

– რაღაცას ცუდს მეუბნება გული. რამე ფარცაგი ხომ არა აქვთ ჩაფიქრებული, შენ გეცოდინება. ვინ მოუყარა ამდენ ხალხს თავი, გავსებულია ეზო.

– რა უნდა ჰქონდეთ ჩაფიქრებული?

– რა ვიცი, პრავაკაციაზე არ წავიდეს ვინმე.

კალაძემ მიკიბულმოკიბულს დუმილი არჩია.

– ერთს ვიტყვი მე. შენც რომ შენს სინდისთან მართალი იყო და ამ პოლიციის ბიჭებმაც უფროსებთან სირცხვილი არ ჭამონ, ერთი რამე მოვიფიქრე, – თქვა ელიავამ და პოლკოვნიკს გამჭოლი მზერა ესროლა.

– რა სირცხვილზეა ლაპარაკი?

ელიავამ გაიცინა.

– ხომ შეიძლება, ნაბრძანები ჰქონდეთ, არ გაუშვათო. ვიღაცას ხელს აძლევს, როგორც ჩანს, ჩვენი დაპატიმრება, თორემ აქამდე გაგვიშვებდნენ.

– რა მოიფიქრე? – კალაძემ განზე გაიხედა.

– შენ ვითომ მძევლად აგიყვანეთ, უკანა კარებიდან გავალთ. ჩავსხდებით მანქანაში, მიგვაცილებ ცხენისწყლამდე და გადავკოცნით ერთმანეთს. სხვა გამოსავალს ახლა ვერ ვხედავ!

ელიავამ ეს ბოლო ფრაზა ისე კატეგორიულად თქვა, რომ კალაძე მიხვდა, კამათს აზრი აღარ ჰქონდა. ამბოხებული კოლხის თვალებიდან გადმოსახტომად შემართული ავაზა იმზირებოდა.

...ორიოდე წუთში საიდუმლო რაციამ ეთერში ასეთი დიალოგი გაიტანა:

„– გესმოდათ, ბატონო?

– კი. რა მოუვიდა, თუ იცი?

– აშკარაა ყველაფერი.

– რა არის აშკარა?

– რასაც აპირებს. არ გათეთრდება ყორანიმეთქი, ადრეც ვამბობდი მე და ახლა მთლად გადასულა ჭკუიდან.

– რა ვიცი... კაკოს ცხრა პარასკევი აქვს. იქნებ, ცოტა კიდევ წავიმუშავოთ.

– სამწუხაროდ, წამუშავება აღარ გაჭრის. ხომ ხედავ, ისედაც ბევრი გითმინეთო.

– ნუ მოითმენს აბა და ამტვრიოს კაკალი.

– ეგ ახლა უფრო საშიშია, ბატონო, ვიდრე თქვენ გეჩვენებათ. როგორი იქნება დავალება?

– მე... მე რა დავალება უნდა მოგცეთ. თაგვმა რომ დანა გამოთხარა, ისე ჭირს მაგას.

– როგორ ვიმოქმედოთ, წუთები წყვეტს საქმეს. კალაძე მძევლად აიყვანეს და უკანა კიბით ჩაჰყავთ.

– იმოქმედეთ ისე, როგორც ამ დროსაა აუცილებელი და დასაშვები. მე მეტს ვერაფერს გეტყვით!“

დიალოგი შეწყდა. ეთერში სიგნალის ნაცნობი ტუ...ტუ... ტუ... ტუ... გაისმა.

***

პოლიციის უკანა კარებთან დამშვიდობების ქართული ცერემონიალი გაიმართა.

ელიავა ჩქარობდა, მაგრამ ისე არა, რომ მასპინძლებს მისი მღელვარება შეემჩნიათ.

– კარგად აბა... კარგად იყავით... შევხვდებით ჩვენ კიდევ... რასაკვირველია... თქვენ წინ დაბრძანდით... დაბრძანდით, დაბრძანდით... სტუმარი კაცი ხართ...

ელიავამ კალაძე წინ გაატარა. მარცხნიდან ორნი ჩასხდნენ. გვილავა მძღოლის გვერდით აპირებდა დაჯდომას და ელიავას ელოდებოდა. ელიავამ მანქანის ღია კარს ხელი შეახო და ჩხაკანზე განზე გახტომას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

– არ ქნათ ეს! – ძლივს მოასწრო და ზურგიდან თითქოს მეხი მოასკდა, ელვის ნამტვრევები ანათებდნენ უკუნეთს. ავტომატის გრიალი ყურის ბარაბანს გლეჯდა.

იქნებ გვილავას მაინც ააცილონო, ეს გაიფიქრა წამის მეათასედში, მაგრამ თვალი ჰკიდა, როგორ ჩაიკეცა მის წინ ფართობეჭება გვილავა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ირმა კეკელიძე

ცისარტყელის ქვეშ

ფანჯარასთან იდგა ნანა და დაფიქრებული გაჰყურებდა გვიანი შემოდგომის წვიმიან დღეს. მოსწავლეები გარინდული უყურებდნენ მას. „ღმერთო ჩემო, დაიწყება ახლა სულ წვიმა და ვინ იცის, როდემდე გასტანს. ცაც ისეთი მოღუშულია, ისე მოხსნა პირი, ვეგონება არასოდეს გამოიდარებსო", – გაიფიქრა და მოსწავლეებს გადაავლო თვალი. „როგორ მიყურებენ, რა წყნარად არიან, ასე იციან საკონტროლო წერის დღე რომ დადგება ხოლმე, მანამდე კი ლამისაა თავზე გადაგახტნენ. ახლა ერთი სული აქვთ გაიგონ, რას დავაწერინებ. არადა, დღეს თავისუფალი თემა მინდა დავაწერინო. განწყობილებაც ისეთი მაქვს, ამ წვიმიან ამინდში თავისუფალ თემას უფრო ხალისით გავასწორებდი". ნანა ხან წვიმიან დღეს გასცქეროდა ფანჯრიდან, ხანაც მოსწავლეებს გადაავლებდა ხოლმე თვალს. „რა მოვიფიქრო, რა დავაწერინო", – გაიფიქრა და მაგიდას მიუახლოვდა.

– მზად ხართ დღეისთვის? – ჰკითხა მოსწავლეებს. დიახ! – თითქმის ერთად უპასუხა წინა მერხებიდან რამდენიმე მოსწავლემ.

„კარგია, რომ მეათე კლასი მომცეს, ამათთან უფრო საინტერესოა მუშაობა". – გაიფიქრა და მზერა უკანა მერხებისაკენ გადაიტანა.

– თქვენ, უკან რომ იმალებით, მზად ხართ?

– დიახ! – წარმოსთქვეს იმათაც ერთხმად.

მხოლოდ ერთი, ვახო იჯდა ჩუმად, ფანჯრის მხარეს, განაპირა მერხზე და ისეთი სახით იცქირებოდა, თითქოს მას სულაც არ ეხებოდა ის, რაც გაკვეთილზე ხდებოდა.

– ვახტანგ, სად იხედები, მზად ხარ დღეისთვის? – ჩაეკითხა ნანა.

ვახო თითქოს გამოფხიზლდა მასწავლებლის ხმაზე, შემკრთალმა შეხედა მას და სწრაფად უპასუხა:

– დიახ, მასწ!..

ნანას გონებაში ელვისებური სისწრაფით გამოიკვეთა საკონტროლოს თემა. მოსწავლეებს შეხედა და სწრაფად თქვა:

– გადაშალეთ რვეულები! დღეს თავისუფალ თემას დავწერთ!

საკლასო ოთახი რვეულის ფურცლების შრიალის ხმამ გაავსო. მზად ხართ? – გაიმეორა მასწავლებელმა.

– დიახ! – თითქმის ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

– დაწერეთ სათაური: „ჩემი სამშობლო"... – ვახტანგ, გაიგე, რაც ვთქვი? „ჩემი სამშობლო" -გაიმეორა მასწავლებელმა ვახოს გასაგონად.

– დიახ, გავიგე! – ხმადაბლა თქვა ვახომ და საწერკალმით ხელში, თავჩაღუნული გადაშლილ რვეულს დააცქერდა ...

...ნანამ ერთმანეთზე დაწყობილ რვეულებს გადახედა. „დღეს დაღლილი ვარ, ხვალ გავასწორებ... მოიცა, ერთი, საინტერესოა, ვახომ რა დაწერა“, – გაიფიქრა და რვეულებიდან ვახოს რვეული გამოარჩია, ხელში საწერკალამი მოიმარჯვა და რვეული გადაშალა ...

„საკონტროლო წერა 2 15/ XI. 1987 წ.

ჩემი სამშობლო

(თავისუფალი თემა)

მე დავიბადე ირანში. ჩემი დედ-მამა, და-ძმაც ირანში დაიბადნენ. ჩვენი სოფელი ქართველებით დასახლებული სპარსეთის პატარა კუთხის, ფერეიდანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რვა წლამდე იქ ვიზრდებოდი. სკოლაში სულ ცოტა ხანი ვიარე. სპარსულ ენაზე ვსწავლობდით. მასწავლებელი სპარსი ქალი გვყავდა.

ერთ დღეს სკოლაში მასწავლებელმა ქართული წიგნი მიპოვა. მე მაშინ არ ვიცოდი, რა ერქვა იმ წიგნს, ის კი ვიცოდი, რომ ქართული იყო. მამაჩემს შენახული ჰქონდა. მე ჩუმად ავიღე, ნაჭრისაგან შეკერილ ჩანთაში ჩავიდე და სკოლაში წავიღე. მასწავლებელი რაღაცას გვიყვებოდა, მე ჩუმად ამოვიღე წიგნი და დათვალიერება დავიწყე, ლამაზი სურათები იყო და მომწონდა. უცებ მასწავლებელმა დამინახა, წიგნი გამომართვა, წაღმა-უკუღმა ატრიალა, ვერაფერი გაიგო და მკითხა, რა წიგნი იყო. მე გაღიმებული სახით ვუპასუხე, ქართული წიგნია– მეთქი, მაგრამ ნეტა სულ არ მეპასუხა, რომ მაგონდება რა დღე დამადგა, ახლაც მეშინია. მასწავლებელმა წიგნი ნაკუწ-ნაკუწ აქცია, მერე ზედ ფეხებით შედგა და გათელა. წიგნზე რომ გული იჯერა, მერე მე მომიბრუნდა, ორივე ხელი წკეპლით ამიჭრელა. ამასაც არ დასჯერდა, ყურებით დამიჭირა და თავი ქვის კედელზე მანამ მარტყმევინა, სანამ ცხვირ-პირი არ დამისისხლიანა. ბოლოს, უკანასკნელად მთელი ძალით წამომარტყა თავში და გარეთ გამომაგდო. იმ დღის შემდეგ სკოლაში აღარ წავსულვარ. აღარც მამას დაუძალებია. საღამოობით მე და ჩემს და-ძმებს თვითონ გვიტარებდა სახლში გაკვეთილებს. მეცადინეობა ზუსტად ისეთივე წიგნით დავიწყეთ, მასწავლებელმა რომ დამიხია. შემდეგ კი გავიგე და ახლაც კარგად ვიცი, რომ ამ წიგნს „დედა ენა" ჰქვია.

მამა დიდი მონდომებით გვასწავლიდა ქართულ ანბანს. მან მთელ ჩვენს სოფელში ყველაზე კარგად იცოდა ქართული, „დედა ენის" გარდა სხვა ქართული წიგნებიც ჰქონდა. ახლა კი ვიცი, რაც ჰქვია ამ წიგნებს, მე თვითონაც ბევრს ვკითხულობ. მაშინ კი მამა გვიკითხავდა „ხევისბერ გოჩას“, „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „ოთარაანთ ქვრივს", „გლახის ნაამბობს“, „ბაში-აჩუკს“... კითხვას ისე არ დაამთავრებდა, რომელიმე ჩვენგანისთვის თავზე ხელი არ გადაესვა და არ ეთქვა: „ასეა, ჩემო შვილებო, არ უნდა დაგავიწყდეთ, ვისი გორისა ხართო". მაშინ იმდენი არ მესმოდა და არც ვფიქრობდი, თუ როგორ და სად შოულობდა მამა ქართულ წიგნებს, ან რა უჯდებოდა მათი შეძენა, ახლა კი ვიცი, ყველაფერი ვიცი.

რვა წლის როცა გავხდი და ქართული ანბანის სწავლა დავიწყე, გასაგები გახდა, რომ მე, ირანის გარდა, სხვა, ნამდვილი სამშობლო – საქართველო მაქვს.

ერთ დღეს სოფელში ხმა გავარდა, ფერეიდანში საქართველოდან ქართველები ჩამოვიდნენ და შეიძლება ჩვენს სოფელშიც მოვიდნენო. ცხრა წლის წინათ იყო ეს ამბავი, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს, როგორი სიხარული დატრიალდა მთელ სოფელში, როცა ქართველები მართლა გვესტუმრნენ. სტუმრებს გაუგიათ, რომ ყველაზე კარგად მამაჩემმა იცოდა ქართული და

მათაც ჩვენთან დაიდეს ბინა, მაგრამ იმ დღეებში ჩვენი სახლი მთელი სოფლის საცხოვრებლადაც იქცა. ყველანი ჩვენთან მოდიოდნენ, ყველას უნდოდა „ნამდვილი“ ქართველების ნახვა. სტუმრები სამნი იყვნენ – ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო, წაბლისფერი, სწორი თმა ჰქონდა, თეთრი სახე, ლამაზი, დიდი, ლურჯი თვალები. ყველაზე ძალიან ის დამამახსოვრდა, როცა გაიცინებდა, ლოყა ეჩხვლიტებოდა ხოლმე და მაშინ უფრო ლამაზი ხდებოდა. მერე ის ქალი დედამ და სხვა მეზობელმა ქალებმა ცალკე ოთახში გაიყვანეს, მეც ჩუმად შევყევი მათ. ყველა ცდილობდა, ქალთან ახლოს დამჯდარიყო. ათასნაირ შეკითხვას აძლევდნენ, საოცარი იყო, ყველა შეკითხვაში სიტყვა „საქართველო“ ერია. ჩემმა უფროსმა დამ ჰკითხა ქალს: „მართალია, საქართველოში სულ მზე არისო?" ამ შეკითხვაზე სტუმარმა სიტყვით არაფერი უპასუხა, მხოლოდ თავისი დიდი, ლურჯი თვალები შეანათა ჩემ დას, ერთხანს უყურა, მერე ცრემლი მოერია, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. მე გაოცებული ვუყურებდი მას და მიკვირდა, რომ არაფერი უპასუხა, ვერც მისი ცრემლის მიზეზი ამეხსნა, არც ის ვიცოდი, რატომ აკოცა ჩემ დას. მაშინ ყველაფერი მიკვირდა, მაგრამ ახლა, ახლა უკვე ყველაფერი ნათელია.

დღევანდელი დღესავით მახსოვს, როგორ გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, სტუმრებს რაღაც ქართული ფილმი ჩამოუტანიათ და ჩვენ უნდა გვაჩვენონო. გვაჩვენეს კიდეც, ეს ფილმი „გიორგი სააკაძე" იყო. ამის მერე, საღამოობით, ბავშვები მინდერად სათამაშოდ რომ გავიჭრებოდით ხოლმე, ჩვენი ყველაზე საყვარელი თამაში „გიორგი სააკაძეობანა“ იყო. შევთანხმდით კიდეც, ყოველი თამაშის დროს თითოეული ჩვენგანი რიგ-რიგობით უნდა ვყოფილიყავით გიორგი სააკაძე. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და მივაჭენებდით.

„გიორგი სააკაძეს“ აუცილებლად ჩვენზე წინ უნდა გაექროლებინა თავისი რაში, დანარჩენები კი ყიჟინით უკან მივდევდით.

როცა ჩვენი სტუმრები საქართველოში ბრუნდებოდნენ, უფროსები ათას რამეს აბარებდნენ მათ, თან მალულად ცრემლებს იწმენდნენ. წასვლის წინ ერთ-ერთმა სტუმართაგანმა მამაკაცმა, ხმამაღლა თქვა: „მე დღეს თქვენთან ნამდვილი საქართველო ვნახე. მართალია, თქვენ დღეს ქართულად ისე ვერ ლაპარაკობთ, როგორც ჩვენ საქართველოში, მაგრამ ეს ხომ ის ენაა, რომლითაც ქართველები საუკუნეების წინ ლაპარაკობდნენ. მას შემდეგ რამოდენიმე საუკუნე გავიდა და თქვენ ძველი ქართული დღესაც სათუთად გაქვთ შემონახული. სწორედ ამიტომ, თქვენ ქართველთა შორის, ყველაზე დიდი ქართველები ხართ. თქვენ უნდა ნახოთ საქართველო. დიახ, უნდა ნახოთ! თქვენ საქართველოში უნდა იყოთ! დიახ, დღეს საქართველოს სწორედ თქვენნაირი ქართველები სჭირდება, ქართველთა შორის ყველაზე დიდი ქართველები“.

სტუმრების წასვლის შემდეგ, ყოველ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, ერთი სურვილი გვიღრღნიდა გულს, როგორმე საქართველო გვენახა. ნაწვიმარზე, მზის ჩასვლისას, თუ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდებოდა, მე და ჩემი ტოლები თავქუდმოგლეჯილნი გავრბოდით, გვინდოდა ერთმანეთისთვის გაგვესწრო, რადგან ჩათქმული გვქონდა, ვინც ცისარტყელის ქვეშ გაძვრებუდა ის საქართველოს ნახავდა. ჰოდა, ჩვენც გავრბოდით...

„მეტი ვეღარ მოუსწრია, ეტყობა, კიდევ აპირებდა გაგრძელებას, წინადადება დაუმთავრებელია. ზარი დაირეკა თუ არა, მაშინვე ჩამოვართვი რვეული, ნეტა რას ვჩქარობდი, არა, ხვალ აუცილებლად უკან დავუბრუნებ, ძალიან მინდა, რომ დაამთავროს“...

***

„...ვეცემოდით, ვიღლებოდით, მაგრამ მაინც გავრბოდით, გვინდოდა, როგორმე გავმძვრალიყავით ცისარტყელის ქვეშ, თითოეულ ჩვენგანს გვინდოდა გაგვესწრო ერთმანეთისთვის, თითოეულ ჩვენგანს პირეელს გვინდოდა გავმძვრალიყავით ცისარტყელის ქვეშ, პირველს გვინდოდა გვენახა საქართველო“...

ენით აუწერელი სიხარული დამეუფლა, როდესაც გავიგე, რომ საქართველოში უნდა წამოვსულიყავით საცხოვრებლად. უფროსები რაღაც აფორიაქებულები იყვნენ, ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ, ყველანი რაღაც საოცრად დაბნეულები იყვნენ. მე კი მიხაროდა, ძალიან მიხაროდა, ახლაც არ ვიცი, რა სიხარული იყო ეს, სამშობლოს ნახვის, თუ, უბრალოდ, ის სიხარული, ბავშვებს რომ რაღაც ახლის მოლოდინში ეუფლებათ ხოლმე და თვითონაც არ იციან, რა არის ის ახალი. მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა და ახლაც ძალიან კარგად მახსოვს, ის სიხარული, რაღაც სულ სხვანაირი სიხარული იყო.

ჩამოვედით საქართველოში. რა ლამაზი და ბედნიერი დღეები იყო. ყველანი გვეფერებოდნენ, გულში გვიხუტებდნენ, გეკოცნიდნენ, ჩვენს დანახვაზე თან იცინოდნენ, თანაც ცრემლებს ვერ მალავდნენ. მოდიოდნენ, გვეკითხებოდნენ, რაღაცეებს იწერდნენ, სურათებს გვიღებდნენ. მერე ჩვენი სურათებით ჟურნალ-გაზეთებიც ააჭრელეს, ერთი ჟურნალის გარეკანზე ჩემი სურათიც კი იყო. მერე სკოლაში მიმიყვანეს. მასწავლებლები განსაკუთრებით მეფერებოდნენ, გაკვეთილების შემდეგ მტოვებდნენ და ცალკე მამეცადინებდნენ. თავდაპირველად ამხანაგებს ეცინებოდათ ჩემ ლაპარაკზე, მერე და მერე უკვე აღარ, არ ვიცი, ისინი შეეჩვივნენ ჩემს ლაპარაკს, თუ მეც მათსავით დავიწყე ლაპარაკი. ეს კია, რომ ახლა ძალიანაც რომ მოვინდომო, ვეღარ დავილაპარაკებ ისე, როგორც მაშინ ვლაპარაკობდი.

ახლა უკვე ჩემს სამშობლოში ვარ, საქართველოში. ხშირად მესმის „პატარა საქართველო“, რომ იცოდეთ, როგორ მწყინს... როგორ არის პატარა, თურმე რამდენი რამისთვის გაუძლია, რამდენ მტერს შებრძოლებია, ვის არ მოუნდომებია ქართველი ერის განადგურება, მაგრამ ვერავის ვერაფერი დაუკლია. დადგებიან მერე და მაინც იძახიან „პატარაო", პატარა კი არა, დიდია, ძალიან დიდი. ამას წინათ სიმონ ჩიქოვანის ლექსს ვკითხულობდი. როგორ გამიხარდა, როცა წავიკითხე:

„ვინა სთქვა, ითქოს პატარა იყოს ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ვინ მოიგონა სიმცირე მისი“.

ჯერ მარტო თბილისი რამხელა ქალაქია, თანაც რა ლამაზი. როცა ერთი ქალაქი ამხელაა, როგორ შეიძლება მთელი საქართველო პატარა იყოს. არა, საქართველო დიდია, ძალიან დიდი.

ჩემი ბავშვობის სახელი ბახტიარი იყო. საქართველოში რომ ჩამოვედი, აღარ მოეწონათ, ქართულად არ ჟღერსო და ხელახლა მომნათლეს, ვახტანგი დამარქვეს. თავდაპირველად ვერ ვეგუებოდი ჩემს ახალ სახელს, ახლა კი, თუ ვინმემ გასაბრაზებლად „ბახტიარი“ დამიძახა, ვგიჟდები. მე ხომ ვახტანგი მქვია, თანაც იმ მეფის სახელი, რომელმაც თურმე თბილისი დააარსა, ამის მერე როგორი ასატანია ვინმემ „ბახტიარი“ დაგიძახოს.

ამას წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა: „ეჰ, ვახო, თქვენზე ასეთი ხმები დადის, ისწავლიან, უმაღლესებს დაამთავრებენ, მოიგვარებენ თავიანთ საქმეს ისე, როგორც მათ აწყობთ და მერე ისევ უკან, სამშობლოში დაბრუნდებიანო". – ეს რომ მითხრა, სიმწრის ოფლმა დამასხა, სიბრაზით გული ყელში მომებჯინა, თავი ვეღარ შევიკავე და ჩემდაუნებურად ისე გავარტყი, რეტდასხმული მიწას დაენარცხა. მერე ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა, შუბლშეკრულმა თვალი

თვალში გამიყარა და კბილებში გამოსცრა: „უჰ, შე მართლა სპარსო!..“ ამის გაგონებაზე მთლად უარესი დამემართა, აღარ მახსოვს, როგორ გაგვაშველეს, ორთავეს ცხვირ-პირი სულ მთლად დასისხლიანებული და დაკაწრული გვქონდა. მერე ბევრი ვინანე, რატომ გავარტყი-მეთქი, მაგრამ რა მექნა, ძალიან მეწყინა. გამოდის, რომ საქართველო მარტო მისი სამშობლო ყოფილა, მე კი აქ დროებით ჩამოსული სტუმარი ვყოფილვარ, რომელიც თურმე ისევ „სამშობლოში" უნდა დაბრუნდეს, ე.ი. გამოდის, რომ სპარსეთია ჩემი სამშობლო?! არა, მე იქ არასოდეს დავბრუნდები, მე იქ არაფერი დამრჩენია, იქაურობა ბავშვობაში ნანახი სიზმარივით მაგონდება, ჩემი ცხადი და სინამდვილე კი აქ არის, ჩემს დიდ საქართველოში. განა არ იყო საკმარისი, ჩემმა საწყალმა წინაპრებმა, საუკუნეების მანძილზე, რა ტანჯვა-წამებაც გადაიტანეს სპარსელების უღელქვეშ! ვინ ვარ მე მათთვის? არავინ და არარაობა!.. რა მინდა მე იქ, რა დამრჩენია? – არაფერი!.. ვინ ვარ მე დღეს საქართველოსთვის? – ყველაფერი!.. რა არის ჩემთვის საქართველო? – ყველაფერი! დიახ, საქართველო ჩემთვის ყველაფერია, ჩემი დიდი სამშობლოა, ის სამშობლოა, რომლის ნახვაც მე ცისარტყელის ქვეშ გაუძრომლადაც მეღირსა".

ფანჯარასთან იდგა ნანა და დაფიქრებული გაჰყურებდა გვიანი შემოდგომის წვიმიან დღეს. ვახოს დანახვაზე გაეღიმა. „ვერც ვიფიქრებდი, ამდენ რამეს თუ იტევდა იგი. არა, არა, როგორა წერს?“.. „რა არის ჩემთვის საქართველო? – ყველაფერი!..“ ნანამ ისევ ფანჯარაში გაიხედა. „ღმერთო ჩემო, დიწყება ახლა სულ წვიმა, წვიმა და, ვინ იცის, როდემდე გასტანს. ცაც ისეთი მოღუშულია და ისე მოხსნა პირი, გეგონება, არასოდეს გამოიდარებსო“, – გაიფიქრა და მოსწავლეებს გადაავლო თვალი.

ვარაიდა, სი ვარაიდა

მოთხრობაში გამოყენებულია რეალური ფაქტები

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში, აფხაზეთშიც, მზიანი დღე გათენდა. ქალაქის ცენტრთან ახლოს მდგარ, ნახევრად ჩამონგრეულ შენობაში, სამხედრო, მწვანე-ხაკისფერ ტანსაცმელში შემოსილ, მძინარე მამაკაცთაგან ერთ-ერთმა თვალი გაახილა. მზის სხივმა, რომელიც პატარა სარკმელში დაუკითხავად შემოსულიყო, პირდაპირ თვალებში შეანათა ახლადგაღვიძებულს, რომელმაც თვალები ჭუჭყიანი, მურიანი ხელებით მოისრისა და მის გვერდით აქეთ-იქით მიგდებულ და მიძინებულ თანამებრძოლებს გადახედა.

„რა მჭირს, რა მემართება, სად ვარ? სიზმარში ვარ“? – გაიფიქრა ახლადგაღვიძებულმა, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. ეს მისი სინამდვილე და რეალობა იყო. ცოტა ხანში გამოფხიზლდა, ირგვლივ მიმოიხედა, აზრზე მოვიდა, ყველაფერი გაახსენდა... ღამე მიტოვებული, ნახევრად ჩამონგრეული, გამურული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის შენობაში გაათენეს. საშინლად დამშეულებს გაუმართლათ, რომ თავი ისეთ ადგილს შეაფარეს, სადაც დარჩენილი თევზის კონსერვები და ქვასავით მაგარი ორცხობილებით სავსე რამოდენიმე ყუთი დახვდათ. დამშეულები ისე მადიანად მიირთმევდნენ მოპოვებულ საკვებს, რომ არაფერზე აღარ ფიქრობდნენ. შემდეგ ისე მიეყარნენ და მიიძინეს, არავინ და აღარაფერი ახსოვდათ... სხვებს ისევ ეძინათ... გურამი თანდათან ფხიზლდებოდა, ბოლოს აზრზე მოვიდა და საშინელი სევდა და უიმედობა შემოაწვა მის გულს... ფეხზე წამოდგა, თანამებრძოლებს უხასიათოდ გადახედა. მათ დანახვაზე კიდევ უფრო დაუმძიმდა გული. მთელი ბავშვობა და ყმაწვილობა ერთად ჰქონდათ გატარებული. საამური და

ლაღი, უდარდელი წარსული ჰქონდათ. უბნის ბიჭებმა ერთად მოინდომეს ებრძოლათ. ერთად ჩაიცვეს სამხედრო სამოსი და ერთად დაადგნენ ბრძოლის გზას... დასასვენებლადაც ხომ ერთად დადიოდნენ სოხუმში, ზღვაზე. ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე საომრად მოუწევდათ აქ ჩამოსვლა... ხუთი წლის წინ, სოხუმში აფხაზ ბიჭებს, ზურაბს და ვიტალიკას დაუმეგობრდნენ. თბილისშიც ეწვივნენ აფხაზი მეგობრები სტუმრად. მათი მეგობრობა ხომ ლაღი და გულწრფელი იყო... „რა ხდება, რატომ ამოყირავდა ყველაფერი. რა ქარბორბალა დატრიალდა ჩვენს თავს... ან აქ რა მინდა?“ – ფიქრობდა ახლადგაღვიძებული მეომარი და უაზროდ მიშტერებოდა ნახევრად ჩამონგრეული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის ჭუჭყიან კედლებს.

***

ოცდაორი წლის გურამმა, როდესაც უნივერსიტეტი დაამთავრა, შვებით ამოისუნთქა და მის უმცროს ძმასთან, მერაბთან ერთად ზღვაზე წასვლა გადაწყვიტა. სოხუმში ჩასულთ წვიმიანი ამინდები დაუხვდათ. „არ გაგვიმართლა, როგორია ზღვაზე იყო და ვერ ბანაობდე“, – ბუზღუნებდა მერაბი. გურამმა არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა უმცროსი ძმა და მის გასართობად ხან რას მოიგონებდა და ხან რას. აგვისტოს თვე იწურებოდა, სოხუმის ცა კი თითქოსდა ჯინაზე სულ მოღუშული იყო. დილით ადრე გაღვიძებულმა მერაბმა ისევ ცას გახედა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია: „ისევ მოღრუბლულია, ისევ იწვიმებს. გურამ, დროა აქედან ავიბარგოთ და თბილისში წავიდეთ“. გურამმა საწოლიდან თავი წამოჰყო და ძმას ორაზროვნად შეხედა. მერე ისევ ბალიშს ჩაეხუტა და ძმას ზურგი შეაქცია. მერაბი გაბრაზდა ძმის საქციელზე და მკაცრი ხმით მიმართა: „რა ზურგი შემაქციე, ვერ გაიგე, რაც გითხარი?“ გურამი სწრაფად გადმობრუნდა ძმისკენ და გაღიმებული სახით უთხრა: „არ იდარდო, ვისაუზმოთ და ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ“. მერაბმა გურამს უსიამოვნო სახით შეხედა და მკვახედ გასცა პასუხი: „ამ მოღრუბლულ და წვიმიან ამინდში ბოტანიკურ ბაღში რა მინდა?... მასულელებ?“... გურამი სწრაფად წამოდგა საწოლიდან, სწრაფად მოიწესრიგა თავი და კვლავ ძმას მიუბრუნდა: „ვიცი, რასაც გეუბნები. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან პატარა სპორტული დარბაზია. იქ მაგიდის ჩოგბურთი შეგვიძლია ვითამაშოთ. ვიცი, რომ ძალიან გიყვარს... ჰოდა, ვითამაშოთ... შემდეგ კიდევ რამეს მოვიფიქრებთ და ამასობაში შეიძლება გამოიდაროს კიდეც...“. მერაბმა ძმას წინააღმდეგობა აღარ გაუწია და ხმადაბლა უპასუხა: „კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდა...“.

ნაშუადღევს მაგიდის ჩოგბურთის თამაშით გადაღლილმა გურამმა ძმას ბოდიში მოუხადა: „მერაბ, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია“. მერაბმა ძმას უსიამოვნოდ შეხედა: „ვიცოდი, რომ დიდხანს თამაშს ვერ შეძლებდი და ასე შუა თამაშში მიმატოვებდი...“ იქვე ახლოს მდგომი ახალგაზრდა ყმაწვილი ბიჭი, რომელიც ძმების თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა, ღიმილით მიუახლოვდა მათ, ორივე ხელი გაშალა და ისე მიმართა მერაბს: „თუ გნებავთ, მე გეთამაშებით, მეც თქვენსავით მიყვარს ეს სპორტი...“ მერაბს სახე გაუნათდა და აღფრთოვანებულმა თთქმის ყვირილით, ხმამაღლა უპასუხა: „დიდი მადლობა, ძალიან კარგი, ვითამაშოთ!...“ თავდავიწყებით თამაშობდნენ. მოსაღამოვდა. ისინი კი თამაშის დამთავრებას არ აპირებდნენ. სპორტული დარბაზის კარები საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაღო და მოთამაშეებს მიუახლოვდა: „ვიტალიკ, მთელი დღეა გეძებ. შინ წამოდი, გვიანია!...“ ბიჭებმა თამაში შეწყიტეს. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს. უცებ გურამი გამოერკვა და უცნობებს მიმართა: „მთელი დღე ერთად გავატარეთ და ერთმანეთს არც კი გავცნობივართ“. მერაბმა ძმას შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „მართალი ხარ... მე მერაბი მქვია, ეს

კი ჩემი ძმაა, გურამი... თბილისიდან ვართ...“ ვიტალიკამ გაუღიმა ძმებს და თავისი თავი წარუდგინა: „მე ვიტალიკას მეძახიან, ეს ჩემი უფროსი ძმა ზურაბია. აქაური, სოხუმელი აფხაზები ვართ...“ თბილისელმა ძმებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს. გურამმა ცნობისმოყვარეობით შეხედა აფხაზ ძმებს და ისე შეეკითხა: „ასე კარგად იცით ქართული? ვერც წარმოვიდგენდით თუ აფხაზები იყავით...“ ძმებს გაეცინათ: „ვიცით, ბებია ქართველი გვყავს, სკოლაც ქართული დავამთავრეთ... ბიჭებო, აქვე ახლოს ვცხოვრობთ, წამოდით, გვესტუმრეთ, ერთად ვივახშმოთ!“ გურამს და მერაბს დიდხანს არ უფიქრიათ. ის საღამო ახლად გაცნობილი აფხაზი მეგობრების ოჯახში გაატარეს... დიდხანს საუბრობდნენ. როდესაც ძმებმა, ზურაბმა და ვიტალიკამ ქართული მრავალჟამიერი წამოიწყეს, აფხაზთა ოჯახი, მამის, დედის და ქართველი ბებოს ჩათვლით ფეხზე წამოდგნენ. ფეხზე წამოდგნენ ქართველი სტუმრებიც და ქართული მრავალჟამიერის შემდეგ აფხაზური „ვარაიდა სი ვარაიდა... ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... ისე დააგუგუნეს, რომ მათმა სიმღერამ მოღუშული ცა გააპო... მეორე დღეს მოღრუბლული ცა მზის სხივებმა გაარღვია და ცისფერ ფონზე ღრუბლები აქეთ-იქით მიმოფანტა...

***

ფეხზე წამომდგარი გურამი მძინარე ჯარისკაცებს მიშტერებოდა. მათ შორის თვალებით მისი ღვიძლი ძმა, მერაბი მოძებნა, მიუახლოვდა, დაიხარა, თმაზე ხელი გადაუსვა. მერაბს ისე ღრმად დასძინებოდა, ძმის ხელის შეხება ვერც კი იგრძნო, არც განძრეულა. „როგორ დაღლილა. ყოველთვის ჩემზე ადრე იღვიძებდა. ახლა კი ჩემი ხელის შეხებაც ვერ იგრძნო,“ – გაიფიქრა გურამმა. დაფიქრებული ისევ ძმას მიშტერებოდა, როდესაც ავტომატების ერთიანმა გასროლის ხმამ არემარე დააყრუა. ავტომატების ხმას მუსიკის ხმა მოჰყვა, შემდეგ სიმღერის, ცეკვის და მხიარული შეძახილების ხმა... გურამი სწრაფად გამოერკვა ფიქრებიდან. ჯარისკაცები ოდნავ შეიშმუშნენ და ისევ ძილი გააგრძელეს. გამოფხიზლებული გურამი უცებ მოვიდა აზრზე. ორივე ხელი თავზე მიიდო და გაიფიქრა: „ გამარჯვებას ზეიმობენ!... ესენი კი გაღვიძებას არ აპირებენ. თუმცა რომც გაიღვიძონ, რა უნდა ქნან? რეალურად ალყაში ვართ. აქედან როგორ უნდა გავიდეთ. არც ტყვია-წამალი, არც საჭმელი, არც სასმელი, რაღა დაგვრჩენია?!“ იქვე ყურისძირში კი აფხაზთა მხიარული შეძახილების და ზარ-ზეიმის ხმა ისმოდა.

გურამმა მოულოდნელად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. მიძინებულ ძმებს კიდევ ერთხელ გადახედა, წელში გაიმართა, თავზე ხელი გადაისვა, ხის ჭრიალა კარები ფრთხილად გამოაღო და გარეთ გავიდა. ცას გახედა, მზემ პირდაპირ თვალებში შეანათა. არემარე შეათვალიერა. რაც თვალში მოხვდა პალმების ლამაზი ხეივანი იყო. სახე გაუნათდა, ღიმილი მოერია. ზარ-ზეიმის ხმა და აფხაზთა მხიარული შეძახილები თანდათან ახლოვდებოდა. გაოგნებული იდგა. ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას გახედა და გაიფიქრა: „როგორმე უნდა შევაჩერო ისინი, ჩემს ძმებს ვერ ჩავახოცინებ. დავარწმუნებ, რომ არ ღირს ჩვენს შორის ბრძოლა...“ დაფიქრებული, წელში გამართული მიდიოდა და მიაბიჯებდა პალმების ბაღში. ბაღის ბოლოს ბეტონის ფართო კიბეს მიუახლოვდა, რომელიც ქვემოთ დიდი მოედნისკენ ეშვებოდა, იქ, სადაც აფხაზები ზეიმობდნენ. ნელი ნაბიჯებით კიბეზე დაეშვა. მიდიოდა ამაყი, თავდაჯერებული, წელში გამართული...

მოედნის შუაგულში მოცეკვავე აფხაზი უცებ შეჩერდა და მზერა კიბეებზე ჩამომავალ ქართველ ჯარისკაცს მიაპყრო. მისმა მზერამ ირგვლივ მყოფნიც შეაჩერა. ყველამ მის მზერას გააყოლა თვალი. მოცეკვავემ ახლო-მახლო მყოფნი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და წინ წამოვიდა. რამდენიმეჯერ

შეჰყვირა, რომ კიბეზე ჩამომავალი შეჩერებულიყო... მის შეძახილს სხვებიც აყვნენ, მაგრამ ჯარისკაცს თითქოს არ ესმოდა მათი შეძახილები, თავის გზას აგრძელებდა, კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა და ნელი ნაბიჯებით ქვემოთ, მათკენ მიემართებოდა. აფხაზთა ჯგუფს უკანა მხრიდან ხანში შესული, ბრგე, ჭაღარათმიანი, შუბლშეკრული, ხელში ავტომატმოღერებული მამაკაცი გამოეყო. წინ წამოვიდა, მოცეკვავე აფხაზი განზე გასწია, სხვებს მიუბრუნდა და უსიტყვოდ გასცა ბრძანება... კიბეზე ჩამომავალი ქართველისკენ ტყვიების ჯარი დაიძრა. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი დატრიალდა. არ წყდებოდა ტყვიების ნაკადი, რომელმაც ჰაერი ისე გააპო, რომ მისმა ტალღამ ქართველი, სოხუმის ბეტონის დიდ კიბეებზე ჩამომავალი, უიარაღო ჯარისკაცის სხეული ჰაერში აიტაცა და წამით გააჩერა... შემდეგ კი ნელ-ნელა ძირს დაეშვა და კიბის საფეხურებზე ხელებგაშლილი დაენარცხა. მის ხელებგაშლილ, უსულო სხეულს სახეზე ღიმილი შერჩენოდა და ღია თვალებით მიშტერებოდა ლურჯ ცაზე მოკაშკაშე მზეს... მზე კი მის სხივებს უხვად აფრქვევდა არა მხოლოდ უსულოდ დაგდებული ქართველი ჯარისკაცის წაბლისფერ თმას, ფართო მხარბეჭს, გახელილ თვალებს და მომღიმარ სახეს, არამედ მთელს არემარეს, ზღვას, მის ლამაზ სანაპიროს, ქუჩებს, მოედანს, სადაც აფხაზები შეკრებილიყვნენ და ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას, რომელშიც უკვე გამოფხიზლებული ქართველი მეომრები ფეხზე წამომდგარიყვნენ და რაღაც უსიამოვნოსა და ავის მოლოდინში ერთმანეთს სახეგამეხებული მიშტერებოდნენ...

აფხაზები გარს შემოერტყნენ ცხედარს. ხელით ეხებოდნენ. მიხვდნენ, რომ იარაღის გარეშე იყო და თავჩაქინდრულები იქვე მის გვერდით კიბის საფეხურებზე ჩამოსხდნენ. მხოლოდ ერთი, საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ჯარისკაცი გახევებული იდგა და დასცქეროდა ქართველი ჯარისკაცის უსულო, სისხლში მოცურავე სხეულს... „მე ხომ მას ვიცნობ, ნამდვილად ვიცნობ, ნუთუ ეს ის ქართველია? კი, ნამდვილად ის არის!... ეს გურამია თბილისიდან“. – ფიქრობდა აფხაზი მეომარი და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე... მისი ცრემლების მიზეზს სხვებიც მიხვედრილიყვნენ და უხმოდ გარინდულნი ისხდნენ. შემდეგ ყველამ თავიანთი იარაღი შეამოწმა და ნახეს, რომ არც ერთი ტყვია აღარ დარჩენოდათ. მიხვდნენ, რომ მათმა ტყვიათა ჯერმა აიტაცა იმ ქართველი მეომრის სხეული ჰაერში, რომელიც ახლა მათ წინ ხელგაშლილი, უიარაღო, ღიად დარჩენილი თვალებით მზეს მიშტერებოდა... „ნეტავ მისი ძმა სად არის, ის მაინც თუ არის ცოცხალი? იქნებ მას მაინც არ ებრძოლა ამ საშინელ ომში... გუშინწინ ჩემი ერთადერთი ძმა, ვიტალიკა მივაბარე მიწას. ახლა ჩემი ქართველი მეგობარი უნდა მივაბარო... რა საშინელი ბედისწერაა...“ – ფიქრობდა აფხაზი მეომარი ზურაბი და თავს ვეღარ იკავებდა, მუშტებით იწმენდდა ცისფერი თვალებიდან ღაპა-ღუპით წამოსულ ცრემლებს... მოცეკვავე აფხაზმა მხარზე ხელი დაადო და მიანიშნა ზურაბს, რომ დრო იყო მიცვალებულისთვის მიეხედათ. არცერთ ჯარისკაცს არ უკითხავს ზურაბისთვის, რატომ ტიროდა, ვის დასტიროდა ასე ცხარე ცრემლებით. ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის მისთვის ან მეგობარი ან ისეთი ახლობელი იყო, რომ ზედმეტი შეკითხვა კიდევ უფრო გაუმძაფრებდა იმ ტკივილს, რომელიც აფხაზი მეომრის სულსა და გულს ერთიანად სწვავდა და ანადგურებდა...

დუმილის შემდეგ თვალცრემლიანი ზურაბი დაიხარა, მიცვალებულის ხელში აყვანა სცადა. სხვებიც უსიტყვოდ წამოდგნენ, მიეშველნენ მას. ხელში აიყვანეს ქართველი მეომრის ცხედარი. კიბეს ზემოთ აუყვნენ, საიდანაც მოულოდნელად გამოჩნდა ქართველი ჯარისკაცი. გუმანით მიხვდნენ, რომ იქ, სადმე ახლომახლო მისი თანამებრძოლები იქნებოდნენ...

გაოგნებული და სახეზე ნირწამხდარი მერაბი მიტოვებული მაღაზიის შენობის შიგნით წინ და უკან გადი-გამოდიოდა. თანამებრძოლებს უყურებდა და თითქმის ყვირილით ეკითხებოდა: „სად

არის ჩემი ძმა, სად წავიდა, სად დაიკარგა?“... ამასობაში მეომრებს გარედან აფხაზთა ფეხის ხმა და ლაპარაკი შემოესმათ... გარინდულნი იყვნენ... აღარ იცოდნენ რა ექნათ... აფხაზი მეომრები შენობას მიუახლოვდნენ. ზურაბმა მათ თვალებით ანიშნა, რომ შეჩერებულიყვნენ. მიცვალებული იქვე მწვანედ მობიბინე ბალახზე დაასვენეს. თვითონ ჩამონგრეული შენობის მორყეულ კარებს მიუახლოვდა და ფრთხილად დააკაკუნა. შემდეგ ქართულად შესძახა: „გამოდით, თუ მანდა ხართ, აქ თქვენი მიცვალებულია. მიხედვა უნდა, დამალვას აზრი არა აქვს, გამოდით!...“

ქართველმა მეომრებმა ერთმანეთს გაფითრებული სახეებით გადახედეს. უსიტყვოდ მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო აფხაზთა ხელში ჩავარდნილი ქართველი მიცვალებული. მერაბს სახე გაუშეშდა, ენა ჩაუვარდა და უაზრო, შეშინებული, დამფრთხალი თვალებით უყურებდა მის გვერდით მყოფ, უიარაღოდ დარჩენილ ქართველ მეომრებს. „რა უნდა ვქნათ, ბიჭებო!“ – იკითხა ერთმა ჯარისკაცთაგანმა, რომელსაც მარჯვენა ხელზე მიყენებული ჭრილობა თეთრი მიტკლის ნაჭრით ჰქონდა შეხვეული და მარცხენა ხელში ცარიელი, ტყვიების გარეშე დარჩენილი ავტომატი ეჭირა. „ვერაფერს ვერ ვიზამთ, ალბათ ყველა გურამის ბედს გავიზიარებთ“, – ხმადაბლა წარმოსთქვა იქვე მდგარმა დაბალი ტანის შუბლშეკრულმა, თავჩაქინდრულმა მეომარმა და თავი უფრო მეტად ჩაქინდრა...

მერაბმა ცრემლები მოიწმინდა, მეომრებს გახედა და ხმამაღლა კბილებში გამოსცრა: „ საკმარისია მსხვერპლი, უნდა ვიმღეროთ და სიმღერით გავიდეთ აქედან“. მეომრები ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა მერაბი და შეძახილებით ეკითხებოდნენ: „რა სიმღერა?... ხომ არ გაგიჟდი?... ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?“... მერაბი გაშეშებული, გამეხებული სახით იდგა. უცებ ყელი მოიღერა, თან სხვებსაც ანიშნა, ამყევითო და აფხაზური სიმღერა წამოიწყო: „ვარაიდა სი ვარაიდა“... შენობის შიგნით მყოფნი ხმაშეწყობილად აყვნენ... მათდა მოულოდნელად და გასაკვირად გარეთ მყოფმა აფხაზმა მეომრებმა ხმამაღალი შეძახილით ერთხმად გააგრძელეს სიმღერა: „ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... შენობის შიგნით და გარეთ მყოფნი, ქართველი და აფხაზი ჯარისკაცები ხმაშეწყობილად მღეროდნენ. მათი სიმღერის ექო ცას სწვდებოდა. ქართველებმა სიმღერით გამოაღეს ხის კარები და რიგრიგობით გამოდიოდნენ დანგრეული შენობიდან. აფხაზმა ჯარისკაცებმა დერეფანი გააკეთეს და გზა დაუთმეს ქართველ მეომრებს. შემდეგ ქართველი ჯარისკაცის ცხედარი ხელში აყვანილი იქვე მახლობლად მდგარ სატვირთო ავტომანქანამდე მიიტანეს, ზედ დაასვენეს და ქართველ მეომრებსაც მიანიშნეს, რომ დამსხდარიყვნენ ავტომანქანაზე და რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინათ მათი სიცოცხლისათვის საშიში ადგილსამყოფელი... მერაბი თავად იჯდა სატვირთო ავტომანქანის საჭესთან და ძმის ცხედართან ერთად მისი ცოცხალი თანამებრძოლები სამშვიდობოს გაჰყავდა...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში აფხაზეთშიც კარგი დარი იდგა. მოკრიალებულ ცაზე მოკაშკაშე მზე უხვად აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს ძირძველი ქართული კუთხის ულამაზეს ბუნებას, ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებს და დაობლებული, დადუმებული, მიტოვებული სანაპიროს გაღვიძებას ამაოდ ცდილობდა...

თემურ გოგსაძე

ეს მოთხრობა არის, რევაზ ინანიშვილის პირველი პრემიის მფლობელი!

მეგობარი ჯოხი

„ბაბუაჩემი მასწავლიდა – იბერიულ-კავკასიური ღირსება ძმადნაფიცობის სიყვარულსა და სიმტკიცეზე გადისო“

ესპანეთიდან, ბილბაოდან, ცუდი ამბავი მაცნობეს: – ჩემი ბასკი მეგობარი ალეხანდრო როდრიგესი, ავტოკატასტროფაში დაიღუპა...

ჩვენს ცხოვრებაში, ხშირად ხდება შეუცნობელი და აუხსნელი მოვლენები...

არ ვიცი, რომელ კანონზომიერებას თუ შემთხვევითობას მივაწერო, ეს უცნაური დამთხვევაც – ჯერ კიდევ, ალეხანდროს დაღუპვის ფაქტის ემოციაში ვიყავი, როცა ტელეფონის ზარი შემოვიდა... შეგნებულად არ ვუპასუხე, არ მინდოდა, ვინმეს მღელვარება შეემჩნია ჩემთვის...

მცირე ხნის შემდეგ ნომერს დავხედე, ვიცანი და სასწრაფოდ გადავრეკე...

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მძიმე ტრამვის გამო, ჩემი მეგობარი – დიმიტრი თოიძე, თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში, დიდხანს იბრძოდა სიცოცხლისათვის, მაგრამ, ისიც დღეს გარდაცვლილა!..

ადამიანთმცოდნეობის მკვლევარები აღიარებენ, რომ პრაქტიკულად, დაუმარცხებელ სიძლიერესთან ერთად, ადამიანს ახასიათებს უკიდურესი, ემოციური სისუსტე!..

მიუხედავად ჩემი, შეუვალი რწმენისა, რომ სიკვდილი არ არის დასასრული, საშინელი შიშნარევი ემოცია დამეუფლა და იუსტიციის სახლიდან, მტკვრის სანაპიროს გავლას, სიონის ტაძრამდე, მთელი საათი მოვანდომე...

ხელთუქმნელი ხატის წინ მუხლებზე დავეცი, ჩემს ენერგო-ველსა და სულს, დიდხანს აღავსებდა ლოცვას შეზავებული გლოვა – მეგობრული სიყვარულის რექვიემი!..

თავსა და მხარზე, ერთდროულად ვიგრძენი ხელების დადება... ისეთი სითბო გადმოეღვარა მთელ სხეულს, რომ წამოდგომა არ მინდოდა...

მერე, მაინც, კრძალვამ იძალა და სწრაფად წამოვიმართე... ნაცნობ მოძღვარს ჯერ ჯვარზე, მერე კი, მხარზე ვეამბორე.

მდუმარე შევყურებდი, ხმას ვერ ვიღებდი.

ღვთისმსახურიც მშვიდად მიცქერდა და ისეთ განწყობას ქმნიდა, თითქოს ყველაფერი იცოდა და თანაგრძნობის ველში მახვევდა.

ანაზდად, მოძღვარს, თვალებში შევხედე და კითხვით მივმართე:

– მეუფეო, ამ გამაოგნებელ, სიმეტრიულ თუ ასიმეტრიულ, სამყაროს წრე-ბრუნვაში, ჩვენ ადამიანებს, შემოგვრჩა, ისეთი რამ, მამაზეციერს, რომ ხიბლავდეს, ანცვიფრებდეს და გამორჩეული თანაგრძნობით განაწყობდეს ჩვენდამი?..

„ჭეშმარიტი მეგობრობა“!

მეტყველი დუმილის შემდეგ იყო პასუხი და თითქოს, ამ წამს, ელოდებოდაო – სამრეკლოს ზარები, ჰარმონიულად, ამრავალხმიანდნენ!..

მეტი არაფერი მითქვამს, მეუფეს დავემშვიდობე და გასასვლელისაკენ გავემართე.

მეუფემ თავი ოდნავ დამიკრა და მერე კარებამდე მიმაცილებდა მისი დაჟინებული მზერა ჩემს უცნაურ ქცევაზე...

მივუყვებოდი რუსთაველის გამზირს და სულ უფრო ვივსებოდი აზრით, რომ ეს ყველაფერი არ იყო, უბრალო დამთხვევა და მეუფის ბაგეებით – „ჭეშმარიტ მეგობრობაზე“ თავად უფალმა მომცა ნიშანი!..

უზენაეს სასამართლოში, უვადო პატიმრობაში მყოფი, ჩემი კლიენტის სასამართლო პროცესი რომ არ ყოფილიყო დანიშნული, აუცილებლად გავფრინდებოდი ესპანეთში.

მეგობრობის არსითაც კი, ვერ გავამართლებდი, ჩემს გამო, გათავისუფლების რეალური შესაძლებლობა წამერთმია პატიმრისა და მისი ოჯახისათვის...

თანაც, ამ დღეს, ჩვიდმეტი წელი ელოდებოდნენ...

მოგვიანებით, დავრწმუნდი, რომ აქაც უფალმა მიმაღებინა სწორი გადაწყვეტილება და, უვადო პატიმარი, სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა!..

რაც მთავარია, ბილბაოში, ნაცნობ პოლიციელს დავუკავშირდი და მოვახერხე, გამოძიების ანგარიშებში ჩახედვა...

თვითონაც გაოგნებული მიკითხავდა დოკუმენტის იმ ნაწილს, სადაც ეწერა –

„... აღნიშნულ მამაკაცს, რომლის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია, ჯოხი გადაუვარდა სატვირთო მანქანისკენ, თითქოს ბავშვი ჩავარდნოდეს, ისე გადაეშვა და ჯოხის აღებას ცდილობდაო..“

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა...

მივხვდი, რომ ალეხანდრომ „მეგობარი ჯოხის“ გადასარჩენად გასწირა თავი!..

– რას ვიზამთ, უბედური შემთხვევაა, ასეთი ბედი ქონია – თანაზიარობის ტონით მითხრა გამომძიებელმა.

– არა, ეს არ იყო უბედური შემთხვევა, ეს იყო, მეგობრის გადარჩენის მცდელობა!..

– რაა? – იკითხა გაოცებულმა გამომძიებელმა და მეც ვეცადე, დავწრილებით მომეყოლა ყველაფერი...

როცა დავასრულე, ერთხანს ორივენი ვდუმდით, მერე კი, მან მითხრა, ეს ისტორია პაოლო კოელიოს სიუჟეტებს მაგონებს და კარგი რომანი დაიწერებოდაო.

რა დროს პაოლო კოელიო იყო, თუმცაღა, ნამდვილად დავეთანხმე და დამშვიდობებამდე, თან დავძინე – სათხოვარი მაქვს შენთან და როგორმე აუცილებლად უნდა შემისრულო – მეთქი!

– რომანის დაწერას ნუ მთხოვო! – ღიმილის შემოტანა სცადა ურთიერთობაში.

– რომანს მე დავწერ, შენ კი, ეგ ნივთმტკიცება – გატეხილი ჯოხი, როგორმე შეაწებებინე და მიცვალებულს ჩააყოლეთ – მეთქი...

მოგვიანებით, მაცნობეს, რომ „მეგობარი ჯოხი" ადამიანური პატივით ჩაასვენეს მიცვალებულთან ერთად.

არც მისი სიცოცხლე, ეღირებოდა და ვერც, იმ სამყაროში მოიპოვებდა სიმშვიდეს მისი სული – ამ ჯოხის გარეშე.

ალეხანდრო ადრეულ ასაკშივე დაობლდა.

მშობლებს მხოლოდ ფოტოებით იცნობდა!..

რანჩოზე, ბებიასთან ერთად ცხოვრობდა.

ხატვის გამორჩეული ნიჭი აღმოაჩნდა და შეძლებისდაგვარად, ახლობლები ცდილობდნენ მოემარაგებინათ ტილოებითა და საღებავებით.

მეზობლის გოგონა შეუყვარდა უზომოდ...

თუმცა მათი ოცნებები მალევე დაიმსხვრა..

გოგონას რანჩოს ცეცხლი გაუჩნდა...

ალეხანდრო სიყვარულის გადასარჩენად ალმოდებულ სახლში შეიჭრა...

გოგონა გადაარჩინა, თვითონაც თითქმის სამშვიდობოს გამოვიდა, მაგრამ ზღურბლს გადმოსცდა თუ არა, ცეხლმოკიდებული ბოძი დაეცა თავში და უგონოდ მიიყვანეს ჰოსპიტალში...

თვითონ დაბრმავდა...

დიდხანს არ უმხელდნენ, რომ გოგონა, ვერ გადაარჩინეს!..

ხანგრძლივი დეპრესიისა და მძიმე სულიერი ტანჯვის შემდეგ, მაინც იპოვა ძალა და თვითგანათლებას მიჰყო ხელი...

შორეული ნათესავები სოციალური სამსახურები – აუდიმოსალებით ამარაგებდნენ...

ერთმა კეთილმა, ხეზე კვეთის ოსტატმა, ხელჯოხი დაუმზადა და ფეხი ხელახლა აადგმევინა...

30 წელი დადიოდა ამ ჯოხით და ის, ყველაზე დიდი მეგობარი, განუყრელი თანამგზავრი და ნაწილი გახდა მისი ყოველდღიური ცხოვრებისა..!

ერთმანეთი ტიბეტში გავიცანით...

მიუხედავად დიდი მეგობრობისა, არასოდეს უთქვამს, როგორ და ვისი მეშვეობით აღმოჩნდა იქ...

სიტყვა მაქვს ნათქვამი და ამ საიდუმლოს ვერ გაგიმხელო! – ერთგვარად მიბოდიშებდა კიდეც!..

* * *

მე კი, პირიქით, მსურდა მადლობა მეთქვა საიდუმლოს ერთგულებისათვის, ისე მოვინუსხე მისი პასუხით. მაშინ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სანდო ადამიანი იყო.

თუმცა იქ, იმასაც, დარწმუნებით გვასწავლიდნენ, რომ ტიბეტში, ცუდი ადამიანი, უბრალოდ ვერ მოხვდებაო!...

ტიბეტი!-

წარმოუდგენელი და განუსაზღვრელი დროის პირამიდების კომპლექსი-პლანეტა!

– ღმერთების საიდუმლო სავანე-საბრძანისი პლანეტა დედამიწაზე!

– დრო, მანძილი, სივრცე და ენერგო-ლევიტაცია, გალაქტიკების უსასრულობაში!..

– დროის სარკეთა გრავიტაციული ლინზირება!..

– ერთდროულად-ზღვარიც და გარდასასვლელიც-ოთხივე (ბორდო-წითელ, მომწვანო, ლურჯ-ლაზურისფერ და მოყვითალო-ალისფერ) განზომილებაში!..

– შეღწევა, დასაბამისეულ-წინარე და მომავალ-ცივილიზაციებში!..

ტიბეტი! – ოქროს ფირფიტების საცავი, რომლებზეც,სინათლის სხივებით, გონის ცნობიერი,

ენერგო-საჭრეთლით, სამყაროსეული ინფორმაციები და კოდია დაშიფრულ-ამოტვიფრული!..

– სამყაროს ყველა ელემენტისა და ენერგოველთა, დროის სიგნალთა და გრავიტაციულ სიხშირეთა საიდუმლო სინთეზი-ჰარმონია!..

ტიბეტში, ამაზე, სარწმუნოდ მიმანიშნეს, თუმცა, მეცნიერები, ჯერ კიდევ, ღიად, ვერ საუბრობენ, მაგრამ აცნობიერებენ, რომ თანდათან გვიახლოვდება დრო, როცა საყოველთაოდ გაცხადდება, რომ თორ-იბერთა, ტბელ-ტაო-იბერთა, კოლხ-ეგროს-იბერთა, ქარ-იბერთა და თარინგ-ზელ-იბერთა ენერგო-გენურობა, სრულ თანხვედრასა და პირდაპირ კავშირშია-კაცობრიობის საიდუმლო გენოფონდთან და ცივილიზაციის ყველა გენო-ტიპთან!..

ალეხანდრო, თავის თავს "იბერიელს" ეძახდა და ეს ყველაფერი ახლა, გონშიც უნებურად შემოცურდა, ისე როგორც, ჩემი ყურადღება, თავიდან, სწორედ ამან მიიქცია!...

ფრანგულად კარგად ლაპარაკობდა და კომუნიკაცია არ მიჭირდა...

ჩემი სიმდიდრე, სიყვარულისა და კომუნიკაციის უნარია, რომლის წყალობითაც, მთელს მშობლიურ პლანეტაზე, უამრავი მეგობარი შევიძინე!..

სიყვარულმა და მეგობრობამ არ იცის ეროვნება, კანის ფერი, ასაკი, სქესი და წარმომავლობა!..

მეგობრობას არ აქვს საზღვრები და ცოდნას – ფსკერი!...

ერთს გული გავუღეთ და მეორეს, გულმოდგინეთ ვეწაფებოდით!..

სულ მემახსოვრება, რაოდენ მეტყველი იყო მისი რეაქცია, როდესაც ვუთხარი, რომ მეც იბერიელი ვიყავი...

სულ მალე მოვახერხე, მისი სკეპტიკური განწყობის შეცვლა და ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჩვენ, საერთო ფესვები გვაქვს და ეთნო-გენურ ერთობას წარმოვადგენთ!..

იმ დღეს, საქართველოზე ლეგენდა ვუამბე და ვუთხარი, იბერიულად, კავკასიურად, ძმადნაფიცები გავხდეთ – მეთქი...

სიხარული ვერ დამალა და მკითხა, ეს როგორ ხდებაო?

– მე ვუთხარი, ამ რიტუალს ნამდვილ იბერიას რომ გაჩვენებ, მაშინ ჩავატარებ – მეთქი.

ალეხანდრომ, მწარედ ამოიოხრა – მე ხომ ბრმა ვარ, იბერიას როგორ მაჩვენებო და რამდენადაც შეეძლო, სწრაფად გასცილდა იქაურობას...

მინდოდა დავდევნებოდი, მაგრამ მოძღვარმა შემაჩერა და გამომცდელი თვალებით მითხრა:

-საკმარისი დრო გავიდა... სწავლების დიდი კურსი გავიარეთ, სამყაროთმცოდნეობაში, ენერგოველთა მართვასა და ემოციურ ინტელექტში...

ამიტომ, უნდა მითხრა, რა მთავარ რჩევას მისცემდი შენს მეგობარს, რომ ასეთი რეციდივი აღარ განუმეორდეს – ცნობიერ-ქვეცნობიერსა და ფსიქიკაში?...

პასუხის გაცემამდე, ჩვენს საუბარს შემოერთებული. შეგირდების ემოციებსაც დავაკვირდი და ისე ვუპასუხე მოძღვარს – „ბედნიერია, ვისაც იმის დავიწყება შეუძლია, რისი შეცვლაც შეუძლებელია!..“

ამიტომ, მე მას ვურჩევდი, დაივიწყოს, რომ ის ბრმა არის და შემეცნების თვალით, არა თუ თვალსასწიერს, მთელ სამყაროს დაინახავს!..

– სხვა დროს, სხვა ვითარებაში, მეც გავიზიარებდი შენეულ სიბრძნეს, მაგრამ აქ, არა... უპირველესად იმიტომ, რომ ზოგადად რწმენას კი არა, ღვთისგან შექმნილს გამოუტანე სასიკვდილო განაჩენი და მეორეც, შეუძლებელი არაფერია ! – წარბი შეკრა მოძღვარმა და ისე მიმზერდა!

ერთხანს ვდუმდი, მერე კი, კვლავ შევბედე კითხვა

– არსებობს რაიმე ძალა, წამალი, ჩვენს პლანეტაზე, სამყაროში, რომ აღუდგეს მხედველობა?..

რწმენით აღივსე და დაიმახსოვრე – „ყველაფერი არსებობს!..“

სამყარო ისეთი უკიდეგანო, მრავალფეროვანი და უსასრულოა, რომ შეუძლებელია, რაიმე არ არსებობდეს!..

სამყაროა თვითონ ამის უდავო მტკიცებულება და თუ რწმენის სწორუპოვრობასაც გავითვალისწინებთ – აუცილებლად იარსებებს და გადმოვა ძალა, რომელიც დაუბრუნებს სინათლეს ალეხანდროს!...

შეხედეთ მწვერვალზე აზიდულ სიმბოლო-ქანდაკებას!...

ის ზე-არსის, არსის გონისა და შინაარსის თვალხილული გამოსახულებაა!...

მუხლებზე ოქროს ფირფიტა უდევს, თავი მაღლა აქვს აწეული და თვალები მხოლოდ ყოვლისმომცველი მამა-ღმერთისკენ აქვს აპყრობილი!..

ის, პრაქტიკულად ბრმაა და თითებით კითხულობს...

დიახ, თითების ენერგო-ველით აღიქვამს კოდირებულ ტექსტსა და სიგნალთა რხევას, რომელიც, გარდაქმნილი,ლოცვა-ვედრებად,მიედინება აღსავლის კარიბჭისაკენ და ამგვარად ხედავს-სამყაროს მომნუსხველ მშვენიერებას!

ყველაზე ურწმუნოსაც კი, რწმენით აღავსებდა მოძღვარის მტკიცე შეგონებანი და ვგრძნობდი, რომ ყველა ჩვენგანი, გონით შეღწევას ვიწყებდით, ამ რწმენის ველში, რადგან, ყოველ ჩვენგანს,ძალიან გვინდოდა შეგვეგრძნო და გვეხილა ეს სასწაული!

ალეხანდრო კედელს გამოჰყოლია და უმალ შევამჩნიეთ.

თვალზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა და ყველას მისამართით, უნდობლად იკითხა – მაშ, თქვენ ამბობთ, რომ იმედი უნდა მქონდეს?!

– აქ, რისთვის ჩამოხვედი?.. მოძღვარის კითხვაში, აშკარა პასუხი იკითხებოდა, თუმცა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიუახლოვდა და უთხრა

– უიმედობა, დიდი ცოდვაა შვილო!..

მაგრამ იმედი, უმოქმედოდ, ხეა – უნაყოფო!..

უმოქმედობა – იმედის და შესაძლებლობების დაკარგვაა!..

ამიტომ, იმედით აკეთე ყოველდღიურად ის, რაც დაგიწერეს და გასწავლიან...

– შენს უპირატესობებზეც იფიქრე...

– თვალებით სიბრმავე, გაცილებით ჯობია, გონებით სიბრმავეს!

შენ კი, გონებაგახსნილი ხარ და შეგიძლია, სიბრძნისაკენ იარო...

რწმენის ჭეშმარიტ სიმაღლეს რომ მიაღწევ, თვალებიც აგეხილება უსათუოდ!..

და მოხდა სასწაული...

33-ე დღეს ახდა მოძღვრის სიტყვები!..

უძველესი სიბრძნეა, ვინც ყოველდღიურ ნათელს ადრიანად ეგებება, უფალიც ახლავსო...

ყველა შეგირდი, მედიტაციისთვის ჩანჩქერთან შევიკრიბეთ...

ალეხანდრო პირველი მივუშვით წყაროსთან... პეშვები აივსო და თვალები განიბანა...

მოულოდნელად მოტრიალდა და ხმამაღლა შეჰყვირა – ღმერთო, მე, გხედავ, გხედავ... და ჯოხი ხელიდან გაუვარდა!

ისეთი მოძრაობა დაიწყო, თითქოს გაფრენას ლამობსო!...

წარმოდგენაც კი ძნელია, არა თუ აღწერა, რაც იქ ხდებოდა, რაც დაგვემართა, რასაც განვიცდიდით და რაც მარადიულად იქნება ჩვენთან – ყველა სამყაროში...

ყველა დროსა, სივრცესა და განზომილებაში!..

ალეხანდრომ კი, იცით რა მოიმოქმედა პირველად?

– ჯოხი აიღო, დეტალურად, საოცარი სიყვარულით დაათვალიერა და მთელი გრძნობით კოცნიდა, გეგონებოდათ სატრფოს ეამბორებაო!..

აწის, ის აღარ დაგჭირდება და აქ, სამახსოვროდ დატოვე, უთხრა ერთმა შეგირდმა.

არასოდეს დამავიწყდება მისი განრისხება:

– ის მე ყოველთვის დამჭირდება!..

ამდენ ხანს, მან მატარა, ახლა კი, ამერიდან, მე ვატარებ – ის ჩემი, ყველაზე დიდი მეგობარია!..

ადამიანის ყველაზე დიდი შეცოდება ის არის, როცა ჭირდები, კარგი ხარ, ხოლო, როცა აღარ, ისე მიგაგდებს, როგორც ახლა, ამ ჯოხის მიგდება მთხოვეთ?!..

მე სინათლე დამიბრუნდა და თუ ამან, ღირსება უნდა დამაკარგინოს, ისევ, უსინათლოდ დავრჩე – მირჩევნია!..

– შენი მესმის, ალეხანდრო, მაგრამ, ჯოხი ხომ ვერაფერს აღიქვამს და განიცდის?

შეგირდს, კიდევ უნდოდა აზრის გაღრმავება, მაგრამ, ალეხანდრომ აღარ დააცადა და უფრო მეტი ემოციით წარმოთქვა:

– მთავარი ის კი არ არის, ჯოხი რომ ვეარფერს განიცდის, მთავაარი ისაა, ჩვენ ხომ განვიცდით?

ჩვენ ხომ, ჩვენს თავთან, ჩვენს ემოციასთან, ჩვენს ღირსებასთან უნდა ვიყოთ მართალნი და პასუხისმგებელნი?!

მოძღვარმა გვანიშნა, მორჩითო და მალე ყველანი, სათითაოდ მოვეხვიეთ ალეხანდროს!..

ტიბეტიდან გამგზავრებისას, ჯოხს, ტყავის გადასაკიდებელი შევუკერეთ და შიგნით, მეგობრებმა, მუყაოზე დაწერილი ჩვენი ავტოგრაფები ჩავდეთ...

მე დავწერე – „ჩემს იბერიელ ძმას – იბერიელი ძმისგან“.

* * *

ამის შემდეგ, ალეხანდროს, ეს „მეგობარი ჯოხი“ – ლოგინშიც კი, არ მოუშორებია და ყველგან თან დაატარებდა!..

პანდემიის შემდეგ, ესპანეთში, გალიციაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე შევხვდით, შემთხვევით...

იქ, ემიგრანტი ქალბატონის მთვარისა გელაშვილის საეჭვო თვითმკვლელობის საქმეზე ვიყავი ჩამოსული...

ერთმანეთის მოკითხვა-მოსიყვარულების შემდეგ, მითხრა, 20 დღეა აქ ვარ და წყალში არ შევსულვარო.

– გაკვირვებულმა შევხედე...

– მხრიდან ჯოხი ჩამოიხსნა და მითხრა, შენ გენდობიო და უმალ ტალღებში გადაეშვა!..

უფრთხილდებოდა ჯოხსა და იქ ჩაკერებულ ჩანაწერებს...

წვიმის დროსაც, უბეში ამოიდებდა თურმე...

ალეხანდრომ დიდხანს და ოსტატურად ინავარდა ოკეანის ტალღებთან... მერე კი, ბედნიერებით გასხივოსნებული გამოვიდა ნაპირზე და სხეულის გამშრალებისთანავე, გამომართვა ჯოხი... მე, უმალ ვისარგებლე მისი განწყობით და მივმართე – ალეხანდრო! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! ერთი სამყაროსეული სიბრძნე-კანონზომიერება უნდა გითხრა და გთხოვ,ის, ჩემს, მოკრძალებულ რჩევად მიიღო!.. ალეხანდრომ მთელი არსებით მომაპყრო ყურადღება და მე განვაგრძე – „პლანეტა დედამიწამ, წამიერადაც, რომ შეწყვიტოს მოძრაობა და გაჩერდეს-კაცობრიობას ღმერთიც კი ვეღარ გადაარჩენს!... სწორედ ამიტომ, ჩვენც, თითოეული ადამიანი,მშობლიურ პლანეტასთან, სრული ფიზიკო-ინტელექტით, ენერგო სინქრონში უნდა ვმოძრაობდეთ! რაღა თქმა უნდა, ჩვენ წარსულიდან მოვდივართ, მაგრამ ამბობენ, ვინც, მუდმივად წარსულით ცხოვრობს, წარსულში რჩება, პრაქტიკულად არ მოძრაობს და მომავალი არ აქვსო! წარსულის გააზრება, გამოცდილების შესაძენად, უნარების აღმოსაჩენად უნდა გამოვიყენოთ და მომავლის სინათლეს უნდა ვეზიაროთ! უფალმა,თვალხილული ნიშანი მოგცა, წარსულს ზღვარი დაუდო – თვალთა სიბრმავე წაიღო და მომავლის ბილიკები დაგანახა! შენი ერთგულება და მადლიერება, მეგობრობისადმი, უკვე დაინახა მამა შემოქმედმა! ჰოდა, ამ სიყვარულის მადლს-საგნებისადმი კერპადქცევისა და მიჯაჭვულობის ენერგიად ნუ გადააქცევ! დააბრძანე ეს ჯოხი, შენს სახლში, როგორც წმინდა და ხელშეუხებელი რელიქვია! შენ კი, წარმატებულობის ენერგიად გააერთიანე შენი უსაზღვრო უნარები და გაჰყევი სინათლეს მომავლისაკენ!.. ალეხანდრომ უცნაური ღიმილი დამიტოვა და უთქმელად გამეცალა... მივხვდი, რომ გამოდევნებას შედეგი არ მოჰყვებოდა... მისთვის მხოლოდ ის მქონდა ნათქვამი, რომ მეორე დღეს მივფრინავდი. მთელი დღე აეროპორტში მელოდებოდა თურმე და როცა დამინახა, გახარებული გამოიქცა და დიდხანს-დიდხნას ვიყავით ერთმანეთს გადახვეულები!.. არცერთ ჩვენგანს სიტყვა არ გვითქვამს, მხოლოდ თვალებითა და ენერგო-ველით ვაგრძნობინებდით ერთმანეთს, უსაზღვრო პატივისცემასა და განშორების სევდას...

მეგობრობა-თანადგომა და თანამონაწილეობაა ყველაფერში – მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხოლო თანაარსობა – იმ სამყაროში!..

ამიტომ, ვიდრე გარდასვლის ჟამი მოვა, უნდა მიყვარდეს და მახსოვდეს, ხოლო შემდგომ, როგორც ორივეს გვწამდა – აუცილებლად შევხვდებით – სხვა სუბსტანციებსა და სხვა სამყაროში!..

მანამდე კი, გადაწყდა, რომ მეგობრები, ერთად აღვადგენთ რანჩოს, ავავსებთ მისი ნა-ხატებით და ოთახის შუაგულში კი, სალოცავ ჯვარს დავაბრძანებთ! – სპეციალურად გაკეთებულ „ხელჯოხს“ – მეგობრობის მარადიულ სიმბოლოს!...

ერთადერთი, რაზედაც გული მწყდება და რასაც ვერასდროს გამოვასწორებთ, ისაა, რომ დედა – იბერია, ვერ ვაჩვენე!..

თუმცა არის კიდევ, ერთი მთავარი, ჩემი მისია – ვალდებულება – მის, დრამატულ და სასწაულებრივ ცხოვრებაზე, რომანი დავწერო და ამით, მეგობრობას დავუდგა ძეგლი!

ვიწყებთ, ამიგო!

ნატალია სამუშია

,,საოცარი ისტორია"

(ნამდვილი ამბავი)

– სამსახურში იყო ლილიკო, ტელეფონმა რომ დაურეკა.

– გისმენთ, უპასუხა მან.

მოესმა სახლის მეპატრონის ხმა, სადაც ლილიკო ქირით ცხოვრობდა.

– ისევ გაიმეორა ქალმა...გისმეთ, სინან აბი (ძმაო)ხომ მშვიდობა გაქვთ?

კი, კი მშვიდობაა ნუ გეშინიათ, ერთი ქართველი ქალი მოვიყვანე სამუშაოდ, ენა არ იცის და მინდოდა დალაპარაკებოდი.

– დახ, მიეცით ტელეფონი უთხრა;ლილიკომ და დაელოდა.

– გისმენთ, გაისმა ძალიან წყნარი და ნაზი ხმა, გამარჯობათ მე ლილიკო ვარ,

აი იმ ბინაში ვცხოვრობ მეც,

ნუ გეშინიათ, კარგი ადამიანია.

თქვენ,თქვენ საიდან ხართ? შეეკითხა უცხო ქალს და შეჩერდა.

– მე ბათუმიდან ვარ, ნია მქვია, დამსამებელმა კი ამ კაცთან მომიყვანა.

– ნუ გეშინიათ იქ ყველა ქართველები ვცხოვრობთ, ყველა მაგის დასაქმებულები ვართ, თან ყველას გვპატრონობს აუხსნა ლილიკომ მერე მოუბოდიშა სამუშაო მაქვს ბევრიო და ტელეფონი გათიშა. ცოტა იჩქარა საქმის მოლევა და სახლში გაიქცა.

– სახლში რომ მივიდა მარტო იყო ნია, სინან აბი კი ბალკონზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

– მიესალმნენ ერთმანეთს გოგოები, მოიკითხეს მერე კი კუხნაში შეიყვანა ახალმოსული ქალი მშიერი იქნებით ახლა ცოტა რაღაცა მიირთვით, ჩაიც დააყენა. მერე გოგოები რომ მოვლიან ყველა ერთად დავჯდებით უთხრა ლილიკომ და თან ჩაი დაასხა ნიასთვის, თავისთვის და სინან აბისაც მიართვა.

– მერე კი მიუჯდა ნიას გვერდით და ჰკითხა, აბა მომიყევი რა სამუშაოს შეგპირდნენო.

– რესტორანში ჭურჭელს გარეცხავო, უპასუხა ნიამ.

ხელფასი რამდენი გითხრეს?

ათასორასი ლირა იყო პასუხი.

დიახ ასეა ყველა ასე ღებლობს იქ მომუშავე გოგოები, მერე გაწყობს ეს ხელფასი ნია?

– კი, როგორ არ მაწყობს მე ენა არ ვიცი და სხვა რა უნდა გავაკეთო.

– კარგით ჩემო კარგო მაშინ მე ახლა ვეტყვი ამ ადამიანს და ხვალ დილით წახვალ სამუშაოდ, როგორც ყველა.

– იქ ყველა ქართველები მუშაობენ, იმხელა რესტორანია მარტო ჩვენი ბინიდან ათნი არიან, ასე რომ არაფერი გაგიჭირდება უთხრა ლილიკომ.

– გაუხარდა საცოდავ ქალს მარტო არ ვიქნებიო და ლილიკოს გადაეხვია.

– ღამის ათი საათიდან დაიწყეს მოსვლა გოგოებმა,

ახმაურდა სახლი ყველა მიესალმა ახალ მოსულს გაიცნეს ერთმანეთი,

დასაწოლი ადგილიც აჩვენეს და ასე გახდა ნაც მათი ოჯახის წევრი.

– ნიას ძალიან განსხვავებული ცხოვრებით უცხოვრია, ის ქართველი მუსლიმანი იყო. ცოტა ადრე გაუთხოვებიათ, მის მეუღლეს ცოლი ყოლია მაგრამ შვილი არ გაჩენიათ, ამიტომ ნია კუმად ე.ი. მეორე ცოლად მიუყვანიათ ოჯახში.

თან კანონიერ ცოლად ითვლებოდა ორივე.

– სახლში დამხვდური ქალი თან ყვებოდა თურმე ახალ მოყვანილ ნიას, ის უფროსი იყო და ამიტომ გოგოსავით ეფერებოდა .ასე დამეგობრდნენ ორივე, უერთმსნეთოდ ნაბიჯს არ დგამდნენ, ნიამ ორი ბიჭი გააჩინა, ორივე ფატმანმა გაუზარდა.

ერთი ღამეც არ გაუთევა ნიას შვილებისთვის ამიტომ ფატმანს დედას ეძახოდნენ ბიჭები.

კაცი კი ერთი კვირა ერთ ქალთან იყო, მეორე კვირა მეორესთან .

– გაიზარდნენ ბიჭები...

ცხოვრება შეიცვალა, გარდაიცვალა ოჯახის უფროსი და დარჩნენ ქალები მარტო და ორი დასაქორწინებელი ბიჭები.

– დაიწყო ოჯახმა მატება, ბიჭები დაქორწინდნენ,გაჩნდნენ პატარები, ერთმანეთს ეხმარებოდნენ შრომობდნენ და ოჯახს არჩენდნენ.

– ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა ერთი ბიჭის ცოლი მშობიარობას გადაყვა, დარჩა პატარა ჩვილი უდედოდ.

ახლა კი ნიამ გამოიღო ხელი უვლიდა შვლიშვილს, პატარა სულ ძუძუს ეძებდა, ტიროდა მთელი ღამეები და ნიამ ერთ საღამოს თავის ძუძუ ჩაუდო პატარა მოწოვდა და დაიძინებდა.

– და მოხდა სასწაული ბებიას რძე ჩაუდგა დედობამ გაიღვიძა მასში, მის მერე პატარას ერთი არ უტირია. ეს ვისაც გაუგია ყველა ამ სასწაულის სანახავად მიდოდა.

ასე გაზარდა ნიამ ბავშვი.

მართლა სასწაული იყო, რადგან ნიას არცერთი შვილისთვის ნაჭმევი არ ქონდა რძე,ისინი ხომ მეორე ქალთან იზრდებოდნენ.

– ბებიამ სამი წელი ასე გაზარდა შვილიშვილი.

– მოკლედ ეს იმიტომ მოგიყევით რომ გაგეცნოთ ნიას ცხოვრება სანამ სტამბოლში ჩამოვიდოდა.

– დავბრუნდები ახლა სტანბოლში....

ნია ძალიან დინჯი, გაწონასწორებული ქალი იყო, მის ხმას ზედმეტად არ გაიგონებდი. ასე და ამგვარად შეეგუა ნელ-ნელა სამუშაოს და ახალ გარემოს ნია. ერთად მიდიოდნენ და ერთად მოდიოდნენ ყველა. ამასობაში დრო გავიდა,ცოტა ენაც ისწავლა, ცხოვრობდა როგორც სხვები. ასე გადიოდა დღეები, თვეები, ერთი სიტყვით მოსწონდა იქ მუშაობა.

– ერთ საღამოს ცოტა ადრე მოვიდა ნია სამსახურიდან, მას ლილკო დახვდა სახლში. მარტო მოსული რომ დაინახა ნია გაუკვირდა და შეეკითხა...

ხომ მშვიდობაა ასე ადრე რატომ მოდი, ხომ არავინ გაწყენინა?...

– არა შენი სულის ჭირიმე, თავი მტკიოდა,მიტომ ვითხოვე და წამოვედი უასუხა ქალმა .

თავი არ აუწევია ზევით ისე საწოლს მიაშურა და ჩაწვა.

ლილიკომ მიუტანა წამალი და წყალი დატოვა ოთახში მარტო, მოიხურა კარი, მაგრამ წინათგრძნობა კარნახობდა ლილკოს რომ რაღაც ხდებოდა,იმ წუთში აკრიფა ნომერი და რესტორანში დარეკა უფროს შეფთან და შეეკითხა, შვილო ხომ არ გამოგიგდიათ ნია სამსახურიდან?

– არა, აბლა (დაო)ცოტა შეუძლოდ იყო და ზაზამ წაიყვანა მოტორითო, უპასუხა ახალგაზრდა შეფმა. დაფიქრდა ქალი რაღაც ხდებაო და დაელოდა გოგოების მოსვლას.

– იმ საღამოს გვიან მოვიდნენ გოგოები,იმ წუთში ლილიკოც შეყვა ოთახში მათ აბა რა ხდებოდა.

– რა მოხდა? ესმის ჩურჩლი ლილიკოს. თამარი ეკითხება ნიას ზაზამ მოგიყვანა? დიახ მან მომიყვანა უასუხა ქალმა. ამასობაში ლილიკო მივიდა მათთან ახლოს და ეკითხება;რა ხდება გოგოებო? არა არაფერიო უპასუხა თამარმა.

– ასე დაიწყო ნიას საოცარი ისტორია სტანბოლში.

ზაზას ნამდვილი სახელი მისი (მუსტაფა)იყო მაგრამ ასე ეძახოდნენ რელიგიიდან გამომდნარე.

– ზაზა 27 წლის მაღალი, ლამაზი ქურთის ბიჭი იყო, რომელიც მოტორზე მშაობდა იქ რესტორანში, რომელსაც შეკვეთები დაჰქონდა სახლებში. ეს ბიჭი და ნია ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ყველა ხვდებოდა რაღაც რომ იყო მათ შორის, მაგრამ არც ლილიკოს და არც სინან აბის არავინ უმხელდა ეშინოდათ რომ ბინიდან არ გაეგდოთ ნია.

– ერთ დღეს ლილიკო მოვიდა სამსახურიდან ადრე მივიდა სახლის პატრონთან და თხოვა, აბი წავიდეთ რესტორანში გოგოებს მოვინახულებ თან საჭმელი შევჭამოთ ერთადო, ჩასხდნენ ტაქსში და მივიდნენ რესტორანში, ისეთ ლამაზ ადგლზე იყო აშენებული მთელი ათაშეჰირი მოჩანდა,ულამაზესი ვებერთელა ბინებით, მართლა ულამაზესი სანახაობა იყო.

კუხნიდან შევიდნენ შიგნით ლილიკო და სინანი, ყველა ფეხზე ადგა და მიესალმნენ მათ, ორივეს ძალიან აფასებდნენ.

ლილიკო უცებ მის ქართველებთან გაიქცა მოიკითხა მერე მიიხედ მოიხედა და ნიას რომ ვერ მოკრა თვალი არავისთვის არაფერი არ უთქვამს ისე გარეთ გავიდა სადაც ულამაზესი ფანტანების ეზო იყო გაკეთებული მაგდები და სკამები იდგა. გაიხედა და ხედავს ერთმანეთს ისე ჩახუტებია ორ ადამიანი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ. ახლოს მიიწია ლლიკომ და იცნო ნია და ზაზა. ჩუმად მოტრიალდა და ისევ კუხნაში შევიდა, შეჩერდა მერე კი გოგოებს კითხა ნია სად არისო. ნაგავის გადასაყრელად გავიდა მოვა მალე უპასუხეს მათ ამის თქმა და ნიაც შემოვიდა მიესალმა ლილიკოს თავი დახარა და ემჩნეოდა ლოყები როგორ აუწითლდა. ის ლლიკოზე დიდად უფროსი იყო მაგრამ მისი ძალიან ერიდებოდა რადგან ლილიკო სამართლიანი და ერთგული ადამიანი იყო.

– როგორ ხარ ნია? შეეკითხა ლილიკო.

– მადლობა არა მიშავს უპასუხა ნიამ თავაუწევლად, რადგან მას უნახავს ლლიკო როგორ შევიდა კუხნაში და თვალებს ვერ უსწორებდა.

– დაელოდა ლილიკო გოგოებს და იმ საღამოს ყველა ერთად წავიდნენ სახლში. გაიშალა პურმარილი, ყველა მიუჯდა სუფრას და დაიწყო ქეიფი როგორც ყოველთვის, დაღლილზე აცილებლად იცეკვებდნენ, იმღერებდნენ ასე იმშვიდებდნენ გულებს.

ნია კი იჯდა ჩუმად, არ უჭამია და არც უცეკვია. ამას რომ შეხედა ლილიკომ მივიდა და თხოვა ოთახში გაჰყოლოდა, რა თქმა უნდა უპასუხა ნიამ და ორივე ერთად გავიდნენ, ჩამოჯდა ორივე ლილიკოს ლოგინზე ორივე ისე ჩუმად იყო ბუზის ხმას გაიგონებდით, ისევ ლილიკომ დარღვია სიჩუმე

– ნია მომიყევი რატომ ხარ ასე,რა ხდება?

– ნიამ ერთი ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო მოყოლა, რომ ის არასოდეს ყოფილა ბედნიერი, რომ გასაყოფი ქმარი ყავდა, რომ ერთი კვირა უნდა ეცადა მისთვის რომ მოფერებოდა და ყველაფერი ის რაც ზემოთ მოგიყევით ნიას ცხოვრებაზე,მერე ერთი წუთით შეჩერდა თვალი თვალში გაუყარა ლილიკოს და კითხა...მეც ხომ მაქვს უფლება რომ ბედნიერი ვიყო? ამ კითხვას არ ელოდებოდა ლილიკო შეცბა და უპასუხა...

რა თქმა უნდა გაქვს ჩემო ნია, შენც და ჩვენ ყველა ქალს გვაქვს უფლება რომ ვიყოთ ბედნიერები, მაგრამ ვერ გავიგე ეს რა შუაშიაო ჩააჯინდა ქალი.

ლილიკო შენი სულის ჭირიმე,

მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, კი მართალია ჩემი, ტოლი არ არის მაგრამ მის გვერდით პატარა გოგოსავით ვგრძნობ თავს. ის ისე მექცევა სხვანაირად არ შემიძლია რომ ვიყო, ნუ გამკიცხავ მაგრამ მიყვარს და ვიცი რომ მასაც ვუყვარვარ აგრძელებდა ნია ლაპარაკს, ლილიკო კი უსმენდა და ხმას ვერ იღებდა.

ხედავდა რომ ნიას თვალები ბედნიერებისგან უბრწყინავდა,დამუნჯდა თითქოს

იცოდა ამას რაც მოყვებოდა, კი არ იცოდა გრძნობდა, ბოლოს შეაჩერა ნია ჩაეხუტა და უთხრა, მესმის შენი ჩემო კარგო, მესმს გიყვარს ბედნიერი ხარ მაგრამ ხვალ და ზეგ ეს ბიჭი წავა მის რაიონში ცოლს მოიყვანს, მაშინ შენ რას იზამ? უფრო არ გაგიჭირდება?

– ნიამ აწია შეწითლებული თვალები ისევ ჩახედა ლილიკოს და უთხრა:

სანამ ვარ ბედნიერი მინდა დავტკბე ცხოვრებით, ამიტომ გთხოვ დამეხმარე ჩემო გოგოვ.

გთხოვ სინან აბიმ არ გამაგდოს ბინიდან მე არ ვარ ცუდი ქალი, უბრალოდ შემიყვარდა,ჩაეხუტა ლილიკოს და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

– არ იცოდა რა ექნა ლილიკოს როგორ მოქცეულიყო,ძალიან შეეცოდა ეს ყურებამდე შეყვარებული ქალი, რომელსაც პატარა გოგოსავით ლოყები აწითლებული ქონდა, ცოტა ხნის დუმილის მერე აზრზე მოსულმა ლილიკომ უთხრა, კარგი ნია დაწყნარდი არავინ გაგაგდებს მაგრამ ამ ჭიშკართან არავინ მოვიდეს, ყველამ იცის აქ ქართველები ქალები ცხოვრობენ და აქ დაამთავრეს ლაპარაკი .

– გადიოდა თვეები, ერთი წელი გავიდა ნია თავს ბედნიერად გრძნობდა, ბინიდან ზაზასთან გადაბარგდა, მის მერე არც ლილიკო მოუკითხია და არც სახლის მეპატრონე. ლილიკო გოგოებიდან იგებდა რომ ის კარგად იყო.ასე გავიდა ორი წელი და მოხდა ის რისიც ყოველთვის ეშინოდა და ეფიქრებოდა ლილიკოს.

ქურთებმა რომ გაიგეს ზაზას მასზე ძალიან დიდი ხნით უფროსი ქალი უყვარდა და ბინაშიც ერთად ცხოვრობდნენ, ატყდა განგაში.

შეატყობინეს მშობლებს და იმ დღიდან ზაზა გააქრეს სტანბოლიდან.

– ნია დარჩა მარტო, ყველამ ცუდი თვალით დაუწყო ყურება, ტიროდა განიცდიდა თურმე,სამსახურიდან დაითხოვეს.მერე კი გოგოებს დააბარა ლილიკოსთან მიშველეთ სინან აბიმ ბინაში შემიშვასო,იმიტომ რომ იქ უკვე მისი გაჩერება შეუძლებელი იყო.

– გაჯიუტდა ბინის მეპატრონე. უარი თქვა ნიას მიღებაზე, ასეთი ქალი სახლში არ მინდაო გაიძახოდა.

ლილიკომ მოიკრიბა ძალა და გოგონებთან ერთად დადგა სინანის წინ და უთხრა თუ ნიას არ შემოუშვებ ჩვენც გავდივართო, უპასუხოდ დატოვა კაცმა გოგოები და გარეთ გავიდა.

– ერთი კვირა დღე იყო, ლილიკო ისვენებდა ზარმა დარეკა გაიხედა და ნია იდგა კარებთან დასუსტებული, განადგურებული და აკანკალებული,ის მას შველას თხოვდა გული შეეკუმშა

ლილიკოს მისი ქართველი ქალი ამ დღეში რომ დაინახა მოხვია ხელი გულში ჩაიკრა და სახლში შეიყვანა, ამშვიდებდა ნუ გეშინია რომ მოვა სინან აბი და გნახავს იმედია გული მოულბება, ბოლოს და ბოლოს ხომ არ მოგვკლავს,ისიც ადამიანია,

მართლა საღამოს რომ მოვიდა სინანი და დაინახა ნიას მდგომარეობა შეიცოდა და დატოვა მათთან. წავიდა გახარებული ქალი და იმ დღესვე გადმობარგდა.

– უშოვეს სხვა სამუშაო იქვე ახლოს სასადილოში კუხნაში.

დაიწყო მუშაობა ნიამ დილას მიდიოდა და საღამოს მოდიოდა უთქმელად ხმას არ.იღებდა .დღითი დღე თვალსა და ხელს შუა დნებოდა ქალი. დროს რომ იხელთებდა ლილიკოს ეხვეწებოდა იქნებ მოძებნო ზაზას ნომერი და გაიგო შენ ყველა გაფასებს და მოგცემენ დაველაპარაკოო, ტიროდა პატარა ბავშვივით, ხომ კარგად არის ის მაინც გამიგე ემუდარებოდა ნია.

– დაიღალა ლილიკო, თან დაიტანჯა ნიას საცოდაობით და გადაწყვიტა დაერეკა რესტორნის მეპატრონესთვის.

დარეკა თუ არა იმ წუთში უპასუხა მემედმა. გისმეთ აბლა (დაო)ხომ მშვიდობა გაქვთ,დიახ მშვიდობაა მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან შვილო უთხრა ლილიკომ. მთხოვე რაც გინდათ აუცილებლად გაგიკეთებთ ტკბილად უპასუხა ბიჭმა. ზაზას ტელეფონი მინდა უთხრა ლილიკომ და გაჩუმდა, ცოტა ხანს გაჩუმდა მემედიც მაგრამ ბოლოს უთხრა იცით მე თქვენ ძალიან გაფასებთ და უარს ვერ გეტყვით, საღამომდე გავიგებ, ოღონდ გთხოვ სხვას ნურავის ნუ მისცემთ,თხოვა ბიჭმა, არა არ იჯავრო შვილო დაყვავებით მიმართა ლილიკომ და მადლობა გადაუხადა.საღამოს კი მიიღო ზაზას ტელეფონის ნომერი მაგრამ არავისთვის არ უთქვია ისე წავიდა მეორე დილით სამსახურში.

მივიდა თუ არა ლილიკო სამსახურში იმ წუთში აკრიფა ნომერი და დარეკა, ზაზამ უპასუხა ის თურმე ელოდებოდა მის ზარს როგორც კი გააგონა თხოვა აბლა მაცალეთ ერთი წუთით სხვაგან გავალ რომ არ მომისმინონ და დაგირეკავ, დაეთანხმა ლილიკო გათიშა ტეეფონი და დაელოდა მის ზარს.

ხუთი წუთი იქნებოდა გასული რომ მართლა დაურეკა ზაზამ.

– აბლა მე ის ძალიან მიყვარს დაიწყო ზაზამ, მალე დამთავრდება ეს პატიმრობა, მიხვდებიან რომ მიყვარს და მე აუცილებლად მოვალ მასთან, უთხარით რომ არ ინერვიულოს, რადგან მას არასოდეს მივატოვებ აგრძელებდა ეს ახალგაზრდა ბიჭი ლაპარაკს, ლილიკო კი გაოგნებული უსმენდა და ვერ გაეგო ასე რაფერ უნდა ყვარებოდა ამ პატარა ბიჭს ნია. მთელი დღე ამაზე იფიქრა, მარტო ლაპარაკობდა ალბათ არსებობს ასეთი სიყვარული....არ ვიცი ალბათ არსებობს...ამით იწყნარებდა ემოციებს.

– საღამოს მოვიდა თუ არა ლილიკო სახლში შევარდა გოგოების ოთახში და გაღიმებული ყვება...იცით? დღეს ვის ველაპარაკე?...

ვის, ვის, ახმაურდნენ გოგოები მიდი მოგვიყევი ლილიკო სიცილით ეხვეწებოდნენ მას.

– ზაზას დავურეკე დღეს. ყველა გაჩუმდა და სმენად გადაიქცნენ მან კი წყნარად გააგრძელა მოყოლა, მერე გადახედა ნიას და უთხრა როგორ ყვარებიხარ ამ ბიჭს ჯერ ამას გეტყვი...ახლა კი რაც ხდება მის თავს მაგას მოგიყვებით, ჩამწყვდეული ყავთ სახლში და არ უშვებენ, მან შემოგითვალა როგორც კი გავთავისუფლდები აუცილებლად მოვალ და დამელოდოსო. ნია ტიროდა მის ტირილზე კი ყველა ატირდა მერე ადგა ლილიკო და უთხრა ახლა დაწყნარდი იმუშავე და იფიქრე რომ ერთ დღეს ზაზა მოვა შენთანო და გავიდა ოთახიდან.

– ნია დღითი დღე ცუდად გრძნობდა თავს. კვირაში სამჯერ მაინც მიყავდათ სასწრაფოში მას. ლილიკო არ შორდებოდა სულ თავზე ედგა პატრონობდა დილას კი სამსახურში უძილარი და დაღლილი მიდიოდა .ნიას კი უკეთესობა არ ეტყობოდა ვერ მუშაობდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ნიამ დაუძახა ლილიკოს ტელეფონის ნომერი მისცა და თხოვა ეს ჩემი ძმისშვილია მარიამი დაურეკე, უთხარი ჩემი მდგომარეობა და მოვაო.

მარიამი ოჯახში მუშაობდა ავადმყოფს უვლიდა, დაურეკა ლილიკომ მოუყვა ყველაფერი და თხოვა უკვე ვერ ვძლებ მომეშველე მამიდაშენი ძალიან ცუდად არისო.

– მარიამმა მეორე დღესვე შვებულება აიღო ერთი კვირა და მამიდას დაადგა თავზე, ლილიკო კი ყოველ საღამოს მოინახულებდა ხოლმე მათ და თუ რამე ჭირდებოდათ მიჰქონდა.

სამშაბათი დღე იყო ღელავდა ყველა იმ დღეს ნიას ანალიზების პასუხები უნდა გამოსულიყო, საავადმყოფოს დერეფანი სავსე იყო ქართველებით ლილიკო კი ექიმთან შევიდა სინან აბისთან ერთად რომ რა იყო მიზეზი ნიას ასე ცუდად ყოფნისა.

მას დაუდგინეს ღვიძლის სიმსივნე ბოლო სტადია, ამიტომ ოპერაციის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

გამოვიდა ლილიკო ტირილით გოგოებს ჩაეხუტა და უთხრა ნია კვდება გოგოებო ნია კვდებაო.

– მეორე დღესვე საბუთები გაამზადეს დარეკეს ბათუმში აეროპორტში რომ სასწრაფოთი დახვედროდნენ.

სულ ცრემლებით და დიდი გულის წყვეტით გააცილეს ნია სამშობლოში მეგობრებმა.

– ბათუმის აეროპორტი სავსე იყო ნიას ნათესაობით შვილებმა დედა ხელში აიყვანეს და ისე მიიყვსნეს სასწრაფოს მანქანამდე, ის პირდაპირ ბათუმის საავადმყოფოში მიიყვანეს.

ყოველ დღე ურეკავდა ლილიკო მის შვილებს და კითხულობდა მის ამბავს, ამასობაში სამი თვე გავიდა.

ერთ დღეს ლილიკო ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში, მუშაობს ესმის ტელეფონი რეკავს მივიდა დახედა მარიამი ურეკავს, შეეშინდა და უცებ კითხა ხომ კარგად ხართ მარიამ? მამიდას უნდა თქვენთან ლაპარაკი ლალიკო დეიდა და ესმის ხმა ძალიან წყნარი და მშვიდი ნიასი, სიხარულისგან შეჰყვირა ლილიკომ ნია ჩემო ნია როგორ ხარ? ნუ გეშინია უკეთესად იქნები ელაპარაკებოდა ლილიკო მაგრამ ნიამ შაჩერა.

– ჩემო ლილიკო შენი სულის ჭირიმე რაც მე შენ გამიკეთე საკუთარი შვილი არ გააკეთებდა მადლობა ყველაფრისათვის, დალოცვილს გტოვებ შენი შვილმომავლით, არ შემაწყვეტინო გთხოვ და გააგრძელა ნიამ წყნარად სვენებ-სვენებით ლაპარაკი სინან აბის მადლობა გადაეცი, გოგოები მომიკითხე...ეხლა კი შენთან სათხოვარი მაქვს ჩემო ძვირფასო, დაძაბა სმენა ლილიკომ და უთხრა გისმენ ნია, მთხოვე თუ რამე შემიძლია ხომ იცი რომ გაგიკეთებ.

– ხშირი სუნთქვა ცოტა ხნით შეწყდა, მერე კი ძალა მოიკრიბა და გააგრძელა სულ ცოტა დღეები მაქვს დარჩენილი მე ვკვდები ლილიკო, გემუდარები ახლა მე შენ რასაც გთხოვ შემისრულო...გისმენ ნია დაწყნარდი ჩემო კარგო ეფერებოდა ლილიკო და ცრემლებად იღვრებოდა ამ დატანჯული ქალის საცოდაობით.

ზაზას დაურეკე და თხოვე რომ სიკვდილის წინ ხმა გამაგონოს მისი,მშვიდად რომ წავიდე იმ ქვეყნადო,ეს თქვა და გაჩუმდა.

ლილიკომ კი პირობა მისცა რომ მას მოძებნიდა და დაალაპარაკებდა გათიშა ტელეფონი თუ არა ისევ აკრიფა ზაზას ნომერი მაგრამ სხვამ უპასუხა,ზაზასთან მინდოდა ლაპარაკი მაგრამ

მგონი შემეშალა მოუბოდიშა და უნდა გაეთიშა რომ უცნობმა შეეკითხა თქვენ ვინ ხართ მისი მე ახლობელი ვარ და გადავცემო, მე მისი და ვარ ოღონდ უცხოო მიუგო ლილიკომ მაშინათვე გაისმა ხმა ზაზა მოდი და გირეკავსო.

გისმენ აბლა ხომ კარგად ხართ? შეეკითხა ბიჭი ლილიკოს.არა მიშავს შენ როგორ ხარ სად ხარ ჩაეკითხა ლილიკო, მე ადანაში აქ პატარა სასადილო გავხსენით და ვმუშაობთ მეტი ახალი არაფერიო მოკლედ უპასუხა ზაზამ.

– მომისმინე ზაზა ყურადღებით...ნია კვდება რამოდენიმე დღე ან თვე აქვს დარჩენილი მისი თხოვნით დაგირეკე ერთხელ ხმა გამაგონოსო, მშვიდად რომ წავიდე ამ ქვეყნიდანო. გთხოვ დაურეკო შეეხვეწა ლილიკომ თავიდან არ დაიჯერეა მაგრამ მერე მიხვდა ლილიკო მას არ მოატყუებდა ჩაიწერა ნომერი და უთხრა კი აუცილებლად დავურეკავო. ლილიკომ მადლობა გადაუხადა და გათიშა ტელეფონი.

– სამი დღის მერე მარიამის ტელეფონმა გააღვიძა დილაუთენია ლილიკო უცებ ეტაკა ტელეფონს მარიამ რა ხდება?

– იცით ლილიკო დეიდა სასწაული მოხდა....

– რა მარიამ...რა მოხდა...

– გუშინ ზაზა ჩამოფრინდა..

– მართლა? ატირდა ლილიკო ისე გაუხარდა

– მაგათი შეხვედრა ერთი რომანი იყო...ის რომ ჩამოვიდა ყველა სახლში იყო შეგროვილი შვილებიც კი მარიამი ტიროდა და ძლივს ყვებოდა...

მოყევი მარიამ მერე?რა მოხდა?

– ზაზამ ქორწინების ბეჭედი ჩამოუტანა თითზე გაუკეთა თვითონაც გაიკეთა და ხელი თხოვა მამიდას, მერე გაჩერდა ამოისუნთქა და გააგრძელა იცი? ნახევარი საათის მერე მამიდა გარდაიცვალა, ზაზას მკლავებში დალია სული.

ორივე ტიროდა მარიამიც და ლილიკოც, ტიროდნენ იმ ქალს რომელიც სიყვარულს შეეწირა, მაგრამ ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან.

მან ის ბედნიერება განიცადა რასაც სიყვარული ჰქვია.

– მის მერე რა უნდა ყოფილიყო ლილიკოს ნიას სული არ ეხსენებია.

წლების მერე კი შემთხვევით გაიგო, რომ ზაზა მოტორით ავარიაში მოჰყვა და ისიც გარდაიცვალა.

– მე იმას დავამატებ მარტო რომ აქ ერთად ცხოვრება ვერ შეძლეს მაგრამ იმ ქვეყნად მჯერა რომ ერთად იქნებიან.

02 11 2020 წ.

"ანდრია"ანზორ შერვაშიძე

☆პოეტური სული☆

შუადღე გადასული იყო, ბინაში მარტო ვიყავი, როგორღაც მოვიწყინე და გადავწყვიტე ქალაქში გამესეირნა.

დაახლოებით ერთი საათი ვიხეტიალე ქალაქის ქუჩებში, გერმანიის ეს ქალაქი: ბადენ-ბადენი ლამაზი ქალაქია, მაგრამ მე როგორღაც ვერ შევეჩვიე იქაურობას, ალბათ იმიტომ რომ იქ მრავალი ეროვნების საზოგადოება ბინადრობდა რომლებიც აქ სამუშაოდ იყვნენ ჩამოსული.

ერთერთ ჩემთვის უცნობ ქუჩაზე ქალების ჯგუფის მიერ გამოწვეულმა ხმაურმა მიიქცია ჩემი ყურადღება, როგორც ჩანს რაღაც თავს გადამხდარ ისტორიას იხსენებდნენ და ხმამაღლა, მოურუდებლად იცინოდნენ.

მათკენ გავიხედე, ქუჩაზე ჩემი მიმართულებით მოდიოდნენ, ცოტა რომ მომიახლოვდნენ საუბარი გავიგონე; ფრანგები იყვნენ, ქალთა ეს ჯგუფი ხუთი სულისგან შედგებოდა, მათგან ოთხი ქერა იყო ერთი კი შავგრემანი, მაღალი არისტოკრატული გარეგნობის საოცრად ლამაზი ქალი.

თვალი მივადევნე, ქერა ქალები დაწინაურდნენ და შავგრემანს საკმაოდ გაუსწრეს წინ, ის კი ყურადღებას არც აქცევდა "ალბათ ერთად არ არიან" – გავიფიქრე და ფრანგი ქალებისთვის არც კი შემიხედია რომლებმაც წინ ჩამიარეს რადგან იმ შავგრემანმა ისე მომხიბლა და გამტაცა გონება თვალი ვერ მოვაშორე, ღია მწვანე კაბა ეცვა, მოდიოდა ნელა, გრაციოზული ნაბიჯით, შავი თმები მხრებზე ჩამოეშალა, ზომიერად მაღალი შუბლი, გრძელი შავი წარბები, ოდნავ კეხიანი საშვალოზე პატარა ცხვირი და ალუბლისფერი ტუჩები ფიროსმანის დახატული გეგონებოდათ, გიშრისფერ თვალებში რაღაც ამოუხსნელი სევდა ედგა. მოდიოდა და გვერდზე არცკი გაუხედია თითქოს შეხედვის ღირსადაც კი არ თვლიდა იმ გარემოს, მოდიოდა და მოანათებდა ღმერთის ეს საუკეთესო ქმნილება.

როცა რამდენიმე ნაბიჯზე მომიახლოვდა თვალი მომკრა და ჩემდა გასაოცრად ინსტიქტურად შედგა, რამდენიმე წამი მიყურა შემდეგ პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა.

ნამდვილად ვერ გეტყვით იმ წამების განმავლობაში სანამ ეს ქალი ჩემამდე მოვიდოდა ჩემი ტვინი საერთოდ ფუნქციონირებდა თუ არა რადგან არ მახსოვს ჩემამდე როგორ მოვიდა, მახსოვს მხოლოდ მისი ღვთაებრივი ღიმილი და ტკბილქართულად ნათქვამი: "საღამო მშვიდობისა"

– ნუ გიკვირთ – მითხრა მან – მე გიცნობთ ინტერნეტ სივრციდან, მართალია ფეისმეგობრები არ ვართ მაგრამ მე თვალყურს ვადევნებ თქვენს გვერდს და თითქმის ყველა ლექსი ზეპირად ვიცი რომლებიც გამოაქვეყნეთ.

– საოცარია რომ მიცანით – გულწრფელი გაკვირვებით ვუთხარი რაზეც ღიმილით

მიპასუხა. შევატყვე სციოდა ამიტომ შევთავაზე:

– იქნებ სადმე დავსხდეთ, რამე თბილი დავლიოთ და ვისაუბროთ, წინ მთელი საღამოა.

– სიამოვნებით – მიპასუხა მან და ორივემ აქეთ-იქით დავიწყეთ თვალიერება, ჩვენგან ცოტა მოშორებით ქუჩების გადაკვეთასთან კუთხეში რაღაც კაფებარი დავინახეთ, ქალბატონმა ხელკავი გამომდო და ნელი ნაბიჯით გავემართეთ აღნიშნული ადგილისკენ.

კაფე საკმაოდ მყუდრო აღმოჩნდა, ნახევრად განათებული იყო და ირგვლივ დაბალ ხმაზე ჩართული ნელი მელოდიის ჰანგები იღვრებოდა.

– რას მიირთმევთ? – ვკითხე ქალბატონს და მენიუ მივაწოდე.

– თქვენ რას ინებებთ?

– თქვენს გემოვნებას ვენდობი – უპასუხე და მეორე მენიუ რომელიც მე მეკავა ხელში გულგრილად გადავდე გვერდზე.

– იციით – წამოიწყო მან საუბარი, როცა მიმტანმა მისმიერ შეკვეთილი ჩაი და ნამცხვარი მოგვართვა – იციით თქვენი პოეზია თითქოს ექოა ჩემი შინაგანი ხმისა.

– რა გითხრათ – უპასუხე მე – ჩემი ლექსების უმეტესობა სევდიანია და...

– დიახ, დიახ – შემაწყვეტინა მან – მეც სწორედ ეს მომწონს, იციით მეც ვწერ, ბავშვობიდან ვწერ თუმცა არასდროს გამომიქვეყნებია ამ ეტაპზე ჩემი ერთადერთი მკითხველი და შემფასებელი დედაჩემია.

– გთხოვთ წამიკითხოთ თქვენი რამდენიმე ლექსი – ვთხოვე გულწრფელი ინტერესით.

– წაგიკითხავთ – მიპასუხა მან – მხოლოდ პირობა უნდა მომცეთ რომ თქვენც წამიკითხავთ თქვენს რამდენიმე ლექსს.

ეს ქალბატონი საოცრად ნიჭიერი პოეტესა აღმოჩნდა, მისი ლექსები ჩემთვის საინტერესო სფეროების ირგვლივ ტრიალებდნენ მაგალითად: ფსიქოლოგია, ფილოსოფია და რელიგია.

მისი პოეზია სასიამოვნო მოსასმენი, ლამაზი,ღრმააზრობრივი და დამაფიქრებელი იყო.

მეც შევასრულე მისთვის მიცემული პირობა და საუბარი განვაგრძეთ.

– თვალებში საოცარი სევდა გაქვთ – უთხარი მე – ეს პირველივე დანახვისას შევამჩნიე, რამე განსაკუთრებული მიზეზი გაქვთ სევდიის? – ვკითხე და დავამატე – რა თქმა უნდა, შეგიძლიათ არ მიპასუხოთ თუ ეს რამე პირადულს, ინტიმურს ეხება.

– დიახ – მიპასუხა მან – ამის განსაკუთრებული მიზეზი მაქვს.

მცირეხანს დუმილი ჩამოვარდა, როცა შეატყო რომ რაიმე კითხვის დასმას არ ვაპირებდი საუბარი განაგრძო – სამყარომ მომცა ამის მიზეზი. იციით ბავშვობაში როდესაც სამყაროსა და მოვლენების აღქმა დავიწყე ისეთი ლამაზი იყო ყველა და ყველაფერი როგორც სამოთხე, ჩემი წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანებზე, ცხოვრებაზე რეალობისგან რადიკალურად განსხვავებული იყო ამიტომ რაცუფრო მეტად ვიზრდებოდი და შევდიოდი ცხოვრებაში სამყარო უფრო და უფრო მიცრუებდა იმედს, ცხოვრება უფრო და უფრო ძლიერ სილას მილაწუნებდა. რეალობამ, ადამიანების რეალურმა სამყარომ, რეალურმა ცხოვრებამ

იმედი გამიცრუა გული დამწყვიტა, ამიტომ გამიჩნდა სევდა რომელიც ასე თვალშისაცემი აღმოჩნდა.

– ყველაფერი ზუსტად მესმის – უთხარი მე – მაგრამ შენ გიწევს ადამიანების ამ სამყაროში, ამ რეალობაში ცხოვრება, როგორ უმკლავდები ამაას?

– ბავშვობაში ცხოვრებაზე განაწყენებული საკუთარ თავში ჩავიკეტე და ჩემში შიგნით დავიწყე ისეთი სამყაროს შენება როგორიც წარმომედგინა და ახლა ამ ორ სამყაროსშორის ვარ გაჩხერილი, სწორედ ჩემი ეს მდგომარეობა მაწერინებს პოეზიასაც და პროზასაც, იცი წერა რატომ დავიწყეე? – მკითხა და პასუხს არ დალოდებია ისე განაგრძო – სულ მარტოსული ვიყავი, არავინ იყო ჩემს გარშემო ისეთი ვისაც დაველაპარაკებოდი და ჩემს ამ განცდებს გაიგებდა. მარტოობა სწორედ ეს არის: შესაძლოა შენს ირგვლივ ათასი კაცი იყოს მაგრამ შენი შინაგადი ხმა ვერავის გააგონო, ეს ხდის ადამიანს მარტოსულად.

სწორედ ამ მარტოსულობამ მიბიძგა წერისკენ, ჩემი განცდები ფურცელზე გადამექონდა და მხოლოდ დედას ვაკითხებდი რადგან მხოლოდ მას შეეძლო ჩემი გაგება.

უხმოდ უსმენდი ამ ღვთაებრივ არსებას რომელიც სიტყვა-სიტყვით ყვებოდა იმას რაც მე გამოვიარე შინაგანად, ამან დამაფიქრა, პოეტესა უხმოდ მაკვირდებოდა მერე კი მორცხვად მითხრა:

– რას ვიფიქრებდი რომ თურმე არსებობს ამ სამყაროში ადამიანი რომელიც გაიგონებდა ჩემს შინაგან ხმას და ვისთანერთადაც თავს მარტოსულად არ ვიგრძნობდი.

მცირეხანს დუმილი ჩამოვარდა, ამ ქალის საუბარმა ჩემს ბავშვობაში მამოგზაურა, სიტყვებით შეუძლებელია იმ განცდის გადმოცემა რაც მაშინ დამეუფლა.

ფიქრიდან პოეტესას თბილი, თეთრი, ნატიფი ხელის ხელზე შეხებამ გამომარკვია – გვიანია უნდა წავიდე – მითხრა მან.

მის ბინამდე ფეხით მივედით, გზაზე მრავალფეროვანი, საინტერესო, სასიამოვნო საუბარი გვქონდა.

გამომშვიდობებისას მთხოვა მისი სახელი არავისთან მეხსენებინა, ეს მის პირად ცხოვრებას ეხებოდა და მეც პირნათლად ვასრულებ პირობას რომელიც მას მივეცი.

იმ ღამით საქართველო დამესიზმრა, იმ სიზმარში მარტო არ ვიყავი: სვანეთში ჩემი მშობლიური სახლის აივნიდან მე და ის მშვენიერი პოეტესა ერთად უყურებდით როგორ ამოანათა მზემ თეთნულდის უკნიდან ალისფერი სხივები.

ელგუჯა სხირტლაძე

როდესაც შენს კალთას მოვსწყდები სანუკველს,
ბედის თამაში, შენს საზღვრებს გამაცელს,
მხოლოდ და მხოლოდ, ერთ რამეს ვშიშობ,
უცილო სიკვდილი, სხვაგან არ დამხვდეს,
არ ჩამიბაროს სხვა ქვეყნის მიწამ,
ამ ქვეყნად, სიკვდილიც ოცნებად არ გამხდეს.

საიდან უნდა დაიწყო კაცმა, თუ დაემშვიდობე შენს უწინდელ მყარ არსებობას. ზოგჯერ უცნაურ სიტუაციებში მოხვდები ან თავადაც მოახდენ უცნაურ რამეებს ნებსით თუ უნებლიეთ.

ხან, ვერ გაიგებ, საით მივყავართ წუთისოფლის ზვირთებს, ვერ გაუგებ ადამიანებს, რომელთაც, სოფოკლეს თქმით, სხვადასხვა დემონი უზით სულში, ხანდახან ზოგიერთი მათგანის ფეხქვეშ გათელვაც კი გინდება კაცს.

არის გრძნობები, რომელსაც ვერც გაიგებ და ვერც ახსნი, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ჩემში კიდევ არის რაღაც ბუნდოვანი, ჯუნგლების პატარა ნაგლეჯი და თითქოს დავიარები, ამ უნაპირო ქვეყანაზე დიოგენეს ფარნით ხელში.

ხანდახან, მარტო ყოფნა მინდა ხოლმე, თითქოს, რაც ოდესმე ადამიანებთან მაკავშირებდა, დარღვეულია და ვცვივდები, როგორც გაწყვეტილი ძაფიდან მძივები და აღარაფერია მყარი.

ხოლო, რადგან გამოსწორება არაფრის არ შეიძლება ან უკიდურეს შემთხვევაში ძალიან ძვირად გვიჯდება, ვცდილობ გავექცე სინანულის უსარგებლო გრძნობას, რადგან, სამწუხაროდ, წყეული დრო გარბის და კვდება, ადამიანები კი ვცოცხლობთ, ასობით გაგვიფრინდება ზამთარი და ზაფხული, დღეებს ვიგებთ და წლებს ვკარგავთ, წამის სიამეში ვპოულობთ მარადულობას, ხოლო ვარსკვლავთა მტვერი მოარღვევს უსასრულობას, მწარე ქარიშხალად ქცეულს.

ზოგჯერ ჩინებულიცაა სინანულის გარეშე ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, იცი, რაც ხდება ქვეყანაზე... როგორც წესი, ართმევენ უფრო მეტს, ვიდრე აძლევენ, მაგრამ, როგორც ყველაფერი დედამიწაზე, ჩვენი დუმილიც დროებითია და როგორც მიგელ დე უნამუნო ამბობს **„...შენს გარშემო ჩამოწოლილ დუმილს, თუ უჩივი, ეს უკვე საზეიმო დუმილია, მალე შენი სიტყვები უფრო მკაფიოდ ამაღლდება ამ დუმილზე.“** ხოლო დადუმებულნი და ჩაფიქრებულნი, ყველანი ვეძებთ ბედნერებისაკენ მიმავალ გზას და ვცდილობთ გავერკვეთ მის არსში. ბედნიერება, ხომ ადამიანის ყველანაირი სურვილის ასრულებაშია, ხოდა, თუ ასეა, დედამიწაზე ბედნიერების არსებობაც გამორიცხულია. მაგრამ, მეორე მხრივ, მადლობა უფალს, რომ სრულყოფილი ბედნიერება არ მოგვანიჭა. ადამიანის ცხოვრების მიზანი, ხომ გამუდმებით ბედნიერებისაკენ სწრაფვაშია. სწორედ ამ ბედნიერების ძებნაშია

იღბალიცა და უიღბლობაც,
დარდიცა და სიხარულიც,
ბედიცა და უბედობაც,
ბედი, უმოწყალო რამაა...

სხვისი უბედურების შემხედავს, თითქოს გრცხვენია საკუთარი ბედნიერებისა და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მისკენ მივისწრაფვით, წამის მარადიულობაში გადის მთელი სიცოცხლე და ამ დროის მანძილზე ბედნიერების ძიებაში, სად არ გატარებს კაცს ამ უკიდეგანო ქვეყანაზე ბედი. სადაც ყოველ მხრივ ათასნაირი საფრთხეებია ჩასაფრებული, მათ შორის სიკვდილიც, რომელიც ელის ადამიანს თავისი სიბნელით და არის კიდევ უფრო საშიში, საზარელი და მომაკვდინებელი, ვიდრე სიკვდილი, რომელიც ათასგზის სისასტიკით კლავს ადამიანს, სიკვდილის ორეული – სირცხვილი.

„...თავი ნუ მოგწონს სიკვდილო,
სირცხვილზე მეტი არცა შენ ხარ“...

ლამაზად უთქვამს ბესიკ ხარანაულს. სირცხვილის გამო კვდება ადამიანი. სწორედ ამ გრძნობის გარეშე შექმნა ღმერთმა ადამი და ევა, და უკვდავყო სამოთხის ბაღში, რომელთაც განარისხეს უფალი, როდესაც შეცოდებულები მის წინაშე და დარცხვენილები, ფოთოლაფარებულნი გამოეცხადნენ მამა ზეციერს, რომელმაც განდევნა სამუდამო საცხოვრებლიდან.

მას შემდეგ დაიწყო ყველაფერი მიწიერი, მათ შორის, სიკვდილი.

სიკვდილი ერთხელ მოდის, თუმცა ყოველ წამს ველით. სიბერის გვეშინია, თუმცა დაბერება გვწადია.

რადგან სიკვდილი ჩვენ უკითხავად დაბადებიდან თან გვდევს და ვერც ვერავინ აღუდგება წინ, თითქოს შეგუებული ხვდები მის მოულოდნელ გამოჩენას.

მაგრამ სულ სხვაა სირცხვილი – აფთარივით უსაფრდება და სულმოუთქმელად ელის ადამიანის მცირე შეცდომასაც კი, რომელსაც საზოგადოება მხოლოდ თავისი თვალით უყურებს და განსჯის.

„მგელს მგლობას დაარქმევენ და ტურა კი ქვეყანას აქცევს“-ო.

ტურებითაა სავსე ეს ქვეყანა და უნამუსოდ ჯიჯგნიან ადამიანის სულს. არ ფიქრობენ, რამდენად დასაშვებია, ადამიანზე შეიქმნან აზრი მისი ერთადერთი შეცდომის მიხედვით, რაც შეიძლება გამოიწვია უკიდურესმა გაჭირვებამ, უსაზღვრო გატაცებამ ან დაუფიქრებლობამ.

ამიტომ მინდება, ალბათ, მარტოობა და მგლური კანონით ცხოვრება, სადმე ადამიანებისაგან შორს, მთის ველურ ბუნებაში, რომელიც მგელივით მკაცრი, მაგრამ სამართლიანია და ადამიანზე უფრო გონიერი, სადაც გონსმოგებული ცხოვრებას იწყებ ახლებური გაგებითა და შეხედულებებით.

სადაც იბადება ბუნდოვანი ოცნებები...

სადაც ხანმოკლეა ბინდის სილამაზე და ისეთივე ცივია და გამჭირვალე, როგორც მთვარიდან გამოდღვრილი სხივები სიბნელეში.

სადაც, არც დავიწყებისთვის და არც გახსენებისთვის იმეტებ დროს, და მხოლოდ ადამანებისადმი უნდობლობის შიშის ძაფები გადახლართული გრძნობებით, მკერდქვეშ ტკივილით გაჰყურებ სამყაროს და მიწაზე დაღვრილ სიჩუმეში ვერ ხვდები სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე...

რას მოელი ამ ქვეყნისაგან, ან რას სთავაზობ თავად.

გაჰყურებ მას და ხვდები, რა დაუნდობელია წუთისოფლის მარჯვენა, სადაც არცერთი ჩვენგანი ჩვენი ნებით არ მოვსულვართ და ბედისწერით განსაზღვრული კანონი, ნაცარივით შემოგვაყრის ფიქრსა და ტკივილს. რისგანაც ხანდახან უძლურების გამო, ბედთან შეგუების ზანტი გრძნობა დაგეუფლება და მხოლოდ განმარტოების მშვენიერება გივსებს სულის სიამეს. სადაც ამოვსებული წარსულის როგოდან, ამოტივტივდებიან ტკბილი და უსიამოვნო ფიქრი და გვიჭირს სიყვარული დიდი სიძულვილით მოწამლულებს და შენიღბულნი ვიტყუებთ თავებს და საკუთარ სიბეჩავეს სხვებს ვაბრალით. ხოლო, საკუთარ თავთან ყოფნა და სიმარტოვე აგვაფორიაქებს და აღგვიძრავს უმიზეზო შეშფოთებას.

მაგრამ, რადგანაც ეს ქვეყანა დროებითი სამოსახლოა და გვეჩვენება, ვუმზერთ უკანასკნელად, ვერ ვთმობთ ბედნერების წვეთსაც კი და გონსმოგებულნი გავცქერით ახალ, უცნობ გზებს, რომელზედაც მიდიოდნენ ჩვენამდე სხვები.

გზებს, სადაც იცი განმეორდება იგივე: ღალატი, სიცრუე, სიბილწე, ყოველდღიური ცდუნებები, ქედმაღლობა, მოჩვენებითი ერთგულება, უსამართლობა და უამრავი საფრთხე.

გზებს, სადაც გდევენ დღეები თავისი უძლეველი ჯარით.

დღეები, რომელთა შეკრება ჩვენს ცხოვრებად იქცევა და მასში, თავად თუ არ მოინდომე გამოჩენა და მოკრძალებით განზე გადექი, ბედის უკუღმართობით შეიძლება მთელი შენი მომავალი საფრთხს წინაშე დააყენო.

მართალია, ძნელია, გიყვარდეს და არ ამჟღავნებდე, ფარავდე გულის თრთოლვას, გებრალებოდეს და დუმდე, გასაჭირში შველას არ ითხოვდე, მაგრამ უძლურნი ვართ ცხოვრების უსამართლო კანონის წინ და ამიტომაც თავადაც მკაცრი შეხედულებებით გიწევს ცხოვრება ნებნით, თუ უნებლიეთ.

ათასნაირი ჯურის ადამიანებთან გიწევს „დაჯახება“ და თავის გატანა. ზოგიერთ მათგანს კი ღირსებაც არ გააჩნია, მხოლოდ არარაობაა და მეტი არაფერი, რომელთა ხელშიც ბედის უსამართლობით, შემთხვევით მოხვდა იმ ადამიანებზე გავლენა, რომლებზედაც წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ, საშუალება რომ მიეცათ. ძნელია ამ ცხოვრებაში კაცისთვის, რომელსაც წარმოსაჩენად საკუთარი ღირსების გარდა არა აბადია რა, სარბიელზე გამოვიდეს და ბედით განებივრებულ უგუნურს გაუტოლდეს. უგუნურებს, რომლებიც იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ სახელი იმ ადამიანებმა უნდა შეუქმნან, რომლებსაც ანგარიშს არ უწევენ, და ვერც იმას ხვდებიან, რაო-

დენ სასაცილოები და უბადრუკნი არიან, როცა გონება არ ჰყოფნით, რომ ლამაზად ილაპარაკონ და არც მოსაზრება, რომ გაჩუმდნენ.

ვერ ხვდებიან, რომ სხვისი ჭკუა-გონება მათ ვერაფერს არგებს, ისევე, როგორც ბრმას სხვისი მხედველობა.

და მაინც, ბედის უმოწყალობით, მათი გავლენით ვიცვლით ზნესა და ვხდებით პირქუშნი, ღვარძლიანი, სრულიად სხვა გვარი განწყობლების და ისე ვიცვლებით, ბოლოს თავადაც გვიკვირს როგორ და როდის აქეთ გავხდით აგრე გულცივები.

ჩვენგან დამოუკიდებლად, მრავალმა გარემოებამ დაგვიმახინჯა სული, შეგვიცვალა მორალური სახე და აღარც ისეთები ვართ, როგორებიც ჭეშმარიტად მოვევლინეთ ამ სამყაროს და აღარც ისეთები როგორიცა ვჩანვართ.

სამწუხაროდ, ხანდახან ცხოვრება გვაიძულებს, რომ მიამიტობა და გულწრფელობა დახვეწილ ეშმაკობად გამოვიყენოთ, რადგან ბედი უმოწყალო რამაა! და, თუ სხვისგან არ მოველით ფეხქვეშ გაგებას, თავადაც ვერ გავეგებით ფეხქვეშ!..

* * *

ამ ქვეყნად ყველას თავისი ზარი და ჯვარი აქვს, ვის დიდება და ვის – ტანჯვა და ხანმოკლე სიცოცხლე.

ზოგიერთს კი ამ ყველაფრის მონაცვლეობით უწევს წუთისოფლის გავლა.

არავინ იცის როდის და რითი შეიცვლება ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ ერთი კი ჭეშმარიტებაა. მთელი სიცოცხლის გავლა შეიძლება ტანჯულ საუკუნეშიც ვერ შეძლო და შესაძლებელია ბედნიერ ერთ წელშიც მოასწრო.

ამიტომ, არ უნდა დათმო, ამ ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში, შენი წილი ბედნიერების ერთი წვეთიც კი, რადგან არავინ უწყის, როდის წაშლის ჩვენს ბედნიერ ყოფას უმოწყალო ბედი, როგორც შემოდგომის წვიმა ნაკვალევს.

* * *

ზოგჯერ, ვფიქრობ, ჩემში ორი არსება ზის ერთდროულად. თითქოს თავად ვუცქერ, როგორ ძალაგამოცლილი დღე და ღამესავით გამუდმებით ებრძვიან ბოროტი და კეთილი ანგელოზი ერთმანეთს. მე კი უნდობლობის გამო, მკაცრად შევცქერი და ველი სულმოუთქმელად, გადაღლილი გულით ველი, ვის შერჩება საბოლოოდ ჩემი სული, რომელიც მხოლოდ მე ვიცი, რომ აღარც ისეთია, როგორიც მოევლინა ამ ქვეყანას და აღარც ისეთია, როგორიცა ჩანს. თითქოს გაორებულია: ერთი, რომელიც მკაცრი, ცივი და დაუნდობელია, და უნდობლობის თვალით უყურებს წუთისოფლის მკვიდრთ, ხოლო მეორე, ფაქიზი და მიმტევებელი, რომელსაც სიყვარულიც შეუძლია და ერთგულებაც, და თითქოს, მხოლოდ ამ ორთაბრძოლის შედეგად დარჩება ერთერთი...

ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. იღიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიბლური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატიანეებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. – წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქლთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი, რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაჟო, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართველები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოღმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა უღონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში, ხან სიფხიზლეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდე-

ბა... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რაღათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა. ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ ღამეს სადმე, ქოხში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაჟო, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მივამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რიარია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმელებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზეღა ჩანდა... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... გიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შუღლი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, დილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერთიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლაღა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცვალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე:

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, ადუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლისფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაჟკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოვკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინდა. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაივლები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე გაწვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავდნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომელვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უეცრად შემხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავისუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოცხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყრიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გადამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრალება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვსინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მიწა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოაღწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

ს ა ა ქ ა ო

მოვსულვარ. ალბათ ამათი საიქიო იქ არის, საიდანაც მოვიდნენ. ალაყაფის კუნჭულში პატარა კარია. ამ კარში შევდივარ. ათიოდე ნაბიჯს ვადგამ და წინ ჯუჯა კაცი მეღობება. სახემოსვრილი, წვერგაუპარასავი. დიდი, დატოტვილი თითები აქვს.

– საით? – მეკითხება.

– საიქიოში, – ვეუბნები.

– ჰიჰი, ჰი, ჰიჰი, – იცინის, – საიქიოდან მოხვედი. ახლა სააქაოში ხარ. მე ჩამოგათრიე მაღლიდან. მატლები გჭამდნენ. იქ, ზემოთ, შენისთანები ბევრი რჩებიან. აქ ჩამოყვანას ვერ ეღირსებიან. სადაც დამარხავენ, იქ დალპებიან. შენი ჩამოყვანა ჩვენმა უფალმა მიბრძანა.

– ბოდიში, უკაცრავად, – ენა ამერია, – ვინ არის თქვენი უფალი?

– ამიერიდან ჩვენი, – შემისწორა ჯუჯამ, – ამიერიდან ჩვენი უფალი სიკვდილია, ილოცე მისთვის.

ახლა მე გამეცინა.

ჯუჯას გაუკვირდა, ასე თავხედურად რომ გავიცინე. მე კი ვიფიქრე: სიცოცხლეზე

არასდროს მილოცია, სიკვდილზე როგორ ვილოცო – მეთქი.

– წამოდი! – მითხრა ჯუჯამ და წინ გამიძღვა.

წავყევი. ისევ ალაყაფთან მიმიყვანა. ჯუჯა კაცისთვის განკუთვნილ ოთახს რომ მივუახლოვდით, დავეცი. დავეცი და ვეღარ წამოვდექი. საშინელი კრუნჩხვები დამეწყო. ჯუჯა შეშლილივით ახარხარდა. მერე ფეხი დამადგა, გადამიარ-გადმომიარა. მუშტები დამცხო, გამჩენი შემიგინა...

– ილოცე ჩვენს ღმერთზე. – მითხრა და და წიხლი შემინაცვლა. ახლა უფრო ღონივრად, შეუბრალებლად.

– მე ღმერთი არ მწამს.

– რწმენა გაქვს?

– მაქვს.

– მაშინ შენს რწმენაზე ილოცე, შენი რწმენა – შენი ღმერთია. მე სიკვდილი მწამს და სიკვდილი ჩემი ღმერთია, შენი ენით რომ ვთქვათ.

რაღას ვიზამდი.

უაზრო სიტყვები ჩავიბუტბუტე, სიკვდილზე მაინც არ მილოცია.

კრუნჩხვებმა გამიარა.

წამოვდექი. ჯუჯა თავის ოთახში შემიძღვა.

– შენი გვარი? – შემეკითხა.

დავიბენი.

ჩემი გვარი ისევ მახსოვდა, მაგრამ გამხელა არ მინდოდა.

– შენი გვარი? – გამიმეორა.

– არ მახსოვს, ბატონო.

– მე ბატონი არ ვარ.

– აბა, ვინ ბრძანდებით? – ვეკითხები შიშით.

– ამას მერე გაიგებ.

თვალი თვალში ისარივით გამიყარა. აღარ ხუმრობდა.

– გვარი მითხარი!

– არ მახსოვს-მეთქი.

– სტყუი, გახსოვს, ჩვენ ყველაფერი ვიცით. (ეს შესაშინებლად მითხრა) შენ, სულ ერთია, იქ მაინც ვერ მოხვდები... უმჯობესია თქვა. ან იტყვი, ან ეწამები...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლა არსებობს?

– არა!

– აბა სად მაწამებთ?

– აქვე, ჩემს ოთახში. შენ გინდა უსახელო მკვდრებში მოხვდე, მოისვენო, ფეხი ფეხზე შემოიდო, დამშვიდდე. შენ გინდა მოისვენო და თოხი აგცდეს...

დავინტერესდი.

– უსახელო მკვდრები ვინ არიან?

– გაიგებ, – ჩაილუღლუღა და გაიმეორა.

– შენი გვარი??

– ხარაიშვილი.

– სახელი?

– ბეჟანი.

მოზრდილი სია გადმოიღო. ჩამწერა. მერე წამოდგა, სიამოვნებით დაამთქნარა და ოთახიდან გამომიძღვა.

ცოტა ხნის მერე მთელი ქალაქი მომატარა. სახნავ სათესები მაჩვენა. არაფერი გამკვირვებია, ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ტყის ნაპირზე მივედით.

აქ მწვანე სიმინდის ყანა იყო. ჯუჯა კაცმა სადღაც თოხი მოძებნა. ყანის თავში დამაყენა. ქვემოდან, პაპანაქება სიცხეში ყანას ჩემი ტოლი ბიჭები თოხნიდნენ.

– დაიწყე! – მითხრა ჯუჯამ.

გამიკვირდა. ყანა ზემოდან ქვემოთ არასდროს მეთოხნა.

– დაიწყე! – გამიმეორა და თავში ხელი წამცხო.

დავიწყე, მეტი რა გზა მქონდა.

ჯუჯა არ მომშორებია. ფეხდაფეხ მომდევდა.

დავიღალე. არ შემასვენა. იქ, იმ ყანაში და იმ ქვეყანაში, დღე და ღამე არ არსებობდა, შეუსვენებლად ვთოხნიდი.

სიცხე თანდათან მატულობდა.

ბიჭები შემიერთდნენ. ყანა ზემოდან გათოხნილი მქონდა, მაგრამ ბიჭები მაინც არ შეჩერებულან

თოხნა გააგრძელეს.

მეც გავაგრძელე. ჯუჯა დამშორდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: კაცი ვერც მკვდარი მოისვენებდა, ვერც ცოცხალი. სახე ოფლმა დამისველა, ამეწვა.

სულ მალე ყანის ბუღში აღმოვჩნდი.

თოხი დავაგდე. წელში გავიმართე.

სული რომ მოვითქვი, თვალი ყანის თავისკენ გავაპარე. ბიჭებს აღმა თოხნა დაემთავრებინათ და ახლა დაღმა მოჰყვებოდნენ.

ჯუჯა დაბარებულივით მოვიდა. იქვე, ყანის ბოლოს, ბალახებში ჩაჯდა. მიმიხმო. მივედი.

– მიიხედ-მოიხედე! – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე. ჩვენგან მარჯვნივ, გამწვანებული პალმების ქვეშ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, ვიცანი.

ისვენებდნენ. გალაკტიონი თუთუნს აბოლებდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მგოსნები აუჩქარებლად საუბრობდნენ. ხანდახან თვალს ჩემკენ აპარებდნენ. ეს მე მეგონა ასე.

– მკითხე, რაც გინდა! – ჯუჯამ ნება დამრთო, – დასაწყისისთვის შენი მუშაობა კმარა, მალე იმ ბიჭებს შეუერთდები, ხელი ზემოთ გაიშვირა, პალმის ჩრდილისკენ გავიხედე.

– ყური მიგდე, – მითხრა ჯუჯამ, – შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი. წაგიყვანდი მეორე ადგილზე, სადაც სახლებს აშენებენ... აშენებენ და

ანგრევენ... ცოტას ჭამენ და ბევრს მუშაობენ. ყველას სახლებს უშენებენ, თვითონ უსახლკარონი არიან. სახლის ეზოშიც ვერ შედიან თუ ჩემი ნებართვა არ ექნათ.

– სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – ამბობს და უშნოდ იღრიჯება, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა სიკვდილი თქვენს ღმერთსაც მოკლავს.

– როგორ? – მიკვირს მე და ისევ პალმებისკენ ვიყურები.

– სიკვდილს უფლება აქვს მთელი სამყარო არარაობად აქციოს, მას შუძლია კაცობრიობა მოსპოს... მოსპოს და არ დატოვოს ძეხორციელი... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქნელი და თაყვანისმცემელი აღარ ეყოლება. სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან...

– სცდებით, ბატონო! – ჯუჯას თვალს ვუსწორებ, – ღმერთი ადამიანის შექმნილი არ არის, პირიქით, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ჯუჯა ისევ დაიღრიჯა.

– ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ღმერთი, – მეუბნება და ისტერიულად ხარხარებს, – შენ რომ მაგდენი იცოდე, ახლა იქ, იმ ხალხთან იქნები. – ხელი პალმებისკენ გაიშვირა.

მივიხედე. პოეტები ისევ დინჯად საუბრობდნენ.

– ეგენი ვინ არიან? – ვკითხე ჯუჯას გამოსაცდელად, – რა ხელობის ხალხია?

– არ ვიცი.

– იცი და მალავ, ალბათ, ჯერ საკმარისი ნდობა ვერ დავიმსახურე თქვენთან.

– მე კი არა, მაგათი ვინაობა ჩვენმა ღმერთმა ანუ სიკვდილმაც ვერ დაადგინა. ეგენი უსახელო მკვდრები არიან.

– რატომ არიან უსახელო მკვდრები, მათი სახელები მე... – კინაღამ წამომცდა ვიცი მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ ენა დამიბა.

– გაიმეორე ეგ წინადადება!

გავიმეორე. „მეს“ შემდეგ ენა ისევ დამება.

– სწორი ხარ, – მეუბნება, – შენ გინდა თქვა: მაგათი ვინაობა ყველასი ვიციო, მაგრამ ენა სწორედ ვინაობაზე გებმება. შენ მაბეზღარა ხარ. სხვაც ბევრი ჩამოვიდა შენნაირი, როცა ეს ტბა გაჩნდა და ეს ხალხი აქ მოვიდა, სიკვდილმა ვერაფერი გაიგო. მის მერე აღარ აინტერესებს მაგათი ვინაობის გაგება.

მაგ ხალხს თავისი სახელები იქ დაუტოვებიათ. სადაც ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი სხეულის გარდა არაფერი ჩამოუტანიათ. ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაუტოვებიათ. მაგათი სხეულიც აღარაფრად ვარგა. ნატანჯი, ნაგვემი, ნაწამები სხეული და დაღლილი ტვინები აქვთ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს. ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებს. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ, ვერ მივა. შენ კი, ასე პატარა ბავშვს, პალმის ჩრდილში ჯდომა მოგიწევს.

– სამოთხე ყოფილა! – ვამბობ ჩემთვის.

ჯუჯამ წამოიწია, წასასვლელად მოემზადა.

– სამოთხე აქ არ არსებობს, არც ჯოჯოხეთი, – როგორც ხედავ ისინი, ვინც თავის სახელს ზემოთ, მიწაზე დატოვებენ, ამ ტბასთან დასხდებიან, ვისაც სახელი ჩამოჰყვება, ყველა შენ დღეში ვარდება.

– უკუღმა რატომ მათოხნინებ, კაცი არა ხარ? – ვეკითხები.

– არა ვარ. მე კაცზე დიდი ვარ და კაცზე პატარა... ასე უფრო ეფექტურია თოხნა, ჩვენმა უფალმა ასე გვიბრძანა.

ვის უნახავს ამნაირი თოხნის ეფექტიანობა?

აშკარად მატყუებდა... ზეზე შეშლილივით წამოვვარდი. მივწვდი, მუშტები დავუშინე.

ყელში ვეცი, ჯუჯას გახრჩობა მოვიწადინე.

სამაგიერო სილა მივიღე...

ეს ჯუჯა კი არა ანიელი იყო. კიდევ გამარტყა. როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მთელი ხმით ვიღრიალე, ანიელს გულში ჩავეკარი. ავტირდი, ცრემლი ნიაღვარივით ჩამომდიოდა.

ჩემი თავი ისევ საიქიოში მეგონა.

ანიელს სიზმარი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. არაფერი მითხრა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

ინათა. მთები გამოჩნდნენ. ნისლებში ჭიუხი აილანდა. არაგვის ჭალაზე სიცოცხლემ იფეთქა. დაბურული ტყიდან ცვრიან ბალახზე სიცოცხლით სავსე შვლის ნუკრი გამოკუნტრუშდა...

ანიელს დილის ძილით ჩასძინებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. თოფი მოვპარე... შველს გავხედე. ისევ კუნტრუშობდა. თოფიდან ვაზნები ამოვიღე, მერე თვალები დავხუჭე და ვაზნები გარეთ გავყარე. არასოდეს ისე არ შემშინებია, როგორც ახლა, ამ წუთში...

– მე თოფის გასროლის შემეშინდა...

ლალი სოხაძე

გმირი ბებია

დღეს 9 მაისია. რატომღაც ბებიაზე ფიქრი ამომიტივტივდა გონებაში. გამახსენდა მისი გარდაცვალება... როცა ვტიროდი ჩემმა უფროსმა შვილმა მისმა მოსახელემ მითხრა რა გატირებს დედაშენი ხომ არ იყოვო. მაშინ არაფერი მითქვამს, რადგან პატარა იყო და ვერ გაიგებდა ჩემს მწუხარებას. ეხლა მინდა გავცე პასუხი, ბებია ჩემთვის ყველაფერი იყო, დედა, მეგობარი, დაც და ბებიაც...

ჩემთვის იყო სათნოების, სამშობლოს, ახლობლების, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების ადამიანების უსაზღვრო სიყვარულის, პატიოსნების მაგალითი.

ჯერ ხომ ყველას უყვარდა, ნათესავებს, მეზობლებს თბილისში და რუსთავში.

ხოდა კიდევ გამომრჩა, ბებიაჩემი გმირი ქალიც იყო. გაგიკვირდათ ხომ?

26 კომისრების შინსახკომის უფროსის ცოლმა იცოდა ცხენზე ჯირითი, მაუზერიდან სროლა (ტყვიას ტყვიაში აჯენდა) მაშინ მათ ცოლებს ყველაფერს ასწავლიდნენ, რომ თავი დაეცვათ თავდასხმისგან და მეუღლის სახლში არ ყოფნის დროს შვილები გადაერჩინათ. ამავე დროს მედიცინის დის კურსებიც ქონდა გავლილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბაბუა წაუყვანიათ ომში და ბოლოს რაც ბებიას გაუგია ქერჩში იბრძოდა, ერთ-ერთი ქართული ბატალიონის მეთაური ყოფილა. ჯერ მოსდიოდა წერილები ფრონტიდან, გებულობდა მის კარგად ყოფნას, მაგრამ შეწყდა წერილები და დაიწყო მისი უძილო, ცრემლიანი ღამეები, მეუღლეზე ფიქრით. მაშინ მარტო უფროსი დეიდა და დედაჩემი ყავდა. ბაბუას შესახებ ვის არ მიაკითხა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ბევრი აღარ უფიქრია ბებიას. მოკიდა ხელი თავის ორ შვილს და ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში ჩაიყვანა მაზლთან. თავად დაბრუნდა თბილისში, ჩაეწერა მედიცინის დად. კურსები კი ქონდა გავლილი, მაგრამ ეხლა უფრო სერიოზულად მოამზადეს და ერთი კვირის შემდეგ დაჭრილების მოსავლელად გაუშვეს. უთხოვია ბევრი ქართველი სადაც არის იმ ქალაქში გამიშვითო. ქალაქის სახელი აღარ მახსოვს, კრასნოდარის მხარე იყო. ქალაქებში სულ დაჭრილები ყავდათ სავადმყოფოებში. მოიარა ასე რამდენიმე,,ჰოსპიტალი,, ეხმარებოდა დაჭრილებს. უვლიდა კარგად, ზოგი გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზე ბრუნდებოდაო, მაგრამ თავის მეუღლეს ვერსად წააწყდა.

ერთ დღეს, რომელიღაც ჰოსპიტალში გადასულან, სადაც ძალიან მძიმედ დაჭრილი მეომრები იყვნენ. რამდენიმეს გაუწია დახმარება და ერთი მეომრის აცრემლებულ თვალებს წააწდა, ცრემლებთან ერთად ღიმილსაც, მაგრამ იმასაც თუ ღიმილი ერქვაო..

და მისთვის ნანატრი დღე დადგა-იპოვა ქმარი, საშინელ მდგომარეობაში, მრავალმხრივი ჭრილობებით.

ბაბუა ფრონტზე აღარ გაუშვიათ, იმიტომ, რომ ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებდა მაგრამ დაიღუპა, ისევ ომში მიყენებული ჭრილობით ,,ასკოლკის ნამცეცი,, ჩარჩენოდა ფეხში, იქიდან სისხლს წაეღო და ღრძილთან გაჩერებულა, რასაც სიმსივნე გამოუწვევია.

ყველამ ვიცით რამდენი ქართველი დაიღუპა ქერჩში. საშინელება იყოვო ბებიის მონაყოლიდან ვიცი. ქერჩის სრუტე ქართველების გვამებით იყო მოფენილიო, ეს უკვე ბაბუაჩემის მოყოლილიდან (ბაბუას მე ვერ მოვესწარი).

მაშ რას ფიქრობთ, იყო თუ არა ბებიაჩემი გმირი?..

მონადირეები

დედა და მამა– ორივე თანამდებობის პირი იყო(სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაობდნენ. დილით გასულები საღამოს ბრუნდებოდნენ დაღლილ-დაქანცულები), მაგრამ სამივე შვილს ადამიანურ ცხოვრებას გვასწავლიდნენ. თავმდაბლები უნდა იყოთო, გაჭირვებულს დაეხმაროთო, კარგად უნდა ისწავლოთო-თქვენი ვალი ეგ არისო. სამშობლოს ღალატი მარტო მტერს რომ გაურიგდები ის კი არ არისო, არამედ თქვენს ნიჭს და შესაძლებლობებს სამშობლოს და ქართველ ხალხს, რომ არ მოახმართ ისიცო... და კიდევ მრავალ შეგონებას ვისმენდით. დღემდე ვცდილობთ სამივე მათ გაკვალულ წმინდა გზას გავყვეთ და ისე ვიცხოვროთ, როგორც ნამდვილ ადამიანს შეეფერება. მადლობა ამისთვის ჩემს მშობლებს. ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა სამარადისოდ.

მინდა ერთი ამბავი გავიხსენო ჩვენი ცხოვრებიდან-მამას ბიჭი, რომ არ ყავდა, სამი დებიდან სიყოჩაღე მე გამოვიჩინე მოუსვენრობაში. ყოველ დილით ვდგებოდით, მავარჯიშებდა ფეხბურთ-ში, მართლა კარგად ვთამაშობდი (არა მარტო ფეხბურთს, კალათბურთს და ხელბურთსაც – რუსთავის სპორტკლუბის ,,ფოლადის“ წევრი ვიყავი). დედა ბრაზობდა, რა ქალის საქმეა ეხლა ეგო. მაშინ ხომ იცით სად იყო ქალი ფეხბურთელი?! დედა კი კარგი მოცეკვავე ყოფილა, მაგრამ თავი დაანებებინა მამამისმა, უფრო სწორედ თვითონ დაანება თავი, რადგან ბაბუა (26 კომისრების რაიონის შინ.სახ.კომის უფროსი იყო) არ უშვებდა ,,გასტროლებზე“ .

დედას უნდოდა ცეკვაზე მევლო, შემესწავლა ქართული ცეკვები-მე კი სპორტი ავირჩიე. მა-მიდაშვილები ბოქსიორები მყავდა-ნიკოლაძეები. ისინიც რაღაცეებს მასწავლიდნენ, თავდაცვას, ბოქსის სხვადასხვა ილეთს და კი არ დავდიოდი დედამიწაზე დავფრინავდი. ☺

მამას ნადირობა და თევზაობა უყვარდა ძალიან. შაბათ-კვირას, მთელი თუ არა ნახევარი სამშენებლო ტრესტი სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდა ჯანდარაში. მეც კარგად გამწვრთნა. შემიყვარდა იარაღი (მიზანში კარგად ვარტყავდი) და არა ნადირთა და ფრინველთა ხოცვა. თევზაობა ბადით და ანკესით ძალიან მომწონდა.

ერთ დღესაც მამამ გამამზადებინა სანადიროდ ყველაფერი რაც გვჭირდებოდა. ვარ ერთ ფაცა-ფუცში, გუდაში ჩავიდეთ საგზალი. ავწიე თავი და დედაჩემის თვალები დღემდე არ მავიწყდება, რა თვალებით მიყურებდა, რამდენ კითხვას და საყვედურს

ისროდა თვალებიდან და არა ბაგეებიდან, მაგრამ მამას, ხათრით ვერაფერი უთხრა, როგორ არ უნდოდა ჩემი წასვლა, მაგრამ ქმრის ხათრით მეც არაფერი მითხრა. ველოდი მის აფეთქებას. მამა ცოტა ადრე ჩავიდა ეზოში, რომ მეგობრის მანქანაში ჩაეწყო ყველაფერი. დედამ კი თბილი ტანსაცმელი დამიმატა კიდევ და რომ გამოვდიოდი მომაძახა-ერთი არაფერი მოგიტანიათო...☺

– შაბათი დღეა, შემოდგომის თბილი, ულამაზესი დღე. თოფები მომარჯვებული გვაქვს, უცბად კურდღელი გამოხტა ჩირგვიდან, გარეული კურდღელი არ გავს შინაურს, უფრო ცქვიტი და მარდია, მამამ მითხრა შენია ეგ კურდღელიო..

ამოვიღე მიზანში, მაგრამ სასხლეტს ვერაფრით ვერ გამოვკარი თითი, გული შემეკუმშა

რაღაცნაირად, წარმოვიდგინე სისხლში ამოსვრილი კურდღელი (სისხლის დღემდე მეშინია) დავუშვი იარაღი დაბლა, მამაჩემის ჩურჩული მომესმა, მიდი შვილო, მიდი რაღას უცდი? მივიხედე მისკენ გაბრწყინებული მიყურებდა იცოდა არ ავაცდენდი მიზანს. ყველაფერი წამებში ხდება, მზერა ისევ კურდღელისკენ მივმართე, მაგრამ დამიჯდებოდა და დამელოდებოდა მოდი მესროლეო?!.☺

– რატომ გაუშვი? არც ისე მკაცრად მითხრა მამაჩემმა. ხმა არ გავეცი. აღარც თვითონ უთქვამს არაფერი. იმ დღეს ვერაფერი მოვინადირეთ. მეც ხასიათი წამიხდა, მამა, რომ ,,გავაბრაზე“ .

ხვალ დილას წავიდეთ სახლში ადრეო. ვერ წავალთ მეთქი.

– რატომ?

– ნანადირევის გარეშე ვერ წავალთ. ვუპასუხე და მოვტრიალდი. მისი მზეჩასახლებული თაფლისფერი თვალებიდან ისეთი სითბო და სიყვარული იფრქვეოდა, ვერ აღვწერ.

– იმიტომ, რომ დედამ მითხრა, ერთი არაფერი მოგიტანიათო...

გაეცინა. არა აუშავს, არ იცი, დედაშენს ერთი სული აქვს სახლში როდის მივალთ.

მამას, ბევრი ნაცნობი და მეგობარი ყავდა. ასაკს და ეროვნებას არ ქონდა მისთვის მნიშვნელობა. პატარა სიკეთე, რომ ვინმეს გაეკეთებინა მისთვის მთელი ცხოვრება არ ავიწყდებოდა და მთელი ცხოვრობა მის მევალედ თვლიდა თავს.

იმ ღამეს მამაჩემის აზერბაიჯანელი მეგობრის ოჯახში დავრჩით. დაფაცურდნენ, ცხვრის ხორცს, რომ ვერ ვჭამდი, იმისთანა მწვადები ააშიშხინეს და ქაბაბები შეწვეს, ლამის თითებიც ზედ მივაყოლე. იმ ღამეს ,,მონადირეებს“ ისე გვეძინა, ფეხი არ გაგვინძრევია.

დილას მასპინძლებმა გვასაუზმეს, გავემზადეთ წამოსასვლელად. მამაჩემის აზერბაიჯანელ მეგობარს, რამდენიმე მეასედზე მწვანილი და სასალათე ბოლოკი ეთესა, ხოდა მისმა მეუღლემ გაგვივსო ნანადირევისთვის გამზადებული ,,გუდები“ ბოსტნეულით და ასე დავშორდით ერთმანეთს.

მივდივართ და ვფიქრობ დედაჩემზე, რას გვეტყვის მაინტერესებს ძალიან. მივედით სახლში . გავიხადეთ სანადირო ტანსაცმელი. თოფები გავწმინდე, გავაპრიალე, გილზებს თავისი ადგილი მივუჩინე და ველოდები განაჩენს.☺

დედაჩემი არ იღებს ხმას. არც არაფერს გვეუბნება. ვიფიქრეთ ქარიშხალმა გადაიარა და დაწყნარდა. სახლის უკან (ხუთსართულიანია ჩვენი სახლი) პატარა ნაკვეთი გვქონდა. ჩავედით და მამამ დაიწყო დაბარვა.

საღამო ხანს მოგვშივდა მე და მამას. დავიწყე სუფრის გაშლა, მივიტანე პური, მარილი– პირველ რიგში, მწვანილი, ყველი, რასაც დედა სუფრის მოსართავებს ეძახდა. მანამდე ხმა არ ამომიღია და რომ ვერაფერი ვნახე სხვა დედას ვკითხე კიდე რა მივიტანო მეთქი?

– მაცივარი გამოაღე და თქვენი ნანადირევი, გემრიელად შეკმაზულია და გამოიტანეო. ☺

– გაკვირვებულმა შევხედე, რა ნანადირევი? – გავიფიქრე და გახარებულმა გამოვხსენი მაცივარი. სანამ ჩვენ დაბლა ვბარავდით. დედას მოუხარშავს საქონლის ხორცი (მაშინ რატომღაც მალე იხარშებოდა ხორცი ☺) და გაგვიკეთა ბოლოკის (ჩვენი ნანადირევის) და ხორცის სალათა მაიონეზში, თან მთელი დიდი ქვაბით. სამი დღე კი ვჭამდით დღეში სამჯერ, მაგრამ მეტს ვერ მოვერიეთ მე და მამაჩემი. ☺

ხათუნა ჩიტაძე

ჩემო ცის თვალო

ჩემო ცის თვალო, კარიბჭევ კოსმოსის, როგორ მომინდა დაგანახვო ჩემი თვალით ნამზირალი ჩვენი სამყოფელი, ისე, როგორც ბავშვობისას. ჩემო ცის თვალო, ცისთვალო და სარკმელო ყველა განცდისა, სიხარულისა და წუხილისა, იცი, როგორ მინდა ჩემგან დანახული, შენს თვალებში ასახული გაასტყორცნო ასტრალს, ზესკნელს, ზენას, ან რაც გინდა ის დავარქათ!

ისე, როგორც ბავშვობისას მწვანე, აბიბინებულ ბალახზე ვზივარ და გიგზავნი გზავნილს, რომელიც უსათუოდ უნდა დაინახო და არ გაიგონო, დაინახო და დაიმახსოვრო, დაინახო და გადასცე იქ, იმ სამყოფელში, იმ სამყაროს მარადიულობას...

ვხსნი ჩემი სულის კარიბჭეს, ვხსნი ყველა გნცდას, სიხარულიდან წუხილამდე, სიყვარულიდან სიძულვილამდე, იმედიდან უიმედობამდე და ასე, განუსაზღვრელ გრძნობათა მთელს კასკადს და გავალებ, გთხოვ, იმ ბავშვობის ხათრით, იმ სიწმინდისა და სიალალის ხათრით, როდესაც გახსნილად ვსაუბრობდით მე და შენ, გთხოვ, დაინახო ყველაფერი და არ გაიგონო, დაინახო და გადასცე ზესკნელს, რათა უთვალავ სიხარულად, ბედნიერებად და სიყვარულად გადაქცეული ჩაჰფინოს ისევ შენს უკიდეგანო თვალებში და ერთ დღეს, სრულიად არაფრისგან გამორჩეულ დღეს, გახსნა შენი ცისთვალი, შენი ცის თაღი და დამიბრუნო უკეთესი, ვიდრე ყოფილა ყველა განცდა, მხოლოდ დადებითი!

მე და შენ დავიწყოთ და სულ, სულ ცოტათი უკეთესი გავხადოთ ჩვენი სამყარო.....

მოკლული მზე

ფიქრს დარდი ემატება, როცა აპრილი მოდის... ზაფხულს სიცოცხლე მოაქვს, მაგრამ ცხრა აპრილს, უზომო სევდა!

ჩემო ტანჯულო, ჩემო ტკბილ-მწარევ, ჩემო მამულო, მითხარ, რამდენი ცხრა აპრილი გაქვს ღია ჭრილობად? მოუთვლელი ტკივილი და გულის დაწყვეტა გადაგივლია, მართლაც ჭირ-ვარამ-გადანახადო ქვეყანავ ჩვენო!

მზემ ცის კიდე გააბრწყინა, დათბა, სულსა და გულშიც სითბომ იმატა, ჩემი ქართველის სულს კი ტანჯვად დააჩნდა ცხრა აპრილის სევდა და დარდი!

რა მოხდა მაინც?

როგორ გვებრძვის მტერი, ვერაგი!

ჩვენ მზე მოგვიკლეს 1989 წლის 9 აპრილს! რუსული იმპერიის სისასტიკემ ჩაგვიკლა ჩვენი თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობა!

იმ დღეს დღე არ ერქვა!

იმ დღეს არ გათენებულა!

ცხრა აპრილს დილა არ ჰქონია, არც საღამო და არც შუადღე! დრო გაიყინა ჩვენი შვილების უკვდავსაყოფად. გათენება ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებაა, ჩვენ კი სიცოცხლე და განთიადი წაგვართვეს! თავისუფლებისათვის გულაღტკინებული მშვიდობიანი მომიტინგე ახალგაზრდები უმოწყალოდ დაგვიხოცეს!

დაგვიჩეხეს!

...და, ისტორიას ეს ახალი სადარდებელი კლავს და აწუხებს, ატირებს თავისი პირტიტველი შვილების ბედი! მუხანათურად მოკლული გოგო-ბიჭების კვნესა არასოდეს გაქრება რუსთაველის ქუჩაზე... შვილო ნათია! შვილო ეკა! შვილო! შვილებო... არადა, თქვენც იქნებოდით დედები, გააჩენდით ხატულა შვილებს, გაზრდიდით პატრიოტ, ძლიერ, მართალ შთამომავლობას. ვაი, ვაი, რომ არ დაგცალდათ! ვაი, ვაი, რომ მტერმა ჩააქრო თქვენი სულების წმინდა ლამპარი!

ო, როგორ გლოვობ, ჩემო მამულო!

მათ ნაფეხურებს უკვალოდ ხომ არ ჩაუვლია? მათ თავგანწირვას გულის გულში ინახავს შთამომავლობა! კიდევ ერთხელ, მათით გაიგო საქართველომ ხმა თავისუფლებისა!

ნუ წუხარ, ჩემო ქვეყანავ! შენ ხომ მრავალი ჭრილობის, ტვირთის, ტკივილის გადამტანი ხარ! ჩვენ დაგიამებთ ყველა წყლულს და ყველა იარას, ჩვენს შვილებს შენს სალბუნად გავზრდით, არ დავუთმობთ მტერს სამშობლოს! სარწმუნოებას! ენას! თავისუფლებას!

იზრდება ერი!

ისევ ირწევა წყვილი აკვნები საქართველოში... ისევ ამოდის ცხრათვალა მზე... არ წაიშლება ჩვენი ჯიში! ისევ შევაბამთ გიშერს აკვნებზე...

ბაკურიანი

თებერვლის მზეა, ისეთი ცხელი, ცხელი... ჩვენსას, მარტის ბოლოს რომ იცის, ისეთი მწველია და თან ფიფქთეთრი თოვლი მოჰფენია მთაგორაკებს. პაწაწინა მარიამს ლოყები დაუბრაწა მზემ! ის მეორედ ბრძანდება ბაკურიანში. აი, დემეტრე კი სამი წლისაც არ არის და მესამე ზამთარს ხვდება აქ! ეს დღეები ულამაზეს გარემოში, უთბილეს ადამიანებთან ერთად გავატარეთ, ხაშურში ვნატრობდი მზეს და ბაკურიანში ამიხდა ნატვრა!

ეთუნამ, თამარმა და ნიკამ გულები იჯერეს თხილამურებზე სრიალით, დიდველიც „დალაშქრეს“ და ტოლი არ დაუდეს მამას. პატარებს კი ჯერ მხოლოდ ციგებით სრიალი ახარებთ.

დემეტრეს ხშირწამწამა თვალები სასწაულად გაუფართოვდა პონის დანახვისას. ჯერ სათამაშო ეგონა, მაგრამ ცხენმა რომ სიარული დაიწყო, აი, სწორედ მაშინ ჰქონდა საოცარი მზერა. დიდი ამაო! – დაიძახა. დემეტრე ორ წუთში ცხენზე ამხედრებული მშვიდად და დინჯი მზერით მიჰყვებოდა ცხენის პატრონს, რომელსაც ხელი ისე ჩაებღუჯა სადავისთვის, თითქოს დემეტრე გაქცევას ლამობდა, ხოლო პატრონი ამის საშუალებას არ აძლევდა! მარიამი კი ეთის კალთაში, ცხენზე მჯდარი გაოცებული იყურებოდა და მის ნატიფ, უნაზეს სახეს ათასი კითხვა დასთამაშებდა.

აბა, რა მოგვაწყენდა ბაკურიანში, მთელ სასტუმროში ჩემი ხმა ისმოდა: – ,,არ ჩავარდეს! გადავარდება! გაიპარა! გატეხა! მოტეხა! თვალს გამოითხრის'' და სხვა.

ხმაური სამი საათისთვის ცოტა მიჩუმდებოდა, შუადღის ძილის დროს. ძილი მაინც ჰქონდეთ მშვიდი! – ესეც არ არის!

... ახლაც სძინავთ... ნიკა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ კითხულობს. მე უბის წიგნაკი ჩანთასთან ერთად სახლში დამიტოვა თამომ, ჰოდა ახლა წერა ძალიან მომინდა და თამოს წიგნის ბოლო, თეთრ ფურცელზე, აი, ამ ჩანახატს ვწერ.

სულის ძირამდე ჩაღწეული სიმშვიდეა, მზე განსაკუთრებულად ანათებს, მგონია, რომ გაზაფხული შემოცურდა სარკმელში. მიყვარს მზე! მენატრება მზის სხივებით გადაშლილი

ყვავილები! მენატრება ჩემი სოფლის ლურჯ-ლილისფერი პეპლები. საოცარია – ამ მთათოვლიან ბაკურიანში მზე გაზაფხულის ღიმილით ჩამოგცქერის და თავბრუს გვახვევს. აქ უფრო მეტად მეჩქარება აპრილ-მაისი!

უმშვენიერესია დღეს ბაკურიანი! სიქათქათის საოცრებით, წყაროსავით წმინდა, სუფთა ჰაერითა და მონატრებული მზით!

პერანგები

თებერვლის მზეა, თბილისიდან მოვდივარ. რამდენიმე წელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ მისარგებლია. წელს ძალიან თბილი ზამთარი გვაქვს; რაც თავი მახსოვს, ასეთი თბილი ზამთარი არ გვქონია. ისე გავიდა იანვარი და თებერვალი, ერთი ფიფქი არ გადმოვარდნილა ზეციდან!

უცნაურად ამეკვიატა ბავშვობის მოგონებები, ასე, დაახლოებით 5-6 წლის ასაკიდან დავიწყე დედოფალებისთვის კაბების კერვა და ლექსების ზეპირად წერა, ცოტა მოგვიანებით, – ქარგვა, ქსოვა, ყაისნაღიც... ამიტომ რაც კი ხელში მომხვდებოდა ყველაფერს ვჭრიდი და ვკემსავდი. ასე გრძელდებოდა წლები, დღემდე ასეა... თოჯინები მალე შვილებმა ჩაანაცვლეს, ჰაერში ნასროლი რითმები – წიგნებმა, თავად ცხოვრება კი უკვე რამდენნაირად შეიცვალა!

დაახლოებით 10 წლისამ ნაქარგები საკუთარ სამოსზე გადავიტანე. ერთხელ მეზობლის უფროსმა გოგომ, თამრიკომ, ახალი ზედატანი მაჩვენა, რომელზეც ნაქარგები იყო განლაგებული, მამაკაცის პერანგს ჰგავდა; მეც იმ წამსვე დამებადა იდეა, რომ ჩემი ხელით შემეკერა ან გადამეკეთებინა მამის პერანგები. (რატომღაც გადაკეთება უფრო ადვილად გამომდიოდა).

აღნაგობით, ძალიან გამხდარი ვიყავი, სულ წუწუნებდა მამა; – აჭამეთ ამ ბავშვს, სისუსტით ჭლექი არ დაემართოსო. ახლა ამაზე გულიანად მეცინება, რადგან ძალიან ვგავარ „ჭლექიანს“!

პატარა გოგოს მამის პერანგები, აბა, კარგად როგორ მექნებოდა, ამიტომ ჩემი საყვარელი საქმიანობა უნდა ჩამეტარებინა, თითქმის ნაკუწებად უნდა მექცია დედის ხელით „გატკიცინებული“ პერანგები და ხელახლა ამეწყო ჩემ გემოზე.

თვალწინ მიდგას ყვავილებით მოქარგული კარადა. ფართოდ გამოღებული კარი, მამის ჩაკიწკიწებული ქათქათა პერანგები. დაუფიქრებლად ვხსნიდი პერანგებს და ბებოს „ზინგერიც“ ხმაურით უბანს აყრუებდა. მერე ორნამენტებს პერანგის მთელ სიგრძეზე ვქარგავდი და გამოვეწყობოდი! ყველას მოსწონდა ჩემი პერანგები, ჩემს ბედნიერებას კი საზღვარი არ ჰქონდა. წელამდე თმა მქონდა. გავიშლიდი – ასე უფრო მომხიბლავი მეგონა ჩემი სამოსი. მეზობლის გოგონები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

მერე, ისიც მახსოვს, მამა როგორ ამბობდა: სად წავიდა ჩემი პერანგებიო“. ჩემი ,,მუზების“ ამოწურვას დაახლოებით ზაფხულის ერთი თვე დასჭირდა და ათი-თორმეტი პერანგი.

საშინლად ძველი, ეგრეთწოდებული „მარშუტკა“ უცნაური ხმით მიიზლაზნება, მოგონებებს მოგონებები აება, სევდა გათბა, გაიშალა სხეულში, ცრემლებს ვერ ვიკავებ, კარგია, რომ ბოლოში ვზივარ. რამდენი რამეა იქ, ბავშვობაში. სად არის ის სახლი, ის ეზო, ის ოთახები, ოთახების ფერი და გემო. სად გაქრა მამის პერანგები?

სადა ხარ, მამა!

დევი

/ციკლიდან ,,ბავშვობა და სიზმრები''/

მთელი ბავშვობა მეშინოდა სხვადასხვა მისტიური, თუ ზღაპარში მოყოლილი არაამქვეყნიური არსებებისა, მითუმეტეს, როცა უფროსი ძმები გაშინებდნენ და სხვადასხვა ამბებს გიყვებოდნენ „შავ ხელზე“, ეშმაკებსა და ურჩხულებზე.

არ ვიცი, ამას დავაბრალო თუ არა დღემდე არასასიამოვნო შეგრძნებები, თუ ჩემს წარმოსახვას, მაგრამ ახლა რასაც მოგითხრობთ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება. ამ ამბავმა სამუდამოდ დაივანა ჩემში და ამდენი წლის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი მაშინდელი განცდები და ეს ისტორია გამეცნო თქვენთვის.

მაშინ ჯერაც პატარა ვიყავი. ასე 5-6 წლის. სოფელში ვისვენებდით, ჩვენს ზვარეში. მაშინ, რიმა ბებოც ჩვენთან იყო და ვფიქრობ, ბაბუაც (მამის მხრიდან). ზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა, როგორც ყოველთვის ზვარეში საკმაოდ გრილოდა. ნაწვიმარ ბალახს და ეზოს სამშვენის სამყურებს სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. მე ეზოში გამოვედი, დედას შევძახე, კაკლის ქვეშ ვიქნები-თქო. ჩვენს სახლს მარცხენა მხარეს აღმართი აუდის ეზოდან, ზემოთ ულამაზესი კალო გვაქვს, რომელიც სახლის სახურავს უსწორდება. აღმართზე და კალოზე უძველესი მუხის ხეები დგას. 200-300 წლისანი. ეზოს უკან ბილიკი გადადის, ეს ბილიკი საკმაოდ განიერია და ზემო ზვარეს უერთდება, ასევე იტოტება და ეგრთწოდებულ „დღოწებშიც“ გადადის. აქ იშვიათად თუ აივლის ან ჩამოივლის ადამიანი. საინტერესო ადგილია ეს დღოწები, ანუ მიწა, რომელიც ერთ დროს მოშვავდა, ანუ მოიდღოწა და მთელი საუკუნეა, ზედ მოსახლეობა აღარ სახლობს. ასე შეარქვა ზვარის მოსახლეობამ ამ ადგილს მოშვავებული ადგილ-ნასახლარები. დღოწებიდან ნუნისის მიდამოებში გადავდივართ და იქ არის ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი მისტიური ადგილები: დევების გამოქვაბული, ბერების კლდე, დედაბერას მთა და.ა.შ. რომ მოვიზარდე ამ დღოწებში მე და ჩემი მეგობრები: ეკა, მაკა, შორენა, ნანა, ნათია, თია, ელზა და სხვა, ერთად დავდიოდით, და შეჯიბრსაც ვაწყობდით, ვინ უფრო სწრაფად აცოცდებოდა მოშვავებულ მიწებზე, რომლის მაღლაც ულამაზესი სანახები იყო. ხანდახან მარტოც მივდიოდი, რადგან პაწაწინა გორაკები, ბილიკები, თხილის ხეები, ჩრდილი და ბევრზე ბევრი გვირილები ჩემს სულს ძალიან ამშვენებდა. მოვძებნიდი სუფთა, ხშირბალახიან მდელოს, მერე ზედ დავწვებოდი და ძალიან დიდხანს ვუყურებდი ცას. ღრუბლებს ვამსგავსებდი სხვადასხვა ფორმებს, ცხოველებს, მცენარეებს... მეგობრებთან ერთად თუ ვიყავი, იქ ერთი დიდი ჩამოშვავებული კლდიანი გორა იყო და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მალე ავიდოდა ამ კლდეზე. ძალიან ხშირად პირველი ავდიოდი და გადმოვკივლებდი გოგონებს – „მოვიგე! მოვიგე!“ ზოგჯერ, კლდის შუა ნაწილში სილასავით მიწა ფეხებიდან და ხელებიდან გვეცლებოდა და ჩამოვგორდებოდით ხოლმე ბოლომდე, გვერდებიც კარგად დაგვიჟეჟია. ასეთი შეუდარებელი და ზღაპრულია ბავშვობა, ეს მოგონებები ახლა სულს მიპურებს. ზვარეზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ ისევ იმ საღამოს დავუბრუნდები, ასე, დაახლოებით 32 წლის წინ რომ ჩამრჩა მეხსიერებაში.

...თამაშში გავერთე, სახლიდან სასიამოვნო ჟრიამული გამოდიოდა, იცინოდნენ, ხმაურობდნენ, ოთახები სავსე იყო ჩემი ძვირფასი ადამიანებით. „შუშაბანდიდან“ მზისფერი შუქი იღვრებოდა მთელს წინა ეზოში. სასიამოვნო განწყობით თოჯინას ხელი დავავლე და კალოზე გასეირნება გადავწყვიტე. ჭრიჭინების „ჭრიამული“ და ციცინათელებით მოციმციმებული ეზო მოკირწყლულ ბილიკს თან გასდევდა. ეხლაც თავლწინ მიდგას ეზოს შემოგარენი და მეცნობა ის სუნი... მუხის ხეებს რომ გავუსწორდი ეზოში ანთებული შუქი კარგად აღარ მინათებდა გზას.

თვალები და გონება დავძაბე, შიშიც შემომეპარა, მაგრამ ჯიუტი ვიყავი და აქაც ჯიუტად მივდიოდი წინ! მუხები ყოველთვის შიშს მგვრიდა, არ ვიცი რატომ, მაგრამ დღესაც ასეა. ალბათ იმიტომ, რომ ერთ ასეთ ამბავს ყვებოდა ხოლმე ბებო, – თითქოს ერთი საუკუნის წინ ამ ტერიტორიაზე არავინ არ ცხოვრობდა. ამ ადგილებში კი სასაფლაო ყოფილა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ეს მუხები ისეა დარგული, როგორც შესასვლელი კარიბჭე იყოს თავიდანვე გამიზნულ-განსაზღვრული.

მახსოვს კალოზე ავედი და უცნაური სიჩუმე იდგა. უეცრად შორიდან ცხენის ფლოქვების ხმა გავიგონე. უსიამოვნო შეგრძნება, სიბნელეს რომ ახლავს თან, იმწამსვე გამიქრა. ღობესთან მივირბინე და გაფაციცებული ვიყურებოდი, როდის დავინახავდი ცხენს. ბავშვური მოლოდინით ვიყავი სავსე.

ფლოქვების ხმა მიახლოვდებოდა, სიბნელეში კონტურები გამოიკვეთა, უფრო განათდა და თითქმის რომ გამისწორდა, მე, მომლოდინემ ცხენიანი მხედრისა, აი, ასეთი რამ დავინახე: უზარმაზარ ცხენზე ძალიან დიდი კაცი იჯდა, ხუჭუჭა, წითური თმა ზომაზე მეტად ჰქონდა თავზე შემობურული. ორი თვალის მაგივრად სამი დიდი, წითელი თვალი ჰქონდა. ერთი, დიდი, შუბლზე! ასეთი დიდი თავი და წითელი, ჩასისხლიანებული თვალები, მართლაც გულისგამხეთქავად გამოიყურებოდა! მითუმეტეს რომ კარგად ვერ გავარჩიე, დიდი ზომის ყურები ჰქონდა თუ რქები. ჩემ წინ იდგა, ასე დაახლოებით სამი წამი. ალბათ იმ წამებში იმ დევზე დიდი თვალები მე გამიხდა და მთელი ძალ-ღონით ისეთი შევკივლე, ჩემი ხმა მეხის გავარდნას უფრო ჰგავდა, ვიდრე კივილს.

დიდთავა მხედარი ადგილს მოსწყდა და წავიდა. ცხენის ფლოქვების ხმა უკვე ჩემი ზურგის უკნიდან ისმოდა, რადგან კალოდან თავპირისმტვრევით მოვრბოდი და ისეთი შეშინებული ვიყავი, პირველად ვიგრძენი, რომ გულს „რაღაც“ დაემართა.

მახსოვს მამაჩემის შეშინებული თვალები და მერე ხუთ წუთში, კარგად რომ შემათვალიერა, მაბრაზებდა და დამცინოდა. დევი კიარა, რამ მოალანდა ამ ბავშვს დევი – არადა თვითონაც ჩაფიქრებული იყო. მთელი ღამე ჩემს დამშვიდებას მოუნდა ჩემი ოჯახი, თვალი არ მომიხუჭავს, სულ „დევი იყო“-ს გავიძახოდი. ის ცივი განცდა, ახლაც ტანში მაქვს და ამ წუთშიც თვალწინ მიდგას, როგორ დამჩერებოდა დევკაცი. ასე მგონია, ძალიან რომ არ მეკივლა, ალბათ მომიტაცებდა.

სასაცილო ამბავია, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ეს დევი ნამდვილად არ მომლანდებია და მისი მესამე თვალი ახლაც თვალწინ მიდგას, ზუსტად თვალებში ჩამხედა, თითქოს იმისთვის იყო მოსული, რომ ვენახე.

... მერე სოფელში ბევრს იხსენებდნენ და საუბრობდნენ მოხუცი ქალები, რომ დედაბერას მთაზე ერთ დედაბერს, საუკუნეების წინ დევები გაუჩენია და მას შემდეგ, იქ, ერთ გამოქვაბულში, სადაც ადამიანები არასდროს ყოფილან, ჩუმად, თავისთვის ცხოვრობენო. ღამ-ღამობით, ჩუმად სოფელში ჩამოდიანო, კაცთა ძენი ენატრებათო... ერთმა ისიც თქვა, რომ ეს დევები რომელ ადამიანსაც თვალებში შეხედავენ, ისინი აუცილებლად ხელოვნების მსახურნი იქნებიანო.

ერთი სიტყვით, იმ დევს უნდა ვუმადლოდე, რომ კალამი, ფერები მიყვარს და ხელსაქმე მეხერხება.

ნაძვის ხე

ქაოსში ძლივს ვართმევ თავს, რომ ნივთებს ადგილი მივუჩინო... მერე კი სევდის მძივები მებნევა ყელზე, მოგონებების ჯარი მოდის ჯარად! ერთ წუთს ვყუჩდები და ოთახის კუთხეში

დატუქსული ბავშვივით სკამზე ჩამომჯდარი მოგონებების წამიერ, უსიერ ტყეში შევდივარ... ვგრძნობ, რომ ყველა მენატრება გაღმა გასულთა საუფლოდან, მაგრამ მამა... მამა უფრო ძალიან მენატრება ახლა, ამ წუთში, ამ წინა საახალწლო დროს.

ბავშვობაში, ახალი წლის წინა დღეებში მამის ხელით საგანგებოდ მოჭრილი ნაძვის ხე ირთვებოდა. როგორ ველოდი, როდის შებინდდებოდა, რომ მამის მანქანა გამოჩენილიყო ჩვენი ქუჩის თავიდან. უზარმაზარი ნაძვის ხის მოსართავად მთელი ჩვენი ნათესაობა მოდიოდა, იყო ზეიმი, ჟრიამული და მამის სიხარულით, ბავშვივით ანთებული გიშრის თვალები. თვალწინ მიდგას სხვადასხვა ზომის ყუთები და შიგ ფაქიზად, დედის ხელით ჩალაგებული ულამაზესი ნაძვის ხის სათამაშოები. მამა კიბეს ამოიტანდა და ყველა, დიდი თუ პატარა, მისი განკარგულების ქვეშ ვიმყოფებოდით. როგორი მადლიერი ვარ შენი, მამა. ახლა, აქედან გეუბნები იმას, რომ დამიტოვე ულამაზესი მოგონებანი... მიყვარხარ! ისევ ისე, როგორც ყოველთვის. კინოფილმის კადრებივით იშლება ის დეტალებიც კი, რაც იქ, იმ წუთებში ხდებოდა და ბოლოს, აბრიალებული ნაძვის ხე! ყველაზე ლამაზი და სრულყოფილი! ისეთი, როგორიც არასდროს, არსად მინახავს და ვერც ვერასოდეს ვნახავ, – მამისეული ნაძვის ხე! ოთახის სურნელი მახსოვს... წიწვების ფერი... და ის ფერი, რომელიც აღარასოდეს განმეორებულა იმ ბავშვობის მერე...

ნინო

ვინც ახლოს მიცნობს, ყველამ კარგად იცის, თუ როგორ მინდოდა მთელი ცხოვრება და მყოლოდა. სამი ძმის კვალობაზე, მერწმუნეთ, ამის სურვილი ყველას გექნებოდა, თან მაშინ, როცა სამივე ძმაზე პატარა ხარ!

ჩემს გარშემომყოფებს, მეგობარ ქალს, ნათესავს ან თუნდაც ნებისმიერ მანდილოსანს, დედისა და დის თვალებით ვუყურებ.

მათ შორის გამორჩეულია ის ერთი, ის, რომელიც ჯერ სულმა, მერე კი გულმა მიიღო! მშვიდი, თბილი თვალები მის მშვენიერ სახეს სამშვენისად ჩაბნევია. ნატიფ სხეულს სული იმაზე ლამაზი აქვს, ვიდრე სხვა დანარჩენი.

ჩემს ყველა განცდას, სიხარულს, ტკივილს გულში ატარებს, ჩემი გასახარი უხარია, ჩემი საწყენი სწყინს, ფიქრობს ჩემზე... რამდენიმე დღე თუ გადაება ისე, რომ არ ვნახო, ვფორიაქობ, მენატრება მისი ფახულა, თბილი თვალები, სახე და ყველაზე მშვიდი ღიმილი.

იცის, რომ მიყვარს! პირველი შეხვედრისთნავე ჩემი სულის სიმებს შეეხო ის გოგონა, რომელიც საერთოდ არ მიცნობდა, მაგრამ იცოდა თუ ვინ ვიყავი.

მერე ყველაფერი თავისით და უფლის წყალობით მოხდა. დღეს ის დედაა, ჩემი მეგობარი, ჩემი ძმის ცოლი, ჩემი ძმისშვილების დედა და ყველაზე საყვარელი მეგობარი.

მე და არ მყოლია, ბიოლოგიური და... მადლობა უფალს, რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ასეთი ღირსეული ადამიანია.

ის, უბრალოდ, ჩემი ნინოა...

ლია ჩუქოვანი-გოგრიჭიანი

ახდენილი ოცნება

1

ტაძრის შესასვლელთან პატარა ბიჭი იჯდა და მოწყალებას ითხოვდა, თანაც, თვალებზე მომდგარ ცრემლებს მალიმალ ყლაპავდა. გამვლელებიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გაიღო მოწყალება. ბავშვს შიმშილისგან კუჭი ეწვოდა, სირცხვილისგან – სხეული, ხოლო ასეთი უღმერთო ცხოვრებისგან – სული. თანხა, რომელიც მან დააგროვა, ერთ პურსაც კი არ ჰყოფნიდა.

დიდხანს ითმინა პატარა მირზამ, მაგრამ შიმშილს ვეღარ გაუძლო, ახლომდებარე მაღაზიაში ერთი ცალი ფუნთუშა იყიდა და თავის ადგილს დაუბრუნდა – ცოტა სული მოითქვა. შემდეგ ფიქრს მიეცა: – რა დავაშავე ასეთი, როდემდე უნდა ვიტანჯო? ჩემი ასაკის ბავშვებს მშობლები თავს ევლებიან და არაფერს აკლებენ, მე კი გაჩენის დღიდანვე მიმაგდეს, როგორც ძველი ნივთი!

ვიდრე, ბებო ცოცხალი იყო, ცდილობდა არაფერი მოეკლო ჩემთვის. საწყალი ბებო სხეულს ძლივს დაათრევდა და მაინც აქ მოდიოდა კეთილი ადამიანების იმედად, რომ თავი გაგვეტანა. ნეტავ, ის მაინც იყოს ცოცხალი... ორი კაპიკი პენსია გვექნებოდა და პურს მაინც ვიყიდდით, თანაც, მისი იმედი მექნებოდა. დღეს კი, სრულიად მარტო ვარ – უსახლკარო, მშიერ-მწყურვალი. უეცრად ხელებზე დაიხედა – ეჰ რა ბინძური ხელები მაქვს, რა არის ჩემი ცხოვრება? მაგრამ არა, მირზა, შენ არ უნდა დაეცე – შემოუძახა საკუთარ თავს, – შეეცადე ცოტაც გაუძლო, წამოიზრდები, იშრომებ, ისწავლი და კაცი დადგები!

ამ ფიქრებში შემოაღამდა, თუმცა, წასვლას მაინც არსად არ აპირებდა, იქვე, ტაძრის ჭიშკართან მიწვა, ბალიშის მაგივრად ქვა ამოიდო და დაიძინა. რამდენიმე ხანში ვიღაც კოხტად ჩაცმული ვაჟი მიუახლოვდა, მასზე, ალბათ, რამდენიმე წლით უფროსი იქნებოდა, ფეხი ჰკრა და უხეშად უთხრა:

– რას დაგდებულხარ აქ, წაეთრიე აქედან!

საბრალომ თავი ასწია, ნამძინარევი ცრემლმორეული თვალებით ახედა და ჰკითხა:

– რა გინდათ ჩემგან, დავაშავე რამე?

– გაეცალე აქაურობას ეხლავე! – ბრძანების კილოთი უთხრა მოსულმა.

– ვითომ, რატომ? შენია ეს ტერიტორია? შენ ისიც გეყოფა, რომ ფუფუნებაში ცხოვრობ და არაფერი არ გაკლია.

– შენ საიდან იცი, მე რა მაკლია და რა არა?

– ვხედავ როგორი ჩაცმული ხარ. მე არც სახლი მაქვს და არც ტანსაცმელი, არც საგები და არც სახურავი, რასაც ხედავ, ეს არის ჩემი სიმდიდრე – იმ ქვაზე მიუთითა, რომელზედაც თავი ედო. უეცრად მომხვდურმა ტონი შეიცვალა და ჰკითხა:

– რა გქვია?

– მირზა.

– კი, მაგრამ მშობლები სადა გყავს?

– არა მყავს.

– თავს რით ირჩენ?

– მოწყალებას ვითხოვ ხალხისგან.

– და მერე გაძლევს ვინმე?

– დღეს მხოლოდ

ფუნთუშის ფული ვიშოვნე. ზოგჯერ იმასაც კი ვერ ვშოულობ.

– და მერე რას ჭამ?

– არაფერს!

– შენ რა გქვია? – ჰკითხა მირზამ.

– მე მზეჭაბუკს მეძახიან.

– მართლაც მზესავით ანათებ.

– მირზა, აწი აღარ წაგეჩხუბები. წამოდი ჩემთან, აქვე ახლოს ვცხოვრობ.

– არა, ვერ წამოვალ, შენი მშობლები რას იტყვიან?!

– არაფერს.

– არა, მადლობა, ვერ წამოვალ.

– კარგი, მაშინ მე წავალ და ისევ დავბრუნდები, – უთხრა მზესავით ბიჭმა და იქაურობას სწრაფი ნაბიჯით გაეცალა.

გული შეეკუმშა პატარა ბიჭის ცოდვით.

შინ შევიდა და დედას გასძახა:

– დედი, დედი...

– რა იყო შვილო?

– დედი იცი, პატარა მათხოვარი ვნახე, ჩვენს ტაძართან ეძინა, თავი ქვაზე ისე ედო, თითქოს ბუმბულის ბალიშს ჩახუტებოდა.

– ეგ ბავშვი სულ მანდ ზის შვილო!

– დედი, მომეცი ცოტა საჭმელი და ტანსაცმელი, უნდა წავუღო.

ქალი ცოტა შეცბა, მაგრამ შვილის საქციელი მოეწონა.

– კი, მაგრამ შენ რომ ასეთი გულკეთილი არა ხარ, რა მოხდა ასეთი?

– დედი, მე მას შეურაცხყოფა მივაყენე, მაგრამ, როცა გავესაუბრე, მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ძალიან შემეცოდა და მინდა დავეხმარო. უფლება მომეცი დედა, რომ სახლში მოვიყვანო, ვაბანავო და ერთად ვითამაშოთ. თუნდაც აივანზე დაიძინოს, ქუჩას ხომ აჯობებს?!

– რადგან მისმა აღმოჩენამ შენში კეთილი ადამიანი გააღვიძა, წადი და მოიყვანე. ესენი კი წაუღე. რომ არ წამოგყვეს? მაინც სცადე დედი, იქნებ, დაიყოლიო.

– რა კარგია, რომ ნება დამრთე. ზოგჯერ კითხვასაც ვასწავლი.

ქალი უყურებდა მიმავალ შვილს და უხაროდა, რომ ეს ეგოისტური ხასიათის ბავშვი ერთ დღეში გარდაიქმნა.

– მირზა! – შორიდანვე დაუძახა მზეჭაბუკმა.

– აქ ვარ.

– იცი? ჩემთან უნდა წაგიყვანო, დედამ ნება დამრთო.

– აუ, მრცხვენია, ვერ წამოვალ, აქ დავრჩები.

– მაშინ ხვალ დედას მოვიყვან და გაგაცნობ, შემდეგ ხომ აღარ შეგრცხვება?

– ვნახოთ – მოკლედ უპასუხა მირზამ.

– ახლა საჭმელი და ტანსაცმელი მოგიტანე. აბა დაჯექი და ჭამე. ხვალ ჩვენთან იბანავებ და ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამ.

მირზას თვალები გაუნათდა, ცელოფანის პარკიდან საჭმელი ამოიღო. დიდ ლუკმებს იტენიდა პირში, თანაც მადლიერებით აღსავსე მზერით შესცქეროდა მის წინ მდგარ ვაჟს.

– მგონი შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა.

– ხედავ, ზოგჯერ ჩხუბით დაწყებული საქმეც კარგად მთავრდება?!

– მე კი მეგონა, მცემდი.

– ეგრეც ვაპირებდი, მაგრამ შენმა მონათხრობმა აზრი შემაცვლევინა. ჩათვალე, რომ დღეიდან მარტო აღარ ხარ. ერთი ძმა გყავს ჩემი სახით და თუ ჩემთან წამოხვალ, წერა-კითხვასაც გასწავლი.

მირზას სურვილი გაუჩნდა ჩახუტებოდა ახლად გაცნობილ მეგობარს, მაგრამ გაიფიქრა: „ასეთი ჭუჭყიანი როგორ უნდა ჩავეხუტოო და უკან დაიხია. რა ვქნა, წავყვე სახლში და მისი მშობლებიდან რომელიმე ცუდად რომ მომექცეს? არა, უმჯობესია აქ დავრჩე... " მზეჭაბუკს კი უთხრა:

– როგორ გამახარეთ რომ მასწავლით. რომ გავიზრდები, ექიმი მინდა გამოვიდე.

– აბა, კარგად დაფიქრდი, მოდიხარ ჩემთან?

– დღეს ვერ წამოვალ ასეთი ბინძური.

– კარგი, ხვალ მე და ჩემი მშობლები წაგიყვანთ სახლში, იქ შეგიძლია იბანავო და გამოიცვალო კიდეც.

მირზა სიხარულისგან ატირდა. მეგობარს დაემშვიდობა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ბედნიერე-

ბისაგან ღრუბლებში დანავარდობდა და მომავლის გეგმებს აწყობდა. ისევ მიწვა ჯერ კიდევ თბილ ასფალტზე, თავქვეშ მეგობრის ნაბოძები ტანსაცმელებიანი პარკი ამოიდო. იმდებად რბილი მოეჩვენა სასთუმალი, რომ ბუმბულის ბალიში ეგონა. ის ღამე ნახევარად არ სძინებია. გაჰყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ღმერთს მადლობა სწირავდა, რომ მხსნელად მოევლინა მზეჭაბუკის სახით.

შინ დაბრუნებულ ვაჟს დედამ ჰკითხა:

– აბა, მომიყევი, როგორ შეხვდა შენს საქციელს ის ბიჭი?

– დედა, მისი გაბრწყინებული თვალები უნდა გენახა. როცა საჭმელი მივეცი, ტანსაცმელისთვის არც კი დაუხედავს.

– შვილო, ალბათ შიოდა და იმიტომ.

– რა თქმა უნდა, დღეს თითქმის არაფერი უჭამია.

– რატომ არ წამოიყვანე სახლში? ეს

– არ წომომყვა, რცხვენია.

მე კი პირობა მივეცი, რომ ხვალ თქვენთან ერთად მივაკითხავ და წამოვიყვანთ.

– მაინც რა ნახე ასეთი იმ ბავშვში, რომ გინდა შენს გვერდით გყავდეს?

– დედა, მეცოდება. ამ ქვეყნად არავინ ჰყავს. თავისით ირჩენს თავს და იცი, რომ ექიმი უნდა გამოვდეს? იქ თუ იქნება, როგორ შეძლებს ამ ოცნების ახდენას? ჩვენთვის კი ოჯახში ერთი ადამიანის მომატება არაფერს ნიშნავს.

– კარგი, შვილო. რადგან ასე ძალიან გსურს, ამაღამ მამაშენს დაველაპარაკები და საძინებელსაც მოვუმზადებ. შენ კი წადი და დაიძინე.

ტკბილი ძილი, ჩემო ერთადერთო, – უთხრა შვილს, მოეფერა და თავადაც საძინებელში გავიდა.

ის ღამე ვაჟმა თეთრად გაათენა. ფიქრობდა პატარა მეგობარზე, მის ტრაგიკულ ცხოვრებაზე. რამდენჯერმე თავისი თავი წარმოიდგინა მის ადგილზე და შიშით გული გაეყინა. როგორ შეეძლო ქუჩაში ძილი მშიერმწყურვალს. უეცრად ფიქრებში მირზას მშობლები ამოუტივტივდა: – ნეტავ რატომ მიატოვეს მშობლებმა, ან ვინ უპატრონა დღემდე. რამდენი რამ არ ვიცი მის შესახებ და მაინც მინდა დავეხმარო. ნეტავ რატომ იმოქმედა ჩემზე ასე მისმა ყოფიერებამ? ნეტავ როგორი შეგრძნებაა ქუჩაში ძილი? მე ამაღამვე უნდა განვიცადო, ახლავე უნდა გავიპარო სახლიდან და მის გვერდით გავატარო ეს ღამე.

ბიჭი მეორედ არც კი დაფიქრებულა, ისე გაიპარა სახლიდან და პეტრე-პავლეს სახელობის ტაძრის შესასვლელს მიადგა. თვალით მირზას დაეძებდა. უეცრად დაინახა ძირს გართხმულს როგორ საამოდ ეძინა. არ გააღვიძა. მივიდა და გვერდით მიუწვა.

– ოჰ, ღმერთო, რა ლამაზი ცაა. სავსე მთავარე და მოკაშკაშე ვარსკვლავები, მაგრამ რა საოცარი სიჩუმეა. ნუთუ არ ეშინია ასე პატარას მარტოდმარტოს გარეთ? ანდა ზამთარში სად იძინებდა, ნეტა? ხვალ ყველაფერი უნდა გამოვკითხო... "ფიქრებიდან მირზას ხმამ გამოიყვანა:

– შენ აქ რას აკეთებ, მეგობარო?

– მარტო არ დაგტოვე და სახლიდან გამოვიპარე.

– ძალიან დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ ქუჩა შენი საქმე არ არის. წადი, დაბრუნდი სახლში. აქ ბევრი გაუთვალისწინებელი რამ ხდება, რაც შენთვის ძალიან უცხოა. თანაც, გეტყობა რომ ამ ქუჩის შვილი არა ხარ და არავინ გავნოს. წადი სახლში. ხვალ შევხვდეთ.

– გიყურებ და მიკვირს როგორ დიდი კაცივით მესაუბრები.

– ცხოვრებამ გამომზარდა, სიმწარემ გამომწრთო ისე, როგორც ცეცხლში იწრთობა რკინა და იმაზე მეტად დამვაჟკაცა, ვიდრე ასაკი მაქვს. წამოდი გაგაცილებ.

გამთენიისას აქ ცუდი ბიჭები იყრიან თავს. მე არავინ არაფერს არ მეუბნება, რადგან იციან, ერთი უბრალო მათხოვარი ვარ. შენთვის კი საშიშია. ჩემს გამო თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებ.

– კარგი დაგიჯერებ, მე ქუჩისა არაფერი არ გამეგება,

ხვალ კი ისევ გნახავ. ხომ წამოხვალ? დედამ იცის და მამასაც დაელაპარაკება.

დავფიქრდები მეგობარო.

მირზამ სახლთან ახლოს მიაცილა იგი და იქვე სკვერში დადგმულ ხის სკამზე წამოწვა. – ნეტავ, რატომ აქამდე არ ვიცოდი ეს ადგილი, ძირს წოლას აქ არ ჯობდა?!" – გაიფიქრა.

მზეჭაბუკი შინ ისევ ისე ჩუმად შევიდა, როგორც

გამოვიდა. საწოლში ჩაწვა და მალევე ჩაეძინა.

დილით სკოლაში წავიდა. ტაძარს მიუახლოვდა – თავალებით ახლად შეძენილ მეგობარს დაეძებდა, მაგრამ ის არსად ჩანდა. გაახსენდა წუხანდელი საუბარი და შიშმა შეიპყრო: – ვაითუ, რაიმე ცუდი შეემთხვა? კიდევ უფრო კარგად დაათვალიერა იქაურობა, გულმა აღარ მოუთმინა და ტაძარში შევიდა, იქნებ იქ მაინც ვიპოვოო, მაგრამ ამაოდ. ლამის ატირდა. გარეთ გამოსულმა კართან მჯდარ ქალს ჰკითხა:

– აქ რომ პატარა ბიჭი ზის ხოლმე ხომ არ დაგინახავთ?

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

უეცრად რაღაც მოაგონდა, საათს დახედა სკოლაში აგვიანდებოდა, რომ არ წასულიყო, მამა არ აპატიებდა უცნობის გამო გაკვთილების გაცდენას.

სხვა რაღა დარჩენოდა და სირბილით გაუყვა გზას, თუმცა, შიში იმისა, რომ იქნებ რაღაც დაემართა მირზას, თავს არ ანებებდა.

ამ ფიქრებით შევიდა სკოლის ეზოში და ზარიც დაირეკა.

კიბეები სწრაფად აირბინა, საკლასო ოთახში შევიდა და მასწავლებელიც მიჰყვა ფეხდაფეხ. ბავშვებს მიესალმა. ჟურნალი მაგიდაზე დადო. სია ამოიკითხა.

მასწავლებელი საქმეს შეუდგა. მზეჭაბუკს კი იმ გაკვეთილიდან ერთი სიტყვაც არ გაუგონია. ერთი სული ჰქონდა როდის გაილეოდა დღე, რომ მირზა მოეძებნა.

მასწავლებელს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი უყურადღებობა და შენიშვნა მისცა:

– ყურადღებით მომისმინე მიქაუტაძე, ვხედავ შენ დღეს ღრუბლებში დაფრინავ, რა გჭირს?

– არაფერი, მასწავლებელო, – უპასუხა მან.

– აბა, დაჯექი და მომისმინე, – თქვა და გაკვეთილის ახსნა განაგრძო. მალე ზარიც დაირეკა და ბავშვებიც წამოიშალნენ.

მზეჭაბუკი ისევ თავის ადგილზე დარჩა.

გვერდით მეგობარი გოგონა მიუჯდა:

– დღეს რაღაც ხასიათზე ვერ ხარ ჭაბუკა, ხომ მშვიდობაა?

კარგა ხანს იფიქრა ეთქვა თუ არა სიმართლე, რის გამო ღელავდა, მაგრამ მიხვდა, რომ დაცინვის საგანი გახდებოდა, ამიტომ უპასუხა:

– უბრალოდ უხასითოდ ვარ. მადლობა ყურადღებისთვის.

მომდევნო გაკვეთილები კიდევ უფრო ხანგრძლივი მოეჩვენა მიქაუტაძეს. როგორც იქნა, დრო ამოიწურა. როგორც კი მასწავლებელი გავიდა საკლასო ოთახიდან, გალიიდან გაფრენილი ჩიტივით გავარდა გარეთ და სირბილით გადაკვეთა გზა. როცა ტაძარს მოუხლოვდა, შენიშნა, მირზა თავისთვის იჯდა და ისევ მოწყალებას ითხოვდა.

ჟაბუკას თვალებში მზის სხივები აუციმციმდა სიხარულისგან, გაიქცა, დიდი ხნის უნახავივით მოეხვია. არც კი უფიქრია, რომ მისი ჭუჭყიანი სხეული და ტანსაცმელი დასვრიდა. მისთვის მთავარი იყო რომ ცოცხალი იპოვა.

– ბიჭო, როგორ მანერვიულე?!

– მე რატომ? – შეკრთა მირზა.

– დილით სად იყავი, გეძებე, ვერსად გიპოვე.

– წუხელ, შენ რომ გაგაცილე, სკვერში ხის სკამზე წამოვწექი და დავიძინე.

– ჭამე რამე?

– შენი მოტანილი საჭმელი მქონდა ცოტა.

– არა, აქ ვეღარ დაგტოვებ. ჩემთან უნდა წამოხვიდე იცოდე! წინააღმდეგ შემთხვევაში მე მოვალ შენთან.

– ახლა არა, ვერ წამოვალ. წადი, დაღლილი იქნები, დაისვენე, იმეცადინე, თუ შენი მშობლები თანახმანი იქნებიან, შემდეგ წამოვალ.

–

– კარგი, გავიქცევი, დედას ვკითხავ, თუ ესაუბრა მამას და ისევ დავბრუნდები. არსად წახვიდე, თორემ, რომ ვერ გნახო, ვინერვიულებ.

– არა, არ წავალ, აქ დაგელოდები.

– აბა, დროებით მეგობარო, – უთხრა მირზას ჭაბუკამ და სახლისაკენ გაიქცა.

შინ შესულმა ჩანთა ოთახის კართან მიაგდო და დედას მოვარდა:

– დედი, დედი, რა ქენი, მამასთან მოაგვარე საქმე? ის ბიჭი უნდა მოვიყვანოთ.

– კი, შვილო, ვესაუბრე, მაგრამ უარზე დგას.

– კარგი, დედი, მაშინ მე წავალ და მასავით ვიცხოვრებ. მე მას მარტო აღარ დავტოვებ. დღეს, სკოლაში რომ წავედი, ვეძებე და ვერ ვიპოვე, ლამის

გული გამისკდა, ვაი, თუ რაიმე დაემრთა, ან საერთოდ ვეღარ ვიპოვო-თქო. რომ დავბრუნდი ვიპოვე და მე მისი დაკარგვა აღარ მინდა. გთხოვ, დედიკო, წამოვიყვანოთ, დავბანოთ, საჭმელი ვაჭამოთ. თუნდაც ის საათები იყოს ჩვენთან, როცა მამა არ არის სახლში. მინდა რომ თავი ადამიანად იგრძნოს.

– კარგი, შვილო. წამოდი, წავიდეთ და მოვიყვანოთ. თუ მამა მოვა, უთხარი, რომ შენი მეგობარია და ამაღამ შენთან რჩება.

– შენ ჩემი საყვარელი დედიკო ხარ, – უთხრა, მკლავები მაგრად მოხვია და გულში ჩაეკრა.

ორივენი ქუჩაში გამოვიდნენ. ჭაბუკამ სირბილით გადაკვეთა ქუჩა, თან ბიჭს შორიდანვე გასძახა:

– მირზა, მოდი ჩემთან.

ისიც წამოდგა და მისკენ გაექანა.

– ნახე, დედა მოვიყვანე. ხომ წამოხვალ ჩვენთან? გთხოვ, უარი არ მითხრა, თორემ აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

– დედა გაიცანი, ეს არი ჩემი მეგობარი.

მირზამ მორცხვად გახედა ქალს, სახეზე წითელი ფერი დაედო.

– რა გქვია შვილო?

– მირზა.

– ხომ წამოხვალ ჩვენთან?

– მინდა წამოსვლა, მაგრამ არ მინდა შეგაწუხოთ.

– წამოდი შვილო, დაიბანე, გამოიცვალე ტანსაცმელი და ორივემ ერთად ისადილეთ. შემდეგ იმეცადინეთ. თუ ჩვენთან არ მოგინდება, შეგიძლია ისევ უკან დაბრუნდე და როცა სურვილი გაგიჩნდება, ისევ გვესტუმრე.

– კარგი დეიდა, წამოვალ. დიდი მადლობა.

ჭაბუკა გვერდით ამოუდგა მეგობარს და დედასთან ერთად სახლში დაბრუნდნენ. მირზას სიზმრადაც არ ენახა ასეთი მდიდრულად მოწყობილი სახლი. იატაკზე ფეხის დადგმაც კი ერიდებოდა. შესვლისთანავე აივნის ერთ კუთხეში დადგა.

ქალბატონმა მარგომ ბავშვს კიდევ გამოუძებნა შვილის ნახმარი ტანსაცმელი და აბაზანაში შეიყვანა.

– მირზა, მოდი მე დაგბან.

მირზა აიწურა.

– თუ გრცხვენია, აი, ეს მოკლე შარვალი ამოვიცვი და ჩააწექი ამ ქაფში. ნახე როგორ მოგეწონოს?! ბიჭმა მოკლე შარვალი ამოიცვა და წყალში ჩაწვა. ქალბატონმა ჰიდრომასაჟი ჩაურთო. ბავშვი გაოცებული და გარინდული იწვა მასაჟის ტალღებში. ქალმა გრძელი რეზინის ხელთათმანები ჩაიცვა და მირზა კარგად დაბანა. გამშრალა, ლამაზად ჩააცვა და სრულიად სხვა ადამიანად აქცია.

– ოჰ, ღმერთო, რა არის ცხოვრება?! რამდენიმე წუთის წინ სრულიად სხვა ბავშვი იყო.

რა ლამაზი ყოფილა.

მირზას ასეთი სითბო და ყურადღება ბებოს სიკვდილის შემდეგ არავისგან უგრძვნია. ქალის მიმართ რაღაც დედასთან გაიგივებული გრძნობა გაუჩნდა.

მზეჟაბუკი კი სიხარულისგან იატაკზე ფეხს არ ადგამდა. მეგობარს ხელი ჩასჭიდა და სამზარეულოში წაიყვანა. სუფრასთან დასვა და თავადაც გვერდით მიუჯდა. ქალბატონმა მარგომ ბავშვებს მზა საკვები თეფშზე თანაბრად გაუნაწილა. ჟაბუკამ დანა – ჩანგალს დაავლო ხელი და მადიანად შეექცა ცხელ კერძს.

– მე რომ არ ვიცი მაგეების ხმარება?

– შენ ხელით ჭამე, მერე მე და დედა გასწავლით.

– თქვენ ჩემი მხსნელი ანგელოზები ხართ. მადლობა ღმერთს, რომ თქვენი თავი გამომიგზავნა.

სადილის შემდეგ მზეჟაბუკმა ეზოში ჩაიყვანა. ბურთის თამაშით გაერთნენ. მარგო აივნიდან ადევნებდა თვალს და ფიქრობდა: – ამ ბიჭს ყოველდღე სანთლები უნდა დავუნთო ასე რომ შეცვალა ჩემი შვილი. ასეთი ეგოისტი და მძიმე ხასიათის ბავშვი, ამ რამდენიმე დღეში, სრულიად გარდაიქმნა. ნეტა რას იტყვის ალიკა ამ ბიჭს რომ აქ ნახავს? იმედია ყველას არ გაგვყრის გარეთ. – ამის გაფიქრება და ჭიშკრის გაღება ერთი იყო.

ჭაბუკა შეცბა მამის დანახვაზე. მირზა თავდახრილი მიუახლოვდა და ზრდილობიანად მიესალმა.

– ვაჟკაცო, ეს რა კარგი მეგობარი გყოლია. აქამდე რატომ არ გამაცანი? – უთხრა შვილს.

– მას მშობლები არა ჰყავს და ჩვენთან წამოვიყვანე.

– როგორ თუ არა ჰყავს? – შეცბა ალიკა და

ბავშვს მიუბრუნდა.

– რა გქვია?

– მირზა!

– ჟაბუკა, ეს ის ბავშვია დედამ რომ მითხრა?

– დიახ, მამა.

– კარგი, თქვენ ითამაშეთ, მაგრამ სწავლა არ დაგავიწყდეს.

– არა მამი, ჩვენ ორივე ერთად ვისწავლით.

ალიკა სახლში შევიდა და ცოლს გასძახა:

– მარგო, სადა ხარ?

– სასტუმრო ოთახში ვარ, შემოდი.

შესვლისთანავე ჰკითხა ცოლს:

– ეს ბიჭი აქ გინდა გყავდეს? რატომ მოიყვანე? ხომ გითხარი, არ მოიყვანო-თქო.

– შენ შვილს ჰკითხე.

ულტიმატუმი წამომიყენა – ან აქ მოვიყვანთ, ანდა მე წავალ მირზასთანო. რა უნდა მექნა?

თან შენ არც კი იცი ამ ბიჭმა რა დიდი როლი შეასრულა – ჩვენი შვილი სრულიად შეცვალა. ჩვენთან რომ იყოს რა დაშავდება? კარგი ბავშვია. ვუპატრონოთ. ძმებივით გავზარდოთ. მადლში ჩაგვეთვლება. მარტოსულია, არავინ ჰყავს. ნახევარჯერ მშიერ – მწყრვალს სძინავს ცარიელ ასფალტზე და ბალიშის ნაცვლად თავშვეშ ქვები უდევს, არადა წესიერი ბავშვია. თავის ასაკთან შედარებით კარგი მოაზროვნე და ნუ დავაშორებთ ბავშვებს ერთმანეთს...

– რადგან ასეთი კარგია, ვიშვილოთ და ისე ავღზარდოთ, როგორც საკუთარი შვილი.

– გმადლობთ, ჩემო სიყვარულო, რომ გამიგე. მე კი შიშით ვცახცახებდი.

2

– ახლა კი, ისღა დამრჩენია, ბავშვს საწოლი გავუშალო.

– მე კი გამოვიცვლი, ცოტა სამუშაო მაქვს და ვახშამზე შემოგიერთდებით.

მზეჟაბუკმა დედასთან მიირბინა და ჰკითხა:

– დედი, რა თქვა მამამ, გაგვიბრაზდა?

– არა, შვილო, პირიქით.

ჩვენ მას შვილად ავიყვანთ და ძმებივით გაგზრდით ორივეს. მაგრამ გახსოვდეს, ყოველდღე უნდა ასწავლო წერა კითხვა, მეც დაგეხმარები. სექტემბერში სკოლაში შევიყვანთ. ვხედავ რომ კარგად მოაზროვნე ბიჭია და არ გაუჭირდება სწავლა.

– დედი. უნდა ჩაგეხუტოთ შენც და მამასაც.

– მიდი, ჯერ მამასთან გაიქცი. ვაჟი მივიდა მამის სამუშაო ოთახთან და ფრთხილად დააკაკუნა. – შემოდი, – გაისმა ხმა.

– მამიკო, მადლობა მინდა გადაგიხადო იმისათვის, რაც მირზას გამო გააკეთე და მეც რომ გამახარე.

– მაგრამ გახსოვდეთ, რომ თამაშს არ გადაყვეთ.

– არა, მამი. ჩვენ ვიმეცადინებთ. ჩვენ, ორივეს, გვინდა ექიმები გამოვიდეთ.

– აბა, სიბერეში თქვენი იმედი მექნება. ახლა კი დამტოვე, საქმე მაქვს.

– ჯერ უნდა ჩაგეხუტო და მერე.

– მოდი, ჩემო მზეჟაბუკო. მამამ ტყუილად კი არ დაგარქვა ეს სახელი.

ორივენი გადაეხვივნენ ერთმანეთს. ჭაბუკამ ტკბილად აკოცა მამას და გარეთ გაიქცა. – მირზა, მაპატიე რომ დაგტოვე, მაგრამ კარგი ამბავი მაქვს – დღეიდან ქუჩაში აღარ დაიძინებ.

– ძალიან მიხარია, მაგრამ მერიდება რომ გაწუხებთ.

– არა რას ამბობ. დედამ თქვა რომ შვილად აგიყვანს, სკოლაში შეგიყვანს და ორივეს ძმებივით აგღვზრდის.

– შენ მართლაც მზეჭაბუკი ხარ, უფრო სწორად, ჩემი მზე. შეიძლება რომ ჩაგეხუტო?

ვაჟმა მკლავები გაშალა

– აბა გამოიქეცი, მეც მაგრამ ჩაგეხუტო. ბავშვები ერთმანეთს მოეხვივნენ.

მირზას რა ხანია ასეთი სითბო არავისგან უგრძვნია ამ გაყინულ სამყაროში და მისი გული პეპელასავით დაფარფატებდა.

მარგომ აივნიდან ბავშვებს გასძახა:

– შემოდით, ვახშამი მზადაა. ორივენი წამში შინ ავიდნენ.

– მირზა წამოდი ხელები დავიბანოთ, – უთხრა ჭაბუკამ.

მოწესრიგდნენ და სასადილო ოთახში შევიდნენ.

მირზა მორიდებით ჩამოჯდა დივნის კუთხეში. მარგომ უთხრა:

– შვილო, მოდი აქ დაჯექი, დღეიდან ეს შენი

ადგილია, ნუ გერიდება.

ვაჟი ფეხზე წამოდგა, მადლობა გადაუხადა გაწეული მზრუნველობისთვის და მითითებულ ადგილზე დაჯდა.

მას გვერდით ჟაბუკა მოუჯდა.

მაგიდას ალიკა მიუახლოვდა, ყველას მიესალმა და კარგი მადა უსურვა, შემდეგ ბიჭს ჰკითხა:

– მირზა, როგორ გრძნობ თავს ჩვენთან?

ბიჭი არც კი დაფიქრებულა ისე უპასუხა:

– ძალიან კარგად.

– გინდა რომ მუდამ ჩვენს გვერდით იცხოვრო და ჩვენი შვილი გახდე?

– კი მინდა, მაგრამ არ მინდა რომ ძალიან შეგაწუხოთ.

– ამაზე არ იდარდო, შენ ხომ ექიმი გინდა გახდე?

– ძალიან მინდა.

– მაშინ დაიმახსოვრე რომ კარგად უნდა ისწავლო.

დანარჩენზე ჩვენ ვიზრუნებთ.

დღეიდან ჩვენი შვილი ხარ,

ჭაბუკა კი შენი ძმაა.

– და თქვენ ჩემი მამა გახდებით?

– რა თქმა უნდა!

– შეიძლება რომ მამა დაგიძახოთ და ჩაგეხუტოთ? მთელი ცხოვრება ვნატრობდი დედ-მამა მყოლოდა.

– მოდი ჩემთან.

მირზა ალიკსთან მივიდა. მან ბიჭს მკლავები მოხვია, მუხლზე დაისვა. მირზა გულზე მიეხუტა და გაინაბა. უცებ თავი ასწია.

– მამიკო, თქვენ მე დაკარგული ბავშვობა დამიბრუნეთ, მომავილს იმედი ჩამისახეთ. მე არასოდეს გაგიმტყუნებთ იმ ნდობას, რასაც ჩემს მიმართ იჩენთ.

– მირზა, ასე მგონია, ვიღაც კაცს ვესაუბრები...

– ქუჩამ ბევრი კარგი რამ დამანახა და მასწავლა ცუდთან ერთად.

თქვენ კი ჩემს მხსნელად მოგავლინათ ღმერთმა. მადლობა უფალს, მადლობა თქვენ და მადლობა ჩემს მზეჭაბუკს. ის რომ არა, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი.

მარგომ სუფრაზე რაც კი ებადა ყველაფერი შემოიტანა. რა დაინახა ალიკას მუხლზე მჯდარი მირზა, ქმარს გაუღიმა, ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და თავადაც მეუღლის გვერდით მდგარ სკამზე ჩამოჯდა. მირზა თავის ადგილს დაუბრუნდა.

მარგომ ბავშვებს თავად გადაუღო კერძი. მირზას ერიდებოდა ხელით ჭამა, იგი დაკვირვებით ადევნებდა თვალს მათ თუ როგორ ხმარობდნენ დანა – ჩანგალს. თავადაც შეეცადა, მაგრამ პირველ ჯერზე ძნელი აღმოჩნდა.

მარგომ შემჩნია და უთხრა:

– შვილო, ხელით ჭამე. ხილს რომ შემოვიტან მე გასწავლი.

– გმადლობთ, მარგო დეიდა, – სურდა დედა დაეძახა, მაგრამ რატომღაც გაუჭირდა. როდესაც სუფრიდან წამოიშალნენ, ჟაბუკამ მირზას ხელი ჩაჰკიდა და თავის ოთახში შეიყვანა.

– მოდი დღეს რაიმე დავხატოთ – შესთავაზა.

– მე რომ ხატვა არ ვიცი?

– ნახე ფაჯარასთან ფოთოლს ხედავ?

– კი, ვხედავ.

– ხოდა კარგად დააკვირდი და იმავე ფორმის ფოთოლი ფურცელზე მოხაზე, მერე გააფერადე. – ვეცდები.

ბიჭები საწერ მაგიდას შემუსხდნენ.

ჟაბუკას ხელი საკმაოდ კარგად ჰქონდა გაწაფული ხატვაში და მალევე შომოხზა ზაფხულის პეიზაჟი. მირზას გაუჭირდა ფოთოლის დახატვა, მაგრამ სწავლის წყურვილმა გაიმარჯვა – საკმაოდ კარგი გამოვიდა პირველი ცდისთვის.

მარგომ მირზა იხმო. ხელი ჩაჰკიდა და საძინებელში შეიყვანა.

– შვილო, დღეიდან ეს ოთახი შენ გეკუთვნის, ის კარადაც და შიგნით რაც არის ყველაფერი შენია. გამოაღე ეს კარები.

ბავშვმა კარი გამოაღო.

– აი, ხედავ? ეს აბაზანა და ტუალეტი შენია.

– შენ კი ჩემი მზრუნველი დედიკო ხარ, ისეთი, როგორსაც ყოველთვის ვხატავდი ჩემს ფიქრებში და მის ნახვას ვნატრობდი.

მინდა ჩაგეხუტო... დედა, დედიკო.!.. მარგოს ცრემლები წამოსვივდა, ბავშვი გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა. მირზას სიხარულის ცრემლები სცვიოდა და არ ცდილობდა ქალის მკლავებიდან გამოხსნას.

მარგო კი გრძნობდა, რომ ძალიან მოსიყვარულე შვილი შეიძინა მისი სახით. ჭაბუკა ამ სცენა შორიდან აკვირდებოდა, გდედას გასძახა. ქალმა მირზას ერთხელ კიდევ აკოცა ვაჟმა გამბედაობა მოიკრიბა და კოცნით ეპასუხა.

მარგომ პიჟამო დაუდო საწოლზე: – გამოიცვალე და დაიძინე, მე კი შვილს გავხედავ მეძახის. ტკბილი ძილი შვილო.

– თქვენც ასევე, დედა.

მირზას თავი სიზმარში ეგონა. რასზეც ოცნებობდა, ორჯერ მეტი მისცა ღმერთმა. საუკეთესო ოჯახი, მდიდრული სახლი და მომავლის რწმენა. ვერც კი დაეჯერებინა, რომ ამ გაპრიალებულ საწოლში უნდა დაწოლილიყო და ასეთ სახლში უნდა ეცხოვრა.

კარგახანს იდგა გაოგნებული მარგოს გასვლის შემდეგ. ბოლოს, თითქოს ძილბურანიდან გამოერკვა, საღამურები ჩაიცვა და დაწვა. "– ოჰ დედავ ჩემო, ეს რა რბილი საწოლია, ეს რა კარგი ბალიში მაქვს", – აღტაცებას ვერ მალავდა ბავშვი.

სხეულმაც სიმსუბუქე იგრძნო და მალე ჩაეძინა.

მარგო ჭაბუკას ოთახში შევიდა. – რაო, დედას მზეჟაბუკო, რამ შეგაწუხა?

– მინდა ძილის წინ. ჩამეხუტო და მომეფერო.

ქალი მის საწოლზე ჩამოჯდა. ორივენი ერთმანეთს ჩაეხუტნენ. მათი გულებიდან დედაშვილობის მადლით აღვსილი უკვდავი სიყვარულის თაფლი სდიოდა ერთმანეთს ათბობდნენ და ატკბობდნენ მათი შემყურე ოთახის კედლებიც კი ტკბებოდა.

– დედი, როგორ მოგწონს მირზა?

– ძალიან თბილი და საყვარელი ბავშვია, შვილო.

– აბა შენ იცი ხვალიდან როგორ ამეცადინებ.

– ნახე, დედი, რა მალე ვასწავლო წერა კითხვა.

მაგრამ შენ ჩემზე მეტად ხომ არ შეგიყვარდება იგი?

– შვილო, შენზე მეტად მე ვერავის ვერ შევიყვარებ. შენ ხარ ჩემი სულისა და ხორცის ნაწილი, – უთხრა შვილს, თანაც გაიფიქრა: "ეგოისტურმა ხასიათმა მაინც იჩინა თავი, იმედია ნახმარი სათამაშო მანქანასაცით არ მოსწყინდება ეს საბრალო ბავშვი" – შვილს კი ძილინებისა უსურვა და თავის საძინებელში შევიდა. შესულს მეუღლემ ჰკითხა:

– აბა, როგორ არის საქმე, მოასვენე ჩვენი ვაჟკაცები?

– ორივენი დაწვნენ, მაგრამ შენ მირზას სახე და თვალები უნდა გენახა, როცა საძინებელში შევიყვანე და ვუთხარი ეს ყველაფერი შენია-თქო.

იცი, ალიკა, დედა დამიძახა და ისე თბილად მომეფერა დიდი ხნის უნახავი საკუთარი შვილი მეგონა.

– ჩემთანაც იგივე გააკეთა. მარგო ეს ბავშვი მუდამ ოცნებობდა ჰყოლოდა მშობლები. ასეთი ბავშვები ძალიან თბილები და მგრძნობიარენი არიან.

ყოველთვის ცდილობენ თავიანთი სითბო და საერთოდ, ყოველგვარი შესაძლებლობა გამოამზეურონ. შენ ნახავ ეს რა კარგი ვაჟკაცი დადგება, ჩვენს შვილზე უკეთესი.

– საიდან გამოგაქვს ეს დასკვნა?

– შემთხვევით ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩემი საქმიანობა საბოლოო განაჩენის გამოტანაა.

თანაც ძველი ანდაზისა არ იყოს, სახარე ხარს რქებზე ეტყობა როგორი გაიზრდება.ისეა ეს ბავშვი.

– ჩვენს შვილს რას ატყობ ?

– ეს ერთი გათამამებული ეგოისტი ბაჭია .

– ხომ ხედავ რომ შეიცვალა....

– ადამიანი როგორიც შექმნა ღმერთმა ისეთივე დარჩება ცხოვრების ბოლომდე.

როგორც კი მირზა წარმატებას მიაღწევს, თუ ჭაბუკამ ვერ შეძლო იმდენი, რასაც ის შეძლებს, აუცილებლად ეგოისტი გახდება ისედაც საკმაოდ არის. გამორიცხული არ არის რომ შეიძულოს. ამ ეტაპისთვის კი გასართობი საგანია მისთვის.

– ნუ ამობობ მასე ალიკა, აღელდა ქალი, თან უეცრად გაახსენდა შვილის სიტყვები – ჩემზე მეტად ხომ არ შეიყვარებ მირზასო, რომ ჰკითხა და გაიფიქრა: "ჩემზე უფრო კარგად ჰყავს შვილი შესწავლილი, თუმცა რა გასაკვირია, ადვოკატის საქმეც ხომ ეს არის.

– საყვარელო, რა დრო გასულა?! დავიძინოთ. დილით ადრე უნდა წავიდე სამსახურში, – უთხრა ალიკამ მეუღლეს, ნაზად აკოცა, ტკბილი ძილი უსურვა და დასაძინებლად მოემზადა.მარგომაც მას მიბაძა.

მთელ ოჯახს მშვიდი ძილით ეძინა.

მირზას ტვინი კი აღფრთოვანებისაგან ძილშიც ღრუბლებში დაფრინავდა. სადაღაც შორს, ღრუბლის ფთილაზე ჩამომჯდარ თავის ბებოს ხედავდა, რომელიც უღიმოდა, პირჯვარს სწერდა და ბედნიერებით აღსავსე ცხოვრების გზებს ათვალიერებინებდა. მირზას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თვითონაც გასძახოდა ბებოს: – იცი რა კარგად მოვეწყვე, ბე?!... – ყველაფერი ვიცი შვილო, ახლა კი შენზეა დამოკიდებული როგორ მოიქცევი.

– ბებიკო, პირობას გაძლევ, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ვიქნები. გთხოვ, მომიახლოვდი, ერთხელ მომეფერე. მენატრები ჩემო უსაყვარლესო ბებიკო.

– არა, ბებო გენაცვალოს, მე მეტი ახლოს ვერ მოვალ, მაგრამ გახსოვდეს, რომ მე ყოველთვის გადევნებ თვალს და გმფარველობ. ახლა კი ჩემი წასვლის დროა, ჩემო ჭკვიანო ბიჭო. აბა შენ იცი, კარგად მოიქეცი.

– არ წახვიდე ბებიკო, კიდევ დარჩი – დაიძახა მირზამ და გამოეღვიძა.

საწოლში შეიშმუშნა, თვალები ზანტად გაახილა." – რა კარგი სიზმარი იყო. ნეტავ კიდევ გაგრძელებულიყო, ჩემი მონატრებული ბებოს დიდხანს ყურებას შევძლებდი. ნეტავ ახლოს რატომ არ მოვიდა, ნუთუ არც მას ვუყვარვარ?" – გაიფიქრა და გული ჩასწყდა,– "თუმცა,

მან მითხრა რომ ყოველთვის დამიცავს, ესე იგი ვუყვარვარ," – გაიფიქრა და კმაყოფილი ისევ ძილს მიეცა.

დილის შვიდ საათზე ალიკა ადგა, მოემზადა. სამზარეულოში ფეხაკრებით გავიდა, ყავის აპარატი ჩართო, ერთი ფინჯანი ყავა მოიმზადა, მიირთვა და წავიდა.

კარების ხმაზე მარგოს გამოეღვიძა. წამოდგა. ჭაბუკას ოთახში შევიდა, გააღვიძა. მარგომ დღევანდელი გაკვეთილების სიას გადახედა, რამდენიმე გაამეორებინა, რა დარწმუნდა, რომ შვილმა ყველაფერი კარგად იცოდა, საუზმე მოუმზადა.

ჭაბუკა სწრაფად მოემზადა და მაგიდას მიუჯდა. თან იკითხა:

– მირზას კიდევ სძინავს?

– სძინავს, შვილო, სად ეჩქარება ასე ადრე რომ ადგეს?!

– მინდოდა ერთად გვესაუზმა და სკოლაში გავეცილებინე.

უეცრად, კარის ზღურბლთან მირზა გამოჩნდა. დღემშვიდობისა უსურვა დედა-შვილს. -მზეჭაბუკო, გაგაცილებ, აბა რას ვიზამ.

– შვილო, დაიბანე ხელ–პირი და შენც მიირთვი დილით ორი ლუკმა.

– დედი, მე დავიბანე და საწოლიც დავალაგე.

– ყოჩაღ შვილო!

აბა მოუჯექი შენს ძმას გვერდით. ბიჭი სწრაფად მიუჯდა მაგიდას. მარგომ ჩაი და ხაჭაპურის ნაჭერი დაუდო. ბავშვები მალე მორჩნენ ჭამას და გზას გაუდგნენ.

გზაზე ჟაბუკას მეგობრები შეხვდნენ. ვაჟმა მათ მირზა გააცნო. ერთმა მეგობარმა მასში ამოიცნო პატარა მათხოვარი.

– შენ ამ ბავშვთან რა გესაქმება?

– ის ჩემი მეგობარია.

– ეს ბიჭი ქუჩის მათხოვარია.

– მეგობრებს სტატუსი არა აქვთ და ვინც არ უნდა იყოს იგი, ადამიანია და ჩემი მეგობარი! შენ კი მოგიწევს დააფასო!

– ვინ, ეს?

– დიახ, ეს! ვიდრე სხვის ცხოვრებას განსჯი, მანამდე მისი კოსტუმი მოირგე, ის გზა გაიარე, რაც მან გამოიარა და შემდეგ მიხვდები, რომ ასე არ უნდა მოიქცე.

– და შენ მისი ცხოვრებით იცხოვრე?

– მე მის დასამცირებლად მივედი, უფრო მეტიც – მინდოდა გამეგდო, და მეცემა კიდეც, მაგრამ მისმა სიძლიერემ გამაოცა. მისმა მწუხარაბამ შემძრა და მისმა უსაზღვრო სითბომ შემცვალა.

მე მადლობელი ვარ მისი რომ ჩემში კეთილი ადამიანი გააღვიძა და არ დავრჩი ისეთი როგორიც შენა ხარ.

მე არ მრცხვენია მის გვერდით სიარული.ის ჩემთან ცხოვრობს და იცხოვრებს! მას დიდი მიზნები აქვს და აუცილებლად მიაღწევს.

– გისმენ და გაოცებული ვარ შენით.

– იცი რას გეტყვი? ადექი ერთი ღამით და მის ადგილზე დაიძინე ქვებზე თავდადებულმა, მშიერ – მწყურვალმა და მიხვდები, რომ ასე არ უნდა მოიქცე.

– ახლა სკოლაში მოგყავს?

– დიახ. მასწავლებელს ვთხოვ რომ გაკვეთილს დაესწროს.

– არ გააკეთო ეს. ხომ იცი, ბავშვები რას იზამენ...

– მნიშვნელობა არა აქვს. ძმასავით ამოვუდგები გვერდით და არავის მივცემ მისი დაჩაგვრის უფლებას.

მირზა ჟაბუკას მეგობრებთან საუბარში გაერთო და ყურადღება არ მიუქცევია მათი საუბრისთვის.

გზა შეუმჩნეველად განვლეს. სკოლის ეზოს მიადგნენ. მირზა შედგა. ჟაბუკას უთხრა:

– მე წავალ სახლში.

– არა, არ წახვიდე. მასწავლებელს უნდა ვათხოვო რომ დაგტოვოს ჩვენთან გაკვეთილზე.

– არა მგონია რომ უფლება მოგცეს გაკვეთილზე დასწრების – საუბარში ჩაერთო ხვიჩა.

– მე ვცდი. სახლში წასვლა შემდეგაც იქნება შესაძლებელი.

ბავშვები საკლასო ოთახში შევიდნენ, იქ მყოფთ მიესალმენ.

ჭაბუკა მირზას გვერდით ამოუდგა და მასწავლებელის შემოსვლას დაელოდა. თანაკლასელებიდან რამდენიმემ შეიცნო პატარა ბიჭი და დაიწყეს ერთმანეთში საუბარი: – ნახეთ ჟაბუკა ვისთან მეგობრობს?! ვინ არის ეს ბიჭი ასე რომ დასტრიალებს თავზე?

– გოგო, როგორ ვერ იცანი, ქუჩის მათხოვარია, – ჩურჩულით უთხრა მეგობარს, მაგრამ ცოტა ხმამაღლა მოუვიდა თქმა.

ყველამ ყურადღება მირზასა და ჭაბუკაზე გადაიტანა.

წარმოთქმული სიტყვები მეხის გავარნას ჰგავდა საბრალო ბიჭისთვის. მას სურდა სასწრაფოდ დაეტოვებინა საკლასო ოთახი, მაგრამ აზრი შეიცვალა, ბავშვებისაკენ შემობრუნდა და სრულიად მშვიდი ხმით მიმართა:

– კიდევ ერთხელ მოგესალმებით. დიახ, მე ვარ ის ბიჭი, ვისზედაც საუბრობდით და მე არ მრცხვენია იმის ვინც ვარ! მთავარი ის არ არის დღეს ვინა ვარ თუმცა მინდა იცოდეთ, რომ მე დღეს თქვენი წყალობით მივხვდი როგორი დიდი ადამიანი ვარ, რადგან მე არავის არასდროს დავცინებ და დავამცირებ ისე როგორც თქვენ გააკეთეთ ეს. არც არავის არაფერს დავუშავებ. თქვენ კი თავი ვინ გგონიათ, მშობლების კალათას ხართ შეფარებულნი, არც კი იცით რა არის ცხოვრება უმშობლოდ, უსახლ-კაროდ. მეტს აღარ გავაგრძელებ... ჩემთვის მთავარია ჩემი მომავალი და ჩემი ოცნებების რეალიზება.

ჭაბუკა იდგა და ისმენდა მეგობრის აღსარებასავით წარმოთქმულ სიტყვებს და ამაყობდა მისით. ვეღარ მოითმინა. მირზას სიტყვა შეაწყვეტინა: - ჩემო დებო და ძმებო, დღეის შემდეგ მირზას არავინ ჰკადროს ის სიტყვა, რაც პირველად ამოუშვით პირიდან.ის ჩემი არა მხოლოდ მეგობარი,არამედ ჩემი ძმაცაა, ამიტომ მოვითხოვ პატივი სცეთ და მიიღოთ ისე როგორც მე.

საუბარი საკლასო ოთახში მასწავლებელის მოსვლამ შეაწყვეტინა.

იგი ბავშვებს მიესალმა. უცხო ბიჭი რომ დაინახა, იკითხა: – ვინ არის ეს ბავშვი და ვისთან ერთად არის?

ჭაბუკა მასწავლებელთან მივიდა და მოკლედ აუხსნა, რომ მისი მეგობარი იყო. სთხოვა, ნება დაერთო გაკვეთილს მასთან ერთად დასწრებოდა.

– კი მაგრამ თავად არა აქვს გაკვეთილები?

– მასწავლებელო, იგი სკოლაში საერთოდ არ დადის. სურს წერა-კითხვა ისწავლოს.

– დღეს დაგრთავთ ნებას, სხვა დროს კი არა, რადგან დირექტორი რომ შემოვიდეს საყვედურს მივიღებ.

ისე კი დღის მეორე ნახევარში სკოლაში არის შექმნილი ჯგუფი სწავლას ჩამორჩენილი ბავშვებისთვის და შეგიძლია იქ ატარო.

– გმადლობთ, მასწავლებელო – უთხრა ვაჟმა,

მირზას ხელი ჩაჰკიდა და თავის გვერდით სკამზე დაისვა.

გაგრძელება იქნება

კლარა გელაშვილი

არა დარაბებს...

მხოლოდ მას არა; უბავშვო ბიოგრაფია ბევრს აქვს. სადღაც გამქრალიყო მავანთათვის ულამაზესი ხანის, მისთვის კი უღიმღამო წუთებით მოპირული წელთა ნაწილი... ჰო, ამოიღეს... ამოიღეს კი არა, ამოშანთეს და თვალდათხრილი დარჩა სხეული... ჩინდაკარგული კი: შემოსე, აუჭრელე სამოსი და მოღერებულ ყელზე მარგალიტის მძივი შემოუტარე... რა მნშვნელობა აქვს, ოქროს ტახტრევანს შესთავაზებ თუ სკამის ფორმის კუნძზე ჩამოასვენებ.

მან კი, სხვა ცვლილებები რომ არ შეეძლო, წარსულისაგან გასაქცევად, ფანჯრებს ჯერ დარაბები ჩაუსვა, მერე, როცა ავად მომზირალმა თვალებმა მაინც შემოაღწიეს და სულში დალექილი ჭიაღუები წამოშალეს, გადაწყვიტა, კაპიტალურად ამოეშენებინა, რათა თავი დაეღწია: დედის ქვითინით ნათქვამი იავნანისთვის, მამის არცთუ იმედიანი წერილის შინაარსისთვის, ცივი ღუმელისადმი ბრაზისთვის, არასტუმართმოყვარე მაგიდისთვის და ფერდებმიფეთქილი კარადისთვის. კირით შეთითხნილი ჭერისთვის, რომელზე გამოსახულ ფიგურებსაც იმ სათამაშოებს ამსგავსებდნენ, რომელიც ენატრებოდათ... თავი დაეღწია ფიქრისთვის, თუნდაც, იმ თაგვებზე, რომლებიც, იმ სახლში, მათი მაგიდის ქვეშ, ბევრად უკეთ რომ გრძნობდნენ თავს... ჰო, მერე გულუბრყვილო ბჭობისთვის: თაგვების ქორწილში რომელი იყო ნეფე და რომელი დედოფალი!..

აღარ უნდოდა, აღარ!

აღარ უნდოდა ყინულზე ფეხდამცდარი ხუთი წლის გოგონას ქვითინი მოესმინა, რომელსაც გაავებულმა დედაკაცმა წაქცევა არ აკმარა და „მტრის შვილობის“ გამო, ცემა დაუწყო...

სარჩული როგორ დაეწვა იმ პალტოსთვის, რომელმაც ვაგონიდან გადავარდნილი პირველკლასელი კიბეს გამოაბა და ასე გადაარჩინა...

აღარ უნდოდა შიშჩამდგარი და-ძმის თვალების ფსკერი დაენახა და ამით, კიდევ ერთხელ, მათი მიუსაფარი ყოფა გახსენებოდა.

კარი ჩაურაზა იმ პატარა გოგონას ცრემლებს, რომელიც სამასწავლებლოში იდგა და ცრემლებს ყრიდა არჩადენილი დანაშაულისთვის...

იმ დროს უხაროდა, ამდენ ბავშვებში რომ „გამოარჩიეს...“ მერე სირბილით რომ გაიქცა თოვლში, რათა დედისთვის ეკითხა, რით დახმარებოდნენ...თვალსველმა დედამ

სველი ფეხი მოუსინჯა და მეორე დღეს ახალ ფეხსაცმელებში დაბინავდნენ მისი გათოშილი ტერფები.

დიდი ხნის შემდეგ ტკივილის გუნდებს სროდა ბავშვობას და ნაყარი ფუტკარივით იცილებდა მოსეულ ფიქრებს.

აღარ უნდოდა, აღარ!

აღარ უნდოდა იმ სურათის გახსენება, კარს მომდგარ მეგობარს რომ სათამაშოდ მხოლოდ იმ მოტივით გაჰყვა, შინ არ შემოსულიყო და მოქვითინე დედა არ ენახა. ის ასე გაიტყუა... მერე რაღაც მოიმიზეზა, ისევ დედასთან დაბრუნდა, რათა დარდთან მარტო არ დაეტოვა...

აღარ უნდოდა თქეშში ლაბადებით და-ძმას გაშველებული, სიამაყით სავსე მესამე კლასელი ბავშვის გახსენება, რომელმაც ფქვილის კურკუშელით სავსე ხმიადები დაუცხო მათ და სკოლიდან მოსულთ თბილ-თბილი დაახვედრა.

აღარ უნდოდა იმ ოთახში შეჭვრეტა, სადაც, წვიმის დროს, ყველა კუთხეში ქილები იდგა და გორგოლაჭიან საწოლებს კუთხიდან-კუთხეში დაავაგორებდნენ...

აღარ უნდოდა იმ გოგონას განცდებით ეცხოვრა, რომელიც ციხიდან დაბრუნებულ მამას არ გაეგება: არ ვიცნობო...

ჰო, აღარ უნდოდა ამ ფიქრებთან ერთად ეცხოვრა... არ უნდოდა და ყველა კარი და ფანჯარა ამოაშენა...

გზის აქეთ დედ-მამა და და-ძმა გადმოჰყვა, დანარჩენი აღარ უნდოდა, არ ჭირდებოდა და გაიმეტა!

ეგონა, სულ ასე იქნებოდა...

მერე, როცა ძლიერმა ქარბორბალამ ჯერ დედა, შემდეგ კი მამა, ჭერიდან აიტაცა, მიხვდა, არც ისე დაცული ჰქონია სახლი! ზეცაში აორთქლდნენ მისი მშობლები და ვეღარ დაინახა... სად არ ეძება, სად არ მოიკითხა, მაგრამ ამაოდ! ერთადერთი ადგილი, სადაც მათი დანახვა ყველაზე უკეთ შეეძლო, წარსული იყო. ის წარსული, რომელსაც კარ-ფანჯარა ამოუშენა... თავს გაეჯიბრა და მხოლოდ აწმყოში დარჩენილ ნატერფალს მოარგო ხსოვნის კალაპოტი... ეგონა, ბოლომდე შეძლებდა, მაგრამ მერე, როცა დედმამიშვილიც, მშობლების მსგავსად, ზეცას შეუერთდა და მათი ერთად ხილვა მოუნდა, მიხვდა, მხოლოდ იმ ამოქოლილი ფანჯრების მიღმა იყო მათი ხილვა შესაძლებელი ... ახლა, მისი ცხოვრების ის მონაკვეთიც კი, საიდანაც ბავშვობა ამოშანთეს და დღემდე შეუხორცებელი ტკივილები აქვს, მისაღებია...

დგას ახლა და მონატრების წერაქვით ანგრვს დარაბებს... ახლაღა მიხვდა, ვერცერთ ნაწილს ვერ ამოჭრი შენი ცხოვრების ქსოვილიდან... ვერ გაახუნებ... როგორც ჩანასახის განვითარება, როგორც ანბანის თანმიმდევრობა და საუკუნეთა წყობის ჰარმონია, ისე ყოფილა ცხოვრება!

მიხვდა, როგორი ბინდიც უნდა იდგეს,მხოლოდ ამ ფანჯრებს მიღმა მოჩანან ისინი. თურმე რა ძლიერი და ბედნიერი ყოფილა მაშინაც კი, როცა ეგონა, ყველაზე მიუსაფარი იყო!

წყვდიადი გამეფებულა ოთახში, სამყაროში...

დგას და, ჯიუტად ანგრევს დარაბებს!... ანგრევს და ხედავს, როგორ დგანან იმედითა და რწმენით სავსე მშობლები ამ ფანჯრებს მიღმა და ესმის:

– დედა გენაცვალოს, ნუ გეშინია, შენთან ვართ, შვილო!

ლექსო

იეჭვიანეს შვილებმა შენზე,
ვგრძნობ, ზოგ-ზოგებმაც
ასწიეს წარბი,
თუმც არ ვიმჩნევდი,გულის ქვითინით,
ყელგამოღადრულ ფურ-ირემს ვგავდი...
მერე, რააო!...
რა ვქნა, თუ დღემდე,
ვერ წამოვკრიფე მადლი მიწაზე,
ვერ ვაგვირისტე ოქროს სირმები,
რომ მელაპლაპა მტრების ჯინაზე...
თუმცა სანგარში ვარჩიე წოლა,
ჩემი წილი მზე მპოულობს, მამჩნევს
და ჩემი სულის ლაჟვარდში სრბოლით
ასგზის მივსდიე ხან სხივს, ხან-ჩანჩქერს.
იეჭვიანეს შვილებმა შენზე...
მეც შემოგჩივლე დასჯილ ბავშვივით...
გულზე რომ ცეცხლი მომედო,ახლაც,
ჩაგეხუტე და შენში ავტირდი...

ტიციან

წარუხოცავი სირცხვილის ტვირთით,
წლები მოხრილი მხრებით მიდიან
და ქვეტექსტებით დატვირთულ სივრცეს
დღემდე სახელი არ აქვს, ტიციან...
დაატარებდი დენდი სიმბოლოს,
(სხვა ფარის შექმნა არ კი გიცდია),
მწამს, შენი მკერდი აიღეს მაშინ,
როცა მიხაკი თვლემდა, ტიციან!..
ვერ დავამშვიდე შავი არაგვი
და გული მიტევს, როგორც სტიქია, –
ამაოდ ვეძებ კარაბადინში
იმ ცრემლთა წამალს,ბიჭო,ტიციან...

მხოლოდ მესამე...

როს მშობელიური სურნელისგან ქარი გაგძარცვავს და ავდრისფერი კაბის შრიალით მოგეახლება დედინაცვალი-ავი მყოფადი, დასანანია!...

ხშირად სახელს ვერც კი დაარქმევ, ერთდროულად რომ ტკივილიც გაქვს და სიყვარულიც!... ცხოვრების ზღვაში განძით სავსე გემსაც, თან მეტად, დამუქრებია, შტორმის სახით, საშიშროება – ჩაძირვისა ან გამორიყვის... ერთი ნაპირი სიცრუით და

სიძვით სავსეა!... აი, მეორეც! – ჭრელაჭრულა ფერებით მოსილთ ზე აღუმართავთ ჭრელი დროშა, თუმცა, გარკვევით, ვერავინ გეტყვის ვის იცავენ, ან რას ელიან!.. მზე შუბისტარზეც ვერ ასწრებს ასვლას, რომ ხვდები,აქაც იგივეა და მსგავსად სხვათა, შენც შენი დროის უმხურვალეს ღუმელში იწვი!... რადგან გრძნობ, ფიქრობ, თვლი, რომ თურმე გაცემული– არა შენია! არცა სხვისია! ზე ნისლად ადის და მერე კი ალბათ, ნალექად, შეერთვება მიქცევ-მოქცევას. რაღაცა ახლის ძიებაში იწრთობა სული და,ჰა, იმედად, წუთისოფლით ნაგვემი მდგმური, შორს,ჰორიზონტზე ამჩნევ ნაპირს, მესამე ნაპირს, რომელიც თურმე, სულთა კვნესამ გამოიგონა!.... მესამე ნაპირს იშვიათად დაეძებს ვინმე, რადგან ცხოვრებას, რახანია, დაზავებიან... იქ,მარტოსულთა სავანეშიც ძნელია ყოფა, რადგან სარკმლიდან, რაც მესამე ნაპირს აქვს მხოლოდ, რეალურ ხედებს, სამყაროსას, მიელტვის თვალი... იქ კი, პირველს და მეორეს შორის, თანაბარი სიმჩატით დააქვთ სიძულვილით და სიყვარულით სავსე ტომრები!... თუ სურთ, შარბათად შეასმევენ ერთურთს საწამლავს– ვნება რომ დაცხრეს წუთისოფლის ატრაქციონზე... ბუნებრივია, სული ელტვის მესამე ნაპირს! – რწმენისა და სინათლის ნაპირს, სადაც არავის უჩხრიალებს არცერთი ვერცხლი!.. (შესაბამისად, არც გაყიდვა არ გემუქრება!) დგას სამრეკლოსთან გაცრეცილი სტიქარით მნათე... იქვე სიმშვიდის მთები დგანან და ამ დუმილში გაცხადებულა ამა სოფლის ამაოება... მომწონს ნაპირი, არც პირველი და არც მეორე, მხოლოდ მესამე,სადაც თეთრი ღუზა ჩაეშვა. ღმერთმა ნუ ქნას და თუკი იქაც დანაღვლდა გული, ნაპირს, მეოთხეს, აღარავინ გამოიგონებს!... ზეცის სარკმლიდან თუ გადმოხტა იმედის სხივი, დაიმსხვრევა და უგზოუკვლოდ გაიფანტება... მომწონს ნაპირი- არც პირველი და არც მეორე, მხოლოდ მესამე!... განრიდების სამოთხურ სამყოფს, იცავსო თურმე, ღვთისმშობელის კალთა, თვალები... რა ძვირფასი და უბრალოა განძი იმ გემის, ნაპირთშორისი სიძულვილი რომ ვერ იტვირთა! ზღვა სევდიანი თვალით უმზერს კაცთა მარათონს– ფინიშთან მხოლოდ ერთი დროშა აღიმართება!!! უფლის ჯვარცმასთან თავს მახსენებს დათმენის ვალი– ნეტავ, „გაქცევამ“, „არგაქცევას“ ხომ არ აჯობა?!

ალექსანდრე მგელაძე
(1914 -1989)



ალექსანდრე (ალეკა) დიმიტრის ძე მგელაძე დაიბადა 1914 წლის 1 ნოემბერს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში, იმ დროისათვის უაღრესად განათლებულ, მსახიობური და პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ, მომავალ თაობათა აღმზრდელი პედაგოგის, დიმიტრი (ტიტიკო) ალექსანდრეს-ძე მგელაძის (1988-1964წ.წ.) ოჯახში, რომელიც უაღრესად განსწავლული და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ.

განსაკუთრებული პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული ალექსანდრე მგელაძის ბაბუა – ალექსანდრე მგელაძე – უფროსი (1864-1932წ.წ.), რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა იმ დროისათვის თბილისში გამომავალ საკმაოდ პოპულარულ იუმორისტულ ჟურნალთან – ,,ეშმაკის მათრახი".

პირველდაწყებითი განათლება ალექსანდრე მგელაძემ ოჯახში, მშობლიურ სოფელში მიიღო. მცირე ხნით ოჯახის საცხოვრებლად ქ. სამტრედიაში გადასვლასთან დაკავშირებით სწავლობდა სამტრედიის რკინიგზის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში ენერგეტიკის განხრით. ამ უკანასკნელის წარმატებით დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო ოზურგეთის რაიონის სოფელ მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკაში უფროსი ელექტრიკოსის თანამდებობაზე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ალექსანდრე მგელაძე არმიაში გაიწვიეს. იბრძოდა ყირიმში, უკრაინაში, ბელორუსიაში, პოლონეთში, გერმანიაში. გამორჩეული საზრიანობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო ორი ორდენითა და მრავალი მედლით.

ომის დამთავრების შემდეგ იგი მშობლიურ სოფელს და მამისეულ კერას დაუბრუნდა. დაქორწინდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის მკვიდრ ქსენია ღლონტზე. შრომისმოყვარე ცოლ-ქმარმა მალე აღადგინა და ფეხზე დააყენა დაცემული ოჯახი.

ალექსანდრე და ქსენია მგელაძეები

1947 წელს ალექსანდრე მგელაძე დაინიშნა ჩოხატაურის რაიონის ელექტროქსელების უფროსად. თავის საქმიანობაში განსაკუთრებული უნარის გამომჟღავნების შემდგომ იგი დაწინაურებულ იქნა გაერთიანებული რაიონების, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ელექტროქსელების უფროსად. სწორედ ამ წლებში მოხდა ამ რაიონების, სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ძირითადი ნაწილის რადიო და ელექტროფიცირება, რაშიც უდიდესი წვლილი ალექსანდრე მგელაძემაც შეიტანა. ენაკვიმატი გურულები ე.წ. ,,ილიჩის

ნათურის" მაგივრად უმეტესწილად სიტყვა ,,ალესდენს" (იგივე ალექსანდრეს დენს) ხმარობდნენ.

1964 წლიდან პენსიაზე გასვლამდე იგი მუშაობდა მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის სოფელ ნაგომარის ჩაის ფაბრიკაში ელექტრო ინჟინრის თანამდებობაზე.

სადაც კი უმუშავია, ალექსანდრე მგელაძეს ყველგან იცნობდნენ როგორც კეთილშობილ, თავაზიან, საქმისათვის თავდადებულ, თანამშრომლებთან ტაქტიან ადამიანს... მას ,,ოქროს ხელებიანს" უწოდებდნენ.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი ოჯახსა და სოფელს დაუბრუნდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის გადასაწყვეტ საჭირბოროტო საქმეებში. იყო სოფელ ზომლეთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ზრუნავდა სოფლის კეთილდღეობისათვის.

ალექსანდრე მგელაძე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მჭერმეტყველებით. იგი ყველა, გარდაცვლილ ნათესავ-მეგობარსა თუ მეზობელს უთუოდ ეტყოდა გამოსათხოვარ სიტყვას, უმეტესად ლექსად გარითმულს და ისე გააცილებდა სამუდამო სასუფევლისაკენ. იგი ლხინის სუფრაზეც თითქმის შეუცვლელი თამადა იყო და ხშირ შემთხვევაში საკუთარი ლექსებით ალამაზებდა სადღეგრძელოებს.

თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ალექსანდრე მგელაძეს მონაწილეობა არ მიეღო ჩოხატაურის რაიონში ჩატარებულ ფოლკლორულ საღამოებში. მის მიერ განსაკუთრებული სითბო და სიყვარული იგრძნობოდა ბებიის, ბაბუის, მამის, დებისა და ცოლ-შვილის მიმართ. თავს ევლებოდა შვილებს, ხარობდა მათი წარმატებებით. მისი აღზრდის მეთოდი ყოველთვის დამრიგებლური გახლდათ.

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და მისი ოთხივე შვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კაცთმოყვარეობით, სინდის-ნამუსითა და კაიკაცობით. ყოველივე ამას მათი დიდი შინაგანი სიკეთე განაპირობებს, რომელიც მათში მამამ ჩანერგა.

ალექსანდრე მგელაძეს პოეტური ნიჭი ალბათ მამის და განსაკუთრებით ბაბუას მემკვიდრეობით დაჰყვა. მიუხედავად ოჯახური საქმიანობის დიდად გადატვირთვისა, იგი უთუოდ გამონახავდა დროს, რომ თავისი ნაფიქრალი ქაღალდზე გადაეტანა.

2014 წელს ალექსანდრე მგელაძის უფროსმა ვაჟიშვილმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ელგუჯა მგელაძემ მამის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით შეაგროვა ოჯახში შემორჩენილი და მოსახლეობაში გაფანტული მამის ხელნაწერების ერთი ნაწილი და იგი ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით ,,ნაჯახირევი".

ელგუჯა მგელაძე

გთავაზობთ ერთ-ერთ ლექსს ამ წიგნიდან:

ჩვენი სოფლის სიხარული.

დაწერილია სოფელ ზომლეთში
მეგობრობის ხიდის გახსნასთან დაკავშირებით

მეგობრებო, მეც თქვენსავით
დღეს გული მაქვს მხიარული,
ცხოვრებაში არ მოგშლოდეთ
თქვენ ამ ხიდზე სიარული.

რა გვეღირსა, აგვიშენეს,
მშვენიერი კარგი ხიდი,
მუდამ გავალთ ამ სუფსაზე
რაგინდ იყვეს წყალი დიდი.

ვენაცვალე მის მშენებლებს,
გადალახეს დაბრკოლება,
მშენებლობა ჩაშლილიყო
არვის მისცეს ამის ნება!

სუფსის ტალღებს შეებრძოლენ
და გათხარეს კატლავანი,
კოხტა ხიდით დაგვიმშვენეს
ზომლეთი და ჩვენი ვანი.

გვახსოვს, როცა ცოტას წყალი
ფერს იცვლიდა, იმღვრეოდა,
გაღმა ვეღარ გავდიოდით,
გამოღმა კი ჩანდა ოდა.

წყლის ნაპირას გავკიოდით,
როგორც ფოთის ორთქმავალი,
როცა ნავში ჩავსხდებოდით,
დახუჭული გვქონდა თვალი.

მენავე თვალს გვიყვლიპავდა,
სად დადიხართ ამ წვიმაში,
თავს რად იგდებთ ამ საფრთხეში,
სიკვდილი ხომ არ გაქვთ ტანში,
რას იზამთ, რომ გადაბრუნდეს
და დაყვინთოთ ამ დიდ ტბაში.

თქვენი საქმე დიდად მიკვირს,
რომ დადიხართ აღმა-დაღმა,
ხომ ხედავთ რომ ლანქერია,
ვერ გამოვალ, ძმაო, გაღმა.

მართლაც იყო შემთხვევები,
ბრუნდებოდა ხშირად ნავი,
ბევრმა ძლივსღა დააღწია
განსვენებას სველი თავი.

პროდუქტები და ნივთები
წყალს მიჰქონდა წარამარა,
ეჰ, წარსულზე ლაპარაკი
მგონია, რომ ამით კმარა.

დღეს რა გვიჭირს, რა გველირსა,
სიხარულით სკდება გული,
ტაქსით ხუთჯერ მიხვალ სახლში,
ჯიბეში თუ გიდევს ფული.

მოგილოცავთ ამ სიხარულს,
ჩვენი სოფლის მშრომელებო,
ამ ზეიმის სტუმრებო და
ახლობელო მეზობლებო!

თქვენი სახით ჩვენს მშენებლებს
მადლობა მსურს ვუთხრა დიდი,
რომ მცირე ხნის მონაკვეთში
აგვიშენეს კარგი ხიდი.

თქვენთან ერთად ვაშა ყველას,
ვინც მოგვხედა და გვიშველა,
რომ აქ ხიდი აგვეგო და
წყალს არ გვევლო ფეხშიშველა.

გაუმარჯოს ამ დიდ შრომას,
გაუმარჯოს თქვენს მარჯვენას,
მილიონი მადლობა და
ხვევნა-კოცნა აქ მყოფთ ყველას.

ალექსანდრე მგელაძე

მაია ფეიქრიშვილი

სიკეთეში ნაპოვნი ბედნიერება

ამ უკიდეგანო სამყაროს ულამაზეს კუთხეში, საქართველოში ღვთისმშობელს სიკეთის კალთა დაუბერტყავს და მისი წილხვდომობაც ხელს გვიწყობს ქართველებს ერთმანეთისთვის გავისარჯოთ, დავიხარჯოთ, ხელი გავუწოდოთ, გვერდით დავუდგეთ იმათ, ვისაც ეს სჭირდება. სიკეთის კეთება არაა მარტივი, სიკეთე გადამდებიცაა. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა ყოველდღიური საფიქრალია სიკეთის კეთება, რადგან სიკეთეში პოულობენ უდიდეს ბედნიერებას, სხვისი გახარება მათთვის მზეა, სიყვარულია სითბოა, სიტკბოა...

ასეთია ქალბატონი ნინელი ეძგვერაძე-სულაბერიძე. აღფრთოვანებითა და დიდი მადლიერების გრძნობით ჰყვებოდნენ ჩვენი რესპოდენტები მის შესახებ და გვთხოვდნენ, რაც შეიძლებოდა მოვფერებოდით და კიდევ ერთხელ გვეთქვა მისთვის მადლობა. სიამოვნებით ვასრულებთ თხოვნას და წარვუდგენთ მკითხველს ამ მომხიბვლელ ქალბატონს.

ნინელი იულოს ასული ეძგვერაძე ნახახულევში დაიბადა 1950 წლის 16 მარტს. უსწრაფესად გაირბინა ლაღი ბავშვობის წლებმა. სილამაზე არასოდეს აკლდა თეთრბაფთებიან გოგონას. მათხოჯის სკოლის მოსწავლე გამორჩეული იყო სწავლასა და შრომაში. ბევრ კარგ ყმაწვილსაც თვალი ეჭირა მასზე, თუმცა რჩეულთა შორის აღმოჩნდა ამირან სულაბერიძე, რომელმაც ბედნიერი ოჯახი შექმნა მასთან.

ფიზიკურად და სულიერად ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა მალე იპოვა ავტორიტეტი სოფელში. იგი შესანიშნავი ოჯახის შეუდარებელი დედა-დიასახლისია და ვინც მას იცნობს, კარგად იცის მისი ხასიათი, მზრუნველობა ყველაზე – ნაცნობზე თუ უცნობზე, საახლობლო სანათესაოზე, სოფელზე. თავად ობლობაში გაზრდილს ესმოდა სიკეთის კეთების ფასი, გაჭირვებასა და დალხინებაში გვერდით დგომა, ამიტომაც არის გულუხვი და ხელგაშლილი. მისი გული ძგერს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთისათვის. ქველმოქმედად დაბადებულა ქ-ნ ნინელი.

ყოველთვის გამოარჩევდით მას თავისი შეხედულებებით, მისწრაფებებით,

შრომისმოყვარეობით. სამაგალითო იყო თაობებისათვის ათეული წლის განმავლობაში სოფელზე მისი ზრუნვა, მისი შეუპოვრობა, როცა რაიმე პრობლემა გაჩნდებოდა. სოფელმა უსაყვარლესი რძალი სასოფლო საბჭოში აირჩია და არც შეცდა. ქ-ნმა ნინელიმ შეუძლებელიც შეძლო. აქ მან ათი წელი იმუშავა. შემდეგ საბავშვო ბაღში გადაინაცვლა სამნეო ნაწილის გამგედ. ამ პოზიციაზე 25 წელი დაჰყო და ბოლო ათი წელი იყო ბაღის გამგე. მან ჩაიბარა დანგრეული და გაპარტახებული ბაღის შენობა, სადაც არ იყო წყალი, დენი, გაზი, სველი წერტილები... თუმცა, ძალიან მალე, ოჯახის თანადგომით, მეუღლისა და შვილების ხელშეწყობით აღადგინა, გაარემონტა შენობა, მიიღო პირველი მერცხლებიც და მთელი წლის განმავლობაში ათი ბავშვის გადასახადს თავად იხდიდა. ბაღში დასაქმებული ჰყავდა ადგილობრივები. ეს უდიდესი სამადლო

საქმე იყო იმ გაუსაძლის ყოფაში, უმუშევრობისა და უსახსრობის პირობებში. სიკეთის კეთება, სხვებზე ზრუნვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ქალბატონ ნინელის. მათხოჯის საბავშვო სახლი გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან დიდი სითბო და სიყვარული ტრიალებდა იქ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვერაფერი ინვენტარი ჰქონდათ, საბავშვო ბაღებს შორის ყოველთვის პირველობდა დასამახსოვრებელი აქტივობებითა და ღონისძიებებით, რომელთა სულის ჩამდგმელი ქალბატონი ნინელი იყო თავის არაჩვეულებრივ თანამშრომლებთან ერთად. ის კი არადა, სათამაშოებს, ათასფერადოვან თოჯინებს თავის ხელით კერავდა სახლში და პატარებს გულს უხარებდა. თანამშრომლებს გვერდით ედგა ჭირსა და ლხინში. იმისათვის, რომ შტატი შეენარჩუნებინა და თანასოფლელები დასაქმებული ჰყოლოდა, ხელფასს საკუთარი ხელფასიდან აძლევდა მთელი წელი ორ ქალბატონს.

არასოდეს, არცერთ საზოგადოებრივ დავალებაზე არ უთქვამს უარი. პირიქით, ხშირად თავად იყო ინიციატორი ბევრი კარგი წამოწყებისა. შეუძლებელს შეძლებდა, ამიტომაც ეიმედებათ ქალბატონი ნინელი. სოფელს დიდი თვალები აქვს, ყველა ყველაფერს ხედავს. აკი დაინახეს ქალბატონი ნინელიც, ამაგი დაუფასეს, მადლობა და მადლიერება გამოხატეს და 16 მარტს 72 წლის შესრულება მიულოცეს. ეს ყველაფერი უზომო ბედნიერებას ანიჭებს ამ მომხიბვლელ ქალბატონს, რომელიც, რატომღაც, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას აღარ ეწევა... იგი თავის ნალოლიავებ ეზო-კარში ფუსფუსებს, თავს ევლება შვილებსა და შვილიშვილებს. მზესავით თბილია, შემოდგომასავით გულუხვი, ბარაქიანი, ხელხვავრიელი ჩვენი ნინელი. მისი ხცოვრებისეული მრწამსი, მოწოდება – სიკეთის კეთებაა, სხვათა გულების გახარებაა, რასაც ყოველთვის ახერხებს...

იდღეგრძელეთ ქ-ნო ნინელი თქვენს დიდებულ ოჯახთან ერთად. ეს ქალური პეწი, შარმი, გრაციოზულობა თუ რაღაც მხოლოდ თქვენეული ყოველთვის შეგრჩენოდეთ. ცხოვრებას სიდარბაისლით, სიდინჯით, სწორი ბილიკით მიუყვებით და ნუ დაგწყდებათ გული მათზე, ვინც თქვენი ფასი არ იცის. ხომ გსმენიათ, დრონი მეფობენ და არა მეფენიო? ჩვენ, მთავარია, სინდისი გვქონდეს სუფთა, რომ პირნათლად წარვსდგეთ უფლის სამსჯავროზე. დროს ვემსახუროთ მართლად...

სხვა ყველაფერი წარმავალია!..

მახარებს ქ-ნო ნინელი თქვენი შემართება, – „თუ სოფელს დავჭირდები, გვერდით დავუდგები, როგორც ყოველთვისო“.

გაიხარეთ, თქვენ ბევრი გიკეთებიათ მათხოჯისათვის, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ მთავრობაში. მათხოჯლებს არც ის ავიწყდებათ, რამდენ ხელჩაქნეულს გული გაუთბეთ და მომავლის იმედი მიეცით, აკეთეთ სიკეთე უმისამართოდაც, სრულიად უცნობებისთვისაც... რა შეედრება მადლიერი ხალხის ლოცვას, რომელსაც ნამდვილად იმსახურებთ. ეს დიდი პატივია, რჩეულთა ხვედრია. ეს თქვენა ხართ ასეთი პიროვნება, რომელსაც ხელგეწიფებათ და გაბედნიერებთ სიკეთის ქმნა.

იდღეგრძელეთ, დიდხანს იარსებეთ ქ-ნო ნინელი ოჯახისა და ბევრის იმედად. თქვენნაირი უანგარო ადამიანები ცოტანი არიან...

ვფიქრობ, შევძელი ჩემი მკითხველისათვის დამეხატა პორტრეტი არაჩვეულებრივი ქალბატონისა, რომელიც აქვეა, ჩვენს გვერდით და აკეთებს სიკეთეს...

გონისა და ინტელექტის მეჯლისი

„გულიადა სიტყვას გემოს უსინჯავს. ისეთი ოსტატობით კითხულობს სხვადასხვა ჟანრის ლექსებს, რომ არ შეიძლება შენც არ იგრძნო, განიცადო ის, რაშიც სულსა და გულს დებს ჩვენი გულიადა... ესაა საქართველო, სამშობლო ჩვენი. ლექსი და სიმღერაა სამშვენისი ჩვენი მამულის, რომელსაც ათეული წლებია ემსახურება სცენაზე, ოჯახში, მეგობრებთან, ყველგან, ყოველთვის ხონის იპ. ხვიჩიას სახელობის თეატრის მსახიობი გულიადა სანოძე“, – ასე დაიწყო საუბარი მისთვის ჩვეული სიდარბაისლითა და სინაზით საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა**. მან გულიადას ბენეფისი გამოაცხადა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა იგი. აქვე დიდი პატივი და მისი შემოქმედების თაყვანისცემა გამოხატა ქ-ნ **ნაირა უგულავას** მიმართ, რომლის „ბრალის თეორია“ თავისი ღრმა შინაარსითა და ფილოსოფიური ნააზრევით ცდება ჩვენს სამყაროს... ქ-ნ ნაირას პოეტური კრებულებისა და მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის გადასცეს გ. ლეონიძის პრემია და „ნატვრის ხე“. იქვე ქ-ნმა მაყვალამ საზოგადოებას შეახსენა ქ-ნი ნიას როგორც ექიმის, წარმატებული ქალისა და პოეტური მარგალიტების შესახებ და დასძინა – „იგი მაგალითია, როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი“. ბ-ნმა თემურ გოქსაძემ კი ბრძანა: „ნია გორდელში ღვთაებრივი გალაქტიკის ინტელექტი ჩანსო“.

ვულოცავთ ქ-ნ ნიას დამსახურებულ აღიარებას ნიჭის, გონის, ინტელექტის დაფასებას.

ქ-ნ ნიასთან ერთად მწერალთა კავშირის სახელით ქ-ნმა მაყვალამ ქ-ნ გულიადას გადასცა თამარიონის ენდალმა და თამარის ჯვარი. შემდეგ კი სიტყვა გულიადას გადასცა...

ჩვენმა გულიადამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ცეცხლი დაანთო. წაიკითხა თემურ ჩალაბაშვილის, ლადო ასათიანის, გულნაზ ხარაიშვილის, ედუარდ უგულავას, ნაირა უგულავას, მაყვალა გონაშვილის და სხვათა სულში ჩამწვდომი ლექსები. თუ როგორ კითხულობდა, ამას დამსწრეთა შთაბეჭდილებები უკეთ გადმოგვცემს:

მამა ამირანი (ამირანაშვილი) – გულიადა მრავალი ღირსებით დაჯილდოებული ქალბატონია. მასთან ურთიერთობა დიდი ზეიმია. მიხარია, რომ მასთან მაქვს შემოქმედებითი კავშირი და ვეთაყვანები მის სამსახიობო ხელოვნებას. გულიადა ყოველი ლექსის წაკითხვისას როლში შედის... იხარე ორსავ სოფელსა შინა ჩემო გულიადა.

თემურ ჩალაბაშვილი – გულიადას ჩემგან წარდგენა არ სჭირდება, იგი საქართველოს წინაშეა წარდგენილი თავისი ბრწყინვალე ოჯახით. პირველ ყოვლისა ისაა დედა თანამედროვეობის უნიჭიერესი პოეტის **ედუარდ უგულავასი**. მადლობა უნდა ვუთხრათ მას სამშობლოს წინაშე გაწეული სამსახურისთვის. ქალბატონი ათეული წლებია თეატრის სცენაზე დგას. ბავშვებს აზიარებს ქართული სიტყვის სიდიადეს, ატარებს ლიტერატურულ საღამოებს, აქტიურია ყველგან, წლების მანძილზე ფეხით დადიოდა გორდიდან ხონში და სიცივეში, ქარში, წვიმაში, თოვლში, გაყინული, დასველებული რეპეტიციებს ესწრებოდა. მერე ისევ ფეხით აუყვებოდა გზას, ოჯახში კი ბევრი საქმე ელოდებოდა... **ოთარ ჭილაძეს** აქვს ნათქვამი „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია“. გულიადა საქართველოა, დედაა, მეუღლეა, ბებიაა, მეგობარია, მეზობელია,... კიდევ ლექსია, სიმღერაა, თეატრია,... ხელოვნების დიდი მსახურია... იდღეგრძელე, ჩემო გულიადა, შენი ოჯახის დედაბოძობა არ მოშლილიყოს, ფუძე დაგელოცოთ და გამრავლდით ჩვენდა გასახარად, საამაყოდ და საიმედოდ.

მურმან გელენიძე – მივესალმები ჩემს ორ დიდებულ ქალბატონს გულიადას და ნაირას.

ჩვენი ფესვები გორდშია. ამიტომაც, ჩემო გულიადა, ხავსმოდებული 200-წლიანი კაკლის ხის სურათი მოგიტანე სახსოვრად და ნიშნად იმისა, რომ დიდი ხანია ეს კაკალი ჩემს ეზოში არ დგას, მაგრამ გორდი ცოცხლობს, გორდელები ვართ-ვარსებობთ და რომ შენ დედა ხარ ორი უნიჭიერესი შვილისა – იაგო-მხატვარი, ხატმწერი და ედუარდი – უიშვიათესი მოკალმე. ეს გორდია, ეს ხონია და მე ვარ ამაყი თქვენით...

გულნაზ ხარაიშვილი – ჩემი ორი დიდი ქალბატონი ნაირა და გულიადა, ქართველი ქალების ეტალონი! როგორ მიყვარხართ და მეამაყებით თქვენი შემოქმედებით, თქვენი მრწამსით, თქვენი ცხოვრებით, მეოჯახეობით, სტუმარ-მასპინძლობით, როცა გორდში ჩამოვედით და გულიადას ლიტერატურული წრის მოსწავლეები გავიცანით, ჩვენს აღფრთოვანებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დადიანისეულ ტყე-პარკში ბავშვები დიდი ოსტატობით კითხულობდნენ ლექსებს, მოკრძალებით გვაწვდიდნენ მინდვრის ულამაზეს ყვავილებს და თვალებში შემოგვცქეროდნენ წრფელი სიყვარულით სავსე გულებით. თქვენ გაიხარეთ, გაგვიმრავლდით ახალგაზრდებო. ეს უდიდესი საქმეა. შეუფასებელია ჩვენი გულიადას შრომა, როგორც მას უყვარს ხელოვნება, ასე უნდა უყვარდეს მის მოსწავლეებსაც. ხელოვნებაში კი დიდ ენერგიას დებს, რადგან გულიადას ღონისძიება არასოდეს არ არის კარგი, საშუალო, ის არის არაჩვეულებრივი, საუკეთესო! მიხარიხარ გულიადა შენს ძვირფას სტუმართმოყვარე ოჯახთან ერთად. ვაფასებ თქვენს უგანათლებულეს მეუღლეს, უნიჭიერეს შვილებსა და რძლებს, პატარა ვაჟკაცს-შვილიშვილს – გაბრიელს. უფალმა ინებოს თქვენი დღეგრძელობა და მზეგრძელობა. ბედნიერი ვარ, რომ მე თქვენი მეგობარი მქვია.

ნაირა მარშანია – სადაც ქალია, იქ სილამაზეა. ამიტომაც ძალიან ლამაზია დღეს ეს დარბაზი, რომელსაც კიდევ უფრო მშვენიერს ხდის ორი არაჩვეულებრივი ქალბატონი ხონის ულამაზესი სოფლიდან – გორდიდან, ესენია ჩემი უსაყვარლესი გულიადა და ნაირა. სასიტყვეთში ნაკლებ მოიძებნება ეპითეტები, რომლებიც სრულიად შეაფასებენ ამ ქალბატონების პიროვნებას, როგორც გულნაზიმ ბრძანა, ჩვენ მონუსხულები ვიყავით გორდში სტუმრობისას გულიადას და ნაირას მეოჯახეობით. ხაზს ვუსვამ ამას, რადგან თუ რას წარმოადგენენ ისინი პოეზიაში, ხელოვნებაში, ყველამ ვიცით, მაგრამ იმავდროულად იყო ტრადიციული ქალი, მეოჯახე, საუცხოო დიასახლისი, ასწრებდე ხელ-საქმეს, ყველაფერში იყო მაქსიმალისტი,... წარმოუდგენელია, ამ ქალბატონებს მხარში უდგათ შესანიშნავი ოჯახები. ესეც აძლიერებთ ერთგვარად და

მამულის სიყვარულში, მამულის სამსახურში დღენიადაგ იხარჯებიან...

მადლობა რომ არსებობთ, მადლობა გორდის დაუვიწყარი დღეებისათვის...

ლადო ჯურხაძე – დღეს ძალიან ამაყი ვარ თქვენთან ერთად ჩემო გორდელებო, ძვირფასო ქალბატონებო. ვერ შავაფასებთ თქვენს ღვაწლს, მაგრამ გისურვებთ შემდგომ წარმატებებს თქვენს სულიერ სამყაროში და პირად ცხოვრებაში, ქ-ნ გულიადას რამდენიმე ისეთი სახასიათო როლი აქვს ნათამაშები თეატრის სცენაზე, ალბათ, ძნელად მოეპოვება მას ანალოგია და კიდევ მეტად დააფასებს დრო. მისი მაია წყნეთელი კი მართლაც საუცხოოა. მადლობა ამისათვის, მადლობა იმისათვისაც, რომ დღეს ასე აქტიურად ემსახურები ხონშიც, გორდშიც ხელოვნებას და წარმოაჩენ ჩვენს დიდებულ პოეზიას, ლექსით წარმოთქვამ სათქმელსაც... და ასევე ლექსით ჩაუქრობელი სიყვარულით გაგევლოთ ეს წუთისოფელი თქვენს ნიჭიერებით გამორჩეულ ოჯახთან ერთად. მე მადლობას ვუხდი ქ-ნ **მაყვალა გონაშვილს**, ქ-ნ **გულნაზ ხარაიშვილს,** ქ-ნ **ნაირა მარშანიას** და დამსწრე საზოგადოებას ბენეფისის ასეთ დონეზე ჩატარებისათვის. მადლობა ქ-ნ **ნაირა უგულავას**, რომელსაც ვულოცავ გ. ლეონიძის პრემიის მინიჭებას და სიმბოლურად „ნატვრის ხის“ გადაცემას. არ დაგლეოდეთ წარმატებანი.

ბადრი ქუთათელაძე – ჩემი ფესვები გორდშია. ბაბუაჩემი მარჯვენა ხელი ყოფილა **ეკატერინე ჭავჭავაძის**. იგი განაგებდა თურმე, გორდის ადგილ-მამულებს. თავისთავად ცხადია, ყველა გორდელი მიყვარს. მათ შორის **ჯამლეტ უგულავას** ოჯახი, ჩვენი გულიადა – ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელიც სულ სხვანაირად განგაცდევინებს ლექსის სტროფებს და მისი მომაჯადოებელი ხმა დიდხანს ჩაგესმის... დღეგრძელი იყავი ჩემო გულიადა და ჩემო ნაირა. იამაყეთ გორდელებო, ხონელებო ამ არაჩვეულებრივი ქალბატონებით.

თინათინ დადუნაშვილი – ხონელებისთვის გაზაფხული დროზე ადრე დადგა. **გულიადა სანოძის** ბენეფისი ყველა ხონელისთვის ერთობ საამაყო და სასიხარულოა. ამიტომაც წუთებში ყველას გულში დიდი სითბო და სიყვარული იღვრება, ყველას სულში გაზაფხული დგას. ბედნიერი ვარ, რომ ბენეფისს ვესწრებოდი, მიხარია რომ ქ-ნ გულიადას შესახებ ასეთ შეფასებებს

ვისმენდი. იდღეგრძელე და დიდხანს გვყავდე მსგავსის განსაცდელად და იმ აუწერელი ემოციებისათვის, რომელიც აგრერიგად გვჭირდება ამ ფერად სამყაროში...

თემურ გოქსაძე – მახსოვს, 2016 წელს ბორდოში (საფრანგეთში) იყო საქართველოს წარდგენა მუსიკით, ლექსით, არქიტექტურით, ეთნოგრაფიით, სპორტით,... მოულოდნელი შეფასებები მივიღეთ. შთაბეჭდილებათა წიგნი ვერ იტევდა აღფრთოვანებული უცხოელების ნააზრევს... ერთგან ასეთი რამ ამოვიკითხე – ეს იყო იბერიელების გონისა და ინტელექტის მეჯლისი. დღეს ვიტყვი, რომ ეს ბენეფისი იმ მეჯლისის გაგრძელებაა!

ჩემო ძვირფასებო, სამყაროეულო დედაკაცებო, იდღეგრძელეთ და იხარეთ, იცხოვრეთ და გაგვახარეთ თქვენი კალმით, თქვენი ნიჭით, თქვენი ქართველ-ქალობით!

დარბაზში ედუარდის „დედაჩემო“ გაისმა. ერთიანად გარინდულ მსმენელს გულში ეღვრებოდა საამო ჰანგებად აკინძული ულამაზესი სტრიქონები... საპასუხოდ დედამაც წაიკითხა შვილის „იავნანას ვერ მღერიან ძიძები“. მერე კი უნაზესი ასევე სულიერი შემოქმედი **ნათია დაშნიანი** ხალხური სიმღერების პოპურით მიესალმა დედამთილს.

ნაირა უგულავასა და გულიადას საღამო წარმატებით შედგა.

ეს ნამდვილად გონისა და ინტელექტის მეჯლისი იყო...

ბრავო!

ეთერ ჭელიძე

პატრიარქის 90 წლის იუბილე

მაღალ დონეზე ორგანიზებული საღამო, რომელიც მიეძღვნა პატრიარქის 90 წლის იუბილეს. ისევ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილის ორგანიზატორობით.

გულიადა სანოძე

ზოგი რამ ჩვენი მეგობრის – ჯემალ გორდულაძის შესახებ

შესანიშნავ ჟურნალისტს, პუბლიცისტსა და მწერალს, ჯემალ გორდულაძეს, ოცდაათ წელზე მეტია ვიცნობ. მისი შემოქმედებითი საღამო, სულ ახლახანს, 25 დეკემბერს ჩატარდა ხონის კულტურის ცენტრში. საღამო, რომელიც დიდხანს არ დაავიწყდება ხონის საზოგადოებას.

მე ბედნიერება მხვდა წილად, ჩემს მეგობრებთან ერთად ვყოფილიყავი ამ მართლაც თბილი და დაუვიწყარი საღამოს ჩატარების ინიციატორი და წამყვანი. ბატონ ჯემალს უთვალავი სიხარული მოუნიჭებია ჩვენი მეგობრობის მანძილზე. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ როგორ გადამეხადა მისთვის ამ სიხარულისა და მოყვასის ალალი სიყვარულის ნაწილი მაინც და ამისრულდა ნატვრა – მის შემოქმედებით საღამოზე მომეცა ამის თქმის საშუალება. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მისი ცხოვრების ამ ლამაზ საღამოზე, მთელ ხონს, ამიერსა და იმიერს გავაგონე მისთვის სათქმელი გულწრფელი მადლობა მეგობრობისთვის, საქმის კეთებისთვის, მოყვასის სიყვარულისთვის, გაღებული სიკეთისთვის.

ჯემალ გორდულაძემ მდიდარი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა განვლო, მის ბიოგრაფიას თუნდაც ზერელედ რომ გადაავლოთ თვალი, ეს არის რეგალიების, წოდებების, ჯილდოების მთელი კასკადი. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროში. პარალელურად ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას ქვეყნის სხვადასხვა გაზეთებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არჩეულია საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად, ხონის საპატიო მოქალაქედ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად, არის საზოგადოება „ხონელის“ დამფუძნებელი, ამჟამად მუშაობს გაზეთ „ხონელის“ რედაქტორად.

ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის სხვადასხვა პრობლემებზე დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი ნარკვევი, სტატია, ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი. არის ხუთი მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი წიგნის

ავტორი. ამჟამადაც მუშაობს საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალ „კვალის“ რედაქტორის მოადგილედ. ამ ბოლო დროს გამოსცა წიგნი „სიყვარულმა მათქმევინა“, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ერთი დიდი ანთებული კელაპტარია, რომელსაც დროის სვლაც კი ვერაფერს დააკლებს.

ჯემალ გორდულაძის ნიჭიერებაზე, მის მეტად საინტერესო ლიტერატურულ წერილებზე, ნარკვევებზე, ბევრი იწერება და ბევრიც მომისმენია. ეს მართებულიც არის, მაგრამ ამჯერად მინდა მის ადამიანურ თვისებებზე გავამახვილო ყურადღება: ნაღდი და წრფელი მეგობრობა და სიყვარული ხონისადმი, მოყვასისადმი – აი, ჯემალის უმთავრესი ხიბლი. იგი, ადამიანების, მეგობრების ჭეშმარიტ სიყვარულში ხედავს მამოძრავებელ ძალას, ეს არის მისი შთაგონების წყარო შინ და გარეთ. უკომპრომისო და პირდაპირია მედროვეებისა და უკეთურების მიმართ. ფუჭი და ზერელე ლაპარაკი არ უყვარს, ვერ იტანს სიყალბესა და ღალატს. დიდ პატივს სცემს ერთგულებასა და პატიოსნებას, რაც მამა-პაპათაგან მოსდევს. უტყუარი, ჭირსა შიგან მისაყრდნობი კაცია, ყველას გამკითხავი და ქომაგი. საოცარი მოფერება იცის, ბუნებით არის ასეთი, ყველაფერში ღვთისგან მომადლებული ნიჭი აქვს. სულ მოწესრიგებული და პეწიანია, აკურატულად ჩაცმული, წუნს ვერაფერში დაუდებ და კიდევ ერთი უმთავრესი – სამშობლო, ჩვენი მშვენიერი მამული არის მისი ჯვარცმა და ხატი.

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი, ცნობილი მწერალი და რომანისტი, ლეილა მესხი, წერს: _ „ერთგულების, ძმობის კაცია ჯემალ გორდულაძე. მასზე მეტი შეიძლება დაიწეროს, იგი იმსახურებს ამას. მის სავსე გულს, კაცურ კაცობას, ღირსეულ მამულიშვილობას რომ შეჰფერის, იმგვარი ცხოვრებით იცხოვრა! მეგობრების გვერდით დგომას, ლიტერატურის დიდ სიყვარულს და რაც მთავარია, მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო ერთგულებას შესწირა მრავალი წელი. ეს არ იყო უბრალო საქმე, თითოეული ჩვენგანი დავალებული ვართ... მე, პირადად ყოველთვის ვგრძნობდი მისგან გვერდით დგომას, მახვილ თვალს, შორიდან დადევნებულ მზერას...''

2023 წლის 1 იანვარს, ჯემალ გორდულაძეს, 81 წელი უსრულდება. მადლობა გამჩენ ღმერთს, შენს გამჩენ მშობლებს, ასეთი რომ გაგაჩინა. მადლობა შენს საოცრად თბილ და კეთილშობილ მეუღლეს, მცინარა გახოკიძეს, შენი ოჯახის თითოეულ წევრს, ვინც სიყვარულით გავსებს და ცხოვრების იმედს გაძლევს. დიდხანს იცოცხლე შენს ხონთან და ხონელებთან ერთად, ვინც გიყვარს, ვისაც უყვარხარ და ვისთვისაც მისაბაძი ხარ, როგორც ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, ოჯახის ბურჯი, სამაგალითო მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული მეგობარი, ქვეყნისა და ერის მოჭირნახულე.

მოკრძალებით ვიხრი თავს ბატონი ჯემალის ღვაწლის წინაშე.

დიდხანს და დიდხანს გაგყოლოდეს ის ძლიერი და ჯანსაღი სუნთქვა, საოცარი ხმის ტემბრი, რომელიც შემოქმედებით საღამოზე სიურპრიზივით დავინახეთ და რომელიც გამოგარჩევს სხვა დანარჩენ მოკვდავთაგან და რის გამოც ასე შეგიყვარა შენმა საფიცარმა ხონმა. უფალი ღმერთი სულ გაძლევს ძალას და გამძლეობას, გინერგავს მოყვასის დახმარების უნარს.

ამდენად აუწონელი განძი დევს ჯემალის გულში, განძი კაცთმოყვარეობისა.

სერგი ლომაძე

2022 წლის შემაჯამებელი აკადემიური საღამო

2022 წლის დეკემბერში ჩატარებული, ჟურნალ „ათინათის“ – ახალი ნომრის პრეზენტაცია, რომელიც, ფაქტიურად, წლის შემაჯამებელი საღამო იყო, აკადემიის მთელს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდებულ და გახმაურებულ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს. ამის მიზეზი ბევრია, თუმცა მიზეზთა გარჩევას აქ არ შევეცდები და პირდაპირ დავიწყებ თხრობას ამ შემოქმედებითი საღამოს შესახებ.

ორ წელზე მეტი ხნის შემდეგ პირველად გამოჩნდა აკადემიურ საღამოზე კახა ბაციკაძე, რომელიც ბრწყინავდა. იგი რამდენჯერმე წარსდგა მსმენელთა წინაშე.

მეც დიდებულ განწყობაზე გახლდით, თანაც – საღამოს ვუძღვებოდი.

რაც შეეხება აკადემიის პრეზიდენტს – გულნაზ ხარაიშვილს, ისიც, როგორც ყოველთვის, ჩვეული ოსტატობით ცდილობდა მოვლენების წარმართვას და მიზანსაც აღწევდა.

მოკლედ, ამდენი ხნის შემდეგ, ისევ ძველი პრეზიდიუმი შევიკრიბეთ (თუმცა მეოთხე წევრად აღარ იყო ლეგენდარული მეუფე თადეოზი, რომელიც, შემდეგ, მამა ამირანმა ჩაანაცვლა. საღამოს ეს დიდებული სასულიერო პირიც აკლდა, – იგი, იმ დღეებში, საეკლესიო საქმეებით ძალიან გახლდათ დაკავებული). როგორც უკვე ვთქვი, საღამოს წამყვანობა ისევ მე მხვდა წილად, როგორც ეს ხდებოდა ადრე, – დიახ, უმეტესად ასე ხდებოდა...

საღამო, ძირითადად, პოეზიის ხაზით გაიმართა (თუ – წარიმართა)...

ხელოვანებით გადაივსო მირზას სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზი. ჩამოგითვლით დამსწრეებს: გივი სიხარულიძე, ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე, ნინო უძილაური, ლალი კახიძე, თენგიზ ფანცულაია, მანანა სამყურაშვილი, თემო გოგსაძე, ედუარდ უგულავა, გიორგი ხათაშვილი, მათე არაგველი, თეა ბარბაქაძე, გიორგი თუშიშვილი, ვაჩე რაინდელი, იზა შუბითიძე, ნელი საგინაძე, ლალი სოხაძე, ლია ალადაშვილი, მარი ჟღენტი, ეთერ ისაკაძე, დავით ძნელაძე, ირმა იმერელი, მაკა ახობაძე, ლეილა ვადაჭკორია, თამარ ფირცხელაური, ნინო როსტიაშვილი, შორენა ღამბაშიძე, ნანი დარჩიაშვილი, იზა ჭიკაიძე, ხათუნა ელიაშვილი, მზია ელიაძე და სხვები. ჩემი ინფორმაციით, ზოგნი სხვანიც უნდა მოსულიყვნენ (მაგალითად, – საშა გველესიანი, მეორე კახა ანუ – კახა შალამბერიძე, გაგა გომართელი), მაგრამ ეს ინფორმაცია არ გამართლდა. მაინც ძალიან ბევრი მონაწილე გახლდათ, ხოლო ამათ ემატებოდა მსმენელ-მაყურებელნიც. გადაივსო დარბაზი... აგერ ამხელა სია ჩამოვწერე და ზოგი ადამიანი მაინც გამომრჩა. აბა როგორ შეიძლება არ მოვიხსენიო, ვთქვათ, პოეტი თენგო ხუციშვილი – პოეტურ ჯგუფ „წმინდა ქალაქის პოეტების“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც, თავისი მშვენიერი მეუღლითურთ, პირადაპირ მცხეთიდან გამოემართა საღამოზე დასასწრებად...

საღამოს მშვენება იყო გარეჯის საჯარო სკოლის ბავშვების ანსამბლი, რომელთა „ალილო-თიც“ დაიწყო საღამო, ხოლო საღამო დასრულდა მათივე შესრულებული სიმღერით „უფალო შეგვიწყალე“. დიდი სიამოვნებაა ამ ბავშვთა მოსმენა. თვითნაბადი ნიჭის ზეიმია მოსწავლეებში.

თუმცა ნიჭს წვრთნა უნდა, ხოდა ამაზე კარგად უზრუნია ანსამბლის მომხიბლავ ხელმძღვანელს – რაღა თქმა უნდა, გამორჩეული მადლობა ეკუთვნის გარეჯის სკოლის დირექტორსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საღამოს მსვლელობაში, მობილური ტელეფონის საშუალებით, ჩაერთო ცნობილი გარეჯელი ბერი – მამა ნეოფიტე. იგი მუდამ სულიერ ჯაფაში იმყოფება, და ვერ მიატოვებდა უდაბნოს, მაგრამ მისი ხმა მაინც გავიგეთ – თანამედროვე ტექნიკის საშუალებით. ბერმა დალოცა აკადემიის საქმენი, საღამოს მსვლელობით დაინტერესდა. მამა ნეოფიტეს სულიერი მოღვაწეობა უკვე დიდ დროს ითვლის. ამ ღვაწლის გამო ბერის სახელი ისე განივრცო, რომ მას ლეგენდარული მამების გვერდით მოიხსენიებენ. ძალიან გამორჩეული პიროვნებაა, ყოველმხრივ გამორჩეული. ამ რამდენიმე ხნის წინ ბერს პირდაპირ გარეჯში ეახლა, თურმე, ქალბატონი გულნაზი, რამდენიმე აკადემიკოსთან ერთად. ვრცელი, საინტერესო საუბარი შემდგარა მათ შორის. და აი, ახლა მამა ნეოფიტემ გამოგზავნა თავისი ახლო-ადამიანების ერთი ნაწილი აკადემიურ ღონისძიებაზე...

საღამოზე წარმოდგენილი იყო ვიდეოფირიც, რომელიც ჟურნალ „ათინათს“ ეძღვნებოდა, – ხომ სწორედ ამ ჟურნალის (ორმოცდამეექვსე ნომრის) გამოცემის გამო ჩატარდა ეს საღამო.

ღონისძიება გახსნილად გამოვაცხადე. პირველ გამომსვლელად კახა დავასახელე. როგორც უკვე ვთქვი, მისტერ ხელოვნება, მისტერ ფენომენი, იმ დღეს განსაკუთრებით ბრწყინავდა. ეს არის ყველაზე უფრო ქარიზმატული ადამიანი, და წაიკითხა მისი ერთ-ერთი ახალი ლექსი, რომელშიაც საოცარი მუხტი ჩადო. ვიდეოგადაღება, საერთოდ, ნებისმიერი ჩაწერა-გადაღება, მხოლოდ აუფერულებს ასეთ მომენტებს. ასეთი ეპიზოდები მხოლოდ ცოცხლად უნდა ნახო, იქ უნდა იდგე, უნდა უყურო, უნდა ისმინო. აენთო დარბაზი და ეს მუხტი გაყვა, შემდეგ, ბოლომდე, მთელს საღამოს, ამან დიდწილად განაპირობა საღამოს წარმატება, მიუხედავად იმისა, რომ კახას შემდეგ მართლაც რთულია გამოსვლა. ზოგმა აღარც წაიკითხა თავისი ლექსი. და მაინც, ახლაც ამ აზრზე ვრჩები, რომ ამ საღამოს წარმატება დიდწილად განაპირობა სორედ კახას გამოსვლამ. ყველამ დაინახა ძალა აკადემიისა...

საერთოდ, მე მიყვარს ნიჭით აღსავსე ლიდერი-ადამიანები, რადგანაც თვითონვე ასეთი ვიყავი, – ლიდერი, სხვათა ამყოლიებელი, ხიფათის, ფათერაკის, თავგადასავლის მაძიებელი, ხოლო ჩემს ფიცხ და ცვალებად, ამაყ ხასიათს, ჩემივე იუმორის გრძნობა და კეთილი ბუნება საკმაოდ ასტაბილურებდა, ხოდა, სირთულეს, უბრალოებასაც ამატებდა. ენერგიულ, ქარიზმატულ პიროვნებად, მე, ბევრი მთვლიდა, და მიყვარდა, ახლაც მიყვარს, როცა ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ სხვათა ანთება-აყოლიება. შენც უნდა ანათებდე და სხვებიც უნდა აანთო...

ხოდა აანთო ფენომენმა (კახამ) დარბაზი, მერე კი ყველა სხვა გამომსვლელიც წარმატებული აღმოჩნდა იმ დღეს. საღამო დიდ ზეიმად გადაიქცა. ეს იყო ნამდვილი გამარჯვება.

აკადემიის ძველი გვარდია (გულნაზი-ლამზირა-სერგი-კახა) რომ სათანადო სიმაღლეზე აღმოვჩნდით, ამას ხელი შეუწყო ცოტა მოგვიანებით შემომატებულმა ასევე ბევრისმთქმელმა ძალებმაც. მაგალითად, – თემო გოგსაძე და ეთო ჭელიძე, ხათუნა ელიაშვილი და მზია ელიაძე და სხვებიც, სხვებიც დიდი ძალაა. მარტო თემოც და ეთერიც კი დადგამენ ერთ დიდ შემოქმედებით შოუს, სხვა რომ არა იყოს რა, ხოლო როცა ამათ სხვებიც ემატება... თუნდაც – ედუარდ უგულავას მიერ მოყვანილი გამორჩეული ახალგაზრდა პოეტები... სიმართლე გითხრათ, მათ უმეტესობას, მე, ადრევე ვიცნობდი, და ზოგ მათგანს უკვე დიდი სტაჟიც აქვს, ასე რომ,

ძნელიც კია – ახალგაზრდა პოეტი უწოდო, (მაგალითად,– გიორგი თუშიშვილი საკმაოდ ვრცელ დროს მოითვლის ხელოვნების სივრცეში მყოფობა-მოღვაწეობისა), მაგრამ ეს ადამიანები, ასაკით, მაინც მკვეთრად ჩამოუვარდებიან აკადემიელთა უმეტესობას. მიუხედავად ამისა, მათ დიდებული ლექსები გააჟღერეს ღონისძიებაზე, და ეს არცაა გასაკვირი, – სტრიქონებს შვენის ახალგაზრდობა ავტორისა.

ქართული ხელოვნების ვეტერანმა, ყველასათვის ცნობილმა გივი სიხარულიძემ, უკვე თავიდანვე (კახას გამოსვლის მერე) შეაფასა საღამო, როგორც დიდებული, და როგორც უკვე ვთქვი, პოეზიის ზეიმი ბოლომდე პოეზიის ზეიმად დარჩა.

ორჯერ მივეცი სიტყვით გამოსვლის უფლება დარია ხიდეშელს, რომელმაც მეორედ ძალიან ისახელა თავი, როდესაც საკუთარი ლექსი წაიკითხა, და ქალბატონი გულნაზისაგან, იმ დღეს, სპეციალური პრიზიც დაიმსახურა (თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ პრიზებს თუ საჩუქრებს, იმ ღონისძიებაზე, გულუხვად არიგებდა აკადემიის პრეზიდენტი. მაინც, – დარიას განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა ისიც, დარბაზიც).

ისევ დავუბრუნდები გარეჯის სკოლის ბავშვების თემას, და ვიტყვი, რომ მათი დიდებული ხმები დიდებულად შეეწყო-ჩაექსოვა-ჩაეწერა პოეზიაში, ჩვენი საღამოს სტრუქტურაში, ამიტომაც რამდენჯერმე მივეცი, მათ, გამოსვლის საშუალება. თუმცა კარგი მეხსიერება მაქვს, მაინც ვერ ვიტყვი ზუსტად, თუ რომელი სიმღერები შეასრულეს, რადგანაც ძალიან ბევრი რამის დამახსოვრებას ვცდილობდი ამ საღამოდან და ასეთ სიტუაციაში რთულია ყველაფრის ზუსტად თქმა, თუმცა მათი საწყის-სასრული სიმღერები რაც იყო, ესენი ქალბატონი გულნაზის ერთ-ერთი პოსტიდან (ფეისბუქპოსტიდან) ამოვკრიფე და სტატიაში უკვე დავწერე. მათ შეასრულეს სხვა სიმღერებიც. გვქონდა სულ სხვა მუსიკალური ნომრებიც. მაგალითად, – კახას სამი გამოსვლიდან ერთი ხომ პოეზიას დაეთმო, ერთი – სიმღერას, და ერთხელაც – სიტყვით გამოვიდა. საოცრად დამუხტული გამოსვლები ჰქონდა იმ დღეს. მუსიკის მეშვეობით წარსდგა დარბაზის წინაშე ლია ალადაშვილი, – უნიჭიერესი ხელოვანი, რომელიც ლიერატურასა და მუსიკაში მუშაობს და პოეტური კრებულის ავტორი არის. მას უყვარს საავტორო სიმღერების შესრულება. მაგალითად, – ერთ-ერთი სიმღერის მუსიკის ავტორი თვითონ იყო, ხოლო ტექსტი ქალბატონ გულნაზს ეკუთვნოდა.

ლიანასაც არაერთხელ მიეცა საღამოზე გამოსვლის საშუალება.

დასასრულისთვის ის მინდა ვთქვა, რომ ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია ათიან წლებში დაარსდა, და მაშინ (ათიან წლებში) ჰქონდა, მას, თავისი პიკი, თუმცა ფაქტია, რომ აგერ ოციან წლებშიც აღწევს წარმატებებს. ეს ღონისძიება, ეს სუპერსაღამო, საუკეთესო ან ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ამ ორგანიზაციის ღონისძიებათაგან. ვულოცავ ქალბატონ გულნაზს და საერთოდ – მთელს აკადემიას, ამ გამარჯვებას. აქვე ვულოცავ იმასაც, რომ ათინათიც, ანთოლოგიაც ისევ გამოდის – წარმატებული სერიებივით. აკადემიაც ივსება ახალი წევრებით, თან ხშირად ატარებს როგორც პატარა, ასევე – დიდ ღონისძიებებს...

საერთოდ, არაერთ ლიდერს ჰყოლია მრჩეველი ან მრჩეველები. უგალაკტიონოდ და უგრანელოდ დარჩენილ „ცისფერყანწელთა“ ლიდერებს მრჩეველად გრიგოლ რობაქიძე ექცათ. ისინი ვერ გააწევრიანეს ჯგუფში, მაგრამ ეს, გრიგოლი, თავიდან ძალიან შეეწყო ამ ჯგუფს, რომლის შესახებაც დაზუსტებით რაიმეს თქმა არაა ადვილი, გარდა იმისა, რომ „ყანწელებმა“ სამუდამოდ

დატოვეს თავიანთი კვალი ქართულ ლიტერატურაში. რაც შეეხება მწერალთა კავშირის პირველ ლიდერს – პოეტ კოტე მაყაშვილს, მისი მრჩეველები სწორედ „ყანწელები“ იყვნენ, და სხვებიც. (ეგებ არც გრიგოლი ყოფილა ერთადერთი მრჩეველი „ცისფერყანწელთათვის“, თუმცა გამორჩეულად დაფასებული კი ნამდვილად იყო მათგან). მრჩეველები ჰყავდათ უნივერსიტეტის, კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და სხვათა და სხვათა დამაარსებლებს, წინამძღოლებს.

რა თქმა უნდა, გულნაზ ხარაიშვილსაც ჰყავდა მრჩეველები, – მეუფე თადეოზი, ჯუმბერ ლეჟავა, ნუგზარ ნადარაია და სხვანი. ზოგი მათგანი, მაგალითად – ლეგენდარული თადეოზი, აღემატებოდა კიდეც მრჩეველს. იგი მოძღვარი, მოძღვართმოძღვარი იყო ბევრი ადამიანისათვის... და ქალბატონ გულნაზს საოცრად აძლიერებდა სინათლე ასეთი სუპერმრჩევლებისა. ხოდა აკეთებდა, იგი, დიდებულ საქმეებს.

ის ძველი შემართება დღესაც სახეზეა. არ ჩერდება აკადემია, არც უნდა გაჩერდეს. მოძრაობაშია აზრი. წინსვლაშია აზრი.

ფიქრია სათავე საქმის.

და თუ არსებობს დიდი ფიქრები, არსებობს დიდი საქმეებიც...

პოეზიაზე ვიტყვი:

სამყაროს (სამყაროების) მეფემ, ანუ – ღმერთმა, პოეტური სივრცე შექმნა. დიახ, პოეტურია სამყარო, და ეს ძლაიან ბევრს ნიშნავს. თუნდაც ეს ამბავი მეტყველებს პოეზიის უსაზღვრო ძლიერებაზე. პოეზიამ პოეტური სამყარო შექმნა.

პოეტი შეიძლება იყოს იდეალისტიც და – მთელი იდეალიზმიც. პოეზიის კანონები (უკანონობანი) მოიაზრებს ასეთ რამესაც, პოეზიისავე ნებით, პოეტისავე ნებით...

პოეზიაზე (პოეტზე) საუბარი უსასრულო სივრცეებში გაგვიყვანს, და რადგანაც სტატიას არ აქვს უფლება დაუსრულებლობისა, ამიტომაც აქ უნდა დავსვა წერტილი. მაშასადამე, კიდევ ერთი სტატია შეემატა ჩემს ნაწერებს...

თბილისი. 2023 წელი. იანვარი.

შორენა მამალაშვილი

„გორდში“ გატარებული დღეებიდან

მთაში სტუმრობისას ყოველთვის განსაკუთრებული განცდა გაქვს ადამიანს, რამდენჯერაც არ უნდა ახვიდე, ყოველთვის ახალ-ახალი და განსაკუთრებული შთაბეჭდილებით ბრუნდები. რამდენჯერაც არ უნდა შეიგრძნო მისი იდუმალება, სიმდიდრე და კაცობრიობისთვის ასე სანატრელი სიმშვიდე, მაინც უსასრულოდ გხიბლავს და გიზიდავს...

სწორედ ასეთი დაგვიხვდა ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებზე შეფენილი ისტორიული სოფელი, ზედა გორდი, მე-19 საუკუნის დადიანისეული ტყე-პარკითა და საზაფხულო რეზიდენციით, ოკაცეს კანიონით, ცადაზიდული მთებიდან დაშვებული ჩანჩქერებით, მიწისქვეშა 42 მღვიმით, მრავალი ნაკადულით, მდინარეებით, ტბებით, გასაოცარი ბუნებრივი ლანდშაფტითა და მკურნალი ჰავით.

შესამჩნევია, როგორ იმეორებს მთის ხასიათსა და ბუნებას მთაში მცხოვრები ადამიანი და სწორედ ამ ადამიანებზე მინდა დღეს მოვყვე. ალბათ სულ არ იყო შემთხვევითი, ჩვენმა ტრანსპორტმა მთაში მიმავალ აღმართიან გზაზე ,,დასვენება" რომ გადაწყვიტა და უცნობ ეზოსთან გაგვაჩერა. რა გასაკვირია, გულიადა სანოძის სიყვარულით გულნაზ ხარაიშვილს გორდში ყველა გზისპირა სახლი მისი რომ ეგონა და ,,გულიადა, გულიადას" ძახილზე ოჯახის უფროსი, გვარად ჩიხლაძე გამოახედა. მაგრამ, ჩვენთვის გასაკვირი ნამდვილად აღმოჩნდა ამ ახალგაზრდა კაცის მასპინძლობის ტრადიციული კულტურა, როდესაც მოწიწებით შეგვიპატიჟა ოჯახში და არ დავთანხმდით, იქვე გაგვიმასპინძლდა უგემრიელესი ვაშლით, ნედლი თხილითა და ცივი წყლით. მეორე აღტაცება უკვე დანიშნულების ადგილზე, ნაირა უგულავასა და რამაზ

კერძაიას ოჯახში სტუმრობამ მოგვგვარა. ნაირა უგულავას საიუბილეო საღამო, მისი შემოქმედების გულიადა სანოძისეული ოსტატობით წარდგენა და საღამოს სალონური სტილი, ქართულ-ევროპული კულტურის ზეიმი იყო.

ასე სასიამოვნოდ დავასრულეთ დღე მზიან ზედა გორდში და წვიმიანსა და ნისლიანში გავიღვიძეთ, ბადრი და მანანა უგულავებთან, საოჯახო სასტუმროში -– ,,სახლი ტყის პირას". ეს საოცრად ლამაზი და მყუდრო სასტუმრო იდეალური ადგილია სიმშვიდით ტკბობის, ბუნებასთან სიახლოვისა და შემოქმედებითი განწყობისთვის და ეს წვიმიანი დილაც ბუნების მიერ ხორცშესხმული მორიგი ხელთუქმნელი პეიზაჟი... რძისფერი ნისლის მძიმე ფარდით შემოსაზღვრულ აივანზე სურნელოვანი ყავა მივირთვით, ნარდი ვითამაშეთ, ჩვენი მასპინძლის, ბადრი უგულავასა და მისი ქალიშვილის, საოცრად ნიჭიერი თამთა უგულავას ავტორობით გამოცემულ წიგნსაც გავეცანით და ნისლიანი მთებიდან გადმომდინარე ჩანჩქერების სანახავად გავეშურეთ.

დილიდან, ნისლთან ერთად ადევნებული ფრაზით: ,,ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი..." ავედით კინჩხის ჩანჩქერთან და ნისლის ნაბადში გახვეული ბუმბერაზი მთები და მათ გულისპირზე ხმაურით გადმომსკდარი უმშვენიერესი ჩანჩქერები ვიხილეთ. მოვისმინეთ, რამდენად ძვირფასი და ახლობელი იყო ჩვენი მასპინძლებისათვის ამ მიწის თითოეული გოჯი და ცხადად დავინახეთ მათ მეხსიერებაში შემონახული ბედნიერი, ბავშვობის ფერებითა და ემოციებით სავსე სურათები.

აქვე მოვისმინეთ ყველასთვის საყვარელი, საოცრად ნიჭიერი მსახიობის, უკეთილშობილესი გულიადა სანოძის სასცენო ისტორიები. მაია წყნეთელის როლის საუკეთესო შემსრულებელთა სამეულში დასახელებული, სიამაყითა და აღტაცებით გვიყვება, თუ როგორ გაიტაცა და შთააგონა აღნიშნულმა როლმა მრავალი წინ. ყურადღებით ვისმენ, გულიადა სანოძის, ამჯერად, როგორც რეალური ცხოვრების ერთი საინტერესო პერსონაჟის განვლილი გზის შესახებ, ვუყურებ მის სიყვარულის ენერგიით აღსავსე თვალებს და უნებლიედ ვფიქრობ, რამდენად სწორად შეურჩევია მისთვის ნათლიას სახელი – გულიადა ... ხელოვნების სამსახურში მყოფი, მთელი გულით ემსახურება ყველა საქმეს სცენასა თუ მის მიღმა... და სცენაზე თუ მაია წყნეთელის, რეალურ ცხოვრებაში ღირსეული და უსაზღვროდ ძლიერი ქართველი ქალის სახეა.

ჩვენი სტუმრობის დასრულებამდე კიდევ ერთხელ გაგვაოცეს გორდელებმა, ამჯერად უკვე კულინარიული ოსტატობითა და ტრადიციული

ქართული სუფრის კიდევ ერთი სამშვენისით, დიდებული თამადით. შორ გზას დაშურებულები, ერეკლე საღლიანის მიერ წაკითხული ლექსით დავემშვიდობებთ ჩვენს ძვირფას მასპინძლებს და გულისწყვეტით, თუმცა გულში ღრმად ჩათქმული სურვილით, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდით გორდში კიდევ არაერთხელ, დავტოვეთ ეს მიწიერი სამოთხე.

პოეზიის დღესასწაული მუზათა საუფლოში...

22 ივლისს, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში, დადიანების ისტორიული ტყე-პარკის მახლობლად, ნაირა უგულავას (ნია გორდელი) საიუბილეო საღამო შედგა.

საოცრად ნატიფი, კეთილხმოვანი და მდიდარი პოეზია, გაჯერებული მრავალსაუკუნოვანი პოეტური ტრადიციებითა და რომანტიზმის ელემენტებით, ჭავაჭავაძეთა ლიტერატურული სალონის მონაწილედ გვაგრძნობინებდა თავს.

უძველესი ქართული და ევროპული ტრადიციების სინთეზი, არა მხოლოდ ნაირა უგულავს პოეტურ აზროვნებას, არამედ, მისი ხელით გაშენებულ უმშვენიერეს წალკოტსაც ამშვენებდა. სხვადასხვა ყვავილებს შორის თავს იწონებდა კეთილსურნელოვანი საუცხოო ვარდი, ეკატერინე ჭავჭავაძისეული უნიკალური ბაღიდან.

ნია გორდელის პოეზიაში ამღერებული ქართული გონისა და ბგერის ჰარმონია ერთნაირად ატკბობდა ხელოვნების სიყვარულით გაერთიანებულ საზოგადოებასა და დაისის სხივებით ანთებულ ბუნებას.

საღამოს ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა, ქალაქ ხონის თეატრის უნიჭიერესი მსახიობი, გულიადა სანოძე. პოეზიის წვდომისა და გაზიარების ოსტატობით გვაოცებდნენ და გვხიბლავდნენ

გულიადა სანოძის მიერ დაარსებული ლიტერატურული წრის მოსწავლე-ახალგაზრდები. პოეტურ ბგერებს, ხონის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური ანსამბლის მიერ შესრულებული ღვთაებრივი ჰანგები ენაცვლებოდა...

იუბილარი პოეტი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის სახელით დააჯილდოვა ერეკლე საღლიანმა და დავით აღმაშენებლის სახელობის მედალი და ენდალმა გადასცა.

ნია გორდელის პიროვნებასა და შემოქმედებას აფასებდნენ სიტყვით გამომსვლელები: პოეტი ერეკლე საღლიანი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, გულნაზ ხარაიშვილი, აკადემიის წევრები: ეთერ ჭელიძე, შორენა მამალაშვილი, შორენა ჩხიკვიშვილი, მურმან გენელიძე. ხონის მუნიციპალიტეტის მერი, ლადო რუხაძე და მისი აპარატის წევრები, ქალაქ ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლები, გაზეთ ,,ხონელის" რედაქტორი, ქალთა ორგანიზაციის წევრები და სხვები.

შემოქმედი ქალის პორტრეტი მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად წარმოგვიდგინა მისმა მეუღლემ, რამაზ კერძაიამ.

დასასრულს, მადლობის სიტყვით გამოვიდა საღამოს მთავარი გმირი, ნია გორდელი. გულწრფელი სიყვარულით მიეფერა თანამოკალმეებს, მეგობრებსა და კოლეგებს. ზეიმი კი გაგრძელდა, და ამჯერად სცენა დაეთმო ქართული კულტურის ისეთ დიდ ღირსშესანიშნაობას, როგორიცაა ქართული სუფრა...

თამარ კერძაია

"სულის საზღვრებთან"

დედას მე-8 წიგნის პრეზენტაცია ულამაზეს გორდში. "სულის საზღვრებთან" – ამ ფილოსოფიური წიგნის შინაარსს ალბათ ყველაზე მეტად მოუხდა ადგილი, სადაც დადიანების დასასვენებელი რეზიდენცია იმყოფებოდა და სადაც ისტორია და კულტურა ერწყმის საოცარ ბუნებას.

ეს არის ადგილი, სადაც ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს ცხოვრების დარჩენილი ნაწილის გატარება და ბუნებასთან ჰარმონიაში შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელება.

ამ ზღაპრულ გარემოში დაიწერა წიგნი, რომელიც მკითხველისთვის აღმოჩნდება გასაღები სხვადასხვა საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხზე.

- მადლობა თითოეულ სტუმარს;
- მადლობა მწერალთა კავშირს მაყვალა გონაშვილის ხელმძღვანელობით;
- ქართველი ხალხის უსაყვარლეს პოეტს – ერეკლე საღლიანს;
- ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიას, პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით;
- აკადემიის წევრებს: ეთერ ჭელიძეს, შორენა მამალაშვილს, თემურ გოგსაძეს;
- სამხატვრო აკადემიის პროფესორს, მურმან გელენიძეს და სხვებს;
- ხონის მუნიციპალიტეტის მერს – ბატონ ლადო ჯურხაძეს, ხონის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებს, განათლების განყოფილებას, კულტურის ცენტრს;
- ქუთაისის მწერალთა და შემოქმედთა დასს:"მზის თეატრს", ნათია ჯიმშელეიშვილის ხელმძღვანელობით; – პოეტის სახლს "მარგს" და მის დამფუძნებელს ნათელა ფოჩხუას;
- ქუთაისური საღამოების" სულის ჩამდგმელს – ირმა ქურასპედიანს და მის წარმოადგენლებს; ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების უფროსს ელისო ქაროსანიძეს;
- კლუბ "60+"-ის ქალბატონებს მერი ლობჟანიძის ხელმძღვანელობით;
- გორდის სკოლას;
- განსაკუთრებული მადლობა პოეზიის საღამოს წამყვანს, ხონის თეატრის მსახიობს, მრავალი ჯილდოს მფლობელს, გულიადა სანოძეს და ხონის კულტურის ცენტრთან არსებული ლიტერატურული წრის მოსწავლეებს;
- და მადლობა ჩემს მამიკოს, რომელიც ყველაზე დიდი მოტივატორი და მხარდამჭერია თავისი მეუღლის ❤

გაზეთი ხონი

ქ-ნ ნაირა უგულავას!

მშვენიერებით, სულიერებით, ნიჭიერებით, საქმიანობით გამორჩეული ქ-ნი ნია გორდელი იუბილარია. გილოცავთ ღქვენს დღეს. არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ, პირველ ყოვლისა, როგორც ქალი, დედა, ბებია, მეგობარი, გულშემატკივარი. ბუნებრივ ნიჭსა და შესაძლებლობებს ემატება თქვენი განსწავლულობა და აქედან იბადება პოეზია-ფილოსოფიური, ღრმა შინაარსის, ეროვნული, ქართული სულის ამოძახილი...აქედან იღებს სათავეს შესანიშნავი, შორსმჭვრეტელური, რელიგიურ-მისტიური ნააზრევი რამდენიმე წიგნში განთავსებული... და მიუყვებით ცხოვრების ბილიკს ზოგჯერ აღმაფრენით, ზოგჯერაც ფიქრებით დამძიმებული. საზრუნავი არ გელევათ. სხვათა ტკივილს განიცდით და ყოველთვის ხელს უწვდით დასახმარებლად. სულს გიფორიაქებთ ცხოვრებისეული, საქვეყნო პრობლემები და ეს ყველაფერი-თქვენი სულის ნაჭდევი თქვენსავე შემოქმედებაში ვლინდება...

თქვენს ბიოგრაფიას ბევრი რეგალიები, მადლობები, დამსახურებული აღიარებები, მედალიონები,...ამშვენებს, თუმცა ყველაზე დიდი ჯილდო თქვენდამი სიყვარულია. ამიტომაც დაიღვარა იუბილეზე ამდენი სითბო, სიყვარული, გულწრფელობა, სიხარული, მოფერება და ეს იყო ბუნებრივი...

არ შემიძლია, არ ვთქვა თქვენი წალკოტის შესახებაც. მშობლიურ გორდში პატარა სავანე მოაწყვეთ მეუღლესთან **რამაზ კერძაიასთან** ერთად. გასაოცარი ყვავილნარი და მიმნზიდველი გარემო, არაჩვეულებრივი გემოვნებით შექმნილი და მოფუსფუსე დიასახლისი, ღრუბლებწამოფარებული ეზო და მთის კალთებში შემოპარული მზის სხივები, დილის ნამი და შეუდარებელი დაისი... მასპინძლები გულუხვები, მარჯვენადალოცვილები და სტუმართმოყვარეები...

გაიხარეთ! უფლის ნებით თქვენი სურვილები, ფიქრები ფრთებს შეისხამს და კიდევ მეტს შეგაძლებინებთ სამშობლოსათვის, ხალხისათვის, მოყვასისასთვის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ ბ-ნი **თემურ გოქსაძის** სიტყვებს: **„ნაია გორდელში ღვთაებრივი გალაქტიკის ინტელექტი ჩანს“-ო.**

მაია ფეიქრიშვილი,
გაზეთ „ხონის“ რედაქცია

ქეთევან ბახტაძე

ღვთისგან ნაბოძები მადლი კვლავაც ბევრი დაიწერება თქვენზე

ფიზიკური მშვენიერება, სილაღე, უანგარობა, ზნეკეთილობა, ქართული პოეზიის მწერლობისადმი თაყვანისცემა, მსახურება-ეს არის ის ძირითადი ფასეულობანი, რაც ექიმ, პოეტ, შემოქმედ ქალბატონს **ნაირა უგულავას (ნია გორდელი)** უფალმა სულიერ საგზლად უბოძა.წლებია უშურველად აფრქვევს ღვთისგან ნაბოძებ მადლს, თითოეულ სიტყვაში საკუთარ სულს დებს ეს მადლიანი შემოქმედი. გულს ახარებს და სულს აფაქიზებს ნიჭიერი, განათლებული ქალბატონის-გორდის მიწის მადლს ნაზიარები, მთის ანკარა წყაროსავით სუფთა შემოქმედება, ამიტომაცაა, რომ მისი გამოჩენა საზოგადოებაში დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას იწვევს, ის უყვართ, აფასებენ, პატივს სცემენ.

ამის დასტური იყო 2023 წლის 22 ივლისი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული, ლამაზი დღე იქნება ქალბატონი ნაირას ცხოვრებაში, მის თვალწარმტაც, ბაღნარადქცეულ ეზო-კარმიდამოში მოეწყო მეტად საინტერესო, მეტად შთამბეჭდავი და ყველასათვის დასამახსოვრებელი ღონისძიება, შეხვედრა მის თაყვანისმცემლებთან, მისი წიგნების მკითხველებთან, საუცხოო, მეტად საპატივცემულო სტუმრებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან, მეზობლებთან... ეს შეხვედრა თავისი მასშტაბურობით, შინაარსობრივი დატვირთვით, დიდი ემოციებით, გრძნობებითა და განცდებით იყო ქალბატონი ნიას მიერ შექმნილი შემოქმედების კიდევ ერთხელ გამობრწყინება თავისი დიდებულებით, რომლის ჩატარების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი ჩვენი სახელოვანი და საამაყო მსახიობი **გულიადა სანოძე** გახლდათ. მან ჩვეული, გამორჩეული ოსტატობით შეასხა ხოტბა **ნია გორდელის** პიროვნებასა და შემოქმედებას, განსაკუთრებული რიხითა და განცდით წაიკითხა მისი ლექსები, შემდეგ კი სცენა მისმა მოსწავლეებმა, ხონის მუნიციპალიტეტის კულტუ-

რის ცენტრთან არსებულმა, მხატვრული კითხვის წრის წევრებმა დაიპყრეს. რიგ-რიგობით გამოდიან სცენაზე თვალხატულა გოგო-ბიჭები, თავისუფლად, მხატვრულად კითხულობენ ქალბატონი ნიას ლექსებს, შესანიშნავი მომზადებულები არიან, ასევე მხატვრულად, განცდითა და გრძნობით წაიკითხეს ლექსები **ვასიკო აგლაძემ,** ჩვენმა სანაქებო ექიმმა და პოეტმა **შორენა ჩხიკვიშვილმა,** ქალბატონი ნაირას შვილიშვილებმა, სხვებმა და სხვებმა...

დროდადრო მათ სცენაზე ენაცვლებოდნენ მომღერლები **დაზმირ ლიპარტელიანის, ვეფხია გულედანის, მიშიკო ლაგვილავას და რეზო ცხადაძის** შემადგენლობით. მათ ერთგვარად გაალამაზეს საღამო.

შეხვედრაზე ქალბატონ ნაირას მიესალმნენ და სამადლობელი სიტყვით მიმართეს ხონელებისთვის სასურველმა, მეტად საპატივცემულო სტუმრებმა-ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ჟურნალ „ათინათის“ მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა **გულნაზ ხარაიშვილმა,** პოეტმა **ერეკლე საღლიანმა, ეთერ ჭელიძემ, შორენა მამაიაშვილმა,** სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, აკადემიკოსმა **მურმან გელენიძემ,** გაზეთ „ხონელის“ რედაქტორმა **ჯემალ გორდულაძემ,** ქალბატონი ნაირას კოლეგებმა, მეგობრებმა...

ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მწერალთა კავშირმა ქალბატონ ნაირას მიანიჭა დავით აღმაშენებლის მედალი და მედალიონი და გამოსცა მისი რიგით მეცხრე წიგნი.

გამომსვლელებმა დადებითად, სანიმუშოდ შეაფასეს ქალბატონი ნაირას შემოქმედება, მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია, მისი პიროვნება, ჭირ-ვარამგამოვლილი მისი სტრიქონები, ეროვნულობა, პატრიოტიზმი, ფესვებისადმი ერთგულება, ერთი სიტყვით, მის მიერ სახელოვნად განვლილი 65 წელი, ყოველივე ამისათვის მადლობა გადაუხადეს და უსურვეს შემდგომი წარმატებები...

როგორც სტუმრებმა, ისე სხვა გამომსვლელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ქალბატონი გულიადას თავდადებული შრომა, მონდომება და ენთუზიაზმი, აღნიშნეს, რომ გულიდან დიდი გრძნობით ამოსულ ლექსებს სწავლა უნდა, გარჯა უნდა, დიდი სიყვარული უნდა, მადლობა გადაუხადეს ყოველივე ამისათვის და კიდევ იმისათვის, რომ სამშობლოს ორი შესანიშნავი ვაჟკაცი, ერთი პოეტი და მეორე ხატმწერი **ედუარდ და იაგო უგულავები** აჩუქა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი **ლადო ჯურხაძე** და მერის მოადგილოე **მანანა გოფოძე,** მათ მიულოცეს ეს მნიშვნელოვანი დღე ქალბატონ ნაირას და საჩუქრები გადასცეს.

საღამოს კიდევ ერთხელ გაჟღერდა ქ-ნ **გულნაზ ხარაიშვილის** მიერ ნათქვამი სიტყვები ბატონი ლადოსადმი: **საქართველოს არცერთ მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ისეთი მერი, როგორიც ხონსო.**

სიტყვა ქ-ნი ნაირას მეუღლეს **რამაზ კერძაიას** გადასცეს. იგი უაღრესად ტრადიციული და ქართველობის დამცველია, შესანიშნავი თამადა, ქ-ნ ნაირასთან ერთად მისი დიდი დამსახურებაცაა ეს ოჯახი, ასე რომ გამოირჩევა განათლებით, წესიერებით, აქტიურობით, სტუმარმასპინძლობით.

– ხანში რომ შევედით, გადავწყვიტეთ გორდს დავბრუნებოდით. გორდის ჰაერმა წერაზე აიყვანა ნია და მას შემდეგ სულ წერს და წერსო, – ბრძანა.

ბოლოს გახარებულმა და დიდი სიყვარულით აღტაცებულმა ქ-ნმა ნაირამ მადლობა გადაუხადა ყველას მობრძანებისთვის, განსაკუთრებული მადლობა უთხრა ქ-ნ **გულიადა სანოძეს,** რომ არა მისი ორგანიზატორული ნიჭი და მონდომება, ეს საღამო ასეთი ვერ იქნებოდაო,-აღნიშნა მან.

ასევე განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლების წვლილს მის შემოქმედებაში. ისინი სტიმულს მაძლევენ წერისასო,-განაცხადა.

ქ-ნმა ნაირამ, დიდი მადლობა გადაიხადა ამდენი თბილი და ტკბილი სიტყვისთვის, მოფერებისა და სიყვარულისთვის, იმისთვის, რომ აზრი გამოთქვეს მისი შემოქმედების მიმართ.

ბოლოს მაპინძლებმა სტუმრები სახელდახელოდ გაწყობილ სუფრასთან მიგვიწვიეს. თავად იუბილარი კი იჯდა სავარძელში ყვავილებით და საჩუქრებით გარშემორტყმული და საკუთარ წიგნებზე, რომლებიც იმ დღეს საჩუქრად მივიღეთ, ავტოგრაფს აწერდა. დიახ, მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე ეს წიგნები, მეუღლე, შვილები და შვილიშვილებია, რომლებიც თავს ევლებიან, ეს ყოველივე კი არწმუნებს იმაში, რომ ცხოვრება მშვენიერია, რომ ყოველი დღის გათენება უნდა გვიხაროდეს და უფლის მადლიერი უნდა ვიყოთ.

ჩვენ კი, იქ მყოფები, თავს ვიწონებდით თქვენთან ურთიერთობით ქ-ნო ნაირა,თქვენ ხომ ხვეწთ და ამშვენებთ, აკეთილშობილებთ ჩვენს სულებს და უშურველად ემსახურებით ჩვენს და თქვენს საფიცარ საქართველოს.

გმადლობთ, რომ ხართ და ამშვენებთ ჩვენს კუთხეს, გორდს, მთლიანად საქართველოს.

ერთგან წერს ქ-ნი ნია: „ვერ ვთქვი ბოლომდე, რაც სათქმელია“-ო. დიახ, სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი დაგრჩათ დიდებულო ქალბატონო, წინ დიდი და ლამაზი გზაა გასავლელი, კვლავაც ბევრი დაიწერება თქვენზე და ჩვენ ვიქნებით ამაყნი თქვენით.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

აკადემიის დაარსება

ორიათას ათ წელს დაარსდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. მოგზაურის სიცოცხლეში. აკადემიაში გამოდის სამეცნიერო შემეცნებითი ჟურნალი ,,ათინათი“ და წელიწადში ერთხელ ანთოლოგიის ტომი. მას შემდეგ თერთმრტი წელი გავიდა. გამოსულია ორმოცი ნომერი სამას გვერდიანი „ჟურნალი“ და ათი ექვსას გვერდიანი ანთოლოგის ტომი. ფიცი, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას საფლავზე დადებული, რომ არ უნდა მოვდუნებულიყავით, თაობები უნდა შეგვეკრიბა და სიკეთის, სიყვარულის, ერის კეთილდღეობაზე გვეზრუნა გრძელდება. გარდაიცვალა, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ოცდასამ ივლისს ოთხმოცდა ერთი წლის გახდებოდა. ჩვენთვის ბატონი ჯუმბერი ცოცხლად დარჩა. იგი განისვენებს დიდუბის პანთეონში. დიდი მადლობა ამ დიდი ეროვნული ინიციტივისათვის ბატონ დავით ნარმანიას. მისი მერობის დროს მოხდა ჯუმბერ ლწჟავას გარდაცვალება და მას ეროვნული წვლილი მიუძღვის, რომ იგი დამსახურებულად დაკრძალეს, დიდუბის პანთეონში. დიდი მადლიბა, გეპეის ადმინისტრაციას, მოგზაურის საფლავის გაკეთებისათვის. მე, როგორც მისი სახელობის აკადემიის ხელმძღვანელს, ისღა დამრჩენია, კვლავ ლექსით შევეხმიანო მის უკვდავ სულს:

ეს ლექსი მიუძღვენი, როდესაც ცხრა წლიანი მოგზაურიბის დროს რუთავში დაბრუნდა. იგი რუთავმა გააცილა და მოგზაურობაც რუსთავში დაასრულა. მოგზაურობა მიუძღვნა, აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისათვის შეწირულ გმირს, ჟიული შარტავას და გარდაცვლილ მეუღლეს, ქალბატონ ლიანა ალიბეგაშვილს: ლექსს რომელსაც ახლა გთავაზობთ, დაბეჭდილი იყო, ჟურნალ ,,მოგზაურში“. ჟურნალი დააფინანსა, იმ დროუნდელი ნაყინი თოლიას დირექტორმა, ბატონ დავით კიღურაძემ.

=========:·
მზე გაზაფხულს
შემოუძღვა დილით
და სიცოცხლე ააკვირტა ისევ,
თავის გამზრდელს
დაუბრუნდა შვილი,
მთებმა სული
შეუბერეს ნისლებს.
მან გაასწარო
ქარიშხლიან დრო ჟამს,
დედამიწას დაამჩნია კვალი,
გზად, მინდიად ჰქონდა
ქართვლის დროშა,
ვაჟკაცურად მოიხადა ვალი.
ო, ქვეყანავ,
ულეველო გმირთა,
ისე გტკივა,
ტკივლს არ ხმაურობ,
წარმატებას
კვლავ მოგძღვნი ტვირთად,
ცას წასულო, დიდო მოგზაურო.
თუ ბატონობს, აქ,
სატანის მოდგმა,
ვარსკვლავები,
განაგრძობენ ციმციმს,
ქარო, ისევ ჭორაობ და ბოდავ,
ცაში სული არა კვდება ვიცი!

ბათუმის ბოდიბილდერები

18 ივლისი, 23:03-ზე·
1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების განგრენით.
1986-1987 წლეებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები.
1987-1990 წლეებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი.
1990-1992 წლეებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში.
1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით.
3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისადა აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას.
გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი.
შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური.
უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი - 9 წელიწადი და 3 თვე.
ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასმა მოეწყო:
1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა.
მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.
15 ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო 6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში.
1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ. გარდაიცვალა 2014 წელს.
დღეს გავიხსენებთ ამ ძლიერ პიროვნებას

ოცდასამი ივლისი ბატონი ჯუმბერის დაბადების დღეა.

ოცდასამ ივლისს დაიბადა, მსოფლიოში თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობით, გამორჩეული პიროვნება, დიდი მოგზაური ბატონი ჯუმბერ ლეჟავა. არ არსებობს ისეთი წელი, რაც ბატონი ჯუმბერი გარდაიცვალა, რომ მისი საფლავი ყვავილების გვურგვინით არ მოვრთოთ. ბატონი ჯუმბერის, სიცოცხლეში დავაარსე მისი სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადია. ამ აკადემიის დამფუძნებელი არის, თვითონ ბატონ ჯუმბერ ლეჟავა და პირადად მე. ახლა როცა მისი სული უფალთან არის, ეს, პასუხისმგებლობაცაა, რომ მის საფლავზე მივიდე და პატივი მივაგო, სიცოცხლეშივე უკვდავ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას სულს. მინდა მადლობა გადაუხადო, ამაღლების ეკლესიის წინამძღოლს, საერო ცხოვრებაში დიდ მსახიობს, ოპერის მომღერალს, არაერთი წიგნების ავტორს, ახლა კი, მამაოს, მამა ამირანს, რომ მიუხედავად იმისა, ის, ძალზე დაკავებული იყო, მაინც მოვიდა და ბატონი ჯუმბერის საფლავი აკურთხა. მადლობა აკადემიის წევრებს: გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთავარ სპეციალისტს, პოეტ ქალბატონ ეთერი ჭელიძეს, პროფესორს, ქალბატონ სულიკო თავბერიძეს და მის მეუღლეს ბატონ იუზა რობაქიძეს. აკადემიის სწავლულ მდივანს, ბატონ მალხაზ ჩხიტუნიძეს, დიდუბის პანთეონის დირექტორს პოეტ ბადრი ქუთათელაძეს. აკდამიის წევრს, მეცნიერს, ქალბატონ ხათუნა ელიაშვილს. აი, ამ ჯგუფმა, მთელი დღე, ვიტრიალეთ მოგზაურის საფლავთან, მერე კი, ბატონი ბადრის სამუშაო ოთახში გადავნაცვლეთ და იქ, გავაგრძელეთ მოგონებები ბატონ ჯუმბერიზე. მაგიდაზე დაწყობილმა ჟურნალმა ,,ათინათმა“ და ანთოლოგიამ შემომანათა, რისთვისაც დიდი მადლობა პანთეონის დირექტორს, ბატონ ბადრის. მას საგანგებოდ ეწყო, აკადემიაში გამოშბებული ჟურნალები და ტომები. ბოლოს ვნახეთ ფილმი, რისთვისაც დიდი მადლობა, ყველა იმ ფილმის პროექტის ავტორს, უბრალოდ სახელებს ვერ ჩამოვთვლი ჩემთვის უცნობები იყვნენ და ეკრაზე უცებ გაელვებული, ჯგუფის, სახელბის დამახსოვრება, ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემთვის. ფილმის მსვლელობის დროს ტიროდა დარბაზი, რაც იმას ნუშნავს, რომ დიდი შრომა იყო გაწეული. ჩემი აზრით ფილმი უნდა გაგრძელდეს, სერიალებით რადგან, ბატონი ჯუმბერი ამოუწირავი თემაა. გულნაზ ხარაიშვილი. აკადემიის პრეზიდენტი.

სულიკო თავბერიძე, მამა ამირან ამირანაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, ეთერ ჭელიძე, ბადრი ქუთათელაძე

რაც შეგვიძლია

თუ ფოთლებივით არ მოვწყდით,
თუ ტყვია არვინ გვესროლა...
გდიეთ და მაინც ვერ მოგწვდით,
გიძახდით შენ არ გესმოდა.
რაც შეგვიძლია ვაკეთებთ,
საფლავზეც ხშირად დავდივართ,
დრო კი ვერ გამოვაკეთეთ,
და ვერც მთვარეზე ავდივართ.
ვიცავთ შენს წმინდა ღირსებას,
რაც ყველა ქართველს ეკუთვნის,
თვალი ცრემლებით ივსება,
სახელს მზის სხივში შევფუთნით.

ო, მოგზაურო დიდი ხარ,
დიდია შენი სახელი,
მთავარეზე ხშირად მიდიხარ
სულ ერთხელ, თვალის გახელით.
აგერ მოვედით საფლავზე,
გიკურთხა, მიწა მამაომ,
არ მკითხო თბილის ქალაქზე,
ცხოვრება გახდა ამაო.
დღევანდელი დღე გიბოძეთ,
აგინთეთ წმინდა სანთლებიც,
სამშობლოსათვის ვიბრძოლებთ,
რომ, შენთან ვიყოთ მართლები

გულნაზ ხარაიშვილი, იუზა რობაქიძე, მამა ამირან ამირანაშვილი, ეთერ ჭელიძე, სულიკო თავბერიძე და ბადრი ქუთათეკაძე.

ბატონი ნუგზარი, როგორც ორგანიზატორი და პიროვნება

სანთლით რომ გეძებნათ, ბატონ ნუგზარ ნადარაიაში ნაკლს, მჯერა, ვერ იპოვიდით. იგი ქართული, ეროვნული გულით ხელმძღვანელობდა ფაზისის საეროსამეცნიერო აკადემიას. მის სულში სიკეთისა და

ერთგულების გენი ჭარბობდა. როცა ვინმეს უჭირდა, მასში ცოტნე დადიანის სისხლი აყივლდებოდა და იგი დაუფიქრებლად დადგებოდა სიმართლის მხარეს. არ მოერიდებოდა „ბრბოთა ხროვას“. მას უყვარდა რეალურად დასაფასებელი პიროვნებები. იგი აფასებდა სამშობლოს ერთგულ ადამიანებს და სძულდა ცხვრის ტყავში გახვეული მგლები. ძლიერი, მებრძოლი, უღალატო პიროვნება. სამეფო კარი მისთვის უწმინდესის რეზიდენცია იყო. იქ ივსებოდა ღვთის მადლით და მერე კი უხვად არიგებდა აკადემიის წევრებთან.

ბატონი ნუგზარი, როგორც ორგანიზატორი და პიროვნება, შეუდარებელი იყო. როდესაც აწ გარდაცვლილი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ცხრაწლიანი მოგზაურობის შემდეგ, კვლავ სამოგზაუროდ მიდიოდა, იმ პერიოდში ბატონი ნუგზარი ფოთში იმყოფებოდა. სხვათაშორის დავურეკე და ვთხოვე, რომ მისთვის გზა დაელოცა სიკეთის მოძღვარს. რამდენიმე

საათის შემდეგ ბატონმა ნუგზარმა თვითონვე დამირეკა: ქალბატონო გულნაზ, მე თქვენი შეტყობინება კოლხურად მივიღე. გავაფრთხილე ადგილობრივი ფოთის ხელმძღვანელობა და ტელევიზია, აქ ფოთელები ღირსეულად დახვდებიან ღირსეულ მსოფლიო მოქალაქეს. საღამოს ჩემს ოჯახში მოვასვენებ, დილით კი მე თვითონ გავაცილებ გემზეო.

უწმინდესთან, ფოთის დელეგაციასთან ერთად, 2 იანვარს, ბედობის დღეს, ჟურნალი „ათინათი“ უნდა დალოცოს უნეტარესმა, ამ დიდი საქმის ორგანიზატორი მე გახლდით. Idუმალი ხმა თანდათან იკვეთებოდა, ხმაში ნუგზარ ნადარაიას ხმა ვიცანი. დაილოცოს ღმერთო, შენი სამართალი, ეს ხომ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტია. დიახ, ის არის,

ჩამესმა იდუმალი ხმა.

შენ პოეტი ხარ, პოეტები ხომ უფლის რჩეული ადამიანები არინ. როცა გტკივათ, ლექსით სტირიხართ და როცა გიხარიათ, ლექსით გამოხატავთ, ლექსი მიუძღვენი იმედის სხივს. დავფიქრდი და ლექსის წერა დავიწყე.

ბატონო ნუგზარ:

ნ-აომარ მიწებს სევდის ნისლი გადანაცვრია,
უ-ფრთხის ცივ ტყვიებს ვარდები და გლოვით ჰყრის ცრემლებს,
გ-ულში დაჭრილა, ჯერ გაუშლელ კვირტს რომ აცლიან,
ზ-ოლი სისხლისა ამჩნევია ბაღსა და სკვერებს.
ა-მოიზრდება ფესვებიდან ისევ ნერგები,
რ-ილო-ჭრელის დროს მზის სხივები ყინულს გაადნობს,
ნ-არ-ეკალშიაც ცხოვრების გზას ნიჭით ერგები,
ა-მ დროს ნაფიქრალს, კოლხ მეგობრებს ბევრჯერ გაანდობ.
დ-ენთის სუნია, მოწამლულა შხამით მიდამო,
ა-რიდილია დაავიწყდათ? რა ღვთის წყრომაა?
რ-ამენაირად გათენება უნდა იწამო,
ა-მერ-იმერი აირია მგლური მტრობაა.
ი-ფრქვევა ტყვია, გადაბუგეს მწვანე ხავერდი,
ა-რ გვიჩერდება თვალში ცრემლი ვგლოვობთ და მოვთქვამთ.
ს-ეტყვა მოვიდა, შემოიჭრა ქარი თავხედი
და თუ დაგვითბა შრომა ჩვენს, ჯიშს ოდითგან მოგვდგამს.

ბატონ ნიუგზარ ნადარაიას, ჩანახატში, იმედის სხივი ვუწოდე, ამ სიტყვებს იგი იმსახურებდა, მისი ხელმძღვანელობით მოხდა ჩემი შეხვედრა უწმინდესთან.

2 იანვარს, უწმინდესის რეზიდენციაში, მოწიწებით შევაღე კარები. უწმინდესის ხელის შეხებით გულში სიმშვიდე ვიგრძენი. ჩემი სული ამაღლდა. გაპოეტურდა და ზეცის ტოილი გახდა, რადგან პატრიარქმა თავისი დაწერილი ახალი საგალობელი მოგვასმენინა და წიგნებიც გვაჩუქა.

რა ბედნიერი ვიყავი, როცა უწმინდესისადმი მიძღვნილ ლექსს ვკითხულობდი. ჴატრიარქი მისმენდა, მოსწონდა... მლოცავდა...

ეს ლექსი ბატონ ნუგზარს მივუძღვენი:

შენ უმკლავდები ცივ ქარსა და თოვლიან ზამთარს...
ღვთის გზას ადგახარ, იფერფლები სიკეთის ალით,
არ უშინდები ქარბორბალას, ერევი აფთარს...
ცოტნეიდელო, მიტომ გლოცავს ციდან უფალი.

ბატონო ნუგზარ, ახლა შენ ზეცაში ხარ, სადაც მართალნი განისვენებენ. უსაზღვროა ის დიდი სიკეთე, რასაც პირადად ჩემთვის აკეთებდი. თქვენი წყალობით, უწმინდესთან ყოველ წელს შევდიოდი, დაბადების დღის მისალოცად. ვისთვის რა არის პატივისცემა. ამას მე არ

განვიკითხავ. უწმინდესთან შესვლა ჩემთვის, უფალთან მიახლოება იყო. გზა ნათელი გქონებოდეს, დიდო ადამიანო! ყოველთვის სიკეთით მომაგონდები!

ათი ნოემბრის შემდეგ

ერთი თვე და რამოდენიმე დღე არის, ვინახავ მამა ნეოფიტეს ხელით მორთმეულ უდაბნოს კლდეებში მოწყვეტილ ჩემთვის ყველაზე ძვირფას საჩუქარს, რომელსაც მე მიმიზას ყვავილი ვუწოდე. მის გვერდით მოწიწებით თავს იწონებს სხვა ყვავილი. უშგულში წმინდა ლამარიას ახლოს, ფრიდონ ნიჟარაძის სახლი დგას. ზაფხულში ეთერ ჭელიძის ოჯახში, სამი დღით ვიყავით მიწვეული. როდესაც როლანდ ჭელიძე ეთერის ძმა, თავისი ოჯახით გვაცილებდა, იასამნის ფერივით ლამაზი ნაზი მინდვრის ყვავილი მოვწყვიტე, ფრიდონ ნიჟარაძის სახლის გვერდზე. მის შემდეგ ვინახავ როგორც წმინდა ადგილიდან წამოღებულ განძს. მამა ნეოფიტეს საჩუქარი და



უშგულის წმინდა ადგილის მინდვრის სიწმინდე, ერთად მოვათავსე და აკადემიაში შევინახე. საიდუმლო ეთერ ჭელიძეს გაუმხილე და სურათიც მან გადაუღო. ვისთვის რა არის ძვირფასი საჩუქარი არ ვი ვიცი, ჩემთვის ესაა განძი. დღის ბოლოს მე და ჩემი პოეტესა ქალბატონი მეუფის ოჯახს ვეწვიეთ და იქიდან მადლშემოსილებმა მწერალთა სახლში გადავინაცვლეთ. ბრწყინვალე პოეტის მაგდა გოშნიაშვილის საღამო მაღალ დონეზე განიხილეს, ბრწყინვალე ლიტერატორებმა. საღამოს სითბოს კმაყოფილება სახლამდე მომყვა და დილით ღვთის წყალობა მეწვია. მამა ნეოფიტემ დამირეკა და თავისი ლექსი ჩამაწერინა. დავპირდი ჩემს გვერდზე დავდებ და დღეს არანაირ სიახლეს ფეის გვერდს არ გავაკარებთქო. ასეც მოვიქეცი. უკვე თორმეტი საათი შესრულდა. 31 თერთმეტი დეკემბერი დაიწყო. შევასრულე ჩემი სიტყვა და ისევ მამა ნეოფიტეს პატივისცემის მიზნით გავიხსენებ გარეჯში ყოფნის ერთ მნიშვნოვან მომენტს. 10 ნოემბერს, მამა ნეოფიტე თავის დაბადების დღეზე გახდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი. წმინდა ბერის ლოცვა, აკადემიას მოაძლიერებს და სხვადასხვა გეგმის

შემუშავბით ახალი წლიდან დაიწყებს მუშაობას.

გამძლეობის განტოლება

გააჩნია როცა სიტყვას ამბობ, ვინ არის შენი მსმენელი. ბატონი რეზო მიშველაძე, ათიათასობით სტუდენტის აღმზრდელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი და უდიდესი პროზაიკოსი. დავით სხირტლაძე ექიმი, რომელმაც ამერიკაში დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, სადაც წლების განმავლობაში იმუშავა და თავისი დიდი გამოცდილებით დაბრუნდა თბილისში, გახსნა კლინიკა და არის დამსახურებული ექიმი. ბატონი დავითი, გახლავთ პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი და ყველასათვის საყვარელი პიროვნება. იგი 2022 წლის ნოემბრის თვეს მამობას ეზიარა. სხირტლაძეებს ეზრდება პატარა თვალხატულა გოგონა. ეთერ ჭელიძე ანთოლოგიის მეთორმეტე

ტომის ღონისძიების წამყვანი და ორგანიზატორი. გარდაბნის მუნიციპალიტეტს, მთავარი სპეციალისტი. ქალბატონი ეთერი, უფრო მძიმე ომის პერიოდში წლების განმავლობაში გამგებელი იყო. ის, უნიჭიერესი პოეტია. 2022 წელს გახდა წლის საუკეთესო პოეტი. ეთერ ჭელიძის პოეზიამ არ შეიძლება, არ გამოგაცოცხლოს და სიცოცხლის სტიმული არ მოგცეს.

განა შეიძლება არ მიყვარდეს,
ხალხი დიდებული სათაყვანო,
დარდში რატომ უნდა გადავარდე,
ანდა ჩემი შრომა გადავყარო.

ჰოდა, მათთან ურთიერთობა დიდ პასუხისმგებლობის წინაშე მაყენებს. ჩემი სულიერ შვილები, ძალიან მოწესრიგებულიბია. მთლიანობაში დიდ ინტელექტ სივრცეს ქმნიან და ბრძოლის ჟინანთებულნი უშიშრად მიიწევენ წინ მარადისობის მწვრვალებისკენ. მათი სულიერების სამყარო უსაზღვრო და უკიდეგანოა.

დავით ექიმი და ჩემი ეთო,
თვითონ პოეტები ზეციურნი,
გულში სანთელივით უნდა მენთოს,
შვილნი სულიერი და ღვთიურნი.

ხელოვნებაში და სპორტში ვახტანგ სხირტლაძე საქართველოს ასახელებს. ასახელებს და ამ მიღწევებში პირველ რიგში თვით უფალი დაეხმარება. თავისი მამის (გელას) სული კი და პაპის ვახტანგი სხირტლაძის სული სიმშვიდით გააგრძელებენ მარადიულ მოგზაურობას უსასრულობაში. ღმერთო, გამიბედნიერე ჩემი გელას ცოლ-შვილი თავისი შვილიშვილებით.

მადლობა უფალო, დარდის მდინარეს, რომ არ გამაყოლე და სევდის ოკეანის ზღვაში არ ჩამძირე. ხაშურის რაიონის სოფელ ალში ცხოვრობდა ჩემი უძვირფასესი მამათილის დეიდა, მას საბედა ერქვა. ალში იყო გათხოვილი ჩემი მული თამრო სხირტლაძე. ჩემს მულს დედამთილი გარდაეცვალა ძვირფასი ანიკო დეიდა. ის შუბითიძის ქალბატონი იყო და ვინაიდან მე დედით შუბითიძე ვარ, ანიკო დეიდას მიმართ, განსაკუთრებულ სითბოს ვიჩენდი. როდესაც ანიკო დეიდა გარდაიცვალა, გასვენებაში წავედი. ჩემი ოცდაათი წლის პოეტი ძმა იყო ახალი გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილი, შავები მეცვა. ჩემი მამათილის დეიდა ,,საბედა" ასი წლის ქალბატონი იყო, ზუსტად ასი წლის, არაფერს არც ვამატებ და არც ვაკლებ. საბედა ბაბოს, შვილი ყავდა გარდაცვლილი ,,მარო". ჩემი მამათილი შალვა სხირტლაძე, ხშირად იგონებდა თავის დეიდა-შვილს. იხსენებდა როგორც ულამაზესა და დასავით საყვარელ დეიდაშვილს. ასი წლის საბედა ბაბომ გვერდზე გამიყვანა და დარიგება დამიწყო. შვილო, გავიგე ძმა გარდგცვლია. მე შვილი გარდემაცვალა, დარდს რომ ავყოლოდი, ლოგინში ჩავარდებოდი და მერე ვინ მომხედავა. შვილო, დარდს არ მისცე თავი. დაუძლურდები და ვეღარც გარდაცვლილს მოიგონებ და აღარც ცოცხლებისთვის ივარგებო. მახსოვს საბედა ბაბო როგორ იდგა ჩემი მულის (თამროს) ოლიანდრებთან, რომელიც მე ვაჩუქე და ამ ყვავილს ჩემს სახელს უძახდა ჩემი კეთილი მული. იდგა 100 წლის ქალბატონი, სრულიად ჯამრთელი და საღად მოაზროვნე და მარიგებდა. სახლში როცა დავბრუნდი, ყურებში ჩამესმოდა საბედა ბაბოს სიტყვები, შვილო დარდს არ მისცე თავი. თურმე რამდენ ქარის წისქვილებში უნდა დაფქვილიყო ჩემი გული და უფალმა საბედა

სახით კეთილი ანგელოზი გამომიგზავნა, რომ გზადაგზა, გამოვკვებილიყავი. ჰო, იმის შემდეგ იფქვება ჩემი გული. ვიკვებები საბედა ბაბოს სიტყვებით. დარდს გავურბივარ და საქმით ზომაზე მეტად ვტვირთავ ჩემს თავს.

მაცოცხლებს საღად მოაზროვნე ინტელიგენცია. ბატონი რეზო მიშველაძის, ქალბატონი ეთერ ჭელიძის და ბატონი დავით სხირტლაძისნაირი მოაზროვნე სულით ამაღლებული პიროვნებები. გაიხარეთ ძვირფასებო, მრავალ ახალ წელს დაესწარით, ხვავით, ბარაქით და ჯამრთელობით. ავხსენი ჩემი გამძლეობის განტოლება. საბედა ბაბოს სიტყვებით ,,დარდს არ მისცეთ თავი". გაიხარეთ!

იშრიალეთ ხეებო!

აქ დაიბადნენ ჩემი ,,პაპის პაპები“, აქ დაიბადა ჩემი ბავშობა. აქაა დიდი სიხარული და ტკივილი დამარხული. ეს ტყე, მდინარე, მთები მარადიულია. მარადიულია ჩემი ამ ხეობის სიყვარული და ტკივილი. ისე თანაბარია, ტკივილი და სიხარული, აიწონა-დაიწონას თამაშობენ... და მაინც ტკივილი ძალავს, თან ძალიან...! მიყვარს მე ეს ტკივილი. იმიტომ მიყვარს, რომ ჩემია. მახსენდება ის დრო, ლენას, რომ გავძახებდი მდინარე ძირულას წყლის გაღმით, დილის ალიონზე ტყე ბურსგახველ ტანს მზის სხივებში, რომ იშრობდა. მე და ლენა სიმღერით, რომ ვტკეპნიდით შვიდკილომეტრიან გზას, სკოლაში მისასვლელად. გზადაგზა, რომ გვიერთდებოდნენ: ჯამბული, ციური, ფრიდონი, ზინა და სხვები. მტკივა ადამიანთა ფოთოლცვენები, ჩემიანთა და სხვისიანთა ... აქ არის ჩემი ,,პაპის პაპაები“ ამ მთებში მარხია მათი ძვლები. იქნებ, ტყის შრიალი მათი სულის ხმაურია. იშრიალეთ ტოტებო, იხმაურეთ. ხმაურიც სიცოცხლის ნიშანია.

საღამოს რვა საათი

ნათლისღების დღე დამთავრდა. იანვრის მოკლე მზის სხივებმა კალთები აიკრიფა და დასასვენებლად მიწვა.მე კი სულიერი შვილების მოფერების ზღვაში დავტრილობდი მთელი დღე. ხან აღმა ავყევი ფიქრის მდინარეს და ხან დაღმა ჩამოვყევი. სურათი გადმომიგზავნა მესენჯერში ლამაზმა გოგონამ, თბილი სიტყვებიც მოაყოლა მზითებად. ვისაუბრეთ ვგრძნობდი, რომ გულის კარები თანდათან იღებოდა. ხმის ტემბრით მოვიხიბლე, სიტყვებიში გულის სირწფელე მკაფიოდ სჩანდა.

,,თბილმა სიომ დამიარა სხეულში,
სასთუმალთან თავი
მივდე მშვიდად,
დავაყენე ხათო გულის რჩეულში,
მას არ მინდა სულით რომ მოშივდეს".

ნათლისღების დღეს შემოსულ სულიერი შვილის ნათლია გავხდი. აუცილებლად აკადემიის წევრობის საბუთს გავცემ. ხათუნა– მერი მითაგვარიას, დალოცავს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ჯუმბერ ლეჟავას სული !

ჩემს ნათლიას

ფიქრმა არ მომასვენა დღეს ნათლულები ნათლიას ეფერებიან. თვალწინ დამიდგა ჩემი ლამაზი ნათლია, ქეთევან გელაშვილი. ის ერთად -ერთი ქალიშვილი ყვავდათ თავის მშობლებს და მოფერების ნიშნად ქეთუშას უძახოდნენ. მახსოვს ძალიან ლამაზი ქეთო ნათლიას ხელით შეკერილი კაბები, რომელსაც მე მჩუქნიდა. ჩემი კეთილი მშობლების გენით გამოყოლილ გამჭვირვალე ჩემს გულს, დაემატა ჩემი კეთილი და ლამაზი ნათლიას დანათლებული სიკეთე, რაც ასე ჭარბადაა ასახული ჩემს მგრძნობიარე გულში. ჩემო საყვარელო ნათლია, გზა მართალს ხარ წასული. გილოცავ დღევანდელ დღეს. შენს დაკრძალვაზეც ვერ მოვედი გარკვეული მიზეზის გამო. ეს, თვითონ უფალმა იცის, მაგრამ შენდობას მაინც ვითხოვ. მ ა პ ა ტ ი ე. დალოცვილები იყოს შენი შვილები და შვილიშვილები. ვამაყობ, რომ შენ ჩემი ნათლია იყავი და მე შენგან მადლის კეთება დამანათლა უფალმა.

მხოლოდ სიყვარულით

ძალიან ბევრჯერ მწყენია. უამრავი ტკივილი მიუღია გულს დაუმსახურებლად. საპირისპიროდ თუ ოდესმე ხმის ტონისთვის ამიწევია, რამოდენიმე საათის დაფიქრების შემდეგ ისიც მინანია. ჩემი ხასიათი შევისწავლე და ხმამაღლა ვაცხადებ. მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია.



არ განვიკითხავ მეძავს, თუმცა სხეულს ვაჭრობის მომხრე არ ვარ. ძალიან გახშირდა ტელევიზორებში და ფეიბუქებზე შიშველი ქალბატონების წარმოჩინება. ისევ ვიმეორებ კი არ მძულხართ გარიგებთ, ნუ გადაგვარდებით. დაისახეთ მიზნად სიკეთისა და მადლის გაცემა. აკეთეთ ისეთი საქმე, რომ ხვალ მომავალს გამოადგეს. ვაშლის მსხმოიარე ტოტი ჩამოიწიე გაკრიფე. მეორე ტოტი სხვას დაუთმე. არასოდეს დაივიწყოთ, ვაჟა ფშაველას, ,,სტუმარ-მასპინძელი", აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი". ქართველ კაცს დედას, როცა შეაგინებდნენ, არ პატიობდენ. დღეს საკუთარ დედებს უმრალესობა თვითონვე აგინებთ. სიმართლის დასამტკიცებლად იძახით. ,,ჩემი დედა". დედახვთისმშობელის ხატს ცრემლები ჩამოდისო, ესეც ფეისბუქიდან შევიტყვე. ჰოდა, ღვთისმშობელი ტირის ასეთ გადაგვარებულ ქართველებზე. არ აატიროთ ცათა წასული დედის სულები. თქვენი მშობელი დედის ღირსებები დაიცავით. ნუ იჭრებით სხვის საქმეში, თქვენ შექმენით. თქვენ გააკეთეთ ის რაც სხვისი არ მოგწონთ. თქვენს თავს უფრო მეტი მოთხოვეთ, ვიდრე სხვისგან მოითხოვთ. ნუ შეიძულებთ სწორი გზის მრჩეველს. იქნებ უფალმა გამოგიზავნათ, რომ სხეული არ დაიმძიმოთ. ნუ იბრაგუნებთ ბოღმიან გულებზე მუშტებს. გული ცოდვაა, ისედაც ბევრი ატკინე შენი არასწორი ნაბიჯებით, ან თუნდაც ფიქრითაც. არასოდეს გენახოთ ცრემლი ახლობლების გარდაცვალებით. ის, რაც მე თვითონ გამოვცადე, იმხელა სასჯელია, ამას ვერავინ გაუძლებს. ვგრძნობ, რომ უფალი ჩემშია, რომ სიკეთის ბილეკებისაკენ გზა მიგითითოთ. თუ ხშირად წაიკითხავთ ამ სიტყვებს და გაითავისებთ არ ინანებთ.

ბალიშის ქვეშ ნაპოვნი ფული

გასული წლების ამბავს გიყვებით... რეალურად მომხდარს და საინტერესოს. მნიშვნელოვანი, რომ არ იყოს ამ ახალი წლის მოლოდინის სამზადიდში, არავითარ შემთხვევაში არ გაგაცდენდით, ჩემი კალმით დაინტერესებულო მკითხველო. ქარელელ სერგო ღონღაძეს ძალიან ყვარებია, ნადია სანდოძე (მსხალაძე). ქალბატონი ნადია მედიცინის მუშაკი და შეძლებული ოჯახის შვილი ყოფილა. სერგო ღონხაძეს, ყოფილ ფეხბურთელს, ავტორიტეტი არ აკლდა ქარელში, მაგრამ თავის შეყვარებულ ნადიასთან მაინც არაფერი არ ჩანდა ფინანსური მდგმარეობით. მსხალძიანთ ქალბატონი სერგოსგან გამოირჩეოდა, ეკონომიური შესაძლებლობით. სერგოს გადაუწყვეტია დაბადების დღეზე, თავისი გულისწორისათვის საკაბე ეყიდა. გულის ჩანაფიქრი მეგობრისთვის გაუნდია. მეგობარსაც უთქვმს, ძალიან კარგია სერგო, მეც მყავს გულისწორი და წავიდეთ და ერთად შევარჩიოთ საკაბეებიო. აზრის მოწონების დასტურად თავისი შეყვარებულისთვისაც მონდომებია საკაბის ყიდვა და ქარელელი ვაჟკაცები ხაშური თბილისის მატარებელში ჩასხდნენ და ერთ საათში ვაგზლის ტერიტორიაზე შეყვარებულების საკაბეები იყიდეს. სამწუხაროდ ლამაზი საკაბის ყიდვის დროს შეყვარებულ ქარელელებს გზის ფულის დამატებაც მოუწიათ და დარჩნენ ღვთის ანაბარა. მატარებელში იმ იმედით ავიდნენ, რომ ეგონათ ნაცნობებს ნახავდნენ, ფულს ისესხებდნენ და უხერხულობისა და სირცხვილის ალში ოფლით არ შემოეცვარე-

ბოდათ სპორტული აღნაგობის კუნთები. ამ კუთხით არ გაუმართლდათ. ნაცნობი არავინ შეხვდათ, ფულსაც აბა სად იშოვნიდნენ და გადაწყვიტეს, თავი ჩაეღუნათ და მუნჯობა მოეგონებინათ. ერთმანეთის მხრებზე თავები დადეს და მუნჯობასთან ერთად ღრმა ძილის ოსტატობაც მოირგეს. ჩამოიარა კონტროლიერმა, შეაღვინძეს ახოვანი ახალგაზრდები და მათმაც მუნჯურური ჟესტებით რაღაცა იხლაფორთეს და ამჯერად გადარჩნენ. მატარებელში მსხდომნი ბევრი ააცრემლა მათმა საქციელმა. რა ვაჟკაცებია, ამბობს ქალბატონების უმრავლესობა, ცოდვები არიან. მუნჯები ყოფილან აყვნენ მამაკაცებიც. იქნებ არც ესმით, ვაი მათ მშობლებს არა და რა ლამაზებია.

ამ მითქმა-მოთქმაში ქარელს მიუახლოვდნენ და ორი ვითომდა მუნჯი შეყვარებულების

კაბებით ქარელში ჩამოხტნენ. სერგო ღონღაძემ მიუხედავად ნადიას მშობლების წინააღმდეგობისა, ნადია ცოლად შეირთო და ოჯახი შექმნეს. ქარელში ერთ-ერთი გამორჩეულები იყვნენ თავიანთი კეთილსინდისიერებით და სამი საუკეთესო შვილების აღზრდით. სერგო ღონღაძემ სიღარიბეც გამოცადა და შუა ხნის ასაკში უკვე ქარელში ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. ბედისწერამ მოაკითხა და სერგოს ჯამრთელობას საფრთხე შეექმნა. შვილებმა თბილისის ერთ-ერთ სავადმყოფოში მოათავსეს. სერგომ სავადმყოფოშიც ყველას შეაყვარა თავი, დიდსულოვნებით და კულტურით. ის ძალიან საინტერესო პაციენტი იმითაც იყო, რომ მასთან ყოველ დღე შემოდიოდა ერთი მოხუცი. მთელი დღე ესაუბრებოდა. როცა სადილის დრო მოვიდოდა, სერგო შემოსწრებულ, თითქმის ყოველდღიურ სტუმარს, რაც ჰქონდა იმით უმასპინძლდებოდა. სტუმარ-მასპინძლობის დღეები კარგად ხანს გაგრძელდება. სერგო სტუმარს ეკითხებოდა ვინაობას, ის კი პასუხობდა, გავა დრო და მიხვდები შენთან ვინ მოდიოდაო. ერთ დღესაც სერგოს სტუმარი არ გამოჩნდა. სერგო დადარდიანდა. ლოგინში წრიალი დაიწყო. ბალიში გაისწორა და ბალიშის ქვეშ წერილი და ფული ნახა. ფული საკმაოდ ბევრი იყო. წერილში იგივე სიტყვები მეორდებოდა. გავა დრო და ყველაფერს მიხვდები შენთან ვინ მოდიოდაო. აუცილებლად გაიგებ კეთილო კაცო, ჩემს ვინაობას. სერგო საავადმყოფოდან გამოეწერა. რამდენიმე წელს ჩვეული ენერგიით გააგრძელა თავის საყვარელ ცოლშვილთან ერთად ტკბილი ცხოვრება. რამდენიმე წლების შემდეგ, ისევ მოაკითხა ავადმყოფობის ბედისწერამ, მოაკითხა და ისე მოაკითხა, რომ თან გაიყოლა მარადისობის გზაზე. ეს ნამდვილი ამბავი მისი ქალიშვილისგან ამ დილით მოვისმინე, ქალბატონი ქეთინო ღონღაძისგან. გუშინ გარეჯში მომსახურე ბერმა მამა ნეოფიტემ თავისი დაწერილი ლექსი მიკარნახა და ჩემი ფეის-გვერდზე დავდე. ზეციური მინიშნებაა. ის უცხო სტუმარი, რომელიც სერგოსთან მიდიოდა, ვითომდა შიოდა, მისი მფარველი ანგელოზი იყო. სერგო ზეცაში წავიდა კაცურ-კაცობის სახელით. ახლა საათები მაშორებს ახალ წელს და ჩემი პოეტი ძამიკოს ბეჟან ხარაიშვილის, დაბადების დღეს ზეცის დასი იზემებს. დღევანდელი მონაყოლის შთაბეჭდილებით აღფრთოვანებულმა, ერთხელ კიდევ ვირწმუნე უფალი. სერგო ღონღაძესთან უფალი დადიოდა, ეს რეალობაა, ამ დილით მონაყოლი. დიდება შენ და უფალო, დიდება შენდა. ბედნიერი ახალი წელი გაუთენე მთელ მსოფლიოს.

სანამ სხვა იტყოდეს

არ ვკითხულობ ვის მოეწონები და ვის არ მოეწონები. 11 თვე დაგტრილებდი თავს. ხან გვციოდა, ხან გვშიოდა, ხანაც კიდევ გვტკიოდა. თორმეტი სულიერი შვილი მყავხართ. თორმეტი საკუთარი და თორმეტი კიდევ სხვადასვა გონისანი არიან. შენ ჩემო ლამაზო, აღდომის კვერცხივით, რომ აგლაპლაპებია ლოყები, შენში სხვადსხვა გონია გაერთიანებული. მთლიანობაში ერთ მთლიან სიყვარულის ჯაჭვს ქმნით. მოდი პირდაპირ გეტყვი სათქმელს, შენ ჩემი გულის ნაწილი ხარ, შენ ჩემი ხარ. აქ გაერთიანებული ავტორები კი ჩემი ძარღვებია. აბა მათ გარეშე როგორ ვიცოცხლებ. ჰო, და ჩემო სიცოცხლის წყარო, იდინე სიყვარულის მდინარეებად. სხვას ყური არ დაუგდო, შენ შენი მისია გაკისრია. შენმა დამფუძნებელმა ცხრა წელიწადი იარა რუსთაველის დევიზით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. ერთხელ ჯუმბერ ლეჟავა კაცი ჭამიების ქვეყანაში მოხვედრილა, უკვე იცოდა, რომ შეჭამდნენ. უფიქრია მაინც შემჭამენო და რაც დროზე მორჩრბიან ამ საქმეს, უკეთესია შიშით რაღატო ვიკანკალოვო და ლიდერს მიჯდომია გვერდში, ჩემი რიგი როდის მოვავო უთქვამს. კაციჭამიების შეფს უთქვამს, ნუ გეშინია ბებრის ხორცს არ ვჭამთო. ასე გადარჩენილა, ჩვენი ღმერთკაცი. ჰოდა, ვასრულებთ ფიცს, რომელიც დავდეთ მისი გარდაცვალების დროს. ჩვენ გულში მზეა, რომელიც ხალხს ათბობს. ჩვენს გულში სანთელი ანთია რომელიც ხალხს ლოცავს. მთლიანობაში ანთოლოგიის წიგნი ეკლესიაა, სადაც მრევლი დადის ღვთის რწმენით.



ეს საჩუქარი თემურ გოგსაძისაა

ლექსი ჩემია. ნაქარგი ჩემი შვილიშვილის. როცა ეს დაქარგა მაშინ სკოლის მოსწავლე იყო. ჭიათურის მერიის თანამშრომელს, უნიჭიერეს ხელოვანს და შემოქმედს, მაია ტყემალაძეს, ასეთი პროექტი ქონდა. შოთა რუსთაველის პოემას ხალხის გულიდან აგუზგუზებული ხელი რომ მოხვედროდა, ქალაქიდან – ქალაქში დადიოდა, სოფლიდან-სოფელში. ხან აწვიმდა და ხან კიდევ თეთრი ქათქათა თითები ბევრჯერაც გაყინვია თოვლსა და ქარბუქში. ასე შექმნა ვეფხისტყაოსანი ხელნაწერის სახით. შექმნა ისე რომ, კარგი კალიგრაფია კიდეც რომ ქონოდა ნებისმიერ პიროვნებას, მხოლოდ ერთი სტროფი უნდა დაეწერა. ბოლოს იმდენი გამოჩნდა მსურველი სათითაოდ წერტილები დასვეს. ოღონდ იმ წიგში მათი გვარი და სახელი ჩაწერილიყო. ხელნაწერი აუცილებლად მელანი და კალმით უნდა ყოფილიყო შერულებული. მაიკო სიყვარულს ქადაგებით ქმნიდა უნიკალურ წიგნს, მისი ლამაზი ბაგიდან მხოლოდ

სიყვარულის სიტყვები იფრქვეოდა ამ პროექტის მუშაობის პერიოდში. როცა ამ დიდ ფორუმს მორჩა. ვისაც მოეწონებოდა სხვისი ჯალიგრაფია, მას უნდა ეჩუქებინა მისთვის ნებისმიერი ნივთი სამახსოვროდ. მე მომეწონა თემურ გოგსაძის ხელნაწერი. ასოები განსხვავებულად იყო გამოყვანილი. უფრო სწორად თითო ასო იყო დახატული. მაიკოს ვთხოვე ჩემთვის მოფიქრების საშუალება მოეცა. რათქმა უნდა დამთახმდა. ეს ლექსის სტროფი დავწერე და შვილიშვილმა დაქარგა. ამჟამად პედაგოგმა ნანა სხირტლაძემ. ასე დაგვაკავშირა დედაშვილური სიყვარულით შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანმა, მე და თემურ გოგსაძე. დღეს თემური ჩემი სულიერი შვილია. აკადემიის დიდი და დამცველი ფიგურაა. ახლა ვინ არის მაია ტყემალაძე. გეტყვით. თუმცა დაუჯერებელი იქნება ნებისმიერი თქვენთაგანისთვის. როდესაც ჩემი გელა გარდამეცვალა. ყოველდღე მირეკავდა მთელი წლის განმავლობაში და მიხსნიდა ზეცის კანონებს. მთელი წლის განმავლობაში დღეში ხშირად ორჯერ რეკავდა უნიჭიერესი ხელოვანი. ხელოვანი რომელიც, მერიის თანამშრომელია და კალმის გარდა მისი ხელიდან უნიკალური ძვირადღირებული შედევრები იქმნება. რასაც ვწერ ეს დაუჯერებელია, მაგრამ რეალურია. აი, რამდენი რამე მაკავშირებს ჩემს ჭიათურლებთან.

ჩემი მაზლის ცოლი

ჩემო საყვარელო იზო, გილოცავ დაბადების დღეს. ჩვენ ერთად გავზარდეთ შვილები. ჩვენ ლუკმას და გულს ვუზიარებდით ერთმანეთს. შენ მარადისობის გზაზე დამდგარს, გზადაგზა შემოგეგებებიან , შენი და ჩემი ქმარშვილი. შენი საყვარელი ძმიშვილი ალუდა, თუ არ ვცდები თოთხმეტი წლის იქნებოდა, აგარაში მანქანამ, რომ გაიტანა. ჩემი ტკივილი შენი ტკივილი იყო და შენი ტკივილი ჩემი ტკივილი. იშვიათია ისეთ ძმობა რაც ჩვენ მეუღლეებს ჰქონდათ ერთმანეთთან. ჩვენი გვედიგვერდ აშენებული სახლები დუმან. მე რომ თბილისში მუშაობა დავიწყე, არსებული მდგომარეობისა და ომის გამო. ვერ ეგუებოდი უჩემობას. საყვარელო რა მექნა, როცა ყველაფერი განადგურდა, და სამუშაო ობიექტები ნაცარტუტად იქცა ჩემი უფლისგან მომადლებული ენერგია პატიოსნად უნდა გამეხარჯა. ომის ქარცეცხლში, ხომ ერთად ვუძლებდით ტყვიების ზუზუნსა და კივილს ხალხისას. როცა საზღვრები გადაკეტეს და სოფელში პოლიცია ჩადგა მოსახლეობის სანუგეშოდ. ყველა პოლიციელმა დედასავით შეგიყვარა. შენი გარდაცვალება გულზე მიიტანეს და ცრემლებიც გაგაყოლეს. დუმს ახლა პატარძალივით მორთული სახლები. გილოცავ იზო დაბადების დღეს სულის უკვდავებას და სულის სიშვიდე მოგცეს უფალმა. მომიკითხე ჩემები და შენები. ერთ დიდ გაერთანებულ სუფრაზე, საქართველოს სადღიგრძელო შესვით. შენ ხომ პატრიოტული იყავი, საქართველო გიყვარდა. წიგნები გიყვარდა. იშვიათია ალბათ მაზლის ცოლს, ისე გახარებოდა მაზლის ცოლის წარმატება, როგორც შენ გიხაროდა. ყველა ნომერი ჟურნალი მომქონდა, ლექსებს გიძღვნიდი, სიცოცხლეშივე გეფერებოდი. ახლა კი ცას მინდა მოგვწვდეს ჩემი სიტყვები და მიმოიფანტოს ზეცის სივრცეში მოლოცვის ლექსის სტროფები.

დროის ქარცეცხლი ისე გავლიეთ,
ერთხალაც არსად დაგვისვენია...
შესანდობარი ახლაც დავლიე
და მოგეფერეთ ყველა ჩემიანს.

შენ კი გილოცავ დღეს სევდიანად,
ცრემლები მახრჩობს ჩუმად ვქვითინებ,
იყავი დაო იმედიანად,
არ შეცივდებათ ნაშენ ქვითკირებს.

შვილიშვილები დარგავან ნერგებს,
მათი ტიკტიკით მოგწვდება ხმები,
მე ჩემი წელები თუ კიდევ ვბეგვე,
ბოლოს მეც მოვალ პოეტის ფრთებით!

ჩემი მაკუშა

ქალბატონ მაკა დიდებულეძეს, რომელსაც დიდი ეროვნული სახელი აქვს უკვე დამკვიდრებული საქართველოში. იგი არის ჩოხასანი, ხაშურის საკრებულოს თანამშრომელი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრი. ის ჩემი საყვარელი შვილია და ჩემი მაკუშაა. მინდა სულ წარმატებულს ვუყურებდე და ვტკბებოდე მისი დიდსულოვნებით. სწორედ მისი დამსახურებაა, იმ დიდი ფორუმის ჩატარება, რომელიც მიუძღვენით პატრიარქის დაბადების ოთხმოცდაათი წლის იუბილეს.

ესაა ჩემი სამყარო

ვუყურებ და ვტკბები ბუნების საოცრებით. აქ სიმშვიდე და სიყვარულია. გულში ცისა და დედამიწის სიყვარული მაქვს გაერთიანებული. მთვარე წყალშია ჩასული. ულამაზესი პლანეტის ირგვლივ თევზებს გასუსულები სძინავთ. ჩემი გული თავდაპირველად ტყის შროშანი ყვავილივით ნაზი და სათუთი იყო. ცხოვრების ორომტრიალმა გულის ნაპირები ჩამომიტეხა. გული დამემსხვრა, დამინაწილდა, მაგრამ არ გაბორიტდა. ვიბრძოლე და ქვებად ნამსხვრევი გული ერთ დიდ გულად გადავაქციე და ბუნებისა და ხალხის სიყვარული ერთად ჩავტვირთე. არ დაიჯეროთ, რომ ვინმე მეჯევრებოდეთ. თუმცა მწყინს, მტკივა და მიყვარხართ.

მეუფე თადეოზ იორამ იორამაშვილის ოჯახი

წლებია მეუფე თადეოზ იორამ იორამაშვილი, სიონის ეკლესიაში განისვენებს. მისი საფლავის გვერდზე ანკარა წყალი მის წარსულზე საუბრობს. თუმცა მეუფეს გარდაცვლილად არავინ არ თვლის ის იმდენად გვიყვარდა და იმდენად გვიყვარს დღესაც ხშირად ვიგონებთ და მის საფლავზეც დავდივართ. წელს მარტომ მომიწია მისვლა. ეზოს მონაკვეთი ჩქარი ნაბიჯებით

გადავკვეთე და სასაფლაოსკენ გავეშურე. ვხედავ სკამზე ჩამომჯდარ მამა ამირან ამირანაშვილს და მის ვაჟს თავისი პატარა შვილებით. საფლვაზე ერთად მივედით სანთლები ავანთეთ და მოსაფერებელი სიტყვები არ დავიშურეთ კეთილი მეუფე პოეტისათვის. დღეს კი მე და ეთერ ჭელიძე სახლში ვესტუმრეთ კეთილ ოჯახს. კარებში მისი კეთილი ვაჟი შემოგვებება. კარები გააღო და თვალებციმციმა გოგონამ და ოჯახის წევრებმა სიყვარულის სურნელი გულს მოგვაფრქვიეს. არ შემიძლია სამადლობელი სიტყვები არ დავწერო ჯგუფ ზღვარის წევრზე სერგი ლომაძეზე, რომელმაც მეუფის ლექსებზე სამეცნიერო წერილი დაწერა და ანთოლოგიის მეთორმეტე ტომში დავბეჭდე. მადლობა სერგი ამ დიდსულოვნებისათვის. რაც მეუფე გარდაიცვალა მას ყველა ნომერში ვბეჭდავ და წლის ბოლოს მივდივარ ოჯახში და მიმაქვს, ოთხივე ნომერი ათინათი და ანთოლოგია. დღეს ქალბატონი ეთერიც გამომყვა. აქამდე ამ მისიას მარტოდ ვასრულებდი. ოჯახში სურათებიც გადავიღეთ და ვგრძნობდი რომ მეუფის სული მაღლიდან დაგვყურებდა, უხაროდა და გვლოცავდა.

სიხარულის ცრემლები

,,პატარა ქოხი ვინატრე". მალვინა ჭელიძის წიგნის განხილვა აკადემიაში ჩატარდა. საღამო დალოცა ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა, საერო ცხოვრებაში მსახიობმა, ოპერის მომღერალმა, ლექტორმა მამა ამირან ამირანაშვილმა. მამა ამირანი, წლებია ღვთის წმინდა გზებით აგრძელებს სასულიერო მოღვაწეობას. მისი ლოცვა კურთხებით ჩატარებული საღამო მადლით იყო ავსებული. წიგნის სათაურით შეგიყვარდება და პატივის ცემის გრძნობით აივსები ავტორის მიმართ მკითხველო. ეს მოცულობით პატარა წიგნი ბევრი ლამაზი მეტაფორებით უმასპინძლებს მკითხველს. იის კონებივით შეკრულ ნაზ-ფაქიზ ლექსის სტროფეში, მკაფიოდ სჩანს ავტორის სულის სისპეტაკე. ლექსები პატრიოტული თემატიკითაა ფრთებშესხმული. ნოსტალგია და სიძლიერის ფიქრი ხანდახან ერთმანეთს არ ურიგდებიან და ,,მგლის" პერსონაჟი იქმნება ლექსად. როგორ უნდა აამო და დაწერო ისეთ ემიგრანტ ქალბატონზე, რომელიც, რომელ ოჯახშიც მსახურობს ძაღლს ისე შეიყვარებს, რომ ძაღლი როცა გარდაიცვლება, ფერფლს დაწვამს, ფერფლს კოლოფში ჩადებს და შეინახავს მისთვის განკუთვნულ სალოცავ ადგილზე და სანთელს რომ აუნთებს. მალვინა ჭელიძის სახით საქართველოს ყავს ისეთი ემიგრანტი საქართველოს

კეთილდღებისათვის თავის სიცოცხლეს, რომ გაწირავს. წიგნის რედაქტორია პოეტი შორენა მამალაშვილი. მხატვარ-დიზაინერი ბაჩო ჭელიძე. რედაქტორისა და მხატვარ-დიზაინერის მინიშნების აღიარებით ვთქვი ყველაფერი. ქალბატონი შორენა მამალაშვილი არ შესაქებს არ შეაქებს. რადგან მალვინა ჭელიძის ლექსებს ასე ღრმად ჩაწვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლექსებს ცისა და მიწის სურნელი ასდის. ხოლო ბაჩო ჭელიძე, თავის გვარს არ დააფიქსირებდა, რომ არ დაეწახა ლექსებში მხატვრული სახეები. საყვარელო მკითხველო, რადგან წიგნი ხელში არ მაქვს, ნაწერიც ზედაპირული გამომდის. წიგნის ყდაზე გამოტანილი ლექსიც ამბობს სათქმელს. ავტორი პატარა ქოხს ნატრულებს. ამ ქოხში უნდა რომ მაპინძლობდეს თავის დედმამიშვილებს, ნიჭიერებს და თბილებს. წიგნის გამოცემა მისმა დემამიშვილებამა მალვინას დაბადების დღეს დაამთხვიეს. აი, რა არის დედმამიშვილური სიყვარული. გილოცავ ორივე მნიშვნელოვან ღვთის საჩუქარს ძვირფასო მალვინ და დაგლოცავ.

დაგლოცავ ისე როგორც დედა
დალოცავს შვილებს
გულთან ახლოს ხარ იცი
შვილო, აქ მესმის სუნთქვა,
შენს მონატრებულ ცრემლის
წვეთებს გულმკერდზე ვივლებ,
შენი სულია, უშგულივით
წმინდა და სუფთა.
ისევ ფიქრებით უნდა
მოგწვდე და მოგილოცო,
დაბადების დღე...
პოეტესა, თან გულკეთილო,
დღე არ არსებობს არ მახსოვდე,
რომ არ დაგლოცო,
მალვინ მიყვარხარ ...
შენც გიყვარვარ როგორც დედილო!

ესეც ღვთის ნება იყო რომ ეს ჩემი ლექსი სულ რაღაც ხუთ წუთში სიმღერად აქცია ქალბატონმა ლია ალადაშვილმა!

ექვსი შვილის დედა

სურათის იდუმალებაში მიმალული სულიერი სილამაზე. ეს იმას ჰგავს, როდესაც ხილით დახუნძლულ ვაშლის ხეივანში ერთი განსაკუთრებული ლამაზი ვაშლის ნაყოფი ტოტებში დაიმალება. ქალბატონი ლალი სოხაძე რუსთაველია, ის ექვსი შვილის დედაა. ცხოვრობს ასპინძაში. პედაგოგი ქალბატონი სკოლის დირექტორია, ბებიაა, პოეტია.სურათი უხარისხოა, მაგრამ სამაგიეროდ ისტორიული კადრია და უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი. ვეძებ ასეთ დედებს. მიყვარს ასეთი ქალბატონები. ქალბატონი ლალის თვალებში მეუღლისა და შვილების სიყვარული იკითხება. ახლა ერთ წარსულის ეპიზოდს გავიხსენებ. მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა ცნობილი მეცნიერი ბატონი კოტე ესებუა. მისი მეუღლე ქალბატონი ციური ხუჭუა პედაგოგია. ქალბატონმა ციურიმ ჩემი პოეზიის საღამო გააკეთა და სკოლაში მიმიწვია. თავიდან უარს ვამბობდი, რადგან მე საბავშო პოეტი არ ვარ და პირველი კლასი როგორ ჩაწვდებოდნენ ჩემს პოეზიასთქო ვამბობდი . ბოლოს მეგობრების თხოვნით წავედი. ვნახე საოცრება, ქალბატონი ციურის მოსწავლეებმა, პოეზიის კლასიკა თვალწინ გამიდალგეს პაწაწინა ხელების ჟესტით და მოქარგული სიტყვებით. ამ ღონისძიების შემდეგ ციური მასწავლებლის ბავშვები სისტემატურად

დადიოდნენ ჩემთან. პატარები დამყავდა ცნობილ პიროვნებებთან. ვაჩვევდი ჟურნალისტის უნარჩვევებს. მათგან აღებულ ინტერვიუებს ვბეჭდავდი ჟურნალ ათინათში, რუბრიკა ასეთი იყო.,, პატარების თვალით დანახული ცნობილი ადამიანების სახეები". ბოლოს იმდენჯერ მოუწიათ ღონისძიებებზე მოსვლა, ციური მასწავლებელისთვის მის მეუღლეს, ბატონ კოტეს უთქვია. მე უნდა წამოვიდე დავესწრო, რა ნახე ამ აკადემიაშიო. ამდენ ღონისძიებას რას ატარებთ უნდა გავიგოვო. ისე დაესწარო ბატონი კოტე ღონისიებაზე, მე არ ვიცოდი ვინ მესწრებოდა მეცნიერებათა აკადემიიდან კრიტიკის თვალით. დამთავრდა ღონისძიება და ბატონი

კოტე მოდის ჩემთან. მოკრძალებით დამემშვიდობა. იმის შემდეგ ეს ოჯახი ჩემი ოჯახი გახდა. ქალბატონ ციურისთვის უთქვამს, ამ ქალბატონმა რაც არ უნდა გითხრას უარი არაფერზე უთხრაო. ახლა კოტე ესებუა ზეცაშია, ღმერთმა გაანათლოს მისი სული. 12 იანვარს აკადემიაში ჩემს წინ იდგა, ექვსი შვილის დედა პოეტი ლალი სოხაძე. გულით მინდა მის სკოლასთან ურთიერთობა, მაგრამ სიშორე შემიშლის ალბათ ხელს. მე მჯერა ასეთი ქალბატონის, ისე როგორც მჯერა ციური მასწავლებლის. ქალბატონი ლალის აღზრდილი მოსწავლეები ღირსეულ სიტყვას იტყვიან. თვითონ ლალის შემოსვლა კი აკადემიაში ფეხბედნიერი იყოს. ამას ტრაბახად ნურავინ ჩამითვლის, ჩემში ქართული წმინდა სული, რომ არ იყოს, დიდი მოგზაური, მსოფლიო მოქალაქე, თერთმეტჯერ გინესის წიგში შესული პიროვნება, მე არ მანდობდა სახელს. აკადემია ბატონი ჯუმბერის ხელშია დაარსებული. დიდება მის სულს. უფლისგან დალოცვილი იყოს, ყველა ვინც აკადემიის წევრი გახდება . ქალბატონო ლალი, შენ კი ექვსი შვილი თეთრი თმებით დაგიბეროს უფალმა. გამრავლდით და უფალმა შენნარი დედები საქართველოში მოგვიმრავლოს!



ძმაო ბეჟან

დღეს შენი გარდაცვალების დღეა ძმაო ბეჟან. 30 წლის წახვედი. 39 წლის წინ და დატოვე 28 წლის მეუღლე (ნელი კირკიტაძე), ხუთი წლის ვაჟი, ლაშა ხარაიშვილი და დაუწერელი ლექსები. 1 იანვარს შენ დაბადების დღეს, გარდაცვალებით შეხვდი. შენი წიგნი რომელიც, შენი მეგობრის ლევან ბაბუხადიას რედაქტორობით გამოვიდა და რომელიც, გვარში სიკეთით გამორჩეულმა ბესიკ ხარაიშვილმა უფასოდ გამოსცა, თან დიდი ტირაჟით, საჩუქრად ვურიგებთ შენი ლექსების თაყვანისმემლებს.

========

საოცრება ის არის რომ,, ძალიან პატარა სკოლის ასაკში ამბობ ერთ სტროფში საქართველოს ტმივილის სათქმელს. აქ უსათუოდ ილიას მკვლელობას გულისხმობ.

======

,, ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე,
შავად ნაფერი შავი წერტილი,
არ არის რა, თუ არა ტყვიით
ქართველ კაცის სისხლში მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!

========

პოეტებს ყოველთვის ხორცი ამძიმებთო, ამბობდი ძმაო. ასე როგორ დაგიმძიმდა ხორცი 30 წლის ასაკში. არა კი არ დაგიმძიმდა, ძამიკო დაგიმძიმეს. გაგწირეს, მოგიშორეს.

===
პოეტებს ყოველთვის ხორცი ამძიმებთ და
პოეტებს ყოველთვის
მაისი სწყურიათ,
ზამთარს იხანძრებენ
ლექსის საზვინესთან
და თანაც ათასი თვალი და ყური აქვთ.

========
პოეტებს ყოველთვის
უბედო ბედი აქვთ და
მტერია? -. მტრობენ და არასდროს მორცხვობენ...
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები
ყველაზე
დიდი ხნით
ცოცხლობენ!

ამ ლექსით კი, გაეცი მირზა გელოვანის გარდაცვალებას პასუხი.

პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.

ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით,
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე – მძიმე ბოლი
ამოსვლია
დაუწერელი ლექსების ბოლი...

წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები
ყველაზე
დიდი ხნით
ცოცოხლობენ!

====
მტრედებმა ჩამიქროლეს
თოვლის გუნდებივით,
ბალახები ჟანგისფერ სევდით ხუნდებიან...
--მირზა წავიდაო, -
ეს რა გამაგონეს,
-– არ დაბრუნდებაო, --
თქვეს და ტყუვდებიან.

=====
გულთან არ დამადო ხელი,
მტკივა,
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
ნეტავ რა ხელმა აიღოს უნდა,
რომ ვერ დაძალავს --
ისეთი გუნდა?!

ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო,
და შენს ფანჯარას
გარშემო უვლის,
ყველაზე
დიდი სასაფლაო
გული!

========
რატომ გტკიოდა ასე ახალგაზრდას ძმაო გული,
რატომ წინასწარმეტყველებდა შენი გული
ბედისწერისგან გამოწურულ ტკივილს???

=====
გახსოვს? – ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან
ხელადები ვავსეთ,
გეჩქრება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე.

სიზმრად გნახე ღია
სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში
ციმციმებდა მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა?
არა, ღამის თევა...
_ სიყვარული იწყებოდა ასე!

ტოტებ-ტოტებ
მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან
ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება?
– გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
========

მტკივა ძმაო, ოცდაშვიდი დეკემბერი. ჩქარე დარეკავს ახალი წლის ზარი და შეხვდები შენი დაბადების დღეს პირველ იანვარს. ყველა ძმა მად გყავს. მშობლები , სიძები, დიშვილი გელა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ყველაზე მთავარი. დ ა თ ა.

დასერილი მაქვს გული ძმაო, ბედისწერის სამართებელით. ხშირად მარილსაც მაყრიან. ნუთუ შენი დაიკო ასე ძლიერია? თუ თქვენ მფარველობთ ძამიკო ზეციდნ?

ჩემო პატარა პურის თავთავო, დაგაპურე და გამიქრი

დედის პურის თავთავო. თერთმეტი წლის წინ ერთად ვიყავით დედაშვილი. ვსაუბრობდით ... რა არ მოვიგინეთ. საღამოს ცხრა საათიდან შევყევით წარსულის, შენი სიცელქის ოინებს. ღამის ოთხ საათამდე ვისაუბრეთ. გიყვარდა დედასთან საუბარი, გულის გადაშლა. არაფერს მიმალავდი, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით შვილო. გელა უშენოდ დედაშენი მარტოდ მოხეტიალე

მგზავრს გავს. გავრბივარ... მინდა გავექცე დარდს უსაშველოს და უსამანოს. მეწევა, მაფერხებს... და მაინც ბრძოლა მირჩევნია. დედი ჩემო ვაჟკაცო და კეთილო შვილო, შენი სურათები დავდე. შენ ხომ თბილისში სწავლობდი, ეგებ შენმა ამხანაგებმა ნახონ მათი გამოჩენა ჩემთვის იმედის წყაროს შესმის ტოლფასი იქნება. ცხრამეტი თებერვალი, რა მწარეა ჩემთვის. შენ ოჯახს უშენობის ხელი არ ეტყობა, შენი ეკა არაფერს აკლებს შვილებს. უკვე ოთხი შვილიშვილი გყავს. კარგი სიძეები პატრონობენ შენ თაკოს და თეონას. გიორგი და ნიკოლოზი ცოლშვილის მოყურულები არიან. ვახო, შენი ვაჟკაცი, ცეკვავს, რაგბზე დადის. შენ აკლიხარ შენი დედის გულს. სიტყვა დედა იმდენად მიყვარს, ამ სიტყვაში შენ სიყვარულს ვკლავ შვილო. დედას ძალიან უყვარხარ და ენატრები. ყველაფერს ვაკეთებ დედი. გელას დედა არ უნდა წაიქცეს. უნდა იბრძოლოს, უნდა უყვარდეს, უნდა იშრომოს. დარდს ვეჭიდავები. სხვა რა გზა მაქვს. გპირდები დედი, სიკეთის მთებს დავდგავ. მწამს მოგწვდებათ ... რომელი ცოტა ხართ. აღარ ჩამოგთვლით სათითაოდ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ხართ... ბევრზე ბევრი.

ჩამი ლექსები გიყვარდა.

ერთ სტროფიანი ლექსით ღამე მშვიდობას გეტყვი შვილო.

***

ძილშიც შენთან ვარ,
მოფერება ხომ არ გაკლია,
რაც შენ დაგკარგე,
ფიქრიც გახდა დარდის კომეტა,
თუ შენს გარეშე
ეს სიცოცხლე შვილო ნაკლია,
მაშინ აჯობებს
ისევ– ისევ დავრჩე პოეტად!

მამები ზეციდან გლოცავთ

* ი მ რ ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ე თ * სიყვარულით შექმნეს ოჯახი მამით ობლებმა, გიორგიმ და თეონამ. სიყვარულიში ტკივილი მინელდა და გაზაფხულის ყოჩივარდებივით, ამოფრთქვიალდა ოჯახში სამი შვილი. შვილ გარდაცვლილ ბებია– ბაბუას გიორგიმ მეორე სიცოცხლე აჩუქა ოჯახის შექმნით .

...დღეს რაჭველები რაჭაში შეხვდნენ ახალ წელს. ასი წელი ბედნიერებით და ერთმანეთის პატივისცემით შეაბერდით გიორგი ლობჯანიძე და თეონა სხირტლაძე ერთმანეთს. სამი შვილი, იოანე, ნენე და დანიელი, გაგიზარდოთ უფალმა. რაჭის სუფთა ჰაერით და სუფთა გულით სიყვარულით აშენებული ოჯახმა იმრავალჟამიერეთ 10 0 წელი!.

ამინ! ...

****"""

და ბოლოს ... თეონა სხირტლაძე თავისი მამიკოს (ჩემი გელას) ასლია, ხასიათით და ფიზიკურიბით. გულნაზი ბებოს ძალიან, ძალიან უყვარს.

* * *

ჭკვიანი მაშინ ხარ, სულის უკვდავებას, რომ იწამებ და უფალთან შესახვედრად სიზიფის ქვა მოკიდებული სიკეთეზე იფიქრებ. შეიყვარებ ყველას და ყველაფერს. შეიყვარებ მიწასა და ცას. მიწას იმიტომ შეიყვარებ, რომ ის შენი საძვალეა. იქ შენი წარსული მარხია. ზეცას უნდა უღიმოდე, უნდა გიყვარდეს, რადგან იქ უფალია, იქ მარადისობაა, იქ, შენი საყვარელი გარდაცვლილთა სულები გელოდებიან ერისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილები.

გადაარაჩინე უფალო

რაჭა ეს ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა საქართველოში. იქ ბუნებასავით ლამაზი სულის ადამიანები იზრდებიან და მასპინძლობაშიც ვერავინ შეედრებათ. ბუნებამ კი ისეთი სტიქია მოუვლინა, უდანაშაულო ადამიანებს, რომ ამის დაწერას და აღწერას ვინ შეძლებს. გინდა რომ დაგავიწყდეს, მაგრამ როგორ დახუჭავ თვალებს, როცა ამდენი ბავშვი და ქალი გზას მოწყვეტილი ტყეში, მდინარეში, დადიან ღვთის ამარა.

იქნებ დამხვრჩალიც არიან. მთელი დღე და ღამე სტიქიას ებრძვის უდანაშაულო სხვადასხვა ასაკის ადამიანები. რა საშუნელებაა, დაჩერებიხარ მდინარის ლამაზ ტალღებს, გვერდით მანქანები, ბავშვები, ტყის ფრინველებთან ერთად ჭიკჭიკობენ და უცებ ტრაგედია. შენს თვალწინ საგანგებოდ ჩაბეტონებული ხიდი, ფეხბურთის სათამაშო ბურთივით თამაშობს ქვა-ღორღად

ქცეულ მდინარეში. მთიდან მოწყვეტილიმა მეწყერმა ჩაკლა სიცოცხლე. ეს ტრაგედია, საუკუნეებით გაყვება საქართველოს ისტორიას. ეს, არც მთავრობის ბრალია და არც ადგილობრივი იქ მცხოვრები ხალხის. ეს ის ძალაა, რომელსაც ჩვენ არ ვცნობთ. ეს განრისხებული სამყაროა. რაზე ბრაზდება და რატომ ბრაზდება, რა დროს ამის ახსნაა. სანთელი ავანთე და ასეთ სიტყვებს ვბუტბუტებ. ღმერთო, რომელი დედა ან ბებია, მამა, დედმამიშვილი ახლა შეშინებული ღვალებით შეყურებს კარებს და ელოდება, დასასვენებლად გაგზავნილ ოჯახის წევრებს, ყველა გადაარჩინე და უვნებლად დააბრუნე თავიანთ ოჯახებში!

სიზმარი მეგონა

ცას ცისარტყელამ წელი შეუხვია. მუცელატკივებულმა ზეცამ, პირიდან ნისლების ბოლი ამოაფრქვია და თან ამოაყოლა რაჭაში დატრიალებული დარდის ტრაგედია. ცის ფანჯრებიდან ვარსკვლავები იჭყიტებოდნენ. ეტყობოდათ ახალ ვარსკვლავებს ელოდებოდნენ. ცისარტყელის გზაზე ანგელოზების კვალი გამოჩნდა, ანგელოზები ცის ფანჯრებში შეძვრნენ და გაუჩინარდნენ. ისევ ღრუბელი წამოვიდა, ღრუბელმა ვებერთელა პირი დააღო და ცისარტყელა წამებში გადასანსლა. ატყდა განგაში ცასა და დედამიწას შორის. ვუყურებდი და ვერ ვხვდებოდი რა ქონდათ გასაყოფი ან რატომ ჩხუბობდნენ. დახოცეს ერთმანეთი ცემატყეპით. მათ უაზრო გააფთრებულ ჩხუბს უდანაშაულო ადამიანები ეწირებოდნენ. მერე ისევ მზის შეშინებულმა სხივებმა ამოყვეს თავი. მზეც გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. ვერ გაეგო უნდა გაეთბო ზღვართქაფით გადაკეტილი ადგილები თუ ისევ თავის ადგილ -სამყოფელში დაბრუნებულიყო. დიდხანს იტრიალა და ბოლოს გადაწყვიტა, მე ისევ ადამიანების ერთგული ვიქნებიო. ჩემზე დაკისრებულ ბუნების კანონებს დავემორჩილებიო და სტიქიისგან ნაცოდვილარ ადგილებში სითბოს დავატრიალებო და ასეც მოიქცა. ჩემი თვალით ვხედავდი ამ საშინელებებს, მაგრამ არ ვნერვიულობდი, რადგან სიზმარი მეგონა ყველაფერი. მე პირიქით თვალები მიღიმოდა, გაცისკრონებული მივჩერებოდი რადგანაც ვიცოდი, რომ ცუდად ნანახი სიზმარი კარგად ამიხდებიდა. გამეღვიძებოდა და ყველაფერი ისევ ლამაზი იქნებოდა, სასტუმროებში განთავსებული ბავშვები, სუფთა ჰაერზე მოსეირნე გოგო-ბიჭები, ბებიების კალთებში ჩაძინებული პატარები. სამწუხაროდ, თურმე სიზმარში კი არ ვყოფილვარ, ცხადში მინახია ეს ყველაფერი. დავინახე ის, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, იყო და აღარ იყო დასასვენებელი ადგილი რაჭაში. რეალობაში ჩაყლაბა უხილავმა ვეშაპმა. მე კი სახეზე მხოლოდ ღიმილი შემრჩა, სხვა ყველაფერი ზღვარცოფს წაეღო.

კიდევ ერთი მადლიანი დღე

ლია ჩიქოვანის მეგობარი მესტუმრა აკადემიაში, პედაგოგი ლალი, ამჟამად ემიგრანტი. ვუყურებდი ქალბატონს და მის თვალებში საქართველოს სიყვარული იყო ჩაბუდებული. ქალბატონი ლალი კვლავ გაბრუნდება იტალიაში და თავისი ხელით გადასცემს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო დიპლომს მეგობსრს. დიახ, ლია ჩიქოვანი გახდა აკადემიის წევრი. მისი ლექსები დაბეჭდილია ჟურნალ ,,ათინათში". საყვარელ პედაგოგ ქალბატონს ,,ათინათი" და დიპლომი გავატანე ლიასთან, თან აკადემიის წევრებისგან მოკითხვებიც დავაბარე. მამა გაბრიელის ხატიც მივართი, რათა წმინდა ბერის მადლმა დაიცვას ემიგრანტები. პედაგოგ ქალბატონს ჩემი წიგნი ,,ცისკარელი" და ახალი ნომერი ,,ათინათიც" ვაჩუქე. გულში კი გავიფიქრე, წმინდა ნინომ დაიცვას შენი ლამაზი ოჯახი ქალბატონოთქო. მრავალი თაობის აღმზრდელო თბილისელო ქალბატონო აფერუმ შენს ქალობას, რომ შვილებისთვის ყველაფერს აკეთებ. მალე დაბრუნებას, და შენი ღვაწლის დაფასებას გისურვებ!

მალვინა ჭელიძის გულის სითბო

მალვინა ჭელიძისგან იმერული ცხელი ხაჭაპურივით გამოტანებული გულის სითბო მივიტანე მალვინას დებთან. ნათიამ სუფრა სასწრაფოდ გაშალა, თან მომახარა, რომ მართვის მოწმობის გამოცდა პირველ გასვლაზევე ჩააბარა. ორმაგად გამეხარდა, რადგან ნათიას პედაგოგი ჩემი შვილი დავით სხირტლაძე არის. იმედია პრატიკაშიც კარგი შედეგებით გაგვახარებს და ხშირად გაგვანებივრებს თავისი მაქანით აკადემიის წევრებს. პატრიოტული სულის პოეტმა ეთერიმ კი ისეთი ლექსი წამიკითხა, სიხარულიდან კვლავ საქართველოს ტკივილში და მიტოვებულ სოფლებში მამოგზაურა.

პოეტმა დამანახა სოფლებში, ჟანგმოკიდებული და ხავსმოდებული აკვნესებული ქართული

სულის სიცარიელე. რას ვიზამთ რეალობას სად გაექცევი, ვერც თვალებს დახუჭავ და ვერც გვერდს აუვლი. ესაა ადამიანური თვისებები, უნდა გიყვარდეს, უნდა გტკიოდეს და უნდა განიცდიდე. მოვეფერე ჩემი სულის ქალბატონებს და ახლა უკვე მიუტრიალდები აკადემიურ საქმიანობას. რა დროს დასვენებაა. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა, ჩემს ხათუნა კილაძეს, რომ თავისი ხარჯებით მამოგზაურა თავისი სულის სამფლობელოში. მადლობა ჩემო ემიგრანტო ქალბატონებო სიყვარულისთვის.

გაერთიანებული სიყვარული

ხაშურის რაიონ სოფელ ალში გაზრდილმა ქალბატონმა, ნანა გიგუაშვილმა, ღირსეულმა დედამ და ბებიამ, ყველას დააანახა ქართველი ქალის როლი, გამტანობა და სიძლიერე. ამჟამად ემიგრანტი ქალბატონი მესხეთის მკვიდრია, ბრწყინვალე დედა და ბებიაა. აკი დავწერე კიდეც, სულიერების სამყარო შესხმული ამორძალად გადაიქცა და ქართველი ქალის სახელს იტალიაში ღირსეულად ატარებს. ის არ გახლავთ ავადმყოფი, ბოღმისგან ძარღვებ დაფლეთილი. ნანა მშვიდი და მოსიყვარულეა. ამიტომაა ყველა ქალბატონი გულწრფელი სიყვარულით გვერდში რომ უდგია. მასთან უამრავი ქალბატონი მოიყრიდა თავს, მაგრამ მე ვიყავი წინააღმდეგი, რადგან ყველასთვის სიტყვა უნდა მიმეცა და დროში ვიწვებოდი. ექვსში ღონისძიებაც უნდა ჩამეტარებინა, ექვსში, სათითაოდ უნდა მოვფერებიდი ყველას, ექვსში ჩემი საყვარელი მალვინაც უნდა მენახა და ექვსში ღამის თორმეტ საათზე იტალიის აერიპორტშიც უნდა ვყოფილიყავი. თუ ღმერთს უნდა თუ წმინდა სულით სუნთქავ, ყველაფერს შეძლებ და ყველაფერს გააკეთებ. რაც ჩამოვთვალე ყველაფერი შესრულდა. ჩემთან ღმერთია, არს და იქნება უკუნისამდე ამინ!

გამაოცა თითეულის ყურადღებამ. მანანა გელაშვილმა ახალციხიდან. მაია კვინიკაძემ თბილისიდან, ნატალია ლიპარტელიანმა სვანეთიდან, მაყვალა გელაშვილმა ხაშურიდან, სოფი რევაზიშვილმა გორიდან, მერი თოთლაძემ კასპიდან. ყველა ქალბატონმა ნანას ლექსი წაიკითხა და ყველას თვალებში სიყვარულის მზის სხივები ბრწყინავდა. გენაცვალეთ ჩემი საქართველოს ღირსეულო დედებო, კარგი ყველგან კარგია. თქვენ მხრებზე დგას დღეს საქარღველო. ბორის ლომუაშვილს სახლში შეკრებილ სახლში ერთიანი საქართველო დავინახე. იქ, მოსულ ყველა ქალბატონის სიყვარულით დამოძღრილმა გადავინაცვლე მალვინა ჭელიძესთან, ჩემი ხათუნას ინიციატივით. ჩემი სულიერი შვილის მალვინას გულის გახშირებული სუნთქვა კი, ახლაც ყურში მესმის. მიყვარხარ დედიო. შენ შემიმსუბუქე წლობით დაგროვილი ნოსტალგიაო. სიხარულით ვტიროდით ყველა ერთად. სიყვარული გადაარჩენს საქართველოს. ღმერთი სიყვარულია. პოეზია უფლის საჩუქარია, ღვთიურია, ზეციურია. ჩვენ ყველანი ერთად შევიკრიბებით ბოლოს ერთიან ზეციურ საქართველოში. ისწავლეთ წუთის ფასიც კი, შეისისხლორცეთ სიყვარული ცის და მიწის.

ქართველი ქალის ღირსებები

სიხარული ჩამოგიტანე ჩემო საქართველო იტალიიდან. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, რომ ქართველი ქალი სადაც არ უნდა წავიდეს ყველგან თავისი წმინდა სულის შარმი დააქვს. კადრებში ჩანს, ხაშურელი ბორის ლომუაშვილისა და ხათუნა კილაძის ოჯახი, სადაც ჩატარდა ნანა გიგუაშვილის საღამო. ნანა გიგუაშვილზე პროფესიონალურმა პიროვნებებმა ისაუბრეს თბილიში. ეს შეფასება სრულიად საკმარისი იყო პოეტის წარმოჩინებისათვის. გამოგიტყდებით და გეტყვით, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო იტალიაში ჩასვლა შვილიშვილთან ნანა სხირტლაძესთან

და პატარა გვანცა კობალაძესთან ერთად. რადგან გადაწყდა, რომ მივდიოდი, კვლავ სიკეთეზე და პოეტი ნანა გიგუაშვილის გახარებაზე ვფიქრობდი. ამიტომ მოკრძალებით ვთხოვე ქალბატონ მაყვალა გონაშვილს და ნანას წიგნიც გაუგზავნე, რომლის რედაქტორი მე გახლავართ. ახლად გამოშვებულ წიგნში ჩანს პოეტის სული და ბრძოლის უნარიანობა. ლექსებში ჩანს ქალური ღირსებები და სამშობლოს ერთგულება. ქალბატონ ნანა გიგუაშვილს, ოთხი გამოუცემელი წიგნი, თავისი ემიგრანტობის წლებში დაგროვილი ცრემლიანი სტრიქონები გამოსაშვებად გამზადებული აქვს. ეს ერთი წიგნი, რომელიც მისი სულიერი პირმშო გახდა, გამოვიდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ეგიდით. რადგან ჩემი ჩასვლა იტალიაში გარდაუვალი იყო და თანაც დაჟინებით მოითხოვდა ჩემი უკეთილშობილესი ხათუნა კილაძე მეც დავთანხმდი. ხათუნამ შთამაგონებდა, რომ დეიდა როდის გინდა გაიხარვო. ჩამოდი იტალია უკვე საქართველო გახდა. აქ ძალიან ბევრი ქალბატონები არიან ჩამოსული. ჩამოდი და დაინახე, რა ღირსებებით სავსენი არიან, წვალობენ და საქართველოს სიყვარული კი გულში აქვთ სანთელივით ანთებულიო. რადგან მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი ვარ, ეს მე არ მათამამებს. პირიქით მოკრძალებული ვარ, უმრავლესობისთვის საყვარელ მაყვალა გონაშვილთან და თითეულ თანათავჯდომარესთან. მაინც გავბედე და ვთხოვე, ქალბატონ მაყვალას, რომ არ დალოდებოდნენ, იმას თუ როდის იშოვნიდა ემიგრანტი ქალბატონი იმდენ ფულს, რომ წიგნები გამოეშვა. ნანა გიგუაშვილის პოეზიის სიღრმე ექვემდებარებოდა მწერალთა კავშირში მიღებას. მადლობა ქალბატონო მაყვალა, ნდობისათვის. თქვენი ხელით დამზადებული საბუთი, აკადემიის დიპლომთან და მოწმობასთან ერთად მე ჩავიტანე იტალიაში. ყველაზე გასახარელი ის იყო, რომ ქართველი ქალის ნანა გიგუაშვილი სიხარული ბევრმა ემიგრანტმა გაითავისა. ვუყურებდი მათ ალალ გულწრფელ თვალებს და მიხაროდა. ყველა ქალბატონში კამკამა წყალივით წკრიალა უბოროტო თვალებს ვხედავდი. ვხედავდი ოჯახის ერთგულებას, ვხედავდი სამშობლოს სიყვარულს. მაგიდაზე ჩანს, ქართული დროშა და ზედ გაშლილი წიგნები. ერთ-ერთმა სვანმა ქალბატონმა ჩაილაპარაკა აბა ერთი გაბედოს ვინმემ და ქართულ დროშა აუგად ვინმემ მიხსენოსო. ჩემო

გულიანი ქალბატონებო, ამჯერად მაპატიეთ ამ მოკლე ინფორმაციის მოწოდება საზოგადოებისათვის. კიდევ დავწერ, აუცილებლად ჩემი კალმით სათითაოდ შევქმნი თქვენზე ლამაზ ისტორიას.

კადრები საუბრობენ

პოეტი ქალბატონი უშგულელი მალვინა ჭელიძე უძლიერესი ქალბატონია. სულით კი ისეთი ნაზია, როგორც ვაზაში ფაქიზად ჩაწყობილი ყვავილი. ამ სიფაქიზეს გინდა შეეხო, მაგრამ უკან იხევ, არ გინდა მყუდროება დაურღვიო. მალვინას ბავშობა საქართველოში დარჩა უშგულში „ლამარიას" სალოცავათან. ლომივით ძლიერ ძმებთან გაზრდილი მალვინა ახლა ემიგრანტია. როგორც ცისა და დედამიწის შეერთებას ვერ წარმოვიდგენ, ისე არ წარმომედგინა ჩემი და ჩემი შვილიშვილის ნანა სხირტლაძის, ჩემი შორენას გოგონას ნაფცქია გვანცა კობალაძისა და ჩემს ჩასვლას იტალიაში. თუმცა ეს მიწვევა ჩემმა ქარიშხალა ხათუნა კილაძემ და მისმა ქალიშვილმა მარი ლომიაშვილმა ხუთ მაისს დამიგეგმა. მეგონა თქმა და შემოთავაზება ლამაზ სიტყვად დარჩებოდა და ისე ჩაივლიდა, როგორც ჩემი ძირულის ტალღებში არხეინად მონავარდე წყლის ტალღები. „ქარიშხალა" ხათუნა კილაძე, აბა რის ქარიშხალა იქნებოდა, თუ თავის სიტყვას არ შეასრულებდა. ამ ემოციით მღელვარე დღეებს კი კადრებში, რომ არის ასახული ქარშხალა იმ. დღეს, ხათუნას ტურისტულ სააგენტოს სამი ჯგუფი ეწვია საქართველოდან, რომელსაც მისი ქალიშვილი მარი ლომუაშვილი ხელმძღვანელობს. გათენდა და დილის რვა საათზე მოვიდნენ. ერთ ჯგუფის მარი ლომუაშვილი ხელმძღმღვანელობდა და მეორე ჯგუფს კი თვითონ ქარიშხალა. მძღოლად კი ჩემი ნანა აუყვანია. მე კი მითხრა: შენ დეიდაო, ხვალ ღონისძიება გაქვს და დაისვენეო. ასე იმოგზაურა ქარიშხალამ ორ გოგო მძღოლთან ერთად სამოც კაციან ჯგუფში. დილის რვა საათზე ეკლესიაში წავიდა. მე კი ერთი დიდი ზალა გამომიყო რათა ნანა გიგუაშვილის წიგნის პრეზენტაცია ჩამატარებინა, რომლის თემა აუცილებლად ცალკე უნდა გაშუქდეს. დავწერ კიდეც. ქარიშხალა ხათო, ახლა საქართველოში ღამის თორმეტი საათია. მეგონა დავისვენებდი, მაგრამ მალვინა ჭელიძის წერილმა არ მომასვენა. მალვინას კი ასე მივმართავ: ჩემო საყვარელო გოგო, ჩვენი ქარიშხალა ხვდება, ვის რა უხარია და სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო, რომ ჩემი დაიკო ანერი, ჩემი შვილიშვილი ნანა, და ჩემი უსაყვარლესი მარითი შენთან მოვსულიყავით. ის უთქმელად ხვდებოდა, რომ შენთან შეხვედრით დიდ საჩუქარს გამიკეთებდა მე და ჩემს ანერის, რომელსაც უზომოდ უყვარხარ. თან საყვარელო მალვინ, იმ დღეს, ნანა გიგუაშვილის საღამო, ძალიან ტკბილი ღონისძიება თავის სახლში ჩამატარებინა, რომლის თემა ცალკე გაშუქდება. დღეს კი მეგონა დავისვენებდი და დილით გადმოვღვრიდი ემოციებს, მაგრამ შენმა წერილმა, ამაფორიაქა მალვინ და ისევ შენთან შემომატრიალა, იტალიაში. ლამაზად მოვლილ დიდ ეზოში იდგა ქართული სტილის დიდი სახლი. სახლის დიასახლისი ლამაზი ქალბატონი სიყვარულით შემოგვციცინებდა, ეს შენი დამსახურება იყო საყვარელო. რა დამავიწყებს იმ სიტყვებს, ხათუნას, რომ უთხარი. დამიტოვე

გულნაზი ერთი შვიდი დღე. გააუქმეთ ბილეთი, მე გადავიხდი ბილეთის ხარჯს და მე გავაცილებ საქართველოშიო. მე ამდენი წელია აქ ვარ. არ მიტირია, ახლა ვტირივარო. ეს ტირილი ცხრა წლის ნოსტალგიაო. დამიტოვეთ გულნაზიო. გამოგიტყდებით და გეტყვი მალვინ, მეც იგივეს ვგრძნობდი, ნეტავ მქონდეს დრო და გავძღე მალვინას მოფერებითათქო. შენიდან პირდაპირ აეროპორტში წამოვედით მალვინ. გზაში შეფერხება მოხდა და მე კვლავ დავრწმუნდი ჩემს სიძლიერეში, როდესაც თვითფრავი ქუთაისში არ დაჯდა და თფილისკენ, განაგრძო ფრენა. ეს არ მომხდარა შინაგანი ფორიაქობის გარეშე. რეალურად ხდებოდა საშიშროების მიზეზი. ბევრი ცუდად გახდა. ზოგიც სავადმყოფოში გადაიყვანეს და თვალწინ მიდგას ჩემი თავი. იცი მალვინ მე ხალხს ვამხნევდი. დამშვიდდით, ილოცეთ... ხალხი ლოცულობდა, მეც მათათან ერთად ვიმეორებდი მამაო ჩვენოს. ბოლოს ყველაფერი დალაგდა და ახლა კი ძილის მაგივრად შენ წერილს ვეხმაურები საყვარელო. შენი ცრემლების ზღვა არ მცილდება და არც მინდა მომცილდეს იცი მალვინ, შენი მოფერების ზღვაში მინდა ჩავიძირო.

შეუფასებელი საჩუქარი

დარეჯან ღონღაძის წიგნის ,,ბროწეულების" რედაქტორი ვარ. ფაქიზი სულის ავტორისთვის ავირჩიე გამომცემლობა ,,მინიატურა". გამოვიდა წიგნი ,, ბროწეულები", რომლის პრეზენტაცია ჩატარდა პარლამენტის ბიბლიოთეკაში და რომლითაც ძალიან კმაყოფილი დარჩა წიგნის ავტორი ქალბატონი დარეჯანი და ყველა მონაწილე. ღონისძიებას ღვთის მსახურები ესწრებოდნენ. ბორჯომისა და ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმენეონი და ამაღლების ეკლესიის წინამძღოლი მამა ამირან ამირანაშვილი. წიგნი ,,ბროწეულები ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ეგიდით გამოვიდა. ამ დროისათვის ახლოვდებოდა უკვე ჟურნალ ,,ათინათის" 48 ნომრის გამოშვებაც. ,,ათინათის" პრეზენტაცია კი აკადემიაში ჩავატარე. ჟურნალ ,,ათინათიდან" გამომდინარე ღონისძიება სხვადასხვა თემატიკით უნდა წარმართულიყო და ასეც ჩატარდა. პოეზიის განყოფილებას გაუძღვა, პოეტი ეთერ ჭელიძე და და მთლიან

სხვადასხვა ჟურნალში დაბეჭდილ სხვადასხვა თემატიკაზე კი ისაუბრა, პროზაიკოსმა ქალბატონმა ირმა კეკელიძენ. ამ ნომრის გამოცემას დაემთხვა, 2011 წლის 24 აპრილს ტრაგიკულად გარდაცვლილი პატარა იმედის მომცემი ფეხბურთელი ივიკო ჭელიძის ტურნირი ,,მომავლის თასი ,,ივიკო", რომელიც 24 მაისს მეშვიდედ ჩატარდა. ეს ინფორმაცია, ათინათში გავაშუქე. საერთოდ ჟურნალი შემეცნებითია და სწორედ ცად წასულ შემეცნებით სულებსაც აერთანებს მოგონებებით. პატარა ივიკოთი და ქსორველების ანსამბლში მონაწილე მირანდა წიკლაურს, ჯუმბერ ლეჟავას და ყველა გარდაცვლილი აკადემიის წევრების სულების საპატივსაცემოდ მოვიწვიე ქსორველების გუნდი, ბატონი ელდარ შილოშიტაიშვილის ხელმძღვანელობით.

ეს ცრემლიანი განყოფილება მე ავიღე ტვირთად. რამოდენიმე წუთში ჩემს თვალში ჩამარხული ცრემლები სიხარულმა შეცვალა. გამცემლობა ,,მინიატურის" დირექტორმა ქალბატონმა ქეთიმ გადმომცა საჩუქრად, სერთიფიკატი ,,ვეფხისტყაოსანი" გულნაზი ხარაიშვილისათვის. ეს იყო მოულოდნელი და შეუფასებელი საჩუქარი ჩემთვის. ხოლო ,,ბროწეულების " ავტორმა ლამაზმა დარეჯანმა კი დიდი წითელი ვარდები თავისი ულამაზესი ვაზით. წითელ სურნელებიან ვარდებში დარეჯანის ფიქრის ბროწეულები მიღიმოდნენ და ვგრძნობდი, რომ ეს ღიმილი აღარ დამშორდებოდა. ხოლო ქეთის საჩუქარი კი შეუფასებელია. 2014 წლის მონაცემებით ეს ვეფხვისტყაოსანი წარმოადგენს ყველაზე პატარა ზომის მინიატურას. (35) გამრავლებული (50სმ) მასში გამოყენებულია, მეთორმეტე საუკუნის კალიგრაფისტისა და მხატვრის მამუკა თავაქარაშვილის მინიატურები 1646 წლის ხელნაწერი ,,ვეფხისტყაოსანი"-დან, რომელიც დაცულია ეროვნულ ცენტრში. ტექსტი აღებულია,1937წლის რედაქციიდან. წიგნი დაბეჭდილია ტონირებულ ქაღალდზე. ყდაზე დაკრულია შოთა რუსთაველის ბარელიეფი . ვერცხლი (წონა 2 გრამი. მოოქროვებული 875 სინჯი). წიგნს ახლავს სასაჩუქრე ყუთი და გამადიდებელი ლუპა. წიგნი წარმოადგენს იშვიათ გამოცემას და დაცულია ხელშეუხებელ ფონდში.

გამოცემაზე მუშაბდნენ: (იდეა, ტექნიკური რედაქცია, დიზაინი, ხელით შესრულება,) ქეთევან ლაზარაშვილი, ბადრი მელაძე, დავით სისიაური და თეკლა მელაძე. ასეთი ძვირფასი საჩუქარი მარგუნა ,,ათინათის" 48 ნიმერმა. წმინდა ნინომ ქეთის სახით გამომიგზავნა ანგელოზი, რომელმაც გადმომცა შეუფასებელი საჩუქარი. თვალი გავაპარე ჯუმბერ ლეჟავას სურათისაკენ და ფიქრებით შევეხმიანე. ბატონმა ჯუმბერიმ ცხრა წელიწადი, იარა უკვდავი შოთა რუსთაველის აფორიზმით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია". ეძიებდე და პოვებდეო უთქვამთ. მეც ვეძებ უფლის მოყვარულებსა და კეთილ ადამიანებს. ვეძებ ლექსებში, მეცნიერების ყველა დარგის მუშაკებში. ვეძებ და ვპოულობ კიდეც. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში, სიყვარულის ჯაჭვია, უფლის ხელდასმული და დალოცვილი.

პატარა მხატვარი ნუცი კო ელიაძე

დამთავრდა ნანა გიგუაშვილის საღამო და ღონისძიების დასასრულს, ეს პატარა ანგელოზი შემორჩა ბოლომდე თავის საყვარელ პადაგოგ– პოეტ მზია ელიაძესთან ერთად. დარჩა იმიტომ ,რომ სამუშაო ოთახის მილაგებაში მომეხმარა საყვარელი ქალბატონები მზია და ლია, მათთან ერთად მარჯვე გოგონა ნუცი კო ელიაძე. იცით? პატარა ნუცი კო ბევრი სერიოზული ნახატების ავ-

ტორია. მე მას ჩემი ვარდების თაიგული ვაჩუქე. ყვავილები ყველაზე ძალიან მიყვარს, მითუმეტეს ვარდები. ვარდობის თვეში დაბადებულს, ვარდის სურნელი მათრობს და დადებით ენერგიტიკით მმუხტავს. როცა ვარდების თაიგულებს მჩუქნიან ძალიან მიხარია. იშვიათია, რომელიმე თაიგული სახლამდე მივიტანო და იცით რატომ? ჩემთვის საყვარელ ვარდებსაც სხვებს ვურიგებ. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემს სიხარულსაც კი სხვებს ვუნაწილებ. ამჯერად ეკა ლომიძეს ნაჩუქარი ვარდები პატარა მხატვარ ნუციკო ელიაძეს შეხვდა. ნუციკო შემპირდა რომ ამ ვარდის თაიგულს დახატავს, პოეტ ნანა გიგუაშვილის საპატივსაცემოდ. თუ ნუცამ პირობა შეასრულა ჩემი საჩუქარი ვარდის თაიგული ,,ათინათის" 49 ნომერს დაამშვენებს. რომ იცოდეთ რა ბედნიერებაა, როცა სიხარულით გასცემ რაიმე ნივთს, თუნდაც მინდორში მოწყვეტილ ერთ გვირალს, შეეცადეთ სიკეთის კეთება და თქვენც იგივე დადებითი ენერგეტიკით დაიმუხტებით. ნუციკოს და მუსიკოს

ლია ალადაშვილს იცით კიდევ რა ვაჩუქე? ჩემს დაბადების დღეზე დილის ექვს საათზე გარეჯიდან ბერი ნეოფიტე ჯობავა მესტუმრა, ჩემს უერთგულეს მეგობარ პოეტს ლამზირა შეყილაძესთან, რუსთაველის მსახიობ ლენგინოზ გიორგაძესთან, და ერთ უკეთილშობილეს გოგონასთან ერთად, რომელიც მამაოს ხშირად ახსენებდა, მამა ნეოფიტე, ჩვენ ფაქტიურად ღამე ვათიეთ, თბილისიდან შემოგირთდით, რუსთავში. ერთ– ერთ პარკთან გაგვაჩერე და გულნაზიზე მიძღვნილი ლექსი გვამეორებინე. არაუშავს, შეაწყვეტინა საუბარი მამა ნეოფიტემ თვალებრიალა გოგოს, უფალი ხედავდა ყველაფერს, ეს ასე უნდა გაგვეკეთებინაო. ღვთის სტუმრების ვარდები , ოთხ მაისს ბატონი ირაკლი ნადარეიშვილის ნაჩუქარ ვარდებს შეურიე და თან ჩაუთქვი, საქართველო დამიმშვიდე უფალო ამ ღვთის მწყალობლებითქო. გავიდა დრო, ვარდები გახმა. ვარდს ვარდის ფურცლები მოვაცილე და აკადემიაში შევინახე. ჰოდა, ლია ალადაშვილს და ნუცუკოს ამ ფურცლების პატარა ნაწილიც ვაჩუქე და თან ჩავუთქვი. დააბრუნე უფალო, ახალზრდების მოწიწება უფროსების მიმართ. რამეთუ მათ ერთი თბილი სიტყვაც აბედნიერებს. თუნცა უფრებსაც ხშირად გვავიწყდება ერთი რამ, ჩვენც ვიყავით პატარები და ჩვენც გვიხაროდა უფროსებისგან ყურადღება.

სათნოების სამყარო

ამ ბოლო დროს ფეისბუქში გადაღებული მასალების ქვად გადაქცევა, მიმანიშნებელია იმისა, რომ ვიყო ზომიერი. ყველა კუთხეს თავისი პლიუს-მინუსი სახასიათო ხასიათი აქვს. მე მაგალითად საჩხერული სულსწრაფობით გამოვირჩევი. იმ წუთში მინდა გავუმასპინძლდე ჩემს

დაპატიჟებულ სტუმრებს და ცალ ხელში წიგნი უნდა დავაჭერინო მეორე ხელით კი ღამის ნაპახმელიავებელი ლექსები მინდა გამოვუმზიურო. მესენჯერში გადმოგზავნილი მასალები ისე გამიქვავდა, როგორც საჩხერის რაიონის ხვანი– ჭალვანისკენ, რომ გადაუხვევ ჯერ შეგხვდება ერთი მთის ძარღვის ვენიდან გამსკდარი დიდი ღელე. ცოტას ივლი და შავაძეების დასახლებაა. ხელ მარცხნივ სიყვარულით ლამაზად აშენებულ ერთ– ერთი კოპწია სახლი ჩემი საყვარელი გურგენი შავაძის სახლია. გურგენი შავაძე დედაჩემის დიშვილიც იყო და შვილიც. ბეჟანის გარდაცვალებიდან მახსოვს, ჩემი გურგენისა და ეთერის (მისი მეუღლის) ფუსფუსი ჩემს დარდიან დედასთან. დედაჩემის გულის ჯარღვს ოცდაათი წლის შვილის პოეტი ბეჟან ხარაიშვილი მოწყდა. შავაძეებს უბანს გაცდები და ხელ მარჯვნივ არის კლდე. ეს ისეთი კლდე არის თუ თავის ნებაა, იშლება. თუ არ გაასწარი მგზავრად გაგიყოლებს და ძირულის ტალღებთან მიგახრჩობს. თუ კარგ ხასიათზე არის, აიარე და ჩაიარე მიკირულ კლდების ქვეშ გაასვალტებულ გზაზე. ასე დაემართა ჩემს მესენჯერს დღეს. მინდოდა, პატარ-პატარა ნაწყვეტების დადება და ლამაზი სასიამოვნო ინფორმაციის მიწოდება ჩემი გვერდის მეგობრებისათვის. არ გამომივიდა. არ მომცა ნება ბატონმა მესენჯერმა. ჰოდა, არის ხვანის კლდესავით მიქვავებული. მაშ ასე, შევეცდები ლამაზად ავღწერო გუშინდელი საღამოს ლამაზი განცდები. დავიწყებ იმით, თუ ვინ მყავდნენ მოწვეულები ემიგრანტი ქალბატონის საღამოზე. ენრიკო ჯანელიძე, რომელსაც ყველა იცნობს



მომღერალი მოგზაური. ერეკლე საღლიანი. ეს არის პიროვნება, რომელიც საქართველოს, ,,ხევისბერი გოჩაა". ლია ალადაშვილი (მუსიკოსი), ქალბატონმა ლიამ ძალიან ბევრი პოეტების ლექსები სიმღერად აქცია. ლია სასიამოვნო ხმით და უბრალოებით გამოირჩევა. მალხაზ ჩხიტუნიძე, ჩემი საჩხერელი, საამაყო სულიერი შვილი და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის სწავლი მდივანი. თენგიზ ფანცულაია, ,,პოეტები საქართველოსი" ამ ორგანიზაციის ერთ– ერთი დამ-ფუძნებელი და ლეჟავას აკადემიის გამგეობის წევრი. თემურ გოგსაძე. მსოფიოში აღიარებული ადვოკატი და ლეჟავას აკადემიის გამგეობის წევრი. ხათუნა ელიაშვილი, განსხვავებული ხედვის პოეტი. ეთერ ჭელიძე, ლეჟავას აკადემიის გამგეობის წევრი და წლის საუკეთესო პოეტი. მანანა აბუსერიძე, ობიექტივის ტელევიზიიდან ჟურნალისტი. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე. აკადემიის წევრი და ბრწყინვალე ნიჭიერი ბიბლიოგრაფი. მზია ელიაძე, პედაგოგი, ლეჟავას აკედემიის წევრი და პოეტი. ღინისძიებაზე იყვნენ სხვა პიროვნებები, რომლთა სახელი და გვარი არ მახსოვს და მაპატიონ. ყველაზე საინტერესო იყო , ,,საათნოების სამყაროს " წარმომადგენლები. წიგნის ავტორის ოჯახის წევრების ერთსულოვნება. ახლაც ჟრუანტელი მივლის ნანა გიგუაშვილის

ძმიშვილის სიტყვებზე. მამიდაჩემი ნანა, ჩემი სულიერი მამიდააო. ჩვენ უფრო დაქალები ვართ ვიდრე მამიდა ძმიშვილიო. თვალწინ დამიდგა ჩემი ძმიშვილის სიტყვები პოეტი გვანცა ხარაიშვილის. ,, მამიდიკოს" ვგავარო ხშირად რომ ამბობს ჩემი დახატული გოგო. შეხედავდი, ნინოს და ასლი იყო წიგნის ავტორის ნანა გიგუაშვილის. მეორე ძმიშვილი ნანასას ,,ბაკოს" თვალებში კი მზის სხივები ბრწყინავდა, მისი წაკითხული ლექსების ექო წერეთლის ცაცხვის ტოტებზე სიხარულით ცეკვას იწყებდნენ. საინტერესო იყო შვილის მეუღლე, საჩხერელი მარი ხომასურიძე. ჩვენ ერთი კუთხის საერთო სანათესაო, ჩემი ნონა შავაძის ირგვლივ გვიხდებოდა საუბარი და ხშირად ფიქრით ხვანის მთის ძირებში ვეძებდი წითლად ამოსულ პოეზიის ლამაზ ნიყვებს. ღინისხიებაზე იყო, ნანას ქალიშვილი, რომელმაც თითქმის ყველაფერი გადაიღო. არაფერი არ დააკლო დედიკოს და ამიტომ იყო ჩემმა მესენჯერმა დროებით რომ შემასვენა. მარიამს ნანას ქალიშვილს შეუძლია მსახიობივით ლექსების კითხვა და თავისი ნიჭით და ლექსების წაკითხვით, ყველა მოიხიბლოს. ასეც გააკეთა, დედიკოს ლექსები წაიკითხა და საამაყო იყო მისგან დედის პოეზიის მიმართ პატივისცემა. ღონისძიებაზე ორი პატარა ანგელოზი გვესწრებოდა. ნანას შვილიშვილი ანასტასია ლომიძე და მზია ელიაძის პატარა მხატვარი შვილიშვილი, ნუცა ელიაძე. ანასტასიამ ბებიკო ნანას ლექსები ლამაზად წაიკითხა, ის სკოლაშიც წარჩინებული მოსწავლეა და საქართველოს კი ამ პატარების სახით ლამაზად აღზრდილი ნიჭიერი თაობა ეზედება. მზესავით თბილ ქალბატონს ისე ვეღარ მოვეფერე, როგორც მინდოდა. მაპატიე ნანა საყვარელო. მაპატიე შენ ჩემი სულის ზიარო, მეც მინდა შენსავით ვიღვრებიდე ლოცვად. მინდა შენს ერთგულების კონცხდან ჩამოვისვენო და გითრა, შნნაირი დედები მიყვარს შვილოთქო. ხომ დამიჯერებ დედი რომ ჩემი დედაშვილური სიყვარულია არის ჩემი სულის საზრდო.

ცხრა ივნისის ემოციები

ღონისძიება, რომელიც ცხრა ივნისს ჩატარდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თავს კვლავ მახსენებს და ისევ რაღაცის დაწერისკენ მიბიძგებს. სიხარულითა და ემოციით დატვირთული დღე. დედამთილის მოფერება, რძლის მიმართ, ლამაზი მეუღლის თვალებში ციცინი, სურამისა და ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმეონიმის დალოცავა, ამაღლებისს ეკლესიის წინამძღვრის მამა ამირან ამირანაშვილის სიმღერით ღუღუნი. მამა ამირანი ძალიან თბილი და კეთილი მამაოა, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებული იყო. დაგილოცა დარეჯან კალამი და გისურვა, რომ მტკიცედ უნდა

გეჭიროს უფლისგან მომადლებული სიმდიდრე ხელში. იშვიათად მინახავს ასეთი ლამაზი წყვილი და მეუღლის დაფასება დარეჯან შენს მიმართ. გაიხარე დარეჯან. გაიხარე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად და იმედი მაქვს ჩვენც მოგვეფერები და გაგვახარებ შენი ენთუზიაზმით და წინსვლებით. საერთოდ დავეძებ უფლის მოყვარულს და კეთილ ადამიანებს. გიპოვნე და არასოდეს დაგკარგავ ლამაზო პოეტო. მეც ამიყვავე ,,სულის ბროწეულები". ვწუხარ, რომ ღონისძიებაზე ბოლომდე ვერ შემოვრჩი. ვამხელ ვინც მირეკავდა. ეს ქალბატონი პოეტი ნანა დარჩიაშვილი იყო. შვილი გარდაეცვალა. მაპატიოს უფალმა ცოტა მკაცრად ვუპასუხე, ღონისძიება მიმყავს და მერე დაგირეკავთქო. ვიციო მითხრა, მამა ამირანი დამალაპარაკეო. მამაო ამ დროს თქვენ დაგფიფინებდათ თავზე და როგორ შემეწუხებინა. იძულებული გავხდი წამოვსულიყავი, რადგან კატეგორიულად მოითხოვდა, მითხარი როგორ გადაიტანე შვილის სიკვდილიო. ახლა. გავცემ პასუხს, როგორც გადავიტანე. გადავიტანე იმით, რომ კვლავ სიცოცხლეზე ვფიქრობ. სიკვდილი ჩემი სიძლიერით მოვკალი და იმანაც ზურგი შემაქცია. ყოველდღე ჩემით გავილამაზე სიცოცხლე. ყოველთვის ვფიქრობ ვის როგორ მოვეფერო. მტერიც კი მეცოდება, რადგან მან არ იცის სიცოცხლის ფასი. აქ, უნდა დავითმინო, რომ ბედით ცად წასულმა სამუდამო ნეტარება ვნახო. ეს სიტყვები წაიკითხოს იმათმა, ვინც ეს კითხვები აფორიაქებს. შენ კი ჩემო დარეჯან კვლავ ააყვავე ,,სულის ბროწეულები" შენ ჩემი ნაპოვარო დარეჯან მიყვარხარ, თან ძალიან!

ნანას სურპრიზი

ემიგრანტისთვის ერთი თბილი სიტყვაც კი ცრემლების მომგრელია, რადგან მას ენატრება ოჯახი და ოჯახის წევრები. ასეა ნანა გიგუაშვილიც. ნანას წიგნი ,,სათნოების სამყარო", რომელსაც ჩქარე იხილავს, მკითხველი ჩემი რედაქტორობით შეიქმნა. ერთი წიგნი, რომელიც საკორექტოროდ ამოვიღე უკვე ხელში მაქვს. ვიფიქრე რადგან მადლი გავაკეთე, მარილიც მოვაყაროთქო და ქალბატონ ლია ალადაშვილს დაუკავშირდი. არავინ ჩამთვალოს ისე, რომ კლასიკურად დამუშავებული სიმღერა არ მესმოდეს. რა თქმა უნდა, მესმის. ლია ალადაშვილი პროფესიით მუსიკოსია, რომელსაც ძალიან თბილი და ნაზი ხმა აქვს. თავისეული ნიჭით ლამაზად ბუნებრივად ამუშავებს ვისი ლექსიც მოეწონება და ბევრს ახარებს შექმნული სიმღერებით. ასე გავახარეთ, ბევრი და ვიცი, რომ ნანასაც გაეხარდება, თავის დაწერილ ლექსს ამღერებულს რომ მოუსმენს. გილოცავ ნანა ახალი წიგნის დაბადებას, რომელიც აკადემიის ეგიდით გამოუშვი. კიდევ მრავალი პოეზია შეგექმნას და მკითხველი გაგეხარებინოს. სიმღერა კი სურპრიზია ემიგრანტო.

საძირკველი აკადემიიდან დაიწყო

ბატონ ჯუმბერისთან მე და რუსუდანის დედამ ანა ბოდბელმა, მივიყვანეთ რუსუდანი. როდესაც ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის ბეჟან ხარაიშვილის თანაკურსელი ანა მოვიდა ჩემთან, წერეთელზე, სადაც აკადემიაა გახსნილი, რუსადანისთვის ფართის აღაბაზე, რეკომენდაცია უნდა გამეწია, შენობის მეპატრონესთან, რათა რუსუდანს ცეკვის სტუდია უნდიდა გაეხსნა. ცოტახნით დრო წარსულის გახსენებას დავუთმეთ. ვისაუბრეთ. მე და ანამ, გავიხსენეთ ბეჟანისა და მისი დაძმური ურთიერთბები. იცი გულნაზ, ანა ყვებოდა, ბეჟანი იმდენად წესიერი ახალგაზრდა იყო, დედაჩემი მხოლოდ მას მანდობდაო. ამ ლამაზი წარსულის გახსენების შემდეგ, რუსუდანის

შესაძლებლობის სიღრმეს ჩავუკვირდი და ინტუიცია მკარნახობდა, რომ მას უფრო მეტი შესაძლებლობები, ქონდა ვიდრე ამბობდა. რუსუდანი, ისტორიკოსიც იყო, სამართალმცოდნეც და როგორც თვითონ აღნიშნა, მე უფრო წყლის ვარო. დავფიქრდი, გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. ანას ვუთხარი, წავიდეთ ბატონ ჯუმბერისთან და რუსუდანმა ფიზიკურ შესაძლებლობებზე ლეჟავასთან ისაუბროსთქო. ანა დამთანხმდა. ბატონ ჯუმბერთან დავრეკე და რუსუდანის იღბლად სამსახურში დაგვხვდა. ბატონ ჯუმბერს, ბატონი არჩილ ფრანგიშვილის დახმარებით და ბატონი ზურა წვერაიძის ხელშეწყობა არ აკლდა. გეპეის მესამე კორპუსში, მესამე სართულზე დათმობილი ქონდა საკმაოდ დიდი ოთახი, სადაც მთელ თავის ცხრა წლიანი მოგზაურობის მასალები იყო დაცულ– განთავსებული. ზრდილობით გამორჩეული მოგზაური, მოკრძალებით შემოგვეგება. რუსუდანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები ბატონმა



ჯუმბერიმ კითხვა პასუხის დიალოგით ამოწურა. ჯუმბერი დაფიქრდა, იცი რუსუდან, ეუბნება ულა-მაზეს რუსუდანს, როცა ცეკვავ, ფეხის კუთები სხვანაირად ყალიბდება და როცა ცურამ სხვანაირად. ან ერთი უნდა აირჩიო ან მეორე. საქართველოში ბევრი ცნობილი მოცეკვავეები გვყავს სუხიშვილები, ომარ მხეიძე და სხვები აჯობებს უფრო შენი ენერგია ცურვას დაუთმო. რუსუდანმა დაუფიქრებლად გასცა პასუხი ბატონ ჯუმბერის, მე უფრო წყლის ვარო. როდესაც ცურვის სპორტულ სადღეღამისო მარათონზე წარსდგა. მის მხარდასაჭერად მისულები ვიყავით, რუსუდანის მამა ცნობილი ექიმი გოდერძი გორდეზიანი, ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, ბატონი გვანჯი მანია, რუსუდანის დედა ანა ბოდბელი, პოეტი ლამზირა შეყილაძე და მე. მე და ჩემმა მეგობარმა დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე გავაგრძელით და მე გავხდი ამ საოცარი წყლის გედის ცურვის მანერების მაყურებელი. მისი სხეული, ნახევრად წყალში იყო და ნახევრად წყლის

ზედაპირზე, მაღალი აღნაგობის რუსუდანი წყლის ზედაპირს მიკრული კი არ ცურავდა, ცეკვის ილეთებით უვლიდა წრეს. ამ საოცარი სილამაზის მნახველს, უკვე აღარაფერი მიკვირს. ერთი წლის წინ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრები მყავდა ბოდბეში, წმინდა ნინოს საფლავზე მოვილოცეთ. ექიმმა გოდერძი გორდეზიანმა და ანა ბოდბელმა, თავისი გულის სითბოთი და კეთილი მასპინძლობით თავი დაამახსოვრე აკადემიის წევრებს. ჩვენ რუსუდანის ხელით დამზადებული ბევრი კერძი დავაგემოვნეთ. ხოლო იმდენი მწვადი, რაც ბატონმა ვოდერძიმ შეგვიწვა, ორას კაციან მაგიდას ეყოფოდა. ჟურნალისტმა ანა ბოდბელმა რუსუდანის დედამ კი გარდა მასპინძლობისა წმინდა ნინოზე გვესაუბრა და წამებში მოფიქრებული სხვადასხვა სახუმარო ხელოვნებით გაგვართო.

ბოდბის წმინდა ნინოს ტაძრის ახლოს ცხოვრობს რუსუდანის ოჯახი, სადაც ბატონ გოდერძის თავისი კერძო კლინიკა აქვს გახსნილი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ყველა აკადემიის წევრმა ექიმის კონსულტაცია მიიღო და სწორად დასმული დიაგნოზებით მკურნალობა განაგრძეს. ჩემს წარმოსახვაში და რეალობაშიც იქაც ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო ჩვენი მასპინძელი. ეს გულუხვად დახვედრა მისგან იყო გაცემული. რუსუდანს, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ბატონი ჯუმბერი თავს დასტრიალებდა, ცურვის შედეგებზეც სიხარულით გვიყვებოდა, სიხარულსაც არ მალავდა რუსუდანითა და შედეგებით კმაყოფილ– აღფრთოვანებული.

პოეტის გზა

პოეტის სული ნაწვიმარ დილას გავს. როცა მზე თვალებს გაახელს და მზე, მის დაღლილ თვალებს ჩახედავს მიუალერსებს ის მაშინ დგება ოპტიმისტურ ხასიათზე. მაშინ აცნობიერებს ამ ქვეყანაზე მოსვლის მიზეზს. სხივები ალუბლის რტოებივით წამოჩიტავს სულის არეს და დაიწყებს შეფერადებული სიტვებით ლექსების აკინძვას. ამ შემთხვევაში პოეტი მაშინვე სევდას კარებს უხრავს. ასეთ დროს სული ჩამოისვენებს მზის სხივებით მოსულიერებულ ვარდებთან და ლექსად გადმოეღვრება სათქმელი.

ამ სიტყვებს ქალბატონი ეთერ გაჩეჩილაძის პოეზის გაშლილი სუფრიდან გესაუბრებით, რომელმაც უმასპინძლა ჟურნალ ,,ათინათის" მკითხველებს. ქალბატონის წლების შარაგზა ჩაუხვეტია ქარს, გზიდან გადაუყრია ნაღველი და დარდი, მერე მზეს სულის ათინათები გაუბრწყინებია და ეზოში ვარდი აყვავებია. აკი თვითონ ამბობს ლექსში.

,,წლების შარაგზა ჩახვეტა ქარმა,
გზიდან გაყარა ნაღველი დარდი,
შემომანათა მზიანმა დარმა
და ამიყვავა ეზოში ვარდი"

ზოგჯერ პოეტი პესიმისტურ ხასითზე დგება, ეს ბუნებრივიცაა. როცა წვიმაა, აუცილებლად გამოიდარებს და როცა მზის სხივებით გადამწვარი მინდორს, ლამისაა სიცხისგან ცეცხლი

წაეკიდოს, ამ დროს შეიძლება, ისეთი ქარიშხალი მოვიდეს, შიშით ხელები ზეცას აღაპყრო და უფალს შეევედრო, უფალო შეგვიწყალეო.

,,მოღუშულ ზეცაზე სიმუქე ჩამოწვა,
მზის სხივმა დაჰკარგა
სითბო და მზისფერი,
რაღაცა უცნობი სიჩუმე ჩამოდგა
და ცასაც გაუქრა ჩვეული ცისფერი"

ამ სიტყვებიდან ჩანს მისი ხასიათის შეცვლა როგორ ინაცვლებს მზის სამყაროდან , სევდის სამყაროში.

ასე შემიძლია მისი ლექსები სათითაოდ ამოვკრიფო და ამით ფურცლების რაოდენობა გავზარდო. ჩემი აზრით, მეტისმეტი ქება ავტორსაც არ გაეხარდება და არც მე ვიქნები მართალი მკითხველთან. წიგნი რომელიც მზადდება გამოსაცემად, უნდა გამოვიდეს. ამ სიხარულის მინიჭებას იმსახურებს ქალბატონი ეთერ გაჩეჩილაძე. მისი პირმშო წიგნი ელოდება დაბადებას. გილოცავ ქალბატონო ეთერ!

სულის ჭიშკარში

შუაღამეა... ნახევრად მძინარეს ცა მოწმენდილზე წყლის ტალღების თქაფათქუფი შემომესმა. გაავდრებულა. კოკისპირულმა წვიმამ მდინარე ძირულა აადიდა თუ დედის ცრემლების ხმაურია ნეტავ, გავიფიქრე და ისევ ძილს მივეცი თავი. ძილში ფრთები გამომესხა. ფრენა დავიწყე. სურვილი გამიჩნდა ყველაზე დიდი მთაზე ავფრუნილიყავი. რაც უფრო დედამიწას ვშორდებიდი, ცხოვრებისეული სიმძიმის ტვირთი, რომელიც ვაგონებივით გამომბული მქონდა სხეულზე, თანდათან მშორდებიდა. ბოლოს ტვირთისგან გამონთავისუფლებულმა სხეულმა სიმსუბუქე იგრძნო. პირველი სურვილი ავისრულე, ყველაზე დიდ მთაზე ავფრინდი, რომელიც ჩემი სახლის წინ იყო აღმართული. იქვე ჩამოვისვენე. დაიღალე? მთვარე გამომესაუბრა. არა, არ დავღლილვარ ამაყად ვუპასუხე. თვალებში გეტყობა დაღლა. ბევრიც, რომ ეცადო შენი გავლილი ცხოვრება დამალო, თვალები გაგცემს. თვალი სარკეა. მერე და შენ ვინ მოგცა უფლება ჩემი თვალების ფანჯრებში რომ იყურები, გაბრაზებით შევუბღვირე მთვარეს. უფლება? რომელ უფლებებზე მესაუბრები, შენი ადამიანური უფლებები, დედამიწაზეა. აქ ზეცაა. აქ, შენი თავი შენ არ გეკუთვნის. როცა სხეულს ტოვებ და ცაში ამოდიხარ, უუფლებო ხდები. აქ, ცის კანონებია. შენი გავლილი წლების ცოდვები განიხილება. მე, არაფერი ცოდვა არ მიმიძღვის, არავისთან ამაყად მივმართე მთვარეს. ეგ, შენი გადასაწყვეტი არაა, მოვა ცისა და მიწის მბრძანებელი ღმერთი და შენ საკითხს ან ათითონ განიხილვას, ანდა კიდევ, რომელიმე ცის მნათობს დაავალებს. მერე რა მოხდება? უკვე ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულმა მივმართე

მთვარეს. რა მოხდება და ცისკრის ამოსვლას დაბლა თუ ჩაასწარი და უკან გაბრუნდი, ჩვეულებრივად დაბრუნდები დედამიწაზე. დავფიქრდი, არა უცოდველი ვარ, გამასამართლონ. დაველოდები ცის კანონების განხილვას. ცაზე მთვარესთან ერთად ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. ერთი ვარსკვლავი ცის ჭერს მოწყდა და ადამიანად გადაიქცა. დავაკვირდი და ვიცანი. ჩემი შვილი გელა. დედა! შვილო! ყვირილზე გამომეღვიძა. აღარც წვიმა, იყო, არც ძირულის ხმაური არღვევდა მთების მყუდროებას, გაღმა-გამოღმა რომ ერთმანეთის იმედად იყვნენ ჩამწკრივებულები. ჩვეულებრივი დილა გათენდა. ჟურნალი ათინათი გადმოვიღე და ჩემი ავტორების სულის ჭიშკარში ფათური დავიწყე!

საინტერესო სტუმრები

სულის ცისკრის ათინათის კვალს მოყვნენ, მზის ,,ათინათივით" ლამაზი ქალბატონები. მსოფლიო იცნობს ქალბატონ გიული ერგემლიძეს, უბადლო ნიჭით დაჯილდოვებული კომპოზიტორს, უამრავი პოეტი გაუხარებია. მათ ლექსებზე შეუქმნია სიმღერები უფლის რჩეულს .ბქალბატონ გიულის, პირადი ტკივილიც ბევრი შეხვედრია. მისთვის უცხო არ არის გულის მარწუხებით შემორკინებული ტკივილი. მაინც უყვარს ყველა და ყველას უყვარს ქალბატონი გიული ერგემლიძე. აკადემიაში მოსვლის დღე მისთვის ორმაგად სასიხარულო იყო რადგან, ხარობდა თავისი ბიძაშვილის ქალბატონი მზია ერგემლიძის წარმატებით. პოეტი ქალბატინის მზია ერგემლიძის ქალიშვილი იყო მოსული. ლამაზ შავთვალება ჟურნალისტს სამსახურში ეჩქარებოდა. ისე წავიდა სურათის გადაღებაც ვერ

მოვასწარით. საინტერესო იყო პოეტი თინა ბასაძიშვილის ხელბარაქიანად შემოსვლა. მისი დაბადების თვე, ივლისი არის. ივლისივით თბილი გულის ქალბატონმა ლამაზი ტორტით და ტკბილეულით შემოაღო აკადემიის კარები. საუბარი ისე წარიმართა, რომ ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სულსაც მიწვდა, თბილი და დაუვიწყარი სიტყვები. იუბილარმა ქალბატონმა ამაყად ჩაილაპარაკა. იუბილე, კახეთში ჩემმა ოჯახმა აღმინიშნა, მაგრამ აქაც მინდა, რომ დამლოცოთო. თუმცა, სანამ დამლოცავდეთ, მინდა სამადლობელო სიტყვა გითხრათ, რადგან დიპლომი უკვე ხელში მიკავია და ჩემი კუთვნილებაა. დღეს მე განსხვავებული და ბედნიერი დაბადების დღე მაქვს, რადგან დიდი პატივი მხვდა წილად. თქვენ ქალბატონო გულნაზ, ამ ლამაზი დღის აღსანიშნავად, გამიკეთედ სურპრიზი და გადმომეცით დიპლომი. დღეს მე გავხდი დიდი ოჯახის წევრი. მე შევუერთდი სულიერების ლამაზ კერას. ეს ბედნიერებაა. თუმცა ძალიან დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. ვეცდები გავამართლო ნდობა. თქვენთან მოსვლის, ფიქრი, მხოლოდ ოცნებად მქონდა. მადლობა დედასავით მზრუნველო ქალბატონო. გავბედე და ლექსიც მოგიძღვენით. სმენად გადავიქეცი. მიძღვნილ ლექსებს უშვიათად წერენ, ან არ წერენ. ეს მხოლოდ, განსაკუთეებით თბილი გულის პიროვნებებს შეუძლიათ. სმენად გადავიქეცი. ქალბატონმა თინამ ლექსის კითხვა დაიწყო.

,,სიკეთის წყაროდ იღვრება,
თქვენი ლამაზი საქმენი,
სულ სიყვარულად ასხივებს,
ყველას გულში გაქვს ადგილი.
ეალერსები ყველა წევრს,
თქვენ თვითონ საფერებელი,
აბრწყინებთ აკადემიას,
ვით მოკიაფე სანთელი
ძვირფასი ქალბატონი ხართ,
ცნობილი ნიჭიერებით,
ღმერთმა დაგლოცოთ, გამრავლდით,
მიყვარხართ, მეიმედებით."

ძალიან მესიამოვნა გავჩუმდი, ხმამაღლა მხოლოდ ეს ვთქვი. რა დავიმსახურე ასეთითქო და საუბარი განვაგრძე.

ქალბატონო თინა, სამყაროს ზეცა მართავს. თქვენ დაბადების დღეზე გადმოგეცათ, მსოფლიო მოქალაქის, უკვდავი ლეგენდის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის დიპლომი. ჰოდა, ძვირფასო, დალოცვილი იყავი ცის, ღვთიური ძალებისაგან. იყავი კეთილი და სამართლიანი. შენი ცხოვრების ყოველი დღე ყოფილიყოს სულიერად ამაღლებული. ასე ვლოცავდი სათითაოდ ყველას და თბილმა დედაშვილურმა გარემომ შექმნა დადებითი ენერგია. აღარ ეთმობადათ ერთმანეთი. მადლით შემოსილი ოთახის კედლები იდუმალებით მოცული სიყვარულის უხილავი მუხტით მუხტავდა ხელოვანთ. ქალბატონებმა მწერალთა კავშირში გადაინაცვლეს მათ გზას ულოცავდა თვალთ უხილავი ძალა სიყვარულისა.

როგორც უცოდველი ბეღურა

ქალბატონი მანანა სამყურაშვილისა და ბატონი თენგიზ ფანცულაიას პროექტით გამოცემული წიგნის ,,პოეტები საქართველოსი" პრეზენტაცია იყო. საღამომ ლამაზად ჩაიარა. თვალწინ მიდგას მამა ამირან ამირანაშვილის გულში მოწიწებით ჩახუტებული ლამაზი ყდით გაფერადებული პირველი წიგნი. გამარჯვებას ულოცავდნენ წიგნის რედაქტორებს. მიხაროდა, ისე განვიცდიდი როგორც, დედა, რომ ელოდება შვილების შედეგებს. რეალობაში ასეც არის. ყველა ჩემი აკადემიის წევრების წინ გადადგმული ნაბიჯები მახარებს. ღონისძიება დამთავრდა, ძალიან ბევრმა მომიკითხა თბილად და ჩემგანაც მიიღეს უშურველი გულის სითბო. ბოლოს ქალბატონი ლია ალადაშვილი მოვიდა, გულში ჩამეხუტა და ამბობს. მეც მინდა შენთან ვიყოვო. მეორე დღეს აკადემიაში შევხვდით ერთმანეთს. ქალბატონი ლიას საუბარი უფრო აღსარებას გავდა. ვუსმენდი ლიას და ვფიქრობდი, სითბოს კარავს გავუშლიდი და თეთრ ქულა სევდით გაწკუმპლულ ბეღურას გულის სითბოზე შევაფიცხებდი. ასეც მოვიქეცი. ლიამ ძალიან ბევრი ავტორი გაახარა თავისი ბუნებრივი ლამაზი ხმით. ახლა ვარ უხერხულ მდგომარეობაში, თან რათქმა უნდა მომწონს და მიხარია კიდეც. ბედისწერის სევდის გადაჭარბებული პოეტი ვარ. მომავლის საიმედოდ, უდარდელი ქალის როლს ვთამაშობ. დიახ! მსახიობი გავხდი, მხოლოდ საჩემოდ არა, სხვისი ტკივილების გასქარვებლად. ვწერ ოპტიმისტურ და დიდაქტიკური ლექსებს და წამებში ლია მღერის. აქედან დასკვნა ერთია, ორი სხვადასხვა დარდის ქალბატონი უფალმა ერთ ბედისწრის გზაზე შეახვედრა და ქარბორბალას, შერკინებულები, კი არ ვამძიმებთ ადამიანებს, პირიქით სიცოცხლეზე გაქეზებთ!

... და მაინც ...

დარდი და სიცხე ისე დამეგობრდნენ, რომ ერთმანეთს ხელს აღარ უშვებენ, საუკუნეებს გაუძლებს იმ ზღვარცოფის სიმწარე, რაც წამებში დატრიალებულ ლამაზი წალკოტის განადგურებას მოყვა. ონის რაიონში შოვში საუკუნეების ტკივილი ჩაიკირა. სურპრიზად მშობლებისგან დასასვენებლად გაგზავნილი სტუდენტი დაძმანის დაკარგვა, მერე მათი პოვნა უკვე გარდაცვლილი და ცის ანგელოზებად ცაში აფრენილი. რამდენი პაწაწუნა უმანკო ბავშვები დედასთან ერთად ღორღს გაყოლილნი. შეშინებული თვალები. თიქოს ნოეს კიდობანი ჩამოდგა მაგრამ, იქაც ბოროტი იმარჯვებდა. ცუდი დრო დადგა ბოროტება და სიკეთე იომებსო, უწმინდესი ამბობს. ასე ხდებოდა, უწმინდესის ნაწინასწარმეტყველებები.

წამებში ყლაპავდა, უხილავი ძალა, უდანაშაულო ხალხს. ამ დროს გინდა, რომ დრო გააჩერო. იფიქრო, როგორ

მოიქცე. ღირს კი იწვალო და კიდევ რამე შექმნა? წამოხვიდე ამ სიცხეში რუსთავიდან თბილისში, გაუღიმო ყველას იმედიანი სიტყვებით. კარებშივე შეეგებო და ვითომცდა არაფერი ისე ესაუბრო. ძალიან ძნელია. ჯერ-ჯერიბით ნაპირზეც ვერ გამოვედი ამ დარდის მორევიდან. სამი დღე, ფიქრებში გახვეული გადაწყვეტილების მისაღებად ვემზადებოდი. ბოლოს ჩემმა რწმენამ ძილბურანიდან გამომარკვია, გამომაღვიძა და სამსახურში წავედი. უნიჭიერესი ემიგრანტი ქალბატონის ნელი ტორნჯაძის, პედაგოგ ქალიშვილს უნდა შევხვედროდი. კვლავ ვიმეორებ, სიცხე და დარდი ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. ამ ყველაფერს მაინც რწმენამ აჯობა და ჩვეულებრივი ღიმილით შევხვდი პოეტის ქალიშვილს. ვკითხულობდი ქალბატონი ნელის ლექსებს და ემიგრანტი ქალბატონის შვილის თვალებს ცრემლები ცვიოდა. – ეს ლექსი მე არ ვიცოდი, ხშირად იმეორებდა ლამაზი და მოწესრიგებული ქალბატონი. – ეს ლექსი ახალია, შენმა დედიკომ ამ წუთში გადმომიგზავნა. მას ტკივა საქართველო, მას ენატრებით ყველა. ცოტახანი ვდუმდით, მერე ჩემეული სითბო ვაჩუქე, ანთებულ სანთელთან დავლოცე და ვალმოხდილი, წავედი ქალაქ, რუსთავში, სადაც დასვენების შემდეგ, კვლავ საქმეზე მეფიქრა. ქალბატონ ნელის ქალიშვილს გადავეცი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის დიპლომი. მისი ლექსები იბეჭდება ჟურნალ ,,ათინათის" 49-ე ბომერში და ჩქარე გაეცნობიან იმ ბიბლიოთეკის მკითხველები სადაც ჟურნალი შედის. ქალბატონ ნელის კი ვუსურვებ, საქართველოში ჩქარე დაბრუნებას;

დისშვილი და შვილიშვილი

ვზივარ ხაშურელი მარი ლომუაშვილის მანქანაში და ვამთვარიელებ, პორტოფინოს. ეგეოსის ზღვაში კი გემით მასეირნა ჩემმა ქარიშხალა ხათუნა კილაძემ მე და ჩემი შვილიშვილი ნანა სხირტლაძე. ამას ნამდვილად არ წარმოვიდგენდი, რომ დაბადების დღის საჩუქარი იტალიაში მოგზაურობა იქნებოდა. დარდში გამომწვარი გულმა კიდევ შეძლო მოგზაურობა თვითფრინავით და მერე კი შვილიშვილთან და დიშვილებთან ერთად იტალიის ქალაქების დათვალიერება. მადლობა ჩემო ხათო, მადლობა, ბორია ლომუაშვილო საამაყო სიძევ. შენ იტალიაში ისე ააწყვე ოჯახი მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად, რომ ყველგან თქვენს სიკეთეზე საუბრობენ იტალიაში და საქართველოში. ვუყურებ ჩემი თამუნას სურათს და მრცხვენია, რომ საქართველოში ოცი დღით იყო ჩამოსული თავის შვილ ლევანიკოსთან ერთად და ერთხელ ვერ ვნახე, რომ უბრალოდ ყურადღება გამომეჩინა. დღეს ჩემი თამუნა გაფრინდა ისევ, იტალიაში, რადგან იქ ეწევა შვილებთან ერთად ემიგრანტულ ცხოვრებას . გენაცვალეთ ჩემო საყვარელო ხალხო. ყველგან და ყველაფერში გამორჩეულებო. დეიდას სიცოცხლეებო და საამაყოებო. დეიდა გენაცვალოთ თამუნა და ხათუნა, ჩამოვედი და ჟურნალი ,,ათინათის" ჩარჩობიდან თავი ვეღარ დავაძვრინე, უბრალოდ ფიქრიც კი არაფრისთვის დამითმია. ეს სურათი დასტურია იმისა, რომ როგორ განებივრებული შვიდი დღე მაჩუქეთ. თამუ შენ ახლა თვითფრანავში ზიხარ და მე კი გლოცავ, რომ მშვიდობიანად იმგზავრო, შენს

ლევიკოსთან ერთად. მოკითხვა ჩემი აკადემიის წევრებს იტალიაში. ნანა გიგუაშვილს, მალვინა ჭელიძეს, ხათუნა მითაგვარიას, ნანა ჩარკვიანს, ნატალია სამუშიას და სხვებს. დალოცვილები იყავით უფლისგან ემიგრანტებო. მადლობა და ღვთის ბარაქა, ვინც დრო დამითმეთ და ჩემს მიმართ ყურადღება გამოიჩინეთ იტალიაში ყოფნის პერიოდში. მიყვარხართ საქართველოდან წასულო ემიგრანტებო.

ვალის გადახდა

ხელოვნების მიზანია, გზა აბნეულს სწორ გზა მიანიაშნოს, უფრო მეტიც, ადამიანში ჩაკლას მხეცი და მის სულში ანგელოზი ჩაასახლოს. გორდში გაზრდილ მარიამ გენელიძეში ანგელოზი სახლობს. მას ფრთებს უზრდის დამსახურებული მსახიობი, მაია წყნეთელის შემსრულებელი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ხონის რაიონში, ქალბატონი გულიადა სანოძე. ძალიან ბევრმა იცით რომ იცით, რომ სოფელ გორდში არის, დადიანების ტყე პარკი, მის ტერიტორიაზე ეკლესიაა აგებული. წელს ქალბატონმა გულიადამ წინასწარ მოამზადა მოსწავლეები, მარია გენელიძესთან ერთად საკმაოდ დიდი გოგო-ბიჭები. მათ ასწავლა ჩემი ლექსები და იმ წმინდა წალკოტში სადაც ეკატერინე ჭავჭავაძის ფეხის ნატერფალების ნაკვალევი არის შემორჩენილი, ეკლესიის კარებთან სათითაოდ ენაცვლებიან სახვადასხვა ასაკის და სხვადასხვა სოფლის მოსწავლეები და კითხულებდნონ ჩემს ლექსებს. მსახიობის მომზადებული ღონისძიება მარიამ გენელიძემ გახსნა, ასეთი სიტყვებით. ,,ჩვენთვის საყვარელ პოეტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, მისივე ლექსების წაკითხვით.კითხულობდნენ ჩემს ლექსების. თემად არჩეული ჰქონდათ პატრიოტული და დიდაქტიკური ლექსები. როგორ ტკბილად უმკურნელეს ბედით ნაისრ პოეტის გულს ახალგაზრდებმა. ვისაც პოეზია უყვარს უფალთან ძალიან ახლოსაა და იცით რატომ? ლექსი უფლის გზავნილია. არავინ არ იცის ვისი სულის კარებს მიაკაკუნებს ცის გზავნილი და თან როდის. ვისაც პოეზია უყვარს, ამბობენ ის ორჯერ პოეტიაო. მარიამ გენელიძეს პოეზია უყვარს. ამ მერცხლა გოგონას ხმის ტემბრი სასიამოვნოდ იფანტება მსმენლში. მის ხმას მეორედ ვისმენდი, შეიძლება უფრო მეტჯერაც მაგრამ უკვე ორჯერ ბუნებრივად, ისე თავითავად დამამხსოვრა თავი ჩემად გავითავისე. ის ლამაზად ჭიკჭიკობდა, ქალბატონი ნია გორდელის ზღაპრულ სულის ოაზისში და დამსახურებულად იღებდა მაყურებლის ტაშსს. ქალბატონი ნიას საღამოზე ბევრი მოსწავლეების ნაცნობი სახეები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებსაც გულით ვულოცავ გზას, წინ მიმავალი მწვერვალების დასაპყრობად. რაც შეეხება მარიამს, გადაეცემა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ,,ნორჩი ათინათელის"

მოწმობა. მარიამის მოვალეობაზე ვისაუბრებ ქალბატონ გულიადასთან. გილოცავ მარიამ ღვთისკურთხეულ ადგილის დამკვიდრებას. მადლიანი ქალბატონის ნია გორდელის იუბილის ჩატარების შემდეგ ბევრი სასაუკეთო საქმე უნდა დაინერგოს სოფელ გორდში. რასაც ქალბატონი გულიადა სანოძე უხელმძღვანელებს. მარიამის წინაშე ვალმოხდილი მივტრიალდები ათინთის 49 ნომრის სამუშაოდ.

ეს უნდა ნახო

გორდში სადაც ოკაციის სიცოცხლის წყარო იფრქვევა ზეციდან. წვეთებიც განსხვავებულია სიშლეგით. აბა, ცადე და მიეკარე სანამ ძირს თავის ნებით არ დაეცემა . ეს ადგილის დედა დღისითაც როცა ისურვებს, მაშინ ჩამოუსვენებს და წამიერად თვალებს მილულავს. გგონია დაღამდა? არა წამებში . შენს წინ გაბრწყინებული სამყარო იშლება. თვალით ხედავ საოცრებას. ნისლი და მზე ერთად ხან ერთად ცეკვავენ და ხანაც ერთმანეთს ეხუტებულებიან. შენ ხვდები ისეთ ადგილზე სადაც არც გცივა და არც გცხელა. უყურებ და იძირები სამყაროს ნეტარებაში. ადამიანი ხდება ბუნების ნაწილი . ფიქრით კი არ მოგზაურობ, რეალობაში დადიხარ, ფეხს ადგამ რაღაც ძვირფას განძს, რაც შენია შენ გეკუთვნის. გინდა, რომ დაიხარო იქვე ჩამოჯდე, დატკბე ნეტარებით. გინდა ისაუბრო რაღაცა განსხვავებულად. ილაპარაკო ბუნების ენით. ცოტა დრო მქონდა, არა და იმ დროში, იმ უცნაური ადგილიდან წამოსულ სიშლეგეს მინდოდა ავდევნებოდი. ისეთი წმინდა იყო, რელობაში ვხედავდი სიცოცხლის წყაროს. გამახსენდა ჯუმბერ ლეჟავა, 23 ივლისი მოგზაურის დაბადების დღე. ხმა არ გამიღია. ვგრძნობდი, რომ მსოფლიო მოგზაური ჩვენთან დადიოდა და ტკბებოდა ბატონი რამაზ კერძაიას სტუმართ მასპინძლობით.

22-ში სოფელ გორდში ერთ ქართულ ოჯახში, ღია ცის ქვეშ, რამაზ კერძაიასა და ნაირა უგულავას ხელით შექმნილ სამოთხეში, ჩატარდა პოეტი ქალბატონის 65 წლის იუბილე. საღამო მიყავდა, დამსახურებულ მსახიობს ქალბატონ გულიადა სანოძეს. გულიადას მომზადებული

ხმაჭიკჭიკა მოსწავლეებმა მაყურებელი დაატყვევა. ლამაზ ყვავილებში ისმოდა მომავალი თაობის შეძახილები. ადვილად მიხვდებოდი, რომ კარგ ლექსს აუცილებლად ჭირდება მხატვრულად წაკითხვა. ლექსების სიძლიერე შეზავებული იყო ხმის ტემბრში და ზოგჯერ ჩურჩულშიც კი. აქ ორი ხელოვანის ნიჭი მსახიობის და პოეტის მკაფიოდ ჩანდა. ეს ქალბატონები, გულიადა სანოძე და მრავალმხრივ ნიჭიერი ნაირა უგულავა (ნია გორდელი) ორივე არიან თოთხმეტჯერ გინესელის მსოფლიო მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები. ძალინ ბევრმა იცის, რომ ნია გორდელის დაგეგმილი ღონისძიება გადაიდო. არაფერი არ ხდება უფლის გარეშე. ღონისძიება დაემთხვა, მოგზაურის დაბადების დღეს. მაპატიოს ჯუმბერის სულმა, მე მქონდა იმის საშუალება, რომ ეს გამეხმაურებინა, მაგრამ არ ვთქვი, რადგან ის დღე პოეტს ეკუთვნოდა და მაინც ვიფრთხილე. სიტყვა პოეტის იქით არავის გაქცეოდა. ძვირფასებო, მომყევით გამოგზაურებთ უკვდავების სამყაროში. ოცდაორში ჩატარებული ღონისძიების, შემდეგ გადაგვანაწილეს მიწვეული სტუმრები სხვადასხვა ოჯახებში. გორდში მოხვედრილ ყველა სტუმარს ექნებოდა ნებისმიერ ოჯახში სიმშვიდის ფუფუნება ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ეთერ ჭელიძეს, მე და შორენა მამალაშვილს განსხვავებული ოჯახი იმით შეგვხვდა, რომ ოჯახში სადაც ჩვენ დავისვენეთ ის სახლი ეკუთვნოდა ორ პოეტს მამაშვილს, ბადრი და თამთა უგულავეებს. დადიანების ტყე– პარკის გვერდზე აყვავებულ ეზოში შემოგვეგება ლამაზი დიასახლისი, ჯერ გასათხოვარ გვეგონა და გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა პოეტი ბადრი უგულავას მეუღლე. მოვხვდით მართლად საოცარ ხალხში სულ ლოცვის სიტყვების ბუტბუტით მივედი იმ წუთში ჩვენთვის განკუთვნილ ოთახამდე. დაძინების წინ ერთხელ კიდევ გავისაუბრეთ ქალბატონი ნაირას ღინისძიებიფ კმაყოფილებმა და მერე კი ძილის სამყაროში გადავინაცვლეთ. გათენდა დილა, წვიმის წვეთები საძინებელ ოთახში შემოჭრას ცდილობდნენ. 23 ივლისია, ჯუმბერ ლეჟავას დაბადების დღე. ხმა არ გავიღე, ფიქრით მიულოცე მარადისობის მგზავრს და ჩემ საყვარელ პოეტებს გავხედე. შორენა და ეთერი აივანზე ისხდნენ ტკბებოდნენ ბუნების საოცრებებით. ამინდის პროგნოზით თბილსში საკმაოდ მაღალ ტემპერატურა იყო მინიშნებები და ბატონი ბადრის აივანზე კი ისე შეგვცივდა პლედებიც კი მოვხვიეთ. ნარდის თამაშით გავერთედ და დაახლოვებით ოცი წუთის შემდეგ, ქალბატონი ნაირა შეგვეხმიანა. ჩვენც წავედით იმ ადგილის დასამთვარიელებლად სადაც სიცოცხლე არასოდეს არ მთავრდება. ვიმოგზაურეთ ოკაციის სიცოცხლის ამოუხსნელ სამყაროში. ქალბატონი ნაირას ეზომდე ჩემს წარმოსახვაში მოგვაცილებდა ბატონი ჯუმბერის სული და ლოცავდა ამ დიდებულ ოჯახს. ქალბატონი რამაზ კერძაიას და ნაირა უგულავას სიყვარულით შექმნილ ოჯახს. ეზოში გვერდი ვერ აუარე ლაზ კოპწია ვარდებს და ერთად ჩამოვისვენეთ. ლამაზი ეზო , საოცარი სიყვარულით შერწყმული წყვილით შექმნილი ოჯახია. ბევრჯერ გავიგონე ასეთი სოტყვბი, აქ , ამ ადგილზე, მხოლოდ ეკალები იყო. აი, რა შეუძლია სიყვარულს. ბატონი რამაზისი და ქალბატონი ნაირას სიყვარულს მე კი ერთხელ კიდევ ვირწმუნე, რომ ბუნება ლამაზია ადამიანებით. ადამიანის არსებობა ბუნების გარეშე წარმოუდგენელია. ღმერთო, არ გაყარო ერთმანეთისაგან , ადამიანები და ბუნება.

მადლობა უფალო, გმადლობთ ქალბატონო ნამდვილი ქართულო ოჯახი. საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ოჯახში იყოს ასეთი სიმშვიდის ჰარმონია

ბუნება და ადამიანი

ბუნებას ყველაფერი უხდება ჩანისლვა და მზესთან ჩაცეკვებაც. ეს სურათი იმ დროს გადაღებულია, როდესაც მზე, ნისლი და ადამიანები, ერთმანეთთან უსიტყვოდ, უხმაუროდ, სამაიას ცეკვავდა. პერსონაჟები იყვნენ: მზე, ნისლი და ადამიანები. ბუნებას უხდება თავისი სხეულის ძარღვებიდან ცივი წყლის აშხეფება. ეს ადგილი სოფელ გორდის სიმდიდრეა. ამ ზღაპრულ ადგილზე პოეტი ქალბატონის ნაირა უგულავას გულუხვი მასპინძლობით მოვხვდი. ლამაზი ადგილის ნახვამ დამაფიქრა და კარგი გამოცდილი ექიმივით, ცოცხალი ბუნების ორგანიზმი შემათვალიერებინა. აი, რა ვიფიქრე. ბუნება სიყვარულისა და ერთგულების ნიშად მკერდიდან ასაზრდოებს, ყველანაირ ხეს, და ყვავილებს. მისი ვენებიდან გამოედინება წყალი, რომელიც ჯერ პატარა ნაკადულად მოედინება, შემდეგ კი მდინარეებად და ტბებად იქცევა. ბუნების სხეულის ნაწილებია: ქვა და ქვიშაც. მისი საკუთრებაა, ყველანაირი ტყის ჯიში და ნაირ-ნაირი სურნელოვანი ყვავილები. ეს სიმდიდრე უფალმა მისცა ადამიანს. ადამიანისა და ბუნების შემქნელი არის ღმერთი. ბუნება ადამიანის გარეშეც ლამაზია. ადამიანის სიცოცხლე კი ბუნების გარეშე, იმ გამხმარ ხის ფენის, ფუტურის გავს, რომელსაც აღარაფერი შეუძლია. ბუნება ადამიანისგან, მხოლოდ გაფრთხილებას ითხოვს. დაისვენე მის ახლოს, მაგრამ ნუ დააზიანებ. როცა ტყე გახშირვას, გამოკაფას, ითხოვს მაშინ ბუნება გპატიობს, მასთან უხეშად შეხებას. ვდგავართ ორი პოეტი და ვსუნთქავთ გორდის წმინდა სუფთა ჰაერს. ეს სურათი ახლახან გადაღებულია, შოვის ტრაგედიის წინა დღეებში. დავხედე სურათს და რა არ ვიფიქრე. ცუდიც და კარგიც. ბოლოს ეს ნაფიქრი აგერ დავწერე და თქვენც მინდა გაგიზიაროთ. უწმინდესის ცრემლიანი თვალები და მისი სიტყვებიც გამახსენდა. ,,ჩვენ მძიმე დროს გვიწევს ცხოვრება. ეს ის ხანაა, როცა სიკეთე და ბოროტება, ომს იწყებს. ჩვენ ადამიანებმა უნდა გადავარჩინოთ სიკეთე". დავფიქრდეთ, მოსახდენი ისეთი მოხდა, ონის რაონში, შოვში საუკუნეებს გაყვება. ტალახში ჩაფლული დედები შვილებით. აღმუვლებული მამები. ეს ტრაგედია მოხდა. ისმება კითხვა, ახლა ამის შემდეგ რას ვშრებით? ამ ლამაზმა ბუნებამ და გულკეთილი ექიმი ქალბატონის ,,ნია გორდელის" თავდაუზოგელმა მაპინძლობამ დამაფიქრა. მივდიოდით ხელიხელ ჩაკიდებული, საოცარი ბუნების ხეივანში და თან გზადაგზა ნია გორდელი, საუბარსაც ასწრებდა. – ნახე-ნახე, როგორი სიპი ქვებია. მთიდან მოვარდნილ ჩანჩქერში ბავშვები ვბანაობდით. მივყვებოდი მისი ბავშვობის უმანკო ნაფეხურებს და მიხაროდა. ახლა კი ამ ლამაზი დღის მოგონება ფიქრის დღიურიდან ამოვალაგე და ვამბობ. უნდა გაუფრთხილდეთ ბუნებას ისე, როგორც საკუთარ ორგანიზმს. რადგან სამყაროს

შემქნელი ღმერთი ყველაფერს ხედავს. რაღაცაზე დაფიქრება აუცილებლობას წარმოადგენს. და მაინც პირველი ადამიანთა სიყვარულია, რომ გადავრჩეთ. გიყვარდეთ ერთმანეთი ხ ა ლ ხ ო !

ბუნებაში აღზევებული პოეტი

65 წელი არც ბევრია და არც ცოტა. იცხოვრო ისე, რომ ყველას უყვარდე ოჯახს და საზოგადოებას, ცოტას არ ნიშნავს. დიახ! ქალბატონი ნაირა უგულავა ექიმი, არაჩვეულებრივი შვილების დედა, წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. ქალბატონის ბუნება ხონის რაიონის სოფელ გორდივით ლამაზია. მისი სულის სიწმინდე ფიქრით უფალთან ტრიალებს. ცაც უგზავნის გზავნილებს. თუ როგორი პოეტია ეს გუშინ ვიხილეთ. ლამაზ ეზოში ჩატარებულ საღამოს უძღვებოდა ხონის რაიონის დამსახურებული მსახიობი, ქალბატონი გულიადა სანოძე. როცა ხარ ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი სახე, იმასაც აქვს მნიშვნელობა, ვინ აიღებს ტვირთად შენი ნაფიქრის სამზეოზე გამოტანას. ქალბატონი გულიადას, მომზადებულმა მოსწავლეებმა, ისე ლამაზად წარმოაჩინეს პოეტი, როგორც ცას გადაშლილი ცისარტყელა. პოეტის ლექსებს კითხულობდა მერცხლებივით მოჟღურტულე მომავალი თაობა და დადიანის ტყე-პარკის მარადმწვანე ხეები, ტოტის ხელებით ტაშს უკრავდნენ. ბუნებასაც უხაროდა, ბუნებრივად ლამაზი სულის ქალბატონის აღზევება და მისი პოეტური მარგალიტების გაზაფხულის ყოჩივარდებით მიმოფანტვა. საღამოზე მოწვეული სტუმრები, ქალაქ ხონის მერი და მერიის თანამშრომლების უმრავლესობა, ქუთაისიდან ჩამოსული პოეტები, თბილისიდან ჩამოსული მწერლები და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები, ერთი ისტორიული დღის თანამონაწილე გახდა. უმზერდა ცხრა წიგნის ავტორი ქალბატონი ნაირა თავისი ხელით შექმნილ ლამაზ ყვავილნარს, უსმენდა მერცხლებივით მოჟღურტულე მოსწავლეებს და ნეტარებაში იძირებოდა. სიმშვიდის ფონი, ლამაზი ყვავილები, პოეტის ლექსები, პროზა, აზრები – ერთად შერწყმული, ერთ დიდ ოქროს ჯაჭვად ისე ეკვროდა გულში გორდის ლამაზ ბუნებას, როგორც საკუთარი პირმშო დედის მკერდს. ასეთი ქალბატონი ნამდვილად ღირსია იმ შეფასების რაც მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა დამსახურებულად მიანიჭა. ქალბატონ ნაირა უგულავას გადაეცა, დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედალი და ენდალმა.

აისის აპელიოტი

ანუ დილის ქარების მოტანილი ამბები

აზრები



ქალბატონ ნაირა უგულავას, დაბადების 65 წლის იბილესთან დაკავშირებით, ჯუმბერ ლეავას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიისაგან საჩუქრად.

„აისის აპელიოტი", ქალბატონი ნია გორდელის კალმით შექმნილი აზრები გადაეცა ეროვნულ ბიბლიოთეკას, როგორც ფიზიკურად ასევე ელექტრონული ვერსიით.

ავტორს ქალბატონ ნია გორდელს კი ორმოცდაათი ცალი ეგზემპლიარი. წიგნი შინაარსობრივად საინტერესოა და მჯერა მკითხველის ინტერესს გამოიწვევს. „აისის აპელიოტის" შემდგენელი რედაქტორები არიან: გუნაზი ხარაიშვილი და ეთერ ჭელიძე!

ხელოვნების უკვდავება

რუსთაველის თეატრში დადგმულმა სპექტაკლმა ,,იცხოვრე ვიდრე ცოცხალი ხარ" სევდის მდინარიდან გამომიყვანა და რეალურ ცხოვრებას თვალებში ჩამახედა. გონებაში ფიქრს ვაანალიზებდი, ვფიქობდი სპექტლის შესახებ. იმაზე მეტი რა უნდა ვნახო, რაც ჩემი ჟურნალის ხელოვნების გვერდის განყოფილებაშია დაბეჭდილითქო. (ქალბატონ ირმა კეკელიძის სტატიას ვგულისხმობდი) დიახ! ჟურნალ ,,ათინათის" 49 ნომერში დაბეჭდილია, მწერალ ირმა კეკელიძის სტატია. ,,იცხოვრე ვიდრე ცოცხალი ხარ". სცენაზე ნახული და განცდილი... რეალური ფაქტებიდან აღებული, მტკივნეულადაა გაშუქებული მწერლის კალმით. მართლაც და ცრემლია ემიგრანტის ცხოვრება. თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლი ქალბატონი ირმას შეხედულებები ,,იცხოვრე სანამ ცოცხალი ხარ" ,,ათინათში" არის დაბეჭდილი. მსახიობის ოსტატობით შესრულებული განცდები მწერალმა თავისი კალმით ჟურნალი ,,ათინათის" მკითხველები აზიარა. ,,იცხოვრე სანამ ცოცხალი ხარ",სამშობლოს მონატრება და დატოვილი ოჯახები ,კომედიურ ჟანრის პიესაში დარდია ასახული. ჩნდება იმედის სხივი ერთად დგომით და

,,იცხოვრე სანამ ცოცხალი ხარ" უკვე სიცოცხლე გრძელდება. მივდიოდი თეატრში და ფეხს უკან ვიდგავდი, არ მიხაროდა კვლავ ტკივილთან შეხვედრა. ეს ყველას ტკივილია, ვინაც ერთხელ მაინც დაფიქრებულა, უდედოდ გაზრდილ შვილებზე. ოცდამეერთე საუკუნეში ბავშვებს დედა ენატრებათ. მათი შეხვედრა კომპიუტერის ცივი კედლების საშუალებით ხდება. დედაშვილის სიყვარულს ელექტრო ველი ყოფს და აერთებს. საშინელებაა, დედის ბაგე ვერ ეხება შვილის ფაქიზ სხეულს. ცივი კედლები ყოფს მათ სიყვარულს. ,,იცხოვრე ვიდრე ცოცხალი ხარ". აქ, სიყვარულის თემაა, წინა პლანზე წამოწეული. სპექტაკლის მთავარი გმირი ქეთევანი (მსახიობი ნინო თარხან მოურავი) დაბადების დღეს მარტოობაში აღნიშნავს და მოწყენილი, თვალცრემლიანი თვითონვე ცდილობს გაილამაზოს დღე დაბადებისა. პიესის ავტორს და რეჟისორს წინა პლანზე წამოწეული აქვს, დედმამიშვილური სიყვარული. ქეთევანის დაიკო ნინო (მსახიობი მაია ხორნაული) მას, დაიკოს დარდის გასანეიტრალებლად სცენაზე შემოყავს, მოხუცთა ბაღის ,,აღსაზრდელი" ხანდაზმული ადამიანები. მათი გულწრფელი მილოცვით მოფერებით, ქეთავანს დაარდი დაავიწყა და იმ დღის მხიარულების თანაზიარი გახდა. ვიჯექი თეატრში ჩემი აკადემიის გუნდთან ერთად და მიხაროდა, რომ დადგმული სპექტაკლში თვალით დანახული, უფრო მკაფიოდ აღვიქვი, ტკივილიც და სიხარულიც. ქეთავანის დაბადების დღემ გამახსენა, ჩემი დაბადების დღის ხუთი მაისი. მიხაროდა, რომ ის დიდი მსახიობი, ბატონი თენგიზ გიორგაძე, რომელიც რუსთაველის სცენაზე იდგა და ერთ– ერთ მთავარ როლს ასრულებდა, ხუთ მაისს, გარეჯის ბერის მამა ნეოფიტეს ინიციატივით, ჩემს ოჯახში დილის ექვს საათზე წითელი ვარდებით მოვიდა და დაბადების დღე მომილოცა. ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი ორგანიზატორი კი გახლდათ ბატონი თენგიზ გიორგაძის მეუღლე, მწერალი ირმა კეკელაძე. დაბადების დღე იმიტომ კი არ მომილოცეს, რომ ვიღაცა დიდ პიროვნებას წარმოვადგენდი. არა, დაბადების დღე მომილოცეს დარდის გასაფანტად, რომ მეცხოვრა, სანამ ცოცხალი ვიყავი. ხელოვნება ცოცხალი ორგანიზმია... სარკეა, სადაც დაინახავ თუ როგორ უნდა იცხოვრო. მიხაროდა, რომ ამ სიხარულის ემოციას ჟურნალ ,,ათინათში" გადავიტანდი. დიახ! ,,იცხოვრე სანამ ცოცხალი ხარ"... ბრწყინვალედ შეასრულეს რუსთაველის თეტრის მსახიობებმა. სიცოცხლე გემატება, როცა ზიხარ და მაყურებლის მდუმარეობაში ხმაურს აკრთობს ხელოვნების უკვდავება !

ქარელში მერიდიანის სიო ქროდა

ქარელში გაზრდილია პოეტი იზოლდა მოშიაშვილი. ქართულ მიწაზე თავთავდაპურებული ქალბატონი ამჟამად ისრაელში ცხოვრობს. ქარელივით ხელბარაქიან ქალბატონს, ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიაში ნამდვილ წევრად მისაღებად, რეკომენდაცია გაუკეთა, ქართველებისა და ისრაელს შორის კულტურის მოღვაწემ(კულტურის დესპანმა), ბატონ აბრამ პაატა იოსებაშვილმა. დიდი მადლობა სიკეთის მოძღვარს, ბატონ აბრამ პაატას, დიდებული ქალბატონის აკადემიაში გაწევრიანებისათვის. ჟურნალ ,,ათინათისა" და ანთოლოგიის ლექსების დაბეჭდვდით დაიწყო აკადემიის წევრებისა და ქალბატონი იზილდას შორის ურთიერთობები. თბილ და კეთილ ქალბატონს ლექსების სტროფებით მოვეფერე და მერე კი ჩემი ლექსი ქალბატონმა ლია ალადაშვილმა სიმღერად აქცია. ქალბატონი იზილდასადმი თბილი და უმნიშველო ყურადღება გამოვიჩინეთ, აკადემიის რამოდენიმე წევრმა ოქტომბრის

თვეში. მზესავით გულთბულ ქალბატონს, ქართველური სტუმართმასპინძლური სიყვარული დავახვედრეთ, რამაც ძალიან გაახარა. ძალია სწრაფად ლამაზი ურთიერთობებიც ჩამოყალიბდა. საუბრის დროს ქალბატონი, მადლიერების სიტყვებს არ იშურებდა ქარელის მერიის ხელმძღვანელებისადმი. ქალაქის ცენტრში ეკლესიის გვერდით არის წყარო. ამ წყაროს წყლით დარწყულებულები არიან, პოეტი ქალბატონი და მისი დედმამიშვილები. ქარელში დარბის მათი ბავშობა. ქარელის მერიამ ნება დართო, რომ წყაროსთვის მიენიჭებიათ ქალბატონი იზილდას აწ გარდაცვლილი ძმის (დავითის) სახელი. როცა გარდაცვლილს პატივს მიაგებ და მის სახელს უკვდავყოფ, უფალი ხედავს. დედაღვთიშობლის კალთა გფარავდეთ ქარელელებო.

ქართველებისა და ებრაელების მეგობრობა ოცდა ექვს საუკუნეს ითვლის. მეგობრობა უნდა გაგრძელდეს სამარადისოდ! ქალბატონ იზოლდას აკადემიაში შეხვედრის დროს დავპირდი, რომ აკადემიის წევრების რამდენიმე ჯგუფით ჩავიდოდი ქარელში, რადგან დავპირდი ქართულ მიწაზე გაზრდილ პოეტს, რომ ყინწვიში სანთელს ავანთებდი, მერე კი მისი ძმის სახელზე , დავითის სახელობის წყაროსთან, სიტყვით მოვიგონებდით დავითის სულს. ასეც მოვიქეცით. ღონისძიების ჯგუფისთვის ავირჩიეთ, რამოდენიმე წევრი. აქედან ერთ – ერთი იყო უნიჭიერესი ქალბატონი ირმა კეკელიძე, რომელმაც სიყვარულით გაიხსენა ის ქართველი ებრაელები, რომლებიც უკვე მარადისობის გზაზე, არიან. თუ რა ისაუბრეს აკადემიის წევრებმა, ქალბატონმა

ირმა კეკელიძემ, ბატონმა თემურ გოგსაძემ, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ნიკურაძემ, პოეტებმა: ეთერ ისაკაძემ, მთვარისა ზეინკლიშვილმა, ლამზირა შეყილაძემ, იმ დღის ოპერატორ– რეჟისორმა, ეკა ბრეგვაძემ და მუსიკოსმა ლია ალადაშვილმა, ამის ორ წუთიან ვიდეოებს ცალკე დავდებ. მთლიან მასალას, გადავუგზავნი ქალბატონ იზოლდა მოშიაშვილს. დანაპირები შესრულებული იქნება. მადლობა ჩვენი აკადემიის წევრს, ქარელელ ქალბატონ მთვარისა ზეინკლიშვილს, ლამაზი მასპინძლობისათვის. ყინწვის ეზოში წყაროს წყალს ფიქრით რამოდენიმე კითხვა დავუსვი. პასუხი დადებითი იყო... საქართველო გდარჩება!

ორი პოეტის საღამო

2023 წლის 20 სექტემბერს, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ორი პოეტის საღამო. ნათია ჯიქურაშვილის და სულიკო ჯამალაშვილის. დღევანდელი საღამო განსხვავებული იყო. ნათიას პოეზია და მისი საყვარელი ოჯახი ერთ განუყოფელ ნაწილად იყო შერწყმული. პოეტის პოეზია, დედამთილი, სამი შვილი და მეუღლე, მზის კონებით შეკრული ლამაზ ისტორიად ჩაიწერება ჟურნალ ,,ათინათის" ისტორიის ფურცლებში. რაც შეეხება სულიკო ჯამალაშვის ასეთი პიროვნებები გმირები არიან. ბატონი სულიკოს პოეზიაში მკაფიოდ სჩანს ოპტიმიზმი. ეს დიდი იმედის მდინარეა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხალე ყოველთვის სჯობნის უიმედობას და იბადება და ყალიბდება პიროვნება გმირად. ისევ ნათიას ოჯახს მიუბრუნდები. საოცარი ის იყო, რომ სამივე შვილმა წაიკითხა დედიკოს ლექსები. უფრო მეტად გამაოცა , როცა დედამთილმა, რძალი საქებარი ლამაზი სიტყვებით შეამკო რაც მართლაც იშვიათად მინახავს . სიტყვებით გამოვიდნენ ამავე აკადემიის წევრები: ნორა მგელაძე, ჯუბა ჯუღელი, ბელა ალანია, მზიური აფციაური, თეა ბარბაქაძემ და სხვები. საჩხერიდან ჩამოსულმა პოეტმა ვალია კვაშილავამ თავისი სიტყვა მირზა გელოვანის შემოქმედებით დაიწყო. ბოლოს ქალბატონმა ლია ალადაშვილმა, ორივე პოეტს სურპრიზად თავისი მელოდიით შექმნილი სიმღერები შესთავაზა. მთლიანობაში ღონისძიება იყო კარგი. ორივე პოეტი გახდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სტუდენტი გოგონები

*. *. *. *. *

გაზაფხულის მერცხლებივით შემოქრიალდნენ ჩემი საჩხერელი გოგონები ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში. ბერეთისელი მესამე კურსის სტუდენტი ნინი ტაბატაძე და ჭალვანელი დაიანა შუბითიძე.

ნინი მესამე კურსის სტუდენტია. დიანა კი წელს ეზიარა უმაღლესი საფეხურის დაწყებას.

დიანა შუბითიძე ჩემი ძმიშვილისშვილია, რომელმაც დაამთავრა საჩხერის რაიონის ჭალვანის ბეჟან ხარაიშვილის სახელობის საჯარო სკოლა . ეს, ის სკოლაა , რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირულის ტალღები, საუკუნეები მოგზაურობენ. მიდიან და მიაქვთ სიხარული, დარდი და წლებიც. ჩემს სტუმარ გოგენებს, აკადემიაში საგანგებოდ გაკეთებულ სალოცავ კუთხესთან, წმინდა მიწიდან (ისრაელიდან) პოეტი იზა მოშიაშვილისგან მორთმეული სიხარულის სანთლები ავუნთე და უფალს შევთხოვე მათი ასი წლის სიცოცხლე.

****

ჩემს დიანას, კი გზა დავულოცე,
ეგაზაფხულოს თვალთა მიმინოს...
მერე მის ფაქიზს შუბლსაც ვაკოცნე,
ცელქმა გოგონამ უნდა იფრინოს.
უნდა დაიპყროს ცოდნის მწვერვალი,
დაიყვავილოს ასოცი წელით,
იქნებ დიანაც დადგეს მწერალი,
ვგრძნობ მის მომავალს წინსვლები ელის.

ნინი შენ კი წარმატებული სტუდენტი ხარ. გლოცავთ ჩემო იმერულო ტყის ენძელენო. აკადემიის მადლიან კედლებიდან, სიხარულის მზის პრწყინვალება თან გაყვა სტუდენტებს წლების სიჯამრთელედ!

გილოცავ მეუფეო

* * *



ზოგჯერ ისე არაფრის მთქმელად დაღამდება დღე, ფიქრით ავბუზღუნებივარ ჩემს მეს. ეს დღე უშედეგო და არაფრისმთქმელი იყოთქო. გუშინდელი დღეზე ასე არ ითქმის. აკადემიაში ხვთის კაცი მესტუმრა. ხატმწერი და მოქანდაკე გელა ლარიაშვილი. ვისაუბრეთ გარდასულ დღეებზე . გავიხსენეთ მეუფეო შენი ლოცვაკურთხევით ჩატარებული საღამოები. ვისაუბრეთ გარდაცვლილებზე. ბატონმა გელა ლარიაშვილი მოყვა იმ გამოცხადებაზე რაც მას გასულ წლების წინ ქონდა. თითქოს ისევ ხედავდა, ისე აღწერდა ბეჟანის გარეგნობას. მან გამოცხადებით შექმნა ბეჟან ხარაიშვილის ქანდაკება. გაგიკვირდება მეუფეო რასაც ახლა გეტყვი. შენ გარდაცვლილებში არ გიხსენებდით. ვამბობდით, რომ დარჩი ყველა იმ ადამიანების გულში, რომლებიც სიცოცხლეში გიცნობდა. რამდენჯერ გვიპოტნია მე და ლამზირა შეყილძეს ხელებით მიწა, სიონის ეკლესიის იმ საფლავზე სადაც შენს გადაღლილ სხეული ასვენია, შენი წმინდა სული კი ხიდან დატრიალებს. საფლავზე აგვინთია სანთლები და წაგვიკითხია შენი ლექსები. გელა ლარიაშვილის წასვლის შემდეგ ფიქრებში ჩავიძირე. თვალწინ დამიდგა, მწერალთა კავშირი. ზუსტად რომელი წელია აღარ მახსოვს. მიმყავს საღამო და თქვენ და ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ფეხზე დგახართ. არ დაჯდომის მიზეზი ხალხმრავლობა იყო. თქვენ ორმა დიდაულოვანმა მეუფემ და მოგზაურმა,ქალბატონებს დაუთმეთ ადგილი. ორივე მითბინებით გაჩერდით ღონისძიების დამთავრებამდე. რამხელა ადამიანები არიან, თქვა სერგი ლომაძემ , ოოო ნამდვილად ასეა დაემოწმა კახა ბაციკაძე. დღეს კახას დაბადების დღეც არის მეუფეო. ვიცი ზეციდან დალოცავ მას, მის კალამს და ზღვარელებს ერთად.

მეუფეო, წელს შენზე მიძღვნილი საღამო ჩავატარე პარლამენტის ბიბლიოთეკაში, საღამო მამა ამირან ამირანაშვილმა გახსნა. შენობით მოგმართავ იმიტომ, რომ უბრალოებით ცხოვრობდი და უბრალოება გიყვარდა. ამიტომაც უყვარდი ხალხს. რამდენჯერ ერთად ჩაგვიტარებია საღამო

რუსთავში მოხუცთა თავშესარფარში. რომლის დირექტორია ამჟამადაც ბატონი მალხაზ კვინიკაძე.
ახლა კი იმერში გილოცავ დაბადების დღეს და შენივე ლექსს უწმენდსზე მიძღვნილს მივაწოდებ ფეისბუქის მკითხველებს

***

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

*. *

ყოველთა ქართველთა სინანულის აღსარების, შერიგებისა და სიყვარულის დღე .
დღე უწმინდესის აღსაყდრებისა 1999 წელი 25 დეკემბერი

#########

**

ერი ჟამთა ხსოვნაში,
ჩუქურთმებს რომ აქსოდეს,
თავის თავის პოვნაში,
ეს დღე უნდა ახსოვდეს.
... ის რაც არის მთავარი,
ნურასდროს შეგეშლება,
გლოცავს ერის მთავარი,
გულში ვარდი გეშლება.
ჩაეჭიდე ღვთის კალთას,
იცან დიდი მშობელი,
ამომავალ ცისკართან,
აღვთქვი საგალობელი.
ვიდრე არ ჩაკეტილა,
ცის აღსავლის კარები,
იღვაწებდე კეთილად,
მადლით ნანეტარები.

გულის მწყემსი მზრუნველი,
მას გაუხსენ ეგ გული,
ვინც სიცოცხლე გაჩუქა,
იყავ მისი ერთგული.
ნუ გაცდუნებს ბოროტი,
სულთა მკვლელ-წარწყმედელი,
ურიცხვ მახის დამგები,
სულ სიავის მჭედელი.
სიყვარული გიყვარდეს,
შუქს ნუ ეტყვი ბნელი ხარ,
ბინდში მყოფო ცხოვარო,
ნათლის საპოვნელიხარ.
...ის სჯობს ყველა საფიხარს,
კაცი მადლით იზომვის...
გელოდება ნათლის ცა
და მზე მარადისობის!

წერილები

ლურა სორდია

ტანჯვის გზებით ნაპოვნი სიბრძნე
მაყვალა გონაშვილის პოეზიის ერთი ასპექტი

წმინდა წერილში გარჩეულია „მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე“ და „მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17) (1,298).

პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და მოგვიწოდებადა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (I კორინთელთა, 2,7) (1,358).

წიგნთა წიგნი შეგვაგონებს: „მთავარი სიბრძნე სიბრძნის მოხვეჭაა, ყოველ მოსახვეჭელთაგან სიბრძნე მოიხვეჭო“ (იგავნი სოლომონისა, 4,7) (2,464).

სიბრძნე ყოველგვარ სიმდიდრეზე ღირებულია: „სიბრძნე უკეთესია ძვირფას თვლებზე და ვერც ერთი სანატრელი საგანი ვერ შეედრება მას“ (იგავნი სოლომონისა, 8,11) (2,466).

„ღმერთი – სიბრძნეა ყოველთა შემოქმედი“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,27) (2, 493).

„ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“, გვამცნობს „სიბრძნე ზირაქისა“ (431) (2,528).

დავით წინასწარმეტყველი გვმოძღვრავს: „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“ (ფს. 110/111, 10)(1,646).

პავლე მოციქულის მიხედვით, ნიჭის, ყოველგვარი სიბრძნის მომმადლებელია სამების მესამე წევრი–სულიწმინდა (I კორინთელთა, 12, 4, 8, 9,10,11) (1, 371).

ღმერთი არის „არსი, არსთა გამრიგე.

„აზრი, მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონებისმიერი, სიტყვის მშობელი“ (იოანე დამასკელი) (3,127).

ბასილ დიდის მიხედვით, სიბრძნის მომნიჭებელი სულიწმინდა არის „ფალავანი მწიგნობარი“ (4,146).

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის სჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“, (სიბრძნე ზირაქისა 39,1) (2, 525).

აღმოსავლურ სამყაროშიც ანალოგიური თვალსაზრისია: „სიბრძნეში ჰპოვე ნავთსაყუდარი. მონაგარისთვის გულაღძრული შესაწყალია.

„ვისი ღვაწლიც გულისთქმასა და გულისნადებს განეშორა, ვისი ღვაწლიც სიბრძნის სახმილშია გამობრძმედილი, იგი ნათელღებულად იწოდება“ (5,39).

პლატონის „ნადიმში“ სიყვარული სიბრძნის მაცნედ გვევლინება.

დანტემ ღმერთს შესთხოვა „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“.

„გაბრძნობილი ადამიანის სამშვინველი წარსულისა და მომავლის მრავალრიცხოვან ცხოვრებათა ჯაჭვს ჭვრეტს. სოკრატესთან მთავარია მომავლის ჭვრეტა გრძნობად სამყაროში სულის აღმოჩენა, სიბრძნის სიყვარული. ფაუსტური სწრაფვაა, რომ ადამიანმა გრძნობა მიმართოს სულიერი სამყაროსკენ“, წერს რუდოლფ შტაინერი (6,71).

მარადიული სიბრძნის მიგნება მარტვილობას, წამებას, არა მეფის, არამედ მეუფის გზით სიარულს, მამულის ტკივილების გათავისებას, მიწის და ზეცის საიდუმლოებათა შემეცნებას მოითხოვს.

მაყვალა გონაშვილი, როგორც უზენაესის მცნებებს ნაზიარები და უფლის გზის ერთგული პოეტი, სწორად აცნობიერებს თავის სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ მოწოდებას: „მამაო, ჩემო მფარველო, გმადლობ, რომ არც კი მიმიშვი ხელმწიფის მბრწყინავ კარამდე... გმადლობ, რომ ჩემი ტანჯული მამულის დარად მაცოცხლე. ვმარტვილობ სიტყვით და პურით, ვით ზეციური საცოლე“ (სამადლობელი) (7,47).

ღმერთი არის „მარადისობის მამა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 2,5) (2,538).

სიტყვა და პური საღმრთო სახელებია.

„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს სახარება, I, 1) (1,76).

„...და გადმოაწვიმა მათზე მანანა საზრდელად და ციური პური მისცა მათ“ ნათქვამია დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში (77,24) (1,605).

ელენე ბლავატსკაიასთვის მთავარია „სიბრძნის პურით დაპურება“ (8,85).

ჭეშმარიტი სიბრძნე ტანჯვით მიიწვდომება და ადამიანის, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობას ემსახურება: „...ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა. მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი, სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა. გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე... თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი, თუკი შესძელი, თავი შენი შენად შეიცნო. რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული, ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თავისი“, წერს მაყვალა გონაშვილი (ათას მეორე ღამე).

ხელოვანი ყოველთვის „ბეწვის ხიდს“ გადის, „აღზევება თუ დაცემა“ – მარადიულია ეს პრობლემა (ძახილი) (7,31-33).

არჩევანის სიძნელეს უკეთებს აქცენტს ლექსი „იყო და არა იყო რა“: „... გზაჯვარედინზე, ხავსიან ქვიდან გზა ავირჩიე ძნელი და შორი. შენ არც კი იცი ჩემი ტკივილი და სიმარტოვის მწველი იარა, პაპი, რა იცი, ბედის ბორბლებმა გულზე რა მწარედ გადამიარა“ (7, 78).

ლექსში „გამოცდა“ პოეტის სული წარმოისახება ცამდე აწვდილი, ყოვლისდამტევი კოშკის სახით, რომლის გუმბათებიდან მზის მადლი იფრქვევა: „კოშკი ვარ თეთრი კირით ნაგები და ზეცას სწვდება ჩემი ფიქრები. გუმბათებიდან მზის მადლი ჟონავს, ჩემი სხეული ყველაფერს იტევს, ძველ ხელნაწერებს, მკერდზე წარწერებს, დევნილ ღამურებს და უფლის ჩიტებს“ (7, 102).

შემოქმედება „ზღაპარია“, რეალობის ამსახველი მხატვრული გამონაგონი, ხოლო ცხოვრების ავ–კარგის გასაგებად, შემეცნების აღმართებზე ასაღწევად აუცილებელია ტანჯვა. ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატი ტანჯვის ხარჯზე იკვლევს გზას მწვერვალებისკენ: „...ჩემთვის ცხოვრება გადიქცა

ზღაპრად, ჩემთვის ზღაპარი იქცა ცხოვრებად, მე ავირჩევდი იგივე ტანჯვას, კვლავ რომ მეღირსოს განმეორება“ (მე მეშინია შენი დაკარგვის) (7,111).

ზღაპარს, სიზმარს მხატვრული გამონაგონის სიბოლოდ მიიჩნევდნენ გალაკტიონი, ტ. გრანელი, ედგარ პო. წამებით, სევდით იბადება მხატვრული სიტყვა – „ფიქრის ყვავილი“: „...ჩემი უიღბლო ბედნიერება ღმერთმა მას მიცეს, ვინც შურით თვრება... და ჩემი სევდა ისევ ყვავილობს, ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო“ (ნატვრა) (7,119-120).

სიბრძნის მიგნებისათვის საჭირო დარდი და ტკივილი მაინც „ტკბილია“, რადგან მზე ამოჰყავს ცაზე, სიმღერით აბედნიერებს თაობებს: „დაე, შენ გქონდეს მზე და სიმღერა, მე კი ღამე და ტკბილი დარდები“, მიმართავს პოეტი მკითხველს ლექსში „ღამეა ისევ“ (7,90-91).

ამაღლებული სევდა ხდება მაძიებელი სულის იმპულსი ცხოვრების საიდუმლოებების განჭვრეტისთვის: „...ერეკება მხოლოდ სევდა პოეტს ლექსის დასაწერად. შენ მაჩვენე ჯოჯოხეთი სად არის და რომელია“, ნათქვამია ლექსში „ესეც სიყვარულია“ (7, 129).

„...თუკი ვმღერი, უპეები რად მაქვს სველი?“ – კითხულობს პოეტი და აშკარაა, რომ ეს სათქმელის მიგნებისთვის საჭირო ცრემლია (მრუდე სარკეების სამეფო) (7, 132).

უმაღლეს იდეალებზე ორიენტირებას სევდა მოაქვს.

სევდისგან კი სიტყვის ყვავილი იბადება: „და ჩემი სევდა ისევ ყვავილობს, ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო“, წერს პოეტი.

მაყვალა გონაშვილი ცრემლებისგან აღმოაცენებს სულის „მზისფერ იებს“: „ნატერფალზე ჩემი ცრემლები ამოდიოდნენ მზისფერ იებად, ნათქვამია ლექსში „შურისძიება“ (7,224).

ჭეშმარიტების მიგნება გოლგოთაზე ასვლის ტორლფასია: „...ეს თმენა და ეს ტკივილი გოლგოთისკენ მაცილებს“, გვამცნობს ლექსი „დაბრუნება“ (7,113).

შემოქმედების პროცესი, უკვდავების გზა წამების, სიკვდილ–სიცოცხლის საკითხია: „...თქვენთვის ეს ლექსი ტექსტია მხოლოდ, ჩემთვის სიკვდილთან შეთამაშება... უკვდავებაა გზა წამებისა“ (თავისუფლება) (7,174-175).

ჭეშმარიტმა ოსტატმა ნაზარეველის ბნეობით უნდა იცხოვროს და ამაღლებამდე ჯვარცმულის ტანჯვა უნდა განიცადოს: „...ჯერ ასჯერ მაინც უნდა წაიქცე, რომ ერთხელ მაინც ზეცად ამაღლდე... მანამდე უნდა გაექცე პატივს, როგორც დაღლილი ნაზარეველი... ჯერ შურის ჯვარზე უნდა გაგაკრან, რომ დაგინახონ და მოგნატრონ“ (მანამდე ისეა შორი გზებია) (7,20-21).

ლექსში „ვალი“ წარმოჩენილია პოეტი ქალების წინაშე მდგარი „ათგზის“ უფრო მეტი სიძნელე: „არა მარტოდენ მამულის, ანდა, არა მარტოდენ წინაპრის ვალით, საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს, ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს, ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს. ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე... რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს... ეს იმას ნიშნავს, ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს, ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა, სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო“.

შემოქმედის თანამდევია მარტოობა, უნუგეშობა, რომელსაც ვერავინ შეეხიდება და მოწოდებით ხელოვნების გზას ადევნებული ადამიანის ხვედრია ჯვარცმა (ვალი) (7,16-17).

ხშირად ბრძენის მანტიას ირგექბენ „ინტელექტუალური მათხოვრები“, „მანქურთები“, ანგარებიანი მედროვეები, რომელთაც არც ადარდებთ რწმენის ტაძრის ჩამოქცევა (სისულელეა პირის აკერვა) (7, 169).

მარადიული სიბრძნის მიგნებას ცრემლს, გულის სისხლს უკავშირებენ სიტყვის კორიფეები.

ჭეშმარიტმა ოსტატმა ნაზარეველის ზნეობით უნდა იცხოვროს და ამაღლებამდე ჯვარცმულის ტანჯვა უნდა იგემოს: „...ჯერ ასჯერ მაინც უნდა წაიქცე, რომ ერთხელ მაინც ზეცად ამაღლდე. მანამდე უნდა გაექცე პატივს, როგორც დაღლილი ნაზარეველი... ჯერ შურის ჯვარზე უნდა გაგაკრან, რომ დაგინახონ და მოგინატრონ“ (მანამდე ისე შორი გზებია) (7, 20-21).

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ტკივილებზე და სისხლის ნაკვალევზე იზრდებიან ხელოვნების გულგაღეღილი ორხიდეები“ (ფრაგმენტები ტრილოგიიდან: ხელოვნება, სიტყვა, ხატი, მუსიკა) (9,14).

პოეტების მეფე გალაკტიონი ცრემლებით რწყავდა თავის „სულის ვარდებს“ (შორი ალერსი) (10,97).

„მთაწმინდის მთვარის“ ავტორი „ციური ცრემლით“ კვალავდა „ეკლიან გზას“ (ყველაფერს ამბობს ობლის საფლავი) (10,19).

„სევდის ტრიუმფატორი“ იყო ტერენტი გრანელი, ლექსი მისი „გული და სისხლი“ იყო: „ალბათ „გულიდან სისხლი მდიოდა და გული ჩანდა უფრო სტრიქონთან“ (ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი) (11,55), „ლექსი შეღება სისხლმა“ (ბაღში ქარია ისევ) (11,159-160), „ჩემთვსი წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები“ („კითხვა ასეთი, ყოფნის რაობა) (11,218).

„მემენტო მორის“ ავტორი ლექსისთვის საჭირო ძალისხმევას „იობის წამებას“ ადარებდა (დაბრუნება სოფელში) (11,223).

ნიკო სამადაშვილი კითუხულობდა: „რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას? (ჩემი დღე) (12, 18-19).

პოეტის ფურცლები „შედუღებული“ იყო „ცრემლების კირით“ (თამაზის) (12,65).

მაყვალა გონაშვილისთვის სიბრძნის სიყვარულის და მორწმუნეობის იდეალია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II: „მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა, ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო... ბრძენო, კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო“, (სიყვარულის მასწავლებელი) (7,7).

არა ჯაზ–ბენდის და როკენ როლის, არამედ ქართული საგალობლების უპირატესობის აღიარებაა ლექსი „ეს ესტრადაა“ (7,157).

წმინდა წერილის მიხედვით, გალობის ინტონაციების გათავისება კი რწმენისთვის მსხვერპლის გამღებ, თეთრად შემოსილ წმინდანებს ხელეწიფებათ.

ჭეშმარიტ ხელოვანს რწმენა, სიყვარული, სიბრძნე, ჩიტის და ბალახის ენის“ გაგება, „გონების თვალი, მესამე თვალი“ სჭირდება: „...ღვთის, წყალობაა მესამე თვალი...ვისაც ჩიტის და ბალახის ენა მშობლიურივით უყვარს და ესმის... მე თქვენ მიყვარხართ და თუ ვტყუოდე, ღმერთმა დამიხშოს სამივე თვალი“, აცხადებს პოეტი ქალი ლექსში „წყალობა“ (7,179-182).

ამასთან, ადამიანს მუდმივად დასცქერის ყოვლისმხილველი „უფლის თვალი“, რომელიც „ათასჯერ ნათელია მზეზე. ის ადამიანის ყველა გზას ჭვრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,9) (2, 515).

წმინდა ეპისკოფოსი ეგნატე (ბრიანჩანოვი) (განარჩევს „ხორციელ თვალს“ და „სულიერ თვალს“ (ლოცვისა და ფსალმუნების შესახებ (... 392).

წმინდა ისაკ ასურის მიხედვით, სულიერი ხედვა მხოლოდ მორწმუნეთა, თავმდაბალთა ხვედრია.

მარკუს ავრელიუსის აზრით, მთავარია არა „ხორციელი თვალი“, არამედ „ხედვის სულ სხვა ორგანო, რომელიც არანაკლებ ნათლად და გარკვევით ჭვრეტს“, ამასთან მოგვიწოდებს: „...მოიქეც შენივე სულის ჭვრეტად“ (17, 247,254).

მაყვალა გონაშვილი გვევლინება, როგორც ნათელმხილველი და ნათელმსმენი პოეტი, რაც მომავლის საკვლევი პრობლებაა.

ძნელად გასავლელ გზას შესჭიდებია პოეტი ქალბატონი და აფერუმ, ღირსეულადაც“ ბრძანებს დიდი ქართველი პროზაიკოსი. მარადიული კლასიკური შედევრის – „დათა თუთაშხიას“ ავტორი ჭაბუა ამირეჯიბი (იხ. მაყვალა გონაშვილის პოეტური კრებულის ბოლოსიტყვა).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალუმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ბიბლია, თბ. 2013
3. წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემაა, თბქ. 2000
4. წმინდა ბასილ დიდი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისთვის, თარგმანი და წინასიტყვაობა გვანცა კოპლატაძის, II გამოცემა, თბ. 2002
5. ბჰაგავად–გიტა, თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები თამაზ ჩხენკელის, თბ. 1983
6. რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკროცერობა და თანამედროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა. ბოროტების წარმოშობა. როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი. მთარგმნელი ა. კვარაცხელა, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014
7. მაყვალა გონაშვილი, „ხმა მესმა“, „მერანი“, თბ. 2012
8. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა თ. თავაძემ, თბ. 2011
9. ქართული ლიტერატურული ესსე, 20-იანი წლები, შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მანანა ხელაიამ, „მერანი“, თბ. 1980
10. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
11. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L “, თბ. 2012
12. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004
13. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ. 1991
14. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურიატი

პოეტური ლამპრით სვლა

იზა ჭიკაიძის ლექსების ახალი კრებული „მეც ქართველი ვარ“ რომ ჩამივარდა ხელში, გითხრათ სიმართლე,კითხვა ბოლოდან დავიწყე.

რატომ?

არ მინდოდა რედაქტორ-გამომცემელთა წინათქმა-წინასიტყვაობების და ავტორისადმი კეთილგანწყობილი ინდულიგენციების გავლენის ქვეშ აღმოვჩენილიყავი.

ავტორის სახელი და გვარი როგორ არ გამეგონა.

იზა ჭიკაიძემ მისი პიროვნებისადმი არაერთგზის განმაწყო ინტერესით ლირიკული ლექსებისა და სამეცნიერო წერილების გამოქვეყნების შემდეგ,მაგრამ ეს მოზრდილი წიგნი რატომღაც ავტორის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის ერთგვარ შეჯამებად მივიჩნიე და მომინდა პოეტთან ჩემი უშუალი ემოციური დამოკიდებულება გამომეხატა.

საკუთარ პიროვნულ მე-ში ჩაღრმავება, მედიტაციური წიაღსვლები, ცხოვრების მიზანზე ჩაფიქრება, მიზეზთა გამო გულისგატეხვების კასკადი, წუთისოფლის კრიტიკულ მოსახვევებთან უფლის წინაშე მუხლებზე დაცემა და ლოცვის მოშველიება-აი, იზა ჭიკაიძის ლექსთა გამმა-საფენელი, რომელმაც სრულიად ბუნებრივად დამაფიქრა და გამიყოლია, მაგრამ ვფურცლავდი წიგნს და მაინც იმ ერთს ვეძებდი, ფილოსოფიურ წიაღსვლას კი არა, ორიგინალურ თქმას, მეტაფორას. და აი ისიც:

,, როცა მომავალს ბურუსის ფერით
მოეხატება თავი და ბოლო
და ქვიშისფერი უიმედობა
დაისადგურებს მხოლოდ და მხოლოდ.''

მხოლოდ გაურკვეველ,სევდით მოცულ მომავალს აქვს ბურუსის ფერი, რაიც პოეტ-მხატვარს „ქვიშისფერ უიმედობად“ ესახება.

თქვენი არ ვიცი და „ქვიშისფერი უიმედობა“ მე სხვათა და სხვათა ნაწერებში არ შემხვედრია და სწორედ ეს გახლავთ მიზეზი ჩემი დასკვნისა: „იზა ჭიკაიძეს,როგორც პოეტს,ორიგინალური აზროვნება და საკუთარი ფერხილვა აქვს“.

ბარემ აქვე ამოვწერ სიტყვებს იზა ჭიკაიძის პოეტური სიტყვათქმნადობის დასადასტურებ-ლად: „ამზეგანებ“, „გამაოქროპირე“, „სუფთახელა“, „გავილექსები“, „გავბწკარავ“, „ლურჯფე-რა“, „ვაბალავრებ“, „გაშავფერადდა“, „ამოცეცხლფერდა“, ,,მოვიცხოვრებ“, „მსუბუქფერება“ და სხვ.

,, მე ის მაშინებს კარგახანია,
რომ არაფერი აღარ მაშნებს.“

წერს პოეტი და თავს ნაზ,ლირიულ ჩურჩულში, სადაც „ცოდვის გამონაყარით ჯვარზე გაკრული“ ლირიკული გმირი დგას,სადაც „დედა-შვილთა ძვლებს შუა ჭიანჭველაც ვერ მონახავს ადგილს“ ,იგი თანამედროვეობის მიმართ თავის მოქალაქეობრივ პოზიციას ასეთი მრისხანე შეძახილებით გვაწვდის:

,,რა ეშველება შეშლილ სამყაროს,
ვიდრე ჭკვიანის პირბადე ახლავს,
ვიდრე გონიერს ღიმილს უხშობენ,
ვიდრე ღირსეულს არქმევენ გლახას.
ვიდრე შიმშილის სიმწარის სუნი
საფიხვნოს თავზე დაიარება.
სამართალი და უტყვი კანონი
ვიდრე კვლავ რჩება ნაიარევად.
კეთილი სიტყვის მადლის მდინარეს
ვიდრე ლოდინის ტკივილი ფარავს,
ვიდრე ცოდვილი ხელით და გულით
უცოდველს დღემდე ესვრიან ტალახს...“

მრავალწახნაგოვანი და მრავალთემიანია იზა ჭიკაიძის პოეტური აზროვნება. ცხოვრების მდინარების ლირიკული რკვევისას პოეტი ასეთ ზნეობრივ სენტენსიასაც გამოურევს:

,,და დედამიწის მრისხანებაზე
გულუბრყვილობით რომ არ დაეცე,
ბოროტს კი არა, ძალიან ხშირად
საკუთარ თავსაც უნდა გაექცე.
და მაინც ღვთიურ სიტყვას და საქმეს
უფალს ბოლომდე უნდა ანდობდე,
ყველა სიმართლე უნდა იცოდე,
მაგრამ ხანდახან უნდა ამბობდე.“

იზა ჭიკაიძე ჭეშმარიტი პოეტია.ჭეშმარიტ პოეტებს კი თავიანთ „არსსპოეტიკაზე“ დიახაც, შეშვენის შემფასებლური დამოკიდებულება. და რაოდენ სასიამოვნია, რომ დამოკიდებულებას თავდმდაბლობის სხივი დასთამაშებს.

,,თუ ვერ დავირქმევ სადიდებო მახვილკალმოსანს,
კეთილ ბილიკზე სიარულით ვიღაც დამლოცავს...
ბებერ მეზურნის ახირებას შეავლეთ ხელი
და მერე ისევ ღმერთის ნებით-ჰერი და ჰერი.“

ჩემი ღრმა რწმენით, გულისყურიანი მკითხველი ამ წიგის წაკითხვით ქართული პოეზიის ახალ ნაკადს ეზიარება და თანამედროვის სულის ხვეულებში იზა ჭიკაიძის პოეტური ლამპრით სვლა ელის. ბოლოს, როგორც დაგპირდით, რედაქტორ ლევან ჟვანიას მშვენიერი წინათქმა წავიკითხე. წინათქმიდან შევიტყვე, რომ „მეც ქართველი ვარ“ იზა ჭიკაიძის ლექსების მეშვიდე კრებულია, რომ იგი გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და, რაც მთავარია, სხვადასხვა დროს მინიჭებული აქვს ანა კალანდაძს პრემია და ქართული კულტურის ამაგდარის წოდება. მესიამოვნა, რომ ჩემმა გუმანმა არც ამჯერად მიღალატა და ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ვულოცავ გზას ამ წიგნს მკითველთა გულებისაკენ.

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი,
ჟურნალ ,,ათინათის" მთავარი რედაქტორი,
პოეტი, გალაქტიონ ტაბიძის ლაურეატი.

მძიმე თავთავი

მძიმე თავთავი, -– ამ სიტყვებით ვაფასებ ქალბატონ იზა ჭიკაიძის პიროვნებას და პოეზიას ერთად.

,,მე არასოდეს ვოცნებობდი,-– მერქვას პოეტი",

ამბობს ქალბატონი იზა და ამ დროს შვიდ სქელტანიან პოეტურ კრებულებს აწვდის მკითხველს.

თუ როგორი პოეტია იგი, ამაზე ლექსები საუბრობენ.

,,მე არ ვპოეტობ უბადრუკად ქაღალდს გავბწკარავ,
მღერი... მომღერალს არასოდეს ვუწოდებ ჩემს თავს,
სჯობს უხმაურო მელოდიით
ავივსო გული,
ვიდრე ვაგლახი და საბრალო პოეტი მერქვას"...

უზენაესი – ზეციური ,,მწყემსი კეთილი" არასოდეს ტოვებს თავის სახეს და ხატად შექმნილს ნუგეშის გარეშე, მადლით და სასწაულებით აცისკროვნებს რჩეულთა სულებს. ,,მარადიული ჭეშმარიტებით" მკვიდრდება კაცთა შორის ღვთის სიტყვა -–– ქრისტე ... სული წმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვაუწყებს: ,,ღვთის მადლი ყველა ადამიანის მხსნელია". ქალბატონი იზა თავისი თავდაბლობით მაღლდება მიწიდან ზეცამდე და თავისი უნარ-ჩვევებით, მადლით მოსილი ფრთიანი სიტყვებით ასაზრდოებს მკითხველს:

,,ნამწვი და ნაცარი მაქექინე,
ცხელი ნაღვერდალი მაჩხრეკინე,
რომ მივიწყებული ცოდვები მაძებნინო,
მაპოვნინო და ცრემლით
წამაშლევინო, ტაძრის კუთხეში".

და კიდევ:

,,დედაო მიწავ, ანგელოზნო, ზეცისა ძალნო,
ღმთისმშობელო და მაცხოვარო, წმინდა სამებავ,

გადაგვირჩინე საქართველო და შვილნი ჩვენი,
შეგვანანიე, აგვარიდე ხალხის წამებას."

ეს ლექსი პოეტს გამოქვეყნებული აქვს, 2012 წელს. თვალწინ დამიდგა ონის რაიონის სოფელ შოვში მომხდარი ტრაგედია. პოეტის პროგნოზი, სამწუხაროდ, რეალურად ახდა. არიან ისეთი პოეტები, რომლებიც წინასწარ გრძნობენ კარგსა და ცუდსაც. ქალბატონი იზა მიეკუთვნება წინასწარ მგრძნობიარეს და ამიტომ დაწერა გამაფრთხილებელი ლექსიც. ლექსში ევედრებოდა მაცხოვარს, რომ უბედურების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ პატარა ანგელოზები. სამწუხაროდ, მეტ წილ ქრისტიანში ანტიქრისტე ჩასახლებულა. ამას გრძნობს პოეტი და ლექსის ენით გადმოსცემს გულისტკივილსაც:

,,ქართული სისხლი დუღს ჩემს ძარღვებში,
სიმღერას ვიტყვი არ არაკიანს,
ვინც ამ დამშეულ ხალხს დამიპურებს -

მე ვენაცვალე იმ ადამიანს"... აქ პოეტს ყურადღება აქვს გამახვილებული, სულიერ დაპურებაზე, რადგან ხედავს სულის შიმშილს. სწორედ ესაა მიზეზი პოეტის გულისტკივილის და წუხს, რომ ადამიანების უმრავლესობაში ანტიქრიტეა არის შესისხორცებული. .. და მაინც, პოეტი გაურბის ცუდ, ნეგატიურ ფიქრს და ამბობს.

,,გავრბივარ... ვეწევი ცხოვრებას,
ვფუთავ, რომ არ გაქრეს ხელიდან
და წლების ქარბუქში არ მითხრან,
დაღლილხარ, დაბრძანდი დეიდა".

აქ წლების ასაკზე არ არის საუბარი. ქალბატონი იზა ძალიან განათლებული და ერუდირებულია. ის ყოველთვის ცდილობს, იკითხოს, მოიძიოს, შექმნას ახალი, რადგან სულიერ შიმშილს არ ეგუება.

,,ყოველ წუთს დავძახი--ჰეი...და...
ნაოჭებს დავითვლი დღეიდან,
ოღონდაც არავინ არ მითხრას,--
დაღლილხარ, დაბრძანდი დეიდა" ...

მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ქალბატონი იზას პოეზია არის ფილოსოფიური და ძალიან საინტერესო.

პოეტი მოუწოდებს გადაგვარებულთ და ამბობს:

,,სულში ჩახედე მაგ შენს სამართალს
და ღმერთის ნებით გამოიცვალე!
ამ სიტყვების შემდეგ ფიქრის ზღვიდან ამოიძახებს:
,,ღმერთო, მომიტევე! შენს სახეს, ხატებას,
როდის დაგვიგროვდა ცოდვები ამდენი?!
ამიტომ ... უფალი რომ მოვა სუფრასთან,
უმწეო ბავშვივით, ცრემლებით დავხვდები."

უფლის მორჩილი პოეტია ქალბატონი იზა.

რითაც დავიწყე იმით დავამთავრებ: ქალბატონი იზას პიროვნება და პოეზია მძიმე თავთავია! საღად მოაზროვნე ქალბატონი ღრმა ფილოსოფიური შთაგონებით გვარწყულებს და ბევრ სათქმელსაც სააზროვნოდ გვიტოვებს. ჩემი ღრმა რწმენით, ქალბატონი იზა ჭიკაიძე ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტია, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკითა და საინტერესო მხატვრული ხერხებით ანებივრებს მკითხველს!

გონების საზღვარზე

„ადვილი არ არის ბრძოლა საკუთარ თავთანო“ ამბობს ქალბატონი ნაირა და გვთავაზობს ძალიან საინტერესო ბრძნულ რჩევებს. ესაუბრო საკუთარ „მეს“ და ათასში ერთხელ გაანალიზო განვლილი გზა, ეს ძნელი არ არის. ძნელია ყოველდღიური თუნდაც წამიერი ურთიერთობები, ოჯახისწევრებთან და საზოგადოებასთან. ამისათვის საჭიროა, იცოდე ვინ ხარ შენ. ამის გარკვევა, რომ შეძლო და გააანალიზო გაჩენისა მოსვლის დანიშნულება, რომ ჩამოყალიბდე უნდა იყო რწმენით ძლიერი და განათლებული პიროვნება. თუმცა აქვე გვიხსნის ბრძენი ქალბატონი, რომ „რელიგიური განათლება გონების განათება არაო“. თუ გესმის და არ აკეთებ იმას რაც გესმის, მაშინ ფუჭია და წყლის ნაყვაა მიღებული ცოდნა. ცოდნას პრაქტიკულად გაანალიზება და გამოყენება ესაჭიროება. როცა ხალხში წიგნის ავტორი ამ კატეგორიის პიროვნებებს აწყდება, ნიჭიერი ქალბატონი თავისი ბრძნული აზრებიდანაც გამოდის და პოეზიის ლაბირენთებში ჰპოვებს სულის სიმშვიდეს.

„ქარს ნამქერები მიაქვს და მოაქვს,
ხან დაჟინებით უსტვენს – უბერავს,
დამზრალ ოცნებებს – ხელმოცარულებს,
სიცივის კარი გამოუკეტავთ“.

თავის ლამაზ და ნიჭიერ გონებას აკვანივით არწევს, დედის ტკბილ იავნანასავით ნანას უმღერის და გადადის ,,ადამიანისა და ადამიანების მიმართ ბრალის" თეორიაში. სიტყვა-სიტყვით ვიმეორებ მის ნააზრევს, ჟურნალ ,,ათინათში" დაბეჭდილ მასალას.

,,ჩვეულებრივი ადამიანის დაუსრულებელი ბრალი იღებს, სხვადასხვა ფორმას, რომელიც უმთავრესად გაუცნობიერებლობის შედეგია და თვით გაცნობიერების შემთხვევადეც კი ის არაა თანახმა იცხოვროს ბრალის გარეშე, რადგან დაშრეტილი და გამოფიტული ვერ აგრძელებს დაუნდობელ სამყაროსთან ურთიერთობას. წმინდა ბერების ცხოვრებაც კი გვაფიქრებინებს იმსში, რომ ისინი ადამიანთა მოდგმის წმინდა ხაზები არიან და ყველა დროში კანონზომიერებით საზოგადოების განსაზღვრულ სექტორს იკავებენ. ბრალის თეორია, პოეზია და სიბრძნის სკივრის აზრები კვეთენ გონების საზღვარს და ბოლოს ერთად შეერთებული იქცევიან ადამიანთა აღზრდის მეთოდიკად. ექიმი ქალბატონი ცოდნის მდინარე გადმოიღვარა და მოდის და მოდის ჩვენდა სასიკეთოდ. გასაანალიზებლად, გასათვალისწინებლად და შესაცნობად. ადამიანის ფენომენის შესწავლა და ცხოვრებისეული აზრის შესწავლა ყოველთვის იყო თეოლოგიის ფილოსოფოსის და ხელოვნების ყველა დარგის მიზანი. ქალბატონ ნაირა უგულავაში ბევრი დარგია ერთად შეჯვარებული. ექიმი, პოეტი და ფილოსოფოსი. ამიტომაა, მისი კალამი განსხვავებული. ექიმი მკურნალია ხორცისა. პოეტი შორეული მგზავრია, ის სულის ლაბირიმთებით მოგზაურობს. ზესთა სოფლის საიდუმლოებების მაძიებლია. მიდის და მოდის უზენასისაკენ მიმავალ ბილიკებზე. მიდის დაუსრულებლად. პოეტს ორი სახლი აქვს მიწიერი და ზეციური. ჰოდა, რა გასაკვირია ექიმი ქალბატონის აზრები ჩამოყალიბებულიყო ბრძნულ აზრებად და მკითხველისათვის მიეწოდებინა ,,გონების საზღვარზე" მოკრეფილი აზრები. ვისაც სურვილი ექნება წაიკითხეთ. დამერწმუნეთ სულის შიმშილს აღარ იგრძნობთ. დაპურდებით და სიცოცხლის შარბათით დაიამებთ სულის ტკივილს. სასიკეთოთ შემოაბრუნებთ უიმედოდ გაფატულ ფიქრებს.

ნია გორდელი

გზა საზრისის ძიებისა ზეამოცანა ჩვენი იონის მისტიკური დანიშნულება
(განხილვა)

ნაშრომში – ,,გზა საზრისის ძიებისა ზეამოცანა ჩვენი,“ ავტორის – ხათუნა ელიაშვილის მიერ განხილული თემა პოეტურ-ფილოსოფიური გააზრებაა, ახალი ხედვაა „იონის“ ყოვლისმომცველობის შესახებ, რომლის მსგავსი ჯერ არცერთი ფილოსოფოსის ნააზრევში არ შეგვხვედრია. იონის მნიშვნელობა, ფიზიკურ-ქიმიური თვალსაზრისით, მეცნიერებისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია. თავად ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესები იონური გაცვლის პრინციპზეა დამყარებული და მას ელექტრო ფიზიოლოგია სწავლობს, მაგრამ იონის მნიშვნელობის წარმოჩენა სხვადასხვა სიტყვათა სემანტიკურ წარმოშობაში გაოცებას იწვევს... ნაშრომიდან ჩანს, რომ იონის ახლებური და მრავლისმომცველი გააზრების თემა ამოუწურავია. მთავარია, რომ ავტორმა მიაგნო მას და სამზეოზე გამოიტანა. ზოგადად, საზრისის ძიება მხოლოდ იონის მრავლისმომცველი მნიშვნელობის მინიჭებაში არ გამოიხატება. საზრისის ძიება ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა უდიდესი ამოცანაა და გასაკვირი არ არის, მისი ძიებისას წარმოიშვას უამრავი შეხედულება, მათ შორის უკიდურესად პარადოქსულიც კი...

იონი არის მატერიის მცირე ნაწილაკი, რომელიც გიგანტურ პროცესებს მართავს და არეგულირებს, მათ შორის, ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას – მეხსიერებას, აზროვნებას, მთლიანად მთელ ფსიქიკურ პროცესს, რაც განაპირობებს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მაგრამ აქ საუბარია იონზე, როგორც უაღრესად განზოგადებულ მისტიურ ელემენტზე და მის დანიშნულებაზე, როგორც მატერიის, ასევე, სულიერ განზომილებაში. ავტორის აზრით, იონი ღვთის ძალის მატარებელია, რომლითაც ტრიალებს სხეულებრივი და ღვთიური სამყარო; იგი საფუძველთა საფუძველია, მასზე აღმოცენდება ყოველი სიკეთის თესლი. იონის მუხტი შეიძლება დადებითი და უარყოფითი ენერგიის მატარებელი იყოს, მაგრამ ავტორს იონი განხილული აქვს როგორც სრულყოფილებაში გადაყვანის უნივერსალური საშუალება და ელემენტი, ანუ იგი ღვთიური ენერგიის არსად წარმოადგინა. „იონი -სამშობლოა! სიყვარულია! ლოცვაა! საიდუმლოებით სავსე სკივრია! ყანწია! და ეს საიდუმლოება მის შინაგან თუ გარეგან არსში დევს! დაუსრულებელი ინფორმაციაა!..“ აღნიშნავს ავტორი და პარალელურად დასძენს, რომ „ქართულ სიტყვათა მარაგში იონი ძალიან დიდ დატვირთვას შეიცავს და მათემატიკურ ნუმერაციაშიც გვხვდება“; „ეს საიდუმლოებასთანაა კავშირში!“ ავტორი სწორედ საიდუმლოებით სავსე სკივრთან დადგა და მის გახსნას ინტუიციური საშუალებებით შეეცადა; დაუსრულებელი ინფორმაციების ადამიანების ენაზე გადმოთარგმნის სიძნელეები გააცნობიერა, ლოცვის და სიყვარულის იდეას უხმო, რითაც საყოველთაო მოძრაობის იდეას -„იონს“ დაუკავშირდა... მართლაცდა, მარადიული იდეა იონთა ცვლისა: დაბადება, განვითარება, აზროვნება – ეს

მუდმივი ციკლური პროცესები სამყაროსეულ აზროვნებასთან ასახვაშია და მარადიულ სიცოცხლეში გადადის... „დაბადება ცისკენ წატაცებული სამარადისოდ აღთქმული სიცოცხლეაო“ – ამბობს ავტორი. დიახ, აღთქმა -ვალდებულება სამყაროს წინაშე დაუსრულებელია. ცისკენ მიზიდულობა -ღმერთთან კავშირი, დაუსაბამო მოთხოვნილებაა უფლის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანისა... სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობების ძიებისას ავტორი ამბობს, რომ მნიშვნელოვანი სიტყვები გაბნეულია სხვადასხვა ენებშიო. ვეთანხმები მას,– ჩვენი მიწიერი ეგო მიკუთვნებულობის ჟინით არის გაჟღენთილი და სხვათა სიკეთეების აღიარების საშუალებას არ გვაძლევს, არადა, სხვადასხვა ენებში გაბნეული სიტყვები და მნიშვნელოვან აზრთა წყობილები უფლის გზავნილია დედამიწაზე...

ავტორი მისტიური ენით საუბრობს მიწიერ, სხეულებრივ, სულიერ მდგომარეობაზე. ის ინტუიციურ საშუალებებს იყენებს ზეციურ სივრცეებში სამოგზაუროდ, გამოაქვს დასკვნები, რომლებიც მიწიერი არსისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს და ზოგჯერ მიუღებელიც. თავად ავტორს მოგზაურობის მისტიური გამოცდილება აქვს – „ქვე“ და „ზე“ ფენებში თავისუფლად მოძრაობს... მივყვეთ მის აზრებს: „ყველა არსებული ენერგიის არსებობა განსხეულდება სხეულში განსაკუთრებულად! რელიგიაშიც! რკინაშიც! მიწაშიც და ცაშიც! პლანეტაშიც! ყველგან იონის ძალა დევს“...“ მიზანი ატომში კი ყველაფერია, ანუ მისი ევოლუცია!“. მართლაც, სხვადასხვა ელემენტთა წყობილება სხეულში ხომ მიწიერი არსისთვის განსახორციელებელი ფორმებითაა წარმოდგენილი, ამ ელემენტთა გადაადგილება ძირითადად იონთა გაცვლაში გამოიხატება. ეს გაცვლითი პროცესები სულიერ ძალთა თანმიმდევრულ მომწიფებაშიც მონაწილეობს, რათა ორგანიზმმა კოსმიურ სივრცეში წონასწორობა შეინარჩუნოს და სრულ ასახვაში იყოს მასთან... იონთანაა დაკავშირებული მზის დაბადება ალიონზე, მისი სხივთა შლა. „აქ იხსნება გალაქტ-იონის ფენომენი და იწყება გალაქტიკიდან იონის მეშვეობით ღმერთის ტოლი ალ-იონის გაშლა. ყოველი ალიონი ბადებს იონს სივრცეში, ახლად დაბადებული მზე ქმნის პ-იონს! მისი სხივთაშლა ამის დასტურია. პიონის სახის მშვენება არ არსებობს სამყაროში, ის ღმერთის სახეშია ასახული და გაშიფრული, როგორც უეკლო ვარდი, სუნითა და ფერში განსხვავებული, უფრო ამაღლებული და მიმზიდველი“... ერთგან ავტორი წერს: „უჯრედი მზესავით ნათებას ითხოვსო“... მართლაც, უდიდესი მზე და „სამყარო“ ადამიანის უჯრედშია მოთავსებული გენური ქრომოსომების სახით, რომელიც მთელი სხეულის მოქმედების პროგრამაა. უჯრედის ენერგია ერთ უჯრედზე არ არის გათვლილი. ის მთელ სხეულს ასხივოსნებს. მილიონობით ასეთი პატარა „მზეები“ ერთმანეთში აისახებიან და საბოლოოდ ადამიანის არსს აყალიბებენ, როგორც მიწიერ, ასევე, კოსმიურ აზროვნებაში (განზომილებაში).

ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის ცოდნას არ ჯერდება ავტორი. ხშირად, მის აზროვნებას პოეტური გარდასახვა ენაცვლება. ნატიფი და ფაქიზი ენერგიები, მიწიერი და ზეციური ვიბრაციებით, ზემოქმედებს მასზე და შეუზღუდავ სამყაროში თავისუფლად იწყებს მოძრაობას. ის პოეტური ხერხებით ცდილობს „იონის“ და მისი მნიშვნელობის ამოხსნას, რომელსაც უმაღლეს არსად აღიარებს: „თურმე ფერებშია ისევ იონები, წიაღთსვლა, სივრცის ამაღლება, ფერთა საფერები, სულის სახელები და იონები გულის ყვავილები''... ეს არ არის აღმატებული

მეტაფორა, ეს მოძრაობის აღმძვრელ და გამომწვევ უნივერსალურ საშუალებას – იონებს ეხება. ავტორმა ის გამძაფრებული სახით აღიქვა და წარმოგვიდგინა, თითქოს სურს, საბოლოოდ დაარწმუნოს ადამიანი, ამ მოძრაობის უნივერსალური საშუალების ძალასა და მნიშვნელობაში... ერთგან ავტორი წერს: ,, იონები გადაკვეთის საზღვარიცაა, საზღვრის აქეთ, საზღვრის იქით“... ამით ის პარალელური სამყაროებიდან ერთმანეთში გასასვლელების ძებნას აანონსებს, – შესაძლოა გაუცნობიერებლადაც. მართალია, ხელაღებით არ ამტკიცებს, მაგრამ ინტუიციურად გრძნობს და განიცდის რომ პარალელურ სამყაროებში გასასვლელები არსებობს... ეს განსაკუთრებული ფენომენია. არც არის გასაკვირი, სულს შეუძლია განუსაზღვრელ სივრცეებში იმოგზაუროს...

ნაშრომში ყურადღებას იქცევს ფერის, რითმის, ბგერის, მუსიკის ერთ ჰარმონიაში წარმოდგენა და შეჯერება. მიწიერ არსში ხომ ადამიანის აზრი, ნიჭი, ხასიათი, ემოციები, გრძნობები და სხვა მახასიათებლები დანაწევრებული სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც ასახვის კანონების შესაბამისად, საბოლოოდ, ერთ დიდ გენიალურ აზრში იკრიბება ისევე, როგორც თეთრი სხივი გარდატეხისას ფერებად იშლება და კვლავ იკრიბება... „სამყაროს თესლთა ჩანასახი, ნუმერაციის აკორდი, სახეშეცვლილი ემბრიონი“... ავტორი გასცდა სტანდარტულ აზროვნებას, არასტანდარტული აზროვნება კი საწინდარია ახალი აღმოჩენისა. რა თქმა უნდა, ამას ერთი ადამიანის გონება ვერ დაიტევს, მაგრამ ახალი აზრი -შეხედულება დააფიქრებს მავანთ, გზადაგზა წამოეშველებიან და განსხვავებულ ჭრილში, ახალი ხედვებით და აღმოჩენებით გაამდიდრებენ „იონის თეორიას“.

სიტყვა და გამოხატულება სრულიად ასახვაში იმყოფება არსებულთან – რეალურთან და ირეალურთან (მიღმიურთან), ცხადია, „ქვე“ და „ზე“ ცნობიერება აზრების ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. რეალურ თუ ირეალურ სამყაროზე წარმოდგენებს ქალბატონი ხათუნა მხატვრულად გადმოგვცემს: „როდესაც იღვიძებს ადამიანში ღმერთი, ამ დროს დაბადებული სხივი აღადგენს ალიონს“. ის გვიხატავს, თუ როგორ იბადება ალიონი, შემოდის მზის სხივები, იშლება ყვავილები (იონის ძალით), როგორ ზემოქმედებენ ადამიანზე და ბადებენ სიცოცხლეს. ყვავილის დაკვირტვა, გაშლა-განვითარება ღმერთის სახეშია ასახული... სურნელითა და ფერით განსხვავებული – „სხვადასხვა“, მაგრამ ერთ მთლიანში – ღმერთში გაერთიანებული (ერთი ათასში და ათასი ერთში). ეს ადამიანსაც ეხება – სხვადასხვა ერი, ჯიში, გენი, ხასიათი, ნიჭი და ა. შ. შენარჩუნებულია ერთიანობაში – ღმერთში... ავტორი დაფარული სივრცეების გახსნას და გაშიფრვას გვთავაზობს. „ირწმუნეთ ღმერთი, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოიყენო მისი უმაღლესი ხედვა“... „სიტყვა რასაც გულისხმობს -აღნიშნავს, მისი აზრის შინაარსს მეტყველებს და ღირებულია, მისი დანიშნულება კი უნივერსალური“. მეც იგივეს ვიტყოდი:

ყოველი აზრი -აზრია ქვეყნად,
თუ დაიბადა იგი საერთოდ,
იპოვის იგი, მას ვინც დაეძებს,
და აქვს უფლება რომ იარსებოს...

თუ რაიმე სიტყვა და აზრი არსებობს, მაშასადამე ის რაღაც შინაარსს გულისხმობს, ღირებული და უნივერსალურიაო – ამბობს ავტორი. დავეთანხმები, ზოგჯერ, ჩვენთვის მიუღებელი, უფლისთვის ნაცნობი და მისაღებია. ახლა, ამ აზრს მივაპყროთ ყურადღება: „განგებაა ის ცოდნა, რასაც ვფლობთ მილ-იონის განგებით“... „ციფრები,რიცხვები ეს ღვთიური ძალაა, მათი შერწყმა სიტყვებთან საიდუმლოების მქონეა.“ ან კიდევ: „აქ განაყოფიერებაც, გამრავლებაც, მილი-არდის დონეზე“... მაშასადამე აზრები ციფრების რკალშია მოქცეული - ციფრები აკონტროლებენ აზრს, სივრცეს, დროს, ყოველგვარ გადააადგილებას და იონური ძალის მეშვეობით ერთმანეთთან გამუდმებულ ასახვაში იმყოფებიან.

ავტორი ცდილობს ეზოთერიკული ცოდნის რეალური (მეცნიერული) ცოდნის საფუძვლებზე პროეცირებას, რაც ადვილი არ არის... ნაშრომში ხშირია შეუსაბამო მიმართებები და არც გასაკვირია. მისი ღირსება ისაა, რომ ინტუიციურ საშუალებებს ეძებს და თამამად მოძრაობას ცდილობს დაუსაბამო სივრცეებში; სჯერა, რომ მიზანი მიღწეულია, რადგან აღმოაჩინა, რომ ადამიანის გონის განვითარების მწვერვალი „იონური“ ენერგიების გაერთიანება-გამთლიანებაშია, რაც, საბოლოოდ, უფლის დიად წიაღში გაერთიანებას გულისხმობს: „ეს მისტიური სინათლეა, რომელსაც სხვა გული და სხვა თვალი ხედავს“... და კიდევ: „სიტყვათა ვიბრაციული ველი ქმნის სხეულში უნიკალურ ძალას და ნათებას,რაც ადამიანის ღვთიურ ძალებთან კავშირს გადმოგვცემს“ – ეს ჰიპოთეზა, რომელიც დღეისათვის მრავალი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს, დიად სიბრძნესთან კავშირშია და ღვთისმეტყველების განხილვის საგანია... ამ ყველაფრის აღმქმელი და გამაანალიზებელი ადამიანი როგორ მოახერხებს ღმერთთან მისვლას? „ჩვენ კი რას ვთესავთ ამ დროს? რა ნაყოფს ვიძლევით?“ -კითხულობს ავტორი. „თუ ჩვეულებრივ ვართ აყოლიებული მოთხოვნილებებს და საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას განვიცდით მარტო?“ კოსმიური სივრცეებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოსული ინფორმაციების, თუნდაც, მისტიური საშუალებებით ადამიანურ ენაზე გადმოტანა, მეტად ძნელია. მომავალში, ალბათ ავტორი ეცდება, ამ უცხო სამყაროში შესვლა და „ფრენის“ ხელოვნება კიდევ უფრო დახვეწოს და კოსმიური ენერგიებით ღმერთთან კავშირი დაამყაროს... ამას ყველა ადამიანი ცდილობს, ვისაც სურს, ფრთები შეასხას უმაღლესი აზროვნების ხელოვნებას.

ავტორი ამ წიგნს სიყვარულით და პატივისცემით უძღვნის ადამიანებს: „შევწვდეთ უმაღლესს, აღვადგინოთ ღვთიური ძალა -მხოლოდ სიყვარულით, -ამას მარტო გული აკეთებს“... „სიყვარულის უმიზეზოდ მიღება, რადგან სიყვარული ღმერთია და ლოცვა“ – ეს გზავნილი აქვს ხათუნა ელიაშვილს კაცობრიობისადმი „კავკას-იონიდან“! ..

P.S.: ავტორი წიგნის თანაავტორად ასახელებს ქალბატონ თინა მაისურაძეს. ისინი ერთობლივი ძალისხმევით შეეცადნენ ამ “უნიკალური“ ცოდნის გაშიფრვას.

05.08.2023

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

წითელი პარასკევი!

დღე უაღრესად მნიშვნელოვანი და სამყაროს საწყისი!

დღე პირველი, კვირის საწყისისა!

მთელი კვირის ათვლის წერტილი და ყველაფრის სათავე სამყაროში!

ღმერთში შესვლა ხდება აქ!

პარასკევიდან პარასკევამდე, ანუ ხუთშაბათამდე იწყება შვიდი დღის ათვლა და ეს სწორი და უმთავრესი მიდგომაა, ზუსტად აქ ხდება მნიშვნელოვანი პროცესი და განვითარება რაც კაცობრიობაზე მუშაობს, ესაა ის უდიდესი ეტაპი შობიდან სიბერემდე, ანუ უნდა დაბრძენდეთო,როგორც ბერი უნდა გახდეთ მოქადაგეო!

ჯვარზე გაკვრა პარასკევის ათვლის წერტილია, აუცილებელი პროგრამა,ადამიანის სულიერი აღორძინებისათვის, როგორც კი ცნობიერი მიაღწევს გაცნობიერებას, მისთვის უკვე აღარ იარსებებს ტანჯვა!

ადამიანში აღარ იქნება იმ მძიმე პროგრამის განცდა, რაც მის ცხოვრებაში გადალახვის ეტაპს შეეხება!

ანუ, ეს დღე ყველასაგან გამორჩეული და ადამიანის სულიერი გამოღვიძების განმსაზღვრელია.

გამარტივებული მეთოდი! ანუ აზროვნების მწვერვალიდან გამოვლენილი მიდგომით სწრაფად გადალახვა ხდება ამ დროს!

შაბათი!

ორ-შაბათი!

სამ-შაბათი!

ოთხ– შაბათი!

ხუთ– შაბათი!

რა არის ეს შ ა ბ ა თ ი? შაბ –ათი?

დიდი ხითშაბათი! ზიარება! საიდუმლო სერობა! უხრწნელი სისხლი და ხორცი?!

მა –ცხოვ –არი!

საიდუმლოაო ს –ერო –ბა!

ფეხის ბანვა?! აქ სიცოცხლის გახანგრძლივება ხდება, სიცოცხლე გრძელდება ჩვენში!

სიკვდილისა სიკვდილითა დამთრუნგველი, ანუ სპობ ყოველივე უარყოფითს რაც კი შენშია.

შემდეგ უკვე კვერცხი!

წითელი კვერცხი! მიზანი!

ზუსტად პარასკევს ხდება აქ ფერთა ცვლილება, გამორჩეულობის ნიშანი.

წითელი კვერცხობა არის მიზანი, მიღწევა, გადასვლა ახალ საფეხურზე, ღვთიურ ენერგიებში გასვლა, ეს სამყაროსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, როგორც ადამიანისათვის ისევე სამყარო ზრდას განიცდის, მათი ურთიერთკავშირი იზრდება და ყალიბდება აზროვნებაში.

სწრაფი აზროვნებით იდება შედეგი!

კვერცხი არ უნდა გალაყდეს!

აუცილებელი ფორმა, მიზნის მიღწევაა!

რატომ უჭირავს სიტყვას „ჭეშმარიტებას“ მთავარი ადგილი?! ე.ი. აქ რაღაც არის საძებარი, მიგნებას ითხოვს და ეს მიგნება დევს ზუსტად აქ, – კვირის დღეებში.

ეს განსაკუთრებული შეგრძნებების ადამიანებისათვის არის მოსული, რადგან დროის განლევის პერიოდია და ცნობიერების ზრდა არის აუცილებელი.

ერის გამოვლინებაც ამ პროცესებს შეეხება და ახალ ტალღას ელის!

კვერცხი სიცოცხლის სიმბოლო და ახალი სიცოცხლის დასაწყისია, რომელსაც მოაქვს მშვენება, სიკეთე სინათლე, და სილამაზე.

ქვეყნის დასაწყისიდან, ქვეყნის დასასრულამდე ემბრიონის თვისებაა მნიშვნელოვანი და განუმეორებელი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ახსნილი, ეს კი განსაკუთრებული ამოცანაა სადაც კოსმიური გენი სახლობს და ეს წითელი კვერცხი ა და აქ დიდებული შინაარსია ჩაკეტილი.

კვერცხი უნდა გატყდეს არა ფიზიკურად არამედ სულიერების ფონზე, აზროვნებით უნდა შევაღწიოთ შიგ.

კვერცხი შთამომავლობაა!

ერთი სწორი აზრი და ყველაფერი იბრუნებს კუთვნილ ადგილს.

წითელი ფერი კი გამორცეულობის ნიშანია სიცოცხლისთბის!

„ჭეშმარიტებაში“ მთავარი სიყვარულია, მერე ძალა და იმედი მოდის!

შ ო ბ ა !

შობა აზრის ძლევამოსილებას იძლევა!

სიტყვის მნიშვნელობა იმდენად ძვირფასია, რომ მის სიღრმეში ჩაძიება უნდა მოვახდინოთ.

შობა მშობლის მოვალეობაა, დედის და შობილი კი ნაყოფია.

მისი მოქმედების ძალა მუდმივად ხდება და უსასრულობა უდევს საფუძველში.

აქ სიცოცხლის აზრია!

თუ არ იშობა ე.ი. განვითარება არ ხდება და რადგან შობაა – განვითარებაცაა!

და რადგან სამყარომ გამოკვეთილად დაუშვა შობის განსაზღვრა, ე.ი მის შინაარსზე ახდენს საუბარს და ეს დაბადება ხდება მუდმივად, ანუ შობით იბადები და იზრდება ენერგია.

ეს უნდა გავითვალისწინოთ!

მისი სილამაზე, აღფრთოვანება ემოციის ნაწილია და ეს ემოცია შემოქმედობით მაღლა სვლას, განვითარებას სწვდება. ეს პროცესი მთელ სხეულში ახდენს ზემოქმედებას და ის უჯრედის დონეზეც აქტიურდება.

როდესაც ცნობიერი გახსნილია, მაშინ შობა, როგორც პირველსაწყისი, ღმერთის აზრი და ნაყოფი უნდა გახდე, უნდა შეივსო დროში და გახდე სავსე მუდმივობაში.

სისავსე ჩვენში იწვევს ნაყოფიერებას, ნაყოფის გამცემი ხდები!

გაანაყოფიერებ გარემოს, ცოდნით, სიტყვით და აზრით.

არ უნდა შემოიფარგლოს ადამიანი ძველის გარშემო, უნდა მიიღოს ახალი, რადგან დრო მზარდია, რატომღაც აღვიქვავთ დროის მატებას სიბერისკენ მიმართულ პროცესს, მაგრამ სიტყვა სიბერე, სი–ბერე ზრდას უკავშირდება, სიბრძნეს და სისავსეს.

შევსებას, სადაც აზრი ახდენს მოქმედების პროცესზე გასვლას.

შობა – შობის პროცესია და მშობლის სტატუსს განიჭებს!

ანუ მშობელი ხდები! სიტყვის, აზრის მოქმედებით!

მე ვუერთდები ამ ყოვლად საინტერესო და მაღალი ღვთიური არსის პროცესს, მის სრულყოფილების შეგრძნებას, ათვისება – შეთვისების უნარს და მოხდება სიტყვის გაგება სადაც მისი შინაარსი ახდენს ადამიანთა ზრდა– განვითარებას, შეუცნობელის შეცნობას, ეს ი -ძლევა ყოვლად უმაღლეს მდგომარეობას და ხდები მაღალი დონის ადამიანი, სადაც აზრი იღებს ძალას.

ადამიანი მარგალიტის თვალია, ძნელად მოსაპოვებელი ღმერთისთვის, მაგრამ უძვირფასესი.

ამიტომ მისი მოპოვებისთვის ადამიანი მძიმე გზას გადის ტანჯვის სახით.

საერთოდ ცხოვრება წარმოადგენს დედამიწელებისთვის გამოცდის ადგილის, თვითეული ადამიანი ძვირფასი თვალია, ძვირფასეულობა კი წიაღირსეულია, მისი აღმოჩენა დაბადებას უტოლდება ჩვენთვის, ვის ხელშიც მოხვდება ეს სიმდიდრე ეს უკვე არჩევანია , მაგრამ როგორ გამოიყენებს ადამიანი ამას ესეც მისი გადასაწყვეტია.

თვითეული ადამიანი მშობელიცაა და შობს კიდეც, თვითეული შობილი დედისერთაა, ის ერთია და პირველობას ფლობს, და რადგან სიტყვა იძლევა მის სრულყოფილ შინაარსს, პირ – იდან წამოსულ ველზე, ე.ი. ენერგიაზეა საუბარი.

შობა – ენერგიაა!

ემოციაა! რომელსაც მთელი სხეული განიცდის მშობიარობის დროს, დაბადება კი მაღალი ენერგეტიკა, სადაც სიხარული და სიყვარული უცებ აღწევს მაღალ დონეს, სიცოცხლის გამოვლინებას. სასწაულთან შეხვედრა ხდება.

ეს ყველაფერი ადამიანის ხედვასთან და შეგრძნებებთან ახდენს კავშირს.

ამ ყველაფერს ემოცია აკონტროლებს, ანუ აღფრთოვანებას ბადებს, როგორც გაზაფხული, ამ დროს ფრთოსანი ხდები, დაფრინავ სიხარულით, სიყვარულით, ეს ძალიან მშვენიერი და უკვდავი გრძნობაა, იზრდები და ვითარდები.

ემოციაა შობასთან ერთად ახალი წელი, აღდგომა და ეს ადამიანში განსაკუთრებული ფორმით ვლინდება,

მისი მზადების დრო დღეებს ითვლის!

აქ ხდება ცნობიერების უმაღლესი წერტილის გახსნა ხდება და დამკვიდრება შიგნით, ძალა მადლი და დიდება მკვიდრდება ამ დროს!

გილოცავთ შობას და შეგეწიოთ შობის დიდი მადლი მშობლის სტატუსით!

გავხდეთ ღვთის – სიტყვის მშობლები!

2023 წლის 7 იანვარი!

ადამიანის გონება!

გ ო ს-ნ ე ბ ა!
უხილავობის ხილული სახეა!

თვით ა – და – მი -ანის წარმოქმნა უკავშირდება ღმერთს და მის მაღალ არსს!

ეს ენის საკუთრებაა! მისი ფუძეა, აზრია, ხილული ფორმა, რომელსაც ვარქმევთ განსაკუთრებულ სახელს, ღმ – ერთს!

მის სიღრმეს და უბრალოებას!

მაგრამ თვითონ ადამიანი, რომელიც ამ ბგერების ზეგავლენაში მოხვდა და დაერქვა ადამიანი, – ზრდაშია!

პერიოდულად ან ეტაპობრივად ხორციელდება მისი ზრდა– განვითარება, ის უბრალოება რისი ხილვაც ძალიან ადვილია და ბუნებაში მუშაობს ისე როგორც ბუნებრივი პროცესები, მისთვის ხდება მძიმედ აღსათქმელი და მუდმივად იმის ძიებაშია დამტკიცებულის გადამტკიცება როგორ მოახდინოს, ან შეცვალოს და სხვა ფორმა მისცეს.

ჩვენ,ადამიანები ვართ ორი სახის: – ქალბატონები და მამაკაცები. ყველა ერთი და იგივე სხეულით, განსხვავება ჩვენში აზროვნებაა,შეხედულება, როგორც გარეგანი ისევე შინაგანი, ეს ერთი განგვასხვავებს მეორესგან, რადგან ის ხილულია.

ყველაფერი იყოფა სამყაროში, მაგრამ ცოდნა უსასრულოდ გადაეცემა, ის არ ილევა, პირიქით უსასრულობას იძენს.

ჩვენი გამოვლინება არ მოიცავს სამყაროში ყველაფერს, პირველრიგში ეგოს ჩამოყალიბებით. "მე ვარ" – არ არსებობს ღმერთში!

ჩვენ ვართ! და ვიარსებებთ ყოველთვის, ღვთის არსია!

ბნელი აზრი ღმერთის უარყოფაა ჩვენში, ამიტომ აზრს კონტროლი უნდა, რათა ჩვენივე ნებით არ მოხდეს ეს უკიდურესი ფორმა, რადგან თავად ვართ სიტყვის ავტორი, აზრის მდგენელი.

ა– და – მი– ანი მარტო შენებისთვის, შექმნისთვის არის მოვლენილი, რადგან ჩვენში არსებული ღმერთის ნაწილი გველოდება ჩვენ, როგორც გამოვლენილი ღვთის ძალა.

ფიქრებს აყოლილი სამყარო უნიკალური სამყაროა, მისი მშენებელი და შემავსებელი კი ყველა მაღალი სულია!

რიცხვი თორმეტი უკვე აზრის შემავსებელი და ამმამაღლებელია!

"ჩვენთან არს ღმერთი!"

და მისი ძალა უკვდავია ყველგან და ყველაფერში!

ის ჩვენთანაა და ჩვენშია! ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ვემსახურებით მას! მაგრამ მსახურობის თვალსაზრისით ის უკვე ჩვენშია ჩამდგარი და ჩვენს სხეულს ავსებს თავისივე ენერგიით, ანუ გვმფარველობს! გვამაღლებს ის დიადი რაც მის ძალაში, ენერგიაში გამოიხატება, აბსოლიტურად მომართულია ჩვენსკენ და ჩვენში აღწევს იმ უმაღლესობას რასაც ღმ – ერთი ჰქვია!

მათემატიკის მოცემულობით და სამყაროს შემადგენელი გრაფიკი, რომელიც ამოცანად რჩება და მის უმაღლეს არსს ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთ, ასეთია!

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზის კვეთა ახდენს გრაფიკის შექმნას!

გრაფი – კი!

ვერტიკალზე მუდმივად ღმერთია, ის ენერგიაა, სამყაროში მუდმივად მოქმედი ღვთიური ენერგია!

ჰორიზონტალური ხაზი ეკუთვნის ადამიანს რომელიც მიისწრაფვის! საით?

საითაც აზროვნება წაიყვანს!

ყველაფერში არსებობს მიზიდულობის კანონი.

ეს ხაზები კი ისრებით გამოიხატება და შედგება. ერთი ისარი, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული ორი ერთიანია, როგორც კი მას ერთმანეთს მივადებთ ზურგით, ან დავწერთ ჩვენს წინ " ისარი " გამოჩნდება.

თვით სიტყვაც იძლევა მყარ პასუხს, ის – არი!

მოკლედ მათი გადაკვეთის წერტილი უკვე ჯვარს გვაუწყებს და ამ ისარს კი უსასრულობისაკენ სვლა შეუძლია, ანუ ზრდა.

გადაკვეთის წერტილიდან იწყებს ადამიანი განვითარებას და მიზნისკენ ანუ ღმერთში ივსება, სპირალისებურ სვლით, მოძრაობს გარშემო მის დანაყოფებზე.

აქ ხდება ადამიანისა და ღმერთის ენერგიების გადაკვეთა, ანუ მიიზიდა.

ე.ი. ეს გადაკვეთა ქმნის ჯვარს და აქედან გამომდინარე ადამიანი შესულია მისი აზროვნებიდან გამომდინარე ღმერთში,ანუ განიცდის სიყვარულს დიდი დოზას.რადგან სიყვარული ლოცვაა, ღმერთია და თავისთავად ამ ენერგიით შევსება ხდება სხეულში!

სხეულს კი თორმეტი ნაწილი ააქვს.

ადამიანი გარდა იმისა გაცნობიერებულ მდგომარეობაში, ბგერებითაც ივსება და ბუნების ფერხულშიც ებმევა.

ასე რომ "ა" – და – "მი"– "ანი"-აო, ამბობს სიტყვა.

"ა" თავისთავად ღმერთია და მამრ ენერგიას უკავშირდება, საწყისს ანბანის, ზეციურს,

" მი" – დედამიწასთან კავშირშია და ინ ენერგიაა, და ეს ყველაფერი "ანი "– აო!

ა ნ ბ ა ნ ი ა ო!

როგორც კი ადამიანის შინაგანი ენერგია ძირს ეცემა ბრაზის, წყენის ან ცუდი აზრების ზემოქმედებით, წყვეტა ხდება ამ ღვთიური ენერგიისა, ღმერთის განზომილებაში უარყოფითი აზრი არ არსებობს!

თვითონ ადამიანი ანიჭებს აზრს, ცუდის ან კარგის ფორმას, რაც ეგოდან გამომდინარეა!

უნდა შევძლოთ და დავიმორჩილოთ ეგო რათა ამ ჯვრის, განვითარების დონე შევინარჩუნოთ.

Gulnazi

Gulnazi Kharaishvili

ახლა განვიხილოთ სიტყვა ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

აქვე ჩავწვდეთ სიტყვის შინაარსს და მნიშვნელობას, რომელიც ბგერების ძალით მუშაობს.

ვ – ერ – ტი – კ – ალ – ი!

"ვერ"– დასაძლევი, ანუ ძნელად აღსათქმელი მნიშვნელობისაა, მაგრამ "ვ – ერ" აქ უკვე ერის კუთვნილებაა და მასზე მიგვანიშნებს. და ამ ერში "ტი" ჩვენზეა საუბარი, ნებისმიერ ადამიანზე, ვინც გააცნობიერებს ამ პროცესს.

"კ – ალ " ღვთის ცეცხლოვანი ენერგიააო, "ურ (ი)" -(ა) გახმოვანება ხდება სამყაროში!

ჰ – ორი – ზონ – ტ – ალ – ური!

"ჰ"– ბგერა უნივერსალური ბგერაა, ჰ-აერ-ს, ჟ – ან – გ – ბად – ს უკავშირდება და ის მბადებელია სიცოცხლის ენერგიის, " ორი" – უკვე ინ – იანის ენერგია, რადგან სრულყოფილებას იძლევა, "ზონ" – გარკვეულ ადგილს მიუთითებს, "ტ" – ბგერა სამყარო და სივრცეა, უსასრულობაში, "ალ" – ისევ ენერგია და ურ – (ი)– (ა) ისევ გახმაურებული მდგომარეობა!

თვითონ "ი " ბგერას საოცარი დატვირთვა ააქვს ენაში!

ი – ესო! ი – ძლევა!

ა-ი ი-ა!

და ეს ერთიანობაში განიხილება, როგორც მშენებელი ენერგია და ღმერთის გზა,

აქედან გამომდინარე ჩვენ ვხდებით უკვე "გ რ ა ფ ი – კ ი! – მამრი საწყისი და დასტური სამყაროსი "კ ი"! ე.ი მამაკაცი ხდება გ რ ა ფ ი, როგორც კი გაცნობიერებას შესძლებს და ჩაებმევა ამ პროცესებში.

მდედრის საწყისი გ რ ა ფ ი – ნ ი – ა!

"ნ ი" ბგერები ცნობიერებაზეა პასუხისმგებელი!

ანუ იკვთება ის რომ ქალბატონები ვფლობთ მაღალ ინტელექტს და ვართ გამორჩეულები ცოდნის დონით ასევე!

ზუსტად ამ გრაფიკში ხდება ჩვენივე, საკუთარი სპირალის წარმოქმნა და დაბადება, შევსება ღვთიური ენერგიის, რომელიც ზრდაში გადადის ანუ გ ა ა ზ რ ე ბ ა!

ამ პროცესებს ვახდენთ დ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ს დროს!

ციფრები შიდა და გარე განზომილებას განსაზღვრავს და ამას ხელების ერთად შეხებაც ადასტურებს, ორი ხელი ერთად, აქეთ იქით. წინა და უკანა მხრიდან,

ასევე წერის დროს მივაქციოთ ყურადღება თუ რა მინიშნებებს იძლევა თვითეული რიცხვი ორჯელ აღებული წინა და უკანა მხრიდან როგორც ხელები!

ნ ი – ნ ო!

წმინდანის სახელი, გამორჩეულობის სიმბოლო და ხატად ქცეული ჭეშმარიტება!

ჯ ვ ა რ ი! ჯ – ვ ა რ – ი!

ფორმა როგორც ს ა ს წ ო რ ი! ს ა – ს წ – ო რ – ი! ე ი სასიდან სწორი ბგერების წარმოთქმის ძალა დევს, ანუ პირიდან!

უწყვეტი სულიერი ჯაჭვი მოედინება სრულიად სამყაროდან, ს ა მ – ყ ა რ ო დ ა ნ, რაც სამებასთან კავშირს ადასტურებს და მის გამყარებას, ამიტომ წარმოდგენები ღმერთის შესახებ ვეძიოთ უნდა მასში და მივიღებთ კიდეც პასუხს.

უკვდავებაა – ა ღ დ გ ო მ ა ა!

რელიგია კი სულიერების ცეცხლი, რომელიც სწვავს და ანადგურებს ყველაფერს რაც კი მიუღებელია.

დედამიწა სულისთვის ზრდაა, რაც ადამიანად ჩამოყალიბებაში გვეხმარება და როდესაც ეს ზრდა დასრულებულად ჩაითვლება სული გადადის სხვა სამყაროში გაცნობიერებისთვის, რათა ზრდა გააგრძელოს და მიაღწიოს ღვთის უმაღლეს სახეს.

ზუსტად აქ დევს საიდუმლოს გასაღები და ყველა მეცნიერება ერთდროულად ამ გასაღებზეა მოსაუბრე, გავაღოთ კარები ამ ბგერების დახმარებით და მათემატიკა– გეომეტრიაც გამოვიყენოთ, სადაც მოჩუქურთმებული ფიგურები განსაკუთრებულ სახედ გვევლინებიან!

იქნება და ჩვენშიც შევქმნათ ეს უნივერსალურობა!

მიყვარხართ და მეიმედებით!

პატივისცემით ხათუნა ელიაშვილი – ჩიმაკაძე!

მეცნიერებაში ფერიცვალება უფლისა! სიმწიფის ტოლფასია!

კაცობრიობის სიმწიფე და აზროვნების ფერიცვალება ერთერთი მთავარი მოვლენაა დედამიწაზე!

მთავარი ხ ი ლ ი!

მინიშნება მაჩვენებელია ბუნების შედეგისა, რაც იძლევა ცნობას, დროში მიღწეულის!

როგორც მცენარე ახერხებს ამას, ასევე უნდა მოახერხოს და მიაღწიოს ადამიანმა ფერიცვალებას, არ უნდა დარჩეს მუდმივად მკვახე, განუვითარებელი, რადგან ადამიანი უფრო დიდი მიზანია ღვთისა!

მიმაჩნია, რომ ადამიანი მნიშვნელოვანი ნაყოფია ღმერთის და ამ სამყაროსი, დიად ადამიანებს შესწევთ უნარი ღმერთის განდიდებისა და სამყაროს შევსების.

ერთერთი უძვირფასესი საგანძურია სიცოცხლის განვრცობისა და ღმერთის მიზნის გაზრდისა.

ვშიფრავ ქართულ ენას და აღმოვაჩინე, რომ ა დ ა მ ი ა ნ ი – ქართული ენაა! და სიტყვა – ენის შევსებით ა-და-მი-ანს ადამიანად წარმოგვიდგენს!

ეს ინფორმაცია არსებობისთვისაა მოსული!

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა – ი ნ ო ვ ა ც ი ა ა!

ს ხ ე უ ლ ი ; ს-ხე-ული მოვლას საჭიროებს თურმე და როგორც " ხე " უნდა მოუარო!

ზოდიაქო! ზ ო დ ი – ა ქ ო, ის ზოდი ყოფილა, მაგალითად ოქროს ზოდი და უნდა აქოვო.

ი ო ტ ა!

ჩვენი, ძველი ქართულის ასო ბგერა, რომელიც უკვე მიღწეულის მაჩვენებელია სამყაროში, შესრულებული ღვთიური მისიის აღმნიშვნელი!

ანუ მას აქვს მფარველობის ფორმა,

დაკეტა,

და უკვე უარყოფითი ძალა ვეღარ აღწევს მასში.

აუცილებელია ცვლილებების განხორციელება, რადგან დროთა ეს ცვლილებები რაც დღეს მიმდინარეობს დამახინჯებულ ცნობიერებას მიეწერება, ამიტომ უნდა აღდგეს და გაცოცხლდეს საუკუნე, აღარ უნდა იყოს ის, რაც ხდება.

პიროვნული ზრდა უნდა განხორციელდეს, უნდა დაფიქრდეს ადამიანი და იპოვოს სიღრმე, სულის გამოვლინებისა, უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან უსულო სხეული უკვე გ ვ ა მ ი ა! და ყროლდება.

სასწაულია, მაგრამ ასეა წყალიც, ცოცხალია, ისევე როგორც სხეული, მისი ზოდიაქო წარმოადგენს წელიწადს, დროის შესაბამისობაში მოდის გაღვიძება განახლების პროცესი.

ის სიცოცხლეს აყალიბებს! ყვავილი ფენომენია! უჯრედიდან იხსნება აღწევს სრულყოფილებას და სილამაზესთან ერთად სიცოცხლეს ატკბობს.

მე-ც-ნი-ერ-ება! ანუ შენ თვითონ ახდენო გაცნობიერებას სიბრძნეში.

აზრის ცვალებადობა არ შეიძლება!...

სრულ უსასრულობის მიღებას ვახორციელებთ!

სამყაროს მაგალითების ამოხსნაა მთავარი, სიცოცხლის მაგალითების, ბუნების შედეგების და მის გზაკვალზე სიარულის.მათში შესვლას და მასში დამკვიდრებას, მათში გაოცების – გაოცებით ცხოვრებას ვგულისხმობ.

ყველა ადამიანი გამოვლენილია როგორც ხის ფოთოლი, თავისი ოცნებებითა და ინფორმაციით.

ყოველი ჩამოვარდნილი ფოთოლი კი ახდენილი ოცნებაა ხეში, ღმერთში გასული ოცნების, ვინც სწრაფად ახდენს ამ პროცესს და ეს უკვე გამარჯვებაა!

ცოდნა სიკვდილს აშორებს ადამიანს, ანუ დაშორება, მოშორება ხდება სიკვდილის.

მასში ჩატეულია მხოლოდ სამყაროსა და ბუნების საიდუმლოება.

დიდი ღ მ ე რ თ ი!

რომელიც მხოლოდ ღვთიურ საწყისებზე ახდენს ზრდაგანვითარებას და გულში ჩატეული ინფორმაციის მოტანას ჩვენამდე.

ხედვით კი ვხედავთ, მაგრამ აზრით არ შევდივართ მასში, არ ველაპარაკებით. მარტო ვკმაყოფილდებით მისი გარეგნობით, სიმწვანით და მშვენიერებით, არა და ნეტავი თავისი ბუნებიდან გამომდინარე რას საუბრობს, რის თქმას აპირებს, რას ფიქრობს, რისი გადმოცემა სურს თავისი ცხოვრების შინაარსით?!

ტ ყ ე – გამოსხივებაა!

მასში გამოსხივების არსის ფუძეა დამალული და ამ ტოტებით, წვრილ-წვრილი გრძელი ტოტები გამოირჩევა და ეს არის მისი არსის ძალაა!

ტ ყ ე მ ა ლი უკვე სამყაროს მალასთანაა კავშირში და ის უკავშირდება ყველაფერს აყვავებისთანავე!

ანუ ტ ყ ე – მ ა ლ (ი)– (ა) სამყაროს მალა ყოფილა რომელიც გაზაფხულზე ყვავილობს ისე რომ, აბსოლიტურად ავსებს ხის სხეულს, მთლიანად ყვავილით ხდება გადაპენტვა!

კ ვ ი რ – (ტ ი) კი გამრავლებაა და შენ ხაარო! გაკვირვების დონეზე!

ჭ ე რ – ა მ ი (ნ) – საოცრება და თურმე ჭერს ლოცავს!

სადაც ეს ხე დგას ლოცვის ძალის ტოლფასი ყოფილა.

შ ი ნ -დ ი(ს)

მასაც გასაოცარი შინაარსი აქვს და შინ, სხეულში ახდენს დინების პროცესს, ავსებს და აჯამრთელებს ყველაფერს.

კ ი – ტ რ ი – სუფთა სამებაა!

და დასტურს იძლევა – კი – თი!

ბ ა დ რ ი – ჯ ა ნ ი – პირდაპირ ჯანს ბადრავს, გაბადვრა მიდის, ავსებს ენერგიით და ცოდნით!

დედამიწის გულში გაღვიძებული ცეცხლის ნაკადია ეს ყველაფერი, რომელიც სივრცეში იბადება ნაყოფის სახით, ხილი, ხალია სხეულზე, ვის რამდენი ხალი გაქვთ, რამდენ ხილს ვამწიფებთ, რას ვფიქრობთ და რაზე ვსაუბრობთ?!

მთავარი აი ეს არის!

გავუფრთხილდეთ ჩვენს სულებს, მასში ღმერთის ძალა დევს, რომელიც მუდამ შევსებას და განვითარებას ითხოვს, მისი ფორმაა შეაღწიოს ყველა უჯრედში და გაბრწყინდეს, მისი ამაღლებული მისია ღმერთშია!

მას განიცდის ყველაფერი სამყაროში და უფრთხილდებიან, კოდირებული ინფორმაცია დევს ყველაფერში და ეს მათ კარგად ესმით, მარტო ადამიანია ამ ცოდნის მიღმა დარჩენილი თავისი უცოდინრობით, რადგან ყველაფერი სწავლას მოითხოვს, ესეც უნდა ვისწავლოთ რომ უფსკრულში არ აღმოვჩნდეთ, პირიქით მწვერვალის დაპყრობა უნდა შევძლოთ.

რადგან ჩვენი მისია, ჩვენი გადარჩენა მხოლოდ ცოდნაში, ცნობიერების ამაღლებაში დევს!

2023 წელი,
28 ივლისი.

დავით ყანდაშვილი

იონის რაობასთან დაკავშირებით!

თემატიკა, რომელიც ქალბატონმა ხათუნამ აირჩია, ერთობ საგულისხმო და საინტერესოა თავისი დანიშნულებით, რომელიც სამყაროს მიერ აქვს მინიჭებული. ეს არის „იონი“ და ყველაფერი იონის შესახებ. შეიძლება ძალიან ბევრი წახნაგი მოეძებნოს ამ ცნებას და მის მიმართებას. თუ წაიკითხავთ ხათუნა ელიაშვილის წიგნს, ამ წახნაგების გაცნობას შეძლებთ.

მაგრამ... მე მინდა ხაზი გავუსვა ქართულ ენაზე წარმოთქმული ბგერებისა და სიტყვების განსხვავებულობას იგივე ლათინური ან სლავური ენებისაგან. იგი თავისი ბუნებითა და დატვირთვით ძალიან ახლოსაა სანსკრიტულ ენასთან. იმ ძველისძველი ცნობიერების ელემენტები ბუნებრივად ცოცხლდება როდესაც ქართულ ენაზე მეტყველებს ადამიანი.

„იონ“-ზე როცა ვლაპარაკობთ, ეს მიმართება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დროთა განმავლობაში იონ-ის ძირის მატარებელ ბევრ სიტყვაში იგი ონ-ად გადაიქცა, უბრალოდ წარმოიდგინეთ, რამდენი სიტყვა და რამდენი ცნობიერი მიმართებაა ამ ასობგერათა ჯგუფის მატარებელი. მაგალითისათვის, უბრალოდ ჩამოვთვლი – კან-ონი, დემ-ონი, პატრ-ონი, კამერტ-ონი, ფაეტ-ონი, გარმ-ონი, ფ-ონი, ტ-ონი, სეზ-ონი, ეტალ-ონი, კოც-ონი და ა. შ. და ა. შ. თითქოს რა შუაშია იონ-თან, მაგრამ ჩემის აზრით 99 % მათგანისა იონ-დან ონ-ად არის გარდაქმნილი. თან ნახეთ, რა საინტერესოდ არის მათი ცნობიერი დატვირთვა გაბნეული ყველგან და ყველაფერში.

ასე რომ, ეს ძალიან დიდი დიაპაზონის სივრცეს მოიცავს და ზედმიწევნით ყველაფერში იმყოფება.

ამის „გადამკიდე“, ქალბატონი ხათუნა, სურს ეს თუ არა, „იონ“-თან ერთად მოგზაურობისას ყველაფერში შედის და ყველაფერს ეხება. ყოველი შეხება კი ადამიანზე წარუშლელ კვალს ტოვებს, ტრანსცენდენტულ შეგრძნებებს აჩენს და ამ სივრცეების მატარებლად და დესპანად აქცევს.

ბატონებო და ქალბატონებო, სცადეთ, თქვენც იმოგზაუროთ ამ უკიდეგანო სივრცეებში, რა თქმა უნდა, ქალბატონი ხათუნას დახმარებით, იქ ნამდვილად დაგჭირდებათ გზამკვლევი, გამცილებელი, ვინც ყველაფერს დაგათვალიერებინებთ და აგიხსნით. ხათუნა უკვე იქ იყო, არის და, ალბათ, მომავლშიც იქნება, ის ხომ ამ სამყაროებში შინაური და უკვე ადგილობრივი მოსახლესავითაა. ასე რომ, თუ საინტერესო მოგზაურობა გსურთ, მიმართეთ ქალბატონი ხათუნას სახელმძღვანელოს, ჩაუღრმავდით მის სიღრმეებს და როცა დაბრუნდებით, მასში ჯერ არ ნამოგზაურებულებსაც გაუზიარეთ თქვენი ასოციაციები და შეგრძნებები.

სამართლმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

კომლის წევრის საკუთრების უფლება

1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების საკითხი დღეისთვის, 30 წლის შემდეგაც აქტუალურია და ამ ქონებების რეგისტრაცია, არცთუ იშვიათად, სასამართლო დავის საგანი ხდება.

კომლის განსახილველი საკითხის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნევ, ყურადღება გამახვილდეს კომლის წევრობასა და კომლის ქონებაზე.

კომლი სოფლის ადგილობრივი ორგანოების მიერ ყოველთვის ცალკე იყო რეგისტრირებული საადგილმამულო წიგნში, ოჯახის თითოეული წევრის და ოჯახის რიცხული ქონების აღნიშვნით. კომლი წარმოადგენდა ოჯახის წევრთა ერთიან კავშირს, რომელსაც გააჩნდა ერთიანი ქონება, გარკვეული უფლება-მოვალეობები, აგრეთვე პასუხისმგებლობა როგორც ერთმანეთის, ისე მესამე პირთა მიმართ (იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში, თბ., 2004, გვ. 11). კომლში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც რამდენიმე, ისე ერთი წევრი. კომლის საქმიანობა არ რეგულირდებოდა სპეციალური წესდებით, რადგან კომლი არ განიხილებოდა როგორც იურიდიული პირი. კომლს გააჩნდა პირადი საკუთრება და როგორც ამ საკუთრების უფლების სუბიექტი, რეგისტრირებული იყო სოფლის საბჭოში, სადაც მითითებული იყო კომლის უფროსი, კომლის წევრები და კომლის ქონება.

საკომლო ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირებული იყო 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 122-ე მუხლის თანახმად, კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით, ამავე კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ყველა წევრს კომლის ქონება თანაბარი წილით ეკუთვნის. კომლს გააჩნდა საერთო საკუთრება, რომელიც მის წევრებს ეკუთვნოდა თანასაკუთრების უფლებით. კომლის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებდა კომლის ყველა წევრის თანხმობით. კომლის საერთო ქონებიდან კომლის წევრის წილის განსაზღვრა – გამიჯვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამ შემთხვევაში: 1) მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან, ახალი კომლის შეუქმნელად (გამოყოფა); 2) ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნისას (გაყრა); 3) კომლის წევრის პირადი ვალდებულებების მიხედვით გადახდევინება. კომლის ქონებაში ყველა წევრს, მათ შორის

არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდათ (იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში, თბ., 2004, გვ. 18).

დღეის მდგომარეობით ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას წარმოადგენდა, არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი.

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის # 949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის # 29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბარე და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადიოდა მათ კერძო საკუთრებაში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის # 128 დადგენილების მეორე პუნქტით კი, დადგინდა, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები უნდა გაცემულიყო 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით.

ამ მიმართებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ ნორმატიული აქტით დადგენილი პერიოდისათვის, კერძოდ, 1992 წლის 1 იანვრის მდომარეობით, პირი კომლის ოჯახის წევრად უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული (აღრიცხული). ამავე ნორმატიული ბაზიდან გამომდინარე, აღნიშნულ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან დამოუკიდებელ ოჯახად გასულ და რეგისტრირებულ ოჯახს უფლება წარმოეშობოდა, სხვა ადგილას მიეღო ასევე ქონება მიღება-ჩაბარების აქტით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმატიული წყაროს მიზანი იყო ოჯახების მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მიწების დაკანონება, ამდენად, აღნიშნული პერიოდისათვის ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრის სახელზე მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენდა ამავე ოჯახის ყველა ის წევრი, რომელსაც სხვა მიწის ნაკვეთის მიღებაზე უფლება არ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, აპირებდა თუ არა იგი აღნიშნული უფლების რეალიზებას.

საკასაციო სასამართლოს არა ერთ საქმეზე აქვს განმარტებული: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა

საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი“ (შდრ. სუსგ №ას-1778-1756-2011, 29.06.2012წ).

აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვან წევრებს, თანაბარი წილი ეკუთვნოდა კომლის ქონებაში.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525-ე ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალში მითითებულია ამონაწერი საკომლო წიგნიდან, ასევე „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად, სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადი სია.

ამ სამართლებრივი დანაწესების საფუძველზე, მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობა წარმოადგენს საჯარო რეესტრში ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველს, ხოლო მართლზომიერი მფლობელობის დამდგენ დოკუმენტად კი მიჩნეულია საკომლო წიგნიდან ამონაწერი და საგადასახადო (ან სარეფორმო სია და სხვა დოკუმენტები) სია. საკანონმდებლო მოწესრიგების საფუძველზე მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საკომლო ცნობა მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ იგი ასახავს კომლის წევრთა ვინაობას და კომლზე რიცხულ ქონებას 1992 წლის 01 იანვრის მდგომარეობით.

შესაბამისად, პირი, რომელიც 1992 წლის 01 იანვრის მდგომარეობით წარმოადგენს კომლის წევრს, რაც საარქივო ცნობის ჩანაწერით დასტურდება, უფლება აქვს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს ყოფილი კომლის ქონების მესაკუთრედ/ თანამესაკუთრედ. უმეტეს შემთხვევაში დავის საფუძველი არის ის გარემოება, რომ ქონება კომლის უფროსის საკუთრებაშია აღრიცხული და მის პირად საკუთრებად მიიჩნევს დაინტერესებული მხარე. ასეთ შემთხვევებში, სადავო ქონებებზე (საკომლო ქონება) ყოფილი კომლის წევრის თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია 1964 წლის რედაქციის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 122-ე და 125-ე მუხლები; „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილება; სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტი.

მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი) მოთხოვნით დაინტერესებულ პირს (მოსარჩელეს) ეკისრება და ეს რთული არ არის, თუ მოიპოვება საარქივო ცნობა კომლში 1992 წლის 01 იანვრამდე მისი წევრობის შესახებ. აქვე აღვნიშვავ, რომ მსგავს დავებზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. აღნიშნულზე უზენაესი სასამართლოს მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა არსებობს და განმარტებულია, რომ „საკუთრების უფლება აბსოლუტური სანივთო უფლების კლასიკური სახეა, რომელიც დროში არ იზღუდება. აბსოლუტური უფლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი სხვა პირთა ქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ უფლების განხორციელება უფლებამოსილი პირის აბსოლუტური ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი დაცვა უზრუნველყოფილია ნებისმიერი შესაძლო ხელყოფისაგან. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მის საკუთრებაში არსებულ ნივთზე უფლების დაცვა. შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა“ (იხ.სუსგ. N ას-750-718-2014).

ამიტომ, რომ შევაჯამოთ, კომლის წევრის საკუთრების უფლება კანონით არის დაცული და მისი რეალიზაცია კომლის წევრის ნებაზეა დამოკიდებული.

უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა და არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია

როგორ არის დაცული მესაკუთრე, რომელსაც უძრავ ქონებაზე მფლობელობის უფლება შეეზღუდა არამართლზომიერი მფლობელისგან? უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი. „სავინდიკაციო სარჩელი ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ მესაკუთრეს, რომელსაც ჩამოერთვა მფლობელობა, შეუძლია ნივთი მოითხოვოს მფლობელისაგან, რომელიც არაკეთილსინდისიერად აკავებს ნივთს. საკუთრების უფლებამ ნივთზე სრული ბატონობა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ფაქტობრივი ბატონობა – მფლობელობის სახით. ცხადია, მესაკუთრეს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად აქვს მფლობელობის უფლებაც და თუკი მოხდება საკუთრების მფლობელობის ჩამორთმევა, მას შეუძლია არაუფლებამოსილ მფლობელს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება (იხ.: თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ. 245).

დავის გადაწყვეტა ხდება ვინდიკაციური სარჩელის სასამართლოში წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის გამოთხოვის მართლზომიერება. ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის

სამართლებრივი წინაპირობებია: მოსარჩელე არის ნივთის მესაკუთრე; მოპასუხე/მოპასუხეები არიან მოსარჩელის კუთვნილი ნივთის მფლობელი და მათ არ გააჩნიათ ამ ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 311-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა ვლინდება საჯარო რეესტრიდან, ხოლო, ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ არსებობს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის, 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრის ჩანაწერების საფუძველზე მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ხოლო მოპასუხეები არ უნდა წარმოადგენდნენ სადავო უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელს. ასევე, მხარეთა შორის არ უნდა იყოს რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც მოსარჩელე (მესაკუთრე) შეიძლება შეზღუდულიყო მოპასუხეებთან მიმართებით. ამასთან, არ უნდა არსებობდეს არც კანონისმიერი საფუძველი უფლებრივი შებოჭვისთვის. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია, სრულყოფილად განახორციელოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე კანონით გარანტირებული უფლებები. აღნიშნული გარემოებები კი, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია. აღნიშნულ საკითხზე უკვე დიდი ხანია არსებობს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა და უმეტეს შემთხვევაში ასეთი სარჩელის ავტორი წარმატებულ შედეგს იღებს, რაც ნიშნავს, რომ მისი, როგორც მესაკუთრის მოთხოვნა კმაყოფილდება.

აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა, გარდა ზემოთ მოხმობილი სამოქალააქო კანონმდებლობის ნორმებისა, სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებულ საკუთრების უფლებით შეუზღუდავად სარგებლობის პრინციპს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკუთრების უფლება ფართოდაა განმარტებული და იგი მოიცავს მთელ რიგ ქონებრივ/ ფულად უფლებებს, რომელიც საკუთრებიდან გამომდინარეობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – მარქსი ბელგიის წინაღმდეგ განმარტა: „იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მუხლი პირველი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები „საკუთრება“ და „საკუთრების გამოყენება“. (მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხ. №6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი).

საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება სამივე წინაპირობის არსებობა, შესაძლებელი გახდება მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. ვინდიკაციური სარჩელის საფუძვლიანობა მოწმდება იმ გარემოებათა შეფასებით, არსებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფლება ნივთზე და იმყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირის არამართლზომიერ მფლობელობაში; (შდრ: სუსგ №ას-709-2022, 30 სექტემბერი, 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეები საკმაოდ ბევრია და აქტუალურობას არ კარგავს. აქ შეიძლება ძირითადად ორი კატეგორიის საფუძველი გამოიყოს: როდესაც ფულადი ან სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობით მესაკუთრე კარგავს ქონებაზე საკუთრების უფლებას, ხოლო ახალ მესაკუთრეს არ უთავისუფლებს შეძენილ საკუთრებას და მეორე, შედარებით ნაკლებია როდესაც დავა ოჯახის წევრების ერთად ცხოვრების შეუთავსებლობიდან გამომდინარეობს. ზემოთ მითითებული სასამართლო პრაქტიკა ორივე შემთხვევისთვის საერთოა. სასამართლოს დასაბუთება ამგვარია: „საკითხისადმი ამგვარი მიდგომა იმითაა განპირობებული, რომ მესაკუთრის ინტერესი, არ დაუშვას სხვა პირის მიერ ქონების უკანონოდ სარგებლობა, აღემატება მფლობელის ინტერესს, რომელიც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის საფუძვლიანობას ვერ ადასტურებს (შდრ. სუსგ: №ას-1315-2018, 2019 წლის 31 იანვრის განჩინება). სხვაგვარად, წინააღმდეგობა შეიქმნება „საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლების“ პრინციპთანაც, რაც ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით მესაკუთრის მიერ ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის უფლებას გარანტირებულს ხდის. გარდა ამისა, საწინააღმდეგო მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, შეუსაბამობა გამოიკვეთება მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან, რომლითაც საკუთრებით სარგებლობის თაობაზე მესაკუთრის უფლება აღიარებულია და მფლობელს მესაკუთრის პირისპირ უპირატესობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიენიჭოს, თუკი მისი მფლობელობა მართლზომიერად იქნება მიჩნეული (სსკ-ის 159-ე და 162-ე მუხლები)."

თუმცა მეორე ტიპის დავებში საკითხი უფრო რთულდება, თუ მესაკუთრე ითხოვს არამესაკუთრე ოჯახის წევრის გასახლებას არასრულწლოვან შვილებთან ან შვილიშვილებთან ერთად, არასრულწლოვანი შესაძლოა ფიგურირებდეს პირველი ტიპის საქმეებში, მაგრამ ააქ განსხვავება და გადამწყვეტია ნათესაური კავშირი. ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკას თუ

გადავავლებთ თვალს, არასრულწლოვანების ფაქტორი მესაკუთრის საწინააღმდეგოდ არის გამოყენებული და მესაკუთრის სარჩელი არ კმაყოფილდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს საქმეებზე ვხვდებით არაერთგვაროვან მიდგომას. მაგალითად, საქმე №აას-1514-2022 (09 მარტი, 2023 წელი) უშუალოდ არასრულწლოვანებს ეხებათ, რომელთა ბებიას ასევე არ ჰქონდა სხვა საცხოვრებელი სახლი. კონკრეტულ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დაადასტურა მისი საკუთრების უფლების არსებობა სადავო ქონებაზე. მოპასუხეს ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მისი მფლობელობა მართლზომიერია. კასატორი მიუთითებდა, რომ წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, ვინაიდან, მან სადავო უძრავი ქონება იყიდა მოსარჩელის აწ გარდაცვლილი მეუღლისგან 2005 წელს და აღნიშნული დაადასტურეს მოწმეებმაც. და რომ მასთან ერთად ცხოვრობენ არასრულწლოვანები.

გადაწყვეტილებაში მითითებულია: „რაც შეეხება კასატორის საკასაციო პრეტენზიას სადავო უძრავ ქონებაში არარულწლოვნების ცხოვრებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნულ პრეტენზიას ასევე ვერ გაიზიარებს და მიუთითებს, რომ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად ბავშვის (18 წლამდე პირის) კეთილდღეობაზე და საუკეთესო ინტერესებზე ზრუნვის ვალდებულება აქვს ბავშვის მშობლებს, მეურვეებს, სახელმწიფოს, რომელიც წარმოდგენილია სოციალური მომსახურების დაწესებულებებით.

პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასა და დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა აღსანიშნავია, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. კონვენციისა და სსკ-ის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის (მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით) ანალიზიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესების ჯეროვანი დაცვა მათ კანონიერ წარმომადგენლებს ევალებათ. ამრიგად, მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო უძრავ ქონებაში არასრულწლოვნებიც ცხოვრობენ, ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ მესაკუთრეს საკუთრების უფლება შეეზღუდოს.“

მოხმობილი საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ სხვა შემთხვევაში მიუთითა სსკ. 115-ე მუხლზე და რომ მესაკუთრე ბოროტად იყენებს თავის უფლებას და იმის გამო რომ მესაკუთრე იქ არ ცხოვრობს ამჟამად, თვლის რომ ქონების გამოთავისუფლების აუცილებლობაც არ არსებობს. მოცემულ საქმეზე სასამართლომ ასევე გამოიყენა 1225-ე მუხლზე მითითებით კანონის ანალოგია (ბებიის და პაპის საალიმენტო მოვალეობები) და ასევე, ინტერპრეტაციით გააკეთა მისი განმარტება, კერძოდ, საალიმენტო მოვალეობებს მიუსადაგა მესაკუთრე/ბებიის საკუთრებით სარგებლობა, რითაც მესაკუთრეს შეუზღუდა საკუთრების უფლება. სპეციალური ნორმის არსებობის პირობებში კანონის ანალოგიის გამოყენება, ან საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონიერი

საფუძვლის გარეშე გადაწყვეტილებას კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს. მოცემულ საქმეზე ჯერ არ არის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და ვფიქრობ, საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკისთვის.

დავას არ იწვევს საკითხი, რომ ბავშვის უფლებები უნდა იყოს დაცული, მაგრამ როგორ უნდა იყოს დაცული ბალანსი მესაკუთრის და არასრულწლოვანის ინტერესთა კონფლიქტის დროს, საკმაოდ რთული დასადგენი და სადავოა.

რომ შევაჯამოთ, სასამართლოს მსგავსი მიდგომა, რაც უდავოდ და ობიექტურად ბავშვის უფლებათა დაცვისკენ არის მიმართული, ჩემი შეფასებით, ლახავს მესაკუთრის უფლებას და ეწინააღმდეგება: 1) საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილს, რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია;

2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში იმეორებს, რომ „საკუთრების ცნებას დამატებითი №1 ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ შემოიფარგლება ფიზიკური ნივთების ფლობით და ის დამოუკიდებელია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ოფიციალური კლასიფიკაციისგან: „საკუთრების“ ცნება არ შემოიფარგლება „არსებული საკუთრებით“, არამედ ის შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, სარჩელების ჩათვლით, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს, რომ მას გააჩნია საკუთრების უფლებისა ან ქონებრივი ინტერესის ეფექტური გამოყენების გონივრული და „კანონიერი მოლოდინი“ (იხ. იონერილდიზი თურქეთის წინაამდეგ, დიდი პალატა, №48939/99, §124, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004-XII; პრინცი ჰანს-ადამ II ლიხტენშტეინი გერმანიის წინააღმდეგ; დიდი პალატა, N42527/98, § 83, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-VIII).

3) სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ ნორმებს. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, შემუშავდება სპეციალური ნორმა ან მექანიზმი, რომლითაც ბავშვის კეთილდღეობაზე და საუკეთესო ინტერესებზე ზრუნვის ვალდებულება დაეკისრებათ ბავშვის მშობლებს, მეურვეებს, სახელმწიფოს და ამ საფუძვლით მესაკუთრეს უფლება არ შეეზღუდება.

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ათინათის 49-ე ნომერში)

პოლიტიკა

***

იმ დროს, როდესაც აღტკინებული ბრბო პოლიტიკურ სასწაულებს ტაშს უკრავს, რაციონალური გონება ტყუილების გამოაშკარავებითაა დაკავებული.

***

ჩვენი ერი რომ შეკრული ერი იყოს, მიზანს ყოველთვის მიაღწევდა, მაგრამ დონორებისა და სისხლის გადასხმის გარეშე ერთმანეთს დავჭამთ...

***

პოლიტიკური ძალა არაა ის ძალა, რომლის მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან – მის შინაარსთან ახლო არაა. სახელმწიფოებრივი შინაარსი კი ეს არის:
1. ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა-დაცულობა.
2. დემოგრაფიული სიმრთელე-სიჯანსაღე.
3. სწორი და მკაფიო იდეოლოგია, რომელიც ხალხს ერთი მიზნისკენ დარაზმავს.
ამ პუნქტების შინაარსში ძევს მთლიანად სახელმწიფოს რაობა, ამან უნდა განსაზღვროს წარსული, ახლანდელი და მომავალი პოლიტიკოსების და სახელმწიფოს მოღვაწეობა და შეფასება. ის პოლიტიკოსები და სახელმწიფოები, რომლებიც ამ პუნქტების დაცულობას ვერ უზრუნველყოფენ, შეფასებითი შკალიდან საერთოდ უნდა გაქრნენ. თუ ამის მიხედვით განვსჯით 90-იან წლების შემდგომ ჩვენს მდგომარეობას, საქართველოში პოლიტიკოსები, მით უფრო, სახელმწიფო არ ფუნქციონირებდა!..

***

ნებისმიერი პოლიტიკური მანქანის მიერ, მალფუჭებადი _ პერცეპტული (ზედაპირული) აღქმის სტერეოტიპების სერიული გამოშვება კრახით დამთავრდება.

***

ადამიანებს ჯერ წაართვა ძირითადი უფლებები და მერე გამოგონილი უფლებები შესთავაზო, _ ეს არის მარაზმი...

***

დროა, ვაღიაროთ 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ქარაფშუტობა...

***

ერთსქესიანთა ქორწინების და მათ მიერ შვილად აყვანის დაკანონებით, გერმანიამ, როგორც ქვეყანამ _ საზოგადოებამ, თავისი თავი დაასაჭურისა. ეს არის კულტურისა და ცივილიზაციის დასრულებულად გამოცხადება და ამის აღიარება.

***

ძლიერმა სახელმწიფოებმა ძალაუფლების კონცენტრაცია იმდაგვარად მოახდინეს, რომ მათ ხელშია არათუ ცალკეული ადამიანების და სუსტი სახელმწიფოების ბედი, არამედ ჩვენი პლანეტის ბედიც.

***

ახლა საჭიროა ნიღბები ჩამოვხსნათ საშიშად მოთამაშე პოლიტიკოსებს, ქვეყანას სჭირდება სიბინძურის ჭაობიდან ამოთრევა და გონივრულად მოაზროვნე ადამიანთა მხრიდან ქვეყნის აყვავებაზე ზრუნვა.

***

პოლიტიკურ ძალად არ ჩაითვლება ის ძალა, რომელიც სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან ახლოს არაა.

საზოგადოებრივი სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზროვნება

***

სხვადასხვა სტრუქტურის, მაგრამ ერთი და იგივე სეგმენტებისაგან შემდგარი სფერო არის საზოგადოების მუდმივობის ფორმა, ამ სეგმენტების რაოდენობა და ფორმა მუდმივია. სფეროს გააჩნია მცირედი პლასტიკურობა... შეიცვლის რა ფორმას, უბრუნდება საწყის მდგომარეობას...

***

ბუნებაში ასახვა და საზოგადოების ცნობიერებაში ჩასახვა კანონზომიერებითი პროცესია.

***

საზოგადოებაში როცა დამნაშავის მიმართ დასჯაზე მეტად მიტევების მოთხოვნილებაა, უნდა ჩავთვალოთ, რომ შემდგარ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, თუმცა ამისათვის, პირველ რიგში, დანაშაულის ჩამდენის სინანულია საჭირო. სხვა შემთხვევაში უსამართლობასთან გვექნება საქმე და არც უფლის ნება აღსრულდება.

***

გაბატონებული შეხედულებების წინააღმდეგ, საპირისპირო აზრების დაშვების გარეშე, სინამდვილე შეუცნობელი დარჩებოდა…

***

ისევე, როგორც საკვებით, ადამიანები იკვებებიან და იზრდებიან ერთმანეთის აზრებით...

***

საზოგადოებრივ მენტორზე ნაკლებად რეაგირებადნი და მეამბოხენი, ვინ იცის, მომავალში შეიძლება კაცობრიობას მხსნელებად მოევლინონ...

***

ერთეულთა მცდელობას, გამოეღწიათ საზოგადოებრივი აზროვნების ნაჭუჭიდან და თავიანთი გარდასახვებით შეეცვალათ სამყარო, უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ სურვილებს და მისწრაფებებს შეესხა კიდევაც ფრთები, მაგრამ ამას დიდი ტკივილების გარეშე არ ჩაუვლია ...

***

უცნაური აზრი, რომელიც თავში მოგივათ, შეიძლება იყოს ცრუ ან ჭეშმარიტი, თუმცა ორივე თანაბარ-საინტერესოა ამ საზოგადოებისათვის...

***

ნივთთა და საგანთა გაფეტიშება, როგორც არასდროს, დღევანდელი საზოგადოების წესია.

***

თავზევითა ძალას ხშირად, განზრახ ან შეცდომით, ანაცვლებენ პიროვნული ან საზოგადოებრივი იდეაციით. იდეოლოგიური მანიპულირებით იმდაგვარად მართავენ ადამიანებს, საზოგადოებებს თუ მასებს, რომ საკუთარი სიცოცხლის – მთავარი ბიოლოგიური არსის წინააღმდეგაც ამხედრებენ მათ... ეს საშიში მოვლენაა, თუმცა, კანონზომიერებასაც შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელიც, ვინ იცის, რატომ შემოგვთავაზა ბუნებამ...

***

ადამიანთა საზოგადოებებისთვის, მნიშვნელოვანი საკითხების გაშიშვლება კი არ იყო მიმზიდველი, მისი შეფუთვა-შელამაზება იყო მთავარი დაკვეთა...

***

სტანდარტული _ დაშტამპული აზროვნება გონებრივი განუვითარებლობის შედეგია...

***

როცა ფსიქიკურ დაავადებებს განვიხილავთ, თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ ე.წ. „დეფექტურ“ გენებზე. ასეთ გენეტიკაზე გაშლილი ცნობიერება განსხვავებულია ჯანსაღი გენის მატარებელი ადამიანის ცნობიერებისაგან; ამ შეუსაბამობის გამო, შეიძლება ვისაუბროთ გენის მიზანშეუწონელ ასახვაზე; გენის მიზანშეწონილ, ასევე, არამიზანშეწონილ ასახვას, სავარაუდოდ, საზოგადოებრივი სტრუქტურისა და ფორმის მუდმივობის (შენახვის) კანონები აწესრიგებენ...

***

ზედმეტი ფანტაზიები, ზოგჯერ, ადამიანების განადგურების საშუალებებს წარმოშობენ.

***

საზოგადოებრივი აზრის „მაზომბირებლები“ არაფერს ზოგავენ სახელმწიფოს იერარქიული შტოების, ასევე ე. წ. ჟურნალისტების მიერ ახალი მომწამლავი იდეების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის, რომლებსაც დროდადრო ახალ-ახალი „სალაფავით“ უმასპინძლდებიან...

***

მასამ საზოგადოებისა, რომელიც ხშირად ტრანსგრესიულ– ფუტურისტულ-ავანგარდისტული აზროვნების მსხვერპლია, კაცობრიობის ისტორია კარგად რომ გადაათვალიეროს, ამ აზროვნების ზემოქმედებას არ დაემორჩილებოდა; საზოგადოებრივი გაუცნობიერებლობა არის ავანტიურისტთა გამარჯვების მიზეზი და საწინდარი...

***

საჭიროა მსოფლიო აზროვნების სწორი რეფლექსია ბუნებრივი გარდაუვალობის წინაშე...

***

დღეს, მსოფლიო აზროვნებაში კრიზისია. საკითხები, რომლებიც დაგროვდა, კომპეტენტურ ახსნას საჭიროებენ, ფაქტები _ გაანალიზებას და სათანადო რეაგირებას. გადაუჭრელი საკითხები _ დროულ დარეგულირებას. ეს ყველაფერი საჭიროა არა ისე, უბრალოდ, არამედ „მთავარი აზრის“ _ სიცოცხლის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად დედამიწაზე...

***

გარემოს პირობების კატაკლიზმურმა დარღვევამ გენეტიკური დარღვევები და სქესთა აღრევა გამოიწვია მოკლე დროში. სავარაუდოდ, ასახვის კანონებიდან გამომდინარე, თანდათან მოხდება აგრესიულ _ დესტრუქციული გენების გაცხრილვა, მას ჩაენაცვლება ხელოვნებისა და მხატვრულობის მატარებელი „ჰარმონიული გენები“, რაც შესაბამისად აისახება საზოგადოებრივი სტრუქტურის ფორმაში...

***

გლობალური სულიერი მგრძნობელობის აღმოცენება, დიდი პასუხისმგებლობაა კაცობრიობის წინაშე, ეს არ არის უფლება ტვინის, ფსიქიკა-ქცევის მარეგულირებელი ერთიანი მანქანის გამოგონებისა...

***

ერთი დღის, ერთი საათის, თუნდაც ერთი წამის შემდეგ მსოფლიო ის აღარ არის, რაც იყო. ადამიანის უმრავლესობას არ ძალუძს მიჰყვეს მსოფლიოს ცვლილებებს და საკმაოდ მოძველებული ყოფით აგრძელებს ცხოვრებას.

***

როდესაც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირი და არავის ესმის... როდესაც იდეოლოგიური მანქანა საკუთარ არასრულწლოვან შვილს ხელიდან გტაცებს, საზოგადოებას არავითარი ბერკეტი არ გააჩნია ნორმალური აზროვნების, ცხოვრების, ჯანმრთელობის და თვით სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ასეთი საზოგადოება განწირულია კრახისათვის.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)
(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის ნომერ 10-12 ტომებსა და ჟურნალ ათინათის ნომერ 38-49-ში)

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები
(არასისტემატიზირებული)

ადამიანური სამყაროს გონება-მოაზროვნეები და მათი ბრალი

ადამიანური სამყაროს გონება-მოაზროვნეები არსებული ყოფიდან, ურთიერთობებიდან, ხილული თუ უხილავი სამყაროს თავისებური გააზრებიდან და ამით შექმნილი წარმოსახვებიდან, ლოგიკურ-აზროვნებითი მონაცემებიდან გამომდინარე, ანალიზისა და სინთეზის გზით, ახდენენ განზოგადებებს. მიუხედავად უდიდეს კანონზომიერებათა აღიარებისა, მათით გამსჭვალულობისა, ისინი, უმთავრეს შემთხვევაში, გამოდიან ბრალით ადამიანური ყოფისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. ადამიანის გარსში მყოფნი, ვერ ეგუებიან არსებულ სინამდვილეს; გმობენ ადამიანური ყოფის უსუსურობას, უძლურებას, ზოგად უმეცრებას, ადამიანურ შეზღუდულობას, უუნარობას, შეუგრძნებლობა-შეუმეცნებლობას. ამ ფონზე ქმნიან და ტოვებენ მეცნიერული, კულტურული აზროვნების გამორჩეულ, თვალსაჩინო ღირებულებების მქონე აზროვნებით პროდუქტებს, რომლებსაც მემკვიდრეობად – სააზროვნოდ, საზრდოდ და საკვებად უტოვებენ კაცობრიობას. ადამიანის მოთხოვნილება და უნარი, გარდაქმნას ბუნება, სამყარო, საზოგადოებრივი ცნობიერება, არ წარმოიშობა ბრალის მონაწილეობის გარეშე. რომელ სწავლულს, მოაზროვნეს, გენიოსს მოსწონდა არსებული საზოგადოება, მისი წყობა და შინაარსი? მთელი მათი მოღვაწეობა და შემოქმედება იყო წინააღმდეგობა არსებულთან. გამოდიოდნენ რა ბრალით თანამედროვეთა ყოფისა და აზროვნების წინააღმდეგ, ძველთან ჭიდილში მიისწრაფვოდნენ გარდაესახათ იგი და მიეღოთ ახალი, უკეთესი ღირებულებათა სისტემა. სწორედ ამ მისწრაფებით – გარდასახვის უნარით და სურვილით ყალიბდებოდა ახალი შეხედულებები, იქმნებოდა ხელოვნების ნაწარმოებები. დაარღვიოს – დაამსხვრიოს არსე-

ბული საზღვრები და ჩარჩოები, თავსმოხვეული შეხედულებები, – ეს არის ბრალი. ძველი, არსებული საზოგადოებრივი წყობის, ღირებულებების, მენტალობის შეცვლის მიზნით მასში საკუთარი შტრიხებისა და შეხედულებების შეტანა, ეს იყო პროგრესი. თავის დროზე არისტრახიმ უარყო მითები და დედამიწაზე, მზეზე, მთვარეზე, პლანეტებზე სწორი ვარაუდი გამოთქვა... ეს იყო ბრალი აბსურდული აზროვნების წინააღმდეგ, რღვევის უდიდესი სტიმულებით. მაშინდელი საზოგადოებრივი აზრის და შეხედულებების პირობებში პროგრესულად მოაზროვნეთა მოღვაწეობა ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა. სიკვდილით დასაჯეს სოკრატე, ჯორდანო ბრუნო. ძველის ნგრევისა და ახლის შენების პროცესში „პროგრესული იდეები“ და ბრალი ხშირად იქცეოდა დაპირისპირებისა და ომების მიზეზად. ბრალი, რომელიც მარტინ ლუთერმა 1517 წლის 31 ოქტომბერს კათოლიკურ ეკლესიას წაუყენა კრიტიკის შემცველი 95 თეზისის სახით, მიჩნეულია რეფორმაციად წოდებული მოძრაობის დასაწყისად, რომელსაც შემდგომ მოჰყვა რეფორმაციის ომები, რომლებიც ერთ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა ევროპაში.

უნდა ითქვას, რომ სამყაროს გონება-მოაზროვნეების ბრალი მშვიდობისმყოფელ იდეებს ყოველთვის არ შეიცავდნენ. ხშირად, მათი რევოლუციური იდეები დიდი განხეთქილების მიზეზი ხდებოდა... ერთი მხრივ, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ცვლილებას თუ იწვევდა, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ განვითარებას წლობით აფერხებდა. ამის მაგალითები კი კაცობრიობის ისტორიაში მრავლად მოიპოვება.

ნაციონალური განსაკუთრებულობის და რასობრივი დისკრიმინაციის ბრალი

ნაციონალური განსაკუთრებულობის კომპლექსი – ბრალი უდა მოვიძიოთ გერმანელი, ბერძენი, და არა მარტო ამ ხალხის ფსიქოლოგიაში, რომლებიც ბრალით გამოდიოდნენ მსოფლიოს დანარჩენი ხალხების მიმართ; სამართლიანად მიაჩნდათ სხვა ხალხების „გაქრობა“ და მათ ადგილას „მართლზომიერად“ თავიანთი საზოგადოების ჩანაცვლება. ჰიტლერის მიერ წამოყენებული „ავანგარდობის თეორია“ განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა გერმანელი ხალხის დასარაზმავად დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. ბრალი – ამბიცია განსაკუთრებულობისა და გაზვიადებული წარმოდგენები რომ არ ყოფილიყო გერმანელი ხალხის ფსიქოლოგიაში (თუმცა, საუბედუროდ ამ „უნარების“ გამომუშავება შეიძლება სხვა საზოგადოებებშიც, სხვა დროს და სხვა ადგილას, მაგრამ ეს სხვა თემაა...), მარტო ერთი ჰიტლერი ვერ მოახერხებდა ისეთი ძლიერი მუხტის გაღვივებას, რომელმაც უდიდესი კატასტროფა გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის სახით. უნდა ვთქვათ ისიც, რომ, გარკვეულწილად, იმ დროის, იმ საზოგადოების, თუნდაც იმ მსოფლიოს დაკვეთა იყო „ჰიტლერი“ (ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს...).

რასობრივი დისკრიმინაცია სხვადასხვა სახით გამოვლინდება. ამ ბრალს განეკუთვნება აპართეიდი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1948-1990 წლებში ევროპიდან ჩასახლებული მოსახლეობის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ფერადკანიანი მოსახლეობის ექ-

სპლოატაციას და არაადამიანურ მოპყრობას; იზოლაციაში მოქცეულ, განცალკევებით მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას სრულად ჩამორთმეული ჰქონდა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული უფლებები, მათ შორის, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება.

ადამიანის, ადამიანთა ჯგუფების გამოსვლა ბრალით სხვა ადამიანების და საზოგადოებრივი ჯგუფების ღირებულებების თუ რელიგიური შეხედულებების წინააღმდეგ, რასობრივი ნიშნით მათი უფლებების ხელყოფა და სხვა არაადამიანური მოპყრობა, ფანატიკური განწყობილებებითაა ნაშობი, რომლებიც ზოგადკანონზომიერებით სამართლიანობას და რწმენით ღირებულებებს არ შეიცავს; ის დესტრუქციული რღვევის ინსტინქტით შეპყრობილი საზოგადოების ნიშანია, რომელიც, საბოლოოდ, ამ საზოგადოებისვე კრახით მთავრდება. საინტერესოა, განიცადა თუ არა გერმანელმა ერმა თავისი „წამოწყება“, დანარჩენი მსოფლიოს მიმართ, როგორც ბრალი და დანაშაული, როგორც კრახი და აბსურდი?.. იყო თუ არა გულწრფელი გერმანელი ხალხის „მონანიება“?.. თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „ამ ქაოსში“ გერმანიაშიც იყო ჯანსაღი აზროვნება, რომელსაც საზოგადოების მოზღვავებული ვნების ჩახშობა, გაკონტროლება და მასზე ზემოქმედება არ შეეძლო...

ბრალი — სასიცოცხლო მოთხოვნილებათა განხორციელების კრიზისისას (შეზღუდვისას)

სასიცოცხლო – მოთხოვნილებათა იმპულსები, ბიოლოგიური განწყობის და მოთხოვნილების შესაბამისად, სოციალურ-დეტერმინირებული შინაარსებით პირობადებული, თავსმოხვეული ნებელობითი ქცევების საპასუხოდ, შეიცავენ ბრალს... იქ, სადაც ნებელობითი ქცევაა – თითქოს მოწესრიგებულობაა. თუმცა თანხმობაშია, ნებელობა ვალშია სასიცოცხლო მოთხოვნილებათა იმპულსებთან. ნებელობითი ქცევის დაშვებული მექანიზმი – მასზე აწყობილი ქცევების მიზანშეწონილობის საკითხი, სუბიექტისთვის, მანამ დგას დღის წესრიგში, ვიდრე სხვა გადაწყვეტილებით, სხვა მიზანშეწონილობით არ შეიცვლება. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა განხორციელების კრიზისისას (სტრესი, სტიქიები, ომები, შიმშილი, სხვადასხვა იძულებითი მდგომარეობები) სოციალური შინაარსები ირღვევა და სიცოცხლის გადარჩენის მექანიზმები ირთვება (გარკვეულ დონემდე), ან ამოქმედებას იწყებს თვითგანადგურების ინსტინქტი. ერთიც და მეორეც, სოციალური მოთხოვნილების – სოციალურად დეტერმინირებული ქცევების საწინააღმდეგოდ მიმართული „იძულებითი“ ბრალია, ბუნების მიერ შემონახული მექანიზმია, რომელიც სოც. წესრიგს, მის აზროვნებას აღარ ემორჩილება. აქ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები: 1933 წ. შიმშილი უკრაინაში, რასაც მოჰყვა მასობრივი ფსიქიკური აშლილობა, კანიბალიზმი, თვითმკვლელობები და ა.შ; იძულებითი კანიბალიზმი არგენტინაში – ანდების მთებში თვითმფრინავის კატასტროფისას და ა. შ.

საზოგადოებრივ მანკიერებასთან შეურიგებელთა ბრალი

ადამიანური ღირებულებების – მორალისა და ზნეობის დამცველნი: მორალისტები, ჰუმანისტები, სალოსები, სარწმუნოების წარმომადგენლები, განდეგილნი, შემოქმედებითი სფეროს მუშაკები, სხვადასხვა სულისკვეთებით, რიტორიკით, პროტესტის სხვადასხვა ფორმით გადმოგვცემენ, აღწერენ და აპროტესტებენ ადამიანის ნაკლულოვან ბუნებას და ხასიათს; ისინი მრავალგზის ადასტურებენ შეურიგებლობას უზნეო ცხოვრებასა და წესებთან. მათ მიერ სხვადასხვა ფორმა-საშუალებებით პროტესტის გამოხატვა, სხვა არაფერია, თუ არა ბრალი, ადამიანისა და საზოგადოების უზნეო ყოფა-ცხოვრებისკენ მიმართული.

სისასტიკით შეპყრობილნი და მათი ბრალი (კაცთმოძულეობის ბრალი)

ეს არის სხვა ადამიანების, როგორც მორალური, ისე ფიზიკური განადგურების, გადათელვის, დამცირების, მათი გრძნობების სრული იგნორირების, სისასტიკის დაუოკებელი წყურვილით და ლტოლვებით აღძრული ბრალი. ასეთი ბრალის აღმძვრელი ადამიანები ძალზე ხშირად არიან საკმაოდ ნიჭიერნიც და დაოსტატებულნიც; ზიზღით და ცინიზმით შეპყრობილნი. თითქოს, მათი ფანტომური ორეული არ აძლევთ მათ საშუალებას, სადმე ხასიათში, რაიმე ადამიანური, სენტიმენტალური მოიძებნონ და აღმოაჩინონ, რაც მათ სისასტიკეს ოდნავ მაინც შეარბილებდა. ბრალი ყოველგვარი ადამიანურის – ჰუმანურის წარხოცვისა, რომელიც შეურყეველი და უდრეკი ხელით ხორციელდება და რომელიც რისხვად ევლინება კაცობრიობას – დესპოტიზმის მრავალსახეობრივი ფორმებით და სისასტიკის განუმეორებელი ფანტაზიებით – იმსახურებს „შეპყრობილთა“, გნებავთ, სატანურ-ავადმყოფური ბრალით მონათვლას. ამერიკელი მოაზროვნე მენდელ ბერლინგერი ამბობს: „ზოგჯერ ადამიანები აღვირახსნილ ეგოისტებად – მტაცებლებად იქცევიან, რომელთაც თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ისე არა სწამთ, თუ სხვები არ გაანადგურეს; ყოველმა ადამიანმა, პირადი ვნებები კალაპოტში უნდა ჩააყენოს, რათა სხვას არაფერი ავნოს“. დღესდღეობით, სწორი შეფასება ამ ბრალით შეპყრობილთა და მათ მიერ ჩადენილ ქმედებათა შესახებ კაცობრიობას არ მოეპოვება... ისტორიის სახეში ასეთი შეპყრობილების აღმოჩენა ძნელი არ არის. ისინი ჩვენს ირგვლივ, თანამედროვეთა შორისაც მრავლად მოიპოვებიან, თუმცა მათთვის სახელების დარქმევა, ხელაღებით, რატომღაც გვიჭირს... პიროვნული ხასიათის ჩარჩოებს თავისი სიცოცხლისა და „მოღვაწეობის“ განმავლობაში ისინი თავს ვერ აღწევენ: შეუვალი სისასტიკით გარკვეულ მასას იკრებენ და სარგებლობენ კიდევაც მათი თანადგომით, შედეგად, ისტორიულ პიროვნებებად გვევლინებიან. ეს ყოველივე გვაფიქრებინებს მათ „კანონზომიერ როლზეც“ ზოგადგანსაზღვრულობაში, რომლის აღნიშვნა ამ ანალიზში, ვფიქრობ, ჩასათვლელია...

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-49-ებში
და ანთოლოგიის მე-5-12 ტომებში)

*****

საქართველოს გაერთიანების სააკაძისეულ იდეას თეიმურაზი და მისი მხარე მიუღებლად აღიქვამდა, არაფრით ახარებდათ და იმდენად აღელვებდათ, მტერთან, შაჰ-აბასთან შერიგებას ამჯობინებდნენ. აშკარა ფაქტია, შაჰ-აბასს, სააკაძისაგან ჯარგანადგურებულმა, თეიმურაზ მეფესთან ის დაათმობინა, რაც მისგან აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის გეგმაში შედიოდა. სააკაძესთან რამდენი ომი წააგო, ჯარები გაუნადგურდა, მაგრამ მისი ვერაგი გონება მაინც ისეთი იყო, ქართველებს შორის განხეთქილება ჩამოაგდო. რადგან ვერ შეისრულა აღმოსავლეთ საქართველოს მოსპობა, შეისრულა არანაკლები მისია, სიძულვილი, თანამემამულეთა შორის დაქსაქსვა, ურთიერთ სისხლის ღვრის გზა და ბაზალეთის ომი. ბაზალეთზე დაღლილი მოვლენებით დადგნენ პირისპირ თანამოძმენი, ერთმანეთისადმი უკვე მტრული თვალებით შემყურენი გაშიშვლებული სურვილებით. ქვეყანას ან ისევ ის შეჩვეული ყიზილბაშური მონობა უნდა აერჩია, ან ამერ-იმერის გაერთიანება ერთი მეფის ხელში. რაც ყველაზე მთავარია და მეტად სამწუხარო, შაჰ-აბასმა საქართველოს გაერთიანების სააკაძისეულ გეგმას ნიადაგი გამოაცალა.

ნოსტეს მიწისა და ზედ დამნათი მზისშვილი იყი სააკაძე, უხმობდა ტაშისკარის ომი, მარტყოფის საომარი ველი, ქსნის ხეობის კლდიანები, მეფე სიმონ I-ის დავალებულმა შეასრულა საომარი გამარჯვებანი. ასე ურჩევნოდა მამულსა, შემზადებული იყო ყველაზე მაღალი თვისებებით, როგორც წინამორბედი ქართველი გმირები, განგებისაგან დაჯილდოვებული იყო მაღალი ზნეობრივი და სარდლური უნარებით, მერე იმავე განგებამ მისგან მოითხოვა ის, რაც მისთვის გაემეტებინა, ისევ თავისივე ქვეყნისთვის დაეხარჯა. რჩეული იყო და ამ რჩეულს უნდა ეტვირთნა, ფიზიკური თუ ზნეობრივი სიმძიმე, სწორედ რომ ქართულ მოდგმას სჭირდებოდა იმ ეპოქაში ხარკის გამღები უძვირფასესი სასიცოცხლო განძიდან შვილების გაწირვის სახით. ქართული ფესვი იყო მასში ძალ-მაგარი და მეხთა-ტეხვის მოვლენებს მის გულზე უნდა გადაევლო. რატომ იზიდავს მუხა, თავისი ცნობილი გამძლეობით, მეხსა და მედგარს, რომ მოახდინოს და გამოაჩინოს მასზე მწველი ძალა. შაჰ-აბასის ავზნიანი საზომით იზომებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბედ-იღბალი, მისაგან დანაწევრებული ქართული მეობა შველას ითხოვდა და ამდენად სააკაძეში მოზღვავებულ ნიჭით სავსე უნარებს ხომ რეალიზაცია ჭირდებოდა, და სარეალიზაციოდ კი საქართველოში მტრისგან დახუთული მდგომარეობა ითხოვდა.

გმირ წინაპართა წიაღიდან, საქართველოს მტერთაგან დასაფარად, სააკაძე ამოღმართული ფარი იყო, მისი ხმალი კი სიმონ I მეფისაგან ებოძა. სააკაძემ ჩაიხუტა, ეამბორა, მერე ძლიერ მარჯვენაში ჩაბღუჯა და სიკვდილამდე ქარქაშში აღარც ჩაუგია. საკუთარ რწმენააალებულ კო-

ცონში დაინახა ჯორდანო ბრუნოს სიცოცხლე, მის მსგავსად, სააკაძემ ადუღებული გულით თავისი შვილის, პაატას, სიცოცხლე სამშობლოს წინ წაუმძღვარა და მის გადარჩენას შესწირა.

ქვეყნის ბედ-იღბალზე გულგრილი კაცის ბუნებას განა ისე შეეძლო ებრძოლა, როგორც სააკაძე იბრძოდა „ტაშისკარის ომში“, შემდეგ შვილის გაწირვის ხარჯზე მარტყოფის ომის გამარჯვებით სამშობლო გაეხარებინა? ან მარაბდის ომში, თანამოძმეთაგან გულდაწყვეტილი, მისი მეტი გამარჯვების მომპოვებელი საომარი გეგმა რომ არ მიიღეს? მიუხედავად ამისა, იბრძოლა მთელი თავდაუზოგაობის გამოვლენით, შემდეგ ისევ განეგრძო ბრძოლები უკვე დამოუკიდებლად, მუხლი არ ჩაეხარა, ოფლ-შეუშრობლად ემოქმედა და ქსნის ომში მტრისათვის თავზარი დაეცა, ასეთი მარჯვენის პატრონი, ასეთი უშეღავათო თავის თავისა და გულის მიმართ, უშეღავათო შვილების მიმართ. ასეთი კაცის სულის წიაღი ნასაზრდოები იყო სამშობლოზე ზრუნვით, დიპლომატიური უნარების გამოჩენით, თვითგვემითა და შემწყნარებლური მისიით.

ქართველმა ერმა, მართლმადიდებლური, ქრისტიანული ამაღლებული სულით, თავისივე სპეტაკ გენეტიკურ წარსულში ჩაიხედა, სიმართლით შეიმოსა, მაღალი ღმერთისაგან ნაზიარები და ნიშან-მიგებული ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენა, სამშობლოდან გაძევებული კაცისაგან მიეგოთ. და ამ საფუძვლებზე მათ თავიანთ ქვეყანაშივე დარჩენილი სიცოცხლე, რომელიც ირანის ახრიოკებულ გზაზე არ დაინაცრა, ასეთი ღირსეული საქმის სულის ჩამდგმელი, შვილების გამწირავი მამა, გ. სააკაძე ქართველმა ერმა „დიდი მოურავის“ სახელით მონათლა.

გიორგი სააკაძის ციხე-კოშკისა და დარჩენილი სამოსახლოს შესახებ

1971 წლიდან 1975 წლამდეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი განყოფილების ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებს გავდიოდით კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქში, სადაც საშუალება მქონდა ფეხით მომეველო ის ადგილ მდებარეობანი. ხშირად ავდიოდით ნოსტეში, ერთაწმინდაში. ვესაუბრებოდი სოფლის მცხოვრებთ, რომელნიც ამაყად ჰყვებოდნენ გ. სააკაძის შესახებ წაკითხულსა თუ გაგონილს. მათგან ბევრი შთამბეჭდავი მონაყოლი მახსოვს. ხშირად ვხატავდი მათ პორტრეტებს, ცხენზე მჯდომ ყმაწვილებსა და ძველ სახლებს.

სოფელ ნოსტეში ცხოვრობდა დათა (ლომა) ხიზამბარელი, ძალიან საინტერესო მოსაუბრე და წარმოსადეგი კაცი. მისი საუბრიდან ბევრი საყურადღებო ამბავი ჩავიწერე. იგი ამბობდა, ჩვენი გვარი მესხური წარმოშობისაა და გ. სააკაძემ რამოდენიმე კომლი ხიზაბავრადან აქ, ნოსტეში, ჩამოასახლა. ისინი მოჭიდავენი ყოფილან და შემდგომ ეს გვარი, ხიზამბარელები, კასპის რაიონში კარგ მოჭიდავეებად ითვლებოდნენო. მისგან რამდენიმე ხალხური ლექსი ჩავიწერე. მანვე მიმასწავლა და მირჩია ავსულიყავი სოფელ ჩაჩუბეთში ჯიმშერ ქავთარაძესთან, რომელმაც ბევრი ლექსები იცოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ახალქალაქიდან მე და ერთი ჩემი მეგობარი გრაფიკოსი ანზორ ჩხაიძე ფეხით გავუდექით ჩაჩუბეთის გზას. სოფელში რომ მივედით, მიგვასწავლეს, გაღმა მხარეს ცხვარს რომ აძოვებს, ის კაცია, ვისაც ეძებთო. გავწიეთ მისკენ, ბატონი ჯიმშერი ლამაზი ქვებით აშენებული ბაზილიკის გვერდით იჯდა და ისვენებდა, დრო ჩვენც ბევრი გვქონდა და მასაც. იგიც კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. როცა ვუთხარი, ვინ მიმასწავლა და მირჩია მისი ნახვა, ულვაშებში ჩაიცინა, მხრებში უფრო გაიმართა და ამაყად დაიწყო საუბარი გ. სააკაძის შესახებ. მან იოსებ თბილელის „დიდი მოურავი“ ზეპირად იცოდა, რამდენიმე ლექსი და მისი იმპროვიზაცია

„დიდი მოურავიდან“ ჩავიწერე. მასთან დაღამებამდე დავრჩით, ბოლოს სახლში შეგვიპატიჟა და პატარა სუფრა გააწყო.

გ. სააკაძის მოსაგონარი ღვინით სავსე ფიალით წარმოსთქვა, თვითონაც დალია და ჩვენც დაგვალევინა. გამომშვიდობებისას აღნიშნა, ეს დღე კარგი დღე იყო ჩემთვისაცო.

ოთხმოციან წლებში დიდ ხანს მომიწია კასპში ყოფნა, ბევრი სოფელი მოვინახულე, დაწყებული კავთისხევიდან, გუდალეთი, გოსტიბეთით დამთავრებული. მრავალი ხალხური ლექსი და მონათხრობი ჩავიწერე. სამწუხაროდ, ბევრიც დამეკარგა.

ამ ბოლო ხანებში, 2009 წლის 25 ივლისს, ისევ ვეწვიეთ სოფელ ნოსტეს: გაზეთი „ახალგორის“ რედაქტორი მერაბ ბალაშვილი, ფილოლოგი ვიტალი ქენქაძე და ინჟინერი ოთარ თინიკაშვილი. გვინდოდა ჩვენი მოსაზრებანი, სააკაძის კოშკისა და მისი ცხოვრების შესახებ ერთად განგვეხილა და ერთობლივი აზრი ჩამოგვეყალიბებინა. დიდხანს ვუტრიალეთ, ვათვალიერეთ, დაკვირვებას და შედარებას ვახდენდით, ციხე-კოშკის ქვათა წყობასა და სამოსახლოს დარჩენილი კედლების ქვათა წყობას შორის აშკარა სხვაობაა.

ციხე-კოშკი მაღალი ოსტატობით საიმედოდ, მტკიცედ ნაშენია. სამოსახლოს დარჩენილი კედლების ნაშთები არაა მტკიცედ ნაშენი და დაბალი რანგის მშენებელი კალატოზების ხელი ამჩნევია.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა პერიოდში სააკაძის კოშკსა და სამოსახლოს ნაშთებს რესტავრაცია ჩაუტარდა. გვაინტერესებდა საძირკველის ნახვა და იმის გარკვევა, კედლები იმ ადრე არსებულ საძირკველზე დაშენდა თუ პირობითად დაბალი სიმაღლის კედლები ამოიყვანეს და ამას აღდგენა— რესტავრაცია დაარქვეს. ჩვენი ოთხივეს აზრი დადასტურდა და რესტავრაციისას კედლები ადრე არსებულ საძირკვლებზე დაუშენებიათ.

შესასვლელიდან მარცხენა მხარეს, რომლის ბოლოში ციხე-კოშკია აღმართული, მისი მიმართულებით ნაშენია გალავანი, უფრო სწორად, კედელია ქვის წყობით აშენებული. რომ იქაც შეიმჩნევა ადრე არსებული საძირკვლის ნაშთები. ჩვენ გალავანი ვახსენეთ მაგრამ ამ კედელს სულაც არ ემნევა გალავნის სიმტკიცე და როცა აშენდა, მაშინაც ეს გრძივი კედელი ვაკე ადგილის შესაქმნელად უნდა გაეკეთებინათ.

კოშკის, ზურგის მხარეს ტყიანი მთის დაბლა დაშვებულ კალთებზე შეიმჩნევა დავაკებები. შესაძლოა, თავის დროზე აქ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ან კალოც ყოფილიყო. შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს დიდი დარბაზის კედლებია დარჩენილი, მის ზემოთ დავაკებაზე, როგორც ისტორიიდან ვიცით კარის ეკლესია მდგარა, მაგრამ ამის დამადასტურებელი საძირკვლის კვალი იქ არ შეიმჩნევა. გ. სააკაძეს პირადმა მტრებმა 1612 წელს სახლ-კარი გადაუწვა. თუ მას იქ თავის დროზე, ეკლესია ჰქონდა, სულ ქვისა იქნებოდა და ცეცხლი ქვას, ნაკლებად დააზიანებდა. ჩვენ გალავნის შესახებ ვთქვით, და ვიცით, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მტრებისაგან თავდასხმის დროს გალავანს ფეოდალების საცხოვრებელი ადგილისა თუ ციხე-დარბაზების დაცვის აუცილებ-ლობისათვის, როგორც მტკიცე ზღუდე. მტერს ჯერ ხომ გალავანი უნდა გადაელახათ და შემდეგ შეჭრილიყვნენ შიდა სათავსებში. გავიხსენოთ არაგვის საერისთავოს ანსამბლი ანანურში, ქსნის საერისთავოს ანსამბლი ახალგორში: სამუხრან-ბატონო სასახლე მუხრანში, ამილახვრების ციხე-დარბაზები სხვილოსა და ქვემო ჭალაში და სხვა, მრავალი. ღმერთმა დაგვიფარა და შემთხვევით რომელიმე განადგურებულიყო ან დამწვარიყო, კედლები ხომ დარჩებოდა? იმ დარჩენილი კედლების ქვის წყობაში, ხომ დასანახი გახდებოდა, მშენებელი კალატოზის (კირით-ხურო) ნახელავი, თაღების სახით, ბუხრების სახით, მთლიანი სასახლის ინტერიერის სახით,

ან გარე ფასადების, ექსტერიერის მორთულობა, ასასვლელი კიბეები, სვეტები და სხვა. სადა ჩანს ნოსტეში სააკაძის ციხე-კოშკის გარდა დარჩენილი ნაშთებში, სასახლის სიფართოვე ან თაღების ან სვეტების ფუძეების არსებობა, რადგან სააკაძის სამტრო მხარემ 1612 წელს ცეცხლს მისცეს მისი სახლ-კარი. ციხე-კოშკის კედლებს ცეცხლი ვერ დააზიანებდა, მაგრამ ცეცხლი დააზიანებდა კოშკში სართულებსშუა გადახურვას რომელიც ხის მასალით იქნებოდა გაწყობილი.

1615 წელს სააკაძე ქართლში დაბრუნდა, მას შაჰ-აბასისაგან 1620 წელს დაევალა ქართლში გამგებლად მისგანვე დანიშნულ სიმონ II-სთან თანაშემწეობა. ის ვითომ ქართლის მეფე, სინამდვილეში ის სააკაძის გარეშე საქმეს ვერა წყვეტდა. სააკაძე კი გონივრულად იყენებდა სიმონ II-ს თანაშემწეობას ქართლის მოვლა-პატრონობისათვის, რაც ევალებოდა კიდეც: სავალი გზების, ხიდების, სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-დარბაზების შეკეთება-აღდგენა.

იგი თავის გადამწვარ ციხე-კოშკსა და სამოსახლოსაც აღადგენდა, თუ აღდგენა შეიძლებოდა ან თუ ღირდა. იმის გამო მაინც, რომ მტრის თავდასხმების დროს ნოსტეს მოსახლეობას რაღაც ნაწილს თავი შეეფარებინა.

მის მერე არც ისეთი დიდი დროა გასული. თუ დღემდე ჩვენამდის მოაღწია მის თანამედროვე ფეოდალთა ციხე-დარბაზთა სახემ, მაშინ სააკაძისაგან თავის სამოსახლოს აღდგენის შემთხვევაში დღემდე რაღაც არქიტექტურულ ნაწილს მაინც უნდა მოეღწია.

თუ ჩვენ შედარებას მოვახდენთ იმ დროის დიდებულების საცხოვრებელ ციხე-დარბაზთა თუ სამეთვალყურეო კოშკებს შორის, რომელთაც გ. სააკაძის კოშკის მსგავსი, თითო დიდებულს ექვსი და ზოგსაც მეტი უდგათ აღარას ვამბობ მათი გალავნებისა და სასახლეების სიგრძე-სიგანეებზე.

ერთი ციხე-კოშკის პატრონი სააკაძე ეკონომიურად გათანაბრებული იქნებოდა ექვსი და შვიდი ციხე-კოშკების პატრონებთან?

ისიც ხომ ცნობილია, როცა ადამიანი ეკონომიკურად მოძლიერდება, მაშინ იწყებს ღირებული მასალით ღირებული სამოსახლოს აშენებას. ასე ხდებოდა მაშინაც და ასე ხდება დღესაც.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი იმ დროის ფეოდალების ციხე-დარბაზების შედარებისას სააკაძის ციხე-კოშკს შორის, გარდა სიგრძე, სიმაღლე სიგანობრივი განსხვავებებისა საერთო ნიშან-თვისებებიც არსებობს მათს შორის. როგორც ტენდენციური მიზანშეწონილობის არსებობა, კერძოდ, როცა დიდებულ ფეოდალს აღარ აკმაყოფილებდა ძველი სამოსახლო, და გადაწყვეტდა ახალი სამოსახლოს საძირკვლის ჩაყრას, მის ციხე-დარბაზებს აუცილებლად თავისი საფეოდალო ადგილმამულებისთვის ზემოდან უნდა ეცქირა, და ამით დამტკბარიყო კიდეც. გ. სააკაძის მამაზე სიაუშ სააკაძეზედაც მოუხდენია ასეთ ტენდენციას გავლენა და სოფელ ნოსტესა და სხვა სოფლებთა გადასახედად მასაც აურჩევია ნოსტეს ზემოთ მთის ძირობაზე აეშენებინა თავისი სამოსახლო. რასაც შემდგომ წლებში ველარაფერი დიდი მნიშვნელობის მიშენება ვეღარ მოუხერხებიათ, თვით გ. სააკაძესაც, ამის მიზეზი კი მასთან მტრობა იყო. მან დიდი დრო ირანში დაჰყო. ნოსტეში მისი სამოსახლო ამ ხნის მანძილზე გავერანებული და ეულად გამოიყურებოდა. როცა მემატიანენი აღნიშნავენ სააკაძის ეკონომიურ სიძლიერეს, მისი ერთი ციხე-კოშკი და დარჩენილი საძირკვლის ნაშთები ამას ვერ პასუხობს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გოჩა ჭელიძე

გარნისის ომი

გიორგი მეოთხე ლაშას გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე ადის მისი და, **თამარ მეფის ასული – რუსუდანი** და მისმა მეფობამ 1223 – 1245 წლები გასტანა. რუსუდანის მეფობა არ იყო იღბლიანი. 1225 წლის აგვისტოში **ჯალალედინის** წინააღმდეგ გარნისთან ომში ქართულ ლაშქარში **სვანების** და ლეზგინების 40 000 მებრძოლი იყო. /ЗАПИСКИ КАВКАЗСКАГО ОТДѢЛА ИМПЕРАТОРСКАГО РУССКАГО ГЕОГРАФИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА. КНИЖКА VI, 1864. С. 31/.

აღნიშნულთან დაკავშირებით **ჯალალ ადინ მაგნუბერდის** პირადი მდივანი აღნიშნავს: როდესაც სულთანი აზერბაიჯანიდან წასვლის წინ კიდევ იყო მუკანში, ყოჩ აბა გეკ ხანმა შეყარა თავისი ჯარი, აგრეთვე გარკვეული დაქსაქსული რაზმები და სულთანთან და ვინმესთან შეთანხმების გარეშე წავიდა ლაშქრობაში. ის გაემართა ქალაქი ლორესაკენ, თავს დაესხა და გაძარცვა, შემდეგ აიყვანა ტყვეები. როდესაც ის მივიდა ბატტახის ტბასთან, მისი ჯარის ნაწილი ტბის დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი, ტბის აღმოსავლეთ ნაწილში დაბანაკდა ღამის გასათევად. ღამით ქართველები თავს დაესხნენ იმ ბანაკს, რომელიც ტბის მარჯვენა მხარეს იყო დაბანაკებული და გაანადგურეს ისინი, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანეს. მათ შორის იყო **ოზ აბა ტაი,** რომელიც უგზო უკვლოდ დაიკარგა და მოკლულებს შორის ვერ იქნა ნანახი. ჯარი, რომელიც ტბის აღმოსავლეთ ნაწილზე იყო დაბანაკებული, გადარჩა და ნადავლით უკან დაბრუნდა. იმის მაგივრად, რომ ქართველებს თავიანთი ოჯახებისა და თავის გადარჩენაზე ეფიქრათ, სულთნის ჯარებს დაესხნენ. მაშინ, როცა სულთანი ასე განრისხებული იყო ქართველებზე, დაემატა ის ინფორმაცია, რომ რუსუდან დედოფალმა და ივანემ შეკრიბეს ჯარი, მათ დასახმარებლად შეიკრიბა ლაკების, ალანების და **სვანების** 40 ათასი ან უფრო მეტი მებრძოლი. /ан-Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Пер. З. М. Буниятова. Баку, 1973. С. 224/.

ჯალალ ად დინის წინააღმდეგ წარმოებულ ომშებში საერთო ქართულ ლაშქარში სვანების მონაწილეობას კიდევ ერთი წყარო ადასტურებს. კერძოდ XIII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის **ალა ადდინ ათა მალიქ ჯუვეინის „ქვეყნის დამპყრობის ისტორია“.** ჯუვეინის თხზულება საუკეთესო პირველწყაროა ამიერკავკასიის ქვეყნებში მონღოლებისა და ჯალალ ად დინის შემოსევების ისტორიის შესასწავლად. ვინაიდან ქართულ ისტორიოგრაფიას იშვიათად მოეპოვება ქართული ჯარების ბრძოლების ამსახველი ეპიზოდები, ვფიქრობ, რომ ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ **ჯუვეინის** ნაშრომიდან **„ქვეყნის დამპყრობის ისტორიის“** ის თავი, რომელსაც

ჰქვია: **„თხრობა სულთან ჯალალ ად დინის საქართველოში დაბრუნებისა“**, რომლის თანახმად:

1227 წელს იქიდან საქართველოში წავიდა. რაკი რუმის, შამის, სომხეთისა და იმ მხარეთა სულთნებს ეშინოდათ მისი სიმკაცრის და შურისძიების, მძვინვარე იერიშისა და გაბედული თავდასხმის, ერთმანეთს შეუთანხმდნენ და მის განსადევნად გაერთიანდნენ. ქართველთა, ალანთა, სომეხთა, სარირების ლეკების, ყივჩაყთა, **სვანების,** აფხაზთა, ჭანების, სირიელების და ურუმთა ლაშქარი გაერთიანდა იმ ხალხთან ერთად, ვინც განგების ცეცხლზე იყო ნაწრთობი და მებრძოლთა შორის რჩეული.

სულთანი მათს სიახლოვეს მივიდა მინდორზე (საუბარია ბოლნისის მინდორზე) და ჩამოხდა. იგი შემფოთებული იყო შეიარაღების ნაკლებობით და მახვილოსნებისა და შუბოსნების უყოლობით, აგრეთვე მტრის მომრავლებით და თავისი ბედის ცვალებადობით.

ჯალალ ად დინმა რჩევა ჰკითხა ვაზირ **იულდუზჩისა** და სხვა დიდებულებს. იულდუზჩიმ მოახსენა: „რაკი ჩვენი ხალხის რაოდენობა იმათ მეასედსაც არ შეადგენს, მინდორიდან წავიდეთ და იმათ გხა მოვუჭრათ წყლისა და საწვავისაკენ, რათა სიცხისაგან თვითონაც დასუსტდნენ და ცხენებიც დაუმჭლევდეოთ. ჩვენი სხვა რაზმებიც, რომლებიც სხვადასხვა მხარეს არიან, ამასობაში მოაღწევენ. მაშინ სრული ძალითა და გამჭრიახობით შევუდგებით საქმეს და ომზე ვიფიქრებთ“.

სულთანი უზომოდ განრისხდა ამაზე და, წინ რომ სამელნე ედგა, ვაზირს თავში სთხლიშა. თან ბრძანა, „ეგენი ცხვრის ფარას წარმოადგენენ და ლომს რა აქვს საწუწუნო არვეს სიმრავლის გამო?“

იულდუზჩიმ თავისი უხეირო ნათქვამი მოინანია და ჯარიმად ორმოცდაათი ათასი დინარი გადაიხადა. სულთანმა ბრძანა: „თუმცა მძიმე და ძნელი საქმეა, მაგრამ ერთადერთი საშველი ბრძოლა და ღვთის წყალობაზე მინდობაა. არავინ იცის ვინ გაიმარჯვებს“.

ხაზინის კარი გახსნეს და ცხენის ჯოგები მორეკეს; ამირებმა და დიდებულებმა, საშუალო და მდაბიო მეომრებთან ერთად, რაც კი შეეძლოთ, აიღეს და მოემზადნენ.

როცა მოწინააღმდეგის რაზმებმა მოაწიეს დაფითა და ბუკით, მამალი და დედალი აქლემებით, და ერთმანეთის მიყოლებით დაეწყვნენ მწკრივებად ომისთვის მომზადებულნი, სულთნის ლაშქარი თავის თავთან შედარებით ზღვის მცირე ნაკადულად და თავის მოედანზე ბურთად ეჩვენათ...

როცა ქართველთა ლაშქარი მოვიდა, სულთნის ჯარმაც იარაღი აისხა. სულთანი მათ დასათვალიერებლად ერთ მაღალ გორაკზე ავიდა. მარჯვნივ **ყივჩაყთა** დროშები და ალმები და ოცი ათასი რჩეული კაცი დაინახა. სულთანმა ყოშყარს უხმო, ერთი პური და ცოტაოდენი მარილი მისცა და ყივჩაყებთან გაგზავნა. მან მოაგონა ის ამბავი, რომ მამამისის მეფობაში, იმ დროს, როცა ისინი დამონებული და დამცირებული იყვნენ, სულთანმა თავისი ეშმაკური მახვილსიტყვაობით დაიხსნა ისინი ამისგან და მამასთან უშუამდგომლა. თან დასძინა: „ნუთუ ახლა იმ ამბის სამაგიეროდ მახვილს იშიმვლებთ ჩემს წინააღმდეგ?“.

ამ მიზეზით ყივჩაყთა ლაშქარმა უკან დაიხია, თავის ადგილს მოშორდა მაშინვე და განზე გადგა.

როცა ქართველთა ლაშქარმა რიგები განაწყო, სულთანმა მოციქული გაუგზავნა ივანეს, რომელიც მათი მეთაური იყო, და შეუთვალა: „თქვენ დღეს მორიდან მოხვედით, ცხენებიც დაღლილია და ხალხიც დაქანცული. დღეს ასევე ვიდგეთ და ორივე მხრით ბრძოლას მოწყურებული ახალგაზრდები გამოვიდნენ თითო – თითოდ მოედანზე და თავდასხმისა და მოგერიების გზით შეებან ერთმანეთს, რათა ჩვენ დღეს მათ ვუცქიროთ, საქმე კი ხვალისათვის გადავდოთ“. ივანეს ეს სიტყვები მოეწონა და მამაც ახალგაზრდათა და გულოვან ვაჟკაცთაგან ასპარეზზე გამოვიდა ერთი რაინდი, რომელიც მთას ეჯიბრებოდა ახოვნებით; ამ მხრიდან კი სულთანი, მსგავსად მუნქარისა. (მუნქარი სახელია ანგელოზისა, რომელიც მეორე ანგელოზთან, ნაქირთან ერთად საფლავში დაჰკითხავს მიცვალებულებს მათი ცხოვრებისა და რწმენის შესახებ).

ლომივით გაქანდა ლაშქრიდან
და ჰუჯირის წინ გამოცხადდა მამაცურად.

ხალხი ორივე მხრიდან შესცქეროდა მათ. სულთანმა გაჭენებულ ცხენზე თაქბირი დასძახა და

შუბი ატაკა სარტყელში,
ისე რომ ხიფთანიც გაუგლიჯა და ქამარიც.

ის წყეული ცხენიდან ძირს გადმოვარდა და სული ამოხდა. მას სამი ვაჟი ჰყავდა. ისინი რიგრიგად გამოდიოდნენ ცალ – ცალკე: სულთანი მაღალი და დიადი ღმერთის ძლევამოსილებითა და ძლიერებით თითო დარტყმით ჯოჯოხეთში აგზავნიდა მათ მამის კვალდაკვალ.

სხვა აზნაურმა, რომელიც ტანით ბისუთუნის, მთას ჰგავდა და ბოძის სიმსხო შუბი ეჭირა ხელში, გამოაჭენა სპილოსოდენა ცხენი... სულთნის ცხენს მეტისმეტი დაღლილობისაგან მოძრაობა აღარ შეეძლო და ის – ის იყო უკანდახევის ხუნდებშიც მოხვდებოდა, აზნაური ყოველ წამს თავს ესხმოდა, სულთანი კი მკვირცხლად იგერიებდა. ამგვარად აზნაური განუწყვეტლივ უტევდა და უშენდა სულთანს, მაგრამ უშედეგოდ. საქმე გაძნელდა და იქამდე მივიდა, რომ წყეული შაითანი სძლევდა მოწყალე სულთანს და შაჰი შავ დევს ჩაუვარდებოდა ხელში. ბოლოს, როცა ერთ-ერთი შეტევის დროს აზნაური მიუახლოვდა, სულთანი გაჭენებული ცხენიდან ჩამოხტა და

ერთი შუბი ატაკა თავში აშკაბუსს,
მაშინ ზეცა ხელზე ეამბორა მას.

ორივე მხარე გაოცებული იყო ამ ამბით, რომლის მსგავსი როსტომ ზაალის ძესაც კი არ შეეძლო გაეკეთებინა, და

ყოველი კაცი ამბობდა, ეს როსტომი არის,
ან არადა ამომავალი მზეაო.

რაკი ის რამდენიმე კაცი, რომელთაგან თითოეული მამაცი გმირი და ლაშქრის საყრდენი იყო, ერთ წამში, ერთი მხედრის მსხვერპლი შეიქნა და ძაღლებისა და აფთართა ლუკმა გახდა. ის უბედურნი სასოწარკვეთილებამ და ძრწოლამ მოიცვა, ისლამის ლაშქარს კი გაუქრა შიში და კრთომა. სულთანმა იმ ადგილიდან თავისი მათრახის ბოლოთი ნიშანთ მისცა, მებრძოლი ვაჟკაცები დაიძრნენ და ქართველთა ლაშქარმა პირი იბრუნა.

გამარჯვების პირველი ნიშნები გამოჩნდა და ძლევის მშვენიერმა შუქმა გაანათა მათი სახეები. ერთ წამში გაშლილიველი დახოცილთა სიმრავლისაგან უსწორმასწორო ბორცვად იქცა და მიწის პირი ატლასისფრად შეღება დაღვრილმა სისხლმა. რაკი იმ უბედურთა საქმეს ვერაფერი უშველიდა, ხოლო მატყუარებს სიცრუე აღარ გამოადგებოდათ, დროულად გაქცევისა და ღამის კალთებისათვის ხელის ჩაჭიდებისა და წყვდიადის ფარდისთვის თავის შეფარების გარდა სხვა გზა ვერ ნახეს, ველისა და მთების ყოველი მხარე და კუთხე მღელვარებდა მათი კვნესა ყვირილისგან და მიწა ზანხარებდა მათი გახელებული ცხოველების ჭიხვინისა და ყროყინისაგან. /უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. წიგნი XXXIII ჯუვეინი. 1974. გვ. 35 – 38/.

გარნისის ომში დამარცხების შემდგომ, **რუსუდანმა დაუყოვნებლივ სვანეთს შეაფარა თავი.** შუა საუკუნეებში რაჭიდან უშგულამდე სამარხილე და საურმე გზა ყოფილა, ამ გზით **რუსუდან** დედოფალი შემოვიდა სვანეთში 1225 წელს, სანამ ხვარაზმელი სულთანი **ჯელალედინი** საქართველოში მძვინვარებდა. /История монголов. № 2. С. 61-62. изд. К. П. Патканова. იხილეთ ივერია. 1902. №66/.

ქართველმა ერმა არა მხოლოდ ჩვენი გამარჯვებების, არამედ მარცხის ისტორიაც უნდა იცოდეს. დეტალურად უნდა შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების მიერ წარმოებული გამარჯვებით თუ მარცხით დასრულებული ომების გამომწვევი მიზეზები და ეპიზოდები. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება დრო, როდესაც ამ მოვლენებში კარგად გათვითცნობიერებული მომავალი თაობის ქართველები უწყვეტი გამარჯვებების ხანაში შევლენ.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ირმა კეკელიძე

ვარაიდა, სი ვარაიდა

იცხოვრე, ვიდრე ცოცხალი ხარ

ქვეყნის უახლეს ისტორიაში, თანამედროვე მსოფლიოში, ცნობილ ქართველ რეჟისორს, დიდ მაესტროს, რობერტ სტურუას, მრავალ ქვეყანაში დაუდგამს სპექტაკლები... მრავალ ქვეყანაში უზეიმია შემოქმედებითი გამარჯვება, წარმატება, რომელიც არა მხოლოდ მისი, რობერტ სტურუას, არამედ სრულიად ქართველი ერის გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს... საქართველო, პატარა ქვეყნების, ნიშნული ქვეყნების რიცხვს მიეკუთნება და სწორედაც კულტურაა დიდ ქვეყნებთან, დიდ ერებთან, ჩვენი სალაპარაკო ენა, ჩვენი სავიზიტო ბარათი. ხელოვანი მარტო ის არ არის, რაც მას შემოქმედებითად გაუკეთებია – დაუდგამს, დაუწერია, დაუხატია და ა.შ.. ხელოვნებაა ისიც, თუ როგორ მოიქცევა დიდი შემოქმედი,

ამა თუ იმ სიტუაციაში... როდესაც ერს ჰყავს, ისეთი დიდი ადამიანი, ხელოვანი, როგორიც რობერტ სტურუაა, სწორედაც მისი შემოქმედებით, ერი ხდება ცნობადი– მეგა სახელმწიფოებისათვის, სრულიად სამყაროსათვის...როგორც ზემოთ ავღნიშნე, დიდ მაესტროს, მრავალ ცივილურ, დიდ ქვეყნებში, დიდ სცენაზე, დაუდგამს არაერთი თეატრალური შედევრი...არ არის გასაკვირვი, ბუნებრივიცაა, დიდი რეჟისორის მხრიდან, რომ მან რუსთაველის ეროვნული თეატრის სცენა დაუთმო, მეზობელი ქვეყნის, სომხეთის, ცნობილ რეჟისორს, ჰაკოფ ღაზანჩიანს, რომელმაც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე, ქართველ მსახიობებთან ერთად დადგა, ამერიკაში მცხოვრები, სომეხი მწერლის, მარო მადოიან-ალაჯაჯიანის პიესა...ეს ფაქტი (დღევანდელ რთულ ყოფაში), დიდი მაესტროს მხრიდან, სწორედაც, რომ ერთა შორის კეთილი ნების, ურთიერთ პატივისცემის გამომხატველია. კულტურას საზღვრები არა აქვს და "კულტურული იზოლაცია", ჩაკეტვა ქვეყნის შიდა საზღვრებში, რაღაც უხილავი დაუნგრეველი კედლის აღმართვა, ნამდვილად ნეგატიურად აისახება ერის და ქვეყნის მომავალზე. შემოქმედებითი, კულტურული ურთიერთობები, ერთიან სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული, ერის, ქვეყნის, როგორც სულიერი, ასევე დიპლომატიური, პოლიტიკური ურთიერთობების წინა პირობაა...შემოქმედებითი ნდობა, ურთიერთ პატივისცემა, კულტურული ტოლერანტობა, ნებისმიერი ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!.. კულტურული სოლიდარობის საუკეთესო მაგალითია, სპექტაკლი, რომლის პრემიერაც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ვიხილეთ, სახელწოდებით: "იცხოვრე, ვიდრე ცოცხალი ხარ"...



იცხოვრე ისე, როგორც საკუთარი გონება, გული გკარნახობს. რატომ მივდივართ ჩვენი გონების, გრძნობის, სურვილის წინააღმდეგ?! რატომ ვეწინააღმდეგებით საკუთარ თავს, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, მომავლის ხედვას, რა ასაკისაც არ უნდა ვიყოთ?!. ეს არის პიესის ავტორის ძირითადი სათქმელი...

სპექტაკლი ცნობილი ქართველი მომღერლის ემიგრაციაში ყოფას ასახავს. პერსონაჟები ემიგრაციაში მყოფი ქართველები არიან, რომლთა გონებაც შეპყრობილია სამშობლოსადმი ნოსტალგიით, მონატრებით, განცდით. უცხო ქვეყანაში სიცოცხლის დასრულების შიშით. ყველა მათგანს სურს სიცოცხლის ბოლო დღეები სამშობლოში გაატაროს, მათი სამუდამო განსასვენებელი მშობლიური მიწა იყოს... პიესა კომედიური ჟანრისაა, მაგრამ ლეიტმოტივად მაინც თითოეული პერსონაჟის სევდანარევი ყოფა გასდევს. პიესის მთავარი გმირი, ქეთევანი (მსახიობი ნინო თარხან-მოურავი), დაბადების დღეს მარტოობაში, მოწყენილი აღნიშნავს. შვილები მისგან შორს, თავთავიანთი საქმით არიან დაკავებული. ერთმანეთისგან სიშორით, ცივი, გულგრილი დამოკიდებულებით, მის ოჯახს რაღაცნაირი ჩრჩილი გაუჩნდა, რომელიც შინაგანად ღრღნის და გუნება-განწყობას უმძიმებს. ქეთევანი ცდილობს, შენიღბოს განცდები, მაგრამ მის დაბადების დღეს, ყოველივე ეს

შეუძლებელი ხდება... ყველაფერი აშკარაა და ღიაა...მაყურებლის ინტერესს იპყრობს პერსონაჟები, რომლებიც ქეთევანის დაიკოს, ნინოს (მსახიობი მაია ხორნაული), საოცარი ოპტიმიზმით და ენერგიით შემოჰყავს სცენაზე. ესენი არიან, მოხუცთა ბაღის "აღსაზრდელი", ხანდაზმული ადამიანები, რომელთა გულწრფელი მილოცვა, სიმღერა, პოეზია, ცეკვა და ა.შ. ქეთევანის მოწყენილ, ღრუბლიან, დაბადების დღეს, ხალიხიანს და მზიანს გახდის...თითოეული პერსონაჟი (მსახიობი) კარგად გრძნობს, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის ბედი კი არ არის მთავარი, არამედ ყველასი ერთად. მსახიობებს შენარჩუნებული აქვთ აქტიორული თამაშის საერთო დონე, რასაც თითოეულმა მათთაგანმა წარმატებით გაართვა თავი. სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების არტისტები ერთად ეწევიან სპექტაკლის (პიესის) უღელს, რითაც საოცარ ერთგულებას იჩენენ პარტნიორების მიმართ...უჭირს თითოეულ ემიგრანტს, მეტისმეტად უჭირს. მათი სალაპარაკო თემაც მხოლოდ სამშობლოში დაბრუნება, სამუდამო სასუფეველის, ახლობელი ადამიანების გვერდით დამკვიდრდბის თემაა. ლაპარაკობენ, დარდობენ, თითქოს გამოსავალს ეძებენ...და ეს გამოსავალი მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთმა გმირმა, კარმენმა (მსახიობი მარინა კახიანი) მოძებნა. სპექტაკლის მსვლობისას, რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ვერ მეტყველებს, ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ყველას გასაოცრად ხმას ამოიღებს. მისი პირველი სიტყვებია-"ბრავო! ბრავო!"...კარმენი მიესალმება ინვალიდთა სავარძელში მსხდომ მოხუცი პერსონაჟების (მსახიობები მანანა გამცემლიძე, სოსო აბრამიშვილი) დაქორწინებას....კარმენი ემოციური ხმით მიმართავს, მისი ოცნების მამაკაცს, ირაკლის (მსახიობი თენგიზ გიორგაძე), რომ სიყვარული არასდროს არ არის გვიან...რომ სიყვარულის უფლება ყველას აქვს, ნებისმიერ ასაკში, რითაც გონებით წარსულში ჩარჩენილ, ოცნების მამაკაცს, გამოაფხიზლებს, ცხოვრებას, რეალურ ყოფას დაუბრუნებს...კარმენი და ირაკლი, ერთად ამბობენ ფრაზებს: "უნდა ვიცხოვროთ, ვიდრე ცოცხლები ვართ!..უნდა ვიცხოვროთ, ვიდრე შეგვიძლია!"..კარმენისა და ირაკლის (მარინა კახიანი, თენგიზ გიორგაძე) ყურებისას, როგორც მაყურებელს, პირადად მე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მსახიობებს არავინ ზღუდავს, ისინი სრულიად თავისუფლები არიან, რასაც წყვილი ძალიან კარგად გამოხატავს, ლამაზი მუსიკის ფონზე ცეკვით, მოძრაობით, ნებისმიერი ქმედებით...გვინახავს სპექტაკლები, სადაც რეჟისორები ზღუდავენ მსახიობებს. ქმნიან რაღაც მოქმედების სქემას, რომელიც მსახიობმა არ უნდა დაარღვიოს. ასეთ შემთხვევაში, მსახიობი, რეჟისორის ბრძანებების ბრმა შემსრულებელი ხდება, რითაც არტისტი და თავისთავად სპექტაკლიც ხიბლს კარგავს. საბედნიეროდ, რუსთაველის თეატრის სცენაზე მდგარ მსახიობებს, ამგვარი წნეხის ქვეშ ყოფნა არ უხდებათ და მათ ყველა მოძრაობაში, მონოლოგში, დიალოგში, ცეკვასა, თუ სიმღერაში, პროფესიონალური თავისუფლება იგრძნობა, რაც უპირველესად მათი პედაგოგის, დიდი მაესტროს, რობერტ სტურუას ხელწერა და დამსახურებაა...

სპექტაკლში გვხვდებიან ძალიან საინტერესო პერსონაჟები: დავითი (მსახიობი ლევან ბერიკაშვილი), ზურაბი (მსახიობი ბაჩი ლეჟავა), თინა (მსახიობი დარეჯან ხარშილაძე), სალომე (მსახიობი მარიტა მესხორაძე)... რომლებმაც ძალიან საინტერესოდ, პროფესიონალურად წარმოაჩინეს თავიანთი პერსონაჟების ხასიათი და სათქმელი... მაყურებელის პოზიციიდან, მოკლედ შევეცადე მეთქვა ის, რისი თქმის უფლებაც მქონდა და ჩემი აზრი გამომეხატა სპექტაკლის

შესახებ... დანარჩენს, რა თქმა უნდა ხელოვნებათმცოდნეები, თეატრალები და ა.შ. პროფესიონალები იტყვიან...

გულწრფელად ვულოცავ, წარმატებულ პრემიერას, შემოქმედებით ჯგუფს: პიესის ავტორს – მარო მადოან-ალაჯაჯიანს, რეჟისორს, მხატვარს, მუსიკალურ გამფორმებელს – ჰაკოფ ღაზანჩიანს, ქორეოგრაფ-კოტე ფურცელაძეს, რეჟისორის თანაშემწეს – ციცინო გვაზავას...ვულოცავ მსახიობებს, რუსთაველის ეროვნულ თეატრს და მის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ რობერტ სტურუას, მორიგ წარმატებულ პრემიერას, რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე...

პატივისცემით, სპექტაკლის მონაწილე პარტერიდან, მაყურებელი

ნიშნად სიყვარულისა

საოცარი განცდა მეუფლება, როდესაც თბილისში, რუსთაველის გამზირზე სეირნობისას, კლასიკური გიმნაზიის წინ გავივლი. მინდა თუ არა, ჩემს ყურადღებას ილიას და აკაკის ამაყად მდგარი ძეგლები იპყრობს... ისეთი განცდა მეუფლება, რომ სწორედაც ილია და აკაკი არიან მასპინძლები, ამ ისტორიული სასწავლებლისა, რომლის არსებობაც ორ საუკუნეზე მეტს ითვლის...რომლის კედლები და შიდა სივრცე, ერის, ახალ და უახლეს ისტორიას სრულყოფილად მოიცავს და გზას გიკვლევს, მომავლის უფრო მკაფიო ხედვისკენ, უფრო მეტად განვითარებისკენ, ერის და ქვეყნის სიყვარულისკენ...

მიმდინარე წლის 24 მაისს, გიმნაზიის დირექტორმა, ულამაზესმა, უნიჭიერესმა, უკეთილშობილესმა, თამარ (თამუნა) კაპანაძემ, მე და ჩემი მეუღლე (რუსთაველის თეატრის მსახიობი– თენგიზ გიორგაძე), კლასიკურ გიმნაზიაში, მოსწავლეთა მიერ დადგმულ სპექტაკლზე დაგვპატიჟა...საოცარი, ხალისიანი, მოსწავლეთა ჟივილ-ხივილით გაჯერებული, საზეიმო განწყობა სუფევდა გიმნაზიის სააქტო დარბაზში, რომლის სცენაზეც სპექტაკლის პრემიერა გაიმართა..."ნიშნად სიყვარულისა", ასე ჰქვია პიესას, რომლის ავტორიც გვანცა ფიფია გახლავთ. სპექტაკლის წამყვანმა და რეჟისორმა, გიმნაზიის მოსწავლემ, მარიამ მითაგვარიამ, საოცრად დამაჯერებლად და პროფესიონალურად გაართვა თავი, იმ საპასუხისმგებლო მისიას, რასაც რეჟისურა და არტისტიზმი ჰქვია...მივყვეთ სპექტაკლის მსვლელობას. თემატიკა, ისევ და ისევ,

ყველაზე მტკივნეული, აფხაზეთის ოკუპაცია და ამ უმშვენიერესი კუთხიდან, იძულებით, დედაქალაქში მაცხოვრებელ დევნილთა ყოფაა...

პიესის, სპექტაკლის, თითოეული პერსონაჟის ბუნება, ბედი და ხასიათი, ავტორის მიერ მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არის დახატული. მოქმედება, თბილისში, სასტუმრო "საქართველოში" ხდება, რომელიც დევნილთა თავშესაფარი და რეალური საცხოვრებელია. მოქმედ პირთაგან სამი ქალბატონი გამოირჩევა, რომელთა ტკივილიც რეალურად, დევნილთა ყველა პრობლემას მოიცავს. ისინი განსხვავებული, ურთიერთდაპირისპირებული ხასიათით გამოირჩევიან, მაგრამ სატკივარი, სადარდელი, განცდა, ჭირ-ვარამი, მაინც ერთი აქვთ...პიესაში, სპექტაკლში, შემოსული სხვადასხვა პერსონაჟები,სცენაზე ბუნებრივ ატმოსფეროს ქმნიან. პიესის ავტორის და რეჟისორის ჩანაფიქრით– ბუნებრივად, ლაღად, იუმორით, წარმოჩენილი პერსონაჟთა სახეები, აზრიანი უბრალოებით არის გაჯერებული, რომელსაც თავისუფლად (ძალდატანების გარეშე) აღიქვამს მაყურებელი...

სცენაზე დეკორაცია, ერთი შეხედვით, უბრალოა, მაგრამ ზუსტად ქმნის ატმოსფეროს, როგორც თემატიკის, ასევე დევნილთა არსებული სიტუაციის ასახვისა. სპექტაკლის აზრს რეჟისორი (წამყვანი) გამოთქვამს უფრო ლოგიკური სიცხადით, ვიდრე ემოციური კონტაქტით...და რაც მთავარია, სპექტაკლის ყველა დეტალს, სათქმელს და თემატიკას კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით უდგება, რაც არაპროფესიონალი რეჟისორის შემთხვავაში, მხოლოდ და მხოლოდ ქებას, ბრავოს, იმსახურებს...

კლასიკური გიმნაზიის სცენაზე გამართული სპექტაკლის თითოეული პერსონაჟის ბუნება, ბედი და ხასიათი, მართლაც რომ თითოული ჩვენთაგანის ყოფის ნაწილია...ერთ წერილში ძნელია, სპექტაკლზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი. თუმცა უნდა ითქვას, რომ პიესა (სპექტაკლი) აზრობრივი შინაარსით, საოცრად ეხმიანება ილია ჭავჭავაძის გამონათქვამს "რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია"...სპექტაკლის სახელწიდებაც "ნიშნად სიყვარულისა", სწორედაც რომ სიყვარულით შენების მიმანიშნებელია...

სპქტაკლის დამთავრების შემდეგ, გიმნაზიის ულემაზესი, უნიჭიერესი, სახით და სულით ნათელი ქალბატონი, თამარ კაპანაძე, შემაჯამებელი სიტყვით მოეფერა პატარა მსახიობებს, შემოქმედებით დასს...სპექტაკლს ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე– ჯემალ გამახარია; სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვნელი-დავით საყვარელიძე; რუსთაველის თეატრის მსახიობი-თენგიზ გიორგაძე და სხვა მოწვეული სტუმრები... ბატონმა ჯემალ გამახარიამ, მიულოცა გიმნაზიის მოსწავლეებს, ხელმძღვანელობას, საინტერესო, ეროვნული ტკივილით გაჯერებული, სპექტაკლის პრემიერის წარმატებით ჩატარება. საინტერესო მიმოხილვა და შეფასება გააკეთა, დღევანდელ არსებულ სიტუაციაზე, ჩვენი ქვეყნის უმშვენიერესი კუთხეების-აფხაზეთის და სამაჩაბლოს დღევანდელ ყოფასა და რეალობაზე.ბატონმა ჯემალ გამახარიამ, წარმატებები და გამარჯვებები უსურვა, გიმნაზიის ახალგაზრდობას, ერთიან და ბედნიერ საქართველოში...ახალგაზრდების (მოზარდების) შემოქმედება, დადებითად და ლამაზად შეაფასა, რუსთაველის თეატრის მსახიობმა– თენგიზ გიორგაძემ...რომელმაც ომახიანი შეძახილით დაასრულა მისი სიტყა-"თქვენა ხართ ის თაობა, ის

ძალა, ვინც აფხაზეთს და სამაჩაბლოს, ომის გარეშე, მშვიდობიანი, არა დამანგრეველი, არამედ მენტალური რევოლუციის გზით დაიბრუნებს!.."

მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორის, თამარ კაპანაძის, ძალისხმევა და საოცარი მონდომება იმ კუთხით, რასაც მოსწავლეთა მიმართ, საგნობრივ ცოდნასთან ერთად, კულტურულ– შემოქმედებითი აღზრდა, განვითარება და წარმოჩენა ჰქვია, რომლის მაგალითიც თუნდაც იმ სპექტაკლის პრემიერაა, რომელსაც " ნიშნად სიყვარულისა" ჰქვია...და ბოლოს, ისევ ილიას და აკაკის მინდა დაუბრუნდე და მათი სიტყვებით, ფრაზებით, დავამთავრო ჩემი სათქმელი...

"სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას. იგი ამ თავის თვისებებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრივ არის იგი სანატრელი, ამ მხრივ არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი, სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს აადგმევინებს, ფრთას გააშლევინებს"... – ილია ჭავჭავაძე

"სცენა არის სარკე ცხოვრებისა, ავ-კარგის უტყუარად მაჩვენებელი, რომელიც მსმენელ–მაყურებელს გრძნობა-გონებას უვითარებს. თეატრი ხალხის გამწვრთნელი უმაღლესი სკოლაა, თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ, სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუვრად უნდა აგვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, რომ სანახაობით მოხიბლული, მშვემიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშვერებას ზიზღით გავურბოდეთ...ქართულმა სცენამ უნდა გატეხილი გული გაგვიმთელოს, გაგვამხნეოს, ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი გაგვაცნოს, ბოროტი შეგვაძულოს და კეთილი შეგვაყვაროს"... – აკაკი წერეთელი

მადლობა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორს, მოსწავლეებს, შემოქმედებით (თეატრალურ) დასს, ლამაზი დღის ჩუქებისათვის...ისევ და ისევ, მადლიერებით და სიყვარულით – ირმა კეკელიძე

ალექსანდრე ციხელაშვილი



ნელი კვახაძე

ლალი ჩიქოვანი











ჯგუფი ზღვარი

შემოქმედებითი ჯგუფი ზღვარი

ოთახი
/ პიესა /

2022 წელი

თბილისური ამბავი

დრო: ოცდამეერთე საუკუნის ათიანი წლები ან – ოციანი წლების პირველი ნახევარი.

მოქმედი პირნი: ლადო

გია	ლეო
დათო	ნანი
გიზო	მარი

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

(ლადოს ოთახი. მსუბუქად გაწყობილ სუფრასთან სხედან მეგობრები – ლადო, გია, დათო).

დათო: მოწყენილი მეჩვენები, ლადო.

ლადო: ხო, რაღაც ცარიელია დღეები, იცი?

გია: ერთფეროვანი... ცარიელი...

დათო: მერედა შევცვალოთ რამე. მაგალითად, – ხომ ზაფხულია, ცხელმზიანი დღეების რიგი დგას, ხოდა წავიდეთ სადმე, ვთქვათ, – მთებში ან ზღვაზე... გავეცალოთ მთავარქალაქის პაპანაქებას თუნდაც მცირე ხნით. ხომ იცით, როგორ ამაღლებს განწყობას, განსაკუთრებით – ზაფხულში, გარემოს ცვლილება...

გია: ო, ეს უკვე მრავალფეროვანი ანუ სავსე დღეები იქნება.

ლადო: ასეა, მაგრამ...

დათო: ხო, მაგრამს მაინც ვერ გავექცევით.

გია: რატომ ვითომ?

დათო: არასწორი დრო და არასწორი ადგილი...

გია: სწორი რომელი იქნებოდა?

დათო: ვთქვათ, რომის იმპერიის ეპოქა, ან – მაგელანის დრო... ახვიდოდი გემზე და იცოდი, რომ იწყებოდა უსასრულო მოგზაურობა, ათასგვარი თავგადასავლებით სავსე, ფათერაკებით სავსე. მთელს მსოფლიოს, მთელს სამყაროს მოივლიდი... ან – ვერ მოივლიდი... უბრალოდ, გაქრებოდი სადმე და იცხოვრებდი, მერე, მარადისობაში...

გია: ხდება ხოლმე ასეთი რამ: ადამიანს არ მოსწონს ის დრო და ის ადგილი, სადაც თვითონაა, თუნდაც იმიტომ, რომ არსებული არის რეალობა, ხოლო ადამიანი ისწრაფვის ხოლმე ირეალობისაკენ. არ ვიცი, ეს ცუდია თუ – კარგი, მაგრამ ეს ფაქტია...

ლადო: საშუალო ასაკის პოეტების შეკრება. დაახლოებით ასეთ საუბარს ველოდი, რასაც ახლა ვსაუბრობთ. აგერ ამდენი წელია ვმეგობრობთ. აგერ ამდენი წელია ვისმენ ამგვარ რაღაცეებს ჩვენი შეკრებების დროს და... მაინც არ მბეზრდება ეს ყოველივე.

(ასწევს ჭიქას).

ხოდა, მოდი, ამ ჭიქით, ჩვენ გაგვიმარჯოს, ძმებო! ღვინით სავსე ამ ჭიქით, საერთოდ, ძმობა–მეგობრობას გაუმარჯოს!

(სამი ჭიქა შეერთდება სუფრის თავზე).

დათო: აკი ცარიელი დღეებიო (ეღიმება).

გია: თანაც, ახლა რომ თქვი, ლადო, საშუალო ასაკის პოეტებიო, ეგეც საკამათოა. საშუალო და დიდი ასაკის პოეტი არ არსებობს. პოეტი, ნებისმიერ ასაკში, არის ახალგაზრდა.

დათო: ხო, გარკვეული თვალსაზრისით, მართალია გიას ნათქვამი.

ლადო: კი, მართალია...

(ოთახში, სხვა ნივთებთან ერთად, არის გიტარაც. დათო მზერით შეამჩნევს მას. მერე ლადოზე გადაიტანს მზერას).

დათო: ეგებ რომელიმე სიმღერა მოგვასმენინო. ჩვენს შორის ხომ, ყველაზე უფრო, შენ ახლობლობ მუსიკასთან.

ლადო (გიტარას მოიმარჯვებს): კარგი, ისევ შევეცდები, რომ ჩემი პოეტურობა სიმღერაში გადავიტანო, თუმცა...

გია: დაასრულე სათქმელი.

ლადო: აი, სუფრას რომ სიმპათიური ქალიც ესწრებოდეს, სასიმღეროდ უფრო მეტად ავენთებოდი.

გია (ერთ-ერთ ცარიელ სკამს დგამს მაგიდასთან): ჩათვალე, რომ აგერ – ამ სკამზე ზის ის შენი სიმპათიური და შემოგციცინებს თვალებში. შენს თავს და მას მიუძღვენი სიმღერა. ჩათვალე, რომ მთელს სამყაროში ორნი ხართ მხოლოდ, მე და დათო კი თითქოს სამყაროს გარეთ ვართ, და იქიდან ვუსმენთ ამ სასიმღერო მიძღვნას...

(ლადო ასრულებს სიმღერას – ,,ჩემი ლირიკა''. ვფიქრობ, რომ ამ სიმღერის კარგად შესრულება განსაკუთრებით რთულია, მაგრამ პოეტს წარმატებით მიჰყავს საქმე ბოლომდე, ხოლო როცა სიმღერა დასრულდება, ლადოს ტაშით აჯილდოვებენ აღტაცებული მეგობრები).

დათო: ნუთუ, ჩვენი ასეთი შეკრების შემდეგ, ამ დღეს შეიძლება ეწოდოს ცარიელი? განა ჩვენთვის ეს სიცარიელეა?

გია: პოეტის ცხოვრებაში ცარიელი დღე არ არსებობს.

დათო: მითუმეტეს – პოეზიის ქვეყანაში.

გია: ხო, აქვს ხელოვნების ქვეყანას ასეთი უპირატესობა.

ლადო: დაგეთანხმოთ? არ დაგეთანხმოთ? – საკითხავი, აი, ეს არის...

(სამივენი იცინიან)...

<u>მეორე სურათი</u>

(ლადო მარტოა ოთახში. ისმის ზარის ხმა. ეტყობა – სტუმარია კართან).

ლადო (გასძახებს სტუმარს): კარი არაა ჩაკეტილი! ნებისმიერს შეუძლია მესტუმროს!

(ოთახში ლადოსთვის უცნობი ადამიანი შემოდის).

უცნობი: გამარჯობათ. ბარათაშვილი ბრძანდებით, არა?

ლადო: ბარათაშვილი?!

უცნობი: დიახ, ნიკოლოზი... ნიკოლოზ ბარათაშვილი!

ლადო: ეგ მთაწმინდაზე ცხოვრობს ბატონო ჩემო, ეს კი ლადო ბარნაველის ბინაა.

უცნობი: როგორ, თქვენ ნიკო არა ხართ? პოეტი ნიკო ბარათაშვილი!

ლადო: პოეტი კი ვარ, მეგობარო, მაგრამ ბარათაშვილობამდე არ ავმაღლებულვარ. მეტი რა გითხრა.

(უცნობი აქეთ-იქით დაიარება მედიდურად).

უცნობი: ნუ თავმდაბლობ. ეს არაა, ახლა, საჭირო.

ლადო: ხო, კარგი, კარგი, ბარათაშვილი ვარ! ბოდლერიც ვარ, გოეთეც, დანტეც!.. მაგრამ შენი ვინაობაც გამიმხილე.

უცნობი: ტაბიძე!

ლადო: ახ! გალაკტიონი! რა თქმა უნდა!.. როგორ ვერ გიცანი!

უცნობი: ისე, არც შენ გავხარ ნიკოს, ხო იცი.

ლადო (სპეციალურად გაიარ-გამოიარს კოჭლობით): როგორ არა, ბატონო გალაკტიონ! როგორ არა! აგერ, ვკოჭლობ კიდეც, ხომ ხედავ!

უცნობი: კი, კი, უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი.

ლადო (მაგიდასთან მდგომ სკამზე ჯდება): მოდი, დავჯდეთ ახლა, აგერ, მაგიდასთან, და გამარკვიე, – მაინც რისთვის მოხვედი.

უცნობი (ისიც ჯდება სკამზე): როგორ, გალაკტიონი რომ ბარათაშვილთან მივიდეს, განა გასაკვირია?

ლადო: ისე, მთაწმინდას თუ ვიგულისხმებთ, მართალს ამბობ, ხო იცი შენ!

უცნობი: უბრალოდ, შენთან საუბარი მომენატრა აქ, სივრცეებში.

ლადო: ეს ოთახია, მეგობარო, ერთი უბრალო ოთახი.

უცნობი: ეს სამყაროა, ნიკო, მთელი სამყარო.

ლადო: ეგ როგორ?

უცნობი: პოეტის ოთახი მთელი სამყაროა.

ლადო: მართალი გითხრა... მართალი გითხრა, მეც ასე ვფიქრობ... ბევრი აზრი, ბევრი იდეა ბუდობს ამ ოთახში... ჰმ, რამდენჯერ მოვმკვდარვარ აქ და რამდენჯერ დავბადებულვარ მერე, ხელახლა... ხანდახან მგონია, რომ აქ უთვალავი სხვა ადამიანიც ცხოვრობს, ჩემს გარდა... მაგრამ უმეტესად კი საოცრად მარტო ვარ, ღმერთზე უფრო მარტო (ლადო, უცებ, ძალიან მოიწყენს).

უცნობი: ღმერთი მარტოა?

ლადო: არ ვიცი. რაც ვთქვი, უბრალოდ, ხატოვნად ვთქვი.

უცნობი: რაც თქვი, მომეწონა. ვფიქრობ, აზრიანად და ლამაზად ითქვა, მაგრამ... მაგრამ მოწყენა არ ღირს ახლა. ისევ ის სჯობდა, აი, წეღან ამაღლებულ განწყობაზე რომ იყავი. სხვათა შორის, რუსთველსაც და ვაჟასაც ვეძებ, ეგებ მიმასწავლო, – მაგათი ნახვა სად შეიძლება.

ლადო (ისევ გამხიარულდება): ო, მაგ ხალხს რომ სხვათა შორის ეძებ, ეგ მაგარია!.. ამას გეტყვი: ამ ორი დღის წინ აქ იყო ორივე და... ახლა, არ ვიცი, თუ სად არიან...

უცნობი: აქ იყვნენ?! ვახ!

ლადო: პოეზიის ქვეყანაში ვცხოვრობთ და... რა გასაკვირია, რომ თუნდაც აქ იყვნენ – სწორედ ამ ბინაში.

უცნობი: მაგაში მართალი ხარ. აი მე, მაგალითად, ლექციებს ვკითხულობდი ფილოსოფიაში, და ერთხელაც, ნიცშეს თემას რომ ვეჭიდებოდი (ფეხზე წამოდგება, აქეთ-იქით ამაყად გახედავს სივრცეს), უცებ აშკარად დავინახე, რომ იგი იქ იდგა, იქ, ჩემს გვერდით, აუდიტორიაში! მას მერე ხშირად ვხედავდი კანტს, ჰეგელს, ლაიბნიცს და სხვებს... მერე ფსიქიატრიულში ამოვყავი თავი ბატონ ფროიდთან თუ ბატონ იუნგთან, – ზუსტად ვერ ვიხსენებ, რომელი იყო.

ლადო: კი, კი, რომელიმე უეჭველად იქნებოდა.

უცნობი: მერე უარვყავი გარდაცვლილებთან შეხვედრები (ვიღაცეებს ჰგონიათ გარდაცვლილები, თორემ)... ხოდა გამომიშვეს იმ დაწესებულებიდან, მაგრამ... მაგრამ, აი, როცა თავს გალაკტიონად ვგრძნობ, მაშინ ძალიან, ძალიან მიჭირს თავის გაკონტროლება და დავხეტიალობ ასე, ხან სად მივხეტიალდები, ხან სად... სხვა დიდ პოეტებს ვეძებ... (უცნობი თავს ჩაქინდრავს მწუხარედ). მე... მე გიზო ვარ... გიზო ვარ მე, კილაძე...

ლადო: ლადო ვარ მე, პოეტი ლადო ბარნაველი...

(ფეხზე წამოდგება ლადო და გიზოს ხელს გაუწვდის. ისინი მაგრად ჩამოართმევენ ხელს ერთმანეთს. მერე ორივენი ისევ დასხდებიან მაგიდასთან).

გიზო: ჩემო ლადო, წავალ ახლა მე... ეჰ... მაპატიე ეს იდიოტური შემოხეტება აქ...

ლადო: კაი თუ ძმა ხარ, რა არის საპატიებელი! მარტო ვიყავი, თანამოსაუბრე არ მყავდა, ხოდა გამიხარდა შენი სტუმრობა.

გიზო: სანამ წავალ, ერთი რამ მინდა გკითხო.

ლადო: მკითხე რაც გსურდეს, რა პრობლემაა. ერთი კი არა, თუ გსურს, ათი მკითხე.

გიზო: ახლახანს მითხარი, რომ პოეტი ხარ... აი, მგონი ყოველ ქართველს გვიცდია, ერთხელ მაინც, ლექსის შექმნა და, მეც მიცდია ეს, მართალი გითხრა. ხოდა ეს მითხარი, როგორ წერ, – შენ ხომ პოეტი ხარ... არსებობს გარკვეული წესები ლექსების და პოემების შესაქმნელად?..

ლადო: მეგობარო, გეტყვი ასე, – პოეზიას აქვს წესები, ამავე დროს კი – მას წესები არა აქვს. პოეზიას არ აქვს ჩარჩოები. ისაა სამყაროც და უფრო მეტიც... აი, თითქოს სხვა რაღაცა მინდა გითხრა, სხვანაირად გადმოვცე სათქმელი, მაგრამ... ხოდა გეუბნები დაახლოებით იმას, რასაც მე და ჩემი მეგობრები ვფიქრობთ პოეზიის შესახებ.

გიზო: მომეწონა შენი ნათქვამი, თუმცაღა... წესები არა აქვსო და... ეს როგორ...

ლადო: ერთ მაგალითს გეტყვი: სევდიან განწყობაზე ვიყავი. ავდექი და ამ განწყობის შესაბამისი ჩანაწერი დავაფიქსირე რვეულში. მეწვია ჩემი მეგობარი – დათო. გადაშალა რვეული, წაიკითხა ეს ჩანაწერი, შემდეგ იგი თარაზულად გადაწერა, ასე ვთქვათ, ლექსის ფორმა მისცა, და თავისებურად წამიკითხა. მერე მეუბნება, – მშვენიერი ლექსი დაგიწერიაო. რა ლექსი-მეთქი, – ვეუბნები მე, – ერთი უბრალო ჩანაწერია-მეთქი, არადა... არადა, ვატყობ, რომ მართლა ლექსია: დიახ, სხვა, ვინმე, დაარქმევდა ამას ვერლიბრს ან რაღაც ამგვარს, და იტყოდა, რომ ლექსი დაწერა... ეგრეა რა, – წესები ქრება ხოლმე, და თუ პოეტური პიროვნება ხარ, შეიძლება შენს ნათქვამთა, ნაწერთა უმეტესობა, თავისთავად იყოს პოეზია.

გიზო: ეგება მითხრა, ახლა, ის ლექსი.

ლადო: კარგი ბატონო, გეტყვი ამ ჩანაწერს, თუ ლექსს, მოგვიანებით, ,,პოეტური გრძნობა'' ვუწოდე სათაურად.

ხვალ, როცა დილა გათენდება, –
მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს, –
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, –
გამოჩნდება, როცა, ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ სტროფებს, –
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლექსების წვიმა, –
თვითონ ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად – მთელს სამყაროში,
და მაშინ,

ადამიანებს, საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...

გიზო: მართლა კარგად დაგიწერია.

ლადო: არადა, მართლა მეგონა, რომ ერთი უბრალო ჩანაწერი იყო... შეუცნობელია პოეზია...

მეორე მოქმედება

<u>პირველი სურათი</u>

(ლადო ჩაბნელებულ ოთახშია. ოთახს მხოლოდ ერთი სანთელი ანათებს. რეკავს ზარი).

ლადო: შემოდი, ღიაა კარი.

(შემოდის დათო, უცნობ ქალთან ერთად. ქალი სიმპათიურია, საშუალო ხნისაა, თუმცა ახალგაზრდულად უფრო გამოიყურება).

დათო: ლადო, შენთვის კარის ჩაკეტვა ჯერაც არ უსწავლებიათ?

ლადო: ჯერ მომესალმე კაცო, და გამაცანი ეს მშვენიერი ადამიანი.

დათო: მარი შორებელი არ არის, – გიას ძველი ნაცნობია. უნივერსიტეტში რომ სწავლობდა გია, იქ გაუცნიათ ერთმანეთი. ესეც სტუდენტი ყოფილა მაშინ. მერე, წლები რომ გავიდა, მისულა გიასთან, როგორც ძველ ნაცნობთან, პოეტთან, და თავისი ლექსების რვეული დაუტოვებია.

ლადო: როგორ, მარიც პოეტია?

დათო: მარი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მოკლედ, დიდი ხანია პოეტობის ჭია შეუჩნდა, ხოდა ვერ ისვენებს. არაერთ პოეტს წაუკითხა თავისი ლექსები, მაგრამ ლექსების მომწონებელი ჯერ კიდევ არავინ გამოჩენილა. (იცინიან სამივენი).

ლადო: ხოდა ახლა ჩემი იმედიღა დაგრჩათ სუყველას, არა? ძმაო, მისი ლექსებისა ჯერ არაფერი ვიცი, მაგრამ როგორც ქალი, ნამდვილად მიმზიდველია. (ისევ იცინიან).

დათო: მოკლედ, ლადო, გიას რაღაც საქმეები გამოუჩნდა და მარის მე ამოვყევი შენთან. უნდა მოუსმინო, თან – უნდა შეაფასო. მიეცი გარკვეული დარიგებებიც. მშვენიერი, პოეტური საღამოა და, ვისაუბროთ ხელოვნებაზე.

ლადო: ოხ, შუქი მაინც ამენთო (გაიწევს შუქის ასანთებად).

დათო: არა, არ ღირს. პოეტებს გვიყვარს სიბნელისა და სანთლის რომანტიკა.

(სხდებიან მაგიდის ირგვლივ, რომელზედაც სანთელი დგას, იწვის, ანათებს).

ლადო: დათო, შენ თუ წაგიკითხავს მარის ლექსები?

მარი: თვითონ წავუკითხე. ამ ერთი თვის წინ გიამ გაგვაცნო ერთმანეთი, ხოდა იმავე დღეს წავუკითხე.

ლადო: მერე?

მარი: მერე ის, რომ დათოს, ჩემს ნაწერებს, აღარასდროს წავუკითხავ.

ლადო: რატომ ვითომ?

მარი: ასე მითხრა, – რუსთაველის, დანტეს და გოეთეს დონეზე წერო. თან ისე სერიოზულად მეუბნებოდა ამას, რომ თავი იდიოტად ვიგრძენი.

დათო: დოსტოევსკის იდიოტად თუ...

(ისევ იცინიან სამივენი)...

მარი: მერე ედგარ პოც და ბოდლერიც ჩართო საქმეში.

ლადო: მერე?

მარი: მერე არაფერი... ახლა, აგერ, შენთან მოვედი, ჩემი რვეულით...

დათო: ლადო, ისე რა კარგია, შუქი რომ ჩაგიქრია და... ეს სანთელი... ოთახის კიდეები კარგად არა ჩანს. ხოდა, თითქოს უსასრულოა ეს ოთახი, პოეზიასავით უსასრულო... პოეტის მარტოობასავით უსასრულო... რა არის მარტოობა? რა არის?.. ამ ოთახს, თუ სამყაროს, საწყის-სასრული მართლა არა აქვს, – ეს ხომ პოეტის ოთახია...

ლადო: მარი, დაიკარგა ჩვენი მეგობარი ფანტაზიებში.

მარი: კარგია. პოეტებს უხდებათ უცნაურობა.

დათო: ფანტაზიები თვითონ ამ ოთახში ბუდობს...

(ყველა ჩუმდება. ოთახში სრული სიჩუმეა, რომელსაც აღარავინ არღვევს ერთხანს)...

მარი: დათო, იქნებ კიდევ გეთქვა რამე.

დათო: რა ვიცი აბა, რა უნდა ვთქვა... ბავშვი რომ ვიყავი, სკოლიდან რომ ვისვენებდი, – არდადეგების დრო რომ იყო, მშობლები თბილისიდან წამიყვანდნენ ხოლმე ერთ პატარა, ლამაზ ქალაქში, სადაც ყველანი ერთად ვისვენებდით რამოდენიმე კვირის განმავლობაში. გამგზავრება იწყებოდა საღამოს, მატარებლით, და ეს სვლა დილამდე გრძელდებოდა. დილით აღმოვჩნდებოდით იმ ქალაქის სადგურზე... წარმოიდგინეთ ოცნებებით სავსე, ფანტაზიორი პატარა ბიჭი, რომელიც ღამით მატარებლის ფანჯრიდან უმზერს სივრცეებს... უცნობი, იდუმალი სივრცეები ღამისა, საიდანაც გამოკრთებიან ხოლმე სინათლეები, როგორც ვარსკვლავები. თუ ბევრი ვარსკვლავია დაყრილი ერთ ადგილს, ესე იგი ქალაქს ჩაუარე ან – დიდ სოფელს. პატარა სოფლები ნაკლებად ანათებენ, თუმცა აქვთ, მათაც, თავიანთი ნათება. ირევა ერთმანეთში მიწა და ზეცა, ზეცა და მიწა. ეს ვარსკვლავები აერთიანებენ მათ. შენი მოგზაურობა ხდება კოსმიური, უსასრულო. მიდის მატარებელი ღამის მისტიკურ სივრცეში, და მკრთალად, სიზმარეულად აღიქვამ, ფანჯრიდან, ხედებს. ესაა ირეალური რეალობა. ესაა სიზმარ-ცხადი. და მოდიან, ამ ლურჯ-იასამნისფერი წყვდიადიდან, სინათლეები, ფერადი სინათლეებიც... სიბნელე, რომელიც სიბნელე არ არის... შენ იცი, რომ ეს გზა მონაკვეთია, – მისი ბოლოები შენი საყვარელი ქალაქებია და თუ როგორმე მაინც ჩაგეძინა ან ღამით, – როგორმე თუ დააღწიე თავი მოჭარბებულ შთაბეჭდილებებს და დაიძინე, დილას შენს საყვარელ ქალაქში გაიღვიძებ. ეს გზა მონაკვეთია, ამავე დროს კი, იგი, წრფეა, ანუ მას არა აქვს საწყის-სასრული, სულ ასე ივლი, ამ ჯადოსნურ სივრცეში, და უყურებ, განიცდი ამ ზღაპარ-მოგზაურობას, უსასრულო, მარადიულ მოგზაურობას... მხოლოდ ბავშვი ცხოვრობს, რეალურად, ირეალობაში, მხოლოდ ის გრძნობს, ბოლომდე, სამყაროს ზღაპარს, ამიტომაც – მხოლოდ ბავშვობაა ნამდვილი ბედნიერების დრო.

მარი: მერე რა არის, დათო, ბავშვობის მერე?

დათო: მერე ამბებია იმ ადამიანებისა, რომელნიც ლამაზი ზღაპრის გაქრობას ცდილობენ.

მარი: და რატომ?

დათო: ეგ არ ვიცი, მარი... ვხედავთ კი მუდმივ დაპირისპირებებს, და ამ არეულობაში ლამის ჩაიკარგა მტყუან-მართლობა, თითქოს აიზილა, აირია ერთმანეთში. ხოდა, მტყუანებთან ერთად, მართლებიც ისჯებიან. დასჯის ადგილი – დედამიწა... ვხედავთ მიტინგებს, რევოლუციებს, ომებს... არის სისხლის სუნი, სიღარიბე, ათასგვარი სნეულებანი... მოკლედ, არის უსიყვარულობა და სიკვდილი... სიძულვილი და სიკვდილი... კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება. მაგალითად: არის ერთი სიტყვა, ამათთან შედარებით, რაც უკვე ვთქვი, თითქოს უწყინარი სიტყვაა, მაგრამ აბა კარგად ჩააკვირდი: გულგრილობა, განსაკუთრებით კი – სხვისი გაუტანლობა, სხვისი ჭირისადმი გულგრილობა...

მარი: გულგრილობა... არა, დათო, ეს სრულიადაც არ არის უწყინარი სიტყვა.

დათო: მეც მაგას ვამბობ.

მარი: მაგრამ... შენ გაყავი ადამიანები ასაკის მიხედვით, არადა საშინელებანი ხომ ბავშვებსაც ეხება.

ლადო: არა... არ უნდა ეხებოდეს...

მარი: მაშინ არავის ეხებოდეს, ყველა ბედნიერი იყოს.

ლადო: მაშინ არავისში უნდა გაქრეს ბავშვობა, მარი.

დათო: მაგრამ... მაგრამ მე ვუცდი...

მარი: ვის, რას უცდი?

დათო: იმას, თუ როდის წაგვიკითხავ შენს ლექსებს!

მარი: როცა აღწერე შენი ბავშვობისდროინდელი მოგზაურობა მატარებლით, მე ჩავთვალე, რომ დღეს უკვე მოვისმინეთ პოეზია. ღამეს აღწერდი თითქოს, თუმცა მე ეს აღვიქვი, როგორც ნათელი. მერე წყვდიადზეც ილაპარაკე, მაგრამ იმ ნათელმა ის წყვდიადი გადაფარა... ყოველ შემთხვევაში, მე მინდა, რომ ასე იყოს. ხოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს უკვე მოვისმინეთ პოეზია, ჩემს ლექსებს ახლა არ წავიკითხავ. უბრალოდ, ლექსების რვეულს დავუტოვებ ლადოს. შემდეგში, როცა ისევ შემოვივლით აქ, შთაბეჭდილებებს გვეტყვის.

(მარი ფეხზე წამოდგა, და ლადოს, რომელიც ასევე წამოდგა ფეხზე, საზეიმოდ გადასცა რვეული. დათო ტაშს უკრავს).

დათო: ო, რა პოეტური სცენაა, რა პოეტური!.. ერთი კითხვა მაინც მაქვს, მარი.

მარი: მაშ მკითხე.

დათო: არ გეშინია?

მარი: არა...

(სამივენი იცინიან)...

<u>მეორე სურათი</u>

(საღამოა ან – ღამე. ლადო, თავის ოთახში, ტახტზეა წამოწოლილი. კარზე ზარია. ლადო წამოვარდება ფეხზე).

ლადო: მობრძანდით ბატონო! მობრძანდით! კარი ღიაა!

(შემოდის გია, ორ ახალგაზრდასთან – ლეოსთან და ნანისთან ერთად).

გია: მოკლედ, ჩათვალე, რომ მისალმებები გავიარეთ. ახლა პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, – ლეო და ნანი ცოტა ხნით შენთან უნდა დავტოვო.

ლადო: რა პრობლემაა!.. მაგრამ არ მეტყვი, რა ხდება, შე კაცო?!

გია: ამათი სახელები ხომ გითხარი, ხოდა ჩათვალე, რომ უკვე გაიცანი ორივე. ბიჭი ჩემი უბნელია. ნუ, უმცროსია, სხვა თაობიდანაა, სხვა ,,სასტავშია'', მაგრამ მაინც ვიცნობ. კარგი ბიჭია. გოგო რომ ვარსკვლავივით ანათებს, კი ხედავ. ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან, მაგრამ... სწორედ ამათ ასაკში იცის სიყვარულმა თავდავიწყება. ხოდა ამათაც შეუყვარდათ ერთმანეთი; ხოდა დაავიწყდათ ყველა და ყველაფერი, ერთმანეთის გარდა; ხოდა ამათი ოჯახები რომ ვერ ეწყობიან ერთმანეთს, ისიც დაავიწყდათ; ხოდა...

ლადო: ვახ, თანამედროვე რომეო და ჯულიეტა, არა?!... მოკლედ, სიყვარულია, ამათთვის, უპირველესი; მოკლედ, გაიპარნენ თავიანთი ოჯახებიდან; მოკლედ, თავშესაფარი არა აქვთ; მოკლედ, შენთან ვერ გააჩერებ, რადგან დიდია იმის შანსი, რომ იპოვონ, მანდ, ესენი; ხოდა, მოკლედ, ჩემთან უნდა იყონ! ხოდა იყონ!... მარტო ვარ, მოწყენილი ვარ... მარტოობა კი

მიყვარს, მაგრამ მაინც მოწყენილი ვარ... და, ეგებ, ერთად რომ ვიქნებით რაღაც დროით, იმ დროში მაინც შეივსოს სიცარიელე.

ლეო: დიდი მადლობა, ბატონო ლადო!.. მე, თქვენ, შორიდან გიცნობთ. თქვენ და თქვენი მეგობრები ხომ ცნობილი პოეტები ხართ.

ლადო: უბრალოდ – ლადო დამიძახე და შენობით მომმართე, გიოს ახლობელი ხომ ჩემი ახლობელიც არის... მოკლედ, ლეო, ნანი, ჩათვალეთ, რომ ჩემები ხართ, და რომ ეს ბინა თქვენი ბინაც არის.

ნანი: ბატონო ლადო... ლადო... არ ვიცი, როგორ გამოვხატო მადლიერება!

ლეო: კარგად თქვა ნანიმ.

ლადო: თქვენ ახლა თვლით, რომ სიყვარულისთვის იბრძვით. ხო, ვიცი მე ეს. გამომივლია თქვენი ასაკი. თვლით რომ მებრძოლნი ხართ, მეომარნი... იცის, ახალგაზრდულმა ასაკმა, ასეთი მკვეთრი (უმკვეთრესი) შეფასება ამბებისა... სულ სხვა თემაზე ვსაუბრობდით, ერთხელ, მეგობრები, მაგრამ ბრძოლის თემას მაინც შევეხეთ, ომის თემას, და თქვა, იმ დღეს, ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, – მე არ უარვყოფ ბრძოლას, მაგრამ მაშინ უნდა იბრძოლო, როცა დარწმუნებული ხარ შენს სიმართლეშიო... ხოდა იბრძოლეთ, თუკი დარწმუნებულნი ხართ თქვენს სიყვარულში, თქვენი სიყვარულის სიწმინდეში. თუ დიდია გრძნობა, ეს გაირკვევა, და არც ოჯახები, არც სხვები გადაეღობებიან მას... დამიჯერეთ, ყველაფერი კარგად დასრულდება.

ნანი: ლადო, ძალიან დამამშვიდა შენმა სიტყვებმა...

გია: წავედი ახლა მე. მალე დავბრუნდები.

(სწრაფად გადის).

ლადო: სად... სად წავიდა ეს კაცი!.. აი, აგერ დაჯექით, აგერ (ტახტზე უთითებს სტუმრებს, თვითონ კი იქვე, სკამზე ჯდება). ვისაუბროთ... მართალი გითხრათ, გიო რომ წავიდა, ცოტა უხერხულად კი ვარ, – პირისპირ რომ დაგვტოვა, ახალგაცნობილობამ თავისი ქნა და ამას ის დაემატა, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები რომ ვართ. არა, როგორც უფროსს, სითამამე მეტი უნდა მქონდეს, მაგრამ არ ვიცი, ლაპარაკი საიდან დავიწყო, – თავიდანვე რომ დაგაინტერესოთ, ან – რით დაგაინტერესოთ... რომელი თემა ავირჩიო...

ნანი: მაშინ... მაშინ პოეტსა და პოეზიაზე ვილაპარაკოთ.

ლადო: ორივეს გიყვართ პოეზია?

ლეო: კი, ასეა. გაგიმართლა ამ შემთხვევაში.

ნანი: ჩვენ კი უფრო გაგვიმართლა, – ნამდვილი პოეტისგან მოვისმენთ ლაპარაკს ამ თემაზე.

ლადო: პოეტი... პოეზია... აბა რა გითხრათ... მოკლედ გეტყვით, რომ პოეზიის ქვეყანაში პოეტის ადგილი არ არის.

ლეო: ეგ როგორ გავიგოთ?

ნანი: მე კი პოეტები ბედნიერი ხალხი მეგონა.

ლადო: დიახ, თუ პარალელურად ერთი-ორი სხვა სამუშაო აქვთ. ვიცხოვროთ პარალელურ რეჟიმში (იცინის).

ნანი: ესე იგი, შენც მუშაობ სხვაგან, სადმე, პარალელურად?

ლადო: კი, – მშობლებისგან დანატოვარ მეორე პატარა ბინას ვაქირავებ (ისევ იღიმება).

ლეო: ესე იგი, ღარიბი ხარ. მე კი ყოველთვის მაგრადმცხოვრები ელიტარი მეგონე. თუმცა... თუმცა ვინ იცის, თუ რა არის ნამდვილი ელიტა.

ლადო: ლეო, შენ დაკვირვებული ბიჭი ჩანხარ, კარგი, ფიქრიანი ბიჭი. მაგრამ მე გავაღრმავებ შენს აზრს, – საერთოდ, ვინ რა იცის, აი ესაა საკითხავი. რომ დააკვირდე, ეს იგივე ყოფნა-არყოფნის თემაა.

ნანი: მოულოდნელი გეზი მიეცა საუბარს... მაინც, მეც მეგონა, რომ პოეტები, რუსთაველის ქვეყანაში, მეფურად ცხოვრობდნენ.

ლადო: აბა რა გითხრა. მე ცუდად ვცხოვრობ.

ლეო: და ვისი ბრალია ეს?

ლადო: ჩემი ბრალია.

ლეო: მე კი მგონია, რომ სხვების ბრალი უფროა. მაპატიე, მაგრამ ალბათ შენი ბრალიც არის. მაინც, უფრო, სხვებს ვადანაშაულებ... ყველა ჩვენთაგანს ვადანაშაულებ.

ლადო: მილიონობით ადამიანს ადანაშაულებ ერთი უსაქმურის გულისთვის? ყველაფერი ჩემი ბრალია, ლეო, დამიჯერე!

ნანი: მე ვიცნობ შენს ხელოვნებას, ამიტომ უსაქმურს ვერაფრით გიწოდებ.

ლადო: ძალიან დიდი მადლობა, ჩემო პატარა მეგობარო! ერთს მაინც გირჩევ, – როცა შვილი გეყოლება, როცა შეეჭიდები ბავშვის გაზრდის უმნიშვნელოვანეს პროცესს, ადრეული ასაკიდანვე შთააგონე მას, შენს შვილს, რომ ხელოვანი არ გამოვიდეს. რამე სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი, ნებისმიერს, ოღონდაც ხელოვნებას – არა. მაგალითისათვის: ნანი, ლეო, თქვენ თუ იცით, რამდენ შემოქმედებით საღამოზე გამოვსულვარ?

ლეო: მაგაზე ნამდვილად ვერ გიპასუხებთ.

ლადო: ვერც მე გიპასუხებთ. დიდი რიცხვია ეს, და სათვალავი დავკარგე. ხოდა აბა თუ იცით, – რამდენს მიხდიან საღამოების ორგანიზატორები, აი, რომელიმე ერთ ამ ღონისძიებათაგანში მონაწილეობისთვის?

ნანი: არა, არ ვიცით.

ლადო: უმეტეს შემთხვევაში – არაფერს. ესაა ერთ-ერთი ნაცრისფერი მაგალითი ხელოვანის ცხოვრებიდან. ხან ლექსების წაკითხვას მთხოვენ, ხან სიმღერების შესრულებას, ხან იმას, რომ სიმღერებით გავალამაზო რომელიმე სხვა პოეტის ან პროზაიკოსის საღამო, ხან, უბრალოდ, სიტყვით გამოსვლას მთხოვენ... ჰონორარი კი...

ლეო: მაშ რატომ თანხმდები?

ლადო: ხელოვანთა უმეტესობას ვიცნობ, ხოლო ეს ხელოვანები თვითონვე არიან, ძირითადად, საღამოთა ორგანიზატორები. მე კარგად ვიცნობ მათ, ვიცი მათი უმეტესობის ფინანსური შესაძლებლობები, მათი მარიფათი, უფრო სწორად – უმარიფათობა... ხოდა უარს ვერ ვეუბნები... თანაც, მე ხომ პოეტი ვარ, პოეტი – თავიდან ბოლომდე, ხოდა მიხარია ხოლმე ხალხში გამოსვლა, ჩემი ხელოვნების წარმოჩენა, ასევე – სხვათა წარმატებაც მიხარია და ეს კარგია, მაგრამ, საერთოდ, როგორც ჩანს, ჩემს პიროვნებაში, კერძოდ, და არა მარტო ჩემს პიროვნებაში, ისედაც, ზოგადადაც, რაღაც-რაღაცაები გაუმართავია.

ლეო: კი, პრობლემა ბევრია. ეს პრობლემები ხელოვანებსაც ეხება და სხვებსაც. თუმცა რატომღაც მაინც მეგონა, რომ აქ, ჩვენთან, პოეტების საქმე გაცილებით უფრო აწყობილი იყო. როგორც ჩანს, არც ისე დაკვირვებული ვყოფილვარ.

ლადო: არა, დაკვირვებული ხარ, ჭკვიანი, მაგრამ ახალგაზრდა ხარ და ჯერ გაკლია გამოცდილება.

ნანი: მაინც კარგია ახალგაზრდობა.

ლადო: ბავშვობა და ახალგაზრდობა, – ესენია საუკეთესო დრონი. ახალგაზრდობა, – აი თქვენი დრო, დრო სიყვარულისა.

ლეო: დრო სიგიჟის. ახალგაზრდობა არის ანტისიმშვიდე. რაგინდ ჭკუადამჯდარი იყო, მაინც აფრენ რა, და ამ გაფრენის ნაწილია სიყვარულიც.

ნანი: სიყვარული ამ გაფრენის საუკეთესო ნაწილია.

ლადო: კარგი ბატონო, ვთქვათ, სიყვარული თქვენი თემაა, და ეს რომ ასეა, ფაქტია, აგერ, თქვენი ანთებული თვალების სახით, საერთოდ, თქვენი მშვენიერების სახით, მაგრამ ნება მიბოძეთ, რომ სიმშვიდის მიუღებლობასა და გაგიჟება-გადარევაში კონკურენცია გაგიწიოთ (გაიცინებს, ფეხზე წამოდგება და საზეიმოდ გაშლის ხელებს). ლექსის წაკითხვას ვაპირებ ახლა!

ლეო (ასევე საზეიმოდ ამბობს, პათოსით): არ არსებობს!

ნანი (კიდევ მეტი ზეიმურობა-პათოსით ამბობს): არა, არ არსებობს!!!

(სამივენი იცინიან).

ლადო (ჩამოუშვებს ხელებს, აქეთ-იქით გაივლ-გამოივლის და მერე ღიმილით ამბობს): ისე, ეს როგორაა კაცო, – ადრე ლექსს იმიტომ ამბობდა ადამიანი, თავისი ბრძენობა რომ დაემტკიცებინა, ახლა კი იმიტომ ამბობს, თავისი შეშლილობა რომ დაამტკიცოს?

ლეო (ასევე იღიმის): ხო, რაღაც ვერ არის რიგზე... ვერაა კაი ამბავი...

ნანი: პოეტო, არაფერი დაამტკიცო, ისე წაგვიკითხე შენი ლექსი. უბრალოდ, ჩვენი თხოვნაა, რომ ერთი ლექსი მაინც გვითხრა.

ლადო ზეპირად კითხულობს (ამბობს) ,,სისხლისფერ გლადიატორებს''. ვფიქრობ, რომ ამ ლექსის კარგად წაკითხვა განსაკუთრებით რთულია, მაგრამ პოეტი წარმატებით გაართმევს თავს ამ საქმეს:

ლადო:

სისხლისფერი გლადიატორები

რა შეაჩერებს ჩემი სულის გლადიატორებს,
სისხლით ირწყვება პოეზიის ვრცელი არენა,
სიმშვიდის ღმერთო, სთქვი, პოეტი ვით გეამბოროს,
ვით აერიდოს შეშლილობის მძაფრ ზეგავლენას;
ან რა ჩააქრობს ჩემს თვალებში ცეცხლის დემონებს,
დაცხრილულია თავად ზეცაც მძიმე ფიქრებით,
როგორც ქარონი, გარდაცვლილთა სულთა მებორნე,
მეც საკუთარ სულს ჯოჯოხეთის ცეცხლში მივყვები...
გავიფანტები თვით უშავეს განცდის ყორნებად,
და ჩემივე გულს ვფლითავ ასე გაფაციცებით,
დგანან გრძნობები ჩაბნელებულ ლამპიონებად,
მეფერებიან სიძულვილის ცივი თითები...
ვიხსენებ ფაუსტს, და ვალპურგის ღამის აღრევას;
სისხლის წვეთების ძოწისფერი კარნავალია...
მე მოგიწოდებთ ყველა წესის ფარდის დარღვევას, -
ანარქია ხომ პოეზიის რთული ვალია,
და ვანადგურებ წინ აღმართულ ქარის წისქვილებს, -
ბოლომდე მიმყავს დიდი საქმე, მე, ლამანჩელის...

და ვით შეჰფერის პოეზიის ნამდვილ აქილევსს, -
ბრძოლის შავ ველზე სამუდამო ფიქრად დავრჩები...
ხშირად მიყვარდა სმენა თვითონ მდინარე ლეთის,
(არყოფნის განცდაც ღვთაებრივი და წარმტაცია)...
დაიბზარება დედამიწის ფუჭი ხმელეთი, -
ის ვეღარ უძლებს პოეზიის გრავიტაციას!..
რა შეაჩერებს ჩემი სულის გლადიატორებს...

ლეო: არ ვიცი, რა ვთქვა... შენს პიროვნებაში ათასი მონსტრი ყოფილა დამალული.

ლადო: მერედა ეს კარგია?

ლეო: არ ვიცი, მაგრამ... მართლა ძალიან მაგარი ხარ.

ნანი: შვილი რომ მეყოლება, მე მას პოეტად გავზრდი.

ლადო: გოგო, მე რა გითხარი ცოტა ხნის წინ?!

ნანი: მახსოვს რაც მითხარი, მაგრამ...

(ამ დროს შემოდიან დათო და გია. მათ ცელოფნის სავსე პარკები უჭირავთ, თან, დათოს მაღლა შეუმართავს შამპანურის ბოთლი).

დათო: კომპანიას გაუმარჯოს!.. ლადო, ცელოფნის ამ პარკებში საჭმელებია. როგორც ხედავ, სასმელიც გვაქვს. ხოდა მოვილხინოთ ახლა.

ლადო: თქვენ აგაშენათ ღმერთმა! სახლში ბევრი არაფერი მქონდა და...

ნანი: სამაგიეროდ ხელოვნებით გაგვიმასპინძლდი. დიდებული იყო!

გია: ან ლექსს წაგიკითხავდათ ჩვენი ლადო, ან სიმღერას გიმღერებდათ... ყველამ ვიცით მაგის ამბავი... მაგრამ ლექსი და სიმღერა სუფრასაც ძალიან უხდება. ასე რომ, ლეო, ნანი, დღეს აქ, თქვენ, ბევრ ლექსს და სიმღერას მოისმენთ...

მესამე მოქმედება

<u>პირველი სურათი</u>

(ოთახი. ლადო და მარი საუბრობენ).

მარი: მოკლედ, პირდაპირ არ მეუბნები, მაგრამ ისედაც ვხვდები, რომ ჩემი ლექსები არ მოგეწონა.

ლადო: არა, მთლად ეგრე არაა საქმე, თუმცა მაინც ვერ გავიგე, – შენ რატომ გსურს, დაჟინებით, რომ ლიტერატურას ქმნიდე. აი, მაგალითად, მე ვქმნი ლიტერატურას, – პოეზიას, პროზას... მაგრამ რა მოვიგე ამით.

მარი: ხელოვნება სჭირდება ხალხს, უყვარს ხალხს. შენ, როგორც ხელოვანი, ბევრს უყვარხარ.

ლადო: სიყვარულით თავს ვერ ირჩენ.

მარი: გაყიდი წიგნებს, გამოხვალ შემოქმედებით საღამოებზე და ასე შემდეგ... მოკლედ, ყველაფერში გადაგიხდიან ფულს.

ლადო: წიგნებიც შემიქმნია, საღამოებზეც გამოვდივარ, მაგრამ... იცი რა, მარი, ლიტერატურის ბიზნესი რომ ააწყო, საერთოდ, – ხელოვნების ბიზნესი რომ ააწყო, მაშინ უნდა ცხოვრობდე მდიდარ, წელში გამართულ, ამაყ ქვეყანაში, ამბიციურ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანას კი,

ბოლო ათწლეულებში, ბევრად უფრო დიდი დროის განმავლობაშიც, ამბიციისათვის არა სცალია. ჩვენ სხვა პრობლემები გვაქვს და...

მარი: ზუსტად ვერ ვხვდები, რისი თქმა გსურს.

ლადო: წარმოიდგინე, ვთქვათ, შტატები, ან – ევროპის ძირითადი ქვეყნები. მათთვის, ხელოვნება, არაერთ სხვადასხვა რამესთან ერთად, ბრძოლის იარაღიც არის. ისინი, ხელოვნებით, (ისევე, როგორც, ვთქვათ, მეცნიერებით, სპორტით...), უმტკიცებენ, მსოფლიოს საკუთარ უპირატესობას. ამით იძლიერებენ ავტორიტეტს, იმყარებენ გავლენას. მოკლედ, მათთვის აუცილებელია ხელოვნება თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარ თავსაც და მთელს დანარჩენ მსოფლიოსაც უთხრან, – ჩვენ მაგრები ვართო. და როცა ყველა ხედავს შენს სიძლიერეს, როცა ყველა გბაძავს, ყველა შენგან სწავლობს, მაშინ ყურადღების ცენტრში ექცევი, ძალიან დაფასებული ხდები, და უმჯობესდება, ყველანაირად, შენი პოზიციები, საერთოდ – მთელი შენი ცხოვრება. ასწავლი სხვებს, რითიც მაღლდებიან ისინი, და, თავისთავად, მაღლდები თვითონ შენ.

მარი: ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში როგორაა საქმე?

ლადო: საქმე ასეა: ეს არის სადღაც ოთხი ათასი წლის უძველესი ქვეყანა, მაგრამ, ჩვენი ,,ოქროს ხანის'' შემდეგ, უკვე დიდი ხანია გასული, უკვე დიდი ხანია აღარ დგას, აქ, წელგამართული დრო. ხოდა ფიქრობს, აქ, ადამიანი, გადარჩენაზე, თავის გატანაზე, და ათასი პრობლემებით გარემოცულს, ხელოვნება ფუფუნების საგანი ჰგონია. ის ფიქრობს, რომ ხელოვნება გართობაა, ვიღაცაების ახირებაა... მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანი ფიქრობს, – ჯერ პური და მერე სანახაობაო, მაგრამ შენ რომ იშოვო პური, რომ მოიპოვო სამყაროში შენი ადგილი, თანაც ის ადგილი, რომელიც, დიახ, შენია, ანუ რომელიც მართლაც გეკუთვნის, ამისთვის საჭიროა ბრძოლა. სიმართლის გასამარჯვებლად ბრძოლაა საჭირო, ხოლო ბრძოლისათვის საჭიროა იარაღი. სისხლისმღვრელ იარაღს ხომ ისეთი იარაღი სჯობს, უსისხლოდ რომ აჩვენებს ყველას, თუ ვინ ხარ შენ. უნდა განამტკიცო საკუთარი პიროვნება, რომ იყო კარგად, ძლიერად. რომ მოიპოვო შენი კუთვნილი ადგილი, განამტკიცო შენი პოზიციები, ამისთვის საჭიროა იარაღი... მსოფლიოს პროგრესული ქვეყნების ხელში ხელოვნება იარაღიც არის, ოღონდაც – ისეთი, რომელსაც ბოროტებანი კი არა, სიკეთეები მოაქვს. ჩვენც გვაქვს ეს კოზირი, – ხელოვნება, – დიდი ქართული ხელოვნება, მაგრამ იგი ფუფუნება გვგონია, გართობა, ზედმეტობა გვგონია, და მისით თავს კი არ ვიმკვიდრებთ, პოზიციებს კი არ ვიმყარებთ პატარა თუ დიდ სივრცეებზე, არამედ მისით ვერთობით. არა, ხელოვნება გართობას არ უარყოფს, მაგრამ იგი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ გასართობი რამ... საუკეთესო, რაც გვაქვს, ჩვენი ხელოვნებაა, მითუმეტეს – ჩვენი ლიტერატურა, თუმცა იგი დღემდე არ წარგვიდგენია, შესაბამისად, მსოფლიოსათვის. ხოლო როგორც წარვადგინეთ, ეს შესაბამისობისაგან შორს არის... ხოდა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი დაბლაგვდება, თუ ასე გავაგრძელებთ... ჩვენს ხელოვნებაში არაა ფული არაერთი მიზეზის გამო, ხოლო ერთ-ერთია ის, რომ არ ვიცით მისი შესაბამისად გამოყენება. უკვე ვთქვი, რომ ჩვენ, ის, გასართობი რამ გვგონია მხოლოდ, ხოდა თუ გასართობია, თუ ფუფუნებაა, ვფიქრობთ, რომ ეს, ჯერ-ჯერობით, არის ზედმეტობა, რომ კარგია გართობა, მაგრამ ჯერ, დღის წესრიგში, სხვა პრობლემები დგას... არადა, სხვადასხვა ხაზები როგორმე უნდა შეერთდეს. როგორმე ერთად უნდა განვითარდეს ეს ხაზები, რომ ერთმანეთს შეეხიდოს... ხელოვნება ავითარებს კაცის სულს, ხოლო ვინ წაიწევს წინ სულიერი განვითარების გარეშე... ძალიან მტკიცედ და უსასრულოდ უნდა გვებრძოლა, უნდა გვებრძოლა იმისთვის, რომ

აქაც და უცხოეთშიც განმტკიცებულიყო პოზიციები ჩვენი ხელოვნებისა. დიახ, ეს პროცესი, ბრძოლისა, უსასრულოდ უნდა გრძელდებოდეს. ევროპამ ანტიკური კულტურითა და რენესანსით მოიპოვა, უმთავრესად, მისი სუპერსტატუსი, თუმცა სხვა დროსაც ყოველთვის მუშაობდა და არც ოდესმე აპირებს გაჩერებას... რენესანსი... ხოლო ჩვენ, რომელთაც მანამდე წამოვიწყეთ გასაოცარი მოვლენები, რომელთაც ლეონარდომდე, მიქელანჯელომდე, რაფაელამდე, თვით დანტემდეც კი, რუსთველი გვყავდა, ფაქტიურად დავმალეთ ჩვენივე კულტურა დიდი, დიდი ხნით... ხოდა ეს უნდა შეიცვალოს... ბევრი რამ უნდა შეიცვალოს...

მარი: ლადო, არ ვიცი, რაში დაგეთანხმო და რაში არა, მაგრამ ძალიან კი გამიტაცე მაგ მონოლოგით... ერთს მაინც გკითხავ. შენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ ჩვენს ხელოვნებას, ჩვენს ხელოვანს, ჯერაც ვერ უპოვია თავისი ადგილი; თუ ასეა, მაშ რად ქმნი, ხელოვნებას რად ემსახურები, სხვა საქმეს რად არ ჰკიდებ ხელს?

ლადო: ეს ჩემი მინუსია, რომ სხვა საქმეს არ ვკიდებ ხელს, თუნდაც – პარალელურ რეჟიმში. ამას გამართლება არა აქვს, მარი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა საქმეში, მე, ვერასოდეს ვიქნები მთლიანად ნამდვილი. სამაგიეროდ... სამაგიეროდ, რომელიმე სხვა საქმით, ეგებ თავიც მერჩინა და ცოლ-შვილიც შემენახა. ხომ ხედავ, რომ ცოლ-შვილი არა მყავს. თავი კი გაგვაქვს მეგობრებს, მხარში ვუდგავართ ერთმანეთს და გაგვაქვს თავი როგორღაც, მაგრამ... მთელმა ცხოვრებამ, ნამდვილმა ცხოვრებამ, თითქოს სადღაც – სხვაგან ჩაიარა... თუმცა, მეორეს მხრივ... (ლადო ლაპარაკს შეწყვეტს და ჩაფიქრდება).

მარი: მე ყურადღებით გისმენ, ლადო.

ლადო: მეორეს მხრივ, სულ ვქმნიდი, სულ, და ადრიდანვე ვოცნებობდი, რომ პროფესიონალი ხელოვანი ვყოფილიყავი. სხვა არაფერი მაინტერესებდა, არაფერი, გესმის?! მხოლოდ ხელოვნება იყო ჩემში, – პოეზია და მისი სხვადასხვა გამოვლინებანი. მთელი მსოფლიოს კულტურას ვეცნობოდი ადრეული წლებიდანვე. ვეცნობოდი სამყაროს ათას არასაიდუმლოებას და სამყაროს ათას საიდუმლოებას... ვთვლი, რომ მხოლოდ აქ, – მხოლოდ ხელოვნებაში ვარ ნამდვილი, მხოლოდ აქაა ჩემი ადგილი, ხოლო ყველა სხვა სფეროში მე მატყუარა ვიქნები.

მარი: ლადო, ვერ დაგეთანხმები ამაში.

ლადო: ვიცი მარი... ვიცი... მაგრამ სხვაგვარად ცხოვრება არ შემიძლია, გესმის?!.. მთელი ჩემი ცხოვრება იყო, არის და იქნება ქმნადობა, ქმნადობა ხელოვნების, და ეგებ არც მაინტერესებს ის, თუ როგორ ვქმნი – კარგად თუ ცუდად, ანუ – თუ როგორია ჩემი ქმნილებები. ნებისმიერ შემთხვევაში, მე, ისინი, მაინც ყველაზე მეტად მიყვარს. მამა არ გასწირავს შვილებს და შვილები არ გასწირავენ მამას... აუ, კიდევ რამდენი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ...

მარი: მაგრამ შენ, პოეტი კაცი, ილაპარაკებ ყველაფერზე, გარდა... გარდა სიყვარულისა, არა? უცნაურია.

ლადო: მე ერთ თემასაც ვერ ამოვწურავ, მარი, იმდენია სალაპარაკო. ასე რომ... სხვა თემაზე გადასვლა, თანაც ისეთზე, როგორიც სიყვარულია... მაგაზე ხომ საუბრის დაწყება არ ღირს, მარი, რადგან ეგ უსასრულობათა უსასრულობაა და... მილიარდი სიტყვითაც კი ვერაფერი იქნება ნათქვამი.

მარი: ეგებ ლექსით გეთქვა სათქმელი. პოეზია ხომ...

ლადო: დიახ, პოეზია ყოვლისშემძლეა და, სათქმელის თქმა კი უნდა მოვახერხო ლექსით, მაგრამ... განწყობაც ხომ საჭიროა... სულ სხვა თემაზე ვლაპარაკობდი და... ნუთუ სატრფიალო ლირიკისათვის ვართ, ახლა, განწყობილნი.

მარი: ლადო, ნუთუ შენ არ იცი ეს, რომ როცა პოეტი–მამაკაცი და ქალი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებიან, ეს უკვე არის პოეზია.

(ორივენი იცინიან).

ლადო: მაშ ასე: წაგიკითხავ ლექსს. არაა ახალი ლექსი, ადრე დავწერე, ოდესღაც, მაგრამ... მაგრამ ისე მომისმინე, თითქოს მართლა გჯერავს, რომ შენ გეძღვნება. ამ ლექსს ,,უკვდავება'' ჰქვია:

შენ არ მოკვდები, რადგან
შენ ხარ ისე ლამაზი,
რომ დაიღუპო,
სილამაზე დაიღუპება.
არ დაბერდები,
სიყვარული არა ბერდება,
არც კვდება,
ბოლოს იფანტება ცაში
ღრუბლებად.
შენ არ მოკვდები,
მზის სხივები კვლავ დაგაბრუნებს.
მე შეგეხები ოცნებებით,
სიზმრის თითებით.
დრო მოვა, როცა
სიყვარულის ღმერთად გაკურთხებ,
და თმებს შეგიმკობს
ნისლისფერი მარგალიტები.
შენ რომ არ იყო,
ეს არაფრით არ შეიძლება.
უღრმეს თვალებში
საუკუნე წამად გაიარს.
მთელი ცხოვრება
იყო მხოლოდ შენზე ფიქრები,
ყველაზე მეტი, ამ ფიქრთაგან,
ბოლო წამია...
შენ არ მოკვდები...

როდესაც ლადო ლექსის კითხვას დაასრულებს, ხედავს, რომ მარის, თვალები, ცრემლებით ევსება).

ლადო: რატომ მოიწყინე, მარი, მეგონა – ეს ლექსი გაგახარებდა.

მარი: გამახარა, მაგრამ... ეს ხომ... ეს ხომ მართლაც არ დაგიწერია ჩემთვის... ამ ლექსს არაერთხელ გადავაწყდი აქამდეც. სულ პირველად, იგი, ერთ-ერთ წიგნში ვნახე გამოქვეყნებული, ოდესღაც. დიახ, ეს სტრიქონები მართლაც რომ ჩემს გაცნობამდე დიდი ხნით ადრე გაქვს დაწერილი... სამწუხაროდ...

ლადო: არა, მარი, პოეტური გაგებით, ჩემს და შენს გაცნობამდე, ეგებ არაფერი არსებობდა, მათ შორის – ეგებ ეს ლექსიც არ არსებობდა იქამდე...

მარი: ლადო, რა კარგია შენთან... საოცარი სიტყვაა ღირსება, და გეტყვი, რომ შენ ღირსეული ადამიანი ხარ.

ლადო: უკეთესს ვერაფერს მეტყოდი, შევიფერებ შენს ნათქვამს.

მარი: და კიდევ ამას ვიტყვი, რომ ნამდვილად შემდგარ სახელმწიფოში ხელოვანი ნამდვილად დაფასებული არის. ხოდა, ადრე თუ გვიან, გვექნება ასეთი სახელმწიფო.

ლადო: ჩვენ, ყველამ ერთად, ისეთი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, მარი, სადაც ყველა ადამიანი იქნება ნამდვილად დაფასებული. აი – მართლაც შემდგარი სახელმწიფო.

მარი: ხოდა გვექნება ასეთი ქვეყანა.

ლადო: მართლა ასე ფიქრობ?

მარი: სხვანაირად რატომ უნდა ვიფიქრო. განა რა აზრი აქვს რწმენა-იმედის გარეშე ცხოვრებას...

მეორე სურათი

(ისევ და ისევ – ოთახი. ლადო და გია საუბრობენ).

გია: ისე მოხდა, რომ ფული ჩამივარდა ხელში. ხოდა მალე, რამდენიმე დღით, მართლა წავალთ მთიან კურორტზე მე, შენ და დათო. ხომ იცი, როგორ უყვარს, მაგას, მთებში ხეტიალი.

ლადო: პოეტებს გვიყვარს მთები. მიხარია, რომ ეს საქმე გამოვიდა. ისე, რა უცნაური კაცია, არა? მთელი ცხოვრება აკვიატებული აქვს იდეა უსასრულო, მარადიული მოგზაურობის შესახებ და...

გია: რა გინდა მერე, ერთბაშად თუ არა, მთლიანობაში მაინც, ამ თავისი სხვადასხვა პატარ-პატარა ხეტიალ-მოგზაურობებით, საბოლოო ჯამში, ასრულებს თავის იდეას. ყველა იდეა უნდა შედგეს. გვეყო ხეტიალი შეუმდგარი იდეების სასაფლაოზე. აგე, დანტე ალიგიერმა, საიქიოშიც იმოგზაურა, ხოლო ზოგ ადამიანს სააქაოს ნახვაც კი ეზარება, მაგრამ, სააქაო ცხოვრება და ამ ცხოვრების უარყოფა არ სურს.

ლადო: ყველაფრის უარყოფა ადვილია. რომ არ უარყო, ეგაა საქმე... ისე, მართალი გითხრა, მეც სულ ვმოგზაურობ.

გია: შენ?!

ლადო: აი – ჩემი ოთახი. ვთქვათ, ეს მანქანაა, ან – მატარებელი, ან – გემი, ან, ვთქვათ, აეროსტატი, თვითმფრინავი, ან თუნდაც – თვით კოსმოსური ხომალდი... და მერე რამდენჯერ წარმომიდგენია ეს, და ფიქრით, მხოლოდ ფიქრითაც კი, სად აღარ მიმოგზაურია, სულ მარტოდ მყოფს, აი, ამ ოთახში. რომ იცოდე, რა სივრცეები მინახავს სახლიდან გაუსვლელადაც კი...

გია: მესმის, მესმის... ყველა პოეტი უცნაურია, და, როგორც ჩანს, უცნაურია პოეტის ოთახიც. აი შენთვის, მაგალითად, ეს ოთახი სამყაროში მოგზაურობის საშუალებაა, მაგრამ, ამავე დროს, შენთვისვე, ეს ოთახი თვითონ არის მთელი სამყარო... საოცრებაა ადამიანი, საოცრებაა ფიქრი...

ლადო: მოკლედ რომ მითხრა, მაინც ვინ არის ადამიანი?

გია: არა რა, მგონი დღესაც ვერ გავექეცი ამ პოეტურ-ფილოსოფიურ საუბრებს... მთელი ცხოვრება ვფიქრობ, ვინ ვართ ადამიანები და რა გვინდა საერთოდ, რაა ჩვენი მიზანი თუ მიზნები, მაგრამ ვერ გავეცი პასუხი ამ კითხვას, ხოდა შენ გინდა, ახლა, რომ ასე უცებ გიპასუხო?! არა, ძმაო, არა!.. მახსოვს, რომ, ერთხელ, მთელი ღამე გავათენეთ, პატარა სუფრასთან, მე და დათომ, ამ თემაზე საუბრით, მაგრამ შედეგი არ შედგა!.. ვინ არის ადამიანი, არ ვიცი, მაგრამ სხვას კი გეტყვი, – თუ კაცად დაიბადე, რა თქმა უნდა, სჯობს დანტე იყო და სტრიქონები გამოიწვიო დუელში, ვიდრე დანტესი იყო და დუელში პოეტი მოკლა.

ლადო: ისე ამბობ, თითქოს ადვილია, რომ რუსთველი იყო, დანტე იყო, გოეთე იყო... ადამიანი რომ ღმერთი იყოს, ეგ ადვილია?

გია: ახლა არ გამოგყვები მაგ თემის გაშლაში.

ლადო: მიუხედავად ყველაფრისა, წეღან რაც თქვი, ლამაზად კი თქვი... ხო, ასეა... საერთოდაც, ძალიან გამიხარდა, რომ შემომიარე... მარტოობა მიყვარს, მაგრამ დღეს, რაღაც, ძალიან მოვიწყინე... და გამახარა შენმა დანახვამ, შენთან საუბარმა.

გია: მე დათოს დავურეკე ცოტა ადრე, სანამ აქ მოვიდოდი. მოკლედ, ისიც მოვა, თან მარის მოიყვანს აქ.

ლადო: მარის?

გია: ახლა არ მითხრა, არ გამიხარდაო.

ლადო: რა დასამალია და... დიახ, გამიხარდა.

(ორივეს ეღიმება. დაახლოებით ამ დროს შემოდიან დათო და მარი).

დათო: ომახიანად გესალმებით მეგობრებო, და საუბარს იმით ვიწყებ, რომ ყველაფერი საბოლოოდ ,,მოყომარდა'', – ერთ კვირაში დიდი ქორწილი აქვთ ლეოს და ნანის, სადაც მიპატიჟებულნი ვართ, ხოლო ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ სუფრას გია უთამადებს!.. მაგრამ ამ აბუეტმა ჯერ არ იცის ეს ამბავი...

გია: კი მაგრამ, კაცო, მე ვერ მითხრეს?

დათო: შენ, ბატონო, მობილურს არ იღებ და... ლეომ რომ დამირეკა, მაშინ მითხრა, – ათასჯერ დავურეკეო, არ პასუხობსო, ხოდა შენ გადაეცი, რა, თამადობის ამბავი, სანამ პირადად ვნახავო.

გია: რას ამბობ! მობილურზე ზარი არ გამიგია... საერთოდ, არც შემოსულა ზარი, თორემ დანარეკი ხომ დაფიქსირდებოდა.

დათო: შენს მობილურზე, ბატონო, მხოლოდ ლადოს ზარები შემოდის.

გია: არადა, მე და შენ რამდენჯერ გვისაუბრია მობილური ტელეფონით.

დათო: ხო რა, ეგრეა, – მხოლოდ მე და ლადოს დაგვდო პატივი შენმა ტელეფონმა.

გია: ხომ ხედავ, ტელეფონიც კი ჩემს ჭკუაზე ,,აღვზარდე'', – იცის, რომ ჩემს ძველ მეგობრებს განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოექცეს (იცინიან)... ახლა კი ერთ რამეს გეტყვით: აი, დათომ დიდებული ამბავი მოიტანა და ხასიათი მთლად გამინათდა; მანქანით ვარ მოსული; ხოდა ჩავჯდეთ მანქანაში ყველანი, ავიდეთ, რა, მთაწმინდაზე! მშვენიერი ამინდია გარეთ და... პოეზიის მთავარქალაქს გადმოვხედოთ მაღლიდან, როგორც სამყაროს!

დათო: უყოყმანო და მტკიცე პასუხი, – თანახმა ვარ!

ლადო: მეც თანახმა ვარ! მთაწმინდა, – ეს ხომ მთელი რომანტიკაა.

მარი: ლადო, ეგებ გიტარაც წამოგეღო.

ლადო: არა, მარი. მთაწმინდა თვითონ არის ხელოვნება. თავისი პოეზია, თავისი მუსიკა, თავისი მხატვრობა და კიდევ სხვა, ყველაფერი საუკეთესო, მას თავისთავად გააჩნია.

მარი: მაშინ... მაშინ ეგებ აქ გემღერა ერთი რამ მაინც... ეგებ... და მერე წავსულიყავით. არასდროს გიმღერია ჩემს წინ. ვუმზერ ამ გიტარას, ასე მოწყენილს და...

დათო: არასდროს უმღერია შენს წინ და შენთვის, არა?!

გია: ო, ეგ ამბავი გამოსწორებას საჭიროებს!

(ლადოს გაეღიმება).

მარი: ახლა იმღერებ. მერე უფრო ბედნიერნი წავალთ მთაწმინდაზე და მერე, როცა შენს სახლში – პოეტის სახლში დაბრუნდები, ფერად ფიქრებში გაიხსენებ მთელს დღეს.

ლადო: როცა ჩემს სახლში დავბრუნდები, მარტო...

მარი: ხო, როცა შენს სახლში...

ლადო: როცა ჩვენს სახლში დავბრუნდებით, მარი... ჩემსა და შენს სახლში...

მარი: ლადო!..

ლადო: როგორც ჩანს, დათოს და გიას, უკვე მალე, მეორე ქორწილშიც – ჩვენს ქორწილშიც მოუწევთ დათრობა, ჩემო მარი!

დათო: აი, თქვენ გენაცვალეთ რა! თქვენ გენაცვალეთ!.. ხოდა თამადად წინასწარვე, უკვე ახლავე, გიას დავასახელებ! უარი არავინ გამიბედოს!

გია: დიდებული სიტყვებია!.. მიყვარს თამადობა... პოეტი ყველაფერში პოეტი უნდა იყოს, მათ შორის – თამადობაშიც, ხოდა ვცდილობ – შეძლებისდაგვარად.

ლადო: სერიოზული შედეგებიც გაქვს, ჩემო გია!

(ყველანი იცინიან კმაყოფილნი).

დათო: ლადო, ახლა კი დროა, ჩემო ძმაო, რომ მარის ერთი ლამაზი სიმღერა აჩუქო...

(ლადო ასრულებს სიმღერას – ,,სიყვარულს უხდება ფრთები''. რადგანაც სიმღერას ,,ადვილი'' მისამღერი აქვს, ლადოს მხარს აუბამენ სხვებიც, და ერთად მღერიან. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დარბაზში მოსული მაყურებელიც აჰყვეს მსახიობებს, სიმღერით, (სიმღერის რიტმს აყოლილი ტაშითაც), და პიესა ასეთი ამაღლებული განწყობით დასრულდეს)...

ეკონომიკა

Valeri Mosiashvili, Georgian National University SEU
PhD of Economics, Professor, Georgia
Tbilisi. Georgia
vmosiashvili@seu.edu.ge

Eter Mamatsashvili, Georgian National University SEU
PhD of Economics, Asoc. Professor, Georgia
Tbilisi. Georgia
e.mamatsashvili@seu.edu.ge

FINANCIAL INNOVATIONS IN THE CREDIT SYSTEM OF GEORGIA

Annotation. The paper mentions that the most remarkable feature of banking services is their "productive" character, and in the simplest form, such as receiving cash from the population and enterprises in deposits, "the greatest entrepreneurial sense is woven". It is noted that by providing deposit services, the bank transforms "non-working" and unused monetary resources into "working" assets. Equally, the mentioned also refers to the "credits" provided to enterprises and organizations for the development of their production and financial activities. In one way or another, by serving the economic activities of their clients, banking operations contribute to the development and acceleration of production. It is proposed that, according to the author's opinion, a new banking product is a documented and ordered set of organizational, technical, technological, financial, informational and legal procedures constituting the regulation of a new banking service or their complex provided in an unconventional way or using innovative technology.

Keywords: Financial innovation, profitability of investment, financial asset, investment in innovation, bank lending, interest rate.

When classifying the services of banks, despite the considerable narrowing of the considered field and the circumstances of their use, the researcher encounters difficulties. The classification can be based on features that carry the qualitative characteristics of the relationship between the bank and the client. Classifications of banking operations are important, such as (Mosiashvili, https://ijsser.org/index.php, 2022):

1. Classification of banking products, in accordance with the ways of bank accounting and banking operations.
2. Classification of banking products "Degree of product similarity according to usage".
3. Mixed qualification, formed simultaneously according to several bases: range of services, type of financial instrument, type of banking operation and others.

The simplicity of construction of the given classification, its insufficient systematicity, does not allow to fully convey the content of the product as a set of features (characteristics) determined by the bank's activities. There is no certainty and clarity in the classification. It is not specified what kind of service each product implies. See Table 1 for the criteria for classifying services drawn up by the author (მოსიაშვილი ვ., 2023).

First of all, banking services can be divided into specific and non-specific services. Specific services are everything that derives from the specifics of the bank's activities as a special enterprise. Specific services include three types of operations performed by them (Mosiashvili Valeri, 2022): 1. Deposit operations; 2. Credit operations; 3. Settlement operations.

Table 1. Author's classification of products according to the type of providedservices (Mosiashvili, V., 2020)

Classification criteria:	Type of provided services:
Depending on the specifics of banking activity:	• Specific services • Non-specific service
Depending on the objects of receiving services:	• Corporate • Natural persons
Depending on the method of formation and placement of the bank's resources:	• Active operations • Passive operations
Depending on the delivery charge:	• Paid services • Free services
In relation to the movement of the material product:	• Services related to the movement of material products • Services

Deposit operations are related to placement of clients' cash in deposits (deposits). Credit operation is the main operation of the bank. In general, the largest part of the bank's assets is made up of credit operations. Most often, the bank receives a large part of its income at the expense of lending to clients. Credit operation is still not the main link in the modern structure of banking operations. Due to the economic crisis, inflation and higher risk, commercial banks prefer to use not so much lending (especially refusing long-term lending), as other, more profitable and less risky operations (for example, foreign exchange operations) (Valeri, DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“, 2022).

Settlement operations carried out by banks can be carried out both by non-cash and cash settlement. Banks can open accounts from which payments are made based on the client's instructions. These payments are related to the purchase or sale of goods, wages, taxes, fees. During settlements, the bank acts as an intermediary between the seller and the buyer, as well as between enterprises. It also means tax authorities,

population, budget (Valeri, DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“, 2022).

The three types of banking transactions discussed are traditional banking transactions. They are traditional primarily in the sense that historically, over a long period of time, they develop and acquire additional functions. It can be said that the mentioned banking operations are the most expensive.

Traditional banking operations can also include cash operations. In modern legislation, they are not included in the basic operations, but according to their purpose, they express the essence of banking activity.

Additional operations occupy an intermediate position between traditional and non-traditional operations. They include – foreign exchange operations, operations with securities, operations with gold, precious metals.

Non-traditional banking services include all other services. There are quite a lot of them, including: intermediary services, enterprise development-oriented services (stock exchange, stock placement, legal assistance, information services, etc.), guarantees, trust operations (according to the client's order, consultations and assistance), enterprise accounting Assistance, protection of client's interests in judicial authorities, delivery of safes, tourist services and others (Mosiashvili, https://ijsser.org/index.php, 2022).

It is forbidden for banks to carry out production, trade, as well as insurance activities. In accordance with the discussed classification, services are provided to both legal and physical persons. Practically, the set of services in different banks may be the same, their volume may be different. Some types of services occupy a small place in the list of services of commercial banks. They should increase the number of operations for individuals (including payments, lending for business and consumer needs, receiving deposits).

Banking services are divided into two main types – paid and free. It is the bank's job to determine whether it is necessary to take money from customers during settlement or not. Depending on certain considerations, individual transactions including settlement, credit and deposits can be carried out free of charge.

Other, more detailed characteristics can be used in relation to the bank's income. They often allocate banking services that generate income. Sometimes the service is expensive and sometimes it is cheap. For example, most active operations allow the bank to earn income, while its passive operations involve paying interest on certain types of deposits. Some banking services require a lot of work, so their price is more expensive. For example, it costs more to process a letter of credit at a bank than a regular money transfer based on a client's tax bill.

Depending on the movement of the material product, banking services are divided into two types: 1. Services related to its movement; 2. Clean service.

Banks with their monetary operations mainly serve the movement of material products, the main part of which belongs to the first type of services. The given services of the bank (such as, for example, the services of transport, communication, trade enterprises) create a new additional value (introduce a significant amount of cash in the bank's coffers). Services are used by organizations that are directly engaged in material production, as well as to meet the personal requirements of individual citizens.

According to the novelty, traditional (consisting of standard and initial basic and additional services of a commercial bank) and innovative (created on the basis of non-standard, individual or new banking services and technologies) are distinguished in banking products.Thus, taking into account the above, it is possible to make the following brief conclusion (Mosiashvili, V., 2020):

1. The most characteristic feature of banking services is its production character. Even such a simple form as receiving cash funds of the population and enterprises in deposits acquires great importance.
2. It is noted that the bank, by providing passive or deposit services, transforms unused monetary resources into active resources. By serving their customers, banking operations contribute to the development and acceleration of production.
3. According to the author's opinion, a new banking product is the provision of new banking services or their complex in an unconventional way or using innovative technology. Constituent parts of its regulations are a documented and ordered set of organizational, technical, technological, financial, informational and legal procedures.

Bibliography

1. Mosiashvili Valeri. (2022, november 21). *http://ijsser.org/more2022.php?id=262*. Retrieved from http://ijsser.org/more2022.php?id=262: https://doi.org/10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 http://ijsser.org/2022files/ijsser_07__262.pdf
2. Mosiashvili, V. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.
3. Mosiashvili, V. (2022, November 1). *https://ijsser.org/index.php*. Retrieved from http://ijsser.org/more2022.php?id=262 (DOI: 10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 : URL: https://doi.org/10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 http://ijsser.org/2022files/ijsser_07_
4. Mosiashvili, V. (2022). *https://ijsser.org/index.php*.
5. Valeri, M. (2021). *sabanko saqme.* Tbilisi: Dani.
6. Valeri, M. (2022). DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“. *International Journal of Social Science and Economic Research*, https://ijsser.org/view past2022.php?issue=12.
7. მოსიაშვილი ვ., ჭ. მ. (2023). *ნუმიზმატიკა და ბონისტიკა*. თბილისი: ეკგი.

საბანკო მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომები – კლასტერული ანალიზი

რეზიუმე: წინამდებარე კვლევაში ვეცადეთ დაგვედგინა, რომ კლასტერული ანალიზი კომერციული ბანკების საიმედობის შეფასებისათვის ყველაზე მიმზიდველ მრავალზომიერი სტატისტიკური ანალიზის მეთოდს წარმოაგენს, რომელიც კლასის შიგნით „სიახლოვის“ დაკვირვებაზე და სხვა კლასების დაკვირვებიდან მათ „დაშორიშორებაზე“ არის დაფუძნებული. მითითებულია, რომ კლასტერული მეთოდების იდეების საფუძველში ობიექტების რიგი ნიშანთვისებების შეხამების მიხედვით კლასიფიკაციის იდეა არის ჩადებული. დასაბუთებულია, რომ პრინციპულად კლასტერიზაცია განსხვავდება დაჯგუფებისაგან იმით, რომ დაჯგუფება „მუშაობს“

ერთი ნიშანთვისებასთან, იმ დროს როდესაც როგორც კლასტერიზაცია „მუშაობს“ რიგი ნიშანთვისებების მიხედვით, და ამით ქმნის ჯგუფებს რაოდენობრივი მსგავსების მიხედვით. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ანალიზის და ანალოგის მეტოდები, რამდენადაც გავეცანით საკითხთან დაკავშირებიტ არსებულ უცხოურენოვან ლიტერატურას, განვიხილეთ და ავტორისეული ანალიზი გავუკეთეთ კლასტერიზაციის საკითხებს საბანკო სექტორში, რომელიც არსებობდა მსოფლიო საბანკო სისტემაში საუკეთოსო პრაქტიკით იყო დადასტურებული. დასასრულს გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ბანკის რეიტინგი, ფინანსური მაჩვენებლები კლასტერიზაცია; საფინანსო საქმიანობა, საბანკო რისკი.

ბანკის საქმიანობის მდგრადობა და საიმედობა მისი მენეჯმენტის შედეგიანობის მახასიათებელია. საბანკო მენეჯმენტის მდგომარეობის შემაფასებელ ძირითად პარამეტრებს წარმოადგენენ: ბანკის მთავარი მენეჯერების პროფესიული კომპეტენტურობა; პერსონალისი სწავლების სისტემის, კომიტეტების (საკრედიტო, სარევიზიო, აუდიტორული) მუშაობის, ანალიტიკური სამსახურების არსებობა და დონე; ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმალურობა, საბანკო პოლიტიკის რეალიზაციის, შიდა ინსტრუქციებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის არსებობა და ხარისხი; საბანკო დოკუმენტაციის გაფორმების ხარისხი; კანონმდებლობის დაცვა; ინსტრუქციები და სხვა პარამეტრები.

ამასთან საბანკო რისკ-მენეჯმენტის ძირითადი ამოცანას – როგორც ზემოთ უკვე იყო მითითებული – ძირითადი ოპერაციების მიხედვით რისკების სწორად შეფასება და შესაძლებლობების ფარგლებში მინიმიზირება, და სწორედ ამით ბანკის მდგრადობისა და საიმედობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საბანკო რისკების კლასტერიზაცია: კლასტერი გროვდება ობიექტეისაგან, რომელთაც ახლო და მსგავსი ყველა მახასიათებლები C_k (k = 1,N) გააჩნიათ, ანუ როდესაც „მანძილი“ ობიექტებს შორის მცირეა. **საბანკო რისკების კლასტერიზაციაში სავსებით სხვაგვარადაა საქმე.** ამ შემთხვევაში **უნდა გაერთიანდეს ისეთი აქტივები, რომლებიც რომელიღაც ინტერვალის საპირისპირო ბოლოებში იმყოფებიან და თავიანთი საპირისპირო მახასიათებლებით „ავსებენ“ ერთმანეთის.** თუ ერთი აქტივი იწყებს მოგებიანობის დაკარგვას, მაშინ მეორე აქტივი იძენს მას, და ამით ფასიანი ქაღალდების პორტფელი ურისკო იქნება. **ყოველივე აღნიშნული ბანკის აქტივების კლასტერების მოძიების პრინციპულად შეცვლას, საბანკო აქტივების კლასტერებს შორის „მანძილის“ გამოანგარიშებას და საკრედიტო პოტრფელის რისკის მოძიებას გვაიძულებს.**

ბანკის საიმედობის შეფასების მეთოდები, რეიტინგის შეფასებისას, როგორც რისკების შეფასების მეთოდებიც, არსებობს რამდენიმე (1; 2). დავახასიათოთ მოკლედ მათგან ძირითადები, რომლებიც დღევანდელ პრაქტიკაში გამოიყენებიან.

უპირველეს ყოვლისა. ესაა „რეიტინგის“ ცენტრის მიერ გამოყენებადი მეთოდიკა, რომელიც თავისთავად უცხოეთის პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მეთოდიკის ანალოგიურია. მოცემული მეთოდიკა 40-ზე მეტი პარამეტრების გაანგარიშებას ითვალისწინებს. თითოეული მათგანი თავისი სასარგებლო ინფორმაციული დატვირთვის მატარებელია, მაგრამ თითოეული პარამეტრის

მნიშვნელობადობის ხარისხი არ არის გარკვეული. მთლიანობაში, ბანკების საიმედობისადმი მიდგომა, რომლის დროსაც შეფასებისათვის პარამეტრების ნაკრები, ასევე ბანკის ჯამური შეფასების ფორმირების პროცესში ექსპერტის ჩარევის შეუძლებლობა არის შეთავაზებული, არ წარმოადგენს ოპტიმალურს.

არსებოს ასევე რეიტინგის შედგენის მეთოდიკა ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდის საფუძველზე. აღნიშნული მაჩვენებელი ფინანსურ ბაზარზე ბანკის პოტენციალური შესაძლებლობების ყველაზე ეფექტიანად მახასიათებელია.

არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაცნობამ აჩვენა, რომ ექსპერტების ჯგუფის მიერ შემუშავებულ მეთოდიკაში კრიტერიუმების სახით გამოიყენება ექვსი კოეფიციენტი (Valeri, 2022). წარმოდგენილი მეთოდიკის ნაკლოვანების სახით მრავალი ეკონომისტები აღნიშნავენ იმას, რომ ყველა განხილული პარამეტრები ბანკის მდგომარეობას მხოლოდ „დანახარჯებიანი“ მაჩვენებლების პოზიციიდან ახასიათებენ. ამასთან ხვედრითი წონის დადგენა სუბიექტურია, ხოლო, გარდა ამისა, კოეფიციენტების უბრალო დაჯამება გაანგარიშებების შედეგების ინტერპრეტაციას აძნელებენ.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ბანკის კრედიტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრის გზად არის მიჩნეული – ანალიზის სამი ეტაპის მოცველი მეთოდიკის გამოყენებაა, კერძოდ : ფორმალური, მათემატიკური და ექსპერტული.

მოცემული მეთოდიკის მიხედვით მთლიანი გაანგარიშება ჯამში ასევე ექსპერტულ სახიათს იძენს, რომლის სიზუსტე მთლიანად ექსპერტების კომპეტენტურობაზე არის დამოკიდებული; ბანკების მუშაობის სწორად და თავისდროულად შეფასებისათვის კი მიზანშეწონილია ბანკების საიმედობის მონიტორინგი და ყოველდღიური ბალანსების ანალიზი იქნას განხორციელებული. აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკების რეიტინგის შეფასების მეთოდიკაში სუბიექტივიზმის ელემენტები არ უნდა არსებობდეს.

კომერციული ბანკების საიმედობის შეფასებისათვის კი ყველაზე მიმზიდველს მრავალზომიერი სტატისტიკური ანალიზის მეთოდები (1), და კერძოდ კლასტერული ანალიზი წარმოადგენს (Mosiashvili, Banking, 2020).

მრავალზომიერ კლასიფიკაციაში საწყისი ეკონომიკური ობიექტები „m“ მაჩვენებლებიანი სისტემით აიღწერება, და სწორედ ამით თითოეული ასეთის J-ის ობიექტი დაისახება, როგორც წერტილი m-ზომიერების სივრცეში.

ყველა დაკვრვებების ერთობლიობა (*) შეიძლება როგორც მრავალზომიერი გენერალური ერთობლიობიდან „n“ ობიექტის ამორჩევა.

მრავალ პრაქტიკულ შემთხვევებში ასეთი ინფორმაციია არ არსებობს. ამიტომ მიზანშეწონილია კლასტერ-ანალიზის მეთოდი იქნას გამოყენებული, რომელიც კლასის შიგნით „სიახლოვეს“ დაკვირვებაზე და სხვა კლასების დაკვირვებიდან მათ „დაშორიშორებაზე“ არის დაფუძნებული. კლასტერ-ანალიზის სამაგალითო მანქანური ალგორითმი საერთო სახით შესაბამის სახელმძღვანელოში არის მოყვანილი (2).

ბანკებისა და საბანკო სისტემის საიმედობის შეფასებისადმი ახალი მიდგომა სხვა ავტორების მიერაცაა ჩამოყალიბებული (Mosiashvili, https://ijsser.org/index.php, 2022). სადაც აღნიშნულია, რომ საბანკო სისტენის სტაბილურობის გარამტირებაზე მოწოდებულ ძირითად

დოკუმენტს შესაბამისი ინსტრუქცია წარმოადგენს, რომელიც ფინანსური რისკებისაგან ბანკების დაცვის საერთო პრინციპებს ასახავს. სწორედ ამით, საბანკო სისტემის საიმედობის კომპლექსური ანალიზის ამოცანა სავალდებულო ნორმატივების ჯამურ ნაერთ ანალიზთან, ამასთან გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკების საიმედობის ნორმატივების უზრუნველყოფის პოზიციიდან ანალიზთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

როგორც აღნიშნავს ავტორი, სტრატეგიული საიმედობა, მიმდინარესაგან განსხვავებით, შეუძლებელია რიცხობრივი საით იქნას გამოსახული, მაგრამ ბანკების სტრატეგიული საიმედობა შეიძლება იქნას შედარებული. რა თქმა უნდა ბანკის სტრატეგიული საიმედობა შეიძლება მხოლოდ მთლიანობაში საბანკო სისტემის კომპლექსურ ჯამურ ანალიზს წარმოადგენდეს და მისი შემადგენელების სტრატეგიული საიმედობის შეფასებასთან განუწყვეტლად იყოდს დაკავშირებული.

ავტორს მოყავს ზოგიერთი დაშვებები ნორმატივების მნიშვნელობების ორი გიპოთეზის სახით (ტრანზიტულობა და ხაზობრიობა) დომინირების სტრუქტურის სახით შესახებ (Mosiashvili, Banking, 2020). აღნიშნული გიპოთეზების მიღების მნიშვნელოვან შედეგს ყველა ნორმატივების მათი მნიშვნელობების კლებადობის მიხედვით მოწესრიგების შესაძლებლობა წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, ნორმატივების ერთობლიობა შეიძლება მოწესრიგებული კლასიფიკაციის სახით იქნას წარმოდგენილი ისე, რომ ერთიან კლასების შიგნით ნორმატივები ტოლმნიშვნელობიანებად ჩაითვლებიან, ხოლო სხვადასხვა კლასებიდან ნორმატივები კი მათი მომცველი კლასების ნომრების მნუშვნელობებთან შესაბამისობაში იქნება მოწესრიგებული.

ავტორი იხილავს ასევე ისეთ მომენტს საბანკო ზედამხედველობის სისტემაში, როგორც ნორმატივების ბანკების გრძელვადიანი საიმედობისადმი ნორმატივების ადეკვატურობის ზოგიერთ მაგალითებს. არნიშნულთან დაკავშირებით ავტორი თვლის, რომ სავალდებულო ნორმატივების კონტროლი, უპირველეს ყოვლისა, მისი მუშაობის მყისიერი ეფექტიანობისაგან დამოუკიდებლად, ბანკის სტრატეგიულ საიმედობას უნდა გარანტირებდეს.

ზემოთ ჩვენს მიერ ბანკების რისკებისა და საიმედობის შეფასების სხვადასხვა მეთოდები იქნა განხილული. საინვესტიციო რისკების შეფასების მეთოდები დღეისათვის ყველაზე გადაუჭრელს წარმოადგენენ. ასევე ბანკების საიმედობის შეფასების მეთოდებსაც მრავალი ნაკლოვანება გააჩნიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე კლასტერ-ანალიზის არსებული მეთოდები იქნს გამოკვლეული, ასევე კლასტერ-ანალიზის გამოყენებისადმი, კერძოდ ინვესტიციური საბანკო რისკებისა და ბანკების საიმედობის შეფასებისადმი მისი გამოყენების ახალი მიდგომები იქნა შემუშავებული და დასაბუთებული.

კლასტერული მეთოდების იდეების საფუძველში ობიექტების რიგი ნიშანთვისებების შეხამების მიხედვით კლასიფიკაციის იდეა არის ჩადებული. კლასტერულ მოდელებში ნიშანთვისებები ზოგიერთი „მეტრიკის“ მეშვეობით დაჯგუფებადი ობიექტების მსგავსების (ან განსხვავების) ერთ რაოდენობრივ მაჩვენებელში ერთიანდებიან. შემდგომ შეისწავლება არა ყველა მრავალი n ობიექტები, არამედ კლასტერების (ჯგუფების) სიმრავლე, ამასთან Q << n.

რა თქმა უნდა, კლასტერულ ანალიზში მრავალი პრობლემა არსებობს, დაწყებული თვით ნიშანთვისებების ჩამონათვალის განსაზღვრიდან, მეტრიკის შერჩევიდან, კლასტერის რაოდენობის განსაზღვრიდან და ა.შ.; რამდენადაც ნიშანთვისებები შერჩეულია, ამდენად კლასტერული

ანალიზის მიდგომა – არა სუფთა ემპირიულზე, არამედ სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა დაფუძნებული.

მეტრიკები აღმოჩნდება ბევრი და მათი რიცხი იზრდება, ზოგიერთი მათგანი დამოკიდებულებია მასშტაბზე, შერჩეული გაზომვის ერთეულებზე. ამიტომ ნიშანთვისებების ნორმირება, ელასტიურობის ტიპის შედარებითი სიდიდეებისაკენ გადასვლა და ა.შ. არის საჭირო.

ფორმალურ-რაოდენობრივი კლასტერიზაციის ამოცანები უფო მოკრძალებულია, მათი მიზანი – არის იფორმაციების მასივის მისი მრავალზომიერებით შემჭიდროებული სახით წარმოდგენა, მაგრამ ისე, რომ ინფორმაციების დაკარგვა ზეზომიერი არ იყოს. **პრინციპულად კლასტერიზაცია განსხვავდება დაჯგუფებისაგან იმით, რომ დაჯგუფება „მუშაობს“ ერთი ნიშანთვისებასთან, იმ დროს როდესაც როგორც კლასტერიზაცია „მუშაობს“ რიგი ნიშანთვისებების მიხედვით, და ამით ქმნის ჯგუფებს რაოდენობრივი მსგავსების მიხედვით.**

კლასტერული ანალიზის მეთოდი განვიხილოთ საფონდო ბაზართან მიმართებაში გამოსაყენებლად და ერთიანობის შეზღუდვის გარეშე **დავასახელოთ ობიექტები (ინდივიდები)** (Valeri, 2022): **$I = (I_1, I_2, \ldots, I_i, \ldots, I_n)$ ფასიანი ქაღალდები ან აქტივები,** დაკვირვებადი მაჩვენებლები ან მახასიათებლები $C = (C_1, C_2, \ldots, C_j, \ldots, C_p)$ ჩვენს შემთხვევაში საშუალოკვადრატიული გადახრები იქნება.

$C_1 = @(\text{სიგმა})_I$ და $C_2 = W_i$ – არის წონები, რომლებითაც **თითოეული აქტივი ფასიანი ქაღალდების პორტელშია წარმოდგენილი** (Mosiashvili Valeri, 2022). გარდა ამისა, ჩვენ დაგვჭირდება:

COV_{ij} – არის I_i, I_j აქტივების კოვარიაცია;

P_{ij} – არის კორელიაციის კოეფიციენტი იმავე აქტივების.

თითოეული აქტივი ფასიანი ქაღალდების სიმრავლისაგან ფლობს დაკვირვებადი მაჩვენებლების ან მახასიათებლების გარკვეულ სიმრავლეს, თუ მახასიათებლები რაოდენობრივია, მაშინ ზოგჯერ მათ საზომებს უწოდებენ.

საზომი q-ის I_i აქტივის მახასიათებლის შედეგი ავღნიშოთ სიმბოლოთი X_{qi}, ხოლო ვექტორი $X_i = (X_{qi})$ ზომიერებით p x q, $1 < q < P$, პასუხობდეს იქნება (i-ის აქტივისათვის) თითოეული სახეობის საზომს. ამრიგად, I აქტივების სიმრავლისათვის მკვლევარს $X = (X_1, X_2, \ldots, X_n)$ საზომის მრავალი ვექტორები გააჩნია, რომლებიც I აქტივების სიმრავლეს აღწერს. X-ის სიმრავლე მოხერხებულია წარმოვიდგინოთ როგორც n წერტილი n-ზომიერების E_p ევკლიდურ სივრცეში.

დავუშვათ Q – მთელი რიცხვი, ნაკლებია ვიდრე N. კლასტერული ანალიზის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ X სიმრავლის მომცველი მონაცემების საფუძველზე I აქტივების სიმრავლე დაიყოს Q კლასტერებად (სიმრავლედ) ისე. რომ თითოეული I_i ობიექტი, დაყოფადობის ერთ და მხოლოდ ერთ ქვესიმრავლეს ეკუთვნოდეს და რომ ერთი და იმავე კლასტერის კუთვნილების აქტივები იყოს მსგავსები, მაშინ როგორც სხვადასხვა კლასტერებს კუთვნილების აქტივები იყოს სხვადასხვაგვარები (არამსგავსები).

კლასტერული ანალიზის ამოცანის გადაწყვეტას წარმოადგენს ოპტიმალურობის გარკვეული კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელი დაყოფა, რომელსაც ხშირად მიზნობრივ ფუნქციას უწოდებენ, ჯგუფების სასურველ რიცხვთან შეხამებაში.

ნათელია, რომ კლასტერული ანალიზის ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა რაოდენობრივად იქნას განსაზღვრული მსგავსებისა და სხვადასხვაგვაროვნების ცნებები. I_i და I_j ორი აქტივი ერთი და იგივე კლასტერში მოხდება ყოველთვის მაშინ, როდესაც X_i და X_j შესაბამის წერტილებს შორის მანძილი (დაშორიშორება) იქნება „საკმაოდ მცირე“, და, პირიქით, მოხვდებიან სხვადასხვა კლასერებშიმ=, თუ X_i და X_j წერტილებს შორის მანძილი „საკმაოდ დიდია“. ამრიგად, პორტფელის რისკის მინიმიზაციის მიზნებისათვის Z_i და X_j წერტილებს შორის მანძილის ცნება E_p-ის აბსტრაქტული პოზიციებიდან იქნება განხილული.

კლასტერულ ანალიზში განსაზღვრულია, რომ d(Xi, Xj) არაუარყოფით ნივთობრივ მნიშვნელობით ფუნქციას უწოდებენ მანძილის (მეტრიკის) ფუნქციას, თუ (Mosiashvili, Banking, 2020):

• d (X_i, X_j) მნიშვნელობას X_i, X_j – თვის უწოდებენ X_i და X_j შორის მანძილს და I_i და I_j აქტივებს შორის მანძილის ეკვივალენტურია შერჩეული მახასიათებლების შესაბამისად:

$$(C_1, C_2, \ldots, C_p)^T.$$

პორტფელის რისკის მინიმიზაციის ამოცანაში „მანძილის“ თავისებურებასთან დაკავშირებით, განვიხილოთ ძირითადი ცნობილი მეტრიკები და მათი მახასიათებლები, როგორებიცაა: ევკლიდოვას მეტრიკა; აბსოლუტური მნიშვნელობების მეტრიკა, რომელსაც ზოგჯერ მანხეტენურ მეტრიკასაც უწოდებენ; სიუპრემუმ-ნორმა; მახალანობისის ზომიერსბა; ჯეფრი-მატუსიტის ზომიერება; „დივერგენციის კოეფიციენტის“ ზომიერება და სხვები.

კლასტერიზაციის პროცესი ყველაზე ხშირად მიმდინარეობს თანმიმდევრულად. როდესაც ორი ყველაზე ახლოს განთავსებული Ii და Ij ობიექთი ერთიანდებიან და განიხილებიან როგორც ერთი კლასტერი. აღნიშნულს მივყავართ იქამდე, რომ ობიექტების რიცხვი მცირდება და N – 1-ის ტოლი ხდება, ამასთან ერთი კლასტერი მომცველი იქნება ორი ობიექტის, ხოლო N – 2 კი დანარჩენების – თითო თითოსი. პროცესი შეიძლება განმეორებული იქნას მანამ, სანამ ყველა ობიექტები ერთ კლასტერში არ დაჯგუფთებიან. თანმიმდევრულ პროცედურაში ორ კლასტერს შორის და ობიექტსა და კლასტერს და მანძილის შორის მანძილის შესახებ რაოდენობრივი წარმოდგენა უნდა იქნას გამოყენებული.

კლასტერული ანალიზის ამოცანის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ოპტიმალური კრიტერიუმის (მიზნობრივი ფუნქციის) ცნება, რომელიც დადგენის შესაძლებლობას იძლევა, თუ როდის მიიღწევა სასურველი დაყოფადობა. ამდაგვარი კრიტერიუმის შემოღებისათვის საჭიროა კლასტერის შიდა ერთგვაროვნობის ზომიერება და ერთმანეთს შორის კლასტერების ნაირსახეობის ზომიერება უნდა იქნა მოძიებული.

დავუშვათ $I = (I_1, I_2, \ldots, I_{N1})$ და $J = (J_1, J_2, \ldots, J_{N2})$ აღნიშნავენ ფასიანი ქაღალდების პორტფელის აქტივების ორ კლასტერს. დავუშვათ $(C_1, C_2, \ldots, Cp)^T$ მახასიათებლების სიმრავლე იქნება, რომლებიც I და J შესაბამისი $X = (X_1, X_2, \ldots, X_{N1})$ და $Y = (Y_1, Y_2, \ldots, Y_{N2})$ საზომის ორი სიმრავლეს გენერირებენ.

ყველა მანძილების სიმრავლე $D = [d (X_i, Y_j), i = 1, N1; j = 1, N2]$ მეშვეობით ავღნიშნოთ (Mosiashvili Valeri, 2022). სიდიდეს $D_1 (I, J) = \min; d (Xi, Yj); I = 1,N1; j = 1,N2$, მაშინ I და J კლასტერებს შორის მინიმალურ ლოალურ მანძილს უწოდებენ, რომლებიც მოცემული ფუნქციის d მანძილის შესაბამისია.

კლასტერიზაციისა და კლასიფიკაციის მეთოდებს ყველაზე ხშირად კვადრატების შიდა ჯამების (გადახრების) მინიმიზაციას იყენებენ. თუ ისინი ევკლიდური მანძილის ტერმინებშია გამოსახული, მაშინ მინიმალური დისპერსიის მეთოდებს უწოდებენ.

განვიხილოთ და შევარჩიოთ კლასტერიზაციის მეთოდი, ვიცით, რა რომ კლასტერიზაციის მრავალი ხერხები შეიძლება საერთო თანაფარდობის მეშვეობით ერთი ალგორითმით იყოს მოცული, რომელიც dij მანძილის ზომიერებას შეიცავს.

მანძილის აღნიშნულ ზომიერებაზე შეიძლება დაფუძნებული იყოს მრავალი კლასტერული მეთოდები, როგორებიცაა: სავსე კავშირების მეთოდი; მაქსიმალური ლოკალური მანძილი; შიდაჯგუფური კვადრატების ჯამის მინიმიზაცია; ცენტროიდული მეთოდი (შეწონილი ჯგუფების მეთოდი); დასაწყისის შემთხვევითი შერჩევა; „ტიპიური“ წერტილის შერჩევა; K – პროცედურა; მაკკვინის მეთოდი; სებესტეენის მეთოდი; ჯენსის მეთოდი; ფორჯის მეთოდი და სხვა.

კლასტერიზაციის არც ისე მრავალი ალგორითმებია ცნობილი. განვახორციელოთ მათი მიმოხილვა: თანმიმდევრული კლასტერიზაციის ალგორითმი; კლასტერიზაცია სავსე გადანამეტით; მათემატიკური პროგრამირება კლასტერულ ანალიზში, მათ შორის: დინამიური პროგრამირება; მთელრიცხობრივი პროგრამირება; კლასტერიზაცია დენდოგრამის მეშვეობით; მსგავსების მატრიცების გამოყენება; კლასტერიზაცია სიმვრივის ფუნქციების საფუძველზე.

ბუნებრივია, რომ არის მოსაზრება თანმიმდევრული კლასტერიზაციის ალგორითმიდან, როგორც ყველაზე უფრო მარტივიდან იქნას დაწყებული.

მაგრამ აღნიშნული მეთოდები მხოლოდ დაყოფადობის ყველა შესაძლო ალგორითმების სიმრავლისქვეშ მუშაობენ და ამიტომ გარანტიას არ იძლევიან იმისა, რომ მოძიებული გადაწყვეტიება ოპტიმალური ან მასთან მიახლოებული იქნება.

კლასტერიზაცია სავსე გადანამეტით მეთოდოლოგიურად კიდევ უფრო მარტივია, მახსოვრობაში საჭიროა გვქონდეს X დაკვირვების ერთი მატრიცა, და ყველა გაანგარიშებები მხოლოდ მასზე იქნება დაფუძნებული, დამატებითი მასივების მოზიდვის გარეშე. მაგრამ ამოცანა NP – სავსეა, გაანგარიშებების საჭიტო მოცულობა ისე დიდია, რომ თანამედროვე პერსონალური კომპიუტერების სწრაფად მოქმედების მიუხედავად, ამოცანის გადაწყეტა უიმედოდ რჩება.

დანარჩენი ალგორითმები რთულია და სპეციალურ კვლევებს მოითხოვენ.

კლასტერების საჭირო რიცხოვნობის შეჩევა – კლასტერული ანალიზის ერთ-ერთი რთული საკითხია. ზოგჯერ კლასტერების რიცხოვნობა M შეირჩევა აპრიორულად, მაგრამ საერთო შემთხვევასი აღნიშნული რიცხვი სიმრავლის კლასტერეად დაყოფის პროცესში განისაზღვრება. იგი შეიძლება შინაარსის ინტიუტიური ინტეგრაციისა კლასტერის სახელწოდების შესაბამისი არ აღმოჩნდეს. კლასტერულ ანალიზში აღნიშნული რთულ პრობლემად ითვლება.

კლასტერების რიცხოვნობის პრობლემის გადაწყვეტის სახით, თანამედროვე პირობებში მინიმუმი დროის მიხედვით კლასტერების ოპტიმალური რიცხოვნობის განსაზღვრა არის ჩამოყალიბებული, რომელიც შეიძლება კლასტერიზაციაზე სავსე გადანამეტის მეთოდად იქნას გამოყენებული. რამდენადაც აღნიშნული რიცხოვნობის განსაზღვრა მათემატიურად საკმაოდ მარტივია, ამდენად იგი შეიძლება ინტიუტიური ვარაუდებისა და ცვლილებებისათვის იქნას გამოყენებული, თუ კლასტერების მოძიებული ოპტიმალური რიცხოვნობა ინტიტიუტირად წარმოდგენილისა-

გან შორს არ იქნება. შემდგომ უკვე კლასტერების კორექტირებული რიცხვის მიხედვით შეიძლება კლასტერიზაცია იქნას დაწყებული.

ზემოთაღნიშნულიდან გამოდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შესწავლილია, რომ კლასტერული ანალიზი კომერციული ბანკების საიმედობის შეფასებისათვის ყველაზე მიმზიდველ მრავალზომიერი სტატისტიკური ანალიზის მეთოდს წარმოაგენს, რომელიც კლასის შიგნით „სიახლოვის" დაკვირვებაზე და სხვა კლასების დაკვირვებიდან მათ „დაშორიშორებაზე" არის დაფუძნებული.

2. დასაბუთებულია, რომ კლასტერული მეთოდების იდეების საფუძველში ობიექტების რიგი ნიშანთვისებების შეხამების მიხედვით კლასიფიკაციის იდეა არის ჩადებული. კლასტერულ მოდელებში ნიშანთვისებები ზოგიერთი „მეტრიკის" მეშვეობით დაჯგუფებადი ობიექტების მსგავსების (ან განსხვავების) ერთ რაოდენობრივ მაჩვენებელში ერთიანდებიან. შემდგომ შეისწავლება არა ყველა მრავალი n ობიექტები, არამედ კლასტერების (ჯგუფების) სიმრავლე, ამასთან Q << n.

3. დაგენილია, რომ პრინციპულად კლასტერიზაცია განსხვავდება დაჯგუფებისაგან იმით, რომ დაჯგუფება „მუშაობს" ერთი ნიშანთვისებასთან, იმ დროს როდესაც როგორც კლასტერიზაცია „მუშაობს" რიგი ნიშანთვისებების მიხედვით, და ამით ქმნის ჯგუფებს რაოდენობრივი მსგავსების მიხედვით.

Bibliography

Mosiashvili Valeri. (2022, November 21). *http://ijsser.org/more2022.php?id=262*. Retrieved from http://ijsser.org/more2022.php?id=262.

Mosiashvili, V. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.

Mosiashvili, V. (2022). *https://ijsser.org/index.php*.

Mosiashvili, V. (2022, November 1). *https://ijsser.org/index.php*. Retrieved from http://ijsser.org/more2022.php?id=262 (DOI: 10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 : URL: https://doi.org/10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 http://ijsser.org/2022files/ijsser–07–

Valeri, M. (2022). DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM". *International Journal of Social Science and Economic Research*, https://ijsser.org/view past2022.php?issue=12.

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი

აკადემიის წევრების ფიცი.....3

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

წმინდა ნიკოლოზი..... 4

წმინდა ვლასი..... 5

წმინდა ლაზარე..... 6

მამა გაბრიელი.....7

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)...8

გულნაზ ხარაიშვილი

უნდა იცოცხლო უწმინდესო..... 9

პოეზია

ირაკლი ნადარეიშვილი 10

კლარა გელაშვილი.....14

ეთერ ჭელიძე.....16

მალვინა ჭელიძე.....20

მამა ნეოფიტე – ბერდიაკონი.....24

ამირან ამირანაშვილი.....28

თემურ გოგსაძე 30

ედუარდ უგულავა 32

ნაირა უგულავა 36

იზა ჭიკაიძე.....38

ნორა მგელაძე 40

იზა შუბითიძე.....42

მარინა დიერაშვილი.....46

ლია შენგელიძე.....48

თენგო ფანცულაია-ხერგილელი

ოქროპირი.....50

ნანა გიგუაშვილი..... 54

გულიკო კაპანაძე..... 62

თეა გარბაქაძე 66

ნელი ტორონჯაძე..... 70

მარინა კოლხელი 80

ნინო მოსაშვილი 82

ნინო უძილაური..... 92

გერონტი მესხი 94

ნანა ცინცაძე..... 96

ვალია ხარებავა..... 98

თამრო სვანი-ნიჟარაძე 100

მანანა სამყურაშვილი 104

გვანცა ხარაიშვილი 108

გვანცა პაატაშვილი..... 110

ნელი გიუნაშვილი 114

ნელი საგინაძე..... 116

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 120

მაგული კორძაია..... 124

მირანდა ზაზახიძე 128

ვერიკო პარწიკანაშვილი..... 130

ეთერ ლობჟანიძე..... 134

ეთერ გაჩეჩილაძე 136

ნათია ჯიქურაშვილი 138

დავით მოდებაძე 142

მადონა კისკეიძე-ქორიძე 146

ცაგო აბაშმაძე..... 150

მაგდა გოშნიაშვილი..... 154

ანზორ შერვაშიძე..... 156

გიორგი ჯავახიშვილი 161
თამთა უგულავა 166
ბადრი უგულავა 167
გოჩა ჭაბუკაიძე 168
ნატალია სამუშია 170
მზია ერგემლიძე 174
ნინა გაჩეჩილაძე 178
ლია ალადაშვილი 182
სულიკო ჯამალაშვილი 186
ნანა ჩარკვიანი 188
მთვარისა ზეინკლიშვილი 192
დავით ძნელაძე 196
ლალი სოხაძე 200
დარეჯან მაჭარაშვილი 202
მირზა ვარძუკელაშვილი 206
მარი ჟღენტი 210
ირინა ხურციძე (ირინოლა ტყეშაველი) ...214
ირმა ალთვაიძე 216
ლეილა ვადაჭკორია 218
გიგი თეთრაძე 220
შორენა ჩხიკვიშვილი 222
იზოლდა მოშიაშვილი 224
ქეთი სიმონიშვილი 226
მზია გომართელი 230
ეთერ ისაკაძე 232
თამარ ფიცხელაური 234
ნესტან გედენიძე 236
მზიური დათიაშვილი-აფციაური 238
აზა შანავა 240
ანამარია ლილუაშვილი 244
ლამზირა შეყილაძე 248
ქეთი ცირეკიძე 250
ვალია კვაშილავა 252
ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი 258
ლელა პაიაშვილი 260
ვასო ყაჭიაშვილი 262
ლელა კობერიძე-ჭიაურელი 267
მზია ელიაძე 276
ულნაზ ხარაიშვილი 277

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 283

თარგმნები

მზია კვირიკაშვილი 293
Ratiani Lali 319

ქართული ფესვები

ნინა სიბაშვილი 322

სხვადასხვა განყოფილება

მარინა დიერაშვილი 332
ნათია დაშნიანი 334

სვანური ზღაპრები

გოჩა ჭელიძე 338

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი).342
გეჟან ხარაიშვილი.....343
დათო გამთენაძე.....344

პროზა

მზია ელიაძე 346
რევაზ მიშველაძე 346
ირმა კეკელიძე.....354
თემურ გოგსაძე 363
ნატალია სამუშია 370
"ანდრია" ანზორ შერვაშიძე 377
ელგუჯა სხირტლაძე.....380
გეჟან ხარაიშვილი.....384
ლალი სოხაძე 401
ხათუნა ჩიტაძე 404
ლია ჩუქოვანი-გოგრიჭიანი.....410
კლარა გელაშვილი 420
ალექსანდრე მგელაძე.....424
მაია ფეიქრიშვილი.....428
ეთერ ჭელიძე 435
გულიადა სანოძე.....437
სერგი ლომაძე 439
შორენა მამალაშვილი 443
თამარ კერძაია.....447
ქეთევან ბახტაძე 449
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 452

წერილები

ლურა სორდია 506
რევაზ მიშველაძე..... 511
გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)..... 513
ნია გორდელი 517
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე..... 521
დავით ყანდაშვილი..... 530

სამართლიმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი 531

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 539

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)..... 543

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 547
გოჩა ჭელიძე 551

ხელოვნება

ირმა კეკელიძე 555
ალექსანდრე ციხელაშვილი 561
ნელი კვახაძე 563
ლალი ჩიქოვანი 565

ჯგუფი ზღვარი

შემოქმედებითი ჯგუფი ზღვარი
თბილისური ამბავი
(ოთახი / პიესა / 2022 წელი)..... 567

ეკონომიკა

Valeri Mosiashvili, Eter Mamatsashvili,
Financial innovations in the credit system of Georgia 585
საბანკო მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომები – კლასტერული ანალიზი 588

მთავარი რედაქტორი — **გულნაზ ხარაიშვილი**

რედაქტორი — **ნანა სხირტლაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **დავით ყანდაშვილი**

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com